აკაკი შანიძე

თხზულებანი

III

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
ТБИЛИССКИЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ УНИВЕРСИТЕТ

А. Г. ШАНИДЗЕ

СОЧИНЕНИЯ В ДВЕНАДЦАТИ ТОМАХ

ТОМ III

198240

ОСНОВЫ ГРАММАТИКИ ГРУЗИНСКОГО ЯЗЫКА

ТБИЛИСИ · 1980

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკაკი შანიძე

თხზულებანი თორმეტ ტომად

ტომი III

ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები

1980 · თბილისი

4 Г
ББК 81.2Гр
499.862.1—415
შ 214

აკაკი შანიძის თხზულებათა თორმეტტომეულის
სარედაქციო კოლეგია:

შოთა ძიძიგური (მთავარი რედაქტორი), **თამაზ გამყრელიძე**, **კორნელი დანელია** (პასუხისმგებელი მდივანი), **ივანე იმნაიშვილი**, **მზექალა შანიძე**, **სერგო ჯორბენაძე.**

მდივანი **ლ. ბასილაია**

Редакционная коллегия:

Ш. В. Дзидзигури (гл. редактор), **Т. В. Гамкрелидзе, К. Д. Данелиа** (ответственный секретарь), **И. В. Имнаищвили, М. А. Шанидзе, С. М. Джорбенадзе.**

Секретарь **Л. С. Басилаиа**

ს-„198240"

წიგნში წარმოდგენილია ავტორის მიერ მრავალი წლის განმავლობაში გაწეული კვლევა-ძიების შედეგები ქართული ენის მორფოლოგიური სტრუქტურის დარგში, რომელიც მეტად რთულია და დიდ სიძნელეებს უქმნიდა წინანდელ მკვლევრებს. ძალიან ვრცლად არის განხილული ზმნა, რომელსაც ბევრი თავისებურება ახლავს და რომლის ზოგიერთი კატეგორია ავტორის მიერ არის პირველად მიგნებული და დასაბუთებულ-დადგენილი.

საკითხების განხილვისას ძირითადად ახალი ქართულის მასალაა გამოყენებული, მაგრამ მოვლენათა ახსნისას ხშირად მოხმობილია ძველისა და საშუალო ქართულის მასალები. დამოწმებულია აგრეთვე ცოცხალი კილოებისა და სხვა ქართველურ ენათა ჩვენებანი.

ტომის რედაქტორი მზექალა შანიძე

Ш $\frac{70100}{М\ 608\ (06).80}$

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

შინაარსი

გვ.

წინასიტყვაობა 09

შესავალი (§§ 1 — 3) 1

ფონეტიკა

გვ.

ანბანი (§§ 4—7) 7

ბგერათა კლასიფიკაცია

ზოგადი (§§ 8—10) 8

ხმოვნები (§ 10—11) . . . 10

თანხმოვნები (§§ 12—17) . . 13

ხმარებიდან გადავარდნილი ასოები (§ 18) 17

ასოთა რიგი (§ 19) 19

მარცვალი (§§ 20—22) . . 20

უმთავრესი ფონეტიკური მოვლენები (§§ 23—37) . . 21

მორფოლოგია

ზოგადი (§§ 38—42) 33

სახელები

I. ჯგუფები შინაარსის მიხედვით

არსებითი სახელი (§§ 43—44) 37

ზედსართავი სახელი (§§ 45 — 46) 39

რიცხვითი სახელი (§§ 47—48) 40

ნაცვალსახელი (§§ 49—50) . 41

II. ბრუნება

ბრუნვა (§§ 51—53) 44

რიცხვი (§§ 54—58) 46

თავისთავადი სახელები

[ზოგადი, §§ 59—61] . . . 49

I ტიპი (§§ 62—74) . . . 51

II ტიპი (§§ 75—78) . . . 61

III ტიპი (§§ 79—83) . . . 65

მხლებლიანი ბრუნვები (§§ 84—89) 69

ლოკალური ბრუნვები (§§ 90—96) 73

დამატებითი ცნობები ბრუნვისა და რიცხვის შესახებ (§§ 97—112 ა) 76

მსაზღვრელი სახელები

[ზოგადი, §§ 113—117] . . . 81

I ტიპი (§§ 118—122) . . . 82

II ტიპი (§§ 123—127) . . . 85

[დამატებითი ცნობები მსაზღვრელ-საზღვრულთა შესახებ, §§ 128—135] 91

თავისებურებანი (§§ 136—148) 96

III. წარმოქმნა

ზოგადი (§§ 149—160) 108
ჯგუფები (§§ 161—177) 119

IV. თხზვა

გვ.
ზოგადი (§ 177ა) 147
ფუძე-გაორკეცებული კომპოზიტები (§§ 179—184) . . 149
სხვა ტიპის კომპოზიტები (§§185—189) 152
შერწყმული სახელები (§§ 190—198) 156

ზმნები

ზოგადი (§§ 199—201) 163

I. უღლების კატეგორიები

რიცხვი (§§ 202—203) . . . 166
პირი
[ზოგადი, §§ 204—212] . . . 167
სუბიექტური პირი (§§213—221) 173
ობიექტური პირი (§§ 222—228) 180
დამატებითი ცნობები პირის შესახებ (§§ 229—237) . . . 186
ინვერსია (§§ 238—241) . . . 195
დრო (§§ 242—246) 198
კილო (§§ 247—257) . . . 204
გზისობა (§§ 258—259) . . 209
აქტი (§§ 260—261) . . . 211
თანამდევრობა (§§ 262—265) . 212
მწკრივი
[ზოგადი, §§ 266—271] . . . 215
I სერიის მწკრივები (§§ 272—277) 218
II სერიის მწკრივები (§§ 278—280) 220
III სერიის მწკრივები (§§ 281—283) 221
[დამატებითი ცნობები მწკრივის შესახებ, §§ 285—296 ა] . . . 224

II. წარმოქმნის კატეგორიები

ზოგადი (§§ 297—300) . . . 236
გეზი და ორიენტაცია (§§ 301—325) 238
ასპექტი (§§ 326—343) . . . 262
გვარი (§§ 344—384) 280
დინამიკა და სტატიკა (§§ 385—392) 313
ქცევა (§§ 393—419) . . . 323
კონტაქტი (§§ 420—433) . . 357
სიტუაცია (§§ 434—442) . . 373
ზმნის კატეგორიათათვის ზოგადად (§§ 443—444) . . 380

III. უღლება

ზოგადი (§ 445) 386
ფუძე (§§ 446—448) 387
თემა 387
თემა მოქმედ. გვარის ზმნებში (§§ 450—464) 388
სავრცობი მოქმ. გვარის ზმნებში (§ 465) 409
თემა ვნებითი გვარის ზმნებში (§§ 466—470) 409
თემა საშუალი გვარის ზმნებში (§§ 471—472) 414
სავრცობი (ვნებ. და საშუალი გვარის ზმნებში) § 473 . . 417
დამატებითი ცნობები თემის შესახებ (§§ 474—477) . . . 417
მწკრივთა წარმოება
[ზოგადი, § 478] 423

	გვ.
მოქმედებითი გვარი	
I სერიის მწკრივები (§§ 479—482)	423
I სერიის მწკრივები (§§ 483—485)	426
I სერიის მწკრივები (§ 487—493)	434
ვნებითი გვარი	
C. დინამიკური ვნებითი	
[ზოგადი, § 494]	443
I სერიის მწკრივები (§ 495—496)	444
II სერიის მწკრივები	446
პრეფიქსიანი ვნებითი (§§ 497—501)	446
სუფიქსიანი და უნიშნო ვნებითი (§§ 502—506) . . .	450
II სერიის მწკრივები	
ერთ-პირიანი ზმნები (§ 507) .	453
ორ-პირიანი ზმნები (§§ 508 — 511)	454
დინამიკური ვნებითის ზოგიერთ ფორმათა გენეზისისათვის [ექსკურსი. §§ 512—515] . . .	458

	გვ.
Ч. სტატიკური ვნებითი	
[ზოგადი, § 516]	463
I სერიის მწკრივები (§§ 517—518)	464
II სერიის მწკრივები (§§ 519—520)	466
III სერიის მწკრივები (§§ 521—524)	467
საშუალი გვარი	
წინასწარი (§ 525)	470
C. მედიოაქტივი ზმნები (§§ 526 — 533)	470
Ч. მედიოპასივი ზმნები (§§ 534 — 536)	485
უღლების ტიპები	
[წინასწარი, §§ 538—540] .	488
ზმნის ფორმის ანალიზი (§ 541)	493
თავისებურებანი	
[ზოგადი, § 542]	496
ძველის ნაშთი და ახალი წარმოება (§§ 543—547) . . .	497
შენაცვლება (§§ 548—554) . .	500
სხვა სახის თავისებურებანი (§§ 555—565)	520
თავისებური ზმნები ანბანის რიგზე (§ 567)	530

IV. სახელზმნები

ოგადი (§§ 568—569) . . .	557
აწყისი (§§ 570—581) . . .	558
იმღეობა	
[ზოგადი. §§ 582—584] . . .	567
მოქმ. გვარის მიმღეობა (§§ 585—587)	570
ვნებ. გვარის მიმღეობა (§§ 588—596)	572
საშ. გვარის მიმღეობა (§§ 597—602)	579
დამატებითი ცნობები მიმღეობის შესახებ (§§ 603—605)	582

უდებრები

ზოგადი (§ 606—607) . . .	587
ამნიზედა (§§ 608—627) . . .	587
ხლებული	
ხლებლის რაობა (§ 628) . .	598
თანდებული (§§ 629—639) .	598
კავშირი (§§ 640—643) . . .	605
ნაწილაკი (§§ 644—654) . .	607
ნაწევარი (§§ 655—660) . .	616
შორისდებული (§§ 661—668)	621

საძიებელი	629
შემოკლებანი	654
ძირითადი სამეცნიერო ლიტერატურა	655

წინასიტყვაობა

„ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები“ გადახედულია და საკმაოდ შევსებული წინამდებარე გამოცემისთვის, რომელიც მეორეა სანახევროდ[1]. წიგნი არსებითად იგივე დარჩა, რაც იყო, დაემატა რამდენიმე პარაგრაფი, შეივსო მარჯვე მაგალითებით და გასწორდა ზოგიერთი შემთხვევით გაპარული შეცდომა. პარაგრაფების სათვალავი იგივეა დატოვებული, რაც წინა გამოცემაში იყო, ასე რომ ადვილია ძველისა და ახალი ტექსტის შედარება და განსხვავების გათვალისწინება.

ამ „საფუძვლების“ შემოკლებით გაკეთდა „ქართული ენის გრამატიკა. I. მორფოლოგია“ (ძველი ქართული ენის კათედრის შრომები. 2. 1955), რომელიც 1962 წელს მეორედ გამოიცა შესწორებული სახით. ამ წიგნებმა და აგრეთვე ქართული ენის მორფოლოგიური სტრუქტურის გამორკვევისა და აღწერის პირველმა ცდამ, რომელმაც ხორცი შეისხა 1930 წ. გამოსულს გრამატიკაში („ქართული ენის გრამატიკა. I. მორფოლოგია“), გარკვეული სამსახური გაუწია უნივერსიტეტსა და პედაგოგიურ ინსტიტუტებს.

„საფუძვლები“ ჯერ კიდევ არ იყო დაბეჭდილი, რომ დაიწერა და დაიბეჭდა სასკოლო სახელმძღვანელო, რომელმაც (1939 წლიდან) პრაქტიკულად დანერგა ელემენტარული სახით თეორიული კვლევა-ძიების შედეგად მიღებული დასკვნები.

საერთოდ ამ მიმართულებით გაწეულმა შრომამ საკმაოდ მოჰფინა შუქი ქართული ენის მეტად რთული აღნაგობის მრავალ უცნობსა და ბუნდოვან საკითხს მორფოლოგიაში. მრავალი წლის დაკვირვებისა და კვლევა-ძიების შედეგები ამ წიგნში თავმოყრილად არის წარმოდგენილი და გარკვეული რიგით დალაგებული. რა თქმა უნდა, გასაკეთებელი და დასაზუსტებელი ბევრია კიდევ, მაგრამ ცხადია, რომ ძირითადი სიძნელეები, რომლებიც ახლდა ქართული ენის მორფოლოგიური სტრუქტურის ახსნა-განმარტებას, დაძლეულია და გაკაფულია გზა შემდგომი კვლევა-ძიებისათვის.

ა. შანიძე

15. V. 1972.

---

[1] ზედმიწევნილობა რომ დავიცვათ, უნდა ვთქვათ, რომ ეს არის მესამე გამოცემა პირველი ნაწილისთვის (§§ 1—444), ხოლო მეორეა მეორე ნაწილისთვის (§§ 445—668), საძიებლებიანურთ.

თავდაპირველად I ნაწილი ორ ნაკვეთად გამოვიდა: ნაკვეთი პირველი (§§ 1—343) 1942 წელს და ნაკვეთი მეორე (§§ 344—444) 1943 წელს. მეორე ნაწილი წიგნისა ცალკე ნაკვეთად არ გამოსულა. იგი დაიბეჭდა პირველ ნაწილთან ერთად 1953 წელს. ამ სრულ გამოცემას, რომელსაც საძიებლები ახლავს, პირველ გამოცემად ვთვლით, ამის მიხედვით წინამდებარე გამოცემა მეორე იქნება.

პირველი ნაკვეთის წინასიტყვაობიდან

„ქართული გრამატიკის საფუძვლების“ პირველი ნაკვეთი წარმოადგენს 12 წლის წინათ გამოსულის ჩემი გრამატიკის ერთ ნაწილს, რომელიც მთლიანად არის გადამუშავებული[1]. ცვლილება, რომელიც შეტანილია ამ გამოცემაში, ზოგჯერ ისე დიდია მოცულობისა და შინაარსის მხრივ, რომ შეიძლება ითქვას, ეს წიგნი ახლად არის დაწერილიო. თავი რომ დავანებოთ ისეთ საკითხებს, რომლებიც I გამოცემაში სრულებით არ იყო განხილული (მაგ., სახელთა ჯგუფები შინაარსის მიხედვით), აქ შემოსული მასალა საზოგადოდ იმდენად ვრცელი აღმოჩნდა, რომ შესაძლებელი გახდა ფონეტიკის გამოყოფა შესავლიდან და დამოუკიდებელ ნაწილად წარმოდგენა.

სახელთა ბრუნებისა და წარმოქმნის თავებში ბევრი ახალი საკითხია გაშუქებული. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მხლებლიანი ბრუნვები (§§ 84—89), ლოკალური ბრუნვები (§§ 90—96) და ცნობები სახელის ხელმეორედ ბრუნების შესახებ (§§ 99, 100). ახალი საკითხების შეტანამ და წინათ მოცემული მასალის გადამუშავებამ საგრძნობლად გაზარდა როგორც ბრუნების, ისე წარმოქმნის თავები. სხვათა შორის, ფართოდ არის გაშუქებული გეოგრაფიული სახელები ფორმა-ცვალების ორსავე ნაწილში.

მთავარი ცვლილება მაინც ზმნებს დაეტყო. პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ როგორც სახელებში, ისე აქაც გრამატიკული მასალა განაწილებულია მიმოხრისა და წარმოქმნის თვალსაზრისით. თუ გავიხსენებთ, რომ მიჯნის დადება ფლექსიურ ფორმა-ცვალებასა და დერივაციულს შორის ზოგჯერ სახელებშიც კი არ არის ადვილი (§ 154), არ იქნება გასაკვირველი, რომ ის ძნელი აღმოჩნდეს ქართულ ზმნებში, რომელთაც ეგოდენი სირთულეები ახლავს. მაგრამ ეს საქმე ამჟამად მოგვარებულია: დადებულია მზღვარი სხვადასხვა კატეგორიებს შორის, მონახულია ფორმალური ნიშნები, რომელთა მიხედვით უცდომლად შეიძლება იმის გამოცნობა, თუ რას მიეკუთვნოს ფორმა — უღლებას თუ წარმოქმნას (§§ 297, 298).

მწკრივის თეორიამ, რომელიც წერილობით წამოყენებულია ერთს ჩემს გამოკვლევაში[2], საშუალება მომცა ზმნის უღლებადი ფორმები დამეშალა შემადგენელ ნაწილებად და გამომეყო აქამომდე უცნობი კატეგორიები: ჯერობა, აქტი, თანამდევრობა. ამის წყალობით დაზუსტდა უკვე ცნობილი კატეგორიები დროისა და კილოსი და თვითეული მათგანი არა მარტო დაშორდა ერთმანეთს, არამედ აგრეთვე გაადვილდა მათი გამიჯნვა მწკრივისაგან.

რაც შეეხება წარმოქმნის ფორმებს, აქ პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ზმნისწინის ფუნქციების გამორკვევამ საშუალება მომცა, დამედგინა ორი ახალი კატეგორია: გეზი და ორიენტაცია (§ 301 და შემდგ.), რომელთა ბუნების გამორკვევას მნიშვნელობა აქვს სხვა ენათათვისაც.

ახალი კატეგორიების დადგენა, რომელიც წილად ხვდა ამ წიგნის ავტორს, შედეგია იმისა, რომ გრამატიკული ფაქტების კვალიფიკაციის დროს მას კრი-

[1] ქართული გრამატიკა. I. მორფოლოგია. თბილისის უნივერსიტეტის გამოცემა. 1930. VIII+214 გვ.

[2] Категория ряда в глаголе: ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, ტ. X (1941), გვ. 209—229.

ერიულად მომარჯვებული აქვს ფორმათა შეფარდების ხერხი, დაყრდნობილი ხვების მიმართ ერთგვარს, მაგრამ ურთიერთ შორის განსხვავებულ ფორმათა ირისპირ არსებობის საფუძველზე. ამ გზით შემუშავებული ფორმათა შეპი-ისპორების პრინციპი საკმაო სიცხადით მოჩანს 1930 წლის გამოცემაშიც §§ 126, 127), ოღონდ წინამდებარე გამოცემაში ეს პრინციპი თავიდან ბოლომ-ე სისტემებრ არის გატარებული და ყოველმხრივ დაზუსტებული.

ავტორი დარწმუნებულია, რომ გრამატიკის იმ ნაწილში, რომელიც აქ არის არმოდგენილი, ამ გამოცემით ძირითადად დაძლეულია არა მარტო ქართ. ენის ღნაგობის სირთულისაგან წარმომდგარი სიძნელეები, არამედ მოცემულია გრეთვე გეზი და ზოგადი მითითება ზოგიერთი გადაუდებელი სტრუქტურული აკითხის გადასაწყვეტად სხვა ენათათვისაც.

ფაქტია, რომ სპეციალურ ლიტერატურაში ზოგიერთი მოვლენა მცდარად რის გაშუქებული ისე კარგად გამოკვლეული ენებისთვისაც კი, როგორიცაა ფრანგული, გერმანული ან ინგლისური, რომ არაფერი ვთქვათ სომხურისა, თურ-ულისა, არაბულისა და სხვათა შესახებ.

საზოგადოდ, ავტორს აინტერესებდა არა მარტო ენის ფილოსოფიის მონა-ოვართა გამოყენება ქართულისათვის, არამედ ქართ. ენის მოვლენათა სწორი შეფასების გზით ზოგიერთ მცდარ დებულებათა გაბათილება ზოგად საკითხებ-ში და მათ ნაცვლად ჭეშმარიტის წამოყენება, სათანადოდ დასაბუთება და გა-შუქება. ამის მაგალითებს მკითხველი იპოვის როგორც სახელებში (მაგ., წოდე-ბითის რაობის საკითხში, სადაც მითითებაა სპეციალურ გამოკვლევაზე, § 90), ისე ზმნებში (მაგ., დროისა და თანამდევრობის საკითხებში, §§ 243, 244, 265). რომ წოდებითის ფორმა ბრუნვის ფორმაა, ამას ბრწყინვალედ ადასტურებს ქართული, სადაც ეს კატეგორია ცოცხალია და ორგვარი მრავლობითის გამო ნათლად არის წარმოდგენილი. არანაკლებ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ქარ-თული ენა გრამატიკული დროის შესახებაც. „ერთზე მეტი აწმყო“, „ორი მყო-ფადი“, „რამდენიმე ნამყო“ (თუ ამ ტერმინებში დროის კატეგორიას ვიგულის-ხმებთ, როგორც აქამომდე იყო) წიგნში თუ შეიძლება შეგვხვდეს, თორემ ენაში არა. მაგრამ ამას დანახვა უნდა; დანახვა კი შესაძლებელია მწკრივის შედ-გენილობის სწორი ანალიზით. თუ, ვთქვათ, მოგვეპოვება ორი ფორმა, განსხვა-ვებული როგორც ბგერითი შედგენილობით, ისე გრამატიკული შინაარსით (რო-გორც ეს არის, მაგ., ინგლისურის „ორი აწმყოს“ შემთხვევაში), ცხადია, ისინი სხვადასხვა ფორმებია და გაუგებრობის წყარო სწორედ ის არის, რომ მათ ერთი და იმავე სახელით აღნიშნავენ და ეს სახელი დროის კატეგორიაზე მიგვითი-თებს.

იგივე შეიძლება ითქვას „ორი მყოფადის“ შესახებაც ფრანგულში, გერმა-ნულში, ან სხვა რომელსამე ენაში. არ შეიძლება „ორი მყოფადი“ გვქონდეს, არამედ შეიძლება გვქონდეს ორი მწკრივი, რომლებიც ერთნია დროის კატეგო-რიის თვალსაზრისით (ორივე მომავლის გაგებას გვაძლევს), მაგრამ განსხვავდე-ბიან სხვა კატეგორიის მიხედვით, რომელსაც თანამდევრობას ვუწოდებ.

საზოგადოდ, დროის კატეგორია წარმოდგება ერთი მოქმედების შეფარდე-ბისაგან საუბრის მომენტთან, თანამდევრობისა კი — ორი მოქმედების ურთი-ერთ შეფარდებისაგან წარსულში ან მომავალში. ამ შეფარდების მიხედვით ირკვევა, რომ ორივე მოქმედება სინქრონულია (ერთდროულია) ან დიაქრო-

ნულია (სხვადროულია). დიაქრონიის შემთხვევაში ვარჩევთ მოქმედებას უწინარესსა და შემდგომს, ანუ ანტერიორულსა და პოსტერიორულს. თუ ასეთი თვალსაზრისით შევხედავთ „ორი მყოფადის“ საკითხს, სულ ადვილად დავრწმუნდებით, რომ განსხვავებას მათ შორის ქმნის არა დრო, არამედ თანამდევრობა ერთია უწინარესი, მეორე შემდგომი.

წარსულში შეიძლება გამოხატულ იქნეს არა მარტო დიაქრონულობა (უწინარეს-შემდგომობა), არამედ სინქრონულობაც.

ისტორიულად შემუშავებული ნომენკლატურა, დამყარებული მცდარ დებულებაზე, ხშირად წყაროა ახალი გაუგებრობისა. თუ წარსულის გამომხატველ მწკრივებს, რომელთაც თხრობითი კილოს გაგება აქვთ, ყველას ნამყოს დავარქმევთ და გასარჩევად დავნომრავთ (ნამყო I, ნამყო II, ნამყო III, როგორც ეს აქვს ს. ხ უ ნ დ ა ძ ე ს) ან სხვა ამგვარ ტერმინებს მოვიხმართ, ეჭვი არ არის, რომ „რამდენსამე ნამყოს“ მივიღებთ, მაგრამ წარსული დრო, რომელიც ყველა მათგანში ერთი და იმავე სახით შედის როგორც შემადგენელი ელემენტი, როდი გამრავლდება.

ურთიერთობა მწკრივსა, დროსა და კილოს შორის მიახლოებით და მეტად ტლანქად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ იმ ურთიერთობით, რომელიც არსებობს ჭურჭელსა და შიგ ჩასხმულ სხვადასხვა ფერისა და სიმძიმის სითხეებს შორის, რომლებიც არ ირევიან ერთმანეთში. ვთქვათ ჭურჭელია გამჭვირვალე ბოთლი, რომელშიც ასხია წყალი და ზეთი. მწკრივი — ეს არის ჭურჭელი, ხოლო დრო და კილო — წყალი და ზეთი შესაბამისად. როგორც არ შეიძლება ბოთლის გათანაბრება წყალთან ან ზეთთან, მიუხედავად იმისა, დავუძახებთ მას საწყლეს თუ საზეთეს, ისე არ შეიძლება გაიგივება მწკრივისა და დროისა ან მწკრივისა და კილოსი. იგივე შეიძლება ითქვას მწკრივის სხვა ელემენტების შესახებაც.

საზოგადოდ არ შეიძლება მწკრივისა და მისი შემადგენელი ელემენტების ერთმანეთში გარევა. „ვეფხის ტყაოსნის“ სიტყვების მსგავსად რომ ვთქვათ,

> მწკრივი სხვაა, დრო კი სხვაა [1], შუა უზის დიდი ზღვარი,
> ნუვინ გარევთ ერთმანეთსა, გესმეს ჩემი ნაუბარი!

თეორიულ ნაწილში მკითხველის ყურადღებას მიიქცევს, უთუოდ, აგრეთვე ფორმისა და ფუნქციის ურთიერთობის საკითხი გრამატიკაში, რაც ეგრე მწვავედ დგას ენის სტრუქტურული საკითხების შესწავლის დარგში. ეს საკითხი მრავალ კონკრეტულ მაგალითზეა დასურათებული როგორც სახელებში (§ 154) ისე ზმნებში (§§ 234, 240, 272, 285, 296, 340 და სხვ.). ამ საკითხის შესახებ ქართ. ენა აუარებელ მასალას იძლევა, შეიძლება ითქვას, გაცილებით უფრო მეტს, ვიდრე რომელიმე სხვა. ამიტომ მისი გვერდის ავლა არ შეიძლებოდა.

განსხვავება ამ გამოცემისა 1930 წელს გამოსულისაგან, სხვათა შორის იმაშიც გამოიხატება, რომ იმაში ზოგჯერ დებულება იყო წამოყენებული, დაუსაბუთებლად ან გაკვრით დასაბუთებული, აქ კი პრინციპული ხასიათის საკი-

[1] ვარიანტები: a) მწკრივი სხვაა, კილო სხვაა; b) კილო სხვაა, დრო კი სხვაა. ყველა ვარიანტი სწორია.

ებს და აგრეთვე მოვლენის საფუძველს საზოგადოდ საბუთიანობა ახლავს
ლმე, თუმცა კი ზოგჯერ ძალიან მოკლედ (§§ 42, 91, 92, 154, 174, 240, 243,
4, 261, 265, 270, 272, 281, 288, 293, 296, 297, 298, 321, 334, 335, 339
სხვა).

ამას გარდა, ავტორს აინტერესებს არა მარტო „როგორ“, არამედ აგრეთ-
„რატომ“, ე. ი. არა მარტო მოვლენის აღწერითი მხარე, არამედ ამ მოვლენის
ტორიული თუ სხვა საფუძველი. ისტორიული თვალსაზრისი მოშველებულია
ავალგან: ახალი ბრუნვების წარმოშობის საკითხში (§§ 93, 95), ძველი კონ-
რუქციის ნაშთების განხილვის დროს მსაზღვრელ-საზღვრულთან (§ 134), ხან-
ტოშის ნაშთების ახსნისას (§ 216), ობ. პირის მრავლობითად გამოხატვის სა-
თხში (§ 226), სუბ.-ობიექტური ნიშნების რიგის შემთხვევაში (§ 229), ასპექ-
ის მოვლენათა ახსნაში, კერძოდ, დროის გადაწევის ასახსნელად (§ 339) და
ვაგანაც. მაგრამ ყველგან ზომიერებაა დაცული. ავტორი არ ცდილა ისტორია
ეცა; მისი მიზანი იყო, აეხსნა დღევანდელ ენაში შემონახული ნაშთები, რომ-
ებიც გაუგებარნი გამხდარან დღევანდელი ნორმების თვალსაზრისით, და გა-
გები გაეხადა ისინი მკითხველისათვის ფორმათა ისტორიული განვითარების
ფუძველზე. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა ასპექტი, რომელიც განხილულია
ტორიულად და დადგენილია ამ კატეგორიის გამოხატვის სისტემის შეცვლა
რთული ენის წერილობითი ისტორიის მანძილზე. შედეგი, რომელიც მოჰყვა
ფაქტს მორფოლოგიაში ულლების ფორმათა გადაჯგუფების სახით, უაღრე-
ად მნიშვნელოვანია. ის განსხვავება, რომელიც მოგვეპოვება ძველ ქართულსა
ა ახალს შორის მწკრივთა რაოდენობისა და თვისების მხრივ, სწორედ ასპექტის
რალია; და ბრალია იმიტომ, რომ მისი გამოხატვა სულ სხვა პრინციპს დაეყრდ-
ო, ვიდრე ძველად იყო (§§ 333—339). ჩემთვის უეჭველი გახდა, რომ გრამა-
იკულ ნიშნებს შორის ასპექტის ჩვენება ყველაზე მნიშვნელოვანია ქართ.
ნის ისტორიის პერიოდიზაციის დასადგენად. ამასთანავე ისიც უეჭველია, რომ
ართულის მოძმე ენებსაც — ჭანურ-მეგრულსა და სვანურს — ასპექტის განვი-
არების საკითხში იგივე გზა უნდა ჰქონდეთ გავლილი, რაც ქართულს.

საზოგადოდ, გრამატიკული ასპექტის ისტორიული განხილვა ფართო პერს-
ექტივებს გვიშლის არა მარტო ქართულის შესასწავლად, არამედ სხვა ენების-
ვისაც.

ზოგიერთ გრამატიკულ ფაქტს იმდენი თავისებურება ახლავს, რომ ძნელია
ველა მათგანის ერთბაშად გათვალისწინება, მაგრამ ენათმეცნიერი მოვალეა,
ველა მათგანს გაუწიოს სათანადო ანგარიში და მოვლენას ისე უყოს კვალი-
იკაცია. აი თუნდ საკითხი საწყისის ანუ მასდარის შესახებ: საწყისი იბრუნვის,
ინადადებაში გამოყენებულია სუბიექტად ან ობიექტად, მაშასადამე, შეიძ-
ება ვინმემ დაასკვნას, მასდარი სახელიაო. მაგრამ ეგრე მარტივი როდია საქ-
ე; საწყისს ახლავს მთელი რიგი მორფოლოგიურისა და სინტაქსური ნიშნებისა,
ომელთა მიხედვით ის ზმნის სისტემიდან გამოსულად და სახელებში გადა-
იცხულად ვერავითარ შემთხვევაში ვერ ჩაითვლება (ჯერ მოკლედ: § 43,
ნშ. 1) და თუ სადმე აქვს მას ადგილი, უპირველესად ზმნებში. იგივე ითქმის
იმღეობის შესახებაც.

მასალა, რომელიც გამოყენებულია ქართ. გრამატიკის საფუძვლების ამოსა-
ვანად, ძირითადად დღევანდელი სალიტერატურო ენიდან არის ამოღებული,

მაგრამ ზოგიერთი საკითხის გაშუქების დროს ავტორი არ ერიდებოდა ძველისა და საშუალი ქართულის მასალებს ან კილოების მიერ მოწოდებულ ფაქტებს.

ზოგიერთი მოვლენის ნათელსაყოფად საჭირო გახდა ქართულის შედარება სხვა ენებთან, მაგ., „თანა"-ს საკითხში სომხურთან და სპარსულთან (§ 159), ასონანსის საკითხში სპარსულთან და თურქულთან (§ 184, შნშ. 2), გეზისა და ორიენტაციის საკითხში არაბულთან და რუსულთან (§ 318), ასპექტის საკითხში ბერძნულთან და სლაურთან (§ 334) და სხვა, მაგრამ ყველგან ზომიერებაა დაცული, რომ წიგნი ზედმეტი დეტალებით არ დატვირთულიყო და პირდაპირ მიზანს არ ასცდენოდა.

იგივე ითქმის შესადარებელი მასალის შესახებაც ქართულის მოძმე ენებიდან — მეგრულიდან და სვანურიდან (§§ 159, 162, 172 და სხვა).

ისეთი ხასიათის წიგნში, როგორიცაა წინამდებარე „ქართ. ენის საფუძვლები", გვერდი ვერ აექცეოდა სხვა ენის გავლენას ქართულზე (§ 317), ვერც სუბსტრატის პრობლემას ზოგიერთი საკითხის გაშუქების დროს (§ 171, იხ: შნშ.).

კვლევა-ძიების პროცესში ავტორი ხშირად იძულებული იყო ტერმინოლოგიური საკითხების მოგვარებისათვის გაეწია სათანადო ანგარიში. არ კმარა რომელიმე გრამატიკული მოვლენის სისწორით გაშუქება ან ახალი კატეგორიის დადგენა, საჭიროა მონახვა სათანადო ტერმინისა, რომელიც მოხდენილი უნდა იყოს, მოვლენას შეეფერებოდეს და მის არსებით მხარეს ნათლად ასახავდეს. ეს ადვილი საქმე როდია. ამ სტრიქონების დამწერს ამა თუ იმ ტერმინის შესახებ ზოგჯერ დიდხანს უფიქრია და ზოგჯერ არც მოჰრიდებია, რომ ერთხელ ნახმარი ტერმინი, ხანდახან ტრადიციულად განმტკიცებულიც, უკუეგდო და მის ნაცვლად ახალი შემოეღო. მაგ., „მწკრივი", როგორც კატეგორია, კაი ხანია დადგენილია, მაგრამ სათანადო ტერმინის მონახვა გაჭირდა (§ 267, შნშ. 1). ახალი ტერმინების შემოღების დროს საზოგადოდ სასურველია და საჭიროც, ისეთი იქნეს შერჩეული, რომ იგი ადვილად ითარგმნებოდეს სხვა ენებზედაც, ან პირდაპირ აღებულ იქნეს ისეთი, რომელსაც შეუძლია უთარგმნელად შევიდეს სპეციალურ ლიტერატურაში სხვადასხვა ენაზე.

წიგნში იშვიათი ფორმები და თავისებური მოვლენები ყოველთვის დამოწმებულია სათანადო მაგალითებით ლიტერატურიდან; ასეთებია ხმოვან-ფუძიან პირის სახელთა გათანაბრება უკვეცელ საზოგადო სახელებთან წოდებითში. (§ 82), „ვით" თანდებულის ხმარება ნათ. ბრუნვასთან (§ 86, შნშ.), ივ ბრუნვის ნაშთები (§ 97), ზმნიზედის ბრუნება (§ 102), მსაზღვრელ-საზღვრულის ძველი კონსტრუქციის ნაშთები (§ 134), მსაზღვრელის გაორკეცება (§ 135), „თავის" სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა მთაში (§ 156), თანდებულები წარმოქმნის ელემენტთა როლში (§ 158), გაორკეცების ზოგიერთი სახე (§ 184), მრავლობითობის თ-ს ხმარება უპირო სიტყვებთან (§ 223, შნშ. 2), ინტენსიობის „და" (§ 321), „შე" ზმნისწინის თავისებურებანი (§ 322), ტმესის მოვლენები საშუალ ქართულში (§ 323), ასპექტი ძველ ქართულში (§ 333) და სხვა.

20. XI. 1942

თბილისი

მეორე ნაკვეთის წინასიტყვაობიდან

ამ ნაკვეთით დასრულებულია ქართული ზმნის კატეგორიების მიმოხილვა, რაც განზრახული წიგნის ცენტრალურსა და ყველაზე ორიგინალურ ნაწილს შეადგენს. აქ მოჰყვა შემდეგი კატეგორიები: გვარი, სტატუსი, ქცევა, კონტაქტი და სიტუაცია. ამათგან წინა ხანის მკვლევრები მხოლოდ გვარს იცნობდნენ, დანარჩენების დადგენა კი ამ წიგნის ავტორს ეკუთვნის. მაგრამ გვარის გაგებაშიც ბევრი ახალია შეტანილი:

უპირველეს ყოვლისა განსაზღვრულია, თუ რა არის არსებითი მხარე იმ ურთიერთობისა, რომელიც არსებობს აქტივსა და პასივს შორის. ქართული ზმნა თავისი მრავალ-პირიანობით საშუალებას გვაძლევს უფრო ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ გვარის შესახებ, ვიდრე ეს ჩანს ერთ-პირიანი ზმნის მქონე ენებში. მიმართება აქტივსა და პასივს შორის, რომელსაც მე კონვერსიას ვუწოდებ, გვიჩვენებს, რომ სუბიექტური პირი და პირდაპირ-ობიექტური პირი კონტრასტებია, შეიძლება ითქვას ანტიპოდებიაო. პასივის სუბიექტური პირი რომ მობრუნებული სახეა აქტივის პირდაპირ-ობიექტურისა, ეს საუცხოოდ ჩანს ერთი პირის დაკლებით პასივში. ამას გარდა, პრეფიქსიან პასივს შემონახული აქვს ფორმალური ნიშნები, რომლებიც ააშკარავებენ არა მარტო ამ პასივის წარმოშობას აქტივისაგან, არამედ აგრეთვე იმასაც, რომ პასივის სუბიექტური ფორმები აქტივის პირდაპირ-ობიექტურ ფორმებს ეყრდნობიან (§ 418). ეს არის ახალი შუქი, რომელიც ქართულ ზმნას ზოგად ენათმეცნიერებაში შეაქვს აქტივ-პასივის ურთიერთობის გარკვევისათვის.

III სერიის ფორმათა ანალიზით ნაჩვენებია, რომ წარმოშობით პასივი ფორმა დღევანდელი ენის სისტემაში შეიძლება აქტივად იქნეს გააზრებული. ამ საკითხს თავის დროზე ჰ. შუხართიც ეხებოდა, მაგრამ აქ მოცემულია ამ მოვლენის კვალიფიკაცია ფორმათა შეპირისპირების ნიადაგზე, ე. ი. იმ ზოგადენათმეცნიერული თვალსაზრისით, რომელიც საზოგადოდ მთელს წიგნშია გატარებული.

ფორმისა და ფუნქციის ურთიერთობის საკითხის განხილვამ აუცილებელი გახადა, გამომეყო ჯგუფი ზმნებისა, რომელთაც ფორმა პასივისა აქვთ და ფუნქცია აქტივისა (ე. წ. დეპონენსები, § 366).

საშუალი გვარის შესახებ საზოგადოდ მეტად ბუნდოვანი ან მცდარი ცნობები მოიპოვება სპეციალურ ლიტერატურაში. ქართული მაგალითების მიხედვით აქ მოცემულია ზოგადი მითითება იმის შესახებ, თუ რა უნდა გავიგოთ საშუალი გვარის ფორმებად (§§ 369—373). თუ ზმნა გარდაუვალია და თანაც არ არის პასივი, ეს კიდევ არ არის საკმარისი პირობა იმისთვის, რომ ის საშუალ ზმნად ვიცნათ. საჭიროა, რომ მას იმავე ფუძისაგან საპირისპირო ფორმები ჰქონდეს მოქმედებითისა და ვნებითის სახით.

დინამიკისა და სტატიკის შესახებ ქართულ ზმნებში წინათაც მიწერია, მაგრამ გაკვრით. აქ კი ეს მოვლენა, რომელიც ქართველურ ენათა ერთ თავისებურებათაგანია, სპეციალურად არის განხილული და მისი რაობა გამორკვეული. ამასთანავე დადგენილია, რომ ოპოზიცია დინამიკასა და სტატიკას შორის ქმნის ზოგად კატეგორიას (ზე-კატეგორიას), რომელსაც სახელად სტატუსი დაერქვა (§§ 385—392).

ქართული ზმნის სპეციფიკურ კატეგორიათაგან ქცევა ყველაზე ადრე გამოიყო. მისი რაობა საბოლოოდ გამორკვეული მაქვს უკვე 1930 წელს გამოსულს მორფოლოგიაში, მაგრამ აქ ქცევის პრობლემა ვრცლად არის განხილული და ზოგიერთი დეტალი გაშუქებული. პირთა რაოდენობის საკითხის გარდა, აქ ყურადღებას კვლავ ის გარემოება იქცევს, რომ ფორმისა და ფუნქციის სადაო საკითხების გადაწყვეტისას უპირატესობა ფუნქციას უნდა მიეცეს (§ 414), რაც დებულების სახით პირიანობის საკითხის განხილვასთან არის წამოყენებული: „იქ, სადაც ფუნქციას აღარ შეეფერება ის გრამატიკული სამოსი, რომელსაც ის ატარებს, გამოსავალია ფუნქცია და სიტყვის გრამატიკული კვალიფიკაცია ახალი შინაარსის მიხედვით უნდა მოხდეს“ (გვ. 186).

ქცევის საკითხის გამორკვევამ აუცილებელი გახადა, რომ იგივე საკითხი დამესვა უფრო ფართოდ და მეჩვენებინა, რომ ეს კატეგორია ზოგ ინდოევროპულ ენაშიც მოიპოვება. ჩემთვის უეჭველია, რომ არ არის სწორი, როცა ბერძნულ მედიუმს გვარის ანუ დიათესის მიხედვით მოქმედებითისაგან გამოჰყოფენ და ცალკე ადგილს უჩვენებენ. არა! ბერძნული მედიუმი, — თუ მას არა მარტო ფორმის მიხედვით დავაფასებთ, არამედ ფუნქციის მიხედვითაც, — გვარად აქტივი გამოვა და ქცევად სათავისო. ეს მზესავით ნათელია უხვი ქართული მასალების გულდასმით შესწავლის შემდეგ. მაშასადამე, ქართული ზმნა უტყუარ კრიტერიუმს გვაწვდის, რომ შევასწოროთ საუკუნეებით გადმოცემული და უკრიტიკოდ მიღებული მცდარი დებულება ინდოევროპეისტიკაში (§§ 375, 417).

კონტაქტის კატეგორია კარგა ხანია დადგენილი მაქვს ქართულის მიხედვით (პირველი ცნობა უკვე 1930 წელს არის გამოქვეყნებული), მაგრამ ახალი რამ, რაც აქ არის შემოტანილი, ეს გახლავს საერთაშორისო ტერმინის შემოღება („გზის“ ნაცვლად „კონტაქტისა“) და ამ კატეგორიის გავრცელება სხვა ენებზედაც. მართლაც, წინათ იყო წარმოდგენა კაუზატივთა შესახებ, მაგრამ არ იყო გამორკვეული, თუ რა ფუნქციონალური დამოკიდებულებაა კაუზატიურსა და არ-კაუზატიურ ფორმებს შორის. ამ საკითხშიც ქართული ზმნის სტრუქტურის შესწავლამ თავისი გადამჭრელი სიტყვა თქვა და საშუალება მომცა, დამედგინა ზე-კატეგორია კონტაქტისა, რომელიც ეყრდნობა ორ ქვე-კატეგორიას: უშუალოსა და შუალობითს, ანუ იმედიატსა და მედიატს. საკითხი ზოგად-ენათმეცნიერულია და თანაბრად ეხება როგორც ქართულს, ისე მრავალ სხვა ენას (მაგ., თურქულებს).

ქცევისა და კონტაქტის ფორმათა დეტალურმა განხილვამ ნათელ-ყო ირიბობიექტურ პირთა სხვადასხვაობა და ამ მოვლენის გამორკვევას ბუნებრივად სათანადო ტერმინების შემოღებაც მოჰყვა: უბრალო ობიექტი, მფლობელი ობიექტი (პოსესორი), შემსრულებელი ობიექტი (ეგზეკუტორი).

კონტაქტის კატეგორიის გამორკვევასთან დაკავშირებით ნათელი გახდა აგრეთვე, რომ აუცილებელია უკუგდებულ იქნეს ორი მცდარი დებულება, რომელთაც საყოველთაო გავრცელება აქვთ მოპოვებული:

ერთი იმაში მდგომარეობს, თითქო შუალობითი კონტაქტის ფორმა, მედიატი (რომელსაც ჩვეულებრივ კაუზატივს ეძახიან), გვარის თვალსაზრისით იყოს არა აქტივი ან პასივი, არამედ რაღაც მათგან განცალკევებული და განსხვავებული (რუსულად побудительный залог). არა! გვარის მიხედვით შუალობითი

ანტაქტის ფორმა, მედიატი, ისევე აქტივია (ზოგ შემთხვევაში აგრეთვე პასი-
ც), როგორც მისი საპირისპირო ფორმა უშუალო კონტაქტისა, ანუ იმედიატი.
დებულება, ქართულს გარდა, ბევრ სხვა ენაზედაც ვრცელდება.

მეორე ეხება ორმაგ გარდამავლობას, რომელიც გვხვდება მრავალ გრამატი-
ულ მიმოხილვაში ქართულისა თუ სხვა ენების შესახებ. ქართ. ზმნის შესწავ-
ამ დაადასტურა, რომ გარდამავლობას განსაზღვრავს ზმნის უნარი, შეიწყოს
ირდაპირი ობიექტი. მაგრამ პირდაპირი ობიექტი მხოლოდ ერთი შეიძლება
ქონდეს ზმნას და არა ორი. ამიტომ ცხადია, რომ ორმაგი გარდამავლობის სა-
ითხი უნდა მოიხსნას. ეს იმ ენებსაც ეხება, რომლებიც ზმნასთან ორმაგ აკუზა-
ივს იგუებენ: ორმაგი აკუზატივის მოთხოვნა, რა თქმა უნდა, არ უდრის ორ-
აგი პირდაპირი ობიექტის შეწყობას, რადგანაც მათში მხოლოდ ერთი აკუზა-
ივი შეიძლება იყოს პირდაპირი ობიექტის ფუნქციით აღჭურვილი, მეორეს კი
სვა ფუნქცია ექნება დაკისრებული.

სიტუაციის კატეგორია მეტად მკრთალად არის ქართულში გამოხატული.
ოგი დეტალი აქ კიდევ გამოსარკვევია, მაგრამ ერთი რამ უეჭველია: საზე-
აოს ფორმა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ქცევის ფორმად და, თუ ასეა, მაშინ
ა იმ მიმართულებით უნდა იქნეს გაშუქებული, რომელიც აქ არის წარმოდ-
ენილი.

უკანასკნელ, დართულია ზოგადი დებულება მორფოლოგიურ კატეგორია-
ა შესახებ (§§ 443—444), სადაც გარკვეულია იმის საფუძველი, თუ რა ქმნის
რამატიკულ ფორმას და რატომ ხდება, რომ ერთსა და იმავე სიტყვაში მრავალი
რამატიკული ცნება იყრის თავს. ამაზე წინათაც იყო მითითება (§ 296), მაგრამ
რცლად ეს მოვლენა ზმნის კატეგორიების მიმოხილვის დასრულების შემდეგ
რის დასაბუთებული. საზოგადოდ, საკითხი იმის შესახებ, თუ რა ქმნის გრა-
ატიკულ ფორმას და რა კატეგორიასთან გვაქვს საქმე, ან როგორია ეს კატე-
ორია, ნამდვილი თუ მოჩვენებითი, წყდება არა აბსტრაქტულად, სხვა ფორმე-
ისაგან მოწყვეტით, არამედ ამა თუ იმ კონკრეტული ვითარების მიხედვით: რა
ას უპირისპირდება და რა ნიშნის მიხედვით უპირისპირდება.

დაკვირვებული და გულისხმიერი მკითხველი უეჭველია შენიშნავს, რომ ამ
ტრიქონების ავტორი სტრუქტურული საკითხების კვლევა-ძიების დროს შორს
რის ფორმალისტური მეთოდისაგან, რომლის შემოტანა ჩვენშიც სცადეს. ფუნქ-
ციის წამოწევა და მისთვის სათანადო ადგილის მიჩენა, აი რა არის დამახასია-
ებელი და წითელი ზოლივით გატარებული მთელს წიგნში.

24. XI. 1943.
თბილისი

პირველი გამოცემის წინასიტყვაობიდან

ქართული ენის მორფოლოგიური აგებულება საკმაოდ რთულია. სირთულეს
ქმნის ზმნა, რომელსაც მრავალ-პირიანობა (პოლიპერსონია) ახასიათებს. მრა-
ვალ-პირიანობას მჭიდროდ უკავშირდება ზოგიერთი კატეგორიის გამოხატვა:
ვარისა, ქცევისა, კონტაქტისა, სიტუაციისა. რომ ქართული გარდამავალი ზმნა

1. ა. შანიძე, ქართ. გრამატიკის საფუძვლები

არ შეიძლება ერთ-პირიანი იყოს, ამის შესახებ მე ერთ ადრინდელ ნაშრომში ვწერდი: „გარდამავალ ზმნებს ქართულში არა აქვთ აბსოლუტური, ე. ი. დაუმატებელი ფორმები, როგორც პროფ. ნ. მარი ფიქრობს [1], არამედ აქვთ მხოლოდ რელატიურები, ე. ი. ისეთი ფორმები, რომელნიც დამატების პირსაც გვიჩვენებენ“ [2]. ეს იყო, ასე ვთქვათ, პირველი ნაბიჯი ქართული ზმნის სირთულის დასაძლევად, რაც შესაძლებელი გახდა იმის გამო, რომ პირის პრეფიქსთა ხმარების საკითხი შესწავლილ იქნა ისტორიული თვალსაზრისით და დიალექტოლოგიური მასალების მოშველებით. შემდეგში ამას თანდათანობით მოჰყვა სხვა თავისებურებათა გამორკვევა და დადგენა გრამატიკული კატეგორიებისა, როგორიცაა: ქცევა, ჯერობა [3], აქტი, თანამდევრობა, ორიენტაცია, კონტაქტი და სხვა.

ფორმისა და ფუნქციის საკითხების კვლევა-ძიებამ ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგები მოგვცა უღლების დარგში: დადგენილ იქნა მწკრივი და მისი შემადგენელი ელემენტები, მწკრივის კატეგორია გაემიჯნა დროსა და კილოს და მტკიცე ზღვარი დაიდო მათ შორის. საუკუნეებით გამტკიცებული შეხედულება და შეუფერებელი ტერმინოლოგია ამ საკითხში მეტად აფერხებდა საქმეს. მაგრამ ამჟამად ქართული საშუალო სკოლის მოწაფემაც კი იცის, რომ მწკრივი სხვაა და დრო ან კილო — სხვა.

მიუხედავად იმ ცვლილებათა, რომლებიც განიცადა ქართულმა ენამ საუკუნეთა მანძილზე, მისი ტიპი არსებითად ისეთივე დარჩა, როგორიც იყო ძველად, V—X საუკუნეებში. ყველაზე მეტი ცვლილება მაინც ასპექტის გამოხატვის სისტემის შეცვლას მოჰყვა, რამაც, სხვათა შორის, I სერიის მწკრივთა ორად დაშლა გამოიწვია. ბევრი თავისებურება ახალი ქართულისა აუხსნელი იქნება, თუ ამ ფაქტს არ გაეწია სათანადო ანგარიში.

ქართული ზმნების სირთულე ბევრს აგდებდა საგონებელში; მაგ., პ. იოსელიანი გულუბრყვილოდ გაიძახოდა: „ქართულისა ყოველნი ზმნანი არიან უკანონონიო“ [4]; ა. ქუთათელაძე ამაოდ ცდილობდა გაეხსნა „საიდუმლოებით ნაკვი, რომელსაც ჰქვია უღლება“ [5] და სხვ., ამიტომ უღლების საკითხები ამ წიგნში დეტალურად და ვრცლად არის წარმოდგენილი. თავისებურ ზმნათა მიმოხილვას 60-ზე მეტი გვერდი დასჭირდა (გვ. 512—574, §§ 542—567). რომ ნათელი იყოს თავისებურებათა ხასიათი, ზმნები ჯგუფ-ჯგუფადაც არის განხილული (§§ 543—565) და ცალკ-ცალკეც, ანბანის რიგზე (§ 567).

ისტორიული თვალსაზრისის გამოყენება და დიალექტურ ფორმათა მოყვანა შედარების მიზნით კიდევ უფრო საჭირო გახდა უღლების თავში (§§ 445—567), ვიდრე წინა თავებში, რადგანაც ამის გარეშე ბევრი ფაქტი ახალი სალიტერატურო ქართულისა გაუგებარი დარჩებოდა: აქ ხშირად ერთმანეთშია გარ-

---

[1] დამოწმებულია: Основные таблицы (1908), ტაბ. VIII და შემდგომი.

[2] სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში. 1920, გვ. 21 (გადაბეჭდილია ჩემს თხზულებათა I ტომში).

[3] ამჟამად **გზისობას** ვამჯობინებ.

[4] პ. იოსელიანი, პირუშლ-დაწყებითნი კანონნი ქართულისა ღრამმატიკისა (მესამე გამოცემა, 1863, გვ. 43).

[5] ა. ქუთათელაძე, ქართულ ზმნების კლასიფიკაცია. 1897, გვ. 12. (ა. ქუთათელაძე „უღლვილებას“ ხმარობს).

თული ძველი და ახალი ფორმები და მათ-მათი ადგილის მიჩენა შეიძლება მხოლოდ იმის გათვალისწინებით, თუ რა ვითარება იყო წინა ეპოქებში. მართლაც, თუ ისტორიას არ მივმართეთ, საიდან უნდა გავიგოთ, რა არის ის ი, რომელიც „ვუნდივარ“-ში გვაქვს, ან რა უძევს საფუძვლად პარალელური ფორმების ხმარებას, როგორიცაა: დაეშავა და დაეშავებინა (§ 491), წავეკიდეთ და წავეკიდენით (§ 497) და სხვა?

ვნებითი გვარის ფორმათა წარმოების ახსნისას გარკვეულ სიძნელეებს ვაწყდებით, ამიტომ საჭირო გახდა ექსკურსის ჩართვა ამ ფორმათა წარმოშობის შესახებ (§§ 512—515); აგრეთვე საჭირო გახდა მედიოაქტივ ზმნათა ფორმების განვითარების საკითხზე შევჩერებულიყავ (§§ 526—528, 533). ერთი სიტყვით, თუ გვინდა არა მარტო ფაქტობრივი ვითარების გაცნობა, არამედ მისი სათანადო ახსნა, აუცილებელია ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენება, რაც ამ წიგნში ბევრგან გვხვდება.

ქართულ გრამატიკულ მოვლენებზე მუშაობისას არა ერთხელ წამოჭრილა საკითხები ზოგად-საენათმეცნიერო ხასიათისა, რომლებიც არ არის სათანადოდ გადაწყვეტილი სპეციალურ ლიტერატურაში და ამ სტრიქონების დამწერი ცდილა, საკითხი სწორად დაეყენებინა და პასუხი მართებული გაეცა.

მიუხედავად იმისა, რომ საენათმეცნიერო კვლევა-ძიებამ საკმაოდ წაიწია წინ, ზოგიერთი საკითხის შესახებ ჯერაც არ არის გარკვეულობა. ავიღოთ თუნდაც მარტივი საკითხი გარდამავლობის შესახებ: ზმნა შეიძლება იყოს გარდამავალიცა და გარდაუვალიც. კეთილი, მაგრამ რა საერთო კატეგორიას ქმნიან ეს საოპოზიციო ცალები? ან კიდევ: სახელი აფხაზურში შეიძლება განსაზღვრულ იქნეს კუთვნილება-უკუთვნელობის თვალსაზრისით: ა-ან („დედა“) ამ ფორმების პირისპირ: ს-ან („დედაჩემი“), უ-ან („დედაშენი, ბიჭო“), ბ-ან („დედაშენი, ქალო“) და სხვა. რა კატეგორიასთან გვაქვს აქ საქმე? ამასა და ბევრ სხვა საკითხს სათანადოდ უნდა გადაწყვეტა. ამას მოითხოვს საბჭოთა ენათმეცნიერების შემდგომი განვითარების ინტერესები.

1923 წ. ი. ჯავახიშვილმა პალიმფსესტებში ამოიკითხა ხანმეტი ტექსტები და გამოსცა ისინი; ამან ძლიერ შეუწყო ხელი ქართული ენის ისტორიული საკითხების კვლევა-ძიებას, რადგანაც ქართული ენის უძველესი ტექსტების აღმოჩენასა და გამოცემას მოჰყვა ინტენსიური მუშაობა ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის დარგში.

ამ წიგნში ჯუმლად არის წარმოდგენილი ავტორის სამ ათეულ წელზე მეტი მუშაობის შედეგები და არ შემიძლია არ აღვნიშნო ის ფაქტი, რომ დონე, რომელზედაც აყვანილია ამ წიგნით ქართული ენის მორფოლოგიური საკითხების კვლევა-ძიების საქმე, დიდად აშორდა იმ დონეს, რომელზედაც ის იდგა ამ ოცდაათიოდე წლის წინათ: ამჟამად ბევრი რამ არის ცნობილი, რომლის შესახებ წინათ არავითარი წარმოდგენა არ გვქონდა. მიუხედავად ამისა, გასაკეთებე-

ლიც ბევრია, განსაკუთრებით ქართული ენის სინტაქსისა და ისტორიის დარგში და აქეთკენ უნდა იყოს მიპყრობილი მკვლევართა მთავარი ყურადღება.

წინამდებარე წიგნი ერთ ნაწილში (§§ 1—444) წარმოადგენს მეორე გამოცემას, შესწორებულს და რამდენადმე შევსებულს. იგი ორ ნაკვეთად დაიბეჭდა: პირველი ნაკვეთი (§§ 1—343) — 1942 წელს, მეორე ნაკვეთი კი (§§ 344—444)—1943 წელს[1]. რაც შეეხება ამ გამოცემის მეორე ნაწილს (ე. ი. უღლებას, სახელზმნებს და უდეტრებს, §§ 445—668), იგი ახლად დაწერილია და პირველად იბეჭდება.

ა. შანიძე

5. VII. 1953.
თბილისი

[1] ქართული გრამატიკის საფუძვლები. ნაკვეთი პირველი, გვ. VIII+272. თბილისი. 1942, ნაკვეთი მეორე, გვ. VI+273—371 (+4). თბილისი, 1943. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა (ამ ძველ ნაწილში ახლად დამატებულ პარაგრაფს ნომერი უმეორდება, მაგრამ, მისგან რომ იქნეს გარჩეული, ასო აქვს დართული: ა, ბ, გ).

შესავალი

1. გრამატიკის ადგილი ენათმეცნიერებაში. ადამიანის ენაში არსებულ ყოველგვარ ელემენტსა და მოვლენას, რომელიც საუკუნეობით არის შემუშავებული, მემკვიდრეობით გადმოცემული და საყოველთაო ხმარებით გამტკიცებული, სწავლობს მეცნიერება, რომელსაც ენათმეცნიერება (ლინგვისტიკა) ჰქვია. ენათმეცნიერება შედგება სამი დარგისაგან; ესენია: ლექსიკოლოგია, გრამატიკა და სტილისტიკა.

ლექსიკოლოგიის საგანია შესწავლა ლექსიკისა, ე. ი. ენაში არსებულ სიტყვათა მარაგისა სემანტიკური (სემასიოლოგიური) მხრით. ის არკვევს სიტყვების და გამოთქმების შინაარსობლივ მხარეს, ე. ი. თვითეული სიტყვის მნიშვნელობას ცალკე თუ სხვა სიტყვებთან ხმარებისას. მაგ., „ხელი“ სხვადასხვა მნიშვნელობისაა: ის ერთს ნიშნავს, როცა ვამბობთ: „ხელი ეტკინა“ ან „ხელი მოსჭრეს“, და სხვას ნიშნავს, როცა ვამბობთ: „ხელი შეუწყო“ ან „ხელი შეუშალა“. უკანასკნელ შემთხვევაში „ხელს“ არც კი აქვს თავისი მნიშვნელობა ცალკე, გარკვეულ წარმოდგენას მხოლოდ „შეუწყო“ (ან „შეუშალა“) სიტყვასთან ერთად გვაძლევს. აგრეთვე სხვადასხვა მნიშვნელობის მქონეა „პირი“ ასეთ ფრაზებში: „პირი დაიბანა“ და „პირი გამოირეცხა“. სიტყვათა ასეთ მნიშვნელობას ლექსიკური მნიშვნელობა ჰქვია, ხოლო ამგვარად შესწავლილი სიტყვების კრებულს, გარკვეულ რიგზე (უმეტესად ანბანურ რიგზე) ვაწყობილ-დალაგებულს, ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი ეწოდება.

გრამატიკა სწავლობს ენის აგებულების საკითხებს: სიტყვათა შედგენილობას, მათს ფორმასა და ფუნქციას. ფუნქცია ირკვევა იმის წყალობით, რომ ენაში პირისპირ არსებობს სიტყვის ისეთი ფორმები, რომლებიც ერთმანეთს საერთო ნიშნით შეეზომებიან: ამხანაგ-ი, ამხანაგ-**ებ-ი**; ამხანაგ-**ო**, ამხანაგ-**ებ-ო**; ვ-აკეთებ, აკეთებ, აკეთებ-**ს**; ვ-ა-კეთებ, ვ-ი-კეთებ, ვ-**უ**-კეთებ და სხვა. ფუნქციასვე არკვევს სიტყვათა დაკავშირება გარკვეული წესით: **ამხანაგმა** მოიყვანა, **ამხანაგი** მოიყვანა; **ამხანაგს** მოუყვანია, **ამხანაგს** მოუყვანეს და მისთ.

> შ ე ნ ი შ ვ ნ ა. როცა ფორმაზე ლაპარაკობენ, ჩვეულებრივ გულისხმობენ არა მარტო სიტყვის ბგერითს მხარეს (ფორმას ვ ი წ რ ო მნიშვნელობით), არამედ მის მნიშვნელობა-დანიშნულებასაც (ფუნქციას).

სტილისტიკა სწავლობს ლექსიკური მარაგიდან და გრამატიკულ ფორმათა ქონებიდან ამა თუ იმ საჭიროებისათვის უფრო შესაფერისი მასალის შერჩევის საშუალებას და გამოყენების ხერხებს: „ხელი შეუწყო“ და „ხელი მოუმართა“ მნიშვნელობით თითქმის იგივეა, რაც „დაეხმარა“, მაგრამ ერთი შემთხვევისთვის შეიძლება ერთის ხმარება იყოს უფრო მართებული ან მიზანშეწონილი, მეორისთვის — მეორისა, სხვაგან კი — მესამისა. ამა თუ იმ პირის ს ტ ი ლ ი ს საქმეა, თუ რომელი შეარჩიოს გარკვეული მიზნისთვის ერთნაირი მნიშვნელობის

მქონე ფორმებიდან, სიტყვებიდან თუ სიტყვათა წყობიდან: „ძმისთვის“ თუ „ძმისათვის“, „მოსწავლე“ თუ „მოწაფე“, „საბავშვო მოთხრობა“ თუ „საყმაწვილო მოთხრობა“, „მეფე ერეკლე“ თუ „ერეკლე მეფე“ და მისთ.. სტილისავე საქმეა, პირიანი ფორმით გადმოიცეს აზრი („ვაქებ, ხმალო, ვინცა გლესა“), თუ უპიროთი („ვაქებ, ხმალო, შენს გამლესველს“) და სხვ.

2. გრამატიკის ნაწილები. გრამატიკის ნაწილებია: ფონეტიკა, მორფოლოგია და სინტაქსი.

ფონეტიკა სწავლობს სიტყვათა უმარტივეს ნაწილებს, ბგერებს (ხ-ე-ლ-ი, ჰ-ბ-ა-ნ-ს), მათი წარმოთქმის ვითარებას და ბგერითს წესებს. ფონეტიკური წესების ცოდნა დიდად ეხმარება კაცს გრამატიკული მოვლენების გარკვევაში, განსაკუთრებით კი მორფოლოგიური მოვლენებისაში.

მორფოლოგია სწავლობს ცალკეული სიტყვის ფორმებს, მათს მაწარმოებელ ელემენტებს და იმ მნიშვნელობებს, რომლებიც თვითეულ მათგანს მოეპოვება: **ხელ-ი, ხელ-მა, ხელ-ს, ხელ-იან-ი, უ-ხელ-ო; ჰ-ბან-ს, და-ჰ-ბან-ა, და-ა-ბან-ინ-ებ-ს** და სხვ.. იგივე არკვევს, თუ რადარა ჯგუფი არსებობს სიტყვებისა, რა ნიშნების მიხედვით ჯგუფდებიან ისინი, რა კატეგორიებია შემუშავებული საპირისპირო ფორმათა არსებობის ნიადაგზე („ხატავს“ მხოლობითი რიცხვია, „ხატავენ“ — მრავლობითი; „ხატავს“ ეხლანდელი დროა, „ხატავდა“ — წარსული) და სხვ.

სინტაქსი სწავლობს სიტყვების ერთმანეთთან შეწყობის წესებს და იმ ფუნქციებს, რომლებიც ერთ სიტყვას სხვასთან დაკავშირებით ეძლევა; მაგ., ითქმის: „ხელი ხელს ჰბანს და ორივე პირსაო“, მაგრამ კონსტრუქციის შეცვლით: „ხელმა ხელი დაბანა და ორივემ პირიო“; სხვა შემთხვევაში კიდევ: „ხელს ხელი დაუბანია და ორივეს პირიო“. გამორკვევა იმისა, თუ როდის რა უნდა: „ხელი ხელს“, „ხელმა ხელი“, თუ „ხელს ხელი“, სინტაქსის საქმეა; მისივე საქმეა დადგენა იმისა, თუ რა ფუნქცია აქვს თვითეულ სიტყვას წინადადებაში.

3. აზროვნება და მეტყველება. ადამიანი ცხოველებისაგან, სხვათა შორის, იმითაც განსხვავდება, რომ მას თავისი აზრის გამოხატვა სიტყვებით შეუძლია.

ცხოველებს შორის ძაღლი ერთი უგონიერესთაგანია: ის კარგად არჩევს უცხოს თავისიანისაგან და ეზოში არ უშვებს, უყეფს და საკბენად ეტანება; მაგრამ ამას იქით ვერ მიდის მისი შესაძლებლობა: ის პატრონს ვ ე რ ე ტ ყ ვ ი ს, უცხო კაცი შემოვიდა ეზოშიო. შიმშილითაც რომ კვდებოდეს ძაღლი, ის ვ ე რ ვ ე ტ ყ ვ ი ს: მშია, მაჭამეთო; წკმუტუნით ან ყეფით ეგებ მან როგორმე გაგვაგებინოს თავისი მდგომარეობა ან შიმშილი, მაგრამ თ ქ მ ი თ ვ ე რ ა ს გ ვ ე ტ ყ ვ ი ს, რადგანაც ძაღლი პ ი რ-უ ტ ყ ვ ი ა.

სულ სხვაა ადამიანი: მას პ ი რ ი და ე ნ ა მარტო სასმელ-საჭმლის მისაღებად კი არა აქვს, არამედ ს ი ტ ყ ვ ე ბ ი ს სათქმელადაც. ადამიანი პ ი რ-მ ე ტ ყ ვ ე ლ ი ა, ცხოველი კი — პ ი რ-უ ტ ყ ვ ი. შემოკლებულად რომ ვთქვათ, ადამიანი მ ე ტ ყ ვ ე ლ ი ა, ცხოველი კი — უ ტ ყ ვ ი. ადამიანი გ ვ ე ტ ყ ვ ი ს და ს ი ტ ყ ვ ე ბ ი თ გაგვაგებინებს თავის აზრს. ადამიანს სიტყვები მოეპოვება აზრის გადმოსაცემად. სიტყვები ადამიანის აზრის გადმოსაცემი საშუალებაა.

ფონეტიკა

ა ნ ბ ა ნ ი

დ. მეტყველება და წერა. გრამატიკული აგებულება რომელიმე ენისა შეიძლება კაცმა ისე განიხილოს, რომ ამის შესახებ ერთი ასოც კი არ დაწეროს, არამედ მხოლოდ იამბოს. მაგრამ ამ შემთხვევაში ახსნა-განმარტება მარტოოდენ იმათთვის იქნება გასაგები, ვინც მას მოისმენს. ჩვეულებრივ კი ახსნის გასაადვილებლად და ცოდნის ფართოდ გასავრცელებლად წერასა და ბეჭდვასაც მივმართავთ ხოლმე. ამ შემთხვევაში აუცილებლად საჭიროა იმაზედაც ჩამოვაგდოთ საუბარი, თუ როგორია თვით ის საშუალება, რომელსაც ვხმარობთ თქმულის გარეგნული გამოხატულებისთვის, ე. ი. ვისაუბროთ იმაზე, თუ როგორია შეფარდება მეტყველებასა და წერას შორის.

ე. ანბანი. ქართული სიტყვების დასაწერად დღევანდელ სალიტერატურო ნაში სულ 33 ნიშანი იხმარება, რომელთაც დაბეჭდილ ნაწარმოებებშიც კი ჩვადასხვა სახე აქვთ; ერთი მათგანი ასეთია:

ა ბ გ დ ე ვ ზ თ ი კ ლ მ ნ ო პ ჟ რ ს ტ უ ფ ქ ღ ყ შ ჩ ც ძ წ ჭ ხ ჯ ჰ

რაც შეეხება ხელნაწერებს, აქ განსხვავება ნიშნების მოყვანილობათ შორის უფრო შორს მიდის და დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ წერს და წერის განვითარების რომელ საფეხურზე წერს: თვითეული ამ წიგნის წამკითხველი დღეს თავისებურად გამოიყვანს ქართულ ასოებს; თვით წიგნის ავტორის ხელი კი ასეთია:



ეს ნიშნები, ყველა ერთად აღებული ა ნ ბ ა ნ ს შეადგენს.

ვ. ბგერა და ასო. დაწერილი თუ დაბეჭდილი ნიშნები ასოებია, ხოლო, თვითეულ მათგანს რომ გამოთქმა შეეფერება, იმას ბგერა ჰქვია: ა არის ასო, ხოლო, რაც ამ ნიშნის მიხედვით, გამოითქმის, ის ბგერაა. ბგერები გამოითქმის და გვესმის, ხოლო ასოები იწერება (ან იბეჭდება) და ვხედავთ. მაშასადამე,

ასო, დაწერილი თუ დაბეჭდილი, ყოფილა ნიშანი ნათქვამის (თუ სათქმელისა ან გაგონილი) ბგერის გამოსახატავად. სხვანაირად რომ ვთქვათ, ასო ერთგვარი ნიშანია რომელიმე ბგერითი წარმოდგენისა ანუ ფ ო ნ ე მ ი ს ა.

თვითეულ ცალკე ბგერას დღევანდელ ქართულ წერაში თავისი ნიშანი მოეპოვება, რომელსაც ასოს ვეძახით, და, პირიქით, თვითეულ ცალკე ასოს თავისი გამოთქმა აქვს, საკუთარი ბგერა შეეფერება. ეს დიდი ღირსებაა ჩვენი ანბანისა და ამ მხრივ იგი მრავალ უცხო ანბანზე მაღლა დგას.

6ა. ფონემა. ბგერა ფიზიკური თვალსაზრისით სხვადასხვანაირად წარმოითქმის იმის მიხედვით, თუ რა გარემოცვაში მოხვდება იგი. მაგ., სხვაა ის გ, რომელიც ისმის **გაწერს** სიტყვაში; ოდნავ სხვაა, რომელიც ისმის **გიწერს**-ში, და სულ სხვაა, რომელიც ისმის **გწერს**-ში. უკანასკნელი სიტყვის **გ** წარმოთქმით კ-ს უახლოვდება **(კწერს)**. მაგრამ რაღაც საერთოა სამივე **გ**-ს შორის, რის გამოც ისინი, მათი ფიზიკური სხვადასხვაობის მიუხედავად, ერთ ბგერად მიგვაჩნია და ერთნაირი ნიშნით გამოვხატავთ. აი ეს საერთო რამ, რომელიც სხვადასხვა გარემოცვაში მოხვედრილი ბგერის ვარიანტებს აერთიანებს და მიგვითითებს, რომ ყველა შესაძლებელი ვარიანტი შეიძლება ერთნაირი ნიშნით გამოიხატოს, არის ფონემა. მთელი დღევანდელი ქართული ანბანი (ანიდან ჰაემდის) არსებითად სხვა არა არის რა, თუ არა თანამედროვე ქართულში არსებულ ფონემათა გამომხატველი ნიშნები.

7. ასოთა სახელები. ყველა ასოს თავისი სახელი აქვს. ეს სახელებია:

ა	**ბ**	**გ**	**დ**	**ე**	**ვ**	**ზ**	**თ**	**ი**	**კ**	**ლ**	**მ**	**ნ**	**ო**	**პ**	**ჟ**	**რ**
ან	ბან	გან	დონ	ენ	ვინ	ზენ	თან	ინ	კან	ლას	მან	ნარ	ონ	პარ	ჟან	რაე
ს	**ტ**	**უ**	**ფ**	**ქ**	**ღ**	**ყ**	**შ**	**ჩ**	**ც**	**ძ**	**წ**	**ჭ**	**ხ**	**ჯ**	**ჰ**	
სან	ტარ	უნ	ფარ	ქან	ღან	ყარ	შინ	ჩინ	ცან	ძილ	წილ	ჭარ	ხან	ჯან	ჰაე	

„ანბანი“ წარმომდგარია პირველი ორი ასოს სახელის შეერთებისგან: ან+ბან-ი.

გადატანით ეს სახელები ბგერებზედაც ითქმის: როცა ვამბობთ, მაგალითად, **ბ** (ბანი) მჟღერი ბგერააო, ეს ისე უნდა გავიგოთ, რომ საუბარია იმ ბგერაზე, რომელიც ასეთი ნიშნით გადმოიცემა: **ბ**.

ბგერათა კლასიფიკაცია

8. სამეტყველო ორგანოები. ნორმალური მეტყველებისთვის აუცილებლად საჭიროა (ფილტვებს გარდა, რომელიც ჰაერის ნაკადს გვაწვდის სასულის მილით): ხორხი შიგ მოთავსებული ხმის სიმებითურთ, ხახის ღრუ, ცხვირის ღრუ, პირის ღრუ, ენა და ბაგეები. პირის ღრუს ქმნის ქვედა (მოძრავი) ყბა და ზედა (უძრავი) ყბა კბილებითა და ლოყების შინაგანი კედლებითურთ. პირის ღრუს ჭერს წარმოადგენს სასა, მაგარი და რბილი. მაგარი სასა წინა მხარეს ნუნებით თავდება, რბილი სასა კი წარმოადგენს მაგარი (ძვლოვანი) სასის გაგრძელებას და უკანა მხარეს ნაქით თავდება. ჩამოთვლილი ანატომიური ნაწილები ადამიანისა სამეტყველო აპარატის ნაწილებია. ზოგი მათგანი აქტიური ორგანოა, ზოგი კი — პასიური, ზოგიც რეზონანსის გამოსაცემად არის საჭირო. აქტიური ორგანოები ზოგჯერ შეიძლება პასიურიც იყოს.

ა ქ ტ ი უ რ ი ორგანოებია: ხმის სიმები, ენა, რბილი სასა (განსაკუთრებით ისი ბოლო — ნაქი) და ბაგეები.



სასუნთქი ორგანოები და სუნთქვის გზები
(შვეული განაკვეთი. ჩერმაკის მიხედვით)

პ ა ს ი უ რ ი ორგანოებია: კბილები, მაგარი სასა ნუნებითურთ და ხახის კედელი.

ს ა რ ე ზ ო ნ ა ნ ს ო დანიშნულება აქვს პირის ღრუსა და ცხვირის ღრუს.

9. ხმოვანი და თანხმოვანი. ბგერა ორგვარია: ხმოვანი და თანხმოვანი

ხ მ ო ვ ა ნ ი ისეთი ბგერაა, რომელიც ხორხში ისახება იმით, რომ ფილტვებიდან ამონადენი ჰაერი ხმის სიმებს შეარხევს და წარმოიშობა ტონი. იმის მიხედვით, თუ როგორ მოვაწყობთ პირს, რომ ფილტვებიდან ჰაერი თავისუფლად ამოვიდეს, ბგერა სხვადასხვა იერს მიიღებს. ეს სხვადასხვაობა ქართულში ხუთამდე ადის და შემდეგი ნიშნებით გამოიხატება: **ა ე ი ო უ.**

თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ ი ისეთი ბგერაა, რომელიც წარმოიშობა ჰაერის გამოტარებით სრულიად დახშულ (ე. ი. დაკეტილ) არეში ან შევიწროებულ გამოსავალში. თანხმოვნის წარმოსათქმელად საჭიროა ჰაერის ნაკადი, რომელიც უმეტეს ნაწილად ფილტვებიდან ამოდის და ხორხსა და პირში ამოივლის. ეს ჰაერის ნაკადი ამა თუ იმ ადგილას შეფერხდება: შედგება ერთ ბეწო ხანს, რადგანაც გამოსავალი სრულიად დახშული (დაკეტილი) დახვდება, რომ სწრაფად გამოაპოს იგი ან გამოვიდეს ცოტად თუ ბევრად შევიწროებულ არეში.

თუ ჰაერის ნაკადმა სრულიად დახშული არე გამოაპო, მივიღებთ ხშულ თანხმოვანს, ანუ ოკლუზივს (მაგ., **ქ თ ფ**), და, თუ შევიწროებულ ნაპრალში გამოატანა, მაშინ თანხმოვანი იქნება ნაპრალოვანი, ანუ სპირანტი (სხვანაირად კიდევ ფრიკატივი, მაგ., **ს შ**).

განსხვავებას ხ მ ო ვ ა ნ ს ა და თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ ს შორის, მაშასადამე, ის ქმნის, რომ ერთ შემთხვევაში ჰაერის ნაკადი დაუბრკოლებლად ამოდის ყელიდან, მეორე შემთხვევაში კი მას სადმე რამე დაბრკოლების დაძლევა სჭირდება.

> შ ე ნ ი შ ვ ნ ა. შემდეგში ასოების ჩვენებისას ყოველთვის მათი შესაფერისი ბგერები იქნება ნაგულისხმევი. მაგალითად, როცა ვწერთ: „სახელობითის ბრუნვის ნიშანი ქართულში არის **ი**, ხოლო მიცემითისა **ს**", ეს ისე უნდა გავიგოთ, რომ სახელობითის ნიშანი არის ის ბგერა, რომელიც ამ ასოთია გამოხატული: **ი**, ხოლო მიცემითში — ის ბგერა, რომელსაც ასე აღვნიშნავთ: **ს**.

ხ მ ო ვ ნ ე ბ ი

10. ხმოვანთა სხვადასხვაობის მიზეზი. ხმოვანთა სხვადასხვაობა იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად გაღებულია პირი, როგორი მდებარეობა აქვს ამავე დროს ენას და როგორ არის მოწყობილი ბაგეები.

ა-ს წარმოთქმისას პირი ყველაზე უფრო ფართოდ არის გაღებული, ხოლო ენის შუა ნაწილი (უფრო სწორად, ამ ნაწილის უკანა მხარე) ოდნავ აწეულია.

ი-ს წარმოთქმისას კი, პირიქით, პირი ოდნავ არის გაღებული და ბაგეები ახლოს არის ერთმანეთთან მიტანილი ისე, რომ ჰაერის გამოსასვლელად მცირე ნაპრალიღა რჩება. ენას კი ამავე დროს ისეთი მდებარეობა აქვს, რომ მისი წინა ნაწილი აწეულია და მიახლოებულია წინა სასასთან (მაგართან).

ე ბგერის წარმოთქმისას პირის გაღებასა და ენის მდებარეობას საშუალი ადგილი უჭირავს იმ მდგომარეობათ შორის, რომლებიც არის ერთი მხრით **ა**-ს წარმოთქმისა და მეორე მხრით **ი**-ს წარმოთქმის დროს.

უ-ს წარმოთქმისას ქვედა და ზედა კბილები ახლოს არის მიტანილი (თუმცა არა იმდენად, როგორც **ი**-ს დროს), ბაგეები მოკუმულია ისე, რომ პატარა წრეს

აკეთებენ, ხოლო ენას იმის საწინააღმდეგო მდგომარეობა აქვს, რაც ი-ს წარმოთქმისას ჰქონდა: აქ აწეულია არა მისი წინა ნაწილი, არამედ უკანა, რომელიც უკანა სასასთანაა მიახლოებული.



შვეული განაკვეთი თავისა
(რბილი სასა დაწეულია)

I. პირის ღრუ. II. ხახა. III. ცხვირის ღრუ. IV. ხორხი

1. სასულე
2. ხმის სიმი
3. ცრუ სიმი
4. ფარისებრი ხრტილი
5. ბეჭდისებრი ხრტილი
6. ენისქვეშა ძვალი
7. ხორხსარქველი (ეპიგლოტი)
8. ენა
9. მაგარი სასა
10. რბილი სასა
11. ნაქი
12. ნუშისებრი ჯირკვალი (სასის წინა და უკანა რკალებს შორის)

ო-ს წარმოსათქმელად ბაგეები და ენა ისეა მოწყობილი, რომ საშუალო მდებარეობა აქვთ, ვიდრე იმ დროს, როცა ერთი მხრით **ა**-ს ვამბობთ და მეორე მხრით **უ**-ს.



შვეული განაკვეთი თავისა

(რბილი სასა აწეული)

აქტიური ორგანოები	პასიური ორგანოები	
L. ქვედა ბაგე	b. ზედა ბაგე [1]	g. მაგარი სასის წინა ნაწილი
A. ენის წინა ნაწილი	d. ზედა წინა კბილების წვერი	h. სასის შუა ნაწილი
M. ენის შუა ნაწილი	e. ზედა წინა კბილების უკანა ზედაპირი	i. რბილი სასის წინა ნაწილი
P. ენის უკანა ნაწილი		j. რბილი სასის უკანა ნაწილ
U. ნაქი	f. ნუნები	
V. რბილი სასა		

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. გაღებული პირის თანდათანობით დავიწროებას **ა ე** ხმოვნების წარმოთქმის დროს ადვილად შევამჩნევთ, თუ ნეკს ჩავიდებ

[1] ზედა ბაგე ყოველთვის პასიური არაა, ბაგისმიერი ბგერების გამოთქმის დროს ისი აქტიურია.

პირში: **ა**-ს წარმოთქმისას პირი ფართოდ არის გაღებული და ნეკი თავისუფლად არის ზედა და ქვედა კბილებს შუა; **ე**-ს წარმოთქმისას ქვედა ყბა ისე უახლოვდება ზედა ყბას, რომ ნეკს კბილები თითქმის ეხება; **ი**-ს წარმოთქმის დროს კი კბილები კიდევ უფრო უახლოვდება ერთმანეთს და თითს საგრძნობლად უჭერენ.

11. მაღალი და დაბალი ხმოვნები. თუ ენა ხმოვანთა წარმოთქმისას მაღლაა აწეული და სასასთან მიახლოებული, ხმოვანი მ ა ღ ა ლ ი იქნება და, თუ დაშვებულია, ხმოვანიც დ ა ბ ა ლ ი იქნება. ამასთანავე ერთად, იმის მიხედვით, თუ რომელი ნაწილია აწეული, წინა თუ უკანა, ხმოვანიც იქნება წ ი ნ ა ან უ კ ა ნ ა. ამიტომ:

ა არის უკანა დაბალი ხმოვანი;
უ არის უკანა მაღალი ხმოვანი;
ი არის წინა მაღალი ხმოვანი;
ე არის წინა საშუალი ხმოვანი;
ო არის უკანა საშუალი ხმოვანი,

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. თვითეული ხმოვნის წარმოთქმის თავისებურებას რამდენადმე გავარკვევთ, თუ მათ ისე წარმოვთქვამთ, რომ სარკეში ვიხედებოდეთ და ვაკვირდებოდეთ ენის, ქვედა ყბისა და ბაგეების (ტუჩების) მოძრაობას.

თანხმოვნები

12. თანხმოვნების დაჯგუფება წარმოების ადგილის მიხედვით. ფილტვებიდან ამონადენი ჰაერის ნაკადის შეყენება და ისევ გამოშვება („სკდომა“) ხშული თანხმოვნების წარმოთქმისას ან მისი იწრუაში გამოტანება ნაპრალოვანი თანხმოვნების (სპირანტების) წარმოთქმისას შემდეგს ადგილებში ხდება: ბაგეებთან, კბილებთან, წინა და უკანა სასასთან, ნაქთან, ხორხში.

განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე, წარმოთქმის ადგილის მიხედვით.

1. ბ ა გ ე ე ბ თ ა ნ

ბაგეები ერთმანეთს ეკვრის. ჰაერის ნაკადი გამოაპობს მათ და შემდეგი ბგერები წარმოიშობა: **ბ ფ პ მ.** ამ ბგერების წარმოთქმაში აქტიურ მონაწილეობას იღებს ორივე ბაგე (ზედა და ქვედა) და ამიტომ მათ ბ ა გ ი ს მ ი ე რ (ლაბიალ) ბგერებს ვეძახით, უფრო ზედმიწევნილობით კი — ო რ ბ ა გ ი ს მ ი ე რ (ბილაბიალ) ბგერებს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ბაგისმიერი (ლაბიალი) ბგერების სახელს ატარებენ აგრეთვე ხმოვნები **ო** და **უ**, რადგანაც მათს წარმოთქმაში აქტიურ მონაწილეობას ბაგეებიც იღებენ.

2. კ ბ ი ლ ე ბ თ ა ნ

ა) ქვედა ბაგე უახლოვდება ზედა კბილებს. იწრუაში ჰაერის გამოტანებისას წარმოიშობა კ ბ ი ლ-ბ ა გ ი ს მ ი ე რ ი (დენტილაბიალი) ნაპრალოვანი ბგერა — სპირანტი **ვ**.

ბ) ენის წვერი ებჯინება ზედა კბილებს. გვაქვს: **დ თ ტ.** ესენია კ ბ ი ლ ი ს-მ ი ე რ ი (დენტალი) ხშული ბგერები.

3. წინა სასასთან (მაგარ სასასთან)

ა) თუ ენის წვერი მიბჯენილია ნუნისა და კბილის საზღვარზე და თანაც ჰაერის ნაკადისთვის გზა თავისუფალია ცხვირის ღრუსკენაც, მივიღებთ **ნ** ბგერას. წარმოთქმის ადგილის მიხედვით იგია ნუნისმიერი (ალვეოლარი) ბგერა.

ბ) ენის წვერი მიბჯენილია ნუნებზე, მაგრამ ისე, რომ ენის გვერდებზე ნაპრალი რჩება და ჰაერი გამოდის. ენის მიბჯენის ადგილას ჰაერი მხოლოდ ენის სწრაფი ჩამოშორების შემდეგ შეძლებს დენას. ამგვარად წარმოდგება ნუნისმიერი ბგერა **ლ**, რომელიც ერთსა და იმავე დროს ხშულიც არის (ენა მიბჯენილია ნუნებზე) და ნაპრალოვანიც (გვერდებზე ნაპრალებია). ამის გამო ის გვერდითი (ლატერალი) ბგერაა.



პირი

1. რბილი სასა 2. ნაქი 3. ხახა 4. ენა



როგორ ჩანს ხორხი ლარინგოსკოპით

a. ნელი სუნთქვისას

b. ღრმა სუნთქვისას c. ხმის ამოღებისას

T. ენა VV. ხმის სიმები

E. ხორხსარქველი W. სასულე

გ) ენის წვერი მიბჯენილია ნუნებზე (მაგრამ უფრო უკან, ვიდრე **ნ** და **ლ** ბგერების წარმოთქმის დროს) და თრთის. წარმოიქმნება ნუნისმიერი თრთოლარე (ვიბრანტი) ბგერა **რ**.

შენიშვნა. **რ ლ** ბგერებს საერთოდ ნარნარა (ლიკვიდ) ბგერებს უწოდებენ. მათვე უერთებენ ზოგჯერ **ნ** ბგერასაც.

დ) წინა ენა ებჯინება ნუნებს და გვაქვს: **ძ ც წ**. ესენია წინა ნუნისმიერი (წინა ალვეოლარი) ხშული ბგერები.

ე) წინა ენა მიახლოებულია ნუნებთან და ქმნის მომრგვალო ნაპრალს; წარმოიშობა **ზ ს**. ესენია წინა ნუნისმიერი (წინა ალვეოლარი) ნაპრალოვანი ბგერები (სპირანტები).

შენიშვნა. წარმოთქმისას ორივე სახის წინა ნუნისმიერ ბგერებს (ხშულსა და ნაპრალოვანს: **ძ ც წ ზ ს**) თითქოს სისინი ახლავსო და ამიტომ მათ სისინა ბგერებს უწოდებენ.

ვ) წინა ენის ზურგი ებჯინება ნუნების უკანა მხარეს; გვაქვს: **ჯ ჩ ჭ**. ესენია უკანა ნუნისმიერი (უკანა ალვეოლარი) ხშული ბგერები.

ზ) წინა ენის ზურგი აწეულია ოდნავ და ნუნების უკანა ნაწილთან ისეა მიახლოებული, რომ მათ შორის ვიწრო მომრგვალო ნაპრალია დარჩენილი; გვაქვს: **ჟ შ**. ესენია უკანა ნუნისმიერი (უკანა ალვეოლარი) ნაპრალოვანი ბგერები (სპირანტები).

შენიშვნა. ორივე სახის უკანა ნუნისმიერ ბგერებს (ხშულსა და ნაპრალოვანს: **ჯ ჩ ჭ ჟ შ**) შიშინა ბგერებს ეძახიან, რადგანაც მათი წარმოთქმისას აკუსტიკური შთაბეჭდილება ისეთია, თითქო შიშინი მოისმისო.

4. უკანა სასასთან (რბილ სასასთან)

ა) უკანა ენა ზურგით ებჯინება რბილ სასას. წარმოდგება: **გ კ ქ**. ესენია უკანა სასისმიერი (ველარი) ხშული ბგერები.

ბ) უკანა ენა ზურგით ძალიან უახლოვდება რბილ სასას და ქმნის ნაპრალს, სადაც ჰაერის ნაკადი გამოატანს და მივიღებთ **ღ ხ** თანხმოვნებს. ესენია უკანა სასისმიერი (ველარი) ნაპრალოვანი ბგერები. ოღონდ ამათი წარმოთქმის ადგილი უფრო უკან არის გადაწეული, ვიდრე ხშული **გ კ ქ** ბგერებისა.

5. ხახასთან

უკანა ენის ძირი ებჯინება ხახის უკანა კედელს, წარმოდგება **ყ**. ეს არის ხახისმიერი (ფარინგალი) ხშული ბგერა.

6. ხორხში (ყიაში)

ყიის კედლების შევიწროებით მცირე ნაპრალია გაკეთებული; ჰაერი რომ ფილტვებიდან ამოდის, ეხახუნება ამ კედლებს, მაგრამ ისე, რომ ხმის სიმებს არ არხევს. გვაქვს **ჰ**, რომელიც ხორხისმიერი (ლარინგალი) ნაპრალოვანი ბგერაა.

რამდენადაც **ჰ** ბგერის წარმოთქმისას ხორხში ნაპრალი ღიაა და შემდეგ ჰაერის ამომდინარეობას არსად დაბრკოლება არა აქვს, მას ხმოვნის ნიშნები აქვს, მაგრამ აკლია ხმოვანთა წარმოთქმის არსებითი მხარე: სიმები არ ჟღერს, ტონი არ ახლავს და, მაშასადამე, ჩქამია (§ 14). ამიტომ იგი თანხმოვნებს განეკუთვნება. თანხმოვნებში მის ჩარიცხვას კიდევ ის აძლიერებს, რომ მას, სხვა თანხმოვნების მსგავსად, მარცვლის წარმოქმნა არ შეუძლია.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. რადგანაც ენა უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებს ყველა თანხმოვნის გამოთქმაში (გარდა ბაგისმიერი და ხორხისმიერი თანხმოვნებისა), ამიტომ მათ ენის მოქმედი ნაწილის მიხედვითაც არქმევენ სახელებს: წინა ენისმიერნი, უკანა ენისმიერნი.

13. **ცხვირისმიერი ბგერები.** ხმოვნები და თანხმოვნები (ორის გარდა) ისე წარმოითქმის ქართულში, რომ რბილი სასის ბოლო, რომელსაც ნაქი ჰქვია, ხახის უკანა კედელზეა მიბჯენილი იმნაირად, რომ ცხვირის მილი დაცობილია. ამის გამო ფილტვებიდან ამონადენ ჰაერს თავისუფალი გზა მხოლოდ პირის ღრუზე აქვს. გამონაკლისს შეადგენს ორი თანხმოვანი, რომელთა წარმოთქმისას ნაქი დაშვებულია და ქვემოდან ამონადენი ჰაერი ცხვირის მილშიც პოულობს გამოსავალს. ეს თანხმოვნებია: **მ** და **ნ**, რომელთაც ამის გამო ც ხ ვ ი რ ი ს მ ი ე რ ი (ნაზალი) ბგერები ეწოდება.

14. **ტონი და ჩქამი.** ზოგიერთი ბგერის წარმოთქმისას ხორხში (ყიაში) მოთავსებული ხმის სიმები (ქორდები) პერიოდულად ირხევა ფილტვებიდან ამონადენი ჰაერის ნაკადისგან. ასეთი რხევის გამო წარმოდგება ბგერის ტონი.

თუ ბგერა ისე წარმოითქმის, რომ ხმის სიმები ამ დროს არ ჟღერენ და ტონს არ იძლევიან, ბგერა იქნება მარტოოდენ ჩქამის ხასიათისა.

15. **მჟღერი და ყრუ ბგერები.** ხმოვნებს ყველას ახლავს ტონი, ე. ი. **ა ე ი ო უ** ისეთი ბგერებია, რომ მათი წარმოთქმის დროს ხმის სიმები პერიოდულად ირხევა და ჟღერენ, ანუ ხმას გამოსცემენ. ამიტომ ხმოვნები ყველა მ ჟ ღ ე რ ი ბგერებია.

თანხმოვნებს ზოგს ახლავს ტონი, ზოგს კი — არა. ტონიანი თანხმოვნები მ ჟ ღ ე რ ე ბ ი ა, უტონოები კი ყრუდ მოისმის და მათ ყ რ უ ბგერებს ეძახიან.

მ ჟ ღ ე რ ი (ტონიანი) თ ა ნ ხ მ ო ვ ნ ე ბ ი ა: **ბ გ დ ვ ზ ლ მ ნ ჟ რ ღ ძ ჯ.**

ყ რ უ (უტონო) თ ა ნ ხ მ ო ვ ნ ე ბ ი ა: **თ კ პ ს ტ ფ ქ ყ შ ჩ ც წ ჭ ხ ჰ.**

ჩქამი ცოტად თუ ბევრად მჟღერ ბგერებსაც ახლავს, მაგრამ ისე, რომ ზოგში ტონი სჭარბობს, ზოგში კი — ჩქამი. ტ ო ნ ი ს ჭ ა რ ბ ო ბ ს ხმოვნებში (**ა ე ი ო უ**), რამდენადმე აგრეთვე ნარნარა (**რ ლ**) და ცხვირისმიერ თანხმოვნებშიც (**მ ნ**). ჩ ქ ა მ ი ს ჭ ა რ ბ ო ბ ს დანარჩენ თანხმოვნებში (**ბ გ დ** და სხვ.).

16. **ყრუ ბგერების დაყოფა.** ხორხის მუშაობის მიხედვით ყრუ თანხმოვნები ორ ჯგუფად იყოფა: ერთი ჯგუფი მკვეთრია, მეორე კი — ფშვინვიერი.

მკვეთრები. ზოგიერთი ყრუ ბგერის წარმოსათქმელად საკმაოა ის ჰაერის მარაგიც, რომელიც პირის ღრუში მოიპოვება. ენის ესა თუ ის ნაწილი სწრაფად მოსხლტება ალაგს, სადაც მიბჯენილია, და მივიღებთ შემდეგ ბგერებს: **ტ წ ჭ კ ყ.** იგივეა პ ბგერის წარმოთქმის დროსაც, ოღონდ აქ ენა არ იღებს მონაწილეობას: ჰაერი სწრაფად გამოაპობს ბაგეებს.

ექვსივე დასახელებული ბგერის წარმოთქმას თან ახლავს დახშული ყელის (ყიის) სკდომაც, ე. ი. სახმო სიმების გაღება. ამიტომ მათ ორმაგი ხშულობა ახასიათებს. წარმოთქმის თვისებათა გამო მათ ყ ე ლ-ხ შ უ ლ ე ბ ი (აბრუპტივები) ეწოდება, აკუსტიკური შთაბეჭდილების მიხედვით კი — მ კ ვ ე თ რ ე ბ ი.

ფშვინვიერები. ყრუ ბგერების მეორე ჯგუფი ისეთია, რომ თვითეული მათგანის წარმოთქმის დროს ხორხის ნაპრალი ღიაა, ამოდის ჰაერის დიდი რაოდენობა, ისმის ფშვინვა (ასპირაცია) და ამ ნიშნის გამო ფ შ ვ ი ნ ვ ი ე რ ე ბ ი (ასპირატები) ეწოდება. ესენია: **თ ფ ქ ჩ ც.**

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. განსხვავებას მკვეთრებსა და ფშვინვიერებს შორის სულ ადვილად შევამჩნევთ, თუ პირთან ახლოს მივიტანთ ხელის გულს და რიგ-რიგობით წარმოვთქვამთ მკვეთრსა და ფშვინვიერს: **კ—ქ, ჭ—ჩ, წ—ც, ტ—თ, პ—ფ.** ფშვინვიერების წარმოთქმისას ხელის გულს საგრძნობლად ხვდება პირიდან ამონადენი ჰაერი.

17. სამეულები, წყვილეულები, ცალეულები. ხუთ მჟღერ თანხმოვანს წარმოების ადგილის მიხედვით ორ-ორი ყრუ შეეფერება: ერთი მკვეთრი და ერთი ფშვინვიერი:

		ბაგისმიერი	კბილისმიერი	წინა ენისმიერი	უკანა ენისმიერი	უკანა სასისმიერი
მჟღერი		ბ	დ	ძ	ჯ	გ
ყრუ	მკვეთრი	პ	ტ	წ	ჭ	კ
	ფშვინვ.	ფ	თ	ც	ჩ	ქ

ამგვარად, მიღებულია ხუთი მწკრივი ქართულისათვის დამახასიათებელი ს ა მ ე უ ლ ე ბ ი ს ა: **ბ პ ფ; დ ტ თ; ძ წ ც; ჯ ჭ ჩ; გ კ ქ.**

სამაგიეროდ, სამ მჟღერს თითო ყრუ შეეფერება; ესენია წ ყ ვ ი ლ ე უ ლ ი სპირანტები:

მჟღერი	ზ	ჟ	ღ
ყრუ	ს	შ	ხ

ზოგიერთ მჟღერს სრულებით არ მოეპოვება თავისი მწკრივის ყრუ და განმარტოებით დგას; ასეთია ც ა ლ ე უ ლ ე ბ ი: **ვ მ ნ რ ლ.** სამაგიეროდ, ზოგიერთ ყრუ თანხმოვანსაც აკლია სათანადო მჟღერი; ესენია: **ჰ ყ.**

18. ხმარებიდან გადავარდნილი ასოები. ზემოთ აღნიშნულ ასოებს გარდა, ქართულ ანბანში მოიპოვება კიდევ შემდეგი ნიშნები, რომლებიც თანამედროვე სალიტერატურო ენაში აღარ იხმარება:

ჱ ჲ ჳ ჴ ჵ ჶ (ჶ) ჷ

უნივერსიტეტი

ჱ (სახელად **ეი**) იყო **ე** ხმოვნის მსგავსი ბგერა, რომელსაც ძველის-ძველად დიფთონგისებრი ელფერი უნდა ჰქონოდა (დაახლოებით: **ეჲ**). იგი ხმოვანი იყო, მაგრამ ზოგჯერ (მაგ., XVII—XVIII საუკ.-ში) **ჰ**-ში რევდნენ. ვისაც ძველი ტექსტების წაკითხვაში სპეციალურად არ უვარჯიშნია, სჯობს, რომ ეს ნიშანი ისე წაიკითხოს, როგორც **ე**, და შეცდომა ნაკლები იქნება. ძველის-ძველად **ე** იყო ბერძნ. ეფსილონის ბადალი, **ჱ** კი—ეტასი (**ე**=ε, **ჱ**=η).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. განსვენებული სვიმონ ჯანაშიას წინადადების თანახმად, **ჱ**-ს შეიძლება „ერი“ ეწოდოს. მაშასადამე, „ენი“ იქნება **ე**, „ერი“ კი—**ჱ** (შდრ. „ხანი“ და „ხარი“, ე. ი. **ხ** და **ჴ**).

ჲ (სახელად **იე**, ზოგჯერ **იოტა**) არის უმარცვლო **ი**, რომელიც წარმოითქმის ენის შუა წელის მიახლოებით მაგარ სასასთან. თუ ეს მიახლოება ენისა სასასთან იმდენად დიდია, რომ გამომავალი ჰაერისთვის ერთგვარ დაბრკოლებას წარმოადგენს, მაშინ მას სპირანტული ხასიათი ექნება და თანხმოვანთა ჯგუფს განეკუთვნება. ასეთი თავისებურების გამო მას ზოგჯერ ნახევარ ხმოვანს ეძახიან. იგი სასისმიერი (პალატალი) ბგერაა.

ჳ (სახელად **ვიე**) გრაფიკულად წარმომდგარია **უ**-სი და **ი**-ს (**უი**) გადაბმულად დაწერისგან და გამოხატავს დიფთონგს, რომლის პირველი ნაწილი უმარცვლო **უ̯** არის, მეორე კი — მარცვლიანი **ი̯** (**უ̯ი**).. ძველი ქართული ტექსტების დღევანდელი ასოებით ბეჭდვის დროს, სხვა ნიშნის უქონლობის გამო, ესევე ასოა გამოყენებული იმ ნიშნის გადმოსაცემად (**ჳ**), რომელსაც ძველად ზოგჯერ უმარცვლო **უ**-ს მნიშვნელობა ჰქონდა და ზოგჯერ (უფრო ხშირად) **უ**-სა და **ი**-ს შუა მდებარე ხმოვნისა (**ჳ** შეეფერებოდა ბერძნ. **υ**-ს და ცალკე გამოითქმოდა დაახლოებით ისე, როგორც ფრანგ. **ü**). ჩვეულებრივ **ჳ**-ს ისე კითხულობენ, როგორც **ვი** ჯგუფს.

ჴ (სახელად ხარი, ძველად **ჴარი**) იყო ხახისმიერი (ფარინგალური) ყრუ ფშვინვიერი ბგერა, რომელიც ზოგ-ზოგ კილოში კიდევაა შენახული, მაგ., მთის კილოებში (ფშაურში, ხევსურულში, თუშურში, მოხეურში, მთიულურ-გუდამაყრულში), ქსნის ხეობაში, ერწო-თიანეთის მხარეს, ქიზიყში, საინგილოში, შიგნი კახეთის ზოგიერთი სოფლის ძველი თაობის ლაპარაკში (მაგ., გრემ-საბუეენისელში) და სხვაგანაც. ყველა სიტყვაში, სადაც კი **ჴ** იხმარებოდა ძველად (და ეხლაც იხმარება ზემოაღნიშნულ კილოებსა და კუთხეებში), სალიტ. ენაში და კილოთა დიდ უმეტესობაში მას შეენაცვლა **ხ**; გვქონდა: **ჴელი**, **მუჴლი**, **მჴარი**, **ჴაჴა ჴორცი**, **ვენაჴი** და მისთ., ეხლა კი ამათ ნაცვლად გვაქვს: **ხელი** **მუხლი**, **მხარი**, **ხახა**, **ხორცი**, **ვენახი** და მისთ.

ჵ (ძველად ერქვა **ოჰ**, ეხლა კი ჰქვია **ჰოე**). ძველის-ძველად იყო დახურული **ო** დიფთონგისებრი ხასიათისა (დაახლოებით **ოჳ**). შემდეგში მას კითხულობდნენ ასე: **ოჲ** (ხანაც **ჰოჲ**). ძველის-ძველად **ო** შეეფერებოდა ბერძნულ ომიკრონს, მაშინ როდესაც **ჵ** იყო ბერძნ. ომეგის ბადალი (**ო**=ο, **ჵ**=ω)[1].

ჶ (**ф**) არის კბილ-ბაგისმიერი (დენტილაბიალი) ყრუ სპირანტი, მჟღერი **ვ**-ს საპირისპირო (გამოითქმის დაახლოებით ისე, როგორც რუსული **ф**, ევროპ. ენების **f**). იგი ქართულის დამახასიათებელი ბგერა არ არის და შემოსულია

---

[1] ძველად ამბობდნენ: ანი და ოჰა (=ალფა და ომეგა), ანიდან მიოჰამდე (ალფადან ომეგამდე).

უცხო ენების გავლენით. დღეს რომ მას მოყვანილობა აქვს, ის მეთვრამეტე საუკუნიდან მოდის, უფრო ძველად კი ისე იწერებოდა, როგორც იმდროინდელ ბერძნულ ხელნაწერებში გამოჰყავდათ φ ასო (რომელიც იმ დროს უკვე სპირანტად წარმოითქმოდა), ე. ი. ჶ: ამ სახით იგივე მოყვანილობა სომხურს შეჰრჩა დღევანდლამდე, ქართულმა კი, რუსულის გავლენით, სხვა სახისა შემოიღო XVIII საუკუნეში, ერეკლე მეფის დროს. სულხან-საბა ორბელიანი ძველი სახის ასოს ხმარობს. თავის ლექსიკონში ის ამბობს: „ესე ჶა ძველს წიგნებში იჯდა და მწერლებს უგულებელს ექმნათ და ახლა მე ჩაუმატეო". დავით რექტორი კი ამბობს: ერეკლე მეფემ რომ სტამბა გამართა თბილისში, იმ სტამბაში ხუცური თუ მხედრული ასოებით დაბეჭდილ წიგნებში ყველგან ახალი სახის ნიშანი (ф) იხმარესო.

ჳ. ძველად ენაში კარგად გარჩეული იყო მარცვლიანი და უმარცვლო უ, მაგრამ წერაში მათ არ არჩევდნენ — ერთი და იმავე ნიშნით გამოხატავდნენ. ეს დიდ უხერხულობას ქმნიდა შემდეგში, როცა დაიწყო უმარცვლო უ-ს აღრევა ვ-სთან. უხერხულობის თავიდან ასაცილებლად უმარცვლო უ-ს თავზე განმასხვავებელი (დიაკრიტიკული) ნიშანი დაუსვეს და მივიღეთ ჳ, რომელსაც უბრჯგუ (ე. ი. უ ბრჯგუ) ეწოდა. ვახტანგის გამოცემულმა „ვეფხისტყაოსანმა" (1712) ჯერ კიდევ არ იცის ეს ნიშანი: იქ ძველი უმარცვლო უნები უმეტესად ვინებით არის შეცვლილი. უბრჯგუ შემოდის შემდეგ, ერეკლე მეფის დროს ანტონი კათალიკოზის გავლენით: თჳალი, კჳალი, კჳერცხი და მისთ.

19. ასოთა რიგი. ასოთა დალაგება შეიძლება სხვადასხვანაირად (მაგ., ასოთა მოხაზულობის კვალობაზე ან მათი შესაფერისი ბგერების წარმოთქმის ადგილის მიხედვით და სხვ.), მაგრამ პრაქტიკული მიზნისთვის (სიების შედგენისა, ლექსიკონით სარგებლობისთვის და სხვ.) საჭიროა ვიცოდეთ ის რიგი, რომელიც საუკუნეებით არის გამტკიცებული და რომელიც ცოტაოდენი ცვლილებით იმ რიგს მისდევს, რომელიც ძველ ბერძნულშია დაცული. ცვლილება იმაში გამოიხატება, რომ

1. იქ, სადაც ქართულში არ მოიპოვება ბერძნული ასოს შესაფერისი ბგერა, ჩასმულია ისეთი ასო, რომლის ბგერა თავის მხრივ ბერძნულს აკლია. ესენია: ჲ, ჟ.

2. სხვა დამატებითი ასოები კი, რომლებიც ქართულის დამახასიათებელ ბგერებს გადმოგვცემენ, ყველა მოქცეულია უკანასკნელი ასოს წინ (ჵ-ს წინ), სადაც ბერძნულს მხოლოდ ერთი თავისებური ბგერის ასო აქვს.

3. ტ-ს შემდეგ ძველად ქართულ ანბანში ჳ იყო, რომელიც ო-სთან ერთად, ბერძნულის მსგავსად, უ-დ წარმოითქმოდა (ოჳ=უ). მისი ადგილი შემდეგში უ-მ დაიჭირა.

4. ახალ-შემოღებული ასოები (ჷ ჶ) სულ ბოლოს იქნა მოთავსებული. ისინი ქართ. ანბანის ორგანოებლივ ნაწილს არც შეადგენენ.

ძველი ასოებიანად ასოთა რიგი ასეთი იქნება:

ა ბ გ დ ე ვ ზ ჱ თ ი კ ლ მ ნ [ჲ] ო პ [ჟ] რ
ს ტ უ ფ ქ [ღ ყ შ ჩ ც ძ წ ჭ ხ ჴ ჯ ჰ] ჵ

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. ფრჩხილებში ჩასმულია ის ასოები, რომლებიც ძველ

ბერძნულს აკლდა (ახალ ბერძნულში **ბ**-ს ნიშანი **ვ**-დ გამოითქმის, **გ-სი** — **ღ**-დ, **ფ**-სი — **ფ**-დ, **ქ**-სი — **ხ**-დ და სხვ.).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. ასოთა რიგის დახსომებას შემდეგი ხელოვნურად შედგენილი „ლექსი" ჰშველის:

აბგად ევზჱთ იკალ მანჲო,
პჟა რასტჳ უფქა ღაყაშ,
ჩაცა ძაწა ჭახჴა ჯაჰჵ.

გამოთქმის გასაადვილებლად აქ მეორდება მხოლოდ პირველი ასო **(ა)**.

მ ა რ ც ვ ა ლ ი

20. მარცვლის დახასიათება. გრამატიკაში მარცვალი ჰქვია ერთ ბგერას ან ჯგუფს რამდენიმე ბგერისას, რომლებიც ჰაერის ერთი ტალღის ამოღების დროს გამოითქმის. მარცვალთა რაოდენობის მიხედვით სიტყვა შეიძლება იყოს ერთ-მარცვლიანი, ორ-მარცვლიანი, სამიანი, ოთხიანი და მეტიც. მაგალითად:

ე რ თ-მ ა რ ც ვ ლ ი ა ნ ი ა: და, ძმა, ცა, ფხა, მკა, ცხრა, მე, ხე, მზე, ტყე. მხეცს, მხნე, რკო, ხბო, ყრუ, ცრუ, დუღს;

ო რ-მ ა რ ც ვ ლ ი ა ნ ი ა: კა-ცი, წყა-ლი, მხე-ცი, უ-თხრა, წა-სვლა, სი-ტკბო, სი-ტყვა, მწყე-რი, მკვდა-რი, ცე-ცხლი, კვერ-ცხი და მისთ.;

სამიანია: პე-პე-ლა, ფრინ-ვე-ლი, მო-ვი-და, და-ა-წყო, ი-სკუ-პა, ნა-მგა-ლი, ნი-სკარ-ტი, მერ-ცხა-ლი;

ო თ ხ ი ა ნ ი ა: ან-გა-რი-ში, და-წე-რი-ლი, წა-კი-თხუ-ლი, გან-ცხა-დე-ბა, გან-თი-ად-ზე;

ხ უ თ ი ა ნ ი ა: შე-უ-პო-ვა-რი, მა-სწავ-ლე-ბე-ლი, გა-და-სა-ხა-დი და მისთ.

თუ აქ წარმოდგენილ მაგალითებს დავაკვირდებით, შევნიშნავთ, რომ თვითეულ მარცვალში შედის აუცილებლად ერთ-ერთი იმ ბგერათაგანი, რომლებიც ხმოვანთა სახელით არის ცნობილი, ე. ი. ისინი, რომლებსაც ამ ნიშნებით გამოვხატავთ ხოლმე: **ა ე ი ო უ**.

დღევანდელ სალიტერატურო ქართულში ორთოგრაფია ისეთია, რომ, ხმოვანი თუ იწერება, იგი მარცვალს ქმნის აუცილებლად მარტო ან თანხმოვანთან (თანხმოვნებთან) შეერთებით. ამის მიხედვით, რამდენი ხმოვანიც არის სიტყვაში დაწერილი, მარცვალიც იმდენივე იქნება შიგ. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ერთნაირი ხმოვანი ზედიზედ მოდის, სხვადასხვა მარცვალია; მაგალითად: გა-ა-კე-თა, და-ა-მზა-და, და-ა-არ-სა, მი-ი-ყვა-ნა, მი-ი-ტა-ნა, შე-ე-შინ-ა, სა-უ-ცხო-ო, უ-უ-ხვე-სი და მისთ. რამდენი თანხმოვანიც უნდა ახლდეს ხმოვანს (თუნდაც ექვსი, მაგალითად, **მწყრებს**), მარცვლის შედგენისათვის ამას მნიშვნელობა არა აქვს.

არ იწერება, თორემ ენაში უმარცვლო ხმოვანი დღესაც გვაქვს. ასეთია უმარცვლო **უ**, რომლის მაგივრადაც **ვ** იწერება ხოლმე, მაგ., „სი-კუდი-ლი". სადაც **უ** უმარცვლოა და დღეს ჩვეულებრივ **ვ** ასოთი არის ხოლმე გამოხატული: სი-კვდი-ლი.

21. ღია და დახურული მარცვალი. მარცვალი ღ ი ა ა, თუ იგი ხმოვნით თავდება, მაგრამ, თუ მას ბოლოში თანხმოვანი მოუდის, იგი დ ა ხ უ რ უ ლ ი ა.

მაგალითისთვის რომ ავიღოთ ექვს-მარცვლიანი სიტყვა „თავ-გა-და-სა-ვა-ლი“, აქ მხოლოდ პირველი მარცვალი იქნება დახურული, დანარჩენი კი — ყველა ღია. კ ა ც სიტყვის ეს სამი განსხვავებული ფორმა რომ ავიღოთ: კ ა-ც ი, კ ა ც-მ ა, და კ ა-ც ა დ, ვნახავთ, რომ პირველ მათგანში ორივე მარცვალი ღია იქნება (კ ა-ც ი), მეორე ფორმაში კი პირველი მარცვალი დახურული და შემდგომი ღია (კ ა ც-მ ა), ხოლო მესამე ფორმაში პირველი მარცვალი ღია და მეორე დახურული (კ ა-ც ა დ). მაგალითები ღია მარცვლებისა: მე, ძმა, ტყე, დე-და, ყვე-ლი, დრო-შა, წი-თე-ლი. მაგალითები დახურული მარცვლებისა: ეს, ძმას, ტყემ, ყველს, ვარ-დებს, ვჩხვლეტ, ვხერ-ხავ.

22. მარცვალი ლექსში. ქართული ლექსები ისეა შედგენილი, რომ სტრიქონებში მარცვალთა რაოდენობა ჩვეულებრივ თანაბარი რაოდენობით მოდის, უფრო ხშირად რვა-რვა ან ათ-ათი (გაორკეცებით თექვსმეტ-თექვსმეტი ან ოც-ოცი). მაგ., ვაჟა-ფშაველას „ივ. კოტორაშვილის ამბის“ ამ ნაწყვეტის ორსავე სტრიქონში

„რამდენჯერ მარტოს მტრის ჯართან
მას ომი აუტეხია“

რვა-რვა მარცვალია, მაგრამ პირველ სტრიქონში 26 ბგერაა, მეორეში კი — 13, ე. ი. ორჯერ ნაკლები. ასეთი განსხვავების მიუხედავად, ისინი ტოლნი არიან ლექსისთვის: მარცვალი იქაც რვაა და აქაც.

იმავე მწერლის „ეთერის“ ამ ნაწყვეტში

„ღმერთს სთხოვდნენ ცოლ-ქმრის დღეგრძლობას
ვედრებით ნებიერითა“

აგრეთვე თვითეული სტრიქონი რვა-რვა ხმოვანს შეიცავს და მარცვალიც რვა-რვა არის, თუმცა პირველში 26 თანხმოვანია, მეორეში კი — 9, რაც გარეგნულად იქედან ჩანს, რომ დაბეჭდილში პირველი სტრიქონი ორჯერ გრძელია მეორეზე.

უმთავრესი ფონეტიკური მოვლენები

23. დიფთონგი. ორი ზედიზედ მომდევნო ხმოვნის იმგვარად გამოთქმას, რომ ერთმა მარცვალი შეადგინოს და მეორემ — არა, დ ი ფ თ ო ნ გ ი ეწოდება. მაგალითად, გურული კაცი რომ **ბევრ** ის ნაცვლად **ბეჳრი**'ო იტყვის, აქ **ეჳ** ერთ მარცვალს შეადგენს (ე მარცვლიანია და ჳ — უმარცვლო). ძველ ქართულში დიფთონგები ჩვეულებრივი მოვლენა იყო, მაგრამ უკვე საშუალმა სალიტერატურო ქართულმა დაკარგა დიფთონგების გამოთქმის უნარი და ამას სახელთა ფლექსიაში მნიშვნელოვანი შედეგი მოჰყვა (§§ 60, 74, 79).

24. ბგერათა გადასმა. ბგერათა თანამიმდევრობა ამა თუ იმ სიტყვაში ჩვეულებრივ მტკიცეა. „სახლ“ სიტყვაში, მაგ., ბგერათა თანამიმდევრობის დარღვევა არ იქნება, თუ გვინდა, რომ წარმოდგენა, რომელიც მასთანაა დაკავშირებული, არ შეგვეცვალოს. არ შეიძლება, მაგ., ვთქვათ ს ხ ა ლ ი ან ა ს ხ ლ ი ან ხ ა ლ ს ი და მისთ., არამედ აუცილებლად **ს-ა-ხ-ლ-ი**. მაგრამ ზოგ სიტყვაში, სხვადასხვა მიზეზის გამო, ვერ ვხედავთ ისეთ თანამიმდევრობას, როგორიც

მოსალოდნელია. მაგალითად, გვაქვს სიტყვა **ხუთ**-ი და არა *უთხ*-ი, ამიტომ (ა)თ-**ხუთ**-*მეტ*'ისაგან უნდა გვქონდეს თ-**ხუთ**-*მეტი* (რაც აქა-იქ კიდევაც გვხვდება), მაგრამ უფრო ხშირად გაისმის თ-**უთხ**-მეტი, სადაც **ხ** ასოს შესატყვისმა ბგერამ ადგილი გადაინაცვლა. ამგვარადვე ძველი (ა)თ-**რვა**-მეტ'ისაგან უნდა გვქონდეს თ-**რვა**-მეტი, მაგრამ გვაქვს თ-**ვრა**-მეტი.

ხშირია ქართულში ბგერათა გადასმა (მეტათესი), როდესაც ნარნარა **ნ რ ლ** ბგერებს **ვ** უნდა მოსდევდეს თანხმოვანთა თავმოყრის შემთხვევაში: შდრ. *ხნავ*-ს, მაგრამ *ხვნ*-ა; *ხრავ*-ს, მაგრამ *ხვრ*-ა; *კლავ*-ს, მაგრამ *კვლ*-ა და მისთ. (უნდა გვქონოდა: *ხნვ*-ა, *ხრვ*-ა, *კლვ*-ა; შდრ. მალავ-ს: *მალვა*, ხატავ-ს: *ხატვ*-ა და მისთ.).

25. ბგერათა შენაცვლება. ზოგჯერ ერთი ბგერაა მოსალოდნელი და მის მაგივრად სხვა ჩნდება ხოლმე. ასეთ მოვლენას შენაცვლებას (სუბსტიტუციას) ვეძახით; იმ ბგერას კი, რომელიც სხვას შეენაცვლა, ბგერინაცვალი ჰქვია. მაგალითად, ვამბობთ *ბზე*'-ო, მაგრამ იმ შენობას, სადაც ბზეს ვინახავთ, *საბძელ*'ს ვეძახით (და არა *საბზელ*'ს). ამ შემთხვევაში **ზ**-ს შეენაცვლა **ძ**. „ეპიფანეს“ ნაცვლად რომ „ეტიფანე“ გვხვდება („ესე მე ეტიფანეს კათალიკოზსა ჩემითა ჴელითა დამიწერია, ოდეს ანისს ეკლესიანი ვაკურთხენ“: ანისის წარწერა 1218 წლისა), ეს შენაცვლებაა (**პ** ბგერას შეენაცვლა **ტ**). შენაცვლების შემთხვევები განსაკუთრებით ხშირია ზმნის ფორმებში; მაგალითად, ერთი მხრით გვაქვს: **ჰ**-ყავს, **ჰ**-ქონდა, **ჰ**-პარავს; მეორე მხრით კი: **ს**-ძულს, **ს**-ძინავს, **ს**-თხოვს და მისთ.. ასეთი შენაცვლება ისტორიულია.

26. ასიმილაცია. ზოგჯერ ერთი ბგერა მეორის გავლენით შეიცვლება ხოლმე ისე, რომ მას დაემსგავსება. ამას ასიმილაციას (დამსგავსებას) ვეძახით. დამსგავსება შეიძლება იყოს *სრული* ან *ნაწილობრივი*.

სრული ასიმილაციის მაგალითია: *შიმშილი*. აქ უნდა გვქონოდა *სიმშილი*, რადგანაც იგი ნაწარმოებია **სი** პრეფიქსის საშუალებით, როგორც **სი**-რცხვილი, **სი**-რბილი, **სი**-კვდილი და ბევრი სხვა მისთ.. მაშასადამე, **სი**-მშილ-ის **სი** მარცვალში **ს** თანხმოვანი **შ**-დ იქნა შეცვლილი, რადგანაც მასზე მოქმედებს მომდევნო **შ**. ასეთივეა აგრეთვე **შ**იში, მიღებული **სი**-შ-ისაგან.

ნაწილობრივი ასიმილაცია ჩვეულებრივ იმაში მდგომარეობს, რომ გავლენა ხდება მხოლოდ რაიმე იერის მიხედვით, მაგალითად, ბგერის სიმკვეთრისა, ფშვინვისა ან ჟღერის მიხედვით, ან კიდევ სისინისა და შიშინის მიხედვით. ვთქვათ, ერთად უნდა მოხვდნენ ყრუ ფშვინვიერი **თ** და მჟღერი **ვ**: ერ**თ**+**გ**ული. პირველი მათგანი მეორის გავლენით მჟღერდება და გვაქვს ერ**დ**-**გ**ული. ვთქვათ კიდევ, ყრუ მკვეთრ **ტ**-ს ყრუ სპირანტი **ხ** უნდა მოხვდეს ხმოვნის ამოღების შემდეგ მათ შორის: ვტეხ: *ვტხდები. ბგერათა შეგუების გამო ყრუ სპირანტს შეენაცვლება ხშული მკვეთრი **ყ**, რომელსაც გამოიწვევს წინამავალი ხშული მკვეთრი **ტ** და ამას მივიღებთ: ვ**ტყ**დები. ასეთივე ამბავია **ჭიშკარ**'შიც: ეს სიტყვა წარმოშობით არის **ბჭის კარი**, მაგრამ თავში ბ-ს დაკარგვის შემდეგ უნდა მიგვეღო **ჭისკარი**, ნამდვილად კი გვაქვს **ჭიშკარი**. მაშასადამე, **ჭ**-ს გავლენით სისინა **ს** იქცა შიშინა ბგერად.

ნაწილობრივი დამსგავსების შემთხვევაა, როცა **-ით** დაბოლოება **გან** თანდებულის დართვის წყალობით **-იდ** სახეს მიიღებს: მაგ., ითქმის გულ-**ით**, სახ-

ლ-ით, ხ-ით, ქალაქ-ით და მისთ., მაგრამ, ამათ რომ გან დაერთო, მივიღეთ გულიდ-გან, სახლიდ-გან, ხიდ-გან, ქალაქიდ-გან და მისთ. (შდრ. § 93).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ასიმილაცია მეზობელ ბგერებს შორის ყოველთვის როდი ხდება. ქართულის ერთი ფონეტიკური თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მას შეუძლია ერთად მდგომი სხვადასხვა რიგის ბგერები ისე გამოთქვას, რომ მათ შორის ასიმილაცია არ მოახდინოს. ამის მაგალითებს იძლევა ვ მ გ ს პირის ნიშნების ხმარება: ჩვენთვის ისევე ადვილია ვბარავ სიტყვის თქმა, როგორც ამათი: ვფარავ და ვპარავ. ასეთსავე მაგალითებს წარმოადგენს: ვწერ, მწერ, გწერ, სწერს, ან კიდევ დ-ს ხმარება ვნებითი გვარის ზმნებში: სქდება (ან: სკდება), ავიწყდება და მისთ.

26 ა. ჰარმონიული ჯგუფები. ყ, ხ და ღ ჰარმონიულ ჯგუფებს ქმნიან წინამავალ სამეულ ბგერებთან (§ 17): ყ მკვეთრებთან (პყ ტყ წყ ჭყ), ხ სათანადო ფშვინვიერებთან (ფხ თხ ცხ ჩხ), ხოლო ღ სათანადო მჟღერებთან (ბღ დღ ძღ ჯღ). არ შეიძლება ამ ჯგუფებში ყ-ს ნაცვლად ხ ვთქვათ, ან ღ ან კიდევ პირიქით. მაგალითად, არ ითქმის ტხემალი ან ტღემალი, არამედ ტყემალი, არ ითქმის მერწხალი, ან მერწღალი, არამედ მერცხალი, არ ითქმის მარძხენა, არამედ მარცხენა და მისთ.

27. დისიმილაცია. ხანდახან ენაში ასიმილაციის საწინააღმდეგო მოვლენასაც აქვს ადგილი. თუ ერთ სიტყვაში ორი ერთნაირი ბგერაა მოსალოდნელი, შეიძლება, რომ ერთი მათგანი გადასხვაფერდეს, სხვა ბგერად იქცეს. ეს იქნება დისიმილაცია (გადასხვაფერება, გაარმსგავსება).

დისიმილაციის შემთხვევები ქართულში უმთავრესად რ ბგერაზე მოდის. ერთ სიტყვაში ორი რ ვერ ძლებს და ერთი მათგანი (უფრო ხშირად მეორე) ლ-დ გადაიქცევა ხოლმე. მაგალ., გვაქვს ურ სუფიქსი, რომლითაც ნაწარმოებია: კახ-ურ-ი, ფშა(ვ)-ურ-ი, ინგლის-ურ-ი, კაც-ურ-ი, მხეც-ურ-ი, ძაღლ-ურ-ი და მისთანანი, მაგრამ საკმარისია, რომ რ-ნარევი ფუძისაგან გავაკეთოთ ასეთი ფორმა, რომ ერთბაშად ურ სუფიქსი ულ'ად გადაკეთდეს: მაგ.: გორ-ულ-ი, რაჭ-ულ-ი, იმერ-ულ-ი, თათრ-ულ-ი, რუს-ულ-ი, ფრანგ-ულ-ი, ღორ-ულ-ი და მისთ. (მოსალოდნელი იყო: *გორ-ურ-ი, *რაჭ-ურ-ი, *იმერ-ურ-ი, *თათრ-ურ-ი, *რუს-ურ-ი, *ფრანგ-ურ-ი და მისთ.). ამგვარადვე მ—არ მაწარმოებელი მ—ალ'ად გადაიქცევა რ-გამორეული ფუძეებისაგან ნაწარმოებ სიტყვებში. მართლაც, გვაქვს ერთი მხრით მ-კვდ-არ-ი, მ-დნ-არ-ი, მ-ჭკნ-არ-ი, მ-ხმ-არ-ი და მისთ., მაგრამ მეორე მხრით: მ-ყრ-ალ-ი, მ-შრ-ალ-ი, მ-ქრ-ალ-ი, მ-კრთ-ალ-ი და მისთ.. აგრეთვე ითქმის ნიჭ-იერ-ი, გონ-იერ-ი, სულ-იერ-ი და მისთ., მაგრამ არ ითქმის *ხორც-იერ-ი, არამედ, დისიმილაციის ძალით. ხორც-იელ-ი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. უცხო ენებისაგან ნასესხებ სიტყვებშიც ორი რ-საგან ერთი ლ-დ არის ხოლმე გადაკეთებული: გრიგოლ, მარგალიტი და მისთ. მაგრამ ამ წესს არ ემორჩილება უახლოეს ხანებში ევროპული ენებიდან მწიგნობრული გზით შემოსული ტერმინები: რეჟისორი, რედაქტორი, დირექტორი, კორექტორი. პარტერი, ტროტუარი, ტრაქტორი, ორდერი და მისთ., რადგანაც დისიმილაციას ხელს უშლის ამ სიტყვების ხმარება იმავე პირების მიერ რუსულად საუბრის დროს. რუსულში კი — და ბევრ

სხვა ენაშიც — ორი **რ** ერთ სიტყვაში ჩვეულებრივი მოვლენაა. უსწავლელი ხალხის ენაში შეიძლება ასეთ სიტყვებშიც დისიმილაცია მოხდეს: დილექტორი, ორდელი და მისთ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. თუ **რ**-ნარევ ფუძეში **ლ**-ც არის (მაგრამ ისე, რომ ჯერ **რ** იყოს, შემდეგ **ლ**), **ურ** სუფიქსი უცვლელად რჩება: ქართლ-**ურ**-ი, ყარაქლის-**ურ**-ი, ავსტრალი-**ურ**-ი, მორალ-**ურ**-ი, კვარტალ-**ურ**-ი და მისთ. (მაგრამ: პოლარ-**ულ**-ი).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 3. დისიმილაცია არ ხდება ზოგიერთი ტიპის რთულ სიტყვაში, როგორიცაა:

ა) ფუძის გაორკეცების გზით მიღებული სიტყვები: რაკრაკი, ხარხარი, ფრაშფრაში (ხმოვნის გადასმით და შემდგომი ცვლილებით: ფარფაში, პარპაში) და მისთ.;

ბ) ორი სიტყვის შეერთებისაგან წარმომდგარი ერთი ახალი სიტყვა· არაფერი (არა-ფერი), როგორი (= რა გვარი).

27 ა. დისიმილაციური გამჟღერება: ორ ყრუ თანხმოვანთაგან ერთს შეიძლება დისიმილაცია მოუვიდეს და გამჟღერდეს, რასაც გ. ახვლედიანმა დისიმილაციური გამჟღერება უწოდა. ყრუ ბგერათაგან შეიძლება ორივე ერთნაირი იყოს (კრკო—გრკო), შეიძლება სხვადასხვა (პატარა—ბატარა). [ასეთი ფორმები მთის კილოებში გვხვდება]. ისტორიულად ცნობილია **ებისკოპოსი**, მიღებული **ეპისკოპოსისგან** (პ—კ→ბ—კ); ცნობილია აგრეთვე **კაპარჭი**-ც და **კაბარჭი**-ც (კ—კ→კ—ბ); **ჭაპუკი**-ც და **ჭაბუკი**-ც (პ—კ→ბ—კ). (უკანასკნელი მაგალითი შეიძლება სპარსულის ბგერათა გადაწევის ნიადაგზე იყოს წარმოშობილი). დისიმილაციური გამჟღერების შედეგია **პატ(რ)ონ**-ისაგან წარმომდგარი, **ბატონ**-ი (პ—ტ→ბ—ტ), რომლის ფარდი დღესაც **პატონ**-ი (ან **პატენ**-ი) არის მეგრულში. თვით „პატრონი“ ლათინურისგან შემოვიდა ქართულში.

ამავე მოვლენამ სვანურში **კოწახურ**-ისგან **გოწხ**-ირ მოგვცა (კ—წ→გ—წ), და **ლა-კურკა**-საგან **ლა-გურკა** მივიღეთ (კ—კ→გ—კ) [1]

28. ბგერათა დაკარგვა. ბგერათა დაკარგვა ჰქვია ისეთ მოვლენას, როცა მოსალოდნელი ბგერა სრულებით აღარ მოიპოვება არც თავის ადგილას, არც სხვა ადგილას გადასმული და არც სხვა ბგერით შენაცვლებული. მაგალითად, უნდა გვქონდეს „მამის-და“, მაგრამ გვაქვს „მამიდა“, სადაც დაკარგულია ბგერა **ს**. „დეიდა“-ში კი ორი ბგერაა დაკარგული: **დ** და **ს**, რადგანაც იგი ამ ფორმისგანაა მიღებული: „დე(დ)ი(ს)-და“. განსაკუთრებით ხშირია ქართულში შემდეგი შემთხვევები:

1. **ჰ**-ს დაკარგვა ხმოვნების წინ. ძველად იხმარებოდა ასეთი ფორმები: **ჰურია, ჰომი, ჰამბავი**, დღეს კი: **ურია, ომი, ამბავი.**

უცხო ენებიდან ძველად ნასესხებ სიტყვებში („ჰავის“ გარდა) აღარსად შეგვრჩა **ჰ** ბგერის ხმარება: **ალალი (ჰალალ**'ის ნაცვლად), **არამ**-ი (**ჰარამ**'-ის ნაცვლად), **უნარ**-ი (**ჰუნარ**'ის ნაცვლად), **ექიმ**-ი (**ჰექიმ**'ის ნაცვლად) და მისთ. **ჰ** ბგერის დაკარგვა ჩვეულებრივი ამბავია ზმნებში. მაგალითად, ვამბობთ:

[1] ლაგურკა წმ. კვირიკეს სიყდარია კალაში.

ჰ-ყავს, **ჰ-ქონდა** და მისთ., მაგრამ ამასთანავე ერთად: -უყვარს, -უნდა, -უსმენს, -უკეთებს, -აწერს, -აქვს, -ეგონა, -ეძინა და მისთ., მაშინ როდესაც აქ ყველგან მოსალოდნელია (და ძველად კიდევაც იყო) წინ **ჰ**: **ჰუყუარს**, **ჰუნდა**, **ჰუსმენს**, **ჰუკეთებს**, **ჰაწერს**, **ჰაქუს**, **ჰეგონა**, **ჰეძინა** და მისთ.. ასეთი დაკარგვა ისტორიულია.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ხელოვნური ხასიათი აქვს **ჰ**-ს შენახვას უცხო ენებიდან ახლად ნასესხებ სიტყვებში, როგორიცაა, მაგ., **ჰ**არმონია, **ჰ**ეგემონია, **ჰ**იპოთეზა, **ჰ**ორიზონტი, **ჰ**იდროსადგური და მისთ.

2. **ვ**-ს დაკარგვა ბაგისმიერი ბგერების მეზობლობაში:

ა) **ო**-სა და **უ**-ს წინ. მაგალითად, **თავ** სიტყვისაგან ნაწარმოებ სიტყვებში უნდა გვქონდეს: **თავ**-ობა, უ-**თავ**-ური და მე-**თავ**-ური, მაგრამ გვაქვს: **თა**-ობა. უ-**თა**-ური, მე-**თა**-ური. ამას გარდა, გვაქვს სიტყვები: **სანახავ**-ი, **ნათესავ**-ი, **მკითხავ**-ი, **ტყავ**-ი, **პატივ**-ი, **კივ**-ის, **ხევ**-ი, **ფშავ**-ი და მისთ., მაგრამ ამასთანავე ერთად მოიპოვება იმავე ფუძეებისაგან ნაწარმოები ფორმები: **სანახა**-ობა, **ნათესა**-ობა, **მკითხა**-ობა, ვეფხის-**ტყა**-ოსანი, **პატი**-ოსანი, **კი**-ოდა, **ხე**-ობა, **ფშა**-ური და მისთ.. აქ **ვ**-ს დაკარგვა ყველგან მომდევნო **ო**-სი და **უ**-ს ბრალია, ისე როგორც აქ: „დ ა თ ო, დ ა თ უ რ ა დ გაზდილო, მთა-ბარს დაჰდიხარ ღინჯადა“ (ვაჟა, I, 145).

ბ) **მ**-ს წინ. მაგ., **სვამ**-ს, მაგრამ სა-**სმ**-ელი (და არა სა-**სვმ**-ელი); ი-**ცვამ**-ს, მაგრამ ჩა-**ცმ**-ული, ტან-სა-**ცმ**-ელი; უ-**თქვამ**-ს, მაგრამ **თქმ**-ა; **კვამლ**-ი, მაგრამ **კმ**-ევ-ა და მისთ.

გ) **ო**-ს შორეულ მეზობლობაში (ე. ი. როცა იგი უშუალოდ მასთან კი არ არის, არამედ სხვა რამე ბგერითაა დაშორებული); მაგალ., **შვრ**-ება, მაგრამ **შრ**-ომა, **თვრ**-ება, მაგრამ ა-**თრ**-ობს, ს-**ძვრ**-ება, მაგრამ ა-**ძრ**-ობს და მისთ.. ასეთია აგრეთვე **გოდრ**-ები (და არა ***გოდვრ**-ები) და მისთ. (ნ. კიდევ § 31, შნშ. 1).

3. ორ ერთნაირ ბგერათაგან ერთ-ერთის დაკარგვა: ტანისამოსი (ტანის-სამოს'ისაგან), ცისარტყელა (ცის-სარტყელა'საგან), წუთისოფელი (წუთის-სოფელი), ცამეტი [(ა)ც-სამ-მეტ'ისაგან]. მადლობელი (მმადლობელ-ის ნაცვლად). წა-ვალ (ნაცვლად ამისა: წა-ვ-ვალ; შდრ. წა-ხ-ვალ). ასეთი მოვლენა ხშირია უცხო ენებისაგან სიტყვების სესხების დროს: კასა, შილერი, გრამატიკა და მისთ. (კასსა, შილლერ და გრამმატიკა ფორმების ნაცვლად).

4. თანხმოვანთა შეჯგუფების დროს ერთი მათგანის დაკარგვა. აქ განსაკუთრებით აღსანიშნავია **ს**-ს დაკარგვა:

ა) **თ**-ს წინ. ვამბობთ, მაგალითად, მიწა**ს**-თან, ხე**ს**-თან, წყარო**ს**-თან, მაგრამ ამასთანავე ერთად: სახლ-თან, კაც-თან, სკამ-თან, საზღვარ-თან (და არა სახლ**ს**-თან, კაც**ს**-თან, სკამ**ს**-თან, საზღვარ**ს**-თან) და მისთ. (§ 86). ასეთივე ამბავია აგრეთვე აქაც: აქვ**ს**, უყვარ**ს**, ახსოვ**ს**, ესმი**ს** და მსგავს ფორმებში **თ**-ს დართვისას **ს** შეიძლება დაიკარგოს ხოლმე: აქვ(**ს**)თ, უყვარ(**ს**)თ, ახსოვ(**ს**)თ, ესმი(**ს**)თ და მისთ.

ბ) **ზ**, **შ**, **ძ**-ს წინ. **ს** აქ იკარგება აუცილებლად, რადგანაც ამ შემთხვევაში მისი გამოთქმა ძალიან ძნელია; ამიტომ **ზე** და **ში** თანდებულთა წინ მიცემითი ბრუნვის ნიშანი **ს** აღარსად შეგვრჩა: წყალ**ს**, ქვა**ს**, მიწა**ს**, ხე**ს**, წყარო**ს**, მაგრამ: სახლ(ს)-ზე, ქვა(ს)-ზე, მიწა(ს)-ზე. ხე(ს)-ზე, წყარო(ს)-ზე და მისთ., ან კიდევ:

სახლ(ს)-ში, ქვა(ს)-ში, მიწა(ს)-ში, ხე(ს)-ში, წყარო(ს)-ში და მისთ. (§ 95). ამავე მიზეზით **ს** დაიკარგა **ძე**'ზე და **შვილ**'ზე გათავებულ გვარებში; მაგალ., საკაძე და გურამიშვილი ასეთი ფორმებისაგანაა წარმომდგარი: საკას-ძე, გურამის-შვილი.

იკარგება **მ** თანხმოვანთა თავმოყრის გამო: მბრწყინვალე>ბრწყინვალე.

იკარგება **რ** თანხმოვანთა თავმოყრის გამო: მთელი (=მრთელი), მობძანდი (=მობრძანდი), ახალგაზდა (=ახალგაზრდა) და მისთ.

ზოგჯერ იკარგება ხმოვნებს შორის **დ**: დედის და>დეიდა. ისტორიულად დამოწმებულია **ტ ზ ც** თანხმოვანთა დაკარგვაც ხმოვნებს შორის: ჩხეტის-ძე>ჩხეიძე (ჩხეტია მეგრულად), მჴეცის-ძე>მხეიძე (ხეცია მეგრულად), დარბაზის ერი>დარბაის ერი>დარბაისელი (ნახე კიდევ „ნაზირი" 159-ე პარაგრაფში).

29. რედუქცია. ბგერათა დაკარგვის ერთ სახეს წარმოადგენს ზოგიერთ ხმოვანთა რედუქცია.

რედუქცია საზოგადოდ ერთი ბგერის მეორე ბგერამდე დაყვანაა დასუსტების გზით. ვთქვათ, **ო** ხმოვანმა მარცვლის შედგენის ძალა დაკარგა, ეს რედუქცია იქნება; მაგალითად, **მაწონ** სიტყვაში **ო** მარცვლიანია, მაგრამ მისი **ო** რომ უმარცვლო შეიქნეს და ამგვარად **მაწონ** ფუძე ორი მარცვლის ნაცვლად ერთმარცვლიანი გახდეს, ეს ო-ს რედუქცია იქნება. ასეთი ამბავიც ხდება, მაგრამ დასუსტებულ **ო**-ს **ვ** შეენაცვლება და ფუძე მიიღებს ასეთ სახეს: **მაწვნ** (**მაწვნ**-ისა, **მაწვნ**-ითა, სა-**მაწვნ**-ე). ხმოვნის დასუსტება ზოგჯერ სრულ მის გაქრობამდე მიდის, სახელდობრ, როცა რედუქცია მოუდის **ა**-სა და **ე**-ს. ამათი დასუსტების შედეგად არარაფერი გვაქვს, მაშინ როდესაც **ო**-ს რედუქციის შედეგად ჩვეულებრივ **ვ** გვაქვს ხოლმე. რაც შეეხება **ი**-სა და **უ**-ს, ისინი ქართულში საზოგადოდ მყარი ბგერებია და რედუქციას ჩვეულებრივ არ განიცდიან. რედუქცია, მაშასადამე, ქართულში ეხება სამ ხმოვანს: **ა**-ს, **ე**-სა და **ო**-ს, რომელთაგანაც მხოლოდ უკანასკნელი ტოვებს კვალს. რედუქცია (მიუხედავად იმისა, ტოვებს ხმოვანი კვალს თუ არა) აუცილებლად მარცვალთა შემცირებას იწვევს, ანუ ფუძის შეკუმშვას.

29 ა. სინკოპე. ფუძის შეკუმშვისას რომ ხმოვანი სრულად იქნეს ამოღებული და არავითარი კვალი არ დატოვოს, ამას სინკოპე ჰქვია. სინკოპის მაგალითებია: მართალი—მართლის, მაგარი—მაგრად, სოფელი—სოფლები, მტერი—მტრულად და მისთ.

30. ფუძეთა შეკუმშვის მიზეზი. ხმოვნის დასუსტება და მისი უმარცვლოდ ქცევა ან მისი სრული ამოღება (ს ი ნ კ ო პ ე) განსაზღვრულ პირობებში ხდება, სახელდობრ მხოლოდ მაშინ, როცა ფუძეს ბოლოდან დაერთვის ისეთი მაწარმოებელი ელემენტი, რომელიც ხმოვნით იწყება. ამასთანავე ერთად რედუქცია შეიძლება მოუვიდეს მხოლოდ იმ ხმოვანს, რომელიც უახლოესია ამ დართულ ელემენტთან, ე. ი. ფუძის უკანასკნელ ხმოვანს (თუ ფუძე ორი ან მეტი მარცვლისგან არის შემდგარი). **ნაბად**, **კედელ** და **მაწონ** სიტყვებში, რომლებიც ორ-ორი მარცვლისგანაა შემდგარი, შეიძლება მხოლოდ მეორ-მეორე ხმოვანს მოუვიდეს რედუქცია: **ნაბდ**-ისა, **კედლ**-ები, **მაწვნ**-ით (და არა პირველს: *ნბად-ისა, *კდელ-ები, *მწონ-ით). **მასწავლებელ** სიტყვაში — მხოლოდ უკანასკნელ ფუძისეულ ხმოვანს: მასწავლებლ-ისა. რომ ნათელი იყოს, თუ რა **გან-**

...ავშირებაა ხმოვნით დაწყებულ და თანხმოვნით დაწყებულ მაწარმოებელ ელე-
...ნტებთა დართვის ძალას შორის, ავიღოთ მაგალითისთვის **სომეხ** სიტყვა და და-
...ურთოთ თანხმოვნით დაწყებული სუფიქსებიცა და ხმოვნით დაწყებულებიც.
...ირველ შემთხვევაში ფუძეს არა მოუვა რა, მეორე შემთხვევაში კი გვექნება
...უძისეული ხმოვნის ამოღება და, როგორც ამის შედეგი, ფუძის შეკუმშვა.

თანხმოვნით დაწყებული სუფიქსები (ფუძე შეუკუმშავია: ს ო მ ე ხ)	ხმოვნით დაწყებული სუფიქსები (ფუძე შეკუმშულია: ს ო მ ხ)	სუფიქსის დასაწყისი ბგერაა
	სომხ-ად	ა
სომეხ-მა	ნა-სომხ-არი	„
„ -სა	სომხ-ები	ე
„ -თა	სომხ-ეთი	„
„ -ნი	სომხ-ისა	ი
	სომხ-ით	„
	სომხ-ობა	ო
	უ-სომხ-ო	„
	სომხ-ური	უ

ხმოვნებით დაწყებულ მაწარმოებლებს შორის გამონაკლისს შეადგენს მხო-
...ლოდ ორი: **-ი**, რომელიც სახელობითი ბრუნვის ნიშანია, და **-ო**, რომელიც წო-
...დებითში დაერთვის სიტყვას: ითქმის **სომეხ-ი** (და არა: **სომხ-ი**), **სომეხ-ო** (და
...არა: სომხ-ო). ეს გამონაკლისი გასაგები ხდება ამ ნიშანთა წარმოშობის ისტო-
...რიის გათვალისწინებით.

31. ფუძეთა შეკუმშვის შემთხვევები. შეიძლება შეიკუმშოს როგორც
...ერთ-მარცვლიანი, ისე ორ- და მეტ-მარცვლიანი ფუძეც, მაგრამ, როცა ფუძე
თანხმოვნით თავდება, უფრო მაშინ, თუ ბოლოში ასეთი მარცვლებია: **ალ, ელ;
ან, ენ; არ, ერ; ამ, ემ; ავ; ოლ, ონ, ორ.** მაგალითები:

ალ, ელ: წყალ-ი, ძვალ-ი, რძალ-ი, ეკალ-ი, კაკალ-ი, ფიწალ-ი, ნამგალ-ი,
...კედელ-ი, სოფელ-ი, მასწავლებელ-ი და სხვ.

არ, ერ: მხარ-ი, ქმარ-ი, შაქარ-ი, ზამთარ-ი, სტუმარ-ი, მტერ-ი და სხვ.

ან, ენ: საგან-ი, გუთან-ი, ალაზან-ი, ბერძენ-ი და სხვ.

ავ, ამ: კარავ-ი, ქათამ-ი, ატამ-ი და მისთ. (სხვა მაგალითები: § 68).

ავ-ზე და **ამ**-ზე გათავებული ფუძეები განსაკუთრებით ხშირია ზმნებში:
...ვმალ-ავ—მალ-ვ-ა, მალ-ვ-ენ; ვხატ-ავ—ხატ-ვ-ა; დავაბ-ამ—დაბ-მ-ა. მოვარტყ-
...ამ—მორტყ-მ-ა და მისთ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. ნარედუქციალი **ო**-ს შედეგად **ვ** უნდა მივიღოთ
აუცილებლად: **იორი—ივრისა, ნიორი—ნივრისა, ნიგოზი—ნიგვზისა, მინ-
დორი—მინდვრები** და მისთ.; მაგრამ, თუ ზოგჯერ ასეთი შედეგი არა
გვაქვს, უთუოდ რაიმე ბაგისმიერი ბგერის მეზობლობის ბრალი იქნება
(**პ, ბ, ფ, მ, ო**-სი): საპონ-ი—საპნ-ისა, ობოლ-ი—ობლ-ები, ფოთოლ-ი—
ფოთლ-ად, ქოჩორ-ი—და-ქოჩრ-ეს და მისთ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. ერთ-მარცვლიანი უკუმშველი სიტყვა შეიძლება შეი-
კუმშოს, თუ ის რთული სიტყვის (კომპოზიტის) შემადგენელ ნაწილად

იქცა და ბოლოში მოჰყვა: კარი—კარისა, მაგრამ: ცისკარი—ცისკრისა; ბერი—ბერისა, მაგრამ: დედაბერი—დედაბრისა და მისთ.

32. შეკვეცა. შეკვეცა (აპოკოპე) ჰქვია, როცა ხმოვანს ბოლო ადგილი უჭირავს ფუძეში და იგი მომდევნო სუფიქსის დართვის გამო ამოღებული იქნება; მაგ., ღვინო: ღვინ-ისა, სა-ღვინ-ე; დედა: დედ-ისა, დედ-ები და მისთ..

33. ჩართვა. ბგერათა დაკარგვის საწინააღმდეგო მოვლენას წარმოადგენს ეგრეთ წოდებული ჩ ა რ თ ვ ა, ე. ი. ისეთი ბგერის გაჩენა, რომელიც სხვა ფორმების მიხედვით მოსალოდნელი არ არის. მაგალითად, გვაქვს თანდებული **ზე** (ვთქვათ, ასეთ მაგალითებში ხმარებული: ფეხ-**ზე**, თავ-**ზე**, მთა-**ზე**), რომლისაგანაც ნაწარმოებია ზე-ვ-ით. მიუხედავად იმისა, რომ **-ით** სუფიქსის დართვა არ მოითხოვს საზოგადოდ **ვ** ბგერის გაჩენას (მაგ., დან-**ით**, ფანქრ-**ით**, კალმ-**ით** და სხვ.), იგი აქ ჩნდება **ე**-სა და **ი**-ს შორის. ასეთსავე **ვ**-ს განვითარებას აქვს ადგილი ამ შემთხვევაშიც: ა-ქვა-**ვ**-ებს, ა-ტყვე-**ვ**-ებს, აჯადო-**ვ**-ებს და მისთ.

34. შერწყმა. შერწყმა ჰქვია ორი ბგერისაგან ერთის წარმოშობას მათი შეერთების ნიადაგზე: **აუ** ჯგუფმა რომ **ო** მოგვცა „დედა-უფალ“-ში (დედა-უფალი→დედოფალი), ეს შერწყმაა. ათ-**სამ**-მეტის ნაცვლად რომ (ა)ცამეტი მივიღეთ **(თს→ც)** და ათ-შვიდმეტის ნაცვლად (ა)**ჩ**ვიდმეტი **(თშ→ჩ)**, ესეც შერწყმის მაგალითებია.

შერწყმისავე მაგალითებია **ო**-დ ქცევა **უა** ჯგუფისა, სადაც **უ** უმარცვლოა. ასეთი ქცევა ჩვეულებრივია მოხეურსა და მთიულურში, ნაწილობრივ აგრეთვე ფშაურსა და კახურშიც: გუარი→გორი, თუალი→თოლი, კუალი→კოლი, ცხუარი→ცხორი და სხვ.. ქართული სალიტერატურო ენა საზოგადოდ ასეთ შერწყმას გაურბის. გამონაკლისის სახით გვხვდება: „კომლი“ (=კუამლი, „მოსახლის“, „ოჯახის“ მნიშვნელობით) და „როგორი“, რომელიც ასეა მიღებული: რა გუარი→რა გორი და შემდეგ ხმოვანთა ასიმილაციის გზით: როგორი. ამავე სიტყვას დასავლურ კილოებში ხმოვნები შენახული აქვს, ცვლილება თანხმოვნებშია მომხდარი: რა (გ)ვარი, რავა(რ)ი. კითხვა იციან: რავა ხარ? [=რა (გ)ვა(რ) ხარ=როგორ ხარ].

35. ხმოვანთა ჯგუფების ტენდენცია. ზოგიერთ ხმოვანთა ჯგუფს ტენდენცია აქვს, რომ სხვა ჯგუფი მოგვცეს:

1. **ეა→ია.** ზოგიერთ კილოში (მაგ., ფშაურში და აქედან ვაჟას ენაში): მიამა, გიამა, იამა (=მეამა, გეამა, ეამა); „ჭრელი პეპელა დაათრო და გააბრუა იამა: მას მიეპარა ყმაწვილი, დაიჭირა და ი ა მ ა“. ხალხ.); „იქვე დავმარხე კლდის თავზე, სამარე გავუთხარია“ (ვაჟა): გავუთხარია=გავუთხარეა.

2. **ოე→უე:** მუელი (=მოელი, მოველი, მოვედი), მთხუელი (=მთხოველი) და სხვ.. სალიტერატურო ენა ასეთ ტენდენციას გაურბის, თუმცა აქა-იქ შეიძლება შეგვხვდეს: ხბუები (|| ხბოები), გოგუები (=გოგოები) და მისთ.

3. **ოა→უა:** ძალუა (=ძალო-ა); „არ მოგხვდაუა“ (ვაჟა, «ალუდა ქეთ.»=არ მოგხვდაო-ა). ეს მოვლენა ძალიან გავრცელებულია საკუთარ სახელებში: ბერუა, გიგუა, ნინუა, ვასუა და სხვ.

35 ა. ს თანხმოვნის ცვალება ზოგიერთი თანხმოვნის წინ ძველ ქართულში. ს ბგერას მიდრეკილება ჰქონდა, რ-დ ქცეულიყო ძველად **თ ძ ჯ ჳ**

ანხმოვნების წინ, მათთან უშუალო მეზობლობაში, ე. ი. **სთ, სძ, სჭ, სჯ** კომპ-ლექსების ნაცვლად წარმოიშობოდა (შესაბამისად) **რთ, რძ, რჭ, რჯ**. ამ მოვლენის ედეგად ასეთი ვითარება გვაქვს:

ძველი ქართ.	ახალი ქართ.
სთვა	რთვა
სთუელი	რთველი
სძალი	რძალი
სძე	რძე
ვასჭობ (ვაშჭობ)	ვარჭობ
სჯული (შჯული)	რჯული

ძველი ვითარება ზოგჯერ რამდენადმე დღესაც იჩენს თავს აქა-იქ; მაგ., **თ** კომპლექსი (**სთვა**-სა და **სთუელ**-ში) **სტ**-დ იქცა და **სტვა** (სტავს) და **სტველი** ოგვცა გურულში (**სტველი** — შემოდგომა გურიაში, **რთველი** — ყურძნის კრე-ფა, ყურძნის კრეფის დრო ქართლ-კახეთში). **შჭობა** დღესაც შემონახულია ხევ-ურულში. ანდაზაა: „სხვათა ნასროლ ისარივ ყუნჭს ეშჭვავ" (სხვების ნასრო-ლი ისარიო კუნძს ერჭოო, ე. ი. მიზანს ვერ მოხვდაო). იმავე ხევსურულში **სძ** ომპლექსის ნაცვლად გვაქვს **სზ>ზ**: **ზის ცვარნი** („რძის ცვარნი", რძე), **ზალი** ძალი, რძალი), **ქალ-ზალი**—ქალები (გაუთხოვარიცა და რძლად შემოყვანილი ვარში).

§36. ანალოგია. გრამატიკაში ხშირად ანალოგიურ წარმოებაზე გვიხდება აუბარი.

ა ნ ა ლ ო გ ი ა ჰქვია რამე ფორმის გაჩენას სხვა ფორმის მიმსგავსებით. ავისი ხასიათის მიხედვით ანალოგია შეიძლება იყოს ფონეტიკური, მორფო-ოგიური ან სინტაქსური. მაგალითები ფონეტიკური ანალოგიისა:

1. გვაქვს ფუძე **ფრ**, რომლისგანაც ნაწარმოებია **ფრ**-იადი და უ-**ფრ**-ოსი. აგრამ ამის გვერდით მოგვეპოვება აგრეთვე ფუძე **მცირე**, რომლისგანაც ნა-არმოებია უ-**მცრ**-ოსი. **უფროს-ი** და **უმცროს-ი** ერთიმეორის საწინააღმდეგო ნებას შეიცავენ და ერთიმეორის დასაპირისპირებლად ხშირად იხმარებიან რთად (მაგალ., „უფროს ძმას ალექსანდრე ერქვა, უმცროსს კი—ივანე", „უფ-ოსი და ორი წლით ადრე გათხოვდა, ჭიდრე უმცროსი" და მისთ.). ამის გამო უმცროს" სიტყვის გავლენით „უფროს" სიტყვაში **მ** გაჩნდა ზოგ-ზოგ კილოში მბობენ: „**უ-მ-ფროსი**"-ო).

2. თ-**ხუთ**-მეტ'ის ნაცვლად რომ თ-**უთხ**-მეტ-ი მივიღეთ, ეს თ-**ოთხ**-მეტ'ის ნალოგიით აიხსნება.

3. ახალ ქართულში გვაქვს მიმართულების მაჩვენებელი ზმნისწინი **ა-**(ზე-ით), **და-** (ქვევით), **შე-** (გარედან შიგნით), **გა-** (შიგნიდან გარეთ); მაგალ., -ვიდა, **და**-ვიდა, **შე**-ვიდა, **გა**-ვიდა და სხვ.. ძველად კი პირველი მათგანის აცვლად გვქონდა **აღ-** (რომელიც ეხლაც კი გვაქვს ზოგ სიტყვაში დარჩენილი: **ღ**-სასრული, **აღ**-ტყინება, **აღ**-მოსავლეთი, **აღ**-ფრთოვანება და მისთ.). ამიტომ ველად ნაწარმოები იყო აღ-მართ, და-მართ („თავსა დამართ სცემდა", შუშა-იკის წამ.), შე-მართ, უკუმართ („შეხუკრნეს ჴელნი უკუმართ ანდრიას": იმოდასლვაჲ მოციქულთაჲ. ი. ჯავახიშვილი, ქართ. პალეოგრაფია, 1949,

გვ. 359). და მისთ.. მაგრამ **ალ-მართ** ის გავლენით **ლ** გაჩნდა იქ, სადაც ის არ იყო მოსალოდნელი: და-ლ-მართი, წა-ლ-მართი, უკუ-ლ-მართი და მისთ.. მაშასადამე, **ლ** ბგერის გაჩენა ამ ფორმებში **ალმართ**'ის გავლენით აიხსნება.

4. უკანასკნელ, ერთი მაგალითიც: ქართულში გვაქვს ნაწილაკები: **არ(ა)** და **ნუ.** ამათგან ნაწარმოებია **არ(ა)-ვინ** და **ნუ-ვინ.** („ნუვინ იტყვის ობლობისა ვაებას, ნუვინ ჩივის თავის უთვისტომობას“, ნ. ბარათ.). მაგრამ პირველი მათგანის გავლენით მეორე ასე გადაკეთდა: **ნურავინ.** აქაც, მაშასადამე, ანალოგიასთან გვაქვს საქმე.

87. კონტამინაცია. თუ ერთმა ფორმამ ისეთი გავლენა მოახდინა მეორეზე, რომ შეჯვარების შედეგად მივიღეთ მესამე, რომელსაც ორივე მათგანის ნიშნები აქვს, ეს იქნება კონტამინაცია. მაგალითები:

1. გვაქვს სიტყვა „ჰაერი“, რომელიც ბერძნულია წარმოშობით და **ჰ** არ უნდა: **აერი** (აქედანაა ნაწარმოები ნელად შემოსული „აეროპლანი“). ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ გამოცემულს ხანმეტი აპოკრიფის ნაწყვეტში იკითხება: „ალტყორცა ზე აერთა“ (თბ. უნ. მოამბე, II, 391). სპარსულიდანაც შემოსულა „ჰავა“, რომელსაც იგივე მნიშვნელობა ჰქონდა, რაც „აერს“. „ჰავის“ ზეგავლენით „აერს“ წინ დართვია „ჰ“ და მივიღეთ „ჰაერი“, რომელიც უკვე X—XI სს. ძეგლებში გვხვდება (საქმ. მ. 22,23; I კორ. 9,26; ეფ. 2,2; I თეს. 4, 17). მართალია, „ჰავაც“ დარჩა ხმარებაში, მაგრამ მან მნიშვნელობა იცვალა: ის დღეს ქართულში კლიმატს აღნიშნავს. „აერიც“ დარჩა, მაგრამ მერმინდელი ბერძნ. გამოთქმით: ა ი რ ი, რომელსაც უკანასკნელ ხანებში გ ა ზ ი ს მნიშვნელობა მიეცა (აქედანაა: „აირწინაღი“).

2. გვაქვს ზმნები: „დაეწია“, „მიეწია“, მაგრამ ამასთანავე ერთად: „თავი დაახწია“, რომელსაც ძველად **რ** ახლდა კიდევ: „თავი დაახრწია“ (ვნებ. „დაეხრწევის“, „დაეხრწეოდა“). „თავი დაახრწია“ ნიშნავს: თავი გაითავისუფლა (ძირია: ხერწ, ჰერწ; აქედან: სომხ. *q-երծ-անել* „გამოხსნა, განთავისუფლება“). „დაეწია“-სი და „მიეწია“-ს საწყისი იქნება: „დაწევა“, „მიწევა“. „დაწევა“-ს არა მოუვიდა რა (მნიშვნელობის დიფერენციაციის საჭიროებამ დაიცვა), „მიწევა“ კი „თავის დახწევის“ გავლენით „მიხწევად“ გადაკეთდა: მივახწიეთ, მივახწევთ და სხვ.. შემდგომ ამას **ხ**-ს გამჟღერებაც მოჰყვა (**ალ** ზმნისწინის გავლენით) და შედეგად გვაქვს: „მიღწევა“, მრ. „მიღწევები“.

3. „მოდიოდი“-მ რომ „მოხვიდოდი“-ს **ხ** შეიძინა, ესეც კონტამინაციის შედეგია. გვაქვს პარალელური ფორმები **ვიდ** და **დ**-ენა ზმნათაგან: **ვიდ**—მოვიდოდი, მოხვიდოდი, მოვიდოდა; **დი**—მოვდიოდი, მო(ს)დიოდი, მოდიოდა. ამათგან ახალ ქართულში უპირატესობა უკანასკნელს მიეცა, მაგრამ ერთ კილოში მეორე პირის ფორმაში შეჯვარება მოხდა: მოვდიოდი, მოდი**ხ**ოდი (ან: მოსდი**ხ**ოდი), მოდიოდა [ასე ლაპარაკობენ გლოლასა და ღებში (რაჭაში, რიონის სათავეებში)].

მორფოლოგია

ზოგადი

38. ძირი, ფუძე, აფიქსი. სიტყვათა მორფოლოგიური ანალიზი, ანუ მათი დაშლა შემადგენელ ნაწილებად, გამოჰყოფს ფუძესა და მაწარმოებელ ელემენტებს, რომელთაც თავ-თავისი მნიშვნელობა აქვთ. თვითეული მაწარმოებელი ელემენტი, რომელსაც გარკვეული ფუნქცია ახლავს, წარმოადგენს მორფემას (ფორმანტს); მაგ., „შეაქებს“ სიტყვაში, სხვადასხვა ფორმის შეპირისპირების ნიადაგზე (შეაქებს, შეაქებ, აქებ, იქებ, უქებ, აქო, უქო, იქე და სხვ.), გამოიყოფა შემდეგი ელემენტები: **შე-ა-ქ-ებ-ს.** თვითეულ მათგანს თავისი მნიშვნელობა ახლავს, რომელთა დადგენა მორფოლოგიის საქმეა. ერთი მათგანი იქნება **ფუძე** (ამ შემთხვევაში: ქ ელემენტი), რომელთანაც დაკავშირებულია ძირითადი ლექსიკური მნიშვნელობა სიტყვისა. ფუძეს, რომელიც შემადგენელ ნაწილებად აღარ დაიშლება, **ძირი** ეწოდება.

ფუძეზე დართულ ყოველგვარ მორფემას *აფიქსი* (სართი) ჰქვია. წინ დართულ აფიქსს პრეფიქსი (თავსართი) ჰქვია, ბოლოში დართულს — სუფიქსი (ბოლოსართი), შუაში ჩართულს კი — ინფიქსი (ჩასართი).

39. ორგვარი ცვალება სიტყვისა. სიტყვის ცვალება ორგვარია: ერთი გვაძლევს ფორმებს, რომელთაც აერთიანებს ერთი და იგივე ლექსიკური მნიშვნელობა (კაც-ი, კაც-მა, კაც-ს, კაც-ო; ჭამ-ს, ჭამ-დ-ა, ჭამ-ა, ჭამ-ო-ს), მეორე კი წარმოადგენს სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის მოდიფიკაციას (კაც-ი, კაც-ურ-ი, კაც-ობა, კაც-ებ-ი; ჭამ-ს, ა-ჭმ-ევ-ს, მო-ს-ჭამ-ს). პირველი გვარის ფორმა-ცვალებას, რომელიც ერთი სიტყვის ფარგლებში ხდება, *მიმოხრა* (ფლექსია) ეწოდება, მეორე გვარის ფორმა-ცვალებას კი, რომელიც ერთი სიტყვის ფარგლებს ჰშორდება, *წარმოქმნა* (დერივაცია) ეწოდება.

მიმოხრა და წარმოქმნა (შესაბამისად: ფლექსია და დერივაცია, **словоизменение и словообразование**) ორი სხვადასხვა სახეა სიტყვათა ცვალებისა.

შენიშვნა 1 მტკიცე მზღვარი ამ ორი სახის ფორმა-ცვალებას შორის ქართულში არ არის დადებული: ერთი და იგივე მორფემა შეიძლება სასიტყვათშორისო ურთიერთობის შესაცვლელადაც იქნეს გამოყენებული და ლექსიკური მნიშვნელობის შესაცვლელადაც, ე. ი. მიმოხრასაც განეკუთვნებოდეს და წარმოქმნასაც.

შენიშვნა 2. მეორე სახის ფორმა-ცვალებას წარმოებასაც ეძახიან. მაგრამ „წარმოება“ უფრო ფართო მნიშვნელობის მქონეა, — ის ორივე სახის ფორმა-ცვალებას აღნიშნავს; ვამბობთ: მოთხრობითი ბრუნვის ფორმას *აწარმოებს* **მა** (ამხანაგ-**მა**), გეოგრაფიულ სახელებს *აწარმოებს* **ეთ** (სვან-**ეთ**-ი) და სხვ.

40. გრამატიკული კატეგორია. ცნება, რომლის გამოსახატავად ენას მოეპოვება გარკვეული გრამატიკული საშუალება, წარმოადგენს გრამატიკულ კატეგორიას. გრამატიკული კატეგორია შეიძლება იყოს მორფოლოგიური ან სინტაქსური.

მ ო რ ფ ო ლ ო გ ი უ რ ი კატეგორია ყალიბდება თანაზომიან ფორმათა შეპირისპირების ნიადაგზე; ასეთებია: a) ს ა ხ ე ლ ე ბ შ ი: ბრუნვა და რიცხვი; b) ზ მ ნ ე ბ შ ი: პირი, რიცხვი, დრო, კილო, მწკრივი, ასპექტი, გვარი, ქცევა და სხვ.. თვითეული საპირისპირო ფორმა თავისთავად კატეგორიაა; მაგ., რიცხვში ვარჩევთ მხოლობითისა და მრავლობითის კატეგორიას; პირში ვარჩევთ ერთი მხრით სუბიექტური პირისა და ობიექტური პირის კატეგორიას, მეორე მხრით კი პირველისა, მეორისა და მესამე პირისას.

ს ი ნ ტ ა ქ ს უ რ ი კატეგორია ყალიბდება იმის მიხედვით, თუ რა ფუნქცია აქვს სიტყვას წინადადებაში (სუბიექტი, ობიექტი და სხვ.). ისიც შეპირისპირების ნიადაგზეა შექმნილი.

ჩვეულებრივია, რომ ერთი და იგივე სიტყვა ერთი ნიშნის მიხედვით ერთ კატეგორიას განეკუთვნებოდეს, სხვა ნიშნის მიხედვით კი — სხვა კატეგორიას.

41. მეტყველების ნაწილები. ქართულში არსებული სიტყვების მთელ მარაგს ჰყოფენ შემდეგ დარგებად, რომელთაც „მეტყველების ნაწილებს" ეძახიან; ეს დარგებია:

1. **არსებითი სახელი:** დედა, ღრუბელი, სიფხიზლე, ვაჟკაცობა და სხვ.
2. **ზედსართავი სახელი:** შავი, მლაშე, დიდი, კლდოვანი და სხვ.
3. **რიცხვითი სახელი:** სამი, რვა, თერთმეტი, ათასი და სხვ.
4. **ნაცვალსახელი:** მე, ის, თქვენ, ვინ, როგორი და სხვ.
5. **ზმნა:** ვლებავ, ვხნავ, ვაწყობ, ვწევარ, ვიცინი და სხვ.
6. **ზმნიზედა:** მანდ, იქ, ხვალ, შარშან და სხვ.
7. **თანდებული:** მიერ, გამო, -ზე, -ში და სხვ.
8. **კავშირი:** მაგრამ, როცა, თუმცა და სხვ.
9. **ნაწილაკი:** არ, თურმე, ხოლმე და სხვ.
10. **შორისდებული:** ოჰ! ვაშა! და სხვ.

ძველი ქართულისთვის ამათ ემატება კიდევ **ნაწევარი,** რომელიც რიგით ნაწილაკის შემდეგ მოდის:

9. **ნაწილაკი.**
10. **ნაწევარი:** ესე, ეგე, იგი (კაცი ე ს ე, კაცი ე გ ე, კაცი ი გ ი).
11. **შორისდებული.**

პირველი ოთხი ჯგუფი მეტყველების ნაწილებისა **სახელებია,** შემდეგ მოდის **ზმნა.** სახელი და ზმნა კარგად უპირისპირდებიან ერთმანეთს. დანარჩენი მეტყველების ნაწილები კი შეგვიძლია გავაერთიანოთ **უდეტრების** სახელით, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ ისინი არც სახელებია და არც ზმნები. მაშასადამე, გვექნება სამი ჯგუფი:

I. **სახელები** (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი).

II. **ზმნები** (ერთ-პირიანი, ორ-პირიანი, სამ-პირიანი, მოქმედებითი. ვნებითი და სხვ.).

III. **უდეტრები** (ზმნიზედა, თანდებული, კავშირი, ნაწილაკი, ნაწევარი, შორისდებული).

აღნიშნული კლასიფიკაცია მიღებულია არა ერთის, არამედ სხვადასხვა საკლასიფიკაციო ნიშნის მიხედვით: ლექსიკურისა, მორფოლოგიურისა, სინტაქსურისა. ამიტომ აღნიშნული „მეტყველების ნაწილები" არ წარმოადგენენ ისეთ ოდენობას, რომ ისინი გრამატიკული თვალსაზრისით თანაბრად შეეზომებოდნენ ერთმანეთს. მიუხედავად ამისა, ასეთი დაყოფით ტრადიციულად შემუშავებულ ტერმინებს შეიძლება დღესაც ჰქონდეს ტექნიკური გამოყენება მეცნიერულ გრამატიკაში, რადგანაც თვითეული „მეტყველების ნაწილი" გარკვეული გრამატიკული ნიშნების მატარებელია, მორფოლოგიურისა ან სინტაქსურისა, და რაიმე ნიშნის მიხედვით განსხვავებული დანარჩენებისაგან.

42. კლასიფიკაციის გრამატიკული საფუძველი. მარტო გრამატიკული ნიშნების მიხედვით სიტყვების დაყოფა შეიძლება მოხდეს მორფოლოგიურს ან სინტაქსურ საფუძველზე.

მორფოლოგიური თვალსაზრისით ქართული სიტყვები ორ დიდ ჯგუფად იყოფა: ერთ ჯგუფს შეადგენს ფორმა-ცვალებადი სიტყვები, მეორეს კი — ფორმა-უცვალებლები. ფორმა-ცვალებადთა ჯგუფში შედიან სახელები (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი), ზმნები და ნაწევრები. ფორმა-უცვალებელთაში კი — უდეტრები: ზმნიზედა, მხლებელი (ნაწევრის გამოკლებით, ე. ი. თანდებული, კავშირი, ნაწილაკი) და შორისდებული.

ფორმა-ცვალებადი სიტყვები თავის მხრივ ორ ქვეჯგუფად იყოფა; ესენია: სახელები ნაწევრებითურთ და ზმნები. სახელებსა და ნაწევრებს ახასიათებს ბრუნება, ანუ ფორმა-ცვალება ბრუნვათა მიხედვით, ხოლო ზმნებს — უღლება, ანუ ფორმა-ცვალება პირთა მიხედვით ამა თუ იმ მწკრივში. სახელ-ზმნები კი (ე. ი. უპირო ფორმები ზმნისა: საწყისები და მიმღეობანი) წარმოადგენენ სახელისა და ზმნის საზიარო ფორმებს: ისინი სახელის მორფოლოგიურ ნიშანსაც გვიჩვენებენ (იბრუნვიან) და ზმნის ზოგიერთ მორფოლოგიურ ნიშანსაც (დროს, ასპექტს). ამგვარად, მორფოლოგიური კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგი ჯგუფები გვაქვს:

I. ფორმა-ცვალებადი სიტყვები
1. სახელები,
2. ზმნები,
3. სახელზმნები,
4. ნაწევრები.

II. ფორმა-უცვალებელი სიტყვები
1. ზმნიზედა,
2. მხლებელი (ნაწევრის გამოკლებით),
3. შორისდებული.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ტერმინი „ფორმა-უცვალებელი" ერთგვარი შეზღუდვით უნდა ვიხმაროთ, რადგანაც ცვალების უნარი რამდენადმე ასეთ სიტყვებსაც აქვთ (§ 102).

სინტაქსური თვალსაზრისით სიტყვები იყოფა ორ ჯგუფად: ერთი მხრით გვაქვს თავისთავადი, ანუ დამოუკიდებელი მნიშვნელობის სიტყვები, რომლებიც წევრებად შედიან წინადადებაში, მეორე მხრით კი — ისეთი „სიტყვები", რომელთაც დამოუკიდებლობა აკლიათ, წინადადების წევრობა არ შეუძლიათ, მაგრამ მეტად საჭირონი არიან წინადადებაში: ისინი მნიშვნელობას უცვლიან წინადადების წევრს ან მთელ წინადადებას და ამით გარკვეულ სამსახურს ასრულებენ.

დამოუკიდებელი სიტყვები, წინადადებაში მოხმარების თვალსაზრისით ოთხ ჯგუფად იყოფა; ესენია:

1. სიტყვები, რომლებიც წინადადების ხერხემალს წარმოადგენენ; ეს არის ზმნები, რომლებიც წინადადებაში შემასმენლის სახელს ატარებენ.

2. სიტყვები, რომელთაც შეუძლიათ წინადადებაში წარმოდგნენ სუბიექტისა ან ობიექტის სახით. აქ გვაქვს უპირველეს ყოვლისა არსებითი სახელები, შემდეგ წილობითი რიცხვითები, შემდეგ კიდევ ზოგიერთი ნაცვალსახელი (პირისა, კითხვითი და სხვ.) და, უკანასკნელ, საწყისები და მოქმ. გვარის მიმღეობანი.

3. სიტყვები, რომლებიც წინადადებაში სუბიექტისა და ობიექტის განსაზღვრებად იხმარება: ზედსართავები, რაოდენობითი და რიგობითი რიცხვითები; ზოგიერთი ნაცვალსახელი (კუთვნილებითი და სხვ.) და ვნებ. გვარის მიმღეობანი.

4. სიტყვები, რომლებიც წინადადებაში შემასმენლის განსაზღვრებად გვევლინებიან, ე. ი. გარემოებას აღნიშნავენ (ადგილისას, დროისას და სხვ.), მაგრამ სახელები არ არიან (ზმნიზედები).

5. აღნიშნულთ გარდა გამოიყოფა კიდევ ერთი ჯგუფი, რომელსაც მარტო ფორმალური დანიშნულება აქვს: მხლებლები (ნაწევარი, თანდებულები, კავშირები და ნაწილაკები). თუმცა ამ ჯგუფს გარკვეული მორფოლოგიური და სინტაქსური ფუნქციები აქვს დაკისრებული, მაგრამ ზემორე მოყვანილ ჯგუფებს რაიმე გარკვეული ნიშნით ვერ შეეზომებიან.

6. რაც შეეხება შორისდებულებს, ისინი, როგორც სინტაქსურ კავშირს მოკლებული სიტყვები, კლასიფიკაციის გარეშე რჩებიან, მაგრამ სხვა სიტყვებს უპირისპირდებიან, როგორც წინადადების ეკვივალენტები.

ს ა ხ ე ლ ე ბ ი

I. ჯგუფები შინაარსის მიხედვით

ა რ ს ე ბ ი თ ი   ს ა ხ ე ლ ი

43. არსებითი სახელის რაობა. არსებითი სახელი ჰქვია სიტყვას, რომელსაც საგნობრივი წარმოდგენა ახლავს: აღნიშნავს როგორც ფიზიკურ სამყაროში რეალურად არსებულ საგანს (ან მის ნაწილს), ისე გრამატიკული ნიშნების მიხედვით მასთან გათანაბრებულ სიტყვას, რომელიც აღნიშნავს რამეს ადამიანის ფსიქიკური მოქმედების სფეროდან, ან ასახელებს საზოგადოებრივი ცხოვრების რომელსამე მოვლენას. საგნობრიობა — აი არსებითი სახელის არსებითი ნიშანი, მისი ნიშანდობლივი მხარე. ამიტომ ვამბობთ: არსებითი სახელი არის საგნის სახელიო: კაცი, მხეცი, ქვა, ვარსკვლავი, სიზმარი, სიფხიზლე, სიუხვე, გულწრფელობა, ვაჟკაცობა, ჩვეულება, სინდისი და სხვ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. არსებითი სახელი მკვეთრად არის გამიჯნული ზმნისაგან, მას არავითარი ნიშანი არა აქვს ზმნისა; მაგ., თოხი, ბარი. მაგრამ შეიძლება, რომ სიტყვა, ზმნის ფუძისაგან ნაწარმოები, გარკვეული გრამატიკული ნიშნების მიხედვით არსებით სახელთან იყოს გათანაბრებული (მაგ., იბრუნვოდეს, როგორც არსებ. სახელი, წინადადებაში გამოყენებული იყოს, როგორც არსებითი სახელი), მაგრამ, ამასთანავე ერთად, ზმნის ნიშნებსაც ატარებდეს. ასეთი სიტყვა იქნება არა არსებითი სახელი, არამედ სახელზმნის ის სახე, რომელსაც ს ა წ ყ ი ს ი ეწოდება, მაგ., თოხნა, ბარვა და მისთ.. დღევანდელ ქართულში „შენობა“ და „სიმღერა“ არსებითი სახელებია, „შენება“ და „მღერა“ კი — საწყისები. ასეთია აგრეთვე ის სახელზმნა (უმეტესად მაინც), რომელიც მოქმ. გვარის მიმღეობას წარმოადგენს (მაგ., მასწავლებელი, მრეცხელი და სხვ.).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. ტერმინი წარმომდგარია იქედან, რომ მრავალი არსებითი სახელი ისეთ რამეს აღნიშნავს, რაც რეალურად ა რ ს ე ბ ო ბ ს.

44. ჯგუფები. ლექსიკური შინაარსის მიხედვით, რომელსაც რამდენადმე გარკვეული გრამატიკული ნიშნებიც ახლავს, არსებით სახელებში გამოიყოფა სულიერთა და უსულოთა სახელები, ადამიანისა და არა-ადამიანისა (**ვინ** ჯგუფისა და **რა** ჯგუფისა), კონკრეტული და აბსტრაქტული, საკუთარი და საზოგადო, კრებითი და ნივთიერებათა სახელები.

1. სულიერთა და უსულოთა სახელები. ს უ ლ ი ე რ ი ეწოდება საკუთარი ძალით მოძრავ ცოცხალ არსებათ, როგორიცაა:

ა დ ა მ ი ა ნ ე ბ ი (კაცი, ქალი, ბავშვი, მუშა, კოლმეურნე, მებაღე, მოწაფე, მასწავლებელი, მეპურე და სხვ.),

ც ხ ო ვ ე ლ ე ბ ი (ძაღლი, ხარი, ცხენი, მგელი, ლომი, ირემი და სხვ.),
ფ რ ი ნ ვ ე ლ ე ბ ი (ჩიტი, ქორი, იხვი და სხვ.),
თ ე ვ ზ ე ბ ი (კალმახი, ორაგული, ლოქო და სხვ.),
მ წ ე რ ე ბ ი (ბუზი, კოღო და სხვ.),
ქ ვ ე წ ა რ მ ა ვ ლ ე ბ ი (გველი, ხვლიკი და სხვ.);

უ ს უ ლ ო კი ეწოდება ისეთ საგნებს, რომელნიც მოკლებული არიან საკუთარი ძალით მოძრაობის უნარს: ხე, ქვა, ბალახი, ფიცარი, კალამი, სახლი, ბაღ და სხვ.

2. ადამიანთა და არა-ადამიანთა სახელები. ქართულ ენაში ის სიტყვებ რომლებიც აღნიშნავენ ადამიანს (კაცი, ქალი, ბავშვი, მუშა, კოლმეურნე, პიონერი, მეეტლე, მეპურე და სხვ.), სხვა სახელებისაგან, სხვათა შორის, იმითა გამოიყოფა, რომ ამათზე ითქმის **ვინ,** ყველა დანარჩენებზე კი — **რა.** ვინ მოვიდა? ამ კითხვის პასუხი შეიძლება იყოს: ბავშვი, მებაღე, მუშა და მისთ., მაში როდესაც ცხოველებზე, ფრინველებზე და სხვა საგნებზე **რა** ითქმის: რა მოჰკალი? — ხოხობი, იხვი, ირემი, კურდღელი, დათვი და სხვ.. რა მოიტანე? — კალამი, ფანქარი, წიგნი, რვეული, ვაშლი და სხვა.

3. კონკრეტული და აბსტრაქტული სახელები. კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ი სახელ აღნიშნავს არსებას ან ისეთ ფიზიკურ ობიექტს, რომელსაც გრძნობათა ორგანოებით აღვიქვამთ: ბავშვი, დათვი, წიგნი, ქალაქი, სახლი, კიბე, ბგერა, სუნი და სხვ.

ა ბ ს ტ რ ა ქ ტ უ ლ ი (განყენებული) სახელი აღნიშნავს ისეთ რამეს, რომელსაც ნივთიერი სახე არ გააჩნია; მაგ., სიცოცხლე, გულწრფელობა, სიმშვიდე და სხვ.

4. საკუთარი და საზოგადო სახელები. სახელი შეიძლება იყოს: საკუთარი ან საზოგადო.

ს ა კ უ თ ა რ ი ა ისეთი სახელი, რომელიც ჰქვია ერთ რომელსამე საგანს ქვეყანას ან კუთხეს, სოფელს ან ქალაქს, მთას, ადგილს, მდინარეს, ტბას დ სხვ.; მაგ., საქართველო, მოსკოვი, ტაბახმელა (სოფელია თბილისის ახლოს) ბორბალა (მთაა ალაზნისა და არაგვის სათავეში), მტკვარი და სხვ.

საკუთარ სახელებად ითვლება აგრეთვე ადამიანთა სახელები (შოთა, იოსებ ლავრენტი, რუსუდან, თინათინ, მაიკო და სხვ.) და გვარებიც (ჭავჭავაძე, წერეთელი, ლომოური, შევჩენკო, პუშკინი, შექსპირი და სხვ.).

ჩვეულებრივ საუბარში „ლუარსაბი“ სახელია და „თათქარიძე“ — გვარი გრამატიკაში კი ისიც სახელია და ესეც.

ს ა ზ ო გ ა დ ო ა ისეთი სახელი, რომელიც აღნიშნავს არა ერთ გარკვეულს, არამედ მრავალ ერთგვარ საგანს, როგორიცაა: ხე, ქვა, თითი, კბილი, ბალახი, სოფელი, კოკა, ხარი, ცხენი, მგელი, ბუჩქი და სხვ.

საზოგადო სახელი შეიძლება იყოს კრებითი.

5. კრებითი სახელები. კ რ ე ბ ი თ ი ა სახელი, რომელიც აღნიშნავს ადამიანთა, ცხოველთა ან ფრინველთა კრებულს, როგორიცაა, მაგ., ხალხი, ერი სტუდენტობა, გუნდი, ჯოგი, ხროვა და სხვ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ზოგიერთი სიტყვა (მაგ., ცხვარი, მწერი, ფოთოლი) ერთ ცალ საგანსაც აღნიშნავს და კრებულსაც. მაგალითად, ამ წინადადე-

ბაში: „მეცხვარეს ცხვარი მიუდის მთაზე“ ვგულისხმობთ არა ერთ ცხვარს, არამედ ბევრს, ფარას; „ტყემ მოისხა ფოთოლი“, — აქ ვგულისხმობთ არა ერთ ფოთოლს, არამედ მრავალს.

6. ნივთიერებათა სახელები. საზოგადო სახელთაგან შეიძლება გამოვყოთ ნივთიერებათა სახელები: რკინა, ოქრო, ვერცხლი, ტყვია, სპილენძი, წყალი, ღვინო და სხვ.

ზედსართავი სახელი

45. ზედსართავის რაობა. ზედსართავი ჰქვია ისეთ სიტყვას, რომელიც არსებითი სახელის რაიმე ნიშანს ასახელებს. მაგ., ქვა შეიძლება იყოს: დიდი, პატარა, მძიმე, მჩატე, შავი, სველი, ბრტყელი, მრგვალი, ხავსიანი, უხავსო და სხვანაირიც. ყველა ესენი ზედსართავებია. არ არსებობს, მაგ., „ბრტყელის“ ცნება თავისთავად, რამე საგნის გარეშე (ქვისა, ხისა და სხვ.). ამიტომ ვამბობთ: **ზედსართავი საგნის ნიშნის გამომხატველი სიტყვააო.**

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. თუ საგნის ნიშნის გამომხატველ სიტყვას ახლავს რამე გრამატიკული ნიშანი ზმნისა — მორფოლოგიური ან სინტაქსური, — ის იქნება არა ზედსართავი სახელი, არამედ სახელზმნის ის სახე, რომელსაც მიმღეობა ეწოდება (უმეტესად ვნებითი გვარისა): აშენებული, ასაშენებელი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. ტერმინი წარმომდგარია ზედსართავის სინტაქსური თვისებისაგან: წინადადებაში ის „ზედ დაერთვის“ არსებით სახელს. წინათ „ზედსართავის“ ნაცვლად „ზედშესრული“ იხმარებოდა.

46. ჯგუფები. ზედსართავი სახელი შეიძლება იყოს ვითარებითი და მიმართებითი.

1. ვითარებითია პირველადი ზედსართავი სახელი: დიდი, თეთრი, შავი, მაღალი, მწარე, გრძელი, წვრილი და სხვ.. ჩვეულებრივ ასეთი ზედსართავი საგანს ისეთი ნიშნის მიხედვით ახასიათებს, რომელიც შეგვიძლია წარმოვიდგინოთ სხვადასხვა ხარისხით (ე. ი. მეტ-ნაკლები ოდენობით): დიდი — უდიდესი, შავი — უშავესი, მწარე — უმწარესი და სხვ. [§ 172].

2. მიმართებითია ზედსართავი, თუ საგნის ნიშანი, რომელსაც ის გამოხატავს, სხვა საგანთან მიმართებით არის ნაგულისხმევი. მაგალითად, როდესაც ვამბობთ „ხავსიანი ქვა“-ო, ვასახელებთ ქვის ისეთ ნიშანს („ხავსიანობას“), რომელიც სხვა საგნის („ხავსის“) წარმოდგენასთანაა დაკავშირებული. ასეთი ზედსართავი ნაწარმოებია არსებითი სახელისაგან (იშვიათად ზმნიზედისაგანაც): ქუდიანი, უქუდო, საქუდე, გოგირდოვანი, მხეცური, გუშინდელი და სხვ.. მიმართებითი ზედსართავი საგანს ახასიათებს ისეთი ნიშნის მიხედვით, რომელიც ხარისხებს მოკლებულია.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ზოგიერთ შემთხვევაში მიმართებითი ზედსართავი ვითარებითად არის ქცეული და ხარისხებსაც აწარმოებს: ჭკუა — ჭკვიანი — უჭკვიანესი; ძალა — ძლიერი — უძლიერესი და სხვ.

რიცხვითი სახელი

47. რიცხვითი სახელის რაობა. რიცხვითი სახელი ჰქვია ისეთ სიტყვას, რომელიც რიცხობრივ წარმოდგენას გვაძლევს: საგანს განსაზღვრავს რაოდენობისა ან რიგის მიხედვით, ან კიდევ საგნის ნაწილს გამოხატავს მთელთან შეფარდებით.

შენიშვნა. ქართული თვლის სისტემა შერეული ტიპისაა: ნაწილობრივ ათობითია და ნაწილობრივ — ოცობითი. ათობითი სისტემისაა ქართული თვლა თერთმეტიდან ცხრამეტამდე (ამის ჩათვლით), ასი და ასს ზევით: ათი, **(ა)თ**-ერთ-მეტი, (10+1), **(ა)თ**-ექვს-მეტი, **(ა)თ**-ცხრა-მეტი, ასი (10×10), ათასი (10×100), ათი ათასი (10×1000) და სხვ.. ოცობითია ქართ. თვლა ოციდან 99-ამდე: ოცდაერთი (20+1), ოცდაცხრა, ოცდაათი (20+10), ოცდათერთმეტი... ოცდაცხრამეტი, ორმოცი (2×20), სამოცი (3×20), ოთხმოცი (4×20), ოთხმოცდა ცხრამეტი (4×20+19).

48. ჯგუფები. ზემორე მოცემული განსაზღვრის მიხედვით გვაქვს: რაოდენობითი, რიგობითი და წილობითი რიცხვითი სახელები.

1. რაოდენობითი სახელები. რაოდენობითია ისეთი სახელი, რომელიც საგნის რაოდენობას აღნიშნავს: ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ათი, ოცი, ორმოცდაათი, ასი, ათასი, მილიონი.

გარკვეული რიცხვის აღმნიშვნელ სახელებს გარდა, მოიპოვება აგრეთვე გაურკვეველი რიცხვის აღმნიშვნელი სახელები: ბევრი, მრავალი, ცოტა, რომლებიც მიმართებითი სახის ოდენობათა გამომხატველია: რაც ერთ შემთხვევაში ბევრად შეიძლება ჩაითვალოს, სხვა შემთხვევაში შეიძლება ცოტა იყოს.

შედგენილობის მიხედვით რაოდენობითი სახელი შეიძლება იყოს მარტივი და რთული.

მარტივია: ერთი, სამი, ათი, ოცი, ასი;

რთულია[1]: (ა)თ-ერთ-მეტი, (ა)თ-ორ-მეტი, ოც-და-ხუთი, სამ-ოც-და-ხუთი, ათ-ასი.

2. რიგობითი სახელები. რიგობითი ჰქვია ისეთ რიცხვით სახელს, რომელიც აღნიშნავს საგნის რიგს: პირველი, მეორე, მესამე, ოცდამეხუთე, მეასე, ას მეოთხე და სხვ.

რიგობითი სახელი ნაწარმოებია სათანადო რაოდენობითი სახელის ფუძისაგან თავში **მე**-ს და ბოლოში **ე**-ს დართვით **(მე—ე)**: მე-ორ-ე, მე-სამ-ე, მე-ათ-ე, მე-თერთმეტ-ე, მე-ოც-ე, მე-ორმოც-ე, მე-ას-ე და სხვ.. წარმოების მხრით განკერძოებით დგას **პირველი**, რომელიც „მეერთე"-ს ნაცვლად იხმარება, მაგრამ რთულ რიცხვით სახელებთან ითქმის მეერთეც და პირველიც: ოცდამეერთე (ან: ოცდაპირველი), ორმოცდამეერთე (ან: ორმოცდაპირველი), ას მეერთე (ან: ას პირველი) და სხვ.

და-თი შეერთებული რიცხვითი სახელებისაგან რიგობითის ფორმები ერთეულებს, ათსა და ათმეტეულებს მოუდის; ითქმის: მეოცე, მაგრამ: ოცდამეხუთე (და არა: მეოცდახუთე), ოცდამეათე (და არა: მეოცდაათე); ითქმის: მე-

---

[1] საქმის ვითარების ნათელსაყოფად რთული სახელების ნაწილები აქ დეფისითაა გაყოფილი.

სამოცე, მაგრამ: სამოცდამეთექვსმეტე (და არა: მესამოცდათექვსმეტე) და სხვ.; ითქმის: მეასე, მეორასე, მეათასე, მაგრამ: ას მეხუთე, ათას ცხრაას ორმოცდა მეთორმეტე და სხვ. [§ 170].

3. **წილობითი სახელები.** წილობითი ჰქვია ისეთ სახელს, რომელიც მთელის ნაწილს რიცხობრივი შეფარდებით გამოხატავს: მესამედი, მეოთხედი, მეთერთმეტედი, მეოცედი, ოცდამეერთედი და სხვ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. „მეორედის“ ნაცვლად ითქმის „ნახევარი“, რომელიც უკავშიროდაც დაერთვის სახელს: მეტრ-ნახევარი (=მეტრი და მეტრის ნახევარი), კილო-ნახევარი, ბოთლ-ნახევარი, თვე-ნახევარი, მანეთ-ნახევარი, ორ თუმან-ნახევარი (= ორი თუმანი და თუმნის ნახევარი, ე. ი. 25 მან.), რვა თუმან-ნახევარი (85 მან.) და სხვ. [§ 170].

ნაცვალსახელი

49. ნაცვალსახელის რაობა. ნაცვალსახელი ჰქვია ისეთ სიტყვას, რომელიც ფრაზაში ეკვივალენტია რომელიმე სახელისა (არსებითისა, ზედსართავისა, რიცხვითისა): საგანს ან საგნის ნიშანს ის წარმოადგენს არა მისი ჩვეულებრივი სახელით, რომელიც ყოველთვის და ყველასთვის ერთი და იგივეა ამ საგნის ან მისი ნიშნის ერთსა და იმავე ვითარებაში, არამედ ისეთი სახელით, რომელიც მხოლოდ დასახელების მომენტისთვის არის გამოსადეგი. მაგ., „მე“ აღნიშნავს ყოველ მოლაპარაკეს, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ მოლაპარაკის თვალსაზრისით. ამიტომ ეს „მე“ ავთანდილსაც აღნიშნავს, ტარიელსაც, ფრიდონსაც, თინათინსაც, ნესტანდარეჯანსაც და სხვასაც, ოღონდ მათ-მათი თვალსაზრისით და მხოლოდ მაშინ, როცა ისინი თავის თავს ასახელებენ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ნაცვალსახელი ერთგვარ მაგივრობას, ანუ ნაცვლობას ეწევა სახელებისას. ამიტომ დაერქვა მას „ნაცვალსახელი“ (უფრო სწორი იქნებოდა „სახელთნაცვალი“), შემოკლებით: ნაცვალი.

50. ჯგუფები. შინაარსის მიხედვით ნაცვალსახელებში გამოიყოფა შემდეგი ჯგუფები: პირისა, ჩვენებითი, კითხვითი, კუთვნილებითი, კითხვით-კუთვნილებითი, მიმართებითი, ურთიერთობითი, განსაზღვრებითი, განუსაზღვრელობითი, უარყოფითი.

1. **პირისა:** მე, შენ, ეს, ეგ, ის (იგი); ჩვენ, თქვენ, ესენი, ეგენი, ისინი (იგინი); **თავი.**

„მე“. ამ სიტყვით მოლაპარაკე ადამიანი აღნიშნავს თავის თავს.

„შენ“. ამ სიტყვით მოლაპარაკე ადამიანი აღნიშნავს იმ პირს, რომელსაც მიმართავს საუბრის დროს.

„ჩვენ“. ამ სიტყვის გაგება შეიძლება ორნაირი იყოს:

ა) მოლაპარაკე ადამიანი ამით აღნიშნავს თავის თავს და აგრეთვე იმას ან იმათ, ვისთანაც საუბარი აქვს. ამ შემთხვევაში „ჩვენ“ სიტყვა მნიშვნელობით იგივეა, რაც: „მე და შენ“ ან „მე და თქვენ“; ეს არის ინკლუზიური „ჩვენ“.

ბ) მოლაპარაკე ადამიანი ამით აღნიშნავს თავისა თავსა და სხვას (ან სხვებს) იმის გამოკლებით (ან იმათი გამოკლებით), ვისაც ესაუბრება. ამ შემთხვევაში კი „ჩვენ“ სიტყვა მნიშვნელობით იგივეა, რაც „მე და ის“ ან „მე და ისინი“ ან კიდევ „მე და მან“, „მე და მას“, „მე და მათ“; ეს არის ექსკლუზიური „ჩვენ“.

„თქვენ“. ამ სიტყვით მოლაპარაკე ადამიანი ჩვეულებრივ აღნიშნავს ორ პირს ან მეტს, რომელთაც საუბრის დროს ყველას ერთად მიმართავს. თვითეულ მათგანისთვის ცალ-ცალკე მიმართვისას „შენ“ სიტყვა უნდა იხმაროს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. მორიდებულ საუბარში **თქვენ**ობით მივმართავთ ხოლმე ერთ კაცსაც. როგორ უნდა შევხედოთ ამ შემთხვევაში „თქვენ“ სიტყვას? გამოხატავს ის ბევრს, თუ არა? რა თქმა უნდა, არა. ამ შემთხვევაში „თქვენ“ იგივეა, რაც „შენ“, მაგრამ მათ შორის ისეთივე განსხვავებაა როგორიც „მოდი“-სა და „მობრძანდი“-ს შორის: ჩვეულებრივ „მოდი“ ითქმის, მაგრამ პატივისცემით მიმართვის დროს „მობრძანდი“-ს ამბობენ მაშასადამე, „თქვენ“ სიტყვას ორი მნიშვნელობა ჰქონია: 1) აღნიშნავს ერთზე მეტს, — ეს არის ამ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობა; 2) აღნიშნავს ერთს, — ეს არის იმავე სიტყვის განსაკუთრებული მნიშვნელობა რომელიც მას ზრდილობიან საუბარში აქვს მოპოვებული.

საუბარი ადამიანებს შორის, ანუ პირებს შორის იმართება ჩვეულებრივ ამიტომ „მე“ და „შენ“, „ჩვენ“ და „თქვენ“ პირის სახელებია, უფრო ზედმიწევნილობით: პირის ნაცვალსახელებია. თვლა რომ მოუბრიდან დავიწყოთ მის მიერ თავის თავზე ნათქვამი „მე“ ან თავის თავის სხვებში გამორევისას ნახმარი „ჩვენ“ პირველი პირის აღმნიშვნელი სიტყვა იქნება, ხოლო ერთი პირისადმი მიმართული „შენ“ ან ბევრისადმი მიმართული „თქვენ“ მეორე პირის გამოვა. მაგრამ ამ ორ პირს გარდა მესამეც არის.

მართლაც, რაც ამ ორი პირის გარეშეა, ანუ რაც მოუბრის თვალსაზრისით არ არის არც „მე“ ან „ჩვენ“, არც „შენ“ ან „თქვენ“, ამ სიტყვებით აღინიშნება: **ეს, ეგ, ის** ან **იგი** (მრავლობითად: **ესენი, ეგენი, ისინი** ან **იგინი**) ეს ოთხი სიტყვა (თავ-თავისი მრავლობითით) მესამე პირის აღსანიშნავად იხმარება და ამიტომ ისინიც პირის ნაცვალსახელებია, მაგრამ იმდენად, რამდენადაც ისინი პირველისა და მეორე პირის დაპირისპირებით იხმარებიან, თორე ისე ესენი არ-პირთაც განეკუთვნებიან. ნამდვილი პირის ნაცვალსახელები (**მე, შენ, ჩვენ, თქვენ**) მხოლოდ გადატანით თუ შეიძლება ხმარებულ იქნეს არ-პირთა შესახებ, როდესაც, მაგალითად, ცხოველებს ან უსულო საგნებს ან კიდე აბსტრაქტულ წარმოდგენას ვაპიროვნებთ ხოლმე. **ეს—ეგ—ის—იგი** ნაცვალსახელების ხმარება კი არ-პირთა შესახებაც სრულიად ჩვეულებრივი ამბავია. ა სიტყვებით ჩვენება (მითითება) ვიცით ხოლმე; ამიტომ მათ ჩ ვ ე ნ ე ბ ი თ (მითითებით) ნაცვალსახელებსაც ვეძახით.

ოთხ სახელთაგან „ის“ და „იგი“ ერთიმეორის ბადალი სიტყვებია, სინონიმებია. „ეს“ მიგვითითებს იმაზე, რომელიც 1-ელი პირის ახლოს არის (ჩემთან ჩვენთან), „ეგ“ კი — იმაზე, რომელიც მე-2 პირის ახლოს არის (შენთან, თქვენთან), „ის“ ან „იგი“ ითქმის იმაზე, რომელიც არც 1-ლ პირთან არის და არც მე-2-ესთან, არამედ სხვაგან. ეს „სხვაგან“ კი მე-3 პირის მყოფობის ფარგალი მაშასადამე, ეს სახელები ყველანი მე-3 პირის აღმნიშვნელი ყოფილან, მაგრა ამასთანავე ერთად ამ მე-3 პირის ადგილ-მდებარეობასაც გამოხატავენ 1-ელ და მე-2 პირთან მიმართებით. ეს გარემოება აძლიერებს საბუთს იმისთვის, რომ მათ პირის ნაცვალსახელებიც ეწოდოს.

„თავი“ არსებითი სახელია (მაგ., „თავი დაიბანა“), მაგრამ ხშირად იგი პი

რის ნაცვალსახელადაც არის გამოყენებული: „თ ა ვ ი მოიკლა, თ ა ვ ი შეაქ-ლა“, „თ ა ვ ს მოიკლავს, თ ა ვ ს შეაქლავს“, „თ ა ვ ი დაიხრჩო“, „თ ა ვ ი გამოიჩინა, თ ა ვ ი ისახელა, თ ა ვ ი შეირცხვინა“ და სხვ.. ასეთი მნიშვნელობით „თავი“ პირის ნაცვალსახელებს განეკუთვნება, სხვებისაგან განსხვავებით მას **უკუქცევითს** ეძახიან.

2. ჩვენებითი (მითითებითი). ამ ჯგუფის სახელები გვიჩვენებენ (მიგვითითებენ) რამეს: ეს, ეგ, ის (იგი); ასეთი (აგეთი), ეგეთი (მაგეთი), ისეთი; ამნაირი, მაგნაირი, იმნაირი; ამისთანა, მაგისთანა, იმისთანა; ამდენი, მაგდენი, იმდენი.

როგორც ზემოთ არის აღნიშნული, **ეს, ეგ, ის (იგი)** ჩვენებითიც არის და პირის ნაცვალსახელიც.

3. კითხვითი. ეს ჯგუფი გამოხატავს კითხვას: ვინ? რა? **რომელი? როგორი?** რარიგი? („რარიგი სამართლიანი იქნებოდა იმათგან მოტანილი სიტყვები“, ყაზ. 215, 30; „რარიგ საოცარ მშვენიერებით“, ჭავ. 261—262), **რანაირი? როდინდელი?** სადაური? რამდენი? რაერთი? („ფული რაერთი აქვს?“ ჭავ. 365, 33), **რადარა?**

4. კუთვნილებითი. ეს ჯგუფი გამოხატავს კუთვნილებით ურთიერთობას საგანსა და ნაცვალსახელით ნაგულისხმევ პირს შორის: ჩემი, შენი, მისი (იმისი), ჩვენი, თქვენი, მათი (იმათი), თავისი (თვისი).

5. კითხვით-კუთვნილებითი: ვისი? რისა? (რისი?).

6. მიმართებითი. ამ ჯგუფის სიტყვები ნაწარმოებია კითხვით ნაცვალსახელთაგან **ც(ა)** ნაწილაკის დართვით, რომელიც მათ კითხვის ძალას უკარგავს და მიმართებითად აქცევს: ვინც (ვინცა), რაც, (რაცა), რომელიც, როგორიც, რანაირიც, როდინდელიც, რამდენიც; ვისიც, რისაც (რისიც), სადაურიც.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. **ც** შეიძლება სხვა სიტყვას ახლდეს: შდრ. „ამხანაგი, რომლისთვისაც შენ მდინარეში გადახტი“ და „ამხანაგი, რომლის ქუდისთვისაც შენ მდინარეში გადახტი“.

7. ურთიერთობითი: ერთმანეთი (ერთმანერთი), ერთურთი, ერთიმეორე.

8. განსაზღვრებითი: თვით (თვითონ, თითონ, თვითან), თავად, თვითეული, ყოველი, ყველა, სხვა, მავანი. ეს უკანასკნელი იხმარება, როცა არ უნდათ ვისიმე დასახელება: „შენ, მავანო, მკითხაობა მიჩუქებია შენთვის“ (ჭავ. 396,6).

„თვით“ მიღებულია „თავ“ სიტყვის მოქმედ. ბრუნვის ფორმისგან: თავით→თვით (ძვ. ქართ. თჳთ). „თვითონ“ მიღებულია ასე: თვით მან→თვითვან; აქედან ერთი მხრით: თვითონ, მეორე მხრით კი: თვითან. „თავად“ წარმოადგენს იმავე „თავ“ სიტყვის ვითარებითი ბრუნვის ფორმას.

9. განუსაზღვრელობითი: ერთი, ზოგი (ზოგიერთი), კაცი. „კაცი“ არსებითი სახელია, მაგრამ მრავალ შემთხვევაში იგი განუსაზღვრელ ნაცვალსახელად არის გამოყენებული. მაგ., „რიტორიკაში სწერია: ყველაფერი შესავლით უნდა დაიწყოს კ ა ც მ ა ო“ (ჭავ.). აქ „კაცმა“ განუსაზღვრელი ნაცვალსახელია. ამისგან ნაწარმოები უარყოფითი „არაკაცი“ (რომელიც მნიშვნელობით იგივეა, რაც „არავინ“) ცოცხალ კილოებში გვხვდება. „ერთი“ რიცხვითი სახელია,

მაგრამ ზოგჯერ ის განუსაზღვრელი ნაცვალსახელიც არის; მაგ., „იყო ერთი ღარიბი კაცი“ (=იყო ვიღაც ღარიბი კაცი).

ჩამოთვლილთ გარდა, ერთი რიგი განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელებისა გაკეთებულია კითხვითებისაგან „მე“ ნაწილაკის დართვით: ვინმე, რამე, რომელიმე, როგორიმე, ხოლო მეორე რიგი — რთული **ღაც(ა) [ღა-ცა]** ნაწილაკის დართვით: ვიღაც, რაღაც, რომელიღაც, როგორიღაც.

10. უარყოფითი. ამ ჯგუფის სახელები გაკეთებულია „ვინ“ და „რა“-საგან წინ უარყოფითი ნაწილაკების დართვით. „რა“-ს მაგივრობას „ფერი“-ც ეწევა. მათი დანიშნულებაა უარყოფა: არავინ, ვერავინ (ვერვინ), ნუვინ (ნურავინ), არაფერი, ვერაფერი, არა (ეს „არა მიღებულია აქედან: არ-რა, არა-რა), ვერა (ვერ-რა, ვერა-რა), ნურა, ნურაფერი.

II. ბრუნება

ბრუნვა

51. ბრუნვის რაობა. სახელის ნაირ-ნაირ ფორმებს შორის გამოიყოფა ერთი ჯგუფი, რომლის წევრებს ლექსიკური მნიშვნელობა ერთი აქვთ, მაგრამ განსხვავდებიან წინადადებაში მოხმარების მიხედვით, ე. ი. სიტყვათშორისო ურთიერთობის თვალსაზრისით. თვითეული განსხვავებული ფორმა წარმოადგენს ამა თუ იმ ბრუნვის ფორმას, ხოლო სახელთა მიმოხრას, ანუ მათ ფორმაცვალებას ბრუნვათა მიხედვით ბ რ უ ნ ე ბ ა (დეკლინაცია) ეწოდება. ი გ ი ვ ე ო ბ ა ლ ე ქ ს ი კ უ რ ი და ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ო ბ ა გ რ ა მ ა ტ ი კ უ ლ ი,— აი ბრუნვის ფორმათა არსებითი ნიშანი.

ბრუნვის კატეგორია რომ იყოს, აუცილებლად საჭიროა, რომ სახელს მოეპოვებოდეს ორი ფორმა მაინც, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან როგორც ბგერათა შედგენილობის მიხედვით, ისე ფუნქციის მიხედვითაც. თუ სახელს ასეთი ცვალების უნარი არა აქვს, მას არც ბრუნვის კატეგორია მოეპოვება, — ის უბრუნველია.

ქართულში სახელები ყველა იბრუნვის, ისეთებიც კი, რომლებიც ნასესხებია ბრუნვის უქონელი ენებისაგან (მაგ., ფრანგულისაგან) ან ისეთი ენებისაგან, რომლებსაც სახელთა ბრუნება შეიძლება მოეპოვებოდეს საზოგადოდ, მაგრამ ზოგიერთი სახელი მაინც უბრუნველი ჰქონდეს (ასეთია, მაგალითად, რუსული ენა). სიტყვები „პალტო“ და „დეპო“ ფრანგულისაგან რუსულშია ნასესხები, რუსულისაგან კი ქართულშია გადმოსული. არც ერთი მათგანი არ იბრუნვის არც ფრანგულში და არც რუსულში, მაგრამ ქართულში ისინი ბრუნვიანებია.

მეტიც შეიძლება ითქვას: გარკვეულ შემთხვევებში ქართულში შეიძლება ვაბრუნოთ ზმნის პირიანი ფორმებიც და „ფორმა-უცვალებელი“ სიტყვებიც (§§ 98—103).

საერთო წესის გამონაკლისს შეადგენს სულ რამდენიმე ნაცვალსახელი: **მე, შენ, ჩვენ, თქვენ, თვით,** რომლებიც არ იბრუნვიან (§§ 138, 139).

52. ბრუნვათა სახელები და ნიშნები. ბრუნვათა რაოდენობა დღევანდელ სალიტერატურო ქართულში, საერთოდ მიღებული შეხედულებს თა-

ნახმად, შვიდია (შდრ. §§ 90—96). თვითეულ ბრუნვას თავისი სახელი ჰქვია და საკუთარი ნიშანი აქვს. ეს ნიშნები სიტყვას ბოლოში დაერთვის, დაბოლოებაა.

ბრუნვა	ნიშანი
1. სახელობითი	**-ი**
2. მოთხრობითი	**-მა**
3. მიცემითი	**-ს**
4. ნათესაობითი	**-ის**
5. მოქმედებითი	**-ით**
6. ვითარებითი	**-ად, -დ**
7. წოდებითი	**-ო**

მოყვანილი დაბოლოებანი ძირითადი სახეა ბრუნვათა ნიშნებისა. მაგრამ თუ რომელიმე სახელი ამა თუ იმ ბრუნვაში არ გვიჩვენებს მისთვის მოსალოდნელ ნიშანს, ეს იმას ნიშნავს, რომ უთუოდ ფონეტიკური ფაქტორია ჩარეული საქმეში და ამის გამო ცვლილებაა მომხდარი: ესა თუ ის ბრუნვის ნიშანი შეიძლება შეიცვალოს ან დაიკარგოს კიდეც.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. როცა ცვალებაზე ვსაუბრობთ, არ ვგულისხმობთ იმ მოვლენას, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ზოგიერთი ბრუნვის დაბოლოება შესაძლებელია გავრცობილ იქნას **ა**-ს დართვით, რომელიც ბრუნვის ნიშანში არ შემოდის (§ 57).

53. ბრუნვათა რიგი. ბრუნვები ქართულში შეიძლება სხვადასხვა რიგით იქნეს დალაგებული. ერთი მათგანი, რომელიც ტრადიციულადაა გადმოცემული, ბერძნულ-ლათინურ-რუსულ რიგს მისდევს მცირეოდენი ცვლილებით: ქართულის ორ სპეციფიკურ ბრუნვათაგან ერთი — მოთხრობითი — აკუზატივის ადგილასაა ჩასმული, მეორე კი — ვითარებითი — წოდებითის წინ არის დასმული. მიღებულია ასეთი რიგი: სახ., ნათ., მიც., მოთ., მოქ., ვით., წოდ. (სოფელი, სოფლის, სოფელს, სოფელმა, სოფლით, სოფლად, სოფელო).

ამ წიგნში წარმოდგენილი რიგი ქართული სისტემის თავისებურებათაგან გამომდინარეობს: ის ითვალისწინებს არა მარტო ბრუნვის ფორმათა მორფოლოგიურ მხარეს, არამედ აგრეთვე სინტაქსურსაც: ჯერ მოთავსებულია სუბიექტის ბრუნვები: სახ., მოთ., მიც., რომელთაც ფონეტიკურ-მორფოლოგიური თვალსაზრისით აერთიანებს ფუძე-უკუმშველობა გარკვეული ჯგუფის სახელებში (სოფელი, სოფელმა, სოფელს). უკანასკნელი ნიშნის მიხედვით მათთანვე უნდა დამდგარიყო წოდებითიც, მაგრამ სად? რა თქმა უნდა, მეორე ადგილზე, სახელობითის შემდეგ, რადგანაც II მრავლობითში (§ 56) სახელობითი და წოდებითი ერთნაირადაა ნაწარმოები (სოფელ-ნ-ი, სოფელ-ნ-ო). მაგრამ ამ შემთხვევაში ის გათიშავდა სუბიექტის ბრუნვებს (სოფელი, **სოფელო**, სოფელმა; სოფელნი, **სოფელნო**, სოფელთა). ამიტომ წოდებითი ტრადიციულად ბოლოში დარჩა. რაც შეეხება ვითარებითს, შეიძლებოდა ის გადმოგვესვა მიცემითის შემდეგ, რადგანაც ხმოვან-კვეცილ ფუძეებში ფუძის ხმოვნის მიხედვით ის გვერდში ამოუდგებოდა იმ ბრუნვებს, სადაც ეს ხმოვანი შენახულია, და შემდეგ დაიწყებოდა შეკვეცა, მაგრამ ამ შემთხვევაში ფუძის ხმოვანი მაინც იჩენდა

თავს უკანასკნელ ბრუნვაში, წოდებითში (დედა, დედა-მ, დედა-ს, დედა-დ, დედ'-ის, დედ'-ით, დედა(ვ); მზე, მზე-მ, მზე-ს, მზე-დ, მზ'-ის, მზ'-ით, მზე-ო); ამიტომ სჯობს, მას იგივე ადგილი შერჩეს, რომელიც ტრადიციულად ჰქონდა მოქმედებითსა და წოდებითს შუა: სოფლით, სოფლად, სოფელო; მზით, მზედ, მზეო.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ბრუნვათა სახელწოდებაში ზოგი რამ უკვე შეცვლილია, ზოგიც შესაცვლელია კიდევ. აუცილებელია, რომ სახელწოდების შინაარსი აშკარად არ ეწინააღმდეგებოდეს ბრუნვის ფუნქციას, ამიტომ შესაცვლელია „მოქმედებითი“ და „მოთხრობითი“. პირველისთვის აჯობებდა „საჭურვლობითი“ ან „ჭურვილობითი“ (ინსტრუმენტალი) ყოფილიყო შემოღებული, ხოლო „მოქმედებითი“ (აქტიური, ერგატიული) განჰკუთვნებოდა ბრუნვას, რომელსაც „მოთხრობითს“ ვეძახით.

რ ი ც ხ ვ ი

54. რიცხვის რაობა. გრამატიკული რიცხვი არის სახელისა და ზმნის ზიარი კატეგორია, რომელიც გვაძლევს იმის გაგებას: ერთია საგანი, თუ ერთზე მეტი (ან: მოქმედებს ერთი, თუ ერთზე მეტი). ის ფორმა, რომელიც წარმოდგენას გვაძლევს, რომ საგანი ერთია (ან: მოქმედებს ერთი), მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი ა: ბავშვი, კამეჩი, ვარსკვლავი და მისთ.; იცინის, წევს, ციმციმებს და მისთ.; ის ფორმა კი, რომელიც წარმოდგენას გვაძლევს, რომ საგანი ერთზე მეტია (ან· მოქმედებს ერთზე მეტი), მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი ა: ბავშვები, კამეჩები, ვარსკვლავები და მისთ.; იცინიან, წვანან, ციმციმებენ და მისთ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ვამბობთ მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი (და არა: მ ხ ო ლ ო ო ბ ი თ ი), რომ მარცვალთა რაოდენობით სიტყვა გაუთანაბრდეს მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ს, რომელიც მისი კორელატია.

გრამატიკული რიცხვის გაგება სახელთაგან მხოლოდ ისეთს ახლავს, რომელიც აღნიშნავს საგანს, რომელიც დაითვლება; ასეთებია: მუშა, ქალაქი, სოფელი, მთა, მდინარე, თითი, ფანჭარი და სხვ.. ისეთ სახელს კი, რომლითაც აღნიშნული საგანი არ დაითვლება, გრამატიკული რიცხვის გაგება არ ახლავს; ასეთებია: ჰაერი, ნაცარი, ხილი, რძე და მისთ.. ეს უკანასკნელი სახელები მხოლოდ ფორმით არიან მხოლობითი, თორემ, საპირისპირო მრავლობითის უქონლობის გამო, ბევრიდან ერთ ცალ საგნად არ გამოიყოფიან და იმიტომ მათს „მხოლობითის ფორმას“ არ ახლავს სათანადოდ ერთის გაგების შინაარსი და, მაშასადამე, არსებითად ისინი ურიცხვო სახელებია.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. ზოგიერთ ენაში (მაგ., არაბულში, ბერძნულში, ძველ ბულგარულში) რიცხვის მიხედვით სამ-სამი ფორმა მოეპოვება სახელსაც და ზმნასაც: ფორმა ე რ თ ი ს ა (მხოლ. რიცხვი), ფორმა ო რ ი ს ა (ორობითი რიცხვი) და ფორმა მ რ ა ვ ლ ი ს ა (მრავლ. რიცხვი). ამ ენებში მრავლის გაგება ორს ზემოთ იწყება, ქართულში კი ერთზე მეტის წარმოდგენაც მრავლად არის გაგებული. როცა ორ რამეზეა საუბარი (**„ორი წიგნი ვიყიდე“, „ორმა კაცმა მოიტანა“** და მისთ.), ჩვენ უ-**ორ** სიტყვოდ არ შეგვიძლია აზრის სიზუსტით გამოთქმა, ორობითიან ენებში კი ამ სიტყვის ბადალი სიტყვის ხმარება ამ შემთხვევაში აუცილებელი არ არის, — იკი-

ვე აზრი გადმოიცემა სახელთა ან ზმნათა განსაკუთრებული ფორმების შემწეობით, რომლებიც ორობითი რიცხვისანი არიან.

ქართულში ამჟამად ორობითი რიცხვი არ მოიპოვება, მაგრამ მისი გადმონაშთი რამდენადმე შემონახულია ხევსურულში (ა. შ ა ნ ი ძ ე, ორობითი რიცხვის საკითხისათვის ხევსურულში: თბ. უნ.-ის შრომები, ტ. 121, 1967, გვ. 23—27).

55. გრამატიკული რიცხვი და არითმეტიკული რიცხვი. ზემოთ მოცემული განსაზღვრის თანახმად (§ 51), გრამატიკული რიცხვი წარმოდგენას გვაძლევს ერთისას ან ერთზე მეტისას.

კარგად ვიცით, რომ ერთზე მეტია ერთ-ნახევარიც, ორიც, ორი და ერთი მეოთხედიც, ხუთიც, ცხრაც, ათიც, ასიც, ათასიც და სხვა, მაგრამ ამ სიტყვებს გრამატიკულ რიცხვთან არაფერი აქვთ საერთო: ესენი ყველა ა რ ი თ მ ე ტ ი კ უ ლ ი რიცხვებია და გარკვეულ რაოდენობაზე მიგვითითებენ: ოთხია ორჯერ ორი, ხუთია ოთხი და ერთი და სხვ., გრამატიკული რიცხვი კი გულისხმობს მარტოოდენ ერთს ან ერთზე მეტს. ამის მეტი გარკვეულობა გ რ ა მ ა ტ ი კ უ ლ რიცხვს არ ახლავს. არითმეტიკული რიცხვი ცალკე სიტყვად ითქმის და იწერება: „ე რ თ ი ამხანაგი", „ს ა მ ი მგელი", „ო თ ხ-ნ ა ხ ე ვ ა რ ი კილო ფქვილი" და სხვ.. არითმეტიკული რიცხვები ციფრებითაც შეგვიძლია გამოვხატოთ: 1 ამხანაგი, 3 მგელი, $4^1/_2$ კილო ფქვილი და სხვ., გრამატიკული რიცხვი კი ცალკე სიტყვად არ ითქმის და ამიტომ არც იწერება, იგი თან ახლავს სახელს ან ზმნას, იგი თვით სახელის ან ზმნის ფორმით არის მოცემული.

გრამატიკული რიცხვი სახელისა ან ზმნისა საპირისპირო ფორმათა თანაარსებობის ნიადაგზე შემუშავებული კატეგორიაა. არითმეტიკული რიცხვი კი ს ა ხ ე ლ ი ა („რიცხვითი სახელი"), რომელიც გრამატიკული რიცხვის გაგებას მოკლებულია. მართალია, რიცხვით სახელს (არითმეტიკულ რიცხვს) შეიძლება მრავლობითის ფორმაც ჰქონდეს („შვიდი" და „შვიდნი"), მაგრამ ეს არის მხოლოდ ფორმალური მრავლობითი, ე. ი. ისეთი მრავლობითი, რომელსაც სათანადო შინაარსი (წარმოდგენა ერთზე მეტისა) არ ახლავს.

56. მრავლობითის წარმოება. სახელთა მრ. რიცხვის ფორმები ქართულში ორგვარია. ერთი უფრო ახალ ქართულში იხმარება (და ძველში ნაკლებად) და პ ი რ ვ ე ლ ს ვეძახით, მეორე კი უფრო ძველ ქართულში იხმარებოდა (და ახალში ნაკლებად) და მ ე ო რ ე ს ვეძახით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. ზოგჯერ პირველ მრავლობითს „ახალს" ეძახიან და მეორეს — „ძველს". მაგრამ ამ შემთხვევაში „ახალი" და „ძველი" იმას არ ნიშნავს, თითქო ერთი მხოლოდ ახალ ქართულში იხმარებოდეს და მეორე მხოლოდ ძველ ქართულში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. მრავლობითი რიცხვის წარმოება არსებითად წარმოქმნას ეკუთვნის, მაგრამ სახელთა ბრუნებას ორსავე რიცხვში ერთად განვიხილავთ. ამიტომ ამისი აქ შემოტანა აუცილებელია.

მრავლობით რიცხვს თავისი ნიშნები აქვს, რომლებიც მხოლობითის ფუძეს დაერთვის; ესენია:

1. პ ი რ ვ ე ლ ი ს თ ვ ი ს ებ, რომელიც ყველა ბრუნვაში გაჰყვება, და

2. მ ე ო რ ი ს თ ვ ი ს: **ნ**, რომელიც მარტოოდენ ორ ბრუნვას აწარმოებს, სახელობითსა და წოდებითს, და **თ**, რომელიც სხვა ბრუნვებში იჩენს თავს (მოთხრობ., მიცემ., ნათესაობითში).

ბრუნვის ნიშნები საერთოა როგორც მხოლობითში, ისე მრავლობითში, ე. ი. ბრუნვები ერთნაირადაა ნაწარმოები ორსავე რიცხვში თავ-თავისი ფუძისაგან. ასე რომ განსხვავებას მხოლობითსა და მრავლობითს შორის ამა თუ იმ ბრუნვაში საზოგადოდ ფუძე ქმნის ხოლმე. ოღონდ ეს შეეხება I მრავლობითს მთლად და II-ს კი ნაწილობრივ. — იმდენად, რამდენადაც II მრავლობითის მაწარმოებლად **ნ** გვაქვს, ე. ი. სახელობითსა და წოდებითს. რაც შეეხება II მრავლობითის სხვა ბრუნვებს, აქ **თ** ელემენტს დაკისრებული აქვს არა მარტო მრავლ. რიცხვის გამოხატვა, არამედ ბრუნვისაც, თანაც რამდენიმესი ერთად, ვინაიდან აქ ბრუნვათა საწარმოებლად სხვა რამე ნიშანი აღარ დაერთვის: **თ** მრავლობითობის გამომხატველიც არის და რამდენიმე ბრუნვის აღმნიშვნელიც.

ნარ-თანიანი მრავლობითისაგან ახალ ქართულში მხოლოდ ხუთი ბრუნვა იხმარება: სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი და წოდებითი. რაც შეეხება ორ დანარჩენს (მოქმედებითსა და ვითარებითს), ისინი მხოლოდ **ებ**'იან მრავლობითს მოეპოვება.

57. **ნართაული ა.** ფორმები ოთხი ბრუნვისა (მიც., ნათ., მოქ., ვით.) მხოლობითში და იმავე ბრუნვებისა I მრავლობითში შეიძლება გავრცობილ იქნეს **ა** ელემენტის დართვით, რომელიც წარმოშობით ნაშთია განსაზღვრების ნაწილაკისა (ე. წ. ნაწევრისა, ანუ ართრონისა), სახელთან შეზრდილი. ეს ელემენტივე შეიძლება დაერთოს აგრეთვე II მრავლობითის **თა**ნიან ფორმებს (მოთ. მიც., ნათ.). ფრჩხილებში რომ ჩავსვათ ეს სავრცობი, ანუ ნართაული **ა**, რომელიც ბრუნვის ნიშანს არ ეკუთვნის, მივიღებთ შემდეგ ცხრილს, რომელიც შეიცავს როგორც ბრუნვის ნიშნებს. ორსავე რიცხვში, ისე მრავლობითობის ელემენტებს:

	მხოლობითი	მრავლობითი 1	მრავლობითი 2
სახელობითი	**-ი**	-ებ-**ი**	-ნ-**ი**
მოთხრობითი	**-მა**	-ებ-**მა**	
მიცემითი	**-ს**(ა)	-ებ-**ს**(ა)	**-თ**(ა)
ნათესაობითი	**-ის**(ა)	-ებ-**ის**(ა)	
მოქმედებითი	**-ით**(ა)	-ებ-**ით**(ა)	—
ვითარებითი	**-ად**(ა),**დ**(ა)	-ებ-**ად**(ა)	—
წოდებითი	**-ო**	-ებ-**ო**	-ნ-ო

58. **თავისთავადი და მსაზღვრელი. მსაზღვრელი და საზღვრული**

სახელთა ბრუნების დროს ვარჩევთ ორგვარ შემთხვევას:

1. სახელი სხვა სახელისაგან დამოუკიდებლად არის ფრაზაში ნახმარი ასეთ სახელს თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ ს ვეძახით: **„თოფით ჩიტი** მოკლეს“ — აქ „თოფით“ და „ჩიტი“ თავისთავადი სახელებია.

2. სახელი სხვა სახელის განსაზღვრებად არის გამოყენებული და მასთა დაკავშირებითაა ფრაზაში ნახმარი; ასეთ სახელს მ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ ს ვეძახით

„ახალი თოფით ბეღურა ჩიტი მოკლეს“ — აქ **ახალი** „თოფის“ მსაზღვრელად არის ნახმარი, **ბეღურა** კი — „ჩიტის“ მსაზღვრელად.

თუ თავისთავად სიტყვას მსაზღვრელი ახლავს, ის ამ მსაზღვრელის მიმართ ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ი იქნება: „ახალი თოფით“ — აქ მსაზღვრელია „ახალი“ და საზღვრულია „თოფით“; „ბეღურა ჩიტი“ — ამაში მსაზღვრელია „ბეღურა“, საზღვრული კი — „ჩიტი“.

თავისთავად სახელს, ეხლება მას მსაზღვრელი, თუ არა, ბრუნვის ნიშნები სრული სახით ექნება წარმოდგენილი; მსაზღვრელს კი ბრუნვის ნიშნები შეიძლება მოეკვეცოს ნაწილობრივ ან სავსებითაც კი; მაგ., ამ ფრაზაში: „ვიყიდი ერთ უღელ ხარს“ სამი სახელია, რომელთაგანაც მხოლოდ ერთია თავისთავადი („ხარს“) და ამიტომ სრული ფორმით ის არის წარმოდგენილი. ორი დანარჩენი კი სხვა სახელთან დაკავშირებით არის ნახმარი: „ერთი“ საზღვრავს „უღელს“ („ერთ უღელს“), „უღელი“ კი თავის მხრით „ხარს“ საზღვრავს: „უღელ ხარს“. ამიტომ მსაზღვრელებთან აღარ ვგრძნობთ სრული ბრუნვის ფორმების ხმარების საჭიროებას (ერთს, უღელს) და მათ ბრუნვის ნიშნებს ვაკვეცთ (ერთ, უღელ). მაგრამ ეგევე მსაზღვრელები რომ თავისთავად, ე. ი. სხვა სახელთან დაუკავშირებლად ვიხმაროთ, მაშინვე თვითეული მათგანი ბრუნვის ნიშანს მიიღებს: „ვიყიდი ერთს“, „ვიყიდი უღელს“.

ერთი და იგივე სახელი შეიძლება თავისთავადადაც ვიხმაროთ და მსაზღვრელადაც, მაგრამ თავისთავადობა ახასიათებს უპირატესად არსებით სახელებს, წილობით რიცხვითებს, ზოგიერთ ნაცვალსახელს (პირისას და სხვ.), საწყისებს და მოქმედებითი გვარის მიმღეობებს, მსაზღვრელობა — კი უმეტესად ზედსართავებს, რაოდენობითსა და რიგობით რიცხვით სახელებს, ზოგიერთ ნაცვალსახელს (კუთვნილებითს და სხვ.) და ვნებითი გვარის მიმღეობებს.

თავისთავადი სახელები

59. წესი და ანომალია. სახელებში ვარჩევთ ერთი მხრით წესებრივ ბრუნებას, ე. ი. ბრუნებას, სადაც საზოგადო წესია დაცული, სადაც გარკვეული ნორმაა გატარებული თავიდან ბოლომდე, მეორე მხრით კი არწესებრივ ბრუნებას, ე. ი. ბრუნებას, სადაც საზოგადო წესი დარღვეულია ამა თუ იმ სახით, სადაც სადმე რაიმე გადახვევაა საყოველთაო ნორმიდან. საზოგადო წესის დარღვევის შემთხვევებს, ანუ საყოველთაო ნორმიდან გადახვევის მოვლენებს ანომალიებს ვეძახით. ანომალიები შედეგია ფონეტიკური ფაქტორის გავლენისა, სხვადასხვა კილოს ფორმათა ერთმანეთში გარევისა ან სალიტერატურო ენის ხანგრძლივი განვითარებისა ნაირ-ნაირ ისტორიულ პირობებში.

ანომალიები ქართულში უმთავრესად ნაცვალსახელებზე მოდის, რომლებიც, თუ გამონაკლისებს არ მივიღებთ მხედველობაში, წოდ. ბრუნვის ფორმას ვერ აწარმოებენ. წოდებითი აკლია საზოგადოდ რაოდენობით რიცხვით სახელებსაც, გარდა ისეთი შემთხვევისა, როგორიცაა „ვეფხის ტყაოსნის“

„ბროლო და ლალო, ო რ ო-ვე, კვლა ერთგან შენათხზენაო“ (1271),

რაც პოეტური ლიცენციის ნიმუშია, ან კიდევ ისეთი განსაკუთრებული შემთხვევისა, როცა რაოდენობითი რიცხვითი სახელი I პირის კუთვნილებით ნაცვალ-

სახელთან ერთად არის ნახმარი: „შენ ჩემო ერთო იმედო", „თქვენ ჩემნო სამნო ძმანო", „თქვენ ჩემნო ხუთნო გრძნობანო" და მისთ.

ბრუნვის უქონლობასთან ერთად რიცხვის კლებაც უნდა ვახსენოთ. გარკვეული ჯგუფის სახელებს მრავლობითი აკლია; ასეთებია: საკუთარი სახელები (გარდა გვარებისა), აბსტრაქტული სახელები და ნივთიერებათა სახელები, დიდი უმეტესობა ნაცვალსახელებისა და საწყისები.

ბრუნვისა ან რიცხვის უქონლობა კიდევ არ არის ანომალია. როცა ანომალიებზე ვლაპარაკობთ, ის შემთხვევები გვაქვს მხედველობაში, როცა საერთო წესი ასე თუ ისე დარღვეულია ბრუნვის ან რიცხვის წარმოების დროს.

60. ფონეტიკური ფაქტორის გავლენა ქართული ბრუნების ერთ მთლიან სისტემაზე. ბრუნვის ნიშნები მრავლობითს რიცხვში ყველა სახელს ერთი და იგივე აქვს. ამ მხრით სახელებს შორის არავითარი განსხვავება არ არის: ყველა ერთნაირად იბრუნვის, ყველა ერთ სისტემას მისდევს. ამიტომ, თუ კი რომელსამე სახელს მრავლობითი რიცხვი აქვს, მას აქ აუცილებლად ისეთივე ბრუნვის ნიშნები ექნება, როგორც ყველა დანარჩენ სახელს, რომლებიც მრავლობით რიცხვშია ხმარებული, სულ ერთია, რანაირი მრავლობითიც უნდა იყოს აღებული: პირველი თუ მეორე. სხვანაირად რომ ვთქვათ, მრავლობითის ფორმები ყველა სახელს ერთნაირად აქვს ნაწარმოები, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ რიცხვში მარტოოდენ ერთი ჯგუფი გვაქვს ბრუნვიანი სახელებისა, მხოლობითში კი რამდენიმე ჯგუფია. არსებითად რომ შევხედოთ საქმის ვითარებას, მხოლობით რიცხვშიც ქართ. ბრუნება ერთ სისტემას გვიჩვენებს, მაგრამ ეს ერთობა დარღვეულია ფონეტიკური ფაქტორის ზეგავლენით, რის გამოც ბრუნვის ნიშნებმა შეიძლება ან თვით შეიცვალონ სახე ან ფუძე შეცვალონ რამდენადმე: შეკუმშონ ან შეკვეცონ.

ბრუნვის ნიშანთა სახე-ცვლილების მიხედვით სახელები ორ დიდ ჯგუფად იყოფა: ე რ თ ი ა ის სახელები, რომელთაც ფუძის ბოლოკიდურად ანუ უკანასკნელ ბგერად თანხმოვანი მოუდისთ, და მ ე ო რ ე ა ის სახელები, რომელთაც ფუძის ბოლოს ხმოვანი უზისთ; მოკლედ რომ ვთქვათ, ერთია ჯგუფი ბოლოკიდურ-თანხმოვნიანებისა, ანუ, შემოკლებით, თანხმოვნიანებისა, მეორე ჯგუფი კი — ბოლოკიდურ-ხმოვნიანებისა, ანუ, შემოკლებით, ხმოვნიანებისა. ფუძის შეკუმშვა-შეკვეცის მიხედვით თვითეული ჯგუფი კიდევ თავ-თავის ჯგუფად იყოფა. ფუძის შეკუმშვა ან შეკვეცა ერთად-ერთი განმასხვავებელი ნიშანია, რომლის მიხედვითაც სახელები ორ ჯგუფად იყოფა I მრავლობითის წარმოებისას.

ბრუნვის ნიშნები უცვლელად მარტოოდენ თანხმოვნიან ფუძეებშია დაცული.

61. ტიპები. წესებრივი ბრუნების მქონე თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ ი სახელები სამგვარ ყალიბს გვიჩვენებს, რომელთაც ტიპებს ვეძახით. ტიპებად დაყოფა შედეგია ფონეტიკური ფაქტორის ზეგავლენისა ქართული ბრუნების ერთიან სისტემაზე და, როგორც ზემოთ ითქვა (§ 60), მარტო მხოლ. რიცხვს ეხება.

I ტიპს განეკუთვნება თანხმოვნიან ფუძეთა მქონე სახელები, შემოკლებით: თანხმოვნიანი ფუძეები (ან სახელები);

II ტიპს განეკუთვნება კვეცილ ხმოვნიან ფუძეთა მქონე სახელები, შემოკლებით: კვეცილ ხმოვნიანი ფუძეები (ან სახელები);

III ტიპს განეკუთვნება უკვეცელ ხმოვნიან ფუძეთა მქონე სახელები, შემოკლებით: უკვეცელ ხმოვნიანი ფუძეები (ან სახელები).

მაშასადამე, თანხმოვან-ფუძიანი სახელები ბრუნების მხრით ერთი ტიპიანი არიან, ხმოვან-ფუძიანები კი — ორი სხვადასხვა ტიპისა.

აღნიშნულ ტიპებს შორის ნაწილდება ყველა თავისთავადი სახელი, იქნება ის არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი თუ ნაცვალსახელი. ოღონდ საკუთარ სახელთაგან გამოიყოფა ერთი წყება პირის სახელებისა (ადამიანთა სახელები და ზოგიერთი გვარი), რომლებიც განაწილებულია I და III ტიპის ბრუნებას შორის.

ცალკეა გამოსაყოფი შერწყმულ და მხლებლიან სახელთა ბრუნება.

I ტიპი

თანხმოვან-ფუძიანი სახელები

62. ჯგუფები. ის თავისთავადი სახელები, რომელთაც ფუძის ბოლოკიდურად თანხმოვანი მოუდის, ბრუნვის ფორმათა წარმოების თვალსაზრისით ორ ჯგუფად იყოფა: ე რ თ ი ა ფუძე-უკუმშველი სახელები და მ ე ო რ ე — ფუძე-კუმშვადები. ფუძე-კუმშვადობა, რომელიც გამოწვეულია ხმოვნით დაწყებულ ბრუნვის ნიშანთა დართვით (§ 30), ეხება მარტო მხოლ. რიცხვის სამ ბრუნვას: ნათ.-ს, მოქ.-ს, ვით.-ს და მთელს ებ-იან მრავლობითს.

თანხმოვნიანთა ჯგუფში გადმოდის I მრავლობითში ყველა ხმოვან-ფუძიანი სახელი, რადგანაც I მრავლობითის ფუძე კეთდება ებ-ის დართვით მხოლობითის ფუძეზე და, მაშასადამე, აქ მრავლობითის ფუძეს ბოლოში უზის თანხმოვანი ბ, რომელსაც უშუალოდ მოსდევს ბრუნვის ნიშნები.

ჯერ განვიხილოთ არსებითი სახელები, შემდეგ კი — სხვა სახელები (ზედსართავები, რიცხვითები, ნაცვალსახელები).

ფუძე-უკუმშველი სახელები

63. საზოგადო სახელები. ფუძე-უკუმშველ საზოგადო სახელთა რაოდენობა ერთობ დიდია. დავასახელოთ რამდენიმე: ე რ თ-მ ა რ ც ვ ლ ი ა ნ ფუძეთაგან: კაც-ი, ქალ-ი, ბავშვ-ი, ხარ-ი, ფურ-ი, ცხენ-ი, ჯორ-ი, იხვ-ი, ბატ-ი, ქორ-ი, მტრედ-ი, გვრიტ-ი, ბარ-ი, თოხ-ი, ფეხ-ი, ხელ-ი, თით-ი, კბილ-ი და სხვ.; ო რ-მ ა რ ც ვ ლ ი ა ნ თ ა გ ა ნ: კამეჩ-ი, აქლემ-ი, არწივ-ი, სადგურ-ი და სხვ.; ს ა მ-და მ ე ტ-მ ა რ ც ვ ლ ი ა ნ თ ა გ ა ნ: ინდაურ-ი, ინსტიტუტ-ი, უნივერსიტეტ-ი და სხვ.

ბრუნების მაგალითი: **კაც-ი.**

	მხოლ.	მრავლობითი 1	2
სახ.	კაც-**ი**	კაც-ებ-**ი**	კაც-**ნ-ი**
მოთ.	კაც-**მა**	კაც-ებ-**მა**	კაც-თ(ა)
მიც.	კაც-**ს**(ა)	კაც-ებ-**ს**(ა)	„
ნათ.	კაც-**ის**(ა)	კაც-ებ-**ის**(ა)	„
მოქ.	კაც-**ით**(ა)	კაც-ებ-**ით**(ა)	—
ვით.	კაც-**ად**(ა)	კაც-ებ-**ად**(ა)	—
წოდ.	კაც-**ო**	კაც-ებ-**ო**	კაც-ნ-ო

64. საკუთარი სახელები. საკუთარ სახელებში ვარჩევთ გეოგრაფიულ სახელებსა და პირის სახელებს.

64 ა. გეოგრაფიული სახელები. სახელები, რომლებიც აღნიშნავენ ქვეყნებს, მხარე-კუთხეებს, ხეობებს, ტბებს, მდინარეებს, ქალაქებს, სოფლებს, უბნებს, მთებს, ბორცვებს, ტყეებს, საძოვრებს, მინდორ-ველებს, დაბლობებსა და სხვ., იმგვარადვე იბრუნვიან, როგორც საზოგადო სახელები. ერთად-ერთ განსხვავებას ისინი რიცხვში გვიჩვენებენ: გეოგრ. სახელებს მრავლ. რიცხვი არა აქვთ, ამიტომ, საპირისპირო ფორმების უქონლობის გამო, ეს სახელები გრამატიკული რიცხვის გაგებას მოკლებულია. მაგალითები:

სახ.	თბილის-**ი**	შირაქ-**ი**	არაგვ-**ი**	სვანეთ-**ი**
მოთ.	თბილის-**მა**	შირაქ-**მა**	არაგვ-**მა**	სვანეთ-**მა**
მიც.	თბილის-**ს**(ა)	შირაქ-**ს**(ა)	არაგვ-**ს**(ა)	სვანეთ-**ს**(ა)
ნათ.	თბილის-**ის**(ა)	შირაქ-**ის**(ა)	არაგვ-**ის**(ა)	სვანეთ-**ის**(ა)
მოქ.	თბილის-**ით**(ა)	შირაქ-**ით**(ა)	არაგვ-**ით**(ა)	სვანეთ-**ით**(ა)
ვით.	თბილის-**ად**(ა)	შირაქ-**ად**(ა)	არაგვ-**ად**(ა)	სვანეთ-**ად**(ა)
წოდ.	თბილის-**ო**	შირაქ-**ო**	არაგვ-**ო**	სვანეთ-**ო**

65. პირის სახელები. თანხმოვან-ფუძიანი პირის სახელებია: ავთანდილ, ბაგრატ, გურგენ, დავით, ვახტანგ, ზაალ, იოსებ, ლუარსაბ, პლატონ, ტარიელ, ფრიდონ, ყარამან და სხვ.; ასმათ, დარეჯან, ელისაბედ, თამარ, ქეთევან და სხვ. ასეთ სახელებს (თანხმოვან-ფუძიახთაც და ხმოვან-ფუძიანთაც) ძველად არ ჰქონდათ განსხვავებული სამი ბრუნვა: სახ., მოთ. და წოდ., სადაც ბრუნვის ნიშანი საჭირო არ იყო. ახალ ქართულში პირის სახელები, როგორც ცალკე მდგომი ჯგუფი, შეიძლება ითქვას, აღარ არსებობს: საზოგადო სახელების მსგავსად, კარგა ხანია მათ ბრუნვის ნიშანი აქვთ შეძენილი სახ.-სა და მოთ.-ში. ძველებური მდგომარეობა შეირჩინა მხოლოდ წოდებითმა, რომელიც გარეგნულად ფუ-

ქეს წარმოადგენს (შდრ. § 82-ის ბოლო). მრავლობითის ფორმები არც პირის სახელებს მოეპოვებათ. მაგალითები:

სახ.	ვახტანგ-ი	თამარ-ი	ეთერ-ი
მოთ.	ვახტანგ-მა	თამარ-მა	ეთერ-მა
მიც.	ვახტანგ-ს(ა)	თამარ-ს(ა)	ეთერ-ს(ა)
ნათ.	ვახტანგ-ის(ა)	თამარ-ის(ა)	ეთერ-ის(ა)
მოქ.	ვახტანგ-ით(ა)	თამარ-ით(ა)	ეთერ-ით(ა)
ვით.	ვახტანგ-ად(ა)	თამარ-ად(ა)	ეთერ-ად(ა)
წოდ.	ვახტანგ	თამარ	ეთერ

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. თუ ასეთ სახელს მოსდევს დანართი, მაშინ იგი უბრუნველი გახდება, ბრუნვის ნიშნებს კი მომდევნო სიტყვა (დანართი) მიიღებს: ვახტანგ გორგასალი, თამარ მეფე, ეთერ დეიდა და მისთ. (§§ 126, 127).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. დღევანდელ ქართულში ტენდენციაა, რომ ზოგ ასეთ სახელში სახელობითის **ი**, ბოლო-უკვეცელ ი-ნიან სახელთა ანალოგიით (აკაკი, გიორგი და სხვ.), ფუძისეულად იქნეს გაგებული: ეთერი-მ (მოთხრ.), ეთერი! (წოდ.), გოდერძი-მ (მოთხრ.), უშანგი-მ (მოთხრ.), ნოდარი! (წოდ.). „გივი"-ს **ი** უკვე კაი ხანია, რაც ფუძისეულადაა მიჩნეული: გივი-მ (მოთხრ.), გივი-ს (მიც.), გივი! (წოდ.) (ასეთი ფორმების ნაცვლად: გივ-მა, გივ-ს).

66. გვარები. I ტიპის ბრუნების პირის სახელებს განეკუთვნება აგრეთვე გვაროვნული სახელები (ჩვეულებრივ საუბარში: „გვარები"), როგორიცაა: **შვილ**-ზე და **ურ**-ზე (**ულ**-ზე) დათავებული ქართული გვარები: გურამიშვილ-ი, ციციშვილ-ი და სხვ., გიგაურ-ი, ლომაურ-ი, ქერაულ-ი და მისთ. მათვე განეკუთვნება აგრეთვე ზოგი სხვაც: ორბელიან-ი, ყაზბეგ-ი, მოწყობილ-ი, შეწირულ-ი, კანდელაკ-ი, ახალკაც-ი, ციხისთავ-ი, ჟღენტ-ი, ჯაშ-ი და სხვ. ამათთანავეა არაქართული გვარები: შექსპირ-ი, ენგელს-ი, ნიუტონ-ი, გოგოლ-ი, პუშკინ-ი, ლერმონტოვ-ი და სხვ..

გვაროვნულ სახელებს რიცხვი აქვთ: ციციშვილები, ახალკაცები, ლერმონტოვები და სხვ.. რაც შეეხება წოდებით ბრუნვას, აქ ქართული გვარები ნიშანს მიიღებენ (გურამიშვილ-**ო**, ყაზბეგ-**ო**, ციხისთავ-**ო**), არაქართული გვარები კი შეიძლება ნიშნითაც ვიხმაროთ და უნიშნოდაც: ვორონინ და ვორონინ-**ო**, ვასილიევ და ვასილიევ-**ო**. მაგალითი:

	მხოლ.	მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი 1	2
სახ.	გურამიშვილ-ი	გურამიშვილ-ებ-ი	გურამიშვილ-ნ-ი
მოთ.	გურამიშვილ-მა	გურამიშვილ-ებ-მა	გურამიშვილ-თ(ა)
მიც.	გურამიშვილ-ს(ა)	გურამიშვილ-ებ-ს(ა)	"
ნათ.	გურამიშვილ-ის(ა)	გურამიშვილ-ებ-ის(ა)	"
მოქ.	გურამიშვილ-ით(ა)	გურამიშვილ-ებ-ით(ა)	———
ვით.	გურამიშვილ-ად(ა)	გურამიშვილ-ებ-ად(ა)	———
წოდ.	გურამიშვილ-ო	გურამიშვილ-ებ-ო	გურამიშვილ-ნ-ო

ფუძე-კუმშვადი სახელები

67. განსხვავება ფუძე-უკუმშველთაგან. ფუძე-კუმშვად ბოლო-თანხმოვნიან სახელებს ფუძე-უკუმშველთაგან განსხვავება აქვთ მარტოოდენ მხოლობითის სამ ბრუნვაში (ნათ., მოქ. და ვით.-ში) და აგრეთვე I მრავლობითის ყველა ბრუნვაში, სხვაგან კი — არსად. ეს განსხვავებაც მარტოოდენ ფუძის ვითარებას შეეხება: ფუძეა ხოლმე შეკუმშული (ე. ი. ერთი მარცვლით შემცირებული) იმის გამო, რომ უკანასკნელი ხმოვანი ან სრულიად ამოღებულია (როცა რედუქცია **ა** და **ე** ხმოვანს მოუდის), ან მარცვლიანობა აქვს დაკარგული და შემდეგ **ვ**-დ არის შეცვლილი (როცა რედუქცია **ო**-ს მოუდის). უკანასკნელ შემთხვევაში შეიძლება მოსალოდნელი ნარედუქციალი ვ-ც დაიკარგოს, თუ ის ბაგისმიერი ბგერების მეზობლობაში მოჰყვა.

68. როგორ სახელებს ეკუმშება ფუძე? ფუძე შეიძლება შეეკუმშოს სხვადასხვა შედგენილობისა და სხვადასხვა ბოლო თანხმოვნის მქონე სახელებს, მაგრამ უმთავრესად ისეთებს, რომელთაც ფუძის ბოლოს უზის მარცვლები: **ალ, ელ; ან, ენ; არ, ერ; ამ, ემ; ოლ, ონ, ორ** (§ 31). იკუმშება როგორც საზოგადო, ისე საკუთარი სახელები. უკანასკნელთაგან უმეტესად გეოგრაფიული სახელები და რამდენადმე აგრეთვე **ელ**-ზე გათავებული გვარები. მაგალითები

ალ: საზოგადო სახელები: კვალ-ი, მსხალ-ი, რძალ-ი, წყალ-ი, ხმალ-ი და სხვ.; ბორბალ-ი, ეკალ-ი, კაკალ-ი, კომბალ-ი, მარცვალ-ი, მაყვალ-ი, შერცხალ-ი, ნამგალ-ი, სარდალ-ი, ტყემალ-ი, ფიწალ-ი, ჰარხალ-ი, ხანჯალ-ი, ხინკალ-ი და სხვ.; გენერალ-ი, მუგუზალ-ი, ნაპერწკალ-ი, ფორთოხალ-ი და სხვ.

გეოგრ. სახელები: ჩარგალ-ი, წინანდალ-ი, ჰართალ-ი და სხვ.

ელ: საზოგადო სახელები: მგელ-ი, მღვდელ-ი, შველ-ი და სხვ; ბეღელ-ი, ბოსელ-ი, კედელ-ი, კურდღელ-ი, მტკაველ-ი, მუცელ-ი, საბელ-ი, სანთელ-ი, სარკმელ-ი, სარტყელ-ი, საჰმელ-ი, სოფელ-ი, უღელ-ი, ფურცელ-ი, ღრუბელ-ი, ჰურჰელ-ი და სხვ.

გეოგრ. სახელები: ყვარელ-ი, თისელ-ი და სხვ.

გვარები: წერეთელ-ი, გომართელ-ი, კორინთელ-ი, გვერდწითელ-ი და სხვ.

ან: საზოგადო სახელები: აკვან-ი, ბატკან-ი, ბოსტან-ი, დედაბ-ი, გუთან-ი, დუქან-ი, ეყვან-ი, თიკან-ი (ციკან-ი), თუმან-ი, კურტან-ი, მარან-ი, მელან-ი, მიზან-ი, მტევან-ი, ნიშან-ი, საბან-ი, საგან-ი, სტაქან-ი, უბან-ი, ქედან-ი, ქოთან-ი, ხიზან-ი, ჯაგან-ი, ჯავშან-ი და სხვ.; დერეფან-ი, კიდობან-ი, მოედან-ი, იასამან-ი და სხვ.

გეოგრ. სახელები: მატან-ი, ქსან-ი (მდ.), წილკან-ი, **-უბან**-ზე გათავებული სოფლის სახელები: ალისუბან-ი, ვარდისუბან-ი, ზედუბან-ი, ურიათუბან-ი, ღოუბან-ი, ჩალაუბან-ი, ციხისუბან-ი და სხვ., აგრეთვე **-ოვან**-ზე გათავებულები: ბალოვან-ი, ვაშლოვან-ი, თელოვან-ი, წეროვან-ი, ჭილოვან-ი და სხვ.

ენ: წვენ-ი, ბერძენ-ი, ყურძენ-ი, ყავარჯენ-ი, შევარდენ-ი და სხვ.

არ: საზოგადო სახელები: ზვარ-ი, მკვარ-ი („კვრის შუქზედ, რომელიც ძლივს ანათებდა, ვერა გაერჩია რა“: ყაზბ. «მამის მკვლელი»), მჩვარ-ი, მხარ-ი, ცვარ-ი, ცხვარ-ი, ჯვარ-ი და სხვ.; აბჯარ-ი, ამქარ-ი, ბაზარ-ი, ბაწარ-ი,

ბუხარ-ი, ვაჭარ-ი, ზამთარ-ი, ზეწარ-ი, ზღაპარ-ი, თათარ-ი, ისარ-ი, ლახვარ-ი, მაჭარ-ი, მხატვარ-ი, მუშტარ-ი, ნაცარ-ი, საყდარ-ი, საზღვარ-ი, სიზმარ-ი, სტუმარ-ი, ტაძარ-ი, ფანქარ-ი, ფიცარ-ი, ფუტკარ-ი, ყავარ-ი და სხვ.; კელაპტარ-ი, მეგობარ-ი, ნახევარ-ი, სამოვარ-ი, სოვდაგარ-ი, **-ქარ-ი:** დასტაქარ-ი, ფეიქარ-ი, ჯადოქარ-ი და სხვ.

გეოგრ. სახელები: გომეწარ-ი, გუდამაყარ-ი (ხეობაა), მტკვარ-ი; **ნა—არ-ი:** ნაგომარ-ი, ნატახტარ-ი, ნაქალაქარ-ი და სხვ.

ერ: *საზოგადო სახელები:* მტერ-ი, მწყერ-ი, კისერ-ი, მეწყერ-ი, ოხერ-ი (=უპატრონო), საცერ-ი, დედაბერ-ი, ოფიცერ-ი და სხვ.

გეოგრ. სახელი: ტეზერ-ი.

ამ: *საზოგადო სახელები:* ატამ-ი, ვახშამ-ი, კალამ-ი, ლაგამ-ი, ქათამ-ი, წალამ-ი („ქვეშ იყო მარანი წალმით დახურული“, ჭავჭ.), წამწამ-ი, ჰერამ-ი და სხვ.

გეოგრ. სახელები: ბეკამ-ი, ოკამ-ი, თეძამ-ი (მდ.). „დილომ-ი“ (სოფ.) [რომელიც მიღებულია „დილუამ“-ისაგან შერწყმის გზით] იკუმშება: დილმისა (←დილვმისა).

ემ: ირემ-ი, ურემ-ი.

ოლ: გოდოლ-ი, ობოლ-ი, ფოთოლ-ი და სხვ.

ონ: დიაკონ-ი, მაწონ-ი, საპონ-ი, ფაიტონ-ი.

ორ: *საზოგადო სახელები:* გოდორ-ი, კოკორ-ი, მინდორ-ი, ნიორ-ი, ქოჩორ-ი, ჩოჩორ-ი, პამიდორ-ი.

გეოგრ. სახელები: კოჯორ-ი, იორ-ი (მდ.).

სხვა დაბოლოების სახელთაგან შეგვიძლია დავასახელოთ: კაკაბ-ი, ნაბად-ი, სომეხ-ი, ბეჭედ-ი.

სიტყვა არ შეიკუმშება, თუ შეკუმშვის გამო ძნელად გამოსათქმელი თანხმოვნები მოიყრის თავს: წერეთელი — წერეთლისა, მაგრამ: ხინველი — ხინველისა.

ცოცხალ კილოებში ფუძეთა შეკუმშვის წესები ერთნაირი არ არის. ეს გარემოება ნაწილობრივ სალიტერატურო ენაშიც იჩენს თავს, მაგ., „ქართველი“ ჩვეულებრივ არ იკუმშება, მაგრამ კახურში იკუმშება. აქედან ი. ჭავჭავაძის ნაწერებში გვხვდება: „ქართვლის საფლავის ქვას“, „ქართვლის ნანა ქართვლის აკვანზედ“.

„პამიდორი“ იკუმშება („პამიდვრის წვენი“), მაგრამ შეიძლება უკუმშველი ფორმაც შეგვხვდეს („პამიდორის წვენი“). „ყალიონს“ ზოგან (მაგ., მთის კილოებში) კუმშვენ („ყალივნის გემო“), ზოგან კი არა. „ხოხობი“ კახეთში იკუმშება („ხოხბის ხორცი“, „ხოხბები“).

საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოში უფრო კუმშვენ სახელებს (ცალკერძოდ გეოგრაფიულებს), ვიდრე დას. საქართველოში: „საყდრიონ“-ისაგან (სოფელია ერწოში) ადგილობრივ ითქმის „საყდრივნის“, მაგრამ „რიონი“ — „რიონისა“, თუმცა „რივნის“ ფორმაც უნდა ყოფილიყო ძველად, რადგანაც გვარია რიმნისთაველი (ე. ი. რივნისთაველი). ადგილობრივ გამოთქმას ზოგჯერ უპირისპირდება სხვა კილოების წარმომადგენელთა გამოთქმა: „იორ“ სიტყვისაგან ნორმალურად იქნება „ივრის პირი“, მაგრამ, ვინც ასეთ გამოთქმას არ იცნობს, შეიძლება „იორის პირი“ თქვას.

69. ფუძე-კუმშვად სახელთა ბრუნების მაგალითები.

ფუძიდან ამოღებულია ა, კვალი არ რჩება:

	მხოლ.	მრავლობითი 1	2
სახ.	სტუმარ-ი	სტუმრ-ებ-ი	სტუმარ-ნ-ი
მოთ.	სტუმარ-მა	სტუმრ-ებ-მა	სტუმარ-თ(ა)
მიც.	სტუმარ-ს(ა)	სტუმრ-ებ-ს(ა)	„
ნათ.	სტუმრ-ის(ა)	სტუმრ-ებ-ის(ა)	„
მოქ.	სტუმრ-ით(ა)	სტუმრ-ებ-ით(ა)	———
ვით.	სტუმრ-ად(ა)	სტუმრ-ებ-ად(ა)	———
წოდ.	სტუმარ-ო	სტუმრ-ებ-ო	სტუმარ-ნ-ო

ფუძიდან ამოღებულია ე, კვალი არ რჩება:

	მხოლ.	მრავლობითი 1	2
სახ.	სომეხ-ი	სომხ-ებ-ი	სომეხ-ნ-ი
მოთ.	სომეხ-მა	სომხ-ებ-მა	სომეხ-თ(ა)
მიც.	სომეხ-ს(ა)	სომხ-ებ-ს(ა)	„
ნათ.	სომხ-ის(ა)	სომხ-ებ-ის(ა)	„
მოქ.	სომხ-ით(ა)	სომხ-ებ-ით(ა)	———
ვით.	სომხ-ად(ა)	სომხ-ებ-ად(ა)	———
წოდ.	სომეხ-ო	სომხ-ებ-ო	სომეხ-ნ-ო

ფუძიდან ამოღებულია ო, მის ნაცვლად მიღებულია უმარცვლო უ, რომელიც ვ-თია გადმოცემული:

	მხოლ.	მრავლობითი 1	2
სახ.	მინდორ-ი	მინდვრ-ებ-ი	მინდორ-ნ-ი
მოთ.	მინდორ-მა	მინდვრ-ებ-მა	მინდორ-თ(ა)
მიც.	მინდორ-ს(ა)	მინდვრ-ებ-ს(ა)	„
ნათ.	მინდვრ-ის(ა)	მინდვრ-ებ-ის(ა)	„
მოქ.	მინდვრ-ით(ა)	მინდვრ-ებ-ით(ა)	———
ვით.	მინდვრ-ად(ა)	მინდვრ-ებ-ად(ა)	———
წოდ.	მინდორ-ო	მინდვრ-ებ-ო	მინდორ-ნ-ო

ფუძიდან ამოღებულია ო, მოსალოდნელი ნარედუქციალი უმარცვლო უ დაკარგულია ბაგისმიერი ბგერის გავლენით:

	მხოლ.	მრავლობითი 1	2
სახ.	ობოლ-ი	ობლ-ებ-ი	ობოლ-ნ-ი
მოთ.	ობოლ-მა	ობლ-ებ-მა	ობოლ-თ(ა)
მიც.	ობოლ-ს(ა)	ობლ-ებ-ს(ა)	„
ნათ.	ობლ-ის(ა)	ობლ-ებ-ის(ა)	„
მოქ.	ობლ-ით(ა)	ობლ-ებ-ით(ა)	———
ვით.	ობლ-ად(ა)	ობლ-ებ-ად(ა)	———
წოდ.	ობოლ-ო	ობლ-ებ-ო	ობოლ-ნ-ო

გეოგრაფიული სახელები

სახ.	ჩარგალ-ი	მტკვარ-ი	ყვარელ-**ი**	იორ-ი
მოთ.	ჩარგალ-**მა**	მტკვარ-მა	ყვარელ-**მა**	იორ-**მა**
მიც.	ჩარგალ-ს(ა)	მტკვარ-ს(ა)	ყვარელ-**ს**(ა)	იორ-ს(ა)
ნათ.	ჩარგლ-**ის**(ა)	მტკვრ-ის(ა)	ყვარლ-**ის**(ა)	ივრ-**ის**(ა)
მოქ.	ჩარგლ-ით(ა)	მტკვრ-ით(ა)	ყვარლ-**ით**(ა)	ივრ-**ით**(ა)
ვით.	ჩარგლ-**ად**(ა)	მტკვრ-ად(ა)	ყვარლ-**ად**(ა)	ივრ-**ად**(ა)
წოდ.	ჩარგალ-**ო**	მტკვარ-ო	ყვარელ-**ო**	იორ-ო

70. ზედსართავი სახელი. დამოუკიდებლად (ე. ი. არსებით სახელთან შეუწყობლად) ნახმარი ზედსართავი იმგვარადვე იბრუნვის, როგორც არსებითი. ფუძის შეკუმშვის წესებიც იგივეა, რაც არსებითებში. იკუმშება ორ- და მეტმარცვლიანი ფუძეები: ახალ-ი, მაღალ-ი, მდაბალ-ი, ყვითელ-ი, წითელ-ი, მაჯარ-ი, მდიდარ-ი, მსუქან-ი, პატიოსან-ი [სხვა **ოსან** სუფიქსიანი სახელები (ცხენოსანი, მანდილოსანი და სხვ.) დღეს უფრო არსებითებია, ვიდრე ზედსართავები]. ერთმარცვლიან ფუძეთაგან შეიძლება ზოგჯერ ესენი შეიკუმშონ: მრგვალ-ი, ვრცელ-ი, გრძელ-ი, სქელ-ი, თხელ-ი, ბრტყელ-ი, ბრძენ-ი, განსაკუთრებით ვით.-ში: მრგვლად, ვრცლად, გრძლად, სქლად, თხლად, ბრტყლად, ბრძნად. „მთელ-ი" იკუმშება ვით.-ში, მაგრამ ზედსართაობა დაკარგული აქვს და ზმნიზედად არის ქცეული („მთლად" მნიშვნელობით იგივეა, რაც „სულ").

იერ სუფიქსიან ზედსართავთაგან ზოგი იკუმშება და შეკუმშვის შედეგად **ივრ**-ს ვიღებთ: მშივრები (ყაზბ. 315,9; ქ. 369,16.); ღონივრები (ყაზბ. 207,39); მაგივრად (ყაზბ. 287,33; 301,30); ღონივრად (ჭავჭ. 308,21), მშვენივრად (ყაზბ. 310,10).

ასეთსავე შეკუმშვას გულისხმობს **გონიერ**-ისა და **ნებიერ**-ისაგან ნაწარმოები ფორმები: გონივრული (ყაზბ. 274,5; 349,26), გონივრულად (ყაზბ. 362,27) და ნებივრობა (ჭავჭ. 335,34). ასეთივეა: უდივრად (ვაჟა, I, 251,1), წესივრად (იქვე, 251,9).

„ტიალი" შეკუმშვისას გვაძლევს ტივლ ფორმას: ტივლად (ვაჟა, I, 238,5), ტივლები (I, 8, 9; III, 115, 26).

ფუძე-უკუმშველი ზედსართავის ბრუნების მაგალითი.

	მხოლ.	მრავლობითი 1	2
სახ.	დიდ-**ი**	დიდ-ებ-**ი**	დიდ-ნ-**ი**
მოთ.	დიდ-**მა**	დიდ-ებ-**მა**	დიდ-თ(ა)
მიც.	დიდ-**ს**(ა)	დიდ-ებ-**ს**(ა)	"
ნათ.	დიდ-**ის**(ა)	დიდ-ებ-**ის**(ა)	"
მოქ.	დიდ-**ით**(ა)	დიდ-ებ-**ით**(ა)	———
ვით.	დიდ-**ად**(ა)	დიდ-ებ-**ად**(ა)	———
წოდ.	დიდ-**ო**	დიდ-ებ-**ო**	დიდ-ნ-**ო**

ფუძე-კუმშვადი ზედსართავის ბრუნების მაგალითი.

	მხოლ.	მრავლობითი 1	2
სახ.	ახალ-**ი**	**ახლ-ებ-ი**	ახალ-ნ-**ი**
მოთ.	ახალ-**მა**	**ახლ-ებ-მა**	ახალ-თ(ა)
მიც.	ახალ-**ს**(ა)	ახლ-ებ-**ს**(ა)	"
ნათ.	**ახლ-ის**(ა)	**ახლ-ებ-ის**(ა)	"
მოქ.	**ახლ-ით**(ა)	**ახლ-ებ-ით**(ა)	———
ვით.	**ახლ-ად**(ა)	**ახლ-ებ-ად**(ა)	———
წოდ.	ახალ-**ო**	**ახლ-ებ-ო**	ახალ-ნ-**ო**

71. რიცხვითი სახელი. თანხმოვან-ფუძიანი რიცხვითი სახელები ყველა უკუმშველია, გარდა „მილიონ"-ისა, რომელიც კილოებში აქა-იქ იკუმშება (მაგ., ერწო-თიანეთის მხარეს იტყვიან: „მილივნები აქვს", „მილივნის პატრონია", „მილივნიანი კოლმეურნეობა" და მისთ.). განუსაზღვრელი რიცხვითი „მრავალ-ი" იკუმშება.

რიცხვით სახელთა თავისებურება ის არის, რომ წოდ. ბრუნვას ვერ აწარმოებენ (§59). ამას გარდა, მრავლობითში მათ II სახის დაბოლოებანი მოუდისთ. მაგალითი:

	მხოლ.	2 მრ.	მხოლ.	2 მრ.
სახ.	**ხუთ-ი**	ხუთ-ნ-ი	**ას-ი**	**ას-ნ-ი**
მოთ.	**ხუთ-მა**	ხუთ-თ(ა)	**ას-მა**	**ას-თ(ა)**
მიც.	**ხუთ-ს(ა)**	"	**ას-ს(ა)**	"
ნათ.	**ხუთ-ის(ა)**	"	**ას-ის(ა)**	"
მოქ.	**ხუთ-ით(ა)**	—	**ას-ით(ა)**	—
ვით.	**ხუთ-ად(ა)**	—	**ას-ად(ა)**	—

72. ნაცვალსახელი. ნაცვალსახელთაგან ბევრი არწესებრივ ბრუნებას მისდევს. წესებრივი ბრუნების მქონეთაგანაც წოდებითს ჩვეულებრივ მხოლოდ „ჩემი" და „ჩვენი" აწარმოებს. მრავლობითიც ბევრს არ მოეპოვება. მაგალითისთვის ავიღოთ „რომელი":

	მხოლ.	მრავლობითი 1	2
სახ.	რომელ-**ი**	რომლ-ებ-**ი**	რომელ-ნ-ი
მოთ.	რომელ-**მა**	რომლ-ებ-**მა**	რომელ-თა
მიც.	რომელ-**ს**(ა)	რომლ-ებ-**ს**(ა)	"
ნათ.	რომლ-**ის**(ა)	რომლ-ებ-**ის**(ა)	"
მოქ.	რომლ-**ით**(ა)	რომლ-ებ-**ით**(ა)	———
ვით.	რომლ-**ად**(ა)	რომლ-ებ-**ად**(ა)	———
წოდ.	———	———	———

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ზოგიერთ ნაცვალსახელთაგან წოდებითის ფორმა შეიძლება, როგორც გამონაკლისი, სპეციალურ გამოთქმებში შეგვხვდეს: „შენ, მ ა ვ ა ნ ო, მკითხაობა მიჩუქებია შენთვის“ (ჭავ. 396,6); „ბერა კიდევ იჯდა კერის პირას, აელო მუგუზალი და აჩინჩხლებდა, ცდილობდა, რომ მეტი ნაპერწკალი გაეყარა მუგუზალს და თან ატანდა: ა მ დ ე ნ ო ღორო, ა მ დ ე ნ ო ცხვარო, ა მ დ ე ნ ო ხარო და კამეჩო, ა მ დ ე ნ ო ბატო, ა მ დ ე ნ ო ინდაურო, ა მ დ ე ნ ო ძირო ფუტკარო, ა მ დ ე ნ ო ორმო პურო“ (ვაჟა).

ასეთივეა აგრეთვე „თქვენი“ ზოგიერთ ძველებურ გამოთქმაში: „თქვენო მაღალ-კეთილშობილებავ! თქვენო ბრწყინვალებავ!“ (ყაზბ. „ელგუჯა“).

73. სახელზმნები. სახელზმნათაგან თანხმოვნით უთავდება ფუძე მხოლოდ მიმღეობებს და ძველი წარმოების საწყისებს, რომელთაც ბოლოს აქვთ **ილ** (ტირ-ილ-ი, სიც-ილ-ი, კივ-ილ-ი) და რომლებიც დღევანდელ ენაში უფრო აბსტრაქტულ არსებით სახელთა რიგებში დგანან, ვიდრე საწყისებისაში, **ელ**-ზე გათავებული მიმღეობა იკუმშება, თუ შეკუმშვით ისეთი თანხმოვნები არ იყრის თავს, რომ მათი ერთად გამოთქმა ძნელი იყოს: ამშენებელი — ამშენებლები, მაგრამ: დამცველი — დამცველები. საწყისებს მრავლობითი რიცხვი არა აქვს. მაგალითი:

	მხოლ.	მრავლობითი 1	მრავლობითი 2
სახ.	ამშენებელ-**ი**	ამშენებლ-ებ-**ი**	ამშენებელ-ნ-**ი**
მოთ.	ამშენებელ-**მა**	ამშენებლ-ებ-**მა**	ამშენებელ-თ(ა)
მიც.	ამშენებელ-**ს**(ა)	ამშენებლ-ებ-**ს**(ა)	„
ნათ.	ამშენებლ-**ის**(ა)	ამშენებლ-ებ-**ის**(ა)	„
მოქ.	ამშენებლ-**ით**(ა)	ამშენებლ-ებ-**ით**(ა)	———
ვით.	ამშენებლ-**ად**(ა)	ამშენებლ-ებ-**ად**(ა)	———
წოდ.	ამშენებელ-**ო**	ამშენებლ-ებ-**ო**	ამშენებელ-ნ-**ო**

ხმოვან-ფუძიანი სახელები

74. ზოგადი შენიშვნები ხმოვან-ფუძიან სახელთა შესახებ. ის სახელები, რომელთაც ფუძის ბოლოკიდურად ხმოვანი მოუდისთ, თავისებურებას მარტოოდენ მხოლობით რიცხვში იჩენენ. ეს თავისებურება ფონეტიკური ფაქტორით არის გამოწვეული და საზოგადოდ ოთხ ბრუნვას შეეხება: სახელობითს, მოთხრობითს, ვითარებითსა და წოდებითს. განვიხილოთ თვითეული მათგანი ცალკ-ცალკე:

1. ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ შ ი ხმოვან-ფუძიან სახელებს დაკარგული აქვთ ბრუნვის ნიშანი **ი**. ეს ნიშანი ძველს ქართულში სუსტდებოდა ფუძის ბოლოკიდურ ხმოვანთა შემდეგ და მარცვლიანობას კარგავდა (**ი > ჲ**). ამის გამო ფუძისეული ბოლოკიდური და ბრუნვის ნიშანი, უკვე უმარცვლო, დიფთონგს წარმოადგენდა (**აჲ, ეჲ, ოჲ, უჲ**), რომელშიც ფუძისეული ხმოვანი სრულ-ძალოვანი იყო, ბრუნვის ნიშნისა კი — სუსტი. ძველსავე ქართულში დაიწყო ამ სუსტი ნაწილის თანდათან დაკარგვა და ახალ ქართულში ეს დაკარგვა უკვე საბო-

ლოოდ დამთავრდა. ამის წყალობით ხმოვან-ფუძიან სახელთა სახელობითის ფორმამ ახალ სალიტერატურო ქართულში ისეთი სახე მიიღო, რომ საერთით ფუძეს დაემსგავსა: **დედა, ხე, წყარო, ყრუ** და მისთანანი ერთსა და იმავე დროს ფუძესაც წარმოადგენენ და სახელობითის ფორმასაც.

რადგანაც სახელის ბოლოკიდური **ი** შეიძლება იშვიათ შემთხვევებში ფუძის კუთვნილებაც იყოს და სახელობითის ნიშანიც, ამიტომ იმის გამოსარკვევად, თუ რომელი მათგანია ამა თუ იმ შემთხვევაში, მოთხრობითს უნდა მივმართოთ და ერთბაშად გამოირკვევა საქმის ვითარება: ფუძისეული **ი** შენახული იქნება, ბრუნვისა კი დაიკარგება; მაგალითად: ცეცხლ-**ი** — ცეცხლ-მა **ი** აქ ბრუნვის ნიშანია; მაგრამ: **ჩაი**—ჩაი-მ, ან: გიორგ**ი** — გიორგი-მ, აქ კი — ფუძისეული.

იგივე შეგვიძლია გამოვარკვიოთ მიცემითის ფორმითაც: ცეცხლ-ი — ცეცხლ-ს, მაგრამ: ჩაი—ჩაი-ს, გიორგი—გიორგი-ს.

2. მ ო თ ხ რ ო ბ ი თ ი ს ნიშანი **მა,** რომელიც წარმოადგენს **მან** ფირმანტის შეკვეცილ სახეს, კიდევ უფრო შეიკვეცა ხმოვან-ფუძიან სახელებში და **მ** დაგვრჩა. მართალია, შეიძლება აქაც უფრო სრული **(მა)** დაბოლოების ხმარებაც (მაგ., **ც** ნაწილაკის დართვისას: დედა-**მა**-ც), მაგრამ ჩვეულებრივ **მ** იხმარება. ეს იმიტომ, რომ **მ**-ს გამოთქმა ხმოვნის შემდეგ ადვილია **(დედამ),** თანხმოვნის შემდეგ კი — ძნელი: **(„ავთანდილ-მ** გადინადირა"). ამის გამო გვაქვს ხმოვნებთან **მ,** თანხმოვნებთან კი — **მა.**

3. ვ ი თ ა რ ე ბ ი თ ი ს ნიშნად ხმოვან-ფუძიან სახელებში მარტოოდენ **დ** ელემენტი გვაქვს და არა **ად,** როგორც თანხმოვან-ფუძიანებში.

4. წ ო დ ე ბ ი თ ი ბრუნვის ნიშნის ბედი რამდენადმე სახელობითისას ჰგავს: ხმოვნის შემდეგ ბრუნვის ნიშანი **(ო)** დასუსტდა, მარცვლიანობა დაკარგა და გაუთანაბრდა უმარცვლო **უ**-ს („ქალაუ!" ყაზბ.); ამის შემდეგ ის ან სულ დაიკარგა, ან არადა მას შეენაცვლა **ვ** თანხმოვანი („ქალავ!" ვაჟა). ამგვარად მივიღეთ ორგვარი ფორმა, რომელთაგანაც ერთი არაფრით განსხვავდება ფუძისაგან და ამავე დროს სახელობითის ფორმისაგანაც: მაგ., დედა—დედა-**ვ,** მებაღე—მებაღე-**ვ,** გოგო—გოგო-**ვ** და მისთ.

ბრუნვის ნიშანი **ო** შეიძლება მხოლოდ ერთ-მარცვლიან ფუძეებს შერჩეს: ძმა**ო,** მზე**ო,** ყრუ**ო** და მისთ.

5. მრავლობითი რიცხვის წარმოების დროს ეს სახელები არაფრით არ განსხვავდებიან იმ სახელებისაგან, რომელთაც ფუძის ბოლოკიდურად თანხმოვანი მოუდისთ. ეს იმით აიხსნება, რომ I მრავლობითის ფუძის მაწარმოებელია **ებ,** ე. ი. თანხმოვნით გათავებული აფიქსი. მაშასადამე, I მრავლობითში ბრუნვის ნიშნები საზოგადოდ და საყოველთაოდ თანხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეს დაერთვის და ამიტომ ყოველი სახელი აქ I ტიპს (თანხმოვნიანთა ჯგუფს) განეკუთვნება (§ 62). [II მრავლობითში სახელი საზოგადოდ არც იკუმშება და არც იკვეცება].

6. ის სახელები, რომელთაც ფუძის ბოლოკიდურად ხმოვანი აქვთ, ორ ჯგუფად იყოფა: ერთია ჯგუფი ბოლო-კვეცილი სახელებისა და მეორე ბოლო-უკვეცლებისა. მათ შორის ისე დიდია განსხვავება ბრუნების მხრით, რომ ერთის ნაცვლად არსებითად ორი ტიპი გვაქვს.

II ტ ი პ ი
ბოლო-კვეცილი სახელები

75. განსხვავება ფუძეებს შორის. ბოლო-კვეცილი სახელები ფუძის უკანასკნელ ბგერად ორ ხმოვანს გვიჩვენებს: ა-სა და ე-ს, რომლებიც ხმოვნით დაწყებულ სუფიქსებს უშუალოდ ხვდებიან და იკვეცებიან. კვეცა ხდება მხ. რიცხვის ორ ბრუნვაში: ნათ.-სა და მოქ.-ში და **ებ**-იანი მრავლობითის ყველა ბრუნვაში. მხ. რიცხვის ორი დასახელებული ბრუნვისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, **ა** მოუდის ფუძეს ბოლოში, თუ **ე**; **ებ**-იანი მრავლობითის წარმოებისათვის კი ამას მნიშვნელობა აქვს: თუმცა აქ ორივე ხმოვნით გათავებული ფუძეები თანხმოვნიან სახელთა ჯგუფში გადადის, მაგრამ განსხვავება მათ შორის ის არის, რომ **ა** იკვეცება, **ე** კი — არა. ამის მიხედვით **ე**-ნიანი სახელები ფუძე-უკუმშველ სახელებს ეკედლება. **ა**-ნიანი კი — ფუძე-კუმშვადებს.

76. რა სახელებს ეკვეცება ბოლო? ბოლო ეკვეცება: არსებითებს, ზედსართავებს, რიცხვითებს, საწყისებს.

1. არსებითებში ბოლო ეკვეცება: საზოგადოთაგან თითქმის ყველას, საკუთართაგან კი — გეოგრაფიულებს და ისეთ გვაროვნულ სახელებს („გვარებს"), რომელთაც ბოლოს **-ძე** აქვთ, ან რომლებიც წარმოშობით საზოგადო სახელებია. ბოლო ეკვეცება აგრეთვე აბსტრაქტულ სახელებს.

ა

ს ა ზ ო გ ა დ ო ს ა ხ ე ლ ე ბ ი: ბზა, და, გზა, ზღვა, თმა, თხა, რქა, ტბა, ძმა და სხვ.; ბაგა, ბიძა, დანა, დედა, დეკა, დიკა, დილა, ვეძა, კატა, კოკა, კონა, ლიტრა, ლოყა, მამა, მიწა, მონა, მუხა, ტურა, ფაცხა, ღალღა, ყანა, ძერა, ჭია, ჭიქა და სხვ.; ბაჭია, გალია, დეიდა, კრაზანა და სხვ.

ს ა კ უ თ ა რ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი. გ ე ო გ რ ა ფ ი უ ლ ი: ავჭალა, ასკანა, ასპინძა, ახმეტა, ბოჭორმა, დოლისყანა, ზარზმა, იკორთა, ლამისყანა, მეჯუდა (მდ.), მცხეთა; ნოღა, სამტრედია, ტანია (მდ.), უჯარმა, ყვირილა (მდ.), შილდა, ცაბაურთა, ძირულა (მდ.), წიფა, ჭიათურა, ჭიორა და სხვ.

ა ბ ს ტ რ ა ქ ტ უ ლ ს ა ხ ე ლ ე ბ ს ბოლოში მოუდის **ობა:** ამხანაგობა, ერთობა, მეგობრობა, ძმობა და სხვ., ან **ება:** ბედნიერება და სხვ.

ე

ს ა ზ ო გ ა დ ო ს ა ხ ე ლ ე ბ ი: ბზე, დღე, კლდე, მზე, რძე, ტყე, ტყვე, ჭდე და სხვ.; ბაგე, ბადე, ბუდე, გუბე, თონე, კიბე, მოწმე, მხარე, რიყე, სახე, სარკე, უბე, ფურნე, ღამე, ღობე, წუმპე და სხვ.; **მე——ე:** მებაღე, მედუქნე, მეეტლე, მეპურე, მეჩექმე და სხვ.; **სა——ე:** საკირე, სამელნე, საქათმე და სხვ.

ს ა კ უ თ ა რ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი. გ ე ო გ რ ა ფ ი უ ლ ი: ბოდბე, ზვარე, ფრონე (მდ.), **-ციხე:** ახალციხე, ბაკურციხე, ვარდციხე, ველისციხე, **სა——ე:** საბუე, საირმე, სამშვილდე და სხვ., უცხო გეოგრაფიულ სახელთაგან ასეთივეა: ეგვიპტე; გ ვ ა რ ო ვ ნ უ ლ ი: სააკაძე, ჭავჭავაძე, თათქარიძე და სხვ.; მებუკე, მეაბდე და სხვ.

აბსტრაქტულ სახელებს **სი——ე** აფიქსი აქვს: სითეთრე, სიშავე, სიცოცხლე, სიახლე, სიგრძე და სხვ.

2. ზედსართავ სახელთაგან ფუძეს იკვეცენ შემდეგნი: ბრმა, ღრმა, მწვანე, მწარე, მღვრიე, მწიფე, მლაშე, ცხარე და სხვ.

3. რიცხვით სახელთაგან ფუძე ეკვეცება ორს: „რვა“-სა და „ცხრა“-ს და, ამათ გარდა, **მე——ე**-თი ნაწარმოებ რიგობით სახელებს: მეორე, მესამე, მეოთხე-სა და შემდეგ.

საწყისებს ყველას ეკვეცება ა: წერა, გრეხა, თვლა, მალვა, ნგრევა, დაწყება, გმობა, ცემა, წოლა, დგომა და სხვ.

77. ა ფუძიან სახელთა ბრუნების მაგალითები.

	მხოლ.	მრავლობითი 1	მრავლობითი 2
სახ.	დედა	დედ-ებ-ი	დედა-ნ-ი
მოთ.	დედა-მ,-მა	დედ-ებ-მა	დედა-თ(ა)
მიც.	დედა-ს(ა)	დედ-ებ-ს(ა)	„
ნათ.	დედ-ის(ა)	დედ-ებ-ის(ა)	„
მოქ.	დედ-ით(ა)	დედ-ებ-ით(ა)	——
ვით.	დედა-დ(ა)	დედ-ებ-ად(ა)	——
წოდ.	დედა (დედა-ვ)	დედ-ებ-ო	დედა-ნ-ო

	მხოლ.	მრავლობითი 1	მრავლობითი 2
სახ.	ზღვა	ზღვ-ებ-ი	ზღვა-ნ-ი
მოთ.	ზღვა-მ,-მა	ზღვ-ებ-მა	ზღვა-თ(ა)
მიც.	ზღვა-ს(ა)	ზღვ-ებ-ს(ა)	„
ნათ.	ზღვ-ის(ა)	ზღვ-ებ-ის(ა)	„
მოქ.	ზღვ-ით(ა)	ზღვ-ებ-ით(ა)	——
ვით.	ზღვ-ად(ა)	ზღვ-ებ-ად(ა)	——
წოდ.	ზღვა-ო (ზღვა-ვ)	ზღვ-ებ-ო	ზღვა-ნ-ო

ა ფუძიანი რიცხვითი მხოლოდ ორია: რვა და ცხრა. ესენი, სხვა რაოდენობითი რიცხვითი სახელების მსგავსად, მრავლობითს მეორე სახისას აწარმოებენ:

	მხოლ.	მრავლ.
სახ.	რვა	რვა-ნ-ი
მოთ.	რვა-მ,-მა	რვა-თ(ა)
მიც.	რვა-ს(ა)	„
ნათ.	რვ-ის(ა)	„
მოქ.	რვ-ით(ა)	——
ვით.	რვა-დ(ა)	——
წოდ.	——	——

აბსტრაქტულსა და გეოგრაფიულ სახელებს მრავლობითი არა აქვთ; საწყი-ებს კი მრავლობითიც აკლია და, ჩვეულებრივ, წოდებითიც.

სახ.	ერთობა	მცხეთა	ჭამა
მოთ.	ერთობა-მ,-მა	მცხეთა-მ,-მა	ჭამა-მ,-მა
მიც.	ერთობა-ს(ა)	მცხეთა-ს(ა)	ჭამა-ს(ა)
ნათ.	ერთობ-ის(ა)	მცხეთ-ის(ა)	ჭამ-ის(ა)
მოქ.	ერთობ-ით(ა)	მცხეთ-ით(ა)	ჭამ-ით(ა)
ვით.	ერთობა-დ(ა)	მცხეთა-დ(ა)	ჭამა-დ(ა)
წოდ.	ერთობა-ვ (ერთობა)	მცხეთა-ვ (მცხეთა)	———

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. როცა საწყისი ფრაზაში გამოყენებულია მიზნის გარემოებად, ის დაისმის ნათ ბრუნვაში და დაერთვის თანდებული „თვის“ (ან სიტყვა „მიზნით“): ამბის კითხვისთვის, საქმის გაკეთებისთვის, სახლის აშენებისთვის და მისთ.. მაგრამ ასეთ შემთხვევაში საწყისის ნაცვლად ჩვეულებრივ იხმარება სათანადო ზმნის მომავლის მიმღეობა (ვნ. გვარისა), რომელიც ვით.-ში დაისმის: ამბის საკითხავად, საქმის გასაკეთებლად, სახლის ასაშენებლად და მისთ.. მიზეზის გარემოების შემთხვევაში საწყისი რჩება; შდრ. „ამბის კითხვისათვის არ გაგიჯავრდებიან“ მაგრამ: „ამბის საკითხავად ნუ წახვალ“.

78. ე ფუძიან სახელთა ბრუნების მაგალითები.

	მხოლ.	მრავლობითი 1	მრავლობითი 2
სახ.	მებაღე	მებაღე-ებ-ი	მებაღე-ნ-ი
მოთ.	მებაღე-მ,-მა	მებაღე-ებ-მა	მებაღე-თ(ა)
მიც.	მებაღე-ს(ა)	მებაღე-ებ-ს(ა)	„
ნათ.	მებაღ-ის(ა)	მებაღე-ებ-ის(ა)	„
მოქ.	მებაღ-ით(ა)	მებაღე-ებ-ით(ა)	———
ვით.	მებაღე-დ(ა)	მებაღე-ებ-ად(ა)	———
წოდ.	მებაღე-ვ (მებაღე)	მებაღე-ებ-ო	მებაღე-ნ-ო

	მხოლ.	მრავლობითი 1	მრავლობითი 2
სახ.	ტყე	ტყე-ებ-ი	ტყე-ნ-ი
მოთ.	ტყე-მ,-მა	ტყე-ებ-მა	ტყე-თ(ა)
მიც.	ტყე-ს(ა)	ტყე-ებ-ს(ა)	„
ნათ.	ტყ-ის(ა)	ტყე-ებ-ის(ა)	„
მოქ.	ტყ-ით(ა)	ტყე-ებ-ით(ა)	———
ვით.	ტყე-დ(ა)	ტყე-ებ-ად(ა)	———
წოდ.	ტყე-ო (ტყე-ვ)	ტყე-ებ-ო	ტყე-ნ-ო

	მხოლ.	მრავლობითი 1	2
სახ.	ჭავჭავაძე	ჭავჭავაძე-ებ-**ი**	ჭავჭავაძე-ნ-**ი**
მოთ.	ჭავჭავაძე-**მ,-მა**	ჭავჭავაძე-ებ-**მა**	ჭავჭავაძე-თ(ა)
მიც.	ჭავჭავაძე-**ს**(ა)	ჭავჭავაძე-ებ-**ს**(ა)	"
ნათ.	ჭავჭავაძ-**ის**(ა)	ჭავჭავაძე-ებ-**ის**(ა)	"
მოქ.	ჭავჭავაძ-**ით**(ა)	ჭავჭავაძე-ებ-**ით**(ა)	———
ვით.	ჭავჭავაძე-**დ**(ა)	ჭავჭავაძე-ებ-**ად**(ა)	———
წოდ.	ჭავჭავაძე-**ვ** (ჭავჭავაძე)	ჭავჭავაძე-ებ-**ო**	ჭავჭავაძე-ნ-**ო**

	მხოლ.	მრავლობითი 1	2
სახ.	მწვანე	მწვანე-ებ-**ი**	მწვანე-ნ-**ი**
მოთ.	მწვანე-**მ,-მა**	მწვანე-ებ-**მა**	მწვანე-თ(ა)
მიც.	მწვანე-**ს**(ა)	მწვანე-ებ-**ს**(ა)	"
ნათ.	მწვან-**ის**(ა)	მწვანე-ებ-**ის**(ა)	"
მოქ.	მწვან-**ით**(ა)	მწვანე-ებ-**ით**(ა)	———
ვით.	მწვანე-**დ**(ა)	მწვანე-ებ-**ად**(ა)	———
წოდ.	მწვანე-**ვ** (მწვანე)	მწვანე-ებ-**ო**	მწვანე-ნ-**ო**

	მხოლ.	მრავლობითი 1	2
სახ.	მესამე	მესამე-ებ-**ი**	მესამე-**ნ-ი**
მოთ.	მესამე-**მ,-მა**	მესამე-ებ-**მა**	მესამე-თ(ა)
მიც.	მესამე-**ს**(ა)	მესამე-ებ-**ს**(ა)	"
ნათ.	მესამ-**ის**(ა)	მესამე-ებ-**ის**(ა)	"
მოქ.	მესამ-**ით**(ა)	მესჟმე-ებ-**ით**(ა)	———
ვით.	მესამე-**დ**(ა)	მესამე-ებ-**ად**(ა)	———
წოდ.	მესამე-**ვ** (მესამე)	მესამე-ებ-**ო**	მესამე-**ნ-ო**

აბსტრაქტული და **გეოგრაფიული** სახელები, როგორც სხვაგან, აქაც არ **გვიჩვენებენ** მრავლობითის ფორმას. მაგალითებად ავიღოთ: სიცოცხლე, ბოდბე (სოფ.) და ფრონე (მდ.).

სახ.	სიცოცხლე	ბოდბე	ფრონე
მოთ.	სიცოცხლე-**მ,-მა**	ბოდბე-**მ,-მა**	ფრონე-**მ,-მა**
მიც.	სიცოცხლე-**ს**(ა)	ბოდბე-**ს**(ა)	ფრონე-**ს**(ა)
ნათ.	სიცოცხლ-**ის**(ა)	ბოდბ-**ის**(ა)	ფრონ-**ის**(ა)
მოქ.	სიცოცხლ-**ით**(ა)	ბოდბ-**ით**(ა)	ფრონ-**ით**(ა)
ვით.	სიცოცხლე-**დ**(ა)	ბოდბე-**დ**(ა)	ფრონე-**დ**(ა)
წოდ.	სიცოცხლე-**ვ** (სიცოცხლე)	ბოდბე-**ვ** (ბოდბე)	ფრონე-**ვ** (ფრონე)

III ტიპი

ბოლო-უკვეცელი სახელები

79. განსხვავება ბოლო-კვეცილთაგან. ბოლო-უკვეცელი სახელები ბოლო-კვეცილთაგან მარტოოდენ ორ ბრუნვაში განსხვავდებიან: ნათესაობითსა და მოქმედებითში. ამ ბრუნვებში ფუძის ბოლოკიდურ ხმოვანს უშუალოდ უნდა მოსდევდეს ბრუნვის ნიშნის ხმოვანი **ი**, რომელიც ძველად ფუძისეულ ხმოვანზე კი ვერ მოქმედებდა და კი ვერ ასუსტებდა მას, არამედ, პირუკუ, თვითონ სუსტდებოდა და მარცვლიანობის დაკარგვის შემდეგ წინამავალ ფუძისეულ ხმოვანთან ერთად დიფთონგს ქმნიდა. ჯერ კიდევ საშუალმა ქართულმა ვერ შეიგუა დიფთონგის გამოთქმა და მის მეორე ნაწილზე, რომელიც სუსტი იყო, სრულებით აიღო ხელი. ამის წყალობით ნათესაობითის **ის** და მოქმედებითის **ით** დაბოლოებათაგან მივიღეთ შესაბამისად **ს** და **თ**. მაგრამ **ს** ისედაც გვქონდა ბრუნვის ნიშნად მიცემითში, ამიტომ ნათესაობითის ფორმა მიცემითისას დაემსგავსა სრულიად და მათი ერთურთისაგან გარჩევა შესაძლებელი ხდება მხოლოდ სინტაქსურად, სხვა სიტყვებთან დაკავშირებით: ამჟამად შოთას, პეტრეს, უთოს, ძუძუს და მისთანა ფორმები შეიძლება ნათესაობითიც იყოს და მიცემითიც, იმის მიხედვით, თუ რა სიტყვებთანაა ხმარებული წყვილის ცალებად.

რაც შეეხება მოქმედებითს, იქ მიღებული **თ** აღარ შეგვრჩა, არამედ დაერთო **ი** და მივიღეთ **თი** („შენის ძუძუთი გაზდილან", ჭავ., 402,5). ოღონდ არ უნდა ვიფიქროთ, თითქო **ით** დაბოლოებაში ხმოვანი იქნა გადასმული და ასეთი გადასმის შედეგად **თი** მივიღეთო. არა, **თ** დაბოლოებას ახლად განუვითარდა ბოლოში **ი**, როდესაც მის წინ **ი** უკვე დაკარგული იყო. ეს **ი** არ ვითარდება ი-ზე გათავებული ფუძეების მოქ. ბრუნვაში: ჩაით (და არა ჩაი-**თი**).

80. ბოლო-უკვეცელ სახელთა ჯგუფები. ხმოვანი არ ეკვეცება, უპირველეს ყოვლისა, ისეთ სახელებს, რომელთაც ფუძის ბოლოკიდურად აქვთ **ო** და **უ**, მიუხედავად იმისა, სახელი არსებითია თუ ზედსართავი, საზოგადო თუ საკუთარი. **ო**-ზე გათავებული სახელები ხშირია, **უ**-ზე გათავებული კი იშვიათად გვხვდება.

1. **ო**-ზე გათავებულ სახელთაგან შეიძლება ჩამოვთვალოთ:

ს ა ზ ო გ ა დ ო: ბრბო, დო, რკო, რტო (შტო), შნო, ხბო: ასო, ახო, გოგო, ეზო, ერბო, ეჩო, ერდო, თარო, კაბდო, კალო, კიბო, კუბო, კურო, მდელო, ორმო, ოქრო, პალო, სიო, სპილო, ტარო, უთო, ურო, ქატო, წალო, წერო, წყარო, ჭიგო და სხვ.; აკიდო, ბაბილო, ბოგანო, გომბიო, ლობიო, მარაო, ქუთუთო, სამკითხველო და სხვ.

ს ა კ უ თ ა რ ი: ა) გ ე ო გ რ ა ფ ი უ ლ ი: ბეჩო, ერწო, სნო, ხულო; ბახმარო, მაღარო, ომალო, შუაფხო, ჭრებალო; საქართველო, საგარეჯო, კოდისწყარო და სხვ. ბ) პ ი რ ი ს ა: ანდრო, ბეკო, ბესო, გაბრო, გიგო, ვანო, ვასო, თედო, კაკო, სანდრო და სხვ.; ბაბო, თამრო, კატო, კესო, ნინო, ტასო, ქეთო, და-

რიკო და სხვ.. პირის სახელებში შემოდის აგრეთვე უცხო წარმოშობის გ ვ ა-რ ე ბ ი: მასპერო, რუსო, შევჩენკო, ჰიუგო და სხვ.

ზედსართავთაგან შეიძლება ჩამოვთვალოთ: ვიწრო, ფართო, მჭიდრო, უცხო; **სა-ო:** სასოფლო, საგზაო, საქვეყნო და სხვ.; **უ—ო:** უენო, უგულო, უფულო, უსირცხვილო და სხვ.

2. **უ**-ზე გათავებული სახელები ცოტაა როგორც არსებითებში, ისე ზედსართავებში: ბლუ, ბუ, (რ)კუ, რუ, ტლუ, ღრუ, ყრუ, შლუ, ცრუ, ძუძუ, კაკადუ; ს ა კ უ თ ა რ თ ა გ ა ნ გ ე ო გ რ. სახელები: დვაბზუ (სოფ.), კურზუ, ჩხოროწყუ; პ ი რ ი ს სახელები: დუტუ, უტუ, ძუკუ; უცხო გ ვ ა რ ე ბ ი: ერნუ, ლერუ და სხვ.

3. საზოგადო სახელებში არ მოიპოვება ფუძე, რომ უკვეცელი **ე** ჰქონდეს. მხოლოდ პირის სახელებია, რომლებიც **ე**-ს არ იკვეცენ, ესენია ადამიანთა სახელები და მათთან გათანასწორებული უცხო წარმოშობის გვარები: ალექსანდრე, კირილე, კოტე, პავლე, პეტრე; ელენე, მაკრინე; ბერანჟე, ბროსე, გოეთე, ლავუაზიე, ჰაინე და სხვ.

4. **ა** ფუძიანი საზოგადო სახელებიც აგრეთვე თითქმის ყველა იკვეცება, გამონაკლისს წარმოადგენს ის სახელები, სადაც **ა** მაწარმოებელია: დედოფალა, ცისარტყელა, წითელა (ავადმყოფობა), ნიბლიას ბუდე (თ. რაზიკ.), მაგრამ შეკვეცილია **ა**: ნიბლიები. ზედსართავთაგან ასეთებია: ქერა, შავთვალა და სხვ.. სამაგიეროდ საკუთარ სახელთაგან პ ი რ ი ს სახელები ყველა უკვეცელია: ელგუჯა, შოთა, ლუკა, უჩა, მართა და სხვ.

ია, უა და **ავა**-ზე გათავებული ქართ. გვარები (ქირია, ლორია, ჯიქია, გაგუა, სტურუა, ჯაბუა, გუგუნავა, ქოიავა, ხაინდრავა და სხვ.) მხოლობითში არ იკვეცენ ბოლოკიდურს (ლორიას ქალი, გუგუნავას პოემა), მაგრამ მრავლობითში იკვეცენ: ლორიები, გუგუნავები.

5. **ი**-ზე დაბოლოებული ფუძე ქართულში აღარ შეგვრჩა, უცხო წარმოშობის პირის სახელებს გარდა: აკაკი, გიორგი, ლავრენტი, ტერენტი; ასეთივეა გვარები: მაძინი, ტორიჩელი, გორკი, ტოლსტოი, დოსტოევსკი და სხვ. თუ კი სადმე იყო ასეთი ფუძე, მისი ბოლოკიდური **ი** ძველადვე სახელობითის ბრუნვის ნიშნად იქნა გაგებული და სხვა ბრუნვებში მოიკვეცა. ისეთი სახელები კი, როგორიცაა „ჩაი“, „პაი“, „ტრამვაი“, ახლად ნასესხებია ქართულში. მაგრამ რადგანაც ხშირია ქართულში ზმნის ფორმის ან „უცვალებელი“ სიტყვის ბრუნება, ამიტომ **ი**-ზე დაბოლოებული ფუძეები შეიძლება სხვაც მოიძებნოს მაგ., **გამიხარდი** და **ვიცი** ორივე ზმნაა, რადგანაც მათ ასეთი პარალელური ფორმები მოეპოვება: **გამიხარდი, გამიხარდა; ვიცი, იცი, იცის** და სხვ.. მაგრამ „გამიხარდი“ სახელია ამ შემთხვევაში.: „ხევსურები ვაჟს სახელად **გამიხარდისაც** არქმევენ“; „ვ ი ც ი-მეთქი, ერთხელ რომ წამომცდა, ამ **ვიციმ** დამღუპა“. — აქ „ვიცი“ ზმნის ფორმაა, სახელსავით წინადადების წევრად (სუბიექტად) გამოყენებული და მოთხრ. ბრუნვაში დასმული (§§ 101, 102).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ფუძისეული **ი**-ს ბრუნვის ნიშნად გაგება შეგვიძლია „ნუგეშ“-ზე გავითვალისწინოთ; ვამბობთ: „ჩემი ნუგეში“, „ჩემო ნუგე

შო“ და სხვ., მაშასადამე, **ი** სახელობითის ნიშნად გვესმის. წარმოშობით კი ეს არის ზმნის ფორმა: „ნუ გეშინის“: მაშასადამე, **შ**-ს მომდევნო **ი** წარმოშობით ფუძეს ეკუთვნის.

ზოგიერთ საკუთარ სახელს, უცხო წარმოშობისას, ძველად ფუძისეული **ი** ჰქონდა ბოლოში: ანტონი, ბასილი, გრიგოლი, ნესტორი, ბაგრამ დღეს გვაქვს: ანტონ, ბასილ, გრიგოლ, ნესტორ (**ი** სახელობითის ნიშნად იქნა გაგებული და მოკვეცილი).

უცხო წარმოშობის საზოგადო სახელებშიც ფუძისეული **ი** სახელობითის ნიშნად იქნა გაგებული და სხვა ბრუნვებში ჩამოკვეცილი: ბ ე რ ძ ნ. მონასტერ-ი, ოლარ-ი, პარასკევ-ი: ა რ ა ბ. ყად-ი, მუშტარ-ი, სურა (სურაჰი-საგან); ს პ ა რ ს. აბაზ-ი, ზანგ-ი, ქარვასლა; თ უ რ ქ. ელჩ-ი, გემ-ი, ყუთ-ი და სხვ.

81. შენიშვნები ბოლო-უკვეცელ სახელთა ბრუნების შესახებ.

1. ბოლო-უკვეცელი სახელები მრ. რიცხვის წარმოების მიხედვით, — რამენადაც კი მათ ამ რიცხვის ფორმები შეიძლება ჰქონდეთ, — საერთო წესის ანახმად ბოლო-თანხმოვნიანთა ჯგუფში (I ტიპის ბრუნებაში) გადადიან.

2. ერთ-მარცვლიანმა სახელებმა ნათესაობითსა და მოქმედებითში შეიძლება უცვლელადაც დაიცვან ბრუნვის ნიშნები: დრო-ის, დრო-ით, რუ-ის, რუ-ით ა მისთ.; სოფლის სახელებია: „რუს-თავი“ და „რუის-პირი“, რომლებიც სხვადასხვა გვარად არის ნაწარმოები. იშვიათად ამას შეიძლება სხვაგანაც შევხვდეთ: შოთაის სულის ლხენამა“ (ვაჟა).

3. გავრცელებულია აზრი, თითქო ბოლო-უკვეცელ სახელებს ნათესაობითის ნიშნად **-სი** მოუდიოდესთ, ე. ი. თითქო, მაგ., **შოთასი, პეტრესი, ვასოსი, დუტუსი** და მისთ. ნათესაობითის ფორმები იყოს. არა! ესენი ყველა რთული ფორმებია: ნათესაობით-სახელობითი (§§ 99, 130). მართლაც, რომ აქ მარტივად ნათესაობითი ბრუნვის ფორმა არაა, იქიდანაც ჩანს, რომ მარტივი **ნათესაობითის** ფორმა ყოველთვის იგუებს **თვის** თანდებულს: კაცის-თვის (ან: **კაცისა**-თვის), დედის-თვის (ან: დედისა-თვის) და მისთ., მაგრამ არ ითქმის: შოთასი-თვის, პეტრესი-თვის, ვასოსი-თვის, დუტუსი-თვის, არამედ: შოთას-თვის, პეტრეს-თვის, დუტუს-თვის და მისთ. (§ 79).

82. ბოლო-უკვეცელ სახელთა ბრუნების მაგალითები.

	მხოლ.	მრავლობითი 1	მრავლობითი 2
სახ.	ლურჯა	ლურჯა-ებ-**ი**	ლურჯა-ნ-**ი**
მოთ.	ლურჯა-**მ**,-**მა**	ლურჯა-ებ-**მა**	ლურჯა-თ(ა)
მიც.	ლურჯა-**ს**(ა)	ლურჯა-ებ-**ს**(ა)	„
ნათ.	ლურჯა-**ს**(ა)	ლურჯა-ებ-**ის**(ა)	„
მოქ.	ლურჯა-**თი**	ლურჯა-ებ-**ით**(ა)	———
ვით.	ლურჯა-**დ**(ა)	ლურჯა-ებ-**ად**(ა)	———
წოდ.	ლურჯა-**ვ** (ლურჯა)	ლურჯა-ებ-**ო**	ლურჯა-ნ-**ო**

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. მრავლობითში შესაძლებელია ხმოვანთა ასიმილაცია მოხდეს: ლურჯეები.

	მხოლ.	მრავლობითი 1	2
სახ.	წყარო	წყარო-ებ-ი	წყარო-ნ-ი
მოთ.	წყარო-მ,-მა	წყარო-ებ-მა	წყარო-თ(ა)
მიც.	წყარო-ს(ა)	წყარო-ებ-ს(ა)	"
ნათ.	წყარო-ს(ა)	წყარო-ებ-ის(ა)	"
მოქ.	წყარო-თი	წყარო-ებ-ით(ა)	———
ვით.	წყარო-დ(ა)	წყარო-ებ-ად(ა)	———
წოდ.	წყარო-ვ (წყარო)	წყარო-ებ-ო	წყარო-ნ-ო

	მხოლ.	მრავლობითი 1	2
სახ.	რუ	რუ-ებ-ი	რუ-ნ-ი
მოთ.	რუ-მ,-მა	რუ-ებ-მა	რუ-თ(ა)
მიც.	რუ-ს(ა)	რუ-ებ-ს(ა)	"
ნათ.	რუ-ს(ა)	რუ-ებ-ის(ა)	"
მოქ.	რუ-თი	რუ-ებ-ით(ა)	———
ვით.	რუ-დ(ა)	რუ-ებ-ად(ა)	———
წოდ.	რუ-ო	რუ-ებ-ო	რუ-ნ-ო

	ა	ე	ი	ო	უ
სახ.	შოთა	პეტრე	გიორგი	ვანო	უტუ
მოთ.	შოთა-მ	პეტრე-მ	გიორგი-მ	ვანო-მ	უტუ-მ
მიც.	შოთა-ს	პეტრე-ს	გიორგი-ს	ვანო-ს	უტუ-ს
ნათ.	შოთა-ს	პეტრე-ს	გიორგი-ს	ვანო-ს	უტუ-ს
მოქ.	შოთა-თი	პეტრე-თი	გიორგი-თ	ვანო-თი	უტუ-თი
ვით.	შოთა-დ	პეტრე-დ	გიორგი-დ	ვანო-დ	უტუ-დ
წოდ.	შოთა	პეტრე	გიორგი	ვანო	უტუ

პარადიგმებში ნაჩვენები არ არის ნართაული **ა** (რომელსაც ნ. მარმა ემფატიკური ხმოვანი უწოდა). იგი დღევანდელ ქართულში შეიძლება საკუთარ სახელებსაც დაერთოს მიც., ნათ., მოქ. და ვით.-ში (შოთასა და სხვა). ამას გარდა არ არის აღნიშნული პარალელური ფორმა მოთხრობითში: შოთა-**მა**, პეტრე-**მ** და სხვ., რაც აუცილებელია **ც(ა)** ნაწილაკის დართვისას: შოთა-მაც.

როგორც ზემოთაც შევნიშნეთ (§ 65), პირის სახელებს ბრუნვის ნიშანი სახელობითში არა ჰქონიათ ძველად და არც დაუკარგავთ. საზოგადო სახელებს კი ყველას ჰქონდა და, როცა ის ხმოვან-ფუძიანებმა დაკარგეს, ამით გაუთანაბრდნენ პირის სახელებს. სამაგიეროდ პირის სახელებმა ბრუნვის ნიშნები შეიძინეს მოთხრობითსა და ნაწილობრივ წოდებითში და ამით ესენი გაუთანაბრდნენ საზოგადო სახელებს. ამას გარდა, პირის სახელები არ გაურბიან ნართაულ ხმოვანს, რომელიც ძველად მხოლოდ საზოგადო სახელთა კუთვნილება იყო. ასეთი გათანაბრების გამო გასაკვირი არ არის, რომ კილოებში **ი**-ც შეგვხვდეს სახელობითის ნიშნად **ა**-სთან და **ო**-სთან: შოთაი, მართაი, ვანოი, კატოი, და **ვ**—წოდებითის ნიშნად **ა**-სთან და **ე**-სთან: თორღავ (ყაზ., 260,25), კობავ (ყაზ.

305,22; 313,36), პეპიავ (ვაჟ., 315,12), ზაქარიავ (ვაჟ., 277,3), პეტრევ (ვაჟ., 275,7), მინდიავ (ვაჟა, «გველის მჭ.»), მზიავ (იქვე), სანდუავ (იქვე) და სხვ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. მე-18 ს.-სა და მე-19 ს.-ის I ნახევარში. რამდენადმე შემდეგაც, **ება** და **ობა**-ზე გათავებული სახელები მრავლობითში არ იკვეცენ **ა**-ს: „მღვდელსა ვკითხე იქაური ვითარებაები" (თეიმ. ბაგრატიონი, მოგზაურობა, 1936).

83. შერწყმულ სახელთა ბრუნება. შერწყმულ სახელთა და სახელზმნათა ერთი ჯგუფი უ-„და"-კავშიროდ არის შეერთებული: დედ-მამა, ცოლ-ქმარი, ცოლ-შვილი, და-ძმა, მიწა-წყალი, სვე-ბედი, სახლ-კარი, ტოლ-ამხანაგი, ტურაძელა, სიგელ-გუჯარი, ფშავ-ხევსურეთი, გურია-სამეგრელო, ცივ-გომბორი, სმა-ჭამა, წვა-დაგვა, ტანჯვა-წვალება, ჭრა-კერვა, წერა-კითხვა, მშიერ-მწყურვალე, არეულ-დარეული და მისთ.. უმეტესად ორ-ორი სახელია ერთად შერწყმული, მაგრამ შეიძლება სამი და მეტიც იყოს: „ქვა-კლდე-ღრესთან" (ვაჟ., 245,18). მეორე ჯგუფი წარმოადგენს არსებითის შეერთებას ზედსართავთან ან მიმღეობასთან: სულ-მოკლე, სულ-წასული, სულ-კურთხეული (§ 190).

შერწყმულ სახელთაგან მარტო უკანასკნელი მიიღებს ბრუნვისა და რიცხვის ნიშნებს, თანაც იმ წესით, როგორც ეს მისთვისაა ჩვეულებრივი ცალკე ბრუნების დროს. მაგალითი:

სახ.	ტოლ-ამხანაგ-ი	ქვა-კლდე-ღრე
მოთ.	ტოლ-ამხანაგ-**მა**	ქვა-კლდე-ღრე-**მ,-მა**
მიც.	ტოლ-ამხანაგ-**ს**(ა)	ქვა-კლდე-ღრე-**ს**(ა)
ნათ.	ტოლ-ამხანაგ-**ის**(ა)	ქვა-კლდე-ღრ-**ის**(ა)
მოქ.	ტოლ-ამხანაგ-**ით**(ა)	ქვა-კლდე-ღრ-**ით**(ა)
ვით.	ტოლ-ამხანაგ-**ად**(ა)	ქვა-კლდე-ღრე-**დ**(ა)
წოდ.	ტოლ-ამხანაგ-**ო**	ქვა-კლდე-ღრე-**ო**

ასეთივე სურათია მრავლობითშიც, რამდენადაც ასეთ სახელებს მრავლობითის წარმოების საშუალება აქვს; მაგ., შერწყმული საწყისები (ჭრა-კერვა და მისთ.) მრავლობითს ვერ აწარმოებენ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. თუ ორი სახელი „და" კავშირითაა შეერთებული, თვითეული მათგანი ცალკ-ცალკე იბრუნვის: კალთა და უბე, კალთამ და უბემ, კალთასა და უბეს, კალთისა და უბის და სხვ.. ჩვეულებრივ მოსალოდნელია: „კალთასა და უბეში", მაგრამ გვხვდება პოეტური ლიცენცია: „თან დააქვს აურაცხელი მადლი კ ა ლ თ ა და უ ბ ე შ ი" (ვაჟა. I, 215,4).

თხლებლიანი ბრუნვები

84. თხლებლის დართვა. ბრუნვის ფორმა ქართულში შეიძლება მარტივად იყოს წარმოდგენილი, — მას არა ახლდეს რა. მაგრამ შეიძლება, რომ მას მოსდევდეს თხლებელი. ზოგ შემთხვევაში თხლებელი შეიძლება ისე მჭიდროდ დაუკავშირდეს სახელს, რომ ორივემ ერთი სიტყვა მოგვცეს. ჩვეულებრივ ამას მაშინ აქვს ადგილი, როცა თხლებელი უმარცვლოა ან ერთ-მარცვლიანი, იშვიათად მაშინაც, როცა ორ- და მეტ-მარცვლიანია.

სახელზე უშუალოდ დართულ მხლებლებში თანდებულები და ნაწილაკები გვხვდება, კავშირები და ნაწევრები კი — არა. თანდებულს დაირთავს ზოგიერთი ბრუნვა, ნაწილაკს კი — ყველა.

> შ ე ნ ი შ ვ ნ ა. საქმის ვითარების ნათელსაყოფად მაგალითებად მოყვანილ სიტყვებში მხლებლები აქ დეფისით არის გამოყოფილი.

85. თანდებულიანი სახელობითი. სახელობითი მარტოოდენ **ვით**-ს დაირთავს, ისიც მხოლოდ თანხმოვნიან ფუძეებთან: მხეცი-ვით, მტრედი-ვით, ბატი-ვით. ეს „ვით" უმეტესად მიცემითს დაერთვის (§ 86).

86. თანდებულიანი მიცემითი. მიცემითის ფორმას დაერთვის თანდებულები: **თან** და **ვით**.

თან. მიწას-თან, ხეს-თან, ტრამვაის-თან, ეზოს-თან, რუს-თან; ლუკას-თან, პეტრეს-თან, აკაკის-თან, გიგოს-თან, დუტუს-თან და სხვ.

როგორც ამ მაგალითებიდან ჩანს, მიცემითის ნიშანი **ს** შენახულია ხმოვნიან ფუძეებთან. მაგრამ თანხმოვნიან ფუძეებთან ბრუნვის ნიშანი იკარგება: **კარ-თან,** გულ-თან, ცხენ-თან, ქვაბ-თან, ტოქ-თან და მისთ. (§ 28,4). ბრუნვის ნიშნის დაკარგვა გამოწვეულია თანხმოვნების თავმოყრით: თუ ფუძეს ბოლოში ერთი თანხმოვანი აქვს, მაშინ თავს მოიყრის სამი თანხმოვანი: ფუძის ბოლოკიდური, ბრუნვის ნიშანი და თანდებულის თავკიდური. თუ ფუძეს ორი ან მეტი თანხმოვანი აქვს ბოლოში, მაშინ ერთად დაჯგუფებულ თანხმოვანთა რიცხვი სათანადოდ გაიზრდება: **გულ-ს-თან, სახლ-ს-**თან, ცეცხლ-ს-თან და მისთ.. გამოთქმის გაადვილების მიზნით ენამ ხელი აიღო ისეთ ელემენტზე, ურომლისობა აზრის გაგებას ხელს არ უშლის.

„თან" მიღებულია „თანა"-საგან, რომელიც დღესაც იხმარება **ც** ნაწილაკის დართვით: ხესთანა-ც, წყაროსთანა-ც.

ვით. დაერთვის როგორც ხმოვან-ფუძიანს ,ისე თანხმოვან-ფუძიან სახელს, მაგრამ აუცილებლად გავრცობილ ფორმას: ბიჭსა-ვით, ძმასა-ვით, მოყვარესა-ვით, წყაროსა-ვით, რუსა-ვით, ლუარსაბსა-ვით, მართასა-ვით, პეტრესა-ვით, გიორგისა-ვით, ნატოსა-ვით, უტუსა-ვით და მისთ.

თანხმოვან-ფუძიან სახელებთან „ვით" სახელობითსაც უკავშირდება (§ 85).

> შ ე ნ ი შ ვ ნ ა. „ვით"-ს ზოგჯერ, ნათესაობითსაც უკავშირებდნენ. „სისხლისავით წითელი ენა" (ყაზ., 290,33), „მწვანე ხავერდისავით ჯეჯილის ყდა" (ჭავ., 274,29), „თურაშაულ ვაშლისავით" (ჭავ., 334,15), „ფოსტის ცხენისავით მათრიე" (ჭავ., 375,22) და სხვ.. სალიტერატურო ენამ ასეთ ფორმებზე საბოლოოდ აიღო ხელი.

87. თანდებულიანი ნათესაობითი. ნათ. ბრუნვას ერთვის **თან**დებულები: **თვის, გან, კენ, ებრ, თანავე, დამი.** ეს თანდებულები შეიძლება დაერთოს როგორც გავრცობილს, ისე გაუვრცობელ ფორმას:

თვის: ქალაქის-თვის, დედის-თვის, მებაღის-თვის, ოქროს-თვის, რუს-თვის; დავითის-თვის, ელენეს-თვის, გიორგის-თვის, კატოს-თვის, დუტუს-თვის; ნართაული ა-ს ხმარებით: დედისა-თვის, გიორგისა-თვის და სხვ.

გან: რკინის-გან, მოწაფის-გან, ხის-გან, მიწის-გან და სხვ.; ნართაული

ამოვნით: რკინისა-გან, მოწაფისა-გან, ხისა-გან, მიწისა-გან და სხვ.. **„ერთი ხი-საგან ნიჩაბიც გამოვა და ბარიცო“** (ანდ.).

კენ: ტყის-კენ, ცის-კენ, ქალაქის-კენ, სოფლის-კენ და მისთ.. (აგრეთვე: ტყისა-კენ, ცისა-კენ, ქალაქისა-კენ, სოფლისა-კენ და მისთ.).

ვაჟა-ფშაველას ნაწერებში **კენ**-ის ნაცვლად ხშირად გვხვდება **კე, კ**: მთე-ისკე (I, 33,32), ხალხისკე (III, 81, 30), ცეცხლისკე (იქვე, 268,12), მტრისაკე (იქვე, 189,36), იმათკე (იქვე, 197,8); ცისაკ (I, 10,16) და სხვ.

ებრ: ბატის-ებრ, ზღვის-ებრ, თიხის-ებრ და სხვ.; ეს თანდებული ზოგჯერ პირდაპირ ერთვის ფუძეს: ლომ-ებრ, სხვ-ებრ (ხმოვნის შეკვეცით) და სხვ.

თანავე: ეს თანდებული რთულია: **თანა**-ს **ვე ნაწილაკი ახლავს. თანა იგი-ვეა, რაც თან** (ოღონდ ძველი ფორმით), რომელიც, **როგორც** ვნახეთ (§ 86), მი-ცემითს ერთვის, **თანავე** კი — ნათესაობითს. ჩვეულებრივია მისი ხმარება საწ-ყისთან დ რ ო ი ს გადმოცემის მიზნით: მოსვლის-თანავე, გაკვეთილის დაწყე-ბის-თანავე, მატარებლის გაჩერების-თანავე და მისთ.

დამი: ეს არის რთული თანდებული (და-მი), რომელიც ძველად მეორე პირის ნაცვალსახელებს ერთოდა: შენდამი („თუალნი ყოველთანი შენდამი ესვენ, უფალო“), თქუენდამი, მაგრამ: მისა, მათ(დ)ა მიმართ. პირველი პირის ნაცვალსახელთან **მი**-ს **მო** ენაცვლებოდა: ჩემდა-მო, ჩუენდა-მო. არსებით სა-ხელებთან ნათ. ბრუნვის ფორმას ერთოდა „მიმართ“: უფლისა მიმართ. ამ ფორ-მათა კონტამინაციის ნიადაგზე შემუშავდა (-ის-**და-მი→**) **-ისა-დმი:** ამხანაგისად-მი, მეზობლებისადმი, მიმართვა მოსახლეობისადმი და მისთ.

> შ ე ნ ი შ ვ ნ ა. მარტო **და** შემონახულია ისეთ გამოთქმებში, როგო-რიცაა: თავისდა-თავად, მე ჩემდა თავად (=მე ჩემის მხრით), იმისდა მი-ხედვით, ამისდა მიუხედავად, „თავისდა კვალად“ (ყაზ., 346,1=თავისი მხრით), „ამისდა კვალად“ (ყაზ., 302,29), „მთის ჩვეულებისდა კვალად“ (ყაზ., 299,12).

88. თანდებულიანი მოქმედებითი. მოქმედებით ბრუნვას ერთვის თან-დებული **ურთ:** ცოლ-შვილით-ურთ, მეგობრებით-ურთ, ფესვით-ურთ და მისთ.

ასეთი ფორმის ნაცვლად ამჟამად ხშირად იხმარება **იან** სუფიქსიანი წარ-მოება ვით. ბრუნვის ფორმით: ცოლ-შვილიანად, მეგობრებიანად, ფესვიანად და მისთ.

> შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ზოგიერთი თანდებული შეეზარდა ბრუნვის ფორმას და ახალი ბრუნვები წარმოიშვა (ნ. ლოკალური ბრუნვები, §§ 90—96).

89. ნაწილაკიანი ბრუნვები. ბრუნვის ფორმას შეიძლება ახლდეს ნაწი-ლაკები: **ც (ცა), და, მე, ვე (ვ), მეთქი, თქო, ო, ოდე, მც(ა)** და სხვ.. ამათგან ზოგი მარტო სახელებს ერთვის, ზოგი კი — ყოველგვარ სიტყვას. **ოდე** მარტო რიცხვითებს ერთვის. ნაწილაკი სახელს დაერთვის საზოგადოდ ბრუნვის ნიშნის შემდეგ. მაგრამ ნაწილაკი შეიძლება შეეზარდოს ფუძეს და მის ნაწილად იქცეს. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ბრუნვის ნიშნები სულ ბოლოს მოვა. ამას ადგი-ლი აქვს ჩვეულებრივ ნაცვალსახელებთან, რამდენადმე აგრეთვე რიცხვითებ-თანაც და ისიც გარკვეული ნაწილაკების დართვისას.

ნაწილაკი ყველა ბრუნვის ფორმას შეიძლება დაერთოს, თვით წოდებითსაც კი, მაგრამ უკანასკნელს ისეთი ნაწილაკი ერთვის, რომელსაც საყოველთაო გამოყენება აქვს: სახელებსაც მოუდის, ზმნებსაც, ზმნიზედებსაც; ასეთია, მაგ., სხვათა სიტყვის **ო**. წოდებითი საზოგადოდ ნაკლებად მიიღებს ნაწილაკს. ვეფხის ტყაოსნის „ბროლო და ლალო, ორო-**ვე**“ პოეტის შემოქმედების ნაყოფია. ნათესაობითის ფორმას ნაწილაკი უშუალოდ გარკვეულ შემთხვევებში ერთვის („ლუარსაბს აწყენინა, მაგრამ შემდეგ ლუარსაბისავე გული მოიგო“), უმეტესად კი — თანდებულის შემდეგ: ლუარსაბისთვისაც, ლუარსაბისკენაც და სხვა. მაგალითები:

სახ.	კაცი-ც	კაცები-ც	კაცნი-ც(ა)
მოთ.	კაცმა-ც	კაცებმა-ც	კაცთა-ც
მიც.	კაცსა-ც	კაცებსა-ც	„
ნათ.	კაცისა-ც	კაცებისა-ც	„
მოქ.	კაცითა-ც	კაცებითა-ც	———
ვით.	კაცადა-ც	კაცებადა-ც	———
წოდ.	———	———	———

სახ.	კაცი-ვე	სამი-ღა	რძალი-ო
მოთ.	კაცმა-ვე	სამმა-ღა	რძალმა-ო
მიც.	კაცსა-ვე	სამსა-ღა	რძალსა-ო
ნათ.	კაცისა-ვე	სამისა-ღა	რძლისა-ო
მოქ.	კაცით-ვე	სამით-ღა	რძლითა-ო
ვით.	კაცად-ვე	სამად-ღა	რძლად-ო
წოდ.	———	———	რძალო-ო

ც (ცა) ნაწილაკის დართვისას სახელს აუცილებლად ხმოვანი უნდა ბოლოში. იგივეა უმარცვლო **მც** ნაწილაკთანაც და რამდენადმე აგრეთვე **მე, ვე** ნაწილაკებთან. ამიტომ აღდგება ხოლმე ნართაული ხმოვანი ან ძველი ფორმა, რომელსაც ხმოვანი ჰქონდა ბოლოში: დედამ, მაგრამ: დედამა-ც; დედის ან დედისა, მაგრამ აუცილებლად: დედისა-ც; შავად, მაგრამ: შავადა-ც; ეს, მაგრამ ესე-ც; ის, მაგრამ: ისი-ც; ძმასთან, მაგრამ: ძმასთანა-ც; წყალზე, წყალზეც, მაგრამ: წყალზედ, წყალზედა-ც და მისთ.; ეს, მაგრამ: ესე-ვე და სხვ.

მაერთებელი ხმოვანი თუ არ არის, ზოგიერთ შემთხვევაში (მაგ., თანდებულთან) ის შეიძლება განვითარდეს: დისგან, მაგრამ: დისგანა-ც; ჩემთვის, მაგრამ: ჩემთვისა-ც; ტყისკენ, მაგრამ: ტყისკენა-ც და მისთ.. უხმოვნოდ დართვა ჩვეულებრივი იყო ძველად („დისაგან-ცა უფრო დესი“: «ვეფხ.»), და იშვიათად შეიძლება ახლაც შეგვხვდეს: დისგან-ც.

თანდებულიან სახელს ნაწილაკი ბოლოს მოუდის: ძმის-თვის-ვე, მეზობელთანა-ც და სხვ.

სხვათა სიტყვის **ო** სულ ბოლოს მოუდის სახელს: „ზოგი მგლის-კენა-ცა-ო“.

ლოკალური ბრუნვები

90. ცოტა რამ ქართული ენის შესწავლის ისტორიიდან. ქართულ ბრუნვათა ფორმებს ყოველთვის ერთნაირად არ უყურებდნენ. იყო დრო, როცა მოთხრობითის ფორმა ბრუნვად არ მიაჩნდათ. ამ აზრისანი იყვნენ მეტად ცნობილი პირები: აკად. მ. ბროსე და პროფ. დ. ჩუბინაშვილი, რომლებიც პეტერბურგში მოღვაწეობდნენ. მაგრამ ასეთი შეხედულების წინააღმდეგ გაილაშქრეს ჩვენში 1853 წ. დ. ყიფიანის მეთაურობით. ამის შესახებ საინტერესო ცნობები მოჰყავს პროფ. ა. ცაგარელს ამ წიგნში: Сведения о памятниках груз. письменности, вып. III, გვ. 54 და შემდ.. ამჟამად არავის მოუვა ფიქრად, ამტკიცოს, რომ მოთხრობითის ფორმა ბრუნვის ფორმა არ არისო.

ჩვენს დროსაც ეჭვი გამოთქვეს ერთი ბრუნვის შესახებ: ა. ჩიქობავამ და ვ. თოფურიამ გაიზიარეს ზოგიერთი ენათმეცნიერის მიერ გამოთქმული შეხედულება, თითქო წოდებითის ფორმა ბრუნვის ფორმა არ იყოს. აქ არ გამოვუდგები იმის მტკიცებას, რომ ასეთი შეხედულება სიმართლეს არ შეეფერება. მივუთითებ მხოლოდ ჩემს წერილზე, სადაც გარკვეულია საქმის ნამდვილი ვითარება („წოდებითი ფორმის ადგილისათვის გრამატიკაში“: საქ. სსრ-ის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, III, № 5). მიუხედავად ამისა, ა. ჩიქობავას წოდებითი არ შეუტანია ბრუნვებში („ქართული ენის ზოგადი დახასიათება“: ქართ. ენის განმარტებითი ლექსიკონი. I, 1950).

91. ბრუნვის მოშლისა და გაჩენის პირობები. ცოცხალ ენაში ბრუნვათა რაოდენობა მუდმივ ერთი და იგივე არ არის: ისტორიული განვითარების გარკვეულ პირობებში შეიძლება რომელიმე ბრუნვა მოიშალოს და მისი ფუნქციები სხვა ბრუნვას (ან სხვა ბრუნვებს) გადაეცეს. ისიც შეიძლება, რომ ენას სახელის განსხვავებულ ბრუნვის ფორმათაგან ყველა დაეკარგოს და ერთიღა შერჩეს. ამ შემთხვევაში ბრუნვის კატეგორია სულ მოიშლება. მაგრამ ისიც შესაძლებელია, რომ სხვა პირობებში ახალი ბრუნვები წარმოიშვას.

როდის შეიძლება მოიშალოს რომელიმე ბრუნვა? — მაშინ, როცა ის დაკარგავს სხვა ბრუნვათაგან განსხვავებულ ფორმას და ამ ფორმასთან დაკავშირებულ ფუნქციას (ან ფუნქციებს). როდის შეიძლება გაჩნდეს ახალი ბრუნვა? — მაშინ, როცა ერთისა და იმავე ლექსიკური მნიშვნელობის ფორმებს შორის სახელს გაუჩნდება ისეთი, რომელიც განსხვავებული იქნება სხვებისგან როგორც ბგერათა შედგენილობით, ისე დანიშნულებით, ე. ი. ფორმითაც და ფუნქციითაც.

92. ლოკალურ ბრუნვათა წარმოშობის მიზეზი. ზოგიერთი თანდებული მჭიდროდ შეეზარდა ბრუნვის ფორმას. თანაც ფონეტიკური წესების გავლენით ისეთი ცვლილება მოხდა, რომ წაიშალა მზღვარი ბრუნვის ნიშანსა და თანდებულს შორის. ამის წყალობით შეიქნა საფუძველი, რომ სახელის ფუძეზე დართული ელემენტი მთლიანად ბრუნვის ნიშნად ყოფილიყო გაგებული. ასეთი ამბავი მოხდა სამ ბრუნვაში: მოქმედებითსა, ვითარებითსა და მიცე-

მითში, რის შედეგადაც მივიღეთ სამი ახალი ბრუნვა: გამოსვლითი, მიწევნითი და სადაობითი, რომელთაც ლ ო კ ა ლ უ რ (ადგილობით) ბრუნვათა ფუნქციები აქვთ მოპოვებული.

93. გამოსვლითი (დაწყებითი). გამოსვლითი ეწოდება ბრუნვას, რომელიც მიგვითითებს რომელიმე პუნქტიდან გამოსვლას. ეს პუნქტი შეიძლება იყოს როგორც სივრცეში, ისე დროში: სახლ-იდან, სოფლ-იდან, გულ-იდან, ხ-იდან, წყარო-დან, რუ-დან; ორშაბათ-იდან, კვირ-იდან, მაის-იდან, ამ წლ-იდან და მისთ.

გამოსვლითი ასეა წარმომდგარი: მოქმედ. ბრუნვას ძველად დაკისრებული ჰქონდა გამოსვლითის ფუნქციაც. ეს ფუნქცია მას რამდენადმე ახლაც შემონახული აქვს მთის კილოებში: ხევსურეთით=ხევსურეთიდან, კახეთით=კახეთიდან, „თუშეთით მოსულ მზირია“ (ვაჟა, «ბახტრ.»), „შანშეს ქალი ვარ ბაჩლითა“ (იქვე, ბაჩლითა=ბაჩლიდან. ბ ა ჩ ა ლ ი სოფელია ფშავში). მაგრამ ამ ფუნქციისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა მარტივი ბრუნვის ფორმა და მას დაერთო თანდებული **გან,** წარმოდგა ასეთი ფორმები: სახლით-გან, გულით-გან, კახეთით-გან და მისთ.. თანდებულის თავკიდურის გავლენით წინა თანხმოვანი გამჟღერდა: გულიდ-**გან** (§ 26). შემდეგ მათი ურთიერთ შეგუების ნიადაგზე დაიკარგა **გ** და მივიღეთ ფორმა: გულიდან. სად არის აქ სახელის ფუძე? — **გულ.** სადღაა ბრუნვის ნიშანი? ეხლა ბრუნვის ნიშანია მთლიანად **იდან,** ვინაიდან ის განუყოფელია; მართლაც,

ა) არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ **ი** იყოს ბრუნვის ნიშანი და **დან** თანდებული **(ი-დან);**

ბ) არც ასე შეგვიძლია დავანაწილოთ: **იდ-ან** და პირველში ბრუნვის ნიშანი დავინახოთ, მეორეში კი — თანდებული;

გ) არც ასეთი დაყოფა ივარგებს: **იდა-ნ,** ვინაიდან არც **იდა** არის ბრუნვის ნიშანი და არც **ნ** თანდებული.

დ) ვერც იმას ვიტყვით, რომ **იდან** მთლიანად თანდებული იყოს და ის ფუძეს ერთოდეს.

მაშასადამე, ფონეტიკური ფაქტორის ზეგავლენით **ით-გან**-ისაგან მიღებული **იდან** დღეს უკვე განუყოფელი აფიქსია. ეს აფიქსი იმავე რიგებში დგას, რაშიც ბრუნვის ნიშნები, ამიტომ ასეთი დასკვნა გამომდინარეობს: **იდან** დღეს ბრუნვის მაწარმოებელია. ეს ბრუნვაა გამოსვლითი. ოღონდ **იდან** თანხმოვნიანი ფუძეებისა და კვეცილ-ხმოვნიანი ფუძეების შემდეგ გვაქვს, უკვეცელ ხმოვნიან ფუძეებს კი მის ნაცვლად **დან** მოუდის: წყარო-დან, კალო-დან, რუ-დან და მისთ.. მაშასადამე, გამოსვლითი ბრუნვის ნიშანია **იდან** ან **დან.**

94. მიწევნითი. მიწევნითია ბრუნვა, რომელიც მიგვითითებს გარკვეულ პუნქტამდე მიწევნას სივრცესა თუ დროში: კახეთ-ამდე, ქალაქ-ამდე, გორ-ამდე, სოფლ-ამდე, სახლ-ამდე, წყარო-მდე, რუ-მდე, ორშაბათ-ამდე, მაის-ამდე, დეკემბრ-ამდე და სხვ.. მისი ნიშანია **ამდე** (თანხმოვნიან ფუძეებთან) ან **მდე** (ხმოვნიან ფუძეებთან).

ამდე-ს და **მდე**-ს პარალელურად არსებობს აგრეთვე **ამდის** და **მდის.**

მიწევნითი ასეა წარმომდგარი: ვითარებით ბრუნვას ძველად მიმართულე-

ბითის ფუნქციაც ჰქონდა (წარვიდა გალილეად=წავიდა გალილეას). მიწევნითის გადმოსაცემად კი მას ერთოდა თანდებული **მდე** ან **მდის**[1], მიღებული იყო ჯგუფი **ად-მდე** (**ად-მდის**) ან დ-მდე (**დ-მდის**), სადაც ორ **დ**-ს მარტო **მ** ჰყოფდა, რაც სიძნელეს ქმნიდა გამოთქმისათვის. ამიტომ პირველი **დ** დაიკარგა გამოთქმაში: უკვე X საუკუნის ძეგლებში მოგვეპოვება გამარტივების შემთხვევები: **-ამდე** (**-ამდის**). დღევანდელ ქართულში ხომ აღარსად არის პირველი **დ**. ამის გამო წაშლილია ყოველგვარი კვალი ბრუნვის ნიშანსა და თანდებულს შორის: ვერ ვიტყვით, რომ ა ბრუნვის ნიშანი იყოს და **მდე** (**მდის**) კი თანდებული, რადგანაც ა-ზე გათავებული სახელის ფორმა რომელიმე ბრუნვის ფუნქციით ცალკე არსად გვხვდება. ამიტომ დღეს **ამდე** (ხმოვნიან ფუძეებთან **მდე**) ან მისი ნაცვალი **ამდის** (**მდის**) უკვე ბრუნვის ნიშანია მთლად.

95. სადაობითი. სადაობითია ბრუნვა, რომელიც მიგვითითებს ადგილმდებარეობას. მისი ნიშანი ორი სახითაა წარმოდგენილი, ესენია: **ში** და **ზე**: წყალ-ში, გულ-ში, ქალაქ-ში, სოფელ-ში, ტყე-ში და სხვ.; წყალ-ზე, გულ-ზე, ქალაქ-ზე, სოფელ-ზე, ტყე-ზე და სხვ.

სადაობითი მიცემითისაგანაა წარმოშობილი, მასთან **შინა** ან **ზედა** თანდებულის შეზრდის ნიადაგზე. სანამ მიცემითს ჰქონდა ნართაული **ა**, მისი ნიშანი **ს** უზრუნველყოფილი იყო დაკარგვისაგან: წყალსა შინა, წყალსა ზედა. მაგრამ, როცა **ა** დაიკარგა, ბრუნვის ნიშანს უშუალოდ მოჰყვა თანდებული, უკვე ერთ მარცვლად ქცეული (**ში, ზე**). მივიღეთ ჯგუფები: **სში** და **სზე**, რომლებიც გამოსათქმელად ძნელია: წყალს-ში, წყალს-ზე. ამას შედეგად მოჰყვა მიცემითი ნიშნის დაკარგვა: წყალ-ში, წყალ-ზე (§ 28,4).

რადგანაც ბრუნვის ნიშნის დაკარგვის შემდეგ **ში** და **ზე** უშუალოდ ფუძეს ერთვის, ამიტომ მათ ისეთივე ფუნქცია მიიღეს, როგორიც ბრუნვის ნიშნებს აქვთ, ისინი ბრუნვის ნიშნები გახდნენ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. **ში**-ს და **ზე**-ს ფუნქცია განსხვავებულია. შეიძლება ითქვას, რომ აქ არსებითად ორი ბრუნვა გვაქვსო.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. მიცემითი ბრუნვის ფორმა თავს იჩენს, როცა ორი სახელია „და“-თი შეერთებული: ქალაქ**სა** და სოფელში; მთა**სა** და ბარში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 3. **თან**-ის დართვისას ეკარგება მიცემითის ნიშანი თანხმოვნიან ფუძეებს (§ 86), მაგრამ ხმოვნიან ფუძეებთან ჯერ კიდევ შემონახულია ეს ნიშანი: კაც-თან, მაგრამ: მიწას-თან. ამიტომ აქ არ ისმის საკითხი ახალი ბრუნვის გამოყოფის შესახებ.

96. ლოკალურთა ადგილი ბრუნვათა რიგში. ლოკალურ ბრუნვათათვის ყველაზე უფრო შესაფერისი ადგილია წოდებითის წინ. მაშასადამე, ბრუნვათა რიგი, ლოკალურთა შეყვანის შემდეგ, ასეთი იქნება: სახ., მოთ., მიც., ნათ., მოქ., ვით., სად., გამ., მიწ., წოდ. მაგალითი:

---

[1] ამ თანდებულის შესახებ ნ. ჩემი „მდე თანდებულის გენეზისისათვის“: საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, III, № 4.

	მხოლ.	მრავლობითი 1	2
1. სახ.	ქალაქ-**ი**	ქალაქებ-**ი**	ქალაქნ-**ი**
2. მოთ.	ქალაქ-**მა**	ქალაქებ-**მა**	ქალაქ-თ(ა)
3. მიც.	ქალაქ-**ს**(ა)	ქალაქებ-**ს**(ა)	„
4. ნათ.	ქალაქ-**ის**(ა)	ქალაქებ-**ის**(ა)	„
5. მოქ.	ქალაქ-**ით**(ა)	ქალაქებ-**ით**(ა)	———
6. ვით.	ქალაქ-**ად**(ა)	ქალაქებ-**ად**(ა)	———
7. სად.	ქალაქ-**ში,-ზე**	ქალაქებ-**ში,-ზე**	———
8. გამ.	ქალაქ-**იდან**	ქალაქებ-**იდან**	———
9. მიწ.	ქალაქ-**ამდე**	ქალაქებ-**ამდე**	———
10. წოდ.	ქალაქ-**ო**	ქალაქებ-**ო**	ქალაქნ-**ო**

ლოკალურ ბრუნვათა ფორმები II მრავლობითს არ მოეპოვება.

დამატებითი ცნობები ბრუნვისა და რიცხვის შესახებ

97. ივ ბრუნვის ნაშთი. უძველეს დროს ქართულ ენას უნდა ჰქონოდა ერთი ბრუნვა, რომელსაც **ივ** აწარმოებდა. ეს ბრუნვა უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი სახეობა მოქმედებითისა. მისი ფორმები ნაშთის სახითაა მოღწეული. ის ძვ. სალიტ. ქართულშიც ნაშთია: ღმრთივ სულიერი, „ცოცხლივ მკუდარ არს“ (I ტიმ. 5,6) და სხვა. მას ამჟამად ზმნიზედური გამოყენება აქვს. არსებითთაგან და ზედსართავთაგან ასეთი წარმოება იშვიათია: ძლივ (ჭავ., 316,37; უმეტესად ეხლა **ს**-ანის დართვით: ძლივს), მხარ-იღლივ (ყაზ., 88,39; 187,20), სამ-კუთხივ (ყაზ., 124, 37), ოთხ-კუთხივ (ყაზ., 326, 2—3), „ცხადივ ამბობ, ადამიანო, თუ სიზმრივ?“ (ჭავ., 308,17), მარჯვნივ, მარცხნივ და სხვ.

ასეთ წარმოებას განსაკუთრებით ხშირად უარყოფით მიმღეობასთან ვხედავთ: „შავთვალამ ხმა-გაუცემლივ, შეუხედლივ გასწია“ (ყაზ., 150,33), „იმის შეუხედლივ“ (ყაზ., 234,1), გაუგებრივ (ყაზ., 253,5), უნებლივ (ჭავ., 321,15), უკლებლივ, უწყვეტლივ, დაუყოვნებლივ, შეუჩერებლივ, დღე-გამოუშვებლივ, ხმა-ამოუღებლივ და სხვ.

აღნიშნულ ფორმებს დღევანდელ ენაში თავისუფლად ენაცვლება მოქმედებითი, ვითარებითი ან სადაობითი: ერთი მხრივ — ერთი მხრით; ნება-უნებლივ (ყაზ., 167,13)—ნება-უნებლიედ (ყაზ., 215,21), ცხადივ ამბობ, ადამიანო, თუ სიზმრივ? (ჭავ., 308,17) — სიზმარში ხარ თუ ცხადივ (ჭავ., 389, 28—29), ცხადივ თუ სიზმრად (ჭავ., 368,38).

98. ქართული ენის ერთი თავისებურება. ქართულ ენას შეუძლია აბრუნოს არა მარტო სახელი, არამედ ზმნაც, ზმნიზედაც, თანდებულიც, კავშირიც, ნაწილაკიც, შორისდებულიც, ე. ი. ყოველგვარი სიტყვა, მათ შორის ჩვეულებრივი სახელის რომელიმე ბრუნვის ფორმაც. მეტიც შეიძლება ითქვას: ქართულს შეუძლია აბრუნოს მთელი წინადადებაც კი. ქართული ენის ამ თავისებურებას უკვე ილია ჭავჭავაძემ მიაქცია ყურადღება («აი ისტორია», ტ. V, 1927, გვ. 95).

99. სახელის ხელმეორედ ბრუნება. ხელმეორედ უფრო ხშირად ნათ.-სა და წოდ.-ში დაყენებული სიტყვა (ან სიტყვები) შეიძლება ვაბრუნოთ. ამისი

მაგალითია: „მაგ გლეხს კი ძმაოს ეუბნება“ (ჭავ., «გლეხთა განთ. სც.»); სხვა მაგალითი: მახსოვს, ერთხელ მატარებელში ერთმა ქართლელმა ასე მიმართა ალერსით თავის 4—5 წლის ბავშვს: „აბა, შვილო, ღოროი იმღერეო“. თუ პირველ შემთხვევაში წოდებითის ფორმა მიცემითშია დაყენებული („ძმაოს“), მეორე შემთხვევაში სახელობითი გვაქვს („ღოროი“). თვითეული მათგანის ფუძე („ძმაო“, „ღორო“) თავისთავად წოდებითია: იმისი სახელობითია „ძმა“, ამისი კი — „ღორ-ი“. ასეთივე მაგალითია: „მისმა თავო ჩემომ ყურები წაიღო“. აქ კი „თავო ჩემო“ (სიმღერის სახელი) მოთხრობითშია დასმული (ნათ.-ის ხელმეორედ ბრუნების შესახებ: §§ 130, 131, 154).

ხელმეორედ ბრუნებით მიღებულია, სხვათა შორის, სადაობით-გამოსვლითი.

100. სადაობით-გამოსვლითი. მთის კილოებში გვხვდება რთული ფორმა, რომელსაც ორი ბრუნვის მნიშვნელობა აქვს, — სადაობითისა და გამოსვლითისა: სადაობითის ფორმას ერთვის მოქმედებითის **ით** (გამოსვლითის ფუნქციით) და გვაქვს დაბოლოებანი: **-ზეით, -შიით (-ჩიით)**, რომელთა ფუნქციაა, ზედმიწევნით აღნიშნონ გამოსვლის პუნქტის ვითარება: **ბანზეით**=ბანზე იყოს და იქიდან: **ცხვარშიით**=ცხვარში იყოს და იქიდან. ასეთია, მაგ., ხევსურული ფორმები: სოფელშიით («წელიწდეული», 145,15) ან სოფელშიგით (იქვე, 187,8), კლდეშიგით (იქვე, 154,7), ქარქაშჩიგით (იქვე, 158,22). ასეთი ფორმები ლიტერატურაშიც შემოიტანა ვაჟა-ფშაველამ: „ცხენზეით არ ჩამომხდარა“ («გიგლია»), „დედათ ჯარზეით ამდგარი“ («ბახტრ.»), „აფშინას ხურჯინშიითა ტიკჭორა მააქვ ჩქარადა“ («გოგოთ. და აფშ.»), „თოფი ვაშიშვლე ჩულშიით“ («მონადირე»), „ვის ეწადება ლალატი სწორჩიით გამორჩეულსა“ («ბახტრ.»), „უკვენას ყურეშიითა კვნესის ხმა გამოდიოდა“ («დევების ქორწილი»). უკვენას ყურეშიითა=უკანა ყურიდან (შდრ. § 99).

100 ა. სადაობით-მიწევნითი. იმავე მთის კილოებში გვხვდება ფორმები, რომლებიც მნიშვნელობით სადაობით-მიწევნითია; ასეთია ხევსურული „ნახევარშიამდი“ («წელიწდეული», 160,25), და „ჭალაშიამდი“ (იქვე, 196,3).

101. ზმნის პირიანი ფორმის ბრუნება. სულხან-საბა ორბელიანი **რკვევა**-ს ასე ხსნის: „გარჩევასავით“. „გარჩევა“ სახელზმნაა და რა გასაკვირია, რომ მიცემითი ჰქონდეს (გარჩევა**სა**-ვით), მაგრამ **აჭლიჩე**-ს შესახებ იმავე სულხანს ნათქვამი აქვს: „შეაგლიჯესავით“. „შეაგლიჯე“ კი ბრძანებითი კილოს ფორმაა მეორე პირისა. აი ეს ფორმა სახელის ფუნქციით არის აღებული, მიცემითშია დასმული და დართული აქვს „ვით“: შეაგლიჯე**სა**-ვით. სხვა მაგალითი: „არც ეს ბესარიონ გაბაშვილის სიტყვებია ურიგო: ერთი მაქვს სჯობს ათას მქონდას“ (ჭავ., «კაცია-ად.»). ამ მაგალითში „მაქვს“ ისე გვესმის, როგორც უნიშნო სახელობითი, „მქონდას“ კი უცილობლად ფორმითაც მიცემითია: მქონდა-ს. (შდრ.: „ერთი ავტომობილი სჯობს ათას ურემს“, სადაც სახელობითის ფორმა ყველასთვის აშკარაა). კიდევ მაგალითი: „ისევ მოჭორება ირჩივა არ ვიცის თქმასა“ (იქვე). აქ „არ ვიცი“ ნათესაობითშია დასმული (შდრ.: „სიმართლის თქმასა“).

ზემოთ მოყვანილ მაგალითებში ზმნას ყველგან თავისი ზმნური მნიშვნელობა შენახული აქვს, სახელად არის გააზრებული და რომელსამე ბრუნვაში

დგას. მაგრამ შეიძლება, რომ ფორმას დაეკარგოს ზმნური მნიშვნელობა; მაგ., „მეწყინა“ და „მახარე“ ზმნური ფორმებია, მაგრამ, როცა ფშავში ამ ფორმებს ადამიანის სახელად ხმარობენ (მ ე წ ყ ი ნ ა ქალის სახელია, მ ა ხ ა რ ე — ვაჟისა), მაშინ ისინი სახელთა რიგებში დგანან: „მეწყინას ჰკითხეს“, „მახარემ მოიტანა“ და მისთ. (შდრ. § 80,5).

102. ზმნიზედის ბრუნება. ზმნიზედის სახელად გამოყენებისა და მისი ბრუნების კარგი მაგალითია: „თვალი და გული ხ ვ ა ლ ი ს კ ე ნ მიგვირბოდა, ხ ვ ა ლ ე ს ველოდით, ხ ვ ა ლ ე გვახსოვდა, ხ ვ ა ლ ე ს ვნატრობდით“ (ჭავ., «ნიკ. გოსტაშ.»). აქ „ხვალე“ სახელობითია, „ხვალეს“ მიცემითი, „ხვალისკენ“ **კენ**-დართული ნათესაობითი. მოთხრობითისათვის შეგვიძლია ძველი ქართულის მაგალითი დავიმოწმოთ: „ნუ ჰზრუნავთ ხვალისა, რამეთუ ხ ვ ა ლ ე მ ა ნ იზრუნოს თავისა თჳსისა“ (მათ. 6,34), ხოლო ნათესაობისთვის — ს. ორბელიანის ლექსიკონი: **ზეგ** — ხ ვ ა ლ ი ს ხვალ. „დ ღ ე ს ი თ გ ა ნ ცუდ ჩემი ლხინი ყოველი“ (ვეფხ.). თანამედროვე ქართულში „დღეს“ ზმნიზედის ბრუნებისას **ს** ჩავარდნილია: დღე—დღისთვის, მაგრამ: დღეს—დღეისთვის.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ასევე შესაძლებელია სხვა მეტყველების ნაწილთა ბრუნებაც: „ბუნებაც ვ ა შ ა ს უძახის“ (ვაჟა, «გველის მჭ.»). „ვ ა ი ს გავეყარე და ვ უ ი ს შევეყარეო“, ამბობს ქართული ანდაზა. აქ **ვაი** და **ვუი** სახელად გამოყენებული შორისდებულებია, რომლებიც მიცემით ბრუნვაშია დასმული.

103. წინადადების ბრუნება. წინადადების ბრუნებისას ყველა სიტყვა ერთ მთლიანობას ქმნის. „მეხი კი დაგეცა“, ცალკე აღებული, წინადადებაა, რომელიც შეიძლება ვაბრუნოთ: „მ ე ხ ი კ ი დ ა გ ე ც ა ს ა ც ზედ დაატანდა“ (ჭავ., «კაც-ად.»). ი. გოგებაშვილის ერთი საყმაწვილო მოთხრობის სათაური: „იავნანამ რა ქნა“, რომელიც წინადადებაა. თუ ვთქვით: „ი ა ვ ნ ა ნ ა მ რ ა ქ ნ ა ს ავტორი ი. გოგებაშვილია“-ო, ეს იმას ნიშნავს, რომ თხზულების სათაური, რომელიც მთელი წინადადებაა, ჩვენ სახელის ფუნქციით ვიხმარეთ და ნათესაობითში დავსვით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. პირიანი ზმნა იქნება ნაბრუნები, ზმნიზედა თუ სხვა მეტყველების ნაწილი (§§ 101—103), წინადადებაში ისინი გამოყენებული იქნებიან როგორც სახელი, ე. ი. მათ ექნებათ რომელიმე სინტაქსური კატეგორიის ფუნქცია (ქვემდებარისა, პირდაპირი დამატებისა, ირიბი დამატებისა თუ სხვა).

104. თავისებურებანი მრავლობითის წარმოების დროს. როგორც ზემოთ არის აღნიშნული (§§ 64ა,65, 77, 78), გარკვეული ჯგუფის სახელებს მრავლობითი ჩვეულებრივ არა აქვს. მაგრამ არის ხოლმე უჩვეულო შემთხვევები, როცა ამ საერთო წესის დარღვევას ვხედავთ, განსაკუთრებით ხელოვნურ ენაში, პოეზიაში.

105. პირის სახელები მრავლობითში. პირის სახელებს (ანდრო, თეკლე და სხვ.) გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება მრავლობითიც ჰქონდეთ: „აკაკიებო, ბაკაკიებო“ (გრ. ორბ.); ასეთივეა გამოთქმები: „ასმათები ამჟამად ძნელად

ჰოვნელია", „ლუარსაბები და დარეჯანები სამუდამოდ ჩაჰბარდნენ ისტო-
იას", „დავითების პარტია" და მისთ.

106. აბსტრაქტული სახელები მრავლობითში. აბსტრაქტული სახე-
ლები მრავლობითის ფორმით მხოლოდ პოეზიისა და სამეცნიერო ენის კუთვნი-
ლებაა. ამისი მაგალითებია: «ვეფხის ტყაოსნის» „სინატიფე-სიტურფენი" (503),
„ჯიფიცხენი" (647), „გაქნევ კარგთა სიშმაგეთა" (1375), „მე გავეკვირვე ჭვრეტა-
ა მის ყმისა სინაზეთასა" (597), „მუნ იყო არ სიწყნარები" (2179, ე. ი. არ-სიწყ-
არეები) და მისთ.

აბსტრაქტულმა სახელმა შეიძლება მნიშვნელობა იცვალოს და კონკრე-
ული შინაარსი მიიღოს, მაშინ, რა თქმა უნდა, რიცხვის გაგებას შეიძენს:
იმაგრე — სიმაგრეები, სიმაღლე — სიმაღლეები და მისთ. შეიძლება ასეთმა
ახელმა ისეთი მოვლენა აღნიშნოს, რომ ის სხვადასხვა სახისა იყოს და დათვ-
ა შეიძლებოდეს. მაშინ შესაძლებელი იქნება მრავლობითის წარმოება: სნეუ-
ებანი, სიძნელეები და სხვ.

107. საწყისი მრავლობითში. საწყისისაგან მრავლობითის ფორმა შე-
ძლება პოეზიაში შეგვხვდეს. ამისი მაგალითებია «ვეფხის ტყაოსნის» ადგი-
ები: „ამა ცეცხლისა დებანი" (1479), „შეჰრჩეს ღაწვისა ბანანი" (187), ბესიკის
აღარ შემზადა ლიქნები", „რბენანი", „კბენანი" და სხვ.

თუ საწყისი მრავლობითს ადვილად იკეთებს, ისე რომ ხელოვნურობა არ
ანდეს, ეს იმას ნიშნავს, რომ მას გაუწყვეტია კავშირი ზმნასთან და არსები-
ებში გადასულა: ლოცვა — ლოცვები, სხდომა — სხდომები, კრება — კრებები
ა სხვ.; ისიც შეიძლება, რომ საწყისი მრავლობითს ვერ აწარმოებდეს, მაგ-
ამ მაინც არსებითად იყოს ქცეული: შობა (დღესასწ.), აღდგომა (დღესასწ.)
და სხვ.. „არჩევა" საწყისია, მაგრამ „არჩევანი" აღარ არის საწყისი, არსებითია,
ოღონდ ფორმით არის მრავლობითი, მნიშვნელობა კი მხოლობითისა აქვს; ამი-
ტომ მრავლობითი მისგან არის ნაწარმოები: არჩევნები.

108. რიცხვითი სახელი მრავლობითში. რიცხვითებს მრავლობითი
ქვთ, მაგრამ უშინაარსო, ფორმალური (§ 77). ჩვენთვის ერთია მნიშვნელო-
ით: „გუშინ შ ვ ი დ ნ ი გურჯანელნი" და „გუშინ შ ვ ი დ ი გურჯანელი".
რომ გავიგონოთ **გურჯანელი,** მივხვდებით, რომ ერთზეა საუბარი; ხოლო **გურ-
ჯანელნი** რომ გავიგონოთ, მივხვდებით, რომ საუბარი ერთზე მეტს ეხება. **შვიდი**
და **შვიდნი** კი ასეთ განსხვავებას არ იძლევა. **ნარიანი** ფორმა **(შვიდნი)** მაინც
შვიდს აღნიშნავს და არა მეტს ან ნაკლებს. ამიტომ მისი მრავლობითი დაცლი-
ლია გრამატიკული მრავლობითის შინაარსისაგან. სხვანაირად რომ ვთქვათ,
შვიდნი „მრავლობითია", მაგრამ ფორმალური და არა შინაარსეული.

ჩვეულებრივ რიცხვითი სახელის მრავლობითი **ნარ-თანიანია** (II მრავლო-
ბითია), გამონაკლისის სახით **ებ-**იანიც გვხვდება (I მრავლობითი), რა თქმა უნდა,
პოეზიაში: „ესე სიტყვები ორები" („ვეფხ". 1564), „უთხრა პასუხად ასჯერ
ასები" (ბესიკი) და მისთ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. თუ რიცხვითი სახელი ციფრის აღსანიშნავად არის
გამოყენებული, ეს იმას ნიშნავს, რომ ის უკვე არსებითია: „ეთერს საგ-
ნებში სამი ო თ ხ ი აქვს და რვა ხ უ თ ი". ასეთი მნიშვნელობით ის

მრავლობითშიც იხმარება; „ქეთოს კი სულ ხ უ თ ე ბ ი აქვს ჩამწკრივებული“.

109. ურიცხო არსებითი. არის რიგი არსებითი სახელებისა, რომლებიც მარტოოდენ მხ. რიცხვის ფორმით იხმარება: ჰაერი, ხილი, სუნი, მტვერი, ნაცარი, ტვინი, ფურთხი, მეხი, თოვლი, ორთვილი, ნამი, ლამი (სილა), ქვიშა, ნაკელი და სხვ.. არის ისეთებიც, რომლებიც ერთი მნიშვნელობით ურიცხოა, სხვა მნიშვნელობით კი — რიცხვიანი. „წყალი“ ურიცხოა, როცა ვლაპარაკობთ გარკვეულ სითხეზე, რომელსაც ვსვამთ; ითქმის: „წყალს ვსვამ“, მაგრამ არ ითქმის: „წყლებს ვსვამ“. სამაგიეროდ ითქმის: „მინერალური წყლები“, რადგანაც აქ სხვადასხვა წყალი იგულისხმება: ბორჯომი, ნარზანი, ესენტუკი და სხვ.. „წყალი“ მდინარესაც აღნიშნავს და ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ: „საქართველოში ბევრია წყლები“. რაც წყალზე ითქვა, ასეთი რამ შეგვიძლია ზოგ სხვა სახელზედაც ვთქვათ; ესენია: რკინა, სპილენძი, რძე, თაფლი, მარილი, ძმარი და სხვ.. სოფლელი კაცისთვის არსებობს მარტო „მარილი“ (მხოლობითის ფორმით), ქიმიკოსს კი „მარილებთან“ აქვს საქმე. „ქვა“ რიცხვიანი სიტყვაა (ქვა, ქვები), მაგრამ „შავი ქვა“, როგორც გარკვეული მადნის აღმნიშვნელი ტერმინი, ურიცხოა.

110. ფორმას შინაარსი არ ახლავს. ზოგიერთი სახელი მრ.-ის ფორმით არის წარმოდგენილი, მაგრამ მრავლობითობის ფუნქცია აღარ აქვს. ასეთებია ეკლესიაში სახმარებელი წიგნების სახელები: ჟამ-ნ-ი, დავით-ნ-ი, ლოცვა-ნ-ი, მარხვა-ნ-ი, თვე-ნ-ი, კურთხევა-ნ-ი; სხვა სახელთაგან: თავ-ნ-ი (ძირითადი თანხა), დედა-ნ-ი (ორიგინალი). განსაკუთრებით ხშირია ასეთი ფორმები გეოგრაფ. სახელებში: რკო-ნ-ი, მსხლ-ებ-ი, კოშკ-ებ-ი, ქვ-ებ-ი, მოწამე-თა, ჩხიკვ-თა, ცაბაურ-თა და სხვ. [§ 171].

ამ სახელებს მრავლობითი რიცხვის გაგება არ ახლავს და ისე იბრუნვიან, როგორც სათანადო თანხმოვან-ფუძიანი ან ხმოვან-ფუძიანი სახელები მხოლობითში: „ჩაიხედა ლოცვანში“, „დაიწყო დავითნის კითხვა“, „თავნზე სარგებელი დაუმატა“ „დედნიდან გადმოიწერა“, „რკონის სიგელი“, „კოშკების გზა“, „ჩხიკვთის ბოლოს“ და მისთ.. როგორც ვხედავთ, ამ მაგალითებში მრავლობითის ნიშნები შეზრდია ფუძეს და მისი ნაწილი გამხდარა. „დედანი“ და „არჩევანი“ იკუმშებიან კიდეც და აშკარად მხოლობითის ფორმად ქცეულან: მრავლობითში გვაქვს: დედნები, არჩევნები („არჩევანი“ წარმოშობით საწყისია, § 107). ასეთივეა აგრეთვე „წმინდანები“ (ყაზბ., „ელგუჯა“).

111. უცხო წარმოშობის სახელი მრავლობითის ფორმით. არის შემთხვევები, რომ უცხო წარმოშობის სახელი მრავლობითის ფორმით იყოს შემოსული ქართულში, მაგრამ აქ ის ისე იყოს გაგებული, როგორც მხოლობითი: ბანოვან-ი (სპ. ბა̄ნუ̄ „ქალბატონი“, ბა̄ნუ̄-ა̄ნ „ქალბატონები“), მარაო (არაბ. მხ. მირვაჰათ, მრ. მარა̄ვიჰ), ავეჯი (არაბ. მხ. ჰა̄ჯათ, მრ. ჰავა̄იჯ = „საჭირო რამ“, სახმარი).

112. ორმაგი სუფიქსი მრავლობითში. სასაუბრო ენაში ხშირად გვხვდება ორმაგი სუფიქსი მრავლობითში. სალიტერატურო ენა ამას გაურბის, მაგრამ შეიძლება სადმე შეგვხვდეს: „ასამდინ მსტუმრველი გამოვიდა ჩერქეზებ-

ᲗაᲒან, თუშებთაგან და დანარჩენ მთიელ ქართველებთაგან“ (ყაზ., 373, 37—38), „სხვა დახოცილებთ შორის“ (ყაზ., 384,78); „ერთს იმ ბილიკებთაგანზედ“ (ყაზ., 293,24).

112ა. ᲒᲐᲛᲔᲝᲠᲔᲑᲐ. ზოგჯერ მრავლობითი რიცხვის მაგივრობას სახელის გამეორება ასრულებს: „სოფლად ბეღურა ჩიტების გ უ ნ დ ი და გ უ ნ დ ი ტრიალებს“ (შ. მღვიმ., „ზამთარი“); „გ უ ნ დ ი და გ უ ნ დ ი ყვავილთა“ (ვაჟა, II, 207), „რ ა ზ მ ი და რ ა ზ მ ი ფიქრების“ (იქვე, 235).

ᲛᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘ

113. ᲯᲒᲣᲤᲔᲑᲘ. ატრიბუტულ მსაზღვრელად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ყოველგვარი სახელი: არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი, მიმღეობა (მოქმ. და ვნებ.), საწყისიც კი. როგორც აღნიშნულია უკვე (§ 58), ატრიბუტული მსაზღვრელის ფუნქციით უპირატესად აღჭურვილია: ზედსართავი, რიცხვითი (რაოდენობითი და რიგობითი), ზოგიერთი ნაცვალსახელი (კუთვნილებითი და სხვ.) და ვნებითი გვარის მიმღეობა. ამიტომ აქ ჩამოვთვლით მხოლოდ ისეთ სახელებს, რომლებიც ჩვეულებრივ თავისთავად იხმარება, მაგრამ არა იშვიათად მსაზღვრელადაც გვხვდება. ასეთებია არსებითები და საწყისები.

114. ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗᲘ ᲐᲢᲠᲘᲑᲣᲢᲣᲚ ᲛᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲚᲐᲓ. არსებითთაგან პირველ რიგში უნდა მოვიყვანოთ ის სახელები, რომლებიც გამოყენებულია ზომისა, წონისა, საწყაოს და ფართობის ერთეულის აღსანიშნავად:

ზომისა: გოჯი, ციდა, მტკაველი, წყრთა, მხარი, ნაბიჯი, ადლი, სანტიმეტრი, მეტრი, კილომეტრი და სხვ.

წონისა: მისხალი, კვერცხი, გირვანქა, ლიტრა, ფუთი, გრამი, კილო (კილოგრამი), ტონა და სხვ.

საწყაოსი: ჭიქა, ბოთლი, ხელადა, ჩარექი (ჩარექა), თუნგი, დოქი, კოკა, ქვაბი, აბგა, ხურჯინი, ტომარა, კალათი, გოდორი, გიდელი, გუდა, კოდი, ორმო, ურემი, ვაგონი და სხვ.

ფართობისა: დღიური, ქცევა, ჰექტარი.

სხვადასხვა: ხელი, ღერი, ნაჭერი, ნატეხი, ძირი, ფრთა, უღელი, ცალი, წყვილი, კვერი, თავი, თოფი, კომლი და სხვ.

> შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ზოგიერთი აქ მოყვანილი არსებითი სახელი წარმოშობით ზედსართავია ან მიმღეობა (დღიური, ნატეხი, ნაჭერი). „დღიური საზრდო“ — აქ ეს სახელი ზედსართავია.

როდესაც ჩამოთვლილი სახელები ატრიბუტული მსაზღვრელის ფუნქციით იხმარება, ჩვეულებრივია მათთან რიცხვითი სახელის დასმა წინ რაოდენობის აღსანიშნავად [1]: 1 მტკაველი მიწა, 3 ადლი საჩოხე, 15 კილომეტრი გზა, 4 მისხალი ოქრო, 5 კვერცხი მატყლი, 6 გრამი წამალი, 7 ხელადა ღვინო, 1 ქვაბი რძე („ერთი მსუქან ბოზბაში ამოვლებული პურის ლუკმა მთელ

[1] სიმოკლისათვის რიცხვითი სახელი ციფრით არის გადმოცემული.

ქვაბ ჩიხირთმას მირჩევნია“, ჭავ., 359,7), „ერთი აბგა მწყერი“ (ჭავ., 349,4), 3 გიდელი ყურძენი, 8 გუდა ყველი, 3 ორმო ფეტვი, 4 ურემი შეშა, 12 დღიური სახნავი მიწა, „ერთი კარგი ხელი ტანისამოსი“ (ჭავ., 296,17), 3 ღერი სანთელი, 5 ნაჭერი საპონი, 10 ძირი ფუტკარი, 60 ფრთა ქათამი, 6 უღელი ხარ-კამეჩი, 3 თავი საჭმელი, 2 თოფი მაუდი, 25 კომლი კაცი და მისთ.. „ნათლიმამამ ნახევარი ლიტრა კალმახი მოართვა“ (ჭავ., 400,33).

სხვა მაგალითები: ზღვა სიყვარული, ქვა გული, მუშა ქალი, ლუკმა პური.

ჩვეულებრივია მსაზღვრელად აგრეთვე პ რ ო ფ ე ს ი ი ს აღმნიშვნელი სახელები: მუშა, მასწავლებელი, ექიმი, მჭედელი, ხარაზი, მებაღე, ვაჭარი და სხვ.. ამავე რიგისაა წ ო დ ე ბ ა თ ა და თ ა ნ ა მ დ ე ბ ო ბ ა თ ა სახელებიც: გლეხი, აზნაური, თავადი, გრაფი, მღვდელი, მარშალი, პროფესორი, დოცენტი და სხვ. და აგრეთვე მ ი მ ა რ თ ვ ი ს დროს სახმარებელი სიტყვები: ძია, დეიდა, ამხანაგი, ბატონი. მაგალითები: მუშა ბოქულაძე, პროფესორი მელიქიშვილი, ექიმი სინაიძე, მჭედელი ვანო, მეფე ერეკლე, მამიდა ასმათი, ამხანაგი პეტრე და სხვ.

115. საწყისი მსაზღვრელად. ატრიბუტულ მსაზღვრელად გამოყენებული საწყისი უმეტესად ოდენობის ერთეულის აღსანიშნავად იხმარება: „ერთი გ ა ბ მ ა აბრეშუმი“ (ჭავ., 345,33; 346.10), სამი გ ა ს რ ო ლ ა საფანტი, ერთი თ ი თ ზ ე გ ა დ ა ხ ვ ე ვ ა ძაფი, ერთი ა ც მ ა ჩირი, სამი წ ვ ე ლ ა ყველი და სხვ.. თუ მოყვანილი მაგალითების კითხვაა „რამდენი“ (რამდენი აბრეშუმი? რამდენი საფანტი?), სამაგიეროდ შემდეგ გამონათქვამს კითხვად „როგორი“ ეწყობა: „ამ ყ ე ლ ი ს ჭ რ ა მუშაობაში“ (ყაზ., 219,31; 222,1).

116. ორგვარი შეწყობა. მსაზღვრელი, ატრიბუტული იქნება ის, თუ მართული, ჩვეულებრივ წინ უძღვის საზღვრულს, მაგრამ იშვიათი არაა, რომ მოსდევდეს მას. ენა სხვადასხვაგვარად ეპყრობა მსაზღვრელს იმის მიხედვით, წინ არის იგი თუ უკან. წინ დასმის შემთხვევაშიც იმას ექცევა ყურადღება, უშუალოდ არის მსაზღვრელთან, თუ სხვა რამე სიტყვით არის გათიშული მისგან.

117. ტიპები. საზღვრულის წინ უშუალოდ მდგომი ატრიბუტული მსაზღვრელი ბრუნების დროს ორ ტიპს გვიჩვენებს: ერთს კიდევ შერჩენია ნიშნები ზოგ ბრუნვაში, მეორეს სრულიად დაჰკარგვია ეს ნიშნები და უბრუნველი გამხდარა. პირველ ტიპს ეკუთვნის თანხმოვან-ფუძიანი სახელები, მეორეს კი — ხმოვან-ფუძიანები.

I ტიპი

118. თავისებურებანი. თუ თანხმოვან-ფუძიანი სახელი უშუალოდ დგას საზღვრულის წინ, მთავარი მნიშვნელობა, ბრუნების თვალსაზრისით, საზღვრულს ენიჭება; ატრიბუტულ მსაზღვრელს კი რამდენიმე თავისებურება ახლავს:

ა) ბრუნვის ნიშნები აუცილებლად შენახულია სახ.-სა და წოდ.-ში და თითქმის ყოველთვის მოთ.-ში: დიდ-**ი** კაც-ი, დიდ-**მა** კაც-**მა**, დიდ-**ო** კაც**ო**.

ბ) დანარჩენ ბრუნვებში ნიშნები მსაზღვრელს შეიძლება შეეკვეცოს მთლად ან ნაწილობრივ: სრულად ეკვეცება მიც.-სა და ვით.-ში, ნაწილობრივ კი — ნათ.-სა და მოქ.-ში.

გ) მიც.-სა და ვით.-ში სრული შეკვეცის გამო მიღებულია ფორმა, რომე-
ლიც იგივეა, რაც ფუძე: მიც. დიდ კაც-ს, ვით. დიდ კაც-**ად**.

დ) ნაწილობრივი შეკვეცა გულისხმობს მარტო თანხმოვნის ჩამოცლას: **ნ**ათ. დიდ-**ი** კაც-**ის**, მოქ. დიდ-ი კაც-**ით**. ამგვარად, თანხმოვანთა ჩამოკვეცის შემდეგ დარჩენილია ხმოვანი **ი**, რომელიც ნათ.-ში **ის** ნიშნის ნაშთია, მოქ.-ში **ი**თ-ისა: **ი**(ს), **ი**(თ). ამიტომ მიღებულია ორი ერთნაირი ფორმა (დიდ-**ი**, დიდ-**ი**), რომლებიც ემთხვევა სახელობითს, მაგრამ ისინი ყველა სხვადასხვაა წარმოშობით: სახ. დიდ-**ი** კაც-**ი**, ნათ. დიდ-**ი(ს)** კაც-**ის**, მოქ. დიდ-**ი(თ)** კაც-**ით**.

ე) ფუძის შეკუმშვა თითქმის აღარ ხდება. იქ, სადაც შეკუმშვაა მოსალოდნელი, ფუძე პირვანდელი სახითაა წარმოდგენილი: მ ა ღ ა ლ ი ხის, მ ა ღ ა ლ ი ხით, მაგრამ: მ ა ღ ა ლ ხედ. მაშასადამე, ნათ.-სა და მოქ.-ში გამოსადეგია სახ.-ის ფორმა. დიალექტებში შეიძლება გამონაკლისები შეგვხვდეს: „ყ ვ ი თ ლ ი ს სიმინდით დაავსო გოდრები ცარიელაო“ (ხალხ.). (ჩვეულებრივ ითქმის: ყვითელი სიმინდით).

ვ) რაც შეეხება მრ. რიცხვს, მის გამოხატვაში, თუ საზღვრული I მრ.-თის ფორმით არის ნახმარი, მსაზღვრელი არავითარ მონაწილეობას არ იღებს; ხოლო თუ II მრ.-ის ფორმით არის, მაშინ შეიძლება მსაზღვრელიც აწარმოებდეს მრ. რიცხვს ძველებური წესით.

საქმის ვითარების ნათელსაყოფად მაგალითებში მსაზღვრელთან ერთად საზღვრულიც მოგვყავს [1]:

	მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი	I მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი
სახ.	დიდ-**ი** კაც-**ი**	დიდ-**ი** კაც-ებ-**ი**
მოთ.	დიდ-**მა** კაც-**მა**	დიდ-**მა** კაც-ებ-**მა**
მიც.	დიდ კაც-**ს**	დიდ კაც-ებ-**ს**
ნათ.	დიდ-**ი** კაც-**ის**	დიდ-**ი** კაც-ებ-**ის**
მოქ.	დიდ-**ი** კაც-**ით**	დიდ-**ი** კაც-ებ-**ით**
ვით.	დიდ კაც-**ად**	დიდ კაც-ებ-**ად**
წოდ.	დიდ-**ო** კაც-**ო**	დიდ-**ო** კაც-ებ-**ო**

როგორც ვხედავთ, მსაზღვრელი I მრავლობითში იმგვარადვე „იბრუნვის“, როგორც მხოლობითში. II მრავლობითში კი სხვა სურათია:

	II მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი	II მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი
სახ.	დიდ-ნ-**ი** კაც-ნ-**ი**	მაღალ-ნ-**ი** მთა-ნ-**ი**
მოთ.	დიდ-თ-ა კაც-თ-ა	მაღალ-თ-ა მთა-თ-ა
მიც.	„ „	„ „
ნათ.	„ „	„ „
მოქ.	—— ——	—— ——
ვით.	—— ——	—— ——
წოდ.	დიდ-ნ-**ო** კაც-ნ-**ო**	მაღალ-ნ-**ო** მთა-ნ-**ო**

[1] აქ და ქვემოთ პარადიგმებში ლოკალური ბრუნვები არ არის შეტანილი.

119. ადრინდელი, ახალი, უახლესი. როგორც სხვა მრავალ შემთხვევაში, ისე აქაც, მსაზღვრელის ბრუნების დროს, დღევანდელი ქართული, ახალ ფორმებთან ერთად, ადრინდელსაც გვიჩვენებს, უახლესსაც.

ადრინდელ ფორმად უნდა ჩაითვალოს სრული დაბოლოება ნათ.-სა და მიც.-ში, უახლესად კი — ბრუნვის ნიშნის ჩამოკვეცა ყველგან, სახ.-ისა და წოდ.-ის გარდა.

	ადრინდელი		უახლესი	
სახ.	დიდ-**ი**	კაც-**ი**	დიდ-**ი**	კაც-**ი**
მოთ.	დიდ-**მა**	კაც-**მა**	**დიდ**	კაც-**მა**
მიც.	**დიდ-ს**	კაც-**ს**	**დიდ**	კაც-**ს**
ნათ.	დიდ-**ის**	კაც-**ის**	**დიდ**	კაც-**ის**
მოქ.	დიდ-**ი**	კაც-**ით**	**დიდ**	კაც-**ით**
ვით.	დიდ	კაც-**ად**	**დიდ**	კაც-**ად**
წოდ.	დიდ-**ო**	კაც-**ო**	დიდ-**ო**	კაც-**ო**

იგივეა I მრავლობითშიც.

უახლესი ფორმები, რომლებიც ხშირად გვხვდება პოეზიაში, და არც თუ იშვიათად პროზაში, თავისი ხასიათით ძალიან უახლოვდება II ტიპის წარმოებას. ზოგიერთი მწერალი (მაგ., ილია, ვაჟა) მიც.-სა და ნათ.-ში სრულ დაბოლოებას ამჯობინებს. მაგალითები ილიადან: ერთს კაცს, ერთს მშვენიერს ზაფხულის დილას (382,22), გამხმარს ბალახსა, დღევანდელს ამბავს, გამწარებულს და გაბოროტებულს გულსა, თორმეტს წელს, ერთს უშველებელს ბადიას, ორის დღის, ჩვენის შვილის, ტკბილის ლუკმის, ერთის ღამის, ოთხის წლის, აპრიალებულის ცეცხლისაგან და სხვა. მაგალითები ვაჟადან: ერთს ამბავს, ჩემს დროს, ამგვარს ვაჟკაცებს, დიდის ყალივნის წევასა და სხვ.

120. ანალოგიური წარმოება. **ს** ბგერის ხმარებას მსაზღვრელის დაბოლოებად მიც.-სა და ნათ.-ში ისტორიული საფუძველი აქვს. ამ საფუძველზე შემუშავდა ანალოგიური წარმოება ორი სხვა ბრუნვისთვის: მოქ.-ისა და ვით.-ისთვის. ამ შემთხვევაში მოქ -თი დაეყრდნო ნათ.-ს, ვით.-თი კი — მიც.-ს:

მიც.	დიდ-**ს**	კაც-**ს**	დიდ-**ს**	კაც-ებ-**ს**
ნათ.	დიდ-**ის**	კაც-**ის**	დიდ-**ის**	კაც-ებ-**ის**
მოქ.	დიდ-**ის**	კაც-**ით**	დიდ-**ის**	კაც-ებ-**ით**
ვით.	დიდ-**ს**	კაც-**ად**	დიდ-**ს**	კაც-ებ-**ად**

მაგალითად მოყვანილი მსაზღვრელი („დიდი“) ზედსართავია. იგივე სურათი იქნებოდა, რომ მის ნაცვლად მოგვეყვანა რიცხვითი (ხ უ თ ი ამხანაგი) ზოგიერთი ნაცვალსახელი (ჩ ე მ ი ამხანაგი, რ ო გ ო რ ი ამხანაგი), მიმღეობა (ჩ ა ტ ე ხ ი ლ ი ხიდი, ა ს ა შ ე ნ ე ბ ე ლ ი სახლი, გ ა უ თ ა ვ ე ბ ე ლ ი საქმე)

ამგვარად, **ს**-მ მოქ.-ში **თ**-ს ადგილი დაიჭირა („დიდ-**ითა** წყალობ-**ითა** — დიდი-**ს** წყალობ-**ით**), ვით.-ში — **დ**-სი (დიდ-**ად** წყალობა-**დ** — დიდ-**ს** წყალობა-**დ**). მაგალითები: „თქვენის ორის თვალითა“ (ჭავ., 395,13), „შენის ძუძუთი“

(ქავ., 402,5), „ისეთის ღიმილით“ («სარჩოზ.»), „შავის მიწით“ («ოთ. ქვრ.»), „თავისის ხელით“ (იქვე), „ჩემის თვალითა ნანახსა“ (ვაჟა).

121. საზღვრულის თავისებურება მსაზღვრელ არსებითთან. თუ საზღვრულ სახელთან შეწყობილია წონისა და სხვა საანგარიშო ერთეულის სახელი, საზღვრული სახელი მრავლობითს ვერ აწარმოებს, რადგანაც მასთან ჩვეულებრივ რიცხვითიც არის შეწყობილი. რიცხვით სახელთან კი საზოგადოდ საზღვრული მხოლ.-ის ფორმით არის წარმოდგენილი: მწყერი — მწყრები, მაგრამ: 3 აბგა მწყერი; მიწა — მიწები, მაგრამ: 5 ჰექტარი მიწა; ხარი — ხარები, მაგრამ: 9 უღელი ხარი და მისთ.. ბრუნების მაგალითები:

სახ.	ორ-ი	მისხალ-ი	ვერცხლ-ი	სამ-ი	ურემ-ი	შეშა
მოთ.	ორ-მა	მისხალ-მა	ვერცხლ-მა	სამ-მა	ურემ-მა	შეშა-მ
მიც.	ორ	მისხალ	ვერცხლ-ს	სამ	ურემ	შეშა-ს
ნათ.	ორ-ი	მისხალ-ი	ვერცხლ-ის	სამ-ი	ურემ-ი	შეშ-ის
მოქ.	ორ-ი	მისხალ-ი	ვერცხლ-ით	სამ-ი	ურემ-ი	შეშ-ით
ვით.	ორ	მისხალ	ვერცხლ-ად	სამ	ურემ	შეშა-დ
წოდ.	—	—	—	—	—	—

II ტიპი

123. უბრუნველობის მიზეზი. საზღვრულის წინ დასმული ხმოვან-ფუძიანი ატრიბუტული მსაზღვრელი დღევანდელ სალიტერატურო ქართულში ჩვეულებრივ უბრუნველია. მას არც რიცხვი აქვს. ბრუნვისა და მრ. რიცხვის ნიშნები მხოლოდ საზღვრულს აქვს.

საზღვრულის წინ დასმულ ატრიბუტულ მსაზღვრელს საზოგადოდ ტენდენცია აქვს, უბრუნველი გახდეს. მაგრამ, თუ ამ ტენდენციამ მეტი ეფექტი ხმოვან-ფუძიან სახელებში მოგვცა, ვიდრე თანხმოვან-ფუძიანებში, ეს იმით აიხსნება, რომ ხმოვან-ფუძიანებს თავისთავად ხმარებისასაც ნაკლებად აქვთ ბრუნვის ნიშნები, ვიდრე თანხმოვან-ფუძიანებს: სახ.-ში კარგა ხანია მათ დაკარგული აქვთ ნიშანი, წოდ.-შიც ხშირია ნიშნის სრულიად დაკარგვა; ერთად-ერთი ბრუნვა, სადაც შეიძლებოდა ხმოვან-ფუძიანი მსაზღვრელი თანხმოვნიანს ბოლომდე გაჰყოლოდა, მოთ.-ი იყო, მაგრამ აქ გადამწყვეტი როლი მარცვლიანობის საკითხს უნდა ეთამაშნა: თანხმოვნიან ფუძეებთან მოთ.-ის ნიშანი მარცვალს ქმნის (-მა), ხმოვნიანებთან კი—არა (-მ). ყველაზე მეტად ბრუნვის ნიშანი თა შენახვის საშუალება ე-ზე გათავებულ სახელებს აღმოაჩნდათ, ისიც ნათ.-ში (და ანალოგიურად მოქ.-ში), მაგრამ ამ ჯგუფის სახელებმაც საერთო ტენდენციას აუბეს ფეხი: სახ.-ში ფუძის სახით წარმოდგენილი ფორმის ხმარება განაზოგადეს და უბრუნველი გახდნენ.

124. უბრუნველ მსაზღვრელ ზედსართავთა მაგალითები.

ა-ფუძიანი მსაზღვრელი.

	მხოლობითი	მრავლობითი
სახ.	კოხტა ქალ-**ი**	კოხტა ქალებ-**ი**
მოთ.	„ ქალ-**მა**	„ ქალებ-**მა**
მიც.	„ ქალ-**ს**	„ ქალებ-**ს**
ნათ.	„ ქალ-**ის**	„ ქალებ-**ის**
მოქ.	„ ქალ-**ით**	„ ქალებ-**ით**
ვით.	„ ქალ-**ად**	„ ქალებ-**ად**
წოდ.	„ ქალ-**ო**	„ ქალებ-**ო**

იშვიათად შეიძლება ბრუნვის ნიშანსაც წავაწყდეთ მიც.-ში: „მონა-**ს** ქალ-თანა“ (ვაჟა, «ეთერი»). შეიძლება აგრეთვე, რომ, თუ ბრუნვის ნიშანს არა, მის ნაშთს მაინც შევხვდეთ ნათ.-ში **ა**-ფუძიან სახელებთან: „ჩემი თავი ერთ დროს წმინდი-გიორგის ჯვრად იყო შეფასებული“ (ჭავ., 267,12). წმინდი-გიორგის = წმინდ-**ი(ს)** გიორგის, მაშასადამე, ფუძე შეკვეცილია.

ე-ფუძიანი მსაზღვრელი.

	მხოლობითი	მრავლობითი
სახ.	მწვანე მინდორ-**ი**	მწვანე მინდვრებ-**ი**
მოთ.	„ მინდორ-**მა**	„ მინდვრებ-**მა**
მიც.	„ მინდორ-**ს**	„ მინდვრებ-**ს**
ნათ.	„ მინდვრ-**ის**	„ მინდვრებ-**ის**
მოქ.	„ მინდვრ-**ით**	„ მინდვრებ-**ით**
ვით.	„ მინდვრ-**ად**	„ მინდვრებ-**ად**
წოდ.	„ მინდორ-**ო**	„ მინდვრებ-**ო**

ამგვაროდვე იბრუნვის რიგობითი სახელი: მ ე ე ქ ვ ს ე დღე, მ ე ა თ ე კლა-სი და მისთ.

როგორც ვხედავთ, სახელობითის ფორმა განზოგადებულია ნათ.-ისა და მოქ.-ისთვის, — ამ ბრუნვებში ფუძე არ იკვეცება.

ე-ფუძიან მსაზღვრელებში ზოგიერთ მწერალთან ჩვეულებრივია ბრუნვის ნიშანი ნათ.-ში (და ანალოგიურად განვითარებული **ს** მოქ.-ში) და, ამასთან ერთად, ფუძის შეკვეცაც; მწვანე**ის** მინდვრ**ის**, მწვანე**ის** მინდვრ**ით**; ცხარ**ის** ცრემლ**ის**, ცხარ**ის** ცრემლ**ით** და მისთ.. „მწვანის ქათიბით კოხტაობს მთებას კალთები ტყიანი“ (ვაჟა, «გოგოთ. და აფშ.»).

ი-ფუძიანი მსაზღვრელი.

	მხოლობითი	მრავლობითი
სახ.	კაი კაც-**ი**	კაი კაცებ-**ი**
მოთ.	„ კაც-**მა**	„ კაცებ-**მა**
მიც.	„ კაც-**ს**	„ კაცებ-**ს**
ნათ.	„ კაც-**ის**	„ კაცებ-**ის**
მოქ.	„ კაც-**ით**	„ კაცებ-**ით**
ვით.	„ კაც-**ად**	„ კაცებ-**ად**
წოდ.	„ კაც-**ო**	„ კაცებ-**ო**

მოწმობა ლიტერატურიდან: „დამიჯერა იმ კაი კაცმა“ (ჭავ., 270,34), „კაი ცხენს და კაი თოფს კაი საქმეში ახმარებდა“ (ჭავ., 335,15), „მე კაი ოსტატს გიშოვნი“ (ჭავ., 271,38), „შე კაი კაცო“ (ჭავ., 271,38).

შენიშვნა. „კაი“ მიღებული ჩანს „კარგ“-ისაგან; მაშასადამე, აქ **ი** წარმოშობით სახ. ბრუნვის ნიშანია, ფუძესთან შეზრდილი. გურულ კილოში **ი** ისევ ბრუნვის ნიშნად არის მიჩნეული, — მიც.-ში აღარ ჩანს: კას გეტყვი.

ო-ფუძიანი მსაზღვრელი.

	მხოლობითი		მრავლობითი	
სახ.	უმთვარო ღამე		უმთვარო ღამეებ-**ი**	
მოთ.	„	ღამე-მ	„	ღამეებ-**მა**
მიც.	„	ღამე-ს	„	ღამეებ-**ს**
ნათ.	«	ღამ-**ის**	„	ღამეებ-**ის**
მოქ.	„	ღამ-**ით**	„	ღამეებ-**ით**
ვით.	„	ღამე-დ	„	ღამეებ-**ად**
წოდ.	„	ღამე-ვ	„	ღამეებ-**ო**

გამონაკლისის სახით შესაძლებელია აქაც ვიპოვოთ ბრუნვის ნიშნიანი მაგალითი: „ჩოლროს გზას“ (ვაჟა, «ეთერი»).

უ-ფუძიანი მსაზღვრელი.

	მხოლობითი		მრავლობითი	
სახ.	ცრუ კაც-**ი**		ცრუ კაცებ-**ი**	
მოთ.	„	კაც-**მა**	„	კაცებ-**მა**
მიც.	„	კაც-**ს**	„	კაცებ-**ს**
ნათ.	„	კაც-**ის**	„	კაცებ-**ის**
მოქ.	„	კაც-**ით**	„	კაცებ-**ით**
ვით.	„	კაც-**ად**	„	კაცებ-**ად**
წოდ.	„	კაც-**ო**	„	კაცებ-**ო**

125. არსებითი სახელი ატრიბუტულ მსაზღვრელად.

	მხოლობითი		მრავლობითი	
სახ.	მუშა ქალ-**ი**		მუშა ქალებ-**ი**	
მოთ.	„	ქალ-**მა**	„	ქალებ-**მა**
მიც.	„	ქალ-**ს**	„	ქალებ-**ს**
ნათ.	„	ქალ-**ის**	„	ქალებ-**ის**
მოქ.	„	ქალ-**ით**	„	ქალებ-**ით**
ვით.	„	ქალ-**ად**	„	ქალებ-**ად**
წოდ.	„	ქალ-**ო**	„	ქალებ-**ო**

ზომისა, წონისა, საწყაოსა და მსგავს სახელებთან საზღვრულს მრავლობითი არა აქვს [შდრ. § 121]:

სახ.	სამ-ი ხელადა ღვინო			რვა ლიტრა ერბო		
მოთ.	სამ-მა	„	ღვინო-მ	„	„	ერბო-მ
მიც.	სამ	„	ღვინო-ს	„	„	ერბო-ს
ნათ.	სამ-ი	„	ღვინ-ის	„	„	ერბო-ს
მოქ.	სამ-ი	„	ღვინ-ით	„	„	ერბო-თი
ვით.	სამ	„	ღვინო-დ	„	„	ერბო-დ
წოდ.	—	—	—	—	—	—

უკანასკნელი მაგალითების მსგავსად უბრუნველია მსაზღვრელი საწყისიც: ერთი გ ა ბ მ ა აბრეშუმ-ი, ერთმა გ ა ბ მ ა აბრეშუმმა და შემდგომი.

126. დანართიანი სახელი. მსაზღვრელის ერთი სახეა **დანართი**, ე. ი. არსებითი სახელი, რომელიც მეორე არსებითს საზღვრავს, ჩვეულებრივ საკუთარს. საკუთარი სახელი (საზღვრული) შეიძლება ერთი სიტყვა იყოს, ორი და მეტიც, მთელი წინადადებაც კი, თუ იგი სახელად არის გამოყენებული. ეს საკუთარი სახელი შეიძლება აღნიშნავდეს ადამიანს, სოფელს, ქალაქს, მდინარეს, გაზეთს, ჟურნალს, საზოგადოებას, გამომცემლობას, ხელობას, თანამდებობას, ტიტულს, ლიტერატურულ ნაწარმოებს (რომანს, მოთხრობას, პოემას, ლექსს, პიესას) და სხვ.. დანართი შეიძლება წინაც მოექცეს საზღვრულს და შემდეგაც მოსდევდეს მას. წინ დასმის მაგალითებია: პ რ ო ფ ე ს ო რ ი მელიქიშვილი, მ დ ი ნ ა რ ე იორი, ს ო ფ ე ლ ი ჩარგალი, გ ა ზ ე თ ი „სოფლის ცხოვრება“, მ ჭ ე დ ე ლ ი ალექსი და მისთ.. მეორე ადგილზე დასმის მაგალითებია: თამარ მ ე ფ ე, ვახტანგ გ ო რ გ ა ს ა ლ ი, მოსე მ წ ე რ ა ლ ი და მისთ.

რომელიმე კაცის გვარი მისი სახელის მიმართ აგრეთვე დანართი იქნება: გოგია უ ი შ ვ ი ლ ი, სეხნია ჩ ხ ე ი ძ ე, სულხან ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი და მისთ.. დანართიან სახელთაგან ჯერ განვიხილოთ სახელისა და გვარის ბრუნება.

როცა სახელი და გვარი ერთად იხმარება წინადადებაში, სახელი უბრუნველია, ბრუნვის ნიშნებს გვარი მიიღებს:

სახ.	სულხან ორბელიან-ი	აკაკი წერეთელ-ი
მოთ.	სულხან ორბელიან-მა	აკაკი წერეთელ-მა
მიც.	სულხან ორბელიან-ს	აკაკი წერეთელ-ს
ნათ.	სულხან ორბელიან-ის	აკაკი წერეთლ-ის
მოქ.	სულხან ორბელიან-ით	აკაკი წერეთლ-ით
ვით.	სულხან ორბელიან-ად	აკაკი წერეთლ-ად
წოდ.	სულხან ორბელიან-ო	აკაკი წერეთელ-ო

ამგვარადვე იბრუნვის წარმომავლობისა, ხელობისა და თანამდებობის სახელი, რომელიც დანართად არის გამოყენებული და მსაზღვრელს მოსდევს; ასეთია: ბექა ო პ ი ზ ა რ ი, გოგია მ ე ჩ ო ნ გ უ რ ე, დავით რ ე ქ ტ ო რ ი და მისთ.. ასეთივეა აგრეთვე დანართი, რომელიც საკუთარი სახელის ეპითეტია ან განსაზღვრავს მას რიგისა ან სხვა ნიშნის მიხედვით: დავით ა ღ მ ა შ ე ნ ე ბ ე ლ ი, დიმიტრი თ ა ვ დ ა დ ე ბ უ ლ ი, გიორგი ბ რ წ ყ ი ნ ვ ა ლ ე, მიქელ მ ო-

რეკილი, სოლომონ ბრძენი, შოთა კუპრი, ბაგრატ დიდი, ეფ-ემ მცირე, თეიმურაზ პირველი, ბაგრატ მეოთხე, გიორგი მე-ამეტე და მისთ.

სახ.	დავით რექტორ-ი	ბაგრატ მეოთხე
მოთ.	დავით რექტორ-მა	ბაგრატ მეოთხე-მ
მიც.	დავით რექტორ-ს	ბაგრატ მეოთხე-ს
ნათ.	დავით რექტორ-ის	ბაგრატ მეოთხ-ის
მოქ.	დავით რექტორ-ით	ბაგრატ მეოთხ-ით
ვით.	დავით რექტორ-ად	ბაგრატ მეოთხე-დ
წოდ.	დავით რექტორ-ო	ბაგრატ მეოთხე-ვ

როცა დანართად ნახმარი ხელობისა ან თანამდებობის აღმნიშვნელი სახელი აზღვრულის წინ არის, მაშინ, თუ იგი, თანხმოვან-ფუძიანია, ნაწილობრივ ტიპის მსაზღვრელებში დგას რექტორ-ი დავით, რექტორ-მა დავით-მა, რექ-ტორ დავით-ს და შემდგომი (§ 119), და თუ ხმოვან-ფუძიანია -- II ტიპისაში, . ი. უბრუნველია: მეჩონგურე გოგია, მეჩონგურე გოგია-მ და შემდგომი § 124).

ამ რიგს მისდევს უმეტესად ახალ ცნებათა გამომხატველი სახელები, რაც თუოდ ევროპულ ენათა გავლენას უნდა მიეწეროს (განსაკუთრებით რუსუ-ლისას), პროფესორი მელიქიშვილი, დოცენტი ხუნდაძე, აკადე-იკოსი ჯავახიშვილი, გაზეთი „ბრძოლა“, გენერალი ლესელიძე, ოლმეურნეობა „განთიადი“, არტელი „შრომა“ და მისთ..

მაგალითი:

სახ.	პროფესორ-ი	მელიქიშვილ-ი	კომედია გაყრა
მოთ.	პროფესორ-მა	მელიქიშვილ-მა	კომედია გაყრა-მ
მიც.	პროფესორ	მელიქიშვილ-ს	კომედია გაყრა-ს
ნათ.	პროფესორ	მელიქიშვილ-ის	კომედია გაყრ-ის
მოქ.	პროფესორ	მელიქიშვილ-ით	კომედია გაყრ-ით
ვით.	პროფესორ	მელიქიშვილ-ად	კომედია გაყრა-დ
წოდ.	პროფესორ-ო	მელიქიშვილ-ო	კომედია გაყრა-ვ

127. დანართიანი სახელის ბრუნების ზოგიერთი საკითხი. თუ და-ართი ახლავს ისეთ სახელს, რომელიც ერთი სიტყვაა, მათი შეწყობა სახელობით რუნვაში ისედაც შეიძლება, რომ დანართი უძღოდეს და ისედაც, რომ მოსდევ-ეს: ა) მეფე თამარი, გამომცემლობა „მერანი“, გაზეთი „ბრძო-ლა“; ბ) თამარ მეფე, „მერან“ გამომცემლობა, „ბრძოლა“ გაზე-ი. როცა დანართი მეორე ადგილზეა, საკუთარი სახელი ფუძის სახით არის წარმოდგენილი (სახელობითის ი ჩამოშორდება თანხმოვანზე გათავებულ ფუ-ეებს, ხმოვან-ფუძიანებში კი სახელობითი ბრუნვის ფორმა და ფუძე ერთია). რაც შეეხება სხვა ბრუნვებს, უფრო მარტივია, რომ დანართი მეორე ადგილზე ყოს: თამარ მეფე, თამარ მეფემ, თამარ მეფეს, თამარ მეფის და შემდგომი; „მერან“ გამომცემლობა, „მერან“ გამომცემლო-ბამ, „მერან“ გამომცემლობას, „მერან“ გამომცემლობის

და შემდგომი; „ბრძოლა“ გ ა ზ ე თ ი, „ბრძოლა“ გ ა ზ ე თ მ ა, „ბრძოლა“ გ ა ზ ე თ ს, „ბრძოლა“ გ ა ზ ე თ ი ს და შემდგომი.

მაგრამ, თუ საკუთარი სახელი ორი ან მეტი სიტყვისაგან შედგება, თანაც სხვა ბრუნვის ფორმით არის მოცემული, ან თანდებული ახლავს, მაშინ სჯობს დანართი სახელობითშიც მეორე ადგილზე იყოს, რომ სხვა ბრუნვების წარმოებ გაადვილდეს: „ვაი ჭკუისაგან“ კომედია, „ვაი ჭკუისაგან“ კომედიამ, „ვაი ჭკუისაგან“ კომედიას და შემდგომი; „ლენინის დროშით“ გ ა ზ ე თ ი, „ლენინის დროშით“ გ ა ზ ე თ მ ა, „ლენინის დროშით“ გ ა ზ ე თ შ ი და მისთ. სტილისტურად სჯობს ითქვას და დაიწეროს: „ხმა კახეთისა“ გაზეთი, „ხმა კახეთისა“ გაზეთის ფურცლებზე და მისთ.

დანართის მეორე ადგილზე დასმა აუცილებელი ხდება, თუ დანართს მსაზღვრელი (ან მსაზღვრელები) ახლავს, როგორც, მაგ., ამ შემთხვევაში: გოგებაშვილის მშვენიერი საყმაწვილო „იავნანამ რა ქნა“ მოთხრობა. აქ სამი მსაზღვრელია: გოგებაშვილის (მოთხრობა), მშვენიერი (მოთხრობა), საყმაწვილო (მოთხრობა), რომლებიც ბრუნების დროს თავ-თავის წესებს დაემორჩილება: ბრუნვის ნიშნებს მხოლოდ თანხმოვანზე ფუძე-გათავებული „მშვენიერი“ მიიღებს, ისიც მხოლოდ ზოგ ბრუნვაში (§ 118).

სახ.	გოგებაშვილის	მშვენიერ-ი	საყმაწვილო	„იავნანამ რა ქნა“	მოთხრობა
მოთ.	„	მშვენიერ-მა	„	„	მოთხრობა-მ
მიც.	„	მშვენიერ	„	„	მოთხრობა-ს
ნათ.	„	მშვენიერ-ი(ს)	„	„	მოთხრობ-ის
მოქ.	„	მშვენიერ-ი	„	„	მოთხრობ-ით
ვით.	„	მშვენიერ	„	„	მოთხრობა-დ
წოდ.	„	მშვენიერ-ო	„	„	მოთხრობა-ვ

ამგვარივე წყობა აქვს და ბრუნვის ნიშნებსაც მსგავსადვე მიიღებს შემდეგი მაგალითები: პირველი ქართული მხატვრული „ქრისტინე“ ფილმი; ფილიაშვილის ცნობილი „რისთვის მიყვარხარ“ რომანსი, საბჭოთა კოსმოსური „სოიუზ-4“ [1] ხომალდი, საბჭოთა ავტომატური „ლუნა-20“ [2] სადგური და მისთ. დანართი და საკუთარი სახელი ერთად უნდა იყოს, მათ არაფერი არ უნდა თიშავდეს.

დასასრულ, მოვიყვანოთ სამეცნიერო ლიტერატურასა და ტექნიკაში სახმარებელი გამოთქმები: „მეხურ“ ტერმინი, „კაც“ სიტყვა, „მოვიდა“ ზმნა, „მიწყალე“ ფსალმუნი, AB ხაზი, ABC სამკუთხედი, D კუთხე, E წერტილი, a რაოდენობა, n ხარისხი, x რიცხვი და მისთ.

სახ.	„მეხურ“	ტერმინ-ი	ABC	სამკუთხედ-ი	„კაც“	სიტყვა
მოთ.	„	ტერმინ-მა	„	სამკუთხედ-მა	„	სიტყვა-მ
მიც.	„	ტერმინ-ს	„	სამკუთხედ-ს	„	სიტყვა-ს
ნათ.	„	ტერმინ-ის	„	სმკუთხედ-ის	„	სიტყვ-ის
მოქ.	„	ტერმინ-ით	„	სამკუთხედ-ით	„	სიტყვ-ით
ვით.	„	ტერმინ-ად	„	სამკუთხედ-ად	„	სიტყვა-დ
წოდ.	„	ტერმინ-ო	„	სამკუთხედ-ო	„	სიტყვა-ვ

[1] ითქმის: „სოიუზ-ოთხ“.

[2] ითქმის: „ლუნა-ოც“.

128. ᲘᲜᲕᲔᲠᲡᲘᲣᲚᲘ ᲠᲘᲒᲘ. როგორც აღნიშნულია (§ 116), დღევანდელი
ართულის ნორმათა მიხედვით მსაზღვრელისა და საზღვრულის რიგი ჩ ვ ე უ-
ე ბ რ ი ვ ასეთია: ჯერ მსაზღვრელი, მერმე კი საზღვრული (ტექნიკური გა-
ოთქმა: მსაზღვრელ-საზღვრული). ამ შემთხვევაში სულ ერთია, თუ რას წარ-
ოადგენს მსაზღვრელი: ატრიბუტულია და შეთანხმებულია საზღვრულთან
რუნვაში (მ ა ღ ა ლ-ი სახლ-ი, ჩ ე მ-ი სახლ-ი, ა შ ე ნ ე ბ უ ლ-ი სახლ-ი), შეწ-
ობილია მასთან უბრუნველად (ვ ი წ რ ო სახლ-ი, მ წ ვ ა ნ ე სახლ-ი, კ ო ხ ტ ა
ახლ-ი), თუ მართულია და დამოკიდებულია მისგან ნათ. ბრუნვაში (ხ ი ს სახ-
-ი, მ ე ბ ა ღ ი ს სახლ-ი). მაგრამ არ-იშვიათია შებრუნებული რიგიც, — ჯერ
აზღვრული, მერმე კი მსაზღვრელი (ტექნიკური გამოთქმა: საზღვრულ-მსაზ-
ვრელი): სახლი მაღალი, სახლი ჩემი, სახლი აშენებული, სახლი მწვანე, სახ-
ლი ხისა, სახლი მებაღისა და მისთ.

ძველ ქართულში უკანასკნელი რიგი ჭარბობდა (საზღვრულ-მსაზღვრელი),
ხალში კი — პირველი (მსაზღვრელ-საზღვრული). მაგრამ ძველ რიგს დღესაც
ართო გამოყენება აქვს, განსაკუთრებით პოეზიაში.

თუ მსაზღვრელ-საზღვრულის შემთხვევაში მსაზღვრელს იშვიათადღა
ქვს შერჩენილი ნიშნები (§§ 118, 119), სამაგიეროდ საზღვრულ-მსაზღვრელის
ემთხვევაში ის ბრუნვიანი ხდება. ეს არის ოღონდ, რომ ასეთმა წყვილმა შეიძ-
ება ყველა ბრუნვა ვერ აწარმოოს.

თუ დ ღ ე ვ ა ნ დ ე ლ ენაში გაბატონებულ ვითარებას ნორმად მივიჩნევთ,
აშინ საზღვრულ-მსაზღვრელი იქნება ინვერსიული რიგი (შებრუნებული რიგი),
აგრამ ი ს ტ ო რ ი უ ლ ი თვალსაზრისით ნორმაა საზღვრულ-მსაზღვრელი, ინ-
ერსია კი — მსაზღვრელ-საზღვრული.

მეორე ადგილზე დასმული მსაზღვრელი სინტაქსური ფორმის მიხედვით
შეიძლება იყოს შეთანხმებული ან მართულ-შეთანხმებული.

აღნიშნულთ გარდა მსაზღვრელი შეიძლება იყოს საზღვრულისაგან გათი-
შული ან სულ განმარტოებული.

129. ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲚᲘ. თუ ატრიბუტული მსაზღვრელი
ზედსართავი, რიცხვითი ან მიმღეობა) მეორე ადგილზეა დასმული, ის
აზღვრულთან ერთად იბრუნვის. სინტაქსური ვითარება, რომელსაც ადგილი
ქვს ამ შემთხვევაში, არის შეთანხმება. რადგანაც არსებითად ასეთი რიგი
ველია, ამიტომ ბრუნვის ნიშანი ხშირად გავრცობილია ნართაული ხმოვნით;
ვუძეც იკუმშება, თუ ის საზოგადოდ კუმშვადია; რიცხვის მიხედვითაც ძველი
არმოება ჭარბობს: უმეტესად II მრავლობითი გვხვდება. მაგალითი:

	მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი		II მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი	
სახ.	მთა	მაღალ-ი	მთან-ი	მაღალ-ნ-ი
მოთ.	მთა-მა	მაღალ-მა	მთა-თა	მაღალ-თა
მიც.	მთა-სა	მაღალ-სა	„	„
ნათ.	მთ-ისა	მაღლ-ისა	„	„
მოქ.	მთ-ითა	მაღლ-ითა	——	——
ვით.	მთა-დ(ა)	მაღლ-ად(ა)	——	——
წოდ.	მთა-ო	მაღალ-ო	მთა-ნ-ო	მაღალ-ნ-ო

შენიშვნა. გამონაკლისის სახით შეიძლება I მრავლობითიც შეგვხვდეს: „მთები მაღლები“ (ვაჟა, «გველის მჭ.»).

180. ორმაგი ბრუნება (მართულ-შეთანხმებული მსაზღვრელის ბრუნება). ნათ. ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი მსაზღვრელი, რომელიც მართულია უშუალოდ წინ დასმის შემთხვევაში (ხის სახლი, მებაღის სახლი), მართულ-შეთანხმებული ხდება უკან გადასმისას: მართულია იმიტომ, რომ ნათ.-ის ფორმა საზღვრულისაგანაა დამოკიდებული, შეთანხმებულია იმიტომ, რომ ეს ნათ.-ის ფორმა ფუძედ არის გამოყენებული და ხელმეორედ ნაბრუნები საზღვრულის ფორმასთან შეწყობის მიზნით (§ 99). ამ გზით მიღებულია ორმაგი ბრუნვა: ნათესაობით-სახელობითი, ნათესაობით-მოთხრობითი, ნათესაობით-მიცემითი და სხვ.. თანხმოვნიან და ხმოვან-კვეცილ ფუძეთაგან ამ შემთხვევაში ჩვეულებრივ ნათ.-ის ფორმა გავრცობილი სახითაა წარმოდგენილი (ბოლოში ა აქვს: სახლი ხისა, სახლი მებაღისა), ამიტომ ხელმეორედ ბრუნებისას მას, უკვე ხმოვნით გათავებულ ფუძეს, ნიშანი აღარ მოუვა სახ.-ში, რაც შეეხება უკვეცელ-ხმოვნიან სახელებს, ისინი მართულ-შეთანხმებული მსაზღვრელის ფორმათა წარმოებისას ერთგვარ თავისებურებას იჩენენ და ამიტომ მათზე ქვემოთ გვექნება მსჯელობა (§ 148).

თუ ასეთი ტიპის სახელი ფორმით მართულ-შეთანხმებულია, შინაარსით იქნება კუთვნილებითი ან სხვა ურთიერთობის გადმომცემი (მაღალი აღმნიშვნელი და სხვ.).

მართულ-შეთანხმებულ მსაზღვრელს (გენიტიურ სახელს, § 154) მრავლობითის ფორმა ჩვეულებრივ **ნარ-თანიანი** აქვს.

ძველად მართულ-შეთანხმებულ მსაზღვრელს ყველა ბრუნვა ჰქონდა, მაგრამ დღეს მას (და მასთან ერთად მის საზღვრულსაც) ხუთიღა მოეპოვება სახ., მოთ., მიც., ვით. და წოდ., როგორც ამას შემდეგი მაგალითი გვიჩვენებს:

სახ.	სახლ-**ი**	ხისა	სახლ-ნ-**ი**	ხისა-ნ-**ი**
მოთ.	სახლ-**მა**	ხისა-**მ**(ა)	სახლ-თა	ხისა-თა
მიც.	სახლ-**ს**(ა)	ხისა-**ს**(ა)	„	„
ვით.	სახლ-**ად**	ხისა-**დ**	——	——
მოქ.	სახლ-**ო**	ხისა-**ვ**(-**ო**)	სახლ-ნ-**ო**	ხისა-ნ-**ო**

იგივეა მაშინაც, როცა ფუძედ აღებულია მრავლობითის ფორმა:

სახ.	სიყვარულ-**ი**	მეგობრებისა
მოთ.	სიყვარულ-**მა**	მეგობრებისა-**მ**
მიც.	სიყვარულ-**ს**(ა)	მეგობრებისა-**ს**(ა)
ვით.	სიყვარულ-**ად**	მეგობრებისა-**დ**
წოდ.	სიყვარულ-**ო**	მეგობრებისა-**ვ**(-**ო**)

მოწმობა ლიტერატურიდან: „ხატო თელეთისაო“ (ჭავ., 382,18), „ჩემო იმედო ქვეყნისავ“ (ჭავ., 310,1), „იმედო ხევსურეთისავ“ («გველის მჭ.»), „მტრისად შაქცევას ხელისას“ (იქვე).

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ, თუ მსაზღვრელი სახელი ორია, პირველი მართული იქნება, უკანასკნელი კი მართულიცა და შეთანხმებულიც „მოჭრას წიფლის და თელისას“ (ვაჟა, «გველის მჭ.»). სხვანაირად რომ ვთქვათ

„წიფლის“ იქნება მარტივი ფორმა (ნათ.), „თელისას“ კი — რთული (ნათესაობით-მიცემითი).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ფ ო რ მ ი ს თვალსაზრისით ერთია ურთიერთობა სახელებს შორის, იქნება საზღვრული არსებითი თუ საწყისი (წიფლის სახლი, წიფლის მოჭრა; სახლი წიფლისა, მოჭრა წიფლისა); ხოლო გრამატიკული შინაარსით მათ შორის განსხვავებაა: საწყისთან შეწყობილი სახელი ობიექტია (წ ი ფ ლ ი ს მოჭრა), არსებითთან შეწყობილი კი — განსაზღვრება (წ ი ფ ლ ი ს სახლი). განსხვავება იმისაგან წარმოდგება, რომ მიმართება სახელისა სახელთან სხვაა და ზმნისა სახელთან კიდევ სხვა. საწყისი უბრალო სახელი კი არ არის, არამედ ზმნა-სახელია.

თუ მსაზღვრელს ბრუნვის ნიშანი ჩამოეცალა, მაშინ შეთანხმება დაიკარგება და საზღვრულ-მსაზღვრელის სინტაქსური ურთიერთობა მარტო მართვით იქნება წარმოდგენილი; მაგ., ასეთია მდგომარეობა ზოგჯერ ვითარებითში, სადაც არსებითად ძველი ქართულის ფორმა იქნება აღდგენილი: **სახლ-ად** ხი**სა-დ**→სახლ-**ად** ხისა.

181. ერთი თავისებურება ვაჟა-ფშაველას ენისა. ზოგ შემთხვევაში შეიძლება თანხმოვან-ფუძიანმა და კვეცილ-ფუძიანმა სახელმაც მოგვცეს სახ.-ის ნიშანი მეორედ ბრუნებისას (მართვა-შეთანხმებისას). ამას რომ ვამბობ, მხედველობაში მაქვს არა ძველი წარმოების სახელები: თავის-**ი** (თვის-ი), ჩემ-**ი**, მის-**ი**, მათ-ი, მამასახლის-**ი** და მისთ., სადაც ნათ. ბრუნვის გაგება დაკარგულია (§ 156), არამედ ახალი წარმოებისა. მაგ., სახელები: მგელ-ი, თხა, ცა, ცდა, ხე და ტყე ნათ.-სახ.-ში ჩვეულებრივ ამას მოგვცემენ: მგლისა, თხისა, ცისა, ცდისა, ხისა, ტყისა. მაგრამ ვაჟა-ფშაველა ზოგჯერ ფუძედ იყენებს **ის** დაბოლოებიან ფორმას: მგლის, თხის, ცის, ცდის, ხის, ტყის. ამ შემთხვევაში ეს სახელები სახელობითშიც მიიღებენ ნიშანს, როგორც ამას გვიჩვენებს ერთი ადგილი «ეთერ» პოემიდან:

„აავსეს წყლისა ნაპირი და გარეშემო ტყის**ი**-ა,
ხელში ეჭირა ყველასა მშვილდი, ისარი ხის**ი**-ა.
ყველაზედ მეტად უხდებათ ჩაბალახები მგლის**ი**-ა,
სპასალარს—ვეფხვის ტყავისა, ვეზირთ—ჭიუხის თხის**ი**-ა.
ეთერს რა ჰხედვენ, ჰფიქრობენ: ნეტავ ეს გოგო ვის**ი**-ა?
ეს ქვეყნიური არ არის, სწორედ ასული ცის**ი**-ა.
მეფის ძემ ყმათა უბრძანა: დრო აღარ არის ცდის**ი**-ა“.

შეიძლება მსგავსი მოვლენა მრავლობითის ფუძისაგანაც გვქონდეს:

„ხმალ-ხანჯრის, თოფის მხმარეთ-ი არა სძგერს გული მაგარი“.
(«სტუმარ-მასპ.»).

„ვთქვათ სიბრალული კარგია ხე-ქვა-ბალახთ-**ი**, ცხოველთ-**ი**“
(«გველის მჭ.»).

132. გათიშული მსაზღვრელი. წინ დასმული ატრიბუტული მსაზღვრელი, თუ ის გათიშულია საზღვრულისაგან, ბრუნვიანი ხდება. ითქმის: „ჭრელ კაბას“, „მწვანე ფოთოლს“, მაგრამ:

„ჭ რ ე ლ ს ჩავიცომდი კ ა ბ ა ს ა“.
(«ბახტრ.»).

„მწვანეს ეწვდება ფოთოლსა ხარი ირემი რქიანი“.
(«გოგოთ. და აფშ.»)

წინ დასმული მართული მსაზღვრელი, თუ ის გათიშულია საზღვრულისაგან, მართულ-შეთანხმებული ხდება. ითქმის: „კვლის ნებას არ გვაძლევს“, მაგრამ:

„კვლისას არ გვაძლევს ნებასა“ («გველის მჭ.»).
„სიყვარულისას დავსწნავ გვირგვინსა“ (V, 238,9).

133. განმარტოებული მსაზღვრელი. განმარტოებულია მსაზღვრელი, როცა მასთან საზღვრული არ არის ნახმარი, მაგრამ იგულისხმება. ამგვარი მოვლენა ჩვეულებრივია, როცა საზღვრულის გამეორება არ ჰსურთ და სტილისტიკური მიზნით გამოტოვებენ ხოლმე. ასეთი მსაზღვრელი ბრუნვის ნიშანს უსათუოდ მიიღებს: „სოფლის **ამბავს** ქალაქში ჩამოიტანს, ქალაქისას სოფელში წაიღებს“ (ჭავ., 271,4). მოყვანილ მაგალითში ორი მსაზღვრელია: სოფლის და ქალაქისას. პირველი მარტივი ფორმითაა წარმოდგენილი (ეს ფორმაა ნათ.-ი), მეორე კი — რთულით (ეს ფორმაა ნათ.-მიც.-ი). რომ ავიღოთ ასეთი ფრაზა: „არც ერთის თქმა, არც მეორისა“ (ჭავ., 289,20) და შევცვალოთ ისე, რომ „თქმა“ ვაბრუნოთ, გვექნება; არც ერთის თქმამ, არც მეორისამ (მოთ.), არც ერთის თქმას, არც მეორისას (მიც.). ხშირია მსაზღვრელის განმარტოება თავისებურ გამოთქმებში: „რა ვქნა მე უბედურის დღისამ“ (ჭავ., 304,31), „შე უბედურის დღისავ“ (ჭავ., 303,32), „ექვსი წლისამ უკვე კითხვა იცოდა“ და მისთ.

უფრო ხშირია, რომ განმარტოებულმა მსაზღვრელმა სრულიად დაკარგოს კავშირი საზღვრულთან და ზმნიზედად იქნეს გამოყენებული ადგილისა და დროის აღსანიშნავად: ბიძისას, მამიდისას, შუაღამისას, გათენებისას, სადილობისას, ვახშმობისას და მისთ.: „ერთის მედუქნისას“ (ყაზ., 226,32), „ნინიაისას“ (ყაზ., «ელგ.»), „ხარანაულებისას“ («ელგ.»), „შენ მამეულებისას წადი“ (ყაზ. 289,31), „მოხევეებისას სტუმრობა“ (ყაზ., 322,3), „გუშინ მეზობლიანთას გახლდი“ (ჭავ., 346,28). ასეთ შემთხვევებში, თუ ადგილი იგულისხმება, ჩავარდნილია „სახლსა“, თუ დრო, ჩავარდნილია „ჟამსა“: (სახლსა) ბიძასასა→ბიძისას: (ჟამსა) შუაღამისასა→შუაღამისას.

134. ძველი კონსტრუქციის ნაშთი. კუთვნილებითი პირის ნაცვალსახელები ძველად მოსდევდა საზღვრულს: „მამაო ჩუენო“, „ნებაჲ შენი“. ეს ვითარება დღესაც ცოცხალია ზოგიერთ ნათესაობის აღმნიშვნელ სახელთან, როგორიცაა: მამა, დედა, ბიძა, პაპა, რამდენადმე აგრეთვე: მამიდა, დეიდა, დიდედა (ბებია).

კუთვნილებითი ნაცვალსახელი აღნიშნულ სახელებთან დღეს იმდენად შეზრდილია, რომ უკვე კომპოზიტის სახე აქვს მიღებული. ეს გარემოება იქიდან ჩანს, რომ ბრუნვის ნიშნებს მეორე ნაწილი (ნაცვალსახელი) მიიღებს. რაც შეეხება არსებითს, მან შეიძლება მიცემითსა და მოქმედებითში მოგვცეს

ანხმოვან-შეკვეცილი ფორმა, ისიც აღმოსავლურ კილოებში და უმეტესად
|ედან გამოსულ მწერალთა ნაწერებში.

სახ.	მამა-ჩემი	დედა-თქვენი
მოთ.	მამა-ჩემმა	დედა-თქვენმა
მიც.	მამა-ჩემს	დედა-თქვენს
ნათ.	მამი-ჩემის (მამა-ჩემის)	დედი-თქვენის (დედა-თქვენის)
მოქ.	მამი-ჩემით (მამა-ჩემით)	დედი-თქვენით (დედა-თქვენით)
ვით.	მამა-ჩემად	დედა-თქვენად
წოდ.	მამა-ჩემო	——

მოწმობა ლიტერატურიდან: „არ ეყოფა იმ უღმერთოს მამი-შენის წილო-
ა?“ (ყაზ. 214, 2): „მამი-ჩემისაც ეხათრებოდა“ (ჭავ., 268,34), „ბატონმა
ევ მამი-ჩემის წყენა ირჩია“ (ჭავ., 268,35), „დედი-ჩემის წამალმა ხომ არგო“
ჭავ., 286,15), „მამი-შენის ცხონებას, არ მომატყუო“ (ჭავ., 313,29), დედი-
ქვენის მეგობრობა და ხათრი-ჯამი რომ მაგონდება“ (ჭავ., 363,9). „მამი-
ქვენის სიკვდილი“ (ჭავ., 363,38), „დედი-შენის სურვილიც არის“ (ჭავ., 365,30),
პაპი-თქვენისაგან უყიდნია პაპა ჩემსა“ (ჭავ., 411,31), „ბეჭედი დედი-ჩემისა“
ვაჟა, «სისხლის ძიება»), „პაპი-ჩემის ანდერძი“ (ვაჟა).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ფშაურსა და ხევსურულში „დედა-ჩემ“-ის წოდებითი იქნება „დედას-ჩემო“ (ასიმილაციით: „დედაშ-ჩემო“): მიცემითის ნიშანი შეზრდია ფუძეს და სხვა ბრუნვებშიც გადაუტანიათ: „ვაჰმე, მოვკვდი დე-დას-ჩემო“ (ვაჟა, «სცენები», V, 324,20), „გამათხოვე, დედაშ-ჩემო, თორე ხან-დრო წამივიდა“ („წელიწდეული“, გვ. 249). როგორც ჩანს, ეს შეზრდა სხვა სახელებთანაც უნდა იყოს: „ნათლიას-ჩემო“ (ვაჟა, V, 377,17).

**135. მსაზღვრელის გაორკეცება მრ. რიცხვის უქონლობის საკომ-
ენსაციოდ.** როგორც უკვე ვიცით, საზღვრულის წინ დასმული მსაზღვრელი
რიცხოა, რიცხვის გაგებას მხოლოდ საზღვრული გვაძლევს. მაგრამ ზოგჯერ
დგილი აქვს მსაზღვრელის ფუძის გაორკეცებას, რაც ერთგვარ მაგივრობას
წევს მრ. რიცხვის გამოხატვის საქმეში. ამ შემთხვევაში თვით საზღვრული შე-
ძლება მხოლობითშიც იდგეს. გაორკეცება თითქმის აუცილებელი ხდება, თუ
აზღვრული საზოგადოდ მრავლობითს ვერ აწარმოებს: „ჩ ქ ა რ-ჩ ქ ა რ ი ფლვა“
ყაზ., 248,38), „ა ხ ა ლ-ა ხ ა ლ ი კონები“ (ყაზ., 272,9), „ბევრი რამ ისე ლ ა-
ა ზ-ლ ა მ ა ზ ი მარგალიტივით სიტყვები ვუთხარი“ (ჭავ., 419,19); „უფრო
კ ვ ა ხ ე-მ კ ვ ა ხ ე ქართული დავხარჯე“ (ვაჟა, V, 282,15), „სულ ღ რ მ ა-
რ მ ა სიბრძნით არის გაჟინთული“ (იქვე, 471,18). „ქმარს მომაკვდავი
გონა, ც ხ ე ლ-ც ხ ე ლ ი ცრემლი ყარა მან“ (ზესიკი, «რძალ-დედამთ.»), „კრევ-
ის ბებერი მ წ ა რ ე-მ წ ა რ ე ს ა“ (იქვე; აქ მსაზღვრელი განმარტოვებულია).
ზ ო გ-ზ ო გ ი კაცია ეშმაკის მუშა“ (საიათნოვა). ამგვარივე მაგალითებია:
შირ-ხშირი სიარული, წვრილ-წვრილი ღერები, მსხვილ-მსხვილი ლუკმა, წი-
ელ-წითელი ვაშლი, მწიფე-მწიფე მსხალი, ცხელ-ცხელი პურები და მისთ..

განსაკუთრებით ხშირია გაორკეცება კუთვნილებითი „თავის“-ისა (მოსა-
ოდნელი იყო „თავის-თავისი“, მაგრამ შემოკლებულად „თავ-თავისი“ ითქმის):

„მერმე წავიდნენ ცალკ-ცალკე თავ-თავის გზაზე გმირები“ (ვაჟა, «ფოცხოთ. და აფშ.»); ერთ მთიულურ ლექსში იკითხება:

გადმოვიდეს მრავალანი[1], გადმოხედეს ქადასაო[2]:
„თავ-თავის თავს გაურიგეთ, ნუ არიგებთ ცხოთასაო“.

ეს „თავ-თავისი“ მეორე ფორმითაც გვხვდება: „თავ-თავიანთი“: „ისინ დაბრუნდნენ თავ-თავის სახლში და დაადგნენ თავ-თავიანთ საქმეს“ (ყაზ., 226, 30—31), „ორივე პყრობილი თავ-თავიანთ საგონებელში წავიდნენ“ (ყაზ., 260,34), „აიღეს თავ-თავიანთი თოფები“ (ყაზ., 268,1) ისინი წასულიყვნენ თავ-თავიანთ ფიქრში, თავ-თავიანთ გულში“ (ყაზ., 295, 29—30).

შენიშვნა. ზოგჯერ გაორკეცებას სხვაგვარი ცვლილება შეაქვს მნიშვნელობაში: შავ-შავი=მოშავო, თხელ-თხელი=მოთხელო, ხმელ-ხმელი=მოხმელო. „შავ-შავი, ხმელი კაცი იყო“ (ვაჟა, V, 64,19).

[სახელთა გაორკეცებაზე სპეციალურად §§ 179—184].

თავისებურებანი

136. თავისებურ სახელთა ჯგუფები. არწესებრივი ბრუნების მიმდევარ სახელთა რიცხვი ქართულში საზოგადოდ ცოტაა. დიდი წილი ანომალიების ნაცვალსახელებზე მოდის. გვაქვს ჯგუფები არსებითი სახელებისა და ნაცვალ სახელებისა (პირისა, ჩვენებითი, ნაწილაკიანი) და ერთი წყება გენეტიურ სახელებისა.

137. თავისებური არსებითები. არსებით სახელებში თავისებურებანი უმთავრესად ფუძის შეკუმშვის ნიადაგზეა წარმოშობილი.

1. **ღმერთი.** ამ სიტყვის ფუძე იკუმშება მხოლობითის სამ ბრუნვაში და ამის გამო ოთხი თანხმოვანი იყრის ერთად თავს: **ღმრთ**-ისა. ძნელი გამოსათქმელია. იკარგება **რ** და გვრჩება **ღმთ,** მაგრამ მაინც ძნელია გამოსათქმელად და, გამოთქმა რომ გაადვილდეს, **მ**-ს ენაცვლება უმარცვლო **უ** (რომელიც **ვ**-თია გამოხატული): **ღვთ**-ისა. ამ სიტყვას ფუძე-კუმშვადობა ძველადგანვე მოუდის. ახალ ქართულში ფუძე-კუმშული ფორმების გვერდით ფუძე-უკუმშველიც ჩნდება: ღმერთისა (ჭავ., 281,34), „ატყობინებდა იმ დროის ღმერთის სწორის კაცის მოსვლას“ (ყაზ., «მამ. მკვლ.», 227,12). ამ უკუმშველ ფუძისაგანაა ნაწარმოები I მრავლობითი: ღმერთები.

2. **ხუცესი.** ამ სიტყვას ძველად ფუძე ეკუმშებოდა: **ხუცს**-ისა, **ხუცს**-ები **ცს** კომპლექსის გამოთქმის სიძნელის გამო **ს** უნდა დაკარგულიყო (პროფ. ვ. თოფურიას ახსნის თანახმად) და მიგვეღო **ხუც:** ხუცისა, ხუცითა, ხუცად ხუცები და შემდგომი. მართლაც, უკანგორის წარწერაში იკითხება: „პეტრე ხუცსობასა მე თათვარაზ აღხუმართე ესე ჯუარი“ (ლ. მუსხელიშვილი, არქ. ექსკურსიები მაშავერის ხეობაში, 1941, გვ. 12).

3. **ამბავი.** ეს სიტყვა ფუძე-კუმშვადთა ჯგუფს ეკუთვნის. ფუძისეულ ხმოვნის ამოღების შემდეგ ბაგისმიერი თანხმოვნები იყრის თავს (**მბვ**) და

[1] მრავალანი — ხომლი (ვარსკვლავთა კრებულია ერთი).

[2] ქადა — ხეობაა მთიულეთში.

ყველას ერთად გამოთქმის სიძნელის გამო იკარგება უკანასკნელი **(ვ): ამბის(ა), ამბ-ით(ა), ამბ-ად, ამბ-ები** და სხვ.

4. **ქალამანი.** ეს სიტყვა ბევრგან აღმოს. საქართველოში შუა ა-ს ამოღებით იხმარება: ქ ა ლ მ ა ნ ი: შემდეგ კიდევ იკუმშება (ქალმნის, ქალმნები) და თანხმოვანთა თავმოყრის გამო უკანასკნელი მათგანი **(ნ)** იკარგება: ქალმ-ის ქალმ-ად, **ქალმ-ები.** ასეთი სახით ეს ფორმები სალიტერატურო ენაშიც გვხვდება.

5. **ლურსმანი.** ამ სიტყვამ, რომელიც არაბულია წარმოშობით (მუსმარ), შეცვალა ქართული „სამსჭვალი“. სალიტერატურო ქართულში ის იკუმშება და თანხმოვანთა თავმოყრის გამო შეიძლება დაიკარგოს **ნ** (როგორც ქალმან-ში): ლურსმისა, ლურსმითა, ლურსმები: „როგორც ლურსმითა“ (ჭავ., 302,12).

6. ზოგიერთი **-ანა, -არა** და **არე**-თი გათავებული სამ- და მეტ-მარცვლიანი ფუძეები შეკუმშვისას კარგავენ არა მარტო უკანასკნელ ხმოვანს, არამედ იმის წინასაც; მაგ., **ქვეყანა, ქარხანა, ფანჯარა** და **მოყვარე** ნათესაობითში ასეთს ფორმებს გვაძლევენ: **ქვეყნის**(ა), **ქარხნის(ა), ფანჯრის**(ა), **მოყვრის(ა).**

7. **ღვინო. ო**-ზე ფუძე-გათავებულებს შორის ეს სახელი ერთად-ერთია, რომელიც ბოლოკიდურ ხმოვანს მოიკვეცს, მაგრამ მოიკვეცს მარტოოდენ მხოლობითში **ღვინ-ის**(ა), **ღვინ-ით**(ა), მრავლობითში კი — არა: **ღვინო-ებ-ი.**

8. **ხბო.** ამ სახელს მრავლობითი ჩვეულებრივი აქვს: **ხბო-ებ-ი.** მაგრამ ამის გვერდით ასეთი ფორმაც გვხვდება: ხბო-**რ**-ები. უკანასკნელი ფორმა წარმომდგარი უნდა იყოს ხბოვრებ-ისაგან (ხბოვრები→ხბორები), რომელიც **ხბოვარ** ფუძეს გულისხმობს, ძველი ორთოგრაფიით **ჴბოვარ**-ს. ეს **ჴბოვარ** ფუძე დადასტურებულია **ჴბოვრედ**-ში, რაც ხბოიანს ნიშნავდა. ათონის ქართველთა მონასტრის აღაპებში ვინმე გიორგის შესახებ იკითხება: „ამან გიორგი შემოწირნა ფურნი სამნი ჴ ბ ო ვ რ ე დ ნ ი“ (აღაპები, № 76). მაშასადამე, ძველად ენაში არსებულა პარალელური ფუძეები: **ჴბო** და **ჴბოვარ** (ან **ჴბოვერ**). პირველი ხმოვანზე თავდებოდა, მეორე — თანხმოვანზე და თანაც იკუმშებოდა· **ჴბოვრისა, ჴბოვრები.** ეს **ჴბოვრები** ჩანს დღეს შემონახული **ხბორების** სახით (**ვ** დაკარგულა **ო**-ს შემდეგ: ჴბოვრები→ჴბორები. შდრ. ცხოვრება→ცხორება) [1].

9. **ჭკუა.** სალიტ. ენაში **უ** ჩვეულებრივ მარცვლიანია: ჭკუა, ჭკუას, ჭკუის, ჭკუით. მაგრამ დიალექტებში ჭ კ ვ ა-ც გვხვდება. ამისაგან ნათ. იქნება ჭკვის(ა). **ჭკვიის** (ჭავ., 247,28) კი ჭ კ უ ი ს და ჭ კ ვ ი ს ფორმათა აღრევის შედეგი უნდა იყოს (კონტამინაცია).

10. **მოწმე.** წესით ამ სახელის ვითარებითი უნდა იყოს (და გვაქვს კიდეც): მ ო წ მ ე დ. მაგრამ პარალელურად ხმოვან-შეცვლილი ფორმაც გვხვდება: „რომ მ ო წ მ ა დ დასწრებოდა იმათ შეერთებას“ (ყაზ., 278,14).

138. ნაცვალსახელები: ერთმანეთი, ყველა, თვით.

1. **ერთმანეთი.** ეს არის თხზული სახელი (კომპოზიტი), რომელშიც შეერ-

[1] გადმომცეს, რომ ყვარელში ხბორ-ი მხოლობითშიც იხმარებაო; მაგ., „ხ ბ ო რ ი გამოვიყვანე ბახჩიდან“ (ეს ფორმა, რომელიც დამიდასტურა რამდენიმე კაცმა, უთუოდ მრავლობითისაგან არის გაკეთებული).

თებულია ორი სხვადასხვა ფორმა ერთისა და იმავე სახელისა: ერთ-**მან**+ერთ-**ი** (მოთხ. და სახ.). მეორე ნაწილში **რ** ზოგჯერ შენახულია („მოეხვივნენ ერთმანერთს და სამჯერ ჩაიკრეს გულში ერთმანერთი", ყაზ., 278,11—12; „ისინი ერთმანერთისათვის გაჩენილან" ჭავ., 231,31), მაგრამ უმეტესად იკარგება და გვაქვს **ერთმანეთი**, სადაც უკვე წაშლილია კვალი სხვადასხვა ბრუნვის ფორმათა შეერთებისა. მას ზოგიერთი ბრუნვა აკლია, მათ შორის მოთხრობითიც, რომლის ფორმაც პირველ ნაწილშია შესული, თორემ სხვაფრივ წესიერად იბრუნვის: სახ. ერთმანეთ-**ი**, მიც. ერთმანეთ-**ს**(ა), ნათ. ერთმანეთ-**ის**(ა), მოქ. ერთმანეთ-**ით**. მრავლობითი არა აქვს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. „ერთმანეთის" ნაცვლად კილოებში იხმარება **ერთიმეორე** და **ერთურთი**, რომელთაც ლიტერატურაშიც ვხვდებით. ამათაც არ მოეპოვება ყველა ბრუნვა: ს ა ხ. ერთიმეორე, ერთურთი; მ ი ც. ერთიმეორეს, ერთურთს; ნ ა თ. ერთიმეორის, ერთურთის. მოქ. ერთიმეორით, ერთურთით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. გვხვდება პლეონასტური „ერთი-ერთმანეთი", რომელიც „ერთიმეორისა" და „ერთმანეთის" კონტამინაციით წარმომდგარი ჩანს; „ერთი-ერთმანეთს არ ვუთმობთ იმ ადგილსა" (ჭავ., 262,20); „დიდი თუ პატარა ერთი-ერთმანეთისათვის საჭირონი ვართ" (ჭავ., 281,3), „იმათი სიცოცხლე უერთი-ერთმანეთოდ" (ჭავ., 281,3), „უერთ-ერთმანეთოდ" (ჭავ., 363,12). „იმათი სიცოცხლე უერთ-ერთმანეთოდ შეუძლებელი შექმნილიყო" (ყაზ., 211,31).

2. **ყველა**. ეს სიტყვა ბოლო-უკვეცელთა ჯგუფს ეკუთვნის და მხოლობითში არავითარ თავისებურებას არ იჩენს (ს ა ხ. ყველა, მ ო თ ხ. ყველამ, მ ი ც. ყველას, ნათ. ყველას-თვის), მრავლობითში კი ჩვეულებრივ მარტო ნარიანი ფორმა აქვს: ყველანი. რაც შეეხება თანიანს („ყველათა"), იგი იშვიათად გვხვდება: „ჩვენ ყველათა ვნახეთ" (ვაჟა, «მოკვეთილი»), „გაგიმარჯოსთ თქვენ ყველათა" (იქვე); „დილის ნიავი ყველათა თავს დასტრიალებს მცველადა" (ვაჟა, «ხის ბეჭი»).

3. **თვით (თვითონ, თითონ)**. ეს სიტყვა უბრუნველია. დამოუკიდებლად იხმარება მხოლოდ მაშინ, როცა მოსალოდნელია სახ. ან მოთხ.: თვითონ მოვიდა, თვითონ გააკეთა. შეერთებით კი შეიძლება სხვა ბრუნვაში მდგომ სახელთანაც იყოს: თვითონ მებაღეს.

139. პირის ნაცვალსახელები. ოთხი პირის ნაცვალსახელი: **მე, შენ, ჩვენ** და **თქვენ** ისეთ სიტყვებად უნდა იქნენ მიჩნეული, რომელთაც მორფოლოგიური კატეგორიები სახელისა (ბრუნვა და რიცხვი) არ გააჩნიათ.

დავიწყოთ რ ი ც ხ ვ ი დ ა ნ. არ შეიძლება ითქვას, რომ **მე** სიტყვა გრამატიკულად იყოს გამომხატველი მხოლობითი რიცხვისა, ან კიდევ **ჩვენ** მრავლობითისა. მართალია, ძველებური გაგების თანახმად, ერთმანეთის შეპირისპირებით **მე** და **ჩვენ** (ან **შენ** და **თქვენ**) მხოლობით-მრავლობითის სიტყვებად იყო მიჩნეული, მაგრამ ეს გაუგებრობა ორ რამეზე იყო დაფუძნებული: ა) ზმნასთან შეწყობისას **მე** და **შენ**, თვითეული ცალ-ცალკე, მხოლობითის ფორმას მოითხოვს (მე **ვაკეთებ**, შენ **აკეთებ**), ხოლო **ჩვენ** და **თქვენ** — მრავლობითი-

სას (მაგ., ჩვენ **ვაკეთებთ**, თქვენ აკეთებთ). ბ) მნიშვნელობა ამ სიტყვებისა ისეთია, რომ **მე** და **შენ**, მართლაც, თითო-თითო პიროვნებას გვიჩვენებს, ხოლო **ჩვენ** და **თქვენ** — ერთზე მეტს, ე. ი. იმდენს, რამდენიც გრამატიკაში მრავლობითის წარმოდგენას გვაძლევს.

არავითარი ეჭვი არ არის იმაში, რომ ზმნის ფორმები **ვაკეთებ** — **ვაკეთებთ** და **აკეთებ** — **აკეთებთ** ერთიმეორის მიმართ მხოლობით-მრავლობითის ფორმებია, მაგრამ ეგ საბუთი როდია, რომ სახელები **მე, ჩვენ** და **შენ, თქვენ** აგრეთვე მხოლობით-მრავლობითის ფორმად ვიცნათ. სახელის რიცხვის გაგებისათვის გადამწყვეტია არა მასთან შეწყობილი ზმნის ფორმა, არამედ თვით სახელის უნარი, გვიჩვენოს ორი ისეთი სხვადასხვა ფორმა, რომლებიც ერთურთის შეპირისპირებით გამოხატავენ ცნებას ერთისას და მრავლისას. ასეთი უნარი მრავლისაგან მრავალ სახელს აქვს ქართულში; მაგალითად, **ამხანაგი** და **ამხანაგები** ერთიმეორის საპირისპირო ფორმებია მხოლობითისა და მრავლობითის გაგებით: **ამხანაგები-ო** რომ ვამბობთ, აქ ვგულისხმობთ ერთზე მეტ ამხანაგს, **ამხანაგი** კი მარტოოდენ ერთი კაცის წარმოდგენას შეიცავს. **ამხანაგი** და **ამხანაგები** ერთისა და იმავე ძირის ორი სხვადასხვა ფორმაა, ხოლო **მე** და **ჩვენ** ან **შენ** და **თქვენ** სულ სხვადასხვა ძირის სიტყვებია და აქ არც შეიძლება ისეთი შეფარდება გვქონდეს, როგორიცაა სხვა სახელებში (ვთქვათ, ამ ფორმებში: **ამხანაგი—ამხანაგები**).

ჩვენ და **თქვენ** რამდენიმე (ერთზე მეტი) პირის გამომხატველია, მაგრამ არც „ჩვენ" არის რამდენიმე „მე" და არც „თქვენ" არის რამდენიმე „შენ". ამას გარდა, ეს სიტყვები რომ ერთზე მეტს აღნიშნავენ, ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ამას სათანადო გრამატიკული გამოხატულება ახლდეს, ე. ი. თითქო **ჩვენ** და **თქვენ** თავისი ფორმით იყოს მრავლობითი რიცხვის სიტყვები. ეგრე რომ იყოს საქმე, მაშინ „ხალხი"-ც (რომელიც უეჭველია რამდენსამე პირს აღნიშნავს) მრავლობითის სიტყვა იქნებოდა, მით უმეტეს, რომ ზმნასთან შეწყობისას მას შეუძლია მრავლობითის ფორმაც გამოიწვიოს (მაგ., „იქვე **მიმსხდარიყვნენ** დანარჩენი მოხუცებული **ხალხი** და გაჩუმებულნი ყალიონს **სწევდნენ"**: ყაზ., «ელისო»). არც ერთ მათგანს არ აქვს ისეთი ფორმა, რომ სიმრავლეზე მიგვითითებდეს. მართალია, ბოლოში ორივეს **ნ** მოეპოვება (ჩვე-**ნ**, თქვე-**ნ**), მაგრამ იგი არც შეიძლება მრავლობითის ნიშნად გავიგოთ, თორემ მაშინ **შენ**'ც მრავლობითში გადავა (შე-**ნ**) და აგრეთვე დიალექტურად არსებული **მენ**'ც, რადგანაც ამათაც აქვთ ბოლოში **ნ.** მაშასადამე, ზემორე ჩამოთვლილი ოთხივე ნაცვალსახელი რიცხვის მიხედვით უცვლელი სიტყვებია.

ეხლა ბ რ უ ნ ვ ე ბ ი ვნახოთ. აღნიშნულ ოთხ ნაცვალსახელთაგან ორი (**მე** და **ჩვენ**) ისეთებია, რომ წოდებითის ფორმას სრულებით ვერ მოგვცემენ, კიდევაც რომ ჰქონდეთ მათ სხვა ბრუნვების ფორმები. ორი დანარჩენი კი (**შენ** და **თქვენ**) შეიძლება მოწოდებისას ვიხმაროთ, მაგრამ ამ შემთხვევაში ერთად-ერთი ცვლილება, რომელიც ბოლოკიდური ბგერის ჩამოშორებაში გამოიხატება, შეიძლება მხოლოდ მაშინ მოუვიდეს, თუ დაერთო რამე განსაზღვრება, ვთქვათ, ასეთი: **შე** დალოცვილო, **თქვე** ოჯახ-აშენებულო და მისთ., ეს **ნ**-ს ჩამოშორებაა (სხვა სიტყვის ხმარებასთან დაკავშირებით) მთელი ფორმა-ცვალება, რომელსაც იჩენენ **შენ** და **თქვენ**, ხოლო ისეთი შემთხვევებისათვის, როცა შეიძლება კაცს ეგულისხმა ძირითადი ბრუნვები: სახელობითი, მოთხრო-

ბითი და მიცემითი, არც ერთი მათგანი (**მე, შენ, ჩვენ, თქვენ**) არავითა განსხვავებას არ გვაძლევს. ნათესაობითში კი პირველ მათგანს (**მე**'ს) შეენაცვლება **ჩემ** (ასეთ ფორმებში: **ჩემ**-თვის, **ჩემ**-გან, **ჩემ** მიერ და მისთ.), სხვები მაინ უცვლელი დარჩება. თუ ამას დავსძენთ, რომ მოქმედებითი და ვითარებითი მა სრულებით არ გააჩნიათ, უნდა დავასკვნათ, რომ ბრუნების მხრითაც აღნიშნული ნაცვალსახელები უცვლელი სიტყვებია. რომ ნათქვამი ნათელი იყოს, ჩამოვწეროთ ბრუნვები და მივუწეროთ შესაფერისი «ფორმები».

სახ.	მე	შენ	ჩვენ	თქვენ
მოთ	მე	შენ	ჩვენ	თქვენ
მიც.	მე	შენ	ჩვენ	თქვენ
ნათ.	*ჩემ-	*შენ	*ჩვენ	*თქვენ
მოქ.	—	—	—	—
ვით.	—	—	—	—
წოდ.	—	შენ, *შე	—	თქვენ, *თქვე

ვარსკვლავებ-დასმული ფორმები ცალკე არ იხმარება, არამედ სხვ სიტყვასთან დაკავშირებით, მაგ., **ჩემ**-თვის, **შენ**-გან, **ჩვენ** მიერ, **თქვენ**-თვის; **შ** ეჩავო, **თქვე** ზარმაცებო და მისთ.

ფორმათა უქონლობის გამო, აღნიშნულ სიტყვებს ზოგ შემთხვევაში შეიძლება მაგივრობა გაუწიონ და ამგვარად ნაკლი შეუვსონ სათანადო კუთვნილებითმა ნაცვალსახელებმა, რომელთაც ფუძედ აღებული აქვთ უბრუნველ პირი ნაცვალსახელთა ნათ. ბრუნვისთვის ნაგულისხმევი «ფორმა» (რასაც გარჩევი მხოლოდ **ჩემ** გვიჩვენებს). ესენი ყველა თითქმის წესებრივად იბრუნვიან, როგორც ამას შესადარებლად მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს:

სახ.	ჩემ**ი**	შენ**ი**	ჩვენ**ი**	თქვენ**ი**
მოთ.	ჩემ**მა**	შენ**მა**	ჩვენ**მა**	თქვენ**მა**
მიც.	ჩემ**ს(ა)**	შენ**ს(ა)**	ჩვენ**ს(ა)**	თქვენ**ს(ა)**
ნათ.	ჩემ**ის(ა)**	შენ**ის(ა)**	ჩვენ**ის(ა)**	თქვენ**ის(ა)**
მოქ.	ჩემ**ით(ა)**	შენ**ით(ა)**	ჩვენ**ით(ა)**	თქვენ**ით(ა)**
ვით.	ჩემ**ად**	შენ**ად**	ჩვენ**ად**	თქვენ**ად**
წოდ.	ჩემ**ო**	———	ჩვენ**ო**	———

კუთვნილებითი (ბრუნვიანი) ნაცვალსახელები სათანადო პირის (უბრუნველ) ნაცვალსახელებს ნაკლს უვსებენ ან მაგივრობას უწევენ მოქმედებითსა დ ვითარებითში, და ზოგჯერ იქაც კი, სადაც პირის ნაცვალსახელებს თითქო ბრუნვის ფორმა მოეპოვებათ, როგორიცაა, ვთქვათ, ნათესაობითი; მაგ., „ჩ ე მ ი ს-თანა“ დღეს უკვე სწორედ ასეთ მაგივრობას გულისხმობს; ხოლო „ჩ ე მ-თან“, „შ ე ნ-თან“ და სხვ., ან კიდევ „ჩ ე მ-ზე“, „შ ე ნ-ზე“ და სხვ. ასეთსავ მაგივრობას გულისხმობს მიცემითსა და სადაობითში (უკანასკნელ მაგალითებში მიცემითის ფორმის ნიშან-კვალი წაშლილია ფონეტიკური წესის ზეგავლენით; უნდა გვქონოდა: ჩემ**ს**-თან, შენ**ს**-თან, ჩემ**ს**-ზე, შენ**ს**-ზე). ასეთივე მაგივრობა შეიძლება სახელობითშიც გვქონდეს: „მე რომ თ ქ ვ ე ნ ი ვიყო, იმა ერთი ლამაზად მივტყეპდი რუსული წკეპლითა“ (ჭავ., «გლეხთა განთავის. სცე

ნები»), „მე რომ თ ქ ვ ე ნ ი ვიყო, ამ სიცრუვისათვის ციმბირში დავაკარგვინებდი“ (იქვე).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. კუთვნილებითი შ ე ნ ი და თ ქ ვ ე ნ ი წოდებითს ვერ აწარმოებენ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ხელოვნურს, რუსული ენის ზეგავლენით გაკეთებულს „თქვენო აღმატებულებავ“ და მისთანა ფორმებს: „თქვენო მაღალკეთილშობილებავ“ (ყაზ., 272,22).

140. ჩვენებითი სახელები. ჩვენებით (ანუ მითითებით) ნაცვალსახელთაგან თავისებურებას ბრუნების დროს ოთხი ამჟღავნებს: **ეს, ეგ, ის, იგი.** როგორც ზემოთ აღვნიშნეთ (§ 50), ესენი მე-3 პირის ნაცვალსახელებია, მაგრამ ამასთანავე ჩვენებითიც: **ეს** გვიჩვენებს საგანს, რომელიც 1-ლ პირთან არის (ჩემთან, ჩვენთან); **ეგ** გვიჩვენებს საგანს, რომელიც მე-2 პირთან არის (შენთან, თქვენთან); **ის (იგი)** გვიჩვენებს საგანს, რომელიც მე-3 პირთან არის (მასთან, მათთან). მაშასადამე, ესენი ყველა მე-3 პირის ნაცვალსახელებია (ამ შემთხვევაში ისინი გვერდით უდგანან **მე** და **შენ** ნაცვალსახელებს), მაგრამ ამასთანავე ერთად ჩვენებითიც, თანაც ისეთი, რომ თვითეული მათგანი გვიჩვენებს, თუ რომელ პირთან არის საგანი: პირველთან **(ეს)**, მეორესთან **(ეგ)**, თუ მესამესთან **(ის, იგი)**.

ამათი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ესენი ორ სხვადასხვა ფუძეს გვიჩვენებენ ბრუნვათა ფორმების წარმოებისას; ესენია მ ო ნ ა ც ვ ლ ე ფუძეები: ერთი ფუძე სახელობითისთვის ორსავე რიცხვში და მეორე ფუძე დანარჩენი ბრუნვებისათვის აგრეთვე ორსავე რიცხვში. რადგანაც შეიძლება მხოლოდ იმას დაუძახო, ვინც ან რაც მეორე პირად გვაქვს დასახული, ესენი კი მესამეს აღნიშნავენ, ამიტომ წოდებითი ბრუნვის ფორმები მათ არც ერთს არ გააჩნია. დღევანდელ ქართულში „იგი“ სახელს გარდა, ყველას ჩამოკვეცილი აქვს ფუძის ბოლოკიდური ხმოვანი მხოლობითში, მაგრამ სრული სახე აღდგება **-ვე, -ც** ნაწილაკების დართვისას და აგრეთვე მრავლობითში. სახელობითში მათ ბრუნვის ნიშანი არცა ჰქონიათ ოდესმე და არც შეიძლებოდა დაჰკარგოდათ, ასე რომ აქ ბოლო-უკვეცელი ფუძე და სრული ფორმა სახელობითისა ერთი და იგივეა წარმოშობითაც: **იგი** და **ისი** სიტყვებში ბოლოკიდური **ი** ფუძისეულია და არა ბრუნვის ნიშანი **(ისი**-ც, **ისი**-ნ-ი).

მეორე ფუძეზე დაყრდნობილი ფორმები ამ ნაცვალსახელებისა ბრუნვათა წარმოების მიხედვით იმ ჯგუფს განეკუთვნება სახელებისას, რომელთაც ფუძის ბოლოს კვეცადი **ა** უზისთ: **ამა, მაგა, მა (იმა)**, იმ დიდი განსხვავებით ოღონდ, რომ აქ მოთხრობითის ნიშანია **ნ**.

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი

	1	2	3	
სახ.	ეს(ე)	ეგ(ე)	იგი ‖ ის(ი)	
მოთ.	ამა-**ნ**	მაგა-**ნ**	მა-**ნ**	იმა-**ნ**
მიც.	ამა-**ს**	მაგა-**ს**	მა-**ს**	იმა-**ს**
ნათ.	ამ-**ის**	მაგ-**ის**	მ-**ის**	იმ-**ის**
მოქ.	ამ-**ით**	მაგ-**ით**	მ-**ით**	იმ-**ით**
ვით.	ამა-**დ**	მაგა-**დ**	—	იმა-**დ**

მრავლობითი

	1	2	3	
სახ.	ესე-ნ-ი	ეგე-ნ-ი	იგი-ნ-ი ‖ ისი-ნ-ი	
მოთ. მიც. ნათ.	ამა-თ	მაგა-თ	მა-თ	იმა-თ
მოქ.	—	—	—	—
ვით.	—	—	—	—

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. მესამე პირის ჩვენებითი ნაცვალსახელი მოთ.-ის ფორმით (მ ა ნ), ნაწევრად გამოყენებული, ჯერ კიდევ ძველ ქართულში მოთხრობითის ბრუნვის ნიშნად იქცა და შემდეგ თანდათანობით შეიკვეცა: **მან→მა→მ.** სახელობითის ნიშანი კი **იგი**-ს შეკვეცილი სახეა, ფუძესთან შეზრდილი **(ი[გი]→ი).**

ჩვენებითი ნაცვალსახელები მრავლობითში უმთავრესად II წარმოების ფორმებს გვიჩვენებენ, მაგრამ ამათ გვერდით იხმარება აგრეთვე I მრავლობითის მიხედვით ნაწარმოები ფორმებიც: ესე-ებ-ი, ეგე-ებ-ი, ისე-ებ-ი (*ისი-ებ'ის ნაცვლად); ამა-ებ-მა, მაგა-ებ-მა, იმა-ებ-მა (ასიმილაციის ძალით: ამეებმა, მაგეებმა, იმეებმა) და სხვ., რომლებიც ერთად-ერთი ფორმებია მოქმედებითსა და ვითარებითში, სადაც II მრავლობით ფორმები აკლია.

მსაზღვრელად ხმარების დროს ჩვენებითი ნაცვალსახელები **ეს, ეგ** და **იგი (ის)** ორ-ორ ფორმას გვაძლევენ, რომელთაც თავ-თავისი ფუძე აქვთ: **ეს—ამ, ეგ—მაგ, იგი (ის)—იმ.** ამ წყვილთაგან პირველი იხმარება სახელობითში, მეორე კი — დანარჩენ ბრუნვებში. განსხვავება რიცხვის მიხედვით არ არის.

მხოლობითი

სახ.	**ეს** კაც-**ი**	**ეგ** კაც-**ი**	**ის** კაც-**ი**
მოთ.	**ამ** კაც-**მა**	**მაგ** კაც-**მა**	**იმ** კაც-**მა**
მიც.	„ კაც-**ს**	„ კაც-**ს**	„ კაც-**ს**
ნათ.	„ კაც-**ის**	„ კაც-**ის**	„ კაც-**ის**
მოქ.	„ კაც-**ით**	„ კაც-**ით**	„ კაც-**ით**
ვით.	„ კაც-**ად**	„ კაც-**ად**	„ კაც-**ად**

მრავლობითი

სახ.	**ეს** კაც-ებ-**ი**	**ეგ** კაც-ებ-**ი**	**ის** კაც-ებ-**ი**
მოთ.	**ამ** კაც-ებ-**მა**	**მაგ** კაც-ებ-**მა**	**იმ** კაც-ებ-**მა**
მიც.	„ კაც-ებ-**ს**	„ კაც-ებ-**ს**	„ კაც-ებ-**ს**
ნათ.	„ კაც-ებ-**ის**	„ კაც-ებ-**ის**	„ კაც-ებ-**ის**
მოქ.	„ კაც-ებ-**ით**	„ კაც-ებ-**ით**	„ კაც-ებ-**ით**
ვით.	„ კაც-ებ-**ად**	„ კაც-ებ-**ად**	„ კაც-ებ-**ად**

141. ვინ. კითხვითი ნაცვალსახელთაგან თავისებურია **ვინ** და **რა.** ამათგან მეტ თავისებურებას **ვინ** იჩენს.

ვინ ნაცვალსახელის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ სულ ორ ფორმას გვიჩვენებს ოთხი ბრუნვისათვის, რომლებიც მას მოეპოვება: ესენია

ვინ (სახ., მოთ.) და **ვის(ა)** (მიც., ნათ.). ამ ფორმების ერთმანეთთან შეპირისპირებით ბრუნვის ნიშნებად **-ნ** და **-ს** გამოდის, ხოლო ფუძედ **ვი** (მაშასადამე, ფუძეს ბოლოში მოუდის ხმოვანი **ი**). სახელობითსა და მოთხრობითში ბრუნვის ნიშნად წარმოდგენილი **ნ**, როგორც ეს პირველად ჰ. შ უ ხ ა რ თ მ ა აღნიშნა, წარმოშობით მარტოოდენ მოთხრობითისაა და სახელობითში შემდეგ არის გადასული. რაც შეეხება ნათესაობითისა და მიცემითის ფორმათა ურთიერთობას, აქ ნათესაობითში **-ის** დაბოლოებისაგან, წინამავალი მსგავსი ხმოვნის გავლენით, მარტოოდენ **-ს** დაგვრჩა და ამიტომ ნათესაობითის ფორმა მიცემითისას დაემსგავსა. ნათესაობითის მაგალითებია: **ვის** მიერ, **ვის**-გან, **ვის**-თვის. მოქმედებითი, ვითარებითი და წოდებითი აკლია. ამათგან მოქმედებითსა და ვითარებითში ნაკლი შეიძლება შევსებულ იქნეს სათანადო კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფორმით, რომელიც თითქმის წესებრივ ფორმებს გვიჩვენებს (§ 148) და შედარების მიზნით პარალელურად აქვეა მოყვანილი.

	კითხვ.	კითხვ.-კუთვნ.
სახ.	ვი-**ნ**	ვის-**ი**
მოთ.	ვი-**ნ**	ვის-**მა**
მიც.	ვი-**ს**(ა)	ვისა-**ს**
ნათ.	ვი-**ს**(ა)	—
მოქ.	—	ვის-**ით**(ა)
ვით.	—	ვის-**ად**

ვ ი ნ ნაცვალსახელს მრავლ. რიცხვი ჩვეულებრივ არა აქვს, მაგრამ ცდა კი არის მისი გაჩენისა: „ყარაულებად ვ ი ნ ე ბ ი არიან“-ო, ვკითხულობთ ყაზბეგის «მამის მკვლელში». სიმრავლის გამოსახატავად ჩვეულებრივ „ვინდავინ“ იხმარება: „ვინდავინ იყო კრებაზე?“.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. რთული **არავინ** და **ნურავინ** (ან **ნუვინ)** იმგვარადვე იბრუნვის, როგორც მარტივი **ვინ.**

142. რა. ამ ნაცვალსახელს მხოლობითში ბოლო ეკვეცება, მრავლობითში კი — არა, და ეს არის მთელი მისი თავისებურება: რ-ის(ა), რ-ით(ა), მაგრამ: რა-ებ-ი.

რთული არარა და **ნურა** იმავე წესს მისდევს, რომელსაც მარტივი **რა.** ოღონდ **არარა** შეიძლება შემოკლდეს შუა ხმოვნის ამოღებით და **არა-რა**'საგან **არა** მივიღოთ (სადაც ორ ერთნაირ თანხმოვანთაგან ერთია დარჩენილი). ეს **არა** ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ი ა, მასში **რა** შედის და ორი ბრუნვის ფორმა აქვს: სახელობითისა და მიცემითისა: არა, არას; ის უნდა გარჩეულ იქნეს უარყოფის დროს ხმარებულის **არა** ნ ა წ ი ლ ა კ ი ს ა გ ა ნ. „ა რ ა ს ვერჩი“, „ა რ ა ს ვაკეთებ“, „ა რ ა ს ვიტყვი“ და მისთანა შემთხვევებში **არა** არის უარყოფითი ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ი მიცემითი ბრუნვის ფორმით (და არა უარყოფითი ნ ა წ ი ლ ა კ ი). **არას**=**არ-რას**=**არა-რას**=არა-ფერს. უარყოფითი ნაცვალსახელისა და უარყოფითი ნაწილაკის **არა**'ში გაერთიანებამ და ერთმანეთში არევამ გამოიწვია **ა(რ)-რა**-ს ნაცვლად **არა-ფერ** ის გაბატონება. **არ(ა)-რა** უფრო იქ დარჩა, სადაც მისი შემადგენელი ნაწილები ერთმანეთისაგან ზმნით არის გათიშული: მაგ., „იყო და **არა** იყო **რა**“, „მაგისი **არა** მესმის **რა**“, „შინიდგან **არა** მიმაქვს **რა**, **არა** გამიყიდნია **რა** და **არ**-ც შემიჭამია **რა**“ (ყაზ., «მამის მკვლელი»).

143. ზოგადი შენიშვნა ნაწილაკიან სახელთა შესახებ. ის სახელები, რომელთაც ბოლოს დაერთვის ნაწილაკები **-ვე, -მე, -ღა -ც(ა)**, თავისებურებას იმ მხრით იჩენენ, რომ საზოგადოდ ორ-ორ ფორმას გვიჩვენებენ ზოგიერთ ბრუნვაში. ამ წყვილ-წყვილ ფორმათაგან ერთია ძველი წარმოებისა, მეორე — ახლისა.

ძ ვ ე ლ ი წ ა რ მ ო ე ბ ა იმაში მდგომარეობს, რომ ეს ნაწილაკები სიტყვას მხოლოდ ბრუნვის ნიშნების შემდეგ დაერთვის, ასე რომ სახელი სხვადასხვა ბრუნვაში ისე იცვლება, როგორც შეიცვლებოდა, რომ ნაწილაკი სრულებით არ ჰქონოდა დართული.

ა ხ ა ლ ი წ ა რ მ ო ე ბ ი ს მიხედვით კი ეს ნაწილაკები შ ე ზ რ დ ი ლ ი ა ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ ი ს ფორმასთან და ამ სახით ახალი ფუძეა შექმნილი.

ნაწილაკის შეზრდისას მიღებული ახალი ფუძე ბოლო-უკვეცელთა ჯგუფს ეკუთვნის: ბოლოკიდური ხმოვნები **ე** (**ვე**'ში და **მე**'ში) და **ა** (**ღა**'ში) შენახულია სახ.-სად.-მოქმედებითში, **ცა** ნაწილაკის **ა** კი შეიძლება შეიკვეცოს (სახელობითშიც კი!), შეიძლება არაც. ზოგჯერ ძველი და ახალი წარმოება ერთმანეთში არეული და მაშინ შეიძლება რომელსამე ბრუნვაში მესამე ფორმაც გვქონდეს, ნარევი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. რომ უფრო ნათელი იყოს საქმის ვითარება, შეუზრდელი ნაწილაკი დეფისითაა გამოყოფილი.

144. ვე ნაწილაკიანი სახელები. **ვე** ნაწილაკი ყოველგვარ სახელს ერთვის, მაგრამ თავისებურებას მხოლოდ ნაცვალსახელებთან და რიცხვითებთან იჩენს. მაგალითები:

	ძ ვ ე ლ ი (ნაწ.-შეუზრდ.)	ა ხ ა ლ ი (ნაწ.-შეზრდ.)	ნ ა რ ე ვ ი
სახ.	იგი-ვე	იგივე	—
მოთ.	(ი)მან-ვე	—	იმავე**მ**
მიც.	(ი)მას-ვე	იგივე**ს**	იმავე**ს**
ნათ.	(ი)მის-ვე	იგივე**ს**	იმავე**ს**
მოქ.	(ი)მით-ვე	იგივე**თი**	იმავე**თი**
ვით.	იმად-ვე	იგივე**დ**	იმავე**დ**

	მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი (ნაწ.-შეუზრდ.)	(ნაწ.-შეზრდ.)	მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი (ნაწ.-შეუზრდ.)	(ნარევი)
სახ.	**ორი**-ვე	ორივე	**ორნი**-ვე	ორთავე
მოთ.	ორ**მა**-ვე	ორივე**მ**	ორთა-ვე	ორთავე**მ**
მიც.	ორ**სა**-ვე	ორივე**ს**	ორთა-ვე	ორთავე**ს**
ნათ.	ორ**ისა**-ვე	ორივე**ს**	ორთა-ვე	ორთავე**ს**
მოქ.	ორ**ით**-ვე	ორივე**თი**	—	—
ვით.	ორ**ად**-ვე	ორივე**დ**	—	—

ორივე'ს მსგავსად ნარევ ფორმას მრავლობითში გვაძლევს **სამივე**. ასე იბრუნვის აგრეთვე ზოგიერთი ნაცვალსახელი, როგორიცაა, მაგ., ჩემივე, შენივე, მისივე, ჩვენივე, თქვენივე, მათივე, სხვისივე, ყოველივე და რიცხვით სახელთაგან: ათივე, ოცივე, ასივე და მისთ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. გვხვდება აგრეთვე მეტად ნარევი ფორმა: ორთავენი, სამთავენი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. არსებით და ზედსართავ სახელებთან **ვე** ნაწილაკი შეუზრდელია: კაცი-ვე, კაცმა-ვე, კაცსა-ვე და მისთ.; მაღალი-ვე, მაღალმა-ვე, მაღალსა-ვე და სხვ.

145. მე ნაწილაკიანი სახელები. მე ნაწილაკიან სახელთაგან ყველაზე მეტ თავისებურებას **ვინმე** და **რამე (რაიმე)** იჩენენ, რომლებიც მოთხრობითში მარტოოდენ ახალი წარმოების ფორმებს გვაძლევენ.

	(ნაწილაკ-შეუზრდ.)	(ნაწილაკ-შეზრდ.)	(ნარევი)
სახ.	ვინმე	ვინმე	—
მოთ.	—	ვინმე**მ**	—
მიც.	ვის-მე	ვინმე**ს**	**ვისმეს**
ნათ.	ვის(....)-მე	ვინმე**ს**	—
მოქ.	—	ვინმე**თი**	—
ვით.	—	ვინმე**დ**	—

	(ნაწილაკ-შეუზრდ.)	(ნაწილაკ-შეზრდ.)		(ნარევი)
სახ.	რა-მე (რაი-მე)	რამე	(რაიმე)	—
მოთ.	—	რამე**მ**	(რაიმე**მ**)	—
მიც.	რას-მე	რამე**ს**	(რაიმე**ს**)	**რასმეს**
ნათ.	რის-(....)-მე	რამე**ს**	(რაიმე**ს**)	—
		რამ**ის**		—
მოქ.	რით-მე	რამე**თი**	(რაიმე**თი**)	—
		რამ**ით**		—
ვით.	რად-მე	რამე**დ**	(რაიმე**დ**)	—

შეუზრდელი **მე** ნაწილაკის მაგალითი: „და კიდევ რამდენმამე იმის დაახლოვებულმა პირმა“ (ყაზ., 358,15).

აქ საჭიროა შემოვიტანოთ რამდენიმე შენიშვნა:

ა) „ვინმე“ სიტყვას ძველებური წესით (ნაწილაკის შეუზრდელად) მოთხრობითშიც იგივე ფორმა უნდა მოეცა, რაც სახელობითში, ამიტომ გარჩევა აღარ იქნებოდა ორ ბრუნვას შორის და ამიტომ მოთხრობითში ახალი წარმოების ფორმა გაბატონდა.

ბ) რაც შეეხება ახალი წარმოებისვე ფორმის გაბატონებას „რამე“ სიტყვის მოთხრობითში, აქაც იგივე ამბავია არსებითად, იმიტომ რომ შეუზრდელი სახით უნდა გვქონოდა **რამ-მე,** სადაც ორი ერთნაირი თანხმოვნის შეხვედრისას ერთი დაიკარგებოდა და **რამე** დაგვრჩებოდა, ე. ი. მივიღებდით ისეთსავე ფორმას, რომელიც სახელობითშიც გვაქვს. ამას უნდა გამოეწვია განსხვავების საჭიროება და ახალი წარმოება აქაც გაბატონდა.

გ) ნათესაობითის ფორმები დამოუკიდებლივ არ იხმარება, არამედ რომელიმე თანდებულის დართვით. ამ შემთხვევაში **მე** სულ ბოლოს დაისმის: ვის-**თვის**-მე, რის-**გან**-მე და მისთ.

დ) **რა** ფუძემ **მე** ნაწილაკის დართვისას სახელობითში შეიძლება ბრუნვის

ნიშანიც შეინახოს და ამგვარად პარალელური ფორმა მივიღოთ: **რამე || რაიმე.** ეს ნიშანი ყველგან გაჰყვება ნაწილაკის შეზრდისას.

ე) „რამე“ სიტყვამ, ნაწილაკის შეზრდისას ბოლოკიდური **ე** შეიძლება შეიკვეცოს (რამ**ის**) ან არა (რამე**ს**). სხვა სიტყვებთან **მე** ნაწილაკი ბოლოკიდურ ე-ს არ იკვეცს.

ვ) ნარევი ფორმები (ვისმეს, რასმეს) ლიტერატურაში იშვიათად გვხვდება: „წაიღებდნენ რასმეს“ (ქავ., 424,12).

ზ) „ვინმე“-სა და „რამე“-ს მრავლობითი რიცხვის ფორმები შეზრდილი ფუძისაგან აქვს ნაწარმოები **ებ** სუფიქსის დართვით, განსაკუთრებით, როცა ფუძე გაორკეცებულია: ვინმე-ვინმეები, რამე-რამეები.

146. ᲦᲐ ᲜᲐᲬᲘᲚᲐᲙᲘᲐᲜᲘ ᲜᲐᲪᲕᲐᲚᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘ. ღა ნაწილაკის დართვა არსებითთან, ზედსართავთან და რიცხვითთან არავითარ თავისებურებას არ ქმნის, რადგანაც ეს ნაწილაკი მათთან შეუზრდელია და ბრუნვის ფორმათა გარეშე დგას: ქალი-ღა, შვილი-ღა, ხუთი-ღა; ქალმა-ღა, შვილმა-ღა, ხუთმა-ღა და მისთ. თავისებურება მხოლოდ იმ შემთხვევაშია წარმოშობილი, თუ ნაწილაკი შეზრდილია სახელის სახელობითის ფორმასთან და ამგვარად პარალელური ფორმაა წარმომდგარი; ამას კი ნაცვალსახელებთან აქვს ადგილი: **ვი(ნ)-ღა, რა-ღა, როგორი-ღა, რომელი-ღა.** განვიხილოთ ამათგან **ვი-ღა** და **რა-ღა.** პირველ მათგანში ნაწილაკის შეზრდისას **ნ** შეიძლება ამოღებულ იქნეს კიდეც.

	(შეუზრდ.)	(შეზრდ.)	(შეუზრდ.)	(შეზრდ.)
სახ.	ვი(ნ)-ღა	ვიღა	რა-ღა	რაღა
მოთ.	—	ვიღა**მ**	რა**მ**-ღა	რაღა**მ**
მიც.	ვი**ს**-ღა	ვიღა**ს**	რა**ს**-ღა	რაღა**ს**
ნათ.	ვი**ს**-(....)-ღა	ვიღა**ს**	რი**ს**-(....)-ღა	რაღა**ს**
მოქ.	—	ვიღა**თი**	რი**თ**-ღა	რაღა**თი**
ვით.	—	ვიღა**დ**	რა**დ**-ღა	რაღა**დ**

„ყურს ვიღა უგდებს ამ დროსა?“ (ვაჟა, I, 215, 18).

შენიშვნა 1. მოთხრობითში მოსალოდნელი ნაწილაკ-შეუზრდელი **ვინ-ღა** აღარ იხმარება.

შენიშვნა 2. ნათეს. და მოქმედებითში **რაღა** შერეული წარმოების ფორმასაც გვაძლევს: **რიღას** (ნათ.), **რიღათი** (მოქ.). შერეული ფორმის პირველ ნაწილად ნათ.-ში იგულისხმება **რის,** მოქ.-ში კი **რით,** რომელთაც ბოლოკიდური თანხმოვნები **(ს, თ)** ჩამოცლილი აქვთ.

147. ᲪᲐ ᲜᲐᲬᲘᲚᲐᲙᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘ. თუ **ცა** ნაწილაკი მარტო დაერთო სახელს, არ შეეზრდება მას, შეიძლება მხოლოდ ბოლოკიდური ხმოვანი დაკარგოს: ვინ-ც(ა), ვისა-ც, ვის-**გან**-ა-ც; რა-ც(ა), რამა-ც, რასა-ც, რადა-ც; რომელი-ც, რომელმა-ც, რომელსა-ც და მისთ.. სამაგიეროდ ეს **ც** სახელისაგან მოითხოვს ხმოვნით გათავებულ ფორმებს: დედამა-ც, კლდემა-ც, გოგომა-ც; დედასა-ც, კლდესა-ც, გოგოსა-ც და მისთ.. თავისებურებას კი იგი მაშინ ქმნის, როცა ნაცვალსახელზეა დართული **-ღა** ნაწილაკთან ერთად **(ღა-ცა): ვიღაც(ა), რაღაც(ა), როგორიღაც, რამდენიღაც** და მისთ. ამ შემთხვევაში ბრუნვის ნიშანი შეიძლება სიტყვას ჰქონდეს: ა) ნაწილაკამდე; ბ) პირველი ნაწილაკის შემდეგ;

გ) სულ ბოლოს, ე. ი. შეიძლება, რომ ა) ორივე ნაწილაკი შეუზრდელი იყოს, ბ) შეზრდილი იყოს პირველი მათგანი, გ) ორივე შეზრდილი იყოს. ამათგან პირველი შემთხვევა იშვიათადღა გვხვდება, მეორეც თანდათან გამოდის ხმარებიდან, მესამე კი ჩვეულებრივია. ცა ნაწილაკის ბოლოკიდური ა შეიძლება შეიკვეცოს და შეიძლება არა.

სახ.	ვი-ღაც(ა)	ვიღა-ც	**ვიღაცა**
მოთ.	—	ვიღამა-ც	**ვიღაცამ**
მიც.	**ვის-ღაც**	ვიღასა-ც	**ვიღაცას**
ნათ.	**ვის-(გან)-ღაც**	ვიღას(გან-ა)-ც	**ვიღაცას (-ის)**
მოქ.	—	ვიღათი-ც	**ვიღაცათი (-ით)**
ვით.	—	ვიღადა-ც	**ვიღაცად**
სახ.	რა-ღაც(ა)	რაღა-ც(ა)	**რაღაცა**
მოთ.	—	რაღამა-ც	**რაღაცამ**
მიც.	**რას-ღაც**	რაღასა-ც	**რაღაცას**
ნათ.	**რის-(გან)-ღაც**	რაღას(თვის-ა)-ც	**რაღაცას (-ის)**
მოქ.	**რით-ღაც**	რაღათი-ც	**რაღაცათი (-ით)**
ვით.	**რად-ღაც**	რაღადა-ც	**რაღაცად**

მრავლობით რიცხვში **რაღაცა** და **ვიღაცა** ორ-ორ ფორმას გვაძლევს იმისდა მიხედვით, შეზრდილია **ცა** ნაწილაკი, თუ არა: რაღაებიც, ვიღაებიც ან: რაღაცაები, ვიღაცაები.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. შეიძლება აგრეთვე, რომ ნაწილაკები შექცეულად დაერთოს: ჯერ -ც ა და მერმე -ღ ა: ვ ი ნ ც ა ღ ა, რ ა ც ა ღ ა (აქედან შუა ხმოვნის ამოღებით: ვ ი ნ ც ღ ა→ვ ი ნ ც ხ ა; რაცაღა: რაცღა→რაცხა). მაგრამ ესენი სალიტერატურო ენაში არ იხმარება („მომცა ფაცხა და შით რაცხა!“ გურული თქმაა).

148. გენიტიური სახელები. ქართულში მოიპოვება სახელები, რომლეიც თავისებურებას იმ მხრივ იჩენენ, რომ ზოგ ბრუნვაში თანხმოვნიანთა გუფს ეკუთვნიან, ზოგში კი — ხმოვნიანებისას. ესაა ის სახელები, რომელაც ხელმეორედ ბრუნებისას ფუძედ გამოყენებული აქვთ ნათესაობითი ბრუნის ფორმა ბოლო-უკვეცელი სახელებისა, როგორიცაა: ელგუჯა, კოტე, წყაო, გიგო, ყრუ, ძუძუ, დუტუ და მისთ.. თავისებურება იმაში მდგომარეობს, ომ ზოგი ფორმისთვის ფუძედ აღებული აქვთ თანხმოვნით დაბოლოებული ორმა ნათესაობითისა (მაგ., **წყაროს**), ზოგისთვის კი — ხმოვნით დაბოლოეული (მაგ., **წყაროსა**). თუ ფუძეს თანხმოვანი აქვს ბოლოში, ასეთს მაშინ რუნვის ნიშანიც ექნება სახელობითში: ელგუჯას-**ი**, პეტრეს-**ი**, გიგოს-**ი**, ხბოს-**ი**, ყაროს-**ი**, ყრუს-**ი**, ცრუს-**ი** და მისთ. (შდრ. §§ 81, 99, 100, 130, 131, 141).

	a (თანხმოვ.)	b (ხმოვ.)	a (თანხმოვ.)	b (ხმოვ.)
სახ.	**ელგუჯას-ი**	—	**ვანოს-ი**	—
მოთ.	—	**ელგუჯასა-მ**	—	**ვანოსა-მ**
მიც.	—	**ელგუჯასა-ს**	—	**ვანოსა-ს**
მოქ.	**ელგუჯას-ით**		**ვანოს-ით**	
ვით.	**ელგუჯას-ად**		**ვანოს-ად**	

ამგვარსავე სურათს გვიჩვენებს ნაგენიტივარი კუთვნილებითი ნაცვალსახე ლები: „მისი“, „თავისი“ („თვისი“), „ვისი“ და „სხვისი“:

	(თანხმოვ.)	(ხმოვ.)	(თანხმოვ.)	(ხმოვ.)	(თანხმ.)	(ხმოვ.)
სახ.	**მის-ი**	—	**თავის-ი**	—	**ვის-ი**	—
მოთ.	**მის-მა**	—	**თავის-მა**	—	**ვის-მა**	—
მიც.	—	**მისა-ს**	—	**თავისა-ს**	—	**ვისა-ს**
მოქ.	**მის-ით**		**თავის-ით**		**ვის-ით**	
ვით.	**მის-ად**		**თავის-ად**		**ვის-ად**	

კუთვნილებითი ნაცვალსახელები **ჩემი, შენი, ჩვენი, თქვენი** ჩვეულებრი თანხმოვნიანთა ჯგუფში არიან, მაგრამ განმარტოებით ხმარებისას მიცემით ბრუნვაში, ზემოთ მოყვანილ კუთვნილებით ნაცვალსახელთა ანალოგიით, უკვ წესებრივად ნაწარმოებ ფორმაზე ბრუნვის ნიშანს ხელახლად დაირთავენ კი დევ და ამგვარად ორმაგ წარმოებას გვიჩვენებენ: ჩემ**სა-ს,** შენ**სა-ს,** ჩვენ**სა-ს** თქვენ**სა-ს;** ასეთი მაგალითი გვაქვს ამ ფრაზაში: „შ ე ნ ს ა ს არ წაგართმევ მაგრამ ჩ ე მ ს ა ს ა ც არ გაგატან“. სხვა მაგალითი: „ბუნებას შენ თითქო შ ე ნ ს ა ს აგებინებ და იგი თ ა ვ ი ს ა ს შენ გაგებინებს“ (ჭავ., 253,33). [შდრ „ჩ ვ ე ნ ს ა წამოდით“, ყაზ., 343,35; „მასპინძელი არა ჰყავსთ და ჩ ვ ე ნ ს ა კ მოდიან“ (ყაზ., 344, 6—7); „შ ე ნ ს ა მოველ და შევამკობ შენსა ტანადობასა“ (ხალხური ლექსი: აკაკის თვიური კრებული, 1898, IX, მაისი, მე-2 განყოფ. გვ. 18)]

III. ნარმოქმნა

ზოგადი

149. წარმოქმნილ ფორმათა რაობა. როგორც ზემოთ არის აღნიშნული (§ 39), სიტყვას ორგვარი ცვალება მოუდის: ერთია მ ი მ ო ხ რ ა (ფლექსია), მეორე კი—წ ა რ მ ო ქ მ ნ ა (დერივაცია). სახელის მიმოხრას ბრუნება ეწოდება. სახელის ბრუნების დროს მიღებული ფორმები ერთია ლექსიკურად და განსხვავებულია გრამატიკულად (§ 51), წარმოქმნით მიღებული ფორმები კი ერთია გრამატიკულად და განსხვავებულია ლექსიკურად. ეს შემდეგს ნიშნავს: დერივაციის გზით სახელის ფუძისაგან მიღებული ფორმა ისევ ფუძეა, მაგრამ სხვა სახელისა, რომელსაც შინაარსიც სხვა ახლავს.

150. ძირეული და წარმოქმნილი. სახელი, რომლის ფუძისაგანაც სხვა სახელია ნაწარმოები, არის ძ ი რ ე უ ლ ი, ხოლო მისგან სხვა შინაარსით გაკეთებული სახელი — წ ა რ მ ო ქ მ ნ ი ლ ი. წარმოქმნილი სახელი სხვა სახელია: მას სხვა შინაარსი აქვს, ვიდრე იმ სახელს, რომლის ფუძისაგანაც ის არის ნაწარმოები. ავიღოთ მაგალითი: ძირეულ სახელად ვიგულოთ „მგელი“ და წარმოვქმნათ მისგან ახალი სახელები: მგლ-ებ-ი, მგლ-ობა, მგლ-ური, მგლ-იან-ი, უ-მგლ-ო, სა-მგლ-ე.

151. ფორმობლივი ნიშნები წარმოქმნილი სახელისა. წარმოქმნილ სახელს გარკვეული ნიშნები მოეპოვება ფორმობლივი ხასიათისა:

1. მას აქვს ფუძე, რომელიც მეტია ძირეულისაზე და განსხვავდება მისგან მნიშვნელობით. ფუძეთა შედარება გამოჰყოფს წარმოქმნილის მაწარმოებელს.

2. წარმოქმნილი სახელი ი მ ე ო რ ე ბ ს ძირეულის ფორმა-ცვალებას ბრუნვათა მიხედვით. ეს გამეორება მას უნდა გასდევდეს, თუ ყველა ბრუნვაში არა, ბრუნვათა უმეტესობაში მაინც.

მაშასადამე, საკუთარი ფუძის მაწარმოებლის ქონება და ბრუნვის ფორმათა გამეორება—აი ფორმობლივი ნიშნები დერივაციული სახელისა. მაგალითი:

	ძირეული	წ ა რ	მ ო ქ მ	ნ ი ლ ი	
სახ.	მგელ-**ი**	მგლ-**ებ**-ი	მგლ-**იან-ი**	მგლ-**ობა**	**სა**-მგლ-**ე**
მოთ.	მგელ-**მა**	მგლ-**ებ**-მა	მგლ-**იან-მა**	მგლ-**ობა**-მ	**სა**-მგლ-**ე**-მ
მიც.	მგელ-**ს**	მგლ-**ებ**-ს	მგლ-**იან-ს**	მგლ-**ობა-ს**	**სა**-მგლ-**ე**-ს
ნათ.	მგლ-**ის**	მგლ-**ებ**-ის	მგლ-**იან**-ის	მგლ-**ობ**-ის	**სა**-მგლ-ის
მოქ.	მგლ-**ით**	მგლ-**ებ**-ით	მგლ-**იან**-ით	მგლ-**ობ**-ით	**სა**-მგლ-ით
ვით.	მგლ-**ად**	მგლ-**ებ**-ად	მგლ-**იან**-ად	მგლ-**ობა**-დ	**სა**-მგლ-**ე**-დ
წოდ.	მგელ-**ო**	მგლ-**ებ**-ო	მგლ-**იან**-ო	მგლ-**ობა**-ვ	**სა**-მგლ-**ე**-ვ

შედარება ძირეულსა და წარმოქმნილებს შორის გვარწმუნებს, რომ თვითეულ წარმოქმნილს თავ-თავისი მაწარმოებელი აქვს. მოყვანილ მაგალითში ეს მაწარმოებლებია: **ებ**, **იან**, **ობა**, **სა—ე**. მაგრამ მაწარმოებლები სხვაც ბევრია. ძირეულის ფუძეზე დართვის ადგილის მიხედვით მაწარმოებელი შეიძლება იყოს: პრეფიქსი, სუფიქსი ან ორივე ერთად — პრეფიქს-სუფიქსი.

152. განსხვავება ძირეულსა და წარმოქმნილს შორის. გრამატიკული ერთობა ძირეულსა და წარმოქმნილს შორის (§ 149) გარკვეულ ფარგლებშია ჩაყენებული: მსგავსებას ისინი იმ მხრივ გვიჩვენებენ, რომ ერთნაირი ფორმა-ცვალება მოუდისთ, — ორნივე იბრუნვიან. ეს კი ნიშნავს, რომ მათ წინადადებაში, სხვა სიტყვებთან შეწყობისას, ფუნქციაც შეიძლება ერთნაირი ჰქონდეთ.

მიუხედავად ასეთი მსგავსებისა, უნდა აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი განსხვავებაც: წარმოქმნილი სახელები უმეტესად სხვა მეტყველების ნაწილს განეკუთვნებიან, ვიდრე მათ-მათი ძირეულები: უფრო ხშირად არსებითისაგან ზედსართავია ნაწარმოები და ზედსართავისაგან — არსებითი: **წეს**-ი: წეს-იერ-ი, უ-წეს-ო (უ-წეს-ურ-ი), **მგელ-ი**: მგლ-იან-ი, უ-მგლ-ო, მგლ-ურ-ი, სა-მგლ-ე; **გულ**-ი: გულ-იან-ი, გულ-ოვან-ი, უ-გულ-ო, სა-გულ-ე; **ტყე**: ტყ-იან-ი, უ-ტყე-ო, სა-ტყე-ო და სხვ.; **ყვითელ**-ი: სი-ყვითლ-ე; **შავ**-ი: სი-შავ-ე და სხვ.

გვაქვს, რა თქმა უნდა, არსებითისაგან არსებითიც (**წიგნ**-ი: წიგნ-აკ-ი, **ბუჩქ**-ი: ბუჩქ-ნარ-ი; **მგელ**-ი: მგლ-ებ-ი; **მხეც**-ი: მხეც-ობა; **სვან**-ი: სვან-ეთ-ი და მისთ.), ან კიდევ ზედსართავისაგან ზედსართავი (**ყვითელ**-ი: უ-ყვითლ-ეს-ი, მო-ყვითალ-ო და მისთ.) და რიცხვითისაგან რიცხვითი (**ხუთ**-ი: მეხუთე), მაგრამ წარმოქმნილ სახელთა უმეტესობა, მეტყველების ნაწილთა თვალსაზრისით, განსხვავებულია თავ-თავისი ძირეულისაგან.

ჩვეულებრივი მოვლენაა, რომ არსებითისაგან ზედსართავი წარმოვქმნათ და ამისგან კიდევ — ახალი არსებითი: **ძალ**-ი: ძლ-იერ-ი: ძლიერ-ება; **ხავს**-ი: ხავს-იან-ი: ხავსიან-ობა; **გულ**-ი: გულ-ად-ი: გულად-ობა და მისთ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. გამონაკლისად გვეჩვენება ისეთი წარმოების ფორმები, როგორიცაა: საუკეთესო, საუცხოო, სასწრაფო, საჩქარო. ამ შემთხვევაში

ძირეულ ზედსართავთან ერთად იგულისხმება არსებითიც ან საწყისი: საუცხოო=უცხო კაცისთვის დანიშნული (აქედან შემდეგ: ძალიან კარგი), სასწრაფო=სწრაფი შესრულებისათვის განკუთვნილი და მისთ.

153. ბრუნვის ფორმა ფუძედ. ბრუნვის ფორმა შეიძლება გამოყენებულ იქნეს წარმოქმნილი სახელის ფუძედ. ჩვეულებრივ ასეთებია: მოქმედებითისა და ვითარებითის ფორმები. **ად** და **ით** უმთავრესად და უპირატესად საბრუნებელი აფიქსებია, მაგრამ ისინი ზოგჯერ წარმოსაქმნელადაც არიან გამოყენებული; მაგალითები:

	ძირეული	წარმოქმნილი	ძირეული	წარმოქმნილი
სახ.	გულ-ი	გულ-**ად**-ი	შემთხვევა	შემთხვევ-**ით**-ი
მოთ.	გულ-მა	გულ-**ად**-მა	შემთხვევა-მ	შემთხვევ-**ით**-მა
მიც.	გულ-ს	გულ-**ად**-ს	შემთხვევა-ს	შემთხვევ-**ით**-ს
ნათ.	გულ-ის	გულ-**ად**-ის	შემთხვევ-ის	შემთხვევ-**ით**-ის
მოქ.	გულ-ით	გულ-**ად**-ით	შემთხვევ-**ით**	შემთხვევ-**ით**-ით
ვით.	გულ-**ად**	გულ-**ად**-ად	შემთხვევა-დ	შემთხვევ-**ით**-ად
წოდ.	გულ-ო	გულ-**ად**-ო	შემთხვევა-ვ	შემთხვევ-**ით**-ო

რომ „გულადი“ და „შემთხვევითი“ წარმოქმნილი სახელებია (ე. ი. დერივაციულად მიღებული ფორმებია), ამას ადასტურებს მათი ლექსიკური მნიშვნელობის დაშორება მათ-მათი ძირეულის ლექსიკური მნიშვნელობისაგან: „გულადი“ სულ სხვა შინაარსის მქონეა, ვიდრე „გული“; შინაარსეული განსხვავება აგრეთვე „შემთხვევასა“ და „შემთხვევითს“ შორის, თუმცა ამ განსხვავებას ნაკლებად ვგრძნობთ, მაგრამ უეჭველია, რომ „შემთხვევა“ საწყისია, არსებითად ქცეული (**случай**), „შემთხვევითი“ კი — ზედსართავი (**случайный**). [ნახე კიდევ § 175].

სხვაგვარად არის საქმის ვითარება გენიტიურ სახელებთან (§ 154).

154. გენიტიურ სახელთა რაობა. ორმაგი ბრუნვის მქონე სახელთა შესახებ ზემოთაც გვქონდა საუბარი სხვა საკითხთან დაკავშირებით (§§ 130, 148). საჭიროდ მიგვაჩნია, ერთხელ კიდევ შევეხნეთ მათ, რომ საბოლოოდ გაირკვეს მათი რაობა.

ორ-ფუნქციიან აფიქსებს შორის ურევია ნათ. ბრუნვის ნიშანი **ის** ვარიანტებითურთ (**ისა, სა, ს**) და **თ** (**თა**), რომლებიც ახალი სახელის ფუძის საწარმოებლადაც არის გამოყენებული, მაგრამ შედეგი, რომელიც მიღებულია ამ გამოყენების დროს, სხვაა, ვიდრე წარმოქმნის სხვა შემთხვევებში, რადგანაც ამ სახელებს ფუძედ გამოყენებული აქვთ გენიტივის ფორმა, ე. ი. ფორმა ნათესაობითი ბრუნვისა, ამიტომ მათ გ ე ნ ი ტ ი უ რ ი ს სახელით აღვნიშნავთ. ეს ტერმინი მიგვითითებს სახელის მორფოლოგიურ ნიშანზე, სინტაქსურად კი ასეთი სახელი იქნება მ ა რ თ უ ლ-შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ უ ლ ი (§§ 130, 148).

გენიტიური სახელები სხვადასხვაგვარად არის ნაწარმოები, იმის მიხედვით, თუ რომელია გამოყენებული ნათ. ბრუნვის დაბოლოებათაგან: **ის, ისა, სა, ს, თ, თა.**

ის. ეს ძირითადი სახე ნათ. ბრუნვის დაბოლოებისა ძველ ქართულში საკუთარ სახელთა თანხმოვნიან ფუძეებს მოუდიოდა: დავით-ის-ი, თამარ-ის-ი,

ელისაბედ-ის-ი და მისთ.. ახალ ქართულში ეს ჯგუფი საზოგადო სახელებს შეუერთდა: დავით-ისა, თამარ-ისა, ელისაბედ-ისა და მისთ.. გამონაკლისის სახით **ის** შეიძლება დღესაც შეგვხვდეს, მაგ., ვაჟა-ფშაველას ენაში, საზოგადო სახელებთანაც კი (§ 131), საერთოდ კი **ის** შემონახულია კუთვნილებით ნაცვალსახელებში (§ 156).

ისა. ეს დაბოლოება ძალიან გავრცელებულია: მოუდის სახელებს როგორც მხოლობითში, ისე ებ-იან მრავლობითში. მხოლობითში **ისა** დაბოლოებას მიიღებს: თანხმოვან-ფუძიანები ყველა, ხმოვან-ფუძიანთაგან კი—კვეცილები: მეზობლ-ისა (მეზობლებ-ისა), მეგობრ-ისა (მეგობრებ-ისა), დათვ-ისა, წისქვილისა, დედ-ისა, მებაღ-ისა და მისთ.

სა. ეს დაბოლოება ვარიანტია **ისა**-სი და მოუდის **ი**-ზე დაბოლოებულ სახელებს, უმთავრესად საკუთარს: აკაკი-სა, დიმიტრი-სა, ტრამვაი-სა და მისთ.

ს. ეს დაბოლოება ახასიათებს უკვეცელ სახელებს, საკუთარსა და საზოგადოს: ილია-ს-ი, მართა-ს-ი, პეტრე-ს-ი, ელენე-ს-ი, გოგო-ს-ი, დუტუ-ს-ი, წყარო-ს-ი, რუ-ს-ი და მისთ.

თ. ეს დაბოლოება აქვს გვაროვნულ სახელებს: ოთარაან-თ-ი, სოსიკაანთ-ი, ჯალაბაურიან-თ-ი, ლომაურიან-თ-ი, ციციან-თ-ი და მისთ.. გამონაკლისის სახით **თ** ვაჟა-ფშაველას ენაში საზოგადო სახელებთანაც გვხვდება: ბალახთ-ი, ცხოველ-თ-ი (§ 131).

თა. ეს დაბოლოება მოუდის საზოგადო სახელებს: მუშა-თა, გლეხ-თა, კოლმეურნე-თა, პროფესორ-თა და მისთ.

ჩამოთვლილი მაწარმოებლები ყველა ერთი დანიშნულებისაა, მაგრამ მათ დართვას სხვადასხვა შედეგი მოსდევს:

თანახმად ახალ ქართულში გატარებული საზოგადო წესისა, ის სახელები, რომელთაც მაწარმოებლის ბოლოში თანხმოვანი აქვთ, სახელობითში ი-ს მიიღებენ (ილია-ს-ი, ოთარაან-თ-ი), სხვები კი — არა (მეზობლ-ისა, აკაკი-სა, მუშათა და მისთ.). სამაგიეროდ სხვა ბრუნვებში განსხვავებას ადგილი არა აქვს.

ვიკითხოთ: რა ფორმებია ეს? ჩვეულებრივი გაგების თანახმად, აქ არის ნათ. ბრუნვის ფორმა. მაგრამ არის თუ არა საქმის ნამდვილი ვითარება ეგრე მარტივი? საქმის გამოსარკვევად მივმართოთ მაგალითს. საანალიზოდ ავიღოთ ერთი მაგალითი ხმოვანზე გათავებულთაგან (ვთქვათ, „მეზობლის-ა“) და ერთიც თანხმოვანზე გათავებულთაგან (ვთქვათ, „გიგოს-ი“). ამ ორ მაგალითს შორის ის ურთიერთობაა, რომ „მეზობლ-ისა“ ერთ ბრუნვის ნიშანს გვიჩვენებს (**ისა**-ს), მაშინ როდესაც „გიგო-ს-ი“ ორი ბრუნვის ნიშნის მქონეა (**ს-ი**): ერთია ნათესაობითის ნიშანი (**ს**), მეორე — სახელობითისა (**ი**). „მეზობლისა“ ხმოვანზეა გათავებული და ამიტომ მან სახელობითის ნიშანი არ მიიღო, თორემ ძველი ქართულით აქაც ნიშანი გვექნებოდა: „მეზობლ-ისა-ჲ“ [1], მიუხედავად ამისა, ორივე ფორმა ორმაგი ბრუნვის ფორმაა: ნათესაობით-სახელობითი.

თუ აღნიშნულ სახელებს საზღვრულის წინ დავსვამთ, სახელობითის ნიშანი დაიკარგება და ორმაგი ბრუნვის ნაცვლად ცალმაგი დაგვრჩება; ამასთანავე ერთად „მეზობლისა“ ა-საც აღარ დაირთავს: მეზობლ-ის სახლი, გიგო-ს ვაჟი;

---

[1] ზემოთ (§ 57) გარკვეულია, რომ ნათ. ბრუნვის ნიშანია **ის**, ა კი ნართაულია (ემფატიკური ხმოვანი), მაგრამ ამ გარემოებას აქ მნიშვნელობა არა აქვს.

ასეთივეა აგრეთვე: ოთარაანთ ქალი. უეჭველია, ეს სინტაგმები ფ უ ნ ქ ც ი ი თ იგივეა, რაც მსაზღვრელ-საზღვრულის რიგის შეცვლის შემთხვევაში („სახლი მეზობლისა“, „ვაჟი გიგოსი“, „ქალი ოთარაანთი“), მაგრამ თუ ფ ო რ მ ა ს მივაქცევთ ყურადღებას, დიდ განსხვავებას ვნახავთ: წამძღვარებულ მსაზღვრელს მარტივი ბრუნვის ფორმა აქვს — ნათესაობითი (მეზობლის, გიგო-ს, ოთარაან-თ), მომდევნო კი რთულს გვიჩვენებს — ნათესაობით-სახელობითს (მეზობლ-ისა, გიგო-ს-ი, ოთარაან-თ-ი). მარტივი ფორმა სინტაქსური თვალსაზრისით მართულია: ის არ შეიცვლება, რარიგადაც უნდა იცვალოს მისი საზღვრული: მ ე ზ ო ბ ლ ი ს სახლი, მ ე ზ ო ბ ლ ი ს სახლმა, მ ე ზ ო ბ ლ ი ს სახლს და შემდგომი; გ ი გ ო ს ვაჟი, გ ი გ ო ს ვაჟმა, გ ი გ ო ს ვაჟს და შემდგომი; ო თ ა რ ა ა ნ თ ქალი, ო თ ა რ ა ა ნ თ ქალმა, ო თ ა რ ა ა ნ თ ქალს და შემდგომი; რთული ფორმა კი მართულ-შეთანხმებულია (§ 130): საზღვრულის ბრუნებასთან ერთად ისიც იბრუნვის: სახლი მ ე ზ ო ბ ლ ი ს ა, სახლმა მ ე ზ ო ბ ლ ი ს ა მ, სახლს მ ე ზ ო ბ ლ ი ს ა ს და შემდგომი; ვაჟი გ ი გ ო ს ი, ვაჟმა გ ი გ ო ს მ ა, ვაჟს გ ი გ ო ს ა ს და შემდგომი; ქალი ო თ ა რ ა ა ნ თ ი, ქალმა ო თ ა რ ა ა ნ თ მ ა, ქალს ო თ ა რ ა ა ნ თ ს ა და შემდგომი.

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, შ ი ნ ა ა რ ს ო ბ ლ ი ვ წინ და უკან მდგომი მსაზღვრელი ერთია, მაგრამ ფორმის თვალსაზრისით ისინი სხვადასხვა რიგში დგანან (აქ ისეთივე მდგომარეობა გვაქვს, როგორც სახელთა ორგვარი მრავლობითის შემთხვევაში: „ამხანაგები“ და „ამხანაგნი“ ერთია მნიშვნელობით, მაგრამ მათ სხვადასხვა ფორმა აქვთ და სხვადასხვა რიგში დგანან): მსაზღვრელი, როდესაც ის უძღვის საზღვრულს, უცვალებელია და, როდესაც მოსდევს, იბრუნვის მასთან ერთად, ე. ი. ორმაგი ბრუნვის ფორმას გვაძლევს. მსაზღვრელის საზღვრულთან ერთად ბრუნების მაგალითი ზემოთაა მოცემული (§ 130), აქ კი მსაზღვრელი მოვიყვანოთ მარტო:

	a	b (გენიტ.)	a	b (გენიტ.)
სახ.	მეზობელ-ი	**მეზობლ-ისა**	გიგო	**გიგო-ს-ი**
მოთ.	მეზობელ-მა	მეზობლ-ისა-მ	გიგო-მ	გიგო-ს-მა
მიც.	მეზობელ-ს	მეზობლ-ისა-ს	გიგო-ს	გიგო-სა-ს
ნათ.	**მეზობლ-ის**	—	**გიგო-ს**	—
მოქ.	მეზობლ-ით	—	გიგო-თი	—
ვით.	მეზობლ-ად	მეზობლ-ისა-დ	გიგო-დ	გიგო-სა-დ
წოდ.	მეზობელ-ო	მეზობლ-ისა-ვ	გიგო	გიგო-სა-ვ

როგორც ვხედავთ, გენიტიური სახელები („მეზობლისა“, „გიგოსი“) ი მ ე ო რ ე ბ ე ნ სათანადო ძირეულის ფორმებს, მართალია, ყველას არა, როგორც ეს ძველ ქართულში იყო, მაგრამ უმეტესობას მაინც.

ფორმათა შედარება ამტკიცებს, რომ „მეზობლის“ და „გიგოს“ ერთი რიგის ფორმებია, „მეზობლისა“ და „გიგოსი“ კი — სხვა რიგისა. აქედან შეგვეძლო დაგვესკვნა, რომ „მეზობლისა“, „გიგოსი“ და „ოთარაანთი“ წარმოქმნის გზით მიღებული ფორმებია, მაშასადამე, **ისა, ს, თ** სადერივაციო აფიქსებია. ასეთი დასკვნა გენიტიურ სახელთა წარმოებისა, ბუნების და მაწარმოებელ ელემენტთა კვალიფიკაციის შესახებ სწორი იქნებოდა მხოლოდ

ფორმის თვალსაზრისით. რაც შეეხება ლექსიკურ შინაარსს, საქმის ვითარება სხვაგვარია: ამ თვალსაზრისით სიტყვაში ცვლილება არ მომხდარა. ამიტომ აღნიშნული ფორმები წარმოქმნის ფორმებად ვერ ჩაითვლება და არც **ისა**, **ა**, **თ** იქნებიან წარმოქმნის აფიქსები ჩვეულებრივი გაგებით, რამდენადაც მათ არ დაუკარგავთ ბრუნვის წარმოების უნარი: „მეზობლისა“, „გიგოსი“ და „ოთარაანთი“ ნათ. ბრუნვის ფორმებადაც რჩება.

რომ ასეა, ეს, სხვათა შორის, იქედან ჩანს, რომ მათ შეუძლიათ ერთსა და იმავე დროს მსაზღვრელიც იყვნენ და საზღვრულიც: მსაზღვრელი ერთი სახელის მიმართ, საზღვრული მეორის მიმართ: „სახლი ჩემი მეზობლისა“. აქ „მეზობლისა“ ორი სინტაგმის წევრია: „სახლი მეზობლისა“, „ჩემი მეზობლისა“. პირველ მათგანში ის მსაზღვრელია, მეორეში კი — საზღვრული; პირველში თვითონ უწევს ანგარიშს მსაზღვრელს და ეთანხმება მას ბრუნვაში: სახლი მეზობლისა, სახლ-**მა** მეზობლისა-**მ**, სახლ-**ს** მეზობლისა-**ს** და შემდგომი; მეორე შემთხვევაში კი, პირუკუ, მას ეწყობა მისი მსაზღვრელი: როგორადაც უნდა ვცვალოთ საზღვრული, მსაზღვრელი უცვლელი დარჩება: სახლი ჩემი(ს) მეზობლისა, სახლმა ჩემი(ს) მეზობლისამ, სახლს ჩემი(ს) მეზობლისას და შემდგომი. „ჩემი“ შეგვიძლია ზედსართავით ან მიმღეობით შევცვალოთ („სახლი მდიდარი მეზობლისა“, სახლი ქალაქს გამგზავრებული მეზობლისა) ან კიდევ სხვა არსებითის ნათ. ბრუნვის ფორმით (სახლი დავითის მეზობლისა, სახლი მებაღის მეზობლისა და მისთ.), მაგრამ სურათი ყველგან ერთი იქნება.

რაც „მეზობლისა“ ფორმაზე ითქვა, იგივე შეგვიძლია ვთქვათ „გიგოს“ და „ოთარაანთ“ ფორმათა შესახებაც და აგრეთვე სხვა ვარიანტების შესახებაც (აკაკი-სა, მუშა-თა). მაშასადამე, გენიტიური სახელი, რომელიც გვხვდება მსაზღვრელ-საზღვრულის ინვერსიული რიგის დროს (ან მსაზღვრელის განმარტოებისას), ორმაგი ბუნებისაა. ეს მისი ბუნება უფრო აშკარად ჩანს ორ სახელთან მიმართებისას, რომელთაგანაც ერთს საზღვრავს, მეორით კი ისაზღვრება, ერთის მიმართ მსაზღვრელია, მეორის მიმართ კი — საზღვრული. ფორმის მიხედვით ერთს მართავს, ითანხმებს ან შეიწყობს ფუძის სახით, მეორეს კი ეთანხმება. ამის გამო მისი ფორმა ნათ. ბრუნვის ფორმაც არის. მთლიანად ფორმა ორმაგი ბრუნვის ფორმაა (§ 99).

არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც ადასტურებს, რომ გენიტიური სახელი ორმაგი ბუნებისაა: სახელს შეიძლება ორი და მეტი საზღვრული ჰქონდეს ნათესაობითში დაყენებული სახელების სახით. ამათგან უკანასკნელი უთუოდ იქნება ორმაგი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი. ახალ ქართულში ეს მოვლენა სახელობითში მკაფიოდ არ ჩანს: „ამბავი სოფლისა და ქალაქისა“ — აქ „სოფლისა“ და „ქალაქისა“ თანაბარი ფორმით არის წარმოდგენილი, მაგრამ, როგორც კი სხვა ბრუნვაში დავსვამთ მათ, განსხვავება მაშინვე იჩენს თავს: „ამბავს სოფლისა და ქალაქისას“, „ამბავმა სოფლისა და ქალაქისამ“: ე. ი. პირველი მსაზღვრელი უცვლელი დარჩა, მეორე კი იცვალა. ეს მოვლენა ახალ ქართულში საზოგადოდ მკრთალად არის წარმოდგენილი, ძველში კი ის მკაფიოდ იყო გამოხატული; რომ ავიღოთ ეს მაგალითი «გრ. ხანძთე-

ლის ცხორებიდან»: „ღმერთი მშჳდობისა, სიყუარულისა და კაცთმოყუარებისაჲ“ (12,5) და ვაბრუნოთ, გვექნება:

სახ. ღმერთი მშჳდობისა, სიყუარულისა და კაცთმოყუარებისაჲ
მოთ. ღმერთმან მშჳდობისა, სიყუარულისა და კაცთმოყუარებისამან
მიც. ღმერთსა მშჳდობისა, სიყუარულისა და კაცთმოყუარებისასა
და შემდგომი.

ჩანს, რომ ორმაგი ბრუნვის ფორმები უკანასკნელ მსაზღვრელს აქვს, სხვებს კი შეიძლება ჰქონდეს, შეიძლება არა. ეს იმიტომ, რომ უკანასკნელი მსაზღვრელი (აქ: „კაცთმოყუარებისაჲ“) რკალს ჰკრავს მთელი გამოთქმისას და აუცილებლად ეთანხმება საზღვრულს, მაშინ როდესაც მის წინ მდგომი ორი დანარჩენი მსაზღვრელი აქ მარტივი გენიტივის ფორმითაა წარმოდგენილი. თქმა იმისა, რომ მოყვანილ მაგალითში ყველა მსაზღვრელი ერთნაირი ფორმის მქონეაო, არ შეიძლება; არც ის შეიძლება ითქვას, რომ მნიშვნელობით უკანასკნელი მათგანი („კაცთმოყუარებისაჲ“) განსხვავებულია სხვებისგანაო. ამიტომ სამართლიანი იქნება დავასკვნათ, რომ **ისა** დაბოლოება, რომელიც ყველა მათგანს აქვს, ნათ. ბრუნვის ნიშანია, ოღონდ უკანასკნელი სახელი, რომელსაც ის ახლავს, ხელმეორედ არის ნაბრუნები და სხვები კი — არა.

შენიშვნა. ხელმეორედ ნაბრუნებ გენიტივს ნ. მარმა მიმართებიანი ნათესაობითი უწოდა: родительный с отношением (Грам. древнелитер. груз. языка, გვ. 64).

155. ნაგენიტივარი სახელები. გენიტიური სახელებისაგან უნდა გარჩეულ იქნეს ნაგენიტივარი სახელები. გენიტიურია სახელი, რომელსაც გენიტივის გაგებაც აქვს, მაგრამ ამასთანავე ერთად სხვა ბრუნვის ფორმებსაც გვიჩვენებს: სახელობითს, მოთხრობითს, მიცემითს და შემდგომთ, ხოლო ნაგენიტივარია სახელი, რომლის ფუძე მარტო წარმოშობით არის გენიტივი (ნათ. ბრუნვა), მაგრამ გენიტივის გაგება აღარ აქვს. ასეთია მრავალი გეოგრაფიული სახელი, რომელთაც ბოლოში **ის** მოუდის: თბილ-ის-ი, ქუთა-ის-ი, მანგლ-ის-ი, შინდ-ის-ი, რუ-ის-ი, ურბნ-ის-ი და სხვ.. ასეთივეა **თა**-ზე გათავებული სოფლის სახელები: ჩხიკვ-თა, ცაბაურ-თა, მოწამე-თა და მისთ.. ეს ის სახელებია, რომელთაც რაღაც საზღვრული უნდა ჰქონოდათ ერთ დროს (დაბა, სოფელი, ციხე, ქალაქი და სხვ.), მაგრამ საზღვრულის ჩავარდნის გამო მსაზღვრელს დაჰკარგვია პირვანდელი დანიშნულება და დამოუკიდებელი გამხდარა: დაბაჲ რუ-ის-ი→რუისი, ციხეჲ ქუთათ-ის-ი→ქუთათისი (აქედან შემდეგ: ქუთაისი) და მისთ.. მსგავსი წარმოება (საზღვრულ-მსაზღვრელი) შემონახულია „მამასახლის“-ში და „ერგასის“-ში (ერგასისი — ასის ნახევარი, ორმოცდაათი; იხმარებოდა ძვ. ქართულში).

აღნიშნული ტიპის სახელები, ახალი ქართულის თვალსაზრისით, გადმონაშთია: მათი **ის** და **თა** წარმოქმნის აფიქსებად ვერ ჩაითვლება, — აქ საქმე გვაქვს ბრუნვის ფორმის მნიშვნელობის შეცვლასთან და არა წარმოქმნასთან.

აღნიშნულ სახელთა ნაგენიტივრობა განსაკუთრებით ნათლად **თა**-ზე გათავებულ სახელებში ჩანს, რომელთაც ამასთანავე ერთად მრავლობითის გაგებაც

:ღარ აქვთ და ისე იბრუნვიან, როგორც ა-ზე გათავებული მხოლ. რიცხვის სა-
ხელები: მოწამეთის სადგური, ჩხიკვთის საყდარი და მისთ.

156. ნაგენიტივარი ნაცვალსახელები. გენიტიური სახელების მსგავსად
ნაწარმოებია კუთვნილებითი ნაცვალსახელები: ჩემი, შენი, ჩვენი, თქვენი, მისი,
მათი, თავისი, სხვისი, ვისი.

პირველი ოთხი მათგანი (**ჩემ-ი, შენ-ი, ჩვენ-ი, თქვენ-ი**) ფუძედ იყენებს
ნათ. ბრუნვისათვის სავარაუდებელ ფორმას: ჩემ, შენ, ჩვენ, თქვენ (§ 139).

მის-ი და **მათ-ი** ნაწარმოებია მა ფუძისაგან, რომელიც „იგი"-ს ენაცვლება
ნათ.-სა და სხვა ბრუნვებში (§ 140). ეს „მისი" და „მათი", რომლებიც ერთნაირად
დაზღვრულთან მიმართებით, მაგრამ განსხვავდებიან ძირეულთან მიმართებით
(„მისი" მიგვითითებს, რომ ეკუთვნის ერთს, „მათი" გვიჩვენებს, რომ ეკუთვნის
მრავალს), ნაწარმოებია ნათ. ბრუნვის ფორმისაგან მხოლ. და მრავლ. რიცხვში
და ასე დაიშლებიან: მ-ის-ი, მა-თ-ი. მსგავსადვეა ნაწარმოები: „ამ-ის-ი" და
„ამა-თ-ი", „მაგ-ის-ი" და „მაგა-თ-ი", „იმ-ის-ი" და „იმა-თ-ი" (უკანასკნელი
წყვილი ვარიანტია „მისი" და „მათი"-სა).

თავისი ნაწარმოებია „თავ" სიტყვისაგან, რომელიც გარკვეულ შემთხვე-
ვებში უკუქცევითი ნაცვალსახელია (§ 50): თავ-ის-ი (იშვიათად: „თავისა";
ძვ. ქართულით: თჳს-ი, რომელიც ამჟამადაც გვხვდება ახალი ორთოგრაფიით:
თვის-ი).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: „თავისი" („თავისა", „თვისი") კილოთა დიდ უმეტე-
სობაში და სალიტერატურო ქართულში III პირის კუთვნილებას აღნიშ-
ნავს, მაგრამ ფშაურში (და აქედან ვაჟა-ფშაველას ნაწერებში) მას შეუძ-
ლია (რუს. СВОЙ-ს მსგავსად) 1-ლი და მე-2 პირის კუთვნილებაც გამოხა-
ტოს; მაგალითები:

თავისი („თავისა", „თავისი") = **ჩემი:** „არცვის ვაუწყებ ადვილად თ ა-
ვ ი ს თავგადასავალსა" (I, 127, 29); „არც გემი მქონდა, არც ნავი, თ ა-
ვ ი ს მკლავებით ვწვალობდი" (I, 127, 32); „აჰღელვებულხარ ძალიან,
თ ა ვ ი ს ძმა ველარ გიცანი"-ო, მიმართავს ვაჟა თავის ძმას ბაჩანას ერთ
საპასუხო ლექსში (II, 169), „ავენთო როგორც საკირე, დავიწვა თ ა ვ ი ს
ალზედა" (II, 218); „მე არც დედა მყავს, არც მამა, არცავინ თ ვ ი ს ი ს
ტომისა" («ეთერი»); „დავკარგე ყველა თვისტომი, ვინაც კი მყვანდა თ ა-
ვ ი ს ა" («ბახტრ.»),

თავისი = შენი: „იუბნე ცხოველ-მყოფლადა, ძმა ამას გეტყვის თ ა ვ ი-
ს ა" (თავისი ძმის თედოსადმი მიმართულ ლექსში; I, 117, 31), „თ ა ვ ი ს
სამშობლოს ვარამი ილაპარაკე ენითა" (I, 156, 23).

თავისი = ჩვენი: „სიკვდილის შემდეგ თ ა ვ ი ს ი კარგი გავწიროთ ხსე-
ნება" (I, 106, 15); „გამოვეთხოვეთ ნათესავთ, ცოლშვილს და თ ა ვ ი ს
ყანასა" (I, 136, 6); „ცოცხალის თავით ვერ მივსცემთ მტერს თ ა ვ ი ს მი-
წის ღალასა" (I, 136, 10).

თავისი = თქვენი: „თ ა ვ ი ს ადგილის გულისად მოკვდით და დაისა-
ჯენით" (II, 58); „გამარჯვებულნიმც იქნებით თ ა ვ ი ს ხატით და გამჩე-
ნით" (II, 59).

როგორც ვხედავთ, წარმოების თვალსაზრისით ეს ნაცვალსახელები არ

განსხვავდებიან გენიტიურ სახელთაგან, რომლებზედაც ზემოთ იყო საუბარი (§ 154), მაგრამ არის ერთი დიდი განსხვავება მათ შორის: კუთვნილებით ნაცვალსახელებს გენიტივის გაგება აღარ აქვთ. მართლაც, არ შეიძლება ითქვას, რომ „მისი“, „მათი“, „სხვისი“ და მისთ. ორმაგი ბრუნვის გაგებას გვაძლევდნენ (ნათ.-სახელობითისას); არა, ესენი ყველა ცალმაგი ბრუნვის ფორმებია, მათი ფორმაა სახელობითი. ამის გამო მათში შემავალი **ის** და **თ** წარმოქმნის ელემენტებად უნდა ვცნათ.

ერთია კიდევ აღსანიშნავი: ჩამოთვლილ ნაცვალსახელთა ძირეულები ისეთი სახელებია, რომლებიც საზოგადოდ მოკლებულია მსაზღვრელის მიღების უნარს. ის მსაზღვრელი კი, რომელიც გამონაკლისის სახით ასეთ გამოთქმებში გვხვდება: „მე საწყალი“, „შე უბედურო“, „ვინ ოხერი“ და მისთ., მეტად თავისებურია და ჩვეულებრივი ტიპის მსაზღვრელისაგან ძლიერ დაშორებული. ამიტომ მათგან საზოგადო წესის თანახმად ნაწარმოები ფორმები არასოდეს არ გვხვდება საზღვრულის როლში, ისინი მხოლოდ მსაზღვრელებია, თანაც მათი დასმა საზღვრულის წინაც შეიძლება (წინააღმდეგ გენიტიური სახელებისა, რომელნიც მოსდევენ საზღვრულს). ყველაფერი ეს იმას გვიჩვენებს, რომ აღნიშნული ნაცვალსახელები წარმოქმნილ სახელთა რიგებში დგანან.

კუთვნილებით ნაცვალსახელებს გენიტიურ სახელებთან აერთებს წარმოების ფორმა, მაგრამ მათგან განასხვავებს მნიშვნელობა; ხოლო ნაგენიტივარ სახელებთან (§ 155) მათ ის აქვთ საერთო, რომ გენიტივის გაგება მათაც დაკარგული აქვთ, მაგრამ განსხვავდებიან იმით, რომ სინტაგმებში სხვადასხვა ფუნქციას ასრულებენ: ნაგენიტივარი სახელი შეიძლება საზღვრულიც იყოს და მსაზღვრელიც („ძველი მანგლისი“, „მანგლისის ტყე“) ნაგენიტივარი ნაცვალსახელი კი — მსაზღვრელი („ჩვენი მანგლისი“).

158. თანდებულები წარმოქმნის ელემენტთა როლში. ერთი თავისებურება ქართული ენისა იმაში მდგომარეობს, რომ მას შეუძლია თანდებულდართული ფორმა არსებითი სახელისა ფუძედ აქციოს და გამოიყენოს ზედსართავის საწარმოებლად.

ეს მოვლენა უფრო მკაფიოდ ძველ ქართულში იყო გამოხატული; მაგალითები:

მიმართ→მიმართი: „ხოლო იოვანე, ვითარცა უფლისა მოწამემან ღირსმან, თქუმულნი ესე მისა მიმართნი არად შეჰრაცხნა“ (ი. ოქროპირის «სიტყუაჲ ღმრთის გამოცხადებისათჳს»: ხელნაწ. A 19, გვ. 278 a).

მიერ→მიერი: „და მოსეს მიერთა მათ წიგნთაცა კითხვად მოწრაფე იყო“ (ი. ოქროპირის «სიტყუაჲ ნათლისღებისათჳს»: ხანმეტი მრავალთავი: თ.უ.შ. VII, გვ. 129).

ამჟამად ამით ნაწარმოები გვაქვს ტერმინები: ბაგის-მიერ-ი, კბილისმიერ-ი და სხვა გრამატიკული ტერმინები (§ 12), აგრეთვე ნების-მიერი.

შინა→შინაჲ (მრ. **შინანი**): „და საფლავების შინათა ცხოვრების მიმნიჭებელი“ (აღდგომის საგალობელში; „საფლავების შინათა“ = საფლავებში მყოფთათვის).

გან→განი: „კიცჳ დაბმული, რომელსა კაცთაგანი არა დაჯდომილ არს“ (მარკ. 11,2 C); „და რომელი არს ქუეყანით, ქუეყანისაგანი არს

და ქუეყანისასა იტყჳს (იო. 3,31); „მაშინ ერისაგანთა მათ მთავრისათა წარიყვანეს იესუ ტაძრად“ (მათ. 27,27); „ვეცხლი დიდძალი მისცეს ერისაგანთა მათ“ (მათ. 28,12); „ქალაქისა მისგანთა მრავალთა ჰრწმენა მისი (იო. 4,39); „მრავალთა მოწაფეთა მისთაგანთა რომელთა ესმა ესე იტყოდეს (იო. 6,60); „და მი- ვინმე -ვიდეს ჩუენგანნი საფლავად“ (ლ. 24,24); „არამედ დედათაცა ვიეთმე ჩუენგანთა დამაკჳრვეს ჩუენ“ (ლ. 24,22); „და ერთი თქუენგანი“ (იო. 6,70); „ერთი მათგანი“ (იო. 7,50); „ეგრეცა თევზთა მათგანი“ (იო. 6,11); „და აჰა ორნი მათგანნი“ (ლ. 24, 13), „ერთი იგი ათორმეტთაგანი“ (იო. 20,24) და მისთ.

შორის→შორისი: „ყოველი ნაწილთ შორისი ყოვლობაჲ ნაწილი არს ნაწილთაგანისა ყოვლობისა“ (ი. პეტრიწის შრომები, II, 1927, გვ. 132).

თანა→თანაჲ: „მაგდანელი მარიამ და იოჰანა და მარიამ იაკობისი და სხუანი მითთანანი“ (ლ. 24, 10 ხანმ.), „ათურთმეტნი იგი და სხუანი მათთანანი (ლ. 24, 33 ხანმ.); „ოდეს იგი შეემშია მას და მისთანათა მათ“ (მათ. 12,3); „არა ჯერ იყო ჭამად მისა, არცა მისთანათა მათ“ (მათ. 12,4).

მათთანანი = მათთან მყოფნი; მისთანათა = მასთან მყოფთ, მასთან მყოფთათვის.

ამგვარი წარმოებისაგან ახალ ქართულში გავრცელებულია: გან-ი, ებრ-ი, მიერ-ი.

გან→განი: ის დაერთვის II მრავლობითის ნათ.-ის ფორმას: მიზეზთა-გან-ი, ამხანაგთა-გან-ი, მასწავლებელთა-გან-ი, დევთა-გან-ი და მისთ.

ასეთი ფორმები ჩვეულებრივ იხმარება რიცხვით სახელთან ან „ვინმე“, „რომელიმე“, „ზოგ“ ნაცვალსახელებთან (მაგ., „ერთი მიზეზთაგანი ეს არის“): მაგრამ შეიძლება ცალკეც შეგვხვდეს: „უეჭველია, თაგვთაგანი მაგას ვერ გაბედავდა“ (ვაჟა, «ტყის კომედია», თხზულ., V, 440): „ფრინველთ უნდოდათ გულითა ნადირთაგანი მეფედა“ (ვაჟა, «ნახევარ-წიწილა», IV, 172).

ებრ→ებრ-ი. აღნიშნავს მსგავსებას და დაერთვის ნათ. ბრუნვის ფორმას: ლომის-ებრ-ი, ძაღლის-ებრ-ი, პარკის-ებრ-ი, სოკოს-ებრ-ი, ლობიოს-ებრ-ი, ჩემ-ებრ-ი, მის-ებრ-ი და მისთ.

ეს „ებრ“ შეიძლება პირდაპირ ფუძესაც დაერთოს, თუ ის თანხმოვნით თავდება: ლომ-ებრ-ი.

„ებრ“-ი საკმარისი არ აღმოჩნდა მასზე დაკისრებული ფუნქციის შესასრულებლად და მისი გამოყენება ორი გზით წარიმართა:

ა) გავრცობილ იქნა **ივ**-ის დართვით (§ 175).

ბ) **ურ სუფიქსის** გავლენით გადაკეთდა **ებურ**-ად: ლომის-ებურ-ი, დედის-ებურ-ი, თავის-ებურ-ი (აქედან: თავისებურება), ძველ-ებურ-ი, ჩემ-ებურ-ი, ჩვენ-ებურ-ი და სხვ.

> შენიშვნა. **ჩვენებური** „ჩვენს მსგავსსაც“ აღნიშნავს („შემოვსძახოთ ჩვენებურად“) და ჩვენი მხრისასაც („ჩვენებურები არიან“). ასეთივე ორნაირი მნიშვნელობა აქვს **თქვენებურ**საც.

როგორია აღნიშნული ფორმები წარმოქმნის თვალსაზრისით? უეჭველია, აქ არ არის ერთგვარობა:

„ებრ-ი“ და „მიერ-ი“ წარმოქმნის ელემენტებია, რადგანაც ისინი არსე-

ბითთაგან ზედსართავებს აწარმოებენ და მათ მიერ წარმოქმნილი სახელები მნიშვნელობით განსხვავებულია მათ-მათი ძირეულისაგან.

რაც შეეხება „გან“-ს, ის სხვა ვითარებას გვიჩვენებს: მასთან სახელს შენახული აქვს თავისი პირვანდელი მნიშვნელობა. ამიტომ აქ არსებითად ისეთივე მოვლენა გვაქვს, როგორც გენიტიურ სახელებში (§ 154): „თაგვთაგანი“ იგივეა, რაც „ერთი რომელიმე თაგვთაგან“. მართალია, აქაც შეიძლება ნაწარმოებმა სიტყვამ ისე განივითაროს მნიშვნელობა, რომ დაშორდეს თავის ძირეულს, როგორც ეს გვაქვს ძვ. ქართულის „ერისაგან“-ში (ე რ ი — ჯარი; ე რ ი ს ა გ ა ნ ი — ჯარისკაცი), მაგრამ საზოგადოდ მნიშვნელობის ასეთ განვითარებას ადგილი არა აქვს, რაც, სხვათა შორის, იმითაც მტკიცდება, რომ ამგვარად ნაწარმოები სახელი მრავლობითს ვერ აწარმოებს და სათვალავ სიტყვას, „ერთის“ გარდა, ვერ მიიღებს. მართლაც, ითქმის „თაგვთაგანი“, მაგრამ არ ითქმის „თაგვთაგანები“; ითქმის „ერთი მიზეზთაგანი“, მაგრამ არ ითქმის „ორი მიზეზთაგანი“, „სამი მიზეზთაგანი“ და შემდგომი, არამედ ასე: ორი მიზეზი, სამი მიზეზი და შემდგომი ან (თუ ე რ თ ი „პირველის“ მნიშვნელობით არის ნახმარი): მეორე მიზეზი, მესამე მიზეზი და შემდგ.. ამ მხრივ ერთგვარ გამონაკლისს „მათგანი“ წარმოადგენს; ითქმის: ორი მათგანი, სამი მათგანი, ოთხი მათგანი და შემდგომი.

159. თანა, ნაირი, გვარი, ფერი, რიგი. „ებრ“-ის მნიშვნელობით ქართულში გვხვდება „თანა“, „ნაირი“ და რამდენადმე აგრეთვე „გვარი“, „ფერი“ („ფერა“), „რიგი“.

1. **თანა.** შეიძლება ვიფიქროთ, რომ „თანა“, რომელიც გვხვდება ნათ. ბრუნვაზე დართვისას (მეზობლის-თანა, ამხანაგის-თანა, დედის-თანა და სხვ.), წარმოშობით არის „თანა“ თანდებული, რომელიც ძველ ქართულში ნათ. ბრუნვას უკავშირდებოდა. მაგრამ, როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს (§ 158), „თანა“-ს დართვას ასეთ შემთხვევაში სხვა მნიშვნელობა ჰქონდა, — ის აღნიშნავდა „თან მყოფს“: მის თანაჲ = მასთან მყოფი, „მისთანანი“ = მასთან მყოფნი. „არა ჯერ-იყო ჭამად მისა, არცა მ ი ს თ ა ნ ა თ ა მათ“ (მათ. 12,4) = არ შეჰფეროდა ჭამა მას, არც მ ა ს თ ა ნ მ ყ ო ფ თ. ასეთი მნიშვნელობისაგან „მსგავსის“ მიღება შეუძლებელი არ არის, მაგრამ ნათელი არაა ასეთი სემანტიკური განვითარების გზები.

მეორე მხრით, „მსგავსის“ მნიშვნელობით მეგრულში იხმარება „ცალი“, რომელიც ქართულიდან არის გადასული: ჩქიმი-ცალი („ჩემისთანა“), თი-ცალი, ი-ცალი („იმისთანა“), ზესქვი-ცალო („შაშვსავით“). ეს ის სიტყვაა, რომელმაც სვანურში შჵლ („ვით“) მოგვცა (შაქარშჵლ „შაქარივით“, ფექშჵლ „ფქვილივით“ და მისთ.). „ცალ“-ის აღსანიშნავად კი „მარცვლის“ აღმნიშვნელი სიტყვა არის ხოლმე გამოყენებული ზოგიერთ ენაში (სპარსულში, თურქულში, სომხურში): ეს არის სპ. დ ჵ ნ ა (რომელიც თურქულშიც არის შესული და თ ა ნ ა-დ გამოითქმის) და სომხ. ჰ ა ტ. უკანასკნელი მსგავსსაც აღნიშნავს ზოგ დიალექტში (ერევნულში, თბილისურში, ახალციხურში, ყარაბაღულში): ***հատը չունի*** (ან: ***հատը չկա***) „ცალი არა ჰყავს“ (სიტყვა-სიტყვით: „მარცვალი არა აქვს“: ჰრ. ა ჭ ა რ ი ა ნ ი, ***Հայերէն գաւառական բառարան***, თბ., 1913, ***հատ*** სიტყვასთან, გვ. 640). ამიტომ ვფიქრობდი, რომ ქართული „თანა“ („მეზობლისთანა“ და „ამხანაგისთანა“-ში) არის სპარსული დჵნა („მარცვალი“) იმ

გამოთქმით, რომელიც თურქულშია დადასტურებული (ეს გამოთქმა ქართულ ნიადაგზედაც შეიძლებოდა მიგვეღო: **სდ**>**სთ, მეგობრის დანა**>**მეგობრისთანა**) და იმ მნიშვნელობით, რომელიც სათანადო სიტყვას სომხურში აქვს მიღებული-მეთქი.

როგორიც უნდა იყოს ამ მაწარმოებლის წარმოშობა, წმინდა ქართული თუ უცხო, ერთი მაინც ცხადია: **ის** დაბოლოება 1-ლი და მე-2 პირის ნაცვალსახელებთან (ჩემ-**ის**-თანა, თქვენ-**ის**-თანა და სხვ.) ბრუნვიან სახელთა და ნაცვალსახელთა გენიტივის ანალოგიითაა მიღებული (**ამხანაგ-ის-თანა, მ-ის-თანა ჩემ-ის-თანა**), იმიტომ რომ, თუ „თანა“ ქართ. თანდებულია წარმოშობით, მოსალოდნელია: „ჩემ თანა“, „თქვენ თანა“ და მისთ., ხოლო, თუ აქ სპ. „და̄ნა“ (→„თანა“) გვაქვს, მაშინ უნდა გვქონდეს: ჩემი თანა („ჩემი ცალი“), თქვენი თანა („თქვენი ცალი“) და მისთ.

2. **ნაირი.** ეს სიტყვა მარტივად ცალკე არ გვხვდება, მაგრამ გაორკეცებით ცალკეც ითქმის („ნაირ-ნაირი“) და მნიშვნელობით ამას უდრის: „სხვადასხვა“. წარმოშობით უნდა იყოს არაბული ნ ა ზ ი̄ რ (نظير) : „შესახედავი“, „მსგავსი“, აქედან სპარს. ბი̄-ნაზი̄რ „უებრო“). თუ ვარაუდი სწორია, **ზ** თანხმოვნის ამოღება ამ სიტყვაში იმავე რიგისა არის, რაც **დ**-სი „დეიდა“-ში (დედის და→დეიდა), **ტ**-სი „ჩხეიძე“-ში (ჩხეტიძე→ჩხეიძე; შდრ. მეგრ. **ჩხეტია**) და **ც**-სი „მხეიძე“-ში (მხეციძე→მხეიძე; შდრ. მეგრ. ხეცია) და მისთ.. მისი ხმარება შეიძლება ნათ. ბრუნვის ფორმასთან (ლობიოს-ნაირი, ტურის-ნაირი), მაგრამ ჩვეულებრივ გვხვდება ნაცვალსახელებთან (რანაირი, ამნაირი, მაგნაირი, იმნაირი, ჩემნაირი და მისთ.; აქედან შემდეგ მეგრ. ნეერი, ნერი) და რიცხვითებთან (ერთნაირი, ორნაირი, სამნაირი და მისთ.).

3. **გვარი, ფერი, რიგი.** როგორც მაწარმოებელი ელემენტები, ეს სახელები ჩვეულებრივ ნაცვალსახელებთან გვხვდება. ამათგან ყველაზე მეტი გავრცელება „გვარს“ აქვს, „ფერი“ და „რიგი“ უფრო დიალექტურ ფორმებად არის ქცეული: ამგვარი, იმგვარი, *რაგვარი→როგორი (§ 27, შნშ. 3; § 34), ერთგვარი, ორგვარი, სამგვარი და მისთ.; ამფერი, მაგფერი, იმფერი, რაფერი; რარიგი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ამ პარაგრაფში ჩამოთვლილმა სიტყვებმა გარკვეულ შემთხვევებში ძველი ქართულის „ვითარი“ შეცვალეს: ესევითარი=ამისთანა, ამნაირი, ამგვარი, ამფერი.

წარმოქმნილ სახელთა ჯგუფები

161. წარმოქმნილ სახელთა ჯგუფები ფორმისა და შინაარსის მიხედვით. ფ ო რ მ ი ს მიხედვით წარმოქმნილი სახელები ორ ჯგუფად იყოფა: ერთი მხრით გვაქვს ის სახელები, რომელთაც მაწარმოებლებად სუფიქსები მოუდის: **ხანჯლ-იან-ი, ხანჯლ-ურ-ი, ხანჯლ-ობა;** მეორე მხრით კი ისეთები, რომელთაც ორ-ორი მაწარმოებელი აქვს, ერთი თავში, მეორე ბოლოში (პრეფიქს-სუფიქსი): **სა-ხანჯლ-ე, უ-ხანჯლ-ო, მე-ხანჯლ-ე.**

ინფიქსური წარმოების სახელები ქართულში არ მოგვეპოვება. არ მოგვეპოვება არც მარტო პრეფიქსით ნაწარმოები სახელები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ისეთ გამონაკლისებს, როგორიცაა: უ-რიცხვ-ი და **არა**-თი ნაწარმოები სახელები: არაფერი, არა-თითი, არა-იშვიათი, არა-ლეგალური და სხვ.

შ ი ნ ა ა რ ს ი ს მიხედვით წარმოქმნილ სახელებში შემდეგი ჯგუფები გამოიყოფა: კნინობითი, ქონებისა, უქონლობისა, წარმომავლობისა, აბსტრაქტული, დანიშნულებისა, წინა ვითარებისა, ხელობისა, რიგობითი და წილობითი, გეოგრაფიული, ხარისხისა და სხვ.

ორივე დაჯგუფებას თავ-თავისი ნაკლი აქვს: ფორმათა მიხედვით დაჯგუფებისას, მაგ., გეოგრ. სახელები სვან-ეთ-ი და სა-ბერძნ-ეთი სხვადასხვა ადგილას მოხვდება; შინაარსის მიხედვით დაჯგუფებისას კი, მაგ., ერთნაირი წარმოების სახელები (მაგ., მე-დუქნ-ე და მე-სამ-ე) სხვადასხვა ადგილას მოხვდება.

ჩვენ აქ უპირატესობას შინაარსობლივ დაჯგუფებას ვაძლევთ, თუმცა მისი ბოლომდე გატარება შეუძლებელია.

162. კნინობითი სახელები. კნინობითია სახელი, რომელიც გვიჩვენებს, რომ საგანი, რომელსაც ის აღნიშნავს, ზომით ან სიდიდით ნაკლებია, ვიდრე ძირეული სახელით აღნიშნული: „წიგნაკი“ „წიგნის“ პირისპირ.

კნინობითი ფორმა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ერთი მხრით ალერსის გამოსახატავად (ალერსობითი სახელი) და მეორე მხრით დამცირების მიზნით (დამცირებითი სახელი).

კნინობითი ფორმების წარმოება სალიტერატურო ქართულში მაინცადამაინც გავრცელებული არ არის, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე მაწარმოებელი გვაქვს: **ა, იკ, ილ, უკ, უნ.** ბევრ მათგანს უფრო გადმონაშთის სახე აქვს, ვიდრე ცოცხალი მაწარმოებლისა.

1. **ა.** ეს მაწარმოებელი ძალიან გავრცელებულია მთის კილოებში (მაგ., ფშაურში, მოხეურში), სალიტერატურო ენაში კი იშვიათად გვხვდება: კაც-ა (პატარა კაცი), ცხენ-ა (პატარა ცხენი), დედოფალ-ა (პატ. დედოფალი, სათამაშო), ქალ-ა, ვაჟ-ა, რუ-ა (პატარა რუ) და სხვ..

ეგევე კნინობითის **ა** გვაქვს ადამიანთა საკუთარ სახელებში: ბეჟან-ა, დავით-ა, სიმონ-ა, ლუარსაბ-ა, დარეჯან-ა, საბედ-ა (ელისაბედ-ა), იმედ-ა და მისთ.. იგივე **ა** არის ასეთ სახელებში: პეტრი-ა, პავლი-ა, გიგუ-ა, ვასუ-ა, ნინუ-ა, თიკუ-ა, და სხვ. (მოსალოდნელი იყო: პეტრე-ა, პავლე-ა, გიგო-ა, ვასო-ა, ნინო-ა, თიკო-ა, § 35). ასეთივე წარმოებისაა საზოგადო სახელი ძალუა-ც (*ძალო-ა: მიღებულია წოდებითი ფორმისაგან, რომელიც სახელობითად ქცეულა: [რ]ძალო-ა).

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, კნინობითის **ა** ერთვის ფუძეს, თუ ის თავდება თანხმოვნით ან **ო უ** ხმოვნებით; მაგრამ, თუ ფუძე თავდება ა-თი, მაშინ მაწარმოებელია **ია**: და-ია. აქ ფუძისეული **ა** შენახულია ფუძის სიმოკლის გამო), მაგრამ ჩვეულებრივ შეკვეცილია: ძამ-ია (ძველი *ძამასაგან), ბიძ-ია (შემოკლებით: ძია). „ტაგან-ი“ ფშავში აღნიშნავს ფურის საწველელ ხის ვედროს („სეგდა“-ს სვანურად); მისი კნინობითი იქნება: ტაგან-ა. მაგრამ ეგ სიტყვა („ტაგანა“) მთიულეთსა და ხევში ზურგზე წამოსაკიდებელ წყლის საზიდ კასრს აღნიშნავს (სიმაღლით 70-ოდე სანტიმეტრი იქნება; საწველელ ვედროს აქ „კელადა“ ჰქვია): მთიულის ახსნით: „პატარას ტ ა გ ა ნ ა ს ვეძახით და დიდს — ტ ა გ ა ნ ს“. ხევში კი ტ ა გ ა ნ ა დიდის სახელია („ჩემო ქალს მამკიდეო, ტაგანაი ამკიდეო“), აქედან ნაწარმოები კნინობითი კი ტ ა გ ა ნ ი ა არის.

ტაგან-ტაგანა-ტაგანია-ს მაგალითზე გასაგები იქნება ისეთი წარმოება,

როგორიცაა: კაც-ი, კაც-ა და კაც-ია („კაცა“ და „კაცია“ ადამიანის სახელებია: პირველი კნინობითია „კაც“ ფორმისა, მეორე კი — კნინობითის კნინობითი) და „ბიჭია“ (კაცის სახელია: ბიჭ-ი, ბიჭა, ბიჭია).

მოცემული ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ „მელ-ი“ (ასე იტყოდნენ ძველად), „მელ-ა“ და „მელ-ია“ ისეთ ურთიერთობაშია ერთმანეთთან, როგორც „კაცი“, „კაცა“ და „კაცია“, ოღონდ ეს არის, რომ კნინობითის გ ა გ ე ბ ა დღეს აღარც „მელას“ ახლავს და აღარც „მელიას“.

კნინობითის **ა** მიღებულია **აკ**'ისაგან, რომელიც ამჟამად წიგნ-**აკ**'ში და გორ-**აკ**-შია შემონახული.

სამეცნიერო და ტექნიკური ლიტერატურის ენა ცდილობს გაავრცელოს **აკ**-ის ხმარება: ბაგირ-აკ-ი, ლილვ-აკ-ი, მილ-აკ-ი, ხაზ-აკ-ი და მისთ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. მთიულურ-მოხეურში (აქედან ყაზბეგის მოქმედ პირთა მეტყველებაში) შესაძლებელია რიცხვითისა და ზედსართავი სახელის კნინობითი ფორმაც: სამ**ა**-ნ-ი მანეთ**ა**-ნ-ი, ორ**ა**-ნ-ი ცხორ**ა**-ნ-ი, ქალ**ა**-შავა, ცარიელ**ა** ტყავი (ყაზ., 270, 2).

კნინობითის ფორმათა მნიშვნელობის დაკარგვის ნიადაგზე ზოგ შემთხვევაში პარალელურმა ფორმებმა იჩინა თავი: ძალ-ი და ძალ-ა, ადგილ-ი და ადგილ-ა, პირ-ი და პირ-ა, ძირ-ი და ძირ-ა. უკანასკნელი სამი სიტყვის „კნინობითი“ ფორმებიდან შენახულია ზმნიზედური გამოთქმები: მის ადგილა-ს, ცეცხლის პირა-ს, ბუჩქის ძირა-ს.

2. **უკ.** ეს მაწარმოებელი დიალექტურად იხმარება (უმეტესად რაჭაში): ბუშტ-უკ-ი, ძერძერ-უკ-ი. ჩვეულებრივ მას კიდევ ერთვის **ა (უკ-ა)**: ცხენ-უკ-ა, ხბო-უკ-ა, მარტო-კ-ა (←*მარტო-უკ-ა), თით-უკ-ებ-ი, ქინძმანძ-უკ-ა და სხვ. ეგევე მაწარმოებელი გვაქვს ამ საკუთარ სახელებში: ან-უკა (ანუკა ბატონიშვილი), გლახ-უკა (ი. ჭავჭავაძის «გლახის ნაამბობის» ერთი მოქმედი პირის სახელია).

3. **იკ.** ეს მაწარმოებელი დამოუკიდებლივ ბეს-**იკ**-ში გვხვდება, უფრო კი **ო** დაერთვის: **იკ-ო.** ეს **ო** თავდაპირველად წოდებითის ნიშანი უნდა ყოფილიყო (მამ-იკ-ო, დედ-იკ-ო), მაგრამ შემდეგ იგი ფუძეს შეზრდია. ამჟამად **იკო** უფრო ადამიანთა სახელებში გვხვდება: სოლ-იკო, სოს-იკო, დათ-იკო, ვას-იკო, გოგლ-იკო, თამრ-იკო (თალ-იკო), მა-იკო და სხვ.: იშვიათად აგრეთვე საზოგადო სახელებშიც: მამ-იკო, დედ-იკო, და-იკო, ბიჭ-იკო (იხმარება მიმართვისას; კაცის საკუთარი სახელიც არის), სულ-იკო (ალერსობითია, იხმარება მიმართვისას).

4. **ილ.** ეს მაწარმოებელი მარტოოდენ ორი სახელისაგან აწარმოებს კნინობითის ფორმებს, რომელთაც ალერსობითის მნიშვნელობა აქვს, თანაც დართული აქვს **ო (ილ-ო)**; მამ-ილო, დედ-ილო. შეიძლება ამათ მთელი მარცვალი მოეკვეცოს ბოლოში და მივიღოთ: მამი, დედი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. „ნათლიდედ“, რომელიც მიმართვისას იხმარება (ჩემო ნათლიდედ!), შემოკლებაა „ნათლიდედა“-სი.

„მამი“ და „დედი“ ფორმების მიღება თეორიულად „მამიკო“ და „დედიკო“-საგანაც არის შესაძლებელი, მაგრამ უფრო მიღებული უნდა იყოს „მამილო“ და „დედილო“-საგან.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. **ილ**-ის ფონეტიკური ვარიანტი **ელ**, ა-ს დართვით, საკუთარ სახელებშია შემონახული, უმთავრესად დასავლურ კილოებში: დათ-იკ-ელ-ა, მარ-იკ-ელ-ა, კაც-ი-ელ-ა, ბიჭ-ი-ელ-ა, გიორგ-ელ-ა და მისთ.

როგორც **ილ**, ისე მისი ტყუბის ცალი **ელ**, წარმოშობით უკავშირდება სვანურ მაკნინებელ **ილ** სუფიქსს: ტგტპრ გიერგ-ილ („ნაცარქექია გიორ-გ-ელ-ა“).

5. **უნ-ა.** ეს რთული მაწარმოებელი რამდენსამე სახელში გვხვდება: კაც-უნა („ზოგსა კაცსა კაცი ჰქვია, ზოგსა კაცსა—კაცუნაო, ზოგს დედაკაცს—დედაკაცი, ზოგსა—დედაკაცუნაო“, ხალხ.), ბიჭ-უნა, გოგო-ნა (←*გოგო-ვნა←*გოგო-უნა), კოლო-ნ-ა (←კოლო-ვ-ნა←კოლო-უნ-ა), დათ-უნა (*დათვ-უნა), ჩიტ-უნ-ა, თაგ-უნა, კატ-უნა, კატუნია (აქედან: თავის მოკატუნება), ციც-უნა (ციცუნია), ვაც-უნა (ვაჟა, «გოგრა»), წალდ-უნა („ზოგს კეტები ეჭირა, ზოგს თოხები, სხვას ბარები, წალდები და წალდუნები“, ვაჟა «მუცელა»). კაცის სახელები: პაპ-უნა. გლახ-უნა.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ კნინობითის ფორმები არსებითად დაკარგა სალიტერატურო ქართულმა: ისეთი სახელები, როგორიცაა: თავი, ხელი, ფეხი, თვალი, კბილი, სახლი, კარი, ეზო, ხე, ბაღი და მრავალი სხვა კნინობითის ფორმებს ვერ აწარმოებენ. ამიტომ იძულებული ვართ ხოლმე, რომ სათანადო აზრი აღწერილობით გამოვთქვათ: პ ა ტ ა რ ა თავი, პ ა წ ა წ ა თითები, პ ა ტ ა რ ა ეზო და მისთ.

უეჭველია, კნინობითის ფ ო რ მ ე ბ ი ბევრია ნაშთის სახით შემონახული ქართულში, მაგრამ მათი კნინობითობის დადგენა ჭირს საპირისპირო ფორმათა დაკარგვისა და, ამასთან დაკავშირებით, ცალად დარჩენილი ფორმის სათანადო შინაარსის დაბნელების გამო. სავარაუდოდ შეიძლება ესენი დავასახელოთ: მუჭ-ა („ერთი მუჭა ბალახი აქლემსაც მაღლა ახტუნებსო“, ანდ.), ტიტველ-ა, დედი-შობილ-ა, დედის-ერთ-ა, მელის-კუდ-ა (ბალახია), პაპა-ნაქებ-ა, ბალ-ა-მწარ-ა, ლენ-ცოფ-ა (*ლელ-ცოფა), ცალ-უღელ-ა („სულ არაობას ცალ-უღელ-ა ხარი სჯობიაო“, ანდ.), ადრეულ-ა („ყმაწვილის გული, შენი ჭირიმე, ადრეულა ყვავილსა ჰგავს“, ჭავ., 267, 34), გაიძვერ-ა (←გაძძვერა←გასძვერ-ა, გაჰძვერ-ა, ზმნური ფორმა უნდა იყოს, სახელად ქცეული (ა. შ ა ნ ი ძ ე, თანხმოვანი ხმოვნად იქცა: ქართ. ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1966, № 1), ფინია, გოშია და სხვ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. „გიჟია“ = გიჟი-ა, გიჟი არის („გიჟიას დაუძახებს ამ მოთხრობის უხეირო დამწერსა“, ჭავ., 331, 9).

163. ქონების სახელები. ერთი წყება სუფიქსებისა ამა თუ იმ სახის ქონებას გამოხატავს; ესენია: **იან, იერ, ოსან, ოვან, ედ, ა.**

1. **იან.** ეს მაწარმოებელი მიღებული ჩანს **ეან**-ისაგან. ძველად მისი ფუნქცია უნდა ყოფილიყო, აღენიშნა წარმომავლობა ვინმესგან. აქედან შემდეგ უნდა განვითარებულიყო გაგება კუთვნილებისა და ვისიმე მიმდევრობისა: ქრისტიან-ი, მაჰმად-იან-ი და მისთ... ამჟამად **იან-ი** აღნიშნავს ყოლა-ქონებას: ცოლ-იან-ი, ცხვრ-იან-ი, საქონლ-იან-ი, წვერ-იან-ი და სხვ.

იან სუფიქსი ამჟამად გამოყენებულია გვარის ერთ-ერთ დაბოლოებად დასავლ. საქართველოში, უმთავრესად სვანეთსა და რაჭა-ლეჩხუმში: ყიფ-იან-ი,

ატ-იან-ი, ზურაბ-იან-ი, ლიპარტელ-იან-ი და სხვ.. ძველად ასეთი დაბოლოე-
ის გვარები ალმოს. საქართველოშიაც უნდა ყოფილიყო გავრცელებული, მაგ-
ამ აქ ეს **იან** შემდეგ შეუცვლია **ძე**-სა და **შვილ**-ს. ამის გამო **იან** დაბოლოე-
:ს დაუკარგავს პირვანდელი მნიშვნელობა და გარკვეულ შემთხვევებში შემო-
ახულია ჩამომავლობისა და კუთვნილების ალსანიშნავად, ისიც მხოლოდ მაშინ,
უ ფორმა მრავლობითია. ამ შემთხვევაში მერმინდელი **შვილ**-ი ჩამოშორდება
ოლმე გვარს და ალდგება ძველი **იან**. ციც-ი(ს)-შვილი: ციც-იან-(ნ)-ი (=ცი-
იშვილები), სადაც ორი **ნ**-საგან ერთი ისმის ხოლმე, მაგრამ, რომ ორი იგუ-
ისხმება, ამას ადასტურებს ნათესაობითის ფორმა, ვთქვათ, ასეთი: „ციციან-თ
ური“, ან ნათ.-სახელობითი: ციცი-ან-თ-ი. თუ **შვილ**-ის მოკვეცის შემდეგ
ან-ი უნდა დაერთოს **ა**-ზე გათავებულს ბოლო-უკვეცელ სიტყვას, მაშინ **იან**-ის
ირველი ხმოვანი დასუსტდება და სულ დაიკარგება: ოთარა-(ს)-შვილი:
თარა-ან-ი, ოძელა-(ს)-შვილი: ოძელა-ან-ი და მისთ. (ამათ ნაცვლად: *ოთა-
ა-ჲან-ნ-ი, *ოძელა-ჲან-ნ-ი). უკანასკნელი ფორმის სიტყვები დროთა განმავ-
ობაში სოფლის სახელებად იქცა ალმოს.-საქართველოში. განსაკუთრებით კა-
ეთში (ქიზიყითურთ). ოღონდ აქ ფორმა გამარტივებულია, — ორი **ნ**-საგან
რთია დარჩენილი და მრავლობითის გაგება დაკარგულია: მელა-ან-ი, ჩაჩხა-
ნ-ი, ტიბა-ან-ი, ოზა-ან-ი, გურჯა-ან-ი და მისთ.

ზოგ შემთხვევაში ქართლში თვით **ძე**-ც შეიძლება მოიკვეცოსო, მითხრეს:
აისურაძე: მაისურა-ა(ნ)-ნ-ი, ფურცელაძე: ფურცელა-ან-(ნ)-ი; მაგრამ ჩვეუ-
ებრივ ეხლა **ძე** დაბოლოების მოკვეცა აღარ ხდება: გძელაძ-იან-(ნ)-ი. ამგვა-
ად შემონახული **იან**-ი იფართოებს ხმარების ფარგლებს და სხვა ტიპის გვა-
ებშიც გადადის: ლომაურ-იან-(ნ)-ი, კორინთელ-იან-(ნ)-ი, წერეთელ-იან-(ნ)-ი
ა სხვ.

მოწმობა ლიტერატურიდან: „აი სოსიკაანთ ბიჭს მოგახსენებენ“ (ყაზ.,
28,1); „თოლიკაანთ ჯღუნაი“ (ყაზ., 318,29); „ვისის გორისა ხარ, სტუმარო? —
ალაბაურიანთი“ (ყაზ.. 319.10); „ჩვენებიანთ ვენახში“ (ჭავ., 345,23); „გუშინ
ეზობლიანთას გახლდი“ (ჭავ., 346,38); „გძელაძიანთ ქალი“, „გძელაძიანთ
ოფელში“ (ჭავ., «კაცია-აღ.»).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. „შვილ“-ისა და „ძე“-ს მოკვეცა ამა თუ იმ გვარზე **იან**-ის დართვისას არ ნიშნავს. რომ ამ გვარს ძველად უეჭველად **იან** და-
ბოლოება ჰქონდა. მრავლისაგან მრავალ შემთხვევაში უთუოდ აქ ანალო-
გიურ წარმოებასთან გვაქვს საქმე.

2. **იერ** (**რაე**-ნარევ ფუძეებთან დისიმილაციით **იელ**). შემონახულია ზო-
იერთ სახელში: ბიწ-იერ-ი. გან-იერ-ი, გონ-იერ-ი, ზეც-იერ-ი, ზომ-იერ-ი,
თვალ-იერ-ი („ათვალიერებს“ ზმნაში), კანონ-იერ-ი, მადლ-იერ-ი, მანკ-იერ-ი,
იწ-იერ-ი, ნიჭ-იერ-ი. (მრავალ)-ჟამ-იერ-ი, სახ-იერ-ი (ძვ. ქართ. = კეთილი),
ჯულ-იერ-ი, სინდის-იერ-ი. ლონ-იერ-ი, შვილ-იერ(ება), ძლ-იერ-ი, წამ-იერ-ი,
ეს-იერ-ი, წუთ-იერ-ი. ხნ-იერ-ი. (გულის)-ხმ-იერ-ი. ხორც-იელ-ი და სხვ.. ალ-
იშნული სახელები ზედსართავებია, არსებითთაგან ნაწარმოები. არსებითად
რის ქცეული. სულ-იერ-ი, თხ-იერ-ი (ძველად ტიკს ერქვა, თავდაპირველად
ლბათ თხის ტყავისაგან გაკეთებულს), ყველ-იერ-ი (დიდმარხვის წინა კვირა),
ურუგ-იელ-ი (თევზია) და სხვ.

იგივე სუფიქსი რამდენიმე ნაცვალსახელთანაც გვაქვს: ამ-იერ-ი, ი-იერ-ი, მაგ-იერ-ი. აქ „იერ“-ს სხვა მნიშვნელობა აქვს მოპოვებული.

„იერ“-ი გვხვდება ისეთ ნაწარმოებ სიტყვებშიც, რომელთა ძირეული არ შენახულა: ნოყ-იერ-ი, უდ-იერ-ი.

„იერ“-ი მოიპოვება აგრეთვე ზმნათა ფუძეებისაგან ნაწარმოებ სიტყვებში: მშ-იერ-ი, შვენ-იერ-ი (ჰ-შვენ-ის; შემდეგ **მ**-ს დართვით: მ-შვენ-იერ-ი), ლმობ-იერ-ი, ცნობ-იერ-ი, ყნოს-იერ-ი, ცბ-იერ-ი, *მე-ხს-იერ-ი (აქედან: მეხსიერება), მე-ცნ-იერ-ი, წად-იერ-ი (აქედან: წადიერება), კადნ-იერ-ი (ი-კადრ-ა; *კადრ-იერ-ი→კადნ-იერ-ი).

აღნიშნული სუფიქსის წინ აუხსნელი **ნ** ჩანს ბედ-**ნ**-იერ-ში და **რ** გემ-**რ**-იელ-ში (გემ-ნ-იერ-ი?); ღვთის-ნიერ-ში კი **ნ მ**-საგან ჩანს მიღებული, მაშასადამე, აქ ასეთი ვითარება უნდა გვქონდეს: ღვთის-მიერ-ი (§ 161).

„იერ“ სუფიქსს დღეს აღარ შესწევს ძალა, რომ ახალ-ახალი ფუძეებისაგან აწარმოოს სახელები. მისი ადგილი ამ მხრივ **იან**-მა დაიჭირა.

3. **ოსან.** აღნიშნავს რისამე მატარებელს ან მქონებელს: მანდილ-ოსან-ი (ვინც მანდილს ატარებს, — ეპითეტია დედაკაცისა), ქუდ-ოსან-ი (ეპითეტია მამაკაცისა), ჩოხ-ოსან-ი, ცხენ-ოსან-ი, მშვილდ-ოსან-ი, ვეფხის ტყა(ვ)-ოსან-ი, ფრთ-ოსან-ი, ჯვარ-ოსან-ი და მისთ.

ძველად **ოსან**-ს უფრო ფართო გამოყენება ჰქონდა, ვიდრე დღეს აქვს: იტყოდნენ, მაგ., ცოლ-ოსან-ი, წვერ-ოსან-ი და სხვ. („ორთა ძმათა წვეროსანთა ძმა მოჰყვანდა უწვერული“, «ვეფხ.»). ამჟამად ის კვლავ იკაფავს გზას ხმარებისათვის: ორდენ-ოსან-ი, მედლ-ოსან-ი, ფრიად-ოსან-ი და სხვ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. ზოგჯერ ამბობენ ხოლმე: „ფეხოსანი ჯარი“. შეცდომაა, უნდა: ქვეითი ჯარი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. „კრიალოსან-ი“ წარმომდგარია ბერძნ. კირიე ელეისონისაგან (**Κύριε ἐλέησον**), რომელიც „უფალო, შეგვიწყალე“-ს ნიშნავს. ასეთი წარმოშობა იმით აიხსნება, რომ ეკლესიაში ეს სიტყვები (ძველი ფორმით: „უფალო, შემიწყალენ“) ზოგჯერ რამდენჯერმე უნდა ეთქვათ ზედიზედ (12-ჯერ, 40-ჯერ). რადგანაც სიტყვების გამეორებისას მათი გუნებაში თვლა ძნელი საქმე იყო (განსაკუთრებით, როცა „უფალო შეგვიწყალე“ 40-ჯერ უნდა ეთქვათ), ამიტომ საჭირო რაოდენობით ასხმულ მძივებს იშველიებდნენ: ყოველი თქმისას თითოს ჩააგდებდნენ და, როცა ყველა გათავდებოდა, მექანიკურად გაიგებდნენ, რომ ლოცვის თქმა სათანადო რაოდენობით დასრულებული იყო. თუ საგანს ბერძნული სახელი დაერქვა და არა ქართული (სომხურად მას ეროვნული „ტერ ვოღორმია“ ჰქვია), ეს იმიტომ, რომ ქართული წირვა-ლოცვის დროს ეს სიტყვები ჩვენში ბერძნულადაც ითქმოდა. «გრ. ხანძთელის ცხორება», რომელიც X ს.-შია დაწერილი, ადასტურებს: „ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების, ხოლო კჳრიელეჲსონი ბერძულად ითქუმის, რომელ არს ქართულად: უ ფ ა ლ ო, წ ყ ა ლ ო ბ ა ყ ა ვ, გინა თუ: უ ფ ა ლ ო, შ ე გ ვ წ ყ ა ლ ე ნ“. ს. ორბელიანს თავის „ლექსიკონში“

„კრიალესვანი“ მოჰყავს ან „კრიალესონი“, რომლის მნიშვნელობით „მამათა ცხოვრებაში“ კენჭები იხმარებაო.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 3. რაც შეეხება „მგოსანს“, ის სპარსულიდან მოდის: კრსან, გრსან („მეჩანგე“), ოღონდ მას ქართულში მ დაერთო წინ: მ-გოსან-ი. მაშასადამე, ამ სიტყვის ოსან-საც არაფერი საერთო არა აქვს ოსან სუფიქსთან.

4. **ოვან.** დამოწმებულია რამდენსამე სახელში: გულ-ოვან-ი, სახელ-ოვან-ი, ლდ-ოვან-ი, ფერ-ოვან-ი (ერთ-ფერ-ოვან-ი) და სხვა. გვხვდება აგრეთვე სოფლის სახელებში: ვაშლ-ოვან-ი, ლელ-ოვან-ი, თელ-ოვან-ი, გორ-ოვან-ი, ლამ-ოვან-ი, წეროვანი (**წერი** — მიწიდან ამოღებული ნავთობი) და სხვ.

ამავე ტიპისაა ჯერ-ოვან-ი, რომელიც ნაწარმოებია „ჯერ“-ისაგან, რომელიც ცალკე არ გვხვდება, მაგრამ დამოწმებულია ზმნასთან: ჯერ-არს (=საჭიროა, შესაფერისია: ჯერ-არს შენდა=შეგშვენის, შეგეფერება, შენ უნდა...).

ხელ-ოვან-ი ნაწარმოებია „ხელ“-ისაგან (ძველი გამოთქმით: ქელ-ი) და მნიშვნელობით განსხვავებულია ხელ-ოსან-ისაგან, რომელიც იმავე ფუძისაგან არის ნაწარმოები.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. „ხც-ოვან-ი“ ნაწარმოებია „ხცე“ სიტყვისაგან, რომელიც ძველად ქცე-დ გამოითქმოდა და ნიშნავდა ჭაღარა თმას (მეგრ. ქ ჩ ე, ჩ ე — თეთრი); ხ ც ო ვ ა ნ ი — ჭაღარით მოსილი; აქედან (თანხმოვანთა გადასმით და მ-ს დართვით): მცხოვან-ი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. „ბანოვან-ი“ წარმოშობით არის სპარსული სიტყვა და სხვაგვარად დაიშლება (§ 110), ვიდრე ზემოთ მოყვანილები.

5. **ედ.** იხმარებოდა რამდენსამე სიტყვაში: ჯუარ-ედ-ი, თუალ-ედ-ი (თვლეაიანი), კარ-ედ-ი (კარიანი), ხატ-ედ-ი (=სახიანი), მუხლ-ედ-ი, ფესუ-ედ-ი, „საკალობელნი თავ-ედ-ნ-ი“ (ე. ი. აკროსტიხულნი, სადაც „თავნი იტყვან“.... ჯ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქ. ლიტ. ისტ. I, 1941, გვ. 153), შარავანდ-ედ-ი (შ ა რ ა ვ ა ნ დ ი — მეფის გვირგვინი, აქედან: შ ა რ ა ვ ა ნ დ ე დ ი — გვირგვინოსანი მეფე, მეფე; ამჟამად ორეოლის მნიშვნელობით იხმარება), კაპ-ედ-ი (ს. ორბ., ლექსიკონი, გაჭეჩა-სთან) და სხვ. ეს სუფიქსი ახალ ქართულში საზოგადოდ მკვდარია, მაგრამ მაინც არის ცდა მისი გამოცოცხლებისა: უჯრ-ედ-ი (რომლის ფუძე არაბულიდანაა ნასესხები: ჰუჯრა).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. „ხავერდი“ მიღებული უნდა იყოს „ხაო-ედ-ისაგან“ რ-ს ჩართვით: ხაოედი→ხავედი→ხავერდი (ე. ი. ხაოიანი).

6. **ა.** ეს მაწარმოებელი ქონების წარმოდგენას გვაძლევს გარკვეული ტიპის სახელებში: „წითელ პერანგ-ა ჯალათი“ (ჭავ., 428, 7); „ერთი შავტარ-ა დანა“ (ჭავ., 392, 40), „სქელ-კისერ-ა იამშჩიკი“ (ჭავ., 243, 6): „ცალ-თვალ-ა ტყავის ხურჯინი“ (ჭავ., 243, 13—14), „ცალ-თვალ-ა სასიმინდე“ (ჭავ., 332, 5), „სამფეხ-ა საკიდელი“ (ყაზ., 274, 32); („სამფეხ-ა“ იმერეთში ზედადგარს ჰქვია სამი ფეხის გამო), „ორ-ფეხ-ა მუტრუკი“ (ჭავ., 319, 29); ცხრა-ფეხ-ა, ას-ფურცელ-ა, თორმეტ-გოჯ-ა ნაწლავი, ენა-ჭარტალ-ა (ჭავ., 352, 24) და სხვ.. როგორც მაგალითებიდან ჩანს, ასეთი წარმოების სახელებს მსაზღვრელი ახლავს (რიცხვითისა ან ზედსართავი სახელის სახით), მაგრამ შეიძლება მსაზღვრელი არ ახლდეს:

„ღილებ-გახსნილი, პერანგ-ა, განსვენებას ეძლეოდა“ (ყაზ., 300, 37) წვერ-ა (თევზის სახელია, — იგივეა, რაც მურწა), თით-ა (ყურძნის ჯიშია) [შდრ. §§ 194].

ეგევე მაწარმოებელი გამოყენებულია მსგავსების აღსანიშნავად. მსგავსება შეიძლება იყოს ფერისა, მოყვანილობისა ან სხვა რამე ნიშნის მიხედვით: ქერ-ა (ქერის ფერი), სვილ-ა (სვილის ფერი: ს ვ ი ლ ი — ჭვავი), შვინდ-ა (შვინდის ფერი), ღვინ-ა (ღვინის ფერი; აქედან კნინობითი: ღ ვ ი ნ ი ა — ხარის სახელია), წითელ-ა (ავადმყოფობაა), კიდობან-ა („შეისვენეს კიდობანა ქვასთან“, ყაზ., 300, 37), მაყვალ-ა (ქალის სახელია) და სხვ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ლ ე ლ ა ქალის სახელია ფშავსა და ხევსურეთში (ერთი ლელა, სხვათა შორის, მოქმედი პირია ვაჟას «ბახტრიონში»). იგი ნიშნავს „ლელის ფერს“, „მოყვითალოს“, მაშინ როდესაც ლ ე ი ლ ა (ესეც ქალის სახელია) არაბულია წარმოშობით და „ღამეს“ ნიშნავს.

164. უქონლობის სახელები. ქონების სახელთა ანტონიმები (ე. ი. საწინააღმდეგო შინაარსისანი არიან) უქონლობის სახელები, ე. ი. სახელები, რომლებიც აღნიშნავენ უქონლობას ძირეულის ფუძით აღნიშნული საგნისას. უქონლობის სახელთა წარმოება ქართულში ორი ტიპისაა: **უ—ურ** და **უ—ო.** ესენი ერთნია წარმოშობით, მაგრამ მათი გამოყენება ქართ. სალიტერატურო ენის ხაზით განსხვავებულია ქრონოლოგიურად: უფრო ძველია **უ—ურ,** მაგრამ ამ წარმოების მაგალითებიდან მხოლოდ ნაშთია მოღწეული. სამაგიეროდ დღესაც მკვიდრია **უ—ო,** რომელიც ამჟამად ერთად-ერთი მაწარმოებელია უქონლობის სახელებისა ახალ სიტყვათა ფუძეებისაგან.

1. **უ—ურ** (რაე-ნარევ ფუძეებთან დისიმილაციით: **უ—ულ**) გვხვდება რამდენსამე სახელში: უ-ბედ-ურ-ი, უ-წეს-ურ-ი, უ-პატი(ვ)-ურ-ი, უ-მად-ურ-ი, უ-გონ-ურ-ი (ხმოვანთა ასიმილაციით: უ-გუნ-ურ-ი, ფუძისეული ხმოვნის ამოღებით: უ-გნ-ურ-ი), უ-მად-ურ-ი (ანტონიმია: მადლ-იერ-ი), უ-გმ-ურ-ი, უ-დღე-ურ-ი, უ-ძუძ-ურ-ი, უ-ძლ-ურ-ი და მისთ.; უ-წვერ-ულ-ი, უ-ფერ-ულ-ი, უ-ხერხ-ულ-ი და მისთ.

როგორც მაგალითებიდან ჩანს, ამ გზით არსებითთაგან ზედსართავებია ნაწარმოები, ოღონდ უ-ფსკრ-ულ-ი (რომელიც „ფსკერ“-ისაგან არის ნაწარმოები) და უ-ჟმ-ურ-ი (*უ-ჟამ-ურ-ი) არსებითებად არის ქცეული.

ასეთი წარმოება ორიოდე შემთხვევაში ზედსართავთა ფუძეებისაგანაც გვხვდება: კეთ-ილი — უ-კეთ-ურ-ი, წმი(ნ)და — უ-წმი(ნ)დ-ურ-ი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. უ-დაბ-ურ-ი, რომელიც ამჟამად „უღრანის“ მნიშვნელობით იხმარება („უდაბური ტყე“), წარმოშობით ნიშნავს დაუსახლებელ ადგილს, ისეთს, სადაც „დაბა“ არ არის.

2. **უ—ო.** ჩვეულებრივი მაწარმოებელია უქონლობის სახელებისა არსებითთაგან: უ-გულ-ო, უ-კბილ-ო, უ-ხელ-ო, უ-ფეხ-ო, უ-ჭკუ-ო, უ-ცოლ-ო, უ-შვილ-ო, უ-წყლ-ო, უ-ხორც-ო, უ-ქუდ-ო და მისთ.

ზოგ შემთხვევაში მსგავსი წარმოების სახელები მხლებელთაგანაც გვხვდება: უ-თუ-ო, უ-ებრ-ო [=რომელსაც მსგავსი არა ჰყავს, ვისაც ტოლი არა ჰყავს; **უ—არ-იანი** სახელების (უწყინ-არ-ისა და სხვათა) ანალოგიით: უ-ებარ-ი (ითქმის წამალზე)].

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. რადგანაც ზოგ შემთხვევაში ერთისა და იმავე ფუძისაგან ორივე წარმოების სახელი გვაქვს, ამიტომ მათ შორის შეიძლება მნიშვნელობის დიფერენციაციამ იჩინოს თავი: უ-თა(ვ)-ური და უ-თა(ვ)-ო, უ-ბედ-ურ-ი და უ-ბედ-ო, უ-წეს-ურ-ი და უ-წეს-ო, უ-რწყ-ულ-ი და უ-წყლ-ო.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. „უშნო"-ს ფუძე ჩანს „შუენ": უ-შუენ-ო→უშვნო→უ-შნ-ო (ანტინომია: შუენ-იერი→მ-შვენ-იერ-ი). საეჭვოა, რომ მას *շնորհ* -თან ჰქონდეს კავშირი („მადლს" ნიშნავს).

165. წარმომავლობის სახელები. ერთი წყება სუფიქსებისა აღნიშნავს არმომავლობას: **ელ, ურ, იურ, დელ, ეულ.**

1. **ელ.** მაჩვენებელია სადაურობისა ადამიანთათვის: გორ-ელ-ი, ონ-ელ-ი, ალაქ-ელ-ი, სოფლ-ელ-ი, მოსკოვ-ელ-ი, ამერიკ-ელ-ი და მისთ.

ძველ ქართულში შემონახულია რამდენიმე სახელი, რომელთაც **ელ** სუ-იქსის დართვისას კიდევ **მ** პრეფიქსიც მოუდიოდა: მ-არად-ელ-ი (არად-ეთ-ი ოფელია ქართლში), მ-როვ-ელ-ი (რუ-ის-ი-ც სოფელია ქართლში; მისი პარა-ელური ფორმა უნდა ყოფილიყო რო-ის-ი, აქედან მ-რო-ელ-ი, ვ-ს გაჩენით -ს შემდეგ: მ-რო-ვ-ელ-ი); ასეთივე წარმოებისაა: მ-არგუ-ელ-ი, მ-აწყუერ-ელ-ი აწყურის ეპისკოპოსთა ტიტული), მ-ეგვპტ-ელ-ი და სხვ.. ამ ტიპის წარმოება ღევანდლამდე შემონახულია მ-ეგრ-ელ-ში (მ-ეგრ-ელ-ი ნიშნავს ეგრ-ის-ის ცხოვრებს) და გვარებში: მ-ეტრევ-ელ-ი, მ-აჩაბ-ელ-ი და სხვ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ასეთ შემთხვევებში თავში დართული **მ** წარმოშობით იგივეა, რაც სვანური **მ** (მგ, მუ), რომელიც დღესაც აუცილებელია ადამიანთა სადაურობის საწარმოებლად: მგ-ლჰშხ—ლაშხელი, მუ-რუს (მუ-რჷს) — რუსი (აქედან გვარი მ უ რ უ ს ი ძ ე, რაც მნიშვნელობით იგივეა, რაც რუსაძე, რუსიშვილი, რუსია).

იმ სახელებს, რომელთაც **ის** და **ეთ** სუფიქსი აქვთ, ძველად **ელ** სუფიქსი ეერთოდა პირდაპირ ფუძეზე, რასაც რამდენადმე ეხლაც აქვს ადგილი: წავ-ის-ი და შინდ-ის-ი სოფლებია თბილისის ახლოს (კოჯრის გზის მარჯვნივ და მარცხნივ); იქაური მცხოვრებლები ამბობენ, რომ ისინი არიან წავკ-ელ-ები და შინდ-ელ-ები (არა: წავკისლები და შინდისლები). ამგვარადვე ურბნ-ის-ისა-ან (სოფელია ქართლში) დღესაც ურბნ-ელ-ს ამბობენ, ხოლო არად-ეთ-ისა და დუშ-ეთ-ისაგან ადგილობრივ არად-ელ-ი და დუშ-ელ-ი ითქმის. კახ-ეთ-ისა და იმერ-ეთ-ისაგან საყოველთაოდ ცნობილია: კახ-ელ-ი, იმერ-ელ-ი. მაგრამ მჟამად მრავალ შემთხვევაში აღარ ხერხდება **ის** და **ეთ** სუფიქსების მოკვეცა და **ელ**-ის დართვა; ძველად თუ ამბობდნენ: ტფილ-ელ-ი, ქუთათ-ელ-ი, მანგ-ლ-ელ-ი, ბოლნ-ელ-ი, ტბ-ელ-ი და სხვ., ეხლა სამაგიეროდ ვამბობთ: თბილი-ელ-ი, მანგლის-ელ-ი, ბოლნის-ელ-ი, ტბეთ-ელ-ი და მისთ.

ელ სუფიქსი ამჟამად მიმდევრობასაც აღნიშნავს: ლენინ-ელ-ი, სტახანო-ვ-ელ-ი, ფეხბურთ-ელ-ი.

2. **ურ (რაე**-ნარევ ფუძეებთან დისიმილაციით: **ულ) ელ**-ის ბადალია, და ღნიშნავს არა-ადამიანთა სადაურობას: ონ-ურ-ი, ქალაქ-ურ-ი, სოფლ-ურ-ი, მოსკო-(ვ)-ურ-ი; გორ-ულ-ი, ამერიკ-ულ-ი და მისთ.

ურ-ის დართვისას (ისე როგორც ელ-ის დართვისას) გეოგრაფიულ სა-

ხელს, რომელსაც ბოლოში **ეთ** და **ის** აქვს, შეიძლება ეს **ეთ** და **ის** ჩამოშორდე ძველი წარმოების თანახმად: დუშ-ეთ-ი: დუშ-ურ-ი მსხალი; კუმ-ის-ი: კუმ-ურ-ი ლეღვი; ურბნ-ის-ი: ურბნ-ულ-ი ვაშლი და მისთ.

ურ (ულ) ზოგჯერ ადამიანთა სადაურობასაც აღნიშნავს ზოგ-ზოგ კილოში (კახურში, ფშაურში): „სანათაი ვარ მე, შვილო, აფხუშოური ქალია“ (ვაჟა. «ბახტრიონი»). აფხუშო სოფელია ფშავში. ეს **ურ** საყოველთაოდ გატარებულია ზმნიზედებისაგან ნაწარმოებ სახელებში: სადა-ურ-ი, აქა-ურ-ი, მანდა-ურ-ი, იქა-ურ-ი, რომლებიც ადამიანზედაც ითქმის და არა-ადამიანზედაც მსგავსადვე გაურჩევლად ითქმის: გურ-ულ-ი (გური-ულისაგან: „გურული ქალი“, „გურული სიმღერა“), რაღგანაც ადამიანთათვის წესებრივად ნაწარმოებ „გური-ელ-ი“ მარტოოდენ გურიის ყოფილ მფლობელთა საგვარეულოს მიეკუთვნა. ასევე გაურჩეველია ქუთათ-ურ-ი-ც („ქუთათ-ელ-ი“ ქუთაისის მიტროპოლიტთა ტიტულად იქცა).

აღნიშნული **ურ (ულ)** სუფიქსი გვარების მაწარმოებლადაც არის გამოყენებული: ბექა-ურ-ი, ცაბა-ურ-ი, წიკლა-ურ-ი, გოგოლა-ურ-ი, ლომა-ურ-ი (ა-ს ნაწილობრივი ასიმილაციით: ლომოური[1]), გომელა-ურ-ი და მისთ.; ჯინჯარა-ულ-ი, თურმანა-ულ-ი, ქერა-ულ-ი და მისთ.

წარმომავლობის სუფიქსი **ურ (ულ)** გეოგრაფიულ სახელთაგან სადაურობას გვიჩვენებს, მაგრამ იგივე სუფიქსი სხვა სახელთაგან აღნიშნავს ვისებას სათანადო საგანთან მიმართებით: კაც-ურ-ი, ქალ-ურ-ი, ბავშვ-ურ-ი, მგლ-ურ-ი მხეც-ურ-ი და სხვ.; ვაჭრ-ულ-ი, მხატვრ-ულ-ი, ღორ-ულ-ი და სხვ.

შენიშვნა 1. ინდო-ეთ-ისაგან უნდა გვქონდეს ინდო-ურ-ი (შდრ ინდო-ელ-ი); ასეთი ფორმაც გვხვდება (მაგ., გურულში), მაგრამ სალიტერატურო ენაში, **აურ**-ზე გათავებული სახელების ანალოგიით, „ინდაური“ მკვიდრობს. „ინდაური“ ზედსართავია, მაგრამ არსებით სახელად იქცა მსაზღვრელის ჩავარდნის შემდეგ: ინდოური ფრინველი→ინდოური—ინდაური.

შენიშვნა 2. რამდენსამე სიტყვაში უცხო წარმომავლობის სუფიქსი **ი** ქართული **ურ**-ით არის შეცვლილი: ბედა-ურ-ი (არაბ.-თურქ. ბედავი ათ—ბედუინების ცხენი), შა-ური (შაჰ-ური, სპარს. შაჰī — შაჰ-ისა, შაჰის ფული; შდრ. აბაზ-ი და არა: აბაზ-ურ-ი, ე. ი. შაჰ-აბაზ-ის გაჭედილი ფული) [XIX ს.-ში „შაური“ 5-კაპიკიანს მიეკუთვნა, „აბაზი“ კი — 20-კაპიკიანს].

ამგვარივე შეცვლა გვაქვს ნუსხ-ურ-შიც. მოსალოდნელი იყო ნასხ-ურ-ი (არაბ. ნასხī), მაგრამ „ნუსხურად“ გადაკეთდა „ნუსხა“ სიტყვის გავლენით, რომელიც იმავე ძირისაა და არაბულიდანვეა ნასესხები და რომელიც პირს (კოპიოს) აღნიშნავდა, ხოლო ზოგ შემთხვევაში ედნად მიჩნეულ ცალსაც („ნუსხად მდებარე იყო დიდსა წიგნის საცავსა“ — ას იკითხება ვანის სახარების ანდერძში).

3. **იურ.** ამ სუფიქსში ორი მაწარმოებელია გაერთიანებული: ივ+ურ

---

[1] ცნობილი მწერალი ნიკო ლომაური თავისი გვარის დაწერის დროს დგილობრივ გამოთქმას იცავდა: ლომოური.

(აქედან: იურ). პირველი (ივ) მაწარმოებელია ძველი ბრუნვისა (§§ 79, 175,3). მეორე კი იგივეა, რაც ზემოთ განხილული **ურ**. შემონახულია რამდენსამე სიტყვაში: წლ-იურ-ი, ქვეყნ-იურ-ი, მზ-იურ-ი, ც-იურ-ი და მისთ. (ამათ ნაცვლად: *წლ-ივ-ურ-ი, *ქვეყნ-ივ-ურ-ი, *მზ-ივ-ურ-ი, *ც-ივ-ურ-ი).

ამ წარმოებაშია გაერთიანებული უცხო წარმოშობის ივ-ზე დართული ქართ. **ურ** (დისიმილაციით: **ულ**), რაც ერთად იმავე შედეგს გვაძლევს (ივ-ურ→იურ): აქტ-ი-ურ-ი (*აქტ-ივ-ურ-ი), პას-იურ-ი (*პას-ივ-ურ-ი), პოზიტ-იურ-ი (*პოზიტ-ივ-ურ-ი), იმპერატ-იულ-ი (*იმპერატ-ივ-ულ-ი) და მისთ.

4. **ეულ**. აღნიშნავს წარმომავლობას პირთაგან და ნათ. ბრუნვის ფორმას ერთვის: პატარძლის-ეულ-ი, ერისთვის-ეულ-ი, ჩემ-ეულ-ი („მაგა ცხენსა ჩემეულსა“, «ვეფხ.»), შენ-ეულ-ი („მასვე ცხენსა შენეულსა“, «ვეფხ.»).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ამ დაბოლოებისაგან არს. სახელი გაკეთდა; გურიაში იტყვიან: „ჩემი სოულობა“, „მისი სოულობა“ და სხვ., სადაც თავკიდური **ს** წარმოშობით ნათ. ბრუნვის ნიშნის ნაწილია: ნანეიშვილის-ეულ-ი (სოფელს ჰქვია გურიაში, საჯავახოში), აქედან ასეთი გააზრიანება: *ნანეიშვილი(ს)სეული [ასიმილაციით: ნანეიშვილი(ს) სოული].

ეს სუფიქსი შეიძლება პირდაპირ ფუძესაც დაერთოს: მამა-პაპ-ეულ-ი, მთ-ეულ-ი (→მთ-იულ-ი).

პირდაპირ ფუძეზე დართვას უნდა ჰქონდეს ადგილი მამ-ულ-სა და დედ-ულ-ში (*მამ-ეულ-ი, *დედ-ეულ-ი).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა „პატარძეული“ (სოფელია გარეკახეთში) ფუძეზე დართულ **ეულ**-ს გულისხმობს: პატარძ(ლ)-ეულ-ი.

[პოეტ გ. ლეონიძის ცნობით, პატარძეულში 1 კომლი პატარიძე ცხოვრობს. პატარძეულის ეკლესიაში XVII ს.-ის ჯვარზე მოხსენებულია, რომ ეს ჯვარი პატარიძეს შეუწირავსო. მაგრამ პატარძეული უკვე XI ს.-ში მელქისედეკ კათალიკოზის სიგელში იხსენება].

ეულ-ი იფართოებს მოქმედების არეს და აღნიშნავს ჯიშსაც, რომელიც სხვადასხვა სახის საგნებს აერთიანებს: ხილ-ეულ-ი, თევზ-ეულ-ი, ბოსტნ-ეულ-ი, პურ-ეულ-ი, ფართლ-ეულ-ი, შალ-ეულ-ი, ბეწვ-ეულ-ი, ვერცხლ-ეულ-ი (ვერცხლის ნივთები), ოქრო-ულ-ი (*ოქრო-ეულ-ი), ტკბილ-ეულ-ი და სხვ.. მაგ., ხილეულია: ვაშლი, მსხალი, ატამი, ყურძენი და სხვ.; თევზეულია: ორაგული, ზუთხი, ლოქო (ლლავი), ხრამული, გელაქნური, ფიჩხული და სხვ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. ო რ ა გ უ ლ ი წარმომდგარი უნდა იყოს არაგვ-ულისაგან (არაგვში ბლომად იცის ორაგული); ხ რ ა მ უ ლ ი — ხრამის (ქციის) თევზი, გ ე ლ ა ქ ნ უ რ ი — გელაქუნის ტბის კალმახი (გოგჩის ტბის, ანუ სევანის ტბის კალმახი, რომელსაც ადგილობრივ „იშხანს“ ეძახიან).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. ამჟამად ჩვეულებრივია, რომ ჯიშის აღმნიშვნელ სახელს კიდევ კოლექტიობის გამომხატველი **ობა** დაერთოს: თევზ-ეულ-ობა, ვერცხლ-ეულ-ობა, ტკბილ-ეულ-ობა და სხვ.

ეულ სუფიქსით არის ნაწარმოები რიგი სახელებისა: ერთ-ეულ-ი, ათ-ეულ-ი, ას-ეულ-ი, ათას-ეულ-ი, გუთნ-ეულ-ი (გუთანში შებმული ხარები და ყველაფერი, რაც ახლავს), აგრეთვე: ღირს-ეულ-ი, შორ-ეულ-ი და სხვ.

5. **დელ.** წარმოშობით ეს სუფიქსი რთულია: **დ-ელ**, რომლის პირველი ნაწილი მიღებულია **დღ**-ისაგან **(დღ-ელ-ი)**. იხმარება დროის აღმნიშვნელ სიტყვებთან: გუშინ-დელ-ი, შარშან-დელ-ი, წეღან-დელ-ი, უწინ-დელ-ი. ამ სიტყვების ანალოგიით **ნ** ჩნდება სხვა ფუძეებთანაც და მიღებულია ნ-დელ-ი: ხვალ-ი-ნ-(დ)ელ-ი, დღე-ი-ნ-დელ-ი (ითქმის დღე-ვ-ა-ნ-დელ-იც), კვირ-ი-ნ-დელ-ი, სადაც **ი** ნათ. ბრუნვის ნიშნის ნაშთია [ხვალ-ი-ნ-დელ-ი=ხვალი(ს)-დელ-ი].

166. აბსტრაქტული სახელები. აბსტრაქტულ ცნებათა აღმნიშვნელი სახელების საწარმოებლად გვხვდება სუფიქსები **ობა, ება** და პრეფიქს-სუფიქსი **სი—ე.**

1. **ობა.** ეს სუფიქსი საწყისური წარმოშობისაა და რთულია. **ობ-ა.** დღეს მას სახელთან მეტი კავშირი აქვს, ვიდრე ზმნასთან. მაგალითებით რომ ვილაპარაკოთ, „მხეცობა“ საწყისია „მხეცობ-ს“ ზმნისა, რომელიც თავისთავად ნასახელარი ზმნაა (ნაწარმოებია „მხეც“-ისაგან), მაგრამ „მხეცობა“ პირველ წყაროსთან („მხეც“ სახელთან) უფრო ახლო დგას, ვიდრე მისგან ნაწარმოებთან („მხეცობს“ ზმნასთან). რომ აგრეა, ეს, სხვათა შორის, იქედანაც ჩანს, რომ მოიპოვება რიგი **ობა**-ზე გათავებული სახელებისა, რომელთა ძირეულის ფუძისაგან ზმნა არ იწარმოება: ბატონყმობა, დღეობა, ხელობა (ქელობა), ხეობა (ჴეობა, ჴევ-ისაგან), თა(ვ)ობა (ასეთი გამოთქმებიდან: სამი თაობა, ახალი თაობა), წყალდიდობა და სხვ.. როცა ვამბობთ: „ამა და ამ პირთ კარგი ამხანაგობა აქვთო, ამით უფრო ის გვინდა ვთქვათ, რომ ისინი კ ა რ გ ი ა მ ხ ა ნ ა გ ე ბ ი არიან (და არა: „ისინი კარგად ამხანაგობენ“). აი ეს არის საფუძველი, რომლის მიხედვითაც ეს მაწარმოებელი აქ არის შემოტანილი.

„ობა“ განყენებულ ცნებათა სახელებს აწარმოებს არსებით სახელთაგან და მოქმ. გვარის მიმღეობათაგან: ძმ-ობა, მეგობრ-ობა, მეზობლ-ობა, მტრ-ობა, ვაჟკაც-ობა, მონ-ობა, ბავშვ-ობა და სხვ.; მშენებლ-ობა, დამაჯერებლ-ობა და სხვ.

„ობა“ სუფიქსით ნაწარმოებმა სახელმა შეიძლება კონკრეტული მნიშვნელობაც მოიპოვოს: ამ შემთხვევაში ის იქნება კრებითი (კოლექტიური) სახელი: მაგ., „სტუდენტობას“ ორგვარი მნიშვნელობა აქვს: აბსტრაქტული („ამ ვაჟს სტუდენტობა ძალიან მოუხდა“) და კონკრეტული („დღეს სტუდენტობა უნივერსიტეტის ეზოში შეგროვდა“). მსგავსი მაგალითებია: ქართველობა, მეზობლობა, ძმობა (სამონასტრო ცხოვრებაში ძველად).

„ობა“-თია ნაწარმოები ზმნიზედური გამოთქმები წონა-ზომისა და სხვა სახელთაგან: გირვანქობით, ფუთობით, მეტრობით, ასობით, ათასობით, პროცენტობით, თვეობით, წლობით და მისთ.. „დღეს გირვანქობით აღარავინ ყიდის რამეს“; „სულ თითო თხილობით ვაგროვე“ (ვაჟა. «ტყის კომედია», V, 440).

დამოუკიდებლად **ობ** სუფიქსი რამდენსამე სიტყვაში იხმარება; ესენია. მაღლ-ობ-ი, (მ)დაბლ-ობ-ი, ფერდ-ობ-ი, გვერდ-ობ-ი, ბექ-ობ-ი ანუ ბეგ-ობ-ი (ბეგობა, ყაზ., 883). ამავე წესით ახლად გაკეთებულია: ფართ-ობ-ი.

იგივე სუფიქსი ჩანს აგრეთვე: ჰა-ობ-სა, ჭყანტ-ობ-სა და ჰილ-ობ-ში (ჰ ი ლ ო ბ ი, ჰ ი ლ ო ფ ი — ჰილისაგან მოქსოვილი საფენი). ესენი ყველა კონკრეტული მნიშვნელობის მატარებელნი არიან.

2. **ება (ებ-ა).** ესეც ისეთივე წარმოშობის სუფიქსია, როგორისაც **ობა**, მაგრამ დღეს მას ზოგ შემთხვევაში თითქო არც კი აქვს კავშირი საწყისთანაო. **ობა**-საგან განსხვავებით, ის **იერ**-ზე გათავებულ ზედსართავთაგან აწარმოებს განყენებულ სახელებს: ბედნიერ-ება, გონიერ-ება, ზომიერ-ება, კადნიერ-ება, ლმობიერ-ება და სხვ.. ზმნური წარმოშობისაა, მაგრამ დღეს სახელია: ცხოვრ-ება; ზმნური ფორმა აქვს ფუძედ არს-ება-ს. ზმნის ფორმა ზედსართავად არის გამოყენებული და ამისაგან შემდეგ აბსტრაქტული სახელია ნაწარმოები: ღირს, ღირს-ი, ღირს-ება.

ება დადასტურებულია ძველი წარმოების „ღმრთა-ება"-ში (ხმოვანთა ასიმილაციით: ღმრთეება; აქედან: ღვთა-ება, ღვთაების მონასტერი). იგივე შეიძლება ითქვას „თავისუფლ-ებ-ის" შესახებაც („თავისუფალ-ი" ზედსართავია, მაგრამ შიგ შემავალი „უფალი" არსებითია).

პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონში **წინამძღურობა** ნიშნავს წინამძღვრად ყოფნას, წინამძღვრის მოვალეობის შესრულებას („ეგოს იგი წინამძღურობასა" 5,1), ხოლო **წინამძღურება** საწყისია ზმნისა („წინამძღურებითა ღმრთისაჲთა" 2,11). ეს ზმნა გვაქვს ამ ფრაზაში: „წადი, ღმერთი გიწინამძღვრებს" (ვეფხ. 1017).

რიცხვითთაგან ძველ წარმოებას ამჟღავნებს „სამ-ება", მაგრამ ამის საპირისპიროდ მოგვეპოვება: „ერთ-ობა".

ვნებითი გვარის მიმღეობა საზოგადოდ **ობა**-ს მიიღებს (ჰრილობა, გატეხილ-ობა, დაწერილ-ობა, დადგმულ-ობა, დაძაბულ-ობა, ზრდილ-ობა და სხვ), მაგრამ ძველი ქართულიდან მომდინარე ფორმებში **ება**-ც გვხვდება: განკარგულ-ება, განხეთქილ-ება, ხელ-შეკრულ-ება, გამოსახულ-ება, შთაბეჭდილ-ება და სხვ.

3. **სი—ე.** ეს მაწარმოებელი ბადალია **ობა**-სი, მაგრამ მათ შორის ის განსხვავებაა, რომ **ობა** სახელებს აწარმოებს ისეთ სახელთა ფუძეებისაგან, რომლებიც საგანს აღნიშნავენ, ხოლო **სი—ე** აწარმოებს ისეთებისაგან, რომლებიც საგანთა თვისებას ან ნიშანს გამოხატავენ. ითქმის **კაც-ობა** (და არა: ს ი კ ა ც ე), რადგანაც „კაცი" საგანია; სამაგიეროდ ითქმის **სი-თეთრ-ე** (და არა თ ე თ რ ო ბ ა), რადგანაც „თეთრი" საგნის ნიშანია, სხვანაირად რომ ვთქვათ, **ობა** აწარმოებს ახალ სახელებს არსებითთაგან (ხელ-ობა), **სი—ე** კი ზედსართავთაგან: სი-წითლ-ე, სი-ლურჯ-ე, სი-მაღლ-ე, სი-ძნელ-ე და მისთ.

ელ-ზე და **ილ**-ზე გათავებულ რამდენსამე ზედსართავს, აბსტრაქტულ სახელთა წარმოებისას, ჩამოეკვეცება ძველი სუფიქსები **ელ** და **ილ**: გრძ-ელ-ი: სი-გრძ-ე, სქ-ელ-ი: სი-სქ-ე, ცხ-ელ-ი: სი-ცხ-ე, ფიცხ-ელ-ი: სი-ფიცხ-ე, ბრტყ-ელ-ი: სი-ბრტყ-ე, ვრც-ელ-ი: სი-ვრც-ე, კეთ-ილ-ი: სი-კეთ-ე. ასეთივეა აგრეთვე „თხ-ელ-ის" პირვანდელი ფორმისაგან ნაწარმოები სი-თხ-ე, რომელსაც კონკრეტული მნიშვნელობა აქვს მიღებული.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. რამდენსამე სიტყვაში **სი—ე**-ს ნაცვლად გვაქვს **სი—ო**; ასეთი წარმოება იმ სახელებისაგან გვაქვს, რომელთა ფუძეს ბო-

ლოკიდურად ბაგისმიერი ბ მოუდის, ან უმარცვლო უ: თბ-ილ-ი: სითბ-ო, ტკბ-ილ-ი: სი-ტკბ-ო, ლბილი: სი-ლბ-ო („სილბო ჰქონდა ქსოვილსა და სიმტკიცე ნაჭედისა“, ვეფხ.) მსხვ-ილ-ი: სი-(მ)სხ-ო (*სი-მსხვ-ო).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. ზოგიერთი სახელისაგან წარმოება მერყეობს: არის **სი—ე-ც** და **ობა-ც** (**ება-ც**): სი-ძვირ-ე და ძვირ-ობა, სი-მშვენიერ-ე და მშვენიერ-ება (მშვენივრ-ობა), სი-ლაჩრ-ე და ლაჩრ-ობა, სი-ძლიერ-ე და ძლიერ-ება, სი-ჭაბუკ-ე და ჭაბუკ-ობა და მისთ.

ასეთ შემთხვევაში ზოგჯერ შეიძლება მნიშვნელობის განსხვავებას ჰქონდეს ადგილი: სი-მშვიდ-ე და მშვიდ-ობა.

167. დანიშნულების სახელები. დანიშნულების სახელებს ორმგი მაწარმოებელი აქვს, პრეფიქსი და სუფიქსი: **სა—ე, სა—ო, სა—ურ**. ჩანს, პრეფიქსი ყველგან ერთია, განსხვავებას ქმნის სუფიქსი.

1. **სა—ე**. გამოხატავს დანიშნულებას, განკუთვნებას: სა-ქათმ-ე, სა-ღორ-ე, სა-ცხვრ-ე, სა-ყურ-ე, სა-თვალ-ე, სა-ფულ-ე, სა-ძუ-ე, სა-პალნ-ე სა-ყინულ-ე, სა-კირ-ე და სხვ.. მრავალ სახელს ზედსართაობა დაკარგული აქვს საზღვრულის ჩავარდნის გამო და არსებითად ქცეულან: ს ა ღ ო რ ე — ღორისთვის განკუთვნილი ა დ გ ი ლ ი; ს ა ყ უ რ ე — ყურისთვის დანიშნულ ს ა მ კ ა უ ლ ი და მისთ.. რა თქმა უნდა, ზედსართაული გაგებაც შეიძლება შენახულ იქნეს: სა-ურმ-ე (გზა), სა-ქალმ-ე (ტყავი), სა-ველ-ე (სამუშაო), სა-ჩოხ-ე (შალი), სა-პერანგ-ე (მასალა) და სხვ.

დანიშნულების გაგება შეიძლება დაბნელდეს: სა-თავ-ე, სა-უკუნ-ე.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. „სასახლე“ (ძვირფასი სახლის მნიშვნელობით) სხვაგვარად არის ნაწარმოები: აქ **სა-ში** გვაქვს სპ. სიტყვა „სრა“ (რომელიც მოგვეპოვება აგრეთვე ნასესხებ ქარვა-სლა-ში, სადაც **ლ** დისიმილაციით არის მიღებული: ქარავან-სარა→ქარვა-სლა). „სასახლე“, მაშასადამე, წარმოშობით არის შერწყმული სახელი: სრა-სახლ-ი. მისი პირველი ნაწილი, —«ვეფხის ტყაოსანს» რომ თავი დავანებოთ, — ეხლაც გვხვდება დამოუკიდებლად: „ბატონის სახლი ს რ ა დ მისცეს“ (ვაჟა., «ნახევარ-წიწილა», IV, 172 1 ბ.), მაგრამ უფრო ხშირია „სახლ“-თან შერწყმულად ამარება: „მიჰმართეს მეფის ს რ ა-ს ა ხ ლ ს ა ვაით და ერთის ყოფითა“ (ვაჟა, «ახუნდი»); „ამ ხმაზე დიდი ს რ ა-ს ა ხ ლ ი ლიბო-ჭერითურთ ირვოდა“ (ვაჟა, «სული ობლისა»). როცა შერწყმულის პირველი ნაწილის გაგება დაბნელდა და **სა-დ** იქცა, გაადვილდა მთელი გამოთქმის „გაქართულება“: ბოლოში გაჩნდა სუფიქსი ე (სრა-სახლ-**ი→სა**-სახლ-**ე**). შეიძლება ასეთ ფორმას წინიდან კიდევ „სრა“ დაერთოს: „სრა-სასახლეები მაქვს გადაჭიმული“ (თ. რაზიკ., «გაზაფხული»).

2. **სა—ო**. იგივეა მნიშვნელობით, რაც **სა—ე**, ოღონდ ამას მეტი სასიცოცხლო ძალა აქვს: ახალ-ახალი სიტყვებისაგან ეს აწარმოებს სახელებს რომლებიც უმეტესად ზედსართავებია: სა-ექიმ-ო, სა-ჯარ-ო, სა-ქვეყნ-ო, სა-პატრძლ-ო, სა-უნივერსიტეტ-ო და სხვ.. ბევრ ასეთ სახელს არსებითის მნიშვნელობა აქვს მოპოვებული: სა-სადილ-ო, სა-მზარეულ-ო, სა-სამართლ-ო, სა-ხელოსნ-ო, სა-მრეკლ-ო, სა-ყელ-ო და სხვ.

ამ ტიპის წარმოება ხშირად გეოგრაფიულ სახელებშია გამოყენებული (§ 171, ი).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. ითქმის: სა-მის-ო, სა-ჩემ-ო, სა-თავის-ო, სადაც, სპეციფიკური ვითარების გამო, გამოსავლად ნათ. ბრუნვის ფორმებია აღებული.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. როგორც **სა—ე,** ისე **სა—ო** სახელებს აწარმოებენ არსებითთაგან. გამონაკლისია: სასწრაფო, საჩქარო და სხვ. (§ 152 შნშ.).

3. **სა—ურ** (რაე-ნარევ ფუძეებთან დისიმილ.: **სა-ულ**). დადასტურებულია რამდენსამე ძველი წარმოების სახელში; ესენია: სა-თა(ვ)-ურ-ი, სა-თი-ურ-ი, სა-ფეხ-ურ-ი, სა-მკერდ-ულ-ი, სა-ბეჰ-ურ-ი, სა-განძ-ურ-ი, სა-ბარკ-ულ-ი, სა-ცეცხლ-ურ-ი და სხვ.. ახლად გაკეთებული ჩანს: სა-ბარგ-ული.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. **სა—არ** ზმნათა ფუძეებისაგან ნაწარმოებ სახელებშია გავრცელებული: სა-ბუდ-არი, სა-წინდ-არი, სა-ჩივ-არ-ი, სა-ტკივ-არ-ი და სხვ. ს ა ბ უ დ ე — ბუდისთვის დანიშნული, ს ა ბ უ დ ა რ ი — სადაც იბუდებს.

168. წინა ვითარების სახელები. ქართულ ენას საშუალება აქვს, საგანი დაასახელოს იმის მიხედვით, თუ რას წარმოადგენდა ის წინათ ან როგორი ვითარება ახასიათებს მას წინანდელთან შედარებით. საამისოდ მას მოეპოვება წყვილ-წყვილი მაწარმოებლები: **ნა—არ** და **ნა—ევ,** რომლებიც ერთია ფუნქციით, მაგრამ ერთ ფუძესთან შეიძლება ერთი წარმოება იყოს დამკვიდრებული, მეორესთან კი მეორე: „ქმარ" სიტყვისაგან ნა-ქმარ-ევ-ი ითქმის (და არა: ნა-ქმარ-ალ-ი), მაგრამ „ცოლ"-ისაგან: ნა-ცოლ-არ-ი; „მთ"-ისგან ნა-მთ-ევ-ი გვაქვს, მაგრამ „იალაღ"-ისაგან — ნა-იალაღ-არ-ი; „ხმლ"-ისაგან—ნა-ხმლ-ევ-ი, მაგრამ „ტყვი"-ისაგან — ნა-ტყვი-არ-ი.

ზოგჯერ ერთი და იგივე ფუძე თანაბრად იგუებს ორივე სახის წარმოებას, რომლებიც ერთმანეთს შორის მხოლოდ სუფიქსით განსხვავდებიან.

საზოგადოდ, მოყვანილი აფიქსებით წარმოქმნილი სახელი გამოხატავს სხვადასხვა სახის ყოფილობას. ურთიერთობა ძირეულსა და წარმოქმნილს შორის ლექსიკური შინაარსის მხრივ ისეთია, რომ წარმოქმნილი აღნიშნავს:

ა) საგანს, რომელიც წინათ იგივე იყო, რაც ძირეულით აღნიშნული (მწყემსი: ნა-მწყემს-არ-ი);

ბ) ადგილს, სადაც წინათ ის საგანი იყო, რომელსაც ძირეული აღნიშნავს (სოფელ-ი: ნა-სოფლ-არ-ი);

გ) საგანს, რომელიც იმ ადგილს იყო, რომელზედაც ძირეული მიუთითებს (მთა: ნა-მთ-ევ-ი).

დ) დროს, როდესაც უკვე გავლილია ძირეულით აღნიშნული ხანი (შუაღამე: ნა-შუაღამ-ევ-ი).

შეიძლება ერთმა და იმავე სიტყვამ ორი სხვადასხვა მნიშვნელობა მოგვცეს: ნა-ლეკ-არ-ი ლეკ-ყოფილსაც აღნიშნავს და ლეკეთში (ლეკებში) ნამყოფსაც. ასეთივეა ნაოსარი.

1. **ნა—არ** (რაე-ნარევ ფუძეებთან დისიმილაციით: **ნა—ალ**):

ა) ნა-მასწავლებლ-არ-ი, ნა-ცოლ-არ-ი, ნა-შეგირდ-ალ-ი და სხვ.;

ბ) ნა-ქალაქ-არ-ი, ნა-სომხ-არ-ი (სოფელია), ნა-ტოტ-არ-ი (სადაც ტოტი დგმულა: „გეტყობა, არხოტის მთაო, ლურჯაის ნატოტარები“, «ხალხური პოეზია», I, 128), ნა-სახლ-არ-ი, ნა-ფეტვ-არ-ი, ნა-კალო(ვ)-არ-ი, ნა-საკირ-ალ-ი (ადგილია გურიაში), ნა-ტერფ-ალ-ი (სადაც ტერფი დგმულა), ნა-ტყვი-არ-ი (სადაც ტყვია მოხვედრილა), ნა-საყდრ-ალ-ი, ნა-პურ-ალ-ი, ნა-ქერ-ალ-ი (ნაქერალ-ა მთაა კახეთ-თუშეთის გზაზე და რაჭა-იმერეთის ქედზე), ნა-რიონ-ალ-ი (ძველი კალაპოტია რიონისა სადგ. საჯავახოსა და ნიგოითს შუა) და მისთ.;

გ) ნა-ციმბირ-ალ-ი (ციმბირს ნამყოფი).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. „ნაჭირმაგარი“ (ვისაც ჭირი უნახავს და ამაგი მიუძღვის) გაკეთებულია ჭ ი რ-ა მ ა გ-ისგან პირველი **ა** ხმოვნის ამოღებით: „მოგკალით ჩვენისვე ხელით მოძმეთთვის ნაჭირმაგარი“ (ვაჟა. ი. ჭავჭავაძის ხსოვნას). მოსალოდნელი იყო „ნაჭირამაგარი“.

2. **ნა—ევ.** ა) ნა-ყმ-ევ-ი, ნა-რძლ-ევ-ი, ნა-მამამთილ-ევ-ი;

ბ) ნა-ქალაქევ-ი, ნა-დარბაზ-ევ-ი, ნა-ბაკ-ევ-ი, ნა-ვენახ-ევ-ი, ნა-მარნ-ევ-ი [ნამა(რ)ნ-ევ-ი სოფელია ლეჩხუმში], ნა-ღორ-ევ-ი (სოფელია მთიულეთში=ნაღვარ-ევ-ი), ნა-ქულბაქ-ევ-ი (სოფელია; ქ უ ლ ბ ა ქ ი — დუქანი), ნადვალევი [სოფელი იყო, სადაც დვალები სახლებულან (თ. ჟორდ., ქრონ. II, 9); დ ვ ა ლ ი ოსთა ერთ-ერთი ტომის წარმომადგენელს ჰქვია] და სხვა. ამგვარადვეა ნაწარმოები, მაგრამ პირვანდელი მნიშვნელობა დაკარგული აქვთ და ახალი აქვთ მიღებული ამათ: ნა-ბარათ-ევ-ი (ბარათის ნაგლეჯი: ჭავ., 347, 31; 349, 17), ნა-წლევ-ი (პირველად ალბათ წვრილი წელი, შემდეგ საზოგადოდ წელი).

გ) ნა-მთ-ევ-ი (მთაზე ნამყოფი);

დ) დროული სიტყვები უმთავრესად ზმნიზედურად არის გამოყენებული: ნა-შუაღამ-ევ-ს, ნა-სადილ-ევ-ს, ნა-ვახშმ-ევ-ს, ნა-შობ-ევ-ს, ნა-აღდგომ-ევ-ს, ნა-ახალწლ-ევ-ს და მისთ.

როგორც ზემოთ არის აღნიშნული, ერთისა და იმავე სახელის ფუძისაგან **ნა—არ**-ითაც შეგვიძლია წარმოვქმნათ ახალი სახელი და **ნა—ევ**-ითაც: **ნა**-ვენახ-არ-ი და ნა-ვენახ-ევ-ი, ნა-ქალაქ-არ-ი და ნა-ქალაქ-ევ-ი, ნა-გომ-არ-ი და ნა-გომ-ევ-ი (სოფლის სახელებია: ერთია გურიაში, მეორე ქართლში), ნა-მონასტრ-ალ-ი და ნა-მონასტრ-ევ-ი, ნა-ზამთრ-ალ-ი და ნა-ზამთრ-ევ-ი, ნა-ბოსლ-არ-ი და ნა-ბოსლ-ევ-ი და სხვ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ზოგ შემთხვევაში **ევ** სუფიქსს **არ-ი** დართვია და ხმოვნის ამოღების გზით **(ე)ვ-არ**-ი გაკეთებულა: *ნა-ციხ-ევ-ი (შდრ. მეგრ. ნო-ჯიხ-ევ-ი, რომელიც სოფლის სახელია): ნა-ციხ-ვ-არ-ი (*ნაციხ-ევ-არ-ი), *ნა-დიკ-ევ-ი (დ ი კ ა პურია ერთგვარი): ნა-დიკ-ვ-არ-ი („ნადიკვარი“ ადგილია თელავში); *ნა-სიძ-ევ-ი: ნა-სიძ-ვ-არ-ი:

3. **ნა—ურ**-იც გვხვდება ერთ გეოგრაფიულ სახელში **ნა—არ**-ის ნაცვლად. ნა-დაბ-ურ-ი. ეს **ურ** ხელმეორედ არის დართული **ევ**-ზე მეორე გეოგრაფიულ სახელში: ნა-ტბ-ე(ვ)-ურ-ი [ნა-ტბ-ე(ვ)-ურ-ა].

წინა ვითარების საზოგადო სახელები ხშირად საკუთრად არის ქცეული (ნ. ქვემოთაც გეოგრაფ. სახელებში, § 171).

169. ხელობის სახელები. ხელობის გამოსახატავად გვაქვს ორი წყვილი აფიქსი: **მე—ე** და **მე—ურ**.

1. **მე—ე**: მე-ურმ-ე, მე-ფანდურ-ე, მე-დუქნ-ე, მე-ბაღ-ე, მე-მწვანილ-ე, მე-ქოთნ-ე, მე-ღორ-ე, მე-ჩექმ-ე, მე-ნავ-ე, მე-ტივ-ე, მე-ეტლ-ე, მე-ისრ-ე, მე-კარ-ე, მე-ხაზ'ინ-ე, მე-საათ-ე, მე-ველ-ე, მე-ტყავ-ე და სხვ.

2. **მე—ურ** (რაე-ნარევ ფუძეებთან: **მე—ულ**). ეს მაწარმოებელი მხოლოდ რამდენსამე სახელში გვხვდება: მე-ბაღ-ურ-ი, მე-ზღვა-ურ-ი, მე-ბარგ-ულ-ი და სხვ... ამგვარადვეა ნაწარმოები: მე-სვე-ურ-ი (ს ვ ე ჰქვია ერთ ჯერად გატანილ სამუშაოს მკაში, თიბაში, თოხნაში), მე-თა(ვ)-ურ-ი და სხვ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ბევრი ხელობის სახელი უცხო წარმოშობისაა: a) ა რ ა ბ უ ლ ი: ყასაბი (მეხორცე), დალალი (საქმის გამრიგე ვაჭრობაში), დალაქი, ბაზაზი, ხაბაზი (მეპურე), ჯალათი, დაბაღი (მეტყავე), ხარატი, ბაყალი (მემწვანილე) და სხვ.; ს პ ა რ ს უ ლ ი: იჯარადარი (იჯარით ამღები), ხაზინადარი, დახლდარი (ქავ., 247, 32) ან დახლიდარი (ყაზ., 380, 33=მედახლე, ვისაც დახლი აბარია), ჩალვადარი (გურ. ჩალანდარი, ე. ი. ჯილავდარი), ბაირაღდარი (ნაწილობრივი ასიმილაციით: ბაირახტარი — ბაირაღის ხელში მჭერი, მედროშე) და სხვ.

ასეთი სახელი შეიძლება „გაქართულდეს": მე-ყასბ-ე, მე-ბაყლ-ე, მო-ი-ჯარადრ-ე, მე-ბაირახტრ-ე.

170. რიგობითი და წილობითი სახელები. რიგის აღსანიშნავად რაოდენობით რიცხვით სახელთა ფუძეს დაერთვის პრეფიქს-სუფიქსი **მე—ე**, რომელიც იგივეა, რაც ხელობის სახელთა მსგავსივე მაწარმოებელი (§ 169): მე-ორ-ე, მე-სამ-ე, მე-ოთხ-ე, მე-ხუთ-ე... მე-ათ-ე, მე-თერთმეტ-ე, მე-თორმეტ-ე... მე-ას-ე, მე-ათას-ე და სხვ. „და"-თი შეერთებულ რიცხვით სახელებში ეს მაწარმოებელი უკანასკნელს დაერთვის (ერთეულს, ათს და ათმეტეულს): ოცდა-მე-ორ-ე, ოცდა-მე-სამ-ე... ოცდა-მე-ათ-ე, ორმოცდა-მე-თორმეტ-ე, სამოცდა-მე-ცამეტ-ე, ოთხმოცდა-მე-თოთხმეტ-ე და სხვ. (§ 48,2).

არ ითქმის მე-ერთ-ე, არამედ პირვ-ელ-ი, მაგრამ რთული შედგენილობის რიცხვებში შეიძლება ერთიც ითქვას და მეორეც: ოცდა-მე-ერთ-ე-ც და ოცდა-პირველ-ი-ც.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. „პირველი" ძალიან ჰგავს ინდოევროპ. შესატყვის სიტყვას (ლათ. prim-us, რუს. перв-ый), მაგრამ მას საფუძვლად ქართული **პირ**-ი უძევს: პ ი რ-ვ-ე ლ-ი — პირისაკენ მდგომი, წინ მდგომი. სემანტიკური თვალსაზრისით შდრ. ერთი მხრით წოვა-თუშური დოჰ-ქოტ (პირი, პირისახე) და *დოჰირე(ნ)—დუიჰრე(ნ) „პირველი", მეორე მხრით კი სომხ. ***առաջ*** (წინ) და ***առաջին*** „პირველი".

შ ე ნ ი შ ვ ნ ი ს შ ე ნ ი შ ვ ნ ა. წოვა-თუშურად მოყვანილი სიტყვა დაახლოებით არის გადმოცემული ქართული ასოებით: **ჰ** იქ უფრო „მაგარია", ვიდრე ქართულში, და, ამას გარდა, ფრჩხილებში ჩასმული **ნ** გადმოგვცემს წინა ხმოვნის ნაზალურ გამოთქმას.

წ ი ლ ო ბ ი თ სახელთა წარმოებისათვის ვითარებითი ბრუნვის ნიშანია გამოყენებული (§ 175) — რიგობითის ვითარებითი ფუძეა წილობითისა: მე-

ოთხ-ე — მეოთხე-დ-ი, მეხუთ-ე—მეხუთე-დ-ი, მე-რვ-ე—მერვე-დ-ი, მე-ოც-ე—მეოცე-დ-ი და სხვ.. რთულ რიცხვით სახელებში წილობითი კვალდაკვალ მისდევს რიგობითს: მე-თერთმეტ-ე — მეთერთმეტე-დ-ი, ოცდა-მე-სამ-ე — ოცდამესამე-დ-ი, ოთხმოცდა-მე-ხუთ-ე — ოთხმოცდამეხუთე-დ-ი და სხვ. (§ 48, 2).

„ერთ"-ისაგან წილობითი არ კეთდება საზოგადოდ, მაგრამ ითქმის: ოცდამე-ერთ-ედი, ას-მე-ერთ-ედი და მისთ.

„მეორედ"-ის ნაცვლად „ნახევარი" ითქმის, მაგრამ: ოცდა-მეორე-დ-ი, ოირმოცდა-მეორე-დ-ი, სამოცდა-მეორე-დ-ი და მისთ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. მსგავსად გაკეთებულია პირველ-ად-ი, მაგრამ სხვა მნიშვნელობით (первичный). რაც შეეხება დანარჩენ რიცხვითებს, მათთან ამავე მნიშვნელობით **ეულ**-ი არის გამოყენებული: მეორ-ეული (**вторичный**), მესამ-ეულ-ი და შემდგომი. ყველა ესენი უახლესი ენის მონაპოვარია, ტექნიკური ტერმინოლოგიის განვითარებით გამოწვეული.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. წილობის აღსანიშნავად რამდენსამე სიტყვაში გადმონაშთის სახით შენახულია **ნა—ალ**-იც: ნა-სამ-ალ-ი, ნა-ოთხ-ალ-ი, ნაათ-ალ-ი, ნა-ას-ალ-ი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 3. „ჩარექ-ი" (მეოთხედის მნიშვნელობით) სპარსულიდან არის შემოსული.

171. გეოგრაფიული სახელები. გეოგრაფიული სახელები ქართულში სხვადასხვა ტიპისა და სხვადასხვა წარმოშობისაა. ყველა მათი გათვალისწინება შეუძლებელია. აღვნიშნავთ მხოლოდ ზოგიერთებს:

ა) მოიპოვება რიგი გეოგრაფიული სახელებისა, რომელთაც საფუძვლად უძევთ ამა თუ იმ საგნის სახელი, ვთქვათ მცენარისა, ცხოველისა, ფრინველისა, მინერალისა და სხვისა. ასეთი სახელები ხშირად მრავლობითის ფორმით არის წარმოდგენილი: რკო-ნ-ი (კრკონ-ისაგან), მუხათ-ი, მსხლ-ებ-ი, ქვ-ებ-ი, კოშკ-ებ-ი, ხიზნ-ებ-ი, ბაგ-ებ-ი და სხვ. [§ 110].

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. კ რ კ ო, ძველი გაგებით, უნდა ჰრქმეოდა ხესაც და მის ნაყოფსაც (როგორც, ვთქვათ, ვაშლი, მსხალი, ატამი, წაბლი და სხვ.). ამჟამად რ კ ო (ფშაურად კ უ რ კ ო) მარტო ნაყოფს ჰქვია, ხეს კი მ უ ხ ა ს ვეძახით. მაშასადამე, (კ)რ კ ო ნ ი — მუხები. (იმერხეულსა და აჭარულში **კო** დღესაც მუხას ჰქვია).

ბ) სოფლის სახელი წარმომდგარია ამა თუ იმ გვარისაგან, რომელიც ამ პუნქტში სახლობს ან სახლებულა. ასეთი სახელები ხშირად მრავლობითის ფორმით არის მოცემული; ასეთია, მაგ., მთიულეთის სოფლები: სეთურ-ნ-ი, კაიშაურ-ნ-ი, ბეგო-ნ-ი, ზაქა-ნ-ი, როსტია-ნ-ი, ჰიკა-ნ-ი და სხვ. (სხვანაირად სეთურთ-კარი, ბეგოთ-კარი, ზაქათ-კარი და მისთ.).

გ) ამგვარივეა წარმოშობით კახეთის სოფლები (ქიზიყის ჩათვლით): მელა-ან-ი, გურჯა-ან-ი, მაჩხა-ან-ი, ოზა-ან-ი, ვაჩნაძი-ან-ი (ამჟამად: შრომა) და სხვ. (§ 163, I).

დ) ამგვარი წარმოშობის სახელები ნათ. ბრუნვის ფორმითაც არის დადასტურებული (ფშავსა და ხევსურეთში): ცაბაურ-თა, გოგოლაურ-თა, ბულალაურ-თა, მიგრიაულ-თა და სხვ. (ნაგენიტივარი სახელები, §§ 110, 155).

ე) **ებ**-იანი მრავლობითი გვხვდება მრავალი სოფლის სახელში: ჩიტაუ-რ-ებ-ი, ზარნაძე-ებ-ი, დვალიშვილ-ებ-ი და სხვ.

ვ) გადმონაშთის სახით შემონახულია **ევ** დაბოლოებიანი მრავლობითიც: ვაშლ-ევ-ი, ბოსლ-ევ-ი, ბეღლ-ევ-ი, ძეგლ-ევ-ი და სხვა (ვაშლ-ევ-ი=ვაშლ-ებ-ი, ბეღლ-ევ-ი=ბეღლ-ებ-ი, ბოსლ-ევ-ი=ბოსლ-ებ-ი): ა. შანიძე, **ევ** კილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში: მეცნ. აკად. მოამბე, ტ. 2, 1941, გვ. 761.

ზ) დასახლებული პუნქტების ერთი წყება წარმოადგენს კომპოზიტს, რომლის მეორე ნაწილია საზოგადო სახელი: ქალაქი, დაბა, სოფელი, უბანი, ციხე, ჯვარი, წყარო, ყანა, ხიდი და სხვ.; პირველი ნაწილი კი, წარმოშობით, მისი საზღვრელია: ახალ-ქალაქი, ახალ-სოფელი, ახალ-დაბა, ურიათ-უბანი, უფლის-ციხე (დღევანდელ ენაზე თარგმნით: ბატონის ციხე), ციხის-ჯვარი, ლამის-ყანა, ინის-ხიდი და სხვ.

ჱ) მდინარეთა სახელების ერთი ჯგუფიც კომპოზიტს წარმოადგენს, რომლის მეორე ნაწილია „წყალი" („წყალა"): ცხენის-წყალი, ეგრის-წყალი (=ენგური; მოსალოდნელი იყო: ეგრისის წყალი), აჭარის-წყალი, ხანის-წყალი, ევის-წყალა და სხვ.

თ) ხეობათა სახელებში ხშირად „ხევი" („ქევი") ან „ხევა" („ქევა") შედის. ასეთმა სახელმა შეიძლება წყალიც აღნიშნოს, მთელი ხეობაც და სოფლის სახელადაც იქცეს: კავთის-ხევი, კისის-ხევი, ხეფინის-ხევი, შარა-ხევი, თეთრა-ხევა და სხვ.

ი) გეოგრაფიულ სახელებში გამოყენებულია რიგი მაწარმოებლებისა, რომლებიც დანიშნულებას გამოხატავენ: **სა—ე, სა—ო, სა—ის, სა—ურ:** სა-მშვილდ-ე, სა-ბუ-ე, სა-ირმ-ე, სა-ღანძილ-ე, სა-ღვინ-ე, სა-კირ-ე, სა-ვან-ე, სა-კერპ-ო (სოფელია გუდამაყარში), სა-ცხენ-ის-ი, სა-ორბ-ის-ი, სა-ბად-ურ-ი (მთაა ერწოში) და მისთ.

ამგვარ სახელებს ხშირად ფუძედ აქვთ ეროვნულ-ტომობრივი, საგვარეულო ან რომელიმე მფლობელის სახელი, საკუთარი თუ საზოგადო: სა-მცხ-ე (*სა-მესხ-ე), სა-ქართველ-ო, სა-მეგრელ-ო, სა-ზან-ო, სა-ათაბაგ-ო, სა-ორბელ-ო, სა-ბარათიან-ო, სა-ციციან-ო , სა-ჯავახ-ო (ადგილ. გამოთქმით: საჯახო), სა-გურამ-ო, სა-შაბურ-ო, სა-კორინთელ-ო, სა-წულუკიძ-ო, სა-კოპაძე-ო, სა-ლომინა-ო, სა-დემეტრა-ო (დემეტრაძეთა სოფ.), სა-ჭილა-ო (ჭილაძეთა კუთვნილი), სა-პაიჭა-ო (პაიჭაძეთა სოფ.), სა-მიქა-ო (მიქაძეთა სოფ.), სა-გარეჯ-ო (თავდაპირველად: გარეჯის მონასტრის კუთვნილება) და მისთ.

ია) არაიშვიათია აგრეთვე სხვა მაწარმოებლები: **იან**-ი, **ოვან**-ი, **ნა—ევ**-ი, **ნა—არ**-ი, **ნა—ურ**-ი: ფიჭვ-იან-ი, წიფლ-იან-ი, კაკლ-იან-ი, მუხ-იან-ი, თელ-იან-ი და სხვ.; ვაშლ-ოვან-ი, ბალ-ოვან-ი, ჭილ-ოვან-ი და სხვ.; ნა-ვენახ-ევ-ი, ნა-დარბაზ-ევ-ი; ნა-ქალაქ-ევ-ი და სხვ.; ნა-ტახტ-არ-ი, ნა-სომხ-არ-ი, ნა-გომ-არ-ი, ნა-ქერ-ალ-ა, ნა-საკირ-ალ-ი და სხვ.; ნა-დაბ-ურ-ი, ნა-ტბ-ე(ვ)-ურ-ი და სხვ.

იბ) ბევრი გეოგრაფიული სახელი წარმოადგენს ნაგენიტივარ სახელს **ის** დაბოლოებით: თბილ-ის-ი, მანგლ-ის-ი, ურბნ-ის-ი, ქუთა(თ)-ის-ი, შინდ-ის-ი, მარილ-ის-ი (კახეთში), მარელ-ის-ი (იმერეთში), ჯვარ-ის-ა და სხვ. (§ 155).

საზოგადოდ, გეოგრ. სახელებში შეიძლება ყოველგვარი მაწარმოებელი იქნეს გამოყენებული. ზედმიწევნილობა რომ დავიცვათ, უნდა ვთქვათ: ყოველ-

გვარი წარმოების საზოგადო სახელი შეიძლება მიეკუთვნოს რომელსამე დასახლებულ პუნქტს ან ფიზიკურ-გეოგრაფიულ ობიექტს და იქცეს საკუთრად. კერძოდ საამისოდ „თანა“ თანდებულიანი წარმოებაც (§ 158) არის გამოყენებული მთაში: კალოთანა, წითელათანა, ტბათანა, კართანა და სხვ.

შენიშვნა. კალოთანა სოფელი იყო არხოტში (ამჟამად იქ აღარ ცხოვრობენ, კახეთს ჩამოვიდნენო); წითელათანა (წიფელათანასაგან?) ადგილია არხოტის ჭალაში („წითელათანა გაივსა არხოტ ნაჭოლით მკვდრითაო“: «ხალხ. პოეზია», 1, 111); ტბათანა საზაფხულო სადგომია ალვანელი თუშებისა ალაზნის თავში (იქ, ზემოთ, პატარა ტბაც არის, საიდანაც წარმოდგა სახელი); კართანა ადგილია ფშავში ჩარგლის ქვემოთ, სოფ. ყოფჩის ბოლოს, სადაც ხეობა ისე შევიწროებულია აქედან და იქედან მომდგარი კლდეებისაგან, რომ გეგონება არაგვი ძლივს გადის შიგაო. ის ერთგვარ „კარს“ წარმოადგენს და აქედან არის მისი სახელი:

„არაგვმა ლახტი აიღო ამირანისა რახანი,
მილეწ-მოლეწა კლდეები, მტკვარს გაადინა ჯახანი,
კართანას ფარი წაართვა, ქინვანს მოჰგლიჯა ჩაჩქანი“.
(ვაჟა, «გაზაფხული»).

„თანა“ თანდებულიანი გეოგრ. სახელები წარმოადგენს თუშურის შემონატანს ქართულში. ამ ოდესღაც დიდად გავრცელებული ენისა დღეს ნაშთიღაა მოღწეული წოვა-თუშურის სახით. „შემონატანი“ ამ შემთხვევაში თარგმნის საშუალებითაა მოცემული.

საკუთრივ გეოგრაფიულ სახელთა საწარმოებლად მოიპოვება სუფიქსი **ეთ**, რომლის ვარიანტია **ით**. ეს **ეთ** შეიძლება გაძლიერებულ იქნეს დანიშნულების პრეფიქსით **(სა—ეთ)**:

1. **ეთ**. ეს სუფიქსი არის ჩვეულებრივი და ყველაზე გავრცელებული სახე გეოგრ. სახელთა საკუთარი მაწარმოებლისა. ის უშუალოდ დაერთვის საზოგადო სახელთა ფუძეს: ტბ-ეთ-ი, ორბ-ეთ-ი, ქორ-ეთ-ი, ბი-ეთ-ი, ნიგოზ-ეთ-ი, თელ-ეთ-ი, კლდე-ეთ-ი და მისთ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ტომობრივი და ეთნიკური სახელები, რომლებისაგან იმავე **ეთ**-ის საშუალებით გეოგრ. სახელები კეთდება: ხევსურ-ეთ-ი, თუშ-ეთ-ი, მთიულ-ეთ-ი, სვან-ეთ-ი, ოს-ეთ-ი, სომხ-ეთ-ი, რუს-ეთ-ი, სპარს-ეთ-ი, არაბ-ეთ-ი და სხვ.

ამავე სუფიქსს ვხედავთ ქვეყნის მხარეთა სახელებში: აღმოსავლ-ეთ-ი, დასავლ-ეთ-ი, ჩრდილო-ეთ-ი, სამხრ-ეთ-ი.

ჩვეულებრივია ხმელ-ეთ-ი, მაგრამ ხელოვნურია წყლ-ეთ-ი: „თქვენს მეტი ვერვინ გვიამბობს ხმელეთის, წყლეთის ამბავსა“ (ვაჟა, I, 35, 5—6).

ამავე სუფიქსით არის ნაწარმოები რიგი დასახლებული პუნქტებისა, რომელთა ფუძის მნიშვნელობა ამჟამად ნათელი არ არის: სვენ-ეთ-ი, ხვედურ-ეთ-ი, გომარ-ეთ-ი, მურჯახ-ეთ-ი, დუშ-ეთ-ი (ხევსურულად: დუყ-ეთ-ი), არად-ეთ-ი, აჩაბ-ეთ-ი, არგვ-ეთ-ა და სხვ.

საყურადღებოა, რომ ეგევე სუფიქსია გამოყენებული „საიქიოს“ სახელთა საწარმოებლად: სულ-ეთ-ი, შავ-ეთ-ი, მკვდრ-ეთ-ი. ორი მათგანი ხალხურ მე-

ტყველებაშია დაცული მთაში, მესამე კი ძველი სალიტერატურო ენის კუთვნილებაა („მკვდრეთით აღდგა“).

ამავე კატეგორიისაა არსებითად სპარსულიდან შემოსული ჯოჯოხ-ეთ-იც, სადაც ქართულობას მარტო მისი წარმოება ამჟღავნებს (აჴ. სპ. დოზახ: სომხურში ქართ. ეთ-ს მრავლობითის ქ შეესატყვისება: *դժոխք* დჟოხ-ქ).

ამას გარდა, გვხვდება: ლუდ-ოვ-ეთ-ი (ლუდის ქვეყანა: «ხალხ. პოეზია», I, 200), გზ-ეთ-ი („უგზოს ვლიდენ, თუნდა გზეთსა“: «ვეფხ.»), უკუნ-ეთ-ი, ბნელ-ეთ-ი, სმა-ჭამ-ეთ-ი (ვაჟა, «მუცელა»), მოუსავლ-ეთ-ი (ვაჟა, «მოკვეთილი»).

2. ით. გვხვდება როგორც ვარიანტი **ეთ**-ისა რამდენსამე სოფლის სახელში: ღვანკ-ით-ი, როკ-ით-ი, მოლ-ით-ი, ბელლ-ით-ი, ხრე-ით-ი (*ღრე-ით-ი? სადაურობის სახელია: ხრე-ვ-ელ-ი) და სხვ. ამგვარადვეა ნაწარმოები: პირმზ-ით-ი (ვაჟა, «წიფლისჩიტა») და სომხ-ით-ი-ც.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ვ ა ხ უ შ ტ ი ს განმარტების თანახმად, „სომხითი“ ჰქვია საქართველოს იმ ნაწილს, რომელიც მდებარეობს „დებედიდამ ბოლნისის დასავლის მცირე მთამდე და ქციის მდინარიდამ ლელვარ-ლოქის მთამდე“. მაშასადამე, „სომხეთ-ი“ და „სომხით-ი“ ვარიანტებია ერთისა და იმავე სიტყვისა, მაგრამ ისინი სხვადასხვა ცნებას აღნიშნავდნენ.

3. სა—ეთ. გვხვდება სახელებში: სა-სირ-ეთ-ი (ს ი რ ი—ჩიტი), სა-ქაშ-ეთ-ი (სასირეთი და საქაშეთი სოფლებია ქართლში). სა-ბერძნ-ეთ-ი, სა-თათრ-ეთ-ი, სა-ფრანგ-ეთ-ი, სა-სარკინოზ-ეთ-ი (ასურეთი) პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონში (18,9).

ამგვარადვეა გაკეთებული სა-რკინ-ეთ-ი („იმერელმა რკინა მოჭრა და: ღმერთო, სარკინეთი ამოაგდეო“, ანდაზა, გაგონილი მთიულებს შორის ს. კორკში) და სა-მგლ-ეთ-ი („თხამ მგლის სიკვდილი გაიგო, დაიკიკინა, გაიქცა. — თხაო, რას გაგხარებია? განა ს ა მ გ ლ ე თ ი დაიქცა? (ხალხური: ძვ. საქართვ. III, 334).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. არაგვის ხეობის ერთი ნაწილისა და ივრის სათავეების მიმდგომ კუთხეს ფ შ ა ვ ი ჰქვია (აქედან სადაურობის სახელია ფ შ ა ვ ე ლ ი). ეს „ფშავი“ ვარიანტია „ფხოვ“-ისა, რომელიც „შუა-ფხო“-შია დადასტურებული (სოფელია ფშავში). „წინა ფხო“ ამჟამად არ არსებობს, მაგრამ „უკანა-ფხო“-ს ნაცვლად ადგილობრივ ამჟამად „უკვენა ფშავი“ ითქმის (სოფელია არაგვის ერთ სათავეში). ამიტომ ფშავ-ეთ-ი შეცდომაა ან პოეტური ლიცენცია, რომელსაც ვაჟა-ფშაველაც კი მიმართავს („ღმერთო და ჩვენო გამჩენო, ხატებო ფ შ ა ვ ე თ ი ს ა ო“: «ბახტრ.»). ლიცენციადვე უნდა ვცნათ სა-ფშავ-ეთ-ი („ურჯულოს უთქვამს: უნდა წავიდე და გავამტვერო ს ა ფ შ ა ვ ე თ ი ო“: «სულა და კურდღელა»).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. ჩვეულებრივ ითქმის ოს-ეთ-ი, მაგრამ სა-ოს-ეთ-ო-ც გვხვდება („მე რომ საოსეთოში ვიყავ ნაჩალნიკად“, ყაზ., 156, 20).

როგორც ყოველგვარ სიტყვას, გეოგრაფიულ სახელსაც შეუძლია ცვლილება განიცადოს დროთა განმავლობაში და ზოგჯერ მეტად დაშორდეს პირვანდელ სახეს. ამისი მაგალითებია: თბილისი (ძველად: ტფილისი), ქუთაისი (ძველად: ქუთათისი), ცხინვალი (ძველად: კრცხილოვანი, ქრცხინვალი), ჟინვალი (ძველად: ჟინოვანი), ერთაწმინდა (ძველად: ევსტათე წმინდა) და სხვ.

ზოგ შემთხვევაში ძველი სახელი გაუგებარი გამხდარა და ცდილან მის გააზრიანებას („ხალხური ეტიმოლოგია“): მეჯვრისხევი, გძელი პატიოსანი და სხვ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. მეჯვრისხევი სოფელია გორს ზემოთ მდინ. მეჯუდაზე. ძველად მას მეჯუდის ხევი უნდა ჰრქმეოდა.

„გძელი პატიოსანი“ ადგილი ყოფილა პატარა ლიახვზე. იქ ძველად ამართული უნდა ყოფილიყო „ძელი პატიოსანი“ (ე. ი. ჯვარი).

172. ხარისხის სახელები. ხარისხისა ჰქვია ისეთ სახელს, რომელიც საგნის ნიშანს გვიჩვენებს მეტი ან ნაკლები ოდენობით. ეს მეტ-ნაკლებობა დამყარებულია ძირეულისა და წარმოქმნილის შედარებაზე. რომ ავიღოთ, მაგალითად, ერთი მხრით „შავი“ და „უშავესი“, მეორე მხრით კი „შავი“ და „მოშა(ვ)ო“ და თვითეული წყვილის ცალები ერთმანეთს შევადაროთ მნიშვნელობის თვალსაზრისით, დავრწმუნდებით, რომ „უშავესი“ მეტია, ვიდრე „შავი“, ხოლო „მოშა(ვ)ო“ ნაკლებია, ვიდრე „შავი“.

შედარების დროს გამოსავლად აღებული ფორმა (წარმოქმნის თვალსაზრისით ძ ი რ ე უ ლ ი) მიჩნეულია დ ა დ ე ბ ი თ ხარისხად („შავი“), რომელთანაც შედარებით მასზე მეტი ოდენობის გამომხატველი ფორმა იქნება უ ფ რ ო ო ბ ი თ ი („უშავესი“) და მასზე ნაკლები კი — ო დ ნ ა ო ბ ი თ ი [„მოშა(ვ)ო“].

ხარისხის ფორმები ზედსართავთა კუთვნილებაა.

უფროობითსა და ოდნაობით სახელებს თავ-თავისი მაწარმოებლები აქვს; ესენია: **უ—ეს** და **მო—ო.**

1. **უ—ეს.** აწარმოებს უ ფ რ ო ო ბ ი თ ი ხარისხის სახელებს, ე. ი. სახელებს, რომლებიც საგნის ნიშანს უფრო მეტი ოდენობით გამოხატავენ, ვიდრე დ ა დ ე ბ ი თ ი ხარისხისანი: დიდ-ი: უ-დიდ-ეს-ი, ახალ-ი: უ-ახლ-ეს-ი, მდაბალ-ი: უ-მდაბლ-ეს-ი, წითელ-ი, უ-წითლ-ეს-ი, ერთგული: უ-ერთგულ-ეს-ი და მისთ.

ასეთი წარმოება თანაბრად გატარებულია ზედსართავებში, იქნებიან ისინი პირველადი (წითელი, სქელი) თუ ნაზმნარი (მწიფე, მჯობი), ქართული (თეთრი, გლახაკი) თუ უცხო წარმოშობისა (სპეტაკი, ღარიბი).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ზოგიერთ ენაში (მაგ., ბერძნულში, ლათინურში, რუსულში) დადებითი ხარისხის საპირისპიროდ მეტი თვისების აღსანიშნავად მოიპოვება ორ-ორი ფორმა, რომელთაგანაც ერთს შედარებითს ეძახიან (კომპარატივს), მეორეს კი აღმატებითს (სუპერლატივს). ქართულში ასეთი დიფერენციაცია არ არის: ზოგიერთი ენის მსგავსად (მაგ., არაბულისა), ქართულს მოეპოვება მხოლოდ ერთი ფორმა, რომელიც საგნის ნიშანს მეტი ოდენობით გამოხატავს, ვიდრე დადებითი; ეს არის უფროობითი (ელატიური) ფორმა.

მართალია, შეიძლება ზოგჯერ უფროობითი ხარისხის ფორმას წინ დაერთოს კიდევ მეორე **უ** (უ-უ-დიდ-ეს-ი, უ-უ-მშვენიერ-ეს-ი), მაგრამ ეს არის ხელოვნური ფორმა. ასეთ უფროობითს გ ა ძ ლ ი ე რ ე ბ უ ლ ი ეწოდება.

2. **მო—ო.** აწარმოებს ო დ ნ ა ო ბ ი თ სახელებს, ე. ი. ისეთ სახელებს,

რომლებიც საგნის ნიშანს ნაკლები ოდენობით აღნიშნავენ, ვიდრე დადებითი; დიდ-ი: მო-დიდ-ო, თეთრ-ი — მო-თეთრ-ო, შავ-ი — მო-შა(ვ)-ო, მჟავე — მო-მჟა(ვ)-ო და მისთ.

მიმართება უფროობითი ფორმისა დადებითისადმი ისეთი არ არის, როგორც ოდნაობითისა იმავე დადებითისადმი: საგნის ნიშანს უფროობითი გამოხატავს მეტი ოდენობით განუსაზღვრელად, ოდნაობითი კი — ნაკლები ოდენობით, მაგრამ ერთგვარი განსაზღვრით: მიახლოებით, ოდნავ; მაგალითად, „უ-თეთრ-ეს-ი" არის ისეთი, რომელიც სითეთრით უმაღლესი ხარისხისაა, „მოთეთრ-ო" კი ისეთია, რომელიც თეთრს უახლოვდება, რომელსაც სითეთრის ნიშნები აქვს, რომელიც ო დ ნ ა ვ არის თეთრი. აქედან არის წარმომდგარი მისი სახელი. მაგალითები სულხან ორბელიანის ლექსიკონიდან: **მომჟავო** — მცირედ მჟავე; **მომწარო** არს, მცირედ რამე გემო სიმწარისა ჰქონდეს: **მომსხო** — ცოტად სხვილი; **მოწლო** — ცოტად წვრილი.

ოდნაობითი ხარისხის ფორმები ქართულში უფრო ნაკლებად არის განვითარებული, ვიდრე უფროობითისა: ზოგი ზედსართავისაგან უფროობითი გვაქვს და ოდნაობითი კი — არა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. ოდნაობითი ხარისხის მნიშვნელობით იშვიათად **წა**-ც იხმარება: „ცრემლ რო ჩამოგდის მჩქეფარე მაგ ხმელს წ ა ყ ვ ი თ ლ ო პირზედა (ვაჟა, I, 24,26). „წ ა კ უ თ ხ ო ვ ნ ო მომცრო ასომთავრულით", (ილია აბულაძე, ქართ. და სომხ. ლიტ. ურთ., 0131, 11 ქვ.); წ ა ღ ვ ი ნ ი ს ფ ე რ ო და მისთ.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ როგორც **მო**, ისე **წა** წარმოშობით იგივეა, რაც სათანადო ზმნისწინები.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. ქართულს არ მოეპოვება თ ა ნ ა ბ რ ო ბ ი თ ი ხარისხის ფორმები (ეკვატიური ფორმები), როგორც ეს არის მეგრულში: მა-შხვ-ა „ისე მსხვილი, როგორც": გოლაში მაშხვა — მთის სიმსხო; კითიში მაგინძა — თითის სიგრძე.

თანაბრობითი ხარისხის მნიშვნელობით ქართულში გამოყენებულია ზედსართავისაგან **სი—ე** (სი—ო) აფიქსებით ნაწარმოები აბსტრაქტული სახელი: სიმსხო, სისქე, სიმაღლე, სიგრძე და მისთ., რომელიც შესადარებელი საგნის სახელს, მეგრ. თანაბრობითი სახელის მსგავსად, ნათ. ბრუნვაში მოითხოვს: „ტივის ხის ს ი მ ს ხ ო მკლავები" (ვაჟა, I, 30), „რომ დაგინთო ჩემ ს ი გ რ ძ ე სანთელი" (პ. იაშვილი), ჩემს თვალს არც იმ სითეთრე და არც იმ სირბილე პური არ უნახავ (რუსუდ. 170,28); არც მის სისხო თვალი და მარგალიტი სხვის ხელმწიფის სახლში მინახავს, რომ მას ტახტზე ისხდა (რუსუდ. 301,34).

ხარისხებს აწარმოებს ვითარებითი ზედსართავი, ე. ი. ზედსართავი, რომელიც პირველადია თავისი წარმოშობით. რაც შეეხება მიმართებით ზედსართავს, მისგან ხარისხის ფორმები არ იწარმოება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა უკვე მიმართებითობა დაკარგული აქვს და ვითარებითად არის ქცეული: „გონ"-ისაგან ნაწარმოები „გონიერი" და „უგნური" ორივე გვაძლევს უფროობითი ხარისხის ფორმებს: უ-გონიერ-ეს-ი, უ-უგნურ-ეს-ი. ასეთივეა „ძლიერი" და „უძლური" (რომლებიც მიმართებითია წარმოშობით, — ორივე ნაწარმოებია

„ძალ“-ისაგან); აგეთივეა: ღონიერი, ბედნიერი, ჭკვიანი, პატიოსანი („პატივ“-ისაგან) და სხვა.

მიმღეობათაგან ხარისხის ფორმები არ იწარმოება, თუ, რა თქმა უნდა, ხელოვნურ ენასთან არ გვაქვს საქმე (როგორც, მაგ., ქვე-შევრდომილი, კეთილ-შობილი: უ-ქვეშევრდომილ-ეს-ი, უ-კეთილშობილ-ეს-ი) ან თუ ზმნური გაგება არ **არის დაკარგული** და მიმღეობა ზედსართავად არ არის ქცეული (როგორიცაა, მაგ., მჯობი — უმჯობესი, მორცხვი — უმორცხვესი და სხვ.).

ხარისხის ფორმათა წარმოების თვალსაზრისით საყურადღებოა შემდეგი:

1. ზოგიერთ **ელ** და **ილ**-ზე დაბოლოებულ (უმეტესად ერთ-მარცვლიან) ფუძეებს მოეკვეცებათ ძველი მაწარმოებელი **ელ** და **ილ** და ხარისხის აფიქსები უშუალოდ პირვანდელ ფუძეს დაერთვის: გრძ-ელ-ი: უგრძ-ეს-ი, მო-გრძ-ო; სქ-ელ-ი: უ-სქ-ეს-ი, მო-სქ-ო; ბრტყელ-ი: უ-ბრტყ-ეს-ი, მო-ბრტყ-ო; მსხვ-ილ-ი: უ-მსხვ-ეს-ი (უ-მსხ(ვ)-ოს-ი), მო-მსხ(ვ)-ო; ტკბ-ილ-ი: უ-ტკბ-ეს-ი (ძველად: უ-ტკბ-ოს-ი: „თანა წამომყვა, წავედით უ ტ კ ბ ო ს ნ ი მამა-ძეთასა“, ვეფხ.), მო-ტკბ-ო.

2. „კეთ-ილ-ი“ ძველად „კარგს“ ნიშნავდა (хороший) და მისი უფრო-ობითი ფორმა იყო უ-კეთ-ეს-ი. უკანასკნელი ფორმა დარჩა, მაგრამ დადებითად „კეთილის“ ნაცვლად „კარგი“ დამკვიდრდა. ამიტომ ასეთი შეფარდება მივიღეთ: კარგი (კაი) — უკეთესი. რაც შეეხება „კეთილს“, მისი ხმარებაც დარჩა დღევანდლამდე, მაგრამ მნიშვნელობა ოდნავ იცვალა: კ ე თ ი ლ ი ამჟამად გულკეთილს ნიშნავს. ამ მნიშვნელობით სიტყვას უფროობითი ხარისხის ფორმა ხელახლა გაუკეთდა ჩვეულებრივი შაბლონით: კეთილი — უკეთილესი.

3. „წით-ელ-ი“ და „ყვით-ელ-ი“ ოდნაობითში პირვანდელი სუფიქსის ხმოვანს **ა**-დ იცვლიან: მო-წით-ალ-ო, მო-ყვით-ალ-ო. ამას გარდა, **ლ**-ს შეიძლება **ნ** შეენაცვლოს: მო-წით-ან-ო, მო-ყვით-ან-ო.

4. „მცირე“ ძველად უფროობითად „უმცირეს“ ფორმას გვაძლევდა („მე, უმცირესმან ძმათაგან, ვახტანგმან სახელდებულად“), მაგრამ მან „უფროსის“ გავლენით **ი** ხმოვანი დაკარგა და „უმცროსი“ მოგვცა (უკვე «ვეფხის ტყაოსანში» გვხვდება: «მე უხუცესმან უმცროსთა კაცი დავსთხოვე ქენებით») [§ 36].

„უმცირეს“ და „უმცროს“ ფორმები დაშორდა ერთმანეთს მნიშვნელობის მხრით: **უმცირესი** — მცირეზე ნაკლები (საზოგადოდ), **უმცროსი** — ხნით ნაკლები („უმცროსი ძმა“).

ხმოვნის ამოღებითვეა გაკეთებული ოდნაობითი ხარისხის ფორმაც: მომცრო („ერთი სომხური მომცრო ლექსიკონი ვნახე“, ს.-ს ორბელიანი).

5. „ხნიერ“-ისაგან უფროობითში წესით უ-ხნიერ-ეს-ი უნდა გვქონდეს, მაგრამ მის ნაცვლად უ-ხნ-ეს-ი გვხვდება. ოღონდ უნდა შევნიშნოთ, რომ „ხნიერი“ და „უხნესი“ დადებით-უფროობითად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ ფუძის თვალსაზრისით, თორემ შინაარსეულად მათ შორის განსხვავებაა: „უხნესს“ დადებითის ფორმა არსებითად აკლია.

6. გვაქვს „(მ)და-რე“ („მდარე ხარისხის საქონელი“), მაგრამ არა გვაქვს მისი საპირისპირო „აღ-რე“. სამაგიეროდ უკანასკნელისაგან ნაწარმოებია უფროობითი ხარისხის ფორმა: უ-აღ-რ-ეს-ი (უფრო ზმნიზედურად იხმარება: უაღრესად).

იგივე სიტყვა, **ღ**-ს ამოღებით, უ-არ-ეს-ის სახით არის წარმოდგენილი

და სხვა მნიშვნელობა აქვს მიღებული, — თითქმის უცუდესს უდრის და ანტონიმია უკეთესისა („ვინცა იყოს უარესი, თავ-შიშველი სამ დღე ვლიდეს“, «ვეფხ. ტყ.»).

> შენიშვნა. ნ. მარს უარესი „უ-ავ-რ-ეს-ის-გან გამოჰყავდა, ვითომც: უფრო ავ-იო (Грам., გვ. 70). არ არის სწორი: „უარეს-ი“ მიღებულია „უაღრეს-ისაგან“. სემანტიკური განვითარება „უაღრეს“ — „უარეს“-ისა ასეთია: უა(ღ)რესი, ე. ი. მეტის-მეტი — უპირატესად ცუდის თვალსაზრისით („ესე უარესი წამეკიდა“, ფავნელთა სიგელში, X ს.-ის პირვ. ნახ.), შემდეგ კი საზოგადოდ — უფრო ცუდი.

წარმოშობის თვალსაზრისით უფროობითის ფორმები ყურადღებას იპყრობს როგორც თავისი პრეფიქსით, ისე სუფიქსით:

1. პრეფიქსი **უ** იმავე წარმოშობისაა, რისაც სასხვისო ქცევის **უ**. მაგალითები რომ ავამეტყველოთ, **უ**-კეთ-ეს'ის **უ** და გა-**უ**-კეთა-ს **უ** ერთი და იგივეა ისტორიულად. ძველ სალიტერატურო ქართულში (IX ს.-მდე) ამ **უ**-ს წინ მიუძღოდა **ჰ** (ან **ხ**), რომელიც მე-3 პირის ნიშანი იყო ზმნაშიც და სახელშიც: **ჰ**-უ-კეთ-ეს ან **ხ**-უ-კეთ-ეს ფორმებში (ზედმიწევნით: **ჰ**-უკეთ-**ჱ**ს ან **ხ**-უკეთ-**ჱ**ს ფორმებში) ძველის-ძველად **ჰ** პრეფიქსის (resp. **ხ** პრეფიქსის) ფუნქცია ისე აღიქმოდა, როგორც იმავე ბგერისა გა-**ჰ**-უ-კეთ-ა ან გა-**ხ**-უ-კეთ-ა ფორმებში. „ჰუკეთესი“ ფორმის გვერდით უნდა არსებულიყო „გიკეთესი“ და „მიკეთესი“ თვითეული ამა თუ იმ პირის გაგებით: მ-ი-კეთ-ეს-ი — ჩემზე კარგი, გ-ი-კეთ-ეს-ი — შენზე კარგი, ჰ-უ-კეთ-ეს-ი (ან ხ-უ-კეთ-ეს-ი) — მასზე კარგი. შემდეგში მიკეთეს-გიკეთეს ფორმები დაკარგულა და კენტად დარჩენილ ჰ-უკეთეს ფორმასაც დაუკარგავს პირიანობის გაგება: იგი გამხდარა ხარისხის გაგების გადმომცემი საზოგადოდ, პირიანობის გარეშე.

ამ ძველის-ძველი დროიდან მომდინარეობს დღევანდლამდე შემონახული „ხუცესი“, რომელიც უფროობითის ფორმაა წარმოშობით: ხ-უ-ც-ეს-ი. ეს სიტყვა ამჟამად მღვდელს ნიშნავს, მაგრამ ძველად მისი მნიშვნელობა იყო „უფროსი“ (საეკლესიო პრაქტიკაში: უფროსი მღვდელი; აქედან შემდეგ საზოგადოდ მღვდელი). „უფროსის“ მნიშვნელობით ახლაც გვაქვს ამ სიტყვის ფონეტიკურად შესაფერისი სიტყვები მეგრულ-სვანურში: მეგ. უ-ჩ-ა-შ-ი („უფროსი“), სვ. ხ-ო-შ-ა („უფროსი“, „დიდი“). განმარტოებით შემორჩენილმა „ხუცესმა“ დაკარგა თავისი ფუნქცია და მისი თავკიდური **ხ** ფუძეში იქნა გადარიცხული. ამ ნიადაგზე მეორეული ფორმა იქნა წარმოქმნილი: უ-ხ-უ-ც-ეს-ი, სადაც პრეფიქსი **უ** ორჯერ არის ნახმარი: (მანდატურთ უხუცესი, მსახურთ უხუცესი, მეღვინეთ უხუცესი და მისთ.).

2. უფროობითი ხარისხის სახელს ძველად ბოლოში **ჱს** სუფიქსი ჰქონდა (ჰ-უ-მჯობ-**ჱ**ს-ი), ეს **ჱს** ასე დაიშლებოდა: **ე-ჲს** (§ 18), სადაც ორი მაწარმოებელი ერთად იყო შერწყმული. ამათგან **ე** პირველადი იყო და სრულიად საკმარისი, რომ პრეფიქსთან ერთად ხარისხის ფორმა მოეცა: ჰ-უ-მჯობ-ე. ასეთი ფორმები დადასტურებულია ბევრგან. მაგ., «ვეფხის ტყ.»-ში გვხვდება: უ-ამ-ე, უ-არ-ე, უ-მართლ-ე, უ-ნათლ-ე, «ქელმწიფის კარის გარიგებაში» სწერია: „ქუთათელი უმართლეა“ (=ქუთათელი [უფრო] მართალია).

ასეთი ფორმები ეხლაც ცოცხალი ყოფილა ზ. იმერეთში (მაგ., ს. ხრეით-

ში): უმაღლე, უხნე. აი ეს გარემოება, ერთი მხრით, და მეორე მხრით **უ—ო**, დადასტურებული უ-ფრ-ო-ჲს-ში და *უ-ტკბ-ო-ჲს-ში („უტკბოსნი მამა-ძთასა“: «ვეფხ.»), გვავარაუდებინებს, რომ ხარისხის პირვანდელი სუფიქსია **ჲ** ან **ო**: *ჰ-უ-მაღლ-ე და *ჰ-უ-ტკბ-**ო**. რაც შეეხება **ჲს** მაწარმოებელს, ის არის ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი (უკვეცელი ხმოვნის შემდეგ დასუსტებული: **ი → ჲს**). ასე რომ უფროობითი ხარისხის ფორმები არსებითად ნ ა გ ე ნ ი ტ ი ვ ა რ ი სახელებია.

ამ დებულებას, სხვათა შორის, ის გარემოებაც ადასტურებს, რომ სვანურში მოიპოვება ე-ს შესატყვისი მაწარმოებელი (ა: ხ-ო-შ-ა), **ჲს**-ისა კი — არა.

178. მცენარეთა კრებულის სახელები. ქართულში მოიპოვება სუფიქსი **ნარ** (რაე-ნარევ ფუძეებთან დისიმილ. **ნალ**), რომელიც დაერთვის მცენარის სახელის ფუძეს და აღნიშნავს ადგილს, სადაც ბლომად მოიპოვება ფუძით დასახელებული მცენარე: ნაძვ-ნარ-ი, ფიჭვ-ნარ-ი, წაბ(ლ)-ნარ-ი, წიფ(ლ)-ნარ-ი, იფნ-(ნ)არ-ი, კოპიტ-ნარ-ი (კ ო პ ი ტ ი — იფნი). ვერხვ-ნალ-ი, მურყნ-ნ)ალ-ი (მ უ რ ყ ა ნ ი — თხმელა), არყ-ნალ-ი, დაფ-ნარ-ი (სოფელია საჯავახოში) და სხვ. ამგვარადვეა ნაწარმოები: ბუჩქ-ნარ-ი, ძეძუ-ნარი (=ძეძვ-ნარ-ი, მატ. ქართლ. A 194,20), ყვავილ-ნარ-ი, ხეხილ-ნარ-ი, ბაღ-ნარ-ი (აქედან ს ა ბ ა ღ ნ ა რ ო: „იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“, «ვეფხ.»).

ორიოდე შემთხვევაში ასეთი წარმოება შეიძლება ისეთი სახელებისაგან, როგორიცაა: თიხა, ქვიშა, კირი, ქვა: თიხნარი, ქვიშნარი, კირნალი, ქვა-რნალ-ა (ადგილია ს. ნოღაში: მიღებული ჩანს აქედან: ქვალ-ნარ-ა).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. „მუხ“-ისაგან კრებულის სახელი იქნება „მუხ-ნარ-ი“, გადასმით: მუხ-რან-ი (სოფელია ქართლში, ქსანზე). მუხ-რ-ოვან-ი კი (სოფელია გარეკახეთში) შედეგია მუხ-ოვან-ისა და მუხრან-ის კონტამინაციისა.

174. უცხო აფიქსიანი სახელები. ქართულში მოიპოვება უცხო წარმოშობის აფიქსები, რომელთაც რამდენადმე მაწარმოებლის ძალა აქვთ ქართულშიც. საზოგადოდ, უცხო ენებიდან შემოსულ სიტყვებში ბლომად მოიპოვება წარმოქმნის აფიქსები, მაგრამ ეს აფიქსები ქართული ენის გრამატიკის თვალსაზრისით მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს მაწარმოებლად, თუ ნასესხებ აფიქსიან სიტყვასთან ერთად მის საპირისპიროდ ძირეულიც მოგვეპოვება. მაგ., ერთდროული არსებობა ყავ-ისა და ყავა-დან-ისა, ჩაი-სა და ჩაი-დან-ისა გამოჰყოფს **დან** სუფიქსს, რომელიც ქართულშიც აღიქმება მაწარმოებლად. სამაგიეროდ ჩამა-დან-ში და შან-დალ-ში იგივე **დან** ჩვენთვის არ გამოიყოფა მაწარმოებლად, რადგანაც ქართულში ცალკე არ იხმარება „ჩამა“ (გვხვდება ჯ ა მ ა „ჯამაგირ“-ში, რომელიც სხვა სუფიქსს გვიჩვენებს), არც „შან-ი“ [XVII—XVIII სს.-ში იხმარებოდა „შამი“ (შ ა მ ი და ფ ა რ ვ ა ნ ა — „სანთელი და პეპელა“); აქედან: შამ-დან-ი — სასანთლე. შემდგომი ფონეტიკური ცვლილებით: შანდალი].

განსხვავება სპარსულსა და ქართულს შორის „დან“ სუფიქსის ხმარებაში ის არის, რომ სპარსულისთვის ეს სუფიქსი საყოველთაოა და ჩვეულებრივი, ქართულისთვის კი მისი ხმარება ორიოდე მაგალითით ამოიწურება. ეს უზღუდულობა უნდა გვახსოვდეს, როცა უცხო წარმოშობის აფიქსებზე ვლაპარაკობთ.

უცხო წარმოშობის აფიქსებს შორის ქართულში გამოიყოფა: **დან, ხანა, დარ, იზმ, ისტ, ანტი.**

1. **დან.** სპარსულია, იგივეა მნიშვნელობით, რაც ქართ. **სა—ე** ან **სა—ო:** ყავა-დან-ი (საყავე ჭურჭელი), ჩაი-დან-ი (საჩაიე ჭურჭელი).

2. **ხანა.** სპარსულია, ნიშნავს სახლს; იგივეა მნიშვნელობით. რაც **სა—ე** (ადგილის აღსანიშნავად): ყავა-ხანა (საყავე ადგილი, დუქანი), ლუდ-ხანა (სალუდე), აგურ-ხანა (სააგურე), დაბა(ღ)-ხანა (სადაც ტყავსა ქნიან; დ ა ბ ა ღ ი — მეტყავე).

> შ ე ნ ი შ ვ ნ ა. იგივე სუფიქსია „ქარხანა“-ში. მაგრამ ქართული ენისათვის „ქარხანა“ შემადგენელ ნაწილებად არ დაიშლება.

3. **დარ.** ესეც სპარსულია, ნიშნავს მქონებელს; იგივეა მნიშვნელობით, რაც **მე—ე:** დახლი-დარ-ი (ან: დახლ-დარ-ი, ვისაც დახლი აბარია, მედახლე), ხაზინა-დარ-ი, იჯარა-დარ-ი (იჯარით ამღები რისამე, მეიჯარე), ბაირაღ-დარ-ი (მედროშე; ნ. კიდევ § 169, შნშ.).

4. **იზმ.** ბერძნულია წარმოშობით, აწარმოებს აბსტრაქტულ სახელებს, რომელთაგანაც ზოგი აღნიშნავს რომელსამე პირთან დაკავშირებულ მოძღვრებას. მრავალ შემთხვევაში **იზმ**-ი ქართ. **ობა**-ს უდრის: დარვინ-იზმ-ი, მარქს-იზმ-ი, ლიბერალ-იზმ-ი (ლიბერალური დამოკიდებულება, ლიბერალობა) და სხვ.

5. **ისტ.** ბერძნულია წარმოშობით, აღნიშნავს რომელიმე მოძღვრების მიმდევარს: დარვინ-ისტ-ი, მარქს-ისტ-ი, ბუდდ-ისტ-ი და სხვ.

ეხლვე **ისტ** გვხვდება ახალ-შემოსულ სიტყვებში: ტრაქტორ-ისტ-ი, ტანკ-ისტ-ი.

6. **ანტი.** ბერძნულია წარმოშობით, დაერთვის წინ, აღნიშნავს საწინააღმდეგოს: ანტი-სახელმწიფოებრივი, ანტიკოლონიური, ანტიიმპერიალისტური და სხვ..

175. ბრუნვის აფიქსებით წარმოქმნილი სახელები. ბრუნვის ნიშანი რომ წარმოქმნის აფიქსადაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს, ამისი თეორიული დასაბუთება ზემოთ არის მოცემული (§ 153); აქ კი ამგვარად ნაწარმოები სახელების ჯგუფებს აღვნუსხავთ. გვაქვს სუფიქსები: **ით, (ა)დ, ივ.**

1. **ით.** მოქმ. ბრუნვის ნიშანი ზედსართავ სახელთა წარმოქმნისათვის საზოგადოდ საკმაოდ გავრცელებულია სამეცნიერო და ტექნიკური ლიტერატურის ენაში; კერძოდ მრავალი გრამატიკული ტერმინი ამის საშუალებითაა გაკეთებული: დადებ-ით-ი, უარყოფ-ით-ი, ჩვენებ-ით-ი, მოქმედებ-ით-ი, ვნებ-ით-ი, კითხვ-ით-ი და სხვა. „ქვე“-საგან ამავე წესით ქვე-ით-ი არის მიღებული.

2. **ად** (ხმოვნების შემდეგ **დ**). ვითარებითის ნიშანიც ზედსართავ სახელებს აწარმოებს არსებითთაგან: თვალ-ად-ი, ტან-ად-ი, ფერ-ად-ი, პურ-ად-ი, ოღონდ ესენი არსებითებია (ს უ ლ ა დ ი — სარჩო, უმთავრესად ხორბლეული).

ხმ-ელ-ისაგან ამავე წესით ხმ-ი-ად-ი გვაქვს (ჴ მ ე ლ ი ს ანუ ხ მ ე ლ ი ს ერთი მნიშვნელობაა: მტკნარი, უმარილო, пресный; ხ მ ი ა დ ი — უფუვრად გამომცხვარი პური), ხოლო *ფრ-ელ-ისაგან (რომლის ფუძე „უ-ფრ-ოს“-შია დამოწმებული) იმავე გზით ფრ-ი-ად-ია მიღებული.

ამას გარდა, იგივე წარმოება სხვა ზედსართავისაგან არის დამოწმებული: დიდ-ისაგან გვაქვს დი-ად-ი (*დიდ-ად-ი, მარკ. 12,41 C; გამოსლვ. 9,18). მცირ-ისაგან მცირ-ედ-ი და, რიცხვით პირველ-ისაგან პირველ-ად-ი, უკანასკნელი („პირველადი") ახალ-შექმნილი ტერმინია. ძირ-ით-ად-ში და გულ-ითად-ში ორმაგი სუფიქსია[1]. ნელ-ად-ი (არა დიდი ხნისა: ადრეული და ნელადი) ზმნიზედისაგანაა ნაწარმოები (ნ ე ლ ა დ — недавно). ძირეული ზედსართავი („ნელი") ამ მნიშვნელობით ამჟამად თითქო არ იხმარება, მაგრამ მისგან ნაწარმოები ჩანს ძვ. ქართ. „ნიად" („ნიად განთიადსა მას ერთშაბათისასა", მარკ. 16,2 ახალ გათენებულზე კვირას).

როგორც აღნიშნულია, ეგევე სუფიქსი გამოყენებულია წილობით სახელთა საწარმოებლად: მესამე-დ-ი, მეათე-დ-ი და მისთ. (§ 170).

აღნიშნული წარმოება ამჟამად ძალიან იფართოებს მოქმედების არეს: ტექნიკური ლიტერატურის ენაში ჩვეულებრივი ხდება მსგავსად გაკეთებული ფორმები საწყისთაგან: ჭედა-დ-ი, ფეთქა-დ-ი (ფეთქება-დ-ი), დენა-დ-ი დნობა-დ-ი, ხსნა-დ-ი, ხურება-დ-ი, კუმშვა-დ-ი და სხვ.

3. **ივ.** ეს სუფიქსი წარმოშობით ბრუნვის ნიშანია (§ 97), მაგრამ წარმოსაქმნელადაც არის გამოყენებული: მწკრ-ივ-ი (ფუძეა *მწკარ-ი, რომელიც იგივეა, რაც ბწკარ-ი, პწკარ-ი), *ქმრ-ივ-ი [აქედან: ქვრ-ივ-ი; თავდაპირველად ითქმოდა მხოლოდ დედაკაცზე (ნაქმრევზე), შემდეგ კი — მამაკაცზედაც].

ეს **ივ** ერთვის არაბულიდან შემოსულ „მუდამ" ზმნიზედას და გვაქვს ზედსართავი: მუდმ-ივ-ი.

იგივე **ივ** შემონახულია ი(ვ)-ურ-ში: დღ-ი-ურ-ი, ც-ი-ურ-ი და სხვ. (§165,3).

იგივე **ივ** ერთვის **ებრ**-იან სახელს და გვაქვს **ებრ-ივ-ი**: გონ-ებრ-ივ-ი, ქონ-ებრ-ივ-ი, საზოგადო-ებრ-ივ-ი, ჩვეულ-ებრ-ივ-ი და სხვ.

ებრ-ივ-ის გავლენით შემდეგ **ობრ-ივ** არის გაკეთებული: კაც-ობრ-ივ-ი [აქედან: კაცობრი(ვ)ობა], ზნე-ობრ-ივ-ი, მამ-ობრ-ივ-ი, ჯგუფ-ობრ-ივ-ი, მიზეზ-ობრ-ივ-ი და მისთ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. **ებრივ**-სა და **ობრივ**-ს შორის ფუძეები ამჟამად ასეა განაწილებული: თუ ფუძეს „ება" აქვს ბოლოში, „ებრივ" მოუდის და, თუ „ობა", მაშინ კი „ობრივ": ღმერთ-ი — ღვთაება — ღვთა-ებრივ-ი („ღვთაებრივი კომედია"), მაგრამ კაც-ი — კაცობა — კაც-ობრივ-ი მაგრამ ძველად ითქმოდა: კაც-ებრივ-ი, მჴეც-ებრივ-ი და სხვ.).

176. წარმოქმნა რთული სახელებისაგან. რთული შედგენილობის სახელი, თუ ის ერთ-ცნებიანია, იმგვარადვე წარმოქმნის ახალ სახელს, როგორც მარტივი: დედაკაც-ი — სა-დედაკაც-ო, უ-დედაკაც-ო, დედაკაც-ობა; შვილიშვილ-ი — სა-შვილიშვილ-ო; წისქვილ-ი — სა-წისქვილ-ე, უ-წისქვილ-ო, მე-წისქვილ-ე; მამასახლის-ი — სა-მამასახლის-ო, მამასახლის-ობა და სხვ. ეს კია, რომ ზოგი ასეთი სახელისაგან ახალ სახელთა წარმოქმნა საზოგადოდ ჭირს: „ერთმანეთ"-ისაგან ჩვეულებრივ უ-ერთმანეთ-ო(დ) კეთდება, „დიდძალ-ი" კი სულ არ იძლევა არავითარ წარმოქმნილს.

---

[1] ძველად უნდა გვქონოდა *გულით-ი, რომლის ვითარებითია **გულითად**: არავინ მაქუს სხუაჲ ერთგული, რომელმანცა თქუენთჳს გ უ ლ ი თ ა დ იზრუნა (ფილიპ. 2,20); გ უ ლ ი თ ა დ იქმოდეთ (კოლას. 3,23). ამისგან მოდის დღევანდელი ორმაგ-აფიქსიანი **გულითად-ი**.

რაც შეეხება ორ- და მეტ-ცნებიან რთულ სახელებს, მათგანაც წარმოქმნა საზოგადო წესით ხდება: მთელი გამოთქმა ერთ ერთეულად არის მიჩნეული, პრეფიქსი პირველს მოუდის, სუფიქსი კი — უკანასკნელს. ამიტომ გვაქვს: ტოლ-ამხანაგ-ი — სა-ტოლ-ამხანაგ-ო, უ-ტოლ-ამხანაგ-ო, ტოლ-ამხანაგ-იანი, ტოლ-ამხანაგ-ობა; ცოლ-ქმარ-ი — ცოლ-ქმრ-ობა, ცოლ-ქმრ-ულ-ი; ტაშ-ფანდურ-ი — სატაშ-ფანდურ-ო („სატოშ-ფანდუროდ", ყაზ., 210,2); სად თქმულა მკერდ-გაღეღილი უხარ-გუთნოდა გურჯიო (ვაჟა) და მისთ. „ლუკმა-პურ"-ისაგან გვაქვს „ულუკმაპურო": „ულუკმაპუროდ დარჩენილს განზედ გამიდგა ამქარი" (ვაჟა).

> შ ე ნ ი შ ვ ნ ა. თავ-ბოლო-საგან უქონლობის ფორმად მოსალოდნელი იყო უ-თავბოლო-ო, მაგრამ გვაქვს: უთავბოლო (ერთი ო-თი).

177. წარმოქმნა მსაზღვრელ-საზღვრულისაგან. თუ სახელს მსაზღვრელი ახლავს, ატრიბუტული თუ მართული, ისიც შეიძლება მოექცეს წარმოქმნის ფარგალში.

ატრიბუტული მსაზღვრელი ფუძის სახით არის წარმოდგენილი: შავი მთა — შავ-(მ)თელ-ი (შავთელი), წითელი არმია — წითელ-არმიელი, დიდი მოურავ-ი — დიდ-მოურავიან-ი, ორი ლულა — „ორ-ლულიანი თოფი" (ჭავ., 363,3). თორმეტი აბაზი — „თორმეტ-აბაზიანი ცხვარი" (ჭავ., 386,26). ამგვარივე წარმოებისაა: ორ-შაურ-იან-ი, ხუთ-მანეთ-იან-ი, ათ-თუმნ-იან-ი, სა-თორმეტ-აბაზო და სხვ..

მართული მსაზღვრელიც იმავე ვითარებას გვიჩვენებს; რკინის ხიდი — უ-რკინის-ხიდ-ო, ქალაქის სადგური — სა-ქალაქის-სადგურ-ო, ვეფხის ტყავი — ვეფხის ტყა(ვ)-ოსან-ი და სხვ.. „ამ მოთხრობაში 12 ირმის რძეა უკვე და მხოლოდ ჩ ი ტ ი ს რ ძ ე-ღა აკლია, რომ ნამდვილ ქართულ ზღაპრად იქცეს. მაგრამ უ-ჩ ი ტ ი ს-რ ძ ე ო დ ა ც მას ზღაპრისა და ნატყუარობის უცილობელი თვისებები ახლავს" (ი. ჯავახიშვილი, დიპლომ., 174); „უ-პ ა რ ხ ლ ი ს-ს ა ხ ა-რ ე ბ ო დ ა ც ცხადია, რომ შატბერდის კრებული ეკუთვნის მეათე **საუკუნეს"** (თ. ჟორდ., ქრონ. I, 103);

> შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ჩვენებითი ნაცვალსახელი თავისებურებას იჩენს: ის კაცი — უ-იმ-კაც-ო-დ, ეს ბარათი — უ-ამ-ბარათო-დ. „ელისოს დათმობა ვაჟიასათვის შეუძლებელი იყო, რადგანაც თავისი არსებობაც კი ვერ წარმოედგინა უ-ამ-ქალოდ" (ყაზ.). შდრ. «ვეფხის ტყაოსნის» „უ-მის ყმის-ო-დ" (754), სადაც გამოსავლად ნათ. ბრუნვის ფორმაა მიღებული. ამგვარადვე: მისი ჟამი (=თავისი დრო) — უ-მის ჟამისოდ («ვეფხ.», 1475)..

IV. თხზვა

ზოგადი

177ა (160). წარმოქმნა და თხზვა. წ ა რ მ ო ქ მ ნ ა ს (დერივაციას), როგორც სახელთა შექმნის ერთ-ერთ საშუალებას, უპირისპირდება თ ხ ზ ვ ა (კომპოზიცია), რომელიც არსებითად სხვა საშუალებაა სახელის შესაქმნელად: წარმოქმნა გულისხმობს ახალი სახელის გაკეთებას სხვა სახელის ფუძისაგან მისი ძირითადი ლექსიკური მნიშვნელობის ცვლილებით (თავ-ი: თავ-იან-ი, უ-თა(ვ)ო,

სა-თა(ვ)-ურ-ი და სხვ.), თხზვა კი გულისხმობს ახალი სახელის წარმოშობას ფუძის გაორკეცებით (თავ-თავ-ი) ან ორი და მეტი სიტყვის შეერთებით: ერის-თავ-ი, ასის-თავ-ი, თავის-უფალი და სხვ..

თხზულ სახელს (კომპოზიტს) სხვანაირად რთულს ეძახიან.

ზოგადი ხასიათის წინასწარი შენიშვნების შემდეგ გადავიდეთ წარმოქმნის საშუალებათა აღნუსხვაზე.

178. თხზული სახელი ფორმისა და შინაარსის მიხედვით. თხზული სახელის შედგენა (კომპოზიცია) სხვადასხვა საშუალებით ხდება ქართულში: ფუძის გაორკეცებით: თავ-თავ-ი, ძერ-ძერ-უკ-ი; ორი სხვადასხვა ფუძის შეერ-თებით: თავ(ს)-მჯდომარე, თავის-უფალ-ი; ორზე მეტი სხვადასხვა სიტყვის ან ფუძის შეერთებით: (ა)თ-ერთ-მეტ-ი, ოც-და-სამ-ი, თავ(ს)-ქუდ-მოგლეჯილი, გულ(ს)-ხელ-დაკრეფილი.

შინაარსის თვალსაზრისით თხზული სახელი შეიძლება იყოს ერთ-ცნე-ბიანი (ქინძისთავი), ორ-ცნებიანი (წყალ-წაღებული) და ორზე მეტი ცნების შემცველი (ხელ-ფეხ-შეკრული). ერთ-ცნებიანი თხზული სახელები შეადგენენ კომპოზიტებს ვიწრო გაგებით (ანუ საკუთრივ კომპოზიტებს), ორ- და მეტ-ცნებიანი სახელები კი, რომლებიც ფორმალურად არიან ერთმანეთთან შეერთებული, კომპოზიტებად შეიძლება მიჩნეულ იქნენ მხოლოდ ფორმის თვალსაზრისით (კომპოზიტები ფართო გაგებით). საკუთრივ კომპოზიტებისა-გან განსხვავებით მათ შერწყმული ჰქვია.

ჩვეულებრივი მოვლენაა, რომ ორ-ცნებიანი კომპოზიტი ერთ-ცნებიანად იქცეს. მაგ., „ცის სარტყელა“, ერთ დროს ორი ცნების შემცველი სიტყვები, ანუ ორი სიტყვა, დღეს ერთ-ცნებიანია, ერთი სიტყვაა: ამ სიტყვის წარმოთქ-მისას არც „ცა“ აგონდება კაცს და არც „სარტყელი“. იგივე ითქმის „ქინ-ძისთავ“-ზე, „თავისუფალ“-ზე და მრავალ სხვაზედაც. „ქინძისთავიო“, რომ ვამბობთ, არც „ქინძი“ გვაგონდება და არც „თავი“, არამედ ორივე ეს სიტყვა ერთი საგნის წარმოდგენას გვაძლევს, მაშასადამე, „ქინძისთავი“ ერთი სიტყვაა.

ერთისა და იმავე შედგენილობის კომპოზიტს შეიძლება სხვადასხვა მნი-შვნელობა ჰქონდეს: ერთი მნიშვნელობით ის ორ-ცნებიანი იყოს, სხვა მნიშვნე-ლობით კი — ერთ-ცნებიანი: ხელ-მოკლე—1) ვისაც მოკლე ხელი აქვს (ორ-ცნებიანი კომპოზიტი); 2) ღარიბი, შეუძლებელი (ერთ-ცნებიანი კომპოზიტი); ჭირ-ნახული 1) ვისაც ჭირი უნახავს (ორ-ცნებიანი კომპოზიტი); 2) ხორბ-ლეულის მოსავალი (ერთ-ცნებიანი კომპოზიტი).

ერთ-ცნებიანი კომპოზიტის ნაწილები ერთად იწერება: პირისახე, მკათა-თვე, ალვისხე, ხელეჩო, თავმჯდომარე, ახალგაზრდა, თორმეტი, ხელმოკლე (=ღარიბი), ორ- და მეტ-ცნებიანი კი — დეფისით: ხელ-მოკლე (მოკლე ხე-ლიანი), ტოლ-ამხანაგი, მთა-მინდორ-ველი და სხვ.

შენიშვნა. ამ უკანასკნელ ხანებში ბევრი აღარ არჩევს ორ-ცნე-ბიან სიტყვებს ერთ-ცნებიანისაგან და მათაც უდეფისოდ წერენ: წყალწა-ღებული, გულგატეხილი, ხელმოკლე (ორივე მნიშვნელობით) და სხვ.

აქ, ანალიზის ჩვენებისას, დეფისი ერთ-ცნებიან კომპო-ზიტშიაც არის ნახმარი.

ფუძე-გაორკეცებული კომპოზიტები

179. ფუძის გაორკეცების სახეები. ფუძის გამეორება, ანუ გაორკეცება ერთ-ერთი საშუალებაა კომპოზიტის შესადგენად, რომელიც საკმაოდ გავრცელებულია როგორც სახელებში, ისე ზმნებში.

სახელებში ფუძის გაორკეცება შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს: მარტივი, თანხმოვნის დისიმილაციით, თანხმოვნის ჩავარდნით, ხმოვნის შენაცვლებით და, უკანასკნელ, დასაწყისი მარცვლის შენაცვლებით [შდრ. § 135].

180. მარტივი გაორკეცება. გაორკეცების გზით არის მიღებული ისეთი სახელები, როგორიცაა: მა-მა, დე-და, პა-პა, *ბე-ბა (კნინ. ბე-ბ-ია; ნაწოდებითარი: ბე-ბო), *ბა-ბა (ნაწოდებითარი: ბა-ბო, კნინ. ბა-ბუ-ა), გო-გო, ძუ-ძუ, წამ-წამ-ი, თავ-თავ-ი (=კუვილი, თაველი), ფრინველთა სახელები: კაჭ-კაჭ-ი, ლაკ-ლაკ-ი, ძერ-ძერ-უკ-ი, ყაპ-ყაპ-ი, წყალ-წყალ-ა (ანუ წანწყარა=თოხიტარა; დარქმევია წყალ-წყალ ფრენა-ხტომის გამო), ბალახების სახელები: ქონა-ქონა (=დანდური), ია-ია (გურ.=ია). მყრალა-მყრალა და სხვ.; ამათ გარდა, რიგი სხვა სახელებისა: ობ-ობ-ა, ჯო-ჯო და სხვ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. „პაპა“ აღმ. საქ. ნიშნავს მამის მამას ან დედის მამას, დას. საქ.-ში კი — იმაზე ერთი თაობით უფროსს, მაშინ როდესაც „ბაბუა“ (ბაბო) აღმოს. საქ.-ში ნიშნავს დიდედას, დასავლ. საქ.-ში-კი — მამის მამას ან დედის მამას (პ ა პ ა ს აღმოსავლური გაგებით).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. მთლად მარტივი არ არის გაორკეცება დედა-ში და ბებია-ში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 3. „ბულბულ-ი“ შემოსულია სპარსულიდან.

„ტერ-ტერ-ა“ (სომხის მღვდელი და შემდეგ მღვდელი საზოგადოდ) სომხურია.

„რიკრიკა“ (ნიშნავს თარგს დუშეთში და სხვაგან: „ცხოვრება თვითრჯულია, იგი კი არ გამოიჭრება ხოლმე ხალხისაგან მოგონილ რიკრიკაზედ“, ი. ჭავ.) გადმოკეთებულია რუსული выкройка-საგან, ხოლო „წივწივა“ (კიბის საფეხურების საყრდენი კოჭი) წარმომდგარია რუს. тетива-საგან.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 4. რიცხვით სახელთა გამეორებას სულ სხვა დანიშნულება აქვს: სამ-სამი, ათ-ათი, ოც-ოც-ი და სხვ..

181. გაორკეცება თანხმოვნის დისიმილაციით. ზოგ შემთხვევაში გაორკეცებული ფუძის ერთ-ერთ ნაწილში (იშვიათად ორივეში) დისიმილაციის გამო თანხმოვანია შეცვლილი: ცუნ-ცულ-ა (*ცულ-ცულ-ა: „ცულს მოვიტან ცუნცულასა“, ხალხური), გვირ-გვინ-ი, ზან-ზალ-აკ-ი (→*ზარ-ზარ-აკ-ი) და სხვ.

გაორკეცების თავისებურ მოვლენას წარმოადგენს ის სახელები, რომელთაც ფუძის უკანასკნელი თანხმოვანი **ტ** შეცვლილი აქვთ **რ**-დ პირველ ნაწილში: წერ-წეტ-ი (*წეტ-წეტ-ი), კერ-კეტ-ი (მეტად მაგარი), კირ-კიტ-ი (აქედან ფრინველის სახელი: კირ-კიტ-ა), ფირ-ფიტ-ი, ჩერ-ჩეტ-ი, ცერ-ცეტ-ი (*ცეტ-ცეტ-ი), ღირ-ღიტ-ა და სხვ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. „კუნკული“ (ბერის ქუდი) შემოსულია ბერძნულიდან.

182. გაორკეცება თანხმოვნის ჩავარდნით. ზოგ შემთხვევაში გაორკეცებული ფუძის ერთ-ერთ ნაწილში თანხმოვანია ჩავარდნილი და ამის გამო

გაორკეცების კვალი წაშლილია: ასეთებია: პატ-პატა'საგან (არჩილი, „საქართველოს ზნეობანი», სტროფი 67) მიღებული პატ-ატ-ა [ან დისიმილაციით: ბატ-ატა, თანხმოვნის ამოღებით: პაატა (კაცის სახელი), წარმომდგარია პატ-(პ)ატა-საგან], პაწ-აწ-ა [პაწ-(პ)აწ-ა-საგან; გვხვდება პაწ-პაწ-ინა-ც: „პაწპაწინა ნიგვზისტოტი“, ჭავ., «კაცია-ად.»)]. ასეთივე მაგალითებია: ბე(რ)-ბერ-ი, კო(რ)-კორ-ი. კუ(რ)-კურ-ი, ქუთ-(ქ)უთ-ო, ხუ(ლ)-ხულ-ა („პატარა რაღაც ხუხულა გაუკეთებია“, ი. ოსესშვ. 65,20), წი(პ)-წიპ-ო (წიფლის ნაყოფი, გურიაში, *წიფ-წიფ-ოსაგან, ფ→პ ნაწილ. ასიმილაციით წ-სთან), გო(რ)-გორ-ა (ურმის თვალი, მთლიანი ხისაგან გამოთლილი. გურიაში; ზმნის ფუძისაგან: გორ-ავ-ს) და სხვ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ზოგიერთი სახელი გაორკეცებულ ფუძეს გვიჩვენებს, მაგრამ მათ პარალელები მოეპოვებათ სხვა ენებშიაც: ოფ-ოფ-ი (შდრ. ლ. up-up-a, ἔπ-οπ-ς = ἔποψ ან ἀπ-αφ-ός, სომხ. (*յոպ - ոպ*), პილ-პილ-ი (ს. ***պղպիղ, պղպեղ*** ძველი გამოთქმით: პღლ-პილ, პღლ-პელ, არაბ.-სპ. **ფილ-ფილ**), ყა-ყაჩ-ო [*ყაჩ-ყაჩ-ო; შდრ. არაბ.-სპ. **ხაშ-ხაშ**, რომელიც შემოსულია ქართულში: ხაშხაში, ლაქლაქი („წითელი თურაშაულ ვაშლისავით ხაშხაში ლოყები“, ჭავ., 334,15—16; „ლოყები აუხაშხაშდა“, ჭავ, 398,31).

აქვე შეიძლება დავასახელოთ: გუ-გულ-ი (შდრ. ლ. cu-cul-us და პეპელ-ა (შდრ. ლ. pa-pil-io).

183. გაორკეცება ხმოვნის შენაცვლებით. არის რიგი სახელებისა, სადაც ფუძე მარტივად კი არ მეორდება, არამედ ამასთანავე ერთად ხმოვანიც იცვლება ერთ-ერთ ნაწილში (ჩვეულებრივ მეორეში). ამას გარდა, ცვლილება შეიძლება რამდენადმე სიტყვის მნიშვნელობასაც შეეხოს: გაორკეცებული ფუძე იხმარება სიმრავლის აღსანიშნავად (გ ო რ-გ უ რ-ი — გორები) ან დამცირების გამოსახატავად (მაგ., „ბიჭ-ბუჭები“ ჟღდებით ლაპარაკის დროს ითქმის) და სხვ.

ამ ტიპის სახელები (გარდა ისეთებისა, რომლებიც ნაწარმოებია ცალკე უხმარებელი ფუძეებისაგან) თავისებურ ჯგუფს ქმნიან კომპოზიტებს შორის და შერწყმულ სახელებს უახლოვდებიან.

მონაცვლე ხმოვანია ჩვეულებრივ **უ**, მაგრამ ზოგჯერ შეიძლება ა-ც იყოს:

ა—უ: ახალ-უხალ-ი (ახალგაზრდობა: იხმარება მრ.-ის ფორმით: „ხევსურთა ახალ-უხლები გადაქციან ტყემლადა“, ვაჟა, «ალუდა ქეთ.»), ბალახ-ბულახი (დარეჯანმა „ბევრი რაღაც ბალახ-ბულახი მიირთო“, ჭავ., «კაცია-ად.»), ძახილ-ძუხილ-ი („დგას ლიქოკს ძახილ-ძუხილი“, ვაჟა, «ძაღლიკა ხიმ.»), ნახრავ-ნუხრავი („ახლა კი ასეთ ხმელს ძვალებს დავეძებ ნახრავ-ნუხრავსა“, ვაჟა, «მთათა ერთობა»), ნაყარ-ნუყარ-ი, რამე-რუმე, ჯაგ-ჯუგი (ვაჟა, I, 34, 14), ღავ-ღუვი (მგლების ყმუილი, იქვე, 38,5), ტყლაპ-ტყლუპი (ხალხ. პ., № 399,5); პანტა-პუნტით („ჩამოდის პანტა-პუნტითა ყავარი გარეთ ნახური“, ვაჟა, IV, 345), ბაქი-ბუქი („სულ დაავიწყდა მაშინვე იმას ყინვაც და მისი ბაქი-ბუქიცა“, ლომ.), ხაბაკ-ხუბაკი (ე. ნინოშვ.) და სხვ. ამგვარივე წარმოებისაა აგრეთვე „აბდაუბდა“, რომლის ფუძე ცალკე არ იხმარება.

ე—უ: ხევ-ხუვ-ი, ერთ-ურთი (=ერთმანეთი, იხმარება მთაში, აქედან ყაზბეგისა და ვაჟა-ფშაველას ნაწერებში: ჩვეულებრივ კი ხმოვანი შეცვლილია პირველ ნაწილში: ურთი-ერთობა), ბერ-ბურ-ი (ხევს., «წელიწდეული», I34, 17),

უელე-ღულე, ძველ-ძ(ვ)ულ-ი (ე. გაბაშვ.), „სულ ძველ-ძულით მოსილნი“ («კათალიკოზ-ბაქარიანი» 74,2) და სხვ.

ი—უ: ბიჭ-ბუჭ-ი, ხილ-ხულ-ი (ჭავ., 435,10; ვაჟა, I. 209,7), ბინდ-ბუნდ-ი (ყაზ., 887,3 ბ.), ჭია-ჭუა (ჭავ., 258, 31) [ითქმის ჭია-ღუა-ც].

ო—უ: გორ-გურ-ი („სუ დაძრა ჩრდილი, გორ-გური“, ვაჟა, «მონადირე»).

ო—ა: ბორ-ბალ-ი, გორ-გალ-ი (ორივე დისიმილაციით: *ბორ-ბარ-ი, *გორ-გარ-ი): [ეს ორი სახელი ზმნათა ფუძეებისაგან არის ნაწარმოები: ბრ-უნ-ავ-ს, გორ-ავ-ს].

ი—ა: ჭიკ-ჭავ-ი, რიჟ-რაჟ-ი, ხირ-ხარ-ი (დისიმილაციით: ხ ი რ ხ ა ლ ი, მთური გამოთქმით ქ ი რ-ქ ა ლ-ი, ნიშნავს ჭიშკარში გაყრილ გრძელ ლატნებს).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ძველად იხმარებოდა „რიჟუ-რაჟუ“ („განთიად რიჟუ-რაჟუ ოდენ“, იო. 20,1 C). ჩვეულებრივ ახლაც „რიჟ-რაჟ'ი“ გვხვდება („რა მშვენიერი ხარ, დილის რიჟრაჟო!“ ჭავ., 254,36: „რიჟრაჟზედ“, ჭავ., 316, 27), მაგრამ ზოგჯერ, სხვა გაორკეცებულ სახელთა ანალოგიით, ხმოვანთა გათანაბრება გვხვდება: „შევხაროდი იმ რ ა ჟ რ ა ჟ „დილას“ (ჭავ., 307, 21), „ი რ ა ჟ რ ა ჟ ა თუ არა“ (ჭავ., 307, 20).

ქართულში „რიჟ(უ)“ ფუძე ცალკე არ გვხვდება სახელისთვის, მაგრამ მისი შესატყვისი კი ჩვეულებრივია სვანურში (რ ი ჟ — ცისკარი, სინათლე თენების ხანს), ზმნისთვის კი იხმარებოდა ძველადაც: შე- ოდენ -რიჟუნ-ებოდა (იო. 6,17).

184. გაორკეცება დასაწყისი მარცვლის შენაცვლებით. მოიპოვება ფუძის გაორკეცების ისეთი შემთხვევებიც, რომ შეცვლილი იყოს არა მარტო ხმოვანი, არამედ მის წინ მდგომი თანხმოვანიც (ან თანხმოვნებიც), ე. ი. მთელი მარცვალი იყოს შენაცვლებული. ამ შემთხვევაში ნაცვალი ხმოვანია **ა**, მაგრამ თანხმოვანს (ან თანხმოვანთა ჯგუფს) ენაცვლება **მ**, რის შედეგადაც მეორე ნაწილის დასაწყისში გვაქვს **მა**. ეს მოვლენა მკაფიოდ არის გამოხატული, მაგრამ ფართოდ გავრცელებული არ არის; ამის მაგალითებია: გიჟ-მაჟ-ი, ქოხ-მახ-ი, ჯუჭ-მაჭ-ი (ყაზ. 174, 19), ცოტა-მატა („ცოტა-მატა მეც მინაწილეო“, ვაჟა, «გოგრა»), ცუდ-მად-ი („ფილოსოფებრი და ღრმა არა შეუძლია, ცუდმადს ამბობსო“, ვახტანგ VI, «თარგ. ვეფხ. ტყაოსნისა», კგ; ცუდ-მადს მიჯნურსა ახელებთ ერთმანეთს გასახალისად (თეიმ. II, გაბაასება რუსთველთან), ყურე-მარე („დაძებნონ ჩემმა სწორებმა ყურე-მარენი მთისანი“, «ხალხ. პოეზ.». I, № 519. ი, 11; „განა ცოტა ყურე-მარე აქვს ამ ჩემს მამა-პაპურს დარბაზს?“ ვაჟა. «საახალწლო სიზმ.»), ძონძ-მანძ-ებ-ი („ძონძმანძებში გამოხვეული პაცანა“ გ. ნახუცრიშვილი, «სილვა ვასილიევი», 2, 21), ქინძ-მანძ-უკ-ა (რომელიღაც ბალახის სახელია ს. ორბელიანის მიხედვით). ასეთივე წარმოებისაა აგრეთვე ღიჭ-მა(ნ)-ჭ-ელ-ა (რაღაც მცენარეა რ. ერისთავის მიხედვით).

ამავე ტიპის გაორკეცებაა უთუოდ წვრილ-მალ-ი (ვაჟა-ფშ., V, 235,1; „მრავალნი ქუაბ-საქუაბენი და სხვანი მრავალნი წურილ-მალნი ჭურჭელნი“, ლაბეჭინის სახარების მინაწერი), ან დისიმილაციით: წვრილ-მან-ი; ძველ-მანი („ძველმანს სახურავს“, ვაჟა, II, 12,21) და მსხვილ-მან-ი (აქაც დისიმილაციაა; მოსალოდნელი იყო: ძველ-მალი, მსხვილ-მალ-ი). გაორკეცების შემდეგ ორივეს

არსებითის მნიშვნელობა აქვს მიღებული, კერძოდ „წვრიმალ“-ისაგან „საწვრიმალო“ არის ნაწარმოები.

> შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ამ გარემოების გაუთვალისწინებლად შეიძლება კაცმა დაიჯეროს, თითქო „წვრილმან“-ის მეორე ნაწილს რაიმე კავშირი ჰქონდეს სომხურ *մանր*-თან (**Н. Марр. Избранные работы, V, 18, прим. 2**).

თუ ფუძეში ა არის, ის არ შეიცვლება: ჯაგ-მაგი. ხოლო თუ ა იწყებს სიტყვას — მარტივად დაერთვის წინ **მ**: არე-მარე (რომელიც ასე დაიშლება. არე — მ-არე).

იგივე მოვლენა უნდა დავინახოთ „ახლო-მახლო“-ში, რომელიც ზედსართავია და ზმნიზედაც (უფრო უკანასკნელი), მიუხედავად იმისა, რომ ცალკე მ-ახლ-ობ-ელ-ი-ც გვხვდება.

თითქო ამავე ტიპის წარმოებაა: უსწორ-მასწორ-ი, უზარ-მაზარ-ი და უჩინ-მაჩინ-ი.

> შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. „აყალ-მაყალ-ი“ ნასესხები სიტყვაა, მაგრამ ზემოთ აღნიშნულ წარმოებასთან არის შეხამებული: წინ ა არის განვითარებული და ამნაირად არე-მარე-ს კორელაციაა შექმნილი: ა-ყალ-მაყალ-ი (არაბ.-სპ. ყ ჳ ლ-მ ა ყ ჳ ლ — ჩოჩქოლი, ჩხუბი).

184ა. გაორკეცებისაგან უნდა გარჩეულ იქნეს ა ს ო ნ ა ნ ს ი, რომელიც სიტყვას იმეორებს წინა თანხმოვნის შეცვლით (ან, თუ სიტყვა ხმოვნით იწყება, თანხმოვნის დამატებით). შემცვლელი (ან დამატებული) თანხმოვანია **მ** ან **ბ**: „გოგია კი არა, მ ო გ ი ა არ გინდა?“ (ჭონქაძე, «სურამის ციხე», თ. IV), „აკაკიები, ბ ა კ ა კ ი ე ბ ი“ (გრ. ორბ.), „ინჩი-ბ ი ნ ჩ ი ც არ იცის“ (სომხ. ი ნ ჩ — „რა“). ოხერ-მოხრები (ვაჟა. II. 121). შენ ერთი ქაღალდი უნდა გამიკეთო, რა ვიცი, ბ ი ლ ე თ ს ეძახიან თუ მ ი ლ ე თ ს ა, ქიზიყს ვაპირობ წასვლასა (ვაჟა, «დარეჯანი», V, 53) და სხვ.

> შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ასეთი მოვლენა სხვა ენებშიც არის დადასტურებული (სპარსულში, თურქულში და სხვ.) და ამიტომ ძნელია იმისი თქმა, ნასესხებია მთლიანად, თუ ქართულ ნიადაგზეა შექმნილი ასონანსი ასეთ გამოთქმებში: „ხათრი-მ ა თ რ ი“ (ვაჟა-ფშ.) და „ხურდა-მ უ რ დ ა“. უფრო მთლიანად ნასესხებსა ჰგავს. ყოველ შემთხვევაში, ფართოდ გავრცელება ასონანსებისა იმერხეულში იმას უნდა მიეწეროს, რომ ამ კილოზე მოუბრებმა თურქული იციან: „ბევრ ინადირებენ, დ ა თ ვ-მ ა თ ვ ბევრ მოკლვენ“ (მარი, Дневник поездки, 81). ს ი ს ხ ლ ი-მ ი ს ხ ლ ი გაართვა (იქვე, 65).

სხვა ტიპის კომპოზიტები

185. სხვადასხვა ფუძისაგან შემდგარი კომპოზიტების სახეები. სხვადასხვა ფუძისაგან შემდგარი ერთ-ცნებიანი კომპოზიტი, შედგენილობის ვითარების თვალსაზრისით, შეიძლება შემდეგი სახისა იყოს: ა) ნაწილები შეერთებულია „და“ კავშირით; ბ) ნაწილები ერთმანეთის მიმართ წარმოშობით მსაზღვრელ-საზღვრულია; თანაც მსაზღვრელი შეიძლება იყოს ატრიბუტული და

მართული (ნათ. ბრუნვაში დასმული); გ) ნაწილებს შორის გამოხატულია სხვადასხვა ურთიერთობა სხვა ბრუნვების საშუალებით.

186. და კავშირით შეერთებული კომპოზიტი. „და“ კავშირებს ოცეულებთან ერთეულებს, ათსა და ათმეტეულებს: ოც-და-ერთ-ი, ოც-და-ორ-ი, ოც-და-ათ-ი, ორმოც-და-თერთმეტ-ი, სამოც-და-თექვსმეტ-ი და მისთ.

იმავე კავშირით არის შეკრული მიმართულების აღმნიშვნელი ზმნისწინები „მი“ და „მო“ და მიღებულია არსებითი სახელი: მიდამო; ამგვარადვეა ნაწარმოები დღე-და-ღამე (24 საათის განმავლობის მნიშვნელობით; „დღე-ღამე“-ც ითქმის), ზე-და-ქვე (ორ-სართულიანი სახლი მთიულეთში) და რიგი ზმნიზედებისა, მათ შორის „პირ-და-პირ“, რომლისაგანაც ზედსართავი სახელია გაკეთებული: პირ-და-პირ-ი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. „თავი-და-თავი“ (=უმთავრესი) და „სხვა-და-სხვა“ ამავე წესით შედგენილი კომპოზიტებია, მაგრამ ერთისა და იმავე ფუძისაგან.

187. ატრიბუტულ მსაზღვრელიანი კომპოზიტი. ხშირია, რომ ატრიბუტული მსაზღვრელი შეზრდოდეს საზღვრულს და მასთან ერთად ერთი ცნების გამომხატველი რთული სიტყვა მოეცეს. რიგის მიხედვით მსაზღვრელი ჩვეულებრივ პირველ ადგილზეა, იშვიათად მეორეზე.

მსაზღვრელად შეიძლება იყოს: არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი, მიმღეობა.

1. ა რ ს ე ბ ი თ ი მ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ ა დ. თუ მსაზღვრელს ფუძე თანხმოვნით უთავდება, შეიძლება იგი სახელობითის ნიშნით შეეზარდოს საზღვრულს ან შეიძლება მას ეს ნიშანი არ ჰქონდეს. ამ მხრივ ზოგ კომპოზიტში ერთი ვითარებაა (ქალი-შვილი), ზოგში სხვა (ქალ-ბატონი), ზოგიც მერყეობს: შეიძლება ი-ს შენახვაც და მისი მოკვეცაც (გლეხი-კაცი და გლეხ-კაცი). მაგალითი: პირისახე, ვაჟი-შვილი, ვაჟ-კაცი (ან: ვაჟი-კაცი), ვაჟ-ბატონი, ფურ-კამეჩი, ფურ-ირემი, ხარ-კამეჩი, ხარ-ირემი, ძელ-ქვა (ხეა) და სხვ.

თუ მსაზღვრელს ფუძე ხმოვნით უთავდება, კომპოზიტში იგი წარმოდგენილია ფუძის სახით: მამა-კაცი, დედა-კაცი, დედა-ბოძი, დედა-მიწა, დედოფალი (←დედა-უფალი, § 34), მამფალი (←მამა-უფალი, ძვ. ქართ.), ქვა-მარილი, ქვა-ნახშირი, კლდე-კარი, ბადე-ქონი და სხვ.

როგორც მაგალითებიდან ჩანს, მსაზღვრელად ხშირად ბუნებრივი სქესის აღმნიშვნელი სიტყვებია: მამა-კაცი, ქალი-შვილი, ქალ-ბატონი, ხარ-კამეჩი, ფურ-ირემი და სხვ.

2. ზ ე დ ს ა რ თ ა ვ ი მ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ ა დ. ა) პირველ ადგილზე მდგომი ზედსართავი კომპოზიტებში ფუძის სახითაა წარმოდგენილი: ავ-დარი, ახალგაზრდა, ახალ-თესლი, უსურ-ვაზი (←*ოსურ-ვაზი), დი(დ)-დედა, დიდ-ვაჭარი, დიდ-ძალი, დიდ-მარხვა, ძვირ-ფასი, პატა-რძალი (*პატარა რძალი), შავ-ქლიავი, შუა-ღამე, ზედა-პირი, გარე-უბანი და სხვ.. განსაკუთრებით ხშირად ასეთი წარმოების სახელები გეოგრაფიულ ნომენკლატურაში გვხვდება: ახალ-დაბა, ახალ-სოფელი, ახალ-ქალაქი, ახალ-ციხე, ახალ-გორი, ახა-შენი (=ახალ-შენი), გრძელ-ფონი (ადგილია გურიაში, ს. ნოღაში), შუა-მთა და სხვ.

ბ) შებრუნებული რიგით: ცა-რგვალი („ცა-რგვლის გამჩენმა განაგო", ჭავ., 256,16), ხარ-ლაღი (რამდენიმე წლის ჯიხვის ეპითეტია, ყაზ., 136,20), ხორც-მეტი, სვეტი-ცხოველი: გეოგრ. სახელები: დაბა-ძველი (სოფ.), ტაბა-ხმელა (ე. ი. ხმელი ტბა, გამშრალი ტბა), ხევ-ხმელა, ჭალა-დიდი, გორ-მაღალი (სოფ.), ნინო-წმინდა და სხვ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ასეთი სახელები არსებითებია. გამონაკლისია „დიდ-ძალი" და „ძვირფასი", რომლებიც ზედსართავებია, და რამდენადმე აგ-რეთვე „ახალგაზრდა"-ც.

3. რ ი ც ხ ვ ი თ ი ს ა ხ ე ლ ი მ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ ა დ. რიცხვითი სახელი კომპოზიტებში ყოველთვის პირველ ადგილზეა და ფუძის სახითაა წარმოდგე-ნილი: ორ-წყალი (ადგილია მთაში, სადაც ხევსურეთისა და ფშავის არაგვი ერთ-დებიან), ორ-ღობე, ორ-ასი, სამ-ასი..., ათ-ასი, ას-ფურცელა (=წიგნარა) და სხვ.

ასიანი და ათასიანი რიცხვითი სახელები ერთ სიტყვად გვესმის და ვწერთ: ორასი, სამასი, ოთხასი... ათასი; ორათასი, სამათასი და შემდგომი. ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ათასიანები ასეც ითქმის: ორიათასი, სამიათასი, ათიათასი, თორმეტიათასი, ოციათასი და სხვ. ამ შემთხვევაში პირველი ნაწილის ი შეზრ-დილია ფუძესთან: ორიათასმა კაცმა, ორიათას კაცს, ორმოციათას კაცად და სხვ.. ოღონდ გრძელ კომპოზიტებში შეიძლება „ათასი" გამოეთიშოს წინა ნაწილს: ოთხმოცდათექვსმეტ(ი) ათასმა კაცმა და მისთ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. რიცხვითი სახელი მეორე ადგილზედაც გვხვდება „ერგასის"-ში (ძვ. ქართ.), მაგრამ აქ სხვა სინტაქსური ურთიერთობაა [§ 155].

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. ბევრი სიტყვისაგან შემდგარი დიდი რიცხვები ერთ-მანეთს ფუძის სახით უკავშირდებიან, ბრუნვის დაბოლოებას კი სულ უკა-ნასკნელი მიიღებს: 1942 — ათას ცხრაას ორმოცდაორი, 6461 — ექვსათას (ან: ექვსიათას) ოთხას სამოცდაერთი, 2.987.826 — ორ მილიონ ცხრაას ოთხმოცდაშვიდი ათას რვაას ოცდაექვსი და მისთ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 3. დღეების სახელები „ორშაბათი", „სამშაბათი", „ოთხშაბათი" და „ხუთშაბათი" ისეა შედგენილი, როგორც „ორასი", „სა-მასი" და შემდგომი, მაგრამ მნიშვნელობით ამას ნიშნავს: მ ე ო რ ე დღე შვიდეულისა, მ ე ს ა მ ე დღე შვიდეულისა და შემდგომი. გვაკლია „ერთ-შაბათი", მაგრამ ძველად ესეც იყო („ერთსა მას შაბათთასა მარიამ მაგდა-ნელი მოვიდა", იო. 20,1 ხანმ.). შემდეგ „ერთშაბათის" ნაცვლად ბერძნ. „კვირიაკე" შემოვიდა ხმარებაში (კ ვ ი რ ი ა კ ე — საუფლო, იგულისხმე-ბა დღე), რომლისაგან შემდეგ მივიღეთ: კვირა (კვირე), რომელიც შვიდე-ულის პირველ დღესაც აღნიშნავს (ამ სახელებით ქართულში შემონახული ძველი სათვალავით) და მთელ შვიდეულსაც.

188. მართულ მსაზღვრელიანი კომპოზიტი. მართული მსაზღვრელის გამოსახატავად განკუთვნილია ნათ. ბრუნვა. კომპოზიტში შემავალი ასეთი სიტყვა შეიძლება ორივე რიცხვის ფორმით იყოს წარმოდგენილი, თანაც ნათ. ბრუნვის ნიშანი დაიკარგოს სულ ან ნაწილობრივ. ნაწილობრივი დაკარგვა

ულისხმობს თანხმოვნის ჩამოცლას მხ. რიცხვის ფორმაში: **ის** დაბოლოებისა-
ან იკარგება **ს**, რჩება მარტო **ი**.

1. **მხოლ. ბრუნვის ფორმა.** ა) *სრული დაბოლოებით:* ცის-კარი,
ინძის-თავი, ენკენის-თვე (სექტემბერი), ღვინობის-თვე (ოქტომბერი), ალვის-
ე, იის-ფერი, ცის-ფერი, ხარის-წარალი (გურ.=ხარის იარალი, ე. ი. კავი გუთ-
ისა), ფეხის-ალაგი, გუთნის-დედა, ჭირის-უფალი, თავის-უფალი, ხელის-
უფალი, ასის-თავი, ერის-თავი (ამჟამად გვარია), ჯარის-კაცი, ერის-კაცი, კა-
ის-კაცი, ძმის-წული, დის-წული, გულის-ყური (=მეხსიერება), ხევის-ბერი,
ელის-კუდა (ბალახია, ყაზბ., 303,32) და სხვ.

რიგი გეოგრ. სახელებისა: ხიდის-თავი, ვარდის-უბანი, ციხის-ძირი, კო-
ის-წყარო, გრემის-ხევი, ბებრის-ციხე, ცხენის-წყალი და სხვ.

შებრუნებული რიგით (ძველის-ძველი წარმოება): მამა-სახლისი, დია-სახ-
ლისი (*დედა სახლის-ი).

ბ). *დაბოლოების ნაწილობრივი შეკვეცით* (ჩამოკვეცილი
იანხმოვანი აქ ფრჩხილებშია ჩასმული): ტანი(ს)-სამოსი, წუთი(ს)-სოფელი, მა-
ი(ს)-და, დეი(ს)-და (*დედის-და), შვილი(ს)-შვილი, ოჯახი(ს)-შვილი, მამული(ს)-
შვილი, ბატონი(ს)-შვილი, აზნაური(ს)-შვილი (=აზნაური), დედი(ს)-ნაცვალი,
ამი(ს)-ნაცვალი, გეოგრ. სახელები: გორი(ს)-ჯვარი, მჭადი(ს)-ჯვარი და სხვ.

ამ ტიპის წარმოებას გულისხმობს **ძე**-ზე და **შვილ**-ზე გათავებული გვარები:
ავჭავა(ს)-ძე, ჯავახი(ს)-შვილი და სხვ. (§ 28,4 ბ).

გ) *დაბოლოების სრული შეკვეცით:* ცხვირ(ის)-სახოცი, პი-
(ის)-სახოცი, თავ(ის)-საბურავი, თავ(ის)-დაცვა, ხელ(ის)-ეჩო, ხელ(ის)-საქმე,
ალ(ის)-ყურძენა, ღორ(ის)-ქლიავი, ღორ(ის)-მუცელა, ბაკურ(ის)-ციხე (სოფ.)
და სხვ.

2. **მრავლ. რიცხვის ფორმა.** მრავლობითის ფორმა ხშირად II სახისაა (ნათ.
ბრუნვაში **თანიანი**).

ა) *სრული დაბოლოებით:* მკათა-თვე, სულთა-მხუთავი, გულთ-მი-
ანი, მზეთ-უნახავი, ხუროთ-მოძღვარი, მიწათ-მოქმედება, ნავთ-სადგური,
ურიათ-უბანი (სოფ.), ტოლათ-სოფელი (ერწოში) და სხვ.

ბ) *ბრუნვის ნიშნის შეკვეცით:* თიბა(თ)-თვე, პაპა(თ)-ნაქება
(თავდაპირველად დიდი სიცხის ეპითეტი, შემდეგ თვითონ სიცხე), შემოკლე-
ბით: პაპანება („პაპანებაა, ბუღი დგას", რ. ერისთ.), *მამა(თ)-სისხლი (იხმა-
რება ზმნიზედურად: *მამასისხლად*=მამათ სისხლის ფასად, ე. ი. მამა-
კაცების სისხლის ფასად, რადგანაც მამაკაცის სისხლი ძველი სამართლის მიხედ-
ვით უფრო მეტად ფასობდა, ვიდრე დედაკაცისა), წყალ(თ)-სადენი, ჭაპან(თ)-
წყვეტა და სხვ.

189. სხვა ბრუნვის ფორმები კომპოზიტის პირველ ნაწილში. ნათ.
ბრუნვის გარდა, კომპოზიტში შეიძლება შედიოდეს სხვა ბრუნვის ფორმიანი
იტყვებიც: მოთხრობითისა, მიცემითისა, მოქმედებითისა, ვითარებითისა. ბრუნ-
ვის ნიშანი შეიძლება დაკარგული იყოს ან შეკვეცილი რამდენადმე.

1. *მოთხრობითისა:* ერთმან-ე(რ)თი (§ 138,1), ღმერთმან-ი (ფიცის
ფორმულა, ერთ დროს მთელი ფრაზა: „ღმერთმან იცის").

2. *მიცემითისა:* თავ(ს)-მდები, თავ(ს)-სახურავი, თავ(ს)-საბურავი,
თავ(ს)-ჩამოსაცმელი („**ჩაბალახი** — ესე არის თავსახურავი სამარი, გინა წვი-

მაში თავჩამოსაცმელი რამე“ ვახტ. IV), თავ(ს)-ზარი (თავ(ს)- ზარ-დაცემული). თავ(ს)-გადასავალი, თავ(ს)-სახვევი, თავს-ლაფი (ზოგან: თავს-ხლაფი←*თავს ჰლაფ-ისაგან) ან თავ-ლაფი (აქედან თავ-ლაფიანობა: „ჩხუბს თავლაფიანობა მოსდევს“), გულ(ს)-ხელ-დაკრეფილი, პირ(ს)-ჯვარი, ყელ(ს)-სახვევი, ყელ(ს)-საპამი, ხელ(ს)-ქვეითი, ჯვარ(ს)-ცმა, წყალ(ს)-ქვეშა და სხვ.

3. მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი ს ა: ქვით-კირი (→ქვიტკირი), ხელ(ით)-ნაწერი, ხელ(ით)-წერილი.

4. ვ ი თ ა რ ე ბ ი თ ი ს ა: ავად-მყოფი, ყურად-ღება, ყოვლად-წმინდა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. აღნიშნული ტიპებით არ ამოიწურება კომპოზიტების შედგენის საშუალებანი ქართულში. არის სხვა ტიპის წარმოებანიც, კერძოდ ზმნიზედის გამოყენება ან სახელით გამოხატული გარემოების გამოყენება პირველ ნაწილში: ქვე-მდებარე, ზე-მდგომი, შინა-არს-ი (არს-ი ზმნის ფორმისაგან მოდის: არს), ქვეშ-საგებ(ელ)ი, თავ(ს)-მჯდომარე („თავს“ აქ მიცემითია წარმოშობით „თავ“ სახელისაგან, მაგრამ სახელი აღარ არის, — ზმნიზედაა), კეთილ-შობილი, კმა-ყოფილი და სხვა ან კიდევ თავისებური შეერთება სიტყვებისა ათმეტეულ რიცხვებში: (ა)ი-ერთ-მეტი (=ათი და ერთი მეტად), (ა)თ-ორ-მეტი, და სხვ.; რამდენი (←რა-ვ-დენი←რა-ოდენი), რა-ერთი (აქედან გურული „რეთი“) და სხვ.

ზოგიერთი რთული სახელი ისე შეცვლილა დროთა განმავლობაში, რომ დაუკარგავს სირთულის ნიშნები და მარტივს დამსგავსებია. ამისი მაგალითებია: მამაცი (←მამა-კაცი), დიაცი (←დედა-კაცი), ჭიშკარი (←ბჭის კარი), წისქვილი (←წყლის ფქვილი; „ფქვილი“ ძველად ხელით საფქველ ქვას ერქვა. жернов) და სხვ. [§ 325]. ა. შ ა ნ ი ძ ე, წისქვილის ქვის სახელები ძველ ქართულში (მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. II—III, 1962).

შერწყმული სახელები

190. შერწყმულ სახელთა სახეები. შერწყმულის სახელით აღვნიშნავთ ორისა და მეტი ცნების გადმომცემ სახელებს, რომლებიც ფორმალურად არიან გაერთიანებული.

შერწყმა სახელებისა ორგვარია: ა) გაერთიანებულია ერთისა და იმავე ტიპის სახელები: არსებითები (ხელ-ფეხი), ზედსართავები (შიშველ-ტიტველი). მიმღეობანი (მიყრილ-მოყრილი), ზმნიზედები (აქა-იქ); ბ) გაერთიანებულია სხვადასხვა ტიპის სახელები: არსებითი და ზედსართავი (გულ-კეთილი), არსებითი და მიმღეობა (ფეხ-მოტეხილი). პირველი ტიპის სახელებს აღვნიშნავთ ტოლად-შერწყმულის სახელით, მეორე ტიპისას კი — არ-ტოლად შერწყმულისა. ამას გარდა, შეიძლება, რომ ნარევი ხასიათის შერწყმა გვქონდეს: ტოლად-შერწყმულ სახელს დართული ჰქონდეს ზედსართავი ან (უფრო ხშირად) მიმღეობა: პურ-მარილ-ნაჭამი (ყაზ., 298, 27), მხარ-ბეჭ-გადგმული (ყაზ., 217, 1).

მიმღეობა ჩვეულებრივ ვნებითი გვარისაა, იშვიათად საშუალი გვარისაც.

191. ტოლად-შერწყმული სახელები. ტოლად-შერწყმული სახელი უკავშიროდ (ასინდეტურად) შეერთებული სახელია და იმდენ ცნებას შეიცავს, რამდენიც წევრია შეერთებული: ორ-წევრიანი ორს, სამიანი სამს და შემდგომ. თანაბარი სახელების უკავშირო შეერთება წერის დროს დეფისით გადმოიცემა.

შერწყმისას წინა სახელი (ან წინა სახელები) ფუძის სახით არის მოცემული, ბრუნვის ნიშანს კი უკანასკნელი მიიღებს (§ 83).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. გამონაკლისია „დედ-მამა", სადაც პირველ წევრს უკანასკნელი ხმოვანი აქვს ჩამოკვეცილი.

შერწყმული სახელები შინაარსის მიხედვით სხვადასხვანაირია. ირწყმება: ა) სინონიმები ან სინონიმებთან ახლო მდგომი გამოთქმები; ბ) ანტონიმები; გ) სახელები, რომლებიც აღნიშნავენ რამე ნიშნის მიხედვით ახლო მდგომ საგნებს და ამის გამო ხშირად იხმარებიან ერთად.

1. სინონიმები და სინონიმური გამოთქმებია: ტოლ-ამხანაგი, სვე-ბედი, ნაცარ-ტუტა, ძალ-ღონე, სიგელ-გუჯარი, დევ-გმირი, ოხერ-ტიალი (ან შებრუნებით: ტიალ-ოხერი, ჰავ., 296,17), შიშველ-ტიტველი, *ერ-ფერი, დისიმილაციით: ელ-ფერი (ე რ ი=იერი: „ადვილად საცნობი იყო კაცი ფშაურის ერითა", ვაჟა, «ბახტრ.», „იცნობის იმის ერითა", «ხალხ. პოეზია», I, № 401,4) და სხვ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ქარ-ბუქი-ც სინონიმური გამოთქმაა („ბუქ-ი" სვანურად ქარს ნიშნავს), ოღონდ მას სხვა მნიშვნელობა აქვს მიღებული (ქ ა რ ბ უ ქ ი — თოვლიანი ქარი, ძლიერი).

სინონიმებში ზოგჯერ ერთი უცხოა და მეორე ქართული; რიგის მიხედვით შეიძლება ჯერ ქართული იყოს და მერმე უცხო: ბედ-ი ღ ბ ა ლ ი, ან პირუკუ, — ჯერ უცხო და შემდეგ ქართული: ა ლ ა ლ-მართალი, ღ ა რ ი ბ-ღატაკი („იღბალი", „ალალი" და „ღარიბი" არაბ. სიტყვებია).

2. ანტონიმების, ანუ საწინააღმდეგო ცნებათა გამომხატველი სახელების მაგალითებია: ტყე-ველი, მთა-ბარი, სიკვდილ-სიცოცხლე, დედალ-მამალი, ავკარგი, ცოცხალ-მკვდარი, უფროს-უმცროსი, დიდ-პატარა და სხვ.

3. რაიმე ნიშნის მიხედვით ერთმანეთთან დაახლოვებული საგნების სახელებია: ცხვირ-პირი, თვალ-წარბი, წვერ-ულვაში, ხელ-ფეხი, მხარ-ბეჭი, მხართეძო, დედ-მამა, და-ძმა, ცოლ-შვილი, ქმარ-შვილი, დანა-ჩანგალი, გუდა-ნაბადი (მოგზაურობისათვის აუცილებელი ნივთები ძველად), სასმელ-საჭმელი, პურ-მარილი, პურ-ღვინო, მიწა-წყალი, ქვრივ-ობოლი, კარ-მიდამო (აქ „კარი" ეზოს მნიშვნელობით არის ნახმარი), სახლ-კარი (აქაც „კარი" ეზოა), ერბო-კვერცხი, მშვილდ-ისარი, ხმალ-ხანჯალი, ტყვია-წამალი, თოფ-იარაღი, ციხე-ქალაქი, საწერ-კალამი, წეს-წყობილება, ტაშ-ფანდური (მოხეურად ტოშ-ფანდური) და სხვ.

ხშირია ამგვარად შერწყმა გეოგრაფიული სახელებისა, რომლებიც მეზობლად მდებარეობენ: ქართლ-კახეთი, ფშავ-ხევსურეთი, გურია-სამეგრელო, რაჭალეჩხუმი, სამცხე-საათაბაგო, ცივ-გომბორი („ცივი" და „გომბორი" მთებია კახეთში), ერწო-თიანეთი, ლესა-ჭინათი (სოფლებია გურიაში), ეწერ-ბაში (სოფლებია ქვ. იმერეთში) და სხვ.

სიტყვათა შერწყმისას რიგი ჩვეულებრივ ასეთია: ჯერ მოკლე, შემდეგ გრძელი: ხმალ-ხანჯალი, ციხე-ქალაქი, წეს-წყობილება, ბედ-იღბალი, ცივ-გომბორი და სხვა.

ამას გარდა, მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ, თუ შერწყმულებში ურევია ხმოვანზე გათავებული ფუძე, ის პირველ ადგილზე იყოს: დანა-ჩანგალ-ი, მიწა-წყალ-ი, დო-მხალ-ი, ერბო-კვერცხ-ი, ტყე-ველ-ი და მისთ.

მოყვანილი მაგალითები ორ-ორი წევრისაგან შედგება, მაგრამ შეიძლება მეტიც იყოს: ქართლ-კახეთ-იმერეთი, ტყე-მინდორ-ველი და სხვ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. ტოლად-შერწყმული სახელები დროთა განვლობაში ზოგჯერ ისე შეზრდიან ერთმანეთს, რომ ორი ცნების ნაცვლად ერთი მოუციათ: ან-ბანი (§ 7), ძელ-ქვა (მაგარი ხეა), დო-მხალი, კარ-მიდამო, ქარ-ბუქი, ქარ-იშხალი (დისიმილაციით; უნდა ყოფილიყო: ქარ-იშხარი: ი შ ხ ა რ ი იგივეა, რაც ი ს ხ ა რ ი, რომელიც, ს.-ს. ორბელიანის თანახმად, არის „ჩქარი წვიმა, ადრე მომდარებელი“) და სხვ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. ზოგიერთი სახელის დარქმევის დროს ორი სხვადასხვა საგნის ნიშნებით უსარგებლიათ და მიუღიათ შერწყმული სახელი, რომელიც ერთ ცნებას შეიცავს. ასეთი სახელები ბოლოში ხშირად ა-ს დაირთავენ: გველ-(ვ)ეშაპი, მგელ-კაცი (ჰიენა), ლომ-კაცი (ტრიტონი), მწყერ-ჩიტა, სირ-აქლემა, ვირ-თაგვ-ა (ანუ ვირ-თხა), გველ-თევზა და სხვ

192. ტოლად-შერწყმულ სახელთა თავისებურება. ტოლად-შერწყმულ სახელთა ბრუნების შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი (§ 83). დამატებით აქ უნდა ვთქვათ, რომ ასეთ სახელთაგან მრ. რიცხვი ზოგს აქვს, ზოგს კი — არა. მაგალითები:

ა) „ძლიერ დაჰქლია საფერხე მ თ ა-ღ ე ლ ე ე ბ ზ ე რბენითა“ (ვაჟა, «სისხლის ძიება»), „არწივი ვნახე დაჭრილი, ყ ვ ა ვ-ყ ო რ ნ ე ბ ს ეომებოდა“ (ვაჟა), „თქვენ რომ გიცქერით, მ თ ა-ქ ე დ ნ ო“ (ვაჟა, «სისხლის ძიება»), „მეორე დღეს შინ მშვიდობით მოვიდნენ ჩვენი ბედნიერი ც ო ლ-ქ მ ა რ ნ ი“ (ჭავ., „კაც.-ად.“); ასეთივეა აგრეთვე: ტოლ-ამხანაგები, მშიერ-ტიტვლები, სველ-გუჯრები, ტურა-მელები, ზნე-ჩვეულებანი და სხვ.

ბ) „ბედი“ ქართულში მრავლობითს ვერც მაშინ აწარმოებს, როდესაც ის ცალკეა ნახმარი (შდრ. მხ. судьба, მრ. судьбы), და ვერც მაშინ, როდესაც შერწყმულში შედის: სვე-ბედი; ასეთივეა აგრეთვე „ბედ-იღბალი“ და სხვ. მაგრამ, რომ ავიღოთ „ცოლ-შვილ-ის“ შემადგენელი ნაწილები, ვნახავთ, რომ მრ. რიცხვის ფორმა თვითეულ მათგანს მოეპოვება: ცოლები, შვილები; შერწყმულად კი მარტო მხოლობითში იხმარებიან. ასეთივე მაგალითებია აგრეთვე: მიწა-წყალი, სახლ-კარი და სხვ.

193. არ-ტოლად შერწყმული სახელები. თუ არსებით სახელს, ვუძის სახით წარმოდგენილს, დაერთო ზედსართავი ან მიმღეობა, მივიღებთ ორ-ცნებიან კომპოზიტს, რომლის მეორე ნაწილი პირველს განსაზღვრავს (ზედსართავი ან მიმღეობა არსებითს), ორივე ერთად კი გვიჩვენებს ნიშანს, რომელიც სხვა საგანს ახასიათებს. მაგ., „შუბლ-თეთრი“ აღნიშნავს, ვისაც ან რასაც თ ე თ რ ი შ უ ბ ლ ი აქვს (ხარი, ცხენი და სხვ.), „შუბლ-გატეხილი“ — ვისაც ან რასაც გ ა ტ ე ხ ი ლ ი შ უ ბ ლ ი აქვს (კაცი, ხარი, ცხენი და სხვ.).

კომპოზიტების ეს ტიპი შეიცავს ქონების გაგებას. ამიტომ ესენიც, 163 §-ში განხილული სახელების მსგავსად, ქონების სახელებია, მაგრამ იმათგან იმით განსხვავდებიან, რომ ესენი აღნიშნავენ ქონებას არა საგნისას მარტივად, არამედ გარკვეული ნიშნით წარმოდგენილი საგნისას. ეს განსხვავება ნათლად დაჩნდება, თუ შევადარებთ ერთმანეთს ისეთ სახელებს, როგორიცაა:

ქიანი და რქა-თეთრი ან რქა-მოტეხილი, კუდიანი და კუდ-მოკლე ან კუდ-მოძუებული, ხელიანი და ხელ-მარჯვე ან ხელ-მოტეხილი და მისთ.

შენიშვნა. მიმღეობის ფუძის მნიშვნელობის მიხედვით ქონება შეიძლება უარყოფითიც იყოს: ყურ-მოჭრილი, კუდ-მოწყვეტილი, თმა-გაპარსული, თვალ-ამოგდებული და სხვ.

შერწყმულ ქონების სახელს (შემოკლებით: შერწყმულ ქონებისას) ქმნის არსებითის ფუძეზე დართვა ზედსართავისა, რიცხვითისა, მიმღეობისა; ოღონდ ათ შორის ის განსხვავებაა, რომ ზედსართავი შეიძლება წინაც დაერთოს არსებითს და უკანაც, რიცხვითი — მხოლოდ წინ, მიმღეობა კი — მხოლოდ უკან.

194. ზედსართავიანი ქონებისა. როგორც ზემოთ არის აღნიშნული § 191), შერწყმულ ქონებისაში ზედსართავი შეიძლება მიუძღოდეს ან მოსდევდეს არსებითს.

1. ზედსართავი მიუძღვის. როდესაც ზედსართავი მიუძღვის არსებითს, ის ფუძის სახით იქნება წარმოდგენილი, ბრუნვის ნიშნებს კი არსებითი იღებს. მაგრამ ამ შემთხვევაში ზედსართავს ფუძე თანხმოვანზე უნდა უთავდებოდეს, რადგანაც მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება გარჩეულ იქნეს შერწყმული ქონებისა მსგავსი შედგენილობის მსაზღვრელ-საზღვრულიანი სინტაგისაგან („დიდ-გული“ და „დიდი გული“). ასეთი შემთხვევებიც ცოტაა და გვხვდება უფრო ა-ს დართვით არსებითის ფუძეზე: დიდ-ყურა (ვირის ეპითეტი), დიდ-თავა, გრძელ-წვერა, შავ-თვალა, შავ-ტარა, სქელ-კისერა, ცისფერთვალება და სხვ. [შდრ. § 163,6].

შენიშვნა. იშვიათად ისიც გვხვდება, რომ არსებითს ორი ზედსართავი ახლდეს, ორივე ფუძის სახით წარმოდგენილი: „დროული გრძელ თეთრ-წვერა ტუსაღი“ (ჭავ., «გლახის ნაამბ.»). აქ „დროული“ „ტუსაღს“ განსაზღვრავს (დროული ტუსაღი), „გრძელი“ და „თეთრი“ — წვერს (გრძელი წვერი, თეთრი წვერი), „გრძელი და თეთრი წვერი“ კი — ისევ ტუსაღს (გრძელ თეთრ-წვერა ტუსაღი), ასე რომ „ტუსაღს“ ორი განსაზღვრება აქვს, „წვერსაც“ — ორი.

2. ზედსართავი მოსდევს. ასეთი შემთხვევები უფრო ხშირია და ჩვეულებრივი. მაგალითები: გულ-წრფელი, გულ-კეთილი, გულ-თბილი, გულ-ცივი, გულ-უბრყვილო, გულ-მაგარი, გულ-ჩვილი, გულ-უხვი, სულ-გრძელი, სულ-მოკლე, თავ-მდაბალი, ხელ-მწიფე (ე. ი. ვისაც ხელი მიუწვდება), ხელ-მოკლე, ყელ-თეთრი, შუბლ-მაგარი, ქედ-ფიცხელი, ტან-წვრილი, გვერდ-წითელი (გვარია), პირ-შავი, პირ-ღია, რქა-წითელი, მტევან-დიდი (ყურძნის ჯიშებია), ძირ-ტკბილა, ძირ-მწარე (ბალახებია), წყალ-წითელა (მდინ.) ერ-მრავალი და სხვ.

დაბა-ძველი (სოფ. ოკრიბაში), დაბა-წვრილი, დაბა-კეთილი (ნ. მარი, **Дневник поездки, 26**).

შენიშვნა 1. ზოგი აქ ჩამოთვლილ სახელთაგანი ორ-ცნებიანია წარმოშობით, მაგრამ უკვე ერთ-ცნებიანებშია გადარიცხული: ხელმწიფე, თავმდაბალი და სხვ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. გვარია „თვალჭრელიძე“-ც და „შავთვალიშვილი“-ც, რომელთაც საფუძვლად სხვადასხვა ტიპის წარმოება უძევთ: თვალ-ჭრელი (მსაზღვრელი მოსდევს), შავ-თვალი (მსაზღვრელი მიუძღვის). ასეთივე ვითარებაა აქაც: დღე-გრძელ-ი და გრძელ-წვერა.

195. **რიცხვითიანი კონებისა.** რიცხვითი სახელი შერწყმულ კონებისაში ყოველთვის წინ არის მოქცეული და, რა თქმა უნდა, ფუძის სახით არის წარმოდგენილი; ამის მაგალითებია: ორ-პირი (კაცი, ხმალი), ორ-კაპი, ოთხ-ფეხი (ცხოველი, რომელსაც ოთხი ფეხი აქვს) და სხვ.. ასეთ სახელებს შეიძლება ა დაერთოს ბოლოს: სამ-ფეხა, თორმეტ-გოჯა, ას-ფურცელა (=წიგნარა) და სხვ. [§ 163,6].

196. **მიმღეობიანი კონებისა.** ორ-ცნებიან კონებისებში ყველაზეუფრო გავრცელებულია მიმღეობიანი. მიმღეობა ჩვეულებრივ ვნებითი გვარისა: თავ-დადებული, თავ-დავიწყებული, გულ-გატეხილი, ხელ-აღებული (თავზე ხელ-აღებული), ხელ-გაშლილი, ხელ-ჩართული, სულ-განაბული, ოჯახ-აშენებული, ყურ-მოჭრილი, ცრემლ-მორეული, ჭაღარა-შერთული, თერგ-დალეული, დღე-ნაკლული, დრო-მოჭმული და სხვ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. ერთი შეხედვით თითქო ამგვარივე წარმოება ახასიათებს ზოგიერთ სხვა გარდაუვალ და გარდამავალ ზმნათა მიმღეობასაცაო, როგორიცაა: თავ-მომწონე, თავ-მოყვარე, ცეცხლ-გამძლე, წყალ-გამკვეთი, ხელ-საყრელი და სხვ., მაგრამ აქ უფრო ნათ. ბრუნვის შეკვეცილ ფორმებთან გვაქვს საქმე: თავ(ის)-მომწონე, ცეცხლ(ის)-გამძლე, წყალ(თ)-გამკვეთი და სხვ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. წყალ-წაღებული ნიშნავს წყალთ წაღებულს, ე. ი. წყლის მიერ წაღებულს, ვინც ან რაც წყალმა წაიღო (და არა ვინც წყალი წაიღო).

სახელი შეიძლება მრავლობითის ფორმითაც იყოს წარმოდგენილი: კბილებ-დაკრეჭილი (ყაზ., 252,24), ხუნდებ-შეყრილი (ყაზ., 260,18), წელებ-გაყრევინებული, ფეხებ-დასიებული და სხვ.. „ვებერთელა ძერა, ფრთებ-შეკუმშული და ბრჭყალებ-მომზადებული, ისარივით მოქროდა ზემოდამ პირდაპირ იმ ადგილისაკენ, სადაც ისე უდარდელად ჩაეშვა დედა-მწყერი“ (ნ. ლომ.).

ისიც შეიძლება, რომ შერწყმული კონების სახელის ნაწილები კავშირით ან ზმნიზედით იყოს ერთმანეთისაგან დაშორებული: „ახალუხ- და შლვარ-ჩაცმული“ (ჭავ., 349, 22), **მტკაველი** — ცერ- და ნეკ-გაშლილი (ს. ორბ.); **ბელეშა** — ზროხა რქა- დაღმა -დადრეკილი (ს. ორბ.); ყოველნივე ერიბამად ძაძა-შთაცუმულ და ნაცარ- თავსა -გარდასხმულ იქმნებოდეს (სინ. მრავალთ. 107,38) (შდრ. მეფენი იგი მათი... ძაძასა შთაიცუმიდა და ნაცარსა თავსა გარდაისხმიდა, იქვე, 108,3); სისხლ-, ჩირქ- და ლორწო-ნარევი სითხე, ვერცხლ-, ტყვია- და სპილენძ-ნარევი მადანი და მისთ.; ან კიდევ მიმღეობა რაიმე გარემოების სიტყვით იყოს განსაზღვრული (ზმნიზედით ან სახელით) და გათიშული იყოს მასთან შერწყმული სახელისაგან: „თოფებ- მაღლა- აშვერილი“ (ყაზ., 333,4), „კისერ- წინ -წაწვდილი“. (ყაზ., 192,2): „ოდის ყურიდან თ ა ვ ს ა- ფ ა რ- უკან- წ ა კ რ უ ლ ი ქალის თავი გამოჩნდა“ (კლდიაშვ., «სამან. დედ.»):

ტუმარ- შინ -შაუყვანელო (ხევსურული ლანძღვა); ხანჯალ- მკერდ-მკერდ-
ა -გაცმულნი შემოტრიალდნენ კლდეზედა“ (ევდოშვ.). ითქმის როგორც
„წყალ-გადასხმული“; ისე „წყალ- ,თავ(ს)-გადასხმული“. მსგავსი გამოთქმაა:
ელ- ზე -აპყრობით ლოცვასა და ვედრებასა შინა იყვნეს (სინ. მრავალთ. 106,5).

შენიშვნა. გარემოების აღმნიშვნელი სიტყვა შეიძლება წინ მიუძღოდეს შერწყმულ ქონებისას და, თუ მოკლეა სიტყვა, მასვე შეუერთდეს: თავ(ს)-ზარ-დაცემული, თავ(ს)-ქუდ-მოგლეჯილი (მაგრამ: თავზე ხელ-აღებული), გულ(ს)-ხელ-დაკრეფილი („მთელი დღე ისე გულ-ხელ-დაკრებილი ვიჯექი“, ჭავ., «გლახის ნაამბობი»).

მსაზღვრელი, მართული თუ ატრიბუტული, შეიძლება არსებითსაც
ახლდეს: „რკინის ჭახრაკ-მოჭერილი“ (ყაზ., 251,6), „ისლის სახურავ-გა-
ხდილი სახლი“ (კლდიაშვ., «მიქელა», მოთხრ. და პიესები, 1947, 367); „ხალხ-
მა ერთი ღრმად და ყრუდ ამოიქშინა ისე, როგორც ამოიქშენს ხოლმე უეცრად
ხელ წყალ თავ(ს)-გადასხმული“ (ჭავ. «სარჩობელაზედ»); „შესჩერებიან
ალღები [დედას] ცხარე ცრემლ-მთოვიარესა“ (ვაჟა, II, 307); „ჩითის ან
პირკალის პერანგი, მუქი ლურჯი დოშლული (გულისპირი), გარშემო შავ ყაი-
თან-მოვლებული“ (პეპოს ტანსაცმელის აღწერილობიდან: „პეპო“ გ. სუნდუკია-
ნცისა, 1880,2). ასეთივე მაგალითებია: ორ თით-გაშლილი (ს. ორბ. **გაბაჯან-**თახ),
სამ თით-მოჭრილი, ცალ თვალ-დავსილი და სხვ.

მსაზღვრელს თავის მხრივ შეიძლება მსაზღვრელივე ახლდეს: „ურმის თავ-
ზე ბრძენსავით დინჯად ზის პატარა მიხა, თავის ძველ მაზარაში გახვეული და
თავზე პაპის ცხვრის ტყავის ქუდ-ჩამოფხატული“ (ე. გაბაშვ.,
«ღვინია გადაიჩეხა»). აქ „ქუდს“ საზღვრავს „პაპა“ და „ტყავი“ (პაპის ქუდი,
ტყავის ქუდი), „ტყავს“ კი — „ცხვარი“ („ცხვრის ტყავი“).

შენიშვნა. ზოგ შემთხვევაში შეიძლება, რომ შერწყმული ქონების სახელის მეორე ნაწილადაც, ზედსართავის ნაცვლად, არსებითივე შეგვხვდეს: გულ-ქვა (ვისაც გული ქვისა აქვს), საგინებელი სიტყვები: მამა-ძაღლო, მკვდარ-ძაღლი [ვითომც: ვისი მკვდარიც (მამა, დედა და სხვა) ძაღლიაო].

197. ორ-ცნებიანი შერწყმული ქონების სახელის ერთ-ცნებიანობამდე ჩამოსვლა. ჩვეულებრივი მოვლენაა, რომ წარმოშობით ორ-ცნებიანმა შერწყმულმა ქონების სახელმა ორი სიტყვის გაგება დაკარგოს და ერთ-ცნებიანი სიტყვა გახდეს. ამ მოვლენას განსაკუთრებით მაშინ აქვს ადგილი, ა) როცა შერწყმული სახელი, ხშირი ხმარების გამო, ფონეტიკურ ცვლილებას განიცდის და მზღვარი იშლება კომპოზიტის ნაწილებს შორის: ბედ-შავი→ბეჩავი, ყურ-შავი→ყურშა (ძაღლის სახელია). ბ) როცა შერწყმული სახელი ტერმინად იქცევა: ხელ-მწიფე (ვისაც „ხელი“ მიუწვდება, ე. ი. ვინც უფლებამოსილია). დღეს „ორგული“ (ანტონიმი „ერთგულ“-ისა) ერთ-ცნებიანი სიტყვაა, როცა მას ადამიანზე ვხმარობთ („თქვენი მტერი და ორგული“), მაგრამ, თუ ვთქვით „ორ-გული თხილიო“, აქ „ორ-გული“ ორ-ცნებიანი იქნე-

ბა; „ბოლო-შავი“ ორ-ცნებიანია (ბოლო-შავი დედალი, ბოლო-შავი მმალი და სხვ.), მაგრამ „ბოლოშავი“, როგორც ერთი ჩიტის სახელი, ერთ-ცნებიანია.

ამჟამად ერთ-ცნებიან სიტყვებადაა ქცეული ისეთი კომპოზიტები როგორიცაა: სულ-გრძელი, სულ-წასული, თავ-მდაბალი, ფეხ-მძიმე (=ორ-სული), ორ-სული, ოთხ-ფეხი, სულ-დგმული, ჭი(რ)-ნახული და მრავალი სხვა.

198. შემოკლებული გამოთქმები. უკანასკნელ ხანებში რუს. ენის გავლენით ძალიან გავრცელდა ქართულში ორი ან მეტი სახელის შემოკლებით შეერთება. შეერთების ხერხი სხვადასხვანაირია: ა) შეიძლება მარტო დააწყისი ბგერები იყოს წარმოდგენილი: ზაჰეს-ი=**ზ**(ემო) **ა**(ვჭალის) **ჰ**(იდრო-) **ე**(ლექტრო-) **ს**(ადგურ-ი); ბ) შეიძლება სიტყვის დასაწყისი ნაწილები იყოს შეერთებული: სახელგამ-ი=**სახელ**(მწიფო) **გამ**(ომცემლობა), ალმასკომი=**ალმას**(რულებელი) **კომ**(იტეტ)-ი, რაიკომი=**რაი**(ონის) **კომ**(იტეტ)ი; გ) შეიძლება პირველი სახელი შემოკლებით იყოს წარმოდგენილი, მეორე კი — სრულად: კოლმეურნეობა=**კოლ**(ექტიური) **მეურნეობა**, სახბანკ-ი=**სახ**(ელმწიფო) **ბანკ-ი**, პარტბილეთი=**პარტ**(იული) **ბილეთი** და სხვ.

შემოკლებით სიტყვების დაწერა და თქმა დიდ ეკონომიას იძლევა და ეს არის საფუძველი მისი ფართოდ გავრცელებისა, მაგრამ შემოკლების ხერხები ნაირ-ნაირია და სრულიად ნებისმიერი. მართლაც, „სახელმწიფო“ ერთ შემთხვევაში ერთნაირადაა შემოკლებული: **სახ**-ბანკი, მეორე შემთხვევაში კი სხვანაირად: **სახელ**-გამი. „სახელმწიფო გამომცემლობა“ შეიძლებოდა სხვანაირადაც შემოკლებულიყო: სახელგამო, სახელგა, სახგამ-ი, სახ-გა, სა-გა, საგ-ი და **სხვ.** მაგრამ, თუ ჩვენში „სახელგამი“ დამკვიდრდა, ეს იმიტომ, რომ შემოკლების დროს სარგებლობდნენ რუსული შაბლონით: **гос-издат** (=**государственное издательство**); მაგრამ, როცა შემდეგ რუსულში კიდევ უფრო შეამოკლეს ეს ორი სიტყვა (**ГИЗ**), ამას ჩვენში ანგარიში აღარ გაუწიეს და ძველი შემოკლება დარჩა.

აღნიშნული ტიპის შემოკლებანი ხელოვნურია და არაფერი საერთო არა აქვთ კომპოზიტებთან. არსებითად აქ გვაქვს ერთი სახელწოდების შეცვლა მეორით, რომელიც მოკლეა და უფრო ადვილად მოსახმარი. შდრ. ავტო (=ავტომობილი), კილო (=კილოგრამი), ნიკო (=ნიკოლოზ), ბესო (=ბესარიონ) და მისთ.

ზ მ ნ ე ბ ი

ზ ო გ ა დ ი

199. ზმნის რაობა. ზმნა არის მოქმედების აღმნიშვნელი ფორმა-ცვალებადი სიტყვა, რომელსაც ერთ-დროულად რამდენიმე მორფოლოგიური კატეგორია მოეპოვება: პირველ ყოვლისა პ ი რ ი, რ ი ც ხ ვ ი, დ რ ო და კ ი ლ ო.

დრო და კილო, შეერთებული სხვადასხვა სახით და ზოგჯერ გართულებული სხვა კატეგორიებით (გ ზ ი ს ო ბ ი თ, ა ქ ტ ი თ, თ ა ნ ა მ დ ე ვ რ ო ბ ი თ), ქმნის მ წ კ რ ი ვ ი ს კატეგორიას, რომელიც თავის ფორმებში შეიცავს ამა თუ იმ პირისა და ერთ-ერთი რიცხვის გაგებას.

ზმნის ფორმა-ცვალება მწკრივებში პირისა და რიცხვის მიხედვით შეადგენს ზმნის მიმოხრის შინაარსს ანუ უ ღ ლ ე ბ ი ს ს ი ს ტ ე მ ა ს, ხოლო უღლება ჩვეულებრივ მიმდინარეობს ამა თუ იმ გ ე ზ ი ს, ო რ ი ე ნ ტ ა ც ი ი ს, ა ს პ ე ქ ტ ი ს, გ ვ ა რ ი ს, ქ ც ე ვ ი ს ა და კ ო ნ ტ ა ქ ტ ი ს მიხედვით, რომლებიც წარმოქმნის კატეგორიებია.

მაშასადამე, მორფოლოგიური თვალსაზრისით ზმნა არის მეტად რთული შინაარსის მქონე სიტყვა: მისი ერთი ფორმა რამდენიმე ცნების გამომხატველია: რიცხვის გარდა, რომელიც ზმნას საერთო აქვს სახელთან, ჩამოთვლილი კატეგორიები, როგორც უღლებისა (პირი, დრო, კილო, გზისობა, აქტი, თანამდევრობა), ისე წარმოქმნისა (გეზი, ორიენტაცია, ასპექტი, გვარი, ქცევა და კონტაქტი) — ყველა დამახასიათებელი ნიშანია ზმნისა. ასე რომ ზმნის განსაზღვრა შეიძლება თვითეული ამ ნიშნის მიხედვით:

ა) ზმნა არის პირიანი სიტყვა, ანუ სიტყვა, რომელიც პირთა მიხედვით იცვლება (ვაშენებ, აშენებ, აშენებს);

ბ) ზმნა არის დროიანი სიტყვა, ანუ სიტყვა, რომელიც დროთა მიხედვით იცვლება (ვაშენებ, ვაშენებდი);

გ) ზმნა არის კილოიანი სიტყვა, ანუ სიტყვა, რომელიც კილოთა მიხედვით იცვლება (ვაშენებ, ვაშენო; აშენებ, აშენე);

დ) ზმნა არის ქცევიანი სიტყვა, ანუ სიტყვა, რომელიც ქცევათა მიხედვით იცვლება (ვაშენებ, ვიშენებ, ვუშენებ) და სხვა და სხვა.

თვითეულ ასეთ განმარტებას ზმნისას თავ-თავისი ნაკლი ახლავს; მაგ., პირთა მიხედვით შეიძლება ყველა ზმნა არ იცვლებოდეს (ელავს, თოვს და სხვ.), ქცევა შეიძლება ყოველგვარ ზმნას არ მოეპოვებოდეს (ვიცი, მაქვს, მიყვარს და სხვა). ამას გარდა, უღლების კატეგორიათაგან დრო სახელზმნებსაც მოეპოვებათ, წარმოქმნის კატეგორიათაგან კი ასეთივე საზიაროა გეზი, ორიენტაცია, ასპექტი, გვარი და კონტაქტი. „წმინდა" ზმნის კუთვნილებად რჩება: უღლების მარტივ კატეგორიათაგან: პირი, კილო, გზისობა, აქტი, წარმოქმ-

ნის კატეგორიათაგან კი — ქცევა და სიტუაცია. ამიტომ საკუთრივ ზმნის განსაზღვრა შეიძლება ამ კატეგორიების მიხედვით. მაგრამ ყველაზე მეტ ზმნურ ნიშანს შეიცავს მწკრივი, რომელიც რთულია — აერთიანებს ყველა უღლების კატეგორიას და ამასთანავე ერთად წარმოქმნის კატეგორიებსაც გვიჩვენებს. ამიტომ უფრო სრული განსაზღვრა ზმნისა ასეთი იქნება: ზმნა არის უღლებადი სიტყვა, ე. ი. სიტყვა, რომელიც იცვლება მწკრივთა მიხედვით, მწკრივთა მიხედვით ცვალება გულისხმობს ფორმა-ცვალებას მწკრივიდან მწკრივამდე (ვაქებ, ვაქებდი, ვაქებდე; ვაქე, ვაქო; მიქია, მექო, მექოს) და თვითეული მწკრივის შიგნით (ვაქებ, აქებ, აქებს და შემდგომი; მაქებს, გაქებს და შემდგომი).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. მოქმედება (ანუ ზმულობა) გრამატიკაში აღნიშნავს ყოველგვარ პროცესს (ზრდის, იზრდება; მალავს, იმალება და სხვ.) მდგომარეობას (ზის, წევს, სძინავს, აგდია და სხვ.) და სხვის მიერ მიყენებულ „ვნებას“ (იჭრება, იხევა, ითხრება და სხვ.).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. ტერმინი „ზმნა“ შემოსული ჩანს არაბული გრამატიკული ტერმინოლოგიის გავლენით: ის წარმოადგენს თარგმანს არაბ. ფიღლ-ისას (فعل), რომელიც ჩვეულებრივ „ქმნას“, „კეთებას“ ნიშნავს, გრამატიკაში კი — „ზმნას“ (ქართულში „ქმნა“ და „ზმნა“ სინონიმებია და ერთმანეთს ენაცვლებიან მწკრივებში: ვ ქ ე ნ ი — ვ ი ზ ა მ).

ბერძნულ-ლათინური გავლენა რომ დამკვიდრებულიყო, საპანადო გრამატიკული ტერმინი იქნებოდა „სიტყვა“ (ῥῆμα, verbum, глагол).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 3. ზოგიერთ კავკასიურ ენაში ზმნას პირი არა აქვს და ზმნის ცვალება ერთსა და იმავე მწკრივში სხვა კატეგორიის მიხედვით ხდება, რომელსაც კლასს ეძახიან. ასეთია, მაგ., ხუნძური ენა, რომლის ზმნა კლასთა მიხედვით იუღლება.

თანამედროვე რუსულ ენაში ზმნა პირთა მიხედვით იცვლება მხოლოდ აწმყოსა და მყოფადის მწკრივში (пишу, пишешь, пишет напишу, напишешь, напишет), წარსულისაში კი — სქესთა მიხედვით: писал (я, ты, он), писала (я, ты, она), писало (дитя); писали (мы, вы, они); волновался (я, ты. он), волновалась (я, ты, она), волновалось (море), волновались (мы, вы, они) და მისთ.

პირი იმდენად მნიშვნელოვანი კატეგორიაა ზმნისა, რომ ზოგჯერ ზმნას ამ კატეგორიის მიხედვით განსაზღვრავენ („ზმნა არის პირიანი სიტყვა“). მაგრამ ზმნა საზოგადოდ უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე პირიანი სიტყვა: ის შეიცავს უპირო ფორმებსაც, როგორიცაა ქართულში სახელზმნები (საწყისები და მიმღეობანი), ზოგ ენაში კი სხვა უუღლებელი ფორმებიც, მაგ., ინფინიტივი და დეეპრიჩასტიე რუსულში (говорить, говоря) და უღლებადი უპიროც კი (მაგ., წარსულის ფორმები რუსულში: говорил, -ла, -ло, -ли).

უღლებადი ფორმები შეადგენს ზმნას ვ ი წ რ ო გაგებით (verbum finitum). მას უპირისპირდება ფ ა რ თ ო გაგება ამ ტერმინისა, რომელიც შეიცავს აგრეთვე უუღლებელ ფორმებსაც (verbum infinitum).

200. სახელი და ზმნა. სახელი ქართულში მარტივი შინაარსისაა: საზოგადოდ ის შეიცავს მხოლოდ ორ კატეგორიას — ბრუნვასა და რიცხვს. **სამა-**

იეროდ ზმნა ქართულში უაღრესად რთული შინაარსის სიტყვაა: საპირისპირო
ორმათა არსებობის წყალობით მას მოეპოვება თოთხმეტიოდე მორფოლოგი-
ური კატეგორია: პირი, რიცხვი, დრო, კილო, გზისობა, აქტი, თანამდევრობა,
წკრივი, გეზი, ორიენტაცია, ასპექტი, გვარი, ქცევა, კონტაქტი, რომელთაგანაც
ას შეუძლია ათი-თორმეტი გვიჩვენოს ერთსა და იმავე დროს. ამის წყალობით
ზმნა სრულიად განსხვავებულია სახელისაგან. მართალია, შეიძლება ზმნის წარ-
ოება სახელისაგან და სახელის მიღება ზმნისაგან, მაგრამ ისინი მაინც სულ
სხვადასხვა გაგების მომცემი გრამატიკული ოდენობანია.

გარდამავალ საფეხურს სახელსა და ზმნას შორის წარმოადგენს სახელ-
ზმნა, რომელიც ზმნის ნიშნებსაც შეიცავს და სახელისასაც.

201. ულლებისა და წარმოქმნის კატეგორიები. როგორც აღნიშნულია
§ 199), ზმნის კატეგორიათაგან ზოგი უღლებას განეკუთვნება და ზოგი —
არმოქმნას. უ ღ ლ ე ბ ი ს ა ა კატეგორია, თუ ის ზმნის ძირითად ლექსიკურ
ნიშვნელობას არა ცვლის და ამასთანავე ერთად აუცილებლად საჭიროა
მა თუ იმ მწკრივის საწარმოებლად. წ ა რ მ ო ქ მ ნ ი ს ა ა კატეგორია, თუ ის
ოდიფიკაციას უშვრება ზმნის ძირითად ლექსიკურ მნიშვნელობას და თანაც
მ ე ო რ ე ბ ს ძირეული ზმნის მწკრივებს, ყველას თუ არა, უმეტესობას მაინც.
ადგანაც, უღლების კატეგორია მწკრივში შემავალი კატეგორიაა, ამიტომ
ეგვიძლია ვთქვათ, რომ უღლების კატეგორია მწკრივის კატეგორია არისო.

ზმნის მიმოხილვა უღლების კატეგორიათაგან უნდა დავიწყოთ და პირვე-
ლად რიცხვზე შევჩერდეთ.

I. ᲣᲦᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲢᲔᲒᲝᲠᲘᲔᲑᲘ

Რ Ი Ც Ხ Ვ Ი

202. ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ ᲠᲐᲝᲑᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲖᲛᲜᲐᲨᲘ. რიცხვის რაობის შესახებ ზოგადად ზემოთ არის ნათქვამი სახელის რიცხვთან დაკავშირებით (§ 54. აქ კი უნდა შევნიშნოთ, რომ (რიცხვის გამოხატვა ზმნაში საზოგადოდ მჭიდროდ არის დაკავშირებული პირის კატეგორიასთან: მხოლოდ პ ი რ ი შეიძლება იყოს ამა თუ იმ რიცხვის მქონე. რადგანაც პირი ქართულში არის სუბიექტური ან ობიექტური, ხოლო ობიექტური პირი შეიძლება იყოს პირდაპირი ან ირიბი, ამიტომ რიცხვის განსაზღვრა ზმნაში ასეთი იქნება: ზმნის პირიან ფორმებს ორ-ორი რიცხვი აქვთ, მხოლობითი და მრავლობითი. მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი ფორმა, რომელიც გვიჩვენებს ერთის მოქმედებას, ერთზე მოქმედებას ან ერთის მიმართ ჩადენილ მოქმედებას; მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი ა ფორმა, რომელიც მასვე გვიჩვენებს მრავალზე („მრავალი“ ქართ. გრამატიკაში ერთის ზემოთ იწყება, § 54, შნშ.). მაგალითი: აქებს (იგი მას), აქებენ (იგინი მათ); მაქებს (იგი მე), გვაქებს (იგი ჩვენ).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. რიცხვს ზმნაში აქვს გარკვეული ნიშნები იმისა, რომ წარმოქმნის კატეგორიად იქნეს მიჩნეული (როგორც ეს არის სახელში), მაგრამ ზოგიერთი ნიშნის მიხედვით ის უთუოდ უღლების კატეგორიაა (მაგ., „ვაკეთებ“ ერთი მოუბარი ადამიანის მოქმედებაა; მაგრამ „ვაკეთებთ“ არ არის მრავალი მოუბარი ადამიანის მოქმედება; შდრ. მხ.—მრ.-ის ფორმები მე-3 პირისა, სადაც სხვა ვითარებაა). ამიტომ რიცხვი უღლების კატეგორიებშია შემოტანილი.

203. ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲩᲔᲕᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘ ᲖᲛᲜᲐᲨᲘ. რიცხვის გარჩევა ზმნებში ორგვარად ხდება:

1. მოიპოვება ორ-ორი ფორმა, რომლებიც ერთმანეთისაგან **თ** სუფიქსის დართვა-დაურთველობით განსხვავდება; ამათგან უსუფიქსო ფორმა მხოლობითი რიცხვისა იქნება, სუფიქსიანი კი — მრავლობითისა: ვაკეთებ და ვაკეთებ-**თ**, ჰკლავ და ჰკლავ-**თ**, გააკეთე და გააკეთე-**თ**, უნდა და უნდა-**თ**, წაუყვანია და წაუყვანია-**თ** და მისთ.

2. მოიპოვება ორ-ორი ფორმა, რომლებიც ერთმანეთს იმით უპირისპირდება, რომ თვითეულ მათგანს თავ-თავისი მაწარმოებელი აქვს:

ა) პ რ ე ფ ი ქ ს ე ბ ი: **მ-** და **გვ-**, რომელთაგანაც მ-ანიანი მხოლობითისა იქნება, **გვ** ჯგუფიანი კი—მრავლობითისა: **მ**-ყავს და **გვ**-ყავს, **მ**-ინდა და **გვ**-ინდა **მ**-ახსოვს და **გვ**-ახსოვს, **მ**-იკეთებ და **გვ**-იკეთებ, **მ**-ნახეთ და **გვ**-ნახეთ და მისთ.

ბ) ს უ ფ ი ქ ს ე ბ ი: ერთი მხრით **-ს** და მეორე მხრით **-ნ, -ენ, -ან**. ამათგან **ს**-ანიანი ფორმა მხოლობითი რიცხვისა იქნება, ხოლო, **-ნ, -ენ, -ან** რომ

ერთვის, ისინი მრავლობითისა: თქვა-ს და თქვა-**ნ**, **ამბობ-ს და ამბობ-ენ;** თლი-**ს** და თლი-**ან** და მისთ.

გ) ს უ ფ ი ქ ს ე ბ ი: ერთი მხრით **ა**- და მეორე მხრით **-ეს, ენ.** ამათგან **ა**ნიანი ფორმა მხოლობითი რიცხვისა იქნება, ხოლო **-ეს** და **-ენ** სუფიქსიანები — მრავლობითისა: აკეთებდ-**ა** და აკეთებდ-(ნ)-**ენ,** გააკეთ-**ა** და გააკეთ-**ეს** და მისთ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ძველებური გარჩევა პირდ. ობიექტური პირის რიცხვისა, რომელიც გარკვეულ შემთხვევებში **(ე)ნ**-ის ხმარება-უხმარებლობაზე იყო დამყარებული, დღეს სალიტერატ. ქართულში ან სრულებით აღარ არის, ან, თუ არის, მხოლოდ ნაშთის სახით არის მოღწეული ზოგიერთი მწერლის ენაში, მაგ., ვაჟას პოემებში: ვნახე და ვნახ-**ენ,** ნახა და ნახ-**ნ-ა,** გაშალ-ეს და გაშალ-**ნ**-ეს და მისთ.. ამათგან უ**ნ**არო ფორმები მხოლობითისაა, **ნ**არიანი კი — მრავლობითისა (§ 226).

თქმულით არ ამოიწურება საკითხი ზმნის რიცხვის შესახებ ქართულში; ზოგიერთი დეტალი პირის საკითხთან ერთად იქნება გაშუქებული.

პ ი რ ი

204. პირის რაობა. პირი გრამატიკაში არის ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს ან იმას, ვინც მოუბარია, ან იმას, ვისაც მოუბარი მიმართავს უბნობის დროს, ან კიდევ იმას, ვინც ან რაც არც მოუბარია და არც მისი მიმართვის საგანი, არამედ სხვა.

იმის მიხედვით, თუ რ ო მ ე ლ ი ზემოთ დასახელებულ პირთაგანია ნაგულისხმევი ზმნის ფორმაში, ვარკვევთ რ ო მ ლ ო ბ ა ს პირისას; იმის მიხედვით, თუ რ ო გ ო რ ი ა ესა თუ ის პირი მოქმედების, ანუ მზმელობის თვალსაზრისით, ვარკვევთ რ ო გ ო რ ო ბ ა ს, ანუ ვ ი თ ა რ ე ბ ა ს; ხოლო იმის მიხედვით, თუ რ ა მ დ ე ნ ი პირია წარმოდგენილი ერთ ფორმაში, ვარკვევთ რ ა ო დ ე ნ ო ბ ა ს.

205. რომლობა პირისა. პ ი რ ვ ე ლ პირად რომ მივიჩნიოთ მოუბარი უბნობის მომენტში და მისივე თვალსაზრისით, მაშინ, ვისაც ეს მოუბარი მიმართავს, მ ე ო რ ე პირი იქნება; ხოლო ვინც ან რაც ამ პირების გარეშეა და სხვაა, მ ე ს ა მ ე პირი გამოვა.

განვიხილოთ თვითეული მათგანი ცალ-ცალკე.

1. **პირველი პირი.** მოუბარი (ანუ მოლაპარაკე ადამიანი), რომელიც თავის თავს **მე**'ს ეძახის, ერთია, მაგრამ იგივე მოუბარი შეიძლება ერიოს კრებულში, რომელიც **ჩვენ** სიტყვით აღინიშნება (§ 50). ზმნის ფორმა, რომლითაც მოუბარი უბნობის მომენტში თავის თავს აღნიშნავს (სულ ერთია, მარტო იქნება იგი, თუ სხვებში ერევა), პირველი პირისად ითვლება. პირველი პირის ფორმა ყოველთვის გვაძლევს წარმოდგენას **მე** ან **ჩვენ** სიტყვით აღნიშნული ადამიანის ან ადამიანთა მოქმედების შესახებ. რიცხვის მიხედვით ის იქნება მხოლობითი ან მრავლობითი. მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი ა: ვწევარ, ვდგები, ვიტანჯები, ვაკეთებ, ვთლი და მისთ.; მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი ა: ვწევართ, ვდგებით, ვიტანჯებით, ვაკეთებთ, ვთლით და მისთ.

2. **მეორე პირი.** მოუბარი რომ ვინმეს მიმართავს და მის მიმართ ზმნას იხმარს, რომელიც ამ ვინმეს მოქმედებას გადმოგვცემს, ის ზმნა იქნება მეორე პირის ფორმით. მეორე პირის ფორმა წარმოდგენას გვაძლევს **შენ** ან **თქვენ** სიტყვით აღნიშნული ადამიანის (ან აღნიშნულ ადამიანთა) მოქმედების შესახებ.

რიცხვის მიხედვით ისიც იქნება მხოლობითი ან მრავლობითი. მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი ა: სწევხარ, სდგები, იტანჯები, აკეთებ, სთლი და მისთ.; ყველა ესენი **შენ** სიტყვით აღნიშნული პირის მოქმედებას გამოხატავენ; მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი ა: სწევხართ, სდგებით, იტანჯებით, აკეთებთ, სთლით და მისთ.; ყველა ესენი **თქვენ** სიტყვით აღნიშნული პირების მოქმედებას გამოხატავენ.

3. **მესამე პირი.** ვინც ან რაც მოუბრის თვალსაზრისით არ არის არც **მე** ან **ჩვენ,** არც **შენ** ან **თქვენ,** იქნება **იგი** ან **იგინი (ის** ან **ისინი).** უკანასკნელი ნაცვალსახელები ზმნათა გარკვეულ ფორმებს შეეწყობა. სხვა ფორმებთან კი **იგი**-ს (**ის**-ის) ნაცვლად შეიძლება იყოს **მან** ან **მას, იგინი**-ს (**ისინი**-ს) ნაცვლად, კი — **მათ.** ყოველი ფორმა ზმნისა, რომელიც, ნაცვალსახელებთან შეწყობისას იგუებს ერთ-ერთს ამ ნაცვალსახელთაგანს: **იგი, მან, მას, იგინი (ისინი), მათ,** მესამე პირისა იქნება: წევს (იგი), აკეთებს (იგი), დაიძინა (მან), გააკეთა (მან), სძინავს (მას), წვანან (იგინი, ისინი), აკეთებენ (იგინი), დაიძინეს (მათ), ჰსურთ (მათ) და მისთ.. ამგვარად, მესამე პირი არის ფორმა ზმნისა, რომელიც წარმოდგენას გვაძლევს ისეთი ვინმეს ან ისეთი რამის მოქმედების შესახებ, რომელიც (ან რომლებიც) არც მოუბარია და არც მისი მიმართვის საგანი, არამედ სხვა.

მოუბარი ადამიანი უბნობის მომენტში უაღრესად მნიშვნელოვანი კატეგორიაა ზმნის სტრუქტურაში — ის გამოსავალია პირთა გაგებისათვის: მოუბარი, რომელიც ითვლება პირველ პირად, განსაზღვრავს მეორეს, ორივე ესენი ერთად კი არკვევენ მესამეს. ყოველგვარი საუბარი, თხრობა, მსჯელობა ისე მიმდინარეობს, რომ უეჭველად მოუბრად იგულისხმება ვინმე. ყოველი წიგნი (მაგ., «ვეფხ.») ისეა დაწერილი, რომ ყოველ ფრაზაში მოუბრის თვალსაზრისია გატარებული. მოუბარ პირად ხშირად ავტორი ივარაუდება და მე-2 პირად — მკითხველი. ვთქვათ, ავთანდილია მოუბარი და მიმართავს ტარიელს; ამ მომენტში ავთანდილი იქნება 1-ლი და ტარიელი — მე-2, ყველა დანარჩენი კი (როსტევანი, თინათინი, ნესტან-დარეჯანი, ასმათი, ფრიდონი და სხვა, თუ საუბარია მათზე) — მე-3. თუ ტარიელია მოუბარი, უბნობის მომენტში ის იქნება 1-ლი პირი, ვისაც ის მიმართავს, მე-2 პირი იქნება, ყველა დანარჩენი კი — მე-3. ამის მიხედვით ერთი და იგივე ადამიანი შეიძლება 1-ლი პირიც იყოს, მე-2-ც, მე-3-ც. ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რომელი მოუბრის თვალსაზრისითაა ნახმარი ზმნის ფორმა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. პირზე რომ ვლაპარაკობთ, ჩვეულებრივ საუბარში მარტო ადამიანები გვყავს მხედველობაში. მაგრამ გრამატიკულად პირიანი ფორმა ადამიანზედაც ითქმის და არა-ადამიანზედაც (ცხოველებზე, ფრინველებზე, ნივთებზე, განყენებულ საგნებზე), როგორც ამას ეს მაგალითებიც გვიჩვენებს: „თ ხ ა მ შეჭამა ვენახი“, „კ ა ჰ კ ა ჰ მ ა უთხრა ყვავსაო“, „ვ ა რ დ მ ა გასძახა ბულბულსა“, „ადიდებულმა მ დ ი ნ ა რ ე მ ხიდი წაიღო“, „ყ ვ ა ვ ი ლ მ ა კაცი მოკლა“, „ყ ი ნ ვ ა მ ხეხილი დააზრო“, „ძ ა ლ ა აღმართს ხნავს“ და მისთ.

— ყანაო, ჩემო ყანაო, ნეტარ, რამ მ ო გ ი ყ ვ ა ნ ა ო?
— ხარმა მ ხ ნ ა, კაცმა დ ა მ თ ე ს ა, მეუფემ მ ო მ ი ყ ვ ა ნ ა ო

ი. რაზ. „ფშაური ლექსები“, გვ. 85). ამ კითხვა-პასუხში „ყანა“ ყველგან ობიექტურ პირად არის წარმოდგენილი: კითხვაში მე-2 პირად, პასუხში კი — 1-ლ პირად.

206. ინკლუზია და ექსკლუზია. პირი სამია მხ. რიცხვში და სამიც მრავლობითში. მაგრამ პირი შეიძლება მეტიც იყოს: მაგ., მრ. რიცხვში სვანური პირს არჩევს: პირველს ინკლუზიურს, პირველს ექსკლუზიურს, მეორეს და მესამეს. ქართულში ჩვენეული ფორმა (§ 207) თანაბრად იხმარება, გულისხმება მოუბართან ერთად ისიც, ვისაც ის მიმართავს საუბრით, თუ არა; მაგ., „ვაკეთებთ“ — ამაში შეიძლება ვიგულისხმოთ არა მარტო „მე და შენ“ ან „მე და თქვენ“, არამედ აგრეთვე „მე და ის“, „მე და ისინი“ (შდრ. 50,1), სვანურში კი აქ თავ-თავისი ფორმაა: „ლასყიდ“ და „ხჟასყიდ“, რომლებიც, ქართულად რომ ვთარგმნოთ, ორივე „ვაკეთებთ“ იქნება, მაგრამ მათ შორის სვანისთვის ის განსხვავებაა, რომ „ლასყიდ“ ინკლუზიურია (ე. ი. ისეთი ფორმაა, რომელიც მოუბართან მე-2 პირს აერთიანებს: „ვაკეთებთ მე და შენ“, „ვაკეთებთ მე და თქვენ“), „ხჟასყიდ“ კი ექსკლუზიურია (ე. ი. ისეთი ფორმაა, რომელიც მოუბართან მე-2 პირს გამორიცხავს, სამაგიეროდ მე-3-ს ჩარიცხავს: „ვაკეთებთ მე და ის“, „ვაკეთებთ მე და ისინი“).

ამგვარად, ინკლუზია გულისხმობს ისეთ ფორმას ზმნისას, რომელსაც შეწყობა „ჩვენ“ და ეს „ჩვენ“ შინაარსით იგივეა, რაც „მე და შენ“ ან „მე და თქვენ“, ხოლო ექსკლუზია გულისხმობს ისეთ ფორმას ზმნისას, რომელსაც შეწყობა „ჩვენ“ და ეს „ჩვენ“ შინაარსით უდრის ერთ-ერთს ამ ხუთ წყვილთაგანს: „მე და იგი“, „მე და იგინი“, „მე და მან“, „მე და მას“, „მე და მათ“, სხვანაირად რომ ვთქვათ, ინკლუზია გულისხმობს ზმნის ფორმით გამოხატულ ჯგუფს მოუბრისა და მეორე პირისას, ექსკლუზია კი — ზმნის ფორმით გამოხატულ ჯგუფს მოუბრისა და მესამე პირისას. მოუბარი ხომ 1-ლი პირია მხოლ. რიცხვისა, მაშასადამე, ინკლუზიურ ფორმაში მხ. რიცხვის 1-ლ პირთან ერთად გამოხატულია მე-2 პირი, ექსკლუზიურში კი — მხ. რიცხვის 1-ლ პირთან ერთად მე-3 პირი. სახელი კი დარქმეულია იმის მიხედვით, მე-2 პირი ნაგულისხმევია ფორმაში, თუ არა.

ინკლუზიურია ყოველთვის თავის გაგებით ბრძანებითის ფორმა 1-ლი პირისა მრ. რიცხვში, როგორიც უნდა იყოს ზმნა — ერთ-პირიანი, ორპირიანი, თუ სამ-პირიანი: ავდგეთ! წავიდეთ! ავაშენოთ! მივსწეროთ! გავაგზავნოთ!

ექსკლუზიურია ყოველთვის თავის გაგებით ფორმა 1-ლი ობიექტური პირისა ორ-პირიან და სამ-პირიან ზმნებში, როცა შიგ სუბიექტურ პირად მე-2-ა, როგორიც უნდა იყოს კილო — თხრობითი, კავშირებითი, ბრძანებითი: რომ ჩაგვწერე? როდის გვადღეგრძელე? რომ მოგვიტანო და მოგვცე; გაგვაცანი! რომ ჩაგვწერეთ? როდის გვადღეგრძელეთ? რომ მოგვიტანოთ და მოგვცეთ; გაგვაცანით!

ინკლუზიურ-ექსკლუზიური ფორმების გარჩევის ნიშან-კვალი ძველ ქართულშია შემონახული (ობიექტურ პირებში), ახალმა ქართულმა ამისი არა იცის რა.

207. ჩემეული, შენეული და შემდგომი. რადგანაც პირიანი ფორმები ზმნისა შეიცავს პირის ნაცვალსახელების გაგებას ისე, რომ ამ ნაცვალსახელების ხმარება საჭირო არ არის, ამიტომ თამამად შეიძლება ითქვას, რომ

1-ლი პირის ფორმა მხ. რიცხვისა არის ჩ ე მ ე უ ლ ი („ვიცინი“), მავე პირის ფორმა მრ. რიცხვისა კი — ჩ ვ ე ნ ე უ ლ ი („ვიცინით“);

მე-2 პირის ფორმა მხ. რიცხვისა არის შ ე ნ ე უ ლ ი („იცინი“), ამავე პირის ფორმა მრ. რიცხვისა კი — თ ქ ვ ე ნ ე უ ლ ი („იცინით“);

მე-3 პირის ფორმა მხ. რიცხვისა არის მ ი ს ე უ ლ ი („იცინის“), მავე პირის ფორმა მრ. რიცხვისა კი — მ ა თ ე უ ლ ი („იცინიან“).

მაშასადამე, თვითეული ამ ექვს სიტყვათაგანი (ჩემეული, შენეული, მისეული, ჩვენეული, თქვენეული, მათეული) ერთსა და იმავე დროს აღნიშნავს პირისა და რიცხვის ფორმას.

208. ვითარება პირისა. ვითარება, ანუ როგორობა პირისა გვრვენებს, თუ როგორია პირი: მოქმედია თუ უმოქმედო, სუბიექტური თუ ობიექტური.

ქართული ზმნის ერთსა და იმავე რომლობითს პირს ორი სახე ქვს. მაგალითისათვის რომ ამ ზმნებს მივმართოთ: ვდგავარ, ვაკეთებ, ვწერ, ვათბობ, ვნახავ და მისთ., დავრწმუნდებით, რომ აქ ყველგან 1-ლი პირის ფორმებია, რადგანაც, უეჭველია, ყველა ესენი მოუბარს გულისხმობენ, რაც იქედანაც ჩანს, რომ ყველგან შეგვიძლია **მე** სიტყვა შევუწყოთ: **მე** ვდგავარ, **მე** ვაკეთებ, **მე** ვწერ. **მე** ვათბობ, **მე** ვნახავ და მისთ.; მაგრამ უეჭველია ისიც, რომ მოუბარი იგულისხმება აგრეთვე იმავე ფუძის ზმნათა ამ ფორმებშიც: მიდგას, მიკეთებ, მიწერთ. მათბობენ, მნახავს, რადგანაც ამათაც შეგვიძლია შევუწყოთ **მე**: **მე** მიდგას. **მე** მიკეთებ, **მე** მიწერთ, **მე** მათბობენ, **მე** მნახავს. „ნახვა“ ზმნისაგან ერთსა და იმავე მწკრივში აი რამდენი ფორმაა შესაძლებელი, რომლებსაც **მე** შეეწყობა: გნახავ, ვნახავ, გნახავთ, მნახავ, მნახავს, მნახავთ, მნახვენ. ესენი ყველა გვაძლევს წარმოდგენას 1-ლი პირის (მოუბრის) შესახებ და, მაშასადამე, ყველა 1-ლი პირის ფორმაა. მაგრამ როგორღა გავარჩიოთ ისინი ერთმანეთისაგან? ავიღოთ შესადარებლად ეს ორი: „გნახავ“ და „მნახავ“. 1-ლი პირი ამაშიც იგულისხმება და ამაშიც: გნახავ **მე**, მნახავ **მე**; მაგრამ ამასთანავე ერთად ორგანვე იგულისხმება მე-2 პირიც: გნახავ **შენ**, მნახავ **შენ**. მაშასადამე, იქაც და აქაც ორ-ორი პირია გამოხატული, 1-ლი და მე-2: გნახავ (მე შენ), მნახავ (შენ მე). მართალია, 1-ლი და მე-2 პირი იქაც მოცემულია ფორმით და აქაც, მაგრამ განსხვავება დიდია მათ შორის: სხვაა ის ურთიერთობა, რომელიც გამოხატულია 1-ლსა და მე-2 პირს შორის „გნახავ“ ფორმაში, და სულ სხვაა ის ურთიერთობა, რომელიც წარმოდგენილია „მნახავ“-ში; სახელდობრ: ერთ შემთხვევაში 1-ლი პირი ჩანს მოქმედების ჩამდენად („გნახავ“), მეორეში კი — მე-2 პირი („მნახავ“). იგივე ვითარება იქნება, თუ მე-2 პირის ფორმას გადავიყვანთ მრავლობითში: „გნახავთ“ (მე თქვენ), „მნახავთ“ (თქვენ მე) [„მშვიდობით, ჩემო პაწაწინა ობლებო! ველარ მ ნ ა ხ ა ვ თ და ველარც გ ნ ა ხ ა ვ თ თავის დღეში“ (ი. რაზ., «ნიბლია»]. ამგვარადვე „ვნახავ“-ში მოქმედების ავტორობა 1-ლ პირს ეწერება, ხოლო „მნახავს“ ფორმაში მოქმედად მე-3 პირია გამოყვანილი; „ჰნახავ“ ფორმა მოქმედად მე-2-ს გულისხმობს, „გნახავს“ კი — მე-3-ს.

ის პირი, რომელიც ზმნის ფორმაში მოქმედების ჩამდენად არის წარმოდგე-

ჟილი, ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი ა, ხოლო ის პირი, რომელიც ფორმაში გამოხატულია, მაგრამ მოქმედად არ არის გამოყვანილი, ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი ა. ამის მიხედვით „გნახავ“ ფორმაში სუბიექტურია 1-ლი პირი, ობიექტურია მე-2, „მნახავ“-ში კი, პირუკუ, სუბიექტურია მე-2, ობიექტურია 1-ლი.

209. რაოდენობა პირისა ერთ ფორმაში. ქართული ზმნის ერთსა და ამავე ფორმაში შეიძლება გამოხატულ იქნეს ე რ თ ი, ო რ ი, ან ს ა მ ი პირი. ამის გამორკვევისთვის, თუ რამდენი პირია გამოხატული ერთ ფორმაში, შემთხვევათა დიდისაგან დიდს უმრავლესობაში ეს ხერხი გვშველის: ზმნას უნდა შევუწყოთ პირის ნაცვალსახელები: **მე, შენ, იგი, მან, მას, ჩვენ, თქვენ, იგინი, მათ** და, რამდენსაც მოიხდენს ამათგან ესა თუ ის ფორმა, პირიც იმდენი იქნება მიგ. ამასთანავე ერთად უნდა გვახსოვდეს, რომ ამ ნაცვალსახელთაგან ისინი, რომლებთანაც საზოგადოდ თანდებულის დართვა შეიძლება (ასეთებია: ჩვენ, შენ, თქვენ, მას, მათ), ამ შემთხვევაში სუფთად უნდა იყვნენ წარმოდგენილი, ე. ი. არავითარი თანდებული (-ში, -ზე, -თან, -თვის და სხვ.) არ უნდა ახლდეს. ამის მიხედვით

ე რ თ-პ ი რ ი ა ნ ი ფორმები იქნება: ვარ (მე), ვწევარ (მე), ჰხტი (შენ), იდგები (შენ), თბება (იგი), ვიმალებით (ჩვენ), იტანჯებით (თქვენ), ტრიალებენ (იგინი) და მისთ.

ო რ-პ ი რ ი ა ნ ი ფორმები იქნება: მოვსწონვარ (მე მას), გიყვარვარ (მე შენ), გძულს (იგი შენ), დამტანჯა (მან მე), მივეპარე (მე მას), გვნახეს (მათ ჩვენ) და მისთ.

ს ა მ-პ ი რ ი ა ნ ი ფორმები იქნება: დაგვიწერს (იგი ჩვენ მას), მოგიტანეს (მათ შენ იგი), დაუტოვა (მან მას იგი), ჩავაბარეთ (ჩვენ მას იგი), მიათხოვეს (მათ მას იგი) და მისთ.

> შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. ქართული ზმნის ფორმათა უმრავლესობა ორ- და სამ-პირიანია. ამიტომ ამბობენ, რომ ქართულ ზმნას მრავალპირიანობა (პოლიპროსოპია) ახასიათებსო.
>
> შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. პირის რაოდენობა არ უნდა ავრიოთ გრამატიკულ რიცხვში; მაგ., „იმალებიან“ რიცხვის მიხედვით მრავლობითია, მაგრამ პირი ერთია: მარტო მესამე; „მემალებიან“-ში კი ორია პირი: მე-3 მრავლობითი რიცხვისა (მათეული) და 1-ლი მხოლობითისა (ჩემეული).

210. აგებულება ზმნისა. იმის მიხედვით, ერთი პირია ფორმაში წარმოდგენილი, თუ მეტი (ორი ან სამი), ვარჩევთ აგებულებას. აგებულებით ქართ. ზმნის ფორმა ორგვარია: აბსოლუტური (ანუ მიუმართავი) და რელატიური (ანუ მიმართებითი).

1. **აბსოლუტური აგებულებისაა** ფორმა, როცა მასში მარტოოდენ ერთი პირია გამოხატული. ეს პირი ჩვეულებრივ სუბიექტურია; მაგალითები [1]: ვკვდები **(მე)**, იტანჯები **(შენ)**, წევს **(იგი)**, ვართ **(ჩვენ)**, იმალებით **(თქვენ)**, მიდიან **(იგინი)** და მისთ.

---

[1] მაგალითებში სუბიექტურ პირთან შეწყობილი ნაცვალსახელი შავად არის დაბეჭდილი.

2. **რელატიური აგებულებისაა** ფორმა, როცა მასში ორი ან სამ პირი გამოხატული; ამათგან:

ო რ-პ ი რ ი ა ნ ზმნაში ერთი პირი სუბიექტისაა, მეორე კი — ობიექ ტისა: გნახავ (**მე** შენ), დასწერ (**შენ** მას), დამეკარგა (**იგი** მე), დგტანჯე (**მათ** შენ), გათალა (**მან** იგი), შესწვათ (**თქვენ** იგი) და მისთ.

ს ა მ-პ ი რ ი ა ნ ზმნაში ერთი პირი სუბიექტისაა, ორი კი — ობიექტისა დამიწერა (**მან** მე ი გ ი), მიუტანე (**შენ** მას ი გ ი), მისცეს (**მათ** მას ი გ ი) დაგანებებს (**იგი** შენ მ ა ს) და მისთ.

როგორც ვხედავთ, სუბიექტური პირი საზოგადოდ ყოველგვარ ფორმაში ნაგულისხმევი, ობიექტური კი — მხოლოდ მაშინ, თუ ფორმაში ორი ან სამ პირია გამოყვანილი.

სუბიექტურსა და ობიექტურ პირს თავ-თავისი ნიშნები მოეპოვება, რომელთაც პ ი რ ი ს ნ ი შ ნ ე ბ ს (ანუ პ ი რ ი ე ლ ნ ი შ ნ ე ბ ს) ვეძახით.

ობიექტური პირის ნიშნების ხმარებისას მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორია ზოგჯერ გარდამავლობა ზმნისა და, ამასთან ერთად, როგორია მიმართება.

211. გარდამავლობა. პირი, რომელიც ობიექტად არის წარმოდგენილი ზმნის ფორმაში, შეიძლება ორგვარი იყოს: ე რ თ ი, რომელთანაც ზმნის გარდამავლობაა დაკავშირებული, და მ ე ო რ ე, რომელსაც ზმნის გარდამავლობასთან არაფერი აქვს საერთო. მაგალითისთვის რომ ავიღოთ და ერთმანეთს შევადაროთ ეს ორი ფორმა ზმნისა: „მხატავს“ და „მიხატავს“, ვნახავთ, რომ 1-ლი პირი ორგანვე უმოქმედოა, ე. ი. ობიექტად არის წარმოდგენილი, მაგრამ განსხვავება მათ შორის დიდია: „მხატავს“-ში სუბიექტის მოქმედება (ამ შემთხვევაში მე-3 პირისა) პ ი რ დ ა პ ი რ ეხება მოუბარს (1-ლ პირს), ანუ როგორც ამბობენ, პირდაპირ გადადის მასზე, „მიხატავს“-ში კი სუბიექტის მოქმედება, მართალია, ეხება იმავე მოუბარს, მაგრამ ეხება არა პირდაპირ, არამედ სხვა საგანთან დაკავშირებით, ვთქვათ, ასე: „მიხატავს ს ა ხ ლ ს“. აქ რომ სუბიექტად მე-3 პირია, მისი მოქმედება პირდაპირ ს ა ხ ლ ს ეხება, რადგანაც ს ა ხ ლ ს ხატავს იგი და არა მე მხატავს, ხოლო რადგანაც იგი სახლს ხატავს ჩ ე მ თ ვ ი ს ან ჩ ე მ ს ა ს, ამიტომ „მიხატავს“ ფორმა (რომელიც ამ შემთხვევაში მნიშვნელობით ამას უდრის: ხატავს ჩემთვის ან ხატავს ჩემსას) 1-ლ პირს იმგვარად წარმოგვიდგენს, რომ მას ეს ხატვა ეხება არა პირდაპირ, არამედ ი რ ი ბ ა დ, ე. ი., როგორც ამბობენ, ზმნით გამოხატული მოქმედება არ გადადის მასზე.

ყოველი ზმნა, რომელსაც პირდაპირ-ობიექტური პირის ფორმები აქვს გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ ი ა, ხოლო, რომელსაც პირდ. ობიექტური პირის ფორმები არა აქვს ან არ შეიძლება ჰქონდეს, გ ა რ დ ა უ ვ ა ლ ი ა.

212. მიმართების სახეები. რადგანაც რელატიური აგებულების ზმნის ფორმაში შეიძლება ორი ობიექტური პირი იყოს გამოხატული, რომელთაგანაც ერთი პირდაპირია, ხოლო მეორე ირიბი, ამიტომ მიმართებაც (ანუ რელაცია) სუბიექტური პირისა ობიექტურისადმი ორგვარია: პირდაპირი და ირიბი.

შეიძლება, რომ ზმნაში მარტო ერთი მიმართება იყოს, ანუ, რაც იგივეა, მიმართება ც ა ლ მ ა გ ი იყოს. ამ შემთხვევაში იგი იქნება ან პირდაპირი, ან ირიბი.

პ ი რ დ ა პ ი რ ი მიმართების ფორმები ობიექტურ პირს სუბიექტურის უშუალო მოქმედების საგნად გულისხმობს: ვაკეთებ, ვათბობ, ვზრდი, ვხევ, ვიშენებ, ვინახავ, ვჭრი და მისთ.. ასეთი მიმართება მარტოოდენ გარდამავალ ზმნებშია შესაძლებელი.

ი რ ი ბ ი მიმართების ფორმები შეიცავს ობიექტურ პირს, მაგრამ მას სუბიექტური პირის უშუალო მოქმედების საგნად არ გულისხმობს: დამეკარგა, გამიტყდა, გამიცრუვდა, მომიკვდა და მისთ.. ასეთი მიმართება მარტოოდენ გარდაუვალ ზმნას ახასიათებს.

ო რ მ ა გ ი მიმართების ზმნაში პირდაპირი მიმართებაც არის და ირიბიც. ასეთებია: აუშენებს, ჩავაბარე, დამკრა, მოგიტანს და მისთ.. ორმაგი მიმართება შეიძლება მარტოოდენ გარდამავალ ზმნას მოეპოვებოდეს.

გარდამავალი ზმნა ორ-პირიანია ან სამ-პირიანი, გარდაუვალი ზმნა კი — ერთ-პირიანი ან ორ-პირიანი.

პირთა რაოდენობიდან თუ გამოვალთ, ასეთი სურათი გვექნება: ერთ-პირიანი ზმნა გარდაუვალია, ორ-პირიანი ზმნა შეიძლება გარდაუვალიც იყოს და გარდამავალიც, სამ-პირიანი ზმნა კი გარდამავალია.

პირდაპირია მიმართება, თუ ირიბი, ამას უღლების თვალსაზრისით მარტოოდენ მაშინ აქვს მნიშვნელობა, როდესაც ობიექტურ პირთაგან ფორმაში მესამეა გამოხატული.

სუბიექტური პირი

213. ზოგადი. პირის გამოხატვა ზმნაში შემდეგ პრინციპზეა დამყარებული: ამა თუ იმ პირისათვის რომელსამე რიცხვში განკუთვნილი ფორმა მთლიანად უნდა იყოს გამორჩეული დანარჩენ პირთა ფორმებისაგან, ის სხვაგვარად უნდა ბგერდეს. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს იმას, მოეპოვება მას საკუთარი ნიშანი, თუ არა. რომ შევადაროთ ერთმანეთს ეს ფორმები: ვაშენებ, აშენებ, აშენებს, ვაშენებთ, აშენებთ, აშენებენ, დავრწმუნდებით, რომ თვითეული მათგანი მკვეთრად არის განსხვავებული სხვეპისაგან: „ვ-აშენებ" — ამას ახასიათებს პრეფიქსი **ვ**; „აშენებ" — ამას არც პრეფიქსი აქვს, არც სუფიქსი; „აშენებ-ს" — ამას ახასიათებს სუფიქსი **ს**; „ვ-აშენებ-თ" — ამას 1-ლი პირის მხ. რიცხვის ფორმისაგან **თ** განასხვავებს; „აშენებ-თ" — ამასაც მე-2 პირის მხ. რიცხვის ფორმისაგან იგივე **თ** განასხვავებს; „აშენებ-ენ" — ეს ფორმა სულ სხვანაირია, ვიდრე დანარჩენები.

საყურადღებოა, რომ მე-2 პირის ფორმას ორსავე რიცხვში ძველად პრეფიქსი **ჰ** ჰქონდა ხმოვნის წინაც: ჰ-აშენებ, ჰ-აშენებთ. ეს **ჰ** პირის ნიშანი იყო, მაგრამ დაიკარგა და ფორმა უმისოდაც იმავე სამსახურს ეწევა, რასაც ძველად. ეს იმიტომ, რომ მე-2 პირის ფორმები მაინც განსხვავებული დარჩა სხვა პირთა ფორმებისაგან.

სხვა მაგალითი: გვაქვს ზმნის ფორმები: მო-ვალ, მო-ხ-ვალ, მო-ვა. ამათგან პირის ნიშანი მარტო მე-2-ს აქვს (**ხ**), 1-ლი და მე-3 კი ამჟამად უნიშნოებია.

მაგრამ მაინც სამივე პირის ფორმა დღესაც ისევე მკაფიოდ არის გარჩეული ერთმანეთისაგან, როგორც ძველად იყო, მიუხედავად იმისა, რომ 1-ლი პირისას ვ აკლია წინ (ის ძველ სალიტერატურო ენაშიც აკლდა), მე-3-ისას კი ბოლოში ორი ბგერა აქვს ჩამოკვეცილი (**ლს**), რომელთაგანაც ერთი (**ლ**) ფუძეს ეკუთვნოდა და მეორე (**ს**) პირს მიუთითებდა: *მო-ვ-ვალ (→მო-ვალ), *მო-ხ-ვალ (→მოხუალ), მო-ვალ-ს.

214. სუბიექტური პირის ნიშნების ადგილი. რიცხვის ნიშანი სუბიექტური პირის ნიშნები (ანუ მოკლედ: სუბიექტური ნიშნები) ზმნას თავშიც მოუდის და ბოლოშიც. თავში მოუდის 1-ლსა და მე-2 პირს, ბოლოში კი — მე-3-ს. მაშასადამე, პირველი ორი პირის სუბ. ნიშანი პრეფიქსი ყოფილა, მესამისა კი — სუფიქსი. პრეფიქსული ნიშნები საერთოა 1-ლისა და მე-2 პირის ორსავე რიცხვში, ე. ი. 1-ლსა და მე-2 პირს ერთი და იგივე ნიშანი აქვს მხოლობითსა და მრავლობითში. მაგრამ მრავლობითში, მხოლობითისაგან განსხვავებულად, ბოლოს ერთვის **თ**, რომელიც პირის ნიშანი კი არაა, არამედ, როგორც ვნახეთ (§ 203), გრამატიკული სიმრავლის ანუ პლურალობის გამომხატველი სუფიქსია. საზოგადოდ ეს **თ** რომ დავუსვათ ბოლოში 1-ლისა ან მე-2 პირის მხ. რიცხვის ფორმას, მივიღებთ მრავლობითის ფორმას სათანადო პირისას და, პირიქით, რომ ჩამოვაშოროთ ბოლოკიდური **თ** მრავლობითის ფორმას ერთ-ერთის ამ პირთაგანისას, მივიღებთ მხოლობითის ფორმას იმავე პირისას: ვაკეთებ — ვაკეთებ-**თ**, აკეთებ — აკეთებ-**თ**, გავაკეთო — გავაკეთო-**თ**, დასწერო — დასწერო-**თ** და მისთ.

> შ ე ნ ი შ ვ ნ ა. არის შემთხვევებიც, როცა მრავლობითის ფორმას მხოლობითისაგან ვერ ვაწარმოებთ მექანიკურად, მარტოოდენ **თ**-ს დართვით. ეს არის სახელდობრ მაშინ, თუ ძველი წარმოება ინიანი და ენიანი ვნებითებისა ეხლაც ძალაშია: ვიყავ — ვიყვენით, გავერიე — გავერიენით, წავეკიდე — წავეკიდენით და მისთ.; ან კიდევ მაშინ, როცა საჭირო ხდება **თ**-ს წინ **ი**-ს ჩართვა: მოვკალ — მოვკალით, წავედ — წავედით და მისთ. ეს კია, რომ ეს ნართაული **ი** მრავლობითიდან მხოლობითშიც გადმოდის (მოვკალი, წავედი და მისთ.) და, თუ მისი ხმარება მხოლობითშიც საბოლოოდ გაბატონდა (ამის ნიშნები მკაფიოდ ჩანს), მაშინ საერთო წესი აქაც გვექნება: ამ ტიპის ზმნებში მხ.-ისა და მრ.-ის ფორმები მარტოოდენ **თ**-ს დართვა-დაურთველობით იქნება გარჩეული.

მარტოოდენ სუბიექტური ნიშნები იხმარება ფორმაში მაშინ, როდესაც ზმნა აბსოლუტური აგებულებისაა (ე. ი. როცა ზმნა ერთ-პირიანია), რელატიური (მიმართებითი) აგებულების დროს კი (ე. ი. როცა ზმნა ორ- და სამპირიანია) — მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიმართება ცალმაგია და პირდაპირი, თანაც ობიექტურ პირად მესამეა ნაგულისხმევი.

1-ლი და მე-2 პირი სუბიექტისათვის მუდმივ ერთსა და იმავე ნიშნებს გვიჩვენებს. აქ გარჩევა არ არის არც რიცხვისა და არც მწკრივის მიხედვით, ხოლო მე-3 პირის სუბიექტური ნიშანი სხვადასხვაა არა მარტო მხოლობითსა და მრავლობითში, არამედ ზოგჯერ აგრეთვე სხვადასხვა მწკრივშიც.

განვიხილოთ თვითეული პირის ნიშანი ცალ-ცალკე.

215. სუბიექტური ნიშანი პირველი პირისა. 1-ლი პირის სუბ. ნიშანი არის **ვ**: **ვ**-წერ, **ვ**-აკეთებ, **ვ**-ნადირობ, **ვ**-წვები, **ვ**-მალავ, **ვ**-ათბობ, და-**ვ**-წერე, გა-**ვ**-აკეთო, **ვ**-ინადირო, **ვ**-წვებოდი, და-**ვ**-მალე, გა-**ვ**-ათბე და მისთ.. ყველა ესენი მხოლობითის ფორმებია, მრავლობითში გვექნება იგივე ფორმები, **თ**-თი გაზრდილი: **ვ**-წერ-თ, **ვ**-აკეთებ-თ, **ვ**-ნადირობ-თ, **ვ**-წვები-თ, **ვ**-მალავ-თ, **ვ**-ათბობ-თ, და-**ვ**-წერე-თ, გა-**ვ**-აკეთო-თ, **ვ**-ინადირო-თ, **ვ**-წვებოდი-თ, და-**ვ**-მალე-თ, გა-**ვ**-ათბე-თ და მისთ.

სუბიექტური ნიშანი 1-ლი პირისა შეიძლება დაიკარგოს მარტოოდენ მაშინ, თუ იგი ვ-თივე დაწყებულ ფუძეს უნდა დაერთოს [წა-**(ვ)**-ვალ, გადა-**(ვ)**-ვარდები], ან მაშინ, თუ მას მოსდევს **უ**: და-**(ვ)**-უწერე, **(ვ)**-უთხარ, შე-**(ვ)**-უტანე, წა-**(ვ)**-უღე და მისთ. (შდრ. § 28,2). ჩვეულებრივ ასეთ შემთხვევაში **ვ** იწერება, მაგრამ გამოთქმაში თითქმის ყოველთვის იკარგება ხოლმე (ნ. კიდევ § 229,2,ბ).

216. სუბიექტური ნიშანი მეორე პირისა. მე-2 პირის სუბ. ნიშანი არის **ჰ**. ეს **ჰ** არის ძირითადი სახე, რომელიც მომდევნო ბგერის გავლენით შეიძლება შეიცვალოს, რადგანაც იგი ქართულში საზოგადოდ სუსტი ბგერაა და ადვილად ეგუება მომდევნო ბგერის გამოთქმას. შეგუება იქამდე მიდის, რომ ხმოვნების წინ სრულიად იკარგება: **ჰა, ჰე, ჰი, ჰო, ჰუ** ისეთი ჯგუფებია ამჟამად ჩვენთვის, რომ ჩვეულებრივ მათგან მარტო ხმოვნები გვრჩება: **ა, ე, ი, ო, უ.** ასეთივე ამბავია თითქმის ყოველთვის ისეთი თანხმოვნების წინაც, როგორიცაა სპირანტები: **ხ, ღ, ს, ზ, შ, ჟ**; მართლაც, ჯგუფები: **ჰხ, ჰღ, ჰს, ჰზ, ჰშ, ჰჟ** ძნელი გამოსათქმელია და ამიტომ ჰ-ს დაკარგვა ასეთ ბგერებთანაც ხშირია, თუმცა ყოველთვის არ ხდება მაინც.

რაც შეეხება დანარჩენ თანხმოვნებს, ისინი ორ ჯგუფად იყოფა: ერთია გავლენიანი, მეორე კი არა. გავლენიანი ჯგუფის ძალა **ჰ**-ზე იმაში გამოიხატება, რომ ეს ბგერა უკვალოდ კი არ დაიკარგება, არამედ შეიცვლება **ს**-დ. ეს ხდება სახელდობრ ცხრა ბგერის წინ, რომლებიც კბილისა და ნუნისმიერი ბგერებია და სამ მწკრივად არის წარმოდგენილი: **ჭ, ჯ, ჩ; წ, ძ, ც; ტ, დ, თ.** სხვანაირად რომ ვთქვათ, ჯგუფები **ჰჭ, ჰჯ, ჰჩ, ჰწ, ჰძ, ჰც, ჰტ, ჰდ, ჰთ** უნდა შეიცვალოს სათანადოდ და ასეთი სახე მიიღოს: **სჭ, სჯ, სჩ; სწ, სძ, სც; სტ, სდ, სთ.** ეს შენაცვლება ისტორიულია და დღევანდელ ქართულში შემონახულია როგორც შედეგი ოდესღაც ცოცხალისა და მკვიდრი ფონეტიკური მოვლენისა.

სხვა თანხმოვნებთან კი **ჰ** ცოტად თუ ბევრად დღესაც შენახულია, რადგანაც ისეთი ჯგუფები, როგორიცაა **ჰყ, ჰკ, ჰქ, ჰპ** და სხვები, შედარებით ადვილი გამოსათქმელია.

ჰ-ს ასეთი ფონეტიკური თავისებურების გამო მე-2 პირის სუბიექტური ნიშანი ნაირ-ნაირია და დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ბგერა უნდა მოსდევდეს მას. ამის მიხედვით ის იქნება: **ჰ, ს** ან არაფერი. ამათგან **ჰ** არის ძირითადი სახე, **ს** მისი ბგერინაცვალია, ხოლო, როცა ფორმა უნიშნოა (ე. ი. როცა მე-2 პირის ნიშნად არაფერია), იგულისხმება, რომ უნდა გვქონდეს **ჰ**, რომელიც დაკარგულია. თუ ამ ბგერის დაკარგვის შედეგსაც, ასე ვთქვათ ნ უ ლ ს, ბგერინაცვლად მივიჩნევთ პირობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მე-2 პირის სუბიექტური ნიშანი არის **ჰ** ან მისი ბგერინაცვალიო. მაგალითები:

ჰ-ყვირი, ჰ-კვეთ, და-ჰ-გავო, მო-ჰ-ქსოვო, და-ჰ-პატიჟებ და მისთ.;

-აკეთებ, -ათავებ, -ეჭვობ, -იკითხო, -ომობ, -ურჩობ და მისთ.;

ს-ჭამ, **ს**-წიწკნი, **ს**-ცხოვრობ, **ს**-ტირი, **ს**-დებ, **ს**-თვლემ და მისთანანი.

მოყვანილი მაგალითები მხოლობითი რიცხვისაა. მრავლობითი რიცხვისათვის საჭიროა თ-ს დართვა ბოლოში:

ჰ-ყვირი-თ, **ჰ**-კვეთ-თ, და-**ჰ**-გავო-თ, მო-**ჰ**-ქსოვო-თ, და-ჰ-პატიჟებ-თ;

-აკეთებ-თ, -ათავებ-თ, -ეჭვობ-თ, -იკითხო-თ, -ომობ-თ, -ურჩობ-თ;

ს-ჭამ-თ, ს-წიწკნი-თ, **ს**-ცხოვრობ-თ, ს-ტირი-თ, **ს**-დებ-თ, ს-თვლემ-თ;

შეიძლება, რომ **ს**, რომელიც განსაზღვრული ბგერების წინ ჰ-საგან არის განვითარებული, თავის მხრით კიდევ **შ**-დ შეიცვალოს შიშინა ბგერების წინ: **სჭ→შჭ, სჯ→შჯ, სჩ→შჩ: შ**-ჭამ, **შ**-ჯერდები, **შ**-ჩიჩქნი და მისთანა. ასეთი მოვლენა გავრცელებული იყო ძველად, ძალიან გავრცელებულია ახლაც ზოგ კილოში (მაგ., ხევსურულში), მაგრამ დღევანდელ სალიტერატურო ენაში იშვიათია.

როგორც გამონაკლისი უნდა აღინიშნოს ორი ზმნა, სადაც მე-2 პირის სუბ. ნიშნად **ხ** არის: **ხ**-არ და **ხ**-ვალ (მო-**ხ**-ვალ, მო-**ხ**-ვიდე), რაც უძველესი სალიტერატურო ენის ნაშთია, ე. წ. ხანმეტობის დროისა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ხანმეტობა ახასიათებდა ქართ. სალიტერატურო ენას V—VII სს.-ში. ტერმინი „ხანმეტი“ ცნობილია გ. მ თ ა წ მ ი დ ლ ი ს დროიდან (XI ს.) და აღნიშნავს ისეთი ენით დაწერილ ტექსტს, რომელშიც **ხ** ასო (**ხან**) „მეტია“ XI საუკუნის სალიტ. ქართულის ნორმათა თვალსაზრისით (აგრეთვე დღევანდელი ენის ნორმათა თვალსაზრისითაც). „მეტი“ **ხ** გვხვდება ზმნათა ფორმებში: ა) მე-2 პირის სუბ. ნიშნად (**ხ**-ზი, **ხ**-დგა, **ხ**-იხილო), ბ) მე-3 პირის ობ. ნიშნად ირიბი მიმართებისას (**ხ**-ერქუა, **ხ**-ესმა, **ხ**-აქუს), გ) ინიან ვნებითში (**ხ**-იყო, **ხ**-იქმნების) და დ) უფროობით ხარისხში (**ხ**-უმეტჱს-ი, **ხ**-უმჯობჱს-ი (§ 172, გვ. 142).

ხანმეტი ტექსტები ცნობილია 1923 წლიდან და გამოცემულია აკად. ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს ა, პროფ. რ. ბ ლ ე ი კ ი ს ა და ჩემ მიერ.

VIII საუკუნიდან ხანმეტობა ჰაემეტობამ შეცვალა: ყველგან, სადაც უძველეს ძეგლებში „მეტი“ **ხ** იყო, ამ ხანიდან სალიტ. ენაში ჰ გვაქვს. ჰაემეტობამ ენაში დიდხანს ვერ გასტანა, — მალე დაიწყო ჰ-ს დაკარგვა ხმოვნების წინ და მისი **ს**-დ ქცევა კბილისა და ნუნისმიერი ბგერების წინ. IX ს.-ში უკვე დასრულებული ჩანს ეს ფონეტიკური ცვლილების პროცესი. დღევანდელი სალიტ. ენის სათავე აღნიშნული პრეფიქსების მარების საკითხში ჰაემეტი ძეგლების ენაა.

ჰ-ს **ს**-დ გადაქცევა ერთბაშად ვერ მოხდებოდა: გარდამავალი საფეხური მათ შორის უნდა ყოფილიყო ბგერა, რომლის დასაწყისი **ჰ** არის და დასასრული **ს**. მსგავსი რთული ბგერა დღესაც მოისმის აქა-იქ კილოებში (ფშაურში, კახურში, ქართლის ზოგიერთ კუთხეში). ის ზოგჯერ IX—X სს.-თა ძეგლებშიც გვხვდება და **ჰს** ჯგუფის სახითაა წარმოდგენილი.

217. პირის ნიშნის საკითხი ბრძანებითში. დღევანდელი სალიტერატურო ენა ვეღარ არჩევს რიგიანად, თორემ წ ე ს ი თ მე-2 პირის წართქმით ბრძანებითს (ე. ი. ისეთ ბრძანებითს, რომელსაც არ ახლავს უარყოფითი ნაწილაკები **არ** და **ნუ**), სუბიექტური ნიშანი არ უნდა, როგორც ეს წესად იყო ძველად და წესად არის ეხლაც ზოგიერთ დღევანდელ კილოში.

ძველ ქართულში თანხმოვნით დაწყებულ ზმნებში გარჩეული იყო ერთი-მეორისაგან ისეთი ფორმები, როგორიცაა, მაგ., გან-ჰ-კუეთე (თხრობითი კილო: ვთქვათ, გუშინ) და გან-კუეთე (ბრძანებითი კილო), მო-ჰ-კალ (თხრ. კ.) და მო-კალ (ბრძ. კ.). ფშავში, კახეთსა და ქიზიყში, ზოგან აგრეთვე ქართლშიც დღესაც არჩევენ ასეთ ფორმებს: „გა-ჰ-ლეწე“ თხრობითი კილოა („შენ რომ გუშინ პური გაჰლეწე“), „გალეწე“ კი ბრძანებითი („მოდი და პური გალეწე!“) [§ 252].

დღევანდელი სალიტერატურო ენა ასეთ გარჩევას საზოგადოდ აღარ დაგიდევს. მაგრამ აქაც ეს ძველებური წესი ნაშთის სახით საყოველთაოდ შემონახულია მარტოოდენ „მოვიდა“ ზმნაში, სადაც თხრობითისა და ბრძანებითის დაპირისპირებას ყველანი ვგრძნობთ: „მო-ხ-ვედი“ და „მოდი“. „მო-ხ-ვედი“ თხრობითი კილოა და ამიტომ სუბიექტური ნიშანი **ხ** საჭიროა, „მოდი“ კი წართქმ. ბრძანებითია და სუბიექტური ნიშანი არ უნდა და არც არის. ეს „მოდი“ მიღებულია „მოვედ“ ფორმისაგან ი-ს დართვით: მოვედი→მოედი→მოდი. „მოვედი“ (ბრძ. კ.) და „მო-ხ-ვედი“ (თხრ. კ.) მარტო პირის ნიშნით არიან გარჩეული ერთმანეთისაგან.

რაც შეეხება უკუთქმით ბრძანებითს, რომელიც აკრძალვას წარმოადგენს და რომლის ფორმას ყოველთვის ახლავს ნაწილაკი **ნუ** ან **არ**, მას პირის ნიშანი ჰქონდა ძველად და ეს ნიშანი ნაშთის სახით დღესაც შემონახულია საყოველთაოდ **ვალ—ვიდ** ზმნაში: ნუ მო-**ხ**-ვალ, არ მო-**ხ**-ვიდე. სხვა ზმნებში კი პირის ნიშანი შენახულია ბევრ ცოცხალ კილოში, განსაკუთრებით კი მთის კილოებში (და აქედან ზოგჯერ ვაჟას ენაში: „ნუ დაჰპრმავდები გონებით, ნუ დახჩლუნგდები გრძნობითა“, ვაჟა, II, 129).

218. სუბიექტური ნიშანი მესამე პირისა მხოლობით რიცხვში. სუბიექტური ნიშანი მე-3 პირისა მხ. რიცხვში არის სუფიქსი **-ს** ან **-ა**, იშვიათად **-ო**. როდესაც ნიშნად **-ს** არის, მაშინ ყველა პირს ერთსა და იმავე მწკრივში ერთი და იგივე ფუძე აქვს: **ვ**-ხახავ, **ჰ**-ნახავ, ნახავ-**ს**; **ვ**-ნახავდე, **ჰ**-ნახავდე, ნახავდე-**ს**; **ვ**-ნახო, **ჰ**-ნახო, ნახო-**ს**; **ვ**-აკეთებ, (**ჰ**)-აკეთებ, აკეთებ-**ს**; **ვ**-წერ, **ხ**-წერ, წერ-**ს** და მისთ.. მაგრამ, როდესაც მე-3 პირს სუბიექტურ ნიშნად **-ა** (ან **-ო**) აქვს, მაშინ ზოგჯერ ზმნა სხვა ფუძეს გვიჩვენებს, ვიდრე 1-ლსა და მე-2 პირში. მაგალითები: გა-**ვ**-აკეთე, გა-აკეთე, გა-აკეთ-**ა**; **ვ**-აქე, -აქე, აქ-**ო**; **ვ**-თქვი, **ხ**-თქვი, თქვ-**ა**; **ვ**-აკეთებდი, -აკეთებდი, აკეთებდ-**ა**; **ვ**-იწერები, იწერები, იწერებ-**ა** („იწერები-ს“ ფორმისაგან) და მისთ.. ასე რომ მე-3 პირის ფორმა მთლიანად მაინც განსხვავებულია 1-ლისა და მე-2 პირის ფორმათაგან.

> შენიშვნა. პირის **ა** ნიშანში არ უნდა ავრიოთ **ა**, რომელიც **არს** ზმნის შემოკლებისაგანაა წარმომდგარი: მებაღე-**ა**, სტუდენტი-**ა**, კარგი-**ა** (შდრ. § 233, შნშ.).

219. სუბიექტური ნიშანი მესამე პირისა მრავლობით რიცხვში. მე-3 პირის სუბ. ნიშნად მრავლობით რიცხვში რამდენიმე სუფიქსია: **-ენ**, **-ან**, **-ნ**, **-ნენ**, **-ეს**; მაგალითები:

1. **-ენ:** აკეთებ-**ენ**, ათბობ-**ენ**; აკეთებდ-**ენ**, ათბობდ-**ენ**. რადგანაც ეს სუფიქსი ხმოვნით იწყება, ამიტომ იგი ზოგჯერ ფუძის შეკუმშვას იწვევს აწმყო-

მყოფადში: მალავ-ს, მაგრამ: მალვ-**ენ**, ხატავ-ს, მაგრამ: ხატვ-**ენ**, კლავ-ს, მაგრამ: კლვ-**ენ**, დაარტყამ-ს, მაგრამ: დაარტყმ-**ენ** და მისთ. (§ 31).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. **ენ** დაბოლოება ხან მთლიანად პირის ნიშანს წარმოადგენს მრ. რიცხვში და დაუშლელია (ასეთი დაპირისპირებით: ხატავ-**ს** — ხატვ-**ენ**), ხანაც დაიშლება: **ე + ნ**. ამათგან პირის ნიშანი მარტო **ნ** იქნება (ასეთი დაპირისპირებით: **ხატავდე-ს — ხატავდე-ნ**).

2. -**ან** სუფიქსი გვხვდება ყოველთვის, როცა ზმნას ბოლოში თემის ნიშნად ან მწკრივის ნიშნად **ი** აქვს: ჰრი-**ან**, ჰყივი-**ან**, ჟარბი-**ან**, იცი-**ან**, გააგონი-**ან** („შაუთვალი-**ან** ქალასა, გააგონი-**ან** რძალასა", ანდ.), აკადრი-**ან** („ავი არ მაკადრი-**ან**, კარგი არ მაღირსი-**ან**", ანდაზა), იცინი-**ან**, თხრი-**ან** და მისთ.. მაგრამ ზოგიერთი ზმნა („საშუალი" გვარისა), რომლებიც მას დაირთავს, კიდევ სხვა თავისებურებასაც გვიჩვენებს: -**ან** დაბოლოების წინ თავს იჩენს ხოლმე -**ან**, რაც ნათლად ჩანს მხოლობითისა და მრავლობითი ფორმების დაპირისპირებისაგან: დგა-**ს** — დგ-**ან-ან**, წევ-**ს** — წვ-**ან-ან**, ჰგავ-**ს** — ჰგვ-**ან-ან**, ჰყავ-**ს** — ჰყვ-**ან-ან**. ლ. კ ი კ ნ ა ძ ი ს ახსნის თანახმად, პირველი **ან** არის თემის ნიშანი, რომელიც გარკვეულ შემთხვევებშია შემონახული.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ზოგიერთ შემთხვევაში **ან** დაბოლოება წარმოობილია **არიან** ზმნისაგან. რომელშიც უკვე არის პირის ნიშანი (არი-**ან**): ყოფილ **არიან**→ყოფილ-**ან**, შობილ **არიან**→შობილ-**ან**.

3. -**ნ** გვხვდება II კავშირებითში: გააკეთო-**ნ**, ქნა-**ნ**, დაიხოცნე-**ნ** (უკანასკნელი ამჟამად სალიტერატურო ენაში იშვიათი ფორმაა).

4. -**ნენ** იმდენად შეიძლება მთლიანად ჩაითვალოს მრავლობითი რიცხვის მე-3 პირის სუბიექტურ ნიშნად, რამდენადაც შიგ შემავალი პირველი **ნ** ვისამე ენაში მხოლოდ მე-3 პირში გვხვდება და იმავე რიცხვის 1-ლისა და მე-2 პირის ფორმებში კი — არა: წავიდ-**ნენ** (ამათთან შეპირისპირებით: წა-ვედით, წა-ხვედით, წა-ვიდ-**ნენ**), იყვ-**ნენ** (ასეთი შეპირისპირებით ერთი კაცის ენაში ან ერთ კილოში: ვიყავით, იყავით, იყვ-**ნენ**), წაეკიდ-**ნენ** (ასეთი შეპირისპირებით: წავეკიდეთ, წაეკიდეთ, წაეკიდ-**ნენ**); თორემ, თუ **ნ** ვისამე ენაში 1-ლის და მე-2 პირის ფორმებშიც შედის (ამ შემთხვევაში მას წინ კიდევ **ე** ექნება), მაშინ იგი პირის ნიშანს აღარ განეკუთვნება, მაგ., ამ შემთხვევაში: ვიყვ-**ენ**-ით, იყვ-**ენ**-ით, -იყვ-**ნ**-ენ; წავეკიდ-**ენ**-ით, წაეკიდ-**ენ**-ით, წაეკიდ-**ნ**-ენ. მაშასადამე, აქ მე-3 სუბიექტური პირის ნიშნად მარტოოდენ -**ენ** უნდა ვიგულოთ, რომელიც სულ ბოლოს არის (იყვნ-**ენ**, წაეკიდნ-**ენ**).

5. -**ეს** სუფიქსი ძველად ფართოდ იყო გამოყენებული. იგი თანაბრად იხმარებოდა წყვეტილშიცა და უწყვეტელშიც, როგორც გარდამავალს, ისე გარდაუვალ ზმნებში. თანამედროვე სალიტერატურო ენაში კი **ეს** დაბოლოება გარდამავალ ზმნებს შეჰრჩათ (ან კიდევ გარდამავალთაგან გამოსულ გარდაუვალ ზმნებს ცელქობს — იცელქებს ტიპისას) და ისიც მარტოოდენ წყვეტილში: გააკეთ-**ეს**, დააგ-**ეს**, გაათბ-**ეს**, დაიბარ-**ეს**, იცელქ-**ეს** და მისთ., ხოლო მისი ადგილი **(ნ)ენ** დაბოლოებამ დაიჭირა წყვეტილში გარდაუვალ ზმნებში (საშუალსა და ვნებითში), უწყვეტელში კი საზოგადოდ ყოველგვარ ზმნაში (გარდამავალშიცა და გარდაუვალშიც): იყვ-**(ნ)-ენ**, გაემართ-**(ნ)-ენ**, აკეთებდ-**(ნ)-ენ**, წერდ-**(ნ)-ენ**, აშენებდ-**(ნ)-ენ** და მისთ. (§ 506).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. მე-3 პირის სუბ. ნიშანთა შესახებ დამატებით მწკრივთა წარმოების მიმოხილვისასაც გვექნება საუბარი.

220. სუბიექტურ ნიშანთა ცხრილი. რაც ზემოთ ითქვა სუბ. ნიშანთა ესახებ რიცხვითურთ, შეგვიძლია თვალსაჩინო გავხადოთ შემდეგი ცხრილის აშუალებით:

	მხოლ. რ.	მრავლ. რ.
1.	ვ————	ვ————თ
2.	**ჰ**,—, **ს**————	**ჰ**,—, **ს**————თ
3.	———— **ს, ა, ო**	————**ენ (ნენ), ან, ნ, ეს**

221. ორმაგი გამოხატვა სუბიექტური პირისა. დღევანდელ ქართულში რის შემთხვევები სუბიექტური პირის ორმაგად აღნიშვნისა, რაც მეშველი ზმნის მარებასთან არის დაკავშირებული. აქ ვარჩევთ ორგვარ შემთხვევას:

1. რთული ზმნის პირველი ნაწილი ძველადაც პირიანი ფორმა იყო, მაგრამ მას ახალ ქართულში დასჭირდა სხვა ზმნის მიშველება. რაკი პირის ნიშანი იავ ზმნასაც ჰქონდა და დღევანდლამდე შემოჰრჩა, ხოლო მეშველ ზმნას კიდევ ავისი მოჰყვა, ამიტომ ერთ რთულ ფორმაში ორი ნიშანი მივიღეთ პირისა. ოღონდ ასეთი მოვლენა შეიძლება ახასიათებდეს მარტოოდენ გარდაუვალ ზმნას (საშუალთაგან ზოგიერთს, სტატიკურ ვნებითთაგან ყველას), ისიც აწმყოში და მხოლოდ 1-ლსა და მე-2 პირში. მაგ., ძველად იყო: **ვ-ზი, ჰ-ზი, ზი-ს**, ეხლა ი 1-ლსა და მე-2 პირში (ქვემოთ, მეორე პუნქტში მოყვანილი ზმნების ანალოგიით) **ვარ** და **ხარ** უნდა დავურთოთ, მესამე კი ძველებურადვე მარტივი ფორმა დარჩა: **ვზი-ვარ, ჰზი-ხარ**, ზი-**ს**; ვუყვარ-**ვარ**, უყვარ-**ხარ**, უყვარ-**ს**; **ვ-სძულ-ვართ**, სძულ-**ხართ, სძულ-ან**; ვაგდი-**ვარ**, აგდი-**ხარ**, აგდი-**ა** და მისთ. მეშველი ზმნა საჭირო არ არის აღნიშნულ ზმნათა სხვა მწკრივებში: ვუყვარდი, **ვსძულდი**; ვუყვარდე, **ვსძულდე**; **ვეგდე, ვეგდო, ვეგდები** და მისთ.

2. რთული ზმნის პირველი ნაწილი (თავი ზმნა) ძველად უპირო ზმნა იყო და პირი (და აგრეთვე რიცხვიც) მეშველი ზმნის შემწეობით იყო ხოლმე აღნიშნული: ყოფილ ვარ, ყოფილ ხარ, ყოფილ არს, ყოფილ ვართ, ყოფილ ხართ, ყოფილ არიან; ყოფილ ვიყავ, ყოფილ იყავ, ყოფილ იყო... შემდეგ თავი ზმნისა და მეშველი ზმნის ფორმები გაერთიანდა, მაგრამ გაერთიანებას პირის ნიშნების გაჩენა მოჰყვა თავ ზმნაში 1-ლისა და მე-2 პირის ფორმებში (ზემოთ, პირველ პუნქტში განხილული ჯგუფის ზმნათა ანალოგიით), მე-3 პირში კი მეშველი ზმნა მეიკვეცა: **არს** ფორმისაგან მივიღეთ -ა, **არიან** ფორმისაგან კი **-ან**; ვყოფილ-**ვარ, (ჰ)ყოფილ-ხარ**, ყოფილ-**ა**; ვყოფილ-**ვართ, (ჰ)ყოფილ-ხართ**, ყოფილ-**ან**; **ვშობილ-ვარ, ჰშობილ-ხარ**, შობილ-**ა** და შემდგომი. ამგვარად, უპირო ნაწილმა პირის ნიშანი მიიღო და იმ შემთხვევაში, როცა მეშველად „ვიყავ" ფორმა უნდა იყოს გამოყენებული, მეშველ ზმნას სრულიადაც ართმევს თავის პირის ნიშანს: **ვყოფილ-ვარ**, მაგრამ უკვე ამის გვერდით იხმარება ვყოფილიყავ (ყოფილ-ვიყავ-ისაგან). ამ წართმევას ხელი იმან შეუწყო, რომ მეორე პირის ფორმაში მეშველ ზმნას ისედაც არ ჰქონდა პირის ნიშანი, რადგანაც ხმოვნის წინ იგი კაი ხანია დაკარგული იყო: ვიყავ, იყავ [(ჰ)იყავ-ისაგან]. ამიტომ პირის ნიშნის ხმარება თავი ზმნის წინ განზოგადებულ იქნა და მე-2-შიც გადავიდა:

ვყოფილიყავ, (მ)ყოფილიყავ, ყოფილიყო; მაგ. „მთელმა სოფელმა იცის, რომ ქურდი არა ვარ და ცხო, საცა გინდა ვყოფილიყავ, თქვენ რაი“? (ყაზბ., «მამის მკვლელი»); „იქნება ეხლა მე ვყოფილიყავ რიგიანი მუშა კაცი, ცოლშვილი გარს შემორტყმული მყოლოდა. რომ მოვმკვდარიყავ კიდეც, დამტირებელი მეყოლებოდა“ (ჭავ., «გლახის ნაამბობი»).

როდესაც 1-ლი და მე-2 სუბიექტური პირი ორმაგადაა გამოხატული, მაშინ I პირის ნიშანი რთული ფორმის ორსავე ნაწილშია: ჩამო-ვ-მდნარ-ვ-არ, და-ვ-რჩენილ-ვ-არ, ვ-ზი-ვ-არ, მო-ვ-სულ-ვ-არ და მისთანანი; პირველი მათგანი ჩვეულებრივ იკარგება უ-ს წინ: „არაფერს და-უძლევივარ“ (ჭავ., «კაცია-ადამ.»), მაგრამ შეიძლება შენახულ იქნეს ორთოგრაფიულად: „ეგრე გა-ვ-უჩენივარ“ (ჭავ., «გლახის ნაამბობი»);

მე-2 პირში თავი ზმნის პირის ნიშანი ცვალებადია: ჰ,—, ს (მომდევნო ბგერასთან შეხამებით), მეშველში კი მუდმივ ხ არის: ჰ-ზი-ხ-არ, ს-დგა-ხ-არ, უყვარ-ხ-არ და მისთ.

ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲣᲠᲘ ᲞᲘᲠᲘ

222. ᲖᲝᲒᲐᲓᲘ. სუბიექტური ნიშნებისაგან განსხვავებით ობიექტური ნიშნები ქართულ ზმნას მხოლოდ თავში აქვს. ბოლოში შეიძლება მარტოოდენ მრავლობითის ნიშანი ჰქონდეს მასაც, თორემ პირის ნიშანი ობიექტურ პირს ყველას წინ მოუდის: პირველსაც, მეორესაც, მესამესაც (რამდენადაც უკანასკნელს იგი მოეპოვება).

საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ქართულში არ არსებობს არც ერთი ფორმა ზმნისა, რომ შიგ ობიექტური ნიშანი იყოს და ამასთანავე ერთად სუბიექტის პირიც არ იყოს გამოხატული. სხვანაირად რომ ვთქვათ, თუ ფორმაში ობიექტური პირია გამოხატული, აღნიშნულია აგრეთვე (თუ რეალურად არა, ფორმალურად მაინც) სუბიექტური პირიც, ურომლისოდაც საზოგადოდ ქართული ზმნის ფორმა წარმოუდგენელია (შდრ. §§ 234, 235, 236).

რაკი 1-ლსა და მე-2 პირს სუბიექტური ნიშნები წინ მოუდის (§§ 215, 216), ხოლო ობიექტურ პირებსაც ყველას წინ აქვს პირის ნიშანი, ამიტომ იმ ფორმებში, სადაც ე რ თ ი მ ხ რ ი თ სუბიექტად 1-ლი პირია, ობიექტად კი მე-2 ან მე-3, მ ე ო რ ე მ ხ რ ი თ კი სუბიექტად მე-2 პირია, ობიექტად კი 1-ლი ან მე-3, შეხვედრა ხდება სხვადასხვანაირი პირის ნიშნებისა, რასაც შედეგად ზოგიერთი ცვლილება მოსდევს (ამაზე შემდეგ გვექნება საუბარი, § 229), მაგრამ ასეთ შეხვედრას ადგილი არა აქვს მაშინ, როცა სუბიექტად მე-3 პირია, რადგანაც მე-3 სუბ. პირს ნიშნები ორსავე რიცხვში ბოლოს მოუდის. ამიტომ ობიექტური ნიშნების ვითარების გამოსარკვევად სჯობს ასეთ ფორმებს მივმართოთ.

ობიექტური პირების გამოხატვისას რიცხობრივი გარჩევა ხან ხეიხდება, ხან კი — არა. ამიტომ ჯერ ამაზე შევჩერდეთ მოკლედ.

223. ᲠᲘᲪᲮᲕᲘ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲣᲠᲘ ᲞᲘᲠᲘᲡᲐ. ახალ სალიტერატურო ქართულში რომელიმე ობიექტური პირის მრ. რიცხვის ფორმა ამავე პირის მხ. რიცხვის ფორმისაგან საყოველთაოდ გარჩეულია მარტო 1-ლ პირში, მე-2-სა და მე-3 პირში კი ხან გარჩეულია, ხან კი — არა, იმისდა მიხედვით, ძველი წარმოებ. კვლავ

ალაშია, თუ ახალმა გაიკაფა გზა საბოლოოდ. გარჩევა ხდება **-თ** სუფიქსის აშუალებით, რომელიც ბოლოს დაერთვის ხოლმე. გარჩევა ახალმა ქართულმა ეიმუშავა, ძველად კი 1-ლი და მე-2 ობ. პირი ან სრულებით არ იყო რიცხვის იხედვით გარჩეული, ან თუ იყო, სხვანაირად, და არა **თ**-ს საშუალებით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. როცა ფორმაში პირდაპირი მიმართება იგულისხმებოდა, მრ.-ის ფორმა მხ.-ისაგან ძველად **ენ** აფიქსის საშუალებით იყო გარჩეული II სერიის ფორმებში: დაგწერე (მე შენ) და დაგწერ-**ენ** (მე თქვენ), დავწერე (მე იგი) და დავწერ-**ენ** (მე იგინი), დაგწერა (მან შენ) და დაგწერ-**ნ**-ა (მან თქვენ), დაწერა (მან იგი) და დაწერ-**ნ**-ა (მან იგინი), დაგწერეთ (ჩვენ შენ) და დაგწერ-**ენ**-(ი)თ (ჩვენ თქვენ), დავწერეთ (ჩვენ იგი) და დავწერ-**ენ**-(ი)თ (ჩვენ იგინი), დაგწერეს (მათ შენ) და დაგწერ-**ნ**-ეს (მათ თქვენ) და მისთ.. ზოგ ზმნაში **ენ** აფიქსის დართვა უფრო ნათლად ჩანს: სიტყუაჲ **ვთქუ**, მაგრამ სიტყუანი **ვთქუ-ენ.**

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. როდესაც მიმართება ირიბი იყო, მაშინ გარჩევა რიცხვის მიხედვით შეიძლება არ მომხდარიყო 1-ლ პირშიც კი; მაგ.: დამიწერა (მე ან ჩვენ), დაგიწერა (შენ ან თქვენ), დაუწერა (მას ან მათ); მინდა (მე ან ჩვენ), გინდა (შენ ან თქვენ), უნდა (მას ან მათ) და მისთ. ამჟამად კი „დამიწერა“ მარტოოდენ მხოლოობით რიცხვს განეკუთვნება, მრავლობითში კი „დაგვიწერა“ ითქმის, რაც ძველადაც იხმარებოდა (მაშინდელი ორთოგრაფიით: დაგჳწერა).

რიცხობრივი გარჩევა ობიექტური პირებისა უფრო ადვილად ხერხდება, უ ფორმა ხმოვნით თავდება; ეს ფორმა მხოლობითისთვის არის გამოყენებული, ხოლო მრავლობითისთვის **თ** დაერთვის ბოლოში: გინდა — გინდა-**თ**, დაუწერია — დაუწერია-**თ**, ჰგონია — ჰგონია-**თ**, გაგიჯავრდება — გაგიჯავრდება-**თ**, მოგიტანა — მოგიტანა-**თ**, გეტყვი — გეტყვი-**თ**, მოგერეოდე — მოგერეოდე-**თ**, შეგატყო — შეგატყო-**თ** და მისთ. მაგრამ, თუ ფორმას ბოლოში თანხმოვანი აქვს, მაშინ ზედ კიდევ **თ**-ს დართვა შეიძლება აღარ მოხდეს და ობ. პირის მხოლობით-მრავლობითობა აღარ იქნეს გარჩეული: სწერს (მას, მათ), გწერ (შენ, თქვენ), გწერენ (შენ, თქვენ), მოგწეროს (შენ, თქვენ), მისწეროს (მას, მათ), მოგწერეს (შენ, თქვენ), მისწერეს, (მას, მათ), მოგწერონ (შენ, თქვენ), მისწერონ (მას, მათ). სხვათა შორის, ასეთი ამბავია მუდმივ, როცა სუბიექტად პირველი პირია მრ. რიცხვისა და **თ** ისედაც არის ბოლოში: მოგწერეთ (ჩვენ შენ, ჩვენ თქვენ), მოგწეროთ (ჩვენ შენ, ჩვენ თქვენ) და მისთ.. მაგრამ დღევანდელ ენაში ტენდენციაა, გამოხატულ იქნეს ობიექტის რიცხვი, და ამიტომ **თ**-ს დართვაც თანდათან ჩვეულებრივი ხდება: დაგიმალავ (შენ) — დაგიმალავ-**თ** (თქვენ), გაგატარებ (შენ) — გაგატარებ-**თ** (თქვენ), გცემ (შენ) — გცემ-**თ** (თქვენ), დაგიმალავს (შენ) — დაგიმალავს-**თ** (თქვენ), გეტყვის (შენ) — გეტყვის-**თ** (თქვენ), მოგიტანოს (შენ) — მოგიტანოს-**თ** (თქვენ), გაქვს (შენ) — გაქვს-**თ** (თქვენ), გეტყვიან (შენ) — გეტყვიან-**თ** (თქვენ) და მისთ.

თ-ს დართვისას სუბიექტური ნიშანი მე-3 პირისა მხ. რიცხვში **-ს** ხშირად იკარგება კიდეც (§ 28,4): აქვ-**ს:** აქვ-ს-თ→აქვ-**(ს)**-თ→აქვ-თ; მოგიტან-**ს:** მოგიტან-**(ს)**-თ→მოგიტან-თ; დაგიწერს: დაგიწერ-**(ს)**-თ→დაგიწერ-თ. ამის გამო ობიექტური პირების გარჩევა (გარეგნულად მაინც) **თ**-ს დართვა-დაურთველო-

ბაზე კი არ არის დამყარებული, არამედ პირის ნიშნისა და მრ. რიცხვის ნიშნის შენაცვლებაზე. ხ-ს დაკარგვის შემდეგ მიღებული ფორმა ზოგჯერ შეიძლება არეულ იქნეს სხვა ფორმებში: მაგ., „მოგიტანთ“ შეიძლება ოთხნაირად გავიგოთ: 1) ჩვენ შენ, 2) ჩვენ თქვენ, 3) მე თქვენ, 4) ის თქვენ. უკანასკნელ შემთხვევაში „მოგიტანთ“ მიღებულია ამ ფორმისაგან: მოგიტანს-თ. როცა რიცხობრივი გარჩევა ობიექტისა არ ხერხდება, მაშინ იმ ფორმებთან ასოციაციით, რომლებშიც ასეთი გარჩევა ხდება, ვამბობთ, რომ მხოლობითსა და მრავლობითს ზიარი ფორმა აქვსო. მაგალითად: მ-იყვარს და გვ-იყვარს არჩევენ რიცხვს, აგრეთვე გ-ინდა და გ-ინდა-თ. ამიტომ, როცა გვაქვს „მო-გ-იტანეს“, რომელსაც თანაბრად ეწყობა მე-2 პირის ნაცვალსახელები „შენ“ და „თქვენ“ (მოგიტანეს შენ, მოგიტანეს თქვენ), ვამბობთ, რომ იგი ზიარი ფორმაა რიცხვის მიხედვით. არსებითად კი ობიექტური პირისთვის ურიცხო ფორმაა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. როგორც ძველი ქართულიდან ჩანს, თ თავდაპირველად აღნიშნავდა მხოლოდ სუბ. პირების მრავლობითობას, ისიც მხოლოდ 1-ლსა და მე-2 პირში (მის პარალელს ამ შემთხვევაში სვაჲური დ წარმოადგენს). მაგრამ შემდეგ ის ორი ობიექტური პირის მრავლობითობის აღსანიშნავადაც იქნა გამოყენებული: ირიბისთვის მე-2-სა და მე-3 პირში (გინდა-თ, უნდა-თ), პირდაპირისთვის კი — მარტო მე-2 პირში: „დაგლახტოს-თ და დაგშამათოს-თ იმ გმირმა კოპალამ!“ (ვაჟა, «მოკვეთილი»), „კარგი იქნება, თქვენც რო ეგრე ლეკებმა დაგიჭირონ-თ და წაგასხა-თ (=წაგასხან-თ, ვაჟა, «დარეჯანი»).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. საყურადღებოა, რომ ეგევე თ (ეგებ „თქვენ“ სიტყვის გავლენითაც) ზმნებიდან სხვა მეტყველების ნაწილებშიც გადავიდა და დაერთო სიტყვას, რომელიც მრავლისადმია მიმართული: გამარჯობა-თ! საღამო მშვიდობისა-თ! („საღამო მშვიდობისათო, სთქვა ბიძაჩემმა“, ვაჟა, «მოგონება», V, 67,3); „არიქა-თ (ვ)უშველოთო“ (იქვე, 233,23; 247,16); „არიქა-თ დათვიო“ (იქვე, 247,36); „მშვიდობიანობას ეცადეთ, თქვენი ჭირიმე-თ, მშვიდობიანობას“ (ყაზბ., «ელგ.»), „თქვენი ჭირიმე-თ“ (ვაჟა, «შთაბეჭდილებანი», V, 25, 27; «მოკვეთილი», V, 394, 27); „აბა-თ თქვენი ჭირიმე-თ“ (ib. 395,32); „აჰა-თ, წაიღეთ, საწყლებო“ («წიქვილი», V, 111,8); „აბა-თ, აჰა-თ, ბალღებო“ (184,30); „კარგია-თ-ღა, გაჰხედეთ იმ ქალსა, მშიერი იქნების“ (ყაზბ., «ელგ.»); „ვაჟო-თ“ (ვაჟა, «სცენა მთაში», 366,1); რას დასდით, რას დაეძებთ, ბიჭო-თ, და შინ არ სედხართ კერაჩია?“ (ვაჟა, «საშობაო მოთხრ.», V, 167,4).

224. ობიექტური ნიშანი პირველი პირისა. 1-ლი პირის ობიექტური ნიშანი ზმნაში მუდმივ ერთისა და იმავე სახისაა. აქ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, პირდაპირია მიმართება, თუ ირიბი (ე. ი. პირდაპირ-ობიექტურია 1-ლი პირი, თუ ირიბ-ობიექტური). გარჩევა მხოლოდ რიცხვის მიხედვით ხდება: მხოლობითშია ყოველთვის მ, მრავლობითში კი — ყოველთვის გვ. რაკი, მაშასადამე, მხოლობითსა და მრავლობითს თავ-თავისი ნიშანი აქვს ამიტომ მრავლობითში საჭირო აღარ არის კიდევ დამატებით რაიმე ნიშანი; სამარისია, რომ მხოლობითის ფორმა შეიცვალოს ისე, რომ მ-ს ადგილას გვ ჩაისვას, და მრავლობითის ფორმა მზად იქნება. მაგალითები:

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი: მ-კლავს, მ-ჭამს, მ-აქებს, მ-ათბობს, მ-ყავს, მ-ძულს, -ცემს, მ-ჰ֊ირს, მ-ახსოვს, მ-იყვარს, მ-ეუბნება, გა-მ-ლანძღა, და-მ-ათრო, გა-იყოს, შე-მ-ინახა, მო-მ-იტანა და მისთ.

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი: გვ-კლავს, გვ-ჭამს, გვ-აქებს, გვ-ათბობს, გვ-ყავს, ვ-ძულს, გვ-ცემს, გვ-ჭირს, გვ-ახსოვს, გვ-იყვარს, გვ-ეუბნება, გა-გვ-ლანძლა, ღა-გვ-ათრო, გა-გვ-იყოს, შე-გვ-ინახა, მო-გვ-იტანა და მისთ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ობიექტურ პირებში ამჟამად არ არის ე. წ. ინკლუზიურ-ექსკლუზიური ფორმების გარჩევა (§ 209), ხოლო სვანურის ზოგი კილო (მაგ., ბალსზემოური) ამას დღესაც არჩევს: მაგ., ქართ. „გვამზადებს“ სვანურად იქნება გჷამჷრე ან ნამჷრე. ამათგან გჷ-ამჷრე ი ნ კ ლ უ ზ ი უ რ ი ფორმაა (გვამზადებს მე და შენ, მე და თქვენ), ნ-ამჷრე ე ქ ს კ ლ უ ზ ი უ რ ი ა (გვამზადებს მე და მას, მე და მათ). ძველ ქართულში ინკლუზიურ-ექსკლუზიური ფორმების ნაშთი სწორედ ობიექტურ პირებშია შემონახული, როგორც ეს პირველად აღვნიშნე «ქართ. ზმნის საქცევის» ფრანგ. რეზუმეში (ტ.უ.მ. VI, 1926, გვ. 335, შნშ. 1).

225. ობიექტური ნიშანი მეორე პირისა. მე-2 პირის ობიექტური ნიშანიც მუდმივ ერთია: ეს არის **გ**, რომელიც თანაბრად იხმარება როგორც პირდაპირ-ობიექტური პირისთვის, ისე ირიბ-ობიექტურისთვის ორსავე რიცხვში.

რაკი მრავლობითობის აღსანიშნავად **თ** შეიძლება დართულ იქნეს ბოლოს და შეიძლება არა, ამიტომ ამის მიხედვით გვაქვს რიცხობრივად გარჩეული ფორმა (რიცხვიანი) ან რიცხობრივად გაურჩეველი (ურიცხო); მაგალითები:

რ ი ც ხ ვ ი ა ნ ი (განსხვავებული) ფორმებია: გ-ეტყვის (შენ)—გ-ეტყვი(ს)-თ (თქვენ), გ-აქვს (შენ) — გ-აქვ(ს)-თ (თქვენ), გ-იყვარს (შენ) — გ-იყვარ(ს)-თ (თქვენ), და-გ-იწერია (შენ)— და-გ-იწერია-თ (თქვენ), გ-ინდა (შენ) — გ-ინდა-თ (თქვენ) და მისთ..

უ რ ი ც ხ ო (ზიარი) ფორმებია: და-გ-ჰრის (შენ, თქვენ), მო-გ-იტანს (შენ, თქვენ), და-გ-ჰრიან (შენ, თქვენ), მო-გ-იტანენ (შენ, თქვენ), და-გ-იწერონ (შენ, თქვენ) და მისთ.

226. ობიექტური ნიშანი მესამე პირისა პირდაპირი მიმართებისას. როგორც აღნიშნული იყო (§ 212), მესამე ობიექტური პირისთვის მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორია მიმართება: პირდაპირი თუ ირიბი.

მე-3 პირდაპირ-ობიექტურ პირს საკუთარი ნიშანი არა აქვს არც მხოლობითში და არც მრავლობითში. ამის გამო არც გარჩევაა ფორმებისა ობიექტის რიცხვის მიხედვით, ე. ი. ზმნას ერთი და იგივე ფორმა აქვს მაშინაც, როცა ობიექტი მხ. რიცხვშია, და მაშინაც, როცა იგი მრ.-შია; ფორმები: კლავს, ხატავს, მალავს, ტეხს, თხრის, აკეთებს, ათბობს და მისთანა ერთ ობიექტზედაც ითქმის და ბევრზედაც: კლავს მას — კლავს მათ, ხატავს მას — ხატავს მათ, დაწვა სახლი — დაწვა სახლები, ამოთხარა ორმო — ამოთხარა ორმოები, გააკეთა საქმე — გააკეთა საქმეები და მისთ..

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ძველად გარჩევა იყო მრავლობითი რიცხვისა იმ შემთხვევაში, თუ ობიექტი ნარიან მრავლობითში იყო ნახმარი; მაგალითი:

„თვალთა ქელი უკუივლო, ცხელ-**ნ**-ი ცრემლ-**ნ**-ი მოიწურ-**ნ**-ა,
ქმალ-კაპარჭი მოიმაგრა, მკლავ-**ნ**-ი გაიმამაცურ-**ნ**-ა“ («ვეფხ.» 93).

აქ რომ „ცრემლი“ და „მკლავი“ მხ. რიცხვში მდგარიყო, ხოლო „ქელი“ და „ქმალ-კაპარჭი“, პირიქით, **ნ**არიან მრ.-ში, იგივე ადგილი ასე შეიცვლებოდა:

„თვალთა ქელ-**ნ**-ი უკუივლ-**ნ**-ა, ცხელი ცრემლი მოიწურა,
ქმალ-კაპარჭ-**ნ**-ი მოიმაგრ-**ნ**-ა, მკლავი გაიმამაცურა“.

იგივე იქნებოდა, რომ „მკლავი“ და „ცრემლი“ მხოლობითის ნაცვლად **ებ**’იან მრავლობითში მდგარიყო, მაგრამ მაშინ მარცვალთა რაოდენობა გადიდდებოდა და ლექსი დაირღვეოდა [ცხელი ცრემლები მოიწურა... მკლავები გაიმამაცურა].

ახალ ქართულში რიცხობრივი განსხვავება აღარ არის, თუ არ მოვიღებთ მხედველობაში ზოგიერთ მთის კილოს და იქედან გამოსული მწერლების ენას და იქაური ხალხური სიტყვიერების ნიმუშებს. მაგალითები ვაჟადან:

„გრგვინვით ჩამოვლ-**ნ**-ეს ჭალანი“ («კოპალა»),
„შვიდი გავზარდე ვაჟკაცი, თითო ლომისა დარია;
შვიდივ გამიწყდა ერთს დღესა, მამაც იმათთან მკვდარია.
ხოშარის გორზედ დავმარხ-**ენ**, თავზე დასტირის ქარია“ («ბახტრ.»).

მაგალითები ხალხური პოეზიიდან:

„ზოგნი ჭრ-**ნ**-ა, ზოგნი ჩაკაფ-**ნ**-ა, ზოგნი წაუვლენ ჭირითა.
გადაუშალ-**ნ**-ა ქოჩორნი, გადაპოხილნი ტვინითა.
ბალათერაის დედამა თმანი დაიჭრ-**ნ**-ა ძირითა“ («ხალხ. პ.», I 29).

227. ობიექტური ნიშანი მესამე პირისა ირიბი მიმართების. მე-3 ირიბ-ობიექტური პირის ნიშანი არის **ჰ**, რომელიც მომდევნო ბგერას უნდა შეეხამოს. ამ შეხამებისას იგი შეიძლება სრულიადაც დაიკარგოს (ხმოვნების წინ აუცილებლად, ჩვეულებრივ აგრეთვე სპირანტების წინაც) ან შეიცვალოს ს-დ კბილისა და ნუნისმიერი ბგერების წინ (**ჭ ჯ ჩ წ ძ ც ტ დ თ**). მაშასადამე, მესამე ირიბ-ობიექტური პირის ნიშანი იგივე ყოფილა, რაც მეორე პირის სუბიექტური ნიშანი, და ფონეტიკური ვითარებაც იგივე ჰქონია ერთისა და იმავე ბგერის გავლენით. ამიტომ აქაც შეგვიძლია ვთქვათ: მე-3 ირიბ-ობიექტური პირის ნიშანი არის **ჰ** ან მისი ბგერინაცვალიო.

რიცხვის მიხედვით ფორმა შეიძლება იყოს ზიარი, ანუ გაურჩეველი, ე. ი. თანაბრად შეეხებოდეს ობიექტს ორსავე რიცხვში, და შეიძლება აგრეთვე განსხვავებულიც, ანუ თავ-თავისი მხ.-სა და მრ.-ში. ზიარი ფორმები ჩვეულებრივია გარდამავალ ზმნებში, თავ-თავისი კი — გარდაუვალებში. მაგალითები:

ა) მესამე ირიბ-ობიექტური პირის ნიშანია **ჰ** (ძირითადი სახე): **ჰ**-ღვიძავს, **ჰ**-ყავდა, **ჰ**-ყოფნის, **ჰ**-პარავს, მი-**ჰ**-გვარა, მო-**ჰ**-კვეთეს, მი-**ჰ**-ვარდნია, მო-**ჰ**-კვდომია და მისთ. ამათგან „ჰპარავს“, „მიჰგვარა“ და „მოჰკვეთეს“ თანაბრად ითქმის ორსავე რიცხვზე: ჰპარავს მას — ჰპარავს მათ, მიჰგვარა მას — მიჰგვარა მათ, მოჰკვეთეს მას — მოჰკვეთეს მათ. დანარჩენები კი შეიძლება გადაკეთებულ იქნეს მრავლ. რიცხვის ფორმად: ჰღვიძავ(ს)-**თ**, ჰყოფნი(ს)-**თ**, მიჰვარდნია-**თ**, მოჰკვდომია-**თ** და მისთ.

ბ) მესამე ირიბ-ობიექტური პირის ნიშანი ალარაფერია, რადგანაც **ჰ** დაკარგულია. ალვადგინოთ ეს დაკარგული **ჰ** ფრჩხილებში: **(ჰ)**-ახსოვს, **(ჰ)**-აქვს, და-**(ჰ)**-აწერა, **(ჰ)**-უყვარს, **(ჰ)**-უწერს, მო-**(ჰ)**-უკლა, **(ჰ)**-ესმის, **(ჰ)**-ებრძოდა, შე-**(ჰ)**-ეწია და მისთ..

გ) მესამე ირიბ-ობიექტური პირის ნიშანია **ს**, წარმომდგარი ჰ-საგან; მაგალ.: **ს**-ძულს, **ს**-ძინავს, **ს**-ცემს, **ს**-ტაცებს, შე-**ს**-წუხებია, და-**ს**-ჭირებია, გა-**ს**-თეთრებია და მისთ..

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. არ უნდა ავრიოთ, პირდაპირი მიმართების დროს მე-3 პირდაპირ-ობიექტურ პირს რომ არაფერი აქვს, იმ უნიშნობასთან, რომელიც ჰ-ს დაკარგვისაგან არის წარმომდგარი და მესამე ირიბ-ობიექტურ პირს ახასიათებს: პირდაპირ-ობიექტური პირის ფორმას ძველად არაფერი ჰქონდა და დღესაც არაფერი აქვს [1], ირიბ-ობიექტურისას კი ძველად ჰქონდა საკუთარი ნიშანი, მაგრამ ფონეტიკური პირობების გამო დაეკარგა. მაგ., „დაწერა“ (მან იგი) და „დაუწერა“ (მან მას იგი) დღეს ორივე უნიშნოა ობ. პირებისთვის, მაგრამ მათ შორის ის განსხვავებაა, რომ „დაწერა“ ძველადაც აგრე იყო, „დაუწერა“ კი ასეთი ფორმისაგანაა წარმომდგარი: და-ჰ-უწერა (ხანმეტ ძეგლებში: და-ხ-უწერა).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. სუბიექტური ნიშანი მე-2 პირისა და ობიექტური ნიშანი მე-3 ირიბ-ობიექტური პირისა ერთნაირი ბგერაა, მაგრამ ისინი უთუოდ განსხვავებული ფორმებისაგან მომდინარეობენ. განსხვავებას მათ შორის მწერლობის შექმნის წინა ხანაში უნდა ჰქონოდა ადგილი: მოლწეული წერილობითი ძეგლების ენაში ეს განსხვავება არსად დადასტურებული არ არის.

228. ობიექტური ნიშნების ცხრილი. შემდეგი ცხრილი თვალსაჩინოდ წარმოგვიდგენს ზემოთ ნათქვამს ობიექტური ნიშნების შესახებ. ცხრილში შეტანილია რიცხვის ნიშანიც, რომელიც ხანდახან მე-2 პირსა და მე-3-ში იჩენს თავს, უმთავრესად ირიბი მიმართების დროს.

პირი	პირდ. მიმართება	ირიბი მიმართება
	მხოლ. რ.	მხოლ. რ.
1.	**მ** ———	**მ** ———
2.	**გ** ———	**გ** ———
3.	———	**ჰ**,—, **ს**———
	მრავ. რ.	მრავ. რ.
1.	**გვ** ———	**გვ** ———
2.	**გ** ———(თ)	**გ** ———(თ)
3.	———	**ჰ**,—, **ს**———(თ)

[1] I სერიის ფორმებში ზოგ შემთხვევაში პირდ.-ობიექტურ პირსაც ჰქონდა ნიშანი, მაგრამ ამ საკითხს აქ გვერდს ვუვლით.

დამატებითი ცნობები პირის შესახებ

229. სუბიექტ-ობიექტური ნიშნების შეხვედრა. როდესაც ერთ ფორმაში ორი პირია გამოხატული, სუბიექტური და ობიექტური, მოსალოდნელია, რომ ორივე პირის ნიშანი იყოს ფორმაში წარმოდგენილი. ეს კიდევაც არის, თუ სუბიექტური და ობიექტური პირის ნიშნები ერთმანეთს არ ჰხვდება. ამას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც სუბიექტად მე-3 პირია, რომელსაც თავისი ნიშნები ბოლოში აქვს და თავში დართულ ობიექტურ ნიშნებს არას გზით არ შეიძლება შეჰხვდეს: **მ-ნახავ-ს, მ-ნახვ-ენ, გ-ნახავდე-ს, გ-ნახავდე-ნ, მ-ცემ-ა, მ-ცემ-ეს, გ-ცემო-ს, გ-ცემო-ნ, ს-ცემ-ა, ს-ცემ-ეს, მი-ჰ-გვარ-ა, მი-ჰ-გვარ-ეს** და მისთ.. სულ სხვაა, როცა სუბიექტად ნაგულისხმევია 1-ლი პირი ან მე-2, რომელთაც სუბიექტურ ნიშნად პრეფიქსები აქვთ. როცა სუბიექტის პრეფიქსი ობიექტისას ჰხვდება, მაშინ სამგვარი გამოსავალია: შეიძლება, რომ ორივე ნიშანი იქნეს შენახული, ან ერთი მათგანი დაიკარგოს, ან კიდევ ორივე დაიკარგოს.

1. ორი სხვადასხვა პირის ნიშნის შენახვა მხოლოდ მაშინ ხდება, როცა სუბიექტად პირველია და ობიექტად მესამე. ამ შემთხვევაში ახალ ქართულში რიგი ყოველთვის ასეთია: ჯერ სუბიექტის ნიშანი და მერმე ობიექტისა. მაგრამ ეს შეიძლება მხოლოდ მაშინ მოხდეს, თუ პირის ნიშნები უნდა დაერთოს თანხმოვნით დაწყებულ ზმნას: **ვ-ჰ-კითხე, მი-ვ-ჰ-გვარე, მო-ვ-ჰ-კვეთე, მო-ვ-ჰ-პარე, ვ-ს-თხოვე, მო-ვ-ს-ტაცე, მი-ვ-ს-წერე** და მისთ..

> შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ძველ ქართულში (V—VII სს.) ამ შემთხვევაში რიგი შებრუნებული იყო, რადგანაც სუბიექტური ნიშანი ვ გადაისმოდა: *ვჰკითხე→ჰუკითხე, *ვჰთხოვე→ჰუთხოვე, *ალ-ვჰმართე→ალ-ჰუმართე და მისთ., სადაც სუბ. ნიშანი 1-ლი პირისა ვ უმარცვლო უ-დ არის ქცეული ხორხისმიერი ჰ-ს გავლენით (ხანმეტ ძეგლებში აქ ჰ-ს ნაცვლად **ხ** არის: **ხუკითხე, ხუთხოვე, ალხუმართე** და მისთ.).

2. როდესაც ორ პირის ნიშანთაგან ერთი იკარგება და მეორე რჩება, ვარჩევთ სამ შემთხვევას:

ა) იკარგება ობიექტური, რჩება სუბიექტური. ამას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც სუბიექტია პირველი პირი, ობიექტია მესამე, და თანაც შემდგომი ბგერა ხმოვანია. ამ შემთხვევაში ხმოვან ბგერათაგან შესაძლებელია მხოლოდ სამი: **ა უ ე**. მაგალითები: **ვ-ათხოვე, ვ-უთხოვე, გამო-ვ-ეთხოვე**, რაც მიღებულია ამ ფორმებისაგან: ***ვ-ჰ-ათხოვე, *ვ-ჰ-უთხოვე, *გამო-ვ-ჰ-ეთხოვე**. მომდევნო ხმოვნის გავლენით დაიკარგა მეორე ადგილას სავარაუდებელი ობიექტური ნიშანი ჰ.

მრავალ შემთხვევაში დაკარგვა მაშინაც ხდება, თუ მომდევნო ბგერა თანხმოვანია (განსაკუთრებით სპირანტი): მი-ვ-(ჰ)-მართე, შე-ვ-(ჰ)-ხვედრივარ და მისთ..

> შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ძველ ქართულში აქაც სუბიექტური ნიშანი ვ გადასმულია ობიექტურის შემდეგ: *შე-ვჰაბთ →*შე-ჰუაბთ: „შეხუაბთ ესე კარი“ (გვხვდება ბოლნისის V ს.-ის წარწერაში; ნიშნავს: „შევაბით ეს კარი“).

ბ) იკარგება სუბიექტური ნიშანი, რჩება ობიექტური. ამას ადგილი აქვს,

როცა სუბიექტია პირველი პირი და ობიექტი — მეორე, ან პირუკუ: სუბიექტია მეორე პირი და ობიექტი—პირველი. მაგალითები: **გ**-კლავ, **მ**-კლავ, **გვ**-კლავ; **გ**-წერ, **მ**-წერ, **გვ**-წერ; **გ**-თხოვთ, **მ**-თხოვთ, **გვ**-თხოვ; **გ**-ნახავ, **მ**-ნახავ, **გვ**-ნახავთ და მისთ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. როდესაც ვამბობთ „იკარგება“ სუბიექტური ნიშანიო, ამას იმის ძალით ვამბობთ, რომ, როგორც ზემოთ ვნახეთ, ზოგ ფორმაში ორივე პირის ნიშანი ერთმანეთის გვერდით მართლაც არის შენახული, და ამის მიხედვით აქაც მოსალოდნელი იყო ორივეს ხმარება, თორემ, რამდენადაც ქართული ენის ისტორიას წერილობითი ძეგლებით ვიცნობთ, ორივე ნიშნის ხმარება ასეთ შემთხვევაში არსად არ არის დადასტურებული.

გ) ძნელია იმის თქმა, თუ რომელი იკარგება და რომელი რჩება — სუბიექტური, თუ ობიექტური. ძალიან თავისებური მდგომარეობაა მაშინ, როდესაც ორივე პირს ერთნაირი ნიშანი მოუდის, ე. ი. როცა სუბიექტად მეორე პირია და ობიექტად მესამე (ირიბი). როგორც ვიცით, ორსავე დასახელებულ პირს ერთნაირი ნიშანი აქვს (**ჰ** ან მისი ბგერინაცვალი) და, როდესაც მათ ერთად უნდა მოიყარონ თავი, ერთ-ერთი მათგანი დაიკარგება და მეორე დარჩება. ამას ადგილი აქვს თანხმოვნის წინ: მო-**ჰ**-პარო (შენ მას იგი), **ჰ**-გავხარ (შენ მას), მო-**ს**-ტაცო (შენ მას ი გ ი), **ს**-თხოვო (შენ მას იგი) და მისთ..

3. ორივე ნიშნის დაკარგვას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც სუბიექტი მეორე პირია და ობიექტი მესამე, რომელთაც ერთნაირი ნიშანი აქვთ. წესის მიხედვით ორი ერთნაირი ბგერის თავმოყრის გამო ერთ-ერთი უნდა დარჩეს (ნ. ზემოთ, მუხლი გ), მაგრამ, თუ შემდეგ ხმოვანი მოსდევს, მაშინ ისიც იკარგება: აბარებ (შენ მას მას), გა-ატან (შენ მას მ ა ს), ათხოვო (შენ მას ი გ ი) უთხრა (შენ მას ი გ ი), შე-უთვალო (შენ მას ი გ ი), შე-ეხვეწო (შენ მას) და მისთ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. წართქმით ბრძანებითში მეორე პირის სუბიექტური ნიშანი საჭირო არ არის (§ 217) და ამიტომ, როცა ისეთი ბრძანებითის ფორმებია, სადაც სუბიექტად მეორე პირია და ობიექტად მესამე ირიბი, დაკარგვისა და დარჩენის შემთხვევები მარტოოდენ ობიექტურ ნიშანს შეეხება: მი-ართვი, წა-ულე და სხვ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. როგორც აღნიშნულია (§ 213), პირის გამოხატვა ზმნაში თვით პირის ნიშნის ხმარებასთან აუცილებლად დაკავშირებული არ არის. მაგ., „დაჯედ“ ფორმაში პირის ნიშანი არ არის, მაგრამ პირი მაინც გამოხატულია (მე-2 სუბიექტური ბრძან. კილოსი); „მხატავ“-ში კი ორი პირია გამოხატული (1-ლი და მე-2), მაგრამ ნიშანი მხოლოდ ერთ მათგანს აქვს. ისიც შეიძლება, რომ ერთ ფორმაში სამი პირი იყოს გამოხატული და არც ერთ მათგანს ნიშანი არ ჰქონდეს, როგორც, მაგ., ამაში: „უნდა მი-უ-ტანო“ (შენ მას იგი).

230. არევ-დარევის შემთხვევები სუბიექტ-ობიექტური ნიშნების ხმარების დროს. ახალ ქართულში სუბიექტ-ობიექტური პრეფიქსების ხმარებისას ხშირად არევ-დარევას აქვს ადგილი. რამდენადაც საკითხი შეეხება, ერთი მხრით, 1-ლისა და მე-3 სუბიექტური პირის ფორმათა წარმოებას და, მე-

ორე მხრით, 1-ლისა და მე-2 ობიექტური პირის ფორმათა წარმოებას, საქმის ვითარება ყოველთვის ნათელია და არავითარ გაუგებრობას არა აქვს ადგილი, მაგრამ მე-2 სუბიექტური პირისა და მე-3 ირიბ-ობიექტურის წარმოებისას ხშირად დიდი არევ-დარევა სუფევს. ეს არევ-დარევა არც თუ ახალი ამბავია და გამოწვეულია სხვადასხვა მიზეზით, რომლებზედაც აქ ვერ შევჩერდებით. ვისაც საკითხი აინტერესებს, შეუძლია მიმართოს ამ ჩემს გამოკვლევას: «სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში», 1920. [მე-2 გამოცემა: ა. შ ა ნ ი ძ ე, თხზულებანი. I, 1957].

აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ჰ და ს, როგორც პრეფიქსები ქართ. ზმნისა, ახალ სალიტერატურო ენაში ხშირად იქ არის ხმარებული, სადაც არ არის საჭირო, ანდა, პირუკუ, იქ აკლია, სადაც მოსალოდნელია. ამ მხრივ სალიტერატურო ენა ერთ დონეზე დამდგარი არ არის. მაგ., ნ. ბარათაშვილის «მერანში» ვკითხულობთ: „გ ა ჰ კ ვ ე თ ე ქარი, გააპე წყალი". ცხადია, აქ წართქმითი ბრძანებითია და, მაშასადამე, ჰ არ უნდა, მაგრამ ბარათაშვილი მას ხმარობს. ი. ჭავჭავაძის «გაზაფხულში» ვკითხულობთ: „ტყემ მოისხა ფოთოლი, აგერ მერცხალიც ჰ ჭ ყ ი ვ ი ს, ბაღში ვაზი ობოლი მეტის ლხენითა ს ტ ი რ ი ს" „ჰჭყივის" და „სტირის" ერთ-პირიანი ზმნებია, ისინი გამოხატავენ მარტო სუბ. პირს, რომელსაც ბოლოში მოეპოვება ნიშანი ს (ჭყივი-ს, ტირი-ს). ამიტომ წინ დასმული ჰ და ს (ჰ-ჭყივის, ს-ტირის) ზედმეტია. ხშირად ერთსა და იმავე მწერალს ერთი და იგივე ფორმა სხვადასხვაგვარად აქვს დაწერილი; მაგ., შ. არაგვისპირელის ერთ მოთხრობაში («დიდი-დედა მარიამი და ხატაურა» რჩეული ნაწერები, 1927) ერთ ადგილას „დაკარგა" იკითხება (3,16), სხვა ადგილას კი — „დაჰკარგა" (11,20). იმავე მწერლის იმავე მოთხრობაში ერთ ადგილას „სცოდნოდა" არის (9,1), მაგრამ ორი სტრიქონის შემდეგ (9,3) იკითხება „ჰსცოდნოდა", სადაც ჰ ზედმეტია. ასეთი მაგალითები უამრავია.

სამაგიეროდ ამა თუ იმ კილოში ერთგვარობაა დაცული. ოღონდ კილოები ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავდება ამ საკითხში: ერთში ეს საკითხი ერთნაირადაა გადაჭრილი, მეორეში მეორენაირად, მესამეში კიდევ სხვანაირად და ასე შემდგომ. წარმოდგენილი სქემა კი საქმის ისეთ ვითარებას გადმოგვცემს, რომელიც ისტორიულადაც დადასტურებულია, ზოგიერთ თანამედროვე ცოცხალ კილოშიც ჰპოვებს დასაყრდენს და რამდენადმე სალიტერატურო ენაშიც არის გატარებული.

231. დასახელება და აღნიშვნა პირის ფორმებისა. აბსოლუტური აგებულების ზმნას (ერთ-პირიან ზმნას) მარტოოდენ სუბიექტური პირები მოეპოვება და ამიტომ მარტივია როგორც დასახელება, ისე დაწერა სათანადო პირისა: ესა და ეს ფორმა არის ესა და ეს პირი ამა და ამ რიცხვისაო; მაგ., „ვარ" არის ჩემეული (1-ლი პირი მხ. რიცხვისა), „სდგახარ" — შენეული (მე-2 პ. მხ. რიცხვისა), „იწყება" — მისეული (მე-3 პ. მხ. რიცხვისა), „ვიყინებით" — ჩვენეული, „იმალებით" — თქვენეული, „წვანან" — მათეული და მისთ.. როდესაც ერთი პირია დასახელებული, ჩვეულებრივ იგი სუბიექტის პირია. ერთ-პირიან ფორმებს ასე აღვნიშნავთ დაწერისას: „ვარ" 1^s, „სდგახარ" 2^s, „იწყება" 3^s, „ვიყინებით" 1^p, „იმალებით" 2^p, „დგანან" 3^p და მისთ.. აქ s და p ასოები,

ომლებიც ზემოთ იწერება, რიცხვს აღნიშნავს: s მხოლობითს, p მრავლობითს s—singularis, p—pluralis).

როდესაც ფორმა მიმართებითია, ანუ რელატიური, და შიგ, მაშასადამე ორი ან სამი პირია აღნიშნული, მაშინ

1. თუ ფორმა ორ-პირიანია, ჯერ ვასახელებთ სუბიექტურ პირს მისი იცხვითურთ და შემდეგ ობიექტურ პირს მისი რიცხვითურთ. თუ ფორმა აერთოა ორსავე რიცხვში (ე. ი. თუ ფორმა ურიცხოა), რიცხვის ნიშანი არ აისმის; მაგ., „გნახავ“ არის ჩემეულ-შენეული (1^s2^s) „მნახვენ“ იქნება თეულ-ჩემეული (3^p1^s); „გვნახა“ მისეულ-ჩვენეული (3^s1^p) და მისთ.; ან კიდევ მიყვარს“ იქნება მისეულ-ჩემეული (3^s1^s); „გიყვარვარ“ ჩემეულ-შენეული (1^s2^s); უყვარხარ“ იქნება მეორე მხ. და მესამე საერთო (2^s3). დაწერისასაც ორ-პირიანი ფორმისთვის პირველი რიცხვი უსათუოდ სუბიექტისა უნდა იყოს, ეორე კი——ობიექტისა. რიცხვი აღინიშნება როგორც მხოლობითისა, ისე მრავ-ლობითისა: მხოლობითისა s ნიშნით, მრავლობითისა p ნიშნით. თუ ფორმა საერ-თოა ორივე რიცხვისთვის, მაშინ რიცხვი არ იწერება. თუ გვინდა მეტი ზედ-იწევნილობა დავიცვათ და აღვნიშნოთ ისიც, როგორია მიმართება, პირდა-პირი თუ ირიბი, მაშინ გვერდში ვუწერთ d და i ასოებს; ამათგან d იქნება პირდაპირის აღსანიშნავად (directa, იგულისხმება persona), i კი ირიბისა (indi-ecta). მაგ., ასე: „მნახა“ 3^s1^{sd}, „გვნახო“ 2^s 1^{pd},„ მეწვივნენ“ 3^p1^{si}.

2. თუ ზმნა სამ-პირიანია, მაშინ სუბიექტური პირი სულ თავში იქნება, ოლო ობიექტურ პირთაგან ირიბის აღნიშვნა უნდა უსწრებდეს პირდაპირისას; აშასადამე, სამ-პირიან ზმნაში ასეთი თანმიმდევრობა უნდა იყოს პირებისა: უბიექტი, ირიბი ობიექტი, პირდაპირი ობიექტი, ე. ი. პირველი რიცხვი ყო-ელთვის სუბიექტს აღნიშნავს, მეორე—ირიბ ობიექტს, მესამე — პირდაპირს. აგ., „მითხრეს“ (3^p1^s3), „მოგვაკლო“ 3^s1^p3), „დაგვიმალეთ“ (2^p1^p3), „მომ-იდოთ“ (2^p1^s3) და მისთ.. რაკი, მაშასადამე, თავისთავად ცხადია, რომ სამ-პი-იან ფორმაში მეორე რიცხვი ირიბი ობიექტ. პირისაა, მესამე კი პირდაპირისა, მიტომ d და i ასოების ხმარება ამ შემთხვევაში ზედმეტი იქნებოდა.

გამარტივებული სახით აღნიშვნა მარტოოდენ პირების დასახელებას ან აწერას გულისხმობს, რიცხვისას და მიმართებისას კი — არა, მაგ., დგანან (3), ოდი (2), წაიღოს (3.3), დამტანჯა (3.1), მომიტანონ (3.1.3), უთხარ (2.3.3), დაგ-ერ (1.2), მნახე (2.1) და მისთ.

232. წყობა სუბიექტური და ობიექტური. აბსოლუტური აგებულების მნას ერთსა და იმავე მწკრივში შეიძლება მხოლოდ ექვსი ფორმა ჰქონდეს, ომლებიც სუბიექტურ წყობას შეადგენენ: ვხმები, ჰხმები, ხმება, ვხმებით, ხმებით, ხმებიან. რელატიური აგებულების ზმნას კი ერთსა და იმავე მწკრივ-ი შეიძლება 28-მდეც აუდიოდეს ფორმათა რიცხვი (§ 290, 291). თვითეულ მ ფორმაში სუბიექტის პირიც არის, რომელიმე რიცხვისა, და ობიექტისაც. თუ უბიექტის პირების მიხედვით დავაწყობთ მათ, მივიღებთ სუბიექტურ წყობას, ა თუ ობიექტების მიხედვით, — მაშინ გვექნება ობიექტური წყობა. მაგალი-ად, ასეთი წყობა: ვამზადებ, ამზადებ, ამზადებს, ვამზადებთ, ამზადებთ, ამზა-ებენ; ან ასეთი: მამზადებ, მამზადებს, მამზადებთ, მამზადებენ და მისთ.,

სადაც სუბიექტის პირები იცვლება (რიცხვის მიხედვითაც) და ობიექტისა კი არა, იქნება სუბიექტური წყობა. ასეთი კი: მამზადებს, გამზადებს, ამზადებს, გვამზადებს, გამზადებსთ, ამზადებს, ან კიდევ ასეთი: მამზადებ, გვამზადებ მამზადებთ, გვამზადებთ, სადაც სუბიექტის პირი ყველგან უცვლელია, ობიექტისა კი — ცვალებადი, წყობა ობიექტური იქნება. რელატიური აგებულების ზმნათა დიდ უმრავლესობას მოეპოვება ერთი წყობაც და მეორეც, მაგრამ არის ზმნები, სადაც წყობა შეიძლება იყოს მხოლოდ სუბიექტური ან მხოლოდ ობიექტური. ამ შემთხვევაში სუბ. წყობის მქონე ზმნებს უცვლელ ობიექტურ პირად მესამე აქვთ (ვიცი, იცი, იცის, ვიცით, იცით, იციან) და ობიექტური წყობის მქონესაც მუდმივ სუბიექტურ პირად ისევ მესამე: მძინავს, გძინავს, სძინავს, გვძინავს, გძინავ(ს)თ, სძინავ(ს)თ, (ნახეთ კიდევ § 237).

233. პირ-ნაკლი ზმნები. თუ ზმნას ზოგიერთი პირის ფორმები აქვს და ზოგისა აკლია, შეგვიძლია მოვლენა აღვნიშნოთ არა მარტო ქონების, რამედ კლების თვალსაზრისითაც. უკანასკნელ შემთხვევაში ზმნებისათვის მივიღებთ ასეთ სახელწოდებას: პ ი რ-ნ ა კ ლ ი ზმნები.

მოიპოვება ზმნები, რომელთაც აკლია ზოგიერთი პირი (სუბიექტისა ან ობიექტისა). სუბიექტის პირები შეიძლება აკლდეს ზმნას აბსოლუტური აგებულებითაც და რელატიურითაც. აბსოლუტურებია, მაგ., ბნელა, ცივა, თბილა, ცხელა, რომელთაც მარტოოდენ მე-3 პირის ფორმები აქვს, უწყვეტელში: ბნელოდა, ციოდა, თბილოდა, ცხელოდა.

ჩვეულებრივ არ ითქმის არც „ვწვიმ“ ან „სწვიმ“, არამედ მარტო „წვიმს“; ასეთივეა აგრეთვე თოვს, ელავს, გრგვინავს, ყინავს და ზოგი სხვა, რომელთაც მარტო მე-3 სუბ. პირის ფორმები მოეპოვება.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ზმნები: ბნელა, ცივა, თბილა, გრილა, ცხელა. ვაჟა და კმარა წარმოშობით არის სახელი და ზმნა (შედგენილი შემასმენელი): ბნელ-ა(რს), ცივ-ა(რს), ცხელ-ა(რს) და შემდგომი. მაშასადამე, აქ ა წარმოშობით არის „არს“ ზმნის ნაშთი. მიუხედავად ამისა, ის პირის ნიშნის ფუნქციით არის აღჭურვილი — მხოლოდ მისი წყალობით არის, რომ „ცივა“, „ცხელა“ და სხვა ზმნად გვესმის. რომ ესენი ზმნებია, იქედან ჩანს, რომ ამ ფორმების საპირისპიროდ მათ სხვა მწკრივის ფორმებიც განვითარეს: ცივა, ცი(ვ)ოდა, ცი(ვ)ოდეს; ცხელა, ცხელოდა, ცხელოდეს და მისთ. შდრ.: „უნდა ბანაჲ სამოთხესა მას შინა ქმრისა თჳსისასა, რამეთუ ც ხ ე ლ ი ყ ო (დანიელ 13,15 ათონის ხელნ.; ც ხ ე ლ ი ყ ო=ცხელოდა). თუ ამ ფორმას აწმყოში გადმოვიყვანთ, ამას მივიღებთ: ც ხ ე ლ ა რ ს, რამაც ახ. ქართულის „ცხელა“ მოგვცა. კმა არის→კმარის→კმარა.

234. ფორმისა და ფუნქციის ურთიერთობა პირიანობის საკითხთან დაკავშირებით. უკვე ვიცით, რომ ფორმაში შეიძლება სრულებით არ იყოს პირის ნიშანი, მაგრამ პირი მაინც იყოს გამოხატული (§ 213). ამის საწინააღმდეგო მოვლენასაც აქვს ადგილი ქართულში: შეიძლება ფორმას ორი პირის ნიშანი ახლდეს, მაგრამ შინაარსი მას ერთი პირისა ჰქონდეს. ამისი კარგი მაგალითია „გახლავს“ ზმნა, რომელიც ლექსიკური მნიშვნელობით იგივეა, რაც „რის“, ოღონდ იხმარება მორიდებულ საუბარში, რომელიც უმცროსისაგან უფროსი-

ადმია ძიძართული. მოვიგონოთ დიალოგი ლუარსაბსა და მის მოურავს დათოს შორის ი. ჭავჭავაძის «კაცია-ადამიანიდან»:

— ტარხუნა ხომ ა რ ი ს?

— გ ა ხ ლ ა ვ ს.

— კიტრი?

— კიტრიც გ ა ხ ლ ა ვ ს.

— მაშ, სახლი სავსე ყ ო ფ ი ლ ა! — თქვა ბატონმა სიამოვნებით.

— როდის გ ხ ლ ე ბ ი ა თ ნაკლული, შენი ჭირიმე, რომ ეხლა ი ყ ო ს?

აქედან ჩანს, რომ „არის“ და „გახლავს“ მნიშვნელობით ერთია, ერთია აგრეთვე „ყოფილა“ და „გხლებიათ“, ოღონდ ბატონი მოურავის მიმართ „არის“ ზმნას ხმარობს, მისი მოურავი კი ბატონის მიმართ — „გახლავს“ ზმნას. დათომ ერთხელ უმტყუნა თავის თავს — ეთიკეტი ბოლომდი ვერ დაიცვა და „იყოს“ წამოსცდა (მოსალოდნელი იყო: როდის გ ხ ლ ე ბ ი ა თ ნაკლული, რომ ეხლა გ ა ხ ლ დ ე ს), მაგრამ ეს აიხსნება იმით, რომ ნიუანსი, რომელიც ამ ზმნის ხმარებას ახლავს, თანდათან დავიწყებას ეძლევა.

ლექსიკური მნიშვნელობის გამორკვევის შემდეგ გადავიდეთ გრამატიკულ ანალიზზე. მოყვანილ დიალოგში „გახლავს“ ზმნას ნიშანი ორი პირისა აქვს: გ-ახლავ-ს. ამ ნიშნების მიხედვით ირკვევა, რომ ფორმა წარმოშობით ორ-პირიანია. მიუხედავად ამისა, ფორმას ერთი პირის გაგება აქვს და არა ორისა.

საყურადღებოა, რომ ეს ზმნა პირ-ნაკლია: აკლია მე-2 სუბ. პირის ფორმა (სადაც მას „[ჰ]ბრძანდები“ ენაცვლება) და მოეპოვება მხოლოდ ფორმები ორი დანარჩენი სუბ. პირისა:

აწმყო		უწყვეტელი	
მხ. რ.	მრ. რ.	მხ. რ.	მრ. რ.
1 გახლავარ	გახლავართ	1 გახლდი(თ)	გახლდით
2 [ბრძანდები]	[ბრძანდებით]	2 [ბრძანდებოდი]	[ბრძანდებოდით[
3 გახლავს	გახლავან	3 გახლდა(თ)	გახლდნენ

ასეთი თავისებურება აღნიშნული ზმნისა იმით აიხსნება, რომ წარმოშობით ის ორ-პირიანია. მისი ორ-პირიანი ფორმები დღესაც ხმარებაშია, მაგრამ მაშინ ის „ყოფნას“ კი არ ნიშნავს, არამედ „თან ყოფნას“. ამ შემთხვევაში ზმნას ორივე წყობის ფორმები მოეპოვება და, სხვათა შორის, მე-2 პირის სუბიექტურიც: ა) ვახლავარ (=მასთან ვარ), ახლავხარ (=მასთან ხარ), ახლავს (=მასთან არის), ვახლავართ, ახლავხართ, ახლავან; ვახლდი, ახლდი, ახლდა...; ვახლდე, ახლდე, ახლდეს და სხვ. ბ) მახლავს (=ჩემთან არის), გახლავს (=შენთან არის), ახლავს, გვახლავს და შემდგომი.

აი ეს „გახლავს“ არის, რომელსაც ზემოთ განხილულ შემთხვევაში ორ პირთაგან ერთი აქვს დაკარგული; სახელდობრ, დაკარგული აქვს ობიექტური და დაცული აქვს სუბიექტური. ამიტომ აქ გ პრეფიქსი უფუნქციოა და ფორმა მე-2 ობ. პირის შინაარსისაგან დაცლილია. მიუხედავად ამისა, წყობა ზმნას ობიექტური შერჩა.

მე-2 სუბიექტური პირის ფორმის კლება იმით აიხსნება, რომ მორიდებული ლაპარაკი მე-2 პირის მიმართ არის, რომელიც აქ მხოლოდ ფორმალურად არის

წარმოდგენილი გ ნიშნით. ერთ ფორმაში კი ვერ მოთავსდება 1-ლ სუბიექტურთან 1-ლი ობიექტური და მე-2 სუბიექტურთან მე-2 ობიექტური (§ 287)

მაშასადამე, „გახლავს“ არსებითად პოლისემიური ფორმაა, ე. ი. ფორმა, რომელსაც მნიშვნელობა ერთზე მეტი აქვს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში — ორი. ამიტომ ის რელატიურიც არის და აბსოლუტურიც: რელატიური ერთ შემთხვევაში („თან ყოფნის“ გაგებით) და აბსოლუტურია სხვა შემთხვევაში („ყოფნის“ გაგებით). მისი რელატიური ფორმა ორ-პირიანია, აბსოლუტური კი (მისიც და სხვისიც საზოგადოდ) — ერთ-პირიანია. ამიტომ თქმა იმისა, რომ „გახლავს“ ზმნა ორ-პირიანია ყოველთვის, რადგანაც ორი პირის ნიშანი აქვსო, ეს უკიდურესი ფორმალიზმი იქნებოდა.

მოყვანილი ზმნა მშვენიერი მაგალითია იმ დებულების დასამტკიცებლად, რომ საზოგადოდ გრამატიკული შ ი ნ ა ა რ ს ი, ფუნქცია, აუცილებელია ფორმის საკვალიფიკაციოდ. ის კონტროლს უწევს სიტყვის ბგერითს მხარეს („ფორმას“ ვ ი წ რ ო მნიშვნელობით“) და თვითონაც მისი კონტროლის ქვეშ არის. ორნივე ერთად კი — „ფორმა“ და „ფუნქცია“ ერთ მთლიანობას ქმნიან („ფორმას“ ფართო მნიშვნელობით, § 1). რადგანაც საზოგადოდ ფორმა ფუნქციისთვის არის შექმნილი და არა ფუნქცია ფორმისთვის, ცხადია, საბოლოოდ გადამწყვეტია ფუნქცია. ამიტომ იქ, სადაც ფუნქციას აღარ შეეფერება ის გრამატიკული სამოსი, რომელსაც ის ატარებს, გამოსავალია ფუნქცია და სიტყვის გრამატიკული კვალიფიკაცია ახალი შინაარსის მიხედვით უნდა მოხდეს.

235. პირის დაკარგვა. პოლისემია. თუ სახელმძღვანელოდ მივიღებთ წინა პარაგრაფში მოყვანილ დებულებას ფორმისა და ფუნქციის ურთიერთობის შესახებ, მაშინ საკმაოდ აღმოჩნდება ქართულში ისეთი ზმნები, რომლებიც წარმოშობით რელატიურებია, მაგრამ გარკვეულ შემთხვევებში აბსოლუტურნი გამხდარან. ავიღოთ თუნდაც „ციება“. ეს ზმნა ნასახელარია, — ნაწარმოებია „ცივ“ სიტყვისაგან. მას საზოგადოდ ორ-პირიანობა ახასიათებს: ვაცი(ვ)ებ, აცი(ვ)ებ, აცი(ვ)ებს, ვაცი(ვ)ებთ და შემდგომი; მაციებს, გაციებს, აციებს და სხვ. („ყინვაში უპალტოოდ სიარული მაციებს და სურდო უმართება“, „ზაფხულში ღვინოს აციებენ“ და სხვ.). მაშასადამე, ზმნას მოეპოვება ორივე წყობის ფორმები, რაც აშკარა ნიშანია ორ-პირიანობისა.

ეგევე ზმნა, თუ ის გარკვეულ ავადმყოფობას გულისხმობს, ერთ-წყობიანია, რადგანაც მე-3 სუბ. პირი უცვლელია: მაციებს, გაციებს, აციებს და შემდგომი. „მ-აციებ-ს“ ორ პირის ნიშანს გვიჩვენებს, მაგრამ მას მარტო „მე“ ეწყობა და, მაშასადამე, ერთი პირის გაგება ახლავს და არა ორისა. ეს პირია 1-ლი ობიექტური, სუბიექტური კი, რომელიც ს-თია წარმოდგენილი ფორმაში, დაკარგულია. მაშასადამე, „მაციებს“ პოლისემიური ფორმაა, — აქ ორი სხვადასხვა ფორმაა, მსგავსი გარეგნულად, მაგრამ განსხვავებული შინაარსეულად: ერთ შემთხვევაში ერთ-პირიანი, სხვა შემთხვევაში ორ-პირიანი.

ასეთივე პოლისემიურობა ახასიათებს ამ ზმნებსაც: მ-აცხროებ-ს, მ-აცხელებ-ს, მ-აკანკალებ-ს, მ-ათრთოლებ-ს, მ-აჟრჟოლებ-ს, მ-აძიგძიგებ-ს და სხვ., რომლებიც ორ-პირიანობის შემთხვევაში გარდამავალი ზმნებია.

236. ფორმით ორ-პირიანი, ფუნქციით ერთ-პირიანი. პოლისემიური სიტყვა ორი ან მეტი მნიშვნელობის მქონეა, — მას ერთგან ერთი მნიშვნელობა

აქვს, სხვაგან კი — სხვა. მაგრამ მოიპოვება ისეთი ზმნებიც, რომელნიც ფორმით ორ-პირიანია, ფუნქციით კი ყოველთვის ერთ-პირიანი. ასეთებია: **მ-ძინავ-ს, მ-ღვიძავ-ს, მ-თვლემ-ს**, რომელთაც მარტო 1-ლი პირის გაგება აქვთ, წყობაც მარტო ობიექტური აქვთ, სუბიექტური პირის გაგება კი დაკარგული აქვთ.

237. პირი უცვალებელი და ცვალებადი. უცვალებლის სახელით აღვნიშნავთ ისეთ რომლობითს პირს, რომელიც მუდმივ ახლავს რელატიურ ფორმას და არ არის შესაძლებელი, რომ სხვა პირით შევცვალოთ. სამაგიეროდ ცვალებადი იქნება ისეთი რომლობითი პირი, რომლის შეცვლა შეიძლება. მაგალითი: „ვიცი“ უთუოდ ორ-პირიანი ზმნაა: შიგ არის ორი პირი: 1-ლი სუბიექტური და მე-3 ობიექტური (საგუებლებია: მე იგი). ამათგან სუბ. პირი ცვალებადია (ვიცი, იცი, იცის), ობიექტური კი — უცვალებელი: ჩვეულებრივ არ ითქმის „მიცი“, „გიცი“, თუმცა ძველად ასეთი რამეც შესაძლებელი იყო („უფალო, შენცა მიცი, ვინ ვარ მე“, ევსტ. მცხეთ.) და გამონაკლისის სახით შეიძლება ეხლაც შეგვხვდეს სადმე: „ღმერთმა ნუ გიცის“ (ვაჟა, «ტყის კომ.»). ამის გამო ობიექტური პირის გაგება ამ ზმნაში მკრთალია და „ვიცი“ უახლოვდება ევროპულ ენათა (ბერძნულისა, ლათინურისა, რუსულისა და სხვათა) გარდამავალ ზმნას, რომელიც ერთ-პირიანია.

ლექსიკური შინაარსი ზოგიერთი ორ-პირიანი ზმნისა ისეთია, რომ ერთი პირი უცვალებელი უნდა იყოს. „სმა“ შეიძლება წყლისა და სხვა სითხისა. რადგანაც მოუბარი მუდამ ადამიანია და არ შეიძლება, რომ იგი შესვან, ამიტომ 1-ლი პირი მხ. რიცხვისა არ შეიძლება ობიექტურად იქნეს წარმოდგენილი ამ ზმნაში, მისი ობიექტი ჩვეულებრივ მე-3 პირია. მაგრამ აი რას ჩივის მდინარე:

„თუ კი მე მსვამენ ყველანი, ჩემით იკლავენ წყურვილსა,
რატომ არ აასრულებენ სოფლის მდინარის სურვილსა?“

(ვაჟა, «სოფლის სურათები»).

ასეთივეა აგრეთვე „კითხვა“ ზმნა. კითხვა შეიძლება ისეთი რამისა, რაც ჩვეულებრივ მე-3 პირად გვაქვს დასახული (წიგნი, გაზეთი, ჟურნალი). 1-ლი და მე-2 პირი მასთან ობიექტად არ შეიძლება. მაგრამ: „რა გამოდის ასეთი ბელეტრისტიკიდან? — ეკითხება ეგნატე (ნინოშვილი) თავის თავს. — მხოლოდ ის, რომ გკითხულობენ, სტკბებიან, გადიდებენ და გამვლელ-გამომვლელს ეკითხებიან: ვინაა ამის დამწერიო?“ [ე. ნინოშვილის ბიოგრაფიიდან, თხზულებანი, I, (1925), გვ. 100].

ასეთივე ზმნებია: „იტყვის“, „თქვა“, „ბრძანა“, რომელთაც მე-3 ობ. პირი ჩვეულებრივ არ ეცვლებათ. ისეთი ფორმა კი, როგორიცაა „მიტყოდენ“, შეიძლება გამონაკლისის სახით შეგვხვდეს („ნუ დამშრეტ, ქვესკნელს ნუ მიმცემ, მიტყოდენ დაკარგულადა“, ვაჟა, I, 311).

უფრო ხშირია, რომ ცვალებადი იყოს ობიექტური პირი და უცვალებელი იყოს სუბიექტური: ზმნა „მჯერა“ თითქო ორ-პირიანიაო (ეწყობა ორი საგუებელი: მე იგი), მაგრამ სუბ. პირი უცვალებელია და ამიტომ მისი გაგება მკრთალია.

„მაქვს“ ზმნა უსულო საგანზე ითქმის, სულიერზე კი — „მყავს“ სახლ
მაქვს, ფული მაქვს, წიგნი მაქვს და სხვ.; ძმა მყავს, ცხენი მყავს, ცხვარ
მყავს და სხვ.. თითქო ეს ზმნები ერთნაირიაო, მაგრამ არა! მოუბარი დამიან
სულიერია და ამიტომ „მყავს“ ზმნისაგან შესაძლებელია სუბ. წყობის ფორმე
ბიც (ვჰყავარ), „აქვს“ ზმნისაგან კი ასეთი ფორმები შეუძლებელია. მიტომ
თუმცა „მაქვს“ ორ-პირიანია (მე იგი), მაგრამ მისი სუბ. პირი მკრთალია

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ძველად ეს ზმნა იშვიათად სულიერზედაც იიქმოდა
კაცი არა მ ა ქ უ ს (იო. 5,7) = კაცი არ მყავს; რომელსა ა ქ უ ს სძალი
სიძჱ არს (იო. 3,29) = რომელსაც ჰყავს რძალი, სიძეა.

„ცივა“ და „ცხელა“ ამჟამად ზმნებია (§ 233, შნშ.). ვამბობთ: „გუში
ციოდა, დღეს კი ცხელა“. ამათ აბსოლუტური ფორმების გაგება აქვთ მაგრა
მოიპოვება რელატიური ფორმებიც: „მცივა“, „მცხელა“ („მაგისათვის ეხლ
მე არა მცხელა“). ამ შეპირისპირების ნიადაგზე თითქო „მცივა“ ორ-პირიან
უნდა იყოს, მაგრამ საქმე ის არის, რომ მისი სუბ. პირი უცვალებელი და არ
თუ მკრთალია, არამედ უჩინოც.

უცვალებელი პირი ჩვეულებრივია ორ-პირიან ზმნათა სათავისო ქცევ
ფორმებში და სამ-პირიან ზმნებში.

სათავისო ქცევის ფორმებში სუბიექტური პირი ცვალებადია, ოიექტუ
რი პირი კი — ჩვეულებრივ უცვალებელი. უცვალებელ პირად აქ მე-3 გვხვდებ
მისი ფორმაში გამოყოფა და ცალკე პირად აღქმა ძნელია, ყოველ შემთხვევაშ
მისი გაგება ძნელია.

სამ-პირიან ფორმებში ორ ობიექტურ პირთაგან ერთი პირდაპირია, მეო
რე კი ირიბი. ამათგან ირიბი ცვალებადია, პირდაპირი კი — უცვალებელ
ისიც თითქმის ყოველთვის მე-3 პირია. ამიტომ ამ უცვალებელი პირის გაგება
მკრთალია, მით უმეტეს, რომ მას არც პირის ნიშანი აქვს და არც რიცხვის
მაგალითი:

„ვაშენებ“ ორ-პირიანია (მე მას). ეს მისი ორ-პირიანობა იმაზეა დამყარე
ბული, რომ შეგვიძლია ორივე პირი ვცვალოთ: ვაშენებ, აშენებ, აშენებს; მაშ
ნებ, გაშენებ და სხვ.

ეხლა ავიღოთ „ვიშენებ“. ესეც ორ-პირიანია (ვიშენებ მე მას, ვიშენე
მე სახლს). მაგრამ აბა ეხლა ვცადოთ ამისი ობიექტური პირის დაძვრა ადგი
ლიდან და სხვა რომლობითი პირით შეცვლა. ვერ შევცვლით, რადგანაც ყვე
ლა სუბიექტურ პირს ყველგან ეს მე-3 ობიექტური ახლავს. ამის გამო ამ უცვ
ლებელი პირის გაგება მკრთალია.

ეხლა ვნახოთ: „ვუშენებ“. ეს ზმნა სამ-პირიანია (მე მას მას, მე მა
სახლს); ამ სამ პირთაგან ერთი სუბიექტურია და ორი ობიექტური. სუბიექ
ტური პირი ცვალებადია: ვუშენებ, უშენებ, უშენებს; ცვალებადია აგრეთვ
ი.-ობიექტურიც: ვუშენებ, გიშენებ. მაგრამ პირდაპირ-ობიექტური პირი ა
იცვლება: ყოველგვარ პირთა კომბინაციაში უთუოდ ისიც იგულისხმება. ამი
ტომ მისი გაგება მკრთალია.

ვამბობთ მკრთალიაო, მაგრამ ეგების არც არის მესამე (პირდაპირ-ობიექ
ტური) პირი შიგ? არა, არის. რომ აგრეა, ამას ამტკიცებს, ჯერ ერთი, ძვ. ქარ
თულის ულლება: ძველ ქართულში პირდაპირი მიმართების ფორმები რიცხვიან

ქო მე-2 სერიის ფორმებში (ა ღ ზ ა რ დ ა იგი, ა ღ ზ ა რ დ ნ ა იგინი), რიცხვი ზმნაში მხოლოდ პირს აქვს. მაშასადამე, არ შეიძლება პირის გაგება არ ლდეს ასეთ ფორმას. მაგრამ ეს ძველად იყო. დღევანდელ ქართულში პირთა აოდენობის დასადგენად და მესამე პირის გამოსაჩენად შეპირისპირების საუალება გვაქვს: „ვაშენებ“ და „ვუშენებ“ ყველაფრად ერთნაირი ფორმებია, აგრამ ერთია განსხვავება: „ვუშენებ“ მეტია, ვიდრე „ვაშენებ“: ვაშენებ მე ახლს, მაგრამ: „ვუშენებ მე მ ა ს სახლს. მოემატა ირიბი პირის გაგება, რომის არსებობა ფორმაში უეჭველია (ეს პირი ცვალებადია). თუ „ვაშენებ“ ორ-ირიანია, ცხადია, რომ „ვუშენებ“ სამ-პირიანი იქნება.

ი ნ ვ ე რ ს ი ა

238. ინვერსიის რაობა. ი ნ ვ ე რ ს ი ა ჰქვია შექცევას, ანუ შებრუნებას, ომელიც საზოგადოდ თავს იჩენს რიგის შემთხვევაში. ვთქვათ, რომელიმე ნის რომელსამე საკითხში ორი გრამატიკული ოდენობის რიგი (მაგ., მსაზღვრეისა და საზღვრულისა) ნორმალურად ასეთია: AB; მაშინ იმავე ენის იმავე საითხში იმავე ოდენობათა BA რიგი იქნება შექცეული (შებრუნებული), ანუ ნვერსიული. ცნობილია, მაგ., ქვემდებარისა და შემასმენლის ინვერსია ევროპის ნებში (ფრანგ., ინგ., გერმ.-ში) კითხვის გამოხატვის შემთხვევაში. ქართულში ნობილია მსაზღვრელ-საზღვრულის ინვერსია: მეზობლის სახლი და სახლი ეზობლისა (§ 128), დიდ-თავა და თავ-დიდი (§ 194). ინვერსია ქართულში თავს ჩენს აგრეთვე პირის ნიშანთა გამოყენებისას ზმნაში.

239. ვინის რიგი და მანის რიგი. როგორც ვიცით, პირის ნიშნები ქარულში ორგვარია: სუბიექტური და ობიექტური. სუბიექტურია ნიშანი, რომეიც პირს ზმნის ფორმაში სუბიექტად, ანუ მოქმედად სახავს, და ობიექტურია იშანი, რომელიც ზმნის ფორმაში გამოხატულ პირს ობიექტად, ანუ უმოქმედოდ არმოგვიდგენს. რადგანაც ქართული ზმნის ფორმა შეიძლება იყოს არა მარტო რთ-პირიანი (მონოპროსოპული), რომელიც წარმოადგენს ერთ პირს, სუბიქტს, არამედ მრავალ-პირიანიც (პოლიპროსოპული), რომელიც ფორმაში ასაავს ორს ან სამ პირს, სუბიექტს და ობიექტს (ან: სუბიექტს და ორ ობიექტს), მიტომ უკანასკნელი მოვლენის საფუძველზე შემუშავებულია ორი რიგი პირის იშნებისა, სუბიექტური და ობიექტური (§ 210). რადგანაც ერთ რიგს მეთაურობს 1-ლი პირის ნიშანი **ვ**, ხოლო მეორეს — იმავე 1-ლი პირის ნიშანი **მ**, მიტომ შეგვიძლია სუბიექტურ რიგს ვ ი ნ ი ს რიგი ვუწოდოთ და ობიექტურს — **მ** ა ნ ი ს რიგი. ეს გარეგნული ნიშნის მიხედვით დარქმეული სახელები აჭიროა, რომ უფრო ნათელი იყოს პირის ნიშანთა ინვერსიის საფუძველი.

240. პირის ნიშანთა ინვერსიის საფუძველი. ვამბობთ: **ვ**ინის რიგის იშნები სუბიექტურია და **მ**ანის რიგისა კი — ობიექტურიო, მაგრამ არის კი ოველთვის აგრე? არა, ყოველთვის აგრე არ არის. ირკვევა, რომ ორივე რიგის იშნებს შეუძლია სუბიექტის ფუნქციითაც აღჭუროს სათანადო პირი ფორმაში და ობიექტის ფუნქციითაც. ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რა დანიშნულება ძლევა მთლიანად ორ-პირიან ფორმას, რა ურთიერთობა უნდა დაამყაროს მან პირებს შორის.

შესაძლებელია, რომ ერთისა და იმავე ბგერითი შედგენილობის ფორმა ერთ შემთხვევაში ერთი ფუნქციით გვევლინებოდეს და სხვა შემთხვევაში — სხვით. მაგალითად ავიღოთ პრეფიქსისა და სუფიქსის ფუნქცია „მომიკლავ-ს“ ფორმაში (მო-**მ**-იკლავ-**ს**), რომელთაგანაც **მ** მანის რიგისაა და **ს** — ვინის რიგისა. ზემოთ მოცემული ცნობების მიხედვით **მ** ობიექტურ პირს (უმოქმედო პირს) უნდა აღნიშნავდეს და **ს** — სუბიექტურს (მოქმედს).

ეს მართლაც არის ასეთ წინადადებაში: „ბიძა-ჩემი სანადიროდ წავიდა და უთუოდ კურდღელს მ ო მ ი კ ლ ა ვ ს“. მომიკლავს — **ის** მე (მოქმედია ის მე-3 პირი, 1-ლი პირი კი უმოქმედოა). მაგრამ ეხლა აბა ეს წინადადება ვნახოთ „ჩემს სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ მ ო მ ი კ ლ ა ვ ს კურდღელი“. აქ კი პირთა ფუნქცია შებრუნებულია: მოქმედად 1-ლია გამოყვანილი, უმოქმედოდ კი — მე-3: მ ო მ ი კ ლ ა ვ ს — **მე** ის.

მაშასადამე, „მომიკლავს“ ფორმაში 1-ლი პირი, რომელიც **მ** ნიშნით არის წარმოდგენილი, პირველ წინადადებაში ობიექტურია, მეორეში კი — სუბიექტური; სამაგიეროდ მე-3 პირი, რომელიც **ს** ნიშნის მქონებელია, პირველ წინადადებაში სუბიექტურია, მეორეში კი — ობიექტური.

პირის ნიშანთა კვალიფიკაცია სათანადო პირთა მოქმედების როგორობაზეა დამყარებული. ამიტომ, ცხადია, თუ პირველი წინადადების „მო-**მ**-იკლავ-**ს**“ ფორმაში **მ** პრეფიქსი ობიექტური ნიშანია, მეორე წინადადებისაში იგივე ნიშანი სუბიექტური იქნება. ამავე საფუძველზე **ს** სუფიქსი პირველი წინადადების „მომიკლავს“-ში სუბიექტური გამოვა და მეორე წინადადებისაში კი — ობიექტური. მაშასადამე, თუ პირველი წინადადების „მომიკლავს“ ზმნაში პირის ნიშანთა მნიშვნელობას ნორმალ მივიჩნევთ, მეორე წინადადების იმავე ბგერითი შედგენილობის ფორმაში პირის ნიშანთა მნიშვნელობა ი ნ ვ ე რ ს ი უ ლ ი იქნება.

რაც 1-ლი პირისა და მე-3 პირის ნიშნებზე ითქვა „მომიკლავს“ ზმნის მაგალითზე, იგივე შეგვიძლია ვთქვათ მე-3 სუბიექტური პირის სხვა ნიშანთა შესახებაც ორსავე რიცხვში იმავე ზმნისა ან სხვა ზმნების ჩვენებით, აგრეთვე მე-2 პირის ნიშნების შესახებაც მრავალი სხვა ზმნის მიხედვით. აქედან დასკვნა: ქართულში ადგილი აქვს პირის ნიშანთა ინვერსიას, რაც იმაში გამოიხატება, რომ ვინის რიგის ნიშნები ერთ შემთხვევაში სუბიექტური პირის აღმნიშვნელად გვევლინებიან, სხვა შემთხვევაში კი — ობიექტური პირისად; პირუკუ: მანის რიგის ნიშნები ერთ შემთხვევაში ობიექტური პირების მაჩვენებლებია ზმნაში, სხვა შემთხვევაში კი — სუბიექტური პირებისა.

ოღონდ ერთია: როგორც ვიცით (§ 226), 1-ლსა და მე-2 პირში ობიექტური ნიშნები ერთი და იგივეა ორივე მიმართების დროს, განსხვავება მაშინ იჩენს თავს, როდესაც ობიექტური პირი მესამეა, სადაც პირდაპირ-ობიექტური პირი უნიშნოა, ირიბ-ობიექტური პირი კი — ნიშნიანი. ინვერსიის შემთხვევაში მე-3 პირის სუბ. ნიშნებს, რომლებიც სუფიქსებია, ირიბ-ობიექტური პირის ნიშანი (პრეფიქსი) ენაცვლება. აქედან განზოგადებას ვახდენთ 1-ლისა და მე-2 პირისთვისაც და ვამბობთ: ინვერსიის დროს სუბიექტურ ნიშნებს ირიბ-ობიექტური პირის ნიშნები ენაცვლებაო.

მაშასადამე, თუ აქაც, პირის ნიშანთა კვალიფიკაციის დროს, სახელმძღვანელოდ მივიჩნევთ პრინციპს, რომელიც ზემოთ (§ 234) არის მოცემული ზოგა-

ჯად ფორმისა და ფუნქციის ურთიერთობის შესახებ, უნდა ვთქვათ, რომ ვინის :იგის ნიშნები, რომლებიც ოდესღაც (ვიდრე ქართული ენა სალიტერატურო სპარეზზე გამოვიდოდა) მხოლოდ სუბიექტურები იყვნენ, დღევანდელ ენაში ან სუბიექტურებია, ხანაც ობიექტურები; მანის რიგისანი კი, რომლებიც ადესღაც მხოლოდ ობიექტური პირის აღნიშვნის ფუნქციით იყვნენ აღჭურილნი, დღეს ხან ობიექტურ პირსა და ხანაც სუბიექტურ პირს აღნიშნავენ.

ერთი რამ მაინც გარკვევით უნდა აღინიშნოს: შემთხვევათა აბსოლუტურ ჰმრავლესობაში ვინის რიგის ნიშნები დღესაც სუბიექტური პირის აღმნიშვნეუებია უმთავრესად და უპირატესად, მანის რიგისანი კი დღესაც ობიექტური ირის ამსახველებია უმეტესად და უმრავლესად.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. მიუხედავად მნიშვნელობის ცვალა-გამოცვლისა, ტერმინი „სუბიექტური" შეიძლება მარტო ერთ რიგს მივაკუთვნოთ, ვინის რიგისას, რომ ამით თავიდან ავიშოროთ ზოგიერთი უხერხულობა. მაგრამ ტერმინოლოგიურმა ერთიანობამ არ უნდა დაფაროს და მიჩქმალოს პირის ნიშანთა ინვერსიის ბუნება.

241. ინვერსიულ ფორმათა ადგილი უღლების სისტემაში. პირის ნიანთა ინვერსიას გარკვეული ადგილი უჭირავს ზმნათა უღლების სისტემაში: ს გვხვდება მარტო III სერიის ფორმებში და ისიც გარდამავალ ზმნებში. გარაუვალმა ზმნებმა საზოგადოდ ინვერსია არ იცის, არ იცის ის არც გარდამავალა ზმნებმა I-სა და II სერიაში.

ამ ფორმათა წარმოებისა და წარმოშობის შესახებ ქვემოთ იქნება საუბაი, აქ კი, ასეთი მაგალითით დავკმაყოფილდები: თითო სერიიდან ორ-ორ მწკრივს მოვიყვან, ერთს თხრობით კილოიანს, მეორეს კავშირებითიანს. საქის ვითარების ნათელსაყოფად დაკარგულ პირის ნიშანს ფრჩხილებში აღვადგენ.

	I სერია			II სერია		
მხ.	1 **ვ**-ნახავ	**ვ**-ნახავდე	მხ.	1 **ვ**-ნახე	**ვ**-ნახო
	2 **ჰ**-ნახავ	**ჰ**-ნახავდე		2 **ჰ**-ნახე	**ჰ**-ნახო
	3 ნახავ-**ს**	ნახავდე-**ს**		3 ნახ-**ა**	ნახო-**ს**
მრ.	1 **ვ**-ნახავ-**თ**	**ვ**-ნახავდე-**თ**	მრ.	1 **ვ**-ნახ-**ე**-**თ**	**ვ**-ნახო-**თ**
	2 **ჰ**-ნახავ-**თ**	**ჰ**-ნახავდე-**თ**		2 **ჰ**-ნახე-**თ**	**ჰ**-ნახო-**თ**
	3 ნახვ-**ენ**	ნახავდე-**ნ**		3 ნახ-**ეს**	ნახო-**ნ**

III სერია

(ინვერსია)

მხ.	1 **მ**-ინახავ-**ს**	**მ**-ენახო-**ს**
	2 **გ**-ინახავ-**ს**	**გ**-ენახო-**ს**
	3 (**ჰ**)-უნახავ-**ს**	(**ჰ**)-ენახო-**ს**
მრ.	1 **გვ**-ინახავ-**ს**	**გვ**-ენახო-**ს**
	2 **გ**-ინახავ-(**ს**)-**თ**	**გ**-ენახო-(**ს**)-**თ**
	3 (**ჰ**)-უნახავ-(**ს**)-**თ**	(**ჰ**)-ენახო-(**ს**)-**თ**

რ. ერისთავი ერთ თავის ცნობილ ლექსს ასე იწყებს:

„სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ და მისროლია ისარი"...

ამ წინადადებაში სამივე ზმნის ფორმა მესამე სერიისაა, მაგრამ ორი მათგანი შეუქცეველია — 1-ლი პირის ნიშანი ვინითაა წარმოდგენილი: **ვ**-შობილ-ვარ, გა-**ვ**-ზრდილ-ვარ (მიღებულია ასეთი ფორმებისაგან: შობილ-ვარ, გაზრდილ-ვარ, § 221), მესამე კი — შექცეული: **მ**-ისროლია. ეს იმიტომ, რომ პირველი ორი ზმნა გარდაუვალია, მესამე კი — გარდამავალი, რომელსაც III სერიაში პირთა წარმოებისას ინვერსიულობა ახასიათებს.

ეს ზმნები რომ III სერიიდან II-ში გადმოვიყვანოთ და მის ერთ-ერთ მწკრივში დავსვათ, შექცევას ადგილი არ ექნება — პირველი პირი ყველგან ვინით იქნება გამოხატული: „სადაც **ვ**-იშევ, გა-**ვ**-იზარდე და **ვ**-ისროლე ისარი". იგივე სურათი გვექნება I სერიაშიც: „სადაც **ვ**-იშობი, გა-**ვ**-იზრდები და **ვ**-ისვრი ისარს".

მაშასადამე, გარდამავლობა და III სერია — აი აუცილებელი პირობა პირის ნიშანთა ინვერსიისათვის ზმნაში.

პირთა რაოდენობის თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ ინვერსიული ფორმა შეიძლება მხოლოდ ორ-პირიანი იყოს.

თქმულით არ ამოიწურება საკითხი პირთა წარმოების შესახებ ქართ. ზმნაში. ზოგიერთი დეტალი სხვა კატეგორიებთან დაკავშირებით იქნება განხილული: ესენია: მწკრივი (§§ 287—294), გვარი (§§ 347—352, 364), ქცევა (§ 416) და კონტაქტი (§§ 427—429; 431).

დრო

242. დროის რაობა. რა არის გრამატიკული დრო? — გრამატიკაში დრო ეწოდება ისეთ ფორმას ზმნისას, რომელიც გვიჩვენებს მოქმედების მომენტის შეფარდებას უბნობის (ანუ ლაპარაკის) მომენტთან. ამ შეფარდების მიხედვით ირკვევა, რომ ზმნით გამოხატული მოქმედება ხდება ან უბნობის მომენტში, ან სხვა დროს. დროული გამოხატვა მოქმედებისა იმაზეა დამოკიდებული, რომ ყოველგვარი ამბავი, რომელიც კი მომხდარა, ხდება, თუ უნდა მოხდეს, გადმოცემულია მოუბრის თვალსაზრისით და მისი უბნობის მომენტთან შეფარდებით. ამ შეფარდებისას შეიძლება აღმოჩნდეს, რომ

ა) მოქმედება ხდება სწორედ იმ მომენტში, როცა მოუბარი ადამიანი (მაშასადამე, 1-ლი პირი მხ. რიცხვისა) ამ მოქმედებას ახსენებს;

ბ) მოქმედება უსწრებს უბნობის მომენტს;

გ) მოქმედება უნდა მოხდეს უბნობის მომენტის შემდეგ.

პირველს (ა) შემთხვევაში გვაქვს ერთ-დროულობა, ანუ ერთ-ჟამიერობა უბნობისა და მოქმედებისა — ორივე ერთსა და იმავე ფიზიკურ დროს ხდება; მეორესა (ბ) და მესამე (გ) შემთხვევაში კი უბნობის მომენტი და მოქმედების მომენტი სხვადასხვაა ფიზიკურად, მაგრამ ისე, რომ მეორე (ბ) შემთხვევაში უბნობის მომენტს მოქმედების მომენტი უსწრებს, მესამე (გ) შემთხვევაში კი — პირუკუ: მოქმედების მომენტს უბნობისა უსწრებს. რომელი რომელს უსწრებს — უბნობის მომენტი მოქმედებისას, თუ მოქმედების მომენტი უბნობისას, — ა ნ რ ა მ დ ე ნ ა დ უსწრებს — ერთი წუთით, ერთი საათით, ერთი დღით, ერთი კვირით, ერთი თვით, ერთი წლით, მთელი საუკუნით თუ მეტით — ეს სულ ერთია. მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმას, რომ განსხვავება იყოს ორ მომენტს შორის. თუნდაც სულ მცირეოდენი. როცა განსხვავება არ არის ორ

მომენტს შორის და უბნობის მომენტი და მოქმედების მომენტი ერთი და იგივე ფიზიკური დროა, მაშინ ზმნის ფორმა ე ხ ლ ა ნ დ ე ლ ი ა (ანუ ა მ ჟ ა მ ა დ ი, თქმისთანადი: „ვაშენებ“); როცა განსხვავებაა, მაგრამ ისე, რომ მოქმედება უბნობის მომენტს უსწრებს, მაშინ ის წ ა რ ს უ ლ ი დროა („ვაშენებდი“, „ავაშენე“, „ამიშენებია“): ხოლო, როცა მოქმედება უბნობის შემდეგ უნდა იყოს, მაშინ მ ო მ ა ვ ა ლ ი დროა („ავაშენებ“).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად აქვე უნდა განვაცხადოთ, რომ დ რ ო ი ს აღსანიშნავად მხოლოდ ეს სამი ტერმინი გვაქვს გამოყენებული: ე ხ ლ ა ნ დ ე ლ ი, წ ა რ ს უ ლ ი და მ ო მ ა ვ ა ლ ი. რაც შეეხება აქამომდე არსებულებს ა წ მ ყ ო ს, ნ ა მ ყ ო ს და მ ყ ო ფ ა დ ს, ისინი შეიძლება გარკვეულ მწკრივებს მივაკუთვნოთ. აქაც ქართულში ამათგან მარტო „აწმყო“ და „მყოფადი“ გვჭირდება. „ნამყო“ კი შეიძლება სხვა ენებისთვის გამოგვადგეს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. ტერმინები ა წ მ ყ ო, ნ ა მ ყ ო, მ ყ ო ფ ა დ ი ხელოვნურია და ა ნ ტ ო ნ ი I-ისაგან მომდინარეობენ. პირველ ორ მათგანს ჩამოკვეცილი აქვს ბოლო მარცვალი: ა წ-მ ყ ო(ფ ი), ნ ა-მ ყ ო(ფ ი); მ ყ ო ფ ა დ ი (მ ყ ო ო ბ ა დ ი, მ ყ ო ბ ა დ ი) იგივეა, რაც ყ ო ფ ა დ ი, ე. ი. რაც იქნება, რაც უნდა იყოს.

აღნიშნული ტერმინები, ხელოვნურობის გარდა, რამდენადმე უხერხულიც არის ამჟამად, რადგანაც „აწმყო“-ში „აწ“ ძველი მნიშვნელობით არის ნახმარი: ა წ — ეხლა, ა წ-მ ყ ო(ფ ი) — ეხლა მყოფი, მაგრამ დღეს ტერმინის პირველ ნაწილს „აწი“-ს უკავშირებენ, რომელსაც დასავლურ კილოებში სულ სხვა მნიშვნელობა აქვს: ა წ ი (←აწით) — ამას იქით, ამიერიდან. ერთი სკოლის მასწავლებელი ჩიოდა: „აწმყო“ ბევრ ბავშვს მომავალი ჰგონიაო.

პირიან ზმნებში დრო ყველა კილოიან ფორმას აქვს, მაგრამ ყველაზე უფრო ნათლად და სრულად ეს კატეგორია თხრობით კილოიან ფორმებშია გამოხატული.

243. დროთა რაოდენობის პრობლემა საზოგადოდ ენაში და კერძოდ ქართულში. მოცემული განსაზღვრის თანახმად გრამატიკული დრო შეიძლება მხოლოდ სამი იყოს: ეხლანდელი, წარსული და მომავალი. ე ხ ლ ა ნ დ ე ლ ი ა ფორმა ზმნისა, რომელიც წარმოდგენას გვაძლევს, რომ მოქმედების მომენტი უბნობისას ემთხვევა; წ ა რ ს უ ლ ი ა ფორმა, რომელიც გვაგებინებს, რომ მოქმედება უბნობის მომენტს უსწრებდა, და მ ო მ ა ვ ა ლ ი ა ფორმა, რომელიც აღნიშნავს, რომ მოქმედება უბნობის მომენტის შემდეგ მოხდება.

ამტკიცებენ, რომ დროთა რაოდენობა ბევრ ენაში სამზე მეტია. ეს მტკიცება იმ უცილობელ ფაქტს ეყრდნობა, რომ სხვადასხვა ენაში მოიპოვება რამდენიმე ფორმა, რომლებიც წარსულს ასახავენ, და რამდენიმე ფორმა, რომლებიც ეხლანდელს ან მომავალს გამოხატავენ. კერძოდ ქართულშიც მოიპოვება რამდენიმე ფორმა, რომლებიც წარსულს განეკუთვნებიან (ვჭამდი, ვჭამე, მიჭამია, მეჭამა), და ამის მიხედვით ასკვნიან, რომ დრო ამა და ამ ენაში ამდენი და ამდენიაო. მაგ., ს. ხ უ ნ დ ა ძ ი თ ქართულში თხრობით კილოში (მისი ტერმინით: მოთხრობით კილოში) ხუთი დროა: აწმყო (ვსწერ, ვკითხულობ),

სამი ნამყო: ა) ნამყო I (ვსწერდი, ვკითხულობდი), ბ) ნამყო II (ვსწერე, ვიკითხე), ნამყო III (მიწერია, მიკითხავს) და მყოფადი (ვსწერ, ვიკითხავ). მისივე აზრით, კავშირებით კილოშიც (მისი ტერმინით: ნატვრით კილოში) ხუთი დროა: აწმყო (ვსწერდე, ვკითხულობდე), ორი ნამყო: ა) ნამყო I (მეწერა, მეკითხა), ბ) ნამყო II (მეწეროს, მეკითხოს) და ორი მყოფადი: ა) მყოფადი I (ვსწერდე, ვიკითხავდე), ბ) მყოფადი II (ვსწერო, ვიკითხო). ხოლო პირობით კილოს, იმავე ავტორის აზრით, მარტო ერთი დრო აქვს: ნამყო დრო (ვსწერდი, ვიკითხავდი; დავსწერდი, წავიკითხავდი) [«ქართ. გრამატიკა», ქუთ. 1904, გვ. 58—59] მაშასადამე ს. ხუნდაძე დროებს კილოთა მიხედვით ანგარიშობს: თხრობითში ხუთ დროს პოულობს, კავშირებითშიც — ხუთს და პირობითში — ერთს.

ნ. მარი წერდა [ვთარგმნით ძველი ტერმინებით]: ძველ ქართულში „კილო ოთხია: თხრობითი, კავშირებითი, ნატვრითი და ბრძანებითი. კილოებს შორის არ არის გარდაუვალი მზღვარი მნიშვნელობისა და ხმარების მხრით, კავშირებითისა და ნატვრითი კილოს გარჩევა თხრობითისაგან მკვეთრად გატარებული არ არის: ძველს სალიტერატურო ენაში კავშირებითი იხმარება მყოფადის მნიშვნელობით, თხრობითის აორისტი ხშირად კავშირებითს ენაცვლება, ნამყო უსრული გვხვდება ნატვრითის ნაცვლად, და პირუკუ, აორისტის მეორე პირები ბრძანებითად არის გამოყენებული, ამგვარადვეა აკრძალვით უარყოფით ნუ-სთან აწმყოს მეორე პირები. ამიტომ კილოებს განვიხილავთ როგორც ცალკე დროებს. ძირითადი დრო რვა არის: აწმყო, ნამყო უსრული, ნატვრითი, აორისტი, კავშირებითი (იგივე მომავალი), ნამყო სრული, წინარეწარსული, ნამყო კავშირებითი“ (Грамматика древнелитер. груз. языка, Л., 1925, 141—142).

ა. ჩიქობავა წერდა: „განყენებულად თუ ავიღებთ, დრო სამია: აწმყო, ნამყო, მყოფადი... ეს სამი დრო განყენებულადაა აღებული მოქმედებისა და მისი აღმნიშვნელი სიტყვის შეფარდების ნიადაგზე. ამა თუ იმ ენაში ამ სამი დროის კონკრეტიზაციამ შეიძლება მოგვცეს გაცილებით მეტი ერთეულები დროისა; მაგ., ახალ ქართულში გვაქვს ერთი აწმყო, ერთი მყოფადი და ოთხი ნამყო: ნამყო უწყვეტი ანუ უსრული: აკეთებდა, აშენებდა, შრომობდა...; ნამყო ძირითადი ანუ ნამყო წყვეტილი (აორისტი): აკეთა, აშენა, იშრომა..., თურმეობითი პირველი: უკეთებია, უშენებია, უშრომია...; თურმეობითი მეორე: ეკეთებინა; ეშენებინა, ეშრომა. გერმანულში სამი ნამყო დროა, ფრანგულში — ოთხი ნამყო, ლათინურშიაცა და ძველს ბერძნულშიც ოთხი ნამყო იყო... იმავე გერმანულსა და ფრანგულში ორი მყოფადია, ზოგ კავკასიურ ენაში ათიოდე აღწერითი ფორმა აქვს ნამყო დროს. აწმყოც კი შეიძლება იყოს ერთზე მეტი; ასეა, მაგ., ევროპულ ენათაგან ინგლისურში, კავკასიურ ენათაგან, მაგ., ხუნძურში“ («ზოგადი ენათმეცნიერება», I. 1939, § 55).

როგორც ვხედავთ, ახალ ქართულში ს. ხუნდაძით 11 დროა: ხუთი თხრობით კილოში („მოთხრობითში“), ხუთიც კავშირებითში („ნატვრითში“) და ერთიც „პირობითში“. ჩამოვწეროთ მის მიერ მოყვანილი მაგალითები და დავნომროთ თვითეული „დრო“; გვექნება: 1) ვსწერ, ვკითხულობ, 2) ვსწერდი, ვკითხულობდი, 3)ვსწერე, 4) მიწერია, 5) ვსწერ, ვიკითხავ: 6) ვსწერდე, ვკითხულობდე, 7) მეწერა, 8) მეწეროს, 9) ვსწერდე, ვიკითხავდე, 10) ვსწერო, 11) ვსწერდი, ვიკითხავდი. რომ გადავალაგოთ ეს ფორმები წარმოების მიხედ-

ვით და თავ-თავისი ნომერი ფრჩხილებში მივუწეროთ, შემდეგი სურათი გვექნება:

1. ვსწერ, ვკითხულობ [1]	7. ვსწერე [3]
2. ვსწერდი, ვკითხულობდი [2]	8. ვსწერო [10]
3. ვსწერდე, ვკითხულობდე [6]	9. მიწერია [4]
4. ვსწერ, ვიკითხავ [5]	10. მეწერა [7]
5. ვსწერდი, ვიკითხავდი [11]	11. მეწეროს [8]
6. ვსწერდე, ვიკითხავდე [9]	

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. რადგანაც „წერა“ დაუსრულებელი ასპექტის ფორმაა და ის მყოფადის წრეში აწმყოს წრისაგან განსხვავებულ ფორმებს ვერ მოგვცემს, ამიტომ ს. ხუნდაძეს „ვსწერ“-თან ერთად მეორე ზმნაც აქვს მოყვანილი, რომელსაც აღნიშნული ფორმები განსხვავებული აქვს (ვკითხულობ, ვკითხულობდი, ვკითხულობდე; ვიკითხავ, ვიკითხავდი, ვიკითხავდე). ეს მეორე ზმნა აქ მხოლოდ I სერიის ფორმებში მოგვყავს.

მოყვანილი მაგალითები გვარწმუნებს, რომ ს. ხ უ ნ დ ა ძ ე ს ჩამოთვლილი აქვს დღევანდელ ქართულში არსებული საყოველთაოდ ცნობილი მწკრივები, გარდა ბრძანებითისა, რომელიც მას, როგორც ჩანს, „დროდ“ არ მიაჩნია. მაშასადამე, მისთვის „დრო“ იგივეა, რაც ჩვენთვის „მწკრივი“.

ნ. მ ა რ ი ს შეხედულება გრამატიკული დროის შესახებ ძველი ქართულის მაგალითებზე აგრეთვე საბოლოოდ მწკრივის გაგებას გვაძლევს, ხოლო, თუ ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს მაგალითებს დავაკვირდებით, ძნელი არ იქნება შევნიშნოთ, რომ „დროდ“ მას მარტო თხრობითი კილოს შემცველი მწკრივები მიაჩნდა, სხვა მწკრივები მას კილოდ ჰქონდა გაგებული. ეს შემდეგიდან ჩანს: „ძველს ქართულში კავშირებითიც არსებითად თხრობითი კილოს დ რ ო ს წარმოადგენდა: ასე რომ კავშირებითის კ ი ლ ო დ ქ ც ე ვ ა მეორეული მოვლენაა“ (§ 56). თუ ასეთ ახსნას გავიზიარებთ, გამოდის, რომ კავშირებითის ფორმა ძველად „დრო“ იყო და შემდეგ „კილოდ“ იქცა (რაც ძნელი დასაჯერებელია), მაშასადამე, ზოგი მწკრივი ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს თ ვ ი ს დროა, ზოგი კი — კილო.

შეიძლებოდა სხვა ავტორებიც დაგვესახელებინა, რომ გვეჩვენებინა, თუ როგორი არევ-დარევა სუფევს დროის გაგებაში, მაგრამ ამ წიგნში ესეც საკმარისია. ასეთი მცდარი შეხედულება „დროის“ შესახებ იქედან მომდინარეობს, რომ სპეციალურ ლიტერატურაში გრამატიკული დროის პრობლემა სწორად არ არის დასმული და გადაწყვეტილი.

საზოგადოდ დროის კატეგორიას რევენ მწკრივის ერთ-ერთ კატეგორიასთან (კილოსთან ან თანამდევრობასთან) ან თვით მწკრივთან და ეს აღრევა, რომელიც ჰრელად ასახავს ზოგადი საენათმეცნიერო საკითხის შესწავლის უმწეო მდგომარეობას ენის სტრუქტურულ ნაწილში, ქართულ ნიადაგზედაც უკრიტიკოდ არის გადმოტანილი. საჭიროა და აუცილებელი, რომ დროის კატეგორია გამოითიშოს სხვა კატეგორიებისაგან და მას თავისი ალაგი მიეჩინოს და სხვებსაც თავ-თავისი მოენახოს.

ქართული ენის უხვი მასალების შესწავლა და სხვა ენებზე დაკვირვება გვარწმუნებს, რომ დრო ერთ-ერთი ელემენტია მწკრივისა და რომ ის შეიძლება მხოლოდ სამი სახისა იყოს არა მარტო თანამედროვე რუსულში (говорю,

я **говорил, буду говорить**), არამედ ქართულშიც, სომხურშიც, თურქულშიც, კავკასიისა და ევროპის ენებშიც: ფრანგულში, გერმანულსა და ინგლისურში. ქართულში (ან სხვა რომელსამე ენაში, რომელსაც მე ვიცნობ) არ არის რამდენიმე „აწმყო“, რამდენიმე „მყოფადი“, ან რამდენიმე „ნამყო“ (თუ ამათ „დროდ“ გავიგებთ, როგორც ესმოდათ). კერძოდ ფორმები: აშენებდა, აშენა, უშენებია, ეშენებინა — ყველა ერთია დ რ ო ი ს კატეგორიის თვალსაზრისით, ისინი ა მ მ ხ რ ი ვ არავითარ განსხვავებას არ გვიჩვენებენ, რადგანაც ყველანი თანაბრად გულისხმობენ, რომ მოქმედება უბნობის მომენტს უსწრებდა. რომ ეს ასეა, ამას ვნახავთ მწკრივთა მიმოხილვისას, სადაც ფორმათა რაოდენობის გამოთვლის ნიმუში იქნება მოყვანილი (§ 296).

ეხლა კი დავსვათ ასეთი საკითხი: ნუთუ მართლა არ შეიძლება, რომ საზოგადოდ დრო სამზე მეტი იყოს ენაში?

244. სამზე მეტი დრო. ზემოთ (§ 242) აღნიშნულია, რომ, როდესაც განსხვავებაა უბნობის მომენტსა და მოქმედების მომენტს შორის, არ ჩანს, თუ როგორია ეს განსხვავება ფიზიკურად, ე. ი. იმ გარკვეული დროის მიხედვით, რომელიც შეიძლება გავზომოთ. გრამატიკული დრო არ შეიძლება გაიზომოს. მაგ., წინადადება „მიწა ი ძ რ ა“ შეიძლება ისეთ მოვლენაზედაც ითქვას, რომელიც უბნობის მომენტიდან ერთი წუთით არის დაშორებული, და ისეთზედაც, რომელიც ათი ათასი წლის წინათ მომხდარა, ამ მხრივ „წარსულის“ გაგება გრამატიკაში ერთია და განუყოფელი, მას დასაბამი (დასაწყისი) არ აქვს, მაგრამ დასასრულია უბნობის მომენტი. ერთია აგრეთვე გაგება „მომავლისაც“, რომელსაც დასაბამად უბნობის მომენტი აქვს, მაგრამ დასასრული არ უჩანს: „მიწა დ ა ი ძ ვ რ ი ს“ ისეთ მოვლენასაც გულისხმობს, რომელიც უბნობის მომენტს უშუალოდ მოჰყვება, და ისეთსაც, რომელიც შეიძლება საუკუნეების შემდეგ მოხდეს. თუ ასეა, სხვა გზა არ არის, თუ კიდევ არ გავიმეორეთ მარტივი ჭეშმარიტება, რომ დრო მხოლოდ სამია: ეხლანდელი, წარსული და მომავალი.

თეორიულად სამზე მეტი დროც არის შესაძლებელი. ამისთვის საჭიროა რომ არსებობდეს განსაკუთრებული ფორმები (ორი ან მეტი) დროის სხვადასხვა ნაკვეთის აღსანიშნავად უბნობის მომენტამდე (წარსულში) ან უბნობის მომენტის შემდეგ (მომავალში); თანაც აუცილებელია, რომ ამ ფორმებს (ორს ან მეტს) ახლდეს ზუსტი გაგება ამა თუ იმ დროის ნაკვეთისა უბნობამდე თუ უბნობის შემდეგ. მაგალითად, ქართულში გვაქვს ასეთი ფორმები: ვწერდი ვწერე, მიწერია, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან როგორც ფორმით, ისე ფუნქციით. მაგრამ ვამბობთ: დ რ ო ი ს თვალსაზრისით ესენი ყველა ერთიაო. მოდი და ხელოვნურად დავამყაროთ მათ შორის დროული განსხვავება: „ვწერდი“ მივაკუთვნოთ მხოლოდ იმ წარსულს, რომელიც დღევანდელ დილას აქეთ გამოვლილ დროს გულისხმობს, „ვწერე“ მივაკუთვნოთ იმ დროს, რომელსაც გაუვლია გუშინ დილიდან დღეს დილამდე, ხოლო „მიწერია“ — იმ დროს, რომელიც დაუსაბამოა, დასასრულად კი გუშინდელი დილა აქვს. ვივარაუდოთ, რომ ასეთი მიკუთვნება საყოველთაოდ არის გატარებული ქართულ ენაში და ყველას ისე ესმის, როგორც ნაჩვენებია. ისიც ვთქვათ, რომ დღეს პირველი იანვარია და სამი სხვადასხვა ფრაზა გავიგონეთ:

ა) ერთმა თქვა: ოთხი საათის განმავლობაში ვ წ ე რ დ ი.
ბ) მეორემ: ოთხი საათის განმავლობაში მეც ვ წ ე რ ე.
გ) მესამემ: ოთხი საათის განმავლობაში მეც მ ი წ ე რ ი ა.

ამ ფრაზების გაგონებისას აი რა სურათი გადაგვეშლება: ზემოთ დათქმული მნიშვნელობის მიხედვით გრამატიკული განსხვავება ამ ფრაზებს შორის კონკრეტულად ასეთ სახეს მიიღებს:

ა) ვინაც თქვა ვ წ ე რ დ ი ო, — მას უწერია დღეს, პირველ იანვარს, დილას აქეთ.

ბ) ვინაც თქვა ვ წ ე რ ე ო, მას უწერია 31 დეკემბრის დილას აქეთ 1 იანვრის დილამდე (გუშინ ან წუხელ).

გ) ვინაც თქვა მ ი წ ე რ ი ა ო, მას უწერია 31 დეკემბრის დილამდე, მაგრამ არ ვიცით დანამდვილებით, თუ რომელ წელს და რა რიცხვში.

ასეთი გაგება რომ გვქონდეს ენაში, მაშინ, ცხადია, დღევანდელი ჩვენი ერთი წარსული სამად დაიშლება და დრო სამის ნაცვლად ხუთი გვექნება. 1 ეხლანდელი, 1 მომავალი და 3 წარსული.

ხუთზე მეტი დრო მაშინ გვექნებოდა, რომ ამგვარადვე შეიძლებოდეს მომავლის დაშლაც, ვთქვათ ასე:

დ) დ ა ვ წ ე რ რომ აღნიშნავდეს მოქმედებას უბნობის შემდეგ ხვალ დილამდე (2 იანვრის დილამდე).

ე) დ ა ვ წ ე რ ო რომ აღნიშნავდეს მოქმედებას ხვალ დილის შემდეგ (2 იანვრის დილიდან მოყოლებული დაუსრულებლად).

თუ დღევანდელი მომავალი ორად დავშალეთ, მაშინ ექვსი დრო გვექნება (3 წარსული, 1 ეხლანდელი და 2 მომავალი); მაგრამ, თუ მეტად დავშლით ან წარსულს, ან მომავალს (ან ორივეს ერთად), გრამატიკული დროის რაოდენობა სათანადოდ გაიზრდება.

მოყვანილი მაგალითები თეორიული მსჯელობის ფარგლებს არ სცილდება. მაგრამ, რომ ასეთი რამ სადმე ენაში მკაფიოდ გამოხატული ფაქტი იყოს და, მაშასადამე, თეორია ყოველდღიური პრაქტიკით იყოს ზურგ-გამაგრებული, მაშინ, რა თქმა უნდა, უფლება გვექნება ვილაპარაკოთ სამზე მეტი დროის შესახებ. მაგრამ, ვინაიდან ამას არსად ადგილი არა აქვს (მე, ყოველ შემთხვევაში, ასეთი ფაქტი არ ვიცი), დროის კატეგორია ისე განვიხილოთ, როგორც საჭიროა, მას სხვა კატეგორიებში ნუ გავრევთ და ამით დროთა რაოდენობას უსაფუძვლოდ ნუ გავზრდით.

245. უდროო ფორმები. დრო ერთი მთავარ ნიშანთაგანია ზმნისა. ის მოეპოვება პირიან ზმნასაც და უპიროსაც (ქართულში მარტო მიმღეობას, ზოგიერთ ენაში სხვა უუღლებელ ფორმებსაც, მაგ., ინფინიტივს, რუსულში დეეპრიჩასტიესაც). საზოგადოდ პირიანი ფორმა დროიანი ფორმაც არის, მაგრამ ზოგჯერ პირიან ფორმას შეიძლება გამოეცალოს დროის შინაარსი. თუ ზმნის ფორმით არ არის გათვალისწინებული მოქმედების მომენტის შეფარდება უბნობის მომენტთან, მაშინ არც გვაქვს დროის გამოხატვა, ანუ — რაც იგივეა — ზმნაში არ არის მოცემული არც ერთი დრო: არც ეხლანდელი, არც წარსული და არც მომავალი. მაგ., თუ მსურს აღვნიშნო, რომ ნადირობა კატეს ხელობაა საზოგადოდ, ვიტყვი: „კატე ნადირობს“, მაგრამ ამ შემთხვევაში გრამატიკულ დროს არც ერთს არ ვგულისხმობ. მაშასადამე, „ნადირობს“ ასეთ ფრაზაში

უდროო ფორმაა. სამაგიეროდ, ვთქვათ, ასეთი ამბავია: აი ამ წუთში ვხედავთ რომ კოტეს ხელში თოფი აქვს მომარჯვებული და მწევრებითურთ კურდღელ მისდევს; თუ ამ დროს ვთქვი: „კოტე ნადირობს“, მაშინ კოტეს მოქმედებას ჩემი უბნობის მომენტს ვუფარდებ და იგივე „ნადირობს“ დროიანი იქნება — ეხლანდელი.

მაშასადამე, ერთი და იგივე ფორმა შეიძლება ერთ შემთხვევაში დროიან იყოს, სხვა შემთხვევაში კი — უდროო.

ზმნა „დადის“ დროიანია, როდესაც ვამბობ: „შეხე, ჩემი შვილი ბაღშ დ ა დ ი ს“, მაგრამ იგივე ფორმა უდროოა, როდესაც ვამბობ: „ჩემი შვილ უკვე სკოლაში დ ა დ ი ს“.

დროის გაგებას არ ვდებთ ზმნებში, როცა მსჯელობა გვაქვს ისეთ საუკუნოვან მოვლენათა შესახებ, როგორიცაა: „მთვარე დედამიწის გარშემო ტრიალებს“, „რიონი შავ ზღვას ერთვის“, „თევზი ცურავს“, „გველი ხოხავს“, „ჩიტ ფრინავს“ და მისთანები.

246. ეხლანდელისა და მომავლის ფორმათა ურთიერთობა. ქართულში წარსულის ფორმები მკაფიოდ გარჩეულია სხვა დროთა ფორმებისაგან მაგრამ ეხლანდელსა და მომავალს შორის მტკიცე ფორმობლივი ზღვარი ყოველთვის არ არის დადებული — ერთმა და იმავე ფორმამ შეიძლება ეხლანდელის გაგებაც მოგვცეს და მომავლისაც; მაგ., „იქს“ ეხლანდელია ამ ფრაზაში „ჰკითხა: რასა ი ქ ს ქალიო?“ («ვეფხ.»), მაგრამ მომავალია ამ ფრაზაში: „ეხლ რომ მაგაებს მეუბნება და მაგაებს ჩადის, მერე რაღასა ი ქ ს, როცა თავისუფლება უფრო ძვლებში გაუჯდება?“ (ჭავ., «გლეხთა გახთ. სცენები»).

ასეთივე პოლისემიური ფორმებია: ჭამს, ბრძანებს, ასწავლის, სცემს, განაგრძობს, უყურებს, იძინებს, შეადგენს, არჩენს, ათამაშებს და სხვ.

კილო

247. კილოს რაობა. კილო არის ფორმა ზმნისა, რომელიც გვიჩვენებს რომ მოუბრის მიერ დასახელებული მოქმედება უნდა იქნეს გაგებული ან როგორც უეჭველი ფაქტი, ან როგორც შესაძლებელ-სავარაუდებელი, ან კიდე როგორც შესასრულებელი. ამის მიხედვით გვაქვს სამი კილო: თხრობითი, კავშირებითი და ბრძანებითი (კილო — modus, наклонение).

> შ ე ნ ი შ ვ ნ ა. მოცემული განსაზღვრა კილოსი გრამატიკის ერთ დარგს ეხება. ენათმეცნიერებაში „კილო“ კუთხურ მეტყველებასაც აღნიშნავს (ხევსურული კილო, აჭარული კილო).

248. თხრობითი კილო. თხრობითია კილო, რომელიც ზმნით აღნიშნულ მოქმედებას ისე წარმოადგენს, რომ ის უნდა იქნეს გაგებული, როგორც ნამდვილი ფაქტი, რომელიც ხდება ერთ-ერთ დროში (ეხლანდელში, წარსულში, მომავალში): ვაშენებ, ვაშენებდი, ავაშენე, ამიშენებია, ავაშენებ.

შესაძლებელია თვით მოუბარს ამ კილოთი აღნიშნული მოქმედება ნამდვილად არ მიაჩნდეს, მაგრამ მსმენელმა ის ისე უნდა გაიგოს, როგორც უეჭველი ფაქტი. მაგ., ქურდობაში დაჭერილი პირის განცხადება: „მე ა რ მ ო მ ი პ ა რ ა ვ ს, მავანმა მ ო ი პ ა რ ა ო“ შეიძლება არ შეეფერებოდეს სიმართლეს

ჰგრამ ეს ისეთი ფორმით არის მოცემული, რომ მას ჰსურს, მისი განცხადება
აკარგული ნივთის შესახებ სხვების მიერ ნამდვილ ფაქტად იქნეს მიღებული.

თხრობითი კილო ყველა კილოზე უფრო მდიდარია მწკრივებით. ზოგიერ-
ი კატეგორიის გამოხატვა (მაგ., უნახაობისა, მრავალგზისობისა) მხოლოდ ამ
ილოიან მწკრივებშია შესაძლებელი.

249. კავშირებითი კილო. კავშირებითია კილო, რომელიც ზმნით აღ-
ნიშნულ მოქმედებას ისე წარმოადგენს, რომ იგი არ არის ფაქტი, მაგრამ შეიძ-
ება ხდებოდეს, მოხდეს, ან მომხდარიყოს. რომ შევადაროთ ერთმანეთს ეს
ორმები: „ვაშენებ“ და „ვაშენო“, დავრწმუნდებით, რომ მათ შორის ის გან-
სხვავებაა, რომ ერთი ფაქტს გადმოგვცემს („სახლს ვაშენებ“), მეორე კი
ისეთ მოქმედებას გვიჩვენებს, რომელიც შესაძლებელია, მაგრამ ფაქტი არ
არის („სახლი მე ვაშენო?“).

კავშირებითი კილოს ფორმა ხშირად დამოკიდებულ წინადადებაში იხმა-
რება. ამ შემთხვევაში ჩვეულებრივია, რომ ის მთავარ წინადადებას „რათა“
ან „რომ“-ის საშუალებით უკავშირდებოდეს:

„ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა“ (ი. ჭავჭ.).

„აღარ მეღირსა, მშვენიერო ჩვენო კახეთო,
რომ გომბორის მთით შენს შვენებას კვლავ გადმოვხედო,
დავეშო დაბლა, შენს წალკოტებს ჩამოვუარო,
და იმათ ჩრდილში განვისვენო და გავიხარო“ (ვ. ორბ.).

კავშირი შეიძლება არ იყოს, მაგრამ იგულისხმებოდეს:

„შენი ზედაშის მადლს ვფიცავ, შენ არ მოგაკლო ბარია,
გაგსხლა, შაგყელო, დაგთოხნო, არც კი ჩნდეს განათხარია,
გაგფურჩქნო, გაგალამაზო, როგორც რომ პატარძალია“
(რ. ერისთ.).

„სწყუროდეს, წყალსა ვინ დაღვრის-კაცი უშმაგო, ცნობილი“ („ვეფხ.“).

დამოუკიდებლად (უკავშიროდ) ხმარებული კავშირებითი შეიძლება ბრძა-
ნებითად იქნეს გამოყენებული: წავიდეს! წავიდეთ!

კავშირებით კილოიან მწკრივში სამივე დრო შეიძლება იქნეს გადმოცე-
მული: ეხლანდელი, წარსული და მომავალი, მაგრამ მწკრივებით ის ისე მდიდა-
რი არ არის, როგორც თხრობითი.

250. ბრძანებითი კილო. ბრძანებითია კილო, რომელიც ზმნით აღნიშნულ
მოქმედებას შესასრულებლად წარმოგვიდგენს; ის გვიჩვენებს, რომ მოუბრის
სურვილი უნდა იქნეს შესრულებული. ყოველდღიურ ცხოვრებაში ეს სურვილი
შეიძლება გამოხატულ იქნეს არა მარტო ბრძანების სახით, არამედ თხოვნისა,
ვედრნა-მუდარისა და წაქეზების სახითაც, მაგრამ გრამატიკაში ყველას ბრძანე-
ბითი ჰქვია, რადგანაც ფორმობლივი განსხვავება მათ შორის არ არის: ააშენე!
ააშენეთ! ააშენოს! ააშენონ!

ბრძანებითში ვარჩევთ წართქმითსა და უკუთქმით ფორმებს: წართქმი-
თია ფორმა, რომელიც ზმნით გამოხატული მოქმედების შესრულებას გულის-
ხმობს: წადი! ააშენე! უკუთქმითია ფორმა, რომელიც ზმნით აღნიშნული

მოქმედების აკრძალვას წარმოადგენს. ამიტომ უკანასკნელს ცალკე, სხვასთან შეუპირისპირებლად, ა კ რ ძ ა ლ ვ ი თ ი ჰქვია. აკრძალვითის ფორმას ყოველთვის ახლავს ნაწილაკი **ნუ** ან **არ**: **ნუ** ააშენებთ! **არ** ააშენოთ!

ბრძანება ყოველთვის სუბიექტური პირისადმია მიმართული. სუბ. პირთან ერთად ფორმაში შეიძლება ობიექტური პირიც იყოს გამოხატული, მაგრამ მოქმედება ობ. პირს შეიძლება იმდენად ეხებოდეს, რამდენადაც სხვა შემთხვევაში — პირდაპირ ან ირიბად: მომკალი! ჩამწეროს! მომიტანეთ! მოგვახსენონ!

როცა სუბიექტური პირი ჩავარდნილია და ფორმაში ობიექტურიღა რჩება, ჩავარდნილი სუბიექტური პირი შეიძლება მაინც გამოხატული იყოს ფორმალურად: გ ე ძ ი ნ ო ს!

251. ბრძანებითი კილო პირველი პირისა. რადგანაც ბრძანებითი კილო მოუბრის სურვილის განხორციელებას გულისხმობს, ხოლო მოუბარი 1-ლი პირია მხ. რიცხვისა, ამიტომ მისი სურვილის შემსრულებელი შეიძლება იყოს მე-2 და მე-3 პირი. მაშასადამე, შეიძლება 1-ლმა პირმა უბრძანოს მე-2 და მე-3 პირს, 1-ლ პირს კი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოუბართან ერთად სხვებიც არიან, ე. ი. როდესაც ფორმა მრ. რიცხვისაა. ამ პირს თავისი საკუთარი მწკრივი არ გააჩნია და ფორმა ნასესხები აქვს კავშირებითისაგან: წავიდეთ! ავაშენოთ!

როგორც აღნიშნულია (§ 206), ბრძანებითის ფორმა, რომელიც შეიცავს მრ. რიცხვის 1-ლ სუბ. პირს, ი ნ კ ლ უ ზ ი უ რ ი ა თავისი შინაარსით (დავხოცოთ! მივსწეროთ! მოვახსენოთ!) და ე ქ ს კ ლ უ ზ ი უ რ ი ა, თუ იგი შეიცავს იმავე 1-ლ ობიექტურ პირს მრავლობითში: ბარემ დაგვხოცეთ! წერილი მოგვწერეთ! მოგვახსენეთ!

252. ბრძანებითი კილო მეორე პირისა. დღევანდელ სალიტერატურო ქართულს აღარ შერჩა ფორმალური საშუალება წართქმითი ბრძანებითის გამოსახატავად მე-2 პირში. ძველად კი წართქმით ბრძანებითს საკუთარი მწკრივი ჰქონდა და მე-2 პირის ფორმის განსხვავება თხრობითი კილოს ამავე პირის ფორმისაგან წყვეტილის მწკრივში მკაფიოდ იყო გატარებული: ბრძანებითს სუბიექტური ნიშანი არ ჰქონდა, თხრობითს კი ჰქონდა. მაგალითები:

ბრძანებითი კ.		თხრობითი კ. (წყვეტილი)	
მო-კალ!	მო-კალთ!	მო-**ჰ**-კალ,	მო-**ჰ**-კალთ
და-მალე!	და-მალეთ!	და-**ჰ**-მალე,	და-**ჰ**-მალეთ
გა-ტეხე!	გა-ტეხეთ!	გა-**ს**-ტეხე,	გა-**ს**-ტეხეთ
და-წერე!	და-წერეთ!	და-**ს**-წერე,	და-**ს**-წერეთ
ჭამე!	ჭამეთ!	**ს**-ჭამე,	**ს**-ჭამეთ

ხანმეტ ძეგლებში ბრძანებითის ფორმები იმგვარადვეა, როგორც აქ არის წარმოდგენილი, თხრობით კილოში კი (წყვეტილის მწკრივში) მოყვანილთ ნაცვლად მხ. რიცხვში ასეთები გვხვდება: მო-**ხ**-კალ, და-**ხ**-მალე, გან-**ხ**-ტეხე, და-**ხ**-წერე, **ხ**-ჭამე (მრ. რიცხვში **თ** ერთოდა).

როგორც აღნიშნულია; დღევანდელ სალიტერატურო ქართულში ასეთი განსხვავება ამ ორ კილოს შორის მხოლოდ **ვედ** ზმნაშია შემონახული: მოდი და მო-**ხ**-ვედი (§ 217).

ცოცხალ კილოთაგან დღეს ზოგი კიდევ არჩევს წართქმ. ბრძანებითს ხრობითისაგან მე-2 პირის ფორმაში. ასეთებია მთის კილოები (ხევსურული, უშური, მოხეური, ფშაური და ნაწილობრივ ქართლური, კახური და ქი-იყური).

მაგალითები ხევსურულიდან: მო-კალი (ბრძ.) და მო-**ხ**-კალი, გა-რეცხე ა **გა-ღ-რეცხე**, და-ბერდი და და-ღ-ბერდი, და-წვი და და-**ხ**-წვი, ჭამე და -ჭამე და მისთ.

რადგანაც დღევანდელ სალიტერატურო ქართულში მე-2 პირის ფორმას ართქმითი ბრძანებითისას დაემთხვა მე-2 პირის ფორმა თხრობითი კილოსი ქვეტილის მწკრივში, რომელიც წარსულ დროს გამოხატავს, ამიტომ ერთად-რთი საშუალება მათი გარჩევისათვის არის დროული გაგება: წარსულის გა-ებით ფორმა იქნება თხრობითი (ააშენე), მომავლის გაგებით კი — ბრძანებითი აშენე!).

253. ბრძანებითი კილო მესამე პირისა. მე-3 პირის წართქმ. ბრძანებითს კუთარი ფორმა ჰქონდა ძვ. ქართულში: წარ-ვედინ (=წავიდეს!). მო-კალნ =მოკლას!), იყავნ (=იყოს!) და სხვ., მაგრამ ეს ფორმა კაი ხანია გადავარდა.

ამჟამად ამ პირისადმი მიმართულ ბრძანებას კავშირებითი მწკრივისაგან ესესხები ფორმით გამოვხატავთ: წაიღოს! უთხრას! ააშენოს! წაიღონ! უთხრან! შენონ! „მოღალატეს რ ი ს ხ ა ვ დ ე ს ლომისა!“ (ყაზ., 278,9).

254. თხოვნითი კილო. მთის კილოებში გვხვდება ფორმა, რომელიც რძანებითია, მაგრამ თხოვნის ელფერი გადაჰკრავს. ასეთი ფორმები შეიძლება თიდან გამოსული მწერლების ნაწარმოებშიც შეგვხვდეს:

„მთავ, შენ ის ჩემი ნათქვამი გულ-მკერდზე დ ა ი წ ე რ ო დ ი!
ბარო, წარბნი და წამწამნი იმ სიტყვით დ ა ი კ ე რ ო დ ი“
(ვაჟა, „დამსეტყვე ცაო“, I, 280 — 281).

ასეთივეა აგრეთვე ეს ფორმებიც: „როცა შეგიყვარდე, მ ი თ ხ რ ო დ ე“ ყაზბ., 141, 34), „დ ა ა რ ი გ ო დ ე ე ბალღი!“ (ყაზბ.); „წ ა მ ო მ ი ღ ო დ ი ხა-აწი“ (ვაჟა).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ერთმა მოხევემ ჩემთან საუბარში იხმარა ფორმა „დაას-ველოდე“. მე შევეკითხე, რა განსხვავებაა „დაასველე“ და „დაასველოდე“ ფორმებს შორის-მეთქი. მან მიპასუხა: „დაასველოდე“-ში „სულ მუდამ“ იგულისხმებაო, ე. ი. გამოდის, რომ, მისი გაგების თანახმად, „დაასვე-ლოდე“ უსრული სახის ფორმაა და ხოლმეობითის გაგებას იძლევა.

255. აკრძალვითი. აკრძალვით, ანუ უკუთქმით ბრძანებით, საკუთარი წკრივი არ გააჩნდა და არც ამჟამად გააჩნია. საყურადღებოა, რომ ის წართქმი-ი ბრძანებითის მწკრივს კი არ სარგებლობს, არამედ სხვა კილოთაგან სესხუ-ობს ფორმებს. ეს კილოებია: თხრობითი და კავშირებითი, მაგრამ ისე, რომ ხრობითთან **ნუ** ნაწილაკია საჭირო, კავშირებითთან — **არ**: ნუ გააკეთებ! არ აკეთო! ნუ წახვალ! არ წახვიდე!

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. იშვიათად **ნუ**-ს ხმარება შეიძლება კავშირებითთა-ნაც შეგვხვდეს:

ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის!

ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა, ნუღა დამეცეს ცრემლი მწუხარის! (ნ. ბარათ.).

პირველი მაგალითი იმ მხრივაც არის საყურადღებო, რომ აქ ბრძანება თავის თავისადმია მიმართული (ე. ი. მხ. რიცხვის 1-ლი პირისადმი: „ნუ დავიმარხო"). ეს იმით აიხსნება, რომ ფორმა ვნებითია და მოქმედება რეალურად სხვებმა უნდა შეასრულონ.

256. დრო ბრძანებით კილოიან ფორმაში. ფორმა, რომელიც კილოს თვალსაზრისით წართქმ. ბრძანებითია, დროის თვალსაზრისით შეიძლება იყოს მხოლოდ მომავალი (აკეთე! გააკეთე!). ეხლანდელი და წარსული წართქმ. ბრძანებითს აკლია, რაც იმით აიხსნება, რომ მოქმედება, რომელიც წარსულს ეკუთვნის, ისეთია, რომ მოუბარს არ შეუძლია გამოიყენოს ვისმე დასაქმებისათვის. რომ ეხლანდელში არ შეიძლება ბრძანების გამოხატვა, ცხადი იქნება ასეთი დაპირისპირებით: „აკეთებ" და „აკეთე": „აკეთებ" ეხლანდელი დროა, „აკეთე" კი — მომავალი. მაშასადამე, წართქმ. ბრძანების ასპარეზია მომავალი. ეხლანდელი დრო მარტო **ნუ**-იან აკრძალვითს აქვს: ნუ აკეთებ!

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. გვხვდება მაგალითები, სადაც ბრძანება წარსულ დროიანი ფორმით არის მოცემული:

„როდესაც ჰხნავდა და ღრმადა მამულს ავლევდა კვალსაო,
„დაჰკარით, მაგრა დაჰკარით, ნუ დააოჩნეთ ხარები!"
დაუყვირებდა მეხრეებს, სიცოცხლე-განამწარები" (ვაჟა, I, 251)

„ხელი ნუ მომტეხე" (ვაჟა, «მოკვეთილი»); „სიტყვა პანზე ნუ ააგდე" (ჭონქ., «სურამის ციხე») და მისთ.. ასეთ ბრძანებითში გამოხატულია საყვედური, რომ გარკვეული მოქმედებაა ჩადენილი.

257. კილოთა ურთიერთობა. სპეციალურ ლიტერატურაში გვხვდებით მტკიცებას, თითქო შეიძლებოდეს დროის გადაქცევა კილოდ ანდა პირუკუ: კილოსი დროდ (ასეთი შეხედულების ნიმუშები ზემოთ არის მოყვანილ, § 243). არა, კილო და დრო სულ სხვადასხვა კატეგორიებია და მათი ერთმანეთში გადასვლა არ ხდება, როგორც არ შეიძლება, მაგალითად, ბრუნვის ფორმა რიცხვის ფორმად გადაიქცეს, ან კიდევ პირის ფორმა — დროის ფორმად. მაგრამ შეიძლება მოხდეს აი რა: მწკრივში შეიძლება დროული გაგება მიიჩქმალოს და კილოური წამოიწიოს, ან კიდევ შეიძლება, რომ მწკრივი, რომელიც უმთავრესად ერთ კილოს ემსახურება, ზოგ შემთხვევაში სხვა კილოს გადმოსაცემად იყოს გამოყენებული. სხვათა შორის, ამას ხშირად ვხედავთ ბრძანებითის დროს: „მოხვალ" თხრობითია მომავლის გაგებით, მაგრამ „ნუ"-ს დამატება მას უკუთქმით ბრძანებითად აქცევს იმავე მომავლის გაგებით. „მოვიდეს" კავშირებითია ამ შემთხვევაში: „არ მსურს, რომ აქ მოვიდეს", მაგრამ ბრძანებითია სხვა შემთხვევაში: „მოვიდეს!" დრო კი იქაც და აქაც ერთი და იგივეა — მომავალი.

257 ა. პირობითი და შედეგობითი. მწკრივის ფორმათა აღნიშნულ თვისებაზეა დამყარებული ორი სხვა კილოს გამოხატვა ქართულში, პ ი რ ო ბ ი თ ი-

ს ა და შ ე დ ე გ ო ბ ი თ ი ს ა. ეს „კილოები“ უერთმანეთოდ არ გვხვდება, არამედ მუდამ ერთად. მაგრამ რთული ქვეწყობილი წინადადების ნაწილებში: ერთი დამოკიდებულში, მეორე მთავარში. ამათ გადმოსაცემად, მაშასადამე, ორი ზმნაა საჭირო, რომელთაგანაც ერთი აღნიშნავს მოქმედებას, როგორც პირობას, მეორე კი — ამ პირობიდან გამომდინარე შედეგს სხვა მოქმედების სახით.

პ ი რ ო ბ ი თ ი ა ზმნის ფორმა, რომელიც რომელსამე მოქმედებას წარმოგვიდგენს როგორც აუცილებელ პირობას მეორე მოქმედების შესასრულებლად. ის გვხვდება დამოკიდებულ წინადადებაში.

შ ე დ ე გ ო ბ ი თ ი ა ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, რომ ზმნით აღნიშნული მოქმედება მოხდებოდა, თუ სათანადო პირობა იქნებოდა შესრულებული. აღნიშნულ ფორმებში დრო წარსულია გამოხატული. საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ ერთი ადგილი ვაჟა-ფშაველას «პატარა მწყემსის ფიქრებიდან»: პატარა მწყემსს ერთგული ძაღლი ჰყავდა, რომელიც პატრონს არავის დააჩაგვრინებდა. ერთხელ ეს მწყემსი საჭიდაოდ გამოიწვია ტიღუნამ. იჭიდნენ. ტიღუნა ხერხით სჯობდა, მწყემსი კი — ღონით. ბოლოს ტიღუნამ წააქცია მწყემსი და ყელში წაუჭირა. „ნახა ჩემმა ყურშამ, რომ ტიღუნა აღარ ხუმრობდა, ეძგერა, წააქცია და, მე რომ არ მ ი ვ შ ვ ე ლ ე ბ ო დ ი, სულ ლუკმა-ლუკმა დ ა გ ლ ე ჯ დ ა“-ო, ამბობს მწყემსი. აქ ორი მოქმედებაა დასახელებული: მ ი შ ვ ე ლ ე ბ ა და დ ა გ ლ ე ჯ ა. პატრონის მიშველება რომ არა, ძაღლი დ ა გ ლ ე ჯ დ ა ტიღუნას, ასე რომ ერთი მოქმედება მიზეზია მეორის შეუსრულებლობისა.

არც პირობითს და არც შედეგობითს საკუთარი მწკრივის ფორმა არ გააჩნია. ამიტომ ისინი არც მწკრივების შექმნაში იღებენ მონაწილეობას დამოუკიდებლად. პირობითისთვის დღევანდელ ქართულში II თურმეობითს ვიყენებთ და შედეგობისთვის — I ხოლმეობითს.

თუ მოქმედება, რომელიც პირობას წარმოადგენს, შესრულებულია, ის ზმნის უ კ უ თ ქ მ ი თ ი ფორმით უნდა იყოს გადმოცემული: „მე რომ არ მივშველებოდი, ძაღლი დაგლეჯდა“ (მაშასადამე, მივეშველე — მოქმედება შესრულებულია).

თუ მოქმედება არ არის შესრულებული, ზმნა წ ა რ თ ქ მ ი თ ი ფორმით უნდა იყოს მოცემული: „მე რომ მივშველებოდი, ძაღლი მაინც დაგლეჯდა“ (მაშასადამე, არ მივეშველე — მოქმედება არ შესრულებულა).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ძველი გრამატიკების მიხედვით პირობითია არა ის ფორმა, რომელიც პირობას შეიცავს, არამედ ის, რომელიც შედეგს წარმოადგენს (ე. ი. მოყვანილ მაგალითში არა „მივშველებოდი“, არამედ „დაგლეჯდა“).

გ ზ ი ს ო ბ ა

258. გზისობის რაობა. გზისობა არის ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენგზის არის მოქმედება ჩადენილი, ერთგზის თუ მრავალგზის, ანუ ერთხელ თუ მრავალჯერ.

ქართულ ზმნას აქვს საშუალება ერთი ფორმით აღინიშნოს არა მარტო მოქმედება, რომელიც ერთხელ მოხდა, არამედ ისეთიც, რომელიც მეორდებოდა, ე. ი. ერთხელის მეტად ხდებოდა. ამის მიხედვით გვაქვს ფორმა ერთგზისი და მრავალგზისი.

ერთგზისია ფორმა, რომელიც ერთხელ მომხდარ მოქმედებას აღნიშნავს, და *მრავალგზისია* ფორმა, რომელიც რამდენჯერმე გამეორებულ მოქმედებას გამოხატავს. მაგალითები: დაჯდა და დაჯდის, მოიტანა და მოიტანის, მოკლა და მოკლის და მისთ.

გზისობის კატეგორია შეიძლება გამოხატულ იქნეს მარტო წარსულში.

შენიშვნა. ამ კატეგორიის სახელად წინათ **ჯერობას** ვხმარობდი.

259. მრავალგზისობა ახალ ქართულში. ერთგზისობისთვის ქართულში გამოყენებულია წყვეტილის ფორმები. რაც შეეხება მრავალგზისობას, მისთვის ძველად საგანგებო მწკრივი იყო, რომელიც დღევანდელ მთის კილოებსა და ქიზიყშია დაცული და აქედან ლიტერატურაშიც არის შემოტანილი; ამის მაგალითია: „ბაგრატ. ზახარიჩის ცოლი ელენე *შევიდის* თითის წვერებზე ოთახში, სადაც ესვენა მისი მეუღლე, *დააცქერდის*, *ამოიოხრის* და უკანვე *გამობრუნდის*“ (ვაჟა, „ბაგრატ ზახარიჩის სიკვდილი“). ზმნები: შევიდის, დააცქერდის, ამოიოხრის და გამობრუნდის — ყველა წარსულში მომხდარ მოქმედებას აღნიშნავს, მაგრამ მათი თავისებურება ის არის, რომ მოქმედებას გამეორებულად გვიჩვენებს, რაც ადვილი გასაგებია ასეთ ფორმებთან დაპირისპირებით: *შევიდა*, *დააცქერდა*, *ამოიოხრა* და *გამობრუნდა*, რომლებიც ერთგზის მოქმედებას გულისხმობენ.

განსაკუთრებით ხშირად ამ ფორმებს ვაჟა-ფშაველა მიმართავს თავის ლექსებსა და პოემებში; მაგ.:

„სთვლობით გულ-გაცოფებულმა ირემმა *დაიღრიალის*,
ან *მოსქდის* ზოვი მთიდამა, *დაიძრის*, *დაიხრიალის*,
ახავლდის შველი დამთხვარი, კოდალამ *დაიკრიალის*,
ჭალას *აძრახდის* ხოხობი, ზარივით *დაიზრიალის*,
ზღაპარს უამბობს ნიავი, ფოთლებმა *დაიშრიალის*“ («ეთერი»).

ასეთივე ფორმაა „გადაბრუნდის“ რ. ერისთავის «ზამთარ» ლექსში:

„*გადაბრუნდის* ჩვენი ციგა, კოტრიელა, კოტრიელა“.

და „შედგის“ ი. ევდოშვილის ერთს პოემაში:

„თქმულება არი: იმ ალაგს უწინა ჰფლობდა გველიო.
ხან კუდზედ *შედგის* ტრიალით, ხანაც თბებოდა მზეზედა“.

ცოცხალ კილოთა უმეტესობამ და სალიტერატურო ქართულმა ეს ფორმები დაკარგა, სამაგიეროდ მათი გამოხატვა უწყვეტელსა და მისგან ნაწარმოებ ხოლმეობითის მწკრივს დააკისრა. მაგალითები: „რაკი კნეინა თვალს *გააჭყეტდა*, შავარდენივით *გადმოფრინდებოდა* ტახტიდამ, *გადიკრავდა* შუბლსაფენს, ზედ *წაიკრავდა* ჩითმერდინს, *გადიცვამდა* ჩითის კაბასა — ხანდისხან სიჩქარისაგან უკუღმაცა — შიშველა ფეხს *შეიმოსავდა* ჩუსტითა და — ჰერი, ბიჭო — *დაეშვებოდა* ჩალურისაკენ“ (ჭავ., «კაც.-ად.»). „მასპინძლის სახლს რომ *დაუახლოვდებოდა*, (ბაანა) ჯერ წყაროზე *ჩავიდოდა*, ხელ-პირს *დაიბანდა*, ტანისამოსს გამოიც-

ელიდა, ახალს *ჩაიცვამდა*, ძველს ისევ ფუთაში *გაახვევდა*, ულვაშებს *გადიკრავდა* და, როცა მასპინძლის ეზოში *შევიდოდა*, ულვაშ(ს)აკრს *მოიხსნიდა* და გამოწკიპინებული ულვაშებით *მიეგებებოდა* სახლის პატრონს“ (გ. წერ., «რუხი მგელი»).

მრავალგზისი ფორმა „ხოლმე“-ს გაგებას შეიცავს. ეს „ხოლმე“ შეიძლება დაერთოს ზმნის ფორმას, მაგრამ რომ არ დაერთოს, იმითაც არა დაშავდება რა. მაგ., „*შევყოფდი ხოლმე* ხელს ჯილეში, ქვებში და, თუ *შევხვდებოდი* თევზს, *დავიჭერდი* და *გამოვიყვანდი*“ (ა. წერ., «ჩემი თავგად.»).

შენიშვნა 1. „ხოლმე“-ს დართვა აუცილებელია, როცა განმეორებული მოქმედება აწმყოს ან მყოფადის ფორმით არის გადმოცემული, რადგანაც აწმყო-მყოფადში საგანგებო ფორმები ამ კატეგორიისათვის არ მოგვეპოვება: ბიძა-ჩემი სანადიროდან ზოგჯერ ხოხობსაც *მოიტანს ხოლმე*.

შენიშვნა 2. თუ მოქმედება მეორდება, ის შეიძლება ჩვეულებად გადიქცეს. ამიტომ მრავალგზისი ფორმები ისეთ მოქმედებასაც გადმოგვცემს, რომლებიც ჩვეულებად არის ქცეული. ამიტომ ასეთ ფორმებს *ჩვეულებითსაც* ეძახიან. ამ შემთხვევაში ამ მწკრივმა შეიძლება სულაც დაკარგოს დროის კატეგორია.

აქტი

260. აქტის რაობა. *აქტი* ანუ *საქმე* არის ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, ნახა მოუბარმა ზმნით გამოხატული მოქმედება, თუ არა.

ქართულ ზმნას აქვს საშუალება, აღნიშნოს არა მარტო ისეთი მოქმედება, რომელსაც მოუბარი დასწრებია და უნახავს, არამედ ისეთიც, რომელსაც ის არ დასწრებია და არ უნახავს. ამის მიხედვით გვაქვს ორი აქტი: ნახული და უნახავი (ანუ დასწრებული და დაუსწრებელი).

ნახულია ზმნის ფორმა, რომელიც მოქმედებას წარმოგვიდგენს როგორც მოუბრის მიერ ნახულს: წავიდა, მოიტანა, თქვა, ააშენა და მისთ.

უნახავია ზმნის ფორმა, რომელიც ისეთ მოქმედებას აღნიშნავს, რომელიც მოუბარს არ უნახავს: წასულა, მოუტანია, უთქვამს, აუშენებია და მისთ.

აქტის ანუ საქმის კატეგორიის გამოხატვა ქართულში წარსულ დროიანი ფორმის საშუალებით არის შესაძლებელი.

261. უნახავ ფორმათა საფუძველი. ნახულის ფორმა გადმოგვცემს პირდაპირ, უშუალოდ მოპოვებულ ცნობას მოქმედების შესახებ, უნახავისა კი ისეთს, რომელიც ისე მომხდარა, რომ მოუბარი იმ დროს იქ არ ყოფილა, ანდა, თუ ყოფილა და დასწრებია, ცნობიერება მაინც არა ჰქონია (ვთქვათ, სძინებია, ძალზე მთვრალი ყოფილა, გაშტერებული ან ფიქრებში წასული ყოფილა და სხვა) და ამის გამო მოქმედება ვერ შეუმჩნევია, ვერ დაუნახავს, მის ცნობიერებამდე ეს მოქმედება არ მისულა. ამიტომ, თუ ნახულის ფორმა საზოგადოდ ცნობიერია, სამაგიეროდ უნახავის ფორმა უცნობელი იქნება.

დაუსწრებელი მოქმედების შესახებ შეიძლება ორგვარად გაიგოს მოუბარმა: სხვისგან გაიგოს ამის შესახებ, ან თვით ნახოს მოქმედების შედეგი და

ამ შედეგის მიხედვით გაითვალისწინოს, თუ რა უნდა მომხდარიყო. უკანასკნელ შემთხვევაში მოქმედების გათვალისწინება წარმოადგენს დასკვნას ორი მდგომარეობის შედარებიდან, რომელთაც მოუბარი იცნობს — ერთს წინანდელს და მეორეს ახალს. ვთქვათ, წუხელ ვხედავდი, რომ თოვდა. თოვლის „მოქმედებას“ მე თვითონ დავესწარ, მე ის ჩემი თვალით ვნახე, ამიტომ დღეს ვამბობ: „წუხელ თოვლი მ ო ვ ი დ ა“. მაგრამ, თუ გუშინ თოვლის ნასახიც არ იყო ეზოში და მოთოვა ღამით, როდესაც მეძინა, დღეს დილას, თოვლის დანახვაზე რომ წამოვიძახო: „თოვლი მ ო ს უ ლ ა“, ამ შემთხვევაში მსმენლის ყურადღებას იმ გარემოებასაც მივაქცევ, რომ თოვლის მოსვლა მე ა რ მ ი ნ ა ხ ა ვ ს. ეს კი იმით შევიტყვე, რომ განსხვავებას ვხედავ გუშინდელსა და დღევანდელ ვითარებას შორის: გუშინ არაფერი იყო ეზოში და დღეს კი ეზო თეთრად არის გადაპენტილი. აი ეს განსხვავება ორ ვითარებას ანუ ორ მდგომარეობას შორის საშუალებას მაძლევს გარკვეული დასკვნა გამოვიტანო თოვლის მოსვლის შესახებ.

ასეთი დასკვნის გამოტანა ყოველ გონიერ ადამიანს შეუძლია. ყოველ გონიერ ადამიანს შეუძლია აგრეთვე აღნიშნოს, რომ მოქმედების შესახებ მას სხვისგან აქვს გაგონილი, მაგრამ ყოველ ენაში არ მოიპოვება საშუალება უნახავი მოქმედება (სხვისგან შეტყობილი, თუ თავის გონების დასკვნით მიღებული) ერთი ზმნის ფორმით იქნეს გადმოცემული, როგორც ეს ქართულშია. აბა ცადეთ და რუსულად თარგმნეთ ეს ორი წინადადება: „ეს რა ჩიტი მოფრენილა?“ და „ეს რა ჩიტი მოფრინდა?“

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. ნახული აქტის ფორმებით ისეთი ამბებიც გადმოიცემა ხოლმე, რომლებიც არ გვინახავს და არც შეგვეძლო გვენახა, მაგრამ ეს არ გვიშლის, რომ უნახავის საპირისპირო კატეგორიას ასეთი სახელი ვუწოდოთ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. უნახავი აქტის ფორმები მოიპოვება მეგრულ-სვანურშიც და კავკასიის სხვა ენებშიც, აგრეთვე თურქულ ენებშიც. ამიტომ სიმართლეს არ შეეფერება ვ. გ ო რ დ ლ ე ვ ს კ ი ს მტკიცება, ითქო ასეთი ფორმა მხოლოდ თურქულ ენებში გვხვდებოდეს და ამიტომ შეიძლებოდეს მას „თურქული ზმნის ფორმა“ ეწოდოს (В. А. Г о р д л е в с к и й, Грамм. турецкого языка, М., 1928, стр. 95).

თ ა ნ ა მ დ ე ვ რ ო ბ ა

262. თანამდევრობის რაობა. თანამდევრობის სახელით აღვნიშნავთ ზმნის ფორმას, რომელიც გვაგებინებს, თუ როგორია დროული მიმართება ორი მოქმედებისა წარსულსა ან მომავალში. ორი მოქმედების შეფარდებისას შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ორივე ერთ დროს მიმდინარეობს და გვაქვს ე რ თ დ რ ო უ ლ ო ბ ა ორი მოქმედებისა. მაგრამ თუ განსხვავებაა დროში, მათ შორის ისეთი ურთიერთობა იქნება, რომ ერთი უნდა უსწრებდეს, მეორე მოსდევდეს. როგორც სწრება, ისე მოდევნა ხდება მხოლოდ ორ გრამატიკულ დროში, წარსულსა და მომავალში, მაგრამ ერთდროულობა ჩვეულებრივ მხოლოდ წარსულშია გამოხატული.

თანამდევრობა ახლო დგას დროის კატეგორიასთან, მაგრამ იმით განსხვავ-

დება მისგან, რომ გრამატიკული დროის გაგება გამომდინარეობს უბნობის მომენტისა და მოქმედების მომენტის შეფარდებისაგან. თანამდევრობა კი — ორი მოქმედების ერთმანეთთან შეფარდებისაგან. დროის დასადგენად ერთი მოქმედებაა საჭირო, თანამდევრობისათვის კი — ორი, რომელთაგანაც ერთი შეიძლება იგულისხმებოდეს.

ამგვარად, დრო ერთი კატეგორიაა და თანამდევრობა — სხვა. წამძღვარებული მოქმედებაცა და მომდევნოც ენაში საზოგადოდ შეიძლება ორივე წარსულში იყოს ან ორივე მომავალში, ქართულში კი მხოლოდ წარსულშია შესაძლებელი. თანამდევრობა ერთად-ერთი კატეგორიაა, რომელიც ზმნის უპირო ფორმათაგან მიმღეობას მოეპოვება (§ 583).

თანამდევრობის ფორმები ქართულში სამგვარია: ერთდროულობა, უწინარესობა და შემდგომობა.

263. ერთდროულობა. ე რ თ დ რ ო უ ლ ი ა ზმნის ფორმა, რომელიც გვაგებინებს, რომ ერთი მოქმედება სხვა დასახელებულ (ან ნაგულისხმევ) მოქმედებასთან ერთად ხდებოდა. ერთდროულობა შეიძლება გამოხატულ იქნეს წარსულში. მაგალითი: „შინ რომ დავბრუნდი, თ ო ვ დ ა“. „თოვდა“ ფორმით გამოხატული დრო ემთხვევა შინ დაბრუნების დროს. სხვა მაგალითი: „ამხანაგი რომ შემოვიდა, მე ვწერდი“, — ამხანაგის შემოსვლა და ჩემი წერა ერთსა და იმავე დროს ხდებოდა. არ შეიძლება ითქვას: ამხანაგი რომ შემოვიდა, მე ვწერე, ან ასე: ამხანაგი რომ შემოვიდა, მე მიწერია, ან კიდევ: ამხანაგი რომ შემოვიდა, მე მეწერა, არამედ მხოლოდ ასე: „ამხანაგი რომ შემოვიდა, მე ვწერდი“. აქ „ვწერდი“ ფორმით ნაჩვენებია, რომ ამხანაგის შემოსვლის მომენტში მე წერაში ვიყავ გართული.

ერთდროულობის გამოსახატავად განსაკუთრებული მწკრივი არ მოიპოვება, მისთვის უწყვეტლის მწკრივია განკუთვნილი: ამხანაგი რომ შემოვიდა, ვ თ ა მ ა შ ო ბ დ ი, ვ ჭ რ ი დ ი, ვ თ ლ ი დ ი და სხვ.

264. უწინარესობა და შემდგომობა. თუ თანამდევრობით გათვალისწინებულია, რომ ორ მოქმედებათაგან ერთი უძღოდა, მეორე მოსდევდა, ერთი იქნება უწინარესი, მეორე — შემდგომი (ანუ მომდევნო). შეიძლება, რომ განსხვავება მათ შორის იმგვარად იყოს დამყარებული, რომ უწინარესისთვისაც და შემდგომისთვისაც სხვადასხვა მწკრივი იყოს შემუშავებული ენაში, მაგრამ ისიც შეიძლება, რომ საკუთარი ფორმა მხოლოდ ერთ მათგანს მოეპოვებოდეს.

ქართულში მხოლოდ წარსულის ხაზით შეგვიძლია დავამყაროთ განსხვავება ორ მოქმედებას შორის, რომელთაგანაც ერთი უსწრებდა, მეორე კი მოსდევდა. ასეთია, მაგ., შემდეგი ადგილი ყაზბეგის «ციკოდან»: „მონადირე გადაწვა კლდეზე და ისე **დაინახა** ჯიხვი, რომელსაც ვარჯიში მ ო ს წ ყ ე ნ ო დ ა, გ ა ს უ ლ ი ყ ო კლდის ნაპირად, ა მ ო ე დ ო სამი ფეხი ქვეშ, მეოთხე კი პირდაპირ გ ა ე შ ვ ი რ ა და ისე დ ა წ ო ლ ი ლ ი ყ ო“.

პირველ ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ ჯიხვის მოქმედება გადმოცემულია უნახავი აქტის ფორმებით: მონადირეს ჯიხვის მოქმედება ა რ უ ნ ა ხ ა ვ ს, ყველაფერი ეს მან გაითვალისწინა იმის საშუალებით, რომ ჯიხვი ერთ მდგომარეობაში დატოვა, როცა მიპარვა დაუწყო მოსაკლავად, და შემდეგ. როცა წამოუარა და კლდეზე გადაწვა, სხვა სურათი გადაეშალა თვალწინ. ამ

სურათის მიხედვით მან აღადგინა თავის გონებაში ყველაფერი, რაც ჯიხვს უნდა ექნა ამ ორ მომენტს შორის: ვარჯიშის მოწყენა, კლდის ნაპირად გასვლა, სამი ფეხის ქვეშ ამოდება, მეოთხის პირდაპირ გაშვერა და ისე დაწოლა. მაგრამ ჩვენთვის ამჟამად ის არის საყურადღებო, რომ ყველა მოქმედება ჯიხვისა ისეთი ფორმებით არის გადმოცემული, რომლებიც ამჟღავნებს, რომ ისინი მიუძღოდნენ მონადირის მოქმედებას, რომელიც აქ „დაინახა“ ზმნით არის გადმოცემული; მონადირემ **დაინახა** ჯიხვი, რომელსაც ვარჯიში მოსწყენოდა, კლდის ნაპირად გასულიყო და სხვა. მოყვანილ ფორმებში უწინარესია ჯიხვის მოქმედების გამომხატველი ზმნის ფორმები (მოსწყენოდა და სხვა). შემდგომია (მომდევნოა) მონადირის მოქმედების აღმნიშვნელი (დაინახა).

უწინარესობა დამოკიდებულ წინადადებაში იხმარება და II თურმეობითის საშუალებით გადმოიცემა ქართულში, შემდგომობა კი — წყვეტილით. თუ დამოკიდ. წინადადება დამატებითია, ან ქვემდებარული, შემდგომობის აღსანიშნავად მთავარში სულ რამდენიმე ზმნა შეიძლება იყოს გამოყენებული: ვნახე, შევნიშნე, დავინახე, დავრწმუნდი, აღმოჩნდა, გამოირკვა და მისთანანი. ოღონდ ესენიც ხშირად არ ითქმის, მაგრამ ერთ-ერთი მათგანი აუცილებლად იგულისხმება. როდესაც დამოკიდებული წინადადება განსაზღვრებითია, მთავარი წინადადების ზმნა შეიძლება ბევრი სხვადასხვა იყოს: „დავიჭირე კაკაბი, რომელიც როგორღაც ქორს დასხლტომოდა კლანჭებიდან“.

265. მომავალი წარსულში და წარსული მომავალში. ფრანგი ენათმეცნიერი ვანდრიესი ერთ თავის წიგნში ამბობს: „ფრანგულში მოგვეპოვება სხვადასხვა დროების გამმა არა მარტო სამი დაყოფის შესაბამისად, წარსულისა, აწმყოსა და მომავლისა, არამედ აგრეთვე დროთა რელატიურ განსხვავებათა შესაბამისადაც: ჩვენ მოგვეპოვება საშუალება გამოვხატოთ მომავალი წარსულში და წარსული მომავალში. ცოტას იპოვის კაცი ენას ისე მდიდარს ამ მხრივ, როგორც ფრანგულია“-ო. (J. Vendryès, Le langage, Paris, 1921, p. 116). განა შეიძლება ვილაპარაკოთ მომავალზე წარსულში, ან წარსულზე მომავალში? მაშინ რაღაა მომავალი? რაღაა წარსული? მაშ, როგორ უნდა დაისვას საკითხი: მომავალი წარსულში თუ შემდგომი წარსულში? წარსული მომავალში, თუ უწინარესი მომავალში? ეს კითხვები მოითხოვს მკაფიოსა და გარკვეულ პასუხს. რამდენადაც გრამატიკული დროის კვალიფიკაციის დროს მუდმივ ერთი და იგივე თვალსაზრისი უნდა გვქონდეს, არ ქნილა და არ შეიძლება იქნეს, რომ წარსულში მომავალი გამოიხატოს და მომავალში — წარსული.

თუ იმ თვალსაზრისზე დავდგებით, რომ დროთა გაგება მუდამ ერთი და იგივე უნდა იყოს, მტკიცედ გვეცოდინება, რომ „წარსული“ და „მომავალი“ გრამატიკაში დროა ორივე, მაგრამ ისინი ერთმანეთის საპირისპირო ცნებებია და ერთი გამორიცხავს მეორეს. ეს, ალბათ, ვანდრიესსაც კარგად მოეხსენებოდა. თუ აგრეა, მაშ რისგანღა წარმოდგება დროთა მთელი გამმა ფრანგულში? — იმისგან, რომ ავტორი შეცდომაში შეუყვანია ორი სხვადასხვა კატეგორიის აღრევას. დააცილეთ ერთმანეთს დრო და თანამდევრობა და მაშინ „მომავალი წარსულში“ ისევ წარსული იქნება (და არა მომავალი) და „წარსული მომავალში“ მაინც მომავალი გამოვა (და არა წარსული). მაშასადამე, დროისა და თანამდევრობის გაშიჯვნით გამმაც დაიკარგება (და დაიკარგება არა მარტო

ფრანგულში, არამედ სხვა ენებშიც) და აღარც საჭირო იქნება საუბარი დროთა მთავარ დაყოფასა და დაქვემდებარებულ დაყოფაზე, როგორც ამას დანიელი ენათმეცნიერის ნაშრომში ვხედავთ (O. Jespersen, The Philosophy of Grammar, Lond., 1935, pp. 257, 262).

მ წ კ რ ი ვ ი

266. ულლებად ფორმათა ჯგუფები. ზმნის ულლებად ფორმათა მთელი მარაგიდან ჩვენს წარმოდგენაში გამოიყოფა ჯგუფები, რომლებიც გარკვეული ნიშნების მიხედვით აერთიანებენ შიგ შემავალ ფორმებს. მაგ., რაღაც საერთოა ამ ფორმებში: ვაქებ, აქებ, აქებს, ვაქებთ და შემდგომი, რომლებიც ერთ ჯგუფს ქმნიან და ამ ჯგუფთან გარკვეული წარმოდგენა გვაქვს დაკავშირებული; ერთი ჯგუფის ფორმებია აგრეთვე შემდეგიც: ვაქებდი, აქებდი, აქებდა, ვაქებდით და შემდგომი; სხვა ჯგუფია შემდეგი: ვაქებდე, აქებდე, აქებდეს, ვაქებდეთ და შემდგომი; კიდევ სხვაა შემდეგი: ვაქე, აქე, აქო, ვაქეთ და სხვ.

საზოგადოდ ირკვევა, რომ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ზმნას შეიძლება ჰქონდეს 11 ასეთი ჯგუფი, რომლებიც შედგება უმეტესად ექვს-ექვსი ან თვრამეტ-თვრამეტი ერთეულისაგან. ექვს-ექვსი ფორმა აქვს აბსოლუტურ ზმნას (ერთ-პირიან ზმნას), თვრამეტ-თვრამეტი კი — რელატიურს (ორ- და სამ-პირიანს). ეს ექვს-ექვსი ან თვრამეტ-თვრამეტი ფორმა განსხვავებულია ერთმანეთთან შეპირისპირებისას, მაგრამ ყველა ისინი ერთი და იგივეა სხვა ჯგუფის ფორმებთან შეპირისპირებისას. რა განასხვავებს ერთი ჯგუფის ფორმებს ურთიერთ შორის? ქართულში ეს არის პირი და რიცხვი, სხვა ენებში ზოგჯერ აგრეთვე სხვა კატეგორიებიც: სქესი ან კლასი. რა აერთიანებს მათ სხვა ჯგუფის ფორმებთან შეპირისპირებით? — ქართულში მაერთიანებელია დრო და კილო, ზოგჯერ აგრეთვე სხვა კატეგორიებიც: გზისობა, აქტი, თანამდევრობა.

267. ჯგუფების საერთო სახელი. აღნიშნულ ჯგუფებს საერთო სახელი არა აქვთ, მაგრამ თვითეულ მათგანს სახელს არქმევენ ერთის ან ორი მაერთიანებელი კატეგორიის მიხედვით, როგორიცაა დრო, კილო და სხვა (მაგ., აწმყო, მყოფადი, ბრძანებითი, წარსულის კავშირებითი და სხვ.), ან კიდევ მათ რაიმე ნიშნის მიხედვით ასახელებენ: პერფექტი, იმპერფექტი, აორისტი, ჩვეულებითი და სხვა.

ყოველთვის, როდესაც უხდებათ საუბარი აღნიშნულ ჯგუფებზე, როგორც გრამატიკულ ოდენობაზე, გარკვეული ტერმინის უქონლობის გამო, ხმარობენ ერთ-ერთი დომინანტი ნიშნის მიხედვით დარქმეულ სახელს, როგორიცაა „დრო“, „კილო“, ან მათი შეერთება „დრო-კილო“, ან კიდევ ამბობენ „ფორმა“-ო, რომელიც არსებითად არაფრის მთქმელია. აღნიშნულ ჯგუფთა გაიგივება „დროსთან“ ან „კილოსთან“ სრულიად მცდარია, ამიტომ მე ჩემ თავს ნება მივეც, მათთვის საერთო სახელად მ წ კ რ ი ვ ი მეწოდებინა.

268. მწკრივის ელემენტები. მწკრივის შედგენილობა ყოველთვის ერთი და იგივე არ არის. აქ ვარჩევთ ორგვარ შემთხვევას. თვითეული მწკრივის შიგნით იცვლება პირი და რიცხვი, ზოგ ენაში სქესიც (მაგ., არაბულში) ან კლასიც; უცვლელია: დრო, კილო, გზისობა, აქტი, თანამდევრობა. მწკრივები

ერთმანეთს შორის განსხვავდებიან სწორედ უცვალებელი ელემენტების მიხედვით, დრო უმეტესად ყველაშია, მაგრამ სხვადასხვა სახისა: ეხლანდელი, წარსული ან მომავალი, კილოც ყველაშია, მაგრამ ესეც სხვადასხვა სახისა: თხრობითი, კავშირებითი, ბრძანებითი. გზისობა, აქტი და თანამდევრობა ზოგ მწკრივში მოიპოვება, ზოგში კი — არა, მაგრამ თუ არის, ის ყველა ცვალებად წევრში გასდევს (პირში, რიცხვში).

ე ლ ე მ ე ნ ტ ე ბ ი დაერქვა მწკრივის ფარგლებში უცვალებელ კატეგორიებს, რომლებიც მის ხერხემალს წარმოადგენენ. ქართული მწკრივის ელემენტებია: დრო, კილო, გზისობა, აქტი, თანამდევრობა. სხვა ენაში შეიძლება სხვა ელემენტებიც იყოს, მაგალითად, „განგრძობილობა“, რომელიც შედის ინგლისურის ე. წ. continuous tense-ებში და მეტად ზრდის მწკრივთა რაოდენობას ამ ენაში.

269. მწკრივი, როგორც კატეგორია. განხილული კატეგორიები (პირი, რიცხვი, დრო, კილო, ჯერობა, აქტი, თანამდევრობა) ყველა მარტივია, მაგრამ ცალკე არც ერთი მათგანი არ გვხვდება, არამედ სხვებთან ერთად. თუ განსაკუთრებულ შემთხვევებს არ მივიღებთ მხედველობაში, ოთხი კატეგორია თითქმის ყოველთვის ერთად არის წარმოდგენილი ზმნის ფორმაში: პირი, რიცხვი, დრო და კილო (ზოგ ენაში ამათ სქესი ან კლასი ემატება), სხვები კი (გზისობა, აქტი, თანამდევრობა) შეიძლება ფორმაში ერიოს, შეიძლება არა. მაგ., „წავიდეს“—ამაში პირიც არის (მე-3), რიცხვიც (მხ.), დროც (მომ.), კილოც (ბრძ.), მაგრამ აკლია სხვა კატეგორიები. „წავიდის“ — ამაში ოთხივე აღნიშნული კატეგორია მოიპოვება, ოღონდ შეცვლილია დრო (წარს.), მაგრამ ამასთანავე ერთად ემატება გზისობა (მრავალგზ.). „წასულა“—ამაში აღნიშნულ კატეგორიათაგან არ არის გზისობა, სამაგიეროდ მოიპოვება აქტი (უნახ.). „წასულიყო“ — ამაში ყველაა, გარდა გზისობისა. ამგვარად, ფორმათა სხვადასხვაობა იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორია შედგენილობა მწკრივისა, რომელიც რთული კატეგორიაა: ის აერთიანებს რამდენიმე ელემენტს, ორს ან მეტს.

არის თუ არა მწკრივი გრამატიკული კატეგორია? რომ სწორი პასუხი გავსცეთ ამ კითხვას, უნდა მოვიგონოთ, რომ ყოველგვარი გრამატიკული კატეგორია ყალიბდება საპირისპირო ფორმათა არსებობის ნიადაგზე (§ 40). თუ ამ თვალსაზრისით შევხედავთ მწკრივებს, დავრწმუნდებით, რომ ერთი რომელიმე ჯგუფი, რომელსაც საერთოდ მწკრივი ეწოდა, ისეთ მიმართებაშია დანარჩენებთან, როგორც სხვა რომელიმე — ყველა დანარჩენთან. ისინი ერთგვარ მოვლენას ასახავენ ენაში, ერთმანეთს თანაბრად შეეზომებიან, თითქმის ყველას ერთი და იგივე რაოდენობა აქვთ ფორმებისა[1], თვითეულ მათგანთან გარკვეული ცნებაა დაკავშირებული და ყველა ერთად წარმოდგენას გვაძლევს, რომ ისინი შეადგენენ საპირისპირო სახეებს ზოგადი კატეგორიისას.

როგორც რეალურია ყოველდღიურ ცხოვრებაში წყალი, კირი, ან ტალი (კაჟი), რომელთა ქიმიური შედგენილობა (H_2O—წყალი, CaO — კირი, SiO_2— ტალი), სპეციალისტის გარდა, არავინ იცის, ისევე რეალურია ენაში მწკრივი. ზოგიერთი ელემენტი მწკრივისა (გზისობა, აქტი, თანამდევრობა) აქამომდე

---

[1] ბრძანებითის მწკრივში ფორმათა რაოდენობა ნაკლებია, ვიდრე თხრობითისაში.

ამოუყოფელი იყო ქართულში, მაგრამ მწკრივი იმდენად თვალსაჩინო მოვლე-
აა, რომ დიდი ხანია, რაც შემჩნეულია თითქმის ყველა საპირისპირო ფორმა
ა უბრალო პრაქტიკულ სახელმძღვანელოებშიც არის შეტანილი. ყველა ეს
აბუთია იმისა, რომ მწკრივი გრამატიკულ კატეგორიად იქნეს მიჩნეული.
ოღონდ სხვა კატეგორიები მარტივია, დაუშლელი, მწკრივი კი რთულია და
ეიცავს რამდენიმე კატეგორიას, ელემენტებად წოდებულს, ქართულში უმთავ-
ესად დროსა და კილოს.

270. მწკრივთა კერძო სახელების დარქმევის პრინციპისათვის. ცნო-
ილი ამბავია, რომ ტრადიციულად შემუშავებული გრამატიკული ნომენ-
ლატურა ხშირად არ შეეფერება საქმის ნამდვილ ვითარებას და ზოგჯერ
სეთია, რომ პირდაპირ ხელს გვიშლის მოვლენის შესწავლისა და სწორად
ეფასების საქმეში. მაგრამ არსად ტრადიციული ტერმინები ისე ხელის შემ-
ლელი არ ყოფილა, როგორც ზმნათა უღლების დარგში. ტრადიციის უგუ-
ებელყოფა რომ შესაძლებელი იყოს, სულ შესაცვლელია მთელი კომპლექტი
წკრივთა სახელებისა. იდეალური იქნებოდა, რომ მწკრივთა სახელების დარქმე-
ის დროს მხედველობაში არ ყოფილიყო მიღებული მათი შემადგენელი
ლემენტები, როგორიცაა დრო, კილო, გზისობა, და სხვა, არამედ მონახული-
ო სრულიად ნეიტრალური სახელები, — თუნდაც ხელოვნური, — რომლებიც
იეკუთვნებოდა ამა თუ იმ მწკრივს; ვთქვათ, სახელები დარქმეოდათ მათ
ეების სახელების მიხედვით: არყისა, ფიჭვისა, ნაძვისა, სოჭისა, წიფლისა,
ცხილისა, წაბლისა, მუხისა და სხვა, რაც არსებითად ერთგვარი რეფორმა
იქნებოდა. მაგრამ რადგანაც ამის შესაძლებლობა ამჟამად არ არის, ისეთი
ხერხი მაინც უნდა იქნეს მოძებნილი, რომ მოვლენის არსებითი მხარე არ
დაიჩრდილოს.

მწკრივების სახელთა დარქმევის დროს შეიძლება შემდეგი პრინციპით
ვიხელმძღვანელოთ: როდესაც მწკრივში ელემენტთაგან მარტო დრო და კილო
არის, თხრობით კილოიან მწკრივებს დროის მიხედვით დავარქვათ სახელი,
სხვა კილოიან მწკრივებს კი — კილოთა მიხედვით. როდესაც მწკრივში დროსა
და კილოს სხვა ელემენტიც ემატება, მაშინ სახელის არჩევის დროს მთავარი
ყურადღება ამ დამატებულ ელემენტს მიექცეს. თუ სადმე ნეიტრალური სა-
ხელი მოიძებნება, ტრადიციულად შემუშავებული, ის თავის ალაგას იქნეს გა-
მოყენებული. ამ შემთხვევაშიც მწკრივის ცნება არ უნდა ავრიოთ დროის ან
კილოს ცნებასთან (§ 285).

271. სერიები. ფორმათა წარმოების თვალსაზრისით და აგრეთვე სინტა-
ქსურ თავისებურებათა თვალსაზრისითაც, ქართულში არსებული მწკრივები
სამ ჯგუფად იყოფა, რომელთაც *სერიებს* ვეძახით. გვაქვს პირველი სერია,
მეორე და მესამე.

პირველი სერია ახალ ქართულში თავის მხრით ორ ქვე-ჯგუფად იყოფა,
რომელთაც *წრეებს* ვეძახით. გვაქვს *აწმყოს წრე* და *მყოფადის*
წრე.

სერიების მიხედვით მწკრივები ასეა განაწილებული: I-შია 6 მწკრივი (3 აწმყოს წრეში, 3-ც მყოფადისაში), II შეიცავს 2 მწკრივს, III—სამს.

წრეებად დაყოფა I სერიას მხოლოდ ახალ ქართულში ახასიათებს. ძველმა ქართულმა (V—X სს.) ის სრულებით არ იცის. სამაგიეროდ ძველ ქართულს I სერიაში მოეპოვებოდა 6 მწკრივი. წრეების წარმოქმნის საფუძველია ასპექტის გამოხატვის სისტემის შეცვლა (§§ 333—336).

პირველი სერიის მწკრივები

აწმყოს წრისა

272. აწმყო. შედგება ორი ელემენტისაგან: დროისა და კილოსაგან. დრო უმეტესად ეხლანდელია (ვსწავლობ, ვცხოვრობ, ვწერ, ვაშენებ), მაგრამ შეიძლება მომავლის გაგებაც ჰქონდეს (ვწერ, ვაშენებ, ვასწავლი).

მწკრივმა დროული გაგება შეიძლება სრულიად დაკარგოს და მარტო კილო **დაგვრჩეს.** ეს ხდება მაშინ, როცა მუდმივ ბუნებრივ მოვლენათა შესახებ ვლაპარაკობთ და ზოგ სხვა შემთხვევაშიც (§ 245).

სახელი ძველია დატოვებული, მაგრამ გამოყენებულია მწკრივის აღსანიშნავად და არა დროისა: ეხლანდელის (პრეზენსის) გაგებას გადმოგვცემს თუ არა, ის მაინც აწმყოა და არა სხვა. მაგალითად. „ვჭამ", როგორც მწკრივი, ყოველთვის აწმყოა, მაგრამ დრო ერთ შემთხვევაში შეიძლება ეხლანდელი იყოს, სხვა შემთხვევაში — მომავალი, სხვა შემთხვევაში კიდევ სულ დაცლილი იყოს დროის გაგებისაგან. ამისი მაგალითია:

ა) ხომ ჰხედავ, რომ ვ ჭ ა მ? (დრო ეხლანდელია);

ბ) მომიტანე საჭმელი და ვ ჭ ა მ (დრო მომავალია);

გ) როცა საჭმელი მაქვს, ვ ჭ ა მ (დროული გაგება არა აქვს).

საინტერესოა, რომ შევადაროთ ქართული ენა ამ მხრივ სხვა ენებს. მაგ., რომ ვთარგმნოთ სამივე წინადადება რუსულად და ინგლისურად, ვნახავთ, რომ ერთი ქართული ფორმის ნაცვლად რ უ ს უ ლ ა დ ო რ ი იქნება, ი ნ გ ლ ი- ს უ რ ა დ კ ი — ს ა მ ი.

a) ხომ ჰხედავ, რომ ვჭამ? **Ты же видишь, что я ем.** Can't You see that *I* **am** *eating*?

b) მომიტანე საჭმელი და ვ ჭ ა მ. **Принеси мне пищу и б у д у е с т ь.** Bring me some food and *I shall eat*.

c) როცა საჭმელი მაქვს, ვჭამ. **Когда у меня есть пища, я ем.** When I have food *I eat*.

ამგვარად, ის დროული განსხვავება, რომელიც, ქართულში მხოლოდ წინადადებაში შემავალი სიტყვების საშუალებით არის დამყარებული, ინგლისურმა თარგმანმა სამსავე შემთხვევაში ფორმობლივაც გამოამჟღავნა, რუსულმა კი ეს მხოლოდ ნაწილობრივ შეძლო. სხვათა შორის, აქ არის მაგალითი იმ „ორი აწმყოსი" რომელიც თითქოს ინგლისურში მოიპოვებოდეს (შდრ. § 243).

ეს მაგალითი ნათლად ამტკიცებს, რომ მწკრივი სხვაა და დრო კიდევ—სხვა.

273. უწყვეტელი. ჩვეულებრივ შედგება 2 ელემენტისაგან: დრო წარსულია, კილო — თხრობითი. ზოგჯერ ის თანამდევრობასაც შეიცავს, — სახელდობრ, ერთდროულობას წარსულში, — ზოგჯერ აგრეთვე უსრული ასპექტის

გადმოცემა ეკისრება წარსულში სრულ-ასპექტიანი წყვეტილის საპირისპიროდ. მაგალითები: ვსწავლობდი, ვცხოვრობდი; ვწერდი, ვაშენებდი.

როგორი მნიშვნელობაც უნდა ახლდეს ზმნის ფორმას ამა თუ იმ წინადადებაში, თუ ის „ვწერდი-ს" მწკრივისა არის, მაინც უწყვეტელი იქნება.

274. აწმყოს კავშირებითი. შედგება ორი ელემენტისაგან: დროისა და კილოსაგან. დრო ეხლანდელია ან მომავალი, კილო — კავშირებითი. ვამბობთ: „აწმყოს კავშირებითიო", რომ გავარჩიოთ მყოფადის კავშირებითისაგან. მაგალითები: ვსწავლობდე, ვცხოვრობდე, ვწერდე, ვაშენებდე.

რადგანაც ეს კავშირებითი I სერიაში შედის, ამიტომ ხშირად მას I კავშირებითს ეძახიან. მაგრამ I სერიაში შედის აგრეთვე მყოფადის კავშირებითიც.

მ ყ ო ფ ა დ ი ს წ რ ი ს ა

275. მყოფადი. დრო უმეტესად მომავალია, კილო — თხრობითი (ორ-ელემენტიანი მწკრივი). ყოველგვარ ზმნას ის არ მოეპოვება: უსრულ-ასპექტიან ზმნებს არ აქვთ არც მყოფადი, არც სხვა მწკრივები მისი წრისა. აწმყოს წრის მაგალითებად დასახელებულ ზმნათაგან ამ წრის ფორმები მხოლოდ ორს მოეპოვება; ესენია: ვისწავლი, ვიცხოვრებ. სრულ-ასპექტიან ზმნათა მაგალითებია: დავწერ, ავაშენებ.

276. პირველი ხოლმეობითი. შედგება სამი ელემენტისაგან: დრო წარსულია, კილო — თხრობითი, გზისობა — მრავალგზისი. სახელი უკანასკნელი კატეგორიისაგან არის მიღებული: ვამბობთ „პირველიო", რადგანაც I სერიაში შედის. მაგალითები: ვისწავლიდი, ვიცხოვრებდი, დავწერდი, ავაშენებდი. მრავალგზისობა ამ მწკრივს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, თუ კილო თხრობითია და ნახმარია ამბავში, რომელიც რამდენსამე მოქმედებას შეიცავს: დილით გ ა ვ ი ღ ვ ი ძ ე ბ დ ი თუ არა, ა ვ დ გ ე ბ ო დ ი, პირს დ ა ვ ი ბ ა ნ დ ი, საჩქაროდ ჩ ა ვ ი ც ვ ა მ დ ი, ჯერ ჩაის დ ა ვ ლ ე ვ დ ი, შემდეგ მაგიდას მ ი ვ უ ჯ დ ე ბ ო დ ი და წერას გ ა ნ ვ ა გ რ ძ ო ბ დ ი.

შეიძლება თხრობითი კილოს ნაცვლად ამავე მწკრივმა შედეგობითი გადმოგვცეს (§ 257ა): ეგ რომ მცოდნოდა, ადრე გ ა ვ ი ღ ვ ი ძ ე ბ დ ი, აქამომდე ა ვ დ გ ე ბ ო დ ი და პირსაც დ ა ვ ი ბ ა ნ დ ი. ამ შემთხვევაში ფორმაში გზისობა არ არის. მწკრივის სახელი მაინც I ხოლმეობითია.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. უკვე ა. ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე ს აქვს შენიშნული, რომ ამ მწკრივს შეუძლია განმეორებული მოქმედება აღნიშნოს, ოღონდ ის მას „დროს" ეძახის: „დღემდის ცნობილი იყო საზღვრებით დახრაში ნამყო უსრულის ერთი სახე. ჩვენ მივიღეთ მისი მეორე სახეც, რადგან მას მოითხოვდა ენა და მისი კანონი. თუ კი შეიძლება, მაგალითად, ითქვას: ხშირად მუშაობისაგან „ვიქანცებოდი" ხოლმე და, ძალღონე-მოშვებული, სავარძელში „ვჯდებოდი", ეგრევე კანონიერი იქნება ითქვას: ხშირად მუშაობისაგან „და-ვიქანცებოდი" ხოლმე და, ძალღონე-მოშვებული, სავარძელში „ჩა-ვჯდებოდი". თუ ეს ასეა, საზღვრებით დახრას ემატება კიდევ ერთი დრო, რომელსაც ჩვენ ვუწოდეთ „ნამყო განმეორებული", რადგან ჩვენის აზრით, ამ ფორმაში მოქმედება რამდენჯერმე არის განმეორებული" («ქართულ ზმნების კლასიფიკაცია», 1897, გვ. 3—4).

277. მყოფადის კავშირებითი. ამ მწკრივს მოეპოვება ორი ელემენტი: დრო (მომ.) და კილო (კავშ.). სახელი კილოსაგან აქვს მიღებული. ვამბობთ „მყოფადისაო", რომ გარჩეულ იქნეს აწმყოს კავშირებითისაგან, რომელიც აგრეთვე I სერიაში შედის. მაგალითები: ვისწავლიდე, ვიცხოვრებდე; დავწერდე, ავაშენებდე.

II სერიის მწკრივები

278. წყვეტილი. რომ შევადაროთ ერთმანეთს ეს ორი წარსულ დროიანი მოქმედება: „ვჭამდი" და „ვჭამე" იმის თვალსაზრისით, თუ როგორი პროცესია გამოხატული მათი საშუალებით, ვნახავთ, რომ ერთი პროცესი უწყვეტელია (ვჭამდი), მეორე კი — შეწყვეტილი (ვჭამე). აი ეს არის მიზეზი, რომ ერთ მწკრივს „უწყვეტელი" დაერქვა, მეორეს — „წყვეტილი". წყვეტილის მაგალითებია: ვისწავლე, ვიცხოვრე, დავწერე, ავაშენე.

ეს მწკრივი ცენტრალურია წარსულ დროიან მწკრივებს შორის: მასთან ხდება სხვადასხვა სახის შეპირისპირება თითქმის ყველა მწკრივისა, რომლებიც წარსულის ელემენტთან ერთად თხრობით კილოს შეიცავენ: მრავალგზისთან ერთგზისია (წავიდის — წავიდა), უნახავთან—ნახული (წასულა — წავიდა), უწინარესთან — შემდგომი (შეიტყო, რომ მისი ამხანაგი სოფელში წასულიყო), უსრულ სახესთან — სრული (აშენებდა —ააშენა) [§ 341].

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ნ. მ ა რ ი ამ მწკრივის აღსანიშნავად „აორისტს" ხმარობდა, რომელიც უფრო ძველი ქართულისთვის გამოდგებოდა.

278 ა. ბრძანებითი. განსაკუთრებული მწკრივი ბრძანებით კილოს მხოლოდ ძველ ქართულში ჰქონდა, ისიც მე-2 და მე-3 პირთათვის:

	მხოლ.	მრავლ.
1.	————	————
2.	მოვედ	მოვედით
3.	მოვედინ	მოვიდედ

რაც შეეხება პირველ პირს მრავლობითი რიცხვისას, აქ ბრძანებითი კილოს გამოსახატავად კავშირებითის ფორმა იყო გამოყენებული: მოვიდეთ! ამ ზმნებში: „მოვედით, თაყუანის-ვსცეთ" კილო ორგანვე ბრძანებითია, მაგრამ მწკრივი სხვადასხვაა, რადგანაც პირველი მათგანი („მოვედით") მე-2 პირის ფორმაა, მეორე კი („თაყუანის-ვსცეთ") — 1-ლი პირისა. ახალ ქართულში ამ მწკრივზე მხოლოდ ზოგიერთი კილოს მიხედვით შეიძლება ლაპარაკი. მაგ., ხევსურულისა, ფშაურისა, კახურისა.

279. მეორე ხოლმეობითი. ვამბობთ „ხოლმეობითიო", რადგანაც ის მრავალგზისობის გაგებას შეიცავს, რომელიც, თუ სათანადო ფორმა არა გვაქვს, „ხოლმე"-თი უნდა გადმოიცეს. ვუმატებთ „მეორეო", რადგანაც II სერიაში შედის. მაგალითები: ვწერი (დავწერი), ვაშენი (ავაშენი).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ნაშთის სახით ამ მწკრივის ფორმა საყოველთაოდ „იცის" და „უწყის" ზმნათა სახით შემოგვრჩა. ოღონდ მათ დ რ ო ი ს

თვალსაზრისით ეხლანდელის გაგება მიიღეს და ამით აწმყოს მწკრივში ჩადგნენ. რომ აღნიშნული ზმნები II სერიის ფორმებია წარმოშობით. ამას მათი სინტაქსური კონსტრუქცია ამჟღავნებს: ამხანაგმა იცის, ალაჰმა უწყის (ქვემდებარე მოთხრობითში მხოლოდ II სერიის მწკრივის ფორმებთან დაისმის, ისიც მხოლოდ გარდამავალ ზმნებთან).

ამ მწკრივს მნიშვნელობით რამდენადმე უწყვეტელი უახლოვდებოდა და ეხლაც უახლოვდება. ხშირად ფრაზაში ერთიმეორის გვერდით უწყვეტლისა და ხოლმეობითის ფორმები იხმარებოდა.

ეს მწკრივი ახალ ქართულში საყოველთაოდ აღარ არის, — ზოგიერთ კილოს შეჰრჩა. მის ნაცვლად სხვა კილოებმა და სალიტერატურო ენამ შეიმუშავა I ხოლმეობითი (§ 276), რომელიც უწყვეტელს გამოეყო. ეს შემუშავება პარალელურად ხდებოდა II ხოლმეობითის გადავარდნასთან ერთად.

მწკრივი იხმარება მრავალჯერ გამეორებული მოქმედების აღსანიშნავად. აგრეთვე ის გადმოგვცემს ჩ ვ ე უ ლ ე ბ ი თ ს მოქმედებას, მუდამ გამეორებულ მოქმედებას და ამიტომ შეიძლება, რომ ის წარსულ დროს კი აღარ შეიცავდეს, არამედ სულ დაცლილი იყოს დროის ელემენტისაგან (§ 259, შნშ. 2).

280. მეორე კავშირებითი. ეს მწკრივი ორი ელემენტის შემცველია: დროისა (მომ.) და კილოსი (კავშ.). ვეძახით მეორეს, რადგანაც II სერიაში შედის. მაგალითები: ვწერო (დავწერო), ვაშენო (ავაშენო).

შეიძლება მწკრივში კილოს ელემენტი იქნეს შეცვლილი: კავშირებითის ნაცვლად ბრძანებითი იყოს (ძველ ქართულში აგრეთვე თხრობითიც), მაგრამ დრო იგივე დარჩება. ბრძანებითის შემთხვევაში გამოყენებულია მე-3 პირის ფორმები (ორივე რიცხვისა) და 1-ლი პირისა მრ. რ.-ში: ისწავლოს! ისწავლონ! ვისწავლოთ!

თუ ბრძანება აკრძალვას წარმოადგენს, მაშინ მწკრივი მე-2 პირისთვისაც არის გამოყენებული. უარყოფით ნაწილაკთაგან **არ** უნდა: არ ისწავლო! არ ისწავლოთ!

> შ ე ნ ი შ ვ ნ ა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ საყოველთაო ხმარებიდან გადავარდნილ მწკრივებს (ბრძანებითსა და II ხოლმეობითს), თანამედროვე სალიტერატურო ქართულისათვის II სერიაში დაგვრჩება მხოლოდ ორი მწკრივი: წყვეტილი და II კავშირებითი.

III სერიის მწკრივები

281. პირველი თურმეობითი. I თურმეობითში სამი ელემენტია: დრო (წარს.), კილო (თხრ.) და აქტი (უნახავი). მაგალითები: მიწერია (დამიწერია), მიშენებია (ამიშენებია).

უნახავი აქტის ფორმა გვიჩვენებს მოქმედებას, რომელიც გათვალისწინებულია შედეგის მიხედვით ან სხვისგან არის გაგონილი: წ ა ს უ ლ ა — ჩანს, რომ წასულია; მითხრეს, რომ წავიდაო; სახლი ა უ შ ე ნ ე ბ ი ა — შედეგს ვხედავთ წარსულში გაწეული მუშაობისას აშენებული სახლის სახით. ასეთი შედეგის თვალსაზრისით არის დაფასებული მოქმედებაც, რომელიც წარსულში უნდა მომხდარიყო, მაგრამ არ მოხდა. ეს ისეთი მოქმედებაა, რომელიც დადებით შემთხვევაში წყვეტილით არის გადმოცემული, მაგრამ უბრალო უარყოფის შემ-

თხვევაში მას I თურმეობითი უნდა შეენაცვლოს. მაგალითები: წავიდა — არ წასულა, მოიტანა—არ მოუტანია, გააკეთა—არ გაუკეთებია, დაწერა—არ დაუწერია, მოკვდა — არ მომკვდარა და მისთ.. ეს თითქო უცნაურიაო, მაგრამ არა: წყვეტილი არის ნახული აქტის მწკრივი. ნახვა შეიძლება მხოლოდ დადებითად შესრულებული მოქმედებისა (ვნახე, რომ წერილს წერდა და ამიტომ ვამბობ: დ ა წ ე რ ა-მეთქი), მაგრამ არ შეიძლება ნახვა ისეთი მოქმედებისა, რომელიც არ მომხდარა, არ შესრულებულა. ამას ვამბობთ მხოლოდ შედეგის ან სხვისი ნათქვამის მიხედვით და ეს არის მიზეზი, რომ მოქმედების უბრალო უარყოფა ამ მწკრივის საშუალებით არის ხოლმე გადმოცემული.

კიდევ უფრო ნათელი იქნება ეს გარემოება, თუ შევადარებთ ერთმანეთს ამ სამ ფორმას, რომელთაგანაც ერთი დადებითია, ორი კი — უარყოფითი: დაწერა — არ დაწერა — არ დაუწერია. „დაწერა“ ფორმას უარყოფითად უპირისპირდება არა მისივე მწკრივის „არ დაწერა“, არამედ სხვა მწკრივის ფორმა („არ დაუწერია“). ეს იმიტომ, რომ „არ დაწერა“ ნახულის ფორმაა და რაკი ვნახე, ვიცი, რომ არ ი ნ ე ბ ა დაწერა. ასე რომ აქ გამოხატულია უარყოფითი დამოკიდებულება სუბიექტისა ზმნით აღნიშნული მოქმედებისადმი. მაშასადამე.. უარყოფა ორივე მწკრივით შეიძლება გადმოიცეს, მაგრამ უბრალო უარყოფისთვის I თურმეობითია განკუთვნილი, წყვეტილი კი ნებისმიერ ან განგებ ჩაუდენელ მოქმედებას აღნიშნავს, ან კიდევ, — **ვერ** ნაწილაკის ხმარებისას, — მოქმედების შეუძლებლობას: ვერ დაწერა.

უნახავი აქტის მწკრივები (კერძოდ I თურმეობითი) „თურმე“-ს გაგებას შეიცავს: ყ ო ფ ი ლ ა=იყო თურმე, წ ა ს უ ლ ა=წავიდა თურმე. რადგანაც უნახაობის კატეგორია მარტო წარსულში შეგვიძლია საგანგებო ფორმით გამოვხატოთ, ამიტომ იქ, სადაც ფორმა გვაკლია, „თურმეს“ ვიშველებთ ხოლმე: „საწყალ გოგოს თავისის თითებით მოგროვილის ფულით ერთი ჩითმერდინი უ ყ ი დ ნ ი ა, იმას (ელისაბედს) უ ნ ა ხ ა ვ ს და წ ა უ რ თ მ ე ვ ი ა. ეხლა თ უ რ მ ე თავზედ ი კ რ ა ვ ს“ (ჭავ., «კაც.-ად.»). აქ „იკრავს“ აწმყოს ფორმით არის გადმოცემული, რომელსაც უნახაობის გამოხატვა არ შეუძლია და აუცილებელია „თურმეს“ დართვა. თურმეობითის ფორმას კი „თურმეს“ დართვა არას ჰმატებს, — ის ისედაც არის შიგ გამოხატული და აქედან წარმოდგა მისი სახელი.

282. მეორე თურმეობითი. შედგენილობის თვალსაზრისით II თურმეობითი I-ისაგან ერთი ელემენტით განსხვავდება. ეს ელემენტია თანამდევრობა (უწინარესი). მწკრივი გადმოგვცემს ისეთ უნახავ მოქმედებას, რომელიც სხვას უსწრებდა: ეწერა (დაეწერა), ეშენებინა (აეშენებინა).

ამ მწკრივის კილო ჩვეულებრივ თხრობითია. მაგრამ ხშირია მისი გამოყენება III კავშირებითის ნაცვლადაც: იგი იხმარება ისეთი მოქმედების გადმოსაცემადაც, რომელიც ფაქტი არ იყო, მაგრამ რომელიც ივარაუდებოდა, როგორც პირობა სხვა მოქმედების შესრულებისათვის. ამ შემთხვევაში მისი კილოა არა თხრობითი, არამედ პირობითი, (§ 257 ა) და აქტის ელემენტი (უნახაობა) ფორმაში აღარ არის: მოვარდნილ ნიაღვარს რომ სახლისთვის ძირი გ ა მ ო ე თ ხ ა რ ა, სახლი დაგვენგრეოდა და დავიღუპებოდით. მიუხედავად ამისა, მწკრივის სახელი მაინც II თურმეობითია (§ 285).

შენიშვნა. თურმეობითის მწკრივებს (პირველს, მეორეს) სახელი დაერქვა უნახაობის ელემენტის მიხედვით. მათი რუსული თარგმანი იქნება: I заочный (ряд), II заочный (ряд). ამ მწკრივთა ფორმები გადმოგვცემს ისეთ მოქმედებასაც, რომლის შედეგი ჩანს (ან ჩანდა) და ამ შედეგის მიხედვით გააზრებულია თვით მოქმედება. ამიტომ მათ შეიძლება **შედეგობრივი-ც** ეწოდოს, როგორც ეს არის უკვე ჩემს 1930 წელს გამოსულ გრამატიკაში (გვ. 124). მათი რუსული შესატყვისი იქნება: I результативный (ряд), II результативный (ряд). მაგრამ ტერმინად უფრო შესაფერისია **თურმეობითი**, რომელიც სასკოლო სახელმძღვანელოშიც შევიდა და დამკვიდრდა.

283. მესამე კავშირებითი. თვითეულ სერიას თავ-თავისი კავშირებითი მოეპოვება, რომელთაც ამა თუ იმ სერიაში შემავლობის მიხედვით ვნომრავთ: პირველი, მეორე, მესამე. III კავშირებითის ელემენტებია: დრო (წარს.) და კილო (კავშ.). მაგალითები: მეწეროს (დამეწეროს), მეშენებინოს (ამეშენებინოს).

III კავშირებითის ხმარების არე ახალ ქართულში შემცირდა: პირობის აღნიშვნის შემთხვევაში მის ნაცვლად II თურმეობითი იხმარება: ფული რომ მქონებოდა, გასესხებდი (ნაცვლად ამისა: ფული რომ მქონებოდეს, გასესხებდი). ძველი კონსტრუქცია შემორჩენილია აქა-იქ, მაგ., რაჭაში.

284. მწკრივების ცხრილი. რომ თავი მოვუყაროთ ზემორე თქმულს მწკრივთა სერიებში განაწილების შესახებ, შემდეგ ცხრილს მივიღებთ:

I სერია

ა) **აწმყოს წრე**

1. **აწმყო:** ვწერ, ვაშენებ.
2. **უწყვეტელი:** ვწერდი, ვაშენებდი.
3. **აწმყოს კავშირებითი:** ვწერდე, ვაშენებდე.

ბ) **მყოფადის წრე**

1. **მყოფადი:** დავწერ, ავაშენებ.
2. **I ხოლმეობითი:** დავწერდი, ავაშენებდი.
3. **მყოფადის კავშირებითი:** დავწერდე, ავაშენებდე.

II სერია[1]

1. **წყვეტილი:** ვწერე (დავწერე), ვაშენე (ავაშენე).
2. **ბრძანებითი:** წერე (დაწერე), აშენე (ააშენე).
3. **II ხოლმეობითი:** ვწერი (დავწერი), ვაშენი (ავაშენი).
4. **II კავშირებითი:** ვწერო (დავწერო), ვაშენო (ავაშენო).

III სერია

1. **I თურმეობითი:** მიწერია (დამიწერია), მიშენებია (ამიშენებია).
2. **II თურმეობითი:** მეწერა (დამეწერა), მეშენებინა (ამეშენებინა).
3. **III კავშირებითი:** მეწეროს (დამეწეროს), მეშენებინოს (ამეშენებინოს).

---

[1] აქ შემოტანილია კილოებში შემონახული ორი მწკრივიც: ბრძანებითი და II ხოლმეობითი.

285. ფორმისა და ფუნქციის ურთიერთობის საკითხი მწკრივში.

მწკრივს ფორმა ერთი აქვს, ფუნქცია კი — ხშირად სხვადასხვა. სახელი მწკრივს შეიძლება ერთი ფუნქციის მიხედვით ჰქონდეს დარქმეული, მაგრამ როგორსა და რამდენ ფუნქციასაც უნდა ასრულებდეს ამა თუ იმ შემთხვევაში, ფორმით ის მაინც ერთი ერთეულია. ნომენკლატურამ არ უნდა შეგვიყვანოს შეცდომაში: აწმყოს მწკრივმა შეიძლება დრო მომავალი გადმოსცეს და მყოფადის მწკრივმა — ეხლანდელი.

რომ ნათელი იყოს ნათქვამი, აღნიშნულ მოვლენას პარალელი მოვუძებნოთ სახელთა ბრუნვებში: სახელობითი მუდამ სახელობითია, ასრულებს ის სუბიექტის ფუნქციას, თუ ობიექტისას: მართლაც, ახირებული რამ იქნებოდა, რომ ერთ შემთხვევაში „ამხანაგი“ სახელობითად (ნომინატივად) მიგვეჩნია („ა მ ხ ა ნ ა გ ი მოვიდა“), სხვა შემთხვევაში კი—შემასმენლობითად (აკუზატივად: „ა მ ხ ა ნ ა გ ი მოიყვანეს“), როგორც ამას, მაგ., მ. კ ე ლ ე ნ ჯ ე რ ი ძ ი ს «ქართ. პრაქტიკულ გრამატიკაში» ვხედავთ (ქუთ., 1920); ამგვარადვე, მიცემითი მუდამ მიცემითია, გადმოგვცემს ის სუბიექტს („ა მ ხ ა ნ ა გ ს მოუყვანია“), პირდაპირ ობიექტს („ა მ ხ ა ნ ა გ ს მოიყვანს“), თუ ირიბ ობიექტს („ა მ ხ ა ნ ა გ ს მოწმე მოუყვანეს“). მსგავსადვე მოქმედებითი ბრუნვა მოქმედებითია, გადმოგვცემს ის საშუალებას („ს ა თ ვ ა ლ ე ე ბ ი თ წააკითხა“), თუ ვითარებას როგორ მიმდინარეობს მოქმედება, როგორც პროცესი („ს ი ა მ ო ვ ნ ე ბ ი თ წაიკითხა“).

ბრუნვა სახელის მიმოსახრელი საშუალებაა, მწკრივი კი — ზმნისა. ფუნქცია ერთსაც და მეორესაც სხვადასხვა შემთხვევაში შეიძლება სხვადასხვა ჰქონდეს, მაგრამ თვითეული ბრუნვა და თვითეული მწკრივი თითო ერთეულია.

მწკრივის ელემენტები, რომლებზედაც ზემოთ იყო საუბარი, არ არის ისეთი რამ, რომ მათ ნივთიერი სახე გაჩნდეს. ამიტომ მათი ფორმაში ყოფნა-არყოფნა არ შეიძლება პირწმინდად მიედაროს ქიმიურ ელემენტთა არსებობა-არარსებობას რომელსამე საგანში. მწკრივის ელემენტები მეტად მოძრავი რამეა და ბევრად დამოკიდებული ზმნის ფორმის გარემოცვისაგან. სიმკვიდრეს მწკრივს ფორმა ანიჭებს, რომელიც შეიცავს არა მარტო ბგერით მხარეს, არამედ მთელ კომპლექსს ნიშნებისას, რომლებიც უღლებისა და წარმოქმნის საკითხებთან არის დაკავშირებული.

ზოგჯერ ხდება ადგილიდან დაძვრა ფორმისა და ერთი მწკრივიდან მეორეში გადასვლა. „ვიცი“ აშკარად II სერიის ფორმაა წარმოშობით (§ 279, შნშ.). მაგრამ თქმა იმისა, რომ „ვიცი“ დღეს II ხოლმეობითის ფორმაა, არ იქნებოდა სწორი, რადგანაც II ხოლმეობითისა მას სინტაქსური ურთიერთობის გარდა აღარაფერი აქვს, — ის მთლიანად I სერიაშია გადმოსული და აწმყოს მწკრივში დგას, რაც იქედან ჩანს, რომ აწმყოს წრის მწკრივები ყველა არსებული მოდელის მიხედვით აქვს გაკეთებული: მართლაც, „ვიცოდი“ და „ვიცოდე“ ისეთ ურთიერთობაშია „ვიცი“-სთან, როგორც „ვტიროდი“ და „ვტიროდე“ — „ვტირი“-სთან ან „ვაშენებდი“ და „ვაშენებდე“ — „ვაშენებ“-თან. მაშასადამე, ახალმა შინაარსმა (ეხლანდელისამ) ახალი ადგილი მიუჩინა ფორმას: II სერიისა იყო და სულ მთლად I სერიაში გადმოიყვანა.

იგივე ვითარება გვაქვს „მინდა“-ს შემთხვევაშიც. ეს ფორმა ძველად უწყვეტელი იყო (მინდა=მსურდა), ამჟამად კი აწმყოდ მიგვაჩნია და ეს არა

რტო იმიტომ, რომ მას ეხლანდელის გაგება აქვს, არამედ იმიტომაც, რომ ორმობლივ ის ყველაფრად აწმყოსია: 1-ლისა და მე-2 პირის ფორმას მეშველი მნის დახმარებით იკეთებს (ვუნდივარ, უნდიხარ). ამას გარდა, უწყვეტლისა და კავშირებითისათვის ეს „აწმყო“ არის გამოსავალი: მინდა — მინდოდა. მინ-ოდეს.

286. მწკრივის წევრები. წევრების სახელით აღვნიშნავთ ცალკეულს სხვებისაგან განსხვავებულ) ფორმებს, რომლებიც მოეპოვება ზმნას მწკრივში; აგ., აწმყოს მწკრივი „ვიცინი“ ზმნისა შედგება 6 წევრისაგან: ვიცინი, იცინი, ცინის, ვიცინით, იცინით, იცინიან.

წევრთა რაოდენობა სხვადასხვაა არა თუ სხვადასხვა ენაში, არამედ აგრეთ-ე ერთსა და იმავე ენაშიც. ყველაზე უფრო გავრცელებულია ექვს-წევრიანო-ა: სამი წევრი მხოლობითში და სამიც მრავლობითში. ეს იმ ენებში, სადაც ღლება სუბიექტურია (აბსოლუტურია) და რიცხვი მარტო ორია: მხოლობითი ა მრავლობითი. ინკლუზიურ-ექსკლუზიური ფორმების არსებობა ენაში ზრდის ევრების რიცხვს; მაგ., სვანურში ერთ-პირიანი ზმნის მწკრივს 7 წევრი აქვს — მხ.-ში და 4 მრ.-ში (§ 206).

თუ მწკრივის ცვალებად კატეგორიებში სქესიც ურევია ან კლასი, ეს საგრ-ნობლად გაზრდის წევრთა რიცხვს. მაგ., არაბულში, სადაც სქესიც არის და იცხვი სამი (მხ., ორ., მრ.), წევრთა რაოდენობა 13-მდე ადის ე. წ. „სრულის“ წკრივში, „უსრულის“ მწკრივში კი, სადაც ზოგიერთი ფორმა ერთიმეორეს მთხვევა, წევრთა რაოდენობა 11-მდე დადის. ის კიდევ უფრო ჩამოდის ძირს რძანებითში, სადაც ორ-ორი წევრია მხ.-სა და მრ.-ში და ერთი წევრი ორო-ითში.

დღევანდელ ქართულში წევრთა რაოდენობის საკითხი ასეა მოგვარებუ-ლი: ერთ-პირიან ზმნებს მწკრივში ნორმალურად ექვს-ექვსი წევრი აქვს, ორ-ირიან ზმნას კი — სულ ცოტა თვრამეტ-თვრამეტი. ვამბობ „სულ ცოტა“-მე-ქი, რადგანაც ზოგ ზმნას ზოგ მწკრივში უხერხდება მეტი წევრების ქონება 19-დან 22-მდე). 18 წევრი — ეს მინიმუმია, რომელიც შეიძლება ორ-პირიან მნას ჰქონდეს (§ 291).

რაც შეეხება სამ-პირიან ზმნას, მას წევრთა რაოდენობა იმდენივე აქვს, ამდენიც ორ-პირიანს, რადგანაც სამ-პირიან ზმნაში ერთი ობიექტი უცვალე-ელია და ამის გამო წევრთა რაოდენობა არ იზრდება (§ 293).

ყველაზე ნაკლებ რაოდენობას წევრებისას გვიჩვენებს ბრძანებითის წკრივი, რადგანაც მას საკუთრად მარტო მე-2 სუბ. პირის ფორმები აქვს, ისიც ოგ კილოში (მაგ., კახურში), დღევანდელ სალიტერატურო ენაში კი საერ-ოდ გაურჩეველია წყვეტილის იმავე პირის ფორმისაგან; მაგ., თუ წყვეტილში დავწევი“ ზმნას ექვსი წევრი აქვს (დავწევი, დასწევი, დაწვა, დავწევით, დას-ევით, დაწვნენ), ბრძანებითში მარტო ორი ექნება: დაწევი, დაწევით (სხვა ირთათვის ფორმები ნასესხებია II კავშ.-ისაგან). ორ-პირიან ზმნას კი ბრძა-ებითში მეტი წევრი აქვს (§ 291).

მწკრივის წევრთა რაოდენობას ორ- და სამ-პირიან ზმნაში არკვევს პირთა შესაძლებელი კომბინაციები და ფორმის გაუმეორებლობა.

287. პირთა შესაძლებელი და შეუძლებელი კომბინაციები მწკრივში. რელატიური აგებულების ზმნაში ყოველ სუბიექტურ პირს როდი შეიძლება მიმართება ყოველ ობიექტურ პირთან ჰქონდეს. ვთქვათ, ზმნა ორ-პირიანია შიგ ერთი პირი მოქმედია და მეორე უმოქმედო, ანუ ერთი სუბიექტური და მეორე ობიექტური. ვთქვათ ისიც, რომ უმოქმედო პირი სუბ. პირის მოქმედების უშუალო საგანია, ე. ი. რომ ის პირდაპირ-ობიექტურია. მაშინ ერთ ფორმაში შეიძლება მოთავსდნენ ერთად:

1-ლ სუბ. პირთან მე-2 ობ. პირი, ან მე-3 ობიექტური: გაქებ (1.2), ვაქებ (1.3);

მე-2 სუბ. პირთან 1-ლი ობ. პირი, ან მე-3 ობიექტური: მაქებ **(2.1),** აქებ (2.3);

მე-3 სუბ. პირთან ერთ-ერთი ობ. პირი: 1-ლი, მე-2, ან მე-3: მაქებს **(3.1),** გაქებს (3.2), აქებს (3.3).

მაშასადამე, შეუძლებელია შემდეგი დაჯგუფებანი ანუ კომბინაციები: 1-ლი პირისა 1-ლთან (1.1) და მე-2 პირისა მე-2-სთან (2.2). სულ ერთია, იქნება ობიექტური პირი პირდაპირი თუ ირიბი, ხოლო სრულიად შესაძლებელია მე-3 სუბ. პირის კომბინაცია იმავე მე-3 ობ. პირებთან (3.3).

რაც ითქვა სუბ. პირისა და პირდ.-ობ. პირების შესაძლებელ და შეუძლებელ დაჯგუფებათა შესახებ, იგივე შეგვიძლია გავიმეოროთ სუბ. პირებისა და ირიბ.-ობ. პირების დაჯგუფებათა შესახებ.

288. მიზეზი კომბინაციათა განსხვავებისა პირთა შორის. რა არის იმის მიზეზი, რომ 1-ლი და მე-2 სუბ. პირი არ შეიძლება მოთავსდეს თავ-თავის ობ. პირთან და მე-3 კი შეიძლება მოთავსდეს? — მიზეზი ის არის, რომ საზოგადოდ არ შეიძლება ერთ ფორმაში ერთი და იგივე არსება სუბიექტადაც იყოს წარმოდგენილი და ობიექტადაც.

მოქმედ პირს სხვა პირი უნდა ჰქონდეს სამოქმედოდ. მარტივად რომ გამოვთქვათ, ეს შემდეგს ნიშნავს (მაგალითები მხ. რ.-ზე ვნახოთ): თუ მე ვმოქმედებ, შემიძლია ვიმოქმედო შენზე და მასზე. მე ერთი ვარ, შენც ერთი ხარ, ის კი სხვადასხვაა. მართლაც, მე რომ ავთანდილი ვარ და შენ — ტარიელი და მე შენ გელაპარაკები, ამ მომენტში ჩემთვის როსტევანიც მე-3 პირია („იგი“), ფრიდონიც, ნესტანიც, თინათინიც, ასმათიც, რამაზიც და სხვანი და სხვანი. მაშასადამე, 1-ლი პირი ერთია, ასევე ერთია მე-2 პირიც, მე-3 პირი კი მრავალია. და მრავალთაგან სუბიექტი შეიძლება ერთი იყოს და ობიექტი — სხვა (ვთქვათ, სუბიექტი ფატმანი იყოს, ობიექტი — ნესტანი ან სხვები). ასე რომ ზოგადი დებულება, რომელიც ამბობს, რომ ერთი და იგივე პირი ერთ ფორმაში არ შეიძლება სუბიექტიც იყოს და ობიექტიცა, არსებითად ურყევია ყველა რომლობითში. მართლაც, „გაქებ“ — მე (ავთანდილი) შენ (ტარიელს); „ვაქებ“ — მე (ავთანდილი) მას (როსტევანს, ფრიდონს, ნესტანს, ასმათს და სხვ.). „მაქებ“—შენ (ტარიელი) მე (ავთანდილს), „აქებ“—შენ (ტარიელი) მას (როსტევანს, ფრიდონს, ნესტანს, ასმათს და სხვ.); „აქებს“ — ის (ფრიდონი) მას (ნესტანს, თინათინს, ფატმანს, სარიდანს, როსტევანს და სხვას, ან: ფატმანი ნესტანს, თინათინს, ასმათს და სხვ.). რაკი *ერთი მესამე* პირი არა თავის თავზე მოქმედებს, არამედ *სხვა მესამე* პირზე, ამიტომ სამივე პირი

(1-ლი, მე-2, მე-3) არსებითად თანაბარ მდგომარეობაშია: თვითეულ მათგანს ს ხ ვ ა ა რ ს ე ბ ა აქვს სამოქმედოდ და არა თავისი თავი (§ 398).

რაც მხოლობითის მაგალითებმა გვიჩვენა, მასვე გვიჩვენებს მრავლობითის მაგალითებიც.

289. ერთი და იგივე პირი სუბიექტად და ობიექტად. შეიძლება ვინმემ გაკვირვებულად იკითხოს: ნუ თუ არ შეიძლება, რომ ერთმა და იმავე პირმა თავის თავზე იმოქმედოს? — ამისი პასუხია: შეიძლება და კარგად შეიძლება, მაგრამ ენას ამის გამოხატვა ე რ თ ი ს ი ტ ყ ვ ი თ არ შეუძლია, აუცილებლად სხვა სიტყვა უნდა იქნეს მოშველებული. ეს სიტყვაა „თავი“, რომელიც უკუქცევითი ნაცვალსახელია (§ 50); გაქე, ვაქე, მაგრამ: თ ა ვ ი ვიქე; მაქე, აქე, მაგრამ: თ ა ვ ი იქე; მაქო, გაქო, აქო, მაგრამ: თ ა ვ ი იქო, „გაქე“ ერთი სიტყვაა, „თავი ვიქე“ კი — ორი.

ეს „თავი“ გრამატიკულად ობიექტია და სრულიად არ უდრის იმავე პირს: „თავი ვიქე“ იმგვარადვეა გაკეთებული, როგორც „შვილი ვიქე“ (თავი ვიქე = ჩემი თავი ვაქე; შვილი ვიქე = ჩემი შვილი ვაქე). ასე რომ „თავი ვიქე“ ფორმალურად ორ სხვადასხვა გრამატიკულ პირს გულისხმობს (1.3).

ამას გარდა, არის სხვა განსხვავებაც: როდესაც ობიექტად სხვა პირია, ზმნა ერთი ქცევით არის წარმოდგენილი, და როდესაც ობიექტად თავისი თავი აქვს, მაშინ ქცევა ჩვეულებრივ იცვლება: ვ-აქე, აქე, აქო, მ-აქო, გ-აქო, მაგრამ: თავი ვ-იქე, თავი იქე, თავი იქო.

> შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ქცევის შეუცვლელობა სამ-პირიანობის შემთხვევაში შეიძლება: შ ვ ი ლ ი შეაკლა მუშაობას — თ ა ვ ი შეაკლა მუშაობას; დედას შ ვ ი ლ ი ჩააბარა, დედას თ ა ვ ი ჩააბარა და მისთ.

290. შესაძლებელ კომბინაციათა რაოდენობა მწკრივში. რადგანაც გამორიცხულია 1-ლი სუბ. პირის შეერთება 1-ლ ობიექტურ პირთან და მე-2 სუბიექტური პირისა მე-2 ობიექტურ პირთან, ამიტომ, როდესაც ობიექტური პირი მხოლობითშია, ვიღებთ ორ შეუძლებელ კომბინაციას სუბ. პირთა მხ. რ.-ში და ორსაც სუბ. პირთა მრ. რ.-ში. მაშასადამე, თუ სუბ. პირებს ვცვლით ორსავე რიცხვში და ობ. პირს ყველგან მხ. რიცხვში დავტოვებთ, მივიღებთ 4 შეუძლებელ კომბინაციას.

ეხლა ობიექტიც ვცვალოთ რიცხვის მიხედვით. ობ. პირის მრ. რ.-ში გადაყენებით მივიღებთ ისევ 4 შეუძლებელ კომბინაციას. მაშასადამე, ყველა პირის ცვლა რიცხვისა და როგორობის მიხედვით (ე. ი. სუბიექტურ-ობიექტურობის მიხედვით) მოგვცემს 8 შეუძლებელ კომბინაციას. სუბიექტსაც და ობიექტსაც პირი სამი აქვს მხ.-ში და სამიც მრ.-ში, მაშასადამე, თვითეულ მათგანს სულ ექვსი. რომ შეიძლებოდეს ყოველი სუბ. პირის ყოველ ობიექტურთან ერთს ფორმაში შეერთება ორსავე რიცხვში, მაშინ შესაძლებელ კომბინაციათა რიცხვი იქნებოდა ოცდათექვსმეტი ($6 \times 6 = 36$). მაგრამ, როგორც ვთქვით, 8 კომბინაცია შეუძლებელია. ოცდათექვსმეტს გამოვაკლოთ რვა და მივიღებთ ოცდარვას.

ამგვარად, ორ-პირიანი ზმნის სუბიექტურ და ობიექტურ პირთა შესაძლებელ კომბინაციათა რაოდენობა რომელსამე მწკრივში შეიძლება 28 იყოს, შეუძლებლისა კი — 8.

291. ფორმის გამეორება მწკრივში. მიუხედავად იმისა, რომ სუბიექტურ და ობიექტურ პირთა შესაძლებელი დაჯგუფება 28-მდე ადის, ფორმობლივი განსხვავება მწკრივის წევრებს შორის შეიძლება ყოველთვის ამდენი არ იყოს. იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს, რომ თვითეულ შესაძლებელ კომბინაციას თავ-თავისი განსხვავებული სახე ჰქონდეს, როგორც ამას ძვ. ქართულში ვხედავთ II სერიის მწკრივებში (მაგ., წყვეტილში) და, ძველი ქართულის მსგავსად, ნაშთის სახით მთის ზოგიერთ კილოში იმავე II სერიაში. მაგალითად, ძველი ქართულის მიხედვით „ქება“ ზმნა შემდეგ ფორმებს გვაძლევს წყვეტილში:

მხ. 1. გაქე (მე შენ), ვაქე (მე იგი); გაქენ (მე თქუენ), ვაქენ (მე იგინი) [4].
2. მაქე (შენ მე), აქე (შენ იგი); გუაქენ (შენ ჩუენ), აქენ (შენ იგინი) [4].
3. მაქო (მან მე), გაქო (მან შენ), აქო (მან იგი); გუაქნა (მან ჩუენ), გაქნა (მან თქუენ), აქნა (მან იგინი) [6].

მრ. 1. გაქეთ (ჩუენ შენ), ვაქეთ (ჩუენ იგი); გაქენით (ჩუენ თქუენ), ვაქენით (ჩუენ იგინი) [4].
2. მაქეთ (თქუენ მე), აქეთ (თქუენ იგი); გუაქენით (თქუენ ჩუენ), აქენით (თქუენ იგინი) [4].
3. მაქეს (მათ მე), გაქეს (მათ შენ), აქეს (მათ იგი); გუაქნეს (მათ ჩუენ), გაქნეს (მათ თქუენ), აქნეს (მათ იგინი) [6].

ამგვარად, 1-ლ და მე-2 სუბიექტურ პირთან მივიღეთ ოთხ-ოთხი ფორმა მხ.-სა და მრ.-ში, მე-3 სუბ. პირთან კი—ექვს-ექვსი. ეს გვაძლევს ჯუმლად 28-ს.

ასეთი რაოდენობა გაუმეორებელი ფორმებისა ძველ ქართულშია შესაძლებელი და ისიც ყველა მწკრივში არა (I სერიის მწკრივში ასეთი რამ იქაც შეუძლებელია). დღევანდელ სალიტ. ქართულში ობიექტს განსხვავება რიცხვის მიხედვით საყოველთაოდ მარტო 1-ლ პირში შეაქვს, სხვა პირებში კი — აქაიქ. თუ მივიღებთ ამასთანავე მხედველობაში, რომ ფონეტიკური წესების ზეგავლენით ერთი ფორმა შეიძლება მეორეს დაემსგავსოს, ადგილი აქვს ფორმათა გამეორებას. მაგ., ერთი „გაქებთ“ დღევანდელ ენაში შეიძლება შემდეგ დაჯგუფებათა გადმომცემი იყოს: მე თქვენ, ჩვენ თქვენ, იგი თქვენ.

ამიტომ, როცა წევრებზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს გ ა უ მ ე ო რ ე ბ ე ლ ი ფორმები. გაუმეორებელ ფორმათა რიცხვი ორ-პირიანი ზმნისა ერთ მწკრივში, ბრძანებითს გარდა, 18 მაინც არის (ცხრა — სუბიექტურთა მხ.-ში და ცხრაც — სუბიექტურთა მრ.-ში), მაგრამ ზოგჯერ შეიძლება მეტიც იყოს: 19, 20, 21, 22-ც კი! ეს დამოკიდებულია ამა თუ იმ ზმნის შესაძლებლობაზე, გაუმეორებელი ფორმები მოგვცეს.

ბრძანებითის მწკრივი ორ-პირიანი ზმნისა, რა თქმა უნდა, ნაკლებს მოგვცემს; მაქე, მაქეთ, გვაქე, გვაქეთ, აქე, აქეთ [6].

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ზოგიერთ კილოში ობიექტის მრავლობითობის გამოსახატავად ზმნაში იხმარება ყე ნაწილაკი, რომელიც უმთავრესად ირიბ ობიექტს განეკუთვნება; გითხარი (შენ) — გითხარი-ყე (თქვენ); უთხარი (მას) — უთხარი-ყე (მათ); გითხრა (შენ) — გითხრა-ყე (თქვენ); უთხრა (მას) — უთხარ-ყე (მათ). თუ ამ ნაწილაკის რეგულარული ხმარება ობიექტურ პირებს ყველგან გაარჩევს რიცხვში, მაშინ წევრთა საერთო რაოდენობა 28-მდეც მიაღწევს.

292. პირთა კომბინაციების ცხრილი. რომ ნათელი იყოს, თუ როგორია პირთა შესაძლებელი და შეუძლებელი კომბინაციები, შევადგინოთ ცხრილი. ვერტიკალურად სუბიექტური პირები ჩამოვწეროთ, ჰორიზონტალურად — ობიექტურები. ესეც და ისიც ორივე რიცხვის მიხედვით გავაკეთოთ. შეუძლებელ კომბინაციათა უჯრედები გადავხაზოთ. შესაძლებელ კომბინაციათა უჯრედებში თავ-თავის ადგილას ზმნის ფორმები ჩავწეროთ (ადგილს არკვევს ჰორიზონტალური და ვერტიკალური მიმართულების გადაჯვარედინება). თუ კი სადმე ფორმა მეორდება, მას ვარსკვლავი დავუსვათ, რომ შესაძლებელი იყოს მისი გამოკლება საერთო რიცხვიდან. ერთ ცხრილში აწმყოს მწკრივის ფორმები ჩავწეროთ ორ-პირიანი გარდამავალი ზმნისა, მეორეში — იმავე ორ-პირიანი გარდამავალი ზმნისა წყვეტილში, მესამეში — ფორმები ორ-პირიანი გარდაუვალი ზმნისა აწმყოში. ამა თუ იმ ფორმის სათანადო უჯრედში ჩაწერის გაადვილების მიზნით და, საზოგადოდ, საქმის ვითარების უფრო ნათელსაყოფად პირის რომლობის აღმნიშვნელ ციფრებს გვერდით ფრჩხილებში სათანადო ნაცვალსახელები მივუწეროთ. მაგალითები: **ვაქებ, ვაქე, ველი.**

პირი		ობიექტური						სუბ. პირის რიცხვი
		1 (მე)	2 (შენ)	3 (მას)	1 (ჩვენ)	2 (თქვენ)	3 (მათ)	
სუბიექტური	1 (მე)		გაქებ	ვაქებ		*გაქებთ	*ვაქებ	მხოლობითი
	2 (შენ)	მაქებ		აქებ	გვაქებ		*აქებ	
	3 (იგი)	მაქებს	გაქებს	აქებს	გვაქებს	*გაქებს	*აქებს	
	1 (ჩვენ)		გაქებთ	ვაქებთ		*გბქებთ	*ვაქებთ	მრავლობითი
	2 (თქვენ)	მაქებთ		აქებთ	გვაქებთ		*აქებთ	
	3 (ისინი)	მაქებენ	გაქებენ	აქებენ	გვაქებენ	*გაქებენ	*აქებენ	
ობ. პირის რიცხვი		მხოლობითი			მრავლობითი			

ორ-პირიანი გარდამავალი ზმნა აწმყოში

293. წევრთა რაოდენობა სამ-პირიან ზმნაში. როგორიღაა საქმის ვითარება სამ-პირიან ზმნაში? რამდენი წევრი შეიძლება ჰქონდეს მას რომელიმე მწკრივში? ამის საპასუხოდ უნდა მოვიგონოთ, რომ სამ პირთაგან ერთი სუბიექტურია და ორი — ობიექტური, ობიექტურ პირთაგან კი ერთი პირდაპირია, მეორე — ირიბი. როგორი კომბინაციაც უნდა ავიღოთ ამ სამი პირისა,

პირი		ობიექტური 1 (მე)	ობიექტური 2 (შენ)	ობიექტური 3 (იგი)	ობიექტური 1 (ჩვენ)	ობიექტური 2 (თქვენ)	ობიექტური 3 (იგინი)	სუბ. პირის რიცხვი
სუბიექტური	1 (მე)		გაქე	ვაქე		*გაქე(თ)	*ვაქე	მხოლობითი
	2 (შენ)	მაქე		აქე	გვაქე		*აქე	
	3 (მან)	მაქო	გაქო	აქო	გვაქო	გაქოთ	*აქო	
	1 (ჩვენ)		გაქეთ	ვაქეთ		*გაქეთ	*ვაქეთ	მრავლობითი
	2 (თქვენ)	მაქეთ		აქეთ	გვაქეთ		*აქეთ	
	3 (მათ)	მაქეს	გაქეს	აქეს	გვაქეს	გაქესთ	*აქეს	
ობ. პირის რიცხვი		მხოლობითი			მრავლობითი			

ორ-პირიანი გარდამავალი ზმნა წყვეტილში

ორ ობიექტურთაგან ერთი უთუოდ რომლობის მიხედვით მესამე იქნება, ეს უთუოდ რომლობით მე-3 ობიექტური პირი ჩვეულებრივ პირდაპირია, რომელსაც პირის ნიშანი არ გააჩნია. მაგრამ, რომც გააჩნდეს, ეს ობ. პირი უცვლელია და ამიტომ ვერც იქონიებს გავლენას წევრთა რაოდენობაზე — ფირმათა სხვადასხვაობა აქ დამოკიდებული იქნება მარტოოდენ სუბიექტურისა და ირიბ-ობიექტური პირების ურთიერთობისა და მათი რიცხვში ცვალებისაგან.

მ ა გ ა ლ ი თ ი:

სუბიექტი მხოლობითშია				სუბიექტი მრავლობითშია			
1. გკითხე	**(მე**	შენ	**იგი)**	1. გკითხეთ	**(ჩვენ**	შენ	**იგი)**
ვჰკითხე	**(მე**	მას	იგი)	ვჰკითხეთ	**(ჩვენ**	მას	**იგი)**
2. მკითხე	**(შენ**	მე	იგი)	2. მკითხეთ	**(თქვენ**	მე	**იგი)**
ჰკითხე	**(შენ**	მას	იგი)	ჰკითხეთ	**(თქვენ**	მას	**იგი)**
გვკითხე	**(შენ**	ჩვენ	იგი)	გვკითხეთ	**(თქვენ**	ჩვენ	**იგი)**
3. მკითხა	**(მან**	მე	იგი)	3. მკითხეს	**(მათ**	მე	**იგი)**
გკითხა	**(მან**	შენ	იგი)	გკითხეს	**(მათ**	შენ	**იგი)**
ჰკითხა	**(მან**	მას	იგი)	ჰკითხეს	**(მათ**	მათ	**იგი)**
გვკითხა	**(მან**	ჩვენ	იგი)	გვკითხეს	**(მათ**	ჩვენ	**იგი)**

როგორც ვხედავთ, სუბიექტური და ირიბ-ობიექტური პირები იცვლება, როგორც ამას მათი საგუებლებიც გვიჩვენებს, მაგრამ ერთი პირი უცვალე-

პირი		ობიექტური 1 (მე)	2 (შენ)	3 (მას)	1 (ჩვენ)	2 (თქვენ)	3 (მათ)	სუბ. პირის რიცხვი
სუბიექტური	1 (მე)		გელი	ველი		*გელით	*ველი	მხოლობითი
	2 (შენ)	მელი		ელი	გველი		*ელი	
	3 (იგი)	მელის	გელის	ელის	გველის	გელისთ	*ელის	
	1 (ჩვენ)		გელით	ველით		*გელით	*ველით	მრავლობითი
	2 (თქვენ)	მელით		ელით	გველით		*ელით	
	3 (იგინი)	მელიან	გელიან	ელიან	გველიან	*გელიან	*ელიან	
ობ. პირის რიცხვი		მხოლობითი			მრავლობითი			

ორ-პირიანი გარდაუვალი ზმნა აწმყოში

ელია. ეს არის მე-3 პირდაპირ-ობიექტური, რომელიც ყველა ფორმაში იგუ-ულისხმება და რომელსაც საგულებლად ყველგან „იგი“ მოუდის.

რადგანაც შემთხვევათა დიდისაგან დიდ უმეტესობაში უეჭველად მე-3 პირი ცვალებელია და თანაც ისეთია, რომელსაც საკუთარი პირის ნიშანი არც კი ქვს, აბა როგორ და რა საშუალებით უნდა შეიტანოს მან განსხვავება ფორ-ებში? აკი არც შეაქვს და ამიტომ ის ვერც ზრდის წევრთა შესაძლებელ რაო-ენობას ორ-პირიანი ზმნის მწკრივის წევრთა რაოდენობასთან შედარებით. ამის ილუსტრაციოდ მოვიყვანოთ მეოთხე ცხრილიც. მაგალითი: **ვუქე**.

294. იშვიათი შემთხვევები პირთა კომბინაციისა სამ-პირიან ზმნა-ში. უცვალებელ პირად იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ირიბ-ობიექტური ირი, ხოლო ცვალებადად — პირდაპირი. მაგ., „დამაკრა“ შეგვიძლია ისეც გა-ვიგოთ. რომ ჩემზე იქნა დაკრული რაღაც. და ისეც. რომ მე ვიქენ დაკრული ალაცაზე. თუ რომელი გაგებათაგანი აქვს ზმნას ამა თუ იმ შემთხვევაში, ამას რკვევს სახელებთან შეწყობა ზმნისა: ერთია „ფ ი ც ა რ ი დამაკრეს“ და სხვაა ფ ი ც ა რ ს დამაკრეს“: 1-ლი პირი იმაში ირიბი ობიექტია, ამაში კი — პირდა-ირი; სამაგიეროდ „ფიცარი“ იმაში პირდაპირი ობიექტია, ამაში კი — ირიბი. ამასადამე, მიუხედავად იმისა, რომ მოუბარი (1-ლი პირი) ერთ შემთხვევაში რიბი ობიექტია, მეორეში კი — პირდაპირი, ფორმალურ განსხვავებას ეს ვერ დენს ზმნის ფორმაზე: იქაც „დამაკრეს“ არის და აქაც. ვერ ვიპოვით გან-სხვავებას, რა ზმნაც უნდა მოვიყვანოთ და რომელი მწკრივიც, თუ არ მივი-

პირი		ობიექტური						სუბ. პირის რიცხვი
		1.3 (მე იგი)	2.3 (შენ იგი)	3.3 (მას იგი)	1.3 (ჩვენ იგი)	1.2 თქვენ იგი	3.3 (მათ იგი)	
სუბიექტური	1 (მე)		გიქე	ვუქე		*გიქე(თ)	*ვუქე	მხოლობითი
	2 (შენ)	მიქე		უქე	გვიქე		*უქე	
	3 (მან)	მიქო	გიქო	უქო	გვიქო	გიქო(თ)	*უქო	
	1 (ჩვენ)		გიქეთ	ვუქეთ		*გიქეთ	*ვუქეთ	მრავლობითი
	2 (თქვენ)	მიქეთ		უქეთ	გვიქეთ		*უქეთ	
	3 (მათ)	მიქეს	გიქეს	უქეს	გვიქეს	გიქესთ	*უქეს	
	ობ. პირის რიცხვი	მხოლობითი			მრავლობითი			

სამ-პირიანი გარდამავალი ზმნა წყვეტილში

ღებთ მხედველობაში **მო** და **მი** ზმნისწინთა შენაცვლებას (**მო**მყიდა — **მი**მყიდა, **მო**მცა — **მი**მცა და მისთ.). მოწმობა ლიტერატურიდან და ხალხური სიტყვიერებიდან:

ა) 1-ლი პირი პირდაპირ ობიექტად სამ-პირიან ზმნაში:

ფატმან წ ა მ გ ვ ა რ ა გრძნეულთა, ღმერთიმცა მას ეტერების
(ვეფხ. 1298).

კვლაცა მ ი მ ც ა შესაპყრობლად ქაჯთა ძნელად საომართა
(«ვეფხ.-ტყ.», 1299,3)

ნურცა მ ი მ ც ე მ ავისა ქნად მე ეშმაკსა მწვალებელსა
(«როსტ.», II, 4956,4)

ცას მოწმენდილსა დავესწარ, ვარსკვლავი ვნახე მრავალი,
ბატონმა ციციშვილს მ ი მ ც ა; ღმერთო, შენ მიეც ზარალი!
(«თეატრი», 1886, № 25)

სიკვდილს მ ო მ ტ ა ც ე, სიცოცხლე მიბოძე იგ აქ შენაო.
(თეიმ. I, «ვარდ-ბულბულ».)

დავიბადე, მ ი მ ა ბ ა რ ე ნაბიჭვარად მეცხოვრეთა.
(«როსტ.». II, 4786)

შენმა გონებამ მ ი მ ა მ ს გ ა ვ ს ა მილეულს მთვარეს (ბესიკი).

რა ია გამიწყრა, ნარგიზს მივმართე: ვარდს მ ა მ უ დ ა რ ე,
ალერსი ჩართე (ბესიკი).

ვაი, რა ვუყო თავსაო, მერე ამ საწყალ ქმარსაო:
არც შეუძლია მარჩინოს, არც დ ა მ ა ნ ე ბ ა სხვასაო.
(გურული ხალხური ლექსიდან)

„ასეთი საქმე მიყავითო: სიბერის ჟამს გრძნეულთ არ დ ა მ ა ნ ე ბ ო თ ო (რუსუდ. 307,32),

ე. ი. გრძნეულებს არ დაანებოთ ჩემი თავიო
ესო, მესო, მელი ჩიოდესო... სომეხს მ ი მ ყ ი დ ე ხ ო.
(ფშაური ლექსი, თ. რაზიკაშვილის ჩანაწერი)

(კამეჩი ამბობს:) „ჩემმა პატრონმა... ერთი კასაბი მოიყვანა და მას მ ი მ ყ ი-დ ა“ («ქილილა და დამ.», 243, 23).

ბ) მე-2 პირი პირდაპირ ობიექტად სამ-პირიან ზმნაში: „სულ ძირს გაგყრით და ირემს შ ე გ ა ჭ მ ე ვ თ“ (თ. რაზიკ. «ფითრი»); „შენც მოგკლავ, თავსაც მოვიკლავ და შენ კი აღარავის დ ა გ ა ნ ე ბ ე ბ“ (ყაზბ. «ციკო», 141); „ბარემ მეც არავის დ ა გ ა ნ ე ბ ე ბ“ (ყაზბ., «მამის მკვლელი», 214).

[შდრ. ამას შემდეგი ფრაზები, სადაც იმავე ფორმაში მე-2 ობ. პირი ირიბია და მე-3 — პირდაპირი: „ჩემს გრძნობას გულში მოვიკლავ, გულში დავიმარხავ და შენ კი თავს არ დ ა გ ა ნ ე ბ ე ბ“ (ყაზბ., «ელისო», 175); „მე გითხარ, თავს არ დ ა გ ა ნ ე ბ ე ბ-მეთქი“ (ყაზბ., «ელისო», 180).

სხვათა შორის, აქ ისიც არის საყურადღებო, რომ აღნიშნულ ფორმებში ორი ობიექტური ნიშანია მოსალოდნელი: 1-ლისა და მე-3 პირისა, ან მე-2-ისა და მე-3 პირისა. მართლაც, „მიმცა“ და „მიმაბარეს“ ფორმებისათვის ასეთი წარმოშობაა სავარაუდებელი: *მი-**ჰ**-**მ**-ცა (**მან** მ ა ს მე), *მი-**ჰ**-**მ**-აბარა (**მან** მ ა ს მე). მსგავსად ამისა „შეგაჭმევთ“ («ფითრიდან» ამოღებულ წინადადებაში) ამას გვავარაუდებინებს: *შე-**ჰ**-**გ**-აჭმევთ (ჩ ვ ე ნ მ ა ს შენ). მაშასადამე, ორ ობიექტურ ნიშანთაგან პირდაპირისა ჩანს, ირიბისა კი — არა. ეს იმას ნიშნავს, რომ 1-ლისა და მე-2 პირის გამოხატვას ფორმაში მეტი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე მესამისას. ამის პარალელს ქცევის მიმოხილვისასაც ვიპოვით.

მაშასადამე, ფორმა-ცვალება მწკრივში სამ-პირიანი ზმნისა, რომელსაც უცვლელად პირად მე-3 პირდაპირი აქვს, არ განსხვავდება ორ-პირიანი გარდამავალი ზმნის ფორმა-ცვალებისაგან იმავე მწკრივში. მართლაც, ზმნა „შემაჭმევს“ იმგვარსავე ფორმებს გვიჩვენებს, როგორც მაქებს, გაქებს, აქებს: შემაჭმევს (=შეაჭმევს ჩემს თავს მას), შეგაჭმევს (=შეაჭმევს შენს თავს მას), შეაჭმევს და შემდგომი. ამიტომ ასეთი სამ-პირიანი ზმნის წევრთა რაოდენობაც რომელსამე მწკრივში ისეთივეა, როგორიც ორ-პირიანი გარდამავალი ზმნისა, ე. ი. ფაქტობრივ 18 ან ცოტა მეტი.

295. წევრთა საერთო რაოდენობა ქართული ზმნისა. როგორც ვიცით, თვითეულ მწკრივში აბსოლუტური უღლების ზმნას ექვს-ექვსი წევრი აქვს და რელატიურისას — თვრამეტ-თვრამეტი მაინც. მწკრივებს რომ გამოვაკლოთ II ხოლმეობითი, რომელიც დღევანდელ ქართულში იშვიათად-ღა იხმარება და ბრძანებითი, რომელსაც სხვა მწკრივებისაგან განსხვავებული ფორმები თითქმის აღარ აქვს, 13 მწკრივისაგან 11 დაგვრჩება (I სერიაში 6, II-ში 2, III-ში 3): ვცხოვრობ, ვცხოვრობდი, ვცხოვრობდე; ვიცხოვრებ, ვიცხოვრებდი, ვიცხოვრებდე; ვიცხოვრე, ვიცხოვრო; მიცხოვრია, მეცხოვრა, მე-

ცხოვრობ. ერთ-პირიან გარდაუვალ ზმნას თვითეულ მწკრივში 6 წევრი აქვს, მაშასადამე, ყველა მწკრივში მას სულ 66 წევრი ექნება (6×11=66). ეს 66 არის მაქსიმუმი ერთ-პირიანი გარდაუვალი ზმნის წევრებისა 11 მწკრივში. მაგრამ, თუ ზმნას აკლია ზოგიერთი მწკრივი, მისი წევრების რიცხვი სათანადოდ შემცირდება.

თუ რელატიური ზმნის წევრთა რაოდენობას თვითეულ მწკრივში თვრამეტ-თვრამეტად ვიანგარიშებთ, მაშინ საერთოდ იმდენ წევრს მივიღებთ, რამდენსაც შეადგენს 18, გადამრავლებული მწკრივების რაოდენობაზე. ზოგ ზმნას არ შეუძლია ყველა მწკრივი ჰქონდეს; მაგ., ასპექტიან ზმნებს I სერიაში აკლიათ ერთ-ერთი წრის მწკრივები (სრულ-ასპექტიანს — აწმყოს წრისა, უსრულასპექტიანს — მყოფადისა), მაშასადამე, აქვთ სულ 10 მწკრივი. გამოვაკლოთ ამასაც II ხოლმეობითი და ბრძანებითი, დაგვრჩება 8. ამ 8 მწკრივში საერთო რაოდენობა ასეთ ზმნათა წევრებისა იქნება (18×8=144).

296. მრავალი ერთში და ერთი მრავალში. როგორც აღვნიშნეთ (§ 268), ულლების ძარტივი კატეგორიები ცალკე კი არ გვხვდება, არამედ სხვებთან ერთად ზმნის ამა თუ იმ ცალკეულ ფორმაში, რომელსაც ჩვენ „მწკრივის წევრი“ ვუწოდეთ. ზმნის ერთ ფორმაში, რომელიც ერთ სიტყვას წარმოადგენს, რამდენიმე კატეგორია იყრის თავს: პირი, რიცხვი, დრო, კილო, გზისობა, აქტი, თანამდევრობა. მაგალითი: ა უ შ ე ნ ე ბ ი ა — ამაში შემდეგი კატეგორიები ჩანს: პირი (სუბ. მესამე და ობ. მესამე), რიცხვი (მხ. სუბ. პირისა), დრო (წარს.), კილო (თხრ.), აქტი (უნახავი). მაშასადამე, ერთი სიტყვა მრავალ ცნებას იტევს და ეს არის „მრავალი ერთში“.

მეორე მხრით, რამდენიმე სიტყვამ შეიძლება ერთი ცნება მოგვცეს: ვ ა შ ე ნ ე ბ, ა შ ე ნ ე ბ, ა შ ე ნ ე ბ ს — სიტყვა სამია, განსხვავებული პირთა მიხედვით, მაგრამ რიცხვი ერთია (მხ.); ა შ ე ნ ე ბ ს, ა შ ე ნ ე ბ ე ნ — სიტყვა ორია, განსხვავებული რიცხვის მიხედვით, მაგრამ პირი ერთია (მესამე); ვ ა შ ე ნ ე ბ დ ი, ვ ა შ ე ნ ე, მ ი შ ე ნ ე ბ ი ა — სიტყვა სამია, მაგრამ დრო მათში ყველგან ერთია (წარს.); ვ ა შ ე ნ ე ბ, ვ ა შ ე ნ ე ბ დ ი, ვ ა შ ე ნ ე, მ ი შ ე ნ ე ბ ი ა — სიტყვა ოთხია, მაგრამ კილო ყველგან ერთია (თხრ.) მაშასადამე, შეიძლება, რომ რამდენიმე ფორმა გვქონდეს ცალკეული სიტყვების სახით, მაგრამ ყველა მათ რაღაც აერთიანებდეს, ე. ი. მოცემული იყოს „ერთი მრავალში“.

296 ა. მწკრივის დადგენის ისტორიისათვის. როგორც აღნიშნულია (§ 175,3), „მწკრივი“ წარმოქმნილია „მწკარ“ სიტყვისაგან, რომელიც იგივეა, რაც „ბწკარი“, „პწკარი“. ამჟამად „ბწკარი“, სხვათა შორის, სტრიქონსაც აღნიშნავს წიგნში.

თავდაპირველად მწკრივის მნიშვნელობით „წევრს“ ვხმარობდით («ქართ. გრამატიკა. I. მორფოლოგია». 1930, §§ 141, 142. 144, 146, 151), შემდეგ „რიგს“ («ძველი ქართული ენა»: ა. შანიძე, ა. ბარამიძე, ი. აბულაძე, «ძველი ქართული ენა და ლიტერატურა», 1934, გვ. 024, § 42, შნშ.); 1938 წლიდან საბოლოოდ „მწკრივზე“ გადავედი (ნ. «ძვ. ქართ. ენა» აღნიშნული კოლექტიური ნაშრომის მეხუთე გამოცემაში, 1938, გვ. 297, § 42, შნშ.).

ამ საკითხის შესახებ მოიპოვება ჩემი სპეციალური გამოკვლევა, რომელიც მოხსენებად წავიკითხე სსრ კავშირის მეც. აკადემიის ლიტერატურისა და

ენის განყოფილებაში 27 იანვარს 1941 წ.. ეს მოხსენება შემდეგ დაიბეჭდა («Категория ряда в глаголе. Общие вопросы формообразований глаголов на примерах грузинского языка»: ენის, ისტორიისა და მატერ. კულტურის ინსტიტუტის მოამბე, X, 209—229). ამ გამოკვლევაში კრიტიკულად განხილულია ძველი შეხედულებანი გრამატიკული დროის შესახებ. შემდეგ ეს გამოკვლევა შემოკლებულად დაიბეჭდა «ქართ. გრამატიკის საფუძვლების» წინასწარ გამოცემაში (I ნაკვეთი, 1942, 208—228). ამ წიგნის წინასიტყვაობაში, სხვათა შორის, ვწერდი:

მწკრივი სხვაა, დრო კი სხვაა, შუა უზის დიდი მზღვარი,
ნუვინ გარევთ ერთმანეთსა, გესმეს ჩემი ნაუბარი!

ა. ჩიქობავამ (რომელიც, სხვათა შორის, ჩემს მოხსენებასაც დაესწრო ლენინგრადში 27. I. 1941) მწკრივის ნაცვლად „ნაკვთი“ შემოიღო („ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში“. I. 1948, გვ. 7) და გამოთქვა აზრი, რომ „ნაკვთი“ გრამატიკული კატეგორია არ არისო. „მწკრივი“ რომ გრამატიკული კატეგორიაა, ეს ზემოთ არის დასაბუთებული (§ 269).

II. წარმოქმნის კატეგორიები

ზოგადი

297. უღლებისა და წარმოქმნის ფორმათა გასარჩევი ნიშანი. წარმოქმნის ფორმა ზმნაში იმით განსხვავდება უღლების ფორმისაგან, რომ ის ზმნას ძირითად ლექსიკურ მნიშვნელობას უცვლის და ახალს აძლევს. მაგრამ ეს ახალი ხშირად ისე ახლო დგას ძირეული ზმნის მნიშვნელობასთან, რომ ძნელია მისგან გამორჩევა. ამიტომ უნდა მონახულ იქნეს ისეთი ნიშანი, რომლის მიხედვით შესაძლებელი იქნება უღლებისა და წარმოქმნის ფორმათა გარჩევა. ეს ნიშანია მწკრივის გამეორება.

მივმართოთ მაგალითს: რა ურთიერთობაა „გააკეთა“ ფორმასა და „გაკეთდას“-ს შორის: არის ეს ფორმები ერთისა და იმავე ზმნისა, თუ სხვადასხვა ზმნისა? ლექსიკურ მნიშვნელობას თუ მივაქცევთ ყურადღებას, ძალიან ძნელია იმის თქმა, რომ ეს სხვადასხვა ზმნებიაო, იმიტომ რომ „ვანომ საქმე გააკეთა“ და „საქმე გაკეთდა“ ერთსა და იმავე მოქმედებას გადმოგვცემს, მაგრამ სხვადასხვა თვალსაზრისით: ერთი მოქმედი პირის გამოჩენით, მეორე — მის გამოუჩენლად. თუ აღნიშნულ ზმნებს გავშინჯავთ შემადგენელი ელემენტების მიხედვით, დავრწმუნდებით, რომ ერთიც და მეორეც წყვეტილის მწკრივის ფორმაა. თუ გადავიყვანთ ერთ მათგანს სხვა რომელსამე მწკრივში, მეორე ზმნაც გადაჰყვება, გადაჰყვება მესამე მწკრივშიც, მეოთხეშიც და შემდგომ: გააკეთოს — გაკეთდეს, გაუკეთებია — გაკეთებულა, გააკეთებს — გაკეთდება და სხვა. მაშასადამე, „გაკეთდა“ ზმნა *იმეორებს* „გააკეთა“ ზმნის მწკრივებს. აქედან დასკვნა: „გააკეთა“ და „გაკეთდა“, მიუხედავად მათი ლექსიკური მნიშვნელობის სიახლოვისა, სხვადასხვა ზმნებია. თუ ერთ მათგანს მივიჩნევთ *ძირეულად*, მეორე იქნება *წარმოქმნილი*. ვთქვათ „გააკეთა“ ძირეულია, მაშინ „გაკეთდა“ იქნება წარმოქმნილი (ვამბობთ „ვთქვათ“-ო, რადგანაც წარმოქმნის საკითხი ისე მარტივი არ არის ზმნებში, როგორც სახელებში).

298. პირთა რაოდენობის შეცვლა. არის სხვა ფორმალური ნიშანიც, რომელიც გვშველის იმის დადგენაში, წარმოქმნას განეკუთვნება ფორმა, თუ არა. ეს არის პირთა რაოდენობის შეცვლა: ერთ-პირიანი ზმნა რომ ორ-პირიანად გადავაკეთოთ ან ორ-პირიანი სამიანად ვაქციოთ, მივიღებთ წარმოქმნილ ფორმას. მაგალითი: „დაიმალა“ ერთ-პირიანია, „დაემალა“ კი — ორპირიანი. ესენი ერთიმეორის მიმართ სხვადასხვა ზმნებია. სხვადასხვა ზმნებად უნდა მივიჩნიოთ აგრეთვე „დამალა“ და „დაუმალა“, რადგანაც ერთია ორ-პირიანი, მეორე — სამ-პირიანი. ოთხივე აღნიშნული ზმნა ერთისა და იმავე ფუძისაგან არის გაკეთებული, მაგრამ სულ სხვადასხვა ზმნებია, თვითეული მათგანი *იმეორებს* სხვების მწკრივებს, ყველას თუ არა, უმეტესობას მაინც:

ა) **დაიმალება**, დაიმალებოდა, დაიმალებოდეს; **დაიმალა**, დაიმალოს; დამალულა, **დამალულიყო**, დამალულიყოს.

ბ) **დაემალება**, დაემალებოდა, დაემალებოდეს; **დაემალა**, დაემალოს; დამალვია, დამალვოდა, დამალვოდეს.

გ) დამალავს, დამალავდა, დამალავდეს; **დამალა**, დამალოს; დაუმალავს, დაემალა, დაემალოს.

დ) დაუმალავს, დაუმალავდა, დაუმალავდეს; **დაუმალა**, დაუმალოს (მესამე სერიის მწკრივები აკლია).

შეიძლება პირთა რაოდენობა ერთნაირი იყოს ორ ზმნაში, რომლებიც ერთისა და იმავე ფუძისაგანაა გაკეთებული, მაგრამ მათ შორის მაინც იყოს განსხვავება წარმოქმნის მიხედვით. ამისი მაგალითია: „გააკეთა“ და „გაიკეთა“; ამაშიც და იმაშიც ორი პირია გამოხატული, ლექსიკური მნიშვნელობითაც ახლო დგანან ერთმანეთთან, მაგრამ ისინი სხვადასხვა ზმნებია, რაც აშკარად ჩანს იქედან, რომ „გაიკეთა“ გაიმეორებს „გააკეთა“-ს ყველა მწკრივს, გარდა III სერიის მწკრივებისა (ეს სერია მეტად თავისებურია).

ზემორე თქმულის მიხედვით სხვადასხვა ზმნებია:

ა) ე რ თ- დ ა ო რ-პ ი რ ი ა ნ თ ა გ ა ნ: კვდება და უკვდება, დაკარგულა და დაჰკარგვია, რჩება და ჰრჩება (ასეთი წინადადებიდან: „დედა სამსახურში დადის და ბავშვი მარტო რჩება შინ“; „დედა სამსახურში დადის და ბავშვს ხმის გამცემი არავინ ჰრჩება შინ“) და მისთ.

ბ) ო რ- და ს ა მ-პ ი რ ი ა ნ თ ა გ ა ნ: დაწერა და დააწერა, მოჰრა და მოსჰრა („ხე მოჰრა“, „ყური მოსჰრა“), წაიღო და წაუღო და მისთ.

299. წარმოქმნის ურთიერთობა უღლებასთან. უღლებასა და წარმოქმნას შორის გარდაუვალი მზღვარი არ არსებობს. შეიძლება უღლების ელემენტი წარმოქმნის ელემენტად იქცეს ან პირუკუ.

თუ კატეგორიას, რომელსაც ჩვენ ელემენტი ვუწოდეთ (§ 268), განუვითარდა ფორმები ყველა მწკრივისათვის ან მათი უმეტესობისათვის, მაშინ ის დატოვებს უღლების ფარგლებს და წარმოქმნაში გადავა. პირუკუ: თუ წარმოქმნის კატეგორიას დაეკარგა მწკრივთა უმეტესობა და ერთში ან ორში იქნა შემონახული, მაშინ ის უღლების კატეგორიაში გადირიცხება. მაგალითი: მრავალგზისობის გამოხატვა რომ სამივე სერიის ყველა მწკრივში იყოს შესაძლებელი, მაშინ ის იქნება კატეგორია წარმოქმნისა და არა უღლებისა. პირუკუ: სათავისო ქცევის გამოხატვა რომ ერთ რომელსამე მწკრივში იყოს შესაძლებელი (მაგ., აწმყოში), სხვაგან კი არა, მაშინ ის უღლების კატეგორიაში გადაირიცხება.

300. წარმოქმნილ ფორმათა სხვადასხვაობა. წარმოქმნილ ფორმათაგან ზოგი გრამატიკული კატეგორიების რიცხვში ექცევა, ზოგი კი — არა, იმის მიხედვით, აქვთ მათ საკატეგორიო ნიშნები, თუ არა. ქართულში წარმოქმნის კატეგორიად უნდა მიჩნეულ იქნენ: გეზი, ორიენტაცია, ასპექტი, გვარი, ქცევა და კონტაქტი, რომლებიც საპირისპირო ფორმათა თანაარსებობის ნიადაგზეა ჩამოყალიბებული. ამათგან ასპექტი დღევანდელ ქართულში რამდენადმე უღლების კატეგორიადაც შეიძლება იქნეს მიჩნეული (§ 341), მაგრამ მას მეტი ნიშნები აქვს წარმოქმნისა და ამიტომ მისი განხილვა ამ განყოფილებაში მოვაქციეთ.

საზოგადოდ განსხვავება ერთისა და იმავე ფუძისაგან ნაწარმოებ ორ ზმნას შორის მით უფრო მეტია, რაც უფრო მეტი შესაძლებლობა აქვთ მათ, ფორმათა გამეორება გვიჩვენონ არა მარტო მწკრივებში, არამედ სახელზმნებში ც. ამ თვალსაზრისით ყველაზე მეტი გასაქანი აქვს ორ კატეგორიას, რომლებიც პირველად ამ წიგნის ერთი ნაკვეთის პირველ გამოცემაშია დადგენილი (1942 წ.).

წარმოქმნის ფორმათა მიმოხილვა სწორედ ამ კატეგორიებით უნდა დავიწყოთ.

ᲒᲔᲖᲘ ᲓᲐ ᲝᲠᲘᲔᲜᲢᲐᲪᲘᲐ

301. ᲒᲔᲖᲘᲡ ᲠᲐᲝᲑᲐ. გეზის სახელით აღვნიშნავ ზმნით გამოხატული მოქმედების დამოკიდებულებას სივრცეში მდებარე სხვადასხვა პუნქტთან, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ ეს დამოკიდებულება უარყოფითია ან დადებითი. თუ უარყოფითია, ზმნა არ აღნიშნავს არავითარ მიმართულებას არც ერთი პუნქტისაკენ, — მოქმედება აბსოლუტურია, ყველა პუნქტისადმი ნეიტრალურია, დადებით შემთხვევაში მოქმედება მიმართულია რომელიმე პუნქტისაკენ. პუნქტი შეიძლება იყოს მაღლა ან დაბლა, შიგნით ან გარეთ, გადაღმა ან გადმოღმა, ზედაპირზე ან სიღრმეში, წინ ან უკან. ამის მიხედვით გვაქვს ორი გეზი: მიუმართავი და მიმართული. მაგალითები: წერა და ჩაწერა, ხატვა და ჩახატვა, გდება და გაგდება, გორება და აგორება, ფრენა და გადაფრენა და სხვა. ამათგან მიუმართავ გეზს გვიჩვენებენ მარტივი ფორმები: წერა, ხატვა, გდება, გორება, ფრენა; ხოლო მიმართულ გეზს — რთული ფორმები: ჩაწერა, ჩახატვა, გაგდება, აგორება, გადაფრენა.

მიმართული გეზის ცნება მიმართულება არის. მიმართულება ქართულში რამდენიმე სახისაა.

302. ᲝᲠᲘᲔᲜᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲠᲐᲝᲑᲐ. ორიენტაციის სახელით აღვნიშნავ გრამატიკულ კატეგორიას, რომელიც გვიჩვენებს მოუბარი პირის დამოკიდებულებას ზმნით გამოხატულ მოქმედებასთან, რომლის მიხედვით ირკვევა, განიხილავს მოუბარი (1-ლი პირი) ამ მოქმედებას როგორც ისეთს, რომელიც მიმართულია იმ პოზიციისაკენ, რომელიც თვითონ უჭირავს სივრცეში, თუ როგორც ისეთს, რომელიც საწინააღმდეგო მიმართულებით მიდის. თუ მოქმედება მიმართულია იმ ადგილისაკენ, სადაც მოუბარი იმყოფება, მაშინ მოქმედების სუბიექტი (თუ ზმნა გარდაუვალია) ან პირდაპირი ობიექტი (თუ ზმნა გარდამავალია), აქეთ მოიმართება, უახლოვდება მოუბრის პოზიციას და, თუ მიმართულება საწინააღმდეგოა, მაშინ მოქმედების სუბიექტი ან პირდ. ობიექტი იქეთ მიიმართება, შორდება მას. ამის მიხედვით გვაქვს ორი ორიენტაცია: მაახლოებელი და მაშორებელი, ანუ სააქეთო და საიქეთო.

როგორც მიმართულებას, ისე ორიენტაციას, ქართ. ენა ზმნისწინის საშუალებით გამოხატავს. ამიტომ: ის ზმნები, რომლებიც ზმნისწინს არ დაირთავენ, მოკლებულია როგორც მიმართულების გამოხატვის საშუალებას, ისე ორიენტაციისას. მაგრამ, მეორე მხრით, ზმნისწინის დართვა ყოველთვის არ ნიშნავს ამ კატეგორიების გამოხატვას.

303. ზმნისწინი, მისი ადგილი და ზმნასთან დამოკიდებულება. თავში დართულ პირის ნიშნებს შეიძლება წინ უსწრებდეს ერთ- ან ორ-მარცვლიანი ნაწილი ზმნისა, რომელსაც ზ მ ნ ი ს წ ი ნ ი ეწოდება. „შეიძლება წინ უსწრებდეს“-ო, ვამბობთ, რადგანაც შეიძლება ზმნას არც ჰქონდეს იგი. თუ ეს ნაწილი ზმნას ახლავს, მაშინ მას სულ პირველი ადგილი უჭირავს და ცვალებადი პრეფიქსული ნაწილები (პირისა, გვარისა და ქცევის ნიშნები) შემდეგ მოუდის ზმნას. ისიც შეიძლება, რომ ასეთი ცვალებადი ნაწილები ზმნას თავში არც ჰქონდეს და მაშინ ზმნისწინი პირდაპირ ზმნის ფუძეზე იქნება წინიდან მიყრდნობილი, უშუალოდ, როგორიც უნდა იყოს საქმის ვითარება ამ მხრივ. სულ ერთია, ზმნისწინი მაინც ზმნის ნაწილად მიგვაჩნია და მის დანარჩენ ნაწილთან ერთად იწერება, გამოუყოფლად; მისი არც გადასმა შეიძლება და არც გამოთიშვა იმგვარად, რომ მასა და ზმნის დანარჩენ ნაწილებს შორის რამე სიტყვა ან ნაწილაკი იქნეს ჩასმული. მაგალითები: ქრის და **მი**-ქრის, **მო**-ქრის; მაქვს და **მი**-მაქვს, **მო**-მაქვს, **შე**-მაქვს, **გა**-მაქვს, **და**-მაქვს, **შემო**-მაქვს, **გადა**-მაქვს; თქვა და **და**-თქვა, **გამო**-თქვა, **გადა**-თქვა და მისთ.

ზმნისწინი მოუდის პირიან ზმნასაც და უპიროსაც (ზმნას ფ ა რ თ ო მნიშვნელობით). როგორც ერთში, ისე მეორეში შეიძლება იგი პირდაპირ ზმნის ფუძეზე იყოს მიყრდნობილი და შეიძლება გათიშული იყოს რაიმე მორფემით; მაგ., ტ ე ხ ფუძისაგან **გა** ზმნისწინის დართვით შემდეგი ფორმებია გაკეთებული:

პ ი რ ი ა ნ ი: გა-ტეხა (მან იგი), გა-ტეხს (იგი მას), გა-ვ-ტეხ, გა-გ-ტეხ, გა-მ-ტეხოს, გა-უ-ტეხია, გა-ე-ტეხა, გა-ი-ტეხა, გა-გი-ტეხა, გა-მი-ტეხა, გა-გვატეხოს და მისთ..

უ პ ი რ ო: გა-ტეხა (გატეხამ, გატეხას, გატეხის, გატეხით), გა-ტეხილი, გა-მ-ტეხი, გა-სა-ტეხი, გა-უ-ტეხელი (შდრ. §§ 323, 588—594, 596).

304. ზმნისწინიანი და უზმნისწინო ზმნები. ზმნისწინის ხმარების მიხედვით ზმნები ორ ჯგუფად იყოფა:

1. ზმნები ან ზმნის ფორმები, რომელთაც ზმნისწინი არ დაერთვის სრულებით; ასეთებია: ს წ ა მ ს, უ ყ ვ ა რ ს, ს ძ უ ლ ს, ჰ ღ ვ ი ძ ა ვ ს, ს ძ ი ნ ა ვ ს, ს წ ყ ი ნ ს, დ გ ა ს, ს წ ყ უ რ ი ა, ჰ შ ი ა, ს ც ა ლ ი ა, ა გ დ ი ა, ა ჩ ნ ი ა, ს წ ე რ ი ა, მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ლ ო ბ ს, კ ი თ ხ უ ლ ო ბ ს, ც ო ც ხ ლ ო ბ ს, ს ც ე მ ა და მისთ.

2. ზმნები, რომელთაც შეუძლიათ ზმნისწინი დაირთონ ან არ დაირთონ, მაგ., ხატვა და **და**-ხატვა, გრეხა და **და**-გრეხა, კრეფა და **მო**-კრეფა, წერა და **ჩა**-წერა, ფრინავს და **მი**-ფრინავს, გორავს და **და**-გორავს და მისთ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. იშვიათად ისეთი ზმნებიც გვხვდება, რომლებიც უზმნისწინოდ არ იხმარება; გვაქვს: **მი**-ვიდა, **მო**-ვიდა, **შე**-ვიდა, **გა**-ვიდა, **წა**-ვიდა, **და**-ვიდა, **გადა**-ვიდა, **ა**-ვიდა, **შემო**-ვიდა, **გამო**-ვიდა, **წამო**-ვიდა, **ამო**-ვიდა, მაგრამ ცალკე ვ ი დ ა ამჟამად არ მოგვეპოვება.

305. ზმნისწინის ფუნქციები. ზმნისწინს ქართულში დაკისრებული აქვს ოთხგვარი სამსახური: 1) აღნიშნოს მიმართულება და, ამასთანავე ერთად, 2) ორიენტაცია, 3) სრული სახით წარმოგვიდგინოს მოქმედება და 4) აწარმოოს სრულიად ახალი ზმნა. მესამე ფუნქცია ზმნისწინისა არ გამორიცხავს პირველ ორს, არამედ ჩვეულებრივ მათთან ერთად იხმარება. ამიტომ ზმნის-

წინს შეუძლია ერთსა და იმავე დროს აღნიშნოს გეზიც, ორიენტაციაც და მოქმედების სრული სახეც.

გეზისა და ორიენტაციის აღნიშვნა ადრინდელი ფუნქციაა ზმნისწინისა, სრული სახის გამოხატვა კი — მერმინდელი, შედარებით ახალი. ადრინდელი ანუ პირვანდელი მნიშვნელობისაგან ზმნისწინს განვითარებული აქვს კიდევ მეოთხე ფუნქცია, ერთისა და იმავე ძირის საშუალებით სხვადასხვა მოქმედება გამოხატოს; მაგ., *გ ო ნ* ძირისაგან გვაქვს სულ სხვადასხვა მნიშვნელობის ზმნები: **გა-გონება, ჩა-გონება, შე-გონება, მო-გონება** (**გა-ა-გონა, შე-ა-გონა, ჩა-ა-გონა, მო-ა-გონა**), **ღ** ძირისაგან: **მი-ღება, წა-ღება, კალ** ძირისაგან: **და-კვლა** და **მო-კვლა**. ასეთივეა აგრეთვე: **და-ქცევა** და **წა-ქცევა, წა-კითხვა** და **მო-კითხვა** და ბევრი სხვა.

ზმნისწინი ერთი ნიშანთაგანია ზმნისა: ზმნისწინი თუ მოეპოვება სიტყვას, ის ზმნაა (თუ *ვ ი წ რ ო* მნიშვნელობით არა, *ფ ა რ თ ო თ ი* მაინც), გარდა, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევებისა, როდესაც ფორმას გაწყვეტილი აქვს კავშირი ზმნასთან და გადარიცხულია სხვა მეტყველების ნაწილში.

ზმნისწინის წარმოშობის საკითხი მჭიდროდაა დაკავშირებული ზმნის ჩამოყალიბებასთან. გარკვეული ნიშნები ზმნას მხოლოდ ზმნისწინის წყალობით აქვს მოპოვებული: გეზი, ორიენტაცია, ასპექტი (უკანასკნელი ახალ ქართულში). თუ ზმნას არ ეწყობა ზმნისწინი, მას არ შეუძლია გამოხატოს არც ერთი მათგანი. პირველი ორი მაინც მხოლოდ ზმნისწინის ზმნასთან ხმარების შედეგია, ასპექტი კი შეიძლება საზოგადოდ სხვაგვარადაც იქნეს გამოხატული.

ზმნისწინის მეოთხე ფუნქციის აღნუსხვა ლექსიკონის საქმეა; სამე ფუნქციაზე, რომელიც ქართ. სამწერლობო ენის ისტორიულ მანძილზე შემუშავდა (ე. ი. ისეთ ხანაში, რომლისთვისაც წერილობითი ძეგლები მოგვეპოვება) და რომელიც მოქმედების სრული სახის გამოხატვას გულისხმობს, ქვემოთ გვექნება საუბარი, ასპექტის განხილვასთან დაკავშირებით, აქ კი ჯერ მის პირველსა და მეორე ფუნქციაზე შევაჩეროთ ყურადღება.

306. მოქმედების მიმართულება და პირველი პირი. მოქმედების მიმართულების აღნიშვნა პირვანდელი დანიშნულება იყო ზმნისწინისა, რიმელი დანიშნულებაც მას დღევანდლამდე შეჰრჩა ზმნაში, განსაკუთრებით მკაფიოდ კი ისეთებში, რომლებიც მოძრაობას გამოხატავენ. როგორც აღნიშნული გვაქვს (§ 205), ყოველი მოქმედება, პირიანი ფორმით გამოხატული, მთუბრის ანუ მომთხრობი პირის თვალსაზრისით არის გადმოცემული (ეს პირი 1-ლი პირია მხ. რიცხვისა). ეს საერთო მოვლენაა ყოველ ენაში. მაგრამ ქართულში მომთხრობის თვალსაზრისი მოქმედების მიმართულების აღნიშვნის დროსაც არის გატარებული, რაც საერთო მოვლენად ვერ ჩაითვლება: ზოგ ენას იგი აქვს, ზოგს კი — არა.

307. ორიენტაცია იქეთკენ და აქეთკენ. ავიღოთ ჯერ ეს წყვილი ზმნისწინი: **მი** და **მო** და ვნახოთ მათი ძირითადი მნიშვნელობა. „ცურავს“ ზმნასთან, მაგალითად, **მი**-ც შეგვიძლია ვიხმაროთ და **მო**-ც: **მი-ცურავს, მო-ცურავს**. ამათგან „ცურავს“ აღნიშნავს გარკვეული სახის მოძრაობას წყალში ორიენტაციის აღუნიშნავად, ხოლო **მი-ცურავს** და **მო-ცურავს** ამასთანავე აღნიშნავენ ცურვის ორიენტაციას: **მი-ცურავს** *ი ქ ი თ კ ე ნ*, *ს ა დ ა ც მ ე ა რ*

ვ ა რ, **მო**-ცურავს — ა ქ ე თ კ ე ნ. ს ა დ ა ც მ ე ვ ა რ. რაც ითქვა „ცურავს“ ზმნის შესახებ, იგივე შეგვიძლია გავიმეოროთ ამათ შესახებაც: გორავს, ფრინავს, ქრის, ბზუის და მრავალი სხვა ზმნის შესახებაც. მართლაც: **მი**-გორავს და **მო**-გორავს ისეთსავე ურთიერთობაშია „გორავს“ ფორმასთან, როგორც **მი**-ცურავს და **მო**-ცურავს „ცურავს“ ფორმასთან. ასევეა აქაც: ქრის და **მი**-ქრის, **მო**-ქრის; ფრინავს და **მი**-ფრინავს, **მო**-ფრინავს; ბზუის და **მი**-ბზუის, **მო**-ბზუის და მისთ.. მაშასადამე, **მი** და **მო** ნაწილაკებმა გარკვეული ხასიათის ცვლილება შეიტანეს ზმნის ლექსიკურ მნიშვნელობაში, აღნიშნეს მიმართულება, რომელიც უიმათოდ ზმნაში არ არის მოცემული: „ცურავს“-ო, რომ თქვეს, ის გავიგეთ მხოლოდ, რომ ვიღაც ან რაღაც მოძრაობს წყალში და სხვა არაფერი, **მო**-ცურავს კი მეტს გვეუბნება: წყალში მოძრაობს ისე, რომ იმ ადგილს უახლოვდება, სადაც მე ვარ, **მი**-ცურავს — ჰშორდება იმ ადგილს, სადაც მე ვარ. „ტროიკა, რომელსაც ნუნუ **მი**-ჰყავნდა, **მი**-ჰგრიალებდა ვლადიკავკასისაკენ“ (ყაზბ., 367,14) — ვხვდებით, რომ ტროიკა ჰშორდებოდა იმ ადგილს, სადაც ძოუბარი იმყოფებოდა.

საზოგადოდ, **მი** და **მო** ერთიმეორის საწინააღმდეგო ზმნისწინებია, როგორც ამას სხვა მაგალითებიც გვიჩვენებს: **მი**-იტანა და **მო**-იტანა, **მი**-ვიდა და **მო**-ვიდა, **მი**-ფრინდა და **მო**-ფრინდა, **მი**-აკითხა და **მო**-აკითხა, **მი**-აგება და **მო**-აგება, **მი**-ცუნცულდა და **მო**-ცუნცულდა და მისთ.. მაშასადამე, ამ ნაწილაკებს დაკისრებული აქვთ გამოხატონ მოქმედების მოძრაობა 1-ლი პირისაკენ ან საწინააღმდეგო მიმართულებით.

308. მიმართულების ხუთი სახე. **მი** და **მო** ისეთი ზმნისწინებია, რომ გვიჩვენებენ მოქმედების ორიენტაციას მე-3 პირისაკენ (ი ქ ე თ კ ე ნ) ან 1-ლი პირისაკენ (ა ქ ე თ კ ე ნ). ეს ორიენტაცია, რა თქმა უნდა, სივრცეს გულისხმობს, მაგრამ მეტი არაფერია მოცემული: ჩიტი **მი**-ფრინდა, ჩიტი **მო**-ფრინდა — ვიცით, რომ ჩიტმა ფრენით მიაღწია ან იქ, სადაც მე არა ვარ (ჩიტი **მი**-ფრინდა), ან აქ, სადაც მე ვარ (**მო**-ფრინდა). ორსავე შემთხვევაში მარტივი ვითარებაა გამოხატული: 1-ლი პირის პოზიციის დამოკიდებულება ჩიტის ჰაერში მოძრაობასთან.

სხვა ზმნისწინებში მეტია მოცემული, ვიდრე „იქითკენ“ ან „აქეთკენ“. აქ ყურადღება ექცევა იმასაც, თუ როგორია ურთიერთობა სივრცეში ორი პუნქტისა, რომელთაგანაც ერთია ისეთი, საიდანაც მოძრაობა იწყება, და მეორე, — საითკენაც იგი მიიმართება. მაშასადამე, აქ უკვე ზმნისწინით ერთსა და იმავე დროს ორგვარი ვითარებაა გამოხატული: ა) 1-ლი პირის პოზიცია სუბიექტის ან ობიექტის მოძრაობის დროს და ბ) ურთიერთობა ორ პუნქტს შორის, რომლებიც სხვადასხვანაირად მდებარეობენ სივრცეში. 1-ლი პირის პოზიცია აღნიშნულია ხოლმე ან წართქმითად (ე. ი. აღნიშნულია, რომ მოძრაობა 1-ლი პირისკენაა), ან უარყოფითად (ე. ი. ისე, რომ მოძრაობა მისკენ არ არის მიმართული, ანუ, — რაც იგივეა, — მოძრაობაა მე-3 პირისკენ [მე-2 პირის შესახებ ამ საკითხში ნ. § 312]. განვიხილოთ მიმართულების სახეები.

ადამიანთა, ცხოველ-ფრინველთა და სხვა არსებათა და საგანთა მოქმედება და მოძრაობა ბუნებაში სივრცეს გულისხმობს; მაგალითად,

ა) თუ ჩიტი ძირს არის და ხეზე ა ფ რ ი ნ დ ა, მაშინ მოძრაობას მიმართულება ექნება დაბლიდან მაღლა, ან **ქვევიდან ზევით;**

ბ) ჩიტი შეიძლება ხიდან ძირს დაეშვას, ე. ი. იმოძრაოს მაღლიდან დაბლა, ანუ **ზევიდან ქვევით;**

გ) თუ ვიტყვით: ჩიტი გ ა მ ო ფ რ ი ნ დ ა-ო, მაშინ ვგულისხმობთ მოძრაობას **შიგნიდან გარეთ** (ოთახიდან, ბეღლიდან, ტყიდან, ბუჩქიდან და სხვ.);

დ) თუ ჩიტი ველზეა და ტყისკენ მიეშურება, რომ შიგ შეიმალოს, ვიტყვით შ ე ფ რ ი ნ დ ა-ო. ამასვე ვიტყვით მაშინაც, თუ ჩიტი ბეღელში, სახლში ან სხვა შენობაში ან ისეთ რამეში შესრიალდა ფრენით, რომელიც ირგვლივ შემოცულია (გამოქვაბული, ბუჩქი და სხვა). აქ კი მიმართულებაა **გარედან შიგნით;**

ე) თუ ჩიტი ჰაერში მოძრაობის დროს მდინარეს ან მთას გადასცილდა, ვიტყვით გ ა დ ა ფ რ ი ნ დ ა-ო.

მაშასადამე, მოძრაობა სივრცეში (მიმართულება) შეიძლება ხუთი სახისა იყოს: ა) ქვევიდან ზევით; ბ) ზევიდან ქვევით; გ) შიგნიდან გარეთ; დ) გარედან შიგნით და ე) ისე, რომ დაძლეულ იქნეს მოძრაობის დროს წინ დახვედრილი რაიმე დაბრკოლება (ღობე, შენობა, მდინარე, მთა).

309. მიმართულების სახეთა გამოხატვის საშუალებანი. თვითეულ სახეს მიმართულებისას მოეპოვება წყვილ-წყვილი ზმნისწინი, რომელთაგანაც ერთი შედგენილობით მარტივია (მარტივია მეორესთან შედარებით) და თან აღნიშნავს მაშორებელ ორიენტაციას, მეორე კი შედგენილობით რთულია (დართული აქვს **მო** პირველთან შედარებით) და განეკუთვნება ისეთ შემთხვევებს, როდესაც ორიენტაცია მაახლოებელია ნაგულისხმევი.

1. ქვევიდან ზევით. ასეთი მიმართულების მაჩვენებელი ზმნისწინებია **ა** და **ამო: ა** — მოძრაობაა ი ქ ე თ, სადაც მე არა ვარ (ზევით არ ვარ), **ამო** — მოძრაობაა ა ქ ე თ, სადაც მე ვარ (ზევით ვარ). მაგალითები:

ა) იქეთ: **ა**-ვიდა, **ა**-ფრინდა, **ა**-ვარდა, **ა**-ცურდა, **ა**-გორდა, **ა**-იყვანა, **ა**-აგდო, **ა**-ზიდა და სხვა [მაშორებელი ორიენტაცია].

ბ) აქეთ: **ამო**-ვიდა, **ამო**-ფრინდა, **ამო**-ვარდა, **ამო**-ცურდა, **ამო**-გორდა, **ამო**-იყვანა, **ამო**-აგდო, **ამო**-ზიდა და სხვა [მაახლოებელი ორიენტაცია].

2. ზევიდან ქვევით. ასეთი მოძრაობის გამოსახატავად იხმარებოდა და ნაწილობრივ ეხლაც იხმარება **და**, ხოლო მისი ტყუპის ცალი **დამო** კი — აღარა ამის გამო საორიენტაციო ძალას **და** ზმნისწინი მოკლებულია. მაგალითები:

და-ვიდა, **და**-ფრინდა, **და**-ვარდა, **და**-ცურდა, **და**-გორდა, **და**-იყვანა, **და**-აგდო და სხვა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. **და** ზმნისწინის ხმარების არე ზ ე ვ ი დ ა ნ ქ ვ ე ვ ი თ მიმართულების აღსანიშნავად ძალიან შეზღუდულია. როგორც ქვემოთ ვნახავთ (§ 310), ამ მნიშვნელობით დღევანდელ ენაში გაბატონებულია **ჩა**, რომლის პირველადი მნიშვნელობა მეტია, ვიდრე „ზევიდან ქვევით".

რაც შეეხება **დამო**-ს, ის დღეს სრულიად აღარ არის ცოცხალი მაწარმოებელი, ნაშთის სახით კი გვხვდება ამ სიტყვაში: „დამოკიდებული" (ვამბობთ: „ეს იმაზეა დამოკიდებული"-ო, აქედან: „დამოკიდებულება"). **დამო**-ს ადგილი დღეს საყოველთაოდ **ჩამო**-ს უჭირავს: ძველად თუ

იტყოდნენ: „დამოჰკიდეს ძელსა"-ო, დღეს ვიტყვით: „ხეზე ჩამოჰკიდეს"-ო.

3. შიგნიდან გარეთ. ამის გამოსახატავად იხმარება **გა** და **გამო**: **გა** — მოძრაობაა ი ქ ე თ, სადაც არა ვარ (გარეთ არა ვარ), **გამო** — მოძრაობაა აქეთ, სადაც ვარ (გარეთ ვარ). მაგალითები:

ა) ი ქ ე თ: **გა**-ვიდა, **გა**-ფრინდა, **გა**-ვარდა, **გა**-ცურდა, **გა**-გორდა, **გა**-იყვანა, **გა**-აგდო, **გა**-ზიდა და სხვა [მაშორებელი ორიენტაცია].

ბ) ა ქ ე თ: **გამო**-ვიდა, **გამო**-ფრინდა, **გამო**-ვარდა, **გამო**-ცურდა, **გამო**-გორდა, **გამო**-იყვანა, **გამო**-აგდო, **გამო**-ზიდა და სხვა [მაახლოებელი ორიენტაცია].

4. გარედან შიგნით. ამის გამოსახატავად იხმარება **შე** და **შემო**: **შე** — მოძრაობაა ი ქ ე თ, სადაც არა ვარ (შიგნით არა ვარ), **შემო** — მოძრაობაა ა ქ ე თ, სადაც ვარ (შიგნით ვარ). მაგალითები:

ა) ი ქ ე თ: **შე**-ვიდა, **შე**-ფრინდა, **შე**-ვარდა, **შე**-ცურდა, **შე**-გორდა, **შე**-იყვანა, **შე**-აგდო, **შე**-ზიდა და სხვა [მაშორებელი ორიენტაცია].

ბ) ა ქ ე თ: **შემო**-ვიდა, **შემო**-ფრინდა, **შემო**-ვარდა, **შემო**-ცურდა, **შემო**-გორდა, **შემო**-იყვანა, **შემო**-აგდო, **შემო**-ზიდა და სხვა [მაახლოებელი ორიენტაცია].

5. დაბრკოლების გადალახვა. ამის გამოსახატავად მოგვეპოვება **გადა** და **გადმო**: **გადა** — მოძრაობაა ი ქ ე თ, სადაც არა ვარ (გადაღმა არა ვარ), **გადმო** — მოძრაობაა ა ქ ე თ, სადაც ვარ (გადმოღმა ვარ). მაგალითები:

ა) ი ქ ე თ: **გადა**-ვიდა, **გადა**-ფრინდა, **გადა**-ვარდა, **გადა**-ცურდა, **გადა**-გორდა, **გადა**-იყვანა, **გადა**-აგდო, **გადა**-ზიდა და სხვა [მაშორებელი ორიენტაცია].

ბ) ა ქ ე თ: **გადმო**-ვიდა, **გადმო**-ფრინდა, **გადმო**-ვარდა, **გადმო**-ცურდა, **გადმო**-გორდა, **გადმო**-იყვანა, **გადმო**-აგდო, **გადმო**-ზიდა და სხვა [მაახლოებელი ორიენტაცია].

მაშასადამე, მოძრაობა ქ ვ ე ვ ი დ ა ნ ზ ე ვ ი თ და ზ ე ვ ი დ ა ნ ქ ვ ე ვ ი თ ერთმანეთის საწინააღმდეგო გაგებას გვაძლევს — ორსავე შემთხვევაში იგულისხმება ორი პუნქტი, რომელთაგანაც ერთი მაღლა ძევს და მეორე — დაბლა. ასეთსავე საწინააღმდეგო გაგებას გვაძლევს მოძრაობა შ ი გ ნ ი დ ა ნ გ ა რ ე თ და გ ა რ ე დ ა ნ შ ი გ ნ ი თ, — აქაც ორ პუნქტს შორის არის მოძრაობა: ერთი პუნქტია შიგნით, მეორე კი — გარეთ. თვითეულს ამ მიმართულებათაგანს წყვილ-წყვილი მაწარმოებლები აქვს საორიენტაციოდ.

რაც შეეხება მიმართულების იმ სახეს, რომელიც რაიმე დაბრკოლების გადალახვას გულისხმობს, აქაც არსებითად ორი პუნქტი იგულისხმება, რომლებიც ერთმანეთისაგან გაყოფილია ამ დამაბრკოლებელი საგნით (ღობით, მდინარით, საზღვრით და სხვ.).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ქართული სალიტერატურო ენის უძველესი პერიოდის ძეგლებში (V — X სს.-ში) გვხვდება კიდევ ერთი წყვილი ზმნისწინი: **წიაღ** და **წიაღმო**, რომლებიც წყალთან დაკავშირებით იხმარებოდა; წ ი ა ღ-ქ დ ა — წყალზე გადავიდა, წ ი ა ღ მ ო-ქ დ ა — წყალზე გადმოვიდა. მაგრამ დღეს წყლიანი დაბრკოლების დაძლევაც **გადა**-თი და **გადმო**-თი გადმოიცემა.

აქ ჩამოთვლილმა ზმნისწინებმა აღნიშნეს 5 სახე მიმართულებისა და 2 ორიენტაცია. აქედან ცხადია, რომ გრამატიკაში მიმართულების ცნება სხვა არის და ორიენტაციისა — სხვა. მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ა, როგორც გრამატიკული კატეგორია, გულისხმობს მოძრაობას სივრცეში რომელიმე მიმართულებით ამა თუ იმ გარემოებაში მყოფი პუნქტისაკენ, მაგრამ ისე, რომ მოუბარი პირის პოზიცია მხედველობაში არ არის მიღებული, ო რ ი ე ნ ტ ა ც ი ა კი გულისხმობს მარტოოდენ მოძრაობის ურთიერთობას მოუბარი პირის პოზიციასთან, სხვა გარემოებათა ანგარიშ-გაუწევლად. ამის მიხედვით წინა პარაგრაფში განხილული **მი** და **მო** საორიენტაციო ზმნისწინებია, ამ პარაგრაფში განხილულები კი — მიმართულებისაცა და ორიენტაციისაც.

მაგრამ ქართულში მიმართულება, ჩამოთვლილთ გარდა, სხვანაირიც შეიძლება იქნეს დასახელებული, ან კიდევ დასახელებულ იქნეს არა მოქმედების მიმართულება ს ა ი თ კ ე ნ მ ე, არამედ ა რ ე, **ს ა დ ა ც** მოქმედება წარმოებს. გამარტივების მიზნით უკანასკნელსაც „მიმართულება“ ვუწოდოთ.

310. ორმაგი მიმართულება. მიმართულება გ ა რ ე დ ა ნ შ ი გ ნ ი თ შეიძლება გართულდეს ახალი მომენტის მიმატებით: თუ შიგნითა პუნქტი გარეთაზე დაბლა ძევს, შეიძლება აღნიშნულ იქნეს, რომ ა) მოქმედება მიიმართება გ ა რ ე დ ა ნ შ ი გ ნ ი თ და ამასთანავე ერთად ·ბ) ზ ე ვ ი დ ა ნ ქ ვ ე ვ ი თ. ამისთვის მოგვეპოვება წყვილი ზმნისწინი: **ჩა** და **ჩამო: ჩა** — მოძრაობაა ი ქ ე თ, სადაც არა ვარ (ქვევით არა ვარ), **ჩამო** — მოძრაობაა ა ქ ე თ, სადაც ვარ (ქვევით ვარ). მაგალითები:

ა) ი ქ ე თ: **ჩა**-ვიდა. **ჩა**-ფრინდა, **ჩა**-ვარდა, **ჩა**-ცურდა, **ჩა**-გორდა, **ჩა**-იყვანა, **ჩა**-აგდო, **ჩა**-ზიდა და სხვა [მაშორებელი ორიენტაცია].

ბ) ა ქ ე თ: **ჩამო**-ვიდა, **ჩამო**-ფრინდა, **ჩამო**-ვარდა, **ჩამო**-ცურდა, **ჩამო**-გორდა, **ჩამო**-იყვანა, **ჩამო**-აგდო, **ჩამო**-ზიდა და სხვა [მაახლოებელი ორიენტაცია].

ამ „რთულ“ მიმართულებას (თუ შეიძლება ასე ითქვას) და „მარტივ“ ზ ე ვ ი დ ა ნ ქ ვ ე ვ ი თ მიმართულებას შორის, რომელიც **და**-თი გადმოიცემა (§ 309), ის განსხვავებაა, რომ **და** მიგვითითებს მოძრაობას ზედაპირისაკენ, **ჩა** კი — მოძრაობას სიღრმისაკენ. გარეგნულად ეს იმით იცნობა, რომ ზედაპირისაკენ მოძრაობა **ზე** თანდებულს მოითხოვს სახელთან, სიღრმისკენ კი — **ში**-ს. **ზე**-სთან **და** უნდა, **ში**-სთან — **ჩა** და **ჩამო**. ითქმის: თხრილ-**ზე** **და**-ვარდა, მაგრამ: თხრილ-**ში** **ჩა**-ვარდა (**ზე**-დართულ სახელს **ჩა**-დართული ზმნა არ ეწყობა და **ში**-დართულ სახელს — **და**-დართული ზმნა).

და-ს მნიშვნელობა კარგად ჩანს ისეთ გამოთქმაში, როგორიცაა ზღაპრის სიტყვები: „რწყილი ა ხ ტ ა, დ ა ხ ტ ა, მივიდა ღორთან და სთხოვა“. აქ ა-ხტა და **და**-ხტა ერთმანეთის საპირისპირო ფორმებია: ა-ხტა გულისხმობს მოძრაობას ქ ვ ე ვ ი დ ა ნ ზ ე ვ ი თ, **და**-ხტა კი — მოძრაობას ზ ე ვ ი დ ა ნ ქ ვ ე ვ ი თ, მაგრამ რისამე ზედაპირზე. **ჩა**-ხტა კი მეტია, ვიდრე **და**-ხტა: ჩ ა ხ ტ ა — ზევიდან ქვევით, მაგრამ რაღაც სიღრმეში: წყალში, მიწაში, ორმოში, თხრილში, ჭაში და სხვაში. ის მეტია აგრეთვე, ვიდრე **შე**-ხტა: „ოთახში შეხტა“-ო, რომ თქვეს, მივხვდით, რომ მოძრაობა ყოფილა გ ა რ ე დ ა ნ შ ი გ ნ ი თ, მაგრამ „ოთახში ჩახტა“-ო, რომ გავიგონეთ, მივხვდით, რომ მოძრაობა ყოფილა გ ა რ ე დ ა ნ ა ც და ზ ე ვ ი დ ა ნ ა ც, სახურავის მხრიდან.

ჩა ზმნისწინის ასეთი მნიშვნელობა იმით აიხსნება, რომ ეს მაწარმოებელი წარმოშობით რთულია — შედგება ორი ზმნისწინისაგან: **შე+და.** ამ რთული ზმნისწინისაგან ხმოვნის რედუქციის შემდეგ მივიღეთ **შდა** (შედა→შდა), რომელმაც თავის მხრით ასიმილაციის გზით მოგვცა **შთა;** ამან კი თანხმოვანთა შერწყმის შემდეგ (§ 34) — **ჩა.** ამიტომ **ჩა** შეიცავს ორისავე შიგ შემავალი ზმნისწინის გაგებას: გარედან შიგნით **(შე)** და ზევიდან ქვევით **(და).**

ერთია ამასთანავე კიდევ აღსანიშნავი: **და**-თი ორიენტაციას ველარ გამოვხატავთ (§ 309,2 შნ.), **ჩა**-ს კი შესწევს ამის უნარი, ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ **ამო** ზმნისწინის საპირისპირო ცარიელი ადგილი **ჩამო**-მ დაიჭირა და შემდეგ თვით ა-საც **ჩა** დაუპირისპირდა. ამგვარად, ერთი ა-ს საპირისპიროდ მივიღეთ ორი: **და** და **ჩა, ამო**-ს საპირისპიროდ კი — მარტო **ჩამო.** თბილისიდან კოჯორს ა-ვიდა ან **ამო**-ვიდა, მაგრამ: კოჯრიდან თბილისს **ჩა**-ვიდა ან **ჩამო**-ვიდა (იმისდა მიხედვით, თუ სად იმყოფება მომთხრობი პირი).

შენიშვნა. **ჩა**-თი აღნიშნულ მიმართულებას შეიძლება „ორმაგი“ ეწოდოს მხოლოდ გრამატიკული თვალსაზრისით.

311. მოქმედება წინა და უკანა არეში. აღნიშნულ ზმნისწინთა რიცხვს უნდა დავსძინოთ კიდევ ორი წყვილი: **წა** და **წამო** და **უკუ** და **უკმო.** პირველი წყვილი გამოხატავს მოქმედებას წინა არეში, მეორე წყვილი კი აღნიშნავს მოქმედებას უკანა არეში. ეს წყვილები ერთმანეთის საპირისპირო „მიმართულების“ მაჩვენებლებია, ოღონდ მათ შორის ის განსხვავებაა, რომ **წა** და **წამო** ცოცხალი მაწარმოებლებია დღესაც, **უკუ** და **უკმო** კი ძველადაც იშვიათად იხმარებოდა, — მხოლოდ ზოგიერთ ზმნასთან, — ეხლა კი თითქმის ველარსად ვხვდებით.

წა აღნიშნავს მოძრაობას, მომთხრობისაგან დამაშორებელს, **წამო**- კი — მოძრაობას, მომთხრობის დამაახლოებელს. მაგალითები·

ა) იქეთ: **წა**-ვიდა, **წა**-ცურდა, **წა**-გორდა, **წა**-იყვანა, **წა**-აგდო, **წა**-ზიდა და სხვა [მაშორებელი ორიენტაცია].

ბ) აქეთ: **წამო**-ვიდა, **წამო**-ცურდა, **წამო**-გორდა, **წამო**-იყვანა, **წამო**-აგდო, **წამო**-ზიდა და სხვა [მაახლოებელი ორიენტაცია].

„ქუთაისიდან გორს წამოვიდა“-ო, შეიძლება ისეთმა კაცმა თქვას, რომელიც ან გორშია, ან გორის აღმოსავლეთით: მცხეთაში, თბილისში, თელავში, ბაქოში და სხვაგან, მაგრამ ბათომში ან სოხუმში (ცხუმში) მყოფი იტყვის: „ქუთაისიდან გორში წავიდა“. „ფეხი აღარ წაიტეხეს სტუმრებმა“ (ყაზბ., 211,39. გაჯავრებით არის ნათქვამი).

თუ **წა** და **წამო** წინა არეს გულისხმობენ სამოქმედო ასპარეზად, სამაგიეროდ **უკუ**-სა და **უკმო**-ს მოქმედება უკანა არეში გადააქვთ. **წა,** ასე ვთქვათ, ფრონტალურ ვითარებას გადმოგვცემს, **უკუ** კი — ზურგისას. კარგად ჩანს მათი დაპირისპირება **წა**-(ღ)მართ-სა და **უკუ**-(ღ)მართ-ში (§ 36,3).

დღევანდელმა სალიტ. ქართულმა არ იცის **უკუ** და **უკმო,** გარდა ისეთი გამოთქმებისა, როგორიც არის „პირ-უკუ“ და „წინა-უკმო“. ძველად კი ერ-

თიც და მეორეც ზმნისწინად იყო გამოყენებული; მაგ., «ვეფხის ტყაოსანში» იკითხება:

თვალთა ხელი *უკუ-ივლო*, ცხელნი ცრემლნი მოიწურნა (93).
წა, *უკუ-დეგ*! ავი, შმაგი, უმეცარი, შლეგი, წბილი! (759).
უკუ-დგეს და თაყვანი-სცეს მეფემან და მისთა სპათა (46).
უკუ-ჰყივლე: აწ გამოჩნდეს, არ მინდოდეს, ვისმცა ვუნდი (556).
ერთი კაცი *უკმო-რე-სწყდა*, მოდგა, მალვით მეუბნების (432).

ერთ ხალხურ ლექსში მელია ამბობს:

უკუ-ვიხედე, მომდევდა პატრონი, გზირის შვილია.

უკუ-დეგ — უკან მიდეგ, *უკუ-დგეს* — უკან დაიხიეს, *უკუ-ჰყივლე* — უკან მივიხედე და მივაძახე, *უკმო-რე-სწყდა* — მოსწყდა ცოტა უკან.

312. ორიენტაციის აღნიშვნა და მეორე პირი. ორიენტაცია, რომელიც 1-ლ პირისკენს უპირისპირდება, არის ორიენტაცია მე-3 პირისაკენ; **ამო-**ვიდა — აქ, ჩემთან, **ა-**ვიდა — იქ, სადაც მე არა ვარ. ამგვარად, ზმნაში გარკვევით აღინიშნება 1-ლი პირისკენი ორიენტაცია, აღინიშნება წართქმით, მე-3 პირისკენი ორიენტაცია კი აღინიშნება, მაგრამ უკუთქმით, იმდენად, რამდენადაც ეს მიმართულება არ არის 1-ლი პირისკენ.

როგორიღაა საქმის ვითარება ორიენტაციის საკითხში მე-2 პირთან, რომლის მყოფობის არე მკაფიოდ გარჩეულია ჩვენებით ნაცვალსახელებში და ზმნიზედებში: ეს, **ეგ,** ის, ასეთი, **ეგეთი,** ისეთი; ამნაირი, **მაგნაირი,** იმნაირი; აქ, **მანდ,** იქ? საერთო მოსაზრების თანახმად მოსალოდნელი იყო, რომ მე-2 პირისკენ მიქცეული მოქმედებაც აშკარად გამოჩნდებოდა, მაგრამ ქართ. ენას ამისი საშუალება არ მოეპოვება. რადგანაც მე-2 პირი ის პირია, რომელსაც ეუბნებიან, ხოლო ასეთი პირი ჩვეულებრივ იქვე არის, სადაც მოუბარია, ამიტომ ის 1-ლი პირის მყოფობის არეში იგულისხმება და იმავე ზმნისწინს ხმარობს, რასაც 1-ლი პირი, ე. ი. **მო-**ს: როდესაც ვკითხულობთ: „თქვენთანაც კი **მო-**მასწავლეს"-ო (ჭავ., «კაც.ადამ.»), ეს იმას ნიშნავს, რომ მე-2 პირი, რომელსაც ელაპარაკებიან, იქვეა, სადაც 1-ლი პირი. ამიტომ გვაქვს:

(1-ლი პირი)	(მე-2 პირი)	(მე-3 პირი)
მო-მცა	**მო-**გცა	**მი-**სცა
მო-მყიდა	**მო-**გყიდა	**მი-**ჰყიდა
მო-მწერა	**მო-**გწერა	**მი-**სწერა
მო-მმართა	**მო-**გმართა	**მი-**(ჰ)მართა
მო-მიტანა,	**მო-**გიტანა	**მი-**უტანა და მისთ.

ძველად მე-2 პირისკენ მიქცეული მოქმედება გარკვეულ შემთხვევებში **მი-**თი გადმოიცემოდა („ესე ყოველი **მი-**გცე", მათ. 4,9 = ამას ყველაფერს **მო-**გცემ; „რაჲ-იგი იყოს სამართალი, **მი-**გცე თქუენ", მათ. 20,4 = რაც ალალი იქნება, **მო-**გცემ თქვენ; „მთხოვე მე, რაჲცა გნებავს, და **მი-**გცე შენ", მარკ. 6,22 = მთხოვე რაც გინდა და **მო-**გცემ შენ. მაგრამ დღეს ასეთ მოვლენას ადგილი აღარ აქვს: „**მო-**გესალმებით, ქედებო, **მო-**მაქვს სალამი გვიანი" («ბახტრ.»).

მე-3 პირზედაც ითქმის **მო**: **მო**-ჰგვარა, **მო**-სწერა, **მო**-უტანა და მისთ., მაგრამ ასეთ შემთხვევაში იგულისხმება, რომ მე-3 პირიც ახლოს არის 1-ლ პირთან, იქვეა სადღაც და, მაშასადამე, აქ მაინც ნაჩვენებია მოქმედების ორიენტაცია 1-ლი პირისკენ: „ნათლიმამამ (ლუარსაბ) ნახევარი ლიტრა კალმახი მოართვა" (ჭავ., «კაცია-ად.»).

როდესაც **მი**-ს და **მო**-ს სრულიად დაკარგული აქვს პირვანდელი ფუნქცია, აღნიშნონ მოქმედების გეზი და ორიენტაცია, მაშინ მათ პირთა განურჩევლად ვხმარობთ: **მი**-ვიღე, **მი**-მაჩნია, **მო**-აგონა, **მო**-იფიქრა, **მო**-კლა და მისთ.

318. ზმნისწინთა შედგენილობა. ჩამოვწეროთ ყველა ზმნისწინი ორ მწკრივად[1]: პირველში მოვაქციოთ ის ზმნისწინები. რომლებიც ორიენტაციას გვიჩვენებენ მე-3 პირისაკენ (ი ქ ე თ), მეორეში კი — ისინი, რომლებიც ორიენტაციას გვიჩვენებენ 1-ლი პირისკენ (ა ქ ე თ). ამის მიხედვით გვექნება:

	1	2	3	4	5	6	7	8	9
ა) საიქეთო ორ.	**მი**	**ა**	**და**	**გა**	**შე**	**ჩა**	**გადა**	**წა**	**უკუ**
ბ) სააქეთო ორ.	**მო**	**ამო**	[**დამო**]	**გამო**	**შემო**	**ჩამო**	**გადმო**	**წამო**	**უკმო**

ამგვარად, მიღებულია ცხრა წყვილი ზმნისწინი, რომელთაგანაც უკანასკნელი (**უკუ** და **უკმო**) დღევანდელი ქართულის კუთვნილება აღარ არის, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ასეთ ნაშთს: „მტერი უკუ-ვაგდეთ". თუ **წიაღ**-სა და **წიაღმო**-საც დავუმატებდით, მაშინ 10 წყვილი იქნებოდა.

თუ შევადარებთ ამ მწკრივებს ერთმანეთს, ადვილად დავრწმუნდებით, რომ სააქეთო ორიენტაციის ზმნისწინები, პირველის გარდა, წარმოადგენენ განმეორებას საიქეთო ორიენტაციისას, ოღონდ დართული აქვთ **მო**, რომელიც ცალკეც იხმარება. როგორც **მი**-ს საპირისპირო მორფემა. მაშასადამე. ორიენტაციის განსხვავება ორივე მწკრივის ზმნისწინებს შორის (პირველი წყვილის გარდა) გამოხატულია **მო**-ს დართვა-დაურთველობის საშუალებით. ამ დებულებას არ ეწინააღმდეგება შედარება **გადა**-სი და **გადმო**-სი, ერთი მხრით, და **უკუ**-სი და **უკმო**-სი, მეორე მხრით, რადგანაც აქ ბოლო ხმოვნების დაკარგვასთან გვაქვს საქმე: **გადა-მო→გად-მო**, **უკუ-მო→უკმო** (უმარცვლოდ გამხდარი **უ** დაიკარგა **მ**-ს მეზობლობაში). ბოლო ხმოვნის დაკარგვა **გადა**-ში შეიძლება **მო**-ს დაურთველადაც მოხდეს: „გადიარეს" (ყაზბ., «ციკო»), „გადუშვირა თოფი" (იქვე).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. **მი**-ზე **მო**-ს დართვა გვაქვს „მიმო-სვლა"-სა, „მიმოქცევა"-სა და რამდენიმე სხვაში („სისხლის მიმოქცევა", „ზღვის მიმოქცევა"), მაგრამ ესენი იქეთ და აქეთ მიმართულებას აღნიშნავენ, რაც, ჩვეულებრივ, ზმნის გაორკეცებით გადმოიცემა: მიდი-მოდის, გადი-გამოდის და მისთ.

ნათქვამის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ მაშორებელი ორიენტაციის ზმნისწინები მარტივია, მაახლოებლისა კი — ყველა რთული, გარდა პირველისა. მაგრამ ასეთი დასკვნა სწორი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზმნისწინის შედგენილობას **მო**-ს ქონების თვალსაზრისით შევხედავთ. რომ მაშორებლებშიც მოიპოვება რთული შედგენილობის ზმნისწინი, ამისი მაგალითი **ჩა**-ს ანალიზზე ვნახეთ: **ჩა←შთა←შდა←შე-და** (§ 306). მაგრამ იმავე მწკრივში

[1] ეს სიტყვა აქ ჩვეულებრივი მნიშვნელობით არის ნახმარი: მ წ კ რ ი ვ ი — რივი.

სხვაც არის რთული შედგენილობის ზმნისწინი, რომელიც მეორე ნაწილად იმავე **და**-ს გვიჩვენებს: **გა-და.** ამას გარდა, რთულია უძვ. ქართულის **წი-აღ**-იც.

თუ **მო**-დართულ ფორმებს არ მივიღებთ მხედველობაში, მაშინ გაუმეორებელ ზმნისწინთა რიცხვი დღევანდელ ქართულში იქნება ცხრა: **მი, მო, გა, შე, ა, და, ჩა, გადა, წა.** ეს არის ის ძირითადი მარაგი, რომლითაც ქართული ენა ახერხებს მოქმედების მიმართულება სივრცეში კონკრეტულად წარმოგვიდგინოს და თანაც გვიჩვენოს მოუბარი პირის ურთიერთობა ამ მიმართულებასთან.

314. ზმნისწინები ძველი სახით ახალ ქართულში. ზოგ ზმნისწინს ძველად სხვა სახე ჰქონდა, ვიდრე დღეს. სალიტ. ენის მანძილზე ძირითადი მარაგიდან ცვლილება არ განუცდია ოთხს; ესენია: **მი, მო, შე, და;** სხვები კი იცვალნენ, ზოგი მეტად, ზოგი ნაკლებად: ყველაზე მეტი ცვლილება **შთა**-ს მოუვიდა, რომელიც **ჩა**-დ იქცა, სხვებს კი ჩამოეკვეცათ ბოლო თანხმოვანი (სრული შედგენილობის **გარდა**-ში „ბოლო თანხმოვანი" პირველ ნაწილს აქვს), როგორც ამას აქვე შესადარებლად დართული ცხრილი გვიჩვენებს:

ა) ძველად იყო:	**გან**	**აღ**	**შთა**	**გარ-და**	**წარ**
ბ) ეხლა არის:	**გა**	**ა**	**ჩა**	**გა-და**	**წა**

ძველად იტყოდნენ: გან-ვიდა, გან-აღო, გან-ყო, გან-მართლდა, ეხლა კი ვამბობთ: გა-ვიდა, გა-აღო, გა-ყო, გა-მართლდა.

ძველად იტყოდნენ; შთა-ვიდა, შთა-ყო, შთა-აგდო, ეხლა კი ვამბობთ: **ჩა**-ვიდა, ჩა-ყო, ჩა-აგდო.

ძველად იტყოდნენ: გარდა-აგორვა, გარდა-იღო, გარდა-ჰკიდა, ეხლა კი ვამბობთ: გადა-აგორა, გადა-იღო, გადა-ჰკიდა.

ძველად იტყოდნენ: წარ-ვიდა, წარ-უძღუა, წარ-მოიყვანა, ეხლა კი ვამბობთ: წა-ვიდა, წა-უძღვა, წა-მოიყვანა.

მაშასადამე, **გან**-მა **ნ** დაკარგა და დაგვრჩა **გა, აღ**-მა **ღ** დაკარგა და მივიღეთ **ა, შთა ჩა**-დ იქცა, **გარდა**-სგან **გადა** მივიღეთ, **წარ**-მა **რ** დაკარგა და დაგვრჩა **წა.** მაგრამ ეს ძველი სახის ზმნისწინები ზოგ შემთხვევაში ეხლაც გვხვდება და იხმარება როგორც პირიან ზმნაში, ისე უპიროში. მაგალითები:

გან: გან-ახლება, გან-აგრძობს, გან-გმირვა, გან-დევნა, გან-დეგილი, გან-ვითარება, გან-ზრახვა, გან-თავისუფლება, გან-თიადი, გან-თქმული, გან-კარგულება, გან-კერძოებული, გან-კიცხული, გან-კუთვნილი, გან-კურნება, გან-მარტება, გან-მეორებით, გან-მტკიცება, გან-საზღვრა, გან-სხვავება, გან-ქრა (ყაზბ., «ელისო»), გან-ჰქრა (ყაზბ., «მამის მკვლ.»), გან-ქიქება, გან-ყენებული, გან-შორება, გან-ცვიფრება, გან-ცხადება, გან-ცხრომა, გან-წირული, გან-ხილვა, გან-ხორციელება და სხვა.

აღ: აღ-ბეჭდილი, აღ-გზნება, აღ-დგენა, აღ-დგომა, აღ-ზრდა, აღ-კვეთა, აღ-კრძალვა, აღ-მატება („არ აღემატება"), აღ-ნიშვნა, აღ-ნუსხვა, აღ-ორძინება, აღ-რევა, *აღ-სრულება (აქედან: აღმასრულებელი, აღმასკომი, § 158), აღ-ტაცება, აღ-ტყინება, აღ-ფრთოვანება, *აღ-შენება (აქედან: აღმშენებელი, აღმშენებლობა), აღ-შფოთება, აღ-წერა, აღ-ჭურვა და სხვა; აღმო-სავლეთი, აღმოცხვრა, აღმო-ჩენა, აღმო-ცენება და სხვა.

შთა: შთა-ბეჭდილება, შთა-გონება, შთა-მო-მავლობა, შთა-ნთქმული.

გარდა: გარდა-მავალი, გარდა-უვალი, გარდა-ტეხა, გარდა-ქმნა, გარდა-ცვალება.

წარ: წარ-დგომა (წარ-დგა), წარ-მავალი, წარ-მო-თქმა, წარ-მო-შობა.

კაცმა რომ თქვას, ეს სიტყვები არსებითად ლიტერატურული გზით არის ძველი ქართულიდან გადმოცემული ან გადმოღებული.

315. მნიშვნელობის დიფერენციაცია. ზოგჯერ ერთიმეორის გვერდით მოგვეპოვება ძველი და ახალი სახე ზმნისწინისა. უმეტესად ასეთი სიტყვები ერთისა და იმავე ლექსიკური მნიშვნელობით იხმარებიან, მაგრამ განსხვავდებიან სტილისტიკურად. მაგ., აღ-გზნებას ვიტყვით. თუ ა-გზნებას, ლექსიკური მნიშვნელობის თვალსაზრისით სულ ერთია ჩვენთვის, ისე როგორც სულ ერთია **აღ**-შფოთება და **ა**-შფოთება, **აღ**-კრძალვა და **ა**-კრძალვა, **გან**-თავისუფლება და **გა**-თავისუფლება, **წარ**-დგენა და **წა**-დგენა, **წარ**-მოთქმა და **წა**-მოთქმა, **გარდა**-ქმნა და **გადა**-ქმნა, **გარდა**-ცვალება და **გადა**-ცვალება და მისთანანი.

მაგრამ არის ხოლმე შემთხვევები, როცა ძველი და ახალი ფორმა ლექსიკური მნიშვნელობის სადიფერენციაციოდ არის გამოყენებული. მაგ., **აღ**-ზრდა და **ა**-ზრდა დღეს, — თუ საყოველთაოდ არა, მრავალ შემთხვევაში მაინც,—სხვადასხვა მნიშვნელობის მქონეა: **აღ**-ზრდა გულისხმობს ჩვევა-ცოდნისა და განათლების მიცემას ბავშვისა და მოზარდისათვის, **ა**-ზრდა კი — ზრდას სიმაღლეზე (კაცისას, ცხოველისას, მცენარისას). ამის მიხედვით სხვადასხვა გაგებას მოგვცემს „უშნოდ აღზრდილი" და „უშნოდ აზრდილი". მსგავსად ამისა სხვადასხვაა **წარ**-სული და **წა**-სული, **აღ**-დგომა და **ა**-დგომა, **გან**-ახლება და **გა**-ახლება და სხვა. ეს განსხვავება ნათლად გამოჩნდება ფრაზებში, ითქმის: „ეს ამბავი წ ა რ ს უ ლ შ ი მოხდა", მაგრამ არ ითქმის: „ჩემი ძმა ქალაქშია წ ა რ ს უ ლ ი"; ითქმის: „მუშაობა განახლდა", მაგრამ: „ძველისძველი იყო და, რომ გარეცხეს, თითქო გაახლდაო".

316. ახალი გააზრება. თუ ძველი სახის ზმნისწინის ხმარება სისტემებრია და მკვიდრი ენაში, შეიძლება მოხდეს გადასინჯვა მთელი ზმნის ფორმისა (ზმნისწინითურთ) მისი შედგენილობის დასადგენად და ზმნისწინის ბოლო თანხმოვანი ფუძეში იქნეს გადარიცხული—ის ფუძეს შეეზარდოს (ოღონდ ეს ამბავი ეხება მარტო სამ ზმნისწინს; ესენია: **გან, აღ, წარ**). ამგვარი ახალი გააზრების შედეგია ასეთი ფორმები: „გაენთავისუფლებინათ" (ყაზბ., «ციკო»), „ისიც გავანთავისუფლო" (ყაზბ., «ელისო»), „თავს ინთავისუფლებს" და მისთ., რაც გვავარაუდებინებს, რომ ვინც ასეთ ფორმებს ხმარობს, მისთვის აქ ზმნისწინია **გა**, ხოლო **ნ** ფუძეს ეკუთვნის: გა-ნთავისუფლება (და არა: გან-თავისუფლება). ამგვარივე მოვლენაა აქაც: გა-ნსახიერება („ანსახიერებს"), გა-ნკურნება („როგორ ინკურნებიან მუშები": «კომ.» 31. 8. 1927), გა-ნვითარება („ინვითარებს"), გა-ნხორციელება („გაანხორციელა", „გაუნხორციელებელი") და სხვ.

ამგვარივე მოვლენაა **წარ**-დგენაშიც. კანცელარიის ენაში ხშირად გვხვდება: „ამასთანავე ერთად ვარდგენ" და „გირდგენ", რაც გულისხმობს, რომ ზმნა ასეა გააზრებული: წა-რდგენა.

აღ-ს კაი ხანია დაეწყო ღ-ს დაკარგვა: უკვე X ს.-ის ძეგლებში გვხვდება გამარტივებული სახე ამ ზმნისწინისა. ახალ ქართულში ის შემონახულია რო-

ჯორც იშვიათი ნაშთი. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ამ ზმნისწინიანი ფორმის შედგენილობის გადასინჯვამ ის ფუძეს მიაკუთვნოს: „ამ ხანში იაგო მოუთმენლად ელოდა ნუნუს, რომლის დაგვიანებაც ისე აწუხებდა და აღ-შ ფ ო თ ე ბ დ ა იმის გულს" (კარიჭაშვილის გამოცემა. 208,31; აბაშელის გამოც. 181,10): ფრაზაში მოყვანილი ფორმა შედეგია ასეთი ანალიზისა: ა-ღშფოთება (და არა: აღ-შფოთება); „და ბ-ნ დიამბეგს კი აღსრულებინებდნენ თავიანთ პირად სურვილს". ლიტერატურული თვალსაზრისით ორში ერთი: ან „აღასრულებინებდნენ" (როგორც შესწორებულია ა. აბაშელის გამოცემაში, 187,17), ან კიდევ: „ასრულებინებდნენ".

აღ-იან ზმნებში განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ ორზე: ერთია **აღ-იარება** და მეორე **აღ-ორძინება.** პირველის გარშემო კაი ხანია წარმოებს კამათი სალიტერატურო ენის ასპარეზზე: ვ ა ღ ი ა რ ე ბ უნდა, თუ ა ღ ვ ი ა რ ე ბ-ო. წარმოშობით, რა თქმა უნდა, **ღ** ეკუთვნის ზმნისწინს, მაგრამ ლიტერატურაში გვხვდება მისი ფუძესთან შეზრდის შემთხვევები, რის გამოც პრეფიქსული ნაწილები (მაგ., პირის ნიშნები) წინ არის გადმოსული: „ღვთის წინაშე ვ ა-ღ ი ა რ ე ბ" (ჭავ., «გლახის ნაამბობი»), „გამორკვევამ გამოააშკარავა და იძულებული გახადა რეზოლუციის ავტორები, თვითონ ე ღ ი ა რ ე ბ ი ნ ა თ, რომ" («კომ.», 19.8.1927). თუ აღ-ს დღესაც ზმნისწინად გავიგებდით, მაშინ მოყვანილი ფორმების ნაცვლად უნდა იყოს: ა ღ-ვ ი ა რ ე ბ და ა ღ-ე ა რ ე ბ ი ნ ა თ (ან ა ღ ე ა რ ნ ა თ). ამ ზმნის საწყისი ძველად **აღ**-სარება იყო, მაგრამ მან განსაკუთრებული მნიშვნელობა მიიღო ქრისტიანული ეკლესიის პრაქტიკაში და ამიტომ საჭირო გახდა ახალი საწყისის გაკეთება: ა ღ ი ა რ ე ბ ა, აქედან გვაქვს მიმღეობა: ა ღ ი ა რ ე ბ უ ლ ი, მაშასადამე, ზმნისწინის **ღ** შეზრდილია ფუძესთან სათავისო ქცევის ნიშნითურთ!

„აღორძინების" საკითხი უფრო მარტივია. მართალია, **აღ** აქაც ზმნისწინია წარმოშობით, მაგრამ რაკი „ორძინ" ფუძე დღეს აღარსად გვხვდება უზმნისწინოდ ან სხვა ზმნისწინთან, ან საზოგადოდ სხვა შედგენილობით და სხვა დაჯგუფებაში, ამიტომ **ღ** ბგერის ზმნისწინიდან ზმნის ფუძეში გადარიცხვა ადრე, სწრაფად და ადვილად მოხდა. დღეს იშვიათად თუ სადმე იქნება კაცი, რომ, ძველი ქართულის ცოდნის გავლენით, აღ-ში ზმნისწინი იცნოს, საზოგადოდ კი ფუძედ აქ უკვე ღ ო რ ძ ი ნ მიაჩნიათ. ამიტომ ჩვეულებრივია ასეთი ფორმები: ა ს ა ღ ო რ ძ ი ნ ე ბ ლ ა დ (ყაზბ., «ელისო»), ღ ო რ ძ ი ნ დ ე-ბ ა და სხვა (ძველი ნორმის მიხედვით მოსალოდნელი იყო: „აღ-საორძინებლად", „ორძინდება"). **ღ** ისე მკვიდრად შეეზარდა ფუძეს და მის განუყრელ ნაწილად იქცა, რომ ყაზბეგი შესაძლებლად ცნობს წინ სხვა ზმნისწინი დასვას: „თვით უძრავნი ყვავილნიც კი თითქოს შეიძრნენ, გადიშალნენ, იცვალეს მკრთალი ფერი და, ღამის ნამით **გაღორძინებულნი**, მსწრაფად გაცხოველდნენ" («მამის მკვლელი»).

317. ᲙᲐᲚᲙᲘ. კ ა ლ კ ი ეწოდება სიტყვებისა და გრამატიკული ფორმების იმგვარადვე ხმარებას, როგორც ეს სხვა ენისთვის არის დამახასიათებელი. მაგ., ხევსური რომ ცისარტყელას „მშვილდ-ისარს" დაუძახებს („მშვილდ-ისარანი"), ეს წოვა-თუშურის კალკია [წ.-თ. ღ ა ტ ყ-წ ა ქ ი—ცისარტყელა (სიტყვასიტყვით: მშვილდ-ისარნი)]. ჩვენ რომ ერთ კომპლექტ ტანისამოსზე „ერთ ხ ე ლ ტანისამოსს" ვამბობთ, ეს სპარსულის კალკი-ჩანს (**დაქ დასტ ჯამა**). ამგა-

მად გავრცელებული გამოთქმები: „რაც არ უნდა მოხდეს“, „რადაც არ უნდა დამიჯდეს“ რუსულის კალკია, სადაც უარყოფითი ნაწილაკი აუცილებელია: что бы ни случилось; во что бы то ни стало.

რუსული ენის გავლენა ქართულზე, სხვათა შორის, რამდენადმე ზმნისწინების ხმარებაზედაც გავრცელდა. უკანასკნელ ხანებში არის ცდა **გან**-სა და **გა(რ)და**-ს მისცენ ისეთი მნიშვნელობა, რომელიც წინათ უცნობი იყო.

1. რუს. ზმნა ან ნაზმნარი სახელი, რომელშიც შედის ზმნისწინი раз (მომდევნო ყრუ ბგერასთან ასიმილაციით рас) ხშირად ისე ითარგმნება ქართულად, რომ ზმნას **გა(გან)** ზმნისწინი მოუდის: разбить—გატეხა, разобрать—გარჩევა, развернуть—გაშლა, разделить—გაყოფა, различить—გარჩევა, расколоть—გაპობა, растерзать—გაგლეჯა, распределить—განაწილება, распоряжение—განკარგულება და სხვა. ამ ნიადაგზე ქართ. **გან**-ი გაიგივებულ იქნა რუს. раз-თან და გამოყენებულ იქნა ზმნებში ისეთ სიტყვათა გადმოსაღებად, როგორიცაა: разгрузить—განტვირთვა, разоружить—განიარაღება, раскулачить—განკულაკება.

2. რუს. пере მრავალ შემთხვევაში უნაკლოდ ითარგმნება **გადა**-თი: перенести—გადატანა, передать—გადაცემა, перевести—გადათარგმნა და სხვა. მაგრამ ქართ. **გადა** ყოველთვის არ უდრის რუს. пере-ს. „გადატვირთვა“ ჩვეულებრივ ტვირთის გადაღებას ნიშნავს, მაგრამ რუს. п е р е груженный-ს გავლენით გ ა დ ატვირთული ამჟამად ჭარბად დატვირთულის, ანუ ზედმეტად დატვირთულის მნიშვნელობით იხმარება; ასეთივე კალკია: п е р екупщик—გ ა დ ა მყიდველი, п е р ерасход—გ ა დ ახარჯვა, переутомленный—გ ა დ აღლილი.

318. ქართული ენის შედარება ზოგიერთ ენასთან გეზისა და ორიენტაციის საკითხში. ქართულს ძალიან უხვად აქვს ზმნისწინები, მაგრამ ზოგ ენას ერთი მწკრივი აქვს ზმნისწინებისა (და არა ორი), ზოგს იმ ერთ მწკრივშიც ცოტა აქვს, ზოგს კი სულაც არ მოეპოვება არავითარი ზმნისწინი; მაგ., სომხურში ძალიან იშვიათია ზმნისწინი, არაბულში ის სულ არ მოიპოვება.

1. შესადარებლად ჯერ არაბულს მივმართოთ. ჩვენ ერთი „ვიდა“-საგან სხვადასხვა ზმნისწინის საშუალებით სხვადასხვა ზმნა შეგვიძლია გავაკეთოთ. **შემო**-ვიდა, **გა**-ვიდა, **ჩამო**-ვიდა და სხვა, სამაგიეროდ არაბულს აქ სულ სხვადასხვა ფუძის ზმნები აქვს: დ ა ხ ა ლ ა („შემოვიდა“, „შევიდა“), ხ ა რ ა ჯ ა („გამოვიდა“, „გავიდა“), ნ ა ზ ა ლ ა („ჩამოვიდა“, „ჩავიდა“). ჩვენ ზმნისწინით ვარჩევთ **შემო**-სავალს, **გა**-სავალს და **ჩამო**-სავალს, მაშინ როდესაც არაბულს მათ შესატყვისად სხვადასხვა ფუძისაგან ნაწარმოები სიტყვები აქვს, რომლებიც ქართულშიც არის შემოსული სესხის სახით: დ ა ხ ლ-ი („შემოსავალი“), ხ ა რ ჯ-ი („გასავალი“), მ ა ნ ზ ი ლ-ი (ქართულში მ ა ნ ძ ი ლ ა დ გადაკეთებული: „ჩამოსავალი“, ე. ი. სადაც ჩამოვლენ, ანუ ჩამოხდებიან ხოლმე ცხენებიდან თუ აქლემებიდან და დაისვენებენ მოგზაურობის დროს, ე. ი. სადგური: აქედან შემდეგ სიგრძის ზომა სადგურებს შორის, მერმე მანძილი საზოგადოდ).

ამო-ვიდა და **და**-ვიდა ან **ჩა**-ვიდაო, ვამბობთ ჩვენ მნათობთა შესახებ (მზისა, მთვარისა, ვარსკვლავისა), ამიტომ გვაქვს მარტოოდენ ზმნისწინით გარჩეული სიტყვები: **აღმო**-სავლეთი და **და**-სავლეთი, არაბულს კი აქ სულ სხვა-

დასხვა ზმნა მოეპოვება: შარაკა („ამოვიდა“ მნათობი: მზე, მთვარე, ვარსკვლავები) და ღარაბა („დავიდა“, „ჩავიდა“ მნათობი), საიდანაც ნაწარმოებია მაშრიკი ანუ მაშრიყი (აღმოსავლეთი) და მაღრიბი (დასავლეთი), რომლებიც ქართულშიც არის შემოსული. «ვეფხ.» ერთ ტაიპში, რომელიც მერმინდელ ჩანართად ითვლება, იკითხება·

მოვიდიან შესამკობლად ქვეყნით ყოვლნი სულიერნი:
კლდით ნადირნი, წყალშიგ თევზნი, ზღვით ნიანგნი, ცით მფრინველნი,
ინდო-არაბ-საბერძნეთით, მაშრიყით და მაღრიბელნი,
რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი და მისრეთით მეგვიპტელნი (968).

ცხადად ჩანს, თუ რამდენი თავისუფლება ჰქონია ქართულს, რომ ერთი ფუძისაგან რამდენიმე ზმნა გააკეთოს სხვადასხვა ზმნისწინის დართვით. არაბული კი იძულებულია, რომ ერთისა და იმავე მოქმედების აღსანიშნავად, რომელიც სხვადასხვა მხარეს არის მიმართული, ზმნისწინის უქონლობის გამო, სხვადასხვა ფუძეს მიმართოს. ამიტომ ზმნის ფუძეთა რაოდენობა არაბულში გაცილებით მეტია, ვიდრე ქართულში. ამის გამო რომელიმე კაცისთვის, რომლისთვისაც ქართულიც უცხოა და არაბულიც, ქართულის სალექსიკონო მარაგის დაძლევა უფრო ადვილი უნდა იყოს, ვიდრე არაბულისა.

აქედან დასკვნა: მოქმედების გეზის გამოხატვა გრამატიკული საშუალებით არაბულს არ შეუძლია, მაგრამ ამ ნაკლს ის მდიდარი ლექსიკის საშუალებით ივსებს. ორიენტაციაზე ლაპარაკი აქ შეუძლებელია.

2. ეხლა ზმნისწინის მქონე ენაც ავიღოთ, მაგ., რუსული, და შევადაროთ ქართულს; ავიღოთ, მაგ., წინადადება: „პეტრე მივიდა და წერილი მიუტანა პავლეს“ და ვთარგმნოთ რუსულად: Петр пришел и принес письмо Павлу. ეხლა ესეც ვთარგმნოთ: „პეტრე მოვიდა და წერილი მოუტანა პავლეს“. მაინც იგივე გამოვა რუსულად. მაშასადამე, ის განსხვავება, რომელიც ქართულში არის **მი**-ვიდა და **მი**-უტანა-სა და **მო**-ვიდა და **მო**-უტანა-ს შორის, რუსულმა ენამ ვერ აღნიშნა: пришел **მი**-ვიდა-საც ნიშნავს და **მო**-ვიდა-საც, принес — **მი**-უტანა-საც და **მო**-უტანა-საც. მაშასადამე, ერთი რუსული ზმნისწინი при ორი ქართულის შესაფერისად არის გამოყენებული: იგი **მი**-საც ფარავს და **მო**-საც, განურჩევლად. ასეა მიმართულების სხვა სახის ზმნისწინებშიც. ზედმიწევნილობის დასაცავად რუსული ენა ასეთ შემთხვევაში სხვა სიტყვებს მიიშველებს: მივიდა—пришел туда, მოვიდა—пришел сюда, მაგრამ თვითონ ზმნა მოკლებულია საშუალებას, აღნიშნოს, სხვა სიტყვის დაუხმარებლად, მოქმედების მიმართულება აქეთ და იქეთ, რადგანაც რუსულს აქვს ერთი მწკრივი ზმნისწინებისა და არა ორი, როგორც ეს ქართულშია. ამიტომ, მაგ., თუ რომელსამე შენობას (ვთქვათ, დიდი სადგურის დარბაზს) ორი კარი აქვს, ერთი შესვლისთვის განკუთვნილი და მეორე გამოსვლისთვის, ერთსა და იმავე კარს რუსულად ერთი და იგივე წარწერა უნდა გაუკეთდეს შიგნიდანაც და გარედანაც, ქართულად კი — სხვადასხვა: შესავალ კარს რუსულად ორივე მხრიდან вход დაეწერება, ქართულად კი — შიგნიდან: შემოსავალი, გარედან: შესავალი; გამოსავალ კარს რუსულად ორსავე მხარეს выход დაეწერება, ხოლო ქართულად — შიგნიდან: გასავალი, გარედან: გამოსავალი.

აი ეს კონკრეტულობაა, რომ ქართულს ახასიათებს მოქმედების სივრცესთან დამოკიდებულების საკითხში: ქართულს შეუძლია გეზიც აღნიშნოს და ორიენტაციაც, რუსულს კი გეზის აღნიშვნა შეუძლია, მაგრამ გრამატიკული კატეგორია ორიენტაციისა მისთვის უცხოა.

319. მეორეული მნიშვნელობა ზმნისწინისა. ზმნისწინი, რა თქმა უნდა, წარმოქმნის ელემენტია, მაგრამ მისი საშუალებით წარმოქმნილი ზმნა ძალიან არ არის დაშორებული ძირეული ზმნის ლექსიკურ მნიშვნელობას: წარმოქმნილი ზმნა, გეზისა და ორიენტაციის გარდა, იგივეა, რაც ძირეული. მაგრამ ზმნისწინმა შეიძლება დაკარგოს ამ ორი ფუნქციის აღნიშვნის უნარი და გადაიქცეს სრულიად ახალი ზმნის მაწარმოებელ ელემენტად. მაგალითი: **კალ** ფუძისაგან გაკეთებული გვაქვს **მო**-კლა და **და**-კლა. ესენი ორივე გულისხმობს სიცოცხლის წართმევას, მაგრამ სხვადასხვაგვარად: **მო**-კლა-ო, თუ ვქვეს, ვგულისხმობთ სიცოცხლის წართმევას საზოგადოდ, არ ვიცით, როგორ და რა საშუალებით, თუ იარაღი იგულისხმება, ეს იარაღი ს ა ს რ ო ლ ი უნდა იყოს: ქვა, ჯოხი, თოფი, ისარი და სხვა; მაგრამ თუ თქვეს **და**-კლა-ო, ვგულისხმობთ, რომ სიცოცხლე წაურთმევიათ წაქცეულისთვის რაღაც მ ჭ რ ე ლ ი იარაღით: ხმლით, ხანჯლით, დანით. **მო**-კლა და **და**-კლა ზმნები თუმცა ახლოს არიან ერთმანეთთან, მაგრამ განსხვავება მათ შორის არ არის გეზობრივი ხასიათისა, არამედ სხვაგვარი. სხვა მაგალითი: **წა**-გება და **მო**-გება სულ სხვადასხვა ზმნებად გვესმის, თუმცა მათ ერთი და იგივე ფუძე აქვთ. აქ ნახმარ ზმნისწინებს არარაფერი კავშირი აქვთ გეზის აღნიშვნასთან. მიმართული გეზის აღნიშვნა ორიენტაციასაც გულისხმობს, ამათ კი საპირისპირო ფორმები არ მოეპოვებათ. ითქმის: ფული **მო**-იგო, მაგრამ არ ითქმის: ფული **მი**-იგო; ითქმის: ქონება **წა**-აგო, მაგრამ არ ითქმის: ქონება **წამო**-აგო. ეხლა ეს ვნახოთ: არის თუ არა **გა**-კეთება-ში **გა** ზმნისწინი გეზის მაჩვენებელი? — არა, არ არის; რომ იყოს, მაშინ გვექნებოდა როგორც **გა**-აკეთა, ისე **გამო**-აკეთა, გარჩეული მარტო ორიენტაციის მიხედვით. **გამო**-აკეთა, მართალია, ითქმის, მაგრამ ის სხვა ზმნაა, ვიდრე **გა**-აკეთა: გ ა მ ო ა კ ე თ ა — უკეთესი გახადა, გამოასწორა.

თითქო **ჩა**-წერა და **ჩამო**-წერა საპირისპირო ფორმებია, განსხვავებული მხოლოდ ორიენტაციის მიხედვითო, მაგრამ არა: **ჩა**-წერა-ს აქვს შიგნითკენ მიმართულების გამოხატვის უნარი, **ჩამო**-წერა კი ამას მოკლებულია, მრავალ შემთხვევაში მაინც; იმიტომ რომ, როცა ამბობენ „სიტყვები **ჩამოწერა**“-ო, აქ სრულიად არ ვგულისხმობთ წერის ორიენტაციას აქეთკენ.

მეორეული მნიშვნელობა ყველაზე მეტად **გა** და **და** ზმნისწინებს აქვთ მოპოვებული: **გა**-ტეხა არ არის შიგნიდან გარეთ გატეხა, ხოლო **შე**-ტეხა და **ჩა**-ტეხა მიმართულების გაგებასაც შეიცავენ. ამგვარადვე **და**-მალა არ ნიშნავს ზემოდან ქვევით მოქმედებას, ხოლო **შე**-მალა და **ჩა**-მალა სათანადო მიმართულების გაგებას მოკლებული არ არის.

იმდენად მრავალფეროვანია წარმოქმნის ნიუანსები ზმნისწინთა გამოყენების საკითხში, რომ შეუძლებელია, სპეციალური გამოკვლევის გარეშე, აღინუსხოს, თუნდაც მიახლოვებით, ძირითადი ხაზები ამ საკითხში.

აქ აღვნიშნავთ მხოლოდ ზოგიერთ თავისებურებას **და** და **შე** ზმნისწინისას.

და-ს შესახებ უნდა მოვიგონოთ, რომ ის **ა**-ს საპირისპირო მიმართულების აღმნიშვნელია და გვხვდება როგორც დამოუკიდებლივ, ისე **შე**-სთან შერწყმული (შე-და→ჩა, § 308). რადგანაც **და** ზმნისწინს აღარ აქვს საპირისპირო **ღამო**, ამიტომ ახალ-ახალი ზმნების საწარმოებლად ის ძალიან ხშირად არის გამოყენებული. მის მეორეულ მნიშვნელობათაგან განსაკუთრებით ორია აღსანიშნავი: ერთი ისევ მიმართულების ფარგლებშია მოქცეული, მეორე კი ამ ფარგლების გარეთ არის გასული.

320. განუსაზღვრელობის და. „და“ ზმნისწინი მოქმედების გეზის აღნიშვნის საკითხში საზოგადოდ **ა**-ს უპირისპირდება, მაგრამ მრავალ შემთხვევაში ის უპირისპირდება **მი**-სა და **მო**-ს; უპირისპირდება იმ მხრივ, რომ თუ ესენი აღნიშნავენ მოძრაობას გარკვეული მიმართულებით (**მი**—იქეთ, **მო**—აქეთ), **და** ნეიტრალიზაციას უშვება მათ და აღნიშნავს მოძრაობას საერთოდ, გარკვეული მიმართულების დაუსახელებლად, ასე ვთქვათ გაურკვეველი მიმართულებით. მაგალითი: **მი**-რბის — ი ქ ე თ, **მო**-რბის — ა ქ ე თ, მაგრამ **და**-რბის- -ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა მიმართულებით. ამ მნიშვნელობით ეს **და** სხვა ზმნისწინებსაც უპირისპირდება, რთულს თუ მარტივს: **მი**-აქვს, **მო**-აქვს, **შე**-აქვს, **შემო**-აქვს, **გამო**-აქვს, **გა**-აქვს, **ჩა**-აქვს, **ჩამო**-აქვს, **გადა**-აქვს, **გადმო**-აქვს, — ყველა ესენი გარკვეულ მიმართულებას აღნიშნავენ, ხოლო სივრცეში გადანაცვლების მნიშვნელობა, განსაზღვრული მიმართულების გარეშე, მარტო **და**-სთან არის დაკავშირებული: **და**-აქვს. ამ **და**-მ, მაშასადამე, ყველა ზმნისწინის მნიშვნელობას ძალა დაუკარგა, გააბათილა, გაანეიტრალა. უზმნისწინოდ ზმნას წაღებ-წამოღების მნიშვნელობა არ მოეპოვება: ა ქ ვ ს აღნიშნავს ქონებას, მაგრამ ზმნები: **მი**-აქვს, **მო**-აქვს და სხვა, მათ შორის აგრეთვე **და**-აქვს, აღნიშნავენ თ ა ნ ქონებას სივრცეში მოძრაობისას, ე. ი. ტარებას. სხვა მაგალითი: **დის** ზმნა უზმნისწინოდ წყალზე ან სხვა რამ სითხეზე თუ ითქმის, თორემ სხვაზე — არა. ზმნისწინების დართვით გვაქვს: **მი**-დის, **მო**-დის, **შე**-დის, **გა**-დის და სხვა, რომლებიც ადამიანსა და ცხოველებზედაც ითქმის. სამაგიეროდ **და**-დის ის ზმნაა, რომელიც სიარულს გულისხმობს ზოგადად, მიმართულების განუსაზღვრელად. ერთი მაგალითიც: ბ ზ უ ი ს აღნიშნავს ბუზის „ხმიანობას“, ყოველგვარი მოძრაობის გარეშე, **მი**-ბზუის და **მო**-ბზუის — იმავე მოქმედებას საიქეთო ან სააქეთო მიმართულებით, **და**-ბზუის კი — იმავე მოქმედებას სხვადასხვა მიმართულებით. მაშასადამე, **და** ზმნისწინი მიმართულების საკითხში სხვებთან შედარებით ნეიტრალურია; მასთან დაკავშირებულია მარტო სივრცეში გადანაცვლების აღნიშვნა, განსაზღვრული მიმართულების აღუნიშნავად.

და ზმნისწინის ამგვარი მნიშვნელობა ხშირად გვხვდება როგორც გარდაუვალს, ისე გარდამავალ ზმნებში, რომლებიც ამა თუ იმ სახის მოძრაობას აღნიშნავენ, ან ისეთებში, რომლებიც უზმნისწინოდ არავითარ დაძვრას არ გულისხმობენ ადგილიდან: და-ქრის, და-ხტის, და-ცურავს, და-ცუნცულებს, და-ღმუის, და-ყეფს (ყეფით მიდი-მოდის), და-აჭენებს, და-აქროლებს, და-ათრევს, და-არხევს, და-ეხეტება, და-ძვრება და სხვა. ასეთ ზმნებში **და**-ს საპირისპიროდ განსაკუთრებით ჩვეულებრივია **მი** და **მო**-ს ხმარება.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ყოველი მოძრაობის გამომხატველი ზმნა ასეთ **და**-ს როდი მიიღებს: გვხვდება **მი**-იბრძვის და **მო**-იბრძვის („მოიბრძოდა წინ“,

ყაზბ., 366,14; „აქ მოიბრძვიან“, ვაჟა, II, 202,26), მაგრამ არ გვხვდება **და**-იბრძვის; ითქმის **მი**-იჭამს (ჭამით მიდის) და **მო**-იჭამს (ჭამით მოდის), მაგრამ არ ითქმის **და**-იჭამს (ზემოთ მოყვანილი მნიშვნელობით): გვაქვს **მი**-იწევს და **მო**-იწევს, მაგრამ არ გვაქვს **და**-იწევს და მისთ. „ფიცხლად მოიგინებოდა“ (ამირანდარ. 425,3).

321. თითოობის და. „და“ ზმნისწინის ხმარებასთან ხშირად დაკავშირებულია ისეთი მოქმედება, რომელიც შესრულებულია პირდაპირ ობიექტზე ცალკ-ცალკე. ეს კი გარდამავალ ზმნასთან არის შესაძლებელი (სუბიექტი მხ.-შიც შეიძლება იდგეს და მრ.-შიც). მაგალითი: ყაზბეგის „მამის მკვლელში“ ვკითხულობთ: „სტუმრები დასხა ქალმა, დ ა ჰ ხ ა დ ა ფეხთ“. რატომ დ ა ჰ ხ ა-დ ა და არა გ ა ჰ ხ ა დ ა? ფეხსაცმელზე ხომ ჩვეულებრივ გ ა ჰ ხ ა დ ა ითქმის? — იმიტომ, რომ აქ განსაკუთრებით ექცევა ყურადღება, რომ მოქმედება მრავალ ობიექტზე იქნა შესრულებული, მაგრამ არა ყველაზე ერთად, არამედ ცალკ-ცალკე და სათითაოდ. „ფეხსაცმელები“ აღნიშნავს სახელის მრავლობითობას, მაგრამ ამის პარალელურად ზმნითაც აღნიშნულია მოქმედების მიყოლებით ჩადენა, ასე ვთქვათ მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ო ბ ა მოქმედებისა (და არა მრავალგზისობა!). ასეთივე მაგალითია აქაც: „გოგიამ ფიცრებიც დ ა თ ა ლ ა“ (ე. ნინ., „გოგ. უიშვ.“). აქ დ ა თ ა ლ ა ნახმარია მრავალ ობიექტზე მოქმედების თავისებურების აღსანიშნავად.

ზმნისწინის შეცვლის საფუძველი შემდეგია: ზოგიერთი ზმნის მიერ აღნიშნული მოქმედება ისეთია, რომ მას ერთ სუბიექტთან მრავალი ობიექტი არ შეიძლება ერთბაშად ჰქონდეს, არამედ მხოლოდ ერთი. ამიტომ, თუ საჭიროა ერთი სუბიექტის მოქმედება მრავალ ობიექტზე, ს ა თ ი თ ო ო დ უნდა მიჰყვეს: ჯერ ერთს მოჰრჩეს, მერმე მეორეს, შემდეგ მესამეს და ეგრე ბოლომდის. სწორედ ასეთია ყაზბეგიდან მოყვანილი მაგალითი ქალის მიერ ფ ე ხ ს ა ც მ ე ლ ე-ბ ი ს დ ა ხ დ ი ს შესახებ: ერთ ქალს შეუძლია მრავალი ფეხსაცმელი (ვთქვათ შვიდი წყვილი) ერთბაშად დაინახოს, ერთბაშად დააფასოს, ერთბაშად იყიდოს, მოიტანოს, ძირს დაყაროს, ცეცხლში დაწვას და სხვა, მაგრამ არ შეუძლია შვიდ სტუმარს ერთბაშად გახადოს, არამედ ჯერ ერთს, მერმე მეორეს. შემდეგ მესამეს და ეგრე მიყოლებით. აი ეს ს ა თ ი თ ო ო დ შ ე ს რ უ ლ ე ბ უ ლ ი მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ა, რომელსაც **და** ზმნისწინი ითვალისწინებს, ამიტომ გასაგებია განსხვავება ფ ი ც რ ი ს გ ა თ ლ ა ს ა და ფ ი ც რ ე ბ ი ს დ ა თ ლ ა ს შორისაც: ერთმა კაცმა ჯერ ე რ თ ი ფ ი ც ა რ ი უნდა გ ა თ ა ლ ო ს, მერმე მეორე, შემდეგ მესამე და ეგრე ბოლომდის ყველა; ასეთივეა აგრეთვე შ ე კ ვ რ ა ძნისა ან დ ა კ ვ რ ა ძნებისა: „დაკართ იგი ძნეულად“ (მათ. 13,30 C).

აღნიშნული საფუძველი **და** ზმნისწინის შენაცვლებისა საზოგადოდ უკვე შერყეულია, მაგრამ თუ ის კიდევ სადმე ასე თუ ისე მკვიდრია, ისევ და უფრო აღმოსავლურ კილოებში.

საზოგადოდ „თითოობით“ შესრულებული მოქმედება ობიექტის სიმრავლეს გულისხმობს. ობიექტი შეიძლება მრავლობითის ფორმით არ იყოს წარმოდგენილი, მაგრამ სახელი კოლექტიური უნდა იყოს ან საგანთა სიმრავლე

უნდა იგულისხმებოდეს: „სალიამ და დედაჩემმა დაიწყეს ჯ ა მ-ჭ უ რ ჭ ლ ი ს რეცხა, დ ა რ ე ც ხ ე ს და დააწყეს თაროზე“ (ვაჟა, V, 180,1). ამისდა კვალად გვაქვს:

(ობიექტი მხოლობითშია)		(ობიექტი მრავლობითშია)	
კაკალი	**გა**-ტეხა	კაკლები	**და**-ტეხა
ქალი	**გა**-ლანძღა	ქალები	**და**-ლანძღა
კბილი	**ამო**-აძრო	კბილები	**და**-აძრო
ბიჭი	**გა**-ლახა[1]	ბიჭები	**და**-ლახა
მგელმა თხა	**შე**-ჭამა	მგელმა თხები	**და**-ჭამა
კაბა	**შე**-კერა	კაბები	**და**-კერა
კვერი	**გამო**-აცხო	კვერები	**და**-აცხო
მორი	**გა**-ხეთქა	მორები	**და**-ხეთქა
ბავშვი	**გა**-ალვიძა	ბავშვები	**და**-ალვიძა[2] და მისთ.

მაშასადამე, როცა ობიექტი მხოლობით რიცხვშია, მაშინ ერთი ზმნისწინია ნახმარი (**გა**, **ამო**, **შე**, **გამო** და სხვა), მაგრამ, როცა ობიექტი მრავლობითში გადადგება, მაშინ შ ე ი ძ ლ ე ბ ა ზმნაში ჩვეულებრივ ზმნისწინს **და** შეენაცვლოს. „შეიძლება“-ო, ვამბობთ, რადგანაც აუცილებელი აღარ არის ასეთი შენაცვლება; რა თქმა უნდა, ობიექტის მრავლობითში დასმის დროსაც შეგვიძლია იგივე ზმნისწინი ვიხმაროთ, რაც ჩვეულებრივია ობიექტის მხ.-ში დასმისას: **გა**-ჰხადა ერთ ფეხსაცმელზედაც ითქმის და მრავალზედაც, **გა**-თალა ფიცარზედაც ითქმის და ფიცრებზედაც, **გა**-ტეხა კაკალზედაც ითქმის და კაკლებზედაც, **ამო**-აძრო კბილზედაც ითქმის და კბილებზედაც და ასე სხვა.

თითოობით მოქმედება აშკარად ჩანს ზოგჯერ მაშინაც, როცა ობიექტი მხ. რ.-შია. ამას ადვილად შევამჩნევთ, თუ შევადარებთ ერთმანეთს ორ სინტაგმას. როგორიცაა: „პურის **გა**-ჭრა“ და „პურის **და**-ჭრა“. „პურის გაჭრა“ გულისხმობს პურის ორად გაყოფას, „პურის დაჭრა“ კი — პურის რამდენიმე ნაწილად ქცევას, რომელსაც დანით მოქმედებაც რამდენჯერმე უნდა.

თითოობით მოქმედება არ არის მრავალგზისობა, — თითოობის ფორმებს თავისი ხოლმეობითი მოეპოვება: დაჭრის, დაზარდის, დათალის და სხვა (დ ა თ ლ ი ს მყოფადია, დ ა თ ა ლ ი ს — II ხოლმეობითი).

სათითოო მოქმედებას გულისხმობს მრავალ ობიექტზე თ ვ ლ ა, ამიტომ ჩვეულებრივია ამასთან **და**: დ ა თ ვ ა ლ ა თხები.

პირდაპირი ობიექტი მარტო გარდამავალი ზმნის კუთვნილებაა, მაგრამ თითოობის **და** გარდაუვალ ზმნასთანაც გვხვდება და ზმნის უპირო ფორმებთანაც.

გარდაუვალ ზმნათაგან თითოობის **და**-ს ვნებითი გვარისანი მიიღებენ, ვნებითის ფორმაში თითოობის ფუნქციის გამოხატვა მოქმედ. გვარის სათანადო ფორმის უკუფენას წარმოადგენს და დაკავშირებულია ს უ ბ ი ე ქ ტ ი ს სიმრავლესთან. ამიტომ აქ ზმნის ფორმა ჩვეულებრივ მრ. რ.-შია, თუმცა კი მხ.-შიც

---

[1] „გალახვა“ აღმ. კილოებში წაქცევას ნიშნავს (გ ა ლ ა ხ ა — წააქცია, მიწაზე გააგორა), დას. კილოებში კი — ცემას (გ ა ლ ა ხ ა — სცემა).

[2] **დაალვიძა** — მრავალი განალვიძა (ს. ორბ.).

ეიძლება იყოს, მაგრამ მხოლოდ მესამე პირში: ბავშვები **და-**ზარდა მოქმ.] — ბავშვები **და-**იზარდნენ (ან და-იზარდა) [ვნებ].

იგივე ითქმის უპირო ფორმებზედაც, როგორიცაა საწყისი და მიმღეობა, ლონდ მიმღეობა ვნებითი გვარისა უნდა იყოს. ერთთანაც და მეორესთანაც ინტაგმაში შემავალი სახელი ან ფორმით უნდა იყოს მრავლობითი, ან შინაარ-ით (კოლექტ. სახელი): „ბავშვების **და-**ზრდა“, „**და-**ზრდილი ბავშვები“. მოწმობა ლიტერატურიდან:

ა) გარდამავალი ზმნები (მოქმ. გვარისა):

მან, გლახ, იგინი დაჭადნა მტერთაცა საწყალობელად
(«ვეფხ.», 94).

ამან უფრო დაგვაშმაგნა, თავი სრულად გავაშეთეთ,
(იქვე, 288).

„ჩავალ ქალაქად და ერბოს ნახევარ მარჩილად გავყიდი. მით თორმეტ ქა-თამს სამამლეს წიწილებს ვიყიდი, მოვიყვან, დავზრდი, დავყვერავ, დავასუქებ და თვითოს თვითო აბაზად გავყიდი. მერმე მით საეშვე გოჭებს ვიყიდი, გავასუქებ და დავაკერატებ და ოროლ მარჩი-ლად დავყიდი“ (ს. ორბ.) [აქ საყურადღებოა პარალ. ფორმები: გავყიდი— დავყიდი, გავასუქებ — დავასუქებ. სულხანი ბოლომდე არ იცავს **და-**ს შენაცვ-ლებას ობიექტის მრ. რ.-ის ან სათითოო მოქმედების მიხედვით. მაგ., მოსალოდ-ნელი იყო: „თვითოს თვითო აბაზად დავყიდი“]. „ახლა ბანდულებს მიჰმართა, დაპოხა... წრიაპის თასმებიც დაპოხა“ (ვაჟა, V, 70, 6—8); „ღმერთო, დაზარდე სოფლისა ბალღები ძუძუ-მწოველი“ (იქვე, 236,5); „მაშ, ლეკებს, სპარს-ოსმალებს რა ვუყოთ, დავჭრათ ყელები?“ (იქვე, 225,7) (თუ ობი-ექტი მხოლობითშია, ითქმის: „ყელი გამოსჭრა“); „ზაფხულობით ჭრიანტ-ლით დაგვჭრა კბილები და ზამთარში — მახოხით“ (იქვე, 65,29); „და-ვაცხობინე ნაზუქები“ (იქვე, 252,17); „აჰა ნახე, რაკი არ აგიყენებს[1] მა-ვისი ტყავი, რაც ცხვრები (მაგ მგელმა) დაგიჭამა“ (იქვე, 392,27); „აბა ი თხა-ცხვრები სადა გყავ? არ უნდათ იმათ მოძებნა? ვინ იცის, დაჭამა კიდეც მგელმა“ (იქვე, 170,22) [შდრ. „მომაგონდა ჩემი ვაცი და ვიფიქრე, ვინ იცის, შეჭამა მგელმა-მეთქი“, იქვე, 170,27]; „ჯერ ეს ჩემი სანთლები დავაკე-თოთ“ (იქვე, 174,32); „მოსტეხა ცეცხლზედ წართულს ფიჩხს ტოტი და დააკეთა თვითონ წილები“ (იქვე, 177,7).

არ დააფრინეს მერცხლებმა ბარტყები (გოგ.), ქალებმა დაყვლი-ფეს ბატები, დაწიწკნეს, დატუსეს, ფეხებსაც ჭარი წააძვრეს, მერე გამოწელეს, კუჭები დაატყავეს, დარეცხეს და ხონჩით იქვე ტახტ-თან თაროზე შედგეს“ (თ. რაზ.).

ბ) გარდაუვალი ზმნები (ვნებ. გვარისა): „აი დაიზარდენით!“ (იქვე, 179,31); „ძველი დროება რომ დაბრუნდეს და თანაც ძველი ბატონები და-ცოცხლდენ, მერე? — არა, ისინი სუ დაცოცხლდებიან! — რა

[1] რაკი არ აგიყენებს — როგორ არ აღგიდგენს; რა თქმა უნდა, გიზღავს.

და გგონია, რომ ბატონები არ გაცოცხლდებიან ძველს დროსთან ერთად?“ (ვაჟა, V, 224). „თქვენი ჭირიმე, ყორნებო... დაილექებით სისხლითა, ილტოზე ჩახვალთ წყალზედა“ (იქვე, 169); „მამასახლისო, გზაში არ დაგექცნენ. თოკები არ დაჭრან“ (იქვე, 442,30).

NB. ვნებითად ასეთი ზმნები მხოლოდ მრავლობითში იხმარება.

გ) ვნებითის მიმღეობა: „მომიტანა თავის ჴელით დაქსოვილი წინდები“ (ვაჟა-ფშ., V. 63,15); „სანთლები მაქვს დასაკეთებელი“ (იქვე, 174,22); „თქვენ არ დასაზდელებო“ (იქვე, 176,33); „ხშირად დამაძღრები მწვანის ბალახით, ნამარილევები, ისა და თვალშავა (ე. ი. ვირი და ირემი) ერთმანეთსა ლოკავდენ“ (იქვე, 267,23).

322. შე ზმნისწინის თავისებურება. როგორც აღვნიშნეთ (§ 309), **შე** ზმნისწინი გამოხატავს მიმართულებას გარედან შიგნით. ამიტომ არის, რომ ისეთი ზმნები, რომლებიც გულისხმობენ გარედან-შიგნით მოძრაობას (მაგ., სასმელ-საჭმლის მიღება), უპირატესად აძ ზმნისწინით იხმარება: შე-ჭამა, შე-სვა და სხვ.. მაგრამ აღნიშნულს გარდა, შეიძლება ამ ზმნისწინისა ორი თავისებურება იქნეს დასახელებული:

1. **შე** ზოგჯერ აღნიშნავს მაღლა, ზევით მიმართულ მოქმედებას. საყოველთაოდ ცნობილია, მაგ., ცხენზე **შე**-ჯდომა (მე რა მნახა, ცხენსა შეჯდა“, «ვეფხ.», 110). იგივეა მის მონაცვლე ზმნაშიც: „შესხდეს მეფე და ავთანდილ“ (იქვე, 96). ცნობილია **შე**-საგან ნაწარმოები ზმნიზედა: **შეის** (=შესვლისას), რომლის საპირისპიროა **გაის** (=გასვლისას). ეს მშვენივრად არის **დამოწმებული** «ვეფხის ტყაოსანში»: „შეის ხასობს, გაის ქუშობს“ (761), **რაც** ამას ნიშნავს: „შესვლისას კარგ გუნებაზეა, გასვლისას — ცუდზე“. აქ, მაშასადამე, **შე** მისი ჩვეულებრივი მნიშვნელობით არის ნახმარი. მაგრამ ს.-ს ორბელიანი თავის ლექსიკონში შემდეგსაც ადასტურებს: **„შეის** — აღმა მავალს“. ეს არ არის შემთხვევითი: იმავე ლექსიკოგრაფს აღნუსხული აქვს:

შეებნია—ზე შეეფანტა.	**შეეშვირა**—რქასავით მაღლა ეჭირა
შეეკვალა—აღმა კვალი აევლო.	**შეეჩხრიკა**—აღმა მოენახა.
შეეკივლა—უკაფიოდ მაღლა შეეძახა.	**შეეზომა**—შეღმა გინა შიგნით გარედამ გაეზომა.
შეეკრიჭა—ზე შეეკვეცა.	

უკანასკნელ მაგალითში, მაშასადამე, ორივე მიმართულებაა მოცემული შეღმა და შიგნით. „შავს ღორს თუნდა აღმა შეფხანე, თუნდ დაღმა ჩამოფხანე, მაინც ღორია“ («ქართ. ანდაზები», 1876).—აქ „აღმა“-ს „დაღმა“ უპირისპირდება, „შე-ფხანას“ — „ჩამო-ფხანა“.

2. **შე** ზმნისწინი ზოგჯერ გულისხმობს ისეთ მოქმედებასაც, რომელი(ცოტაა ზომით ან მოცულობით, ან ნაკლებია ხარისხით. ეს მისი მნიშვნელობ შეგვიძლია გავითვალისწინოთ ასეთი დაპირისპირებით: **გა**-წითლდა და **შე** წითლდა (გაწითლდა — წითელი შეიქნა; შეწითლდა — ოდნავ წითელ(შეიქნა), **გა**-თეთრდა და **შე**-თეთრდა, **გა**-ხურდა და **შე**-ხურდა, **და**-თვრა დ(**შე**-თვრა, **გა**-თხელდა და **შე**-თხელდა, **და**-წვა და **შე**-წვა (მაგ., დაწვა სახლი შეწვა ხორცი) და მისთ.. იმავე ს.-ს. ორბელიანს თავის ლექსიკონში შეტანილი აქვს:

შეღვინება — მ ც ი რ ე სიმთვრალე.

შეეცივებინა — მ ც ი რ ე დ გაეცივებინა.

უკანასკნელი მნიშვნელობა კარგად არის გამოხატული დღესაც: „იქვე ცეცხლთან იდგა ტაგანი, ლუდით სავსე, რომ ც ო ტ ა შ ე მ თ ბ ა რ ი ყ ო" (ვაჟა, V, 182,24).

323. ტმესი. ტ მ ე ს ი ანუ გ ა კ ვ ე თ ა ეწოდება ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ორი სიტყვის გაწყვეტას სხვა სიტყვის (ან სიტყვების) შუაში ჩასმით. არსებითად ტმესი გვაქვს, როცა მსაზღვრელი და საზღვრული გაყოფილია ერთმანეთისაგან ასეთი სახით:

მას თ ი ნ ა თ ი ნ ი ს შვენება ჰკლევდის წ ა მ წ ა მ თ ა ჯ ა რ ი ს ა
(«ვეფხ. ტყ.», 40),

რაც ამას ნიშნავს: მას ჰკლავდა ხოლმე შვენება თ ი ნ ა თ ი ნ ი ს წ ა მ წ ა მ თ ა ჯ ა რ ი ს ა. მსაზღვრელსა და საზღვრულს შორის ჩასმულია ორი სიტყვა: „შვენება ჰკლევდის".

ტმესი ჩვეულებრივი მოვლენა იყო ზმნისწინიან ზმნებთან ძველ ქართულში, მას ხშირად ვხვდებით შემდეგაც. «ვეფხის ტყაოსანში» საკმაოდ ხშირია ზმნისწინის გამოთიშვისა ზმნისაგან და მათ შუა ნაწილაკისა და ნაცვალსახელის ჩასმის შემთხვევები. ნაწილაკთაგან გვხვდება: **ვე, ცა, ღა, ვით (ვითა), რა,** ნაცვალსახელთაგან — **ვინ** („ვინმეს" მნიშვნელობით). მაგალითები:

ვე: მკერდსა დაასხა, გა-**ვე**-ხდა ლაჟვარდი ფერად ლალისად (1345,4).
ცა: დანა დაიცა, მო-**ცა**-კვდა, დაეცა, გასისხლმდინარდა (625,4).
მეფე გაკვირდა, გა-**ცა**-წყრა, გული უც მისთვის მწყრომარე (91.1).
თავსა გადავჰკარ, მო-**ცა**-ვკალ, დავჰქსენ სოფლისა თმობასა (910.5).
ცხენი მომგვარეს შე-**ცა**-ვჯე, მეფე ჩემთანა მვლელია (356,4).
ესე სიტყვა დაასრულა, ყმამან სულთქვნა. ა-**ცა**-ტირდა (913,4).
ღა: ისმენდი ჩემთა ამბავთა, თუ სულნი შე -**ღა**-მრჩებიან (347,4).
ესე სამკლავე შეიბი, თუ ჩემი გა-**ღა**-გვლენოდეს (496.2).
ვით(ა): ფატმან ხათუნს მისვლა თისი, შე-**ვით**-ვატყვე; არ ეწყინა (1076,4)
მო- **ვითა** -ჰკლავ იმა კაცსა, წადი, მოკალ მალვით ღამით (1107,2).

ვინ: წა, ესე ჰკადრე მეფესა, შე- **ვინ** -ვიდოდეს ვირეო (741,2).

როგორც მაგალითებიდან ჩანს, ზმნისწინს ერთგვარი დამოუკიდებლობა აქვს, ის აუცილებლად მიკრული არ არის ზმნაზე: გა-**ვე**-ხდა = გახდა-**ვე**, ისევ გახდა [ე. ი. ტარიელის გალურჯებული სახე („ლაჟვარდი") ისევ ლალისფრად გახდაო], „შე-**ვით** -ვატყვე" = **ვით** შევატყვე, როგორც შევატყვე: „**შე- ვინ** -ვიდოდეს ვირე" = ვიდრე **ვინმე** შევიდოდეს, „თუ სულნი შე-**ღა**-მრჩებიან" = თუ-**ღა** შემრჩება სული და სხვა.

დიდი არ არის ეს დამოუკიდებლობა, მაგრამ მაინც გვიჩვენებს იმ გზას. რომელიც ზმნისწინს გაუვლია სრული დამოუკიდებლობიდან სრულ დაქვემდებარებამდე და მორფემად ქცევამდე.

დღეს ტმესისა შორეული მოგონებაღა გვაქვს, რამდენადაც ზმნა და ზმნისწინი მაინც იყოფა პირისა, ქცევისა და გვარის ნიშნებით ან მიმღეობათა

აფიქსებით (§ 303). მაგრამ ეს მოგონებაა და არა ტმესი, რადგანაც ამ შემთხვევაში ზმნა და ზმნისწინი ცალკე ერთეულებად არავის ესმის.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. გვხვდება „გაცამტვერება", მაგრამ მას არავითარი კავშირი არა აქვს ტმესთან: ზმნა ნაწარმოებია შერწყმული სახელისაგან (ნ ა ც ა რ-მ ტ ვ ე რ-ი): გ ა ა ც ა მ ტ ვ ე რ ა — გაა(ნა)ცა(რ)მტვერა, ე. ი. ნაცრად და მტვრად აქცია. აქ რომ ტმესი იყოს, გვექნებოდა: გა-ცაამტვერა.

324. ზმნისწინისა და თანდებულის ურთიერთობა. ზმნისწინი იგივეა ზმნისათვის, რაც თანდებული სახელისათვის. ერთიც და მეორეც დამოუკიდებელი სიტყვა იყო ერთ დროს, მაგრამ დამოუკიდებლობა დაკარგეს და შეეზარდნენ სახელს ან ზმნას. მსგავსება ამით არ ამოიწურება. ზოგ შემთხვევაში ერთი და იგივე „სიტყვა" (ოდესღაც დამოუკიდებელი) სახელთან თანდებულად არის გამოყენებული, ზმნასთან კი — ზმნისწინად:

1. **ში—შე.** სახელებში **ში** გვხვდება: ქალაქ-**ში**, სოფელ-**ში**, ქუჩა-**ში** და სხვა. ეს **ში** ძველად **შინა**-ს სახით იხმარებოდა, მაგრამ აქ **ნა** იგივეა, რაც **ნა** შემდეგ სიტყვებში: ქვე-ნა, ზე-ნა, აქა-ნა (იმერ.). როცა **ში-ნა**-ს **ნა** ჩამოჰშორდა, დაგვრჩა პირველი შემადგენელი ნაწილი **(ში)**, რომელიც ზმნაში ფონეტიკური სახეცვლილებით არის წარმოდგენილი **(შე)**. ასე რომ, როცა ვამბობთ „ქალაქ-**ში** **შე**-ვიდა"-ო, არსებითად ვიმეორებთ ერთსა და იმავე მორფემას.

2. **გან.** კიდევ უფრო ნათელია იგივეობა **გან** თანდიბულისა და **გან** ზმნისწინისა.

როგორც ვიცით, გამოსვლითი ბრუნვა მიღებულია მოქმ. ბრუნვისაგან **გან** თანდებულის დართვისა და მერმე შერწყმის ნიადაგზე: ქალაქით-გან→ქალაქიდან (§ 93). თუ აღვადგენთ ამ ძველ ფორმას და თან **გა** ზმნისწინის ძველ სახესაც მოვიგონებთ (§ 314), მივიღებთ **გან**-ის ერთნაირ მოხმარებას სახელის ბოლოში და ზმნის თავში: ქალაქით-**გან** **გან**-ვიდა (=ქალაქიდან გავიდა).

3. **მი—მო.** ეს წყვილი ხშირად გვხვდებოდა სახელებთან, მაგრამ დღეს მარტო **მი** გვაქვს: მეგობრისად-**მი** და სხვა (§ 87). ოღონდ ეს **მი** ქართულში დღეს ბოლოში მოუდის სახელს; ოდესღაც კი, ძალიან ძველად, მწერლობის დაწყებამდე, ის წინაც შეიძლებოდა დართოდა სახელს (პრეპოზიციაც იყო), როგორც ამას ამტკიცებს **მდე (მდის)** თანდებულის ისტორია: **მდე** და **მდის** (სოფლა-მდე, ქალაქა-მდე; სოფლა-მდის, ქალაქა-მდის) მიღებულია **მი-დღედ** და **მი-დღის** ფორმათაგან: მი-დ(ღ)ე(დ), მი-დ(ღ)ის, აქედან შემდეგ: **მ(ი)დე, მ(ი)დის, მდე, მდის** (ნ. ჩემი „**მდე** თანდებულის გენეზისისათვის": საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. III, 1942, № 5). რამდენადმე სახელის წინ ხმარების შემთხვევები ძველ ქართულშიც არის დადასტურებული: მიცხრა ჟამამდე (მათ. 27,45 C), მიმკამდის (მათ. 13,30 C), მისაფუძვლადმდე (ფს. 136,7) და მისთანათივეა აგრეთვე: მოაქამდე (მათ. 11,12 C). იგივე **მი** და **მო** ზმნასთან ზმნისწინია და ორიენტაციას აძლევს ზმნით აღნიშნულ მოქმედებას.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ეხლა ამბობენ: „ჩემი **მი**-სამართი"-ო, რაც გვიჩვენებს, რომ ზმნისწინს დაუკარგავს საორიენტაციო ძალა.

4. **გარდა.** ამისი თანდებულობა აშკარაა ასეთ გამოთქმებში: მეგობრის

გარდა, ამის გარდა (ამას გარდა). იგივე „გარდა“ ზმნისწინია გარდა-ტეხა-ში და სხვაგანაც. აქედან შემდეგ მიღებული გვაქვს **გადა** (§ 314).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. არის სოფელი ატენი (ტანიის ხეობაში, გორიდან 8-ოდე კილომეტრზე) და იქვე მახლობლად სოფ. გარდატენი. რაც ასე დაიშლება: გარდ-ატენი (ე. ი. გადაღმა ატენი). მაშასადამე, აქ „გარდა“ სახელთანაც არის ნახმარი წინ. ოღონდ აქ ასეთი ვითარებაა: ზმნიზედა „გარდა“ გამოყენებული ყოფილა ზედსართავად და ეს ზედსართავი შეჰზრდია სოფლის სახელს, როგორც ეს გვაქვს ახალ-ქალაქ-სა, ახალ-ციხე-სა და სხვებში (§ 187,2). ამგვარივე წარმოშობისაა გარდაბანი-ც (გარდა-უბანი).

5. **გამო.** მიღებულია **გან-მო**-საგან: ამის გამო, დიდი მწუხარების გამო და მისთ. **გან** თანდებულიც არის და ზმნისწინიც, იგივეა არსებითად **მო**-ც.

325. ზოგი ზმნისწინის გენეზისისათვის. ქართულ ზმნისწინთა წარმოშობილობის გათვალისწინება მარტოოდენ ქართულის ნიადაგზე, შესადარებელ მასალათა მოძმე ენებიდან მოუხმობლად, მხოლოდ ნაწილობრივ და ძალიან შეზღუდულ ფარგლებშია შესაძლებელი. ამ საკითხისათვის, უდაოდ, ძველი ფორმებია მხედველობაში მისაღები. აქ ორიოდეზე შევჩერდები.

აღ-ისა და **და**-ს დაპირისპირება არა მარტო **აღ**-ვიდასა და **და**-ვიდას შორის იჩენს თავს, არამედ უ-**აღ**-რე-ს-სა და უ-**და**-რე-ს-ს შორისაც (ამჟამად ჩვეულებრივ „უმდარესი“ ითქმის, § 172,6). იგივე დაპირისპირებაა მ-**აღ**-ალსა და მ-**დაბ**-ალს შორისაც, ოღონდ ამ დაპირისპირებით **და**-ს უძველესი სახე ჩნდება: **დაბ.** ეს **დაბ** იგივეა წარმოშობით, რაც სვანური **დაბ** („ყანა“. „სახნავი მიწა“) და ქართ. **დაბა.** ძვ. ქართულში „დაბა“ სოფელს ნიშნავდა, მაგრამ მისი ძირითადი მნიშვნელობა „მიწა“ უნდა ყოფილიყო, ასე რომ **და**-ვარდა (ძველისძველად: ***დაბ**-ვარდა) „მიწაზე ვარდა“ უნდა ყოფილიყო. ამის ანალოგიას წარმოადგენს **გიმ,** რომელიც სვანურში „მიწას“ ნიშნავს, მეგრულში კი ზმნიზედა არის: (გ ი მ ე — „ძირს“) და ზმნისწინის როლსაც ასრულებს. გ ი მ ა-ღ ო თ ა მ ა „ჩამოგდება“, გ ი მ ა-ნ წ ყ ჻ მ ა—„ჩამოხსნა“ (ი. ყ ი ფ შ ი ძ ე, Грамм. мингр. языка, СПБ, 1914, გვ. 0119, 217 ა).

აღ შედის **წი-აღ**-ში, რომელიც უძველ. ქართულში იხმარებოდა. ეს **წი-აღ** წარმომდგარი ჩანს **წყლის აღ**-ისაგან, როგორც **წი**-სქვილი **წყლის** ფქვილისაგან (§ 189).

„ფქვილი“ ძველად საფქველ ქვას აღნიშნავდა: „უადვილეს არს მისა, უკუეთუმცა ლოდი ფ ქ ვ ი ლ ი ს ა ჲ ზედა ედვა ქედსა და შთავრდომილ იყო ზღუასა“, ლუკ. 17.2: (ა. შ ა ნ ი ძ ე. წისქვილის ქვის სახელები ძველ ქართულში: მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. II—III, 1962, გვ. 37—46).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. „წიაღ“ დღესაც შემონახული გვაქვს ერთ სოფლის სახელში: წიაღ-უბან-ი (მდებარეობს ქვემო იმერეთში, ვანის რაიონში, და ამას ნიშნავს: გაღმაუბანი).

ა ს პ ე ქ ტ ი

326. ასპექტის რაობა. ა ს პ ე ქ ტ ი ანუ ს ა ხ ე არის ფორმა, რომელიც ზმნის მიერ აღნიშნულ მოქმედებას წარმოადგენს ან ისე, რომ მას ბოლო არ უჩანს, ან ისე, რომ მას ბოლო უჩანს. პირველ შემთხვევაში გვაქვს დაუსრულებელი მოქმედება, მეორეში — დასრულებული. ამის მიხედვით გვაქვს ორი ასპექტი (ანუ ორი სახე): დაუსრულებელი და დასრულებული, ანუ უსრული და სრული. მაგალითები: ვწერე და დავწერე, ვხატე და დავხატე, ვაღე და გავაღე, ვღებე და შევღებე, ვაცხვე და გამოვაცხვე, ვნაყე და დავნაყე, ვაგდე და ჩამოვაგდე. „ლეკებმა მ ბ ე გ ვ ე ს, ჯერ იმათ ვერ დ ა მ ბ ე გ ვ ე ს,—ისევ ის თევდორე ვარ, დათვმა როგორ უნდა დ ა მ ბ ე გ ვ ო ს?! (ვაჟა, «დათვი»). ამ წინადადებაში „მბეგვეს“ ზმნის ფორმა არ ითვალისწინებს მოქმედების დასრულებას: მოქმედება დაუსრულებელია, დაუმთავრებელია, ბოლომდი არ არის მიყვანილი, ასპექტი უსრულია: „დამბეგვეს“ — აქ კი ზმნა ითვალისწინებს დასრულებას მოქმედებისას, რომელიც ბოლომდეა მიყვანილი, ასპექტი სრულია. სხვა მაგალითი: „ი თ მ ი ნ ა დიდხანს და ვეღარ მ ო ი თ მ ი ნ ა“ (ვაჟა, «ჩხიკვთა ქორწ.»). „ითმინა“-თი მოცემულია, რომ მოქმედება, რომელსაც ეწეოდა სუბიექტი, არ დასრულებულა, „მოითმინა“-თი კი—, რომ მოქმედება დასრულდა. ეს მეორე მაგალითი იმით არის საყურადღებო, რომ „თმენა“ და „მოთმენა“ თავისთავად ორივე ისეთ მოქმედებას გულისხმობს, რომელსაც ერთგვარი ხანგრძლივობა აქვს, მაგრამ იმით განსხვავდებიან, რომ პირველი არ ითვალისწინებს, რომ მოქმედებას ბოლო მოეღო, მეორე კი ამას ითვალისწინებს.

327. ასპექტის წარმოების საშუალება ქართულში. ასპექტის საწარმოებლად თანამედროვე ქართ. ენას მარტო ერთი საშუალება მოეპოვება: ეს არის ზმნისწინის დართვა. თუ ზმნა ასპექტიანია, უზმნისწინოდ ის უსრული სახისაა (იმპერფექტულია), ხოლო თუ ზმნისწინი დაერთო — სრული სახისა იქნება (პერფექტული შეიქნება). ამ შემთხვევაში სულ ერთია, თუ რომელი იქნება ზმნისწინი: მაახლოებელი თუ მაშორებელი ორიენტაციისა, მარტივისა თუ რთული შედგენილობისა. ამიტომ ერთ უსრულ ფორმას, ვთქვათ, „წერა“-ს, რამდენიმე სრული უპირისპირდება: მი-წერა, მო-წერა, ა-წერა, და-წერა, შე-წერა, გა-წერა, გამო-წერა, ჩა-წერა, ჩამო-წერა, გადა-წერა, გადმო-წერა, რომლებიც ყველა ე რ თ ნ ი ა ასპექტის თვალსაზრისით.

328. ასპექტი და დრო. ეხლანდელი დრო ისეთი დროა, როდესაც საუბარია ზმნით აღნიშნული მოქმედების შესახებ. ამიტომ ასეთი დრო შეიძლება მარტო უსრული სახის ზმნას ჰქონდეს. რაც შეეხება წარსულსა და მომავალს, მათი გამოხატვა უსრულ-ასპექტიან ზმნასაც შეუძლია და სრულ-ასპექტიანსაც. ამიტომ უსრულ-ასპექტიან ზმნას სამივე დრო აქვს, სრულ-ასპექტიანს კი — მარტო ორი.

უ ს რ უ ლ ი ა ს პ ე ქ ტ ი

1. ე ხ ლ ა ნ დ ე ლ ი (აი ამ წუთს, ლაპარაკის მომენტში): ვწერ, ვგრეხ, ვხატავ, ვთლი, ვაპობ.

2. მ ო მ ა ვ ა ლ ი (ხვალეც): ვწერ, ვგრეხ, ვხატავ, ვთლი, ვაპობ; ვწერო, ვგრიხო, ვხატო, ვთალო, ვაპო; წერე, გრიხე, ხატე, თალე, აპე.

3. წარსული: ვწერდი, ვგრეხდი, ვხატავდი, ვთლიდი, ვაპობდი; ვწერე, ვგრიხე, ვხატე, ვთალე, ვაპე; მიწერია, მიგრეხია, მიხატავს, მითლია, მიპია, მეწეროს, მეგრიხოს, მეხატოს, მეთალოს, მეპოს.

სრული ასპექტი

1. მომავალი: დავწერ, დავგრეხ, დავხატავ, გავთლი, გავაპობ; დავწერო, დავგრიხო, დავხატო, გავთალო, გავაპო; დაწერე, დაგრიხე, დახატე, გათალე, გააპე.

2. წარსული: დავწერე, დავგრიხე, დავხატე, გავთალე, გავაპე; დამიწერია, დამიგრეხია, დამიხატავს, გამითლია, გამიპია: დამეწეროს, დამეგრიხოს, დამეხატოს, გამეთალოს, გამეპოს.

328 ა. ასპექტი და სერია. II და III სერიის მწკრივები თანაბრად მოეპოვება უსრულ-ასპექტიანსაც და სრულ-ასპექტიან ზმნასაც; მაგალითად: გრიხა-ც წყვეტილია და დაგრიხა-ც, აპო-ც და დააპო-ც, ხატა-ც და დახატა-ც: ან კიდევ: ორივე I თურმეობითია: უწერია-ც და დაუწერია-ც, უგრეხია-ც და დაუგრეხია-ც, უპია-ც და დაუპია-ც და მისთ.

სულ სხვა მდგომარეობა გვაქვს I სერიაში: აქ მწკრივები განაწილებულია ორ ასპექტს შორის: აწმყოს წრის მწკრივები უსრული ასპექტისაა, მყოფადის წრისა კი — სრულისა. მაგალითები:

უსრული ასპექტი

1. აწმყო: ვწერ, ვგრეხ, ვხატავ, ვთლი, ვაპობ.
2. უწყვეტელი: ვწერდი, ვგრეხდი, ვხატავდი, ვთლიდი, ვაპობდი.
3. აწმყოს კავშ.: ვწერდე, ვგრეხდე, ვხატავდე, ვთლიდე, ვაპობდე.

სრული ასპექტი

1. მყოფადი: და-ვწერ, და-ვგრეხ, და-ვხატავ, გა-ვთლი, გა-ვაპობ.
2. I ხოლმ. და-ვწერდი, და-ვგრეხდი, და-ვხატავდი, გა-ვთლიდი, გავაპობდი.
3. მყოფ. კავშ. და-ვწერდე, და-ვგრეხდე, და-ვხატავდე, გა-ვთლიდე, გა-ვაპობდე.

329. ასპექტი და გეზი. გეზიანი და ასპექტიანი ზმნები მრავალ შემთხვევაში ემთხვევა ერთმანეთს: თუ ზმნა ზმნისწინს არ მიიღებს (უყვარს, ცხოვრობს და სხვა), მას არც გეზი აქვს და არც ასპექტი, რადგანაც ერთიც და მეორეც ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმების გვერდი-გვერდ არსებობის გამოა გამოხატული. მაგრამ არის განსხვავება და დიდიც: ზმნისწინის დართვის უნარი ყოველთვის არ ნიშნავს არც გეზისა და არც ასპექტის გამოხატვას. შეიძლება ერთი მათგანი აღინიშნოს, მეორე კი — არა. მაგალითები:

ა) გეზიც არის, ასპექტიც: შე-იტანა (მიმართული გეზი, სრული ასპ.).

ბ) გეზი არის, ასპექტი არა: ბზუის (მიუმართავი გეზი), მი-ბზუის, მო-ბზუის, და-ბზუის (მიმართული გეზი).

გ) ასპექტი არის, გეზი არა: და-ჭრა, გა-ლახა. მო-კვდა და სხვა (სრული ასპ.).

330. ასპექტი და ორიენტაცია. ორიენტაციასაც ხშირად ემთხვევა ასპექტი, რადგანაც ორიენტაციის ერთად-ერთი საშუალება იგივეა, რაც სრული ასპექტის მაწარმოებელი მორფემა, ე. ი. ზმნისწინი. თუ ზმნა ზმნისწინს არ დაირთავს საზოგადოდ, მას არც ორიენტაციის გამოხატვა შეუძლია და არც ასპექტისა; მაგ., „წევს“ — აქ არც ერთია და არც მეორე. მაგრამ ზმნისწინის დართვა კიდევ არ ნიშნავს ამ კატეგორიების გამოხატვას. ორიენტაცია მარტო ზმნისწინიან ზმნებს აქვთ, უზმნისწინოებს — არა, ასპექტი კი — იმათაც და ამათაც. მაშასადამე, შედარების დროს მხოლოდ ზმნისწინიანი ფორმებია საჭირო.

ა) ორიენტაციაც არის და ასპექტიც: გა-გზავნა (მაშორებელი ორ., სრული ასპ.).

ბ) ორიენტაცია არის, ასპექტი არა: მო-ბზუის (მაახლ. ორ.), „მიდის და მიყაყანებს“ (ჭავ., «სარჩ.») [მაშორებელი ორ.].

გ) ასპექტი არის, ორიენტაცია არა: მო-კვდა (სრ. ასპ.).

331. ასპექტი და მრავალგზისობა. უსრული ასპექტი რამდენადმე უახლოვდება მრავალგზისობას, რომელიც ულლების კატეგორიებში შედის: „კარი *ვაღე*“ ნიშნავს მოქმედებას, რომელიც შეგვიძლია წერტილების სახით წარმოვიდგინოთ: თვითეული წერტილი წარმოადგენს ცდას კარის გაღებისას, მაგრამ არ ჩანს, რომ ეს ცდა დამთავრებული იყოს. სურათი შეიცვლება, თუ მას რომელსამე ზმნისწინს დავურთავთ: „კარი *ვაღე* და ნახევარი საათის შემდეგ ძლივს *გავაღე*“. *ვაღე* — მოქმედება არ არის დამთავრებული, ასპექტი უსრულია, *გავაღე* — მოქმედება დამთავრებულია, ასპექტი სრულია. იგივე იქნება, რომ **გა**-ს ნაცვლად სხვა ზმნისწინი ვიხმაროთ: **გამო**-ვაღე, **შე**-ვაღე. ამათი საშუალებითაც დასრულებული სახე მიეცემა მოქმედებას.

რაკი უსრული *ვაღე* წარმოადგენს *არაერთხელ* ცდას კარის გაღებისას, ამიტომ ეს გარემოება ზოგჯერ ზმნის გამეორებით აღინიშნება: *ვაღე ვაღე* და *ძლივს გავაღე* (ან: *ვერ გავაღე*). აი ეს არის იმის საფუძველი, რომ, როდესაც საჭიროა აღნიშვნა მოქმედების ცდის *არაერთხელობისა*, ვიმეორებთ ხოლმე უსრული ასპექტის ფორმებს, რასაც ხშირად ვხვდებით ანდაზებსა და გამოცანებში:

„ერთი საბელი მაქვს, *ვკეცე*, *ვკეცე*, ვერ დავკეცე“ (გზა).

„ერთი პირსახოცი მაქვს, *ვაშრე*, *ვაშრე*, ვერ გავაშრე“ (ენა).

„ობლის კვერი *ცხვაო*, *ცხვაო*, გვიან გამოცხვაო, მაგრამ კარგად გამოცხვაო“ (ანდ.).

„ქათამმა *ჩხრიკა*, *ჩხრიკა* და თავისი დასაკლავი დანა გამოჩხრიკაო“ (ანდ.).

„*ვსდივე*, *ვსდივე*, ვერ მოვეწივე, დავდეგი და მოვუცადეო“ («ქართ. ანდაზები», 1876 წ.).

„წყალი *ნაყე*, *ნაყე* და ისევ წყალი დადგებაო“ (ანდ., იქვე).

„ფურმა *იწველა*, *იწველა*, ბოლოს ჰკრა წიხლი და სულ დაღვარაო“ (ანდ.).

რა თქმა უნდა, ზმნის გამეორება *აუცილებელი* *არ არის*, მაგრამ ის ფაქტი, რომ ეს შესაძლებელია და ზოგჯერ, ასე ვთქვათ, კიდევაც „უხდე-

ბა“, ამას უთუოდ მნიშვნელობა აქვს: ცხადია, **კატეგორია ახლოს** დგას მრავალგზისობასთან.

ზოგჯერ უსრული სახით მოცემული ფორმა პირდაპირ განმეორებულ მოქმედებასაც აღნიშნავს: „მაგ სამასხარაო კალანჩხათი როგორ უნდა დაიჭირო ისეთი სწრაფი და მარდი თევზი? არა, კაკო, კალმახს თავი დაანებე, შენი საკბილო არ არის, *იჭირე* პატარა ზანტი ჭიჭყინები“ (ი. გოგებ.). აქ ზმნა არ მეორდება, მაგრამ თამამად შეიძლებოდა გამეორებაც: *იჭირე* და *იჭირე* პატარა ზანტი ჭიჭყინები“ (მრავალი თევზის ერთად დაჭერა მხოლოდ ბადით ან ფაცრით შეიძლება, ხელით კი — თითო-თითოსი, გამეორებული მოქმედებით).

ეგევეა იმის საფუძველი, რომ, როცა ვჰკითხე ერთ წოვა-თუშს: რა განსხვავებაა „თეგდარ“-სა და „თაგდარ“-ს შორის-მეთქი (ის თუ[illegible]სწავლებული იყო, რამდენადმე ერკვეოდა გრამატიკულ საკითხებში), მან მიპასუხა: „თეგდარ“ მრავლობითიაო. მას ამით ალბათ უნდოდა ეთქვა, რომ „თეგდარ“ გამეორებულ მოქმედებას აღნიშნავსო. მართლაც წოვა-თუშურად: *თეგდარ* — „კეთება“ (უსრ. ასპ.), *თაგდარ* — გაკეთება (სრ. ასპ.) [ასპექტი აქ ხმოვნის შენაცვლებით არის გამოხატული: **ე—ა: თეგ**-დარ—**თაგ**-დარ].

ამ სიახლოვით არის გამოწვეული, რომ უწყვეტლის ფორმა, რომელიც ასპექტიან ზმნებში ყოველთვის უსრულია, შეიძლება ხოლმეობითის გვერდით იყოს ხმარებული:

სასტუმროს იყვნენ ხევსურნი, ლუდი ედულა წიქასა;
ისხდენ ბანზედ და *ღრეობდენ*, თასებით *სვამდენ* იმასა.
ზოგნი *უკრავდენ* ფანდურსა, ზედ *დაჰმღეროდენ* დიდადა;
მსმენელთა გრძნობას *უდებდენ* საგმირო ამბებს ხიდადა:
აღგზნებით გმირთა სახელებს ლექსებში *სთვლიდენ* წმიდადა,
მოხუცნი ჩიბუხებს *სწევდეხ*, ბოლი ეხვიათ ნისლადა,
განმარტავდიან მათ ამბავს, შანდობა *თქვიან* გმირთადა.
ახლების საწურთნელადა *იხსენებდიან* ქებითა.

(ვაჟა, «გველის მჭამ.»).

მოყვანილ ნაწყვეტში *თქვიან* II ხოლმეობითია, *განმარტავდიან* და *იხსენებდიან* კი — უწყვეტლის ხოლმეობითი (II ხოლმეობითის დაბოლოებით). პოეტს შეეძლო ეთქვა: შენდობას *ამბობდენ*, *განმარტავდენ*, *იხსენებდენ*, მაგრამ ფორმა მეტრიკის მოთხოვნილებას დაუმორჩილა და მივიღეთ „უწყვეტლის ხოლმეობითი“, რაც აიხსნება წარსულ-დროიანი ზმნის უსრული სახის სიახლოვით ხოლმეობითთან.

მიუხედავად ამისა, მაინც გარკვევით უნდა განვაცხადოთ, რომ სიახლოვე არ ნიშნავს იგივეობას: უსრული ასპექტი სხვა კატეგორიაა და მრავალგზისობა — სხვა, რაც იქედან ჩანს, რომ უსრულ-ასპექტიან ზმნებს თავისი ხოლმეობითი აქვს: ვალი, ვაკეთი, ვკეცი, ვაცხვი და სხვა.

332. უასპექტო ზმნები. უასპექტოა ზმნა, თუ ის ზმნისწინს არ დაირთავს საზოგადოდ; ასეთებია: ა) რიგი გარდაუვალი ზმნებისა: არის, უყვარს, ბავშვობს, ცხარობს, ცდილობს, ზის და სხვა; ბ) სტატიკური ვნებითის ფორმები: სწერია, ჰყრია, ახატია, აფენია და სხვა.

ამას გარდა, ბლომად მოიპოვება ზმნები, რომლებიც ზმნისწინს დაირთავენ, მაგრამ ასპექტი არა აქვთ. ეს იმით იცნობა, რომ ზმნისწინის დართვით, საზოგადო წესის თანახმად (როგორც ეს ზემოთ ვნახეთ, § 328), ზმნა აწმყოს წრიდან მყოფადისაში გადადის (კერძოდ აწმყოს ფორმა ეხლანდელი დროის გაგებას კარგავს და მომავლისად იქცევა), მაგრამ ასეთ მოვლენას აქ არ ვხედავთ. ქრის და და-ქრის—ორივე აწმყოს მწკრივისა არის და ორივეს ეხლანდელი დროის გაგება აქვთ. თუ მათ შევადარებთ ამ ზმნებს: გრეხს და დაგრეხს, დავრწმუნდებით, რომ განსხვავება დიდია:

დროის თვალსაზრისით: ა) „ქრის“ მხოლოდ ეხლანდელია, „გრეხს“ კი — ეხლანდელიც და მომავალიც („ვერ ჰხედავ, რომ თოკს გრეხს?“ „შენ ოღონდ მოუტანე სათოკე მასალა და ხვალაც გრეხს“); ბ) „და-ქრის“ ეხლანდელია, „დაგრეხს“ კი — მომავალი.

მწკრივის თვალსაზრისით: „ქრის“ და „და-ქრის“ — ორივე აწმყოა, ხოლო „გრეხს“ აწმყოა, „და-გრეხს“ კი — მყოფადი.

ამგვარად, ზმნისწინის დართვამ „ქრის“ ზმნაში ვერ შეიტანა ვერავითარი ცვლილება ვერც დროისა და ვეოც მწკრივის თვალსაზრისით, „გრეხს“ ზმნაში კი შეიტანა: ეხლანდელის გაგება ჩამოაშორა და მხოლოდ მომავლისა დაუტოვა და ამით აწმყოს მწკრივიდან მყოფადისაში გადაიყვანა. აქედან დასკვნა: „ქრის“ და „დაქრის“ უასპექტოა, „გრეხს“ და „დაგრეხს“ — ასპექტიანი („გრეხს“ — უსრ. ასპ., „დაგრეხს“ — სრ. ასპ.).

რაც ითქვა „დაქრის“ შესახებ, იგივე შეგვიძლია გავიმეოროთ ამავე ფუძის სხვა ზმნისწინიანი ფორმების შესახებაც: **მო**-ქრის, **მი**-ქრის, **შე**-ქრის და სხვა. ამას გარდა, როგორც ნეიტრალურია ზმნისწინი ასპექტის საკითხში ამ ზმნასთან, ისე ნეიტრალურია ბევრ სხვასთანაც, როგორც ამას დაპირისპირება აჩენს: რბის და **მი**-რბის, გორავს და **და**-გორავს, ჰშურს და **შე**-ჰშურს, ჩანს და **მო**-ჩანს, დის და **ჩა**-დის, აპობს და **მი**-აპობს („სცურავთ ზღვაზე და მიაპობთ ზვირთებს ჟინით“, გ. ქუჩიშ., «ახალგაზრდობა»: «ახალგაზრდა კომ.» 29.11.1945); უკუეთუ რომელიმე განზრახვის აღსრულებაში დაბრკოლება შემხვდა, თითქოს ამით ძალა უფრო მომემატება და ყოველთვის უფრო მომეტებულის ენერგიით **მივიბრძვი**, ერთხელ ნიშნად ამორჩეულის საგნისაკენ“ (ა. ყაზბ.) და სხვ.

333. ასპექტი ძველ ქართულში. თუ ასპექტს განვიხილავთ ისტორიული თვალსაზრისით, მეტისმეტად საყურადღებო მოვლენას აღმოვაჩენთ. მართლაც, ასპექტი ძველ ქართულშიც იყო და ახალშიც არის, მაგრამ ის ძველად სულ სხვა პრინციპზე იყო დაფუძნებული, ვიდრე დღეს.

ძველ ქართულში ასპექტი უღლების კატეგორია იყო და მწკრივში შედიოდა, როგორც მისი ელემენტი: I სერიის მწკრივები უსრული ასპექტისანი იყვნენ, II სერიისა კი — სრულისანი. ზმნისწინს ამ საკითხში არავითარი ძალა არ ჰქონდა: ის ან გეზს აღნიშნავდა, ორიენტაციითურთ, ან ახალი ზმნის საწარმოებელი მორფემა იყო. ამიტომ აწმყოს მწკრივის ეხლანდელ დროს ზმნისწინის დართვა მომავლისად ვერ გადააქცევდა: „წერს“ და „შთასწერს“ ორივე აწმყოს მწკრივს განეკუთვნებოდა და ორივე ეხლანდელ დროს აღნიშნავდა (*წერს* пишет, *შთასწერს* записывает, вписывает). სამაგიეროდ II სერიის მწკრივები ყველა სრულ-ასპექტიანი იყო (რა თქმა უნდა, იმდენად, რამ-

ენადაც ზმნას ძალა შესწევდა, ასპექტი ჰქონოდა, — ზოგი ზმნა უასპექტო იყო). მიტომ ძველად ასპექტის საკითხში ერთმანეთს უპირისპირდებოდა არა ზმნისინიანი და უზმნისწინო ფორმები, როგორც ეს არის დღეს, არამედ მწკრივები, ომლებიც ელემენტების შედგენილობით ყველაფრად ერთნაირი იყვნენ, მაგამ განსხვავდებოდნენ სერიულად, ე. ი. წარმოების მიხედვით. ამ პრინციპის აფუძველზე ერთმანეთს უპირისპირდებოდა:

ა) უწყვეტელი და წყვეტილი: უწყვეტელი უსრული იყო, (დავსწერდ), ყვეტილი — სრული (დავწერე);

ბ) I კავშირებითი [1] და II კავშირებითი: I კავშ. უსრული იყო (დავსწერდე), I კავშ. — სრული (დავწერო):

გ) თხრობით კილოს მომავალში საკუთარი მწკრივი არ ჰქონდა, ის ან I კავირებითს იყენებდა, ან II-ს. ამათგან I უსრული იყო, II — სრული: ვ ჰ ყ ო ფე — буду делать (უსრ.). ვ ყ ო — ვიზამ, сделаю (სრ.), დავსწერდე буду исать, დავწერო напишу;

დ) ბრძანებითს საკუთარი მწკრივი ჰქონდა მე-2 და მე-3 პირისთვის როორც პირველ სერიაში, ისე მეორეში; ამათგან I სერიის მწკრივთა ფორმები სრული იყო: დასწერდი (пиши). II-ისა კი — სრული: დაწერე (напиши);

ე) აწმყო თავისთავად უსრული იყო.

რომ ნათელი იყოს აღნიშნული სისტემა ასპექტის გამოხატვისა, მოვიყვაოთ ორიოდე მოწმობა ძეგლებიდან:

1) „რაჲსა გ ა მ ო მ ც დ ი თ მე, ორგულნო?“ (მარკ. 12,15). — ზმნას ზმნისინი აქვს (**გამო**), მაგრამ დრო ეხლანდელია: „რაჲსა გამომცდით“ = რას მცდით?

2) „ხ ო ლ ო მ ა ნ ჰ რ ქ უ ა: მ ო ვ ე დ! და გ ა რ დ ა მ ო ვ ი დ ა პეტრე ავით და მ ო ვ ი დ ო დ ა იესუჲსა“ (მათ. 14,29). — აქ ზმნები „მოვედ“ და მოვიდოდა“ ორივე ზმნისწინიანია, მაგრამ ამას ორიენტაციისათვის აქვს მნიშელობა და არა ასპექტისთვის. ასპექტისთვის კი მნიშვნელობა იმას აქვს, რომ მოვედ“ II სერიას ეკუთვნის (წ. ბრძანებითია) და „მოვიდოდა“ — I სერიას უწყვეტელია). ამიტომ „მოვედ“ სრულია, „მოვიდოდა“ — უსრული. სამაგიეოდ უზმნისწინო „ჰრქუა“ სრულია, რადგანაც წყვეტილის ფორმაა.

3) „შ ე ი პ ყ რ ა ი გ ი, შ ე ა შ თ ო ბ დ ა მას და ე ტ ყ ო დ ა“ (მათ. .8,28). აქ სამი ზმნაა, პირველი — წყვეტილის ფორმით, მეორე და მესამე — ეწყვეტლის ფორმით. პირველი სრულია, სხვები კი — უსრული. მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ პირველ ორ ზმნას **შე** ზმნისწინი აქვს (**შე**-იპყრა, **შე**-შთობდა), მათ შორის ასპექტის მხრივ განსხვავებაა: „შეიპყრა“ სრულია, რადანაც წყვეტილია, „შეაშთობდა“ კი — უსრული, რადგანაც უწყვეტელია. ერთი და იმავე ასპექტის გაგებას ისინი მხოლოდ მაშინ მოგვცემდნენ, რომ ერთსა და იმავე მწკრივში ყოფილიყვნენ დაყენებული: „შეიპყრა და შეაშთო“ — მწკრივი წყვეტილია, ორივე სრულია; „შეიპყრობდა და შეაშთობდა“ მწკრივი უწყვეტელია, ორივე უსრულია.

4) „ხოლო იესუ ს ც ა შოლტითა და მ ი ს ც ა მათ“ (მარკ. 15, 16), — სცა“ და „მისცა“ ერთმანეთისაგან ზმნისწინით განსხვავდება, მაგრამ ორივე წყვეტილში დგას, ამიტომ ორივე სრულია.

5) „დ ა ს ც ე მ დ ე ს მას თავსა ლერწმითა და ჰ ნ ე რ წ ყ უ ვ ი დ ე ს მას“

---

[1] კავშირებითი მაშინ არ იყო ორად დაშლილი.

(მარკ. 15, 21). — აქ ორივე ზმნა უზმნისწინოა, მაგრამ ეს კი არ განსაზღვრავს რომ ორივე უსრულია, არამედ ის, რომ ორივე უწყვეტელშია.

6) „და უპყრა მას იესუ ჴელი მისი და განიყვანა იგი გარეშე და ბასა და ჰნერწყუა თუალთა მისთა და დასდვა მას ჴელი მისი და ჰკითხა მას“ (მარკ. 8,23). — აქ ხუთი ზმნაა, სამი უზმნისწინო (უპყრა, ჰნერწყუა ჰკითხა) და ორი ზმნისწინიანი (გან-იყვანა, და-სდვა), მაგრამ ხუთივე სრული ას პექტისაა, რადგანაც ყველა წყვეტილის ფორმაა.

7) „თქუენ ეცით მაგათ ჭამადი“ (მათ. 14,16). — „ეცით“ წართქმ. ბრძა ნებითია, მწკრივი II სერიისაა და, მაშასადამე, სრულია, თუმცა კი ზმნისწინ არა აქვს.

8) „მარტჳლნი ერთსა ხოლო ჟამსა იწამნეს, ხოლო ესე(ნი) ყოველს ჟამსა იწამებოდეს (გრ. ხანძთ., 7,54—55), აქ მხოლოდ ასპექტია განმასხვა ვებელი, სხვა ელემენტები ყველა ერთნაირია.

9) რომ ზმნისწინს ძველად მნიშვნელობა არ ჰქონდა ასპექტის საკითხის თვის, ეს მშვენივრად ჩანს „იწყეს“ და „დაიწყებდა“ ფორმების დაპირისპი რებით გრ. ხანძთელის «ცხორებიდან»: „და ერთობით ჯუარი დასწერეს ადგილ სა მას და იწყეს საქმედ — სენაკებისათჳს ქუეყანისა დავაკებად“ (7,36—37). — იწყეს უზმნისწინოა, მაგრამ წყვეტილის ფორმაა და სრულია (начали) მაგრამ შეადარეთ: „ხოლო ნეტარმან გრიგოლ ადგილი საეკლესიოჲ დაავაკა და ვითარ დაიწყებდა ეკლესიასა, ესე ლოცვაჲ ცრემლით წართქუა“ (10,6).— აქ იმავე ზმნას და აქვს დართული, მაგრამ უსრულია (начинал), რადგანაც უწყვეტელში დგას.

334. ბერძნული სისტემიდან სლაურამდე. მოყვანილი მაგალითებ ცხადჰყოფს, რომ სისტემა, რომელიც წარმოდგენილია ძველი ქართულის წე რილობითი ძეგლებით ასპექტის გამოხატვის საკითხში, ტიპობრივად სულ სხვა. ვიდრე ის, რასაც დღეს ვხედავთ ქართულში. სერიების დაპირისპირების პრინცი პი, რომელიც ძველ ქართულშია გატარებული, მოგვაგონებს ბერძნულს, რომელ შიც აწმყოსი და აორისტის თემები უპირისპირდება ერთმანეთს: აწმყოს თემ მასთან დაკავშირებული მწკრივებითა და უუღლებელი ფორმებით (ინფინიტი ვით, მიმღეობით) უსრული ასპექტისაა, აორისტისა კი (მისი მიმყოლი ფორმე ბითურთ: მწკრივებით, ინფინიტივით, მიმღეობით) — სრულისა[1]. დღევანდელ ქართული კი მისდევს იმ სისტემას. რომელიც წარმოდგენილია სლაურ ენებშ და კერძოდ რუსულში. მაშასადამე. ასპექტის განხილვა ისტორიული თვალსაზ რისით ამჟღავნებს სისტემის მთლიანად შეცვლას, ის გვიჩვენებს იმ გზას, რო მელიც ქართულ ენას გაუვლია იმ სისტემიდან, რომელიც ბერძნულშია წარმოდ გენილი, იმ სისტემამდე, რომელიც სლაურ ენებს ახასიათებს. ოღონდ მსგავსე ბა, რომელსაც ადგილი აქვს დღევანდელ ქართულსა და სლაურ ენებს შორის ასპექტის საკითხში, მხოლოდ ზოგად ხაზებშია მოცემული, დეტალებში კი დღე ვანდელი ქართული ასპექტი ძალიან განსხვავდება სლაურისაგან.

335. თანდათანობა სისტემის შეცვლაში. ერთი სისტემიდან მეორეზ გადასვლა ერთბაშად ვერ მოხდებოდა, ამას გრძელი ისტორია აქვს: ის ხდებო

[1] არსებითად იგივე პრინციპია გატარებული ძველ სომხურშიც (გრაბარში).

და ნელ-ნელა და თანდათანობით. ამიტომ XI—XVI საუკუნეების ძეგლებში გვერდი-გვერდს შეიძლება ძველი სისტემის ნიმუშებიც იყოს და ახლისაც.

ჯერ კიდევ ძველი ქართულის ძეგლებში კანტი-კუნტად მოიპოვება ახალი სისტემის ნიმუშები. მაგალითად, ზაქარია წინასწარმეტყველის ერთი ადგილი (13,7) ასეა დამოწმებული მათესა და მარკოზის თავში: „წერილ არს: დ ა ვ ს ც ე მწყემსი და განიბნინენ ცხოვარნი“ (მათ. 26,31; მარკ. 14,27). მაგრამ ასეა ზოგ რედაქციაში, ზოგში კი სხვაგვარად იკითხება: „დ ა ვ ს ც ე მ მწყემსსა და განიბნინენ ცხოვარნი“. ხელნაწერები ამ საკითხში ასეა განაწილებული: ადიშურსა და ათონურში ორგანვე „დავსცე მწყემსი“ იკითხება (იგივეა ორსავე ადგილას აგრეთვე გიორგი მთაწმიდლის რედაქციაში, როგორც ეს ნაბეჭდი წიგნებიდან ჩანს), ჯრუჭისა და პარხლისაში მათეს თავში არის: „დავსცე მწყემსი“, მარკოზისაში კი — „დავსცემ მწყემსსა“ (ზედმიწევნილობით რომ ვთქვათ, ჯრუჭის ხელნაწერში იკითხება: მათეს თავში „დავჰსცე“, მარკოზისაში „დავჰსცემ“), ტბეთურში კი ორგანვე „დავსცემ მწყემსსა“ არის, როგორც ამას გამოცემა აჩენს. არავითარი ეჭვი არ არის, რომ აქ მომავალი დროის თხრობითი კილოს მნიშვნელობით არის ნახმარი როგორც „დავსცე“, ისე „დავსცემ“ ფორმა (ბერძნულში აქ იკითხება წინადადება მყოფადის ფორმით **πατάξω τὸν ποιμένα**; სომხურიც მას მისდევს; ***հարից զհովիւն***). ეჭვი არ არის არც იმაში, რომ ერთ შემთხვევაში მომავლის ფორმა თხრობითი კილოსი ძველი სისტემით არის გამოხატული („დ ა ვ ს ც ე მწყემსი“—II სერია, II კავშ.), მეორე შემთხვევაში კი — ახალი სისტემით („დ ა ვ ს ც ე მ მწყემსსა“ — I სერია, მყოფადი).

XI საუკუნიდან რიცხვი ახალი სისტემის მიხედვით ნაწარმოები ფორმებისა თანდათან მატულობს. ორიოდე მაგალითი: „უკუეთუ მიგიშუნე ამას საქმესა ზედა, პირველად საქმეთა თქუენთა წ ა ი წ ყ მ ე დ თ და მერმე მონასტერი უწესოდ გ ა ვ ა“ (გიორგი მთაწმ., «ცხორ. იოვ. და ეფთ.», 68). — „წაიწყმედთ და „გავა“ სრული ასპექტის ფორმებია, ახალი სისტემის მიხედვით გაკეთებული (ძეგლი XI ს.-ისაა). ახალი სისტემისავე ნიმუშია შემდეგი ადგილი მიჯნაძოროელთა და ოპიზართა სიგლიდან (XI ს.): „და თუცა ოპიზარნი უნუგეშინისცემოდ გაგუეშუნეს, იგინი შ ე წ უ ხ დ ე ბ ო დ ე ს“ (შედეგობითი კილო).

მეტად საყურადღებოა ამ მხრივ «ვეფხის ტყაოსანი». რომელიც ძველი სისტემის ფორმებთან ერთად ახლისასაც ბლომად გვიჩვენებს.

„რად დ ა ს წ ა მ ე ბ სიმწარესა ყოველთათვის ტკბილად მხედსა?“ (113,3) აქ ზმნას ზმნისწინი აქვს დართული, მაგრამ დრო ეხლანდელია, მაშასადამე, ძველი სისტემაა მოხმარებული.

„ბრძანა: მინდორს შ ე ვ ჯ დ ე ბ ი ო“ (170,3). — აქ კი აშკარაა, რომ მომავლის ფორმაა, მაშასადამე, ფორმა ახალი სისტემის მიხედვით არის გაკეთებული. ეხლა ეს ვნახოთ:

მონადირეთა უბრძანა: მინდორნი მ ო ი ა რ ე ნ ი თ,
დ ა ს ც ე ვ ი თ ჯოგი მრავალი, თავნი ამისთვის ა რ ე ნ ი თ (71).

რომელი სისტემის თვალსაზრისითაც უნდა შევხედოთ ამ ადგილს, „მოიარენით“ და „დასცევით“ სრული იქნება მაინც (ძველით იმიტომ, რომ წართქმ. ბრძანებითია და II სერიის ფორმაა; ახლით იმიტომ, რომ ორივეს ზმნისწინი აქვს), „არენით“ კი განსხვავებას მოგვცემს: ძველით ის სრული ასპექტისა იქნე-

ბა (II სერიის ფორმაა და იმიტომ), ახლით კი — უსრულისა (ზმნისწინი არ ახლავს; ამ მხრივ ის უპირისპირდება „მოიარენით“ ფორმას, რომელიც სრულია). აღნიშნულ ადგილას სისტემა ძველი ჩანს და „არენით“ სრულად უნდა იქნეს გაგებული.

მშვილდსა ფიცხელსა მ ო გ ვ ც ე მ დ ი თ, ისარსა მ ო გ ვ ა რ თ მ ი დ ი თ ა.

ნაკრავსა შ ე ა დ ა რ ე ბ დ ი თ, ნასროლსა დ ა ს თ ვ ა ლ ვ ი დ ი თ ა (74). აქაც ფორმები ბრძ. კილოსია, მაგრამ ასპექტი უსრულია, სისტემა ისევ ძველია გამოყენებული.

336. სისტემის შეცვლის შედეგები. სისტემის შეცვლას ასპექტის საკითხში მეტად მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვა მორფოლოგიური თვალსაზრისით:

1. ასპექტი ძველად უღლების კატეგორია იყო: ის აუცილებელი ელემენტი იყო თვითეული მწკრივისა I-სა და II სერიაში, მაგრამ ახალ სისტემაზე გადასვლით ეს კატეგორია გამოვიდა უღლებიდან და წარმოქმნაში დაიჭირა ადგილი, რადგანაც ამ გზით მან ზმნის პარალელურ ფორმებს (უზმნისწინოსა და ზმნისწინიანს) მწკრივებში სხვადასხვა გრამატიკული მნიშვნელობა მისცა: გრიხა — დაგრიხა, გრიხოს — დაგრიხოს, უგრეხია — დაუგრეხია და სხვა.

2. პარალელურ ფორმათა განსხვავებული გამოყენებით ახალმა სისტემამ აწმყოს ჯგუფის სამი მწკრივისაგან წარმოქმნა სამი ახალი მწკრივი, განსხვავებული ერთიმეორისაგან შესაბამისად არა მარტო ასპექტის მიხედვით, არამედ დროისა და სხვა ელემენტების მიხედვითაც. ეს მოხდა ისე, რომ გარეგნულად ახალი არაფერი არ ყოფილა შექმნილი, — გამოყენებულ იქნა არსებული მარაგი ფორმებისა, ოღონდ გრამატიკული შინაარსის შეცვლით.

3. ახალ მწკრივებში ზმნისწინიან ზმნებს რამდენიმე უზმნისწინოც გადაჰყვა (§ 339).

4. შეიქმნა საფუძველი იმისა, რომ მომავლის საწარმოებლად თხრობით კილოს გაგებით აწმყოს მწკრივი ყოფილიყო გამოსავალი და II კავშირებითს საშუალება მიეცა თხრობითი კილოს გამოხატვაზე აეღო ხელი და მარტო კავშირებითობა აღენიშნა.

5. I სერიის ფორმების ორად გაყოფის გამო ერთმა გარემოებამაც იჩინა თავი: რაკი ზმნისწინმა მაპერფექტივებელი ძალა მოიპოვა და ამით მან I სერიის მწკრივთა სრულ-ასპექტიანი ფორმები ჩამოაშორა აწმყოს და მასთან წარმოების მხრით გაერთიანებულ მწკრივებს და მათ საპირისპიროდ მყოფადის წრის მწკრივები წარმოქმნა, ძირეულ მწკრივებში (აწმყოში, უწყვეტელში აწმყოს კავშირებითში) აღარ დაგვრჩა არავითარი საშუალება, რომ გეზი და ორიენტაცია იქნეს გამოხატული: „აღებს“ — ამაში შეიძლება **გა**-ღებაც ვიგულისხმოთ, **შე**-ღებაც და **გამო**-ღებაც; „წერს“ შეიძლება **და**-წერასაც გულისხმობდეს, **ჩა**-წერასაც, **გადა**-წერასაც, **გადმო**-წერასაც და სხვასაც.

6. იგივე ვითარება შეიქნა უსრული სახის ზმნებისთვის II და III სერიაშიც: ისინი აქაც მოკლებულია გეზისა და ორიენტაციის გამოხატვის საშუალებას.

7. თუ ძველად ჩვენი «აორისტი» (წყვეტილი), ბერძნულის მსგავსად

ყოველთვის სრული სახისა იყო, დღეს ის სრული სახისაც ვვაქვს და უსრულისაც:

მალა და ვეღარ დამალა აფშინამ წყლული გულისა
(ვაჟა, «გოგ. და აფშ.»).

აგრეევა „აორისტთან“ ერთად II სერიის ყველა მწკრივში.

8. ასპექტი შეიძინა III სერიის ფორმებმა და სახელზმნებმა.

ერთი სიტყვით, მოხდა მნიშვნელოვანი გადაჯგუფება ფორმებისა და, სხვათა შორის, I სერიისაგან ჩამოყალიბდა ორი ჯგუფი, ერთმანეთისაგან განსხვავებული ზოგიერთი არსებითი ნიშნის მიხედვით. მაგრამ, რადგანაც ორივე ჯგუფი სინტაქსურად ისევ ერთად არის და ზოგი რამ ისევ საერთოა მორფოლოგიურადაც, ერთი სერიისაგან მივიღეთ არა ორი სერია, არამედ ორი ქვე-სერია: ერთს მეთაურობს აწმყო და აწმყოს წრის სახელით აღვნიშნავთ, მეორეს მეთაურობს მყოფადი და სახელად მყოფადის წრე დაერქვა.

ორიოდე სიტყვით რომ შევაჯამლოთ შედეგი, რომელიც მოჰყვა მორფოლოგიაში სისტემის შეცვლას ასპექტში, უნდა ვთქვათ, რომ ზმნისწინმა ზმნას მისცა ასპექტი ახალ საფუძველზე, მაგრამ ამ ასპექტმა, უსრულობის შემთხვევაში, ზმნას წაართვა ზმნისწინი და ამით მოუსპო მას საშუალება, დამოკიდებულება ჰქონოდა სხვადასხვა ვითარებაში მდებარე პუნქტებთან სივრცეში. სხვანაირად რომ ვთქვათ, ზმნისწინმა შეუქმნა ზმნას „ახალი“ ასპექტი, სხვა სისტემისა, ამ „ახალმა“ ასპექტმა კი გარკვეულ შემთხვევებში მოუშალა ზმნას გეზი და ორიენტაცია.

ამგვარად, ასპექტის კატეგორიამ აღნიშნა, ასე ვთქვათ, დიდი მოხვეული ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში და ამით გარკვეული მიჯნა დაიდო ძველ ქართულსა და ახალს შორის. ამ მიჯნაზე ძევს საშუალი ქართული, რომელიც ასახავს ამ ორი სისტემის პარალელურ არსებობას და ენის ცდას, უფრო და უფრო მეტი გასაქანი მოუპოვოს ახალ სისტემას და მივიწყებას მისცეს ძველი.

გრამატიკული კატეგორია ასპექტისა ძირითადი განმასხვავებელი ნიშანია ძველსა და ახალ ქართულს შორის. როგორც ვნახეთ, ეს კატეგორია ძველ ქართულში სულ სხვა სისტემისა იყო, ვიდრე ახალში: ძველ ქართულში ამ გრამატიკული მოვლენის მიხედვით ერთმანეთს უპირისპირდებოდა I-ისა და II სერიის მწკრივები, რომელთაგანაც I სერიისა უსრული სახის ფორმებს გვიჩვენებდა, II სერიისა კი — სრული სახისას: დასწერდა (უსრ.) — დაწერა (სრ.). ახალ ქართულში კი ერთმანეთს უპირისპირდება ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმები, რის გამო სრული სახის ფორმები I სერიის მწკრივებშიც მოგვევპოვება და II-ისაშიც: წერს (უსრ.) — დაწერს (სრ.), წერა (უსრ.) — დაწერა (სრ.).

ძველი სისტემის შეცვლის ჩანასახი X საუკუნის ძეგლებშია დადასტურებული. ეს ჩანასახი თანდათან იზრდებოდა XI—XVII საუკუნეთა მანძილზე, მაგრამ ისე, რომ მის პარალელურად თანდათან სუსტდებოდა ძველი სისტემა და ილეოდა მისი ნიშნები.

ასპექტის სისტემის თანდათანობით ცვლასთან დაკავშირებით დაიწყო თხრობით-კილოიანი მომავალი დროის გამოხატვა აწმყოს მწკრივისაგან გამო-

ყოფილის ახალი მწკრივის საშუალებით, ე. ი. I სერიის მწკრივით, რაც ძველ ქართულში შეუძლებელი იყო. მაგ., გ. მთაწმიდლის ენაზე (XI ს.) „მოვკუდები“ ჯერ კიდევ ეხლანდელი დროის გაგებით არის ნახმარი („მ ო ვ კ უ დ ე ბ ი, დედოფალო“ = ვკვდები, ქალბატონო. სისტემა ძველია), «ამირანდარეჯანიან»-ში კი იმავე ფორმას მომავლის მნიშვნელობა აქვს, ე. ი. ახალი სისტემაა გამოყენებული: „ანუ მ ო ვ კ უ დ ე ბ ი[1] მათთანვე, ანუ ვიჴსნნე იგინიცა“. აქ საყურადღებოა ისიც, რომ „მოვკუდები“ ფორმის გვერდით იკითხება „ვიჴსნნე“, რაც ძველ სისტემაზე მიგვითითებს.

სისტემის შეცვლის პროცესი დამთავრებულია ახალ ქართულში, თუმცა მაგალითები ძველი სისტემის მოვლენებისა დღევანდელ ქართულშიც არის ნაშთის სახით შემორჩენილი.

337. ძველი სისტემის ნაშთები დღევანდელ ქართულში. მიუხედავად იმისა, რომ სისტემა ასპექტის გამოხატვისა დღევანდელ ქართულში ძირითადად შეცვლილია ძველთან შედარებით, მრავლად მოიპოვება ძველი სისტემის ნაშთები.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ უზმნისწინო ფორმები: „ბრძანა“, „თქვა“, „უთხრა“, „ჰკითხა“, „სთხოვა“, „ქნა“, რომლებიც წყვეტილში დგანან, ყველა სრულ-ასპექტიანია, როგორც ძველადაც იყო. ამათგან მარტო „ბრძანა“-ს, „სთხოვა“-სა და „ქნა“-ს აქვს აწმყო: „ბრძანებს“, „სთხოვს“, „იქს“, რომლებიც ეხლანდელ დროდაც გვესმის და, მაშასადამე, უსრულია, მაგრამ აღნიშნულ ფორმებს მომავლის გაგებაც აქვს და, მაშასადამე, ისინი შეიძლება ხან სრულად იქნენ გაგებული და ხან უსრულად: (მაგ., ბ რ ძ ა ნ ე ბ ს прикажет; будет приказывать). დანარჩენ ზმნებს აწმყოს წრის მწკრივები არა აქვს. — აქ მათ სხვა ზმნები ენაცვლება: თქვა — ამბობს, უთხრა — ეუბნება, ჰკითხა — ეკითხება. სამაგიეროდ, მათი მონაცვლეები („იტყვის“, „ეტყვის“ და „ჰკითხავს“) სრული ასპექტისაა და მყოფადის წრეშია გადასული. ეს კია, რომ „ჰკითხავს“ შეიძლება ზოგჯერ უსრულის ფორმადაც იქნეს გაგებული (როგორც ეს ძველად იყო) და ეხლანდელი დრო გადმოგვცეს.

„სცა“ ძველად სრული იყო და მისი შემცვლელი „სცემა“ დღესაც სრულია, მიუხედავად იმისა, რომ ზმნისწინი არა აქვს. მისი საპირისპირო უსრ ფორმა დღესაც „სცემდა“ არის (უწყვეტელი). ასევე შეცვალა „უთხრა“-მ „ჰრქუა“ და მანაც დღევანდლამდე დაიცვა ასპექტის სრულობა.

საყურადღებოა, რომ „იხილა“ ზმნაც სხვა ფუძის ზმნამ შეცვალა ახალ ქართულში: ეს არის ზმნა „ნახა“, რომელმაც ასპექტის საკითხში „იხილა“ გაიმეორა: II სერიის ფორმები ამ ზმნისა ყველა სრულია: ნახა, ნახოს, ნახის, ნახე. ის სრულია I სერიაშიც, ამიტომ ის აქ მყოფადის წრეშია მოქცეული და არა აწმყოსაში: ნახავს, ნახავდა, ნახავდეს. საზოგადოდ „ნახ“ ფუძესთან ასპექტის სრულობაა დაკავშირებული და ის ყველგან სრულია, მიუხედავად იმისა, ახლავს ზმნისწინი (და-ი-ნახა), თუ არა (ნახა).

ზოგიერთი ზმნისწინიანი ფორმის თავისებურება დღევანდელ ქართულში სწორედ იმით აიხსნება, რომ ძველი სისტემა მთლად არ არის დავიწყებული:

---

[1] თუ, რასაკვირველია, „მოვკუდები“ მერმინდელი გადამწერის კალამს არ ეკუთვნის (ნაცვლად „მოვკუდე“ ფორმისა).

„ათრევს“ აღნიშნავს ზმნის მოქმედებას ზოგადად, ასე ვთქვათ, უსივრცოდ, „მიათრევს“ კი — იმავე მოქმედებას სივრცეში, განსაზღვრული მიმართულებით, „მოათრევს“ აგრეთვე განსაზღვრულ მიმართულებას გვიჩვენებს, „დაათრევს“ კი — იმავე მოქმედებას განუსაზღვრელი მიმართულებით. ზმნისწინებს ამ შემთხვევაში მარტო მიმართულების აღნიშვნა აქვთ დაკისრებული: მიათრევს=თრევით მიაქვს, მოათრევს=თრევით მოაქვს, დაათრევს=თრევით დააქვს. მაშასადამე, აქ ზმნისწინი ისევეა ნახმარი, როგორც ძველად იხმარებოდა, მარტო გეზისა და ორიენტაციის გამოსახატავად. მაგრამ „მიათრევს“ და „მოათრევს“ შეიძლება სხვაგვარადაც იქნეს გაგებული: მიათრევს=თრევით მიიტანს, მოათრევს=თრევით მოიტანს, და მაშინ ზმნისწინს საასპექტო ძალაც ექნება მოპოვებული, — ის დასრულებულობის გაგებას მისცემს ზმნის მოქმედებას.

თქმულის მიხედვით „დაარხევდა“ უასპექტოა შემდეგ წინადადებაში: „ნუნუს თმები, რომელიც ქარს გაეშალა, დ ა ა რ ხ ე ვ დ ა, მოჰხვდა იმის სახეს“ (ყაზბ., «მამის მკვლელი», 213,17), იმიტომ რომ აქ „დაარხევდა“ ამას ნიშნავს: „რხევით მიმოჰქონდა“. კორექტურულ შეცდომად რომ მივიჩნიოთ აქ **და**-ს ზმნასთან შეერთება და ის კავშირად გამოვყოთ (როგორც ეს არის ა. აბაშელის გამოცემაში, 185), გვექნება: „ნუნუს თმები, რომელიც ქარს გაეშალა და ა რ ხ ე ვ დ ა, მოჰხვდა იმის სახეს“. ამ შემთხვევაში ის ასპექტიანადაც შეგვიძლია გავიგოთ და უასპექტოდაც: ასპექტიანია ასეთი დაპირისპირებით: არხევდა — დაარხევდა (ქარი კი არა, სიოს რომ მოებერა, ისიც ადვილად დ ა ა რ ხ ე ვ დ ა ნუნუს თმებს: „არხევდა“ უსრულია, „დაარხევდა“ — სრული), მაგრამ უასპექტოა, თუ მის საპირისპიროდ ისეთი „დაარხევდა“ იქნება, რომელიც მარტო მიმართულებას აღნიშნავს (იქეთ-აქეთ არხევდა). საზოგადოდ, არის ზმნები, რომლებთანაც ზმნისწინს შეუძლია მარტო გეზი აღნიშნოს, ასპექტი არა, მაგრამ შეიძლება ერთიც აღნიშნოს და მეორეც. ამ შემთხვევაში ზმნისწინად ყველაა შესაძლებელი, მაგრამ უმეტესად ესენი იხმარება: **მი, მო, და.** ასეთი ზმნებია: მოიქნევს (ა. ქნევით მოაქვს; ბ. ქნევას იზამს), მო-იჭამს (პურს მოიჭამს=პურის ჭამით მოდის, მაგრამ: „ბავშვს ძუძუ აწოვე, თორემ შიმშილისაგან თითს მოიჭამს“), მო-იკაფავს, მო-იგრიხება, მო-ძვრება, მი-ერეკება, და-ატარებს და სხვა.

მთავარი ნაშთი მაინც ხმოვნის მონაცვლეობაა: გარკვეულ ზმნებში **ი** ახასიათებდა სრულ ასპექტს (შეკრიბა), **ე** კი — უსრულს (შეკრებდა), მონაცვლეობა დარჩა, მაგრამ მას ნახევრად ძალა წაერთვა, რადგანაც სრული ასპექტი ამჟამად ენიანი ფორმითაც გადმოიცემა: შეკრებს.

338. ნაწილობრივი შევსება ნაკლისა. როგორც აღვნიშნეთ (§ 335), ახალ სისტემაზე გადასვლით ასპექტმა, უსრულობის შემთხვევაში, გეზი და ორიენტაცია დაუკარგა ზმნას. ამას განსაკუთრებით მძიმე შედეგები I სერიაში მოჰყვა: აწმყოს წრეში ზმნას აღარ შესწევს ძალა მოქმედების მიმართულება წარმოადგინოს სივრცეში (გეზი) და ამავე დროს გამოხატოს მოძრაობის დამოკიდებულება 1-ლ პირთან (ორიენტაცია). ამიტომ ზმნისწინთა მიხედვით განსხვავებული ნაირ-ნაირი ზმნები აქ ერთმანეთს ემსგავსება.

ქართულს შეუძლია უსრულ-ასპექტიანი ზმნისაგან სრულ-ასპექტიანი წარმოქმნას, მსგავსად რუსულისა, მაგრამ არ შეუძლია სრულ-ასპექტიანისაგან უსრული აწარმოოს და ამავე დროს ზმნისწინიც შეუნახოს, როგორც ეს არის რუსულში: ვწერ—пишу, ჩა-ვწერ—за-пишу, в-пишу, გადა-ვწერ — пере-пишу, აქ სრული ანალოგიაა, მაგრამ აღნიშნული სრულ-ასპექტიანი ზმნებისაგან სუფიქსის საშუალებით რუსულში ადვილად კეთდება უსრული ასპექტის ფორმა: за-писываю, в-писываю, пере-писываю, რომლის მსგავსი ქართულში არ მოიპოვება. მაგ., ს ა ლ ა მ ფუძისაგან, რომელიც არაბულიდანაა ნასესხები, გვაქვს ზმნისწინით განსხვავებული ზმნები: **მი**-სალმება და **გამო**-სალმება, რომლებიც სხვადასხვა ლექსიკური შინაარსისაა: მ ი ს ა ლ მ ე ბ ა — სალამის მიცემა შეხვედრისას, შეყრისას, გ ა მ ო ს ა ლ მ ე ბ ა — სალამის მიცემა გაყრისას, გამოთხოვებისას. თუ ასპექტი სრულია, მათ აშკარად განსხვავებული ფორმები აქვთ: მიესალმება, გამოესალმება, მიესალმა, გამოესალმა, მისალმებია, გამოსალმებია. რაც შეეხება I სერიის აწმყოს წრეს, აქ მათ განმასხვავებელი ნიშნები დაკარგებათ (ერთს **მი**, მეორეს **გამო**) და ერთმანეთს დაემსგავსებიან: ესალმება. ამიტომ კონტექსტის გარეშე გაუგებარი რჩება მისალმებაზეა საუბარი თუ გამოსალმებაზე: „ეს მამულის მოსიყვარულე, იმისთვის თავ-განწირული ჩენები ე ს ა ლ მ ე ბ ო დ ნ ე ნ თავის სამშობლოს“ (ყაზბ., «ელისო»). აქ ამბის მჳლელობის მიხედვით შეგვიძლია გავიგოთ, რომ ავტორს გ ა მ ო ს ა ლ მ ე ბ ა აქვს მხედველობაში (და არა მ ი ს ა ლ მ ე ბ ა), თორემ თვითონ ზმნის ფორმა ამის შესახებ ვერას გვეუბნება. ამ ნაკლს ნაწილობრივ ძველ სისტემაზე გადასვლით ვფარავთ:

მ ო გ ე ს ა ლ მ ე ბ ი თ, ქედებო, მომაქვს სალამი გვიანი («ბახტრ.»)

ზოგ შემთხვევაში პირდაპირ ძველი ფორმაა ეხლაც ხმარებული და ეს სრულებით არ ეხამუშება ყურს: განაგრძობს, განეკუთვნება, განიხილავს, განსაზღვრავს, განმარტავს, განაზოგადებს, განასხვავებს, აღწერს, აღაშფოთებს, აღნიშნავს, აღრიცხავს, აღჭურავს, შთააგონებს, წარმოგიდგენთ და სხვა, რომელთაც საჭიროების მიხედვით ეხლანდელის გაგებაც აქვთ. მაგრამ ასეთ შევსებას, რა თქმა უნდა, გარკვეული უხერხულობა ახლავს.

339. დროის გადაწევის მიზეზი უზმნისწინო ზმნებში. დღევანდელ ენაში ძირითადი საშუალება ასპექტის საწარმოებლად არის ზმნისწინი. უზმნისწინო ფორმები უსრული ასპექტის ზმნებს აწარმოებს, ზმნისწინიანი კი — სრული ასპექტისას.

ასპექტის ახალმა სისტემამ აწმყოს ფორმიან ზმნისწინიან ზმნებთან ერთად მნიშვნელობა რამდენიმე უზმნისწინო ზმნასაც გამოუცვალა: «ვეფხის ტყაოსანში» „ილოცავს“ და „იტყვის“ ჯერ კიდევ ეხლანდელი დროის გაგებით იხმარება:

ი ლ ო ც ა ვ ს, ი ტ ყ ვ ი ს: მაღალო, ღმერთო ხმელთა და ცათაო (809),

მაგრამ მათ დღეს მომავლის გაგება აქვთ. ამათთან ერთად მომავლის გაგების მატარებელია შემდეგი ზმნებიც: ნახავს, იყიდის, ჰკითხავს (იკითხავს), იტყვის, ეტყვის და ზოგი სხვაც.

მიზეზი ასეთი დროის გადაწევისა (ეხლანდელი→მომავალი) იმით აიხსნება, რომ სათანადო ფორმებმა II სერიაში სრული ასპექტის გაგება უზმნისწინოდაც შეინახეს და I სერიის ფორმებმა მათ აუბეს ფეხი, სრული ასპექტი

შეიძინეს და მივიღეთ სრული გათანაბრება: ნახა — ნახავს, იყიდა — იყიდის, ჰკითხა — ჰკითხავს, თქვა — იტყვის (აქ შენაცვლება იყო ძველადაც და ამჟამადაც შენაცვლებაა), ჰრქუა (უთხრა) — ეტყვის და სხვა.

340. ფორმისა და ფუნქციის ურთიერთობის საკითხი ასპექტში. სად უნდა მოვათავსოთ დრო-გადაწეული ფორმები, რომელ მწკრივში, აწმყოში თუ მყოფადში? თუ წარმოებას მივაქცევთ ყურადღებას, ისინი ყველა აწმყოს ფორმებია, მაგრამ მნიშვნელობით უთუოდ მყოფადის წრის ზმნებთან ერთად არიან. აწმყოში მათ სხვა ზმნები ენაცვლებათ (ნახულობს — ნახავს, ყიდულობს — ყიდის, ეკითხება — ჰკითხავს, ამბობს — იტყვის, ეუბნება — ეტყვის) და ამის მიხედვით მათ მყოფადში აქვთ მოპოვებული ადგილი: „ვნახავ“ მყოფადის ფორმაა, „ვნაყავ“ კი — აწმყოსი, მიუხედავად იმისა, რომ ერთგვარად ნაწარმოები ფორმებია.

ზმნისწინი ამჟამად მაპერფექტივებელი საშუალებაა, მაგრამ ზმნისწინის დართვა ზმნის გაპერფექტივებას ყოველთვის არ იწვევს. ხშირია, რომ, ორაზროვნობის თავიდან ასაცილებლად, ძველი სისტემა იქნეს გამოყენებული და ზმნისწინს შერჩეს მარტო გეზისა და ორიენტაციის მნიშვნელობა, ან კიდევ ახალი ზმნის საწარმოებელი ძალა. ამიტომ იმის გამოსარკვევად, თუ რა გაგება აქვს ზმნას ამა თუ იმ შემთხვევაში, კონტექსტია საჭირო. აი, მაგ., როგორ განურჩევლად არის ნახმარი ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმები: „*დალაგდებიან*. ზურნა საჭიდაოს *დაუკრავს*. ერთი მხრიდგან ამირინდო თავის ამხანაგებით *გამოიყვანს* მოჭიდავე ქართლელს, მეორე მხრიდგან —დავით ასლანიშვილი. ორნივ *ამხნევებენ* ფალავნებს, *უსწორებენ* ჩოხებს, *უკეცენ* ჩოხის კალთებს. ჭიდაობაა. ქართლელი *წააქცევს* კახელს“ (ყაზბ. «კონსტ. ბატონიშვილი»). ასევე განურჩევლადაა ნახმარი ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმები *თხრობითი კილოს* მნიშვნელობით აქაც. (იაგო) „ძალზე *აღებდა* პირს და *შეისუნთქავდა* ყნოსიერებით სავსე ბალახს. ყოველი ბალახი, ყოველი ყვავილი გამაცოცხლებლად *მიიზიდავდა* იმის თვალს და წარმოუთქმელად *ახარებდა* იმის გულს“ (ყაზბ., «მამის მკვლელი»). მოყვანილი ფრაზების ზმნები, რომელთაც ზმნისწინი აქვთ და, მიუხედავად ამისა, აწმყოს ფორმიან ზმნებთან არიან და ეხლანდელი დროის გაგებას გვაძლევენ, სხვა შემთხვევაში შეიძლება მომავლის ფორმად იქნენ გაგებული, ხოლო იმათ, რომელთაც თხრობითი კილოს გაგება აქვთ, უწყვეტლის ფორმების გვერდით იხმარებიან და იგივე მნიშვნელობა აქვთ, სხვაგან შეუძლიათ შედეგობითი კილოს მნიშვნელობა მოიპოვონ. მართლაც, ცალკე აღებული ფრაზა „ქართლელი *წააქცევს* კახელს“ სწორედ მომავლის გაგებას მოგვცემს, ხოლო ასეთ ფრაზაში: „იაგოს რომ მინდვრისკენ გაეხედა, ყოველი ყვავილი გამაცოცხლებლად *მიიზიდავდა* იმის თვალს“, „მიიზიდავდა“ ზმნა შედეგობითი კილოს მნიშვნელობას მოიპოვებს. აქედან უნდა დავასკვნათ: *დალაგდებიან*, *დაუკრავს* და *გამოიყვანს* მყოფადის მწკრივს უნდა მივაკუთვნოთ, *შეისუნთქავდა* და *მიიზიდავდა* კი — I ხოლმეობითს, მიუხედავად იმისა, რომ მოყვანილ ადგილებში პირველ ჯგუფს ეხლანდელის მნიშვნელობა აქვს, რომელიც ჩვეულებრივ აწმყოთი გადმოიცემა, და მეორე ჯგუფს კი — უწყვეტლისა.

საზოგადოდ ამა თუ იმ მწკრივისადმი მიკუთვნების საკითხი უნდა გადაწყდეს დღევანდელ ქართულში საერთოდ გატარებული ნორმების მიხედვით. ამიტომ: განსაზღვრავს, აღნიშნავს, განასხვავებს და მისთანა ზმნები მყოფადში უნდა მოვათავსოთ და არა აწმყოში.

341. ასპექტი უღლებისა და წარმოქმნის ურთიერთობის თვალსაზრისით. ეჭვი არ არის, რომ დღევანდელი ასპექტი საზოგადოდ წარმოქმნის კატეგორიაა, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ მას მთლად გაწყვეტილი ჰქონდეს კავშირი უღლებასთან.

ჯერ ერთი: წყვეტილის სრულ-სახიან ზმნას ამავე მწკრივის უსრულ-სახიანი ფორმა იმავე ფუძის ზმნისა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში უპირისპირდება, თორემ ჩვეულებრივ მას ისევ უწყვეტელი უდგას მოპირისპირედ, როგორც ეს ძველად იყო: „ჩემი მეგობარი წერილს წ ე რ დ ა და, როდესაც დ ა წ ე რ ა, თქვა“. ასეთივე საპირისპიროა: შეშას ა წ ყ ო ბ დ ა — შეშა დ ა ა წ ყ ო, ფიცარს თ ლ ი დ ა — ფიცარი გ ა თ ა ლ ა, ხეს ჭ რ ი დ ა — ხე მ ო ჭ რ ა და სხვა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ეს არის იმის საფუძველი, რომ წყვეტილს წინათ ნ ა მ ყ ო ს რ უ ლ ს ეძახდნენ და უწყვეტელს — ნ ა მ ყ ო უ ს რ უ ლ ს.

ეხლა მეორე: განსხვავება „ვწერ“ და „ვწერდი“ ფორმებს შორის მხოლოდ დროულია. აგრეთვე მარტო დროული განსხვავება ჩანს მკაფიოდ ამ ფორმებს შორისაც: „ვწერ“ და „დავწერ“, იმიტომ რომ სხვა ნუანსი (მოქმედების დასრულება), რომელიც **და** ზმნისწინს ამ შემთხვევაში შეაქვს, იჩრდილება დროის მიერ და იმდენად უმნიშვნელოა, რომ, დროული განსხვავების გარდა, თითქმის ვეღარაფერს ვამჩნევთ: ურთიერთობა „ვწერ“ და „დავწერ“ ფორმებს შორის იმგვარივე გვეჩვენება, როგორც „ვწერ“ და „ვწერდი“ ფორმებს შორის, ამიტომ, თუ იქ ერთსა და იმავე ზმნასთან გვაქვს საქმე, აქ როგორღა უნდა ვთქვათ, რომ სხვადასხვა ზმნებიაო?

და ზმნისწინი განკერძოებით არ დგას ამ ზმნასთან. მრავალია ზმნა, რომელთაც ეგევე ზმნისწინი სრული ასპექტის მიცემით უცვლის დროს ან სხვა ელემენტებს (კილოს, გზისობას); ასეთებია: ვაწყობ — დავაწყობ, ვხნავ — დავხნავ, ვთვლი — და-ვთვლი, ვამსხვრევ — და-ვამსხვრევ, ვადნობ — და-ვადნობ, ვკიდებ — და-ვკიდებ და სხვა.

მეორე მხრით, სხვა ზმნისწინებშიც ურევია ისეთები, რომ უმთავრესად ასპექტისთვის იყვნენ გამოყენებული, ხოლო გეზი და ორიენტაცია აღარ იყოს მხედველობაში მიღებული; მაგალითად, ვტეხ—გა-ვტეხ, ვაკეთებ—გა-ვაკეთებ, ვაშრობ — გა-ვაშრობ, ვათეთრებ — გა-ვათეთრებ, ვყიდი — გა-ვყიდი, ვასწორებ — გა-ვასწორებ და სხვა; ასეთებია აგრეთვე: ვღებავ—შე-ვღებავ, ვიცვამ—ჩა-ვიცვამ და სხვა. საზოგადოდ, უზმნისწინო ზმნა, უსრულ-ასპექტიანი, უსივრცო წარმოდგენას გვაძლევს მოქმედების შესახებ, ზმნისწინი კი ამ წარმოდგენას კონკრეტულ სახეს აძლევს სივრცეში და თანაც განსაზღვრავს მოქმედებას დასრულების თვალსაზრისით. ამიტომ უზმნისწინო ფორმაში თავს იყრის რამდენიმე ზმნა, რომლებიც მხოლოდ სრულ-ასპექტიანობის შემთხვევაში განსხვავდებიან. ლექსიკური შინაარსით „კლავს“ და „მოკლავს“ ერთ ხაზზე მდებარეობს, „კლავს“ და „დაკლავს“ — სხვა ხაზზე, „კლავს“ და „ჩაკლავს“ — კი-

დევ სხვაზე. ასეთსავე სხვადასხვა ხაზებს გვიჩვენებს სხვა ზმნებიც ზმნისწინის შეცვლით. ეს ხაზები აწმყოს წრის ფორმებში ჯვარედინდებიან:

(წყვეტ.) (აწმყო) (მყოფ.)	(წყვეტ.) (აწმყო) (მყოფ.)
მოკლა—კლავს—მოკლავს	შეკერა—კერავს—შეკერავს
დაკლა—კლავს—დაკლავს	გაკერა—კერავს—გაკერავს
ჩაკლა—კლავს—ჩაკლავს	დაკერა—კერავს—დაკერავს

ერთიც კიდევ: სრულ-ასპექტიან ზმნას საზოგადოდ არ მოეპოვება ეხლანდელი დრო, რაც ადვილად გასაგებია, მაგრამ უსრულ-ასპექტიანი ზმნა მოკლებულია საშუალებას, პარალელური ფორმა ამოუყენოს გვერდში სრულ-ასპექტიან ზმნას მომავალში, როგორც ამას რუსულში აქვს ადგილი (пишу — буду писать), ქართულ უსრულ-ასპექტიან ზმნას საკუთარი მწკრივი მომავლის თხრობითი კილოსათვის არ მოეპოვება.

დასკვნა: ასპექტს უღლების ფარგლებიდან სულ გამოსულად ვერ მივიჩნევთ, მას რამდენადმე კიდევ შერჩენილი აქვს უღლების კატეგორიის ნიშნები.

342. **დიმიტრი ყიფიანის ტაბულა.** ასპექტის კატეგორია დღევანდელ ქართულში არსებითად იმავე საფუძველზეა აგებული, რაზედაც სლაურ ენებში, კერძოდ რუსულში, სადაც ეს კატეგორია უფრო ნათელიც არის, ვიდრე ქართულში. რადგანაც ჩვენს სკოლებში XIX ს.-ში რუსულ გრამატიკაზე იზრდებოდნენ, ხოლო ასპექტის კატეგორია რიგიანად იყო წარმოდგენილი რუსულ გრამატიკულ ლიტერატურაში, მოსალოდნელი იყო, რომ ის სათანადო სიცხადით იქნებოდა გაშუქებული ქართულშიც, მაგრამ ამას საერთოდ ვერ ვხედავთ. ერთად-ერთი გამონაკლისია დ. ყ ი ფ ი ა ნ ი ს მიერ შედგენილი ტაბულა „წერა“ ზმნის უღლებისა, რომელიც სახელმძღვანელოთა კომიტეტს გადაეცა 31. III. 1853 წელს. ამ ტაბულაში „წერა“ ყველგან უსრული სახით არის მოყვანილი და თან შენიშვნა აქვს გაკეთებული რუსულად: „თავში რომ დაემატოს ერთ-ერთი ნაწილაკი, მაგ., „და“, ყველა დროში წარმოდგება სრული ანუ დამთავრებული სახე ზმნისა“-ო. აქედან ცხადია, რომ ასპექტის ხასიათი სწორად არის გამორკვეული.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. სახელმძღვანელოთა შემდგენელი კომიტეტი (Комитет начертания учебных пособий) რამდენიმე განყოფილებისაგან შედგებოდა, მათ შორის იყო ქართულიც (Грузинский отдел). წევრები, როგორც ჩანს, ზოგნი მხოლოდ სათანადო განყოფილებათა სხდომებს ესწრებოდნენ, ზოგნი კი განყოფილებაშიც იღებდნენ მონაწილეობას და კომიტეტის პლენუმშიც. ქართული განყოფილების თავმჯდომარე იყო დ. ყ ი ფ ი ა ნ ი, რომელიც, პ. ი ო ს ე ლ ი ა ნ თ ა ნ ერთად, პლენუმის წევრიც იყო.

აღნიშნული ტაბულის შედგენის საბაბი, როგორც ჩანს, ქართ. განყოფილებაში სარეცენზიოდ შესული დ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი ს ქართული გრამატიკა იყო.

პეტერბურგის უნივერსიტეტის ადიუნქტ-პროფესორმა დ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ მ ა კომიტეტს წარუდგინა სკოლებში გავრცელების ნებართვისათვის მის მიერ რუსულად შედგენილი გრამატიკა ქართ. ენისა და რუსულ-ქართული ლექსიკონი, რომლებიც

ამიერ-კავკასიის სკოლების სახელმძღვანელოდ იყო განკუთვნილი. კომიტეტმა ისინი სარეცენზიოდ გადასცა ქართ. განყოფილებას. განყოფილებამ მოისმინა დ. ყიფიანის ვრცელი დასაბუთებული კრიტიკა ამ სახელმძღვანელოების შესახებ და თავის სახელით გადასცა ის კომიტეტს 31. III. 1853 წელს. კრიტიკას დართული ჰქონდა ტაბულა „წერა“ ზმნის უღლებისა, რომელსაც ხელს აწერენ:

დ. ყიფიანი, კომიტეტის წევრი და ქართ. განყოფილების თავმჯდომარე,
პ. იოსელიანი, კომიტეტის წევრი,
ზ. ყორღანაშვილი, კომიტეტის წევრი ქართ. განყოფილებაში,
ეფრემ ალექსიშვილი, მღვდელი, წევრი ქართ. განყოფილებისა,
ივ. თურქისტანიშვილი, კომიტეტის წევრი ქართ. განყოფილებაში,
ზაქარია მოლოდინაშვილი (?), კომიტეტის წევრი ქართ. განყოფილებაში (ხელის მოწერა გაურკვეველია).

ტაბულას მიწერილი აქვს ქართ. განყოფილების თავმჯდომარის ხელით: К представлению Грузинского Отдела в Комитет Начертания Учебных Пособий от 31 марта 1853 года. Тифлис.

ეს ტაბულა («Спряжение Глагола წერა писать») ამჟამად დაცულია საქ. მუზეუმში ყოფ. წერა-კითხვის საზოგადოების ხელნაწერთა ფონდში (Տ 4913/ბ). ის მოხსენებულია აღნიშნულ სახელმძღვანელოთა რეცენზიაში, რომელიც გამოაქვეყნა პროფ. ა. ცაგარელმა (Сведения, I. вып. 3-й, СПБ. 1894. ув. 70).

რეცენზიისა და ტაბულის ავტორი უთუოდ დ. ყიფიანია, რადგანაც რეცენზიის ერთ ადგილას პ. იოსელიანი, რომელიც აგრეთვე ხელს აწერს ტაბულას, მესამე პირად არის დამოწმებული (ნათქვამია: Тщетные попытки католикоса Антония, академика Броссе, почтеннейшего нашего сочлена П. И. Иоселиани, адьюнкт-профессора Чубинова, — оказали более или менее важные заслуги науке და სხვა, გვ. 64).

ამას გარდა, დ. ყიფიანი ერთ თავის მოხსენებაში, რომელიც მას კავკასიის ოლქის მზრუნველის ბარონ ა. ნიკოლაისთვის მიურთმევია 26. II. 1854 წ., ადასტურებს შემდეგს: მე კარგად ვიცი (мне достоверно известно), რომ, პ. იოსელიანს გარდა, ქართ. გრამატიკას ადგენდნენ ყორღანაშვილი და თურქისტანიშვილი, მაგრამ მათაც ყოველგვარად ხელი აიღეს დ. ჩუბინაშვილის მეტოქეობაზეო (ა. ცაგარელი, იქვე, გვ. 99).

არის კიდევ ერთი საბუთი ავტორის ვინაობის დასადგენად: აღნიშნული ტაბულა, მცირეოდენი ცვლილებით, შეტანილია დ. ყიფიანის «ახალ ქართულ გრამატიკაში», რომელიც „სხარტულად დაწერილია მამისაგან შვილებისათვის“ და გამოცემულია პეტერბურგში 1882 წელს. თუმცა აქ შენიშვნა არ არის, მაგრამ სამაგიეროდ თვითეულ მწკრივთან მოყვანილია სრული სახეც: ვსწერდი-ს რუბრიკის ქვეშ: „სრული — დავსწერდი“, ვსწერე-ს ქვეშ: „სრული — დავსწერე“ და შემდგომი.

343. ცხრილი. დაგვრჩა ერთი: შევაჯუმლოთ ზემოთ ნათქვამი ცხრილში, რომელიც მოკლედ და თვალსაჩინოდ წარმოგვიდგენს ასპექტის ვითარებას დღევანდელ ქართულში. მაგალითებად მოყვანილია სამი ზმნა: **ტეხა, ქება** და **მალვა.** ამათში „ქება“ ზმნისწინთაგან მხოლოდ **შე**-ს მიიღებს, რომელსაც ზმნაში მარტო სრული ასპექტის გაგება შეაქვს: ქება — **შე**-ქება. რაც შეეხება ორ დანარჩენს, მათ სხვადასხვა ზმნისწინის მიღება შეუძლიათ, მაგრამ, თუ მარტო ასპექტია მხედველობაში და გეზსა და ორიენტაციას ანგარიში არ ეწევა, მაშინ „ტეხა“-ს **გა** უნდა, „მალვა“-ს კი — **და**: ტეხა — **გა**-ტეხა, მალვა — **და**-მალვა.

ცხრილში ჯერ ნაჩვენებია „ტეხა“ ზმნის სრული უღლება სუბიექტური პირების მიხედვით თითო სერიის თითო მწკრივში (I სერიაში ორივე წრისათვის), მერმე კი სამივე ზმნის 1-ლი სუბ. პირის ფორმები თვითეულ მწკრივში, გარდა წართქმ. ბრძანებითისა, სადაც მე-2 პირის ფორმებია მოყვანილი.

	I სერია		II სერია		III სერია	
	აწმყო	მყოფ.	წყვეტილი		I თურმეობითი	
	(უსრ.)	(სრ.)	(უსრ.)	(სრ.)	(უსრ.)	(სრ.)
მხ. 1.3	ვტეხ	გა-ვტეხ	ვტეხე	გა-ვტეხე	მიტეხია	გა-მიტეხია
2.3	სტეხ	გა-სტეხ	სტეხე	გა-სტეხე	გიტეხია	გა-გიტეხია
3.3	ტეხს	გა-ტეხს	ტეხა	გა-ტეხა	უტეხია	გა-უტეხია
მრ. 1.3	ვტეხთ	გა-ვტეხთ	ვტეხეთ	გა-ვტეხეთ	გვიტეხია	გა-გვიტეხია
2.3	სტეხთ	გა-სტეხთ	სტეხეთ	გა-სტეხეთ	გიტეხიათ	გა-გიტეხიათ
3.3	ტეხენ	გა-ტეხენ	ტეხეს	გა-ტეხეს	უტეხია(თ)	გა-უტეხია(თ)

I სერია

უსრული (აწმყოს წრე)

აწმყო	ვტეხ	ვაქებ	ვმალავ
უწყვეტ.	ვტეხდი	ვაქებდი	ვმალავდი
აწმყ. კავშ.	ვტეხდე	ვაქებდე	ვმალავდე

სრული (მყოფადის წრე)

მყოფადი	გა-ვტეხ	შე-ვაქებ	და-ვმალავ
I ხოლმ.	გა-ვტეხდი	შე-ვაქებდი	და-ვმალავდი
მყოფ. კავშ.	გა-ვტეხდე	შე-ვაქებდე	და-ვმალავდე

II სერია

	(უსრ.)	(სრ.)	(უსრ.)	(სრ.)	(უსრ.)	(სრ.)
წყვეტ.	ვტეხე	გა-ვტეხე	ვაქე	შე-ვაქე	ვმალე	და-ვმალე
II ხოლმ.	ვტეხი	გა-ვტეხი	ვაქი	შე-ვაქი	ვმალი	და-ვმალი
II კავშ.	ვტეხო	გა-ვტეხო	ვაქო	შე-ვაქო	ვმალო	და-ვმალო
ბრძან.	ტეხე	გა-ტეხე	აქე	შე-აქე	მალე	და-მალე

III სერია

	(უსრ.)	(სრ.)	(უსრ.)	(სრ.)	(უსრ.)	(სრ.)
I თურმ.	მიტეხია	გა-მიტეხია	მიქია	შე-მიქია	მიმალავს	და-მიმალავს
II თურმ.	მეტეხა	გა-მეტეხა	მექო	შე-მექო	მემალა	და-მემალა
III კავშ.	მეტეხოს	გა-მეტეხოს	მექოს	შე-მექოს	მემალოს	და-მემალოს

იმის ნათელსაყოფად, თუ რა განსხვავებაა ძველსა და ახალ ქართულს შორის ასპექტის გამოხატვის საშუალებათა საკითხში, მოვიყვანოთ შესადარებლად ძვ. ქართულის მწკრივებიც:

I სერია	II სერია
(უსრული)	(სრული)
აწმყო: გან-ვსტეხ, ვაქებ, და-ვჰმალავ.	—————
უწყვეტელი: გან-ვსტეხდ, ვაქებდ, და-ვჰმალევდ.	**წყვეტილი:** გან-ვტეხე, ვაქე, და-ვმალე.
I კავშ. (იგივე **მყოფადი**): გან-ვსტეხდე, ვაქებდე, და-ვჰმალვიდე.	**II კავშ.** (იგივე **მყოფადი**): გან-ვტეხო, ვაქო, და-ვმალო.
I ბრძ.: გან-სტეხდი, აქებდი, და-ჰმალევდი.	**II ბრძ.:** გან-ტეხე, აქე, და-მალე.

II სერიაში არ მოიპოვებოდა ისეთი მწკრივი, რომ მას ეხლანდელის გაგება ჰქონოდა, ამიტომ აწმყოს არაფერი უპირისპირდებოდა II სერიიდან. რაც შეეხება აწმყოს ხოლმეობითს, რომელიც ნაკლული იყო (სუბიექტისთვის მარტო მე-3 პირის ფორმები ჰქონდა: მხ. რ. წერ-**ნ**, არ-**ნ**; მრ. რ. წერ-**ედ**, არი-**ედ**), ის ვერ უპირისპირდებოდა წყვეტილის ხოლმეობითს, რადგანაც მრავალგზისობის კატეგორია ახლოს დგას უსრული ასპექტის კატეგორიასთან (§ 331). ამიტომაა, რომ აწმყოს ხოლმეობითი და წყვეტილის ხოლმეობითი ხშირად გვხვდება ერთად, განურჩევლად, პერმანსივის მნიშვნელობით: „რომელი გარდამრჴ საქმჱ არნ, მას აუწყიან“ («ცხორ. გრ. ხანძთ.»); „რაჟამს იტყჳნ, ბრძნად ალაღის პირი თჳსი და წესი განუჩინის ენასა თჳსსა“ (ib.)

რაც შეეხება III სერიის მწკრივებს, მათ სულ სხვა შედგენილობა ჰქონდათ ელემენტების მხრივ და საპირისპირო ფორმები აკლდათ, ამიტომ უასპექტონი იყვნენ.

გვარი

344. გვარის რაობა. გვარი არის ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორია ურთიერთობა გრამატიკულად მოქმედ პირსა და ზმნით აღნიშნულ მოქმედებას შორის: გამომდინარეობს მოქმედება სუბიექტური პირისაგან და სხვა პირზეა პირდაპირ დამართებული, განიცდის ამ მოქმედებას, თუ გამომდინარეობს მისგან, მაგრამ ისე, რომ არც სხვა პირზეა დამართებული და არც განცდილია სხვისი ზემოქმედებით. ამის მიხედვით გვაქვს სამი გვარი: მოქმედებითი, ვნებითი და საშუალი.

მოქმედებითია (აქტიურია) გვარი, რომელიც გვიჩვენებს, რომ გრამატიკულად მოქმედი პირი, რომელსაც სუბიექტურის სახელით ვიცნობთ, იგივეა, რაც რეალურად მოქმედი პირი, და მას მოეპოვება სამოქმედო პირი, პირდაპირ-ობიექტურის სახელით ცნობილი; მაგალითი: „ვაგორებ“ (მე მას).

ვნებითია (პასიურია) გვარი, რომელიც გვიჩვენებს, რომ სუბიექტური პირი იმასვე განიცდის, რასაც პირდაპირ-ობიექტური სათანადო მოქმედებითში, ოღონდ ზმნის ფორმით არ ჩანს, თუ ვისგან ან რისგან; მაგალითი: „გორდება“.

საშუალია (მედიალურია) გვარი, რომელიც გვიჩვენებს, რომ სუბ. პირი „მოქმედებს“ ისე, რომ სამოქმედო ობიექტი არა აქვს, მაგრამ ამ მოქმედებას არ „განიცდის“, როგორც ამას ადგილი აქვს ვნებითში; მაგალითი: „გორავს“.

მოყვანილი განსაზღვრა გვარის კატეგორიისა მოცემულია ზმნის პირიან ფორმათა მიხედვით. მაგრამ გვარი უპირო ფორმებსაც მოეპოვებათ. ქართულში ასეთია მიმღეობა. მიმღეობის ფორმათა მიხედვით კი გვარის განსაზღვრა ასეთი იქნება: გვარი არის ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, რომ საგანი, რომელსაც აღნიშნავს ან რომლის მიმართაც ნახმარია ეს მიმღეობა, ა) სხვა საგნის მიმართ არის მოქმედების ჩამდენი, ბ) ან მოქმედება მას აქვს „განცდილი“ (ანუ „დამართებული“), გ) ან კიდევ გამოყვანილია მოქმედად, მაგრამ სხვა საგანთან მიმართების გარეშე და განუცდელად. ნათქვამია: „მგორავს ქვას ხავსი არ მოეკიდებაო“ («ქართ. ანდაზ.», 1876), მაგრამ იგივე ანდაზა ასეც ითქმის: „აგორებულ ქვას ხავსი არ მოეკიდებაო“. მგორავია რაც გორავს, აგორებულია რაც ააგორეს, ხოლო მგორებელია ვინც აგორებს. ეს ფორმები მიმღეობის ფორმებია, რომლებიც გვართა მიხედვით ასეა განაწილებული: მგორებელი — მოქმ., (ა)გორებული—ვნებ., მგორავი — საშუალი.

თუ ზმნას ავიღებთ ფართო მნიშვნელობით, ე. ი. თუ შევაერთებთ პირიანსა და უპირო ფორმებს და გვარს ისე განვსაზღვრავთ, უნდა ვთქვათ: გვარი არის ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს: ა) ან იმას, რომ მოქმედება ჩადენილია ობიექტის მიმართ, ე. ი. სხვა პირის ან საგნის მიმართ, ბ) ან იმას, რომ მოქმედება განცდილია თვით პირის ან საგნის მიერ, გ) ან კიდევ იმას, რომ მოქმედება ჩადენილია უობიექტოდ, მაგრამ განუცდელად.

შეფარდება სამივე გვარის ფორმებს შორის თანაბარი არ არის. მოქმედებითი და ვნებითი კვალდაკვალ მისდევენ ერთმანეთს (საყოველთაოდ თუ არა, გარკვეული ტიპის ზმნებში მაინც). რაც შეეხება საშუალს, ის ზოგ თავისებურებას გვიჩვენებს. ამიტომ პირველად ორ გვარზე უნდა შევჩერდეთ — მოქმედებითსა და ვნებითზე.

მოქმედებითი გვარი შემოკლებით აქტივად ითქმის, ვნებითი — პასივად, საშუალი — მედიუმად.

შენიშვნა. ტერმინი „გვარი“ უდრის ლათ. genus-ს (genus verbi) და მნიშვნელობით იგივეა, რაც ბერძნ. დიათესი (διάθεσις), რუს. залог. საამისოდ ლათინურად ზოგჯერ იხმარებოდა vox, საიდანაც მიღებულია ფრანგ. voix და ინგლ. voice. იშვიათად ამის ქართ. თარგმანს („ხმას“) ჩვენშიც ხმარობდნენ (მაგ. კ. დოდაშვილი).

345. ურთიერთობა მოქმედებითსა და ვნებითს შორის. ქართულში კარგად უპირისპირდება ერთმანეთს მოქმედებითი და ვნებითი.

თუ მოქმედებითი ორ-პირიანია, ურთიერთობა პირებს შორის ყოველთვის ასეთია: ერთი პირი მეორეზე მოქმედებს, ანუ ერთი პირი მოქმედია, მეორე კი — მისი სამოქმედო; გრამატიკის თვალსაზრისით მოქმედი პირი სუბიექტურია, სამოქმედო — პირდაპირ-ობიექტური: „ვათბობ“ (მე მას).

თუ მოქმედებითი სამ-პირიანია, ერთი პირი მოქმედია, მეორე — სამოქმედო, მესამე — გარეშე, მოქმედი პირი სუბიექტურია, სამოქმედო — პირდაპირ-ობიექტური, გარეშე — ირიბ-ობიექტური: „ვუთბობ“ (მე მას მას).

თუ ვნებითი ერთ-პირიანია, ეს ერთი პირი სუბიექტურია („ვთბები“) და თუ ორ-პირიანია, მაშინ გრამატიკის თვალსაზრისით ასეთი ურთიერთობა

მათ შორის: ერთი პირი სუბიექტურია, მეორე ირიბ-ობიექტური: „ვუთბები“ (მე მას).

იმის ნათელსაყოფად, თუ რა ურთიერთობაა თვით გვარის ფორმებს შორის, ე. ი. აქტივსა და პასივს შორის, მივმართოთ უმარტივეს ფორმებს — ორ-პირიან მოქმედებითსა და ერთ-პირიან ვნებითს.

მოქმ. გვარის ზმნის ორ-პირიან ფორმაში სუბიექტურ პირს გარდა გამოხატულია პირდაპირ-ობიექტური პირი, როგორც ამას შემდეგი მაგალითები გვიჩვენებს: ვაქებ, ვტანჯავ, ვტეხ, ვაშენებ, ვათბობ, — აქ ყველგან მოქმედია 1-ლი პირი, სამოქმედოა მე-3 (ფორმაა ჩემეულ-მისეული: მე მას), იგივე მაგალითები პირთა სხვაგვარი დაჯგუფებით: გაქებ, გტანჯავ, გტეხ, გაშენებ, გათბობ. — აქაც ყველგან მოქმედია 1-ლი პირი, სამოქმედოა მე-2 (ფორმაა ჩემეულ-შენეული: მე შენ). შეიძლება სხვაგვარადაც დავაჯგუფოთ სუბიექტ-ობიექტური პირები, მაგრამ აქ ესეც კმარა.

აღნიშნულ ფორმათა საპირისპირო ვნებითი ისეთია, რომ აქ მოქმედება „ემართება“ ანუ „მოსდის“ პირს, რომელიც განიცდის ვნებას, თუმცა კი ზმნის ფორმიდან არა ჩანს, თუ ვისგან ან რისგან; მაგალითები: ვიქები, ვიტანჯები, ვტყდები, ვშენდები, ვთბები.

მოყვანილ მაგალითთაგან საანალიზოდ ავიღოთ „ვთბები“, რომელიც გვარის მიხედვით უპირისპირდება ყველა სუბიექტურ ფორმას, რომლებთანაც 1-ლი პირი პირდაპირ-ობიექტურია მოქმედებითში, ე. ი. ამაებს: მათბობ, მათბობს, მათბობთ, მათბობენ. „ვთბები“—არ ჩანს, რომ სხვა მოქმედებდეს ჩემზე, თვითეული მისი საპირისპირო ფორმა კი ორ პირს გულისხმობს, რომელთაგანაც ერთი მიზეზია მეორის თბობისა; მაგ., „მათბობს“ ფორმის მიხედვით მე-3 პირი სითბოს იწვევს 1-ლში; სამაგიეროდ „ვთბები“ აღნიშნავს, რომ 1-ლი პირი, რომელიც წარმოდგენილია შიგ, „ვნებულია“, ე. ი. მას მიეწერება მოქმედება, რომელიც არ არის სხვა პირისაგან გამომდინარე, — მოქმედება მასში ხდება სხვისგან ჩაურევლად, სხვისი მოქმედების გარეშე.

346. კონვერსია. ურთიერთობა აქტივსა და პასივს შორის ისეთია, რომ ერთი წარმოადგენს მეორის მობრუნებულ სახეს. ამიტომ ერთი გვარიდან მეორეში გადაყვანა არსებითად არის ფორმის მობრუნება ანუ კონვერსია (მოქცევა). თუ გამოსავლად მოქმ. გვარს ავიღებთ, ვნებითი იქნება მისი მობრუნებული სახე, ხოლო თუ გამოსავლად ვნებითს მივიჩნევთ, მაშინ, პირუკუ, მოქმედებითი აღმოჩნდება ვნებითის მობრუნებული სახე.

ქართული ენა უმეტესად აქტიური ფორმების ენაა. თანაც ცოტაა ისეთი ვნებითი ზმნები, რომელთაც სათანადო მოქმედებითი არ მოეპოვებოდეს. თუ ამასთანავე მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ზოგმა ენამ (მაგ., აფხაზურმა) ვნებითი გვარის ფორმები არც კი იცის, კონვერსიის საკითხების გარჩევისას უნდა გამოვიდეთ მოქმედებითიდან; გვექნება: ვნებითი გვარის ფორმები არის მობრუნებული სახე მოქმედებითისა, ანუ, რაც იგივეა, პასიური ფორმა აქტიურის კონვერსიული სახეა.

მობრუნებას (მოქცევას) ანუ კონვერსიას გარკვეული შედეგი მოსდევს ორი პირისთვის: სუბიექტურისა და პირდაპირ-ობიექტურისთვის.

347. კონვერსია და სუბიექტური პირი. პირის დაკლება. ის პირი, რომელიც სუბიექტურია მოქმედებითში, გვარის მობრუნების დროს კი არ გადაჰყვება ვნებითში, არამედ დაიკარგება სრულიად. ამიტომ პირთა რაოდენობა მუდამ ერთით ნაკლებია ვნებითში, ვიდრე სათანადო მოქმედებითში; სახელდობრ: სამ-პირიანი ზმნა ორ-პირიანად იქცევა და ორ-პირიანი — ერთ-პირიანად.

მაგალითები სამ-პირიანობაზე: ბიჭმა გოგოს კოკა *გაუტეხა* — გოგოს კოკა *გაუტყდა*, მეზობელს სახლი *აუშენა* — მეზობელს სახლი *აუშენდა*, გული *გაუხეთქა* — გული *გაუსქდა*, დას ძმა *წაჰკიდა* — დას ძმა *წაეკიდა*, სიტყვას *დააწერს* — სიტყვა *დაეწერება*. მოყვანილ მაგალითებში მოქმ. გვარის ფორმები ყველა სამ-პირიანია (გაუტეხა, აუშენა, გაუხეთქა, წაჰკიდა, დააწერა), სათანადო ვნებითისა კი — ორ-პირიანი (გაუტყდა, აუშენდა, გაუსქდა, წაეკიდა, დაეწერება).

მაგალითები ორ-პირიანობაზე: ბიჭმა *კოკა გატეხა* — *კოკა გატყდა*, მეზობელმა სახლი *ააშენა* — სახლი *აშენდა*, გული *გახეთქა* — გული *გასქდა*, სიტყვას *დაწერს* — სიტყვა დაიწერება. ამ მაგალითებში მოქმ. გვარის ფორმები ყველა ორ-პირიანია (გატეხა, ააშენა, გახეთქა, დაწერს), სათანადო ვნებითისა კი — ერთ-პირიანი (გატყდა, აშენდა, გასქდა, დაიწერება).

რომ ყველაფრად ნათელი იყოს საქმის ვითარება კონვერსიის დროს, მოყვანილ მაგალითთაგან საანალიზოდ ავიღოთ ეს წყვილი: „კოკა გატეხა“ და «კოკა გატყდა»; თანაც გავავრცოთ პირველი წინადადება ქვემდებარით: „ბიჭმა კოკა გატეხა“. ორ-პირიან «გატეხა» ფორმას ორი სახელი ეფარდება: „ბიჭი“ და „კოკა“, რომელთაგანაც ერთია სუბიექტი, ანუ ქვემდებარე („ბიჭმა“), მეორე კი — პირდ. ობიექტი („კოკა“). ვნებითად რომ შემოვაბრუნოთ ეს ფრაზა, ამას მივიღებთ: „კოკა გატყდა“, სადაც ზმნა ერთ-პირიანია და მის შესაფერისად ფარდი სახელი ერთიღაა: „კოკა“. მაშასადამე, კონვერსიის ძალით დაიკარგა სუბიექტური პირი და მისი ფარდი სახელი („ბიჭმა“), მივიღეთ ერთ-პირიანი ზმნა, რომელსაც ფარდად ერთი სახელი აქვს: „კოკა“, რომელიც უკვე სუბიექტი გახდა. როცა გავიგონეთ: „ბიჭმა კოკა გატეხა“-ო, მივხვდით, თუ ვინ არის მოქმედების ჩამდენი და რა არის ამ მოქმედების საგანი, ე. ი. ვინ არის გამტეხი და რა არის გატეხილი, ხოლო, როცა თქვეს „კოკა გატყდა“-ო, ის გავიგეთ მხოლოდ, რომ კოკას იგივე საქმე მოუვიდა, რაც პირველ შემთხვევაში (როცა თქვეს: „ბიჭმა კოკა გატეხა“-ო), ოღონდ განსხვავება ის არის, რომ ახლა უკვე არ ვიცით, თუ ვისგან გამომდინარეობს კოკის გატეხა („კოკა“ აქ უკვე გრამატიკული სუბიექტია).

მაშასადამე, ნიშანდობლივი თვისება ვნებითისა ის არის, რომ ის ზმნით გამოხატულ მოქმედებას წარმოგვიდგენს რეალურად შემსრულებელი პირის გამოუჩენლად.

სუბიექტური პირის დაკარგვა კონვერსიის დროს არ ნიშნავს, რომ ვნებითში სუბ. პირი არ იყოს. არა, ვნებითში სუბ. პირი არის, მაგრამ მას მოქმედებითში სხვა პირი შეესატყვისება, როგორც ამას შემდგომ პარაგრაფში ვნახავთ.

348. კონვერსია და პირდაპირი. მოქმ. გვარის ფორმის ვნებითში გადაყვანის დროს ის პირი, რომელიც აქტივში პირდაპირ-ობიექტურია (ანუ, შემოკლებით, რომელიც პირდაპირია), სუბიექტური ხდება პასივში. ეს შემდეგს ნიშნავს: რაც პირდაპირს მოსდის სუბიექტური პირისაგან აქტივში, იმას სუბიექტური პირი თვითონვე განიცდის პასივში. მაგალითები მისეულ-ჩემეულზე: მაშენებს— ვშენდები, მამკობს — ვიმკობი, მმალავს — ვიმალები, მათბობს — ვთბები და სხვა.

თუ პასიურ ფორმას აქტიურად ვაქცევთ, მაშინ, პირუკუ, სუბიექტური პირი პასივისა აქტივში პირდაპირ-ობიექტური გახდება. თავისთავად ცხადია, რომ ზმნის ფორმას ერთი პირი მოემატება, ოღონდ აქტივში სუბ. პირთაგან რამდენიმეა შესაძლებელი: 1-ლთან მე-2 და მე-3, მე-2-სთან 1-ლი და მე-3, მე-3-სთან კი — ყველა. მაგალითები: ვიმალები — მმალავს, ვიტანჯები — მტანჯავს, ვთბები — მათბობს და მისთ. (ან ვიმალები — მმალავ, ვიმალები — მმალავთ, ვიმალები — მმალვენ).

349. კონვერსია და ირიბი. აქტივის პასივად გადაკეთების დროს ირიბ-ობიექტურ პირს (შემოკლებით: ირიბს) არა მოუვა რა, — ის თავის ალაგას დარჩება, ოღონდ, რა თქმა უნდა, აქტიური ფორმა უთუოდ სამ-პირიანი უნდა იყოს, რომელიც პასივში ორ-პირიანი გახდება: ბავშვს კოკა გ ა უ ტ ე ხ ე ს — ბავშვს კოკა გ ა უ ტ ყ დ ა; სახლი ა მ ი შ ე ნ ა — სახლი ა მ ი შ ე ნ დ ა; გუშინ რომ საქმე მ ო მ ა ნ დ ე — გუშინ რომ საქმე მ ო მ ე ნ დ ო; კარგი ამბავი გულს მ ო გ ფ ხ ა ნ ს — კარგი ამბისაგან გული მ ო გ ე ფ ხ ა ნ ე ბ ა და მისთანანი. — აქ აქტიური ფორმები ყველა სამ-პირიანია, მათი პასივი კი — ყველა ორ-პირიანი, რასაც მათ-მათი საგუებლები გამოაჩენს: გაუტეხეს (მათ მას იგი) — გაუტყდა (მას იგი), ამიშენა (მან მე იგი) — ამიშენდა (მე იგი), მომანდე (შენ მე იგი), — მომენდო (მე იგი), მოგფხანს (იგი შენ მას) — მოგეფხანება (იგი შენ).

350. კონვერსია და პირთა ურთიერთობა საზოგადოდ. ზემორე თქმულის მიხედვით პირთა ურთიერთობა კონვერსიის შემთხვევაში ასე გვეხატება: როდესაც აქტივის ფორმა პასივში გადაგვყავს, აქტივის სუბიექტური პირი იკარგება, პირდაპირი სუბიექტურად იქცევა, ირიბი კი ირიბადვე რჩება [1]. აქედან დასკვნა: კონვერსიის საკითხი არსებითად ორი პირის საკითხია: სუბიექტურისა და პირდაპირ-ობიექტურისა.

მაშასადამე, აქტივ-პასივი — ეს არის საშუალება, რომელიც მოეპოვება ენას, რომ საგნის დამოკიდებულება მოქმედებისადმი ორნაირად ასახოს: ერთი ისე, რომ რომელიმე საგანი მოქმედების ობიექტად იქნეს გამოყვანილი, მეორე კი ისე, რომ იგივე საგანი ამ მოქმედების მიმართ სუბიექტად იქნეს წარმოდგენილი. ეს დებულება ნათელი იქნება სათანადო სახელთა შეწყობით ზმნის ფორმასთან: „ძაღლები მ ი უ ს ი ე ს მგელს“, — აქ ფორმა აქტივია, „ძაღლები“ პირდ. ობიექტად არის გამოყვანილი; „ძაღლები მ ი ე ს ი ვ ნ ე ნ მგელს“ — აქ კი ფორმა პასივია და „ძაღლები“ სუბიექტად არის წარმოდგენილი.

---

[1] III სერიაში ირიბ-ობიექტური პირი დარჩება, მაგრამ სუბიექტური გახდება: შდრ. „ვ ა ხ ტ ა ნ გ ს ცხენი დაუკარგავს“ და „ვ ა ხ ტ ა ნ გ ს ცხენი დაჰკარგვია“.

351. კონვერსიის აუცილებელი პირობა. ქართული ზმნის პოლიპროსოპიისა (მრავალ-პირიანობისა) და მრავალნაირ ფორმათა არსებობის გამო ზოგჯერ ძნელია ფორმის ერთი გვარიდან მეორეში სწორად გადაყვანა, განსაკუთრებით მაშინ, თუ ვნებითი ორ-პირიანია. ავიღოთ ასეთი მაგალითი: „სიკვდილსაც ისე დავავიწყდი, როგორც კაცსა“ (ჭავ., «გლახ. ნაამბ.»). — აქ „დავავიწყდი“ პასივია. ეს ზმნა რომ აქტივში გადავიყვანოთ, წინადადებამ თითქო ასეთი სახე უნდა მიიღოს: „სიკვდილმაც ისე დამივიწყა, როგორც კაცმა“. მაგრამ, კარგად თუ დავუკვირდებით, აღმოჩნდება, რომ საქმე აგრე არ არის: „დავავიწყდი“ ორ-პირიანი ფორმაა (დავავიწყდი მე მას), ორ-პირიანია აგრეთვე „დამივიწყა“-ც (მან მე). უკვე ვიცით, რომ კონვერსიამ განსხვავება უნდა მოგვცეს პირთა რაოდენობაში (§ 347): ორ-პირიანი პასივი სამ-პირიანად უნდა იქცეს აქტივში, ორ-პირიანი აქტივი კი ერთ-პირიანი უნდა გახდეს პასივში. „დავავიწყდი“ და „დამივიწყა“ კი ერთურთის მიმართ ასეთ ურთიერთობას ვერ გვიჩვენებენ, მაშასადამე, ისინი არ შეიძლება იყვნენ ერთურთის კონვერსიული ფორმები. მართლაც: „დავავიწყდი“ — ამისი ერთ-ერთი კონვერსიული ფორმაა აქტივში „დამავიწყეს“ ასეთი საგუებლებით: მათ მას მე, ე. ი. ასეთი გაგებით: ჩემი თავი დაავიწყეს მას (ვთქვათ, სიკვდილს, კაცს), სადაც 1-ლი ობ. პირი პირდაპირია, მე-3 ობიექტური კი — ირიბი. ასეთი პირდაპირი ცვალებადია და ასეთი ირიბი — უცვალებელი, რაც იშვიათი მოვლენაა (§ 294); ჩვეულებრივ კი აქტივში ცვალებადად ირიბი გვხვდება, უცვალებლად — პირდაპირი: დამავიწყეს (მათ მე იგი), დაგავიწყეს (მათ შენ იგი), დაავიწყეს (მათ მას იგი) და შემდგომი. მაშასადამე; „დამავიწყეს“ ფორმა პოლისემიური ფორმაა, — ის ორნაირ გაგებას შეიცავს:

ა) დამავიწყეს — მათ მე მას; ამისი ვნებითია: დავავიწყდი (მე მას);

ბ) დამავიწყეს — მათ მე იგი; ამისი ვნებითია: დამავიწყდა (მე იგი).

რაც შეეხება „დამივიწყა“ ფორმას, რომელიც ორ-პირიანია და ერთი შეხედვით მოქმედებითი, მას არ მოეპოვება თავისი ცალი ვნებითში, აღწერილობით კი ასე გადმოიცემა: „დავიწყებულ ვიქმენ“.

„დავავიწყდი“-ს ტიპისაა შემდეგი ფორმები: შევსძულდი, გავახსენდი, შევეცოდე, მოვეწონე და მისთანა. ამ ზმნების თავისებურება ის არის, რომ ვნებითში ისინი ერთი ზმნის ფორმებად ითვლებიან (რადგანაც, მაგ., „დავავიწყდი“ და „დამავიწყდა“ ერთმანეთისაგან მხოლოდ პირთა ურთიერთობით განსხვავდებიან), სათანადო მოქმედებითის ფორმები კი ორი სხვადასხვა ზმნის კუთვნილებაა, რომლებიც, რამდენადაც იხმარებიან, ფორმობლივ ერთმანეთს ემთხვევიან, პოლისემიური ფორმებია.

ამიტომ კონვერსიის დროს აუცილებელი პირობაა, რომ განსხვავება იყოს პირთა რაოდენობის მხრივ. თუ ეს პირობა დარღვეულია, ცხადია, ორი ფორმა ერთისა და იმავე ფუძისა, ერთი გარდამავალი, მეორე გარდაუვალი, ერთურთის მიმართ კონვერსიული ვერ იქნება. თუ ორ-პირიანი ვნებითი გვაქვს და სათანადო სამ-პირიანი მოქმედებითი არა, ეს ნიშნავს, რომ მას ცალი აკლია; ჩვეულებრივია, მაგ., ზმნები: „ვეჩხუბე“, „ვეომე“, „ვებაასე“, და სხვა, მაგრამ იშვიათია „მაჩხუბა მან მას მე“, მაომა (მან მას მე), მაბაასა (მან მას

მე) და მისთ. სინონიმური გამოთქმებია: ევედრება, ეხვეწება, ემუდარება და ეაჯება, მაგრამ სათანადო აქტივი მარტო პირველ ორს აქვს: ავედრებს, ახვეწებს (შეავედრა, შეახვეწა). იშვიათად შეიძლება ესეც შეგვხვდეს: „ამუდარებს“ („ვარდს მ ა მ უ დ ა რ ე, ალერსი ჩართე“, ბესიკი), „აჯება“ კი აქტიურად თუმც გვხვდება („მ ი ა ჯ ე თ ვინ, ხორცთა დაწვა კმა არს, მისცეს სულთა ლხენა“, «ვეფხ.», 10; „იაჯს“, „იაჯდის“), მაგრამ აქტიურ ფორმას სათანადო პასიური აკლია და პასიურს — სათანადო აქტიური.

ზემორე თქმულის გათვალისწინებით განვიხილოთ ზოგიერთი მაგალითი.

შეამკო—შეიმკო. პირველი ფორმა მოქმედებითია და ორ-პირიანი, მეორე კი — ვნებითი და ერთ-პირიანი. ისინი ერთურთის მიმართ კონვერსიული ფორმებია, მაგრამ არა ყოველთვის. მაგ., ამ ფრაზაში: „არსენი კათალიკოსმან... საყდარი მამათმთავრობისაჲ შ ე ა მ კ ო სრულიად და შ ე ი მ კ ო მადლითა“ («ცხორ. გრიგ. ხანძთ.», 42) საქმე ისეა წარმოდგენილი, რომ რაც პირველ შემთხვევაში პირდ. ობიექტს მოსდის სუბიექტისაგან (საყდარს არსენისაგან), მეორე შემთხვევაში იგივე მოსდის სუბიექტს (არსენის), რომელზედაც ნათქვამია „შეიმკო“-ო. სულ სხვა ვითარება იქნებოდა, რომ „შეიმკო“ ფორმის სუბიექტად საყდარი იგულისხმებოდეს: მაშინ „შეამკო — შეიმკო“ კონვერსიული ფორმები იქნებოდა.

ავავსენით — ავივსენით. «ვეფხის ტყაოსანში» ვკითხულობთ: „ჩვენ მივართვით, მათ გვიბოძეს, ა ვ ა ვ ს ე ნ ი თ, ა ვ ი ვ ს ე ნ ი თ“ (1124). კარგი დაპირისპირებაა მოქმედებითისა და ვნებითისა, მაგრამ ისინი კონვერსიულ ფორმებად ვერ მიიჩნევა. ეს მხოლოდ მაშინ იქნებოდა, რომ მოქმედებითის პირდ. ობიექტური პირი (მე-3) ვნებითში სუბიექტური იყოს (ა ვ ა ვ ს ე ნ ი თ — ა ი ვ ს ე ს). ან ვნებითის სუბიექტური პირი მოქმედებითში პირდაპირი იყოს (ა გ ვ ა ვ ს ნ ე ს — ა ვ ი ვ ს ე ნ ი თ).

იმავე პოემაში იკითხება: „მიღვწიან, მ ო მ ი გ ო ნ ე ბ ე ნ, დამლოცვენ, მ ო ვ ე გ ო ნ ე ბ ი“ (803). აქაც მშვენიერი დაპირისპირებაა აქტივ-პასივისა (მ ო მ ი გ ო ნ ე ბ ე ნ — მ ო ვ ე გ ო ნ ე ბ ი), მაგრამ ეს ერთი ძირის ზმნები ერთმანეთის მიმართ კონვერსიული ფორმები არ არის, რადგანაც „მომიგონებენ“ სათავისო ქცევის ფორმაა, ორ-პირიანი, რომელსაც თავისი ვნებითი არა აქვს. „მოვეგონებიც“ ორ-პირიანი ფორმაა, მისი შესატყვისი კონვერსიული ფორმა აქტივში იქნება სამ-პირიანი „მომაგონებენ“ ასეთი გაგებით: მოაგონებენ მას ჩემს თავს, ე. ი. იმგვარად, რომ 1-ლი პირი პირდაპირ-ობიექტური იყოს და არა ირიბ-ობიექტური.

რჩებოდა — არჩენდა. პირველი ფორმა ვნებითია და ერთ-პირიანი, მეორე მოქმედებითი და ორ-პირიანი. ისინი ერთი-მეორის კონვერსიული ფორმებია, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუ მათთან შეწყობილი სუბიექტები სხვადასხვა პირი აღმოჩნდება. ამ მაგალითში კი: „მაგით რ ჩ ე ბ ო დ ა ის და ა რ ჩ ე ნ დ ა თავის ცოლსა“ (ჭავ., «გლახ. ნაამბ.») ორსავე ზმნას ერთი და იგივე რეალური პირი მოუდის სუბიექტად, მაშასადამე, კონვერსიული ფორმები არაა.

არჩენდა — თავს ირჩენდა, არც ეს ზმნები იქნება ერთმანეთის მიმართ კონვერსიული ფორმები, რადგანაც ორივე ზმნა მოქმედებითი გვარისაა: „ირჩენდა“ სათავისო ქცევის ფორმაა და არა ვნებითი.

შევაძულე — შევსძულდი („ჩემი ერთგულების გამო ბევრს შ ე ვ ს ძ უ ლ-

დი“, ჭავ., «გლახ. ნაამბ.»). „შევაძულე“ სამ-პირიანია (მე მას იგი), „შევსძულდი“ კი — ორ-პირიანი (მე მას); პირველი მოქმედებითია, მეორე — ვნებითი, მაგრამ ერთურთის მიმართ ისინი კონვერსიული ფორმები არაა, იმიტომ რომ ერთი და იგივე პირია წარმოდგენილი სუბიექტად პირველშიც და მეორეშიც. პირველის შესატყვისი იქნებოდა „შესძულდა“, მეორისა კი—შემაძულა (ან შემაძულეს, ან კიდევ შემაძულე, შემაძულეთ, ამ გაგებით: მე მას, ე. ი. პირველი პირი რომ პირდაპირი იყოს).

საზოგადოდ, კონვერსიის დროს ასეთი ვითარებაა: არ შეიძლება, რომ ერთი და იგივე საგანი სუბიექტური პირი იყოს მოქმედებითშიც და ვნებითშიც: აქაც პირველი და იქაც პირველი ან კიდევ აქაც მეორე და იქაც მეორე. რაც შეეხება მესამე პირს, აქ კი შესაძლებელია ორივე საგანი მესამე პირი იყოს გრამატიკულად, მაგრამ რეალურად აუცილებლად სხვადასხვა, — ვთქვათ, ერთში პეტრე, მეორეში პავლე: პავლემ პეტრე გაგზავნა — პეტრე გაიგზავნა.

352. კონვერსია და ინვერსია. როგორც დავრწმუნდით (§§ 347, 348, 351), კონვერსია გულისხმობს ფორმის იმგვარად შეცვლას, რომ პირდაპირ-ობიექტური პირი სუბიექტურად იქნეს წარმოდგენილი. რაც შეეხება ინვერსიას, ის კი გულისხმობს პირის ნიშნების შეცვლას ერთისა და იმავე რომლობითი პირის გამოსახატავად: სუბიექტურ პირს ობიექტურ-ნიშნიანი ფორმა გამოხატავს და ობიექტურ პირს — სუბიექტურ-ნიშნიანი (§§ 238—241). რადგანაც კონვერსია მიგვითითებს როლების გაცვლაზე პირდაპირ-ობიექტურსა და სუბიექტურს შორის, შეიძლებოდა დაგვესკვნა, რომ ამას სათანადო ნიშანთა გაცვლა-გამოცვლა უნდა მოჰყვესო, ე. ი. პირდ.-ობიექტური პირის ნიშნები ვნებითში სუბიექტურის ფუნქციით უნდა აღიჭურვოსო, მაგრამ არა! კონვერსია სხვაა და ინვერსია სხვა:

ა) კონვერსიას ყველა სერიაში აქვს ადგილი, ინვერსიას კი — მხოლოდ მესამეში;

ბ) კონვერსია გულისხმობს როლების გაცვლას პირდაპირ-ობიექტურსა და სუბიექტურ პირს შორის, ინვერსია კი — როლების გაცვლას ირიბ-ობიექტურ ნიშნებსა და სუბიექტურებს შორის (§ 240, გვ. 190, უკანასკნ. აბზაცი).

ასე რომ კონვერსია და ინვერსია არა თუ არ ემთხვევიან ერთმანეთს, არამედ სულ სხვადასხვა მოვლენას აღნიშნავენ ენაში. ეს არის მიზეზი, რომ სახელიც სხვადასხვა ეწოდა მათ: ერთს კონვერსია, მეორეს ინვერსია.

353. ქართულის შედარება სხვა ენებთან აქტივ-პასივის ურთიერთობის საკითხში. აქტივ-პასივი რომ ერთმანეთის კონვერსიული სახეა, ეს ისეთი ენებიდანაც კარგად ჩანს, სადაც მოქმ. გვარის ზმნა ერთ-პირიანია. მაგ., არაბ. „კათალა“ აქტივია (კათალა ზაჲდუნ რაჯულან, „ზაიდმა კაცი მოკლა“), ხოლო მისი შესატყვისი პასივი იქნება „კუთილა“ (კუთილა რაჯულუნ — „კაცი მოიკლა“=კაცი მოკლეს). აქტიური „კათალა“ და პასიური „კუთილა“ ერთ-პირიანი ზმნებია ორნივე, მაშასადამე, პირთა რაოდენობის მხრივ მათ შორის განსხვავება არ არის. ასეთივე ვითარებაა ლათინურშიც (ornat „ამკობს“ — ornatur „იმკობა“), რუსულშიც (строит „აშენებს“ — строится „შენდება“) და სხვა ენებშიც, რომელთაც მრავალ-პირიანობისა (პოლიპროსოპიისა) არა იციან

რა. ასეთ ენებში მორფოლოგიური განსხვავება აქტივსა და პასივს შორის დამყარებულია მარტოოდენ იმაზე, რომ მოქმ. გვარის ფორმათა საპირისპიროდ სხვა ფორმები მოიპოვება, რომელთაც ვნებითის შინაარსი აქვთ. ქართულში კი ამას პირთა რაოდენობის გარჩევაც ახლავს. აქტივი ყოველთვის ერთი პირით მეტია სათანადო პასივზე.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. „მოკლა“ ზუსტად ვერ გადმოგვცემს არაბ. „კასალა“ ფორმას, რადგანაც ქართ. ფორმა ორ-პირიანია, არაბული კი — ერთ-პირიანი. ასეთივე ურთიერთობაა ქართ. „ამკობს“ და ლათ. ornat-ს შორის და ქართ. „აშენებს“ და რუს. строит-ს შორისაც.

354. ფორმობლივი შედარება აქტივსა და პასივს შორის. დაპირისპირება მოქმედებითსა და ვნებითს შორის იმაზეა დამყარებული, რომ მოქმედებითს თავისი ფორმები მოეპოვება და ვნებითს — თავისი. ფორმობლივ გარჩევას მათ შორის ყველა მწკრივში აქვს ადგილი და არსად შეხვედრა არ ხდება. გარჩევა სხვადასხვა საშუალებით ხერხდება: ან იმით, რომ ვნებითს საკუთარი ნიშანი აქვს, რომელიც მას მოქმედებითისაგან ძირითადად განასხვავებს ამა თუ იმ მწკრივში, ან იმით, რომ ვნებითს ფორმები სხვა პრინციპზე აქვს აგებული, ვიდრე სათანადო მოქმედებითს. საკუთარი ნიშანი ვნებითს საზოგადოდ I-სა და II სერიაში მოეპოვება, სხვა პრინციპზე კი ფორმებს III სერიაში იკეთებს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. შეხვედრა შეიძლება მოხდეს, მაგრამ არა თავის მოქმედებითთან, არამედ სათავისო ქცევის ფორმებთან, ისიც მეორე სერიის ფორმებში: „დაიწყო“ შეიძლება მოქმედებითიც იყოს და ვნებითიც.

355. ვნებითის ჯგუფები. ფორმათა წარმოების მიხედვით ქართ. ზმნებში გამოიყოფა ორი დიდი ჯგუფი: ერთს ეკუთვნის ზმნები, რომელთაც ვნებითის ნიშანი ფუძის წინ დაერთვის, მეორეს — ის ზმნები, რომელთაც ვნებითის ნიშანი ფუძის შემდეგ მოუდის. მაშასადამე, პირველ ჯგუფს პასივის საწარმოებლად პრეფიქსაცია ახასიათებს, მეორეს კი — სუფიქსაცია. ამის მიხედვით პირველი ჯგუფის ვნებითი არის პრეფიქსიანი, მეორე ჯგუფისა კი — სუფიქსიანი.

ამას გარდა, მოიპოვება ერთი წყება ზმნებისა, რიცხვით ძალიან მცირე, რომელთაც ვნებითი სულ სხვა პრინციპზე აქვთ აგებული. თუმცა მათი ფორმები სათანადო მოქმედებითის ფორმათაგან ყველა მწკრივშია გარჩეული, მაგრამ მათ არ გააჩნიათ რაიმე გარკვეული ნიშანი, რომ იგი ყველა ფორმას გასდევდეს I-სა და II სერიაში. ამიტომ მათ შეგვიძლია „უნიშნო“ ვუწოდოთ.

356. პრეფიქსიანი ვნებითი. პრეფიქსიანია ვნებითი, რომელიც ნიშნებს ფუძის თავში მიიღებს. ეს ნიშნებია **ი** და **ე**, რომლებიც ასე ინაწილებენ ფორმებს: ერთ-პირიანებს (აბსოლუტურებს) **ი** მოუდის, ორ-პირიანებს (რელატიურებს) — **ე**: **ი**-წერება — **ე**-წერება, **ი**-გრიხება — **ე**-გრიხება, **ი**-მალება — **ე**-მალება, **ი**-წვის — **ე**-წვის, და-**ი**-ლევა — და-**ე**-ლევა, შე-**ი**-ნახება — შე-**ე**-ნახება, ჩამო-**ი**-ნგრევა — ჩამო-**ე**-ნგრევა და სხვა. ამ ნიშანთა მიხედვით ამ ტიპის ვნებითს **ი**ნიანი ჰქვია ან **ე**ნიანი, შეერთებით — **ინ-ე**ნიანი.

ანდაზაა: „მჯობის მჯობი არ დ ა ი ლ ე ვ ა ო“ («მესხური ანდაზები და გა-

მოცანები», შეკრ. და გამოც. მესხ. კ. გვარამაძისაგან, ახალ-სენაკი, 1890), რომელიც აბსოლუტურ ფორმას შეიცავს. რელატიურად რომ გადავაკეთოთ, იგივე ანდაზა ასეთ სახეს მიიღებს: „მჯობს მჯობი არ დ ა ე ლ ე ვ ა ო“ (ჭავ., «კაც. ად.», IX).

პრეფიქსიანი ვნებითი საზოგადოდ პირველად ზმნებს ახასიათებს: წერს — იწერება, ჭამს — იჭმება, შლის — იშლება, აბამს — იბმება, აპობს — იპობა, არღვევს — ირღვევა და სხვა. ამავე წარმოების ვნებითი რამდენადმე აგრეთვე ნასახელარ ზმნებშიც მოდის: კალა: კალავს — იკალება; ბარ-ი: ბარავს — იბარება; ფერ-ი: ფერავს — იფერება; ხერხ-ი: ხერხავს — იხერხება; ცელ-ი: ცელავს — იცელება; ფილტრი: ფილტრავს — იფილტრება; ნომერ-ი; ნომრავს — ინომრება და სხვა.

სამ-პირიანი მოქმედებითი ზმნა, როგორც უნდა იყოს ნაწარმოები, თუ კი ის პრეფიქსიან ვნებითს იკეთებს, ვნებითად მობრუნებისას ყოველთვის **ე**-ს მოგვცემს: მი-ს-წერს (იგი მას მას) — მი-ე-წერება (იგი მას), შე-ა-წერს (იგი მას მას) — შე-ე-წერება (იგი მას), და-უ-წერს (იგი მას მას) — და-ე-წერება (იგი მას). სხვა მაგალითები: ცეცხლი წ ა უ კ ი დ ა — ცეცხლი წ ა ე კ ი დ ა; ძმა წ ა ჰ კ ი დ ა — ძ მ ა წ ა ე კ ი დ ა; კაცი გ ა მ ო ა კ ი დ ა — კაცი გ ა მ ო ე კ ი დ ა. ამ მხრივ ენიანი ფორმა პრეფიქსიან ვნებითში ს ა ზ ი ა რ ო ა მოქმედებითი გვარის სამ-პირიან ფორმათა ყველა ტიპისათვის.

პრეფიქსიანი წარმოებისაა ე. წ. მიჩნევისა და გუნების ვნებითი ნასახელარ ზმნებში (§§ 360, 361).

357. სუფიქსიანი ვნებითი. სუფიქსიანია ვნებითი, რომელიც ნიშანს ფუძის ბოლოს მიიღებს, ეს ნიშანია დღეს **დ**: შენ-**დ**-ება, კეთ-**დ**-ება, შავ-**დ**-ება, წითლ-**დ**-ება და სხვა. ამ ნიშნის გამო ამ ტიპის ვნებითს **დ**ონიანსაც ვეძახით.

სუფიქსიანი ვნებითი ახასიათებს ნასახელარ ზმნებს: მდიდარ-ი—მდიდრ-**დ**-ება, მწვან-ე — მწვან-**დ**-ება, მწარ-ე — მწარ-**დ**-ება, მხეც-ი — მხეც-**დ**-ება, მტკიც-ე — მტკიც-**დ**-ება, ძველ-ი — ძველ-**დ**-ება და სხვა. კანტი-კუნტად ის პირველად ზმნებშიც მოიპოვება: ტეხს — ტყ-**დ**-ება (←ტხ-**დ**-ება), ხეთქ-ს — სქ-**დ**-ება (←ხთქ-დება), ძვ. ქ. და-ჰკსნა — და-ჰკსნ-**დ**-ა და სხვა.

სუფიქსიანი ტიპი ვნებითისა მეტად პროდუქციიანია: როდესაც ახალ-ახალი სახელებისაგან ზმნას აქტიურად **ა—ებ** აფიქსთა საშუალებით ვაწარმოებთ, სათანადო პასივი **დ**ონიანია: ვ-ა-კომისრ-ებ — კომისრ-**დ**-ება, ვ-ა-სტუდენტებ — სტუდენტ-**დ**-ება, ვ-ა-ფორმ-ებ — ფორმ-**დ**-ება და სხვა. „ფორმა“ სიტყვისაგან რომ აქტივი **ავ**-ით გაკეთებულიყო, მაშინ მისი ვნებითი პრეფიქსიანი იქნებოდა: ვ-ფორმ-**ავ** — **ი**-ფორმება (შდრ. ნომერ-ი: ვ-ნომრ-ავ — **ი**-ნომრება).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. როგორც ძვ. ქართულის მასალები გვიჩვენებს, სუფიქსიანი ვნებითის ნიშანი **დ** მიღებულია **ნ**-საგან დისიმილაციის ნიადაგზე ნარნარა **(ნ რ ლ)** ბგერებთან, რომლებიც სახელთა ფუძეებს აბოლოვებდნენ: ***გან-მდიდრ-ნ-ა—გამდიდრ-დ-ა**, **გან-მართლ-ნ-ა→გან-მართლ-დ-ა** და მისთ. შემდეგ ეს **დ** განზოგადდა და ყოველგვარი ბგერით გათავებულ ფუ-

ძეს დაერთო: შეწუხ-ნ-ა→შეწუხ-დ-ა, აღყუავ-ნ-ა—ა(ღ)ყუავ-დ-ა, დამძიმ-ნ-ა→დამძიმდა და სხვა. ეს **ნ** ნაშთია **ენ** მარცვლისა, რომელიც აღდგებოდა წყვეტილის 1-ლსა და მე-2 პირში: შევწუხ-**ენ**, შესწუხ-**ენ**, მაგრამ: შეწუხ-**ნ**-ა. მაშასადამე, **ნ**-ს ხმოვანი მიუძღვის წინ და ეს გასაგებს ხდის იმ გარემოებას, რომ, თუ საზოგადოდ სახელის ფუძე იკუმშება, ის შეიკუმშება მაშინაც, როცა მისგან ვნებითი გვარის ზმნაა ნაწარმოები: მაღლ-დ-ება, მართლ-დ-ება, მდიდრ-დ-ება და სხვა.

358. უნიშნო ვნებითი. უნიშნოს სახელით აღვნიშნავთ იმ ვნებითს, რომელსაც დღევანდელ ენაში აღარ მოეპოვება არავითარი სპეციალური ნიშანი, რომელიც მას მოქმედებითისაგან ისევე განასხვავებდეს, როგორც ეს არის პრეფიქსიან და სუფიქსიან ვნებითში, სადაც ვნებითობის ნიშანი ყველგან ჩანს I-სა და II სერიაში. უნიშნო ვნებითში განსხვავება აქტივისა და პასივის ფორმებს შორის დამყარებულია სხვადასხვა ტიპის წარმოებაზე. აწმყოში ესენიც დაირთავენ **ებ-ი** დაბოლოებას, რომელიც ყველა ფორმაში შედის, გარდა მე-3 სუბ. პირის ფორმისა, სადაც ძველი **ებ-ი**-ს ნაცვლად ამჟამად **ებ-ა** გვაქვს: ვთბები, სთბები, თბება (ძველად: ვტფები, სტფები, ტფების). საზოგადოდ, აქტივისა და პასივის ფორმებს შორის არსად, არც ერთი სერიის რომელსამე მწკრივში შეხვედრა არ ხდება, როგორც ამას შემდეგი მაგალითი გვიჩვენებს: ვათბობ — ვთბები, გავათბობ — გავთბები, გავათბე — გავთბი, გავათბო — გავთბე, გაათბე — გათბი და სხვ.. მაშასადამე, ფორმათა განსხვავება მოქმედებითსა და ვნებითს შორის აქაც ისე მკაფიოდ არის გატარებული, როგორც პრეფიქსიანსა და სუფიქსიან ვნებითსა და მათ-მათ მოქმედებითს შორის I-სა და II სერიაში. რაც შეეხება III სერიის ფორმათა წარმოებას, უნიშნო ვნებითიც იმავე პრინციპს ადგას, რასაც სხვა ვნებითები: გავმთბარვარ.

უნიშნო ვნებითი უპროდუქციოა. მისი ხმარება განისაზღვრება რამდენიმე ფუძით, რომლებიც უხსოვარი დროიდან დღევანდლამდეა შემონახული.

359. ვნებითის ნიუანსები. ვნებითის დანიშნულებაა საზოგადოდ პირდაპირ-ობიექტური პირი მოქმედების ავტორად, მის შემსრულებლად წარმოადგინოს.

თუ მოქმედება უსულო საგანს ეხება, პასიური ფორმა მოქმედებას ისე წარმოგვიდგენს, რომ რეალურად მოქმედი პირი არ ჩანს: სადილი მზადდება, წერილი იწერება, წიგნი იბეჭდება, გაკვეთილი იწყება, აგეთი ფერი მალე ხუნდება, სანთელი ქრება და სხვა.

თუ მოქმედება სულიერს ეხება, პასიური ფორმა ზოგჯერ მეტად აქტიურ მოქმედებას მიაწერს გრამატიკულ სუბიექტს: ყაჩაღი ტყეში დაიმალა, ჩემი ამხანაგი თელავს გაემგზავრა, დიასახლისი სტუმარს შინ შეუძღვა, ვანო კოტეს წაეკიდა, მგელი ცხვარს ეცა და მისთ., მაგრამ თუ მათაც პასიურს ვეძახით, იმიტომ, რომ ისინი კონვერსიულ მიმართებაშია სხვა ფორმებთან, რომელთაც აქტივის სახელით ვიცნობთ (ყაჩაღი ტყეში დამალა, ჩემი ამხანაგი თელავს გაამგზავრეს, ერთმა ქალმა ვანო კოტეს წაჰკიდა), ან იზიარებენ ვნებითის მორფოლოგიურსა და სინტაქსურ თვისებებს (დიასახლისი სტუმარს შინ შეუძღვა, მგელი ცხვარს ეცა და სხვა).

ვნებითის ამ საერთო ხასიათს ზოგჯერ ერთვის ნიუანსები, რომელთაც შესაძლებლობისა, მიჩნევისა და გუნების სახელით აღვნიშნავთ.

უღლების ფორმათა წარმოების მხრივ ეს ვნებითები შეზღუდულია: მათ უმთავრესად I სერიის ფორმები შეიძლება ჰქონდეს, სხვებისა — იშვიათად.

360. შესაძლებლობის ვნებითი. შესაძლებლობისაა (პოსიბილიტიური) ვნებითის ფორმა, რომელიც აღნიშნავს, რომ მოქმედება შესაძლებელია. ეს შესაძლებლობა ან ფიზიკური ხასიათისაა, ან გულისხმობს, რომ მოქმედება დაშვებულია, მიღებულია, ნება-დართულია, აკრძალული არ არის, ე. ი. ისეთია, რომ „შეიძლება". ასეთებია ზმნები: იჭმევა, ისმევა და სხვა. ვამბობთ: „ზოგი სოკო *იჭმევა*, ზოგი კი — არა", „ღვინო *ისმევა*, ნავთი კი — არა".

ვნებითის პოსიბილიტივი (რომელსაც ა. ჩიქობავამ პოტენციალისი უწოდა) უმთავრესად პრეფიქსიანი წარმოებისა გვხვდება როგორც აბსოლუტური ფორმით, ისე რელატიურით. ანდაზაა: „თუ გული გულობს, ქადა ორივე ხელით *იჭმევაო*". ითქმის „ეჭმევა"-ც: „ძუძუ-მწოვარ ბავშვს მაგარი საჭმელი არ ეჭმევა". ასეთივეა აგრეთვე *ამეღების* (=შემიძლია ავიღო) ამ წინადადებიდან: „თვალ-მარგალიტი ავიღე, რაც ოდენ *ამეღებოდა*" («ვეფხ.», 1177).

საყურადღებოა, რომ შესაძლებლობის ვნებითი საშუალ ზმნათა ფუძეებისაგანაც არის ნაწარმოები: „მათ შუა ერთი მდინარე ჩაუდისთ, ესდენ დიდი, რომელ უნაოდ არცა ზამთარ *გაისვლებოდა* და არცა ზაფხულ" («რუსუდ.»): „შინ აღარ *დამედგომების* და წამოვალ" (ყაზ., 276,26), შინ არ „*მეჯდომება*", „ჩვენ კი აღარ *გვეცხოვრების* მაგათგან" (ყაზ., 128,2).

361. მიჩნევის ვნებითი. მიჩნევისაა ვნებითის ფორმა, რომელიც აღნიშნავს, თუ რად მიაჩნია გრამატიკული სუბიექტი გრამატიკულ ობიექტს ან რად ეჩვენება სუბიექტი ობიექტს. ასეთი ფორმა ყოველთვის ორ-პირიანია და მხოლოდ ნასახელარ ზმნებში გვხვდება. ამ შემთხვევაშიც ვნებითი პრეფიქსიანია, მისი ნიშანია **ე**: მედიდება, მებევრება, მეცოტავება („თუ სამოცი *გეცოტავოთ*, ერთი ოციოდე კიდევ მოუმატეთ", ჭავ., 420,2), მემძიმება („*მემძიმებოდა* ტვირთი და ვცდილობდი", ვაჟა, «მუცელა», V, 338), მეწარება („გოგრას არაყი *ემწარება*, მაგრამ აბრუს არ იტეხს", «ვაჟა, გოგრა», V, 220,10) და სხვა. ამავე წარმოებისაა „მემეტება" (ე. ი. მეტად მიმაჩნია ჩემთვის, ამიტომ შემიძლია *გავიმეტო*). ასეთივეა აგრეთვე „კეთილ"-ისაგან ნაწარმოები „მეკეთა" «ვეფხ. ტყ.»-ში: „*მეკეთა* ესე თათბირი ვაზირთა ნავაზირევი" (426) და „ლამაზ"-ისაგან ნაწარმოები „მელამაზა" შემდეგ წინადადებაში: „ვუცქეროდი ჩემს ქოხს, ეხლა უფრო *მელამაზა*" (ვაჟა, V, 245,15). *მეკეთა* — კეთილად მივიჩნიე, კარგი მეჩვენა, მომეწონა; *მელამაზა* — ლამაზი მეჩვენა.

362. გუნების ვნებითი. გუნებისაა ვნებითი, რომელიც გამოხატავს რომ ადამიანის სულიერი განწყობილება („გუნება") მიმართულია იმ მოქმედებისაკენ, რომელიც ზმნით არის აღნიშნული. ეს ვნებითი უთუოდ ორ-პირიანია და **ე**-თია ნაწარმოები. ასეთი ზმნა შეიძლება პირველადიც იყოს და ნასახელა-

რიც: მემღერება, მეცინება (სიცილის გუნებაზე ვარ), არ მეტირება (ტირილის გუნებაზე არა ვარ), მეცეკვება და სხვა. ერთი ფშაველი დედაკაცი ამბობს: „შენს თვალთ ენაცვალოს დარეჯანი, შენ ერთი ქაღალდი უნდა გამიკეთო, რა ვიცი ბილეთს ეძახიან, ბიჭო, თუ მილეთსა, ქიზიყს ვაპირებ წასვლასა". ამაზე ასე უპასუხებენ: „ეჰ, რადა ხარ დაუსვენარი, მოუსვენარი დედაკაცი, რა გექიზიყება, იქ რა დაგრჩომია, რაღა დროს შენი აქეთ-იქით სიარულია?" (ვაჟა. «დარეჯ.», V, 53). „რა გექიზიყება" ამას ნიშნავს: რა ქიზიყს წასვლის გუნებაზე ხარ? მსგავსი მაგალითებია: „მემღერება და ვიმღერი" (ვაჟა, 1.124); „ის უფრო ცოდვა არ არის, რომ მემღერებოდეს და არ ვიმღერო? (ვაჟა, «მოკვეთ.», V, 404.2); „გოგრას ეტირება, მაგრამ არა ტირის" (V, 217.29); „ნათლიდედა საქმის დედაკაცია. რა ემასლაათება?" (ჭავ.. «ოთ. ქვრ.»); „აწ არცა მეცინებიან და არცა მეტირებიან" (ვისრ. 292, გვ. 14—15).

363. გვარის საკითხი III სერიის ფორმებში. გვარი მკაფიოდ გამოხატული გრამატიკული კატეგორიაა I და II სერიის მწკრივებში: ვზრდი — ვიზრდები, გავზრდი — გავიზრდები, გავზარდე — გავიზარდე და სხვა. გვაქვს თუ არა გვარი III სერიის ფორმებშიც? რომ სწორი პასუხი გავსცეთ ამ კითხვას, საჭიროა ვიცოდეთ, გვაქვს თუ არა III სერიის მწკრივებშიც ერთისა და იმავე ძირისაგან ნაწარმოებ ორ ზმნას შორის ისეთივე ურთიერთობა, როგორც ეს არის I-სა და II სერიაში, თანაც როგორც ფორმის, ისე შინაარსის მხრივ? ამ კითხვის პასუხი უთუოდ დადებითი უნდა იყოს. მართლაც, როგორიც უნდა იყოს წარმოშობა III სერიის ფორმებისა (ამაზე ქვემოთ), ისინი ქართული ენის წერილობითი ისტორიისათვის ხელ-მისაწვდომი მასალების მიხედვით წყვილ-წყვილ ფორმებს გვაძლევენ, რომლებიც ერთიმეორის მიმართ აშკარა ოპოზიციურ ურთიერთობას გვიჩვენებენ. ეს ოპოზიცია სხვა არა არის რა, თუ არა აქტივ-პასიური დაპირისპირება იმავე ძირის ზმნათა სხვა ფორმებისა I-სა და II სერიაში. გრამატიკული სისტემის მიხედვით აღნიშნული წყვილ-წყვილი ფორმა წარმოადგენს უშუალო გაგრძელებას I-ისა და II სერიის ფორმებისას: ერთი აქტივისას, მეორე პასივისას. ნათქვამის ნათელსაყოფად მივმართოთ მაგალითს.

უეჭველია, რომ „გამიზრდია" და „გავზრდილვარ" ერთისა და იმავე მწკრივის ფორმებია, როგორც ერთისა და იმავესია „ვზრდი" და „ვიზრდები" ან „გავზრდი" და „გავიზრდები", ან კიდევ „გავზარდე" და „გავიზარდე". ისიც უეჭველია, რომ „გამიზრდია" და „გავზრდილვარ" სულ სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე ფორმებია და ერთიმეორის ნაცვლად მათ ვერ ვიხმართ. არც ის უნდა იყოს საცილობელი, რომ მათი ფუნქციის მიხედვით ასეთი პროპორცია შეგვიძლია დავადგინოთ: a:b=c:d, სადაც a არის „გამიზრდია", b—„გავზრდილვარ", c—„ვზრდი", d—„ვიზრდები". თუ აღნიშნულ პროპორციაში სიტყვებს ჩავსვამთ, გვექნება: „გამიზრდია" ისე ეფარდება „გავზრდილვარ"-ს, როგორც „ვზრდი" „ვიზრდები"-ს. მაშასადამე, ფუნქციის მიხედვით „გამიზრდია" იმ ფარგალში ექცევა, სადაც „ვზრდი" გვაქვს, ხოლო „გავზრდილვარ" იმ ჯგუფს ეკედლება, რომელშიაც „ვიზრდები" ურევია. ცხადია, „გამიზრდია"

მოქმ. გვარის სისტემაშია მოქცეული, „გავზრდილვარ“ კი — ვნებითისაში, როგორც ამას შემდეგი ცხრილი ნათელყოფს:

	I ს ე რ.		II სერ.	III სერ.
მ ო ქ მ.	ვზრდი	გავზრდი	გავზარდე	გამიზრდია
ვ ნ ე ბ.	ვიზრდები	გავიზრდები	გავიზარდე	გავზრდილვარ

რაც ითქვა „გამიზრდია“ — „გავზრდილვარ“ ზმნათა შესახებ, რომლებიც I თურმეობითის ფორმებია, იგივე შეგვიძლია ვთქვათ III სერიის ორი სხვა მწკრივის ფორმათა შესახებაც: „გამეზარდა“—„გავზრდილიყავ“ (II თურმ.), „გამეზარდოს“—„გავზრდილიყო“ (III კავშ.). ესენიც ერთურთის მიმართ აქტიურ-პასიური ფორმებია. ამიტომ აქტივ-პასივის შეფარდება მოყვანილ მაგალითზე III სერიაში ასე გვეხატება:

	I თურმ.	II თურმ.	III კავშ.
მ ო ქ მ.	გამიზრდია	გამეზარდა	გამეზარდოს
ვ ნ ე ბ.	გავზრდილვარ	გავზრდილიყავ	გავზრდილიყო

მოყვანილი ფორმები მოქმედებითისა ორ-პირიანია, სათანადო ვნებითისა კი — ერთ-პირიანი.

ეხლა სამ-პირიანი მოქმედებითი ვნახოთ და მისი სათანადო ორ-პირიანი ვნებითი. მაგალითი:

	აწმყო	მყოფ.	წყვეტ.	I თურმ.
მ ო ქ მ.	ვუზრდი	გავუზრდი	გავუზარდე	
ვ ნ ე ბ.	ვეზრდები	გავეზრდები	გავეზარდე	გავზრდივარ

მიუხედავად იმისა, რომ ფორმათა წარმოების მიხედვით III სერიის აქტიურ-პასიური ფორმები არსებითად განსხვავდება I-ისა და II სერიის შესატყვის ფორმათაგან, გვარის კატეგორიისათვის აუცილებელი პირობა — საპირისპირო ფორმათა ქონება — აქაც სავსებით დაცულია. მაშასადამე, ერთად-ერთი მორფოლოგიური ნიშანი, კატეგორიული ხასიათისა, რომელიც III სერიის აღნიშნულ წყვილთა ცალებს ერთმანეთისაგან განასხვავებს, ეს არის გვარი. ამიტომ ამ პარაგრაფის თავში დასმული კითხვის პასუხი, ერთად-ერთი და სწორი, შეიძლება მხოლოდ შემდეგი იყოს: გვარი III სერიის მწკრივებშიც გვაქვს: მოქმედებითად მიდის ინვერსიული ფორმები, ვნებითად კი — მათ-მათი საპირისპირო მიმღეობიანი ფორმები.

364. პასივის რელატიურ ფორმათა თავისებურება III სერიის მწკრივებში. როგორც აღვნიშნეთ, პასივის ფორმაში პირთა რაოდენობა ერთით ნაკლებია სათანადო აქტივის ფორმასთან შედარებით (§ 347). ეს წესი საზოგადოდ III სერიის ფორმებშიც არის დაცული: „გამიზრდია“ (მე იგი) ორპირიანია, მისი საპირისპირო „გავზრდილვარ“ კი — ერთ-პირიანია (მე).

საზოგადოდ, III სერიის ფორმები მეტად თავისებურია. აღსანიშნავია, სხვათა შორის, რომ სამ-პირიანი მოქმედებითი მარტო I და II სერიაშია შესაძლებელი, III-ში კი არა. ფორმა, რომელიც ამ სერიაში მოქმედებითის სისტემაშია შესული, ყოველთვის ორ-პირიანია, ამიტომ ასეთი ვითარება გვაქვს: ორ-პირიანი ზმნა III სერიაში ორ-პირიანობას დაიცავს (დაწერს — დაწერა — დაუწერია, შეინახავს — შეინახა — შეუნახავს, გატეხს — გატეხა — გაუტეხია

და მისთ.), რაც შეეხება სამ-პირიან ზმნას, ის ან დაკარგავს ერთ პირს და ორ-პირიანი გახდება, ან სრულებით ვერ აწარმოებს ამ სერიის ფორმებს.

პირველის მაგალითებია:

მყოფ.	წყვეტ.	I თურმ.	II თურმ.
(იგი მას მას)	(მან მას იგი)	(მას იგი)	(მას იგი)
მისწერს	მისწერა	მიუწერია	მიეწერა
შეაწერს	შეაწერა	შეუწერია	შეეწერა
ჰკითხავს	ჰკითხა	უკითხავს	ეკითხა

მეორის მაგალითებია:

მყოფ.	წყვეტ.	I თურმ.	II თურმ.
(იგი მას მას)	(მან მას იგი)		
გაუტეხს	გაუტეხა	—	—
დააწერს	დააწერა	—	—

თუ ეხლა ვნებითს მივმართავთ, ვნახავთ, რომ მას III სერიაში აბსოლუტური ფორმისთვისაც მოეპოვება გაგრძელება და რელატიურისთვისაც (ე. ი. ერთ-პირიანისთვისაც და ორ-პირიანისთვისაც); მაგალითი:

	მყოფ.	წყვეტ.	I თურმ.	II თურმ.
აბსოლ.	გაიზრდება	გაიზარდა	გაზრდილა	გაზრდილიყო
რელატ.	გაეზრდება	გაეზარდა	გაჰზრდია	გაჰზრდოდა

ამათგან ერთ-პირიანი „გაიზრდება“ კონვერსიული ფორმაა ორ-პირიანი „გაზრდის“ (ან „გავზრდი“, „გაჰზრდი“ და სხვა) ფორმისა; მაშასადამე, აქტივი და პასივი აქ ერთმანეთს ფეხდაფეხ მიჰყვება, ხოლო „გაეზრდება“ კონვერსიულად „გაუზრდის“ (ან „გავუზრდი“, „გაუზრდი“, „გავუზრდით“ და სხვა) ფორმას მოგვცემს, რომელსაც III სერიაში ფორმები აკლია და მისი ვნებითი აქ განმარტოებული დარჩება, უცალოდ:

	მყოფ.	წყვეტ.	I თურმ.	II თურმ.
აქტ.	გაუზრდის	გაუზარდა	—	—
პას.	გაეზრდება	გაეზარდა	გაჰზრდია	გაჰზრდოდა

მიუხედავად ამისა, „გაჰზრდია“-ს პასიობას იმით ვგრძნობთ, რომ მას კავშირი აქვს I და II სერიის სათანადო ფორმებთან, სადაც მათი პასიობა საპირისპირო ფორმების ქონების გამო მკაფიოდ გამოხატული მოვლენაა.

ეხლა თუ ავიღებთ სამ-პირიან მოქმედებითს, რომელიც III სერიაში ორ-პირიანობამდე ჩამოდის, და მასაც მივუწერთ საპირისპირო ვნებითის ფორმებს, შემდეგს მივიღებთ „შეწერა“ ზმნის მაგალითზე:

	მყოფ.	წყვეტ.	I თურმ.	II თურმ.
აქტ.	შეაწერს (3-პ.)	შეაწერა (3-პ.)	შეუწერია (2-პ.)	შეეწერა (2-პ.)
პას.	შეეწერება (2-პ.)	შეეწერა (2-პ.)	შესწერია (2-პ.)	შესწეროდა (2-პ.)

აქედან ჩანს, რომ იმ სამ-პირიან ზმნებში, რომელთაც შეუძლიათ აწარმოონ — მართალია პირის დაკლებით, მაგრამ მაინც შეუძლიათ აწარმოონ —

III სერიის ფორმები. აქ დარღვეულია ის პრინციპი, რომელიც საზოგადოდ საფუძვლად უძევს აქტივ-პასივის ურთიერთობას პირთა რაოდენობის საკითხში. მაშასადამე, შეიძლება, რომ ორ-პირიან ვნებითს ორ-პირიანი მოქმედებითი შეეფარდებოდეს და არა სამიანი, მაგრამ ამას მხოლოდ III სერიაში აქვს ადგილი, რაც ამ სერიის ფორმათა წარმოშობის საკითხთან არის დაკავშირებული. აქ ორ-პირიანი ვნებითი ორ-პირიან მოქმედებითს საპირისპირო ფორმათა სისტემის მიხედვით უკავშირდება. იგივე ითქმის ერთ-პირიანი ვნებითისა და ორ-პირიანი მოქმედებითის ურთიერთობის შესახებაც III სერიაში („გამიზრდია“ — „ავზრდილვარ“). თუმცა გარეგნულად აქ პირთა ურთიერთობის თვალსაზრისით ყველაფერი წესზეა, მაგრამ ეს წესი შემთხვევით დაემთხვა I-სა და II სერიაში არსებულ წესს.

365. აღწერილობითი ვნებითი. ზოგიერთ ზმნას არ უხერხდება ვნებითის ფორმათა წარმოება. ამიტომ მათ მაგივრობას ეწევა აღწერილობითი, ანუ პერიფრასტული ფორმები, რომლებიც ასეა ნაწარმოები: საუღლებელი ზმნა ვნ. წარსულ-დროიანი მიმღეობის სახით არის წარმოდგენილი, ხოლო მწკრივის წარმოება მეშველ ზმნას აქვს დაკისრებული. მეშვლად გამოყენებულია „იქნება“, „იქნა“. ამ მოვლენას სრულ-სახიან ზმნებში აქვს ადგილი, მაშასადამე, აღწერილობითი ვნებითი არ შეიძლება აწმყოს წრეში შეგვხვდეს, რომელიც უსრულ-სახიანი ზმნის კუთვნილებაა. „გააღეს კარი“ — ამისი ვნებითია „გაიღო კარი“, მაგრამ „გაიღეს თანხა“ — ამისი ვნებითია „გაღებულ იქნა თანხა“; „აიღეს ვალი“ — ამისი ვნებითია: „აღებულ იქნა ვალი“.

აღწერილობით ვნებითს მიმართავენ: წაყვანა, გატანა, შეძენა და მრავალი სხვა, უმეტესად ისეთი ზმნები, რომელთაც მოქმედებითში ფორმა სათავისო ქცევისა აქვთ და გაგება — საარვისოსი.

პერიფრასტული ვნებითი უნდა გარჩეულ იქნეს შედგენილი შემასმენლისაგან, რომელშიც ვნებითის მიმღეობა შედის. ასეთი შედგენილი შემასმენელი აწმყოს წრეშიც იხმარება. ამას გარდა, II სერიაში მას „იყო“ მოუდის და არა „იქნა“: „თანხა გაღებულია“, „თანხა გაღებული იყო“, „თანხა გაღებული იქნება“. ასეთ შედგენილ შემასმენელს რელატიური ფორმებიც უკეთდება: ამ შემთხვევაში „არის“ ზმნას აწმყოში „აქვს“ და „ჰყავს“ ენაცვლება: „თანხა გაღებული მაქვს“, თანხა „გაღებული მქონდა“, „თანხა გაღებული მექნება“, „ძმა გაგზავნილი მყავს“, „ძმა გაგზავნილი მყავდა“, „ძმა გაგზავნილი მეყოლება“. პერიფრასტული ვნებითი კი მარტოოდენ აბსოლუტურ ფორმებს გვაძლევს. ამას გარდა, რადგანაც ფორმა აბსოლუტურია, აქ აღარ ხდება გარჩევა სულიერსა და უსულოს შორის, როგორც შედგენილ შემასმენელთან, — ყველგან „იქნება“ და „იქნა“ უნდა: „თანხა გაღებულ იქნება“, „თანხა გაღებულ იქნა“, „ძმა გაგზავნილ იქნება“, „ძმა გაგზავნილ იქნა“. როგორც მაგალითებიდან ჩანს, პერიფრასტულ ვნებითში მიმღეობა ფუძის სახით არის წარმოდგენილი (მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა მიმღეობა მიუძღვის მეშველ ზმნას), შედგენილ შემასმენელში კი მას სახელობითის ნიშანიც ახლავს დღევანდელ ქართულში.

შედგენილი შემასმენლისა და პერიფრასტული ვნებითის გარჩევა ძნელდება III სერიის ფორმებში.

პერიფრასტული ვნებითი ახალ ქართულში თანდათან იფართოებს ხმარების არეს და ისეთ ზმნათაგანაც გვაქვს, რომლებიც ადვილად აწარმოებენ ვნებითს: მაგ., ამ წიგნის § 53 ასე იწყება: „ბრუნვები ქართულში შეიძლება სხვადასხვა რიგით იქნეს დალაგებული“. იგივე წინადადება ასეც შეიძლება გადმოიცეს (ან გადმოცემულ იქნეს): „ბრუნვები ქართულში შეიძლება სხვადასხვა რიგით დალაგდეს“.

366. დეპონენსები. დეპონენსის სახელით აღნიშნავენ ზმნას, რომელსაც ფორმა პასივისა აქვს და მნიშვნელობა — აქტივისა.

გვაქვს სამ-პირიანი მოქმ. ზმნა „აძლევს“, რომელიც ვნებითად მობრუნებისას ორ-პირიანი გახდება: „ეძლევა“. მაგრამ ამ ფორმის გარდა გვაქვს აგრეთვე „იძლევა“, რომელიც გარეგნულად ვნებითია. მართლაც, ერთი შეხედვით „იძლევა“ და „ეძლევა“ ისეთ ურთიერთობაშია ერთმანეთთან, როგორც „ინგრევა“ და „ენგრევა“, „იბნევა“ და „ებნევა“, „ილვრება“ და „ელვრება“ და მისთ.. მაგრამ არა! ფუნქციის მიხედვით „იძლევა“ არ არის „ეძლევა“-ს აბსოლუტური ცალი, რადგანაც, ის რომ მართლაც ვნებითი იყოს, სხვა მნიშვნელობა ექნებოდა და პირდ. ობიექტს ვერ იგუებდა. ჩვენ კი ვამბობთ: სიტყვას იძლევა, პირობას იძლევა და მისთანა. — „პირობას იძლევა“ გრამატიკულად იგივეა, რაც „პირობას დებს“ იმ განსხვავებით, რომ ირიბ ობიექტთან „დებს“ ზმნა გვარის ფორმას არ შეიცვლის („პირობას მიდებს“), „იძლევა“ კი ასეთ შემთხვევაში ფორმას აქტიურს მიიღებს: „პირობას მაძლევს“. აქედან ჩანს. რომ ფუნქციით „იძლევა“ — „მაძლევს“ ისეთ ურთიერთობაშია ერთმანეთთან როგორც „დებს“ — „მიდებს“, მაშასადამე, „იძლევა“ არ შეიძლება პასივად იქნეს გაგებული. „მაძლევს“ ფორმას ირ. ობიექტის გაგება ახლავს, „იძლევა“ კი ამ ობიექტის გაგებას მოკლებულია. რაც შეეხება პირდაპირ ობიექტს, ის, მართალია, ფორმას ეწყობა, მაგრამ ეწყობა ისევე, როგორც შეიძლება შეეწყოს გარდამავალ ზმნას ინდო-ევროპულ ენებში (ბერძნულში, ლათინურში, რუსულში და სხვაგან). ორ-პირიანობის გაგება ამ ზმნაში მილეულია (შდრ. § 237), რადგანაც მას მარტო სუბიექტური წყობის ფორმები აქვს: ვიძლევი, იძლევი და შემდგომი, როგორც ამას აბსოლუტური აგებულების ზმნებში აქვს ადგილი. ამას გარდა, III სერიის ფორმებს ინვერსიულად იკეთებს: უძლევია.

დასკვნა: „იძლევა“ პასივია ფორმით, მნიშვნელობით კი აქტივია, რადგანაც სახელი, რომელთანაც ის შეწყობილია სახელობით ბრუნვაში, ზმნით აღნიშნული მოქმედებისათვის რეალობის თვალსაზრისით სუბიექტია და არა ობიექტი. ამის ძალით ის გარდამავალ ზმნათა რიგებში დგას. აი ეს არის არსებითი ნიშანი დეპონენსური ზმნებისა.

დეპონენსი „იძლევა“ აწმყოს წრისაა და III სერიის მწკრივებში იხმარება: იძლევა, იძლეოდა, იძლეოდეს; უძლევია, ეძლია, ეძლიოს.

„იძლევა“ განმარტოებით არა დგას ქართულში. არის რიგი ზმნებისა, რომელთაც დეპონენსური ხასიათი აქვთ და მარტო აწმყოს წრის მწკრივებში იხმარებიან: იბღვირება, იგინება, იკბინება, ილანძღება, ილოცება (=ლოცავს), ილოღნება, იმუქრება, ირწმუნება, ისწავლება, იტანება, იტყუება, იფიცება, იქოლება, (=ქოქოლას აყრის), იღრინება, იყლაპება, იყურება (გამოიყურება), იცე-

ება, იცქირება, იცოხნება, იწერება, იწყევლება, იჭყიტება, იხედება, იხვეწება და
ხვა. მოწმობა ლიტერატურიდან: „მეც მომივიდა ქალალდი რომელშიაც ი წ ე-
ე ბ ი ა ნ“ (ყაზ. 27,33); „ზენაით იწერებიან“ («ხალხ. პოეზ.», I, 469); „კარგი
არგი, ნუ ი წ ყ ე ვ ლ ე ბ ი“ (ყაზ., 144,I); „დედაკაცებიც და ბავშვებიც იქ
ეიკრიბნენ, ისინიც ი ლ ა ნ ძ ღ ე ბ ო დ ნ ე ნ უშვერის პირით და კაცებს აქე-
ებდნენ“ (ყაზ., 157,33—34); „ხარები თვალებ-დახუჭულნი ი ც ო ხ ნ ე ბ ო დ-
ე ნ“ (ჭავ., 421,15); „ი ლ ო ც ნ ე ბ ო დ ა“ (ჭავ., 429,37); „ღვდლები პირსაც
ი იბანენ, ისე შადიან საყდრებში; რაიც საწირი შასდის, სულ თითონ ხო ჭა-
ენ, იყრიან ჯიბეში, შიგვე საყდარში ერობისთვის ი გ ი ნ ე ბ ი ა ნ, ი ლ ა ნ-
ღ ე ბ ი ა ნ, ჩხუბობენ დიაკვნებთან და ხალხთან“ (ყაზ., 334—335).

უკანასკნელი მაგალითის სიტყვები „ერობისთვის იგინებიან, ი ლ ა ნ ძ ღ ე-
ი ა ნ“ აქტიურად ასე გადმოიცემა: ერობას აგინებენ, ლანძღავენ. მაშასადა-
ე, აქ ფორმას გარდამავლობაც აღარ აქვს, რადგანაც პირდაპირი ობიექტი უბ-
ალო დამატებად არის ქცეული („ერობისთვის“), მაგრამ გაგება მაინც აქტი-
რი აქვთ, რამდენადაც „ღვდლები იგინებიან და ილანძღებიან“ კი არ ნიშ-
ავს, რომ მღვდლები გინებისა და ლანძღვის ობიექტები იყვნენ სხვათაგან,
რამედ სუბიექტები, ე. ი. ისინია, რომ აგინებენ და ლანძღავენ ერობას. სხვა
აგალითები: „თავლიდამ გამორბოდა კიდეც მეჯინიბე, ვილასაც მხარ-უკუღმა
უშტს უღერებდა, ი მ უ ქ რ ე ბ ო დ ა, მ ო ი ლ ა ნ ძ ღ ე ბ ო დ ა“ (ჭავ., «ოთ.
ვრ.»); „საშინლად ი ტ ა ნ ე ბ ა მგელი“ (ვაჟა, V, 28,23); „ჩიტები ხეებზე ბუზ-
უნებენ, ი წ ყ ე ვ ლ ე ბ ი ა ნ, ი ქ ო ლ ე ბ ი ა ნ“ (იქვე, V, 35,5): „ისხამს
რაყს ყანწში და ი ლ ო ც ე ბ ა“ (იქვე, V, 375, 11; შდრ. V, 446,1): „ხვიმურს
ერი დაუღია მშიერ გლახასავით, თითქოს ი ხ ვ ე წ ე ბ ა, მაჭამეთ პური, მოწყა-
ეება მოიღეთო“ (ვაჟა, V, 114,6); „ძაღლები ი ყ ე ფ ე ბ ო დ ე ნ და ღრენით
აიკმენდავდენ ხოლმე ხმასა“ (იქვე, V, 8,26); „დედაჩემი წიფლის გვერდზედ
დგა და გემრიელად ი ც ო ხ ნ ე ბ ო დ ა (იქვე, V, 11,6); „ერთი მძორი იდვა
ლაგსა ერთსა და შვიდი-რვა ძაღლი ეხვივნენ, სჭამდეს მძორსა და ი ღ რ ი ნ ე-
ო დ ნ ე ნ და შუღლობდნენ და კბენდნენ ერთმანეთსა“ (ს. ორბ., «სიბრძნე
იცრ.»).

მაგალითები ძველი და საშუალი ქართულიდან: ხოლო უკუეთუ ურთიერ-
ას ი კ ბ ი ნ ე ბ ო დ ი თ და შ ე ი ჭ ა მ ე ბ ო დ ი თ, იხილეთ, ნუუკუე ურ-
იერთას განილინეთ (გალატ. 5,15); ფიცხლად მ ო ი გ ი ნ ე ბ ო დ ა («ამირან-
არ.», 425).

იგინება შეიძლება ვნებითიც იყოს და დეპონენსიც. მაგალითი: „რომელმან
ანკურნნა ეშმაკეულნი მათნი, ეშმაკეულ უწოდეს მას, და იგი დაითმენდა: ი გ ი-
ე ბ ო დ ა და იგი არა აგინებდა; შეაწუხებდეს და იგი არა განრისხნებოდა“
«მამათა სწავლანი», 179). მოყვანილ მაგალითში ი გ ი ნ ე ბ ო დ ა ვნებითია. ხო-
ლო ამ ტაეპში: „მტერთა ექადდა წყრებოდა, ი გ ი ნ ე ბ ო დ ა, ჩიოდა“ («ვეფხ.»,
93) იგივე ი გ ი ნ ე ბ ო დ ა დეპონენსია.

საზოგადოდ დეპონენსური ფორმის დანიშნულებაა, თავიდან აირიდოს
ელაცია ანუ მიმართება ობიექტისადმი. ვახტანგ VI-ის «ვეფხისტყაოსნის
არგმანში» ხშირია ხმარება „ისწავლება“ ზმნისა, რომელსაც იგივე მნიშვნე-
ობა აქვს, რაც „ასწავლის“ ფორმას, ოღონდ უირიბ-ობიექტოდ, როგორიც
რის, ვთქვათ, რუს. учит: „აქა ნადირობის რიგს ისწავლება“ (ობ), „ყოვლს სას-

წავლოს ისწავლება“ (ქეგ), „ბატონ-ყმობის ხუმრობას და ლაპარაკს და შექცევას ისწავლება“ (ჲჺ) (ნ. კიდევ შემდ. ტაეპების თარგმანი: ჟდ, რმთ, რნვ).

დეპონენსური ფორმები ზმნას შუალობითი კონტაქტის ფორმებისაგანაც ი-თი უკეთდება: „კარგ ამბებს იტყობინებიან“, „ბედშაო, რა ხელს იკვრევინები?“ (ყაზ., 139,17) [§ 428]. [უკანასკნელი ზმნა მხოლოდ ფორმით არის შუალობითი, შინაარსით კი — არა].

გამონაკლისის სახით დეპონენსი ზოგჯერ რელატიური ფორმითაც იხმარება: იმუქრება — ემუქრება. შდრ. „ადიდებული მდინარე სოფლის წალეკას იმუქრება“ და „ადიდებული მდინარე სოფელს წალეკას ემუქრება“. სადაც „სოფელს“ ირიბი ობიექტია და „წალეკას“ — პირდაპირი. თუ ასეთ ზმნას II და III სერიის ფორმების გაკეთება უხერხდება (რაც იშვიათია), მას პირდ. ობიექტი მიც.-ში შეენახება: ადიდებული მდინარე სოფელს წალეკას დაემუქრა, ადიდებული მდინარე სოფელს წალეკას დამუქრებია.

შენიშვნა. „ილანძღება“ და „იგინება“ წყვეტილის ფორმით არის მოცემული ამ წინადადებაში: „საღამოზე ანუკა დაბრუნდა, ბევრი იტირა საბრალომ, ილანძღა და იგინა“ (ვაჟა, «დარეჯანი» V, 49,4—5). ცხადია, რომ ზმნები დეპონენსური გაგებით არის ნახმარი.

გვხვდება ისეთი რელატიური დეპონენსებიც, რომელთაც მარტო პირდ ობიექტი ეწყობა: ერეკება, ეზიდება, ეწევა. მაგალითები: „ქუდით ბუზს უნდა ერეკებოდეს“ (ჭავ., 336,12); „მიერეკებოდნენ ხარებს“ (ყაზ., 97,5); „ბევრ შეშას ეზიდებოდა ნაცვალი“ (ყაზ., 227,9); „მიეზიდებოდნენ შვილებისთვის საზრდოს“ (ვაჟა, V, 15,22); „საჭმელს ეზიდებოდნენ“ (ყაზ., 291,28); „სასარგებლო მუშაობას ეწევა“. აღნიშნული ზმნები, რა თქმა უნდა, პასივის გაგებითაც შეიძლება ვიხმაროთ: „ერეკება“ — „დაერეკება“ პასივია შემდეგ ადგილას:

> „ნათქომი არის: კოკაი მუდამ არ ზიდავს წყალსაო.
> წყლის სამ ზიდვაში გატყდების, დაერეკების ქვასაო“
> («ხალხ. პოეზ.», № 208, 8—9).

რომ შევადაროთ ერთმანეთს ეს ორი წინადადება: „ამ გარემოებას ანგარიში არ ეწევა“ და „მძიმე უღელს ეწევა“, დავრწმუნდებით, რომ ზმნ „ეწევა“ პირველში პასიურად არის ნახმარი, მეორეში კი — აქტიურად (ანგარიში არ ეწევა=ანგარიშს არ უწევენ; უღელს ეწევა=უღელს წევს). მაგრა რადგანაც ფორმით ზმნა მეორე შემთხვევაშიც პასიურია, ამიტომ მას პირველი საგან განსხვავებით დეპონენსს ვეძახით.

დეპონენსური გაგება აქვთ „ეკითხება“, „ეპასუხება“ და „ეუბნება“ ზმნებსაც: „მეზობელს ამბავს ეკითხება“, „შენ როგორ ჰბედავ, რომ ეგრე მეპასუხები?“ (ყაზ., 223,25), „ეხლა რომ მაგაებს მეუბნება და მაგაებს ჩადის. მერე რაღას იქს, როცა თავისუფლება უფრო ძვლებში გაუჯდება?“ (ჭავ. «გლეხთა განთ. სც.»), „მერე მღვდელი რაღასაც ეუბნა ფარაჯაში გახვეულ (ჭავ., «სარჩობ.»). უკანასკნელი მაგალითი იმ მხრივაც არის საყურადღებო რომ ის II სერიის ფორმაა (წყვეტ.) და ორივე ობიექტი აქვს: რაღასაც (პირდ.) და ფარაჯაში გახვეულს (ირ.). „ვინ გეკითხება“-ში ზმნა დეპონენსია. ხოლო იგივე ფორმა „რა გეკითხება“-ში პასივია.

დეპონენსობა ითქმის „იტყვის“ ზმნის შესახებაც, რომელიც აშკარად გარდამავალი ზმნაა: „იტყვის სიტყვას“, „ძმას ამბავს ეტყვის“. ეს ზმნა ამჟამად ართო მყოფადის წრეში იხმარება (§ 339), სხვაგან კი მას სხვა ზმნები ენაცვლება: იტყვის — უბნობს (ამბობს) — თქვა; ეტყვის — ეუბნება — უთხრა, რაც რაპირდაპირი გზით მის გარდამავლობას ადასტურებს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. 1. საინტერესოა, შევადაროთ „იტყვის“ ზმნა „ისმის“ ზმნას. აქტიურად ისინი ძველად „ატყუებს“ და „ასმენს“ ფორმებს იძლეოდნენ: „ყრუთა ჰასმენს და უტყუთა ჰატყუებს“ (მარკ. 7,37 ჰაემ.). „ჰატყუებს“ მეტია, ვიდრე „ჰასმენს“, რადგანაც პირველის ირიბი ობიექტი შემსრულებელი ობიექტია და ზმნა შუალობით კონტაქტიანთა ზმნების რიგებში დგას.

საზოგადოდ ქართულში ასეთი ვითარება გვაქვს: თუ ზმნას ი პრეფიქსი აქვს და შეიძლება მისი ე-დ შეცვლა, პასივის ფორმებთან გვაქვს საქმე: ი-წვის —ე-წვის, ი-თქმის—ე-თქმის, ი-ზრდება—ე-ზრდება და მისთ.. ამ ნიშნის მიხედვით „იტყვის“ და „ეტყვის“ პასივის ფარგალში ექცევა, თორემ მათ პასივისა საზოგადოდ არაფერი აქვთ.

არის თუ არა პრეფიქსული ი—ე უთუოდ პასიობის მაჩვენებელი? თუ არის, მაშინ, უეჭველია, პასივი იქნება აგრეთვე „ი-სვრის“ და „ე-სვრის“[1], რომელთაც გაგება აქტიური აქვთ. ამის მიხედვით ვიტყოდით, რომ ეს ზმნა დეპონენსიაო, მაგრამ ამათ II სერიაში ქვემდებარის ბრუნვად მოთხრობითი მოუდის: ისროლა მონადირემ, ესროლა მონადირემ. ამას გარდა, III სერიის ფორმები პირველ მათგანს ინვერსიულად აქვს ნაწარმოები: ისვრის — ისროლა — უსროლია. ამიტომ ამ ზმნათა დეპონენსობაც საეჭვოა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. 2. ამ ზმნების ასეთი თავისებურება იმით აიხსნება, რომ მათ წინათ სხვა ფორმები ჰქონდათ: „ისრევს“—„ისრია“, „ესრევს“—„ესრია“; საწყისად მოუდიოდათ „სრევა“. მიმღეობად — „სრეული“, როგორც ეს «ვეფხის ტყაოსნიდან» ჩანს:

ზოგთაგან ხოკა პირისა, ზოგთაგან ს რ ე ვ ა რიდისა (1006).
მოსრნის მხეცნი და ნადირნი ისარმან ჩემმან ს რ ე უ ლ მ ა ნ (333).

„ესრევს“ მხოლოდ პრეფიქსით არის პასივის მსგავსი, თორემ სუფიქსი აქტივისა აქვს ევ სუფიქსის ი-ზე გადასვლით (ესრ-ევ-ს — ესრ-ის, კონტამინაციით: ესრვის, ესვრის) მოხდა გარეგნული დამსგავსება პასივთან. „ესრევს“ ზმნის მსგავსად ე აქვს პრეფიქსად „ე-ძებს“ ზმნასაც (ძვ. ქ. ე-ძი-ებ-ს) და „ც-ემ-ა“ ზმნას წყვეტილში: „მი-ვ-ე-ც“, რომელთაც ფუნქციაც აქტიური აქვთ და ფორმებიც სხვაფრივ ყველაფრად აქტიური.

დეპონენსურად იხმარება „უყვება“ ზმნაც, რომელსაც ორი ობიექტი აქვს, პირდაპირი და ირიბი: „ამხანაგს ამბავს უყვება“ — „ამხანაგს ამბავს მოუყვა“, სადაც „ამხანაგს“ ირიბია და „ამბავს“ პირდაპირი, მაგრამ ეს პირდაპირიც ირიბია წარმოშობით: ამბავს ჰყვება — ამბავს მოჰყვა. პირდაპირად გახდომასთან დაკავშირებით მან შეიძლება ფორმაც იცვალოს: ა მ ბ ა ვ ი მოჰყვა, ამბავი მოუყვა.

---

[1] ამ ზმნებში ვ განვითარებულია (*ისრის, *ესრის).

შეგვიძლია დავსძინოთ, რომ „იცინის“ ზმნა რელატიურად „უცინის“ ფორმას გვაძლევს („დაგიღრეჯია, მეფეო, აღარ გ ი ც ი ნ ი ს პირიო“, «ვეფხ.»), მაგრამ გვაქვს კიდევ „ეცინის“, რომელიც მნიშვნელობით იგივეა, რაც „დასცინის“ და საეჭვოა, რომ ის ამ ე-ს გამო ვნებითად იქნეს მიჩნეული.

ზემორე თქმულის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ე პრეფიქსის ხმარების არე ზოგ შემთხვევაში ანალოგიურად არის გაფართოებული, მაგრამ თავდაპირველად ის მარტო ვნებითის ნიშანი არ უნდა ყოფილიყო, როგორც ამას დღეს გადმონაშთის სახით „მი-ვ-ე-ც“ ფორმა გვიჩვენებს (§ 418, შნშ.).

როგორც მაგალითები გვიჩვენებს, დეპონენსური ხასიათი აქვს იმ ზმნებს, რომლებიც ვნებითს პრეფიქსით აწარმოებენ, სუფიქსიანთაგან ამავე ჯგუფს მიეკუთვნება „ჰპირდება“, რომელიც ორ ობიექტს იგუებს და — „უყვება“ ზმნის მსგავსად — I და II სერიის ფორმებსაც ადვილად იკეთებს: ჰპირდება იგი მას მას — დაჰპირდა იგი მას მას. ორივე ობიექტი ირიბია წარმოშობით (ერთი პირისა, მეორე ნივთისა), მაგრამ მეორე ობიექტი (ნივთისა) ამჟამად პირდაპირად არის გაგებული.

ამგვარად, საკითხი დეპონენსობის შესახებ ქართულში არსებითად რამდენსამე ზმნას ეხება, რომლებიც აწმყოს წრეში პასივის ფორმას ატარებენ და მნიშვნელობა აქტივისა აქვთ. მყოფადის წრის მწკრივის ფორმები მათ არა აქვთ, იშვიათად უკეთდებათ II და III სერიის მწკრივები.

367. ვნებითის ფორმათა ხმარების არის გაფართოება. პასივის ფორმათა ხშირი ხმარება მეტად დამახასიათებელია ზოგიერთი ენისთვის. ქართ. ენა უმეტესად აქტიური ფორმების ენაა და პასიურ გამოთქმებში ზომიერებას იცავს. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ხანებში პასიური კონსტრუქციების ხმარება ძალიან გაიზარდა სამეცნიეროსა და ტექნიკურ ლიტერატურაში, აგრეთვე საგაზეთო წერილებში, რაც ნაწილობრივ იმით აიხსნება, რომ ითარგმნება დიდძალი ლიტერატურა რუსულიდან და სხვა ენებიდან. ზოგჯერ პასიური ფორმები ისეთი ფუძეებისაგან იწარმოება, რომლებიც წინათ მხოლოდ აქტიურად იხმარებოდა: განიხილება, მიიღება, წარმოიდგინება, აღიდგინება (საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, III, 967), შეინიშნება, გამოვლინდება, ხასიათდება, მოწმდება, დგინდება და მისთ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. თარგმნას ამ საკითხში ძველადაც ჰქონდა გავლენა, მაგ., ძვ. ქართულში „აღმოიყვანა“ ვნებითად უნდა გავიგოთ შემდეგ წინადადებაში: „მაშინ იესუ ა ღ მ ო ი ყ ვ ა ნ ა სულისაგან უდაბნოდ“ (მათ. 4,1 ჯრ.-პარხ.), რაც ბერძნული გამოთქმის ზუსტად გადმოცემის ბრალია: **Τότε ὁ Ἰησοῦς ἀνήχθη εἰς τὴν ἔρημον ὑπὸ τοῦ πνεύματος** (მაგრამ იმავე ფუძის ზმნა სხვა ზმნისწინით მოქმედებითია აქ: „და მეყსეულად სულმან განიყვანა იგი უდაბნოდ“, მარკ., 1,12).

368. სხვადასხვა ტიპის ვნებითთა ურთიერთობისათვის. ვნებითის ისტორიული განვითარების გზების განხილვა ამჟღავნებს, რომ შეიძლება ვნებითის წარმოება ერთი ტიპიდან მეორეში გადავიდეს.

პირველ ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ მესამე ტიპის ვნებითიდან რამდენიმე ზმნა პირველში გადმოვიდა: ძველად „შეკრიბა“ ზმნა ვნებითში „შეკრ-

ა“ ფორმას გვაძლევდა, ამჟამად კი პრეფიქსიანი ფორმები გვაქვს: შეიკრი-
ა, შევიკრიბენით. „დაგლიჯა“ ეხლაც „დაგ(ლ)ჯა“ ფორმას გვაძლევს გურულ-
ში („ფეხსაცმელი დამიგჯა“), მაგრამ სალიტ. ენაში „დაიგლიჯა“ იხმარება; „დავ-
თვერ“ და „დათვრა“-ს ნაცვლად ალმოს. კილოებში „დავითვერ“ და „დაითვრა“
გვხვდება; წმე(ნ)დს — იწმი(ნ)დება, მაგრამ გვხვდება აგრეთვე ძველი წარმო-
ების „წმდება“: „წყალი დაწ(მ)და“ (ქართლში „დაწკნდა“ გამიგონია); „დაჭყლე-
ჯა“ ზმნისაგან მოსალოდნელია „დაჭყლტა“ და ეს კიდევაც უნდა გვხვდებო-
დეს აქა-იქ ზ. იმერეთში „დაჭყდა“-ს სახით, მაგრამ ჩვეულებრივ „დაიჭყლიტა“
იხმარება.

შენიშვნა. პროფ. კ. მოდებაძის მეღვინეობის სახელმძღვანელოში შამპანური ღვინის დამზადების შესახებ ხელნაწერ დედანში იკითხებოდა: „გადაზიდვის დროს ყურძენი რომ არ დაჭყდეს, შამპანში და ზოგან ბურგუნდიაშიც მთელ, დაუჭყლეტელ მტევნებს სპეციალურ კალათებში ალაგებენ და რესორიანი ეტლებით მარანში მიაქვთ“. ავტორს ურჩიეს, რომ ზმნა მოეცა ისეთი ფორმით, რომელიც ამჟამად სალიტერატურო ენაში იხმარება და დაბეჭდილ წიგნში „დაიჭყლიტოს“ იკითხება («მეღვინეობა», 1931, გვ. 185; ავტორი ზემო იმერელი იყო, ს. კაცხიდან).

უფრო ხშირია გადასვლა I ტიპიდან II-ში ან პირუკუ. „შენება“ ზმნას ძველად პრეფიქსიანი ვნებითი ჰქონდა. მაგ., ზარზმის სამრეკლოს წარწერაში იკითხება: „აღეშენა წმიდაჲ ესე ეკლესიაჲ“ (ე. თაყ., Арх. экск. I, 22), მაგრამ ის დღეს სუფიქსიანთა ჯგუფშია გადასული: აშენდა. წარმოების ტიპის გამოცვლისათვის ამ შემთხვევაში ალბათ გადამწყვეტი იყო ის გარემოება, რომ „აღეშენა“ ერთ-პირიანად იყო ქცეული და რელატიური ფორმების გასაკეთებლად არავითარი საშუალება არ არსებობდა.

ზოგჯერ ორივე ტიპის ფორმები პარალელურად იხმარება ერთი და იმავე მნიშვნელობით:

შეეთვისა — შეუთვისდა.

დაესახლა — დასახლდა.

დაემორჩილა — დაჰმორჩილდა (ვეფხ. 263, ყაზ., 39,19: „მაგათ როგორ უნდა დავმორჩილდეთ“, ყაზ., 354,30).

ჩაესაფრა (ყაზ., 5,24; 22,19) — ჩაუსაფრდა.

გაექანა — გაქანდა („რა წამს ქალმა თვალი მოჰკრა, სიხარულით გაექანა იმისაკენ“, ყაზ., 28,8—9; 163,27; 252,29; მაგრამ: „ელგუჯა ხმალ-ამოწვდილი გადახტა და გაქანდა თავის ამხანაგებისაკენ“, ყაზ., 29, 33—34).

შეენანა — შეჰნანდა (ყაზ., 132,24).

ეჭირვება — სჭირდება („ეჭირვებოდა“, ყაზ., 60,29); დაეჭირა — დასჭირდა („ოდეს დაგვეჭირა“, საქ. სიძვ. II, № 164, 1702 წ.; № 164, 1704 წ. — ამ მასალითზე ნ. კეცხოველმა მიმითითა).

დაეზარა — დაჰზარდა („მახიამ რამდენჯერმე წამოიწია ასადგომად, მაგრამ დაჰზარდა“, ყაზ., 212,37: „მე არ დაგზარდებოდი“, ჭავ., 271,27; „დაზარდა, არ წამოვიდა“, ჭავ. 416,11).

ეხირება — უხირდება („ერთი მედუქნე მეხირება რასმე“, ყაზ., 227,37).

ეარშიყება — უარშიყდება („უარშიყდებოდა“, ყაზ., 278,21).

მოეწყინება — მოსწყინდება („ის იმედობდა, რომ გირგოლას მოსწყინდებოდა იმის დევნა“, ყაზ., 309,13).

მოეწადა — მოსწადდა („მომეწადა იმისი შველა“, ყაზ., 285,39; „მოსწადდა იმის შურისძიება“, ყაზ., 339,1).

ეძნელება — უძნელდება.

გაეყინა — გაუყინდა („სისხლი ძარღვებში გამიყინდა“, ჭავ., 313,37; შდრ. განიპნეს წყალნი, შეჰყინდეს და დადგეს“, გამოსლვ. 15,8).

გადმოედინა — გადმოსდინდა („ცრემლები გადმოედინა“, ყაზ., 244,14; „კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოსდინდების“, «ვეფხ. ტყ.», 1094).

ეთანხმება — სთანხმდება და სხვ.

ასეთი ნაირ-ნაირი წარმოება ზოგ შემთხვევაში ძველი ქართულიდან არის ცნობილი: დაემტკიცოს, მათ. 18,16=დამტკიცნეს C; „მეყსეულად განუმტკიცნეს (ვარიანტი: განემტკიცნეს) ფერჴნი მისნი და კოჭნი“, საქმე 3,7.

ზოგჯერ ზმნისწინის გამოცვლას ვნებითის ტიპის გამოცვლაც მოსდევს: შეეხარბა მეზობლის ქონება, — დაჰხარბდა მეზობლის ქონებას, მიეშველა — გაჰშველდა („მაშინვე გაჰშველდნენ ერთმანეთს“, ყაზ., 37,32).

გვხვდება „შეეშინა“ და „შეშინდა“, მაგრამ ერთი ობიექტური წყობით არის მოყვანილი, მეორე კი — სუბიექტურით („შეეშინა და ძწოდა“, მარკ. 5,33=შეშინდა და ძრწოდა“, იქვე C).

ზოგჯერ ტიპის შეცვლას მნიშვნელობის შეცვლაც სდევს: „ემზადება“ სხვაა და „მზადდება“ სხვა („ემზადება წასასვლელად“, „მზადდება სადილი“); „იდიდება“ ერთია და „დიდდება“ სხვა („იდიდება“ — ადიდებენ, „იდიდოს მისი სახელი“; „დიდდება“ — დიდი ხდება); „ეძალება“ — ძალას ატანს, „უძალდება“ — წინააღმდეგობას უწევს. ასეთივეა აგრეთვე „დაეჯერება“ და „დასჯერდება“ („შენოდენა დედაკაცს სიზმარიც დაეჯერება“ ჭავ. 338,25; დაგჯერდება — დაგთანხმდება, გიყაბულებს); მოეხმარა და მოჰხმარდა („ნუ დამიკარგავთ ამდენს ჭირნახულს, თორემ თუ არ მომახმარებთ, ღუთით არც თქვენ მოგხმარდებათ“ (ი. ოსესშვ., 59,15); „გამწარდება“ და „გაიმწარება“ („შენ არავის რას უშავებ, სხვისაგან გაიმწარები“, ვაჟა, I, 145,2).

„აატირა“-ს ვნებითია „ატირ-დ-ა“, მაგრამ „გაატირა“-სი — „გა-ე-ტირა“ (=ტირილით გაჰყვა). ჩვეულებრივ ითქმის „კეთ-დ-ება“, მისი რელატიური ფორმაა „უკეთდება“; მაგრამ „უკეთდება“ ერთია და „ეკეთება“ სხვა („მე იქ აღარ მეკეთებოდა რა“, ჭავ., 324,23=მე იქ აღარაფერი მქონდა გასაკეთებელი).

შენიშვნა. გვხვდება ორმაგი წარმოების ფორმებიც, ე. ი. ფორმები, რომელთაც პრეფიქსიც აქვთ და სუფიქსიც, რაც კონტამინაციით აიხსნება: შეეშინდა (ყაზ., 137,7; 231,6; კონტამინაცია „შეშინდა“ და „შეეშინა“-სი); შეებრალდა („დიდად შევებრალდი“, ი. ოსესშვ., 39,2 ქვ.; „შეგვებრალდა დედაბერი“, ბესიკი, «რძალ-დედამთ.»; შდრ. მისივე: „შემბრალდა, წაველ შეჭირვებითა“). „გაუხარდა“-ს პარალელურად გვხვდება „გაეხარა“ („სადაც ვის უჭირს, ვინც წვალობს, მათ გაეხარათ ყველასა“, ვაჟა, I, 201), მაგრამ ამასთანავე ერთად ჩვეულებრივია აგრეთვე „გაეხარდა“.

369. საშუალი გვარი. არის რიგი სახელთა და ზმნათა ფუძეებისა, რომელთაგანაც შეიძლება ვაწარმოოთ მოქმედებითის საპირისპიროდ არა მარტო ვნებითი გვარის ზმნა, არამედ სხვანაირი ზმნაც, რომელიც კონვერსიულ ურთიერთობაშია მოქმედებითი გვარის ზმნასთან, მაგრამ ვნებითი არ არის. ზოგი ნიშნის მიხედვით ეს ზმნა მოქმედებითს ჰგავს, ზოგით კი — ვნებითს: ფორმა უმეტესად მოქმედებითისა აქვს, ფუნქცია — ვნებითისა. ამის გამო მას ს ა შ უ ა ლ ს (მედიუმს) ვეძახით. ასეთია, მაგ., შემდეგი ზმნები: ხურს, დუღს, ტირის, გორავს, ხარობს, ლაღობს, ფასობს, ტრიალებს და სხვა, რომელთაც საპირისპიროდ მოქმედებითიც მოეპოვებათ და ვნებითიც:

მოქმ.	ვნებ.	საშ.	მოქმ.	ვნებ.	საშ.
ახურებს	ხურდება	ხურს	აცხარებს	ცხარდება	ცხარობს
ადუღებს	დუღდება	დუღს	ალაღებს	ლაღდება	ლაღობს
ატირებს	*ტირდება	ტირის	აფასებს	ფასდება	ფასობს
აგორებს	გორდება	გორავს	ატრიალებს	*ტრიალდება	ტრიალებს

სუბიექტის ობიექტისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით საშუალი ზმნა იზიარებს ვნებითის თვისებას: სუბიექტური პირი აქაც მოქმედებს, ასე ვთქვათ, თავისთვის, სხვა პირზე მოქმედების გადაუტანლად. ამიტომ პირდაპირი მიმართების ფორმები საშუალი ზმნის უღლებაშიც გამორიცხულია. აქედან ცხადია, რომ საშუალი ზმნა გარდაუვალია. ამ მხრივ ის ვნებითთან ერთად არის და ორნივე უპირისპირდებიან მოქმედებითს, რომელიც მორფოლოგიურად პირდ მიმართების ფორმებს გვიჩვენებს და სინტაქსურად გარდამავალია. ვაჟა-ფშაველას ერთ პოემაში ვკითხულობთ:

ერთხელ ლომს, ნადირთ მეფესა, ხარი მოეკლა ირემი,
მ ო ს თ რ ა ვ დ ა თავის ბინისკე ნადავლი, ნანადირები.
(«მეჯლიში ლომისა»).

აქ ნახმარი „მოსთრავდა“ ფორმით მოქმედებითს ჰგავს, მაგრამ მნიშვნელობით იგივეა, რაც „მოეთრეოდა“. ამის გამო ის საშუალია.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. მოყვანილი „მოსთრავდა“ შინაარსით აბსოლუტური ფორმა ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ გარეგნულად რელატიურია. თითქო შეიძლება მისი რელატიურად გაგებაც: „ჩამოტიროდა ბაყაყი, მ ა ს თ რ ა ვ დ ა ტიტველ ფაშია“ (ვაჟა, «ფშაველი და მისი წუთისოფელი»: ძვ. საქ. II, განყ. IV, 337). აქ „მასთრავდა“ ამას უნდა ნიშნავდეს: „მოეთრეოდა მისი“. „დამთრავ“ ფშაურად ამას ნიშნავს: „დაეთრევა ჩემი“.

პირთა რაოდენობის თვალსაზრისითაც მედიუმი პასივთან არის: მასაც მხოლოდ ერთ-პირიანი ან ორ-პირიანი ფორმები შეიძლება ჰქონდეს, სამიანი კი არა; ორ-პირიან ფორმაში ერთი პირი სუბიექტურია და მეორე — ობიექტური: უდუღს, უჩანს, თავს დასტრიალებს და სხვა.

რაღა ჰყოფს მედიუმს პასივისაგან? — ის, რომ იმას თავისი ფორმები აქვს, ამას კი — თავისი. წარმოების თვალსაზრისით დიდია განსხვავება მედიუმსა და პასივს შორის; ერთი მხრით: გორავს, გორავდა, გორავდეს, მეორე მხრით:

გორდება, გორდებოდა, გორდებოდეს; ერთი მხრით: ცხარობს, ცხარობდა, ცხა რობდეს, მეორე მხრით: ცხარდება, ცხარდებოდა, ცხარდებოდეს და მისთ.

განსხვავებაა მედიუმსა და პასივს შორის მწკრივთა წარმოების მხრივაც. შეიძლება, რომ ზოგიერთი მწკრივის ფორმა მედიუმმა აწარმოოს, პასივმა კი — არა, ან პირუკუ: მაგ., „წევს“ ზმნას აწმყოს წრის მწკრივებისაგან მარტო ერთ აქვს (აწმყო), სხვები კი — არა, მაშინ როდესაც „წვება“-ს ამ წრეში ყველ მწკრივი მოეპოვება: წვება, წვებოდა, წვებოდეს. „დუღს“ ზმნას ყველა მწკრი ვი მოეპოვება აწმყოს წრეში, სათანადო ვნებითი კი („დუღდება“) თითქმი უხმარებელია.

რა აქვს საერთო მედიუმს აქტივთან? — ის, რომ გარეგნულად მასაც ისე თივე სახე აქვს, როგორც მოქმედებითს: „ტრიალებს“ და „ატრიალებს“ გარეგ ნულად ერთმანეთისაგან ა-თი განსხვავდებიან, მაგრამ ა არ არის საზოგადოდ ისეთი ნიშანი, რომ იმის მიხედვით გვარებს ვარჩევდეთ, თორემ „წერს“ დ „ა-წერს“ ან „წევს“ და „ა-წევს“ სხვადასხვა გვარის ზმნები იქნებოდა. „ქრის“ და „ხრის“ ერთნაირად ნაწარმოები ზმნებია, მაგრამ ერთი გვარისა არ არიან. წ ე ვ ს „წოლის“ მნიშვნელობით და წ ე ვ ს „წევის“ („გაწევის“) მნიშვნელობით ერთნაირად ჟღერენ, მაგრამ სხვადასხვა გვარს ეკუთვნიან.

ამას გარდა, თემის ნიშნებად საშუალსაც შეიძლება ჰქონდეს **ი, ავ, ებ ობ** (ხტ-**ი**-ს, ცურ-**ავ**-ს, ფრიალ-**ებ**-ს, ხარ-**ობ**-ს), ან ისიც შეიძლება, რომ სა შუალს არავითარი თემის ნიშანი არ ჰქონდეს (თოვ-ს, ქუხ-ს, წუხ-ს და სხვ.) ყველაფერი ეს საშუალი გვარის ზმნას მოქმედებითთან აახლოებს. მართალია საპირისპირო ფორმებს (საშუალსა და მოქმედებითს) ჩვეულებრივ სხვადასხვ ნიშანი მოუდის (გორ-**ავ**-ს — აგორ-**ებ**-ს, წუხ-ს — აწუხ-**ებ**-ს), მაგრამ ზოგჯერ ერთნაირიც აქვთ: ტრიალ-**ებ**-ს — ატრიალ-**ებ**-ს და მისთ.

ამგვარად, საშუალი გვარი მორფოლოგიურად მოქმედებითისაგანაც გან სხვავდება და ვნებითისაგანაც: მოქმედებითისაგან ფუნქციით, ვნებითისაგან ფორმით. თუ განსხვავების ნაცვლად მსგავსების მიხედვით ვიმსჯელებთ, უნდა ვთქვათ: საშუალ ზმნას ფორმა მოქმედებითისა აქვს, ფუნქცია — ვნებითისა.

აუცილებელი როდია, რომ ერთისა და იმავე ფუძისაგან სამივე გვარის ზმნა იყოს ნაწარმოები. ხშირია, რომ მოქმედებითის საპირისპიროდ მარტო მედიუმი მოიპოვებოდეს ან მარტო ვნებითი. მაგ., „სადილ“-ისაგან გვაქვს „ასადილებს“ (აქტ.) და „სადილობს“ (მედ.); ასეთივე აქტივ-მედიუმია: ავახშმებს — ვახშმობს, ახარებს — ხარობს, მიაქროლებს — მიქრის, ათამაშებს — თამაშობს, გააცინა — გაიცინა, დააჩოქა — დაიჩოქა და მისთ.

მარტო აქტივ-პასივის შემთხვევები უამრავია.

370. ორი ჯგუფი საშუალი ზმნებისა. საშუალი გვარის ზმნები საზო გადოდ მეტად ჭრელ სურათს გვაძლევენ ფორმათა წარმოების მხრივ. თუ მცი რე-რიცხოვან გამონაკლისებს არ მივიღებთ მხედველობაში, საკუთრად მათ მარტო აწმყოს წრის მწკრივები მოეპოვებათ, დანარჩენი მწკრივები კი შევსე ბული აქვთ იმავე ფუძის სხვანაირად ნაწარმოებ ფორმათა საშუალებით. იმის მიხედვით, თუ როგორ ივსებენ ისინი ამ დანაკლისს, გამოირჩევა ორი ჯგუ ფი: ერთი, რომელიც აქტიურ ზმნებს მიჰყვება და მეორე, რომელიც პასივის ფორმა-წარმოებას იზიარებს. პირველ ჯგუფს აღვნიშნავ მედიოაქტივის სახე ლით, მეორეს — მედიოპასივისა.

871. მედიოაქტივი. საშუალ ზმნათა ერთი ჯგუფი დანაკლის ფორმათა შესავსებად თავის ფუძის მოქმ. გვარის ზმნათა სათავისო ქცევის ფორმებს იყენებს, მაგრამ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილებით: პირდაპირ-ობიექტური პირის გამორიცხვით. ამის გამო ისინი რამდენადმე მოქმ. გვარის თვისებას იზიარებენ: III სერიის ფორმებს ინვერსიულად იკეთებენ. ამას ერთვის სინტაქსური მოვლენაც: სუბიექტის ბრუნვად ასეთ ზმნებთან მოთხრობითია II სერიაში და მიცემითი III-ში: დუღს წყალი, იდუღებს წყალი, მაგრამ: იდუღა წყალმა, უდუღნია წყალს; ცხოვრობს კაცი, მაგრამ: იცხოვრა კაცმა, უცხოვრია კაცს.

მედიო-აქტივი ზმნები გარდაუვალია, პირდ.-ობიექტური მიმართების ფორმები აკლია და ამის მიხედვით არც სათანადო ფარდი აქვს პირდ. ობიექტის სახით. რიცხვი ასეთი ზმნებისა საკმაოდ დიდია: თოვს, წვიმს, ელავს, ქუხს, ქრის, ცხოვრობს, ხარობს, ცურავს, მეფობს, ჩქარობს, ხტის, დის, წვეთს, ბოლავს, წუხს და სხვა. ამავე ჯგუფში შემოდის მეორეული წარმოების ზმნები „თევზაობს“ ტიპისა: ბანაობს, ცურაობს, ჰიდაობს, ქანაობს, გორაობს და სხვა. გარეგნულად ამავე ჯგუფს ეკედლება **ა**-ზე გათავებულ სახელთა ფუძეებისაგან ნაწარმოები ზმნები: ციგა-ობ-ს, კოხტა-ობ-ს. ამ ზმნებში და აგრეთვე მეორეული წარმოების ზმნებში **ო**-ს წინ დაკარგულია **ვ**, რომელიც სათანადო მოქმედებითს მოეპოვება: აბან-ავ-ებს, აცურ-ავ-ებს, აგორ-ავ-ებს, აკოხტა-ვ-ებ-ს და მისთ.: აბან-ავ-ებ-ს — ბან-ა(ვ)-ო-ბს.

872. მედიოაქტივის მიმართება პასივთან. ურთიერთობა მედიოაქტივსა და პასივს შორის მეტად თავისებურია და მრავალფეროვანი, აღვნიშნოთ ზოგი რამ:

1. არის შემთხვევები, რომ საშუალი ენაცვლება ვნებითს. ეს ხდება უსრული ასპექტის შემთხვევაში. მაგ., „ადუღებს“ ზმნის საპირისპიროდ საშუალიც გვაქვს („დუღს“) და ვნებითიც („დუღდება“), მაგრამ ვნებითი გვარის ფორმათა ხმარება სრული ასპექტის შემთხვევებით ამოიწურება (ადუღდება, ადუღდა, ადუღებულა და სხვა); რაც შეეხება უსრულ ასპექტს, აქ ვნებითის მაგივრობას მედიუმი ეწევა: დუღს, დუღდა, დუღდეს, იდუღებს, იდუღა, უდუღნია: წყალმა იდუღა, იდუღა და ბოლოს ადუღდა. ასეთივე მაგალითია: მიკვირს — გამიკვირდება, გამიკვირდა.

გარკვეულ ზმნათაგან განსაკუთრებით ჭირს სუფიქსიანი ვნებითის წარმოება აწმყოს წრის მწკრივებში: „აყვავებს“ ზმნას ვნებითად „ყვავდება“ მოუდის, მაგრამ აგეთი ფორმა იშვიათად იხმარება („ია ყვავდება გაზაფხულის დამდეგს“, ი. გოგებაშვ., «დედა-ენა», 1940, გვ. 48), ჩვეულებრივ კი „ყვავის“ ითქმის. ამგვარივე ურთიერთობაა ამ ზმნებს შორისაც: „წუხს“ და „წუხდება“, „ქუხს“ და „ქუხდება“, „დის“ და „დინდება“, „ფრინავს“ და „ფრინდება“, „როკავს“ (=ცეკვავს) და „როკდება“, „ტირის“ და „ტირდება“, „გოგავს“ და „გოგდება“ და მისთ.. აქ მოყვანილი საშუალი ზმნები ჩვეულებრივია, მაგრამ იშვიათია ვნებითის ფორმათა ხმარება. ალბათ რითმით ან მარცვალთა რაოდენობით არის გამოწვეული „გოგდება“ ფორმა ხალხურ ლექსში:

„ყველა ფრინველი ხეზე ზის, მწყერი მიწაზე გოგდება“, თორემ ჩვეულებრივ „გოგავს“ ითქმის. „გოგდება“ და „გოგავს“ ერთსა და იმავე აზრს გადმოგვცემს, მაგრამ სხვადასხვა საშუალებით: ერთი პასიურად, მეორე მედიალურად, აწმყოში ისინი ერთიმეორის მაგივრობას გასწევენ, მაგრამ საკმარისია ზმნისწინი დავურთოთ, რომ განსხვავება მოგვცენ: „დაგოგავს“ ისევ აწმყოა, „დაგოგდება“ კი — მყოფადი („კესო მთელი დღე დ ა გ ო გ ა ვ დ ა ფერად ყვავილებსა და მწვანე მდელოებს შორის“, ჭავ., «ოთ. ქვრ.») [§ 396].

ორ-პირიანი „გაახარა“ (მან იგი) კონვერსიულად საშუალს მოგვცემს: „გაიხარა“ (მან); სამ-პირიანი „გაუხარა“ კი — ვნებითს: „გაუხარდა“, რომელსაც პირვანდელი მნიშვნელობა რაჭულში ჰქონია დაცული: ბავშვი გაუხარა — ბავშვი გაუხარდა (=მისმა ბავშვმა გაიხარა). ორ-პირიანი „ა-აყვირა“ კონვერსიულად ვნებითს მოგვცემს („ა-ყვირ-დ-ა“), მაგრამ ორ-პირიანივე „დააყვირა“ — საშუალს („და-ი-ყვირა“). ასეთივე ზმნებია: „აკივლდა“ და „დაიკივლა“, „აჩხავლდა“ და „დაიჩხავლა“ და სხვ. [§ 396].

2. მედიალური ფორმები მრავლისაგან მრავალ შემთხვევაში აბსოლუტურად იხმარება, რელატიურად კი ვნებითს (resp. დეპონენსს) უნდა მივმართოთ: ჭიკჭიკებს — ეჭიკჭიკება, საუბრობს — ესაუბრება, ხუმრობს — ეხუმრება და სხვ. (მაგრამ ითქმის როგორც „ეხუმრა“, ისე „უხუმრა“). ამიტომ შემდეგ მაგალითებში ვნებითის ფორმა არ შეიძლება საშუალითი შევცვალოთ:

ზოგჯერ მზეა და ოდესმე ცა რისხვით მ ო უ ქ უ ხ დ ე ბ ი ს,
რათგან შვება აქვს სოფელსა, თვით რად ვინ შ ე უ წ უ ხ დ ე ბ ი ს
(«ვეფხ.» 705)

კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წ ა რ მ ო ს დ ი ნ დ ე ბ ი ს
(იქვე, 1094)

როგორც დამიკრავ ფანდურსა, მეც ისე დ ა გ ი რ ო კ დ ე ბ ი
(ხალხური)

3. ერთსა და იმავე აქტიურ ზმნას შეიძლება ორი სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდეს და კონვერსიულად ერთ შემთხვევაში საშუალს გვაძლევდეს მეორეში კი — ვნებითს. ამისი მაგალითია: აბრუნებს — ბრუნდება — ბრუნავს „წყლის ძალა წისქვილს ა ბ რ უ ნ ე ბ ს“ — „წისქვილი წყლის ძალით ბ რ უ ნ ა ვ ს“. აქ „აბრუნებს“ — „ბრუნავს“ ერთურთის მიმართ აქტივ-მედიუმია მაგრამ: „მამა ბავშვს საღამოობით შინ ა ბ რ უ ნ ე ბ ს“ — „ბავშვი საღამოობით შინ ბ რ უ ნ დ ე ბ ა“, — აქ კი „აბრუნებს“ — „ბრუნდება“ აქტივ-პასივია.

4. პირდაპირი ობიექტის უქონლობის გამო ვნებითი და საშუალი თანაბარ მდგომარეობაშია და ზოგჯერ თამამად ვუნაცვლებთ მათ ერთმანეთს „იღიმება“ ვნებითად მიდის აწმყოს წრეში, სხვაგან კი მედიალური ფორმებ ენაცვლება: გაიღიმებს — გაიღიმა.

373. მედიოპასივი. საშუალ ზმნათა მეორე წყება (რიცხვით ნაკლები ვიდრე პირველი) დანაკლის ფორმებს თავისი ფუძის ვნებითით ივსებს; ამიტომ მას არ სჭირდება არც მოთხრობითი ბრუნვა სუბიექტის ბრუნვად II სერიის ფორმებთან და არც ინვერსია III სერიაში და ამასთან დაკავშირებით მიცემითი ბრუნვა სუბიექტისათვის. ასეთებია: დგას, წევს, ძევს [შენაცვლებით იდვა — იდება — ძევს], სძინავს, ჰღვიძავს, სწყინს, უყვარს, სძულს და სხვ.

რომელთაგანაც ზოგი (მაგ., უყვარს, სძულს) II სერიის ფორმებს ვერც იკეთებს, მაგრამ III-ისა აქვს (ჰყვარებია, სძულებია). კონვერსიული ვითარება აქაც იმავე სახისაა, როგორიც მედიოაქტივში ვნახეთ:

მოქმ.	ვნებ.	საშ.	მოქმ.	ვნებ.	საშ.
ადგამს	იდგმება	დგას	აძულებს	სძულდება	სძულს
აწვენს	წვება	წევს	აშორებს	ჰშორდება	ჰშორავს
[დებს]	[იდება]	ძევს	ახსომებს	ახსომდება	ახსოვს
აწყურებს	სწყურდება	სწყურია	აახლებს	ეახლება	ახლავს
აკლებს	აკლდება	*აკლს			

ამავე ჯგუფში შემოდის ზმნები, რომლებიც მარტო I სერიაში (უმეტესად აწმყოს წრეში) იხმარება: ჭირს, ჩანს, მწიფს, უშავს, უმძიმს, უკვირს და სხვა.

მოქმ.	ვნებ.	საშ.	მოქმ.	ვნებ.	საშ.
აჭირებს	*ჭირდება	ჭირს	ამწიფებს	მწიფდება	მწიფს
აჩენს	ჩნდება	ჩანს	უშავებს	უშავდება	უშავს
უმძიმებს	უმძიმდება	უმძიმს	აკვირვებს	კვირდება	კვირს

მედიოპასივს დღევანდელ ქართულში მეშველი ზმნა სჭირდება 1-ლსა და მე-2 სუბ. პირში: ვდგავარ, ვსძულვარ, მოვსწონვარ და სხვა, გარდა ისეთი არქაული შემთხვევებისა, როგორიცაა „ვშორავ“ ბესიკის ამ ლექსში:

ჰაერი ცივ-ნამიანი ჩემთვის აღარა მზიანი,
მას ვშორავ გულ-სევდიანი, ვის მოლოდნა მაქვს გვიანი.
(გ. ლეონიძე, ბესიკი: «ლიტ. მატ», 3—4, გვ. 415)

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. საშ. „დგას“ სხვა სამეულშიც შედის: ადგენს — დგება — დგას.

374. ურთიერთობა გვარებს შორის ფორმისა და ფუნქციის მიხედვით. ქართ. ენის ჩამოყალიბების ისტორიულ პირობათა გამო ფუნქციონალურ მიმართებას გვარებს შორის ყოველთვის არ ახლავს ერთგვარი გაფორმება. მაგალითები:

1. „უყვარს“ ფორმა თითქო ასეთ საპირისპირო ფორმებს მოითხოვს: უყვარებს — უყვარდება — უყვარს, მაგრამ საქმე ის არის, რომ „უყვარს“ მოკლებულია ქცევის გაგებას, ის ორ-პირიანი რელატიური ფორმაა და ამიტომ არის, რომ „აყვარებს“ ფორმის პირისპირ დგას.

2. „აკლებს — აკლდება — აკლს“. უკანასკნელი ფორმა ძველად იხმარებოდა. მისგან ნაწარმოებია უწყვეტელი და I კავშირებითი: აკლს, აკლდა, აკლდეს. „აკლს“ ფორმის ადგილი ახალ ქართულში სტატიკურთა მიხედვით ნაწარმოებმა „აკლია“-მ დაიჭირა.

3. „აწონებს“ ზმნა ვნებითად „ეწონება“-ს გვაძლევს; რაც შეეხება „მოსწონს“ ფორმას, ის საშუალია „მოაწონებს“ ფორმისა, „მოაწონებს“ დღეს მყოფადის წრეშია გადასული, და „მოსწონს“ უცვლელად რჩება აწმყოში.

4. ვიწუნებ — მწუნს: „ნუმცა გუწუნს ჩუენ სიმცირჱ ესე კრებულისაჲ ამის“ (სინ. მრავალთ. 77,16).

5. „აძინებს“ ზმნა კონვერსიის ძალით საშუალში „იძინებს“ ფორმას გვაძლევს („დედა ბავშვს აძინებს“ — „ბავშვი იძინებს“). რაც შეეხება „სძინავს“ ფორმას, რომელიც დღეს ერთ-პირიანია და ობიექტური წყობით იხმარება, კონვერსიულად სამ-პირიან ფორმას გულისხმობს. ცხადია, „აძინებს“ — „დააძინა“ ძველად შეიძლებოდა სამ-პირიანიც ყოფილიყო, როგორც ამას ერთ ხალხურ ლექსში დღესაც ვხედავთ: „საფურცლეს მოკლეს ზურაბი, *ძილ დააძინეს* მაგარი“ («ხალხ. პოეზ.» I, 8). „დააძინა“-ს ვნებითია „დაეძინა“ (დააძინა *მან მას იგი* — დაეძინა *მას იგი*). შემდეგ კი პირდ. ობიექტის ჩავარდნის გამო, ირიბი იქცა პირდაპირად და მივიღეთ ორ-პირიანი „აძინებს მას“ — „დააძინა იგი“. მაშასადამე, დღევანდელი „დააძინა“ და „დაეძინა“ ერთმანეთის კონვერსიული ფორმები არ არის. თუ ჩავსვამთ აღნიშნულ ფორმებს სამ გვართა სქემაში, შემდეგს მივიღებთ:

მოქმ.	ვნებ.	საშ.
აძინებს (2-პ.)	———	იძინებს (მედიოაქტ.)
*აძინებს (3-პ.)	ეძინება	სძინავს (მედიოპას.)

6. რაც ითქვა „აძინებს“ ჯგუფის შესახებ, იგივე შეიძლება ითქვას „აღვიძებს“ ჯგუფის შესახებაც („აღვიძებს“ — „იღვიძებს“, მაგრამ: „ეღვიძება“ — „ჰღვიძავს“) და რამდენადმე აგრეთვე „აცინებს“ ჯგუფის შესახებაც: „აცინებს“ — „იცინის“ (აქტივი — მედიოაქტ.), „ეცინება“ კი უცალოდ არის.

375. ქართული მედიუმი და ბერძნული მედიუმი. როგორც ვნახეთ, ქართ. მედიუმს საფუძვლად უძევს დაპირისპირება აქტივთან კონვერსიის ნიადაგზე. პირთა რაოდენობის თვალსაზრისით ის აქტივზე ნაკლებია: ვნებითის მსგავსად სამ-პირიან აქტივს ორ-პირიანი მედიუმი შეესატყვისება და ორ-პირიან აქტივს — ერთ-პირიანი მედიუმი. გარდაუვალობის თვალსაზრისითაც ის ვნებითთან არის.

სულ სხვა ვითარება გვაქვს ბერძნულში: ის ფორმა, რომელიც ბერძნულში მედიუმის სახელით არის ცნობილი, პირთა რაოდენობის თვალსაზრისით არ განსხვავდება არც აქტივისაგან და არც პასივისაგან, რადგანაც ისინი აქ ყველა ერთ-პირიანებია. მაგრამ ეს არაფერი, რადგანაც მრავალ-პირიანობა (პოლიპროსოპია) ბერძნულს არ მოეპოვება. მთავარია შემდეგი: იქ, სადაც მედიუმი ბერძნულში აშკარად განსხვავებულია ფორმით და ფუნქციით როგორც აქტივისაგან; ისე პასივისაგან (მაგ., აორისტში), მას გარდამავლობასთან ერთად ახასიათებს მიმართება სამოქმედო ობიექტთან კუთვნილების ნიადაგზე. ეს კი სულ სხვა ამბავია და უნდა გაგებულ იქნეს არა გვარის ფორმად (ე. ი. არა დიათესის ფორმად), როგორც ესმით ხოლმე, არამედ სათავისო *ქცევის* ფორმად. ქცევა კი, ანუ ვერსია, სულ სხვა კატეგორიაა, ვიდრე გვარი (§ 417).

376. უგვარო ზმნები. გვარზე იმდენად შეგვიძლია ვილაპარაკოთ, რამდენადაც ენას მოეპოვება საშუალება, რომ ერთისა და იმავე ფუძისაგან აწარმოოს თუ სამი ფორმა არა (აქტივი, პასივი, მედიუმი), ორი მაინც, რომლებიც

ერთმანეთის მიმართ აქტივ-პასივია (გრეხს — იგრიხება) ან აქტივ-მედიუმი (აცხოვრებს — ცხოვრობს).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ითქმის, როგორც „ფული მჭირდება", ისე „ფული მიჭირს", როგორც ეს ჩანს შემდეგიდან: თედო რაზიკაშვილს 1905 წ. აგვისტოში «ივერიის» რედაქციისათვის გაეგზავნა პოლიტიკური შინაარსის ზღაპარი «ყორანი», რომლის ბოლოს წერილი მიეწერა, სადაც, სხვათა შორის, იკითხებოდა: „ფულები ძალიან მიჭირს" (გადმოწერილი მაქვს დედნიდან). იგივე ფორმაა დადასტურებული ვაჟას ერთ ლექსში, რომელიც მზისადმია მიმართული: „მთას უ ჭ ი რ ს შენი სინათლე, მე, მღილს, არ მ ი ჭ ი რ ს არადა" (I, 190). სხვაგან იგივე ვაჟა ამბობს: „სიმტკიცე მ ი ჭ ი რ ს დიადი, ახლა ისეთი დრო არი"; „მეც ნამი მ ი ჭ ი რ ს და სითბო, გული ყვაოდეს, ლაღობდეს". „მჭირდება" ვნებითია „მიჭირს" საშუალი, ოღონდ ფორმობლივ ისინი ერთმანეთს არ ფარავენ.

უგვაროა ისეთი ზმნები, რომელთაც საპირისპირო ფორმები სრულიად აკლია; ასეთებია: არის, იცის, სწამს, აქვს, ჯამს (ძვ. ქ.), ღირს და სხვა. „ხარობს" გვარიანი ფორმაა (საშ.), რადგანაც მისი საპირისპიროა „ახარებს", („კარგი ამბავი გ უ ლ ს ა ხ ა რ ე ბ ს" — „კარგი ამბისაგან გული ხ ა რ ო ბ ს"). მაგრამ „შეჰხარის" უგვაროა, რადგანაც აკლია საპირისპირო „შეჰხარებს". თუ მას საშუალს ეძახიან, მხოლოდ იმ საბუთით, რომ ვნებითის ფორმა არა აქვს და გარდაუვალია.

377. უცალო მოქმედებითი. უცალოა მოქმედებითი, რომელიც გარდამავალია და მარტოოდენ ფორმით არის მოქმედებითი, სათანადო ვნებითი ან საშუალი აკლია. მაგ., „უბრძანა" მოქმედებითია, მისი ვნებითია „ებრძანა" მოქმედებითია აგრეთვე „მოაბრძანა", რადგანაც პირისპირ „მობრძანდა", უდგას, მაგრამ „ბრძანა" უცალოა: არ ითქმის „იბრძანა". ამიტომ ის დაცლილია გვარის გაგებისაგან. ერთად-ერთი, რაც საბუთს გვაძლევს, რომ მას „მოქმედებითი" ვუწოდოთ, ეს არის მისი კავშირი აშკარა გვარიან ფორმებთან: ბრძანა — უბრძანა. მსგავსად ამისა, „მოსთხოვა" მოქმედებითია, რადგანაც მას ეხარს უჭერს მისი ცალი ვნებითში: „მოეთხოვა" (პასუხი მოსთხოვოს — პასუხი მოეთხოვოს), მაგრამ „მოითხოვა" უცალოა. უცალოა აგრეთვე „დაინახა", „დაანახვა" კი ცალიანია და გვარის გაგებას სავსებით გვაძლევს (დაანახვა — დაენახვა).

საზოგადოდ უცალოა სათავისო ქცევის ფორმები: ააშენა — აშენდა, აუშენა — აუშენდა, მაგრამ: აიშენა — ამას ვნებითი არა აქვს. ასეთივე ვითარებაა აქაც: დაწერს — დაიწერება, დაუწერს — დაეწერება, დააწერს — დაეწერება, მაგრამ: დაიწერს — ამას ვნებითი აკლია. გამონაკლისს შეადგენს ის ზმნები, რომლებიც სათავისოა ფორმით, ფუნქცია კი საარვისოსი აქვთ: დაიწყებს — დაიწყება, შეინახავს — შეინახება, (წა)იკითხავს წიგნს — წიგნი (წა)იკითხება და მისთ.

378. უცალო ვნებითი. გვხვდება ისეთი ზმნებიც, რომლებიც მარტო ფორმის მიხედვით არის ვნებითი, საპირისპირო მოქმედებითი არ მოეპოვებათ და ამის გამო გვარის ნამდვილ შინაარსს მოკლებულია; მაგ., გვაქვს ერთ-პი-

რიანი გარდაუვალი „წყრება“, მაგრამ არ მოიძებნება მისი კონვერსიული ზმნა, რომ ის „წყრება“ ფორმის პირისპირ ორ-პირიანი ჩანდეს და მოქმ. გვარის გაგებას გვაძლევდეს. რაკი, მაშასადამე, „წყრება“-ს აკლია ცალი, რომელიც მას გვარის ფუნქციას ნამდვილად მიანიჭებდა, ამიტომ მისი ვნებითობა უფრო მოჩვენებითია, ვიდრე ნამდვილი. ასეთი ვნებითი ფორმალურად არის ვნებითი და არა ფუნქციონალურად. მსგავსი მაგალითებია: ელის, ებრძვის, ერჩის („გული ერჩის“), ეგულება, ეღირება (ღირს — ეღირება), ეცდება, მიაჩერდა და სხვა. შიგ ურევია „შეიჭრა“-ც ასეთი ფრაზიდან: „მონადირისაგან დაჭრილი ირემი ტყეში შეიჭრა“ და „გაიჭრა“ („ველად გაიჭრა“). „ეძგერა“ ნამდვილი პასივია, რადგანაც საპირისპიროდ „აძგერა“ აქვს, მაგრამ „ეცა“ დღეს უცალოა, რადგანაც მისი ცალი „სცა“ აღარ იხმარება. „ჩააცივდა, აღარ მოეშვა“ — ამათგან საპირისპირო ფორმა არც ერთს არ მოეპოვება.

379. უცალო საშუალი. გვხვდება ზმნებიც, რომლებიც გარეგნულად მოქმედებითს ჰგავს, მაგრამ გარდაუვალია, საპირისპირო გვარის ფორმები კი აკლია. მაგ., გვაქვს ზმნა „მოსდგამს“ (ასეთი წინადადებიდან: „გვარად მოსდგამს“), რომელიც უცალოა: არ ითქმის არც „გვარად მოადგამს“ (მოქმ.), არც „გვარად მოედგმება“ (ვნებ.). სამაგიეროდ საშუალი გვარისაა „ჩასდგამს“ ამ წინადადებიდან:

გორი რამ ჩასდგამს შუბისწვრად, მუხა-იფნებით ფარული
(ვაჟა, «ბახტრ.»),

სადაც „ჩასდგამს“ ამას ნიშნავს: „ჩადგმულია“ (მაშასადამე, ზმნას სტატიკური იერი აქვს), მისი საპირისპირო ფორმებია: ჩასდგამს (მოქმ.), ჩაიდგმება (ვნებ.), ჩასდგამს (საშ.). ერთად-ერთი რამ, რაც ასეთი დაპირისპირების წინააღმდეგ ითქმის, ეს ისაა, რომ ამჟამად მოქმ.-ისა და ვნებითის ფორმები მწკრივის თვალსაზრისით მყოფადია, საშუალი „ჩასდგამს“ კი — აწმყო.

380. შენაცვლება გვარში. ზოგიერთ ზმნას არ მოეპოვება კონვერსიული ფორმა იმავე ფუძისა, მაგრამ შეიძლება, რომ ეს ნაკლი შევსებულ იქნეს სხვა ფუძის ზმნით. ასეთებია: დააყენა (2-პირ.)—დადგა („ურემი დააყენა“—„ურემი დადგა“), დააყენა (3-პირ.)—დაადგა („შავი დღე დააყენა“—„შავი დღე დაადგა“), გააგდო — გავარდა („თოფი გააგდო“ — „თოფი გავარდა“), გადაყარა — გადაცვივდა („ნაცარი გადაყარა“ — „ნაცარი გადაცვივდა“). ვაჟა-ფშაველას ერთ მოთხრობაში ვკითხულობთ: „საცა სკოლაში მისცეს, ყველგნით ან თვითონ გამოვარდა ან გამოაგდეს“ (V, 205, 2—3). „გამოვარდა“ და „გამოაგდეს“ სხვადასხვა ფუძის ზმნებია, მაგრამ ფუნქციით ისინი ერთურთის მიმართ ისეთნია, როგორც „გამოიზარდა“ და „გამოზარდეს“.

სხვათა შორის, „კლავს“ ზმნა, თუ ის „დაკვლას“ გულისხმობს, ვნებითად „იკვლება“-ს გვაძლევს, მაგრამ „მოკვლის“ შემთხვევაში ვნებითი არ იხმარება და მას „კვდება“ ენაცვლება. ამიტომ „კლავს“ და „კვდება“ ისე ეფარდებიან ერთმანეთს, როგორც სვან. ადგäრი („კლავს“) და იდგäრი („კვდება“). ამის გამოა, რომ ითქმის: ფული დახარჯა — ფული შემოეხარჯა, სხვისი ქონება შეჭამა — სხვისი ქონება შემოეჭამა, მაგრამ: კაცი მოკლა — კაცი შემოაკვდა.

381. გვარი და გარდამავლობა. გვარის საკითხი წყდება საპირისპირო ფორმათა პარალელური არსებობით კონვერსიის ნიადაგზე, გარდამავლობისა კი — პირდაპირი ობიექტის შეწყობის უნარით. თუ ზმნას პირდაპირი ობიექტი ეწყობა, ის გარდამავალია: „ვანომ გაკვეთილი ი ც ი ს“, „იცის“ ორ-პირიანია (მან ის) და ორი სახელი ეფარდება: სუბიექტი და პირდ. ობიექტი: ცხადია. ზმნა გარდამავალია, მაგრამ „იცის“ არ არის მოქმედებითი, რადგანაც საპირისპირო ვნებითი ან საშუალი აკლია.

აგრეთვე „ქირაობს“ გარდამავალია („ქირაობს ოთახს“, „იქირავა ოთახი“), მაგრამ ის არ არის გვარიანი, რადგანაც კონვერსიული ფორმები აკლია რაც შეეხება ამ წყვილს: „აქირავებს“ — „ქირავდება“, ისინი ერთურთის მიმართ აქტივ-პასივია, პირველი გარდამავალია, მეორე გარდაუვალი: აქირავებს ოთახს — ქირავდება ოთახი.

მსგავსად ამისა „ვსწავლობ“ გარდამავალია, რადგანაც მას პირდ. ობიექტი აქვს: ვსწავლობ ფრანგულს, ვსწავლობ წერას და სხვ. („მე იმათგან ზოგჯერ ჭ კ უ ა ს ა და ხშირად ე ნ ა ს ა ვსწავლობო“, ჭავ., «ოთ. ქვრ.»). „ვსწავლობ“ და „ვასწავლი“ ისეთს მიმართებაშია ერთმანეთთან, როგორც, ვთქვათ, „ვჭამ“ და „ვაჭმევ“, ან „ვიცვამ“ და „ვიცმევ“. შეიძლება „ვსწავლობ“ ზოგჯერ აბსოლუტურად იქნეს ნახმარი, მაგრამ ეს სხვა მოქმედ. ზმნებსაც ახასიათებს: გული უცემს, თვალი უჭრის და მისთ. („ნეტა დედას სხვასავით ორი თვალი არა ჰქონოდა... თუ აქვს, რად უ ჭ რ ი ს ერთი თავისად, მეორე შვილისად?“ „ჭავ., «ოთ. ქვრ.»).

საზოგადოდ მოქმ. გვარის ფორმა გარდამავალია, ვნებითისა და საშუალისა კი — გარდაუვალი. ყოველი მოქმედებითი გარდამავალია, მაგრამ ყოველი გარდამავალი არ არის მოქმედებითი.

382. გვარი და ზმნისწინი. ზმნისწინის დართვის თვალსაზრისით საშუალი გვარი მკვეთრად გამოიყოფა მოქმედებითისაგან და ვნებითისაგან: აქტივსა და პასივში ჩვეულებრივია ზმნისწინის ხმარება. რაც შეეხება მედიალურ ზმნებს, ისინი სრულებით არ დაირთავენ ზმნისწინს, ან თუ დაირთავენ, მხოლოდ ზოგიერთები და ისიც თითქმის მხოლოდ აწმყოს წრის მწკრივებში: მი-გორავს, მი-ფრინავს, მი-ცურავს, მი-ქრის, მო-სწონს, ჩა-სდგამს („გორი რამ ჩასდგამს შუბისწვრად მუხა-იფნებით ფარული“, ვაჟა, «ბახტრ.») და მისთ.. სხვა მწკრივებში მედიუმი ზმნისწინს იშვიათად მიიღებს.

383. გვარი და ასპექტი. ასპექტი მოეპოვება მარტო ორი გვარის ზმნას: აქტიურსა და დინამიკურ პასიურს: რაც შეეხება სტატიკურ ზმნებსა და მედიალურს, ისინი უასპექტონია. ოღონდ, როგორც აღვნიშნეთ (§§ 371. 372), მედიუმმა შეიძლება უსრული ასპექტის მაგივრობა გაუწიოს დონიან ვნებითს, განსაკუთრებით აწმყოს წრეში.

384. ფორმისა და ფუნქციის ურთიერთობის საკითხი გვარში. ფორმისა და ფუნქციის ურთიერთობის საკითხს რამდენადმე ზემოთაც ვეხებოდით (§§ 366, 374). საჭიროა, კვლავ დავუბრუნდეთ მას. როგორც აღვნიშნეთ, ცალმხრივი წარმოება მოჩვენებით წარმოგვიდგენს გვარს და არა ნამდვილად (§ 376). ნამდვილი შინაარსი მხოლოდ მაშინ აქვს გვარის ფორმას. როცა აქტივის გვერდით პასივი მოიპოვება ან მედიუმი, ან კიდევ ამათ გვერდით აქტივი.

ამიტომ ის ფორმები, რომელთაც გვარობლივ კორელაცია, კონვერსიის ნიადაგზე დადგენილი, არ მოეპოვებათ, არსებითად უგვარონი არიან, მაგრამ ფორმის მიხედვით შეიძლება ერთ-ერთ მათგანთან მოვათავსოთ: აქტივთან, პასივთან ან მედიუმთან.

ამას გარდა, შეიძლება, რომ გვარის ფორმამ ისე იცვალოს შინაარსი, რომ დასცილდეს მნიშვნელობით ოდესლაც საკორელაციო ფორმებს და ამით სულ გამოვიდეს გვარის კატეგორიიდან. მაგ., ცხადია, რომ „გაყო“ მოქმედებითია, „გაიყო“ — მისი ვნებითი („ორად გაყო“ — „ორად გაიყო“). ერთსაც და მეორესაც ზმნისწინი აქვს **(გა-)**, უზმნისწინო „ყო“ კი დღეს აღარ იხმარება, დარჩა მისი საპირისპირო „იყო“, მაგრამ მას დაეკარგა ვნებითის მნიშვნელობა. ძველ ქართულში კიდევ იხმარებოდა აქტიური „ყო“ („ვინ ყო საქმჱ ესე“ = ვინ ქნა ეს საქმე?). მაგრამ „იყო“-ს მასთან კავშირი ჰქონდა წარმოშობის თვალსაზრისით და არა შინაარსეულად. ამიტომ „იყო“ ძველ ქართულშიც უგვარო იყო. ის შემდეგ მეშველ ზმნადაც იქნა გამოყენებული, ე. ი. გარკვეულ შემთხვევებში მორფემის სამსახურამდე, ჩამოქვეითდა (წასულ-იყო).

არის რიგი ვნებითი ზმნებისა, რომლებიც ფორმით ორ-პირიანებია, მაგრამ გაგება ერთი პირისა აქვთ: ასეთებია: გაემგზავრა, გაემართა (=წავიდა), მოემზადა, გაექანა, მოეწყო, დაემხო, დაეშვა, გაება, გაეთრა და სხვა. ამათი ერთ-პირიანობა იქიდან ჩანს, რომ მარტო ერთ სახელს იწყობენ, სუბიექტს, მეორეს კი, მიცემითში დასმულ ირიბ ობიექტს, არ მიიღებენ: გაება მახეში (და არა: მახეს), დაეშვა მიწაზე (და არა: მიწას), დაემხო მიწაზე (და არა: მიწას), გაეთრე (ბრძან.) და სხვა.. მართალია, ითქმის „გაემართა თელავს“, მაგრამ აქ „თელავს“ ადგილის გარემოებაა და არა ობიექტი.

ამას გარდა, შემდეგია აღსანიშნავი: III სერიის ფორმები სხვადასხვანაირად აქვთ ნაწარმოები ერთ-პირიანსა და ორ-პირიან ვნებითებს (მაგალითი: იმალება — დამალულა, მაგრამ: ემალება — დაჰმალვია). ზემორე აღნიშნული ზმნები კი III სერიის ფორმებს ისე აწარმოებენ, როგორც ერთ-პირიანები საზოგადოდ: გამგზავრებულა, მომზადებულა, გაქანებულა, მოწყობილა, დამხობილა, დაშვებულა, გაბმულა და მისთანა.

რომ შევადაროთ ერთმანეთს „გაემართა“ და „დაემართა“, ერთბაშად შევნიშნავთ განსხვავებას: გაემართა იგი, მაგრამ: დაემართა მას იგი, მაშასადამე, „გაემართა“ ერთ-პირიანია, „დაემართა“ კი — ორ-პირიანი („ვანო გაემართა თელავისაკენ“, „ვანოს ცუდი საქმე დაემართა“).

ზოგჯერ ერთი და იგივე ფორმა ერთ-პირიანადაც შეიძლება გაგებულ იქნეს და ორ-პირიანადაც: ასეთია „დაეცა“. ის ორ-პირიანია ასეთ ფრაზაში: „ბანიდან ქვა გადმოვარდა და ბავშვს დ ა ე ც ა“, მაგრამ ერთ-პირიანია ასეთში: „ბავშვი ბანიდან გადმოვარდა და მიწაზე დ ა ე ც ა“. იმისი I თურმეობითია „დასცემია“, ამისი კი — „დაცემულა“. მაშასადამე „დაეცა“-ს პოლისემიურობა ახასიათებს.

ზემორე მოყვანილი მაგალითები იმის მაჩვენებელია, რომ ზოგჯერ არსებობს აშკარა დაცილება ფორმასა და ფუნქციას შორის. თუ ისტორიულად განვიხილავთ ამ მოვლენას, დავრწმუნდებით, რომ გრამატიკული შინაარსი იცვალა, მაგრამ ფორმა ძველი დარჩა: დღეს ითქმის „მიწაზე დაეცა“-ო, სადაც „მიწაზე“ ადგილის გარემოებაა, მაგრამ ძველისძველად „დაეცა“ უთუოდ ირიბ ობიექტს

ითხოვდა: „დაჰეცა ქუეყანასა“, სადაც „ქუეყანასა“ (=მიწასა) ირ. ობიექტად უნდა ყოფილიყო გაგებული.

კონსტრუქციის შეცვლასთან ერთად ხშირად ფორმის შეცვლაც ხდება ასეთი შემთხვევებიც გვაქვს: „დაჰბადა“ ძველისძველად სამ-პირიანი უნდა ყოფილიყო, მისი კონვერსიული „დაებადა“ კი — ორ-პირიანი. მაგრამ უძველეს წერილობით ძეგლებში (მაგ. ოთხთავებში) „დაჰბადა“ უკვე ორ-პირიანია და მისი კონვერსიული „დაებადა“ — ერთ-პირიანი: დ ა ჰ ბ ა დ ა — გააჩინა, შექნა, დ ა ე ბ ა დ ა — გაჩნდა, შეიქნა („შაბათი კაცისათჳს დ ა ე ბ ა დ ა და არა კაცი შაბათისათჳს“, მარკ. 2,27). რაკი ამის გამო ფორმა და ფუნქცია ერთმანეთს აშკარად დასცილდნენ, ენა შეეცადა წინააღმდეგობის დაძლევას, ფორმა ახალ შინაარსს დაუმორჩილა და მივიღეთ „დაიბადა“, რომელიც საყოველთაოდ გატარებულია ახალ ქართულში. ოღონდ ის ამჟამად მხოლოდ ბავშვის გაჩენაზე ითქმის, ძველი მნიშვნელობა კი „ებადება“ და „აბადია“-შია შემონახული („არაფერი ებადება“; „რა აბადია“=რა გააჩნია).

„დაიბადა“-ს გარდა ასეთივე კონსტრუქციის შეცვლა მოხდა ზოგ სხვა ზმნაშიც: გაიმართა, დაითესა, დაიბეჭდა და სხვა (შდრ. «სუბ. პრეფიქსი მეორე პირისა», §§ 35, 36).

ასევე ორ-პირიანი უნდა ყოფილიყო ძველისძველად, ქართ. ენაზე მწერლობის დაწყებამდე, აგრეთვე „აღეშენა“, მაგრამ ძველ ქართულში ის ერთ-პირიანია. ამასთან დაკავშირებით ის მეორე ტიპის ვნებითში გადავიდა და რელატიური ფორმები აღიდგინა (§ 368).

აბსოლუტურად უნდა გავიგოთ „ერწევიან“ ამ წინადადებაში: „როცა ქარი უბერავს, სხვა ხეები ე რ წ ე ვ ი ა ნ, მხოლოდ ხმელი წიფელი არ ინძრევა“ (ვაჟა, «ხმ. წიფ.», V, 87,32) და აგრეთვე „ჩავეფარები“ ამაში: „ტყე რომ გაცვდება, მეც მაშინ მიწაში ჩ ა ვ ე ფ ა რ ე ბ ი“ («სოფ. სურ.», V, 212,19).

„ღირს“ ზმნას მყოფადში „ეღირება“ აქვს. ისინი ფორმის მიხედვით მედიუმ-პასივია, რომლებიც ერთმანეთს მწკრივებში ენაცვლებიან. მაგრამ ნამდვილად გვარის გაგება არც ერთს აქვს და არც მეორეს. უკანასკნელი ორ-პირიანია ფორმით, მაგრამ გაგება ერთი პირისა აქვს.

დინამიკა და სტატიკა

385. სტატუსი და მისი რაობა. ს ტ ა ტ უ ს ს, ანუ მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა ს, ვუწოდებთ ფორმას, რომელიც ვნებითი გვარის ზმნის მიერ აღნიშნულ მოქმედებას წარმოგვიდგენს დინამიკურად ან სტატიკურად. ამის მიხედვით გვაქვს ორი სტატუსი: დინამიკური და სტატიკური.

დ ი ნ ა მ ი კ უ რ ი ა ფორმა, რომელიც მოქმედებას აჩენს პროცესის სახით (ე. ი. მის მსვლელობაში), და ს ტ ა ტ ი კ უ რ ი ა ფორმა, რომელიც მოქმედებას ერთ ვითარებაში წარმოგვიდგენს. როგორც წყალი შეიძლება იყოს მდინარი ან დამდგარი, ისე ზოგიერთი მოქმედება შეიძლება წარმოვიდგინოთ ორი სახით: მიმდინარე პროცესად ან პროცესის შედეგად, რომელიც უძრავ ვითარებას ასახავს ერთ მომენტში. დ ი ნ ა მ ი კ ა — ეს არის მოქმედება მოძრაობის სახით, ს ტ ა ტ ი კ ა კი — „მოქმედება“ უძრავ მდგომარეობაში. განსხვავებას მათ შორის ადვილად შევამჩნევთ, თუ შევადარებთ ერთმანეთს ამ ორ ზმნას: „ეფინება“ და „აფენია“. თუ გავიგონეთ ფრაზა: „მთებს მზის შუქი ეფი-

ნება“-ო, წარმოგვიდგება, რომ მზის შუქი თანდათან გადადის ჩრდილ ადგილებში, მაშასადამე, შუქი მოძრაობს, მსვლელობაშია, მაგრამ თუ გავიგონეთ: „მთებს მზის შუქი აფენია“-ო, მივხვდებით, რომ მთებზე მზის შუქი უკვე მიფენილია და მის მოძრაობას ადგილი არა აქვს. მიფენის პროცესი წინათ ყოფილა, ეხლა კი ამ პროცესის შედეგთან გვაქვს საქმე. აღნიშნულის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აქ არის აშკარად გამოხატული სტატუსი: „ეფინება“ დინამიკური ფორმაა, „აფენია“ კი — სტატიკური. ასეთივე ურთიერთობაა ამ ზმნებშიც: „იღვრება“ და „ღვრია“. „წყალი იღვრება“ — ვხედავთ, რომ პროცესია: წყალი დის; „წყალი ღვრია“ — წყალი დაღვრილია, მაშასადამე, ვხედავთ არა წყლის დაღვრის პროცესს, არამედ ამ პროცესის შედეგს. სხვა მაგალითები:

დინამ.	სტატ.	დინამ.	სტატ.
იწერება	სწერია	იხატება	ხატია
ეცხება	აცხია	ეკერება	აკერია
ეფარება	აფარია	ერჭობა	არჭვია
ერტყმება	არტყია	ეხურება	ჰხურავს

დინამიკური ფორმა გულისხმობს მოქმედების მიმდინარეობას დროში, სტატიკური კი — მოქმედების ასახვას ერთ მომენტში.

თუ რასმე რეალურს მივამსგავსებთ ამ ფორმებს, შეიძლება ითქვას, რომ დინამიკური ფორმა ზმნისა — ეს არის კინოსურათი, წარმომდგარი მოძრაობაში მოყვანილი კინოლენტისაგან, რომელზედაც მრავალი მომენტია ასახული თანამიმდევრობით, ხოლო სტატიკური ფორმა—ეს არის ერთი კადრი ამ სურათიდან, ე. ი. ფოტოსურათი.

შენიშვნა. სტატუსი — ლათ. status, ფრ. état, რუს. состояние.

886. სტატუსი როგორც კატეგორია. ყოველგვარი გრამატიკული კატეგორია საპირისპირო ფორმათა ნიადაგზეა ჩამოყალიბებული. ამიტომ არა ყოველი ვნებითი არის დინამიკური სტატუსისა, არამედ ისეთი, რომელსაც მოეპოვება საპირისპირო ფორმა სტატიკური ზმნის ნიშნებით, როგორც, მაგ. ესენი: ითესება—სთესია, იწერება,—სწერია, ინთება—ანთია და მისთ.. რადგანაც ასეთი შეფარდება არა ყოველ ვნებითს მოეპოვება, ამიტომ სტატუსი, როგორც გრამატიკული კატეგორია, სუსტად არის გამოხატული ქართულში.

887. სტატიკურ ზმნათა მნიშვნელობისათვის. სტატიკური ზმნა მნიშვნელობით ისეთია, რომ თამამად შეიძლება შევცვალოთ ის წინადადებაში შედგენილი შემასმენლით, რომელშიც ვნებითის მიმღეობა შედის: სთესია — დათესილია, სწერია — დაწერილია, ჰმარხია — დამარხულია, ანთია — დანთებულია, აწყვია — დაწყობილია, აბარია — მიბარებული აქვს (ან ჩაბარებული აქვს) და მისთ.. მაშასადამე, სტატიკური ზმნა — ეს არის ფორმა, რომელსაც შეუძლია თამამად შეცვალოს პასივის მიმღეობიანი შედგენილი შემასმენელი. ამიტომ, სადაც სტატიკური ფორმა არა გვაქვს, იქ სწორედ ასეთი შემასმენელი იხმარება: „იმ მარნის უკანა კედელზე ამოყვანილი გახლდათ

ერთი პატარა ოთახი მოაჯრითურთ. მოაჯარს ეკრა ზედ მერცხლის ბუდესავით ერთი მცირედი ფიცრული" (ჭავ. «კაც.-ად.»). „მიკვრა" ზმნას აქვს სტატიკური ფორმა (აკრავს — ეკრა), „ამოყვანას" კი — არა, ამიტომ ერთ შემთხვევაში ნახმარია სტატიკური ფორმა („ეკრა"), მეორე შემთხვევაში — მეშველზმნიანი მიმღეობა: „ამოყვანილი გახლდათ"=ამოყვანილი იყო (§ 234).

388. სტატიკურ ზმნათა სია. სტატიკური ზმნები ისე მცირე-რიცხოვანია, რომ შეიძლება მათი ჩამოთვლა. უმთავრესად შემდეგი ზმნები გვხვდება:

1. ა-ბია, ება, ბმულა, ჰბმია.
2. ა-ბადია, ებადა („ვისაც საკუჭნაოში არაფერი აბადია", ვაჟა, «ტყის კომ.»). დინამიკური: ებადება. აქტიურია: ჰბადებს ან *აბადებს: „მე ქვრივ-ოხერს ვინ მომაბადა", ჭავ. «კაც.-ად.». ბადებულა, ჰბადებია.
3. ა-ბარია, ებარა („ამდენი საქონელი და მწყემსი მე მაბარია", ყაზ. 283,7), ჰბარებია.
4. ა-ბეჭდია („ელისაბედს... ახსოვს კი არა, გულს ღრმად აბეჭდია ის ტურფა საღამო", ე. გაბაშ., 115).
5. ა-ბნევია, ებნია.
6. ჰ-ბურავს, ებურა („არც არა ბევრი ტანთ ეცვა, არც არა მკლავთა ებურა": თ. რაზ. «ფშ. ლექსები», გვ. 12, № 13), ჰბურებია.
7. უ-ბღვერია (თვალები: ვაჟა, I, 249,6).
8. უ-ბჯენია, ებჯინა („ფეხები აქეთ პირას მიწაზე ებჯინა თითის წვერებითა", ჭავ., «ოთ. ქვრ.»: მკლავი ხანჯალზედ ებჯინა", ჭავ., «კაც.-ად.»), ჰბჯინებია.
9. ა-გია, ეგო (აგია=დაგებულია, მაგ., ლოგინი, ხალიჩა), გებულა, ჰგებია.
10. ჰ-გიეს, ეგო (იხმარებოდა ძველად: ნიშნავდა: არის, არსებობს).
11. ა-გდია (ჰ-გდია), ეგდო. („იქვე გდია იმისი ლახტი". ვაჟა „კლდე მტირ". V, 136.9). გდებულა, ჰგდებია.
12. ა-გროვია („იქ აგროვია მარგალიტები", ვაჟა, II, 191,32).
13. ჰ-გონია, ეგონა.
14. ა-ვალია (=დავალებული აქვს; ქართლელისაგან გაგონილი ფორმაა). საპირისპიროა: ევალება.
15. ა-ვლია, ევლო: „იმათ ჭირსა და ლხინს ცალკე ღობე ავლია, ჩვენსას — ცალკე" (ჭავ., „ოთ. ქვრ."); „ჯვარის მონასტერს (იერუსალიმში) გარშემო ავლია ოთხ-კუთხიანი მკვიდრი ქვიტკირის გალავანი" (პ. კონჭოშვილი, მოგზაურობა, 77), ჰვლებია.
16. ს-თესია (უ-თესია), ეთესა, თეს(ებ)ულა, სთესებია.
17. სთრავს (მთვრალია) — ეთრო (მთვრალი იყო): „მთრვალთა ესე ამბავი მოგუივიდა, ვითა: ჩიჟავაძემან სამწევრისი დაარბიაო. თაყას ეთრო და ვერა შეიტყო. ადგა გამრეკელი და სამნივე შვილნი თანა წარგვიტანნა" (ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV ს.-ში).
18. უ-კავია, ეკავა, ჰკავებია.
19. უ-კეთია, ეკეთა: „მანამდე თადა სათვალეს ატარებდა, ახლა კი აღარც სათვალე ეკეთა" („კომუნისტი" 15, 12, 1957).
20. ა-კერია, ეკერა.
21. უ-კეცია, ეკეცა.
22. ჰ-კიდია (=დაკიდებულია), ჰკიდავს („მას ჰკიდავნ" იო. 12,6), უკიდია [მოკიდებული აქვს (ხე-

ლი. ცეცხლი)]. ეკიდა, კიდებულა, ჰკიდებია.

23. ა-კმევია, ეკმია.

24. ა-კოსია („ეს ბუხრული ქუდი დღესაც აკოსია თავზე“, ა. წერ.), ჰკოსებია.

25. ა-კრავს (ა-კრია, ჰ-კრია), („იქნება ამოირეცხო გულიდან. თუ ფშავლობისა გაკრია“, ვაჟა, «მოკვეთ.». V. 432.15; „ეხლა მთას ნისლი აკრია“, იქვე, 437.5): „არც ფეხზე ჰკრიან ნალნია“ (ფშ.), ეკრა, ჰკვრია.

26. ა-ლაგია, ელაგა.

27. ჰ-მარხია, ემარხა.

28. ჰ-მოსია (გმოსიეს, მათ. 22,12), ემოსა (მარკ. 1,6).

29. უ-მწყვდევია. ემწყვდია („იმათ რუსები ე მ წ ყ ვ დ ი ა თ მთიულეთის ჭალებში“, ყაზ., „ელგ.“), „ადგილს ვ ე მ წ ყ ვ დ ი ე თ ჭიდროსა ქანჩახებს შორის უგზოსა“ (ვაჟა. «ივ. კოტორაშვ. ამბავი»).

30. ა-მხვია. ემხო (ა მ ხ ვ ი ა = დამხობილია).

31. ა-ნთია, ენთო. ნთებულა, ჰნთებია.

32. ა-ოხრია: „რად გინდა ფული? ჩემს სიძეს ვანოს იმდენი აოხრია. რომ ორივეს ყელამდე შემოგვაწვდებაო“ (ს. შანშ., მოგონება ილო მოსაშვილზე: «ლიტ. საქ.». 1966. 23 დეკ.).

33. უ-პყრია, ეპყრა, ჰპყრობია.

34. ა-რგია (=მორგებული აქვს); არგია (=მისი სასარგებლოა: „ანათებ და კარგი ხარ, მაგრამ მე რას მარგიხარ?“ ა. წერ.).

35. უ-რევია. ერია, რეულა („იმ ბაყაყებში რ ე უ ლ ა ერთი დიდრონი ყიყინა“: ვაჟა. I. 134,27. მაშასადამე „ურევია“ შეიძლება ერთ-პირიანადაც იქნეს გაგებული), ჰრევია.

36. ჰრთავს (=დართული აქვს, ურევია). ერთო (იხმარებოდა ძველად): „აწ ვინაჲ ჰ რ თ ა ვ ს ღუარძლი ესე“ (მათ. 13,27C); „არაი რ თ ა ვ ს ჩემის მამულისა ჩემსა სისხლისა ბაღდადით მოგებულისა მეტი“ (ძაგან აბულეთის ძის სიგელში. XIII ს.); „მათ თანა ე რ თ ო კაცი ერთი გოლიათი (ქ. ცხ. I, 15).

37. ჰ-რტყია, ა-რტყია, ერტყა: „თუ ცხვარი წაგასხმეინოთ, წელთამც ნუ გვრტყია ხმალიო“ (თ. რაზ. ფშ. გვ. 13, № 18), ჰრტყმია.

38. (*ჰ-რქვია→) ჰქვია, ერქვა (სახელი), ჰრქმევია.

39. არქვა (=ახურავს): „და გჳრგჳნი ათორმეტთა მათ მოციქულთა სწავლისაჲ ა რ ქ ჳ ა თავსა ზედა მისსა“ (თარგმ. გამოცხადებისაჲ, 12,1).

40. *უ-რჩევნია (*ურჩევია), ერჩია,

41. ა-რჭვია (←ასჭვია), ერჭო (ერჭვა←ესჭვა): „გულსა 100.000 ისარი მარჭვია“ (ვისრ. 56,15); „სხვათა ნასროლ ისარივ ყუნჭს ესჭვავ“ (ხევსურული ანდაზა: „წელიწდ.“, 205), რჭობილა, ჰრჭობია. ამავე ძირისაა „სამსჭვალი“.

42. ა-საფლავია (იხმარება მარტო აწმყოში).

43. ა-სვია (ა ს ვ ი ა = დასობილია), ესვა, სობილა, ჰსობია.

44. უ-სვია (=წასმული აქვს), ჰსმია.

45. ა-სვენია, ესვენა; სვენებულა, ჰსვენებია („პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონში „სუენებია“ აწმყოს მნიშვნელობითაა ნახმარი).

46. მა-სმიეს (ძველად: გაგონილი მაქვს).

47. ა-სხია, ესხა; სხმულა, ჰსხმია.

8. ს-ტანია (ფშ. სტანავ), ეტანა („იმას ორი სხვა ამხანაგი ეტანა", ვაჟა, V, 260,15), სტანებია.
9. ს-ტევია, ეტია: „თავის ტყავში არ ეტია"; „მტკუარი ვერღარა ე ტ ი ა ნადინებსა თჳსსა" (მატ. ქართლ. A 19ა,30); მივიდეს ნახეს: რამაზის ლაშქარი ძლივღა ეტია (ვეფხ. 1617). უფრო დინამიკური იხმარება: ეტევა, ეტეოდა.
0. ს-ტენია („ბნელს ბოსელში ვტენივართ", ე. გაბაშვ.): ყორნის ფრთა ბროლსა სტენია (ვეფხ. 1622).
1. ა-ტიალია („რა მაქვს, რა მატიალია?" ვაჟა, I, 53,12).
2. ს-ტოლია („გულ-გახეთქილი ბაღლები ღობე-ყორეებს სტოლია" (ვაჟა, I, 271,18): ე ტ ო ლ ე ბ ა — ეფარება; ს ტ ო ლ ი ა — ამოფარებულია მას; სტოლებია.
3. ა-ტყვია (წყვეტილი აკლია, უწყვეტელში დინამიკური ენაცვლება: ეტყობოდა).
3. ჰ-ფანტია, ეფანტა.
4. ა-ფარია, ეფარა, ჰფარებია.
5. ა-ფენია, ეფინა.
6. უ-ფლიეს (იხმარებოდა ძველად: „სხუასა ნუ ვის უფლიედ ჩუენ თანა შემოსვლად", „წამ. შუშ.", 6,3).
7. *ჰფლიეს (დაფლულია), ეფლა („სადა-იგი ეფლა გუამი წმ. რაჟდენისი", ჯუანშერ A 136,2); „ქვევრი მიფლია".
8. ა-ფრქვევია, ეფრქვია („ნამქერისაგან გატიტვლებულ ადგილებისთვის მზეს მოესწრო და რაც დანარჩენი თოვლი ე ფ რ ქ ვ ი ა, გაედნო", თ. რაზ. «გაზაფხ.»).
9. ჰ-ღვრია, ეღვარა, ღვრილა.
60. ჰ-ყრია, უყრია, ეყარა, ყრილა.
61. მი-ყრია (გაყრილი მაქვს): „ფერჯთა გაუჴსნელი ემუდა მიყრია" (ვისრ. 56,15).
62. უ-ყენია, ეყენა („მეფეს გვერდს ე ყ ე ნ ა უფროსი ვეზირი", ვაჟა, «მუცელა»); „ისინი შესხდნენ ცხენებზედ, რომელნიც იქვე ე ყ ე ნ ა თ" (ყაზ. 127,22). ჰყენებია.
63. ჰ-ყუდია, ეყუდა: ყუდებულა, ჰყუდებია.
64. ყუნთია, ეყუნთა: „გავხედავ, ვხედავ სოფელსა, თავ-მოსაწყლებით ყ უ ნ თ ი ა", ვაჟა. V. 235,26; „ვითომ დასეტყვულს ფეტვსა ჰმკის, თავის მამულში ჰ ყ უ ნ თ ი ა", ვაჟა V, 110,4 ქვ.). შდრ. ჰ-ყუნტია.
65. ჰ-ყუნტია, ეყუნტა. ჰ ყ უ ნ ტ ი ა — დაყუნტულია (დაყუნტებულია), ე. ი. წამომჯდარია (ძაღლი, ბაყაყი): დ ა ყ უ ნ ტ დ ა (მელია: ვაჟა, III, **221,4 ქვ.**), დ ა ყ უ ნ ტ ე ბ უ ლ ი (მელია: იქვე, 222, 18). თუმცა გვხვდება აგრეთვე ამავე მნიშვნელობით დ ა ყ უ ნ თ ე ბ უ ლ ი-ც (ძაღლი: ვაჟა, I, 155,3).
66. ა-შავია („რა აშავია"-ო, იტყვიან ცუდად მოხსენების დროს, ე. ი. რა აბადიაო, რა გააჩნიაო).
67. ჰ-შლია, ეშალა („პარკეთიანს იატაკზე ძუის ხალიჩა შლია", «იზა», I, 283,10—11; „არ გასცივდე, მიწაზე რომ სწევხარ"-ო, უთხრეს ერთ ქალს ერწოში. — „ქვეშ მიშლია"-ო, უპასუხა მან; „ქვეშ ე შ ა ლ ა ლეკური ნაბდის ნაგლეჯი", ჭავ., «გლ. ნაამბ.»).
68. ს-ჩვევია (იხმარება მარტო აწმყოს წრის ფორმებში).
69. ს-ჩრია, ეჩარა („ყალიონი სჩრავ პირშია", ვაჟა, I, 66,14; „ხვთი-

სოს კეცში გამომცხვარი პურის მოზრდილი ყუა ეჩარა იღლიაში“, ვაჟა, V, 167,28); მწყემსებს „კომბლები იღლიაში ეჩარათ“, (ჭავ., «ოთ. ქვრ.»).

70. ა-ჩნია (წყვეტილის ნაცვლად უწყვეტელი იხმარება: აჩნდა). იმავე მნიშვნელობით „აჩნევია“ (ან „ამჩნევია“) იხმარება: „ზედ აჩნევია“ (ჭავ., 284,2). წყვეტილი არც ამას აქვს, ენაცვლება დინამიკური ფორმა უწყვეტლის ფორმით: „ემჩნეოდა“.
71. ს-ჩხირია, ეჩხირა („გაუსხვეპელი ვაჟკაცი არ ჩანს, ალარსად სჩხირია“, ვაჟა, V, 149,10; „და ამოაგდონ ძირითა, საკა ეკალი სჩხირია“, იქვე, 213,2)
72. ა-ცვია, ეცვა, სცმია (სცმევია).
73. ა-ცხია (ს-ცხია), ეცხო, სცხებია.
74. ს-წერია, ეწერა, წერებულა, სწერებია.
75. ა-წყვია, ეწყო: წყობილა, სწყობია.
76. უ-ჭირავს (უ-ჭერია), ეჭირა („იმ დალოცვილის შვილებს რკინის ჭახრაკისებრ მაგრა ვ ე ჭ ი რ ე“, ჭავ., «გლ. ნაამბ.»).
77. უ-ჭყეტია, ეჭყიტა („საწყალი კურდღელი! სძინავს და თვალები უჭყეტია, — თუ ფხიზელია, ხომ უჭყეტია და უჭყეტია“! ვაჟა, «კურდღ.»); ლუარსაბი „ვერც არასა ჰხედავდა, თუმცა თვალები კი ე ჭ ყ ი ტ ა“ (ჭავ., «კაც.-ად.»).
78. ა-ხატია, ეხატა, ხატულა, ჰხატებია.
79. უ-ხელია („რად უხელია მძინარე კურდღელს თვალები?“ ვაჟა, «კურდღ.»). წყვეტილი იქნება ე ხ ი ლ ა (მრ. ე ხ ი ლ ნ ე ს ეხილვნეს): „შეიპყრა იგი ძრწოლამან და ეცვალა ფერი პირისა მისისაჲ და დაადგრა იგი უტყუად. რამეთუ თუალნი ე ხ ი ლ ვ ნ ე ს კამკამებად [და ხედვად] ვერ შეუძლებდა იგი (პოლიფ. ლაზნ. 200). შდრ. „აღდგა სავლე ქუეყანით, თუალნი ზე ე ხ ი ლ ნ ე ს და ჰხედვიდა არარას“ (საქმე 9,8).
80. ა-ხვევია, უ-ხვევია (ფშ. უხვევავე), „ალყა გიხვევავთ მაგარი“ (თ. რაზ. ფშ. 13, № 18), ეხვია („კალათაში პაპაჩემს ორი ხმიადის ნაჭერი ეხვია“, ვაჟა, V, 185,16), „იკადრა ერთის ლურჯის ხელსახოცის ამოღება, რომელშიაც რაღაცეები ეხვია“ (ჭავ. «კაც.-ად.»; ჰხვევია, ჰხვეოდა, ჰხვეოდეს.
81. ჰხირია, ეხირა („შეჰხვდა იასაულს, რომელიც იქვე ე ხ ი რ ა“, ყაზ. 379,12).
82. უ-ხუთავს, ეხუთა: „გული მისი ეშმაკსა ე ხ უ თ ა და თუალნი მისნი ვისის კუბოსკენ დარჩომილ იყვნეს (ვისრ. 62,8—9).
83. ჰ-ხურავს, ეხურა („კაცი ვარ და ქუდი მხურავს“).
84. უ-ხუჭავს თვალები (=დახუჭული აქვს თვალები): „ვდგევარ და თვალი მიხუჭავ“ (ბაჩანა).

სია, უეჭველია, სრული არ არის, მაგრამ ყველა რომ ჩამოიწეროს, ალბათ, საერთო რიცხვი 120-ს ძლივს მიაღწევს (სამიოდე მაგალითი Vogt-ის გრამატიკიდან მაქვს ამოღებული: აბეჭდია, აკოსია, სტენია).

აღნიშნული ზმნები ზმნისწინს არ დაირთავენ და უწყვეტელსა და I კავშ.-ს ვერ იკეთებენ. ამით ისინი მკვეთრად გამოირჩევიან დინამიკური ზმნებისაგან.

გვარის თვალსაზრისით ეს ზმნები პასივში შედიან და მედიოპასივებთან ერთად 1-ლსა და მე-2 სუბ. პირში მეშველ ზმნას მიიღებენ აწმყოში.

სტატიკური ფორმები უმთავრესად ზმნათა ფუძეებისაგან კეთდება, მაგრამ გვხვდება სახელთა ფუძეებისაგანაც: ავალია, აშავია („შავ"-ისაგანაც; „ვინ მიაშავებს" — ვინ მისცემს), ასაფლავია. უკანასკნელი მიღებულია „საფლავ"-ისაგან (ასაფლავებენ — ასაფლავია), რომელიც თავის მხრით ფალ ფუძეს ეყრდნობა: დავფალ, და-ფლა, ფლავს, საფლავ-ი.

დინამიკისა და სტატიკის საკითხი მარტო გარდაუვალ ზმნებს ეხება.

389. ფორმისა და ფუნქციის ურთიერთობის საკითხი სტატიკურ ზმნებში. სტატიკურობა ზმნისა მხოლოდ მაშინ არის ნათელი, როცა მას გვერდში საპირისპიროდ დინამიკური ფორმა უდგას, ამიტომ „სთესია" ნამდვილად არის სტატიკური, რადგანაც ჩვეულებრივია დინამიკური „ითესება". ასევე შინაარსიანია: ეკერება — აკერია, ეკიდება — ჰკიდია, იღვრება — ჰღვრია, ანთება — ანთია, ეცხება — აცხია, ეჩრება — სჩრია და მისთ.. მაგრამ „ჰგონია" მარტო ფორმით არის სტატიკური, შინაარსი კი აღარ აქვს, რადგანაც საპირისპირო ფორმა ამჟამად აკლია (შდრ. § 386). ასეთივე იყო ძველად აგრეთვე ჰგიეს.

390. სტატიკურ ზმნათა დაბოლოებისათვის. სტატიკურ ზმნებს ძველ ქართულში აწმყოს მწკრივში ფუძის ბოლოს იე სუფიქსი მოუდიოდა, რომლის მეორე ნაწილი **(ე)** იკარგებოდა მე-3 პირის მრ. რიცხვში: ვ-ჰგონიე, ჰ-გონიე, ჰ-გონიე-ს, ვ-ჰგონიე-თ, ჰ-გონიე-თ, ჰ-გონი-ან. **ახალ ქართულში** კი ამ **ზმნებმა** 1-ლსა და მე-2 სუბ. პირში მეშველი ზმნა დაირთო, მე-3-ში კი **ეს**-ის ადგილი **ა**-მ დაიჭირა, რომელიც ზოგ შემთხვევაში მრავლობითის ფორმიდან მოდის [ჰგონი-ა(ნ)] და რომელიც გარეგნულად მეშველი **არს** ზმნის შეკვეცილ სახეს ჰგავს. ამიტომ ისეთი სურათია დღეს, თითქო მეშველი ზმნა ყველა პირში იყოს გატარებული: ვჰგონი-**ვარ**, ჰგონი-**ხარ**, ჰგონი-**ა**, ვჰგონი-**ვართ**, ჰგონი-**ხართ**, ჰგონი-**ა**(ნ). მაშასადამე, ამჟამად მე-3 სუბ. პირის ფორმას მხ.-ში ბოლოს **ია** მოუდის: სწერია, სთესია, ჰკიდია და მისთ. (ძველად: სწერიეს, სთესიეს, ჰკიდიეს და მისთ.); გამონაკლისს შეადგენენ **ავ**-იანი ზმნები, რომელთაც შენახული აქვთ **ავ**: ჰხურ-**ავ**-ს, აკრ-**ავ**-ს, უჭირ-**ავ**-ს (აქ უნდა გავიხსენოთ, რომ **ავ**-იან გარდამავალ ზმნებს I თურმეობითში **ავ** შენახული აქვთ: მიხილ-**ავ**-ს და არა მიხილ-**იე**-ს. გარდამავალ ზმნებს I თურმეობითში და სტატიკურებს აწმყოში ერთნაირი წარმოება ახასიათებს). მაგრამ მათ პარალელური ფორმებიც მოეპოვებათ, ანალოგიით გაკეთებული და **ია**-ზე გათავებული: ახურია („ცა მახურია თავზედა", ვაჟა, I, 168,19), აკრია, უჭერია. სამაგიეროდ, ფშაურმა და ხევსურულმა ამ შემთხვევაში **ავ**-ს მისცა დიდი გასაქანი: **იე-ს** დაბოლოების ნაცვლად **ავ-ს** გაატარა ბევრგან, ოღონდ სუბიექტური **ს** ნიშნის ჩამოკვეცით. მაგალითები ფშაურიდან: სჩრ-ავ, სტან-ავ, არტყ-ავ, აბ-ავ და მისთ.; მაგალითები ვაჟა-ფშაველადან: „სულ ფეხზე ჰყუდავ" (V, 63,32; შდრ. „სულ ფეხზე უყუდია ხმალი", V, 136,8); ავლავ (I, 44,19); ჰბავ (I, 26,34); აცვავ (III. 108.18); სტანა(ვ)-ო (III, 189,31); მაგალითი ხევსურულიდან: „ყანას რო სთესავ თესლიო" («ხალხ. პ.», № 399,7).

391. სტატიკური ზმნები და მედიოპასივი. სტატიკურ ზმნებთან მნიშვნელობით ახლო დგას მედიოპასივი. შეიძლება ითქვას, რომ გრამატიკული მნიშვნელობის მხრივ არ არის არავითარი განსხვავება მედიოპასივსა და სტატიკურ ზმნებს შორისო. მართლაც: წევს, დგას, ზის, სხედს, ძევს, სძინავს ჰღვიძავს და სხვა არსებითად სტატიკური ზმნებია, იმიტომ რომ ფორმები დგას — იდგა, წევს — იწვა, ზის — იჯდა, სხედს — ისხდა, ძევს — იდვა, სძინავს — ეძინა, ჰღვიძავს — ეღვიძა და მისთანანი ისეთ ურთიერთობაშია ერთმანეთთან, როგორც სწერია — ეწერა, ჰკიდია — ეკიდა და მისთ.. მაგრამ, მეორე მხრით, ეჭვი არ არის, რომ მათ სხვადასხვა ფორმა აქვთ; შევადაროთ ერთმანეთს ეს წყვილი: „წევს“ და „ჰკიდია“. კონვერსიის თვალსაზრისით ორივე ერთნაირია: აწვენს — წვება — წევს; ჰკიდებს — ეკიდება — ჰკიდია. მაგრამ „წევს“ და „ჰკიდია“ სხვადასხვანაირად გაკეთებული ფორმებია. II სერიის ფორმებიც ამას სხვანაირად აქვს ნაწარმოები (ეკიდა), იმას კი — სხვანაირად (წ ვ ა: „ქვე წვავით კლდისა ნაპრალსა ვეფხი პირ-გამეხებული“, «ვეფხ.», 522; აქედან შემდეგ ვნებით ზმნათა ანალოგიით: (იწვა). სტატუსის თვალსაზრისითაც ისინი თითქო ერთნია: ორივე გადმოგვცემს ისეთ ვითარებას, რომელიც სუბიექტის „მოქმედებას“ უძრავად წარმოგვიდგენს, ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ერთ მდგომარეობაში ყოფნას აღნიშნავს. ამასთანავე ერთად ორივე შეგვიძლია ასე თუ ისე მიმღეობიანი კონსტრუქციით შევცვალოთ: წ ე ვ ს — დაწოლილია, ჰ კ ი დ ი ა — დაკიდებულია.

მეორე მხრით ისიც არის აღსანიშნავი, რომ „ჰკიდია“-ს გვერდით, — იშვიათად, მაგრამ მაინც, — „ჰკიდავს“ ფორმაც გვხვდება: „სამსახურიც ჰკიდავს“ (ცხრაზმის ხელისუფალთა X ს. ძეგლზე: «საისტ. მოამბე», I, 1925, გვ. 97); „მამიჩემის ვალი ბარძიმს ჰკიდავს“ (ი. ოსესშვ., 95,10); „ჰკიდავს ზღუდის კარი ბჭესა მისსა, რკინისა, ვახუშტი, «აღწ. სამეფ. საქართვ..» 151,2-1 ქვ.). თუ ამასთანავე მოვიგონებთ, რომ **ავ**-ზე სხვა ზმნებიც გვაქვს ამავე ტიპისა (ჰხურავს, აკრავს, უჭირავს), რაღა გვიშლის, რომ აქვე შემოვიტანოთ „ჰშორავს“ („გულისხმა-ყო, რამეთუ ე შ ო რ ა იგი ქუაბსა მას ხუთ მილიონ: «იოანე შუყენებულის ცხ.», კიმენი I, 20,31), „სძინავს“, „ჰღვიძავს“ „სთრავს“ („რომელთა გთრავს თჳნიერ ღჳნისა“, ესაია 28, 1) და მისთანანი? და თუ ე[illegible]კ სტატიკური ზმნებია, რაღა იქნება „ჩასდგამს“ ამ წინადადებიდან: „გორი რამ ჩ ა ს დ გ ა მ ს შუბისწვრად“, რომელიც ზემოთაც დავიმოწმეთ ვაჟა-ფშაველადან (§ 379)? ეხლა დავსძინოთ ამას კიდევ, რომ მთის კილოებმა სტატიკურ ზმნებში **ავ** დაბოლოება გაატარა ბევრგან (§ 390), და ადვილად დავრწმუნდებით, თუ რამდენად ძნელია ზღვარის გავლება მედიოპასივსა და სტატიკურ ზმნებს შორის. საკითხი ასედაც შეიძლება დაისვას: ხომ არ შეიძლება, რომ სტატიკური ზმნები, გვარის თვალსაზრისით, საშუალს მიეკუთვნოს, ვთქვათ ასე:

მოქმ.	ვნებ.	საშ.	მოქმ.	ვნებ.	საშ.
ღვრის	იღვრება	ღვრია	უკიდებს	ეკიდება	უკიდია
წერს	იწერება	სწერია	აკერებს	ეკერება	აკერია
ხატავს	იხატება	ხატია	ა კ რ ა ვ ს	ე კ ვ რ ე ბ ა	ა კ რ ა ვ ს

ამგვარი განაწილება სტატიკური ზმნებისა იმ მხრივ იქნებოდა შეუფერებელი, რომ მაშინ საშუალ გვარში გაერთიანდებოდა სულ სხვადასხვა ტიპის ზმნები, რომლებიც სხვადასხვაგვარად იკეთებენ მწკრივის ფორმებს. სხვა არა იყოს

რა, ნამდვილი სტატიკური ზმნა საზოგადოდ ორ-პირიანია (თუმცა არის შემთხვევები ერთ-პირიანად ქცევისა: ჰგიეს, აგია, აგდია, სწერია, სთესია და სხვ.), ხოლო საშუალ ზმნებში ერთ-პირიანობა ჩვეულებრივი მოვლენაა: დგას, წევს, ზის ,რბის, ხტის, მწიფს და სხვ.

იგივე სურათი იქნებოდა, რომ საშუალი გვარი მოგვეშალა და შიგ შემავალი ზმნები სტატიკურებისთვის შეგვეერთებინა.

ამიტომ სტატიკურ ზმნებს გვარის თვალსაზრისით ვნებითს ვაკუთვნებთ და მისი ადგილი გვართა სისტემაში ასე გვაქვს წარმოდგენილი:

მოქმ.	ვნებითი		მოქმ.	ვნებითი	
	დინამ.	სტატ.		დინამ.	სტატ.
ღვრის	იღვრება	ღვრია	უკიდებს	ეკიდება	უკიდია
წერს	იწერება	სწერია	აკერებს	ეკერება	აკერია
ხატავს	იხატება	ხატია	აკრავს	ეკვრება	აკრავს

ნათქვამის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ძირითად განსხვავებას სტატიკურ ზმნებსა და მედიოპასივს შორის ფორმათა წარმოება ამჟღავნებს. მაგრამ, როგორც შემდგომ პარაგრაფში ვნახავთ, არც ეს ნიშანია მკვიდრი.

392. სტატიკურ ზმნათა ფარგლების გაფართოება. მედიოპასივისა და სტატიკური პასივის ფუნქციონალური სიახლოვით აიხსნება ის გარემოება, რომ, როგორც ვთქვით, ერთი მხრით სტატიკური ზმნები იღებენ **ავ** დაბოლოებას, მაგ., ჰკიდავს (განსაკუთრებით მთის კილოებში: ჰყუდავ და სხვ., § 390), მეორე მხრით მედიოპასივი იცვლის თავის დაბოლოვებას და სტატიკურისაზე გადადის.

„ძევს“ ზმნას (ძველად „ძეს“) სასხვისო ქცევის ფორმად „უძევს“ უნდა ჰქონდეს და აქვს კიდეც. მაგრამ მის ნაცვლად „უდვია“-ც გვხვდება („თავი უდვია მკლავზედა“, ვაჟა, I, 6,1). არ შეიძლება აქ არ დავინახოთ ენის ტენდენცია მედიოპასივის გათანაბრებისა სტატიკურ ვნებითთან. ასეთივე ტენდენცია გვაქვს აქაც: დგას — უდგას — ადგას. უკანასკნელ ფორმათა ნაცვლად ზოგ კილოში „უდგია“ და „ადგია“ გვხვდება („ჯერ კიდევ სული გვიდგია“, ყაზ., 206,28): „ყველაზე მეტი სამსახური ჩვენ გვადგია“, ყაზ., 224,32). საყურადღებოა ისიც, რომ წყვეტილში რელატიურ ფორმებს **ე** აქვთ ამჟამად: „ედგა“. ამიტომ, თუ ძველად წყვეტილის ფორმები: დგა — უდგა — ადგა ისეთ ურთიერთობაში იყო ერთმანეთთან, როგორც აწმყოსი: დგას — უდგას — ადგას, სამაგიეროდ ამჟამად ასეთი შეფარდება გვაქვს: დგას — უდგას — ადგას: იდგა — ედგა: ეს ი-დგა — **ე**-დგა ამჟამად ისე მიდის, როგორც დინამ. ვნებითი და-ი-ხა — და-**ე**-ხა-ს ტიპისა. სამაგიეროდ ამ ხაზით: უდგას — ედგა (resp. ადგას — ედგა) ეს ზმნები ისე წარმოგვიდგება, როგორც უწერია — ეწერა (resp. აწერია — ეწერა), ე. ი. როგორც სტატიკური ზმნები.

საზოგადოდ უახლეს ქართულს აქვს ერთგვარი ტენდენცია სტატიკურთა ფარგლებში მოაქციოს ისეთი ზმნებიც, რომლებიც ტიპობრივად მედიოპასივია. მაგ., უეჭველია, რომ „სახლობს“ მედიოაქტივი ზმნაა ამ გამოთქმაში: „ჩემი სახლიც სახლობს“, მაგრამ მას სხვა მნიშვნელობაც აქვს: სახლობს —

დასახლებულია, სახლ-კარი აქვს, ასახლია (თუ შეიძლება ასე ითქვას). უკანასკნელი მნიშვნელობით ზმნა მედიოპასივია და წყვეტილში „ესახლა“-ს გვაძლევს:

მე სოფლის თავსა ვ ე ს ა ხ ლ ე, არა სოფელი ჩემს თავსა (ხალხ.).

ცხადია, სახლობს — ესახლა ფუნქციით ისეთ ურთიერთობაშია ერთმანეთთან. როგორც სწერია — ეწერა, ჰკიდია — ეკიდა, აბია — ება და სხვა. თუ ასე არის, რა გვიშლის ხელს, რომ ტიპობრივად სხვანაირი ზმნაც (ობ-იანი) სტატიკურებში ჩავრიცხოთ? — თითქო არაფერი.

მედიოაქტივია აგრეთვე „ბჟუტავს“ (ბჟუტავს—იბჟუტებს—იბჟუტა). მაგრამ რაღაა „ებჟუტა?“ („სინათლე გამოდიოდა, ჭრაქი ე ბ ჟ უ ტ ა თ“, თ. რაზიკ.. «გაზაფხ.»).—ცხადია, ის ისე უნდა გავიგოთ, როგორც სტატიკური ზმნა, რომლის აწმყოა „უბჟუტავს“ (უბჟუტავს — ებჟუტა). და თუ სტატიკურია რელატიური ზმნა „უბჟუტავს“, რაღა უნდა იყოს მისი აბსოლუტური ცალი „ბჟუტავს?“

ეხლა ეს ვნახოთ: ჰმართებს — ემართა („ფული ჰმართებს“ — „ფული ემართა“). ზმნა ყველაფრად სტატიკური ჩანს, რომ სათანადო დინამიკური ედგეს გვერდით. მართალია, აქა-იქ ითქმის: „ჩემი ფული დაემართა“-ო (ე. ი. ვალად დაედოო), აქედან აწმყოში მოსალოდნელია „ემართება“, მაგრამ ის ფულზე არ ითქმის, სხვა შემთხვევაში კი ითქმის, მაგ., რა გემართება=რა მოგდის.

როგორც ვხედავთ, სტატიკურ ზმნათა რიგებში ექცევა ისეთი ზმნებიც, რომელთაც თემის ნიშნებად მოუდის **ავ** (აკრავს, ჰხურავს და სხვ.), **ობ** (სახლობს), **ებ** (ჰმართებს), **ამ** (ზმნისწინიანი „ჩასდგამს“!). ამგვარად იშლება ფორმალური ზღვარი მედიოპასივსა და სტატიკურებს შორის.

სტატიკურებში მოქცეულია დღეს „ჰქვია“, მიღებული აქტივი ფორმისაგან: ეს ფორმა წარმოშობით ხოლმეობითია: ჰრქჳან (ძვ. ქ.). ის სამ-პირიანი ფორმაა, მე-3 სუბ. პირით მრ. რ.-ში, მაგრამ იმპერსონალურად ხმარების შედეგად სუბ. პირი მიილია, შემდეგ სულ დაიკარგა და ორ-პირიანი გახდა. შემდეგ კი პირდ.-ობიექტური პირი ზმნაში სუბიექტურად იქნა გაგებული. ამას გარდა, ფორმამ დრო იცვალა, წარსულის ნაცვლად ეხლანდელის გაგება მიიღო და აწმყოში გადმოვიდა. ამით სტატიკურებს მიეკედლა სავსებით: ჰქვია (←ჰრქვია) — ერქვა.

სტატიკურ ზმნათა დიდისაგან დიდი უმეტესობის დაბოლოება დღეს **ია** არის (ძველი **ი**ე-ს). ამ დაბოლოებაზე გადმოვიდა რიგი ზმნებისა აწმყოში: სჯობია (ჩვეულებრივ „სჯობს“: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“, «ვეფხ.»), აკლია (ძველად: აკლს), მი-აჩნია, გა-აჩნია (არაფერი გააჩნია=არაფერი აბადია), სწყურია (ძველად: სწყურის), ჰშია (ძველად: ჰშიის), ჰრცხვენია (ძველად: ჰრცხუენის), ეშინია (ძვ. ეშინის), უხარია(ნ) (ძვ. უხარის), რომლებიც წარსულის ფორმას უწყვეტლით იკეთებენ: სჯობდა, აკლდა, მიაჩნდა, გააჩნდა, სწყუროდა, ჰშიოდა, ჰრცხვენოდა, ეშინოდა, უხაროდა. რაც შეეხება „სცალია“-ს (ძველად: სცალს), მასთან „ეცალა“ უფრო ჩვეულებრივია, ვიდრე „სცალდა“; „შეუძლია(ნ)“ კი „შე-ეძლო“-ს გვაძლევს. ძველად გვქონდა: სწადის — სწადოდა (შემდეგ აგრეთვე: სწადდა), ეხლა კი გვაქვს: სწადია(ნ) — ეწადა („ეწადა ბეჩავს ადგომა, მაგრამ ველარა დგებოდა“: ვაჟა), ე. ი. ზმნა სტატიკურებს მიეკედლა მთლად.

ამავე ჯგუფშია შემოსატანი „მოსჩერებია“ („შესჩერებია“), რომელიც

წმყოა და ეხლანდელი დროის გაგებას შეიცავს (= მიჩერებულია, უყურებს), მაგრამ არ განსხვავდება I თურმეობითისაგან: მიაჩერდება, მიაჩერდა, მისჩერებია. ასეთივეა აგრეთვე „ჩასცივებია“.

392 ა. სტატუსის კატეგორიის დადგენის ისტორიისათვის. ეს კატეგორია პირველად დადგენილია ჩემს 1930 წ. გამოსულ „მორფოლოგიაში“ (§§ 100—103). ოღონდ იქ მხოლოდ ქართული ტერმინებია ნახმარი: მდინარეობითი ვნებითი და მდგომარეობითი ვნებითი. სათანადო საერთაშორისო ტერმინები (დინამიკური ვნებითი და სტატიკური ვნებითი) პირველად 1933 წელს ლითოგრაფიულად დაბეჭდილ „ქართული ენის“ VII განაკვეთში მაქვს მოყვანილი (განათლების სახალხო კომისარიატი. დაუსწრებელი პედაგოგიური ინსტიტუტი. ენისა და ლიტერატურის სექცია. ა. შანიძე და ვ. თოფურია. ქართული ენა. განაკვეთი VII—X. 1933, გვ. 123).

ქცევა

393. ქცევის რაობა. სუბიექტური პირისა და ობიექტური პირის (ან ობიექტური პირების) უბრალო აღნიშვნის გარდა, ქართულ ზმნას მოეპოვება აგრეთვე საშუალება გამოხატოს, რომ

ა) ობიექტი, რომელსაც ობიექტური პირი ეფარდება ფორმაში, არავისი კუთვნილება არ არის და არც ვისთვისმე დანიშნული; ან

ბ) ობიექტი მოქმედ პირს, ანუ სუბიექტურ პირს ეკუთვნის ან მისთვის არის განკუთვნილი; ან კიდევ

გ) ერთი ობიექტი მეორეს ეკუთვნის ან მისთვის არის განკუთვნილი.

მოძღვრებას ქართ. ზმნის ამ საშუალებათა შესახებ ეწოდება საქცევი, ხოლო თვითეულ ფორმას კუთვნილება-დანიშნულების მიხედვით განსხვავებულს — ქცევა, ანუ ვერსია. ამის მიხედვით გვაქვს სამი ქცევა: საარვისო, სათავისო და სასხვისო, ანუ, რაც იგივეა, სამი ვერსია: ნეიტრალური, სასუბიექტო და საობიექტო.

საარვისოა (ნეიტრალურია) ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, რომ პირდ. ობიექტი არავისი კუთვნილება არ არის და არც ვისთვისმე განკუთვნილი (დანიშნული): „სახლს ვაშენებ“.

სათავისოა (სასუბიექტოა) ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, რომ პირდ. ობიექტი ეკუთვნის მოქმედ პირს, სუბიექტს, ან მისთვისაა განკუთვნილი: „სახლს ვიშენებ“.

სასხვისოა (საობიექტოა) ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, რომ პირდ. ობიექტი ირიბს ეკუთვნის ან ირიბისთვისაა განკუთვნილი: „სახლს ვუშენებ“.

მაშასადამე, ქცევა ანუ ვერსია არის ფორმა, რომელიც აღნიშნავს, თუ რა ურთიერთობაა კუთვნილება-დანიშნულების თვალსაზრისით სუბიექტსა და ობიექტს შორის ან ობიექტებს შორის. ეს აღნიშვნა ორგვარია: წართქმითი და უკუთქმითი, ე. ი. კუთვნილება-დანიშნულებითი ურთიერთობა შეიძლება აღინიშნოს ან არ აღინიშნოს, საამისოდ მოიპოვება საოპოზიციო ფორმები, რომლებიც ერთმანეთს კუთვნილება-დანიშნულების მიხედვით უპირისპირდებიან.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ქცევა აღნიშნავს არა მარტო ფორმას, კუთვნილების მიხედვით განსხვავებულს, არამედ აგრეთვე განკუთვნების ანუ დანიშნულების მიხედვით განსხვავებულსაც, მაგრამ სიმოკლისათვის ხშირად მარტო კუთვნილებას ვახსენებთ ხოლმე.

ქცევათა ბუნებისა და თვისების გამორკვევა უფრო გარდამავალი ზმნების საშუალებით არის შესაძლებელი. რომ ავიღოთ მაგალითისათვის „წერა" და „კეთება" ზმნისაგან ნაწარმოები ფორმები:

წერს, **ი**-წერს, **უ**-წერს, ან
ა-კეთებს, **ი**-კეთებს, **უ**-კეთებს,

ვნახავთ, რომ ისინი ერთიმეორის დაპირისპირებით სულ სხვადასხვა წარმოდგენას გვაძლევენ: „წერს", „ა-კეთებს", — აქ ფორმით არ არის ნაგულისხმევი არავითარი კუთვნილებითი ურთიერთობა; შეიძლება ითქვას: წერს თ ა ვ ი ს თ ვ ი ს ან წერს შ ე ნ თ ვ ი ს ან წერს ჩ ე მ თ ვ ი ს; აკეთებს თ ა ვ ი ს თ ვ ი ს ან აკეთებს შ ე ნ თ ვ ი ს ან კიდევ აკეთებს ჩ ე მ თ ვ ი ს. სამაგიეროდ „**ი**-წერს" ან „**ი**-კეთებს" ფორმები გულისხმობს, რომ წერს ან აკეთებს თ ა ვ ი ს თ ვ ი ს (არ შეიძლება ითქვას: იწერს შენთვის ან იკეთებს ჩემთვის), ხოლო „**უ**-წერს" ან „**უ**-კეთებს" ნიშნავს, რომ წერს ან აკეთებს ს ხ ვ ი ს თ ვ ი ს (აქაც არ შეიძლება ითქვას: უწერს შენთვის ან უკეთებს ჩემთვის). მაშასადამე, „წერს" და „აკეთებს" ფორმაში ა რ ა ვ ი ს ი კუთვნილება არ არის გამოხატული, დანარჩენებში კი გამოხატულია, რომ მოქმედება თ ა ვ ი ს ა ზ ე ა ან თ ა ვ ი ს თ ვ ი ს ა ა („ი-კეთებს", „ი-წერს"), ან არა და ს ხ ვ ი ს ა ზ ე ა ან ს ხ ვ ი ს თ ვ ი ს ა ა განკუთვნილი („უ-კეთებს", „უ-წერს"). აქედან არის მათი სახელწოდება: ს ა ა რ ვ ი ს ო, ს ა თ ა ვ ი ს ო და ს ა ს ხ ვ ი ს ო.

განვიხილოთ თვითეული მათგანი ცალ-ცალკე.

394. საარვისო ქცევა გარდამავალ ზმნაში. გარდამავალ ზმნებში საწინაო პირიელი ნიშნები (ე. ი. სუბიექტური და ობიექტური პრეფიქსები) ზოგჯერ უშუალოდ ერთვის ფუძეს, ზოგჯერ კი საჭიროა განსაკუთრებული მაერთებელი ხმოვანი **ა**-ს სახით. მაგ., ამ ფორმებში: **მ**-კლავ-ს და **მ**-წერ-ს (უკანასკნელი ამ ფრაზიდან: „წერილს მწერს") სუბიექტ-ობიექტის მარტივი ურთიერთობის გამოსახატავად, სუბიექტ-ობიექტური (**მ**—**ს**) ნიშნების გარდა, არავითარი მორფემა არ მოგვეპოვება, მაგრამ ამ ფორმებში: **მ-ა**-მზადებ-**ს** და **მ-ა**-ჭმევ-**ს**, სუბიექტურ-ობიექტურ ნიშნებს გარდა, არის კიდევ **ა**, რომელიც მოქცეულია ობიექტურ ნიშანსა და ზმნის ფუძეს შორის. ეხლა თუ ავიღებთ ამ ოთხ მაგალითს, რომელთაგანაც პირველ წყვილს (**მ**-კლავ-**ს**, **მ**-წერ-**ს**) მარტოოდენ ობიექტური ნიშანი მიუძღვის წინ, ხოლო მეორე წყვილს დამატებით აქვს კიდევ **ა** (მ-ა-მზადებ-ს, მ-ა-ჭმევ-ს) და ერთმანეთს დავუპირისპირებთ არა წარმოების მიხედვით (ე. ი. არა მორფოლოგიური აგებულების მიხედვით), არამედ სინტაქსური თვალსაზრისით, მაშინ „მ-კლავ-ს" და „**მ-ა**-მზადებ-ს" ერთ ჯგუფში მოექცევა, ვინაიდან მათთან ობიექტად მარტოოდენ „მე" შეიძლება დაისვას („მკლავს მე", „მამზადებს მე"), ხოლო „მ-წერ-ს" და „**მ-ა**-ჭმევ-ს" მეორე ჯგუფში ამოჰყოფს თავს, ვინაიდან ამ ფორმებთან მეორე ობიექტიც არის შესაძლებელი („მწერს მ ე წ ე რ ი ლ ს", „მაჭმევს მ ე პ უ რ ს").

რა აერთებს ამ შემთხვევაში ორი სხვადასხვა წარმოების ფორმას, ანუ, რაც იგივეა, რა არის საერთო ერთი მხრით „მ-კლავ-ს“ და „მ-ა-მზადებ-ს“ ფორმას შორის და მეორე მხრით „მ-წერ-ს“ და „მ-ა-ჭმევს“ ფორმას შორის? — ის, რომ თვითეულ წყვილში შემავალი ზმნები ერთისა და იმავე სინტაქსური ურთიერთობის გამომხატველია: პირველი წყვილის ზმნები ერთ ობიექტს იგუებს, მეორე წყვილისა კი — ორს. მაშასადამე, რომ იქნეს გამოხატული პირი სუბიექტისა და ობიექტისა (ან ობიექტებისა), ზოგჯერ საკმარისი ყოფილა, სუბიექტურ ნიშნებს გარდა, მარტოოდენ ობიექტური ნიშანი, ზოგჯერ კი ამასთან ერთად საჭირო ყოფილა ა ხმოვნის დართვაც. ეს მოვლენა უფრო ნათლად შეგვიძლია გავითვალისწინოთ ისეთი ზმნების საშუალებით, რომელთაც, ამა თუ იმ ზმნისწინის ხმარებასთან დაკავშირებით, სხვადასხვა კონსტრუქცია აქვთ, უნიშნო (ნულიანი) და ანიანი:

უ ნ ი შ ნ ო ა (ნ უ ლ ი ა ნ ი ა): გა-კვეთა (მან იგი) — მო-ჰ-კვეთა (მან მას იგი); გატეხა (მან იგი) — მო-ს-ტეხა (მან მას იგი); გა-წყვიტა (მან იგი) — მო-ს-წყვიტა (მან მას იგი); და-წერა (მან იგი) — მი-ს-წერა (მან მას იგი) და მისთ..

ა: ა-ა-დუღა (მან იგი) — შე-ა-დუღა (მან მას იგი) [*შე-ჰ-ა-დუღა’საგან]; გა-ა-თხოვა (მან იგი)—მი-ა-თხოვა (მან მას იგი) [მი-ჰ-ა-თხოვა’საგან]; და-ა-ბერა (მან იგი) — შე-ა-ბერა (მან მას იგი); გა-ა-შრო (მან იგი)—შე-ა-შრო (მან მას იგი) და მისთ.. პირველ მაგალითებში როგორც უნიშნო წარმოებაში, ისე ანიანში ზმნას ერთი ობიექტი აქვს, რომელიც, თუ ზმნა მესამე ობიექტურ პირშია, ბრუნვა-ცვალებადია, მაგ., გა-კვეთს მ ა ს — გაკვეთა ი გ ი, აადუღებს მ ა ს — აადუღა ი გ ი და მისთ.; მეორეში კი — ორ-ორი: ბრუნვა-ცვალებადიც და ბრუნვა-უცვალებელიც; მაგ., მოჰკვეთს მ ა ს ყ უ რ ს—მოჰკვეთა მ ა ს ყ უ რ ი; შეაშრობს მ ა ს ც რ ე მ ლ ს — შეაშრო მ ა ს ც რ ე მ ლ ი და მისთ.. მაშასადამე, ერთი ობიექტი ექნება ზმნას, თუ ორი, ეს სრულებით არ არის დამოკიდებული იმაზე, არაფერი აქვს მას პირის პრეფიქსების მაერთებლად ფუძესთან, თუ აქვს ხმოვანი **ა**. მეორე ობიექტის გაჩენასთან ერთად (ეს ობიექტი კი ირიბია, ბრუნვა-უცვალებელი) მესამე ობიექტურ პირში ჩნდება სათანადო მორფოლოგიური ნიშანიც, **ჰ**, რომელიც ზოგიერთ ფონეტიკურ პირობებში ვერ ძლებს: ა-ს წინ იკარგება, ხოლო ცხრა თანხმოვნის წინ **ს**-დ იქცევა (§ 237). ორობიექტიანი კონსტრუქციის დროს ერთისა და იმავე ფუძის ზმნებში შეიძლება ორივე წარმოება იყოს გამოყენებული:

ჰ-კითხა — მი-(ჰ)-აკითხა მი-ს-წერა — მი-(ჰ)-ა-წერა
მო-ს-ტეხა — მო-(ჰ)-ატეხა მო-ს-ჭრა — მო-(ჰ)-ა-ჭრა
მო-ს-წყვიტა — მო-(ჰ)-ა-წყვიტა და მისთ.,

მაგრამ ერთ-ობიექტიანში, როდესაც ეს ერთი ობიექტი მესამე პირის ფორმასთან ბრუნვა-ცვალებადია, ერთსა და იმავე ზმნაში ან ერთი წარმოებაა გამოყენებული, ან მეორე; მაგალითად:

უ ნ ი შ ნ ო ა: ტეხს, გრეხს, ჭრის, თხრის, სვრის, ყიდის, ჭამს, ხევს და მისთანანი.

ა ნ ი ა ნ ი ა: ა-კეთებს, ა-შავებს, ა-ბერებს, ა-მრავლებს, ა-ქრობს, ა-თბობს, ა-ღნობს და მისთანანი.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სახელთა ფუძეებისაგან გარკვეული ტიპის გარდამავალი ზმნები ა-თია ნაწარმოები; მაგ., „შეშ“-ისაგან არ ითქმის: *შეშებს, არამედ ა-შეშებს, „მიწ“-ისაგან არ ითქმის *მიწებს, არამედ ა-მიწებს, „წითლ“-ისაგან: ა-წითლებს, „მდიდრ“-ისაგან: ა-მდიდრებს და სხვა, და სხვა.

მსგავსად ამისა, ა გამოყენებულია გარდამავალ ზმნათა საწარმოებლად გარდაუვალ ზმნათა ფუძეებისაგან: დუღ-ს — ა-დუღებს, წუხს—ა-წუხებს, დი-ს —ა-დ-ენ-ს, რბი-ს — ა-რბ-ენ-ს (ან ა-რბ-ევ-ს) და სხვ.

თვით გარდამავალი ზმნისაგან, რომელსაც მაწარმოებლად არავითარი ხმოვანი არა აქვს, შუალობითი კონტაქტის ფორმებს უანოდ ვერ ვაწარმოებთ; მაგ., წერს, მაგრამ: ა-წერინებს; ტეხს, მაგრამ: ა-ტეხინებს; თხრის, მაგრამ: ა-თხრევინებს და მისთ. (§ 426).

ამის მიხედვით შეგვეძლო გვეთქვა, რომ ა-ს დანიშნულება მეორეული ზმნების წარმოება საარვისო ქცევითაო.

როგორიც უნდა იყოს წარმოშობა ანიანი ფორმებისა ‛ და, საზოგადოდ, როგორიც უნდა იყოს ურთიერთობა უნიშნოობასა და ა-ს შორის ამ შემთხვევაში, არ არსებობს ფუნქციონალური განსხვავება მათ შორის კუთვნილება-დანიშნულების თვალსაზრისით: ორივე თანაბრად უპირისპირდება ინიანსა და უნიან წარმოებას. მართლაც, რომ ავიღოთ ერთი მხრით რიგი ზმნებისა:

ტეხს	ი-ტეხს	უ-ტეხს	წერს	ი-წერს	უ-წერს
გრეხს	ი-გრეხს	უ-გრეხს	ხევს	ი-ხევს	უ-ხევს
თლის	ი-თლის	უ-თლის	ხრის	ი-ხრის	უ-ხრის

და მეორე მხრით კი ეს რიგი ზმნებისა:

ა-კეთებს	ი-კეთებს	უ-კეთებს	ა-ჩენს	ი-ჩენს	უ-ჩენს
ა-თბობს	ი-თბობს	უ-თბობს	ა-ქებს	ი-ქებს	უ-ქებს
ა-შენებს	ი-შენებს	უ-შენებს	ა-შავებს	ი-შავებს	უ-შავებს

ვნახავთ, რომ ის ფორმები, რომლებიც ზედა რიგში უნიშნოდ არის ნაწარმოები, ქვედაში კი ა-თი, ერთსა და იმავე წარმოდგენას გვაძლევენ ინიანისა და უნიანი ფორმების დაპირისპირებით, ე. ი. ფუნქციონალური განსხვავება, მაგ., „ტეხს“ ფორმასა და „ი-ტეხს“ (resp. „უ-ტეხს“) ფორმას შორის ისეთივეა, როგორიც, ვთქვათ, „ა-კეთებს“ და „ი-კეთებს“ (resp. „უ-კეთებს“) ფორმას შორის: რაც იმისთვისაა უნიშნო წარმოება, იგივეა ამისთვის ანიანი.

ეგევე ითქმის იმ ზმნებზედაც, რომელთაც ორი ობიექტი აქვს. განსხვავება ჰ-კითხა'სა და ი-კითხა'ს [ან (ჰ)-უ-კითხა'ს] შორის, ან ს-თხოვასა და ი-თხოვას [ან(ჰ)-უ-თხოვა'ს] შორის იგივეა, რაც და-(ჰ)-ა-ბარა'სა და და-ი-ბარა'ს [ან და-(ჰ)-უ-ბარა'ს] შორის, ან კიდევ: გა-ა-კეთა იმავე ფუძისაგან შუალობითი კონტაქტის ფორმით ნაწარმოების გა-(ჰ)-ა-კეთებინა'ს პირისპირ იგივეა, რაც გა-ი-კეთა გა-ი-კეთებინა'ს პირისპირ, ანდა გა-უ-კეთა გა-უ-კეთებინა'ს პირისპირ. ასეთივე შეფარდებაა ამ ფორმებშიც: გა-ტეხა — გა-ა-ტეხინა, გა-ი-ტეხა — გა-ი-ტეხინა, გა-უ-ტეხა — გა-უ-ტეხინა და მისთ.. ერთი სიტყვით, უნიშნო წარმოებაცა და ანიანიც თანაბრად უპირისპირდება ინიანსა და უნიან წარმოებას, ერთ-ობიექტიანი იქნება ზმნა თუ ორ-ობიექტიანი.

რაში გამოიხატება ეს დაპირისპირება ანუ ოპოზიცია, რა ქმნის მათ შორის განსხვავებას? — ის, რომ ინიანსა და უნიანს კუთვნილების გაგება ახლავს, უნიშნოსა და ანიანს კი — არა. მართლაც, და-წერა, გა-ტეხა, მო-კლა ან გა-ა-კეთა, გა-ა-შავა, და-ა-ლბო, და-ა-წერინა, გა-ა-ტეხინა, გა-ა-კეთებინა და მისთანანი არავითარ გაგებას არ გვაძლევენ კუთვნილებისას, მაშინ როდესაც და-ი-წერა (ან და-უ-წერა), გა-ი-ტეხა (ან გა-უ-ტეხა), მო-ი-კლა (ან მო-უ-კლა), გა-ი-კეთა (ან გა-უ-კეთა), გა-ი-შავა (ან გა-უ-შავა), და-ი-ლბო (ან და-უ-ლბო), და-ი-წერინა (ან და-უ-წერინა)—ყველანი კუთვნილებით ურთიერთობას გამოხატავენ. ამის მიხედვით უნიშნო და ანიანი ფორმები უკუთვნელი ფორმებია (და-წერა, გა-ტეხა, მო-კლა და მისთ., გა-ა-კეთა, გა-ა-შავა, და-ა-ლბო, და-ა-წერინა და მისთ.), ინ-უნიანი ფორმები კი — ყველა კუთვნილებითია: და-ი-წერა, გა-ი-ტეხა, მო-ი-კლა, გა-ი-კეთა, გა-ი-შავა, და-ი-ლბო, და-ი-წერინა და მისთ., ან და-უ-წერა, გა-უ-ტეხა, მო-უ-კლა, გა-უ-კეთა, გა-უ-შავა, და-უ-ლბო, და-უ-წერინა და მისთ..

ის ფორმები, რომლებიც არავითარ კუთვნილებით ურთიერთობას არ გამოხატავენ სუბიექტსა და ობიექტს შორის (ან ობიექტებს შორის), მაგრამ რომელთაც მოპირისპირედ კუთვნილების გამომხატველი ფორმები უდგას, არის ს ა ა რ ვ ი ს ო ქ ც ე ვ ი ს, ანუ ნ ე ი ტ რ ა ლ უ რ ი ვ ე რ ს ი ი ს ფორმები.

საარვისო ქცევა უნიშნოა ან მისი ნიშანია **ა**.

395. სათავისო ქცევა. ს ა თ ა ვ ი ს ო ქ ც ე ვ ა ანუ ს ა ს უ ბ ი ე ქ ტ ო ვ ე რ ს ი ა საზოგადოდ აღნიშნავს პირდ. ობიექტის კუთვნილებით ურთიერთობას სუბიექტთან. მისი ნიშანია **ი**: **ი**-შენებს, **ი**-კეთებს, **ი**-წერს, **ი**-თბობს და მისთ..

სათავისო ქცევა მხოლოდ გარდამავალ ზმნაში გვხვდება. ამ ფორმით ყოველთვის ორი პირია მოცემული: სუბიექტური და პირდ.-ობიექტური, რომელთაც, — თუ ისინი მესამე რომლობით აღნიშნავენ, — სათანადო ფარდიც აქვთ ხოლმე ზმნასთან შეწყობილი სახელების სახით. ამ სახელების ფუნქციაა, გამოხატონ სუბიექტი და პირდ. ობიექტი. თუ ფორმაში 1-ლი ან მე-2 პირი ურევია, მაშინ სუბიექტად (resp. ობიექტად) თვით ეს პირებია ნაგულისხმევი, დამოუკიდებლად იმისა, აქვთ შეწყობილი სათანადო ნაცვალსახელები (მ ე, შ ე ნ, ჩ ვ ე ნ, თ ქ ვ ე ნ), თუ არა.

რაკი პირი ორია ფორმაში, ამიტომ ურთიერთობა, კუთვნილება-დანიშნულების ნიადაგზე დამყარებული, მხოლოდ მათ შორის ან ფარდი სახელებით ნაგულისხმევ საგნებს შორის არის შესაძლებელი. ეს შესაძლებლობაც მუდამ ერთი სახისაა: სათავისო ქცევით აღნიშნულია ობიექტური პირის ან სამოქმედო საგნის (ობიექტის) კუთვნილებითი ურთიერთობა მოქმედ პირთან ან საგანთან, მარტივად რომ ვთქვათ, პირდ. ობიექტისა სუბიექტთან:

მხ. 1. 3 ვ-ი-შენებ=ვაშენებ ჩ ე მ ს ა ს ან ჩ ე მ თ ვ ი ს;
2. 3 ი-შენებ=აშენებ შ ე ნ ს ა ს ან შ ე ნ თ ვ ი ს;
3. 3 ი-შენებს=აშენებს თ ა ვ ი ს ა ს ან თ ა ვ ი ს თ ვ ი ს;
მრ. 1. 3 ვ-ი-შენებთ=ვაშენებთ ჩ ვ ე ნ ს ა ს ან ჩ ვ ე ნ თ ვ ი ს;
2. 3 ი-შენებთ=აშენებთ თ ქ ვ ე ნ ს ა ს ან თ ქ ვ ე ნ თ ვ ი ს;
3. 3 ი-შენებენ=აშენებენ თ ა ვ ი ს ა ს ან თ ა ვ ი ს თ ვ ი ს.

როგორც ვხედავთ, სუბიექტური პირი (resp. სუბიექტი) მოქმედებს ისეთ პირზე ან საგანზე, რომელიც მისია ან მისთვისაა განკუთვნილი. ამიტომ, რომელი პირიც უნდა იყოს მზმელი ანუ მოქმედი — პირველი, მეორე თუ მესამე — ობიექტურ პირს (resp. ობიექტს) მასთან ექნება კუთვნილებითი ურთიერთობა. სუბიექტი მოქმედებს თავისაზე ან თავისთვის და ამიტომაა, რომ ამ ფორმას სათავისო ანუ სასუბიექტო დაერქვა.

შენიშვნა. „სათავისო“ სიტყვის ჩვეულებრივ საუბარში ხმარების მაგალითი (არა გრამატიკული ტერმინის მნიშვნელობით): რამინი რომ გახელმწიფდა, „იხარებდა, გასცემდა, სმიდა, ქელმწიფეთა და დიდებულთა საკარგავი მოუმატა და მათგან სათავისო ერთგულობა და სამსახური მოიმატა“ («ვისრ.», თ. 39).

896. სათავისო ქცევის ხმარების არე. სათავისო ქცევის ფორმათა ხმარება მრავალფეროვანია. შეიძლება დასახელებულ იქნეს რამდენიმე ჯგუფი შემთხვევებისა, სადაც ზმნით გამოხატული მოქმედება უმთავრესად ან მხოლოდ ამ ქცევით არის წარმოდგენილი.

1. უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ, როდესაც სუბიექტი თავის სხეულზე ან თავის სხეულის ნაწილებზე მოქმედებს, სათავისო ქცევას მივმართავთ ხოლმე: ტანი და-ი-ბანა, თავი მო-ი-ფხანა, თვალები ამო-ი-წმინდა, ყური გამო-ი-ჩხრიკა, კბილი მო-ი-ცვალა, პირი გამო-ი-რეცხა, თმა მო-ი-კრიჭა (ან შე-ი-ღება, და-ი-ვარცხნა, და-ი-გლიჯა, და-ი-წნა), ულვაშები გადა-ი-გრიხა, კისერი მო-ი-ტეხა, ხელი გა-ი-წაფა, ფეხი ი-ღრძო, მუხლი და-ი-შავა, ცხვირი მო-ი-ხოცა, ფრჩხილები და-ი-ჭნა, წელი ი-ტკინა, ყელი მო-ი-ღერა, გული გა-ი-ხარა (ან გა-ი-ხეთქა, და-ი-მშვიდა), წარბები შე-ი-ჭმუხნა, შუბლი შე-ი-კრა, მუწუკი გამო-ი-წურა და სხვა.

იგივე ამბავია, არსებითად, როცა ვამბობთ: თავი მო-ი-კლა, სული წა-ი-წყმინდა და მისთ..

შენიშვნა. 1. გამონაკლისია: პირი და-ა-ღო, თვალი ა-ა-ხილა, ხელი გამო-ყო და მისთ..

2. როცა ობიექტად დასახელებულია თავსახურავი სამკაული, ტანისამოსი (ან მისი ნაწილი) ან ფეხსაცმელი თუ იარაღი, რომელიც ტანზე აქვს კაცს, ჩვეულებრივ სათავისო ქცევასვე მივმართავთ ხოლმე, თუნდაც ობიექტი სუბიექტს არ ეკუთვნოდეს. ამ შემთხვევაში გადამწყვეტია ის გარემოება, რომ სუბიექტი თავისთვის მოქმედებს: ქუდი და-ი-ხურა, პერანგი ჩა-ი-ცვა (ან ქალამანი ჩა-ი-ცვა), პალტო მო-ი-სხა, სარტყელი შე-ი-რტყა, კალთები ა-ი-კვალთა, საყელო გადა-ი-კეცა, გულ-მკერდი გადა-ი-ღეღა, საკინძი გა-ი-ხსნა, ხმალი ი-შიშვლა, ხანჯალი ი-ძრო, ნაბადი მო-ი-ხადა და მისთ.. ითქმის: „ჩემი ქუდი დაიხურა“, მაგრამ არ ითქმის: „ჩემი სახლი აიშენა“.

შენიშვნა 2. შეიძლება სათავისო ქცევით აღინიშნოს კუთვნილება სხვა სახელისა, რომელიც უბრალო დამატებად ან ადგილის გარემოებად არის წინადადებაში წარმოდგენილი: თავში ხელი შემოიკრა, ფეხი ფეხზე შემოიდვა, გულზე ხელები დაიკრიფა, ჯიბეში ფული

ჩ ა ი დ ვ ა ან ჯ ი ბ ე ს ხელი ი კ რ ა („იკრა პეტრემ ჯიბეს ხელი“, ჭავ.. «სარჩობ.») და სხვა. ამ ნაწყვეტში:

გონთით გადვარდა ბეჩავი, ხელი ი ტ ა ც ა თმაზედა,
შუა გახია მანდილი, ხორცი ი გ ლ ი ჯ ა ტანზედა
(ვაჟა, I, 27)

„იტაცა“-ს სათავისობა „თმით“ არის გამოწვეული და არა „ხელით“ (იმიტომ რომ შეიძლება ითქვას: „ხელი სტაცა თმაზედ“); „იგლიჯა“-სიც აგრეთვე უფრო „ტანით“ არის გამოწვეული, ვიდრე „ხორცით“.

ასეთივეა აგრეთვე „იმტვრევს“ ამ წინადადებაში: „ძმა თავის ძმისას ძვალს იმტვრევს ცერზე“ (ვაჟა, I, 164).

3. სათავისო ქცევა იჩენს თავს, როცა მოქმედება სუბიექტისთვისაა და-იშნული ან მისკენ არის მიმართული: ფული ა-სესხა, მაგრამ: ფული ი-სესხა; იგნი ა-თხოვა, მაგრამ: წიგნი ი-თხოვა, ქონება ჩა-ა-ბარა, მაგრამ: ქონება ჩა--ბარა და მისთ.. ამიტომაა, რომ ითქმის: „არც სხვისას შე-ი-რჩენს და არც ავისას შე-ა-რჩენს სხვასა“ (ჭავ., «ოთ. ქვრ.»). ამითვე აიხსნება განსხვავება -კ რ ა—ი-კ რ ა-ს შორის ამ ანდაზაში; „ვირმა პალო მოაძრო და ერთი სხვასა კ რ ა და ათასი თავად ი კ რ ა ო“ (ვაჟა., «ფშავ. და მისი წუთისოფ.»). ამი-ომვეა, რომ ითქმის: დოინჯი შემო-ი-ყარა, თავში ქვა ი-ეც (ან თავში ქვა -ხალე) და მისთ..

ზოგჯერ ასეთ შემთხვევაში განსხვავების დადგენაში ქცევის შეცვლასთან რთად ზმნისწინიც იღებს მონაწილეობას: ქალი გა-ა-თხოვა, მაგრამ ცოლი -თხოვა, სახლი გა-ყიდა, მაგრამ სახლი ი-ყიდა, ფული წა-ა-გო, მაგრამ ფუ-ლი მო-ი-გო და მისთ.. უკანასკნელი ხძნა უზმნისწინოდაც გვაძლევს მნიშვნე-ლობის განსხვავებას: ფულს ა-გებს, ფულს ი-გებს.

4. როცა გარდამავალ ზმნას ირიბი ობიექტიც აქვს საარვისო ქცევით ა ამ ირიბის გამორიცხვა გვსურს, სათავისოზე გადავდივართ: სახელი ჰკით-ა—სახელი ი-კითხა, ქათამი მო-ჰ-პარა — ქათამი მო-ი-პარა, პური ს-თხოვა — ური ი-თხოვა, ქალი მო-ს-ტაცა — ქალი მო-ი-ტაცა და მისთ.. ასეთი სათავისო ნიშვნელობით საარვისოს უახლოვდება.

5. სათავისო ქცევის ფორმათა ხშირი ხმარების გამო ზოგ ზმნას სულ აეკარგა საარვისო ფორმები და მათ მაგივრობას ამჟამად სათავისო ეწევა ს მოვლენა ისტორიულად კარგად დადასტურებულია „პოვნა“ ზმნაში. ძვ. ართულში ეს ზმნა საარვისოთი იხმარებოდა: „პოვა ერთი მოყუასი თჳსი“ (მათ. 8,28); „რომელი ეძიებდეს, პოვოს“ (მათ. 7,8); „პოვნა სხუანი“ (მათ. 20,6) ა სხვ.. მაგრამ დღეს მის ნაცვლად სათავისო იხმარება: იპოვა. ოღონდ ამ ათავისოს ფორმას ამჟამად ფუნქცია საარვისოსი აქვს.

„ქმნა“ ზმნა II სერიაში საარვისოს ფორმით იხმარება: ქ მ ნ ა მან იგი, ომელსაც სათანადო სათავისო და სასხვისო უდგას გვერდით („და იაკობ არმოვიდა კარვებად და ი ქ მ ნ ა სახლი და საცხოვარსა უ ქ მ ნ ა საყოფელი“: აბ. 33,16), I სერიაში კი მას ამჟამად სათავისო ენაცვლება: რა ქნა — რასა ი-ქს მონაცვლე ზმნასაც სათავისოს ფორმა აქვს: რას ი-ზამს). აქაც ფორმით სათა-ისო ზმნა ფუნქციით საარვისოა.

ძველად ა-გრძნა იხმარებოდა, ეხლა კი ი-გრძნო იხმარება. ფუნქციით ესეც საარვისოშია გადარიცხული (სასხვისოა „უგრძნო" ასეთ გამოთქმაში: „გულმა უგრძნო").

ამგვარივე შინაარს-დაცლილი სათავისოა: შე-ი-ნახა, წა-ი-ღო, მო-ი-ტანა, და-ი-ჭირა და მისთ., რომლებიც ფუნქციის მიხედვით საარვისოს ფორმებთან არიან გათანაბრებული (§ 414).

ის სათავისო ქცევის ფორმები, რომლებიც დაცლილია ქცევის შინაარსისაგან და პირდაპირ ობიექტს ვერ მიიღებენ („თავსაც" კი), საშუალი გვარის ზმნებშია გადასული (მედიოაქტივებში): გაახარა — გაიხარა, დაუყვირა — დაიყვირა, დააკივლა — დაიკივლა, დააჩხავლა — დაიჩხავლა და მისთ. (§ 372).

397. იშვიათი ფორმები სათავისო ქცევით. სათავისო ქცევა ორ-პირიანი ფორმაა. ობიექტურ პირად აქ ჩვეულებრივ მესამეა, მაგრამ ზოგჯერ 1-ლი და მე-2-ც გვხვდება. მაგალითები 1-ლ პირზე: „არავინ დ ა მ ი დ გ ი ნ ნ ა ჩუენ" (მათე 20,7); „უკუეთუ შემკრას მე და მ ი თ რ ი ო ს, მიხარის" («წამ. შუშან.», 15,4); „მერმე ერთსა ღლიასა მე შ ე მ ო მ ი გ დ ო და ერთსა უსიბ" («ამირ.-დარ.»);

„მიბრძანა, ახლოს მ ი მ ი ს ვ ა, მოდით, თავი დახარა" («ვეფხ.», 548);
„სრულ მელექსეთ მ ი უ ფ რ ო ს ო ნ, ვით ისრაელთ მღვდელი არონ" («არჩ.»);
„მიმიყვანეს არა-ღირსთა, ღირსეულად მ ი მ ს ა ხ უ რ ე ს" (გურამიშვ., 85,9);

„ნუ გაახარებ ჩემ თავზე ბოროტ სულებს და მ ი მ ს ა ხ უ რ ე მთელი ჩემი ქონებით, სარჩო-საბადებლით" (ვაჟა, «მუცელა», V, 332,6); „ვირი სიკვდილს ელოდა, სხვა მოსალოდნელი მას წუთისოფელში არაფერი დარჩენოდა. მ ი მ ი ბ ა რ ე ო, ევედრებოდა თავის გამჩენს" (ვაჟა, «უძლ. ვირი», V, 259,16); „ქვეშსაგებად დ ა მ ი გ დ ო ავადმყოფობამ" (ჭავ., «გლახ. ნაამბ.»);

„შე დაჭირების კულაო, მოდი, დაგვიხსენ სულაო,
ყმად დ ა გ ვ ი წ ე რ ე ყველახი, წელში გაგვიგდე ცულაო"
(ხალხური. შეტანილია ყაზბეგის «ელგუჯაში», გამოც. 1935, გვ. 131);
„ატაბეს ვიყავ კორწილში, ყველამ გ ა მ ი გ ა ძირშია"
(«ხალხ. პოეზ.», № 631);
„მიშველე, შვილო ივანე, ლეკმა წ ა მ ი დ ვ ა ძირსაო"
(ფშაური ლექსი, თ. რაზიკაშვილის ჩანაწერი).
„რად დამჭერ, თუ კი მორჩენით არ გ ა მ ი ხ დ ი დ ი მონადა"
(ვაჟა, I, 23,23).

მაგალითი ძველი ქართულიდან: „არცა კეთილთა შენთა აღთქუმათა, არცა ძვრ-ძვრთა ბოროტთა შენთა ჩემ ზედა მოწევნითა შ ე მ ი ძ ლ ო განყენებად უფალსა ჩემსა იესუ ქრისტესა" («მარტვლობაჲ გობრონისი». ძვ. ქართ. აგიოგრ. ლიტერატურის ძეგლები. I, 181,20).

1-ლი პირის მაგალითები ადვილად გადაკეთდება მე-2-ისაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, სადაც სუბიექტური პირიც მეორეა (მე-2 პირი სუბიექტად და ობიექტად ერთ ფორმაში შეუძლებელია, § 287).

898. სასხვისო ქცევა გარდამავალ ზმნაში. ს ა ს ხ ვ ი ს ო ქ ც ე ვ ა ანუ ს ა ო ბ ი ე ქ ტ ო ვ ე რ ს ი ა აღნიშნავს კუთვნილებითს ურთიერთობას ობიექტებს შორის: პირდ. ობიექტი (resp. პირდ.-ობიექტური პირი) ეკუთვნის ირიბს ან განკუთვნილია ირიბისთვის (resp. ირიბ-ობიექტური პირისთვის). მისი ნიშანია ი ან უ, რომლებიც ასე ინაწილებენ ფორმებს: ი იხმარება მაშინ, როცა ირიბ ობიექტად 1-ლი ან მე-2 პირია (მ-ი-წერს, გ-ი-წერს; მ-ი-შენებს, გ-ი-შენებს; გ-ი-წერ, გ-ი-შენებ), უ კი მაშინ, როცა ირიბ ობიექტად მე-3 პირია (უ-წერს, უ-შენებს; ვ-უ-წერ, ვ-უ-შენებ).

სასხვისო ქცევა გარდამავალი ზმნისა სამ-პირიანია. აქ სუბიექტი (resp. სუბიექტური პირი) მოქმედებს არა თავისაზე ან თავისთვის, როგორც სათავისოში, არამედ სხვისაზე ან სხვისთვის. სხვა პირად აქ შესაძლებელია არა მარტო პირველი და მეორე, არამედ მესამეც, იმიტომ რომ, თუ პირველ პირად იგულისხმება მარტოოდენ ერთი მოუბარი (მხოლობითში), ან მოუბარგამორეული ერთი კრებული (მრავლობითში), თუ მეორე პირადაც აგრეთვე ერთი ადამიანი (მხოლ.) ან ადამიანთა ერთი კრებული (მრავლ.) იგულისხმება, სამაგიეროდ მესამე პირად წარმოდგენილ საგანს ერთობის ან ერთობლიობის ნაცვლად სხვადასხვაობა და მრავალფეროვნება ახასიათებს. ვთქვათ, თუ მოქმედია (ანუ სუბიექტია) პავლე, მაშინ მისი სამოქმედო (ანუ ობიექტი) შეიძლება იყოს ყველაფერი მის გარდა, ე. ი. არა მარტო მ ე, შ ე ნ, ჩ ვ ე ნ, თ ქ ვ ე ნ, სიტყვებით გამოხატული პიროვნებანი და საგნები, არამედ სულ სხვადასხვა პიროვნება, საგანი თუ საგნობრივი წარმოდგენა: პეტრეც, სანდროც, ნიკოც, გუთანიც, ფიქრიც, ხატვაც და მრავლისაგან მრავალი სხვა (§ 288). ამიტომაა, რომ, თუ მოქმედია, ვთქვათ, 1-ლი პირი, მისი მოქმედების საგანი ან მოქმედების შედეგი შეიძლება მხოლოდ მე-2-ისა ან მე-3-ისთვის იყოს განკუთვნილი (მაგ., გ-ი-კეთებ, ვ-უ-კეთებ, გ-ი-წერ, ვ-უ-წერ და მისთ.); თუ მოქმედია მე-2 პირი, მისი მოქმედება შეიძლება მხოლოდ 1-ლისა ან მე-3 პირისთვის იყოს მიმართული (მაგ., მ-ი-წერ, უ-წერ; მ-ი-კეთებ, უ-კეთებ და მისთ.); ხოლო, როდესაც მოქმედია მე-3 პირი, მისი მოქმედება შეიძლება სამივე პირისთვის იქნეს განკუთვნილი: მ-ი-წერს, გ-ი-წერს, უ-წერს; მ-ი-შენებს, გ-ი-შენებს, უ-შენებს. ამ მაგალითებში:

მ-ი-წერს = წერს ჩ ე მ ს ა ს ან ჩ ე მ თ ვ ი ს;
გ-ი-წერს = წ ე რ ს შ ე ნ ს ა ს ან შ ე ნ თ ვ ი ს;
უ-წერს = წერს ს ხ ვ ი ს ა ს ან ს ხ ვ ი ს თ ვ ი ს;
გვ-ი-წერს = წერს ჩ ვ ე ნ ს ა ს ან ჩ ვ ე ნ თ ვ ი ს.

ამიტომ არის, რომ ამ ფორმებს დაერქვა ს ა ს ხ ვ ი ს ო ანუ ს ა ო ბ ი ე ქ ტ ო, რადგანაც მოქმედი პირისთვის სხვაა ის პირი, რომლისთვისაც მოქმედება ხდება ან რომელსაც ეკუთვნის პირდ. ობიექტი.

899. მსგავსება და განსხვავება სათავისო და სასხვისო ქცევის ფორმებს შორის. სათავისო და სასხვისო ქცევა ზოგ რამეში მსგავსებას გვიჩვენებს, ზოგში კი — განსხვავებას.

მსგავსება სათავისოსა და სასხვისოს შორის უპირველეს ყოვლისა ის არის, რომ ერთიცა და მეორეც მოწოდებულია ზმნის ფორმით გამოხატონ კუთვნი-

ლება-დანიშნულება ობიექტისა და ამით ზედმეტად გახადონ ნაცვალსახელთა შემდეგი ფორმების ხმარება: ჩემი, შენი, თავისი, მისი, ჩვენი, თქვენი, მათი, ჩემთვის, შენთვის, თავისთვის, მისთვის, ჩვენთვის, თქვენთვის, მათთვის. ამის გამოა, რომ სამ-სიტყვიანი წინადადება „ჩემი სახლი ავაშენე“ (ან „სახლი ავაშენე ჩემთვის“) შეგვიძლია ორ-სიტყვიანით შევცვალოთ: „სახლი ავიშენე“; მსგავსად ამისა, ამ წინადადებაში „შენი სახლი ააშენეს“ (resp. „სახლი ააშენეს შენთვის“) შეგვიძლია სიტყვა „შენი“ (resp. „შენთვის“) ამოვიღოთ და ის გაგება, რომელიც მასთან არის დაკავშირებული, ზმნაში გადავიტანოთ: „სახლი აგიშენეს“. წინადადება: „დაარბიეს ჩემი ქვეყანა და ამოწყვიტეს ჩემი ლაშქარი“ ამგვარად შეგვიძლია შევცვალოთ: „დამირბიეს ქვეყანა და ამომიწყვიტეს ლაშქარი“ (ს. ჩხეიძე, «საქ. ცხოვრ.», «ქ. ცხ.», II, 316); „ვინ მოვიდა, რომელმან ამომიწყვიტნა ლაშქარნი და დამიჭოცნა ბუმბარეზნიო“ («ამირანდარეჯ.»).

სათავისო და სასხვისო ქცევა ერთსა და იმავე ნიშანს გვიჩვენებს 1-ლსა და მე-2 ობიექტურ პირში, განსხვავებულს კი — მე-3-ში. ამ მხრივ ეს ორი ქცევა ერთგვარ პარალელს წარმოადგენს ობიექტური ნიშნების ხმარების მიმართ (როგორც ვნახეთ, პირდ.-სა და ირიბ ობიექტს ერთნაირი ნიშნები აქვთ 1-ლსა და მე-2 პირში და განსხვავებული—მე-3-ში, §§ 226—228). ამის გამო ერთი და იგივე ფორმა (მაგ., და-მ-ი-ყენა) შეიძლება სათავისოც იყოს და სასხვისოც: ის სათავისოა ასეთ ფრაზაში: „ერთმა ულმობელმა ვაჭარმა მსახურად დამიყენა და ორ წელიწადს უჯამაგიროდ მიმსახურა“ და სასხვისოა შემდეგში: „მამაჩემმა ერთი ობოლი ბიჭი მსახურად დამიყენა“. განსხვავება სათავისოსა და სასხვისოს შორის მე-3 ობ. პირში გამოჩნდება: სათავისოს შერჩება **ი** ხმოვანი, სასხვისოს კი **უ**-დ გადაუკეთდება.

მაშასადამე, მე-3 ობიექტურ პირში სათავისოს თავისი ფორმა აქვს, სასხვისოს — თავისი. ამიტომ იმის გამოსარკვევად, თუ რა ფორმასთან გვაქვს საქმე 1-ლსა და მე-2 ობიექტურ პირში, ის მე-3 ობიექტურში უნდა გადავიყვანოთ. თუ იქაც **ი** დარჩა, ფორმა სათავისო იქნება (მსახურად დამ-ი-ყენა, მსახურად დაგ-ი-ყენა, მსახურად და-ი-ყენა) და თუ **უ** მოგვცა, მაშინ ქცევა სასხვისო იქნება (ერთი ბიჭი მსახურად დამ-ი-ყენა, მსახურად დაგ-ი-ყენა, მსახურად და-**უ**-ყენა).

მე-3 ობიექტურ პირში გადაყვანა — ეს მორფოლოგიური ხერხია ფორმის გამოსაცნობად. მაგრამ არსებობს სინტაქსური ხერხიც იმის გამოსაცნობად, სათავისოა ფორმა თუ სასხვისო: ზმნას უნდა შევუწყოთ სახელები (მაგ., საგუებლები) და თუ ორი შეიწყო მხოლოდ, სათავისო ყოფილა, და თუ სამი — სასხვისო. „დათვმა მომიგდო ქვეშ და მბეგვა“, — აქ „მომიგდო“ ორ-პირიანია (მან მე) და ქცევა სათავისოა; „ამხანაგმა ვაშლი მომიგდო“, — აქ კი „მომიგდო“ სამ-პირიანია (ეწყობა სამი სახელი: მან მე იგი), მაშასადამე, ფორმა სასხვისო ქცევისაა.

სინტაქსური ხერხი უფრო მარტივია და ჩვეულებრივ მას მივმართავთ ხოლმე პოლისემიურ ფორმათა გამოსაცნობად ქცევაში.

ერთ განსხვავებაზე სპეციალურად შემდგომ პარაგრაფში გვექნება საუბარი.

400. იშვიათი ფორმები სასხვისო ქცევით. სასხვისო ქცევას გარდამავალ ზმნაში პირდაპირ ობიექტად ჩვეულებრივ მე-3 პირი აქვს, ირიბად კი ყველა შეიძლება ჰქონდეს. უცვალებელია პირდაპირი, ცვალებადი — ირიბი. აღნიშნული კომბინაცია სუბიექტ-ობიექტური პირებისა სასხვისო ქცევაში ჩვეულებრივია და საყოველთაოდ გატარებული.

იშვიათად ისიც გვხვდება, რომ ამავე ქცევაში ობიექტური პირებისათვის შებრუნებული ვითარება იყოს, ე. ი. პირდაპირ ობიექტად ყველა პირი იყოს, ირიბად — მესამე, მაშასადამე, იცვლებოდეს პირდაპირი, უცვალებელი კი ირიბი იყოს. ამ შემთხვევაში ჩვენთვის 1-ლი და მე-2 პირდ.-ობიექტური პირის ფორმებია საყურადღებო. 1-ლი პირის მაგალითებია: „მას აქეთ, რაც ფეხზე სიარული შევიძელ, სულ სხვისშვილად[1] ვარ. შვიდის წლისა მამა-ჩემმა დიდყურაანთ დ ა მ ი ყ ე ნ ა მოჯამაგირედ“ (ვაჟა, «პატ. მწყემსის ფიქრები», V, 27,5). უეჭველია, რომ აქ მოყვანილი წინადადების „დამიყენა“-ში 1-ლი პირი პირდ. ობიექტია, ირიბად კი მიცემითში დასმული „დიდყურაანთ“ მიდის. კიდევ უფრო ნათელია იმავე ფორმის მნიშვნელობა შემდეგს წინადადებაში: „მე წამომიყვანა და ერთ ულმობელ ვაჭარს დ ა მ ი ყ ე ნ ა მოჯამაგირედ“ (ვაჟა, «ერემ-სერემსური», V, 283,8). აქაც „დამიყენა“ ამას ნიშნავს: „ჩემი თავი დაუყენა“, მაშასადამე, მთელი ფრაზა ამას ნიშნავს: „მე წამომიყვანა და ჩემი თავი ერთ ულმობელ ვაჭარს დაუყენა მოჯამაგირედ“. ცხადია, „დამიყენა“-ში 1-ლი პირი პირდაპირი ობიექტია.

მოყვანილ მაგალითში პირდ. ობიექტად 1-ლი პირი იყო. მაგრამ რაც 1-ლ პირზე ითქმის, იგივე ითქმის მე-2-ზედაც: „შენ ქუეყანამან წმიდად და სათნოდ მ ი გ ი პ ყ რ ა ღმერთსა“ (ქებაჲ წმ. ჰაბოჲსი). მ ი გ ი პ ყ რ ა — შენი თავი მიუპყრა.

აქედან ჩანს, რომ „დამიყენა“-ს პოლისემიური გაგება აქვს: ერთ შემთხვევაში ის სათავისო ქცევის ფორმაა, მეორესა და მესამეში — სასხვისოსი:

ა) დ ა მ ი ყ ე ნ ა (მან მე): „ერთმა ულმობელმა ვაჭარმა მოჯამაგირედ დამიყენა“. დამიყენა, დაგიყენა, დაიყენა (ქცევა სათავისოა).

ბ) დ ა მ ი ყ ე ნ ა (მან მე იგი): „მამა-ჩემმა ერთი ობოლი ბიჭი დამიყენა მოჯამაგირედ“. დამიყენა, დაგიყენა, დაუყენა (ქცევა სასხვისოა, ცვალებადია ირიბი).

გ) დ ა მ ი ყ ე ნ ა (მან მას მე): „მამა-ჩემმა ერთ ულმობელ ვაჭარს დამიყენა მოჯამაგირედ“. დამიყენა, დაგიყენა, დაუყენა (ქცევა ისევ სასხვისოა, ოღონდ ცვალებადია პირდაპირი).

თქმულის ნათელსაყოფად მოვიყვანოთ შესადარებელი პარადიგმები:

	საარვისო (მან მე)	**სათავისო** (მან მე)	**I სასხვისო** (მან მე იგი)	**II სასხვისო** (მან მას მე)
1.	და-მ-ა-ყენა	და-მ-ი-ყენა	და-მ-ი-ყენა	და-მ-ი-ყენა
2.	და-გ-ა-ყენა	და-გ-ი-ყენა	და-გ-ი-ყენა	და-გ-ი-ყენა
3.	და- -ა-ყენა	და- -ი-ყენა	და-(ჰ)-უ-ყენა	და-(ჰ)-უ-ყენა

როგორც ვხედავთ, ორივე სასხვისო ი-ს მიიღებს 1-ლსა და მე-2 ობიექტურ პირში.

[1] ს ხ ვ ი ს შ ვ ი ლ ი — მოჯამაგირე (ფშაურად).

აქ ისიც არის აღსანიშნავი, რომ, როცა სასხვისოში პირდ. ობიექტად 1-ლი პირია და ირიბად მე-3 (მე-2 სასხვისო), ქცევის ნიშნად **ი** არის და არა **უ**: და-მ-**ი**-ყენა (მან *მას* მე), და-გ-**ი**-ყენა (მან *მას* შენ). მაშასადამე, აქ ისეთივე მდგომარეობა გვაქვს, როგორც მაშინ, როცა სასხვისო ქცევა ფორმალურია, გაგება კი საარვისოსი აქვს: გა-მ-**ი**-შვა, გა-გ-**ი**-შვა, გა-**უ**-შვა (§ 411).

401. ობიექტურ პირის ნიშანთა ფუნქცია ქცევის ფორმებში. მფლობელი ობიექტი. ობიექტურ პრეფიქსებს ქცევის ფორმათა მიხედვით სხვადასხვა ფუნქცია ეძლევა გარდამავალ ზმნებში:

1. *საარვისო* ქცევაში ობიექტური პრეფიქსი სათანადო პირს წარმოგვიდგენს „წმინდა“ ობიექტად, — პირდაპირად ან ირიბად. ამ მხრივ ერთგვარი განსხვავებაა პრეფიქსებს შორის: 1-ლისა და მე-2 პირის პრეფიქსები სათანადო პირს წარმოგვიდგენენ ან პირდაპირად (ჩა-**მ**-წერა, ჩა-**გ**-წერა, ჩა-**გვ**-წერა) ან ირიბად (მო-**მ**-წერა, მო-**გ**-წერა, მო-**გვ**-წერა), მე-3 პირისა კი — მხოლოდ ირიბად (მი-**ს**-წერა, **ჰ**-კითხა) [§ 228].

2. *სათავისო* ქცევაში მარტო ორი პირის ობიექტური ნიშნები იხმარება, 1-ლისა და მე-2-ისა; მათი ფუნქციაა, სათანადო პირი წარმოადგინონ პირდ. ობიექტად (**მ**-ი-მსახურა, **გ**-ი-მსახურა, **გვ**-ი-მსახურა).

3. რაც შეეხება *სასხვისო* ქცევას, აქ ობიექტური ნიშნების ფუნქციის შესახებ ორი რამ უნდა ითქვას:

ა) მათ იგივე ფუნქცია აქვთ, რაც საარვისოსა და სათავისოში, ე. ი. სათანადო პირს ისინი წარმოგვიდგენენ „წმინდა“ ობიექტად — პირდაპირად ან ირიბად. ირიბ ობიექტთან მაშინ გვაქვს საქმე, როცა ფორმით დანიშნულებაა გამოხატული. თუ ასეთ ფორმას საარვისოში გადავიყვანთ, იმავე აზრის გადმოსაცემად *თვის* თანდებულიანი სიტყვა უნდა ვიხმაროთ: *ჩემთვის*, *შენთვის*, *თავისთვის* და შემდგომი: სურათი *დამიხატა*=სურათი დახატა *ჩემთვის*.

ბ) ირიბ ობიექტურ პრეფიქსებს სხვა ფუნქციაც აქვთ: ისინი სათანადო პირს წარმოგვიდგენენ მფლობელ ობიექტად, ე. ი. ისეთ ობიექტად, რომელსაც ეკუთვნის სუბიექტი ან მეორე ობიექტი. ამ შემთხვევაში თუ ფორმას საარვისოში გადავიყვანთ, იგივე აზრი კუთვნილებითი ნაცვალსახელების დართვით უნდა გამოვთქვათ: *ჩემი*, *შენი*, *თავისი* და შემდგომი: „სახლი *დამიწვა*“=*ჩემი* სახლი *დაწვა*.

აღვნიშნოთ I ირიბის სახელით ის ირიბი ობიექტური პირი, რომელიც „წმინდა“ ობიექტია და კუთვნილებას არ გამოხატავს. II ირიბის სახელით კი ის ობიექტური პირი, რომელიც კუთვნილებას გამოხატავს. ამ უკანასკნელს სხვანაირად *მფლობელი* ირიბი ანუ *პოსესორი* დავარქვათ. I ირიბის მაგალითი იქნება: ხელი *ჰკრა* ბავშვს, II ირიბისა (მფლობელისა): ხელი *უკრა* ბავშვს (=ხელი ჰკრა მის ბავშვს).

კუთვნილება ანუ პოსესიობა არ ჩანს ამ წინადადებაში: „რაში მიწუნებს მითამ?“ (ჭავ., «კაც.-ად.»), რადგანაც ფორმა გარეგნულად სათავისოა, შინაგანად კი, ე. ი. ფუნქციით — საარვისო (მიწუნებს, გიწუნებს, იწუნებს), მაგრამ თუ ზმნას სასხვისოში გადავიყვანთ, კუთვნილების გაგებას მოგვცემს: „რას მიწუნებს მითამ“, სადაც „მიწუნებს“ ამას ნიშნავს: იწუნებს *ჩემსას* (მიწუ-

ბს, გიწუნებს, უწუნებს). სასხვისოა აგრეთვე: „ნ უ მ ი ო ც ე ბ თ და თქვენთან იფნა მწადიან" (ჭავ., «ოთ. ქვრ.»). ნუ მ ი ო ც ე ბ თ — ნუ იოცებთ ჩემსას ემს სიტყვებს). (მფლობელი ობიექტის შესახებ: §§ 402,411).

402. ორი ირიბი გარდამავალ ზმნაში. მფლობელი ირიბის ხმარების ე საკმაოდ ვრცელია, განსაკუთრებით აღმოს. კილოებში. ჩვეულებრივი შემხვევების გარდა, უნდა აღინიშნოს რამდენიმე ჯგუფი ზმნებისა, სადაც ფორით ორი ირიბია ნაგულისხმევი და კუთვნილ ფორმათა ხმარებას განსაკუთებული ელფერი აქვს:

ა) საარვისო ქცევით ხმარებული სამ-პირიანი ზმნა, რომელშიც ირიბი რი „წმინდა" ობიექტია, ადვილად გადაკეთდება სასხვისო ქცევის ფორმად, დაც „წმინდა" ირიბის გაგება დარჩება, თუმც კი მილეული, მაგრამ მოემატება გება მფლობელი ირიბისა, ანუ პოსესორისა. ასეთებია შემდეგი ზმნები: რთვა — ურთვა (წაართვა, გამოართვა, მიართვა), მისწერა — მიუწერა, მიაბა— უბა, აჭმია — უჭმია, ჰკრა — უკრა (ან დაჰკრა—დაუკრა), ხელი ახლო — ხელი ხლო, მშვილდს მოსწია — მშვილდს მოუწია, ყელი გამოსჭრა — ყელი გამოუჭა და მისთ.. მაგალითები ლიტერატურიდან და ხალხური სიტყვიერებიდან:

1—2. მ ი ა ბ ა — მ ი უ ბ ა, ს ც ა — უ ც ა. XV საუკუნის მიწურულში შემეგი ამბავი მომხდარა: ვიღაც ჩვენებური ვაჭარი მესხეთიდან აბრეშუმის საადლად ყოფილა ქ. არეშში, მაშინდელ შაქის სახანოში. მესხს და შაქელ მეუქნეს ჩხუბი მოჰსვლიათ. შაქელს უცემნია მესხისთვის. შეურაცხყოფილი მესი დაჰმუქრებია მედუქნეს ათაბაგის სახელით („აქადა ძალი და სიმხნე ათაბაისა"-ო, ნათქვამი აქვს ვახუშტს). ამას კიდევ უფრო გაუბრაზებია მედუქნე, ომელსაც უწყალოდ უცემნია მესხისთვის, ნაყიდი აბრეშუმიც წაურთმევია და იუძახნია: „არ მ ი ზ ი ბ ა ს ყური სამშჭვლითა დუქანსა ჩემსა და მ ი ც ე ს იხლი დარბაზსა ამას ჩემსა ათაბაგმან შენმან ამისთჳს"-ო (ვახუშტი, «ქ. ცხ.», I, 157). მოყვანილი წინადადების სიტყვები: „არ მიმიბას ყური სამშჭვლითა უქანსა ჩემსა" ამას ნიშნავს: არ მიაბას ჩ ე მ ი ყური ლურსმნით ჩემ დუანს, ხოლო „არ მ ი ც ე ს წიხლი დარბაზსა ამას ჩემსა" ნიშნავს: წიხლი არ ცეს (ე. ი. წიხლი არ ჰკრას) ამ ჩ ე მ ს დარბაზს. მართალია, აქ კუთვნილება მნით არის გამოხატული (ა რ მ ი ც ე ს=არ სცეს ჩემსას), მაგრამ ის ნაცვალახელითაც არის გამეორებული („დარბაზსა ამას ჩ ე მ ს ა"-ო).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ამბავი, რომელიც აქ არის მოთხრობილი, უნდა მომხდარიყო რომ ქრონიკონს (1483 წ.). ამ დროს მესხეთში ათაბაგად იყო ყვარყვარე III, აღბუღას ძე. შაქის სახანო იყო დღევანდელ აზერბაიჯანში. მტკვრის მარცხენა მხარეს მთებამდის, ივრის შესართავს ქვემოთ, კახეთსა და შირვანის სახანოს შუა.

შემდეგი მოთხრობიდან ჩანს, რომ ყვარყვარე ათაბაგს სანანებლად გაუხდია შაქელი მედუქნისთვის მისი სიტყვები და საქციელი.

3. მ ი ს წ ე რ ა — მ ი უ წ ე რ ა, მ ო ს წ ე რ ა — მ ო უ წ ე რ ა: „რაცა იცი ანდაური, მ ო გ ვ ი წ ე რ ე, გაამჟღავნე" («ვეფხ.», 1274); „რომ მ ი გ ვ ი წ ე ო წერილი" (ვაჟა, «მთათა ერთობა»); „რაკი სახკომსაბჭომ მ ი მ ი წ ე რ ა, გაიავდა საქმე" («კომ.», 18.4. 1937, 3,6). მ ი მ ი წ ე რ ა — მისწერა ჩემგან, ჩემთის; რომ მ ი გ ვ ი წ ე რ ო — რომ მისწერო ჩვენგან, ჩვენი სახელით.

4. *ართვა — *ურთვა: „რაც ლალა წაეღოსთ, ის გამოურთვი და ამათ მოეც“ («საქ. სიძვ.», III, № 538, 1785 წ.); „რაც ამ ჩემს განაყოფს კაციას ჩემთვის მიწები წე(ე)რთმიოს, ხელი აუმართა და ჩემი მიწები ან რაც ლალა ეღოს ჩემს მამულშია, ისიც გამომირთვას“ («საქ. სიძვ.», III, № 543, 1778 წ.); „წყალობას ვითხოვ, ოქმი მიბოძოს, რომ ჩემი თეთრი თავისის ანგარიშით გამომირთოს და მომაბაროს... თავისი ჰაყხი ახლავ გამოურთვი და მოეც“ («საქ. სიძვ.», III, № 551, 1793 წ.); „გთხოვთ საჩუქმეც წამირთოთ“ (ჭავ., «გლ. განთ. სცენები»); „წამიძღვნენ, ძღვენი მიმირთვეს, ხელმწიფესა სალამი მიმაცემინეს“ («რუსუდ.», კ. IV, ანთოლოგია, II, 83, 12); „ეს დედა-ჩემსა მიმირთვი“ („ავთახდილმ გადინადირა“-ს ერთ-ერთ ვარიანტში); „კიდევ მიმირთვით ალუდას წვენ-ხორცი გაცხელებული“ (ვაჟა, «ალ. ქეთ.»); „ჩემ სარჩო-საბადებელი მიმირთვით თამარ-მეფესა“ (ვაჟა, I, 21, 3); „მიმირთვი მამის სალოცავს“ (ვაჟა, «უილბლო ილბლ.»); „შაგრჩეს მუხლები! სამუხლე მიგვირთვით შუშანას“ (ვაჟა, «მოქვეთ.», V, 419,28).

5. სტაცა — უტაცა: „სიდედრი გამომეგება, ალვირს მიტაცა ხელიო“ (ხალხური ლექსიდან).

6. ახლო — უხლო: „ჩემ სალაროს ხელს ნუ მიხლებ“ (ს.-ს. ორბ «სიბრძნ.-სიცრ.»).

7. გამოსჭრა — გამოუჭრა, დასჭრა — დაუჭრა: „მსხვილს შვილებს ყელი დამიჭრა, წვრილები ფეხით მისრისა“ (გურამიშ., 142,11).

8. მოსწია — მოუწია: „მშვილდს მომიწივა მუხთალმა“ (გურამიშ. 136,17).

9. აჭმია — უჭმია: „ემ მამალს ამაღამ თქვენ გაბარებთ, ხოლო კი არაფერს შემიჭმიოთო“ (ერწოული ზღაპრიდან); „ცხენსაც ლამაზად მიჭმევდენ, მენაც მაწვენდნენ ყინჩადა“ (ფშაური ლექსიდან; «ხალხ. სიტყვ.», I, გვ. 497,19); „მიჭმიეთ ღალმისტიურსა თავის საჭმელი პურიო“ («ხალხ. პოეზ.», № 458,7).

10. ანება — უნება: „ცხენს არ მინებოს თავია“ (ი. ბუქურ., «თუშ. ლექს.», № 35,8: «ხალხ. სიტყვ.», 105).

11. შეატყობინა — შეუტყობინა: „იობას შემიტყობინეთ, ნუ გამიყიდის ცხენსაო“ (მოხეური ლექსიდან).

12. მიჰხედა — მიუხედა: ჩვეულებრივია გამოთქმა: „ბავშვს მიმიხედე“.

13. მიაბარა — მიუბარა (მაგალითი ქვემოთ, ივანეურის ლექსში).

14. აკლებს — უკლებს (მაგალითი ქვემოთ, ივანეურის ლექსში).

15. თავი დაანება — თავი დაუნება: „თავს დამინებებს ბალღებსა“ (ვაჟა, I, 215,7 ქვ.).

მოყვანილ მაგალითებში საარვისო ფორმა სამ-პირიანია და კუთვნილების გაგებას არ შეიცავს; ირიბ-ობიექტური პირი, რომელიც ფორმაშია, „წმინდა“ ობიექტია, რომელსაც I ირიბს ვეძახით. ეს I ირიბი უღლების დროს ცვალებადია, მასთან უცვლელია პირდაპირ-ობიექტური პირი: მო-მ-აბა, მო-გ-აბა, მი-აბა და შემდგ.; შეიძლება ასეც: მი-მ-აბა, მი-გ-აბა, მი-აბა და შემდგ., სა-

დაც 1-ლი და მე-2 პირი პირდ. ობიექტია და მე-3—ირიბი. მაგრამ აქაც ობ. პირები „წმინდა“ ობიექტებია, — კუთვნილების გაგება მათ არ ახლავს.

სამაგიეროდ პოსესიურ ფორმებში ერთი ობ. პირი მეორის მსაზღვრელია კუთვნილების მიხედვით, — ის საზღვრავს ან პირდაპირს (მიმიბა—მიაბა მან მას ჩემი) ან ირიბს (მიცა — სცა მან იგი ჩემსას).

ბ) საარვისო ქცევა ზოგჯერ ორ-პირიანია და ის სათავისოს ფორმით არის წარმოდგენილი (§ 411), სასხვისო ქცევაში გადაყვანით ფორმას ემატება კუთვნილების გაგება: იწყინა — უწყინა, დაიწუნა — დაუწუნა, მიილო — მიულო (=წაართვა), იგლოვს — უგლოვს, იბრალებს — უბრალებს და მისთანანი. მაგალითები ლიტერატურიდან:

1. იგლოვს—უგლოვს: „ნუცა მტირ და ნუცა მიგლოვ, ჩემო, შენთვის დაკარგულსა“ («ვეფხ.», 1306). აქ „მიგლოვ“ 1-ლ პირს პირდ. ობიექტად წარმოგვიდგენს. ფორმა საარვისოა (გარეგნობით სათავისო): მიგლოვს, გიგლოვს, იგლოვს და შემდგომი. სამაგიეროდ ვახტანგის გამოცემაში იგივე ტაეპი ასე იკითხება: „ნუცა მტირ და ნუცა მიგლოვ, ჩემო, ჩემსა სიყვარულსა“ (ჩსყვ), სადაც 1-ლი პირი განსაზღვრავს „სიყვარულს“, რომელსაც კუთვნილებითი „ჩემსა“-ც ახლავს, და ფორმა სასხვისოა: მიგლოვს (=იგლოვს ჩემსას) გიგლოვს, უგლოვს [1].

2. შეიბრალა—შეუბრალა: „კიდევ თავის სულს აბრალებს: მკვდარს ხო აღარა გარდამეხდევის რაო, სული შემიბრალეთო“ (ვახტ. VI «თარგ.», ჟღე). სული შემიბრალეთ=ჩემი სული შეიბრალეთ.

3. მიილო—მიულო: „სრულად მიმილო ყოვლი ღონები“ (ბესიკი); „მე საწუთრომან მიმილო, რაც საბადისი მებადა“ (გურამ., 136,9).

გ) „თქმა“ ზმნა ორ-პირიანია (თქვა: მან იგი). სამ-პირიანად გადაკეთება მას უზმნისწინოდ არ უხერხდება, მაგრამ ამავე მიზნით მას „თხრობა“ ენაცვლება (უთხრა: მან მას იგი), რომელიც ქცევის მიხედვით გარეგნულად სასხვისოა, მაგრამ სათანადო გაგება არა აქვს, რადგანაც სათავისო აკლია. სამაგიეროდ სპეციფიკურ გამოთქმებში (მაგ., თხოვნით კილოში, § 254) იხმარება „უთქვა“, რომელსაც პოსესიური გაგება ახლავს:

მითქვიდით ჩილოელებსა, ხახონს უჭირეთ მხარიო
(თუშური ლექსიდან: «ძვ. საქ.», II, განყ. IV, № 8).
მითქვიდით ჩემსა ხაზეინს, ცხენს არ მინებოს თავია
(თუშ. ლექსიდან: იქვე, № 85).

ხშირია პოსესიური ფორმები (კერძოდ „მითქვიდი“ ფორმა) ივანეურის ლექსში:

ჩემ ჯალაფთ ეგრე მითქვიდი: კარგა მიჭმიან ცხენსაო,
გამიკვებიდით ზამთარსა, თივას ნუ მიკლებთ, ქერსაო:
დედასა ეგრე მითქვიდით: ქალ ნუ დაიჭრის თმათაო,
ობოლიც კარგა გაზარდეთ, ნუ მიმიბარებთ სხვათაო
(«ხალხ. პ.» I, № 184 გ., გვ. 449).

---

[1] თუ „ჩემსა სიყვარულსა“ სიტყვებს ფიცილად გავიგებთ („ჩემს სიყვარულს გაფიცებ“), მაშინ „ნუცა მიგლოვ“-ში 1-ლი პირი პირდ. ობ. იქნება (მიგლოვს, გიგლოვს, იგლოვს).

„მითქვიდი“ და „გამიკვებიდი“ ხევსურული ფორმებია, ფშაურად იქნებოდა: „მითქოდი“ და „გამიკვებოდი“. „მითქოდი“ კუთვნილი ფორმაა, სათანადო უკუსივნელია მონაცვლე ფუძისაგან ნაწარმოები „უთხროდი“:

ქალს თვალ-შალშავას[1] უ თ ხ რ ო დ ი თ, მალე მოიჭრას თმანია
(ვაჟა, I, 20, 7ქვ.).

დ) განკერძოებით დგას „დაძახება“ ზმნა ხმობის მნიშვნელობით. ამ შემთხვევაში ის სასხვისო ქცევით მიდის, მაგრამ ქცევის გაგება არა აქვს, რადგანაც საპირისპირო ფორმები აკლია: დამიძახა, დაგიძახა, დაუძახა („ამხანაგს უძახის“ — „ამხანაგს დაუძახა“). პირდაპირი ობიექტი მას ჩვეულებრივ არა აქვს, თუმცა კი შეიძლება ჰქონდეს: ს ა ხ ე ლ ი დამიძახა. პირდაპირი ობიექტის ჩავარდნის შემდეგ ირიბი გამოდის პირდაპირის როლში, თუმცა კი თავის სინტაქსურ თვისებას ინარჩუნებს. ამის გამო ამჟამად „დამიძახა“ გრამატიკულად იმგვარადვე გვესმის, როგორც „გამიშვა“: დ ა მ ი ძ ა ხ ა — он позвал м е н я, ამხანაგს დაუძახა — он позвал т о в а р и щ а; ეს ობიექტი, წარმოშობით ირიბი, თავის ალაგს რჩება სხვა ობიექტის შეყვანის შემდეგაც: „დ ა მ ი ძ ა ხ ე თ ნაჩალნიკს! ერთი კარგად გავაწკეპლინო ის დაჭერილები... წადით, დ ა მ ი ძ ა ხ ე თ! (ყაზბ., «ელგ.», 99). მაშასადამე, მოყვანილი წინადადების „დამიძახეთ“ ტიპობრივად ისეთივე ფორმაა, როგორც „დამინება“ ამ წინადადებიდან: „თავი დამინება ბალღებს“, რომელსაც ერთი პირდაპირი აქვს („თავი“; ეს „თავი“ ფორმალური ობიექტია) და ორი ირიბი (1-ლი პ. და „ბალღებს“). ამ ირიბთაგან ერთი მფლობელია (1-ლი პ.), მეორე — კუთვნილი („ბალღებს“); თ ა ვ ი დ ა მ ი ნ ე ბ ა ბ ა ლ ღ ე ბ ს — თავი დაანება ჩ ე მ ს ბალღებს. მაგრამ მსგავსებასთან ერთად განსხვავებაც არის: „დამიძახეთ“-ში პირდაპირი ობიექტი ჩავარდა [„დამიძახეთ ნაჩალნიკს (სახელი)“] და ამის გამო სხვაგვარი ფუნქციონალური ვითარება შეიქნა: ერთი ირიბი პირდაპირად იქცა და მეორე — წმ. ობიექტად. დღეს „დამიძახეთ ნაჩალნიკს“ გრამატიკული ფუნქციით ამას უდრის: „მომიყვანეთ ნაჩალნიკი“.

403. ქცევის საკითხი გარდამავალ ზმნათა III სერიის ფორმებში. ქცევა კარგად გამოხატული გრამატიკული კატეგორიაა ქართულში, მაგრამ ის მხოლოდ ზმნის პირიან ფორმებს მოეპოვება და ისიც I-სა და II სერიაში. რაც შეეხება III სერიას, იქ ქცევებრ გარჩევას ადგილი არა აქვს, რადგანაც ზმნას აკლია საპირისპირო ფორმები, კუთვნილება-დანიშნულების მიხედვით განსხვავებული. ამიტომ ქცევიანი და უქცეო ფორმები უღლებადი გარდამავალი ზმნისა ასეა განაწილებული:

	ქცევიანი ფორმები (I და II სერია)			უქცეო ფორმები (III სერია)		
	აწმყო	მყოფ.	წყვეტ.	I თურმ.	II თურმ.	III კავშ.
საარვ.	ა-შენებს	ა-ა-შენებს	ა-ა-შენა	ა-უ-შენებია	ა-ე-შენებინა	ა-ე-შენებინოს
სათავ.	ი-შენებს	ა-ი-შენებს	ა-ი-შენა	———	———	———
სასხვ.	უ-შენებს	ა-უ-შენებს	ა-უ-შენა	———	———	———

[1] შ ა ლ შ ა ვ ი — მოცვი; თ ვ ა ლ-შ ა ლ შ ა ვ ა — თვალ-მოცვა, მოცვისთვალება.

მიუხედავად იმისა, რომ „აუშენებია“ გაგრძელებაა „აშენებს“ — „ააშენებს“ — „ააშენა“ ფორმებისა, მას არ შესწევს ძალა ქცევებრი წარმოდგენა მოგვცეს, რადგანაც საპირისპირო ფორმები აკლია, მაშინ როდესაც სათანადო უკუთვნელი ფორმა I და II სერიაში (აწმყოში, მყოფადში, წყვეტილში და სხვაგან) ქცევიანია. ეს იმიტომ არის, რომ I-სა და II სერიაში უკუთვნელ ფორმებს კუთვნილებითი უდგას პირისპირ, III სერიაში კი ფორმა განმარტოებულია, უცალოა, ამიტომ უკუთვნელია, თუმცა კი წარმოების მიხედვით სასხვისოა. (შდრ. § 487).

404. ქცევა გარდაუვალ ზმნებში. ქცევის საკითხი გარდაუვალ ზმნებში რამდენადმე სხვაგვარია, ვიდრე გარდამავლებში.

1. ჯერ ერთი: გარდაუვალ ზმნებს ქცევა ან სრულებით არ მოეპოვებათ, ან, თუ მოეპოვებათ, მხოლოდ ორი: საარვისო და სასხვისო, სათავისო კი აკლიათ; აკლიათ იმიტომ, რომ, როგორც ზემოთ არის აღნიშნული (§ 393), სათავისო ქცევით საზოგადოდ გამოხატულია კუთვნილებითი ურთიერთობა პირდაპირ-ობიექტურ პირსა და სუბიექტურს შორის (resp. პირდაპირ ობიექტსა და სუბიექტს შორის). მაგრამ, რადგანაც პირდაპირ-ობიექტური პირი (resp. პირდაპირი ობიექტი) შეიძლება მხოლოდ გარდამავალ ზმნას ჰქონდეს, გარდაუვალს კი — არა, ამიტომ სათავისო ქცევა გარდაუვალ ზმნაში გამორიცხულია.

2. ეხლა მეორე: ქცევებრი ურთიერთობის წართქმითი სახის დასამყარებლად გარდაუვალ ზმნაში მარტო ორი სინტაქსური ოდენობა გვაქვს: სუბიექტი და ირიბი ობიექტი (ან მათი მორფოლოგიური ფარდები: სუბიექტური პირი და ირიბ-ობიექტური პირი). ამიტომ განსაზღვრა კუთვნილება-დანიშნულების მიხედვით შეიძლება სუბიექტს (ან სუბიექტურ პირს) შეეხებოდეს. ეს მოვლენა სუფიქსიანი ვნებითის ზმნის მაგალითზე განვიხილოთ.

405. ქცევა სუფიქსიან ვნებითში. თუ პასიურ ზმნათაგან ქცევის საკითხის გასაშუქებლად სუფიქსიანებს ავიღებთ, შედარების მიზნით სათანადო აქტივსაც უნდა მივმართოთ, რადგანაც პასივი საზოგადოდ აქტივის უკუფენას წარმოადგენს, ანუ, რაც იგივეა, აქტივის კონვერსიული სახეა (§ 346). უნდა ავიღოთ საარვისოს და სასხვისოს ფორმები, რადგანაც სათავისოს ფორმა, თუ ის ნამდვილია და არა მოჩვენებითი (ე. ი. არა ფორმალური), ვნებითში არ გადაიყვანება. მაგალითებად „გატეხა“ და „გაკეთება“ გამოვიყენოთ. აქტივში გვექნება: ერთი მხრით გა-ტეხა და გა-აკეთა, მეორე მხრით კი — გა-უ-ტეხა და გა-უ-კეთა. თუ ამ ფორმებს პასივში გადმოვიყვანთ, გვექნება: ერთი მხრით გა-ტყდა და გა-კეთდა, მეორე მხრით გა-უ-ტყდა და გა-უ-კეთდა. მივსცეთ ამ ზმნებს ფარდები: სუბიექტად „სანდრო“, ობიექტად პირველს „ბავშვი“ (ირ.) და „კოკა“ (პირდ.), მეორეს — „ამხანაგი“ (ირ.) და „საქმე“ (პირდ.). სათანადოდ გამართული წინადადებანი ზმნის წყვეტილის ფორმით შემდეგ სახეს მიიღებს:

	აქტივი	პასივი
საარვ	სანდრომ კოკა გატეხა	კოკა გატყდა
სასხვ.	სანდრომ ბავშვს კოკა გაუტეხა	ბავშვს კოკა გაუტყდა

აქტივი	პასივი.

საარვ. სანდრომ საქმე გააკეთა — საქმე გაკეთდა
სასხვ. სანდრომ ამხანაგს საქმე გაუკეთა — ამხანაგს საქმე გაუკეთდა

გამოდის, რომ რაც „გატეხა“ არის „გაუტეხა“-სთვის, იგივეა „გატყდა“ „გაუტყდა“-სთვისაც. ამიტომ, თუ „გატეხა“ საარვისოა, საარვისოა აგრეთვე „გატყდა“-ც და თუ სასხვისოა „გაუტეხა“, სასხვისო იქნება აგრეთვე „გაუტყდა“-ც. უეჭველია, იგივე ურთიერთობაა „გაკეთება“ ზმნის მოყვანილ ფორმებს შორისაც. ამიტომ ასეთი პროპორცია შეგვიძლია დავადგინოთ:

აქტივი		პასივი	
(საარვ.)	(სასხვ.)	(საარვ.)	(სასხვ.)

გატეხა : გაუტეხა = გატყდა : გაუტყდა
გააკეთა : გაუკეთა = გაკეთდა : გაუკეთდა

ეხლა ვნახოთ, რა ურთიერთობაა პასივში სუბიექტურ პირსა და ობიექტურს შორის (შესაბამისად: სუბიექტსა და ობიექტს შორის). „გატყდა“ და „გაკეთდა“ აბსოლუტური (ერთ-პირიანი) ფორმებია და აშკარად უკუთვნელია, მაგრამ „გაუტყდა“-სა და „გაუკეთდა“-ში ორ-ორი პირია და ამ პირებს თავთავისი ფარდი აქვთ სუბიექტისა და ირიბი ობიექტის სახით. კითხვა ურთიერთობის შესახებ ორ-პირიან ფორმებს ეხება.

აქტივის ირიბ-ობიექტური პირი პასივში უცვლელი რჩება (§§ 349,350), მაშასადამე, უცვლელი რჩება მისი ფარდიც: ბავშვს კოკა გაუტეხეს—ბავშვს კოკა გაუტყდა. აქტივში პირდაპირ-ობიექტური პირი პასივში სუბიექტური ხდება (ან აქტივ კონსტრუქციაში პირდაპირი ობიექტი პასივში სუბიექტი ხდება). რადგანაც აქტივ კონსტრუქციაში სასხვისო ქცევით გამოხატულია, რომ პირდ. ობიექტი ეკუთვნის ირიბს ან დანიშნულია ირიბისათვის, პასივ კონსტრუქციაში იგივე მიმართება ირიბისადმი სუბიექტურმა პირმა (resp. სუბიექტმა) უნდა გვიჩვენოს. აგრეც არის: პასივში სასხვისო ქცევით გამოხატულია, რომ სუბიექტი ეკუთვნის ირიბს ან დანიშნულია ირიბისათვის. მაშასადამე, განსხვავება აქტივსა და პასივს შორის სასხვისო ქცევაში ის არის, რომ აქტივში ირიბს ეკუთვნის ან ირიბისათვის განკუთვნილია პირდაპირი (შესაბამისად: პირდ.-ობ. პირი), პასივში კი — სუბიექტი (შესაბამისად: სუბ. პირი).

შენიშვნა. რა თქმა უნდა, სასხვისო ქცევა კუთვნილებას ყოველთვის არ გამოხატავს, მაგრამ ეს თანაბრად შეეხება როგორც პასივს, ისე აქტივს; ითქმის: „შენი კოკა გამიტყდა“ და „შენი კოკა გამიტეხეს“ (მაშასადამე, ფორმა რელატიურია, თუმცა უკუთვნელი), მაგრამ არ ითქმის: „შენი სახლი ამიშენდა“ ან „შენი სახლი ამიშენეს“.

406. ქცევა უნიშნო ვნებითში. უნიშნო ვნებითში საქმის ვითარება ქცევისთვის იმგვარივეა, როგორიც სუფიქსიან ვნებითში. ამიტომ მარტო მაგალითის მოყვანით დავკმაყოფილდებით: დნება (საარვ.) — უდნება (სასხვ.), ქრება — უქრება, წყრება — უწყრება და მისთ..

407. ქცევა პრეფიქსიან ვნებითში. ი-თი და ე-თი ნაწარმოებ ვნებითში ორ-ორი ფორმა მოგვეპოვება, რომლებიც ერთურთისაგან აგებულების მიხედვით არის განსხვავებული: ერთია აბსოლუტური, მეორე კი — **რელატიური: ი**-წერება — **ე**-წერება, ი-ნახება — ე-ნახება, **ი**-მალება—**ე**-მალება, **ი**-წვის—**ე**-წვის და მისთ.. ამათგან აბსოლუტური ფორმები შეესაბამება მოქმედებითი **ზმნის** ისეთ კონსტრუქციას, სადაც ობიექტად მე-3 ობ. პირის ფორმასთან მარტო ბრუნვა-ცვალებადი სახელია, რომელიც აქ სუბიექტად არის წარმოდგენილი: წერს წიგნს—წიგნი იწერება, მალავს ნაქურდალს—ნაქურდალი იმალება, **დაწვა** სახლი - სახლი დაიწვა და მისთ., ხოლო რელატიური ფორმები შეესაბამება მოქმედ. ზმნის ისეთ ფორმებს, სადაც ორი ობიექტია, რომელთაგანაც ერთი მე-3 ობ. პირში ბრუნვა-უცვალებელია და მეორე — ბრუნვა-ცვალებადი. **აქტივი** კონსტრუქციის ვნებითად გადაკეთებისას ბრუნვა-ცვალებადი სახელი, **რომე**ლიც იქ პირდ. ობიექტი იყო, აქ სუბიექტად მოგვევლინება, ხოლო **ბრუნვა**-უცვალებელი ობიექტი თავის სახეს შეინახავს აქაც, ე. ი. ისევ **ობიექტად** დარჩება: მაგ., მი-ს-წერს **ძმას** წ ე რ ი ლ ს: მი-ე-წერება **ძმას** წ ე რ ი ლ ი; შე-ა-წერს **მეზობელს** გადასახადს, შე-ე-წერება **მეზობელს** გ ა დ ა ს ა ხ ა დ ი; **და-უ**-წერს **დას** ლ ე ქ ს ს, და-ე-წერება **დას** ლ ე ქ ს ი და მისთ.. პასივისათვის სულ ერთია, საარვისო ქცევაში შედის აქტივი კონსტრუქციის ბრუნვა-უცვალებელი ობიექტი, თუ სასხვისოში: აქ ორივე თანაბრად ერთსა და იმავე ფორმას მოგვცემს, რომელსაც შეიძლება ს ა ზ ი ა რ ო ვუწოდოთ (§ 356), მაგრამ ეს საზიარო ფორმა, რომელიც აგებულებით რელატიურია, სათანადო აბსოლუტურ ფორმასთან დაპირისპირებით კუთვნილება-უკუთვნელობის გაგებას ვერ მოგვცემს; მაგ., **ი**-წერება ც უკუთვნელი ფორმაა და **ე**-წერება'ც, რამდენადაც ეს უკანასკნელი მიღებულია ს-წერს და ა-წერს ფორმისაგან, მაგრამ რადგანაც ეგევე **ე**-წერება **უ**-წერს ფორმის შესაფერისიც არის, ამიტომ კუთვნილებითი ურთიერთობის გაგება მან. აბსოლუტურ ფორმასთან დაპირისპირებით უშუალოდ თუ ვერ მოგვცა, შეიძლება ერთგვარად მოქმედებითი გვარის სასხვისო ფორმის ასოციაციის შუალობით მოგვცეს. ამის მიხედვით **ე**ნიან ვნებითში ქცევა არის, მაგრამ ისე მკაფიოდ გამოხატული არა, როგორც სუფიქსიანსა და უნიშნო ვნებითში, ან კიდევ საშუალ ზმნებში.

ქცევებრი მიმართება აბსოლუტურსა და რელატიურ ფორმებს შორის აქ ასეთია: აბსოლუტური (**ი**ნიანი) საარვისოდ მიდის, რელატიური (**ე**ნიანი) — სასხვისოდ. მართლაც, ურთიერთობა ამ ფორმებს შორის: და-ი-კარგა—და-**ე**-კარგა (ამ ფრაზებიდან: „ცხენი დაიკარგა" და „ცხენი დაეკარგა") კუთვნილება-დანიშნულების თვალსაზრისით ისეთივეა, როგორც ამაებში: მო-კვდა — მო-**უ**-კვდა („ცხენი მოკვდა" — „ცხენი მო-**უ**-კვდა"). ეს კი თავის მხრით კავშირშია ასეთ ფორმებთან: „ცხენი მოკლა" — „ცხენი მოუკლა", „ცხენი დამალა"—„ცხენი დაუმალა"; „ცხენი გახედნა" — „ცხენი გაუხედნა" და მისთ..

რისი ნიშანია **ი** და **ე**, გვარისა თუ ქცევისა? რა თქმა უნდა, გვარისა (პასივისა), მაგრამ სათანადო აქტივთან მიმართებით და აგრეთვე სხვა ტიპის ვნებითებთან ფუნქციონალური დამოკიდებულებით მათ შეუძლიათ ქცევის ნიშნობაც გასწიონ.

რა თქმა უნდა, პრეფიქსიანი ვნებითის რელატიური ფორმები **ზოგჯერ** რელატიურობის იქით ვერ მიდის და ქცევის გაგებას ვერ გვაძლევს **(§ 413)**,

მაგრამ იმის თქმა არ იქნებოდა სწორი, რომ ისინი საზოგადოდ მოკლებულნი ქცევის გაგებასაო. გადამწყვეტია ის გარემოება, რომ ფორმათა დაპირისპირება არის და რომ ეს ოპოზიცია გარკვეულ მიმართებაშია ერთი მხრით სათანადო მოქმედებითის ქცევიან ფორმებთან და მეორე მხრით სხვა ტიპის ვნებითთა ფორმებთან, სადაც ქცევის გაგება, საკუთარი ნიშნის ქონების გამო, მკვიდრია. მაგალითად, „გადამეშალა“ ისეთსავე გაგებას გვაძლევს, როგორსაც „ამიყვავდა“ ამ წინადადებაში: „როგორც კოკორი მზისგან, გული ისე *გადამეშალა* და *ამიყვავდა*“ (ჭავ., «გლახ. ნაამბ.»). და თუ „ამიყვავდა“ ქცევიანია, „გადამეშალა“ რად უნდა იყოს მოკლებული იმავე კატეგორიას?

ცალკე უნდა გამოვყოთ ქცევის საკითხი სტატიკურ ვნებითში.

408. ქცევა სტატიკურ ვნებითში. სტატიკურ ზმნებსაც ქცევა ორი აქვთ: საარვისო და სასხვისო. საარვისო ფორმები წარმოშობით ორ-პირიანია ყველა, მაგრამ ამჟამად ბევრი მათგანი ერთ-პირიანია: სწერია. სთესია, ჰგდია, ჰყრია, აბია, აწყვია, ასხია და სხვა; სასხვისო თითქმის ყველას უკეთდება: სწერია — უწერია, აბია — უბია, ასხია — უსხია და სხვ. (მაგრამ განმარტოებით დგას და უქცეოა „უჭირავს“).

სტატიკურ ზმნებს ქცევა მარტო აწმყოში აქვთ (I სერიიდან მათ საკუთრივ მარტო ეს მწკრივი მოეპოვებათ; რაც შეეხება II სერიის მწკრივებს, იქ ყველა ერთ ფორმას გვიჩვენებს რომელსაც მაწარმოებლად **ე** აქვს: ეწერა, ეთესა, ეგდო, ეყარა, ება, ეწყო, ესხა და სხვ.. ამიტომ კუთვნილების გამოხატვის საშუალება ამ ფორმებს უშუალოდ არ მოეპოვებათ. მაგრამ რელატიურ ფორმებს, აწმყოს ფორმებთან კავშირის გამო, შეუძლიათ კუთვნილების გაგებაც მოგვცენ: *ჩემს* უბის წიგნში *სწერია*=უბის წიგნში *მიწერია*; *ჩემს* უბის წიგნში ეწერა=უბის წიგნში *მეწერა*. მაშასადამე, აქ ისეთივე ვითარებაა, როგორიც **ე**ნიან ვნებითში (§ 407).

409. ქცევა საშუალ ზმნებში. საშუალი ზმნა სათანადო მოქმედებით ზმნასთან ისეთსავე კონვერსიულ მიმართებაშია, როგორშიც ვნებითი. ამიტომ ქცევის საკითხი აქაც ისევე წყდება, როგორც ვნებითში: ქცევა საშუალ ზმნასაც ორი შეიძლება ჰქონდეს, საარვისო და სასხვისო; საარვისო უნიშნოა, სასხვისო კი — ინ-უნიანი: გორავს — **უ**-გორავს, ბრუნავს — **უ**-ბრუნავს, ტრიალებს — **უ**-ტრიალებს, ზის — **უ**-ზის, წევს—**უ**-წევს, წუხს—**უ**-წუხს, დუღს—**უ**-დუღს და სხვა.

ამ ქცევით ზოგჯერ აქაც აღინიშნება კუთვნილება არა მარტო სუბიექტისა, არამედ ისეთი ობიექტისაც, რომელიც წინადადებაში გარემოებად მიდის: „ყოველსა კაცსა ასე ეგონა: პირსა იადონი *უბუდობსო* ან მერცხალი ჭიკჭიკებსო“ (ს. ორბ. «სიბრძნ.-სიცრ.»). (პირსა *უბუდობს* — მის პირში ბუდობს). ასეთივე მაგალითია: „ფულები ბლომად *უჭყაოდა* ჯიბეში“ (ვაჟა, V, 292,4); „ასი ათასი ვარდი პირსა ზედა *უყუაოდა* და ოცდათორმეტი მარგალიტი შიგან *უნათობდა*“ («ვისრ.» 82,25).

ქცევა საშუალი გვარის ზმნებს შეიძლება მხოლოდ I სერიის აწმყოს წრის მწკრივებში ჰქონდეს (ისიც მხოლოდ მედიოაქტივებს), რადგანაც სხვაგან საკუთარი ფორმები აკლიათ და შევსებული აქვთ „ნასესხები“ ფორმებით (§§ 525—528).

410. ქცევის საკითხი. გარდაუვალ ზმნათა III სერიის ფორმებში. თუ გარდამავალ ზმნაში გამორიცხულია ქცევის გაგება III სერიის ფორმებში (401), იმავე ვერ ვიტყვით გარდაუვალ ზმნათა შესახებაც, რადგანაც ასეთ ზმნებს ქცევებრი განსხვავება რამდენადმე III სერიაშიც შეუძლიათ მოგვცენ საპირისპირო ფორმების წყალობით. მართლაც, ის ურთიერთობა, რომელიც მოგვეპოვება გარდაუვალ ზმნათა აბსოლუტურსა და რელატიურ ფორმებს შორის I-სა და II სერიაში, III სერიაშიც ძალაში რჩება, მიუხედავად იმისა, რომ აქ სხვაგვარი წარმოებაა: ფუნქციონალურად „სახლი აშენებულა“ ისე ეფარდება ამ გამოთქმას: „სახლი ამშენებია“, როგორც „სახლი შენდება“ ამას: „სახლი მიშენდება“. თუ „მიშენდება“ სასხვისოა „შენდება“-ს პირისპირ, ცხადია, იგივე ურთიერთობა გვექნება III სერიის ფორმებშიც: „ამშენებია“ სასხვისოა „აშენებულა“-ს პირისპირ. რაკი აგრეა, გარდაუვალ ზმნათა აბსოლუტური და რელატიური ფორმები გარკვეულ ადგილს პოულობენ ქცევათა სისტემაში. თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანოთ ცხრილი:

	I და II სერია		III სერია	
	აწმყო	წყვეტ.	I თურმ.	II თურმ.
საარვ.	შენდება	ა-შენდა	ა-შენებულა	ა-შენებულიყო
სასხვ.	უ-შენდება	ა-უ-შენდა	ა-მ-შენებია	ა-მ-შენებოდა
საარვ.	თბება	გა-თბა	გა-მთბარა	გა-მთბარიყო
სასხვ.	უ-თბება	გა-უ-თბა	გა-ს-თბობია	გა-ს-თბობოდა
საარვ.	ი-ხატება	და-ი-ხატა	და-ხატულა	და-ხატულიყო
სასხვ.	ე-ხატება	და-ე-ხატა	და-მ-ხატვია	და-მ-ხატვოდა
საარვ.	ი-წვის	და-ი-წვა	და-მწვარა	და-მწვარიყო
სასხვ.	ე-წვის	და-ე-წვა	და-ს-წვია	და-ს-წ(ვ)ოდა

მაშასადამე, გარდაუვალ ზმნათა ფორმები, კუთვნილების გამოხატვის თვალსაზრისით, ერთგვარი ჯაჭვით არის გადაბმული ერთმანეთთან. ამ ჯაჭვის რგოლები უფრო მკვიდრია იქ, სადაც ქცევას ნიშანიც მოეპოვება, რომელიც მას მოქმედებითი გვარის ფორმებთან აკავშირებს, მაგ., **უ**-შენდება — **უ**-შენებს. სხვაგან კი ქცევის კატეგორია სუსტად არის წარმოდგენილი.

411. ორი ირიბი გარდაუვალ ზმნაში. გვხვდება ისეთი გარდაუვალი ზმნები, რომლებიც ქცევის მიხედვით სასხვისოა და გაგებას ორი ობიექტური პირისას შეიცავენ. რადგანაც ზმნა გარდაუვალია, არ შეიძლება, რომ რომელიმე ობიექტური პირი პირდაპირი იყოს. ამ პირებს გარდა ფორმაში არის კიდევ სუბიექტური პირიც. ურთიერთობა პირებს შორის ისეთია, რომ ერთი ირიბი მეორის კუთვნილებაა ან სუბიექტი ერთ-ერთ ირიბს ეკუთვნის. როგორიც უნდა იყოს საქმის ვითარება, პირის ნიშანი ერთ ირიბს ექნება და არა ორივეს (§ 402).

ფუნქცია ამ ირიბებს სხვადასხვა აქვთ: ერთი წარმოგვიდგენს პირს „წმინდა“ ობიექტად, მეორე — მფლობელ ობიექტად. პირის ნიშანი ამათგან მფლობელს მოუდის. ზმნა შეიძლება ვნებითიც იყოს და საშუალიც. მაგალითები ლიტერატურიდან და ხალხური სიტყვიერებიდან:

ა) ზმნა ვნებითი გვარისაა, დინამიკური.

1. მ ი მ ე პ ყ ა რ: „დედას უკადრათ მ ი მ ე პ ყ ა რ, თავზე დაარტყი ფეხია" («როსტ.» II, 4782a, გვ. 507). დედას უკადრათ მ ი მ ე პ ყ ა რ=ჩ ე მ ს დედას უკადრად მიეპყარ.

2. „წვრილ-ხმელი ხეებიც მე დამხარიან ზევიდამ, თვითონ თავ-მიშველნი ტოტებს მე მაფარებენ: ჩვენს ის არ შ ე გ ვ ი ც ი ვ დ ე ს, ან არაფერმა არ აწყინოსო" (ვაჟა, «ია»). აქ ზმნა თავად აღნიშნავს კუთვნილებას. ამიტომ თამამად შეიძლებოდა, რომ კუთვნილებითი ნაცვალსახელი „ჩვენი" არც ყოფილიყო ნახმარი; ისიც შეიძლებოდა, რომ მეორე ზმნასაც მსგავსივე ფორმა ჰქონოდა: „ის არ შეგვიცივდეს ან არაფერმა არ გ ვ ი წ ყ ი ნ ო ს ო" (მეორე ზმნა გარდამავალია, მოქმედებითი).

3. გ ა მ ო გ ი ყ ვ ე ბ ი თ. თ. რაზიკაშვილის ჩაწერილ ერთ ფშაურ ლექსში იკითხება:

კი დაიქცაა ჩარგალი, გადმოვარდნენა ზღვანია?
ნადობ კი გამითხოვდაა, კი დამეცნენა ცანია?
მეწადა მაგის მაყრობა, მაგრამ შორნი მქონ გზანია.
ცხენი მყავ მეტად ჯანდაგი, არც ფეხზე ჰკრიან ნალნია.
გ ა ჰ ყ ე ვ ი თ, ჩემო სწორებო, თუ გწამთ ლაშარის ჯვარია!
ახლა მე გ ა მ ო გ ი ყ ვ ე ბ ი თ, თუ ღმერთმა მამცა ხანია:
ან უცოლო ძმა გექნებათ, ან გასათხოვარ ქალია,
ახლა მე გ ა მ ო გ ი ყ ვ ე ბ ი თ, რო მოვიშორო ვალია.

გ ა ჰ ყ ე ვ ი თ მაყრად — ზმნა ორ-პირიანია (თქვენ მას); გ ა მ ო გ ი ყ ვ ე ბ ი თ მაყრად — ზმნა სამ-პირიანია და ამას უდრის: გამოვჰყვები მე თქვენსას (თ ქ ვ ე ნ ს უცოლო ძმას, ან თ ქ ვ ე ნ ს გასათხოვარ ქალს).

ბ) ზმნა ვნებითივეა, სტატიკური. უფრო ხშირია ამავე ტიპის სამ-პირიანი ფორმების ხმარება სტატიკურ ზმნებში; მაგალითები:

1. მ ი მ ა რ თ ე ბ ს: „მიმართებს ჯალაბაურსა ბეგარი შარშანდელია" (ხევსურული ლექსიდან); „ვისაც მ ი მ ა რ თ ე ბ ს, არ იძლევიანო", სწერდა ერთი ერწოელი თავისიანებს 1922 წელს (ე. ი. ვისაც ჰმართებს ჩემი ფული, არ იძლევიანო).

2. მ ო მ ი ტ ყ დ ა: „როცა გაუჭირდება, ისევ მკითხავთან გარბის: აბა, მკითხაო, მიკითხე, რომელი ხატის მიზეზისგან გამიტყდა ურმის ღერძი ამა და ამ დროსა და ან კამეჩს რისგან მ ო მ ი ტ ყ დ ა ფეხიო" (ვაჟა, V, 232). გატყდა — გამიტყდა, მოსტყდა — მომიტყდა. გ ა მ ი ტ ყ დ ა ურმის ღერძი=გატყდა ჩემი ურმის ღერძი; მ ო მ ი ტ ყ დ ა კამეჩს ფეხი=მოსტყდა ჩემს კამეჩს ფეხი.

3. მ ი ხ უ რ ა ვ ს:

ქალმა თქო: ქმარი მეწყალის, ბორბალ გამთენე ღამისა.
სხვამ უთხრა: არას მეწყალის, — ნაბად მ ი ხ უ რ ა ვ კრავლისა
(«წელიწდ.», 248).

4. მ ი ც ვ ი ა: „ცოლს არ მ ი ც ვ ი ა კაბაო" (ვაჟა, I, 245,18). მ ი ც ვ ი ა — აცვია ჩემსას ან სცვია ჩემსას, შდრ. „არცრა ტანთ მცვია, არც ფეხთა", (იქვე, 82). [ნ. კიდევ უ ც ვ ი ა თ შემდეგ მაგალითში].

5—7. მ ი ს ხ ი ა, მ ი ვ ლ ი ა, მ ი ბ ი ა:

შიგ უწევთ ბატონიშვილი, უსხიათ ოქროს ქოჩორი,
ზარბაფთისა არტახებით, მოვის პერანგი უცვიათ,
მთვარე გრეხილად უვლიათ, ვარსკვლავი ღილად უბიათ (ხალხ.).

უსხიათ — ასხია მათ (ბატონიშვილს), უცვიათ — აცვია მათ, უვლიათ — ავლია მათ, უბიათ — აბია მათ.

8. მიქვიან: „რას მიქვიან ტკბილი სიტყვა“ (ჭავ., «ოთ. ქვრ.»); „სახელი რას მიქვიან უსახრავოდავო“ (ვაჟა, V, 229,14); „მოუსვენარი რას მიქვიან“ (იქვე, 52,8); „ხოლო რას გიქვიან“ (იქვე, 345,36); „სტუმარი ჩვენ გვიქვიან სხვა სოფელშიით მასულს“ («წელიწდ.», 126,10). რას მიქვიან=რას ჰქვია ჩემთან, სტუმარი ჩვენ გვიქვიან=სტუმარი ჩვენში ჰქვია.

გ) ზმნა საშუალია.

1. მიმიდევს: „კახეთ მაგვიკლეს ჭრელაი, ლეკებს მიგვიდევ ვალიო“ («ხალხ. პოეზ.», № 199,3); „მითხოს მიგვიდევ ვალია“ (იქვე, 218,24). ვალი მიგვიდევს — ჩვენი ვალი აძევს.

2. მიშია. ანდაზაა: „შინ რომ ბალღებს გიშიოდეს, გარეთ ტაბლას რა უნდაო?“ — „მშია“ ზმნა არსებითად ერთ-პირიანად არის ქცეული, მაგრამ წარმოშობით ორ-პირიანია. ბალღებს გიშიოდეს — შენს ბალღებს ჰშიოდეს.

3. მიტკივა. „ხო არა გიჭირსთ კაცით, საქონით, ბეჩავ, ან ამ ვაჟს ხომ არ გიტკივა“? (ვაჟა, «დარეჯ.», V, 44,31). ამ ვაჟს ხომ არა გიტკივა = ამ შენს ვაჟს ხომ არა სტკივა რა?

4. მიჯობს. „ვაგლახი მიჯობს მღერასა“ («ვეფხ.», 235).

412. უქცევო ზმნები. ქცევაზე იმდენად შეგვიძლია ლაპარაკი, რამდენადაც ზმნის ფუძეს ძალა შესწევს ორი ფორმა მაინც გვიჩვენოს, რომლებიც ერთურთის დაპირისპირებით კუთვნილება-უკუთვნელობის გაგებას მოგვცემს. ამიტომ ისეთი ზმნები, რომელთაც საპირისპირო ფორმები აკლიათ, უქცეონი არიან, ასეთია, მაგ., ჰ-გონია, ჰქვია, ი-ცის, უ-ჭირავს, უ-ყვარს, ა-ქვს, ა-ხსოვს და მისთ., რომელთაც საპირისპირო ფორმები არ მოეპოვება. მაგრამ თუ მაინც ვინმე იტყვის, რომ ი-ცის სათავისო ქცევაა, ან უ-ყვარს სასხვისოვო, ხოლო ა-ქვს და ა-ხსოვს საარვისოვო, ეს ისე უნდა გავიგოთ, რომ ესენი წარმოების მიხედვით დგანან ქცევიანი ზმნების სათანადო ფორმების რიგებში. მართლაც, არ ითქმის *ცის (ან *ა-ცის) ან *უ-ცის, არამედ ი-ცის, რომელიც ისეა ნაწარმოები, როგორც, ვთქვათ, ი-შლის, ან ი-თლის, ან კიდევ ი-კეთებს, რომელთაც სხვა ფორმებიც მოეპოვებათ საპირისპიროდ:

შლის, ი-შლის, უ-შლის
თლის, ი-თლის, უ-თლის
ა-კეთებს, ი-კეთებს, უ-კეთებს და მისთ.

ამიტომ ი-ცის ზმნა უფუნქციო, ფორმალური სათავისოა, ისე როგორც უფუნქციო სასხვისოა მისი შესატყვისი ზმნები მეგრულად (უ-ჩქუ) და სვანურად (ხ-ო-ხალ), რომელთაც საპირისპირო ფორმები აკლიათ. ასეთი უცალო

ფორმა მოჩვენებით არის ქცევიანი: ი-ცის — მოჩვენებითი სათავისო, უ-ჩქუ და ხ-ო-ხალ — მოჩვენებითი სასხვისო.

არ ითქმის *ყვარს (ან *ჰ-ყვარს, *ა-ყვარს), არამედ მხოლოდ უ-ყვარს, რომელიც ისეა ნაწარმოები, როგორც უ-დის, ან უ-ცემს (ამ წინადადებიდან: „გული უცემს“, ან კიდევ უ-წუხს), რომელთაც საპირისპირო ფორმებიც მოეპოვებათ:

დის (ს-დის): უ-დის
ს-ცემს: უ-ცემს
წუხს: უ-წუხს და მისთ.

თუ ქართ. უ-ყვარს უქცეოა, უქცეო იქნება აგრეთვე მისი შესატყვისი ზმნები მეგრულად და სვანურად: მ. უ-ღორს, სვ. ხ-ა-ლატ, რადგანაც არც მათ აქვთ საპირისპირო ფორმები. ესენი რელატიური ზმნებია მხოლოდ და მათი ქცევიანობა მოჩვენებითია.

შეიძლება პარალელურად არსებობდეს ორი სხვადასხვა ფორმა, ერთურთის მიმართ თითქოს სათავისო და სასხვისო, მაგრამ თუ მათ სათანადო მნიშვნელობაც არ ახლავს, ნამდვილ ქცევაზე ლაპარაკი შეუძლებელია. მაგ., ა-ჩვენა-ც გვხვდება და უ-ჩვენა-ც, მაგრამ ფუნქციონალური განსხვავება მათ შორის არ ჩანს: „მაჩვენე“ და „მიჩვენე“ ერთია მნიშვნელობით. ვაჟას აქვს:

„მთვარეო, ბევრმა გიმღერა, ბევრმა გ ა შ ტ ე რ ა თვალები“ (I, 268). მაგრამ ზმნას იგივე მნიშვნელობა ექნებოდა, რომ პოეტს დაეწერა: ბევრმა გ ი შ ტ ე რ ა თვალები (ოღონდ ითქმის მხოლოდ „მი-ა-შტერდა“).

418. კუთვნილების გამოხატვა საარვისო ქცევის ფორმით. საარვისო ქცევა კუთვნილება-დანიშნულების თვალსაზრისით საზოგადოდ ნეიტრალურია, მაგრამ არის ხოლმე შემთხვევები, როცა მასაც შეუძლია კუთვნილების გაგება მოგვცეს. ეს ხდება მაშინ, როცა:

1. გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ ზმნას ორი ობიექტი ეწყობა, რომელთაგანაც ერთი მეორის ნაწილია, ან ერთი მეორის კუთვნილებაა. ანდაზაა: „პაპამ ტყემალი ჭამა და შვილიშვილს კბილი მოჰკვეთაო“. აშკარაა, რომ კბილი შვილიშვილისა არის, ისე როგორც კბილი ჩემია, როცა ვამბობ „ტყემალმა კბილი მომკვეთა“-მეთქი. იგივე ვითარებაა ამ მაგალითებშიც: მგელმა ცხვარს დუმა მოსჭამა, ხეს ტოტი მოსჭრეს, ჭიდაობის დროს ერთმა ბიჭმა მეორეს პერანგი შემოახია, ქეთომ კატოს ღილი მოჰგლიჯა, ჯიბიდან ფული ამომაცალეს, ამხანაგმა მხარზე ხელი დამკრა, ექიმმა გულზე ხელი დამადო, დედაბერს ქათამი მოჰპარეს, „ღვარმა დ ა მ ტ ა ც ა ხარები“ (ვაჟა, I, 29,5) და მისთ.. ოღონდ კუთვნილების გაგება აქ მოცემულია არა ზმნის ფორმით, არამედ იმ ურთიერთობით, რომელიც რეალურად არსებობს ობიექტებს შორის, როგორიცაა: შვილიშვილი და კბილი (ან მე და ჩემი კბილი), ცხვარი და დუმა, ხე და ტოტი, ბიჭი და პერანგი, კატო და ღილი, კაცი და ჯიბე, კაცი და მხარი, კაცი და გული, დედაბერი და ქათამი და მისთ..

2. მსგავსივე მდგომარეობაა მაშინაც, როცა გ ა რ დ ა უ ვ ა ლ ი ზმნა ორპირიანია: მუხლი მომეკვეთა, ცხვირიდან სისხლი მდიოდა, თავზე ბუზი გაზის და მისთ..

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. კუთვნილებითი ნაცვალსახელი ზედმეტია ზოგ შემთხვევაში, მაგრამ ნათარგმნ ტექსტში ის დედანთან დაახლოების მიზნით არის ნახმარი: „შემიწყალე ძე ჩემი" (მათ. 17,75 ჰაემ.); ორში ერთი: ან „შეიწყალე ძე ჩემი", ან „შემიწყალე ძე"); „ვინ შემახო სამოსელსა ჩ ე მ ს ა" (მარკ. 5,30). ამავე მოტივით არის მიღებული ასეთი კონსტრუქცია: „ჰუპყრა ჴელი ყ რ მ ი ს ა ჲ მ ი ს (მარკ. 5,41 ჰაემ.; მოსალოდნელი იყო· ჰუპყრია ჴელი ყ რ მ ა ს ა მ ა ს).

როცა გვაქვს საპირისპირო ფორმები: აბსოლუტური „დის" და რელატიური „უ-დის" („სუნი დის" — „სუნი უდის"), ვამბობთ: დის საარვისოა, „უდის" კი — სასხვისოო. მაგრამ, როცა გვაქვს აბსოლუტური „დის" და რელატიური „სდის" („ომში სისხლი ღვარივით დიოდა" და „დაჭრილ კაცს სისხლი სდიოდა"), აქ უკვე ძნელია იმის თქმა, რომ „დის" — „სდის" (შესაბამისად: „დიოდა" — „სდიოდა") ერთურთის პირისპირ საარვისო და სასხვისო იყოს.

საზოგადოდ ისე გადახლართულია ერთმანეთში სხვადასხვა ტიპის რელატიური ფორმები, რომ ზოგჯერ ჭირს გადაჭრით თქმა იმისა, თუ რასთან გვაქვს საქმე. მაგ., უეჭველია, რომ „მო-ვიდა" და „მო-მ-ი-ვიდა" ერთურთის მიმართ საარვისო და სასხვისოა (ჩ ე მ ი წ ე რ ი ლ ი მ ო ვ ი დ ა = წ ე რ ი ლ ი მ ო მ ი ვ ი დ ა), მაგრამ მეორე მათგანს აწმყოში ფუნქციის მიხედვით უფრო „მო-მდის" შეეფერება, ვიდრე „მო-მ-ი-დის": ჩემი წერილი მოდის — წერილი მომდის. საკითხავია: თუ იქ „მომივიდა" სასხვისოა, აქ მისი ცალი („მომდის") რაღა უნდა იყოს? საზოგადოდ არის კი ფუნქციონალური განსხვავება „მომდის" და „მომიდის" ფორმებს შორის? და მერმე ეს წყვილი· ხომ განმარტოებით არ დგას! რა განსხვავებაა, ვთქვათ, ამ ფორმებს შორის: „ალი აუვარდა პირზე" და „ალი აჰვარდა პირისა" (ვაჟა, I, 27,21)? ან კიდევ: პოეტური ლიცენციაა ვითომ „მშრება" ამ წინადადებაში: „მიხმება, მ შ რ ე ბ ა ხახაო" (ვაჟა, I, 245, 1 ქვ.)? სადაც „მიხმება" ითქვა, იქ უეჭველია „მიშრება" უნდა თქმულიყო, მაგრამ მარცვალთა რაოდენობამ პოეტი შეზღუდა და „მშრება" ათქმევინა. მაგრამ როგორ ათქმევინებდა, რომ გრამატიკული შინაარსით „მშრება" არსებითად იყოს განსხვავებული „მიშრება" ფორმისაგან?! შდრ. „ჴმითა კუნესისა ჩემისაჲთა შემჴმეს ჴორცნი ჩემნი ძუალთა ჩემთა" (ფს. 101,6).

ზემორე თქმულის გამო უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგჯერ გარდაუვალი ზმნის სასხვისო ქცევის ფორმა ორ-პირიანი რელატიურობის იქით ვერ მიდის და ამ შემთხვევაში მას შეიძლება სხვა ორ-პირიანი ფორმა ენაცვლებოდეს.

საზოგადოდ კი უნდა ვთქვათ, რომ მტკიცე გაგება ქცევისა გარდაუვალ ზმნებში იქ არის, სადაც კუთვნილება-დანიშნულება ისეთი გრამატიკული საშუალებით არის გამოხატული, რომელიც რელატიურ საპირისპირო ფორმაში ქცევის ნიშანს გვიჩვენებს და კონკურენტად მას სხვა რელატიური (უნიშნო) ფორმა გვერდით არ უდგას.

414. ფორმისა და ფუნქციის ურთიერთობის საკითხი ქცევის ფორმებში. ფორმისა და ფუნქციის ურთიერთობის საკითხს ქცევაში რამდენადმე უკვე შევეხენით (§§ 403, 407, 409, 410). დამატებით აქ უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: არის რიგი გარდამავალი ზმნებისა, რომლებიც იხმარებიან სათავისო ქცევით ან სასხვისოთი, მაგრამ შესაფერისი მნიშვნელობა არა აქვთ; ასეთებია:

ა) სათავისოს ფორმით: ა-ი-ღო, და-ი-ჭირა, და-ი-წყო, შე-ი-ნახა, გა-ი-ტანა, წა-ი-ყვანა, და-ი-ცვა, გა-ი-გო, მო-ი-წონა, და-ი-წუნა, შე-ი-პყრო, და-ი-ნახა და ბევრი სხვა.

ბ) სასხვისოს ფორმებით: გა-უ-შვა, წა-უ-სვა („წამალი წაუსვა").

აღნიშნული ფორმები რომ განმარტოებულნი ყოფილიყვნენ, ე. ი. უცალონი, როგორც, მაგ., და-უ-კრა ასეთს გამოთქმაში: „ფანდური დაუკრა" (ძველად ითქმოდა: „ფანდურს დაუკრა", ხევსურულში ეხლაც: „ფანდურს დამიკარ, ბერჭუნდო", «ხალხ. პ.», № 543, 2), ვიტყოდით, რომ უქცეო ზმნებიაო, მაგრამ საპირისპირო ფორმებიც აქვთ: აიღო — აუღო, დაიჭირა — დაუჭირა, დაიწყო — დაუწყო, შეინახა — შეუნახა, გაიტანა — გაუტანა, გაუშვა — გაიშვა, წაუსვა — წაისვა და მისთ.. მაშ როგორიღაა ეს ზმნები ურთიერთ შორის ქცევის თვალსაზრისით?

მივმართოთ მაგალითს: ი-ნახავს — შე-ი-ნახა. ამ ფორმით არ ჩანს არავითარი კუთვნილება: „სადილი შეინახა"-ო, რომ თქვეს, ვერ გავიგეთ, ვისი იყო, ან ვისთვის იქნა შენახული ეს სადილი. მაგრამ როცა თქვეს: „ძმას სადილი შეუნახა"-ო, გავიგეთ, რომ ან ძმის სადილი შეინახეს, ან სადილი შეინახეს ძმისთვის.

საინტერესოა, პარალელი გავიყვანოთ ამ ქართული ზმნის ფორმასა და სათანადო ზმნების ფორმებს შორის მეგრულსა და სვანურში. „ინახავს" ზმნა მეგრულად ასე ითარგმნება: „ჩუანს" (რომელსაც ეტიმოლოგიურად „სცავს" შეესატყვისება), სვანურად კი — „აშხჳნი". ქცევის თვალსაზრისით ერთიც და მეორეც უნაკლო ზმნებია, რადგანაც ყველა საპირისპირო ფორმა აქვთ: ჩუანს — ი-ჩუანს — უ-ჩუანს, ა-შხჳნი — ი-შხჳნი — ხ-ო-შხჳნი. ამ სამი ფორმის ნაცვლად ქართულს ორიღა აქვს, მესამე აკლია, მაგრამ სად? თუ ფორმიდან გამოვალთ, ერთი ვითარება გვექნება, და თუ ფუნქციის მიხედვით ვიმსჯელებთ, — სხვა ვითარება. როგორი თვალსაზრისითაც უნდა შევხედოთ საქმეს, „უ-ნახავს" სასხვისო იქნება მაინც. რაც შეეხება „ინახავს" ზმნას, ის ფორმის თვალსაზრისით ერთგან დაიჭერს ადგილს, ფუნქციის თვალსაზრისით კი — მეორეგან. მართლაც,

ა) თუ ფორმიდან გამოვალთ, ქართულ-მეგრულ-სვანური ზმნები შემდეგნაირად დალაგდებიან:

	საარვ.	სათავ.	სასხვ.
ქართ.	——	ი-ნახავს	უ-ნახავს
მეგრ.	ჩუანს	ი-ჩუანს	უ-ჩუანს
სვან	ა-შხჳნი	ი-შხჳნი	ხ-ო-შხჳნი

ბ) და თუ ფუნქციიდან გამოვალთ, ასეთი სურათი გვექნება:

	საარვ.	სათავ.	სასხვ.
ქართ.	ი-ნახავს	——	უ-ნახავს
მეგრ.	ჩუანს	ი-ჩუანს	უ-ჩუანს
სვან.	ა-შხჳნი	ი-შჳნი	ხ-ო-შხჳნი

მაშასადამე, ქართული „ინახავს" ერთ შემთხვევაში სათავისო ქცევის ფორმებთან არის (ი-ნახავს, ი-ჩუანს, ი-შხჳნი), გვაკლია საარვისო; მეორე შემ-

თხვევაში კი საარვისოს ფორმებს უდგას გვერდით (**ი-ნახავს**, **ჩუანს**, **ა-შხჳნი**), გვაკლია სათავისო.

პირველი თვალსაზრისი ფორმალიზმია, მეორე — ფუნქციონალიზმი. საკითხავია: რას უნდა მივსცეთ უპირატესობა, რა ქცევასთან გვაქვს საბოლოოდ საქმე? არის ეს შერეული ხასიათის ფორმა (ე. ი. იმისიც და ამისიც), თუ ერთ რომელიმე ქცევას უნდა მიეკუთვნოს გარკვევით? — ამ კითხვას ჩვენ ასე უნდა ვუპასუხოთ: წარმოშობით „ინახავს“, რა თქმა უნდა, სათავისო ქცევაა, მაგრამ დღეს ის საარვისოა. რომ ასეა, ამას შემდეგი ფაქტი ადასტურებს:

ა) სათავისო ქცევა (ისე როგორც სასხვისო ქცევა) III სერიის ფორმებს ვერ იკეთებს, ეს კი იკეთებს:ინახავს, შეინახა, შ ე უ ნ ა ხ ა ვ ს.

ბ) სათავისო ქცევის ფორმას ვნებითად ვერ მოაქცევ, ამისაგან კი ვნებითიც კეთდება: ინახება, შეინახება, შეინახა, შენახულა.

გ) საარვისო ქცევისაგან შუალობითი კონტაქტის ფორმები **ა**-თიაა ნაწარმოები და სათავისოსაგან **ი**-თი, ამას კი შუალობითში **ა** მოუდის: შე-**ი**-ნახა, მაგრამ: შე-**ა**-ნახვინა.

ყველა ეს საბუთია იმისა, რომ „ინახავს“ — „შეინახა“ დღევანდელი ენის ქცევათა სისტემაში საარვისოდ იქნეს მიჩნეული და, მაშასადამე. ფორმისა და ფუნქციის სადაო საკითხში უპირატესობა ფუნქციას მიენიჭოს.

„ინახავს“ — „შეინახა“ დღეს საარვისოა და, სხვათა შორის, ამით აიხსნება, რომ მას ადვილად უკეთდება ფორმები, სადაც პირდ. ობიექტად 1-ლი და მე-2 პირია: „მინამ ერთი ორიოდ გროში მქონდა და ვხარჯავდი, მინამ მ ი ნ ა ხ ა“ (ჭავ., «გლ. ნაამბ.»); „მენა შენ მ ი ნ ა ხ ა ვ დ ი და მენა შენ გ ი ნ ა ხ ა ვ დ ი“ (ჭავ., «გლ. განთ. სც.»).

მსგავსად ამისა, და-**ი**-წყებს ზმნა „სათავისო“ ქცევაა, მაგრამ სათავისოა ფორმის მიხედვით, წარმოების ძალით, თორემ ფუნქციით საარვისოდ არის ქცეული. გრამატიკული შინაარსის დაცილება გარეგნული ფორმისაგან, ანუ ფუნქციის გადანაცვლება აქაც იმით არის გამოწვეული, რომ მესამე ფორმა გვაკლია: არ მოიპოვება საარვისოსთვის განკუთვნილი ფორმა: *და-წყებს ან *და-**ა**-წყებს (როგორც არ არის *შე-ნახავს ან *შე-**ა**-ნახავს). სულ სხვაა, მაგ., „დაწყობა“ ზმნა („დალაგების“ მნიშვნელობით), რომელსაც სამივე ქცევის ფორმა მოეპოვება და ამიტომ მისი „და-ი-წყობს“ ნამდვილი სათავისო ქცევაა (და-**ა**-წყობს შეშას, და-**ი**-წყობს შეშას, და-**უ**-წყობს შეშას), ხოლო მასთან შედარებით „და-ი-წყებს“ ფორმის „სათავისობა“ მოჩვენებითია.

რაც „შეინახა“ და „დაიწყებს“ ზმნების შესახებ ითქმის, იგივე შეიძლება ითქვას სხვა ამავე ტიპის ზმნათა შესახებაც, რომლებიც ზემოთაა ჩამოთვლილი.

არსებითად იგივე ითქმის სასხვისო-ფორმიან **უ**-შვა და **უ**-სვა ზმნების შესახებაც (ა-**უ**-შვა, გა-**უ**-შვა, მი-**უ**-შვა, შე-**უ**-შვა და სხვა; წა-**უ**-სვა, მო-**უ**-სვა, და-**უ**-სვა და სხვა), იმ განსხვავებით ოღონდ, რომ „უშვა“ ჩვეულებრივ ორ-პირიანია (გაუშვა მან იგი), „უსვა“ კი — სამ-პირიანი. „წა-უ-სვა“ და „წა-ი-სვა“ ისეთ ურთიერთობაშია ერთმანეთთან, როგორც „ჰკრა“ და „იკრა“, ან „ასესხა“ და „ისესხა“. გა-**უ**-შვა-ს, მართალია, საპირისპირო ფორმა მოეპოვება გა-**ი**-შვა-ს სახით, მაგრამ გა-**ი**-შვა და გა-**უ**-შვა ერთურთის მიმართ მნიშვნელობით ისეთსავე მდგომარეობაშია, როგორც გა-**ი**-კეთა და გა-**ა**-კეთა ან და-**ი**-წერა

და და-ა-წერა, ე. ი. გა-უ-შვა ფორმას სასხვისო ქცევის ფუნქცია კი არ აქვს, არამედ საარვისოსი. ასეთი გადანაცვლება ფუნქციისა იმით არის გამოწვეული, რომ არ მოიპოვება მესამე ფორმა (უნიშნო ან ანით ნაწარმოები, ვთქვათ, *გა-შვა ან *გა-ა-შვა), რომელთან დაპირისპირებითაც „გა-უ-შვა" ფორმა შეძლებდა სასხვისო ქცევის ფუნქცია შეენარჩუნებინა.

საყურადღებო ფაქტია, რომ გა-უ-შვა ზმნამ ამავე ტიპის ზმნა შეცვალა, რომელიც ძველად იხმარებოდა: გა-ნ-უ-ტევა. ამ წინადადებაში: „აწ განმიტევე მონაჲ შენი, უფალო, სიტყჳსაებრ შენისა მშჳდობით" (ლუკ. 2,29) ზმნა 1-ლ პირს პირდაპირ ობიექტად წარმოგვიდგენს, ისე როგორც ამაში: „შინ გამიშვი".

შენიშვნა. რა თქმა უნდა, ზოგჯერ „გამიშვი" ფორმაში ერთ-ერთი პირი შეიძლება ირიბიც იყოს, როგორც, მაგ., აქ: „ხელი გამიშვი" და, მაშასადამე, ზმნა სამ პირს გამოხატავდეს, მაგრამ უმეტესად ის ორ-პირიანია და ობიექტური პირი — პირდაპირი.

415. ქცევა და ასპექტი. ქცევის ფორმებს არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ასპექტის ფორმებთან, იქნება ასპექტი ძველი სისტემით გამოხატული თუ ახლით. მაგრამ არის რამდენიმე ზმნა, სადაც სხვადასხვა ქცევის ფორმა თითქო ასპექტური დიფერენციაციისთვის არის გამოყენებულიო, — საარვისო ფორმები უსრულად მიდის, სასხვისო კი — სრულად: ჰკბენს — უკბენს, სჩხვლეტს — უჩხვლეტს, სჩქმეტს — უჩქმეტს, ჰრქენს — ურქენს. „რა-გინდ ვარამმა მკბინოსა" (ვაჟა, I, 43, 21) — აქ „მკბინოს" უსრულია, სრული იქნება: მიკბინოს. განსხვავება დაიკარგება III სერიაში: მკბენს — მიკბენს, მკბინა — მიკბინა, მაგრამ: უკბენია.

რომ აქ ქცევა არაფერ შუაშია, იქედან ჩანს, რომ ასეთივე დიფერენციაცია სხვანაირად ნაწარმოებ ფორმებს შორისაც გვხვდება: ჰკოცნის — აკოცებს, სჯობნის — აჯობებს, ჰვნებს — ავნებს, სწყენს — აწყენს, სტკენს — ატკენს. II სერიის ფორმები პირველი წყვილის ორივე ცალს აქვს: ჰკოცნა — აკოცა, სხვა წყვილებიდან კი — მხოლოდ მეორე ცალებს: აჯობა, ავნო, აწყინა, ატკინა.

416. პირთა რაოდენობის საკითხი ქცევასთან დაკავშირებით. პირთა რაოდენობის საკითხი ქართ. ზმნაში საზოგადოდ გარკვეულია: გარდაუვალ ზმნას შეიძლება ჰქონდეს ერთ-პირიანი და ორ-პირიანი ფორმები, გარდამავალს კი — ორ- და სამ-პირიანი. ეს ზოგადი დებულება ურყევია ქცევის კატეგორიის შესწავლის შემდეგაც. მაგრამ არის ზოგიერთი კერძოობითი ხასიათის მოვლენა, რომლებიც გვავალებს, — თქმულის თანახმად (§ 241), — საკითხს კვლავ დავუბრუნდეთ.

1. დავიწყოთ გარდაუვალი ზმნიდან. მაგალითისთვის მივმართოთ სტატიკურ „აცვია"-ს. ეს ზმნა ორ-პირიანია, მისი საგუებლებია: იგი მას. აქ სუბიექტიცა და ობიექტიც მე-3 პირია. თუ „აცვია" ორ-პირიანია, ორ-პირიანივე იქნება „მაცვია"-ც, რომელიც მისეულ-ჩემეული ფორმაა, სადაც სუბიექტია მე-3 პირი, ობიექტია 1-ლი (მაცვია: იგი მე). რაკი ზმნა გარდაუვალია, ცხადია, რომ 1-ლი პირი აქ ირიბი იქნება. მაგრამ „აცვია" — „მაცვია" ფორმათა გვერდით არსებობს იშვიათი ფორმა „მიცვია", რომელიც უფრო ალმოს. კილოებმა იცის (§ 411). ეს „მიცვია" არ უდრის არც „მაცვია"-ს და არც „აცვია"-ს,

რადგანაც ამათი ობიექტური პირი უკუთვნელია; „მიცვია“-ში კი კუთვნილების გაგებაა შეტანილი და დაახლოებით ამას უდრის: აცვია *ჩემსას*. ამიტომ ფრაზა: „ცოლს არ *მიცვია* კაბა“ ამას ნიშნავს: „*ჩემს* ცოლს არ *აცვია* კაბა“, მაშასადამე, ირიბი ობიექტი განსაზღვრულია კუთვნილების თვალსაზრისით: ის 1-ლ პირს ეკუთვნის. ეს 1-ლი პირი ობიექტია, მაგრამ *მფლობელი ობიექტი*. ამიტომ, თუ „აცვია“-ს საგუებელია „მას იგი“, „მიცვია“-ს საგუებელი იქნება „ჩემსას იგი“, სადაც „ჩემსას“ ფორმაში არსებითად ორი საგუებელია შეერთებული: „მე იგი“.

რაც „მიცვია“-ს შესახებ ითქვა, იგივე (ან მსგავსი რამ) შეიძლება ითქვას იმავე ტიპის სხვა ზმნების შესახებაც, რომლებზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი (§ 411): *მიმართებს* — ჰმართებს მას *ჩემი*, *მიხურავს* — ჰხურავს (ახურავს) იგი *ჩემსას*, *უსხიათ* — ასხია ის *მათს*, *უბიათ* — აბია იგი *მათს*, *მიმეპყარ* — მიეპყარ შენ *ჩემსას*, არ *შეგვიცივდეს* — არ შესცივდეს *ჩვენსას* და მისთ.. ამ საგუებლებში *ჩემი*, *ჩვენი*, *ჩემსას*, *ჩვენსას*, *მათს* სათანადო პირს მფლობელად წარმოგვიდგენენ და კუთვნილების თვალსაზრისით სუბიექტს (ან მეორე ობიექტს) განსაზღვრავენ.

ამ მოსაზრებით „მიცვია“, „მიმეპყარ“ და მისთანა გარდაუვალი ზმნები სამ-პირიანი ჩანს. ეს სამ-პირიანობა იქედან მომდინარეობს, რომ, როცა ფორმა უკუთვნელია, ფორმა ორ-პირიანია (აცვია, მიეპყარ), ემატება კუთვნილების გამომხატველი პირი და ფორმა სამ-პირიანი ხდება: მიცვია, მიმეპყარ. ამ სამ პირთაგან ერთი სუბიექტია და ორი ირიბი ობიექტი. ამ ობიექტთაგან ერთი მფლობელია, მეორე — უბრალო.

მაშასადამე, გარდაუვალ ზმნაში, სუბიექტურ პირს გარდა, შეიძლება გამოხატულ იქნეს ორი ობიექტი, რომელთაგანაც ერთი მიიკუთვნებს სუბიექტს ან მეორე ობიექტს და ამის გამო მფლობელ ობიექტს ვეძახით. პირის ნიშანი ამ მფლობელ ობიექტს მოუდის და არა მეორეს, ამიტომ მისი გაგება მკვიდრია და ნათელი, მეორისა კი — მკრთალი.

2. ეხლა *გარდამავალი* ზმნები ვნახოთ. მაგალითად ავიღოთ „მიმიბა“ („არ მიმიბას ყური სამშჳლითა დუქანსა ჩემსა და არ მიცეს წიხლი დარბაზსა ამას ჩემსა ათაბაგმან შენმან ამისთჳს“, (§ 402). საარვისო ქცევით ეს ზმნა სამ-პირიანია იმ შემთხვევაშიაც, როცა ცვალებადად ირიბია (მომაბა: მან მე იგი, მოგაბა, მიაბა) [§ 294]. რომელი ობიექტური პირიც უნდა ავიღოთ, ეს პირი ყველგან „წმინდა“ ობიექტი იქნება. მაგრამ თუ ფორმას გადავიყვანთ სასხვისოში, პირთა რაოდენობას მოემატება ერთი, რომელიც მფლობელს აღნიშნავს. სხვა პირები კი უცვალებელი დარჩება: *მიაბა* — მან მას იგი, მაგრამ *მიმიბა* — მან მას *ჩემი* (ან *ჩემსას*). ეს „ჩემი“ (ან „ჩემსას“) განსაზღვრებაა პირდ. ობიექტისა (*ჩემი ყური*), ან ირიბი ობიექტისა („ჩემს დუქანს“). რადგანაც ამ განსაზღვრებით თვით ეს ობიექტიც არის მითითებული, ამიტომ თეორიულად „მიმიბა“ ფორმა 4 პირს შეიცავს. მაგრამ ამ პირთაგან ნიშანი მარტო ორს მოუდის: სუბიექტს და მფლობელ ობიექტს, ცვლითაც ესენი იცვლებიან პირისა და რიცხვის მიხედვით, ე. ი. უღლების თვალსაზრისით ესენია მნიშვნელოვანი. ამიტომ ამ ორი პირის გაგება ნათელია და მკვიდრი,

დანარჩენებისა კი — მკრთალი. რა თქმა უნდა, ასეთ გარდამავალ ზმნას შეიძლება ოთხი სახელი შეეწყოს: სუბიექტი, პირდაპირი, მფლობელი ირიბი და „წმინდა“ ირიბი, მაგრამ პირთა რაოდენობის საკითხი ზმნაში დამოკიდებულია იმაზე, თუ რა საშუალება მოეპოვება ზმნას ფორმა-ცვალებისათვის პირსა და რიცხვში, ე. ი. რა შემადგენელი ნაწილები იღებენ აქტიურ მონაწილეობას ფორმა-ცვალებაში. ამ თვალსაზრისით ფორმის აქტიური მონაწილეებია: სუბიექტური პირი და ის ობიექტური პირი, რომელსაც კუთვნილების გაგება ახლავს, ე. ი. მფლობელი ირიბი. სხვა ობიექტური პირები კი (გარდაუვალში ერთი, გარდამავალში ორი) უცვალებელია და ფორმათა შენების თვალსაზრისით პასიური[1].

ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ნათელია, რომ მფლობელი ირიბი კუთვნილების მიხედვით განსაზღვრავს ან პირდ. ობიექტს [„ეს მამალი არაფერს შემიჭმიოთო“ — პირდაპირია „მამალი“, ირიბია სხვა რამე (ტურა, მელა და სხვა)], ან ირიბს [„ცხენსაც ლამაზად მიჭმევდენ“, — პირდაპირია საჭმელი (ქერი, თივა და სხვა, რომელიც აქ არ არის, მაგრამ შეგვიძლია ვიგულისხმოთ), ირიბია „ცხენი“]. წყვეტილში გადაყვანით და „ქერის“ ობიექტად შეწყობით წინადადება ასე გაიმართება: „ც ხ ე ნ ს ა ც ლამაზად მიჭმიეს ქ ე რ ი“. მაგრამ იგივე „ცხენი“ პირდაპირად გადაიქცევა, თუ ირიბად სხვა რამეს ვიგულებთ: „ცხენიც ლამაზად შემიჭმიეს მგელს“.

აქედან დასკვნა: არის შემთხვევები, როცა გარდაუვალი ზმნა სამ-პირიანი ჩანს და გარდამავალი — ოთხ-პირიანი. მაგრამ იქაც და აქაც ნათლად და მკაფიოდ მხოლოდ ის პირებია გამოხატული, რომელთაც ცვალების საშუალება აქვთ. ასეთი საშუალება კი ქართულ ზმნაში მარტო ორ პირს აქვს: სუბიექტურს და ერთ ობიექტურს. მორფოლოგიურ საშუალებათა ასეთი შეზღუდულობით არის განსაზღვრული, რომ მესამე პირი გარდაუვალ ზმნაში და მესამე და მეოთხე პირი გარდამავალში ნათელ წარმოდგენას ვერ გვაძლევენ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ძვ. ქართულში უცვალებელი პირდ.-ობიექტური პირი სამპირიანი ზმნისა მხოლოდ რიცხვის მიხედვით იღებდა მონაწილეობას ფორმათა შენებაში, ისიც გარკვეულ შემთხვევებში (თუ ზმნა II სერიაში იდგა): „დამიწერა სიგელი“ — „დამიწერ-ნ-ა სიგელნი“. მაგრამ ეს ნიშანი დაკარგულია ახალ სალიტერატურო ქართულში.

417. ქცევის საკითხი ინდოევროპულ ენებში. ქცევა მკაფიოდ გამოხატული გრამატიკული კატეგორიაა ქართულსა და მოძმე ენებში — მეგრულ-ჭანურსა და სვანურში: გარდამავალ ზმნებში აქ სამ-სამი ფორმა გვაქვს კუთვნილება-დანიშნულების მიხედვით განსხვავებული, გარდაუვალ ზმნებში კი — ორ-ორი. სხვა ენებში, რამდენადაც ვიცი, ეს კატეგორია ცალკე გამოყოფილი არ არის, მაგრამ ჩემთვის უეჭველია, რომ ის ინდოევროპულ ენებსაც მოეპოვებათ, თუმცა არა ისე მკაფიოდ გარჩეული, როგორც ეს ჩვენს ენებშია. მაგ., ძველი ბერძნულისათვის აშკარად უნდა დაისვას საკითხი იმის შესახებ, რომ მას ქცევის კატეგორია მოეპოვება გარდამავალ ზმნებში, რომელთაც გარკვეულ

[1] „აქტიური“ და „პასიური“ ამ შემთხვევაში ჩვეულებრივი მნიშვნელობით არის ნახმარი და არა გრამატიკულისა

შემთხვევებში (მაგ., აორისტში) ორ-ორი ფორმა აქვთ ერთმანეთისაგან მკვეთრად გარჩეული კუთვნილება-დანიშნულების მიხედვით როგორც ფორმით, ისე ფუნქციით: საარვისო და სათავისო. მაგრამ ძველ გრამატიკოსებს ბერძნული სათავისო ქცევის ფორმები ისეთ ფორმებად მიაჩნდათ, რომლებიც თითქოს თანაბრად შეეზომებოდეს მოქმედებითსა და ვნებითს. ამიტომ მიღებული იყო სამ-გვარიანი სქემა: მოქმედებითი — ვნებითი — საშუალი (აქტივი პასივი — მედიუმი), რომელსაც დღევანდელი ევროპელი ენათმეცნიერებიც სავსებით იზიარებენ.

აქტივი	პასივი	მედიუმი
ἐπαίδευσε(ν)	**ἐπαιδεύθη**	**ἐπαιδεύσατο**

თუ ამ ფორმებს შევხედავთ გვარისა და ქცევის კატეგორიების შესწავლის შემდეგ ქართ. ენის მასალებზე, აღმოჩნდება, რომ ისინი ერთი სიბრტყის მოვლენას კი არ ასახავენ, არამედ სხვადასხვისას: პირველი და მეორე ერთმანეთს კონვერსიის მიხედვით შეეზომება, პირველი და მესამე — კუთვნილება-დანიშნულების მიხედვით. ამიტომ განსხვავება პირველსა და მეორეს შორის გვარის მიხედვით არის, პირველსა და მესამეს შორის — ქცევის მიხედვით. მეორე და მესამე კი თანაშეუზომელი ფორმებია. ამ გარემოებას ქართული თარგმანი გამოააშკარავებს:

	აქტივი	პასივი
გ ვ ა რ ი	**ἐπαίδευσε(ν)**	**ἐπαιδεύθη**
	[მან აღზარდა (იგი)]	[იგი აღიზარდა]
	საარვისო	სათავისო
ქ ც ე ვ ა	**ἐπαίδευσε(ν)**	**ἐπαιδεύσατο**
	[მან აღზარდა (იგი)]	[მან აღიზარდა (იგი)]

ერთად-ერთი განსხვავება ქართულსა და ბერძნულს შორის პირთა რაოდენობაა გარდამავალ ზმნაში. სხვაფრივ ქართ. და ბერძნული ზმნა თანაბარია. ცხადია, ბერძნულს ქცევის კატეგორია აქვს, მაგრამ მარტო გარდამავალ ზმნებში და ისიც არა ყველა მწკრივში. მაგრამ თუ ქცევის კატეგორიის გვარიდან გამოთიშვა ვერც ძველმა გრამატიკოსებმა მოახერხეს და ვერც ეხლანდელმა ბერძნული ენის სპეციალისტებმა, ეს იმიტომ, რომ ბერძნულში ეს კატეგორია მკაფიოდ გამოხატული არ არის, ბევრგან წაშლილია განსხვავება სათავისო ქცევის ფორმასა და ვნებითი გვარის ფორმას შორის, ერთსა და იმავე „მედიალურ“ ფორმას შეუძლია გარდამავალიც იყოს (მაშასადამე, სათავისოობა გასწიოს) და გარდაუვალიც (მაშასადამე, ვნებითი გვარის როლი შეასრულოს).

აქედან დასკვნა: გვარის კატეგორიიდან უნდა გამოიყოს ქცევის კატეგორია და მას დამოუკიდებელი ადგილი მიეჩინოს ბერძნულში და სხვა ინდოევროპულ ენებში, სადაც სათავისო ფორმები, მედიუმად წოდებული, გადმონაშთის სახით არის მოღწეული (შდრ. § 375).

418. სათავისო ქცევისა და ინიანი ვნებითის ურთიერთობისათვის. სათავისო ქცევის ნიშანია პრეფიქსი **ი**: და-**ი**-წერა. **ინიანი** ვნებითის ფორმები მხოლობითში საზოგადოდ სავსებით იგივეა. რაც სათანადო სათავისოსი: დაიწყო ა) он начал то; ბ) оно началось. სათანადო მაგალითი ლიტერატურიდან: „რომელმან **განიკითხოს**, იგიცა **განიკითხოს** და რომლითა კუერთხითა სცეს, მითვე იგუემოს“ (ბასილი კესარიელი, სინანულისათვს და სიკუდილისა: «მამათა სწავლანი». 149,10—11). პირველი **განიკითხოს** მოქმედებითია, მეორე ვნებითი (=განკითხულ იქნება).

პრეფიქსი **ი** მოუდის აგრეთვე გარკვეული ტიპის ზმნებს აბსოლუტური აგებულებისას ვნებითში: და-**ი**-წერა. საკითხავია: შემთხვევითია ეს გარემოება, თუ არა? თუ შემთხვევითი არ არის, ხომ არ შეიძლება საკითხი დაისვას იმის შესახებ, რომ ორივე **ი** ერთია წარმოშობითო? ამ საკითხის გადასაწყვეტად სამი გარემოებაა საყურადღებო:

1. სათავისო ქცევა მოქმედ. გვარის კუთვნილებაა. მართალია, მას აკლია საპირისპირო ვნებითი, მაგრამ სხვაფრივ ის ყველაფრად თანაბარია ორ-პირიან საარვისოსთან, რომელთანაც ის გარკვეულ კავშირშია. მოქმ. გვარის ზმნა საზოგადოდ გარდამავალია, გარდამავალია სათავისოც, მაგრამ ქართულში ხშირად ადგილი აქვს სათავისო ფორმის გარდაუვალად გამოყენებას. ეს ხდება მედიოაქტივ ზმნებში (§§ 370. 371). რომლებიც დანაკლის ფორმათა შესავსებად თავისივე ფუძის მოქმ. ზმნის სათავისოს მიმართავენ: ცხოვრობს, ცხოვრობდა, ცხოვრობდეს, მაგრამ: ი-ცხოვრებს. ი-ცხოვრა. დღეს ჩვენ ერთისა და იმავე ზმნის ფორმებად გვესმის „ცხოვრობს“ და „ი-ცხოვრა“, მაგრამ ისინი წარმოშობით სხვადასხვა ზმნებია: „იცხოვრებს“ არის სათავისო ქცევა, რომელსაც საარვისოდ „აცხოვრებს“ აქვს. მაგრამ ეს სათავისო ქცევის ფორმა დაცლილია ქცევის შინაარსისაგან იმით, რომ მას პირდ. ობიექტი ჩამოეცალა და უობიექტოდ დამრჩალი ზმნა გარდაუვალი გახდა. მიუხედავად ამისა. მას შერჩენილი აქვს ორი ნიშანი გარდამავალი ზმნისა, ერთი სინტაქსური, მეორე მორფოლოგიური: ა) II სერიის ფორმებთან მას სუბიექტი მოთხრობითში მოუდის (ი ც ხ ო ვ რ ა კ ა ც მ ა), ბ) III სერიის ფორმები ინვერსიულად აქვს ნაწარმოები და ამასთან დაკავშირებით სუბიექტი მიცემითში უდგას (უ ც ხ ო ვ რ ი ა კ ა ც ს).

„აცხოვრა“-ს სუბიექტიც აქვს და პირდ. ობიექტიც: კოტემ კარგად აცხოვრა ცოლ-შვილი; სხვათა შორის პირდ. ობიექტად მასთან უკუქცევითი ნაცვალსახელი „თავი“-ც შეიძლება იყოს („თ ა ვ ს საცა უნდა ვ ა ც ხ ო ვ რ ე ბ“, ვაჟა, V, 6, 11). მაგრამ სადღაა პირდ. ობიექტი სათავისოსთან? „იცხოვრა მან“, მაგრამ რა იცხოვრა? — თითქო „თავი“, რომელიც დაიკარგა, რადგანაც ერთად-ერთი იყო და ამიტომ ადვილად საგულისხმებელი. პირდ. ობიექტის დაკარგვით ზმნამ გარდამავლობა დაკარგა და ამით ის საშუალს გაუთანაბრდა და მისი დანაკლისი ფორმების შევსებაც იკისრა. მის აქტივ წარმოებას მარტო მისი სინტაქსური ძალა გვაგონებს II და III სერიაში და მორფოლოგიური ნიშანი III-ში (ინვერსია). მაგრამ ერთიც ვნახოთ, ზმნამ ხელი აიღო ამ ნიშნებზედაც და გაუთანაბრდა სხვა ტიპის ვნებითებს. რაღა დაგვრჩება მაშინ აქტივი ფორმისაგან? — არაფერი და... მაშინ წარმოშობით აქტივი ფორმა ნამდვილ პასივად გადაიქცევა.

ასეთი განვითარების გზა უნდა ჰქონდეს გავლილი ინიან ვნებითს ქარ-
თულში.

მართლაც, ობიექტიანი საარვისო „გა-ა-ხარა“ („დედამ ბავშვი გაახა-
რა“) და უობიექტო სათავისო „გა-ი-ხარა“ („ბავშვმა გაიხარა“) ფუნქციო-
ნალურად ისეთსავე ურთიერთობაშია ერთმანეთთან, როგორც აქტიურ-პასიუ-
რი ფორმები: გაზარდა—გაიზარდა, გაამდიდრა—გამდიდრდა, გაახმო — გახმა,
ატეხა—გატყდა და მისთ., სადაც კონვერსია აშკარად გამოხატული მოვლენაა
პროპორციაა: დედამ ბავშვი გაახარა: დედამ ბავშვი გაზარდა=ბავშვმა გაი-
ხარა: ბავშვი გაიზარდა). ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ უობიექტო „გაიხა-
რა“ ვნებითიაო, მაგრამ, თუ ვამბობთ, რომ „გაიხარა“ საშუალია და არა
ვნებითიო, იმიტომ, რომ II სერიის ფორმებთან სუბიექტი მას მოთხრობითში
შეწყობა და არა სახელობითში (ბავშვმა გაიხარა); დასძინეთ ამას ინვერსია
III სერიის ფორმებში (გაუხარნია“) და სუბიექტის შეწყობა მიცემითში
(„ბავშვს გაუხარნია“) და აშკარა გახდება, რომ მისი ვნებითად გამოცხადება
შეუძლებელია.

2. ინიანი ვნებითის კავშირს მოქმედებითთან ის უცილობელი ფაქტი
ამჟღავნებს, რომ სუბიექტური პირის ფორმები ვნებით ძვ. ქართულში (ნაწი-
ლობრივ ახალშიც) ორივე რიცხვის მიხედვით იმგვარადვე აქვს ნაწარმოები,
როგორც სათანადო მოქმედებითს პირდ.-ობიექტური პირის ფორმები მხ.-სა და
მრ.-ში. ამას თვალსაჩინოდ შემდეგი მაგალითი გვიჩვენებს:

	აქტივი		პასივი
ობ. მხ.	3.1 აღმზარდა	სუბ. მხ.	1 აღვიზარდე
	3.2 აღგზარდა		2 აღიზარდე
	3.3 აღზარდა		3 აღიზარდა
ობ. მრ.	3.1 აღმზარდ-**ნ**-ა	სუბ. მრ.	1 აღვიზარდ-**ენ**-ით
	3.2 აღგზარდ-**ნ**-ა		2 აღიზარდ-**ენ**-ით
	3.3 აღზარდ-**ნ**-ა		3 აღიზარდ-**ნ**-ეს

ეს დამთხვევა პასივისა აქტივის ფორმებთან, რაც მარტო პრეფიქსიან
ვნებითს ახასიათებს, არ არის შემთხვევითი. საქმე ის გახლავს, რომ, როგორც
არა ერთხელ არის ნათქვამი, პასივი აქტივის კონვერსიული სახეა: აქტივის
პირდაპირ-ობიექტური პირი პასივში სუბიექტური ხდება. ამიტომ პასივში სუბ.
პირის ფორმები ორ-ფუძიანობას იჩენენ: მხ.-ში მარტივი ფუძე აქვთ, მრ.-ში
რთული, **ენ** აფიქს-დართული. ეს იმიტომ, რომ პასივის ფორმები სუბ. პირი-
სათვის აქტივის პირდ.-ობიექტურის ფუძეს ეყრდნობა: მხოლობითში მხოლო-
ბითისას, მრავლობითში მრავლობითისას.

3. არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც შუქს ჰფენს ინიანი პასივისა
და სათავისოს ურთიერთობის საკითხს: რით აიხსნება ის გარემოება, რომ
დეპონენსებს ფორმა ვნებითისა აქვს და ფუნქცია მოქმედებითისა (§ 365)? —
იმით, რომ ინიანი ვნებითი მოქმედებითისაგან არის წარმოშობილი, სახელ-
დობრ სათავისო ქცევის ფუძისაგან.

უეჭველია, ქართული მოვლენის ანალოგიას წარმოადგენს ინდოევროპუ-
ლი პასივის წარმოშობა მედიალური ფორმისაგან. ბერძნული მედიუმი კი, რო-

გორც გამოირკვა (§ 417). გარკვეულ შემთხვევებში სხვა არა არის რა, თუ არა სათავისო ქცევა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. გასარკვევი რჩება საკითხი **ე**ნიანი ვნებითის შესახებ. ნ. მ ა რ ი ფიქრობდა, რომ **ე** მიღებულია შერწყმის გზით **აი** ჯგუფისაგანო: **აი→ეი→ეa→Ʉ→ე**: *მ-ა-ი-სმის→მ-ე-სმის (Грамм., 138). ასე რომ იყოს საქმე, მაშინ **ე**ნიანი ვნებითი **ი**ნიანისაგან იქნებოდა გამოსული და მისი წარმოშობის საკითხიც მასთან ერთად გადაწყდებოდა.

419. ქცევის კატეგორიის შესწავლის ისტორიიდან. კარგა ხანია შენიშნულია ე. წ. „მიჩემებითი" ანუ „მიკუთვნილებითი" ფორმები ქართ. ზმნისა (ცნობები მოეპოვებათ დ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ს, პ. კ ვ ი ც ა რ ი ძ ე ს, კ. დ ო დ ა შ ვ ი ლ ს, ა. ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე ს, თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა ს, ს. ხ უ ნ დ ა ძ ე ს და სხვებს), მაგრამ არ იყო გამორკვეული, თუ რა ურთიერთობაა „მიჩემებითსა" და მიუჩემებელ ფორმებს შორის და რას წარმოადგენს არსებითად მიჩემებითი ფორმები.

პ. შ უ ხ ა რ დ ტ ი ფიქრობდა, რომ ქართ. ზმნას აქვს ოთხი ძირითადი ფორმა: ერთი უნიშნო (ვ-ს-წერ) და სამი ნიშნიანი: **ა** (ვ-ა-წერ), **ი** (ვ-ი-წერ), **ე** (ვ-ე-წერები). **უ** კი (მე-3 ობ. პირში) პარალელური ფორმაა **ი**ნისაო (Über das Georgische, ვენა, 1895, გვ. 15). მათი ფუნქციის შესახებ ის არას ამბობს.

ნ. მ ა რ ი გამოდიოდა ქართულისა და სემიტური ენების ნათესაობის თეორიიდან, რომელიც მანვე შექმნა და ქართ. ქცევათა ფორმებს განიხილავდა ისეთ ფორმებად, რომლებიც არაბულად ნავყის სახელით არის ცნობილი (ნავღ), რუსულად კი порода-თი აღინიშნება. პირველად მას ორსავე გვარში ოთხი ნავყი მიაჩნდა.

მოქმედებითი		ვნებითი	
ნიშანი	მაგალითი	ნიშანი	მაგალითი
I. —	ვწერ	—	ვწყრები
II. **ი**	ვისმენ	**ი**	ვიწერები, ვიცხადები
III. **ა**	ვაჩერებ, ვაცხადებ	**დ(ნ)**	ვჩერდები, ვცხა**დ**დები
IV. **ა—ინებ**	ვ-ა-ჩერებ**ინებ**, ვ-ა-ცხადებ**ინებ**	**ე**	ვეცხადები

მეოთხე ნავყი ნ. მ ა რ ს მეორეულ მოვლენად მიაჩნდა: მოქმედებითში ის ნაწარმოებია III ნავყისაგან, ვნებითში კი—II-ისაგანაო (Осн. таблицы, 1908, ტაბ. XI).

ეგევე სქემა გაიმეორა მან 17 წლის შემდეგაც, 1925 წელს გამოსულს ქართულს გრამატიკაში (ტაბ. VIII, გვ. 141), ოღონდ დაურთო მეხუთე ნავყი, რომელსაც ნიშნად **ტ** აქვსო: ვ-კუნ-ეტ, ვ-სხლ-ეტ, ვ-შრ-ეტ, ვ-წრ-ეტ (გვ. 140).

როგორც ვხედავთ, порода ტერმინით ნ. მ ა რ ს სულ სხვადასხვა სახის მოვლენები აქვს გაერთიანებული.

არაბული გრამატიკის გავლენა არ ასცდა არც ჩემს პირველ ცდას, რომ ქცევის მოვლენები გამეაზრებინა როგორც სისტემა ყველა ფორმათა წარმოებისა ერთი ფუძისაგან:

ნიშანი	მაგალითი	ნიშანი	მაგალითი
	[მოქმედ.]		
1. —	და-წერა (ძირით.)	5. **ა—ინ**	და-ა-წერ-**ინ-ა**
—	მი-ს-წერა (პარალ.)	6. **უ—ინ**	და-**უ**-წერ-**ინ-ა**
2. **ი**	და-**ი**-წერა		[ვნებ.]
3. **უ**	და-**უ**-წერა	7. **ი**	და-**ი**-წერა
4. **ა**	და-**ა**-წერა	8. **ე**	და-**ე**-წერა

(ამის შესახებ: «სუბ. პრეფიქსი...», 1920, 36—37, 50—51, 79. «ნასახელ. ზმნები ქართულში»: ტ. უ. მ. I, 1919—1920, გვ. 88—89).

შემდეგს ეტაპს წარმოადგენს ჩემი გამოკვლევა: «ქართული ზმნის საქცევი». რომელიც დაიბეჭდა 1926 წელს «ტფილისის უნივერსიტეტის მოამბეში» (ტ. VI, გვ. 312—333), რომელსაც ახლავს რეზუმე ფრანგულ ენაზე (Versions du verbe géorgien, გვ. 334—338) და ერთი ტაბულა. აქ პირველად არის დადგენილი ამ კატეგორიის რაობა და სათანადო ტერმინები. ოღონდ ეს გამოკვლევა რამდენადმე არ იყო თავისუფალი ფორმალიზმისაგან: ქცევა 5 იყო: საარვისო (ვწერ), სათავისო (ვიწერ: მე მას), სასხვისო (ვუწერ), სათანაო (ვსწერ: მე მას მას) და საზედაო (ვაწერ).

ეს სქემა გაიზიარა და გაატარა თავის ნაშრომში გ. დ ე ე ტ ე რ ს მ ა (Das kharthwelische Verbum, ლფც. 1930). ამასობაში გამოვიდა ჩემი «მორფოლოგია» (1930), სადაც მოძღვრებამ ქცევის შესახებ საბოლოო სახე მიიღო. აქ უკვე ქცევათა რიცხვი სამამდეა დაყვანილი (საარვისო, სათავისო, სასხვისო), მოლებულია „სათანაო“ (რომლის ქცეობაში ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ც დაეჭვდა) და საზედაო. მიუხედავად ამისა, ჰ. ფ ო გ ტ მ ა შესაძლებლად სცნო, რომ „საზედაო“ ქცევათა სისტემაში დაეტოვებინა თავის ფრანგულად დაწერილ ქართ. ენის გრამატიკაში (H. V o g t, Esquisse d'une grammaire du géorgien moderne. ოსლო, 1936). რომელიც მთლიანად გადაამუშავა ავტორმა და შარშანწინ გამოსცა (Grammaire de la langue géorgienne. 1971). „საზედაო“ აქ Version locale-ად არის თარგმნილი. „ვერსია“, როგორც გარკვეული გრამატიკული კატეგორიის აღმნიშვნელი ტერმინი, შევიდა სპეციალურ ლიტერატურაში ევროპულ ენებზე გამოსულ წიგნებშიც (გ. დ ე ე ტ ე რ ს ი ს ა და ჰ. ფ ო ხ ტ ი ს ნაწერებში, აგრეთვე კ. ჩ ხ ე ნ კ ე ლ ი ს ა და W. B ö d e r-ისაში), ოღონდ ბ. რ უ დ ე ნ კ ო მ არჩია, რომ ძველი ტერმინი (порода) დაეტოვებინა, თუმცა აღნიშნა კი, რომ ეს ტერმინი შეუფერებელიაო (Грамм. груз. яз., 1940, § 67).

აქ წარმოდგენილი მოძღვრება წარმოადგენს დაზუსტებას და განვითარებას იმ პრინციპებისას, რომლებიც ჩემს მორფოლოგიაშია მოცემული 1930 წელს (§ 89—96).

კონტაქტი

420. კონტაქტის რაობა. კ ო ნ ტ ა ქ ტ ი ს სახელით აღვნიშნავ გარდამავალი ზმნის ფორმას, რომელიც გვიჩვენებს, რომ სუბიექტური პირი მოქმედებს პირდ. ობიექტზე უშუალოდ ან სხვა პირის შუალობით. ამის მიხედვით

გვაქვს ორი კონტაქტი: უშუალო და შუალობითი (resp. უმეშვეო და მეშვეობითი).

უშუალოა კონტაქტი, რომელიც აღნიშნავს, რომ სუბიექტური პირი მოქმედებს პირდ. ობიექტზე უშუალოდ, სხვა პირის ჩაურევლად: ვწერ, ვხატავ, ვაშენებ, ვიჭერ.

შუალობითია კონტაქტი, რომელიც აღნიშნავს, რომ სუბიექტური პირი მოქმედებს პირდ. ობიექტზე სხვა პირის შუალობით: ვაწერინებ, ვახატვინებ, ვაშენებინებ, ვაჭერინებ.

შუალობითი კონტაქტის ფორმას დამოუკიდებლად კაუზატივს ეძახიან, ანუ ფაქტიტივს, ზოგჯერ აგრეთვე იძულებითსაც (რუსულად: побудительный, понудительный ან принудительный глагол).

421. ხელმძღვანელი და შემსრულებელი. შუალობითი კონტაქტის მიხედვით რეალურად მოქმედებს არა ერთი პირი, არამედ ორი: პირი, რომელიც ხელმძღვანელობს მოქმედებას, და პირი, რომელიც უშუალოდ მოქმედებს და პირადად ასრულებს ხელმძღვანელის დავალებას. ხელმძღვანელი პირი — ეს არის საქმის მოთავე, ინიციატორი, მისი ორგანიზატორი, ხოლო ვინც უშუალოდ მოქმედებს, ერთგვარი იარაღია საქმის ორგანიზატორის ხელში. ამ ორ პირს გარდა, არის კიდევ მესამე პირი, რომელიც წარმოადგენს მათი მოქმედების საგანს. აღვნიშნოთ ეს პირები შესაბამისად ამ ტერმინებით: ხელმძღვანელი, შემსრულებელი, სამიზნო; მოვიყვანოთ მაგალითიც: „პეტრემ პავლეს ქურდი დააჭერინა“. ამ წინადადების მიხედვით მოქმედებენ პეტრე და პავლე, მაგრამ მათი როლები ამ მოქმედებაში სხვადასხვანაირია: პეტრეა დაჭერის ინიციატორი, ხოლო პავლე — ფაქტობრივი შემსრულებელი ამ დაჭერისა: ქურდთან საქმე უშუალოდ პავლეს აქვს. ამგვარად, პეტრე ხელმძღვანელობას უწევს პავლეს, რომელიც თავის მოქმედებაში სხვისი ნების გამახორციელებელია. ესენი ორნივე მოქმედებენ მესამეზე — ქურდზე, რომელიც არის დაჭერის საგანი ანუ სამიზნო.

ზმნაში სამივე პირია ასახული, მაგრამ სხვადასხვანაირად: ხელმძღვანელი — სუბიექტურ პირად, ფაქტიურად შემსრულებელი — ირიბ-ობიექტურად, ხოლო სამიზნო — პირდაპირ-ობიექტურად: დააჭერინა (მან მას იგი). დასახელებულ ზმნაში სამივე პირი რომლობის მიხედვით მესამეა, რის გამოც საქმის ვითარება შეიძლება ყველაფრად ნათელი არ იყოს. ამიტომ ვცვალოთ ისინი. თუ სუბიექტურ პირებს ვცვლით, გვექნება: დავაჭერინე, დააჭერინე, დააჭერინა, დავაჭერინეთ და შემდგომი; თუ ირიბ-ობიექტურ პირებს ვცვლით, გვექნება: დამაჭერინა, დაგაჭერინა, დააჭერინა, დაგვაჭერინა. პირდ.-ობიექტური პირების ცვლა იმავე ფორმებს მოგვცემს, რასაც ირიბ-ობიექტურისა: გარჩევას მათ შორის (ე. ი. პირდაპირ-ობიექტურია პირი, თუ ირიბი) მხოლოდ სახელთა შეწყობის საშუალებით მოვახერხებთ. „სანადიროდ წაგიყვან და მწყერს დაგაჭერინებ“, — აქ მე-2 პირი ირიბ-ობიექტურია. ხოლო ამ წინადადებაში: „დაგაჭერინებ თელავსა, ციმბირს ვერ გადაურჩები“ იგივე მე-2 პირი პირდაპირ-ობიექტურია.

„დააჭერინა“ ფორმით გამოხატულ პირთა ფარდი სახელებია: სუბიექტურისა „პეტრემ“, ირიბ-ობიექტურისა „პავლეს“, პირდაპირ-ობიექტურისა „ქურდი“. ამიტომ „პეტრემ“ სუბიექტია, „პავლეს“ — ირიბი ობიექტი, „ქურდი“ — პირდაპირი ობიექტი.

422. სუბიექტი და ობიექტი ფორმისა და ფუნქციის თვალსაზრისით კონტაქტიან ფორმებში. თუ შუალობითი კონტაქტის ზმნას განვიხილავთ პირთა გამოხატვის საშუალებათა თვალსაზრისით, დავრწმუნდებით, რომ არც სუბიექტური პირი და არც ობიექტური პირი (ან პირები) არ განსხვავდება უშუალო კონტაქტის სათანადო პირებისაგან არც მორფოლოგიურად და არც სინტაქსურად.

რომ განსხვავება არ არის, ამას ამ მაგალითების შედარება გვიჩვენებს: „პეტრემ პავლეს ქურდი დ ა ა ჭ ე რ ი ნ ა", „პეტრემ პავლეს მწყერი დ ა უ ჭ ი-რ ა", „პეტრემ პავლეს ცხენი აჩუქა", „პეტრემ პავლეს სახლი დაუწვა", „პეტრემ პავლეს ამბავი ჰკითხა", „პეტრემ პავლეს წიგნი სთხოვა" და მისთ.. აქ მხოლოდ პირველი წინადადების ზმნაა შუალობითი კონტაქტისა („დააჭერინა"), სხვები კი უშუალო კონტაქტის ფორმებია. მაგრამ პირის ნიშნები ყველგან ერთია: სუბიექტისა სუფიქსი ა (დააჭერინ-ა, დაუჭირ-ა, აჩუქ-ა, დაუწვ-ა, ჰკითხ-ა, სთხოვ-ა), ირიბ-ობიექტურისა პრეფიქსი ჰ, რომელიც უცვლელად „ჰ-კითხა"-შია შემონახული, სხვაგან კი ან ს-დ არის ქცეული (ს-თხოვა), ან დაკარგულია ხმოვნების წინ: *და-ჰ-აჭერინა, *და-ჰ-უჭირა, *ჰ-აჩუქა, *და-ჰ-უწვა (*დაჰუწუა). მაგრამ ყველაფერი ეს ფონეტიკური წესების ჩარევის ბრალია. მორფოლოგიურად კი აქ ყველგან ერთსა და იმავე ოდენობასთან გვაქვს საქმე. რაც შეეხება პირდ.-ობიექტურ პირს, მას ნიშანი არსად არა აქვს.

სინტაქსური კავშირის მიხედვით თუ შევხედავთ საქმეს, ვნახავთ, რომ აქაც სრული პარალელიზმია: ფარდი სახელების ბრუნვის ფორმები ყველგან ერთია: სუბიექტისა — მოთხრობითი („პეტრემ"), ირიბი ობიექტისა—მიცემითი („პავლეს"), პირდაპირი ობიექტისა — სახელობითი („ქურდი", „მწყერი" „ცხენი", „სახლი", „ამბავი", „წიგნი").

მაშასადამე, ფორმის თვალსაზრისით სუბიექტური პირი და ორივე ობიექტური ორივე კონტაქტისა ყველგან თანაბარ პირობებშია ჩაყენებული.

თუ ფუნქციის თვალსაზრისით შევხედავთ აღნიშნულ ზმნებსა და მათთან შეწყობილ სახელებს, დავრწმუნდებით, რომ დიდ განსხვავებას აქვს ადგილი: უშუალო კონტაქტის ფორმა ერთ მოქმედ პირს გულისხმობს, რომელიც სუბიექტურის სახელით არის ცნობილი და რომელსაც უშუალოდ აქვს საქმე პირდ.-ობიექტურ პირთან (ან პირდ. ობიექტთან). შუალობითი კონტაქტისა კი ორ მოქმედ პირს გულისხმობს: ერთს ხელმძღვანელს (ანუ ორგანიზატორს), მეორეს შემსრულებელს (ანუ ეგზეკუტორს). ამათგან ხელმძღვანელი სუბიექტად მიდის, მოქმედების უშუალოდ შემსრულებელი (ეგზეკუტორი) კი — ირიბ ობიექტად.

ასეთი ფუნქციონალური განსხვავება სხვადასხვა კონტაქტის სუბიექტურ პირებსა და ირიბ-ობიექტურ პირებს შორის (resp. სუბიექტებსა და ირიბ ობიექტებს შორის) დამოკიდებულია არა პირთა გამოხატვის საშუალებათაგან და არა სინტაქსური კავშირისაგან, არამედ იმისაგან, რომ შუალობითი კონტაქტის ფორმას, ფუძის სხვაგვარი შედგენილობის წყალობით, სხვა გრამატიკული შინაარსი აქვს მოპოვებული, ვიდრე უშუალო კონტაქტისას.

მაშასადამე, შუალობითი კონტაქტის ფორმა ერთი მოქმედების შესრულებას ორ პირს მიაწერს, მაგრამ სხვადასხვა სახის მონაწილეობით: ერთი მათგანია ხელმძღვანელი ანუ მეთაური. მეორე — მისი ფაქტიურად გამახორ-

ცილებელი; პირველი სუბიექტური ნიშნით არის წარმოდგენილი, მეორე — ირიბ-ობიექტურით. გრამატიკულად პირველი სუბიექტია, მაგრამ ხელმძღვანელი სუბიექტი, მეორე კი — ობიექტი, მაგრამ შემსრულებელი ობიექტი.

საყურადღებო ფაქტია, რომ პირდაპირი ობიექტი (სამიზნო) ყველა ტიპის ზმნაში ორივე კონტაქტის ფორმით ერთნაირად არის წარმოდგენილი: შუალობითი კონტაქტის ფორმა მის მიმართ ნეიტრალურია, ის არავითარ გავლენას არ ახდენს მასზე: ქურდი დაიჭირა — ქურდი დააჭერინა, მგელი მოკლა — მგელი მოაკვლევინა, წერილი დაწერა — წერილი დააწერინა და მისთ.

მაშასადამე, ზმნის გადაყვანა შუალობითში — ეს ნიშნავს სუბიექტური პირის ნუანსის გამოცვლას და ფორმაში შეყვანას უშუალოდ მოქმედი პირისას.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. როგორც შემდეგ ვნახავთ (§ 431), ზოგ შემთხვევაში უშუალოდ მოქმედი პირი შეიძლება ზმნის ფორმით გათვალისწინებული იყოს, მაგრამ მკაფიოდ არ იყოს წარმოჩენილი.

423. შუალობითი კონტაქტის წარმოება. შუალობითი კონტაქტის ფორმათა მაწარმოებელია: **ევ, ინ** და **ევინ.**

1. **ევ** მოუდის თითო-ოროლა ზმნას, როგორიცაა: ჭამ-ს — აჭმ-ევ-ს, სვამ-ს —ასმ-ევ-ს, იცვამ-ს — აცმ-ევ-ს. ეგევე **ევ** გვაქვს ართმ-ევ-ს და არქმ-ევ-ს ზმნებშიც, მაგრამ ამათ დაკარგული აქვთ შუალობითი კონტაქტის გაგება. ეს **ევ** ხმოვან-შეცვლილად არის წარმოდგენილი II სერიის ფორმებში **(ივ)**.

ძველსა და საშუალ ქართულში უფრო გავრცელებული იყო **ევ**-ის ხმარება (და რამდენადმე დღესაც გავრცელებულია ზოგიერთ კილოში, მაგ., ხევსურულში), როგორც ამას ეს მაგალითები გვიჩვენებს:

ქ ნ ა ვ ს — ა ქ ნ ვ ე ვ ს: „ხოლო ოდჳსეას არა ენება წასლვაჲ... მოიყვანნა ქარი და ვირი და... ა ქ ნ ვ ე ვ დ ა მათ ერთად“ (ილ. აბულ., «ელინთა ზღაპრობანი», ენიმკის მ ო ა მ ბ ე III, 60).

კ ლ ა ვ ს — ა კ ლ ვ-ე ვ-ს (გადასმით: აკვლევს): „აწ აღარავის მ ო ვ ა კ უ ლ ე ვ, მეფეა წარმართებული“ («ვეფხ.»-ის გაგრძ.); „დაგაკვლევთ კურეტს“, ბეს. გაბუური, «ხევს. მასალ»: «წელიწდ.» 123,22).

გ ა ხ ს ნ ა — გ ა ხ ს ნ ე ვ ა: „სისხლი დამწამეს, მეფემან ბრძანა გ ა ხ ს ნ ე-ვ ა ხელისა“ («ვეფხ.»).

გ ა რ ყ ვ ნ ა — გ ა რ ყ ვ ნ ე ვ ა: „მოიჴსენეთ ვედრი ჩემი და ნუოდეს დამივიწყებთ დავითს, ჰნახევდით გულს-მოდგინებით ქმნილსა ჩემსა და ნუოდეს ვის გ ა ა რ ყ უ ნ ე ვ თ კულა მას დიდებულსა ლავრასა“ (დ. აღმაშენებლის სიგელი, ბოძებული შიომღვიმის ლავრისადმი).

გ ა დ ა ი ქ დ ი ს — გ ა დ ა ა ქ დ ე ვ ს: „ნადიმსაცა მუნვე გადაგაქდეო“ («ამირან-დარეჯ.»). ეგევე ფორმა დღესაც იხმარება ხევსურულში: „და კიდევ სამამფიცროსაც გადააქდევს“ («წელიწდ.», 139,13).

თ ქ მ ა — თ ქ მ ე ვ ა: „ათქუმია სამ გზის“ («ცხორ. ნინოჲსი»). „ყმამან თქვა, თუ: არ ეგების აწ ამისი ასრე თქმევა («ვეფხ.» 243); „გულსა სხუა გიც და ენასა სხუასა ათქმევ“ («ვისრ.» 174,1); „მე იმედი მომეცა დაწვრილებით თქმევისა“ (ჭავ., 266,25).

ქ (მ) ნ ა — ქ (მ) ნ ე ვ ა: „გაქნევ კარგთა სიშმაგეთა“ («ვეფხ. ტყ.», 1375);

„რას მაქნევდით, რა გინდოდათ“ (იქვე, 293); „რას ა ქ ნ ე ვ ე ნ მიმინოსა? — **მწყერს აჭერინებენ**“ (ჭავ., 293,31); რა ოხრობასა ა ქ ნ ე ვ დ ი მაგ ხმალს, რომ **ნაჭერ-ნაჭერ ხმლით** არ აჭკუწე სულ-წაწყმედილი შენი ბატონი?“ (ჭავ., «კაკო ყაჩ.»). აქ „აქნევდი“ ამას ნიშნავს: „აკეთებინებდი“, და არა ამას: „ატრიალებდი“, როგორც ზოგიერთს ჰგონია. „ქურდობას აქნევს“ (ბეს. გაბუური, «ჭევს. მასალ.», 124,2).

2. **ინ** მოუდის ზმნათა დიდ უმეტესობას: წერ-ს — აწერ-ინ-ებს, ტეხ-ს — ატეხ-ინ-ებს, გრეხ-ს — აგრეხ-ინ-ებს, აქცევ-ს → აქცევ-ინ-ებს, ხატ-ავ-ს — ახატვ-ინ-ებს, აკეთებ-ს — აკეთებ-ინ-ებს, აპობ-ს — აპობ-ინ-ებს, სცემ-ს — აცემ-ინ-ებს და მისთ. ეს ფორმები ჩვეულებრივია სალიტერატურო ენაში.

3. **ევინ.** ეს აფიქსი რთულია, წარმომდგარია **ევ**-ისა და **ინ**-ის შეერთებისაგან **(ევ-ინ)**, რომლებზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

ევ გარკვეული ტიპის ზმნებს მოუდიოდათ, მაგრამ ის არ აღმოჩნდა საკმარისი შუალობითი კონტაქტის საწარმოებლად და დაერთო **ინ**: ათლ-ევ-ინ-ებს, აჭრ-ევ-ინ-ებს, ათხრ-ევ-ინ-ებს, ახსნ-ევ-ინ-ებს, აკვლ-ევ-ინ-ებს, ათქმ-ევ-ინ-ებს, აქნ-ევ-ინ-ებს და მისთ. **ევინ**-ის ნაცვლად ზოგიერთ კილოში (მაგ., ფშაურში) **ეინ** ითქმის: ახვნ-**ეინ**-ებს.

4. **ი(ვ).** ეს სუფიქსი მარტივია და **ინ**-ის ნაცვლად დაერთვის ზმნათა დიდ უმეტესობას ზოგ კილოში (მაგ., გურულში): წერ-ს — აწერ-ი-ებს, ტეხ-ს — ატეხ-ი-ებს, გრეხ-ს — აგრეხ-ი-ებს, ხატავ-ს — ახატვ-ი-ებს, აკეთებ-ს — აკეთებ-ი-ებს და მისთ. **ევინ**-ის ბადლად აქ გვაქვს: **ევ-ი(ვ)**: ათლ-ევი-ებს, ათხრ-ევი-ებს, აკვლ-ევი-ებს, ათქმ-ევი-ებს და მისთ.

> შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ეს **ინ** და **ივ** (შესაბამისად) **ენ** და **ევ** სუფიქსთა ხმოვან-შეცვლილი ვარიანტებია: ად-ენ-ს — ად-ინ-ა, დააბნ-ევ-ს — დააბნ-ი(ვ)-ა. ამათგან **ინ**-იანი ფორმები სალიტერატურო ენის კუთვნილებად იქცა, **ივ**-იანი კი კილოებში შემოინახა.

როგორც სახელზმნათა წარმოება გვიჩვენებს (საწყისისა და მიმღეობისა), პრეფიქსს კავშირი აქვს შუალობითი გზის ფორმათა წარმოებასთან: გახსნ-ევ-ა, თქმ-ევ-ა, წაღებ-ინ-ება, მო-კვლ-ევ-ინ-ებული, გა-ტეხ-ინ-ებული, დასაწვ-ევ-ინებელი, მოსა-ტან-ინ-ებელი და მისთ.

ამასვე ადასტურებს სათავისო და სასხვისო ქცევის ფორმათა წარმოებაც, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი (§§ 438, 439, 440).

424. კონტაქტი გვარისა და ქცევის კატეგორიებთან შედარებით. ორ კონტაქტთაგან ერთია ძირეული, მეორე — წარმოქმნილი: ძირეულია უშუალო კონტაქტის ფორმა („ვწერ“), წარმოქმნილია შუალობითი კონტაქტისა („ვაწერინებ“). ამ წარმოქმნილის გამოა, რომ ძირეული ზმნა კონტაქტიან ფორმად წარმოგვიდგება; მაგალითით რომ ვთქვათ, „ვაწერინებ“ რომ არა, „ვწერ“ ზმნა არ იქნებოდა კონტაქტიანი ფორმა.

წარმოქმნილი ფორმა კონტაქტისა, შუალობითი, არსებითად განსხვავდება გვარისა და ქცევის წარმოქმნილ ფორმათაგან (როგორც ვიცით, გვარში წარმოქმნილ ფორმად მიდის ვნებითი, ქცევაში კი — სათავისო და სასხვისო). განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ შუალობითი კონტაქტის ფორმისაგან შეიძლება ვაწარმოოთ ფორმები როგორც ვნებითი გვარისა, ისე სათავისო და

სასხვისო ქცევისა. ამ მხრივ შუალობით კონტაქტს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართ. ზმნის სისტემაში წარმოქმნის კატეგორიებს შორის: წარმოქმნილი ფორმა აქ საკმაოდ დაშორებულია ძირეულისაგან ლექსიკური შინაარსით, უფრო მეტად, ვიდრე გვარისა და ქცევის შემთხვევაში. თუ ამას დავსძენთ, რომ კონტაქტი სახელზმნებსაც მოეპოვებათ (დაწერინება, დაწერინებული), შეგვიძლია ვთქვათ, რომ კონტაქტი მკაფიოდ გამოხატული და ერთი უმკვიდრეს კატეგორიათაგანია ქართულში.

425. შუალობითის ვნებითი. შუალობითის ფორმები ვნებითი გვარის ზმნასაც მოეპოვება, თუმცა იშვიათად. ამ მოვლენას უმთავრესად აღმოსავლურ კილოებში ვხვდებით. ვნებითი ამ შემთხვევაში ყოველთვის ორ-პირიანია და ე-თია ნაწარმოები, მაშინაც კი, როცა სათანადო უშუალო კონტაქტის ფორმას დ სუფიქსი აწარმოებს: ვაცემინებ — ვეცემინები, ვაკვლევინებ, ვეკვლევინები, ვათრევინებ — ვეთრევინები, ვალანძღვინებ — ველანძღვინები, ვაშავებინებ — ვეშავებინები და მისთ.

რადგანაც პასივი აქტივის კონვერსიული სახეა, ამიტომ პასივში ისეა საქმე წარმოდგენილი, რომ სუბიექტია მიზეზი იმისა, რომ მასზე იმოქმედოს ირიბმა ობიექტმა, რომელიც რეალურად საქმის შემსრულებელია (ეგზეკუტორია): „ამათ დედა გამიხარდის გაჰყოლია, *გასტაცებინებია*, ბალღებისად თავი დაუნებებავ“ (ვაჟა, «დარეჯ.», V, 50, 31). — „დარეჯანი გამიხარდის *გასტაცებინებია*“ ამას ნიშნავს: დარეჯანს ისე მოუწყვია საქმე, რომ ის გამიხარდის გაეტაცნა, ასე რომ გატაცების მიზეზი თვითონ დარეჯანია. მსგავსი მაგალითებია: „*ვეთრეინები* ზღვის ტალღებს“ (ვაჟა, I, 128, 16); „აი ეს ხონადირია, მგელია, მტაცებელია, მჭამელი სხვისა სარჩოსი, და როგორ უყვარს თავის შვილები; *მოგეკვლეინათ* შვილების გულისთვი, ეგებ იმათ რამ მიეუტანო, შიმშილით არ დამეხოცნენო“ («მოკვეთ.», V, 398, 1—4); „თქვენ ისა თქვით, რომ არ *მოეკვლეინოთ* უგემურად, უკეთურად თავის მკვლელს, რა უნდა ჰქმნათ-მეთქი“ (ვაჟა, V, 462,3); „ციკო წყნარად *გაეშვებინა* (ყაზ., 151,8).

მსგავსი გამოთქმები აქტივში ერთსა და იმავე არსებას გულისხმობს სუბიექტად და პირდაპირ ობიექტად. მაგრამ, რადგანაც ერთი და იგივე არსება არ შეიძლება ერთ ფორმაში გამოხატულ იქნეს სუბიექტადაც და ობიექტადაც, ამიტომ პირდ. ობიექტად უკუქცევითი ნაცვალსახელი „თავი“ იხმარება, რომელიც რიცხვის მიხედვით არ იცვლება (§§ 288, 289): *თავი გაუტაცებინებია* — *გასტაცებინებია*, *თავს ნუ დააწყევლინებ* — „*ნუ დაეწყევლინები*“ (ჭავ., 312,32); *თავს ვათრევინებ* ტალღებს — *ვეთრევინები* ტალღებს; ტყუილად *თავს გალანძღვინებთ* — ტყუილად *გელანძღვინებით*; უსახელოდ *მოგაკვლევინე* თავი — „უსახელოდ *მოგეკვლევინე*“ (ჭავ., 324,14) და მისთ.. ოღონდ, თუ აქტივში პირდ. ობიექტად სხვა პიროვნებაა ან სხვა საგანი, ის წესისამებრ პასივში სუბიექტად იქნება წარმოდგენილი: უწინ ჩვენ *ამდენს* არ *გვახდევინებდნენ* — „უწინ ჩვენ *ამდენი* არ *გვეხდევინებოდა*“ (ყაზ., 322,26).

426. შუალობითის ქცევები. შუალობითი კონტაქტის ზმნას სამივე ქცევის ფორმები მოეპოვება, როგორც ამას ეს მაგალითები გვიჩვენებს: ვაჭერინებ, ვიჭერინებ, ვუჭერინებ; ვატეხინებ, ვიტეხინებ, ვუტეხინებ; ვაწერინებ, ვიწერინებ, ვუწერინებ; ვაშენებინებ, ვიშენებინებ, ვუშენებინებ და მისთ.. როგორიც უნდა იყოს საარვისო-ქცევიანი უშუალო კონტაქტის ფორმა წარმოების თვალსაზრისით: უნიშნო თუ ა-ნიანი (ზოგჯერ აგრეთვე ფორმით ი-ნიანი, თუ უ-ნიანი, მაგრამ ფუნქციით საარვისო, § 414), მას შუალობითის საარვისოში ა ექნება პრეფიქსად: წერს — ა-წერინებს, ა-შენებს — ა-შენებინებს. ი-ჭერს — ა-ჭერინებს, გა-უ-შვებს — გა-ა-შვებინებს. ოღონდ შუალობითის საარვისოს ძველად წინ ობიექტური ნიშანი მოუდიოდა კიდევ: ჰ-ა-წერინებს და მისთ.. რაც შეეხება შუალობითის სათავისოსა და სასხვისოს, მათი მაწარმოებლებია ი და უ შესაბამისად: ი-წერინებს (სათავ.), (ჰ)-უ-წერინებს, მ-ი-წერინებს (სასხვ.).

განვიხილოთ თვითეული ქცევა ცალკ-ცალკე.

427. შუალობითის საარვისო. უშუალო კონტაქტის საარვისო ადვილად გადადის შუალობითში, თუ ის ორ-პირიანია და პირდ. ობიექტად მე-3 პირი აქვს, ძნელად გადადის, თუ ის ორ-პირიანია და პირდ. ობიექტად 1-ლი ან მე-2 პირი აქვს, და კიდევ უფრო ძნელად გადადის, თუ ის სამ-პირიანია და პირდ. ობიექტად ისევ 1-ლი ან მე-2 პირი აქვს.

1. ორ-პირიანი საარვისო, რომელსაც ობიექტად მე-3 პირი აქვს, შუალობითში გადაყვანისას სამ-პირიან ფორმას გვაძლევს, რადგანაც ემატება შემსრულებელი პირი (ეგზეკუტორი), ამ პირს თავისი ნიშანი აქვს, რომელიც მისეულსა და მათეულში იკარგება ხმოვნების წინ: სახლს აშენებს — სახლს მაშენებინებს (გაშენებინებს, აშენებინებს, გვაშენებინებს), საქმეს აკეთებს — საქმეს მაკეთებინებს (გაკეთებინებს, აკეთებინებს, გვაკეთებინებს) და მისთ.

ასეთი შუალობითი ჩვეულებრივია და უამრავი. მგონია არ შევცდე, თუ ვიტყვი, რომ არ მოიპოვება ორ-პირიანი გარდამავალი ზმნა პირდაპირი ობიექტით მესამე პირში, რომ მისგან ასეთი ფორმის წარმოება არ შეიძლებოდეს.

2. სულ სხვაა ორ-პირიანი საარვისო, რომელსაც ობიექტად 1-ლი ან მე-2 პირი აქვს. ასეთი ფორმის შუალობითში გადაყვანა იშვიათია, მაგრამ მაინც გვხვდება, განსაკუთრებით აღმოსავლურ კილოებში და აქედან ლიტერატურაშიც. ასეთი შუალობითი სამ-პირიანია, მაგრამ პირის ნიშანი პირდაპირს მოუვა, პირიბი კი (ეგზეკუტორი) უნიშნოდ დარჩება. მაგალითები:

I პირი პირდაპირ ობიექტად

დ ა მ წ ვ ა — დ ა მ ა წ ვ ე ვ ი ნ ა (=დააწვევინა ჩემი თავი): „ცეცხლსა უშრეტსა უწყალოდ სხვამან ვინ დ ა მ ა წ ვ ე ვ ი ნ ა“ (თეიმ. I, «ვარდ.-ბულბ.»).

მ ო მ კ ლ ა — მო მ ა კ ვ ლ ე ვ ი ნ ა (=მოაკვლევინა ჩემი თავი): „ბარამს არ მ ო მ ა კ ვ ლ ე ვ ი ნ ა თვითონ მისითა ნებითა“ («როსტ.», II, 3005), „ლამის რომ სახშიაც აღარ შამიშო, სიცივეს მ ა მ ა კ ვ ლ ე ვ ი ნ ო“ (ვაჟა, V, 171,29).

გ ა მ ა გ დ ო — გ ა მ ა გ დ ე ბ ი ნ ა (=გააგდებინა ჩემი თავი): „ერთხელ თვითონ ერეკლემ გ ა მ ა გ დ ე ბ ი ნ ა ლეკებს ცოცხალ-მკვდარი“ (იქვე, V, 162,17).

დ ა მ ნ ი შ ნ ა — დ ა მ ა ნ ი შ ვ ნ ი ნ ა (=დაანიშვნინა ჩემი თავი): „ეცადე,

რომ რენენკამფთან დ ა მ ა ნ ი შ ვ ნ ი ნ ო; ხომ ამ პირობით წამოველ, რომ ეს მოგეხდინა ჩემთვის“ (ნ. ბარათაშვილის წერილი გრ. ორბელიანს. 1922 წ გამოც., გვ. 104).

გ ა მ ძ ა რ ც ვ ა — გ ა მ ა ძ ა რ ც ვ ი ნ ა (=გააძარცვინა ჩემი თავი): „ეგეც ჩემი მძარცველია: ეგ რომ კაცი ყოფილიყო, მე არ გ ა მ ა ძ ა რ ც ვ ი ნ ე ბ დ ა-მ ე თ ქ ი“ (ჭავ., «სარჩობ.»).

დ ა გ ვ ბ ე გ ვ ა — დ ა გ ვ ა ბ ე გ ვ ი ნ ა (=დააბეგვინა ჩვენი თავი): „კაცო, აიქ დათვს არ დ ა გ ვ ა ბ ე გ ვ ი ნ ო; შენ შენი ღმერთი, თავი დაგვანებეო“ (ვაჟა, «დათვი», V, 457,5).

დ ა მ ა პ ა ტ ი მ რ ა — დ ა მ ა პ ა ტ ი მ რ ე ბ ი ნ ა (=დააპატიმრებინა ჩემი თავი): თუმცა ჩემი ძმისათვის „არარა ბოროტი მიქმნიეს“, მაგრამ მან მაინც დ ა მ ა პ ა ტ ი მ რ ე ბ ი ნ ა (ი. ჯავახიშ., ქ. ერის ისტ., III, 1949, 254).

II პირი პირდაპირ ობიექტად

დ ა გ ხ ვ რ ე ტ — დ ა გ ა ხ ვ რ ე ტ ი ნ ე ბ (=დავახვრეტინებ შენს თავს): „დააგდე, თორემ ახლავ დ ა გ ა ხ ვ რ ე ტ ი ნ ე ბ“ (ყაზბ., 261,37).

დ ა გ ა ლ პ ო ბ — დ ა გ ა ლ პ ო ბ ი ნ ე ბ (=დავალპობინებ შენს თავს): „სუდში წაგათრევ და ქურდობისათვის დ ა გ ა ლ პ ო ბ ი ნ ე ბ“ (ე. გაბაშვ., «მაგდ. ლურჯა»).

გ ა გ ა წ ვ ე ნ ს — გ ა გ ა წ ვ ე ნ ი ნ ე ბ ს (გააწვენინებს შენს თავს): „აი სად არის ეხლა ის დრო, რომ ეხლა შენი ბატონი მაგისთვის არ გ ა გ ა წ ვ ე ნ ი-ნ ე ბ ს და ფეხებიდამ თავამდე ტყავს არ აგაძრობს“! (ჭავ., 410, 4-5).

დ ა გ ი ჭ ე რ — დ ა გ ა ჭ ე რ ი ნ ე ბ (=დავაჭერინებ შენს თავს): დ ა გ ა-ჭ ე რ ი ნ ე ბ თელავსა, ციმბირს ვერ გადაურჩები“ (ფშაური ლექსიდან). [„დაგიჭერ“ საარვისოა ფუნქციის მიხედვით, ისე როგორც შემდგომი მაგალითის „წაგიყვანეთ“].

წ ა გ ი ყ ვ ა ნ ე თ — წ ა გ ა ყ ვ ა ნ ი ნ ე თ (=წავაყვანინეთ შენი თავი): „დაგავიწყდა განა, მზევინარო, ჩემი სიკეთე? რა მინდოდა, რა მომარბენდა ამ თავ-მკვდარს, რატო არ წ ა გ ა ყ ვ ა ნ ი ნ ე თ ბახასა და ქისტებსა“? (ვაჟა, «მოკვეთ.», V, 404, 8).

დ ა გ ა პ ა ტ ი მ რ ე ბ — დ ა გ ა პ ა ტ ი მ რ ე ბ ი ნ ე ბ (=დავაპატიმრებინებ შენს თავს): „დაემუქრა: დ ა გ ა პ ა ტ ი მ რ ე ბ ი ნ ე ბ ო“ (თიანელისაგან გაგონილი 1942 წ.).

3. სამ-პირიანი საარვისო შუალობითში მრავალ შემთხვევაში უკლებლივ არ გადაიყვანება. უმეტესად ისე ხდება ხოლმე, რომ უბრალო ობიექტი გამოდის ფორმიდან და თავის ადგილს შემსრულებელ ობიექტს (ეგზეკუტორს) უთმობს. ამიტომ სამ-პირიანობას არა ემატება რა: ამბავი ჰ კ ი თ ხ ა — ამბავი ა კ ი თ ხ ვ ი ნ ა, წერილი მ ი ს წ ე რ ა — წერილი მიმაწერინა; ქათამი მ ო ჰ პ ა-რ ა — ქათამი მ ო გ ა პ ა რ ვ ი ნ ა, სალამი მ ი ს ც ა — სალამი მ ი მ ა ც ე მ ი-ნ ა და მისთ.

უბრალო ობიექტის ფორმიდან გამოსვლა უფრო აშკარად მაშინ ჩანს, როცა ასეთად 1-ლი ან მე-2 პირია: წერილი მ ო მ წ ე რ ე — წერილი მ ო ა წ ე-რ ი ნ ე (ჩემთვის), ფული მ ო გ ც ე ს — ფული მ ო ა ც ე მ ი ნ ო ს (შენთვის), სახლი მ ო გ ვ ყ ი დ ე — სახლი მ ო ა ყ ი დ ვ ი ნ ე (ჩვენთვის) და მისთ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. „ცემა“ ზმნა (დარტყმის მნიშვნელობით) წარმოშობით სამ-პირიანია: ს ც ა (მან მას კუერთხი). მაგრამ ამჟამად ის ორ-პირიანად მიდის: სცემს მას ჯოხით, სცემა მას ჯოხით. ამ შემთხვევაში პირდ. ობიექტი (კუერთხი, ჯოხი) დამატებად არის ქცეული და საჭურვლის გაგება აქვს მოპოვებული. ირიბი ობიექტი ინარჩუნებს თავის სინტაქსურ ძალას. შუალობით კონტაქტში იგივე ვითარებაა: „გაცემინებ“ = „ვაცემინებ შენთვის“, ე. ი. „ისე ვიზამ, რომ გცემონ“ („დამეხსენ, თვარ გ ა ც ე მ ი ნ ე ბ, სიგრძე მოგეცეს განადო“, თეიმ. I, «ვარდ. ბულბ.»).

428. **შუალობითის სათავისო.** იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება შუალობითი კონტაქტის სათავისო, განსაკუთრებით ძვ. საქ.-ში. პირთა რაოდენობის თვალსაზრისით შუალობითი კონტაქტის სათავისო არ განსხვავდება უშუალო კონტაქტის სათავისოსაგან: ესეც ორ-პირიანია და ისიც: სახლი აიშენა — სახლი აიშენებინა, საქმე გაიკეთა — საქმე გაიკეთებინა. ასეთ ფორმაში შემსრულებელი პირი (ეგზეკუტორი) არ ჩანს, ფორმათა შენებაში მარტო ორი პირი იღებს მონაწილეობას: სუბიექტური და პირდაპირ-ობიექტური. ასეთია, მაგ., „დავისობინო“ «ვეფხის ტყაოსნიდან»:

„მას ყმასა ქმალი არა ვჰკრა, არც მისი დ ა ვ ი ს ო ბ ი ნ ო“
(224)

საინტერესო ის არის, რომ საარვისო ქცევით ეს ზმნა სამ-პირიანია, როგორც ამას ვახტანგის გამოცემაში ვკითხულობთ:

„მას ყმასა ქრმალი არა ვჰკრა, არცა მას დ ა ვ ა ს ო ბ ი ნ ო“.

მაშასადამე, პირთა რაოდენობას ზმნის ფორმის საარვისოდან სათავისოში გადაყვანით დააკლდა ერთი პირი, როგორც ამას აქვს ადგილი უშუალო კონტაქტის ფორმებშიც: ჰკითხა — იკითხა, სთხოვა — ითხოვა, აჩუქა — იჩუქა და მისთ. (§ 396,4).

ზოგ შემთხვევაში შუალობითი კონტაქტის სათავისო ქცევის ფორმებს სათანადო ფუნქცია დაკარგული აქვს, როგორც ამას ეს მაგალითები გვიჩვენებს:

გ ა ი ტ ე ხ ა — გ ა ი ტ ე ხ ი ნ ა: „ოთარაანთ ქვრივი... ჯერ ხომ გულმა გასტეხა, მერე თვითონ მოერია გულსა, თვითონ გ ა ი ტ ე ხ ი ნ ა გული“ (ჭავ.).

გ ა დ (ა) ვ ი გ დ ე ბ — გ ა დ (ა) ვ ი გ დ ე ბ ი ნ ე ბ, მოვიგდე — მ ო ვ ი გ დ ე ბ ი ნ ე: „გ ა დ ვ ი გ დ ე ბ ი ნ ე ბ თ მაშინა ყინულის ლოდსა ქედითა“ (ვაჟა, «მთათ მითხრეს», I, 87,15). [„მოვიგდებინე“-ს მაგალითი ნ. ქვემოთ].

გ ა ყ რ ა — გ ა ყ რ ე ვ ი ნ ე ბ ა, გ ა დ ა ყ რ ა — გ ა დ ა ყ რ ე ვ ი ნ ე ბ ა, მ ო ყ რ ა — მ ო ყ რ ე ვ ი ნ ე ბ ა: თაგვი ამბობს: „მოიცა, ამ კავებს გ ა ვ ი ყ რ ე ი ნ ე ბ“ (ვაჟა, V, 437,13); „როდესაც (წიფლის) ხე წაიქცა, გუგულის კაბამ გ ა დ ი ყ რ ე ი ნ ა ზევიდამ ფოთლები და წითლად გამობრჭყვინდა“ (ვაჟა, «კია»); „სწორედ ამ დროს ამოაჩინა თავი იამ, გ ა დ ი ყ რ ე ვ ი ნ ა თავიდამ წიფლისა და თხილის ხმელი ფოთლები“ (ვაჟა, V, 156,31); „მთელი საათი ვიწმინდეთ თავი და ტანი და, როგორც იყო, გ ა ვ ი ყ რ ე ი ნ ე თ ზედასხმული ბურდო“ (იქვე, 181,28); „ბიჭო ნოდარ, აბა მარდად გააცხელე წყალი, ე მტვერი გ ა ვ ი ყ რ ე ი ნ ო“ (ვ. ბარნოვი, «შინაური მტერი»); „არუთინას ცხენები დაფრ-

თხენ, ერთმა მ ო ი ყ რ ე ვ ი ნ ა ბოხჩები, მეორემ — ერბოიანი გუდები“ (ვაჟა, V, 49,26).

მოყვანილი მაგალითების ზმნები ფორმით, რასაკვირველია, შუალობითია, მაგრამ ფუნქციით უთუოდ უშუალოა. მართლაც, როცა სუბიექტად არა-ადამიანია, მასთან ზმნა ჩვეულებრივ უშუალო კონტაქტის ფორმით გვხვდება, შუალობითისით კი — განსაკუთრებულ შემთხვევებში. აღნიშნულ ზმნებთან სუბიექტად არა-ადამიანებიც გვხვდება: თაგვი, გუგულის კაბა (ყვავილია), ია, ცხენი. მათი „მოქმედება“ ისეთი არ არის, რომ შუალობითის ფორმას მოითხოვდეს, მაგრამ მაინც შუალობითის ფორმითაა მოცემული. ამიტომ, მაგ., ამ წინადადებაში: „არუთინას ერთმა ცხენმა მ ო ი ყ რ ე ვ ი ნ ა ბოხჩები“ ზმნა ფუნქციის მიხედვით შუალობითისა კი არ არის, არამედ უშუალო: მ ო ი ყ რ ე ვ ი ნ ა = მოიყარა, გადმოყარა.

ასეთივე მაგალითია აქაც: მონადირე მოგვითხრობს: დათვი მომდევდაო. დავუკივლე: დამეხსენ, ჩამომეხსენო, რომ ვერაფერი გავაგონეო, განაგრძობს ის, „ცოტა გზა კიდევ გამოვიარე, მოვეფარე ერთს კაი დიდს ჭანდარს, მ ო ვ ი გ დ ე ბ ი ნ ე ბარგი, მოვსალთავდი და მივუშვირე თოფი. დათვი მოდის. კარგა ახლოს რომ მოვიდა, ნიშანი შიგ ნიკორა შუბლში მივეც“-ო და სხვა (ვაჟა, V, 68, 26—28). არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, რომ აქ „მოვიგდებინე“ ფუნქციით შუალობითი კონტაქტის ფორმად იქნეს გაგებული, ფორმით კი უთუოდ შუალობითია. აქედან ცხადია, რომ მოყვანილი ფორმა გარეგნულად არის შუალობითი, თორემ ფუნქციით ის უშუალოა.

ფორმით შუალობითი კონტაქტისაა, მაგრამ ფუნქციით უშუალო ჩანს აგრეთვე ზმნა აქაც: „ბედშაო, რა ხელს ი კ ვ რ ე ვ ი ნ ე ბ ი“? (ყაზ., 139,17). [ზმნა დეპონენსია, § 366]. ეს არის ნიმუშები ფორმისა და ფუნქციის ერთმანეთისაგან დაცილებისა. შეიძლება ეს ამბავი გარკვეულ ზმნებთან იყოს დაკავშირებული (გატეხინება, გაყრევინება, მოგდებინება), ისიც გარკვეულ კილოში (ვთქვათ, ფშაურში).

429. შუალობითის სასხვისო. შუალობითი კონტაქტის სასხვისო ქცევის ფორმები შედარებით უფრო ხშირია, ვიდრე ამავე კონტაქტის სათავისოსი. ამას გარდა აქ არ გვხვდება ფორმისა და ფუნქციის დაცილება, როგორც ეს სათავისოში ვნახეთ.

რაც შეეხება ფორმის გადაყვანას უშუალო კონტაქტიდან შუალობითში, ეს ასე ხდება: სამივე პირი უშუალო კონტაქტისა თავ-თავისი ნიშნებით უკლებლივ გადადის შუალობითში, სადაც ემატება იმის გაგება, რომ მოქმედება სხვისი შუალობით არის გაკეთებული. შემსრულებელი პირი ჩვეულებრივ ზმნის ფორმაში არ ჩანს, ოღონდ წინადადებაში შეიძლება ერიოს სიტყვა, რომელიც შემსრულებელს ანუ მეშუალეს (ეგზეკუტორს, მედიატორს) გულისხმობს.

1. დ ა მ ი წ ე რ ა — დ ა მ ი წ ე რ ი ნ ა: (მანუჩარ სოლაღაშვილმა) ...„სიგელი ჯვარის მამის დეკანოზს იოანე მოძღვარს დ ა მ ი წ ე რ ი ნ ა“ (იესე ოსეშვ., 49,7); „სტეფანე კოტეტიშვილს სიგელი თვითონ (ღოლოვნელმა ბერუამ) და იმისმა ძმებმა დ ა მ ი წ ე რ ი ნ ე ს“ (იქვე, 25,9); „თუ ამას გარკვევით კაის ჭელად დ ა მ ი წ ე რ ი ნ ე ბ და გამომიგზავნი“ (გიორგი XI-ის წერილი ს.-ს. ორ-

ბელიანს: «საქ. სიძვ.», II, 223); „ეს ნუსხა არის, შენთვის კიდევ გექნება, იმაზედ გ ა დ მ ო მ ი წ ე რ ი ნ ე, დიაღ დაგიმადლებ" (იქვე, გაგრძელება).

2. დ ა მ ი ბ ე ჭ დ ა — დ ა მ ი ბ ე ჭ დ ვ ი ნ ა: (ნიკოლოზ ქავთარიშვილმა) „სიგელი მიქელ თეოდოტეს შვილს დ ა მ ი წ ე რ ი ნ ა, სარდარსა, მისკარბაშს და სხვათ დ ა მ ი ბ ე ჭ დ ვ ი ნ ა" (იესე ოსესშვ., 20, 17—19); ასოების ორი ქარტა კიდევ დ ა მ ი ბ ე ჭ დ ვ ი ნ ე (თეიმ. ბატ-ის წერილი ბროსეს 1835 წ. 13 აპრ.).

3. მ ო გ ი ჭ ე დ ე — მ ო გ ი ჭ ე დ ი ნ ე: „მე ფრიად ცოდვილმან მხევალმან შენმან ხორეშან, გიორგი ლარაძის მეუღლემან, მ ო გ ი ჭ ე დ ი ნ ე ხატი ესე" (ე. თაყ., Арх. экск., IV, 93).

4. გ ა მ ი კ ე თ ე — გ ა მ ი კ ე თ ე ბ ი ნ ე: „მე ხუცურის წერილის ასოები მინდა, თუ შეიძლება მანდ პარიზში გ ა მ ი კ ე თ ე ბ ი ნ ე ჩემის ხარჯით (თეიმურაზ ბატონიშვილის წერილი ბროსეს 1883 წ. 9 ნოემბ.).

5. დ ა ვ უ ხ ა ტ ე — დ ა ვ უ ხ ა ტ ვ ი ნ ე: „ჩვენ, მუხრანის ბატონის შვილმან ბოლნელ ეფისკოპოზმან ბაგრატის ძემან პატრონმან ნიკოლოზ მოვედით ბოლნისს სიონთა ღვთის საჭის მპყრობელად, ამისი პატიოსნება ვიგულეთ, დ ა უ ხ ა ტ ვ ი ნ ე თ შიგნით კაკელი" (ბოლნისის სიონის სამრეკლოს წარწერა); „კარგი მიყიდეთ გულის ქვა, დ ა მ ი ხ ა ტ ვ ი ნ ე თ ჯვარია" (ს. მაკალ., «მთიულ.», 51,12).

6. მ ო უ ტ ა ნ ა — მ ო უ ტ ა ნ ი ნ ა: „ერთმან არაბმან ერთი ცხენი მომიყვანა, ორი ათას მარჩილად დააფასა. ხალიფამ მაშინვე მ ო უ ტ ა ნ ი ნ ა" (ს.-ს. ორბ., «სიბრძნე სიცრ».); „მალე მტერი მოგიკვდეს, მალე იუნკრობა მ ო გ ი ტ ა ნ ი ნ ო" (ყაზ., «მამ. მკვლელი», 338).

7. მ ო უ ყ ვ ა ნ ა — მ ო უ ყ ვ ა ნ ი ნ ა: „კაცი გაგზავნა მაშინვე, მ ო უ ყ ვ ა ნ ი ნ ა ცხენია" («კათალიკოს-ბაქარიანი», 85,1).

8. დ ა ვ უ კ ე რ ე — დ ა ვ უ კ ე რ ვ ი ნ ე, შ ე მ ი კ ე რ ო თ — შ ე მ ი კ ე რ ვ ი ნ ო თ: „სააღდგომოთ ყოველს სულს ტანისამოსი დ ა უ კ ე რ ვ ი ნ ე" (იესე ოსესშვ., 118,9); „თუ შეიძლებოდეს, ერთი ხელი ტანისამოსი კარგათ შ ე მ ი კ ე რ ვ ი ნ ო თ", ს. დოდაშვილის წერილები, 139).

9. დ ა უ წ ვ ი — დ ა უ წ ვ ე ი ნ ე: „აგრეთვე ხალხი ააჯანღე, ქაიხოსრო სახლთხუცესზე მიუხდუნე; თუ არ წამოვიდეს, სახლ-კარი სულ დ ა უ წ ვ ე ი ნ ე და ააკლებინე, ოღონდ ჯანღში ნუ გაერევი" (დავით ბატონიშვილის წერილი თავის ძმა ბაგრატისადმი: ი. ჯავახიშვ., «საქ. სამეფო ტახტის მემკვიდრეები»: ჟოამბე 1900, აპრ., II, 15).

10. გ ა უ გ დ ე ბ ი ნ ა: „მიუქდა, ჭმალი გადაჰკრა, ცხენს თავი გ ა უ გ დ ე ბ ი ნ ა" («ვეფხ. ტყ.»-ის გაგრძ., 1687 [1]); „მაშინ წამოიჩოქა მაჩაბელმა, გაიკრა ხრმალს ხელი, შემოუკრა ცხენსა, ცხენს თავი გ ა უ გ დ ე ბ ი ნ ა და ტახტაზედ დაასო" («ქართ. ცხ.»-ის გაგრძ.: მ. ჯანაშვ., «ნაშრომი», I, 43).

11. გ ა გ ი ჟ უ ჟ ა ვ — გ ა გ ი ჟ უ ჟ ი ნ ე ბ: „სიცივეს გ ა გ ი ჟ უ ჟ ი ნ ე ბ თ ცოლშვილსა", (ვაჟა, V, 205,23).

12—13. გ ა გ ი ჭ რ ი — გ ა გ ი ჭ რ ე ვ ი ნ ე ბ, ა მ ო გ ი ვ ს ე ბ — ა მ ო გ ი ვ ს ე ბ ი ნ ე ბ: „თუ რომ (ტანისამოსი) განიერი მოგივიდა, გ ა გ ი ჭ რ ე ვ ი-

ნებ მუცელს და ამოგივსებინებ ჩალითა («ქოროღლი»: «ცისკარი» 1872, თებერვ., გვ. 101,1).

14. წამიხდინე — წამიხდენინე: „დამღუპე, ათის წლის სარჩო წამიხდენინე ჯორებსა“ (ვაჟა, «ნახ. წიწ.»).

მოყვანილ მაგალითთაგან ავიღოთ უკანასკნელი და განვიხილოთ მისი ზმნა: წამიხდინე სამ პირს შეიცავს (შენ მე იგი), ეს სამივე პირი უკლებლივ არის გადასული შუალობითში: წამიხდენინე (შენ მე იგი), მაგრამ ამასთანავე ერთად აქ თეორიულად თითქოს მეოთხე პირიც უნდა ივარაუდებოდეს, ეგზეკუტორი, რომელსაც წინადადებაში „ჯორებსა“ სიტყვა ეფარდება. მაგრამ ეს მეოთხე პირი არაფრით არ არის წარმოდგენილი ზმნის ფორმაში. ამიტომ მისი გაგება მკრთალია.

430. კონტაქტი და გარდამავლობა. კონტაქტის ფორმათა დადგენისას გამოსავლად ავიღეთ გარდამავალი ზმნები „წერს“ და „აშენებს“ ტიპისა. ეს იმიტომ, რომ ქართ. ზმნათა სისტემაში ამ ტიპის წარმოება წარმოადგენს ძირითად სახეს, რომლის გარშემო თავს იყრის ყველა დანარჩენი ფორმეში. მართლაც, „წერს“ ძირეულია „აწერინებს“ ფორმის პირისპირ, ისე როგორც „აშენებს“—„აშენებინებს“ ფორმის პირისპირ. მსგავსად ამისა ძირეულ-წარმოქმნილია შემდეგი წყვილები: ტეხს — ატეხინებს, გრეხს—აგრეხინებს, გზავნის –– აგზავნინებს, ხატავს — ახატვინებს, აბამს — აბმევინებს, ალებს — ალებინებს, ახმობს — ახმობინებს და მისთ.

მოყვანილ წყვილ-წყვილ ზმნათა პირველი ცალები აღნიშნავენ უშუალოდ ჩადენილ მოქმედებას. ასეთსავე უშუალო მოქმედებას აღნიშნავენ შემდეგი ზმნებიც: ატირებს, ადუღებს, აწუხებს, აგორებს, აწვენს, ახტუნებს, ამწიფებს, აცხოვრებს და მისთ., რომელთაც შუალობითი გზის ფორმები საერთო შაბლონის მიხედვით აქვთ გაკეთებული: ატირებინებს, ადუღებინებს, აწუხებინებს, აგორებინებს, აწვენინებს, ახტუნებინებს, ამწიფებინებს და მისთ.. მაგრამ ამ ზმნათა უშუალო კონტაქტის ფორმებს გვერდს უდგას ასეთი ფორმებიც: ტირის, დუღს, წუხს, გორავს, წევს, მწიფს, ცხოვრობს და მისთ., რომელთაც პირდ. ობიექტი არა აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ, რადგანაც ესენი გარდაუვალი ზმნებია. წარმოების თვალსაზრისით კი ესენი ჩანან ძირეულებად და გარდამავალი ფორმები — წარმოქმნილებად. მართლაც, ძნელი არ არის იმის გარკვევა, თუ რომელია ძირეული და რომელი წარმოქმნილი ამ წყვილის ცალებს შორის: ტირ-ი-ს (ძვ. ქ. ტირ-ს) — ა-ტირ-**ებ**-ს; დუღ-ს — ა-დუღ-**ებ**-ს, წევ-ს — ა-წვ-**ენ**-ს, ძვ. ქ. ვალ-ს — ა-ვლ-**ენ**-ს და მისთ.. რაც შეეხება ისეთ წყვილებს, როგორიცაა: გორ-**ავ**-ს — ა-გორ-**ებ**-ს, ცხოვრ-**ობ**-ს — ა-ცხოვრ-**ებ**-ს და მისთ., აქ თვითეული მათგანი დამოუკიდებელი წარმოების ფორმაა, მაგრამ თუ მაინც დავსვამთ საკითხს, რომელი მათგანი შეიძლება მიჩნეულ იქნეს ძირეულადო, ჩვენი არჩევანი, უეჭველია, გორ-**ავ**-ს და ცხოვრ-**ობ**-ს ფორმებზე შეჩერდება, ა-გორ-**ებ**-ს და ა-ცხოვ-რ-**ებ**-ს კი წარმოქმნილებში მოჰყვება. ასეთივე ურთიერთობა ჩანს ამ წყვილის ცალებს შორისაც: კივ-ი-ს და აკივ-**ლ-ებ**-ს, ხტ-ი-ს და ა-ხტ-**უნ-ებ**-ს, ყარ-ს და ა-ყრ-**ოლ-ებ**-ს და მისთ.. წარმოქმნილ ფორმებს მაწარმოებელ აფიქსებზე ვატყობთ, რომლებიც ძირეულში არ მოიპოვება.

ფუნქციონალური განსხვავება აღნიშნულ ფორმებს შორის გარდამავლობის მიხედვით არის მოცემული: ძირეული გარდაუვალია („ტირ-ი-ს“), წარმოქმნილი კი — გარდამავალი („ა-ტირ-ებ-ს“). ეს განსხვავება იმისგანაა დამოკიდებული, რომ მეორე ფორმაში პირდ.-ობიექტური პირის გაგებაა შეყვანილი.

მაშასადამე, გვაქვს სამეულები: ტირის — ატირებს, — ატირებინებს, დუღს — ადუღებს — ადუღებინებს, წუხს — აწუხებს—აწუხებინებს, წევს—აწვენს—აწვენინებს და მისთ., რომელთაგანაც პირველი გარდაუვალია, ორი დანარჩენი—გარდამავალი (ტირის გარდაუვალი, ატირებს გარდამავალი, ატირებინებს აგრეთვე გარდამავალი). ამათგან შუა ფორმა ორსავე წყვილში შედის: დუღს — ადუღებს; ადუღებს — ადუღებინებს. ფუნქციონალური განსხვავება პირველი წყვილის ცალებს შორის გარდამავლობისაგან არის დამოკიდებული, მეორე წყვილის ცალებს შორის კი — კონტაქტისაგან. მართლაც, გარდამავლობის თვალსაზრისით მეორე წყვილის ცალები თანაბარია სრულიად: ისიც გარდამავალია და ესეც, პირდ.-ობიექტური პირის ფორმები (resp. პირდ. ობიექტი) იმასაც აქვს და ამასაც (ატირებს ბავშვს, ატირებინებს ბავშვს). ამიტომ, რამდენადაც გარდამავლობა პირდაპირი ობიექტისაგან არის დამოკიდებული, ამ მხრივ კი მეორე წყვილის ცალებს შორის არავითარი განსხვავება არ არსებობს, უნდა დაისვას კითხვა: მართებულია განა, რომ უშუალო კონტაქტის ფორმას (ადუღებს, წერს, აშენებს) ცალმაგად გარდამავალი ეწოდოს და შუალობითისას კი (ადუღებინებს, აწერინებს, აშენებინებს) — ორმაგად გარდამავალი, როგორც ეს სპეციალურ ლიტერატურაში საყოველთაოდ არის გავრცელებული? ორმაგად გარდამავალი მხოლოდ მაშინ იქნებოდა ზმნა, რომ პირდაპირი ობიექტი მას ორი ეწყობოდეს.

შენიშვნა. მით უფრო საცილობელია სამმაგი გარდამავლობის ამბავი, როგორც ამას ბ. რუდენკოს გრამატიკაში ვხედავთ (§ 108). საზოგადოდ „მრჩობლ-სხმით-გარდასვლითი“ ფორმები ანტონი I-ისა, გაიოზისა და სხვათა (ვაწერინებინებ, დავაცემინებინებ, ვაჭრევინებინებ ანუ კვლავ-სხმით გარდასვლითი ფორმები (მ. ჯანაშვილისა: ვაკეთებინებინებ) ბუნებრივად არ არსებობს ქართულში, ესენი ხელოვნური ფორმებია.

ერთი რამ საყურადღებოა მაინც: წარმოების თვალსაზრისით შეიძლება გაერთიანებულ იქნეს წარმოქმნა გარდაუვალი ზმნისაგან გარდამავალი ზმნისა და უშუალო კონტაქტის ზმნისაგან შუალობითი კონტაქტის ზმნისა. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა ზოგ ენაში (არაბულში, სპარსულში, თურქულში და სხვ.). მაგ., არაბ. ხარაჯა-საგან („გავიდა“) ისეა ნაწარმოები ახრაჯა („გაიყვანა“), როგორც ქათაბა-საგან („დაწერა“) აქთაბა („დააწერინა“). ქართულში ამ ერთიანობას რამდენადმე **ინ** აფიქსი გვიჩვენებს, რომელიც **ენ**-ის ხმოვან-შეცვლილი სახეა: ა-წვ-**ენ**-ს — ა-წვ-**ინ**-ა; ა-შენებ-ს — აშენებ-**ინ**-ებს. საერთოა აგრეთვე **ევ**: წააქც-**ევ**-ს გარდამავალია, მაგრამ უშუალო კონტაქტისა, გაახსნ-**ევ**-ს კი — გარდამავალი, მაგრამ შუალობითი კონტაქტისა; **უნ** აფიქსი ქართულში გარდაუვალი ზმნისაგან გარდამავალს აწარმოებს: ჰრწამს — არწმ-**უნ**-ებს, ხტის — ახტ-**უნ**-ებს,. მიუხდა — მიუხდ-**უნ**-ა („ხალხი ააჯანღე, ქაიხოს-

რო სახლთხუცესზე მიუხდუნე“: სრული ციტატი ნ. ზემოთ, § 429,9), **დახმა** — ადგილს დაჯდუნება (ს .ორბ.). სვანურში კი იგივე **უნ** შუალობითი კონტაქტის საწარმოებლად არის გამოყენებული: ტიხე („აბრუნებს“) — **ხ-ა̈-ტხ-უნ-ე** („აბრუნებინებს“).

431. პირთა რაოდენობა შუალობითი კონტაქტის ფორმებში. შუალობითი კონტაქტის საარვისო ქცევის ფორმებში ჩვეულებრივ სამი პირია მოცემული: სუბიექტური, პირდაპირ-ობიექტური და ირიბ-ობიექტური (უკანასკნელი შემსრულებელ ობიექტს წარმოადგენს). მაგრამ არის შემთხვევებიც, სადაც ერთს ფორმაში ორი ირიბია მოსალოდნელი, ეს მოვლენა უფრო აშკარად მაშინ ჩანს, როცა პირდაპირად 1-ლი ან მე-2 პირია. ავიღოთ სამ-პირიანი ფორმა უშუალო კონტაქტისა „გამოასალმა“ ასეთს წინადადებაში: „მონადირემ ნუკრი სიცოცხლეს გამოასალმა“. აქ „ნუკრი“ პირდაპირია. „სიცოცხლეს“ — ირიბი, ორივე მათგანს ზმნის ფორმაში სათანადო გამოხატულება აქვს. გადავიყვანოთ ზმნა შუალობითში, გვექნება: „გამოასალმებინა“ შევუწყოთ ამასაც ფარდი სახელები: „მონადირემ თოფი მასროლინა და ნუკრი სიცოცხლეს გამომასალმებინა“. „გამომასალმებინა“ ფორმა ორ ირიბს იგუებს, რომელთაგანაც ერთი შემსრულებელია („მე“), მეორე — უბრალო („სიცოცხლეს“). მაშასადამე, ზმნას მოემატა ეგზეკუტორის გაგება, რომელიც ირიბი ობიექტია, მაგრამ ამით დაიჩრდილა მეორე ირიბ-ობიექტური პირის გაგება. ის კიდევ უფრო დაიჩრდილება, თუ პირდაპირად 1-ლს ან მე-2 პირს ავიღებთ, მაგ., ასეთს წინადადებაში, რომლითაც შველი გამოუცდელ ნუკრს მიმართავს: „ეგენი (დედაკაცი და ბალღი) წავლენ, ასწავლიან მონადირეს ჩვენს ბინას და გამოგვასალმებინებენ სიცოცხლეს“ (ვაჟა, «შვლის ნუკრის ნაამბ.», V, 13,7). აქ ზმნის ფორმიდან ნათლად ჩანს ორი პირი: სუბიექტური (მათეული, რომლის ნიშანია სუფიქსი **ენ**) და პირდ.-ობიექტური (ჩვენეული, რომლის ნიშანია პრეფიქსი **გვ**): **გამო-გვ-ასალმებინებ-ენ.** ორი დანარჩენი პირი, რომლებიც თეორიულად ივარაუდება (შემსრულებელი ირიბი და უბრალო ირიბი), მართალია, იწყობენ სათანადო ფარდ სახელებს („მონადირეს“, „სიცოცხლეს“), მაგრამ ფორმის შენებაში აქტიურ მონაწილეობას ვერ იღებენ და მკრთალად ჩანან.

მსგავსად ამისა, „მისცა“ სამ-პირიანია (მან მას იგი). შუალობითში გადაყვანით ის ოთხიანი უნდა გახდეს: მიაცემინა (მან მას იგი მას). მართლაც, ასეთ ზმნას შეუძლია ოთხი სახელი შეიწყოს: „წამიძღვნენ, ძღვენი მიმირთვეს, ხელმწიფესა სალამი მიმაცემინეს“ («რუსუდ.», ქ. IV, ანთოლ. II, 83,12). მიმაცემინეს — მათ მე სალამი ხელმწიფეს. მაგრამ პირის ნიშანი მარტო ორს აქვს: სუბიექტს და შემსრულებელ ობიექტს (**მი-მ-აცემინ-ეს**). ამიტომ ნათლად ეს პირები მოჩანს ფორმაში, ორი დანარჩენი კი მკრთალია.

შუალობითი კონტაქტის სათავისო ქცევის პირთა რაოდენობაზე ზემოთ გვქონდა საუბარი (§ 423). გადავიდეთ სასხვისოზე.

უშუალო კონტაქტის სასხვისო ყოველთვის სამ-პირიანია. შუალობითში გადაყვანით შემსრულებელი ობიექტური პირი ემატება და ოთხიანი უნდა გახდეს: „სიგელი დამიწერა“ — „სიგელი დამიწერინა“. „დამიწერა“ სამ სახელს იგუებს (მან მე იგი), „დამიწერინა“ კი — ოთხს: მან მე იგი მას. ამათგან „მე“ უბრალო ირიბია, „მას“ — შემსრულებელი. „მანუჩარმა სიგელი მოსე მღვდელს

დ ა მ ი წ ე რ ი ნ ა“ (იესე ოსესშვ., 49,6 ქვ.), ე. ი. მანუჩარ სოლაღაშვილმა სიგელი მოსე მღვდელს დააწერინა ჩემთვის. აქაც ზმნაში ნათლად და მკაფიოდ ორი პირი ჩანს, რომლებიც ფორმა-ცვალებაში იღებენ მონაწილეობას: სუბიექტური (მისეული) და უბრალო ირიბი (ჩემეული), ორი დანარჩენი კი მკრთალია.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ძველს ქართულშიც კი, რომელსაც მეტი საშუალება აქვს, გამოხატოს პირთა რაოდენობა ზმნის ფორმაში, არ შეიძლება სამზე მეტი პირი იყოს წარმოდგენილი რაიმე ნიშნით, პირისა ან მრ. რიცხვისა. მაგალითები: „ხ უ თ ხ რ ნ ე ს სიტყუანი ესე ათერთმეტთა მათ“ (ლუკ. 24,9). აქ **ხ** მე-3 ირიბ-ობიექტური პირის ნიშანია, **ნ** — პირდ.-ობ. პირის ნიშანი მრავ რიცხვისა, ხოლო **ეს** — მე-3 სუბ. პირის ნიშანი მრ. რიცხვისა. სხვა მაგალითი: „უკუეთუ არა მ ი ხ უ ტ ე ვ ნ ე თ კაცთა შეცოდებანი მათნი, არცა მამამან თქუენმან მ ო გ ი ტ ე ვ ნ ე ს შეცოდებანი თქუენნი“ (მათ. 7,28). აქ მ ი ხ უ ტ ე ვ ნ ე თ ზმნაში **ხ** მე-3 ირიბ-ობიექტური პირის ნიშანია, **ნ** — პირდ.-ობ. პირის ნიშანი მრ. რიცხვისა, ხოლო **თ** — მე-2 სუბ. პირის ნიშანი მრ. რიცხვისა. (მაშასადამე, ამ ფორმაში ერთი ნიშანი პირისაა, ორი — სხვა პირთა მრ. რიცხვისა); მ ო გ ი ტ ე ვ ნ ე ს ფორმაში კი **გ** მე-2 ირიბ-ობ. პირის ნიშანია, **ნ** — პირდ.-ობ. პირის ნიშანი მრ. რიცხვისა, **ს** კი — მე-3 სუბ. პირის ნიშანი (მხ. რ.). უკანასკნელ შემთხვევაში ასეთი ვითარებაა: ორ პირს პირის ნიშანი აქვს, ერთს კი — რიცხვისა.

432. კონტაქტის კატეგორიის შესწავლის ისტორიიდან. კონტაქტიანი ფორმები მრავალ ენას მოეპოვება (არაბულს, თურქულს, სპარსულს და სხვ.). ენის სპეციალისტები კარგად იცნობენ შუალობითი კონტაქტის ფორმას, რომელსაც ძველი ქართველი გრამატიკოსები (ანტონი I, გაიოზი და სხვები) სხმით-გარდასვლითს ეძახიან, ევროპელი გრამატიკოსები კი — კაუზატივს ანუ ფაქტიტივს. მაგრამ, რამდენადაც ვიცი, არ იყო გამორკვეული ურთიერთობა ძირეულ ფორმასა და კაუზატივს შორის და ამ ურთიერთობით გამოწვეული ვითარება. ერთი სიტყვით, იყო ცნება კაუზატივისა, მაგრამ სათანადოდ დაფასებული არ იყო მისი საოპოზიციო ცალი. ამიტომ არც ზე-კატეგორიის ცნება იყო (ცნება კონტაქტისა). ამით აიხსნება ის გარემოება, რომ შუალობითი კონტაქტის ფორმა ზოგჯერ განსაკუთრებული გვარის ფორმად მიაჩნდათ. უცხო ენების გრამატიკებს რომ თავი დავანებოთ, შეიძლება დავიმოწმოთ ქართ. ენის გრამატიკა ბ. რ უ დ ე ნ კ ო ს ი, სადაც მოყვანილია спряжение глаголов побудительного залога (§ 107). გვარის კატეგორიაში შეტანა კაუზატივისა მცდარია, რადგანაც გვარის მიხედვით ეს ფორმა მოქმედებითია და მას სათანადო ვნებითიც მოეპოვება.

პირველად კონტაქტის კატეგორია დადგენილია ჩემს გრამატიკაში, რომელიც 1930 წ. გამოვიდა (§ 124, 125). ოღონდ იქ ამ კატეგორიის აღსანიშნავად ნახმარია ტერმინი „გზა“ [1], რომლის ნაცვლად შემდეგ შემოვიღე „შეხება“ ანუ „კონტაქტი“, რომელიც უკეთ გადმოგვცემს აღნიშნული კატეგორიის ბუ-

---

[1] **„გზა“ არა და „გზისობა“ კი, როგორც გრამატიკული ტერმინი, საბოლოოდ მიეჩინა იმ კატეგორიას, რომელიც „ჯერობის“ სახელით იყო აღნიშნული.**

ნებას და მეტი შანსი აქვს, რომ საერთაშორისო ლინგვისტურ მეცნიერებაში შევიდეს, გავრცელდეს და საყოველთაოდ დამკვიდრდეს.

433. სუბიექტურ და ობიექტურ პირთა ნუანსები. გვარისა და კონტაქტის კატეგორიების მიმოხილვის დასრულების შემდეგ ორიოდე სიტყვით უნდა შევჩერდეთ სუბიექტურ და ობიექტურ პირთა რაობის შესახებ და ვნახოთ, თუ როგორია ამ მხრივ მიმართება გრამატიკასა და საქმის რეალურ ვითარებას შორის. გრამატიკაზე რომ ვლაპარაკობთ, ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს მორფოლოგიური საშუალებანი ზმნისა.

1. სუბიექტური პირი. მორფოლოგიის თვალსაზრისით სუბიექტურია პირი, რომელიც მოქმედად არის წარმოდგენილი ზმნის ფორმაში. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ინვერსიის შემთხვევებს, აგრეთვე ფონეტიკური ვითარებით გამოწვეულ სხვადასხვაობას (მე-3 სუბ. პირისთვის ნაირ-ნაირობასაც მწკრივთა და სხვადასხვა ტიპის ზმნათა მიხედვით), სუბიექტური პირი მუდმივ ერთგვარად არის გამოხატული ზმნის ფორმაში. მაგალითი 1-ლ პირზე: **ვ**-წერ, **ვ**-იწერები, **ვ**-სწერივარ, **ვ**-აწერინებ, **ვ**-ეწერინები. აქ 1-ლი პირი ყველგან სუბიექტურია, მაშასადამე, ყველგან მოქმედია გრამატიკის თვალსაზრისით. მაგრამ ამასთანავე ერთად აღნიშნული ფორმებით საქმის რეალური ვითარება სხვადასხვანაირად არის ასახული:

ვ წ ე რ — აქ რეალურადაც მე ვარ მოქმედი.

ვ ი წ ე რ ე ბ ი — აქ კი რეალურად სხვა მოქმედებს და არა მე (სხვა მწერს) [ფორმა აღებულია პასიური მნიშვნელობით].

ვ ს წ ე რ ი ვ ა რ — აქაც რეალურად სხვას უმოქმედნია ჩემზე, სხვის მიერ ვარ დაწერილი.

ვ ა წ ე რ ი ნ ე ბ — სხვა წერს ჩემი დავალებით.

ვ ე წ ე რ ი ნ ე ბ ი — სხვა მწერს, მაგრამ ამისი მიზეზი მე ვარ.

როგორც ვხედავთ, 1-ლი პირი ყველგან სუბიექტია, მაგრამ ის სხვადასხვა სახით წარმოგვიდგება:

ვ წ ე რ — 1-ლი პირი აქტიური სუბიექტია.

ვ ი წ ე რ ე ბ ი — 1-ლი პირი პასიური სუბიექტია.

ვ ს წ ე რ ი ვ ა რ — 1-ლი პირი ისევ პასიური სუბიექტია, მაგრამ მოქმედება უბნობის მომენტამდე მომხდარა, უბნობის მომენტში კი ამ მოქმედების შედეგი ჩანს.

ვ ა წ ე რ ი ნ ე ბ — 1-ლი პირი ხელმძღვანელი სუბიექტია, — ის სხვა პირს ამოქმედებს.

ვ ე წ ე რ ი ნ ე ბ ი — 1-ლი პირი ხელმძღვანელი სუბიექტია, მაგრამ პასიური: ის თვითონვეა მიზეზი იმისა, რომ მასზე მოქმედებენ.

მაშასადამე, სუბიექტებს შორის განსხვავებაც არის. ეს განსხვავება იმისაგანაა დამოკიდებული, რომ თვითეული ამ ფორმათაგანი სხვადასხვა შედგენილობისაა. ასე რომ სუბიექტური პირის ნუანსების დადგენაში მთელი ფორმა იღებს მონაწილეობას. პირის ნიშანს კი ეკისრება გამოხატოს, რომ პირი მოქმედია და აგრეთვე, თუ რომელია (პირველი, მეორე თუ მესამე).

2. ობიექტური პირი. მორფოლოგიურად ობიექტურია პირი, რომელიც არ მოქმედებს. მაგრამ ეს უმოქმედობა სხვადასხვა სახისაა, როგორც ამას შემდეგი გვიჩვენებს (მაგალითები 1-ლ პირზე):

დ ა მ წ ე რ ა — მე წერის უშუალო ობიექტი ვარ.

მ ო მ წ ე რ ა — წერის უშუალო ობიექტი სხვაა (მაგ., წერილი), მე კი არ ვმოქმედებ და ობიექტი ვარ, მაგრამ არა პირდაპირი, არამედ ირიბი.

მ ი წ ე რ ი ა — ჩემსაში სწერია. მე ირიბი ობიექტი ვარ, მაგრამ მფლობელი (რაშიაც სწერია ან რაზედაც სწერია, ის ჩემია).

დ ა მ აწ ე რ ი ნ ა — მე ისევ ირიბი ობიექტი ვარ, მაგრამ აქტიურად შემსრულებელი.

დ ა მ ე წ ე რ ი ნ ა — მე ისევ შემსრულებელი ობიექტი ვარ, მაგრამ პასიური.

მაშასადამე, ყველა მაგალითში 1-ლი პირი ობიექტია. პირველ შემთხვევაში ეს ობიექტი პირდაპირია, სხვა შემთხვევებში კი — ირიბი. პირდაპირი ობიექტი შინაარსით მუდმივ ერთი სახისაა, ირიბი კი — სხვადასხვა: უბრალო, მფლობელი (პოსესორი), შემსრულებელი (ეგზეკუტორი). ეს ობიექტები ყველა მ-თია ზმნაში აღნიშნული. განსხვავება პირდაპირსა და ირიბს შორის 1-ლსა და მე-2 პირში ფორმობლივ არ ჩანს, მე-3 პირში კი ძველად ისინი მკაფიოდ გარჩეული იყვნენ ერთმანეთისაგან. სამაგიეროდ ყველა ტიპის ირიბს ერთს რომელსამე პირში და ერთსა და იმავე ფონეტიკურ ვითარებაში ნიშანი ერთი აქვს. მიუხედავად ამისა, ხერხდება სხვადასხვა შინაარსის ობიექტების გამოხატვა. ეს იმიტომ, რომ ობიექტური პირის რაობის დადგენაშიც მთელი ფორმა იღებს მონაწილეობას და არა მარტო პირის ნიშანი. პირის გაგება რომ მარტო პირის ნიშანზე იყოს დამოკიდებული, მაშინ, ვთქვათ, „და-მ-წერა“ ან „მო-მ-წერა“ ერთსა და იმავე გაგებას მოგვცემდა 1-ლი ობიექტური პირისათვის. მაგრამ ეს ასე არ არის: „დამწერა“-ში მე პირდაპირი ობიექტი ვარ, „მომწერა“-ში კი — ირიბი.

სუბიექტი მოქმედია, ობიექტი — უმოქმედო, სუბიექტი მიზეზია მოქმედებისა, ობიექტი — არა. აი ეს არის იმის საფუძველი, რომ ეს ორი წინადადება: „მეტყევემ კაცი მ ო კ ლ ა“ და „მეტყევეს კაცი შ ე მ ო ა კ ვ დ ა“ თუმცა ერთსა და იმავე მოქმედებას აღნიშნავს, მაგრამ სხვადასხვა თვალსაზრისით: პირველ შემთხვევაში ფორმა აქტიურია და მოქმედების მიზეზად (სუბიექტად) მეტყევეა გამოყვანილი, მეორე შემთხვევაში კი ფორმა პასიურია და მკვლელობის მიზეზად (სუბიექტად) თვით მოკლული კაცია გამოყვანილი, მეტყევე კი ობიექტია ამ საქმეში, ის უნებური მონაწილეა მოქმედებისა, რომელიც მისი ხელით სხვამ ჩაიდინა.

ს ი ტ უ ა ც ი ა

434. სიტუაციის რაობა. ს ი ტ უ ა ც ი ი ს ანუ მ დ ე ბ ა რ ე ო ბ ი ს სახელით აღვნიშნავთ ზმნის კატეგორიას, რომელიც გვიჩვენებს მოქმედების ლოკალიზაციას ამა თუ იმ საგანთან მიმართებით. ლოკალიზაცია წართქმითია ან უკუთქმითი, ე. ი. ზმნის ფორმა მას ან მიგვითითებს ან არ მიგვითითებს. ამის მიხედვით გვაქვს ორი სიტუაცია: მითითებული ან მიუთითებელი.

მითითებული სიტუაცია აღნიშნავს, რომ მოქმედება ხდება რ ა ზ ე დ მ ე, ამიტომ ასეთ ფორმას ს ა ზ ე დ ა ო ს ა ც ვეძახით. ეს კატეგორია სუსტად არის გამოხატული ქართულში და გვხვდება მხოლოდ პირველადს ზმნებში. მაგალითები:

1. გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ ნ ი: წერს — ა-წერს, ტეხს — ა-ტეხს, ყრის — ა-ყრის თლის — ა-თლის, ჭრის — ა-ჭრის და მისთ.

2. გ ა რ დ ა უ ვ ა ლ ნ ი: ა) მ ე დ ი ო პ ა ს ი ვ ნ ი: დგას — ა-დგას, წევს — ა-წევს, ძევს — ა-ძევს, ზის — ა-ზის, სხედან — ა-სხედან და მისთ.; ბ) ს ტ ა ტ ი კ უ რ ნ ი: ს-წერია — ა-წერია, ჰყრია — ა-ყრია და მისთ.

მოყვანილ წყვილ-წყვილ მაგალითთაგან პირველი ცალები მიუთითებელი სიტუაციის ფორმებია (წერს — ს-წერია), მეორე კი — მითითებულისა, სახელდობრ ს ა ზ ე დ ა ო (ა-წერს, ა-წერია).

435. საზედაოს ნიშანი და გავრცელების არე. როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, საზედაოს ნიშანია პრეფიქსი ა. ეს ნიშანი ზმნას I სერიაშიც აქვს და II-შიც: ა-წერს — ა-წერა, ა-წევს — ა-წვა, ა-ზის — ა-ჯდა და მისთ.. ოღონდ სტატიკურ ზმნებს ეს ნიშანი მარტო აწმყოში აქვთ: ა-წერია (სხვა მწკრივები I სერიისა მათ აკლიათ). რაც შეეხება II სერიის მწკრივებს, აქ მათ, — რელატიური პრეფიქსიანი ვნებითის მსგავსად, — ე აქვთ ყველა ტიპის წარმოებისათვის; ზმნები: ს-წერია, უ-წერია და ა-წერია — ყველა ე-წერა-ს გვაძლევს. ამიტომ სტატიკურ ზმნებში სიტუაციაზე საუბარი მარტო აწმყოს ფორმის მიხედვით შეგვიძლია.

განკერძოებით დგას საკითხი III სერიის შესახებ. აქ არც გარდამავალსა და არც გარდაუვალ ზმნას საზედაო ფორმა არ შეჰრჩება. სხვანაირად რომ ვთქვათ, საზედაო ფორმას აკლია III სერიის მწკრივები, სადაც ის ძირეული ზმნის ფორმაზე გადადის. მაგალითი გარდამავალი ზმნებიდან:

	I. სერ. (მყოფ.)	II სერ. (წყვეტ.)	III სერ. (I თურმ.)
მ ი უ თ ი თ.	და-წერს	და-წერა	და-უ-წერია
მით. (ს ა ზ ე დ.)	და-ა-წერს	და-ა-წერა	

„დაუწერია“ ნორმალურად მიუთითებელი სიტუაციის ფორმათა გაგრძელებაა (დაწერს — დაწერა-სი); მასვე სარგებლობს მითითებული ფორმაც, საზედაო (დააწერს — დააწერა), ოღონდ ის აქ ვერ გვიჩვენებს იმ მნიშვნელობას რომელიც მითითებულ ფორმებს თავ-თავის საპირისპირო ფორმათაგან განსხვავებით I-სა და II სერიაში მოეპოვება.

მაშასადამე, სამ-პირიანი გარდამავალი ზმნა და-ა-წერა ისევე ვერ გვაძლევს საკუთარი წარმოების ფორმებს III სერიის მწკრივებში, როგორც რომელიმე სხვა სამ-პირიანი ფორმა, მაგ., და-ს-წერა (ასეთი ფრაზიდან: „ჯუარი დასწერა“, ძვ. ქ.). რატომ? — იმიტომ რომ სიტუაცია საზოგადოდ ირიბი ობიექტის გამოხატვასთან არის დაკავშირებული. ირიბ-ობიექტური პირის ნიშანი გარდამავალ ზმნაში III სერიის ფორმებში სუბიექტისთვის არის გამოყენებული ინვერსიულად (§§ 240, 351). ამიტომ ირიბ-ობიექტური პირი ფორმიდან გადის, ადგილს სუბიექტურ პირს უთმობს და თვითონ აღუნიშნველი რჩება ზმნაში.

რაც შეეხება გარდაუვალ ზმნებს, მათი ყოველგვარი რელატიური ფორმა ერთს წარმოებაშია გაერთიანებული III სერიის მწკრივებში: და-ა-ჯდა და და-უ-ჯდა აქ ორივე და-ს-ჯდომია ფორმას მოგვცემს; ამგვარადვე მი-ს-დგა და მი-ა-დგა — ორივე მი-ს-დგომია-ში იყრის თავს.

436. სიტუაცია და ქცევა. არის ერთგვარი მსგავსება მითითებულ სიტუაციასა და საარვისო ქცევას შორის: საზედაოს ნიშანია პრეფიქსი **ა** (ა-წევ-ს); ეგეთივე პრეფიქსი მოუდის ნიშნად საარვისო ქცევასაც მეორეულ ზმნებში, იქნება ეს მეორეული ზმნა ნასახელარი (შავ-ი — ა-შავ-ებ-ს), თუ ნაზმნარი (წევ-ს — ა-წვ-ენ-ს). ამ მსგავსების გამო ერთად განიხილავდნენ მათ. მაგრამ ისმის საკითხი: ასახავენ თუ არა ისინი ერთისა და იმავე ხასიათის მოვლენას ენაში? მაგალითით რომ ვთქვათ, არის თუ არა ფორმები: **ი**-წერს — **უ**-წერს — **ა**-წერს ფუნქციის თვალსაზრისით ყველა ისეთი ხასიათისა, რომ თანაბრად შეეზომებოდნენ მათს ძირეულ „წერს“ ფორმას? — არა, არ არის. მართლაც, გამოსავალ ფორმას, ძირეულს, ორი მათგანი პირდ. ობიექტის კუთვნილება-დანიშნულების მიხედვით უპირისპირდება: წერს — **ი**-წერს, წერს —**უ**-წერს, უკანასკნელი კი — მოქმედების ლოკალიზაციის მიხედვით ირიბ-ობიექტთან მიმართებით: წერს — **ა**-წერს. ამიტომ **ა**-წერს ფორმა გამოეყოფა **ი**-წერს და **უ**-წერს ფორმებს და ცალკე დაუდგება თავის ძირეულს პირისპირ:

	საარვ.	სათავ.	სასხვ.
ქცევა	წერს	**ი**-წერს	**უ**-წერს
	მიუთით.	მითით. (საზედ.)	
სიტუაცია	წერს	**ა**-წერს	

ეს იმიტომ, რომ სხვაა ის ურთიერთობა, რომელიც არსებობს, ერთი მხრით, წერს — **ი**-წერს (ან წერს — **უ**-წერს) ფორმებს შორის და, მეორე მხრით, წერს — **ა**-წერს ფორმებს შორის. განმასხვავებელ ნიშნად პირველი წყვილის ცალებს შორის კუთვნილება-დანიშნულებაა, აქ კი—მიმართება ირიბ ობიექტთან სივრცეში განლაგების თვალსაზრისით; იქ ქცევაა ანუ ვერსია, აქ კი — სიტუაცია. ამიტომ მათი ერთ სიბრტყეზე განხილვა შეუძლებელია. საზედაო ფორმა რომ ქცევის ფორმად ვიცნათ, მაშინ, უეჭველია, ქცევის განსაზღვრაში ახალი მომენტი უნდა შევიტანოთ და არსებითად ორი სხვადასხვა კატეგორია შევაერთოთ. ეს იგივე იქნებოდა, რომ ერთად განგვეხილა ისეთი ფორმები, როგორიცაა, ვთქვათ: და-წერა, და-**ი**-წერა (აქტ.), და-**უ**-წერა, და-**ი**-წერა (პას.) და და-**ე**-წერა (პას.) იმ მარტივი მოსაზრების გამო, რომ ყველა მათ, პირველს გარდა, პრეფიქსი აქვს მაწარმოებლად.

437. სიტუაციის აუცილებელი პირობა. წართქმითი სახის სიტუაცია, ე. წ. საზედაო, უთუოდ გულისხმობს ირიბ ობიექტს, რომლის შეწყობის შესაძლებლობა ისევე აუცილებელი პირობაა ამ ფორმის ხმარებისათვის, როგორც პირდ. ობიექტის შეწყობის უნარი ზმნის გარდამავლად მიჩნევისათვის როცა ვკითხულობთ:

წარსულთა დროთა ამაგი ზედ მ ა წ ე რ ი ა მკერდზედა

(ვაჟა, V, 213).

აქ ირიბ ობიექტად 1-ლი პირი უნდა გავიგოთ, „მკერდზედა“ კი ადგილის გარემოებაა, რომელიც შეგვიძლია მარტივი (უთანდებულო) მიცემითის ფორმით ან სხვა სიტყვით შევცვალოთ (მაგ., მ კ ე რ დ ს, შ უ ბ ლ ს, შ უ ბ ლ ზ ე დ ა); ზედმიწევნილობის გულისთვის მას კიდევ „ზედ“ აქვს დართული: ზედ...

მ კ ე რ დ ზ ე დ ა). მე-3 პირში გადაყვანით ზმნას ბრუნვა-უცვალებელი სახელი გაუჩნდება: აწერია ლ ო დ ს, ეწერა ლ ო დ ს (resp. ლოდზე).

რომ ნათელი იყოს ზმნის ფორმის მიმართება ირიბ ობიექტთან, მაგალითისთვის ავიღოთ „მო-კვდა“. ირიბ ობიექტს ეს ზმნა „მო“ ზმნისწინით არ მიიღებს, მაგრამ, თუ „მო“-ს ნაცვლად „მი“-ს ვიხმართ, მაშინ ირიბი ობიექტი გაუჩნდება, ოღონდ თვითონ ზმნა ფორმას იცვლის — მაერთებელ ხმოვანს მიიღებს ა-ს სახით: მი-ა-კვდა. ეს ა გარდაუვალ ზმნებთან ირიბი ობიექტის სასიგნალო ნიშანია, რასაც ამ წყვილის ცალების შედარება გვიჩვენებს: ჩა-კვდა— ჩა-ა-კვდა; ჩა-კვდა ერთ-პირიანია, ჩა-ა-კვდა კი — ორ-პირიანი. ეს მეორე პირი აქ ირიბი ობიექტია. ასევე ორ-პირიანებია: და-ა-კვდა, გადა-ა-კვდა, შე-ა-კვდა, შემო-ა-კვდა, რომლებშიც ირიბი ობიექტის გაგებაა შეტანილი. იგივე მოვლენაა აქაც: მი-ა-ტყდა, შე-ა-ტყდა, და-ა-ტყდა, ჩა-ა-ტყდა; მი-ა-წვა, და-ა-წვა, ჩა-ა-წვა და მისთ.

ამგვარსავე ვითარებას გვიჩვენებს თანხმოვნით დაწყებული პირველადი გარდამავალი ზმნებიც: და-კლა, ჩა-კლა, მაგრამ: და-ა-აკლა, შე-ა-კლა, ჩა-ა-კლა, მი-ა-კლა, წა-ა-კლა („ქათამმა თქვა: გოჭი დაკლეს, მე წამაკლეს; ცხვარი დაკლეს, მე წამაკლესო“); ერთ ობიექტთან ითქმის: მან და-წერა, ჩა-წერა და სხვა, მაგრამ მეორე ობიექტთან (ყოველთვის თუ არა, მრავალ შემთხვევაში მაინც) ა დაერთვის: და-ა-წერა, ჩა-ა-წერა, მი-ა-წერა, წა-ა-წერა, შე-ა-წერა; პირდაპირთან ითქმის: გა-ტეხა, ჩა-ტეხა, მაგრამ ირიბის დამატებით: და-ა-ტეხა, ჩა-ა-ტეხა, გადა-ა-ტეხა და სხვა.

მაშასადამე, იმ პირველადს გარდამავალ ზმნებშიც, რომელთა საარვისო ქცევის ფორმას ნიშანი არ უნდა, ა პრეფიქსი აგრეთვე ირიბი ობიექტის სასიგნალო ნიშანია.

რა თქმა უნდა, ა პრეფიქსი ყოველთვის არ მიგვითითებს ირიბ ობიექტზე, მეორეულ ზმნებში ის გარდამავალ ზმნათა მაწარმოებელია საარვისო ქცევით: ა-წითლებს, ა-გორებს, ა-წვენს, ა-დგენს და მისთ.; მაგრამ პირველადს ზმნებში ა-ს ფუნქცია ნათელია: ის ირიბი ობიექტის გამოხატვასთან არის დაკავშირებული როგორც გარდამავალს, ისე გარდაუვალ ზმნებში.

438. სათანაო. ურთიერთობა საზედაოსთან. გვაქვს ორგვარად გაფორმებული მიმართება ირიბ ობიექტთან როგორც გარდამავალს, ისე გარდაუვალს ზმნაში: უნიშნო და ნიშნიანი (ა-ნიანი). ამისი მაგალითებია: და-ს-წერა, და-ა-წერა (ჯვარი დასწერა, სიტყვა დააწერა), ს-ტეხს — ა-ტეხს (ხეს რტოს სტეხს, სოფელს მეხს ატეხს თავზე), ს-ძევს — ა-ძევს და მისთანანი. გამოვიყენოთ არსებული ტერმინი „სათანაო“ უნიშნო ირიბი მიმართების აღსანიშნავად (როგორიცაა: ს-დის, ს-ძევს, ს-წერს, ს-ტეხს და მისთ.) და ვნახოთ, რა ურთიერთობაა მასა და საზედაოს შორის. თანაც არ უნდა შეგვიყვანოს შეცდომაში დღევანდელმა ვითარებამ, რომელიც ფონეტიკური წესების შედეგია: და-ს-წერა და და-ა-წერა ასეთი ფორმებისაგან არის მიღებული (შესაბამისად): და-ჰ-წერა და და-ჰ-ა-წერა. ასე რომ განმასხვავებელი ნიშანი მათ შორის ისტორიულად მარტო ა არის.

წინა პარაგრაფში გამოთქმულ მოსაზრებას ა აფიქსის ფუნქციის შესახებ პირველადს ზმნებში ის გარემოება უჭერს მხარს, რომ იმავე პირველადს ზმნებს

საარვისო ქცევის ფორმები შუალობით კონტაქტში ა-თი აქვთ ნაწარმოები: ტეხს — **ა**-ტეხინებს, წერს — ა-წერინებს, ჭამს—**ა**-ჭმევს და მისთ.. რა ემატება შუალობითში აღნიშნულ ზმნებს პირთა რაოდენობის თვალსაზრისით?—ემატება მესამე პირი, ირიბ-ობიექტური, რომლის ნიშანი დაკარგულია მე-3 რომლობითში, მაგრამ შენახულია 1-ლსა და მე-2-ში: **მ**-ა-წერინებს, **გ**-ა-წერინებს, ***ჰ**-ა-წერინებს რატომ გახდა აუცილებელი **ა**-ს დართვა? კონტაქტის ბრალია ვითომ? — ეგრე რომ იყოს, მაშინ უანოდ ვერ ვაწარმოებდით ვერავითარ შუალობითის ფორმას, მაგრამ, როგორც ვიცით (§ 423), შუალობითი კონტაქტის ფორმათა წარმოება არ არის უთუოდ **ა**-სთან დაკავშირებული (წერინება, **ი**-წერინებს, **უ**-წერინებს). გვრჩება, მაშასადამე, დავასკვნათ, რომ **ა**-ს დართვა ამ შემთხვევაში ირიბ-ობიექტური პირის გამოხატვასთან არის დაკავშირებულიო. უფრო ზედმიწევნილობით რომ ვთქვათ, ირიბ-ობიექტურ პირს ვერ შევიყვანთ თანხმოვნით დაწყებულის საარვისო-ქცევიანი პირველადი ზმნისაგან ნაწარმოებ შუალობითში, თუ საწინაო პირის ნიშანსა და ზმნის ფუძეს შორის მაერთებელ ხმოვანს არ ჩავსვამთ: წერს — მ-**ა**-წერინებს, გ-**ა**-წერინებს, (ჰ)-**ა**-წერინებს, გვ-**ა**-წერინებს.

თუ აღნიშნული მოსაზრება სწორია, მაშინ უეჭველია, რომ **ა** ერთისა და იმავე ფუნქციის მატარებელია პირველადს ზმნებში, გარდამავალი იქნება ფორმა, თუ გარდაუვალი: წევს — მ-**ა**-წევს, ძევს — მ-**ა**-ძევს, ზის — მ-**ა**-ზის, წერს — მ-**ა**-წერს — მ-**ა**-წერინებს, ტეხს — მ-**ა**-ტეხს — მ-**ა**-ტეხინებს და მისთ.

439. პარალელი სვანურიდან. საყურადღებოა, რომ სვანური უბრალო ირიბი მიმართების ფორმას უანოდ ვერ აწარმოებს. ეს მოვლენა იქ მე-3 ობიექტური პირის ფორმაშიც აშკარად ჩანს, რადგანაც ამ პირის ნიშანი სვანურს დღევანდლამდე დაცული აქვს **ხ**-ს სახით. მაგალითები: სგურ („ზის")—ხ-**ა**-სგურ („აზის"), ლ-გ-გ („დგას")—ხ-ა̄-გ („ადგას"). ცჷ̂ირ („დარჩენილია")—ხ-**ა**-ცვჷ̂რ („დარჩენილი აქვს"), ტჷ̄ლი („იძახის")—ხ-ა-ტჷ̄ლი („უძახის"), ტიხე „აბრუნებს" — ხ-ა̈-ტხე („უბრუნებს" — უბრალო რელატიური ფორმა ირიბისათვის; ხ-ო-ტხე იქნება: „უბრუნებს მისას", ე. ი. სასხვისო ქცევა); კჷ̂იშე („ტეხს") — ხ-ა̈-კჷ̂შე („ატეხს": თხუმჟი გაკს ხა̈კჷ̂შე—„თავზე კაკალს ამტვრევს") და მისთ. საზოგადოდ, ირიბ-ობიექტური პირის ნიშანი ზმნას სვანურში უხმოვნოდ არ უერთდება, თუ, რა თქმა უნდა, რედუქციას ადგილი არა აქვს მარცვალთა რიცხვის გადიდების შემთხვევაში: ხ-ა-ტჷ̄ლი („უძახის"), მაგრამ ლა-ხ-ტჷ̄ლ [*ლა-ხა-ტჷ̄ლე] („დაუძახა"). ამიტომ გასაგებია, რომ შუალობითი კონტაქტის ფორმა პირველად ზმნათაგან სვანურშიც ა-ს გვიჩვენებს: ტი̊ხე („აბრუნებს") მაგრამ ხ-ა̈-ტხუნე („აბრუნებინებს").

ქართულში ირიბ-ობიექტური პირის ნიშანი უშუალოდაც ერთვის ზმნის ფუძეს (ჰ-გავს, ს-ძულს, მო-მ-წერა, მი-ს-წერა), სვანურში კი მაერთებელი **ა** არის საჭირო: ხ-ა-ჯეშ („ჰ-გავს"), ხ-ა-სისგ („ს-ძულს").

440. სათანაო და საზედაო განურჩევლად. ზოგ შემთხვევაში განურჩევლად ვხმარობთ სათანაო და საზედაო ფორმებს; ამისი მაგალითები ძველი ქართულიდანაც შეგვიძლია დავიმოწმოთ და ახლიდანაც, თანაც როგორც გარდამავალს, ისე გარდაუვალ ზმნებში:

დ ა ჰ კ უ ე თ ა — დ ა ა კ უ ე თ ა. ოთხთავის ხელნაწერებში ერთსა და იმავე ადგილას ზოგში „დაჰკუეთა“ იკითხება, ზოგში კი — „დააკუეთა“: „სადაცა დაა-პყრის იგი, დ ა ჰ კ უ ე თ ი ს“ (მარკ. 9,18 ადიშ., ტბ.; „დ ა ა კ უ ე თ ი ს“, ათონ., ჯრ., პარხ.); „სულმან მან არაწმიდამან დ ა ჰ კ უ ე თ ა იგი“ (მარკ. 9,20 ტბ., ადიშ., „დ ა ა კ უ ე თ ა“ ათონ., ჯრ., პარხ.); „შენ აღმიღე და დამკუეთე მე (ფს. 101,11); (ვარიანტი; დამაკუეთე).

დ ა ს დ ვ ა — დ ა ა დ გ ა: დასვა და თავსა გუირგუნი დ ა ს დ გ ა თავისა ქელითა (ვეფხ. 45); დ ა ა დ გ ე ს თავსა გუირგუინი (ვეფხ. 1187).

დ ა ვ ს ც ვ ი თ ე — დ ა ვ ა ც ვ ი თ ე. ზეზვა გაფრინდაულის ლექსში ნათქვამია («ხალხ. პ.», № 27):

„ავავსე დიდი მინდორი თათრის ხოჯაის ძვალითა,
მგელს დ ა ვ ა ც ვ ი თ ე კბილები, ტურას — ლოყები ჰამითა“.

ერთს ვარიანტში კი იკითხება: „მგელსა დ ა ვ ს ც ვ ი თ უ კბილები“.

„ძევს“ ზმნა (ვარიანტები: ძეს, ძე) გარდაუვალია და აბსოლუტური. იგი მიღებულია ძ ე ს ფორმისაგან, წ ე ვ ს და ი დ ვ ა ზმნის გავლენით. უკანასკნელს ის ენაცვლება მწკრივებში: წ ე ვ ს — ი წ ვ ა, ძ ე (ვ) ს — ი დ ვ ა: „აჰა ცული ძირთა თანა ხეთასა ძეს“ (მათ. 3,10); „ზედა ეწერა: აქა ძ ე ს აბჯარი საკვირველიო“ (ვეფხ. 1368), პირის ნიშნის ჩამოკვეცით მივიღეთ მისი ვარიანტი ძ ე, რომელიც მთის კილოებში იხმარება: ძ ე ვ ს (ძ ე ს, ძ ე). რელატიურად შეიძლება სამგვარად წარმოვიდგენს: ს-ძევს, უ-ძევს, ა-ძევს. ამათგან „ძევს“ ძირითადია ყველას მიმართ, რადგანაც ყველა მას შეეზომება:

ძ ე ვ ს — ს ძ ე ვ ს, — განსხვავებაა უბრალო რელაციის მიხედვით;
ძ ე ვ ს — უ ძ ე ვ ს, — განსხვავებაა ქცევის მიხედვით;
ძ ე ვ ს — ა ძ ე ვ ს, — განსხვავებაა სიტუაციის მიხედვით.

ამისი მაგალითები ვაჟადან:

„და შენც, სიკვდილო, ფერი გ ძ ე სიცოცხლის ნაწყენობითა“ (I, 37, 9).
„ხმალი გვერდს უ ძ ე“ (I, 124,20); „ხიდი არ გ ვ ი ძ ე წყალზედა“ (I, 81,8).
„თქვენ აღარ გ ა ძ ე თ ბაჟები“ (I, 110,9).

თუ სასხვისო ქცევის „უძე“-ს არ მივიღებთ მხედველობაში და ორ დანარჩენ რელატიურ ფორმას შევადარებთ ერთმანეთს, ვნახავთ, რომ მოსალოდნელი ფუნქციონალური განსხვავება სათანაო „სძე“-სა და საზედაო „აძე“-ს შორის აღარ არის, რადგანაც შეიძლება ითქვას: „ფერი გძე“ და „ფერი გაძე“, „ბაჟი გძე“ და „ბაჟი გაძე“.

მე-2 სუბ. პირში ამ ზმნას ახალ ქართულში მეშველი ზმნა უნდა (§ 550, თ).

„დადება“ ზმნა ირიბ ობიექტთან ძველად სათანაოთი იხმარებოდა („დ ა ს-დ ვ ა ქელი წმიდამან ნინო ერთსა ქვასა“, ქართლ. მოქც., თაყ.-ის გამოც., 792,4), მაგრამ ეხლა საზედაოთი ვხმარობთ („ხელი დ ა ა დ ვ ა ერთ ქვას“). მაშასადამე, ძველი „დასდვა“ და ახალი „დაადვა“ ერთნია ფუნქციის თვალსაზრისით.

მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ სათანაო და საზედაო ფორმები საერთოდ განსხვავებულად არის გამოყენებული: დას წერილი მ ი ს წ ე რ ა და ბოლოში ლექსი მ ი ა წ ე რ ა; შინ მ ო ს წ ე რ ა, მაგრამ: პირობას ხელი მ ო ა-

წ ე რ ა; ცას ვარსკვლავი მ ო ს წ ყ დ ა, მაგრამ ამ ადგილს ხალხი მ ო ა წ ყ დ ა და მისთ.

441. სათანაოს გენეზისისთვის. ზემორე თქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ უხმოვნო მიმართება ირიბი ობიექტისადმი მიღებული უნდა იყოს ხმოვნის ამოღების ნიადაგზე, ე. ი. „სათანაო“ საერთოდ საზედაოსაგან უნდა მომდინარეობდეს. ამას არ ეწინააღმდეგება ის გარემოება, რომ ძველად „დასდვა“ იხმარებოდა, ეხლა კი — „დაადვა“.

ხმოვნის ამოღება, როგორც ჩანს, კილოებში სხვადასხვა დროს და სხვადასხვა სახით ჩატარებულა და სალიტერატურო ენას შემოუკრებია ნარევი ფორმები: ზოგი ურედუქციო და ზოგი ნარედუქციალი. შემდეგ ენა ცდილა განსხვავების დამყარებას მათ შორის და ამის შედეგად მივიღეთ „საზედაო“, რომელიც გარკვეულ შემთხვევაში განსხვავებას გვაძლევს სათანაოსაგან. რომ არ გვქონდეს აშკარად განსხვავებული ფორმები ამ ტიპისა: წერს — ა-წერს, ს-წერია — ა-წერია, ს-ტეხს — ა-ტეხს, ს-ჭრის — ა-ჭრის, მი-ს-წერა — მი-ა-წერა და მისთ., მაშინ არც დაისმოდა საკითხი სიტუაციის შესახებ ქართულში. მაგრამ განსხვავებული ფორმები გვაქვს და ამ ფაქტს სათანადოდ უნდა გაეწიოს ანგარიში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ზოგ შემთხვევაში სათანაო შეიძლება სხვა ხმოვნის ამოღების გზითაც იყოს მიღებული; შდრ. ეტრფის (*ჰ-ე-ტრფის) და შე-ს-ტრფის (←*შე-ჰ-ე-ტრფის), უ-ყურებს (←*ჰ-უ-ყ-ურებს) და შე-ჰ-ყურებს, უ-ტრიალებს (←*ჰ-უ-ტრიალებს) და თავს და-ს-ტრიალებს და მისთ.

ერთი კი უნდა ითქვას მაინც: საზედაოს ცნების დადგენაში რამდენადმე ზმნის ლექსიკური მნიშვნელობაა გადამწყვეტი: ჯდომა, წოლა, დგომა, წერა და მრავალი სხვა სახის მოქმედება შეიძლება რ ა ზ ე დ მ ე. ამიტომ ეგევე მნიშვნელობა რომ შეჰრჩეს ზმნას, ზმნისწინთაგან **და** ან **ჩა** უნდა მიიღოს: და-აწვა, და-ა-ჯდა, და-ა-დგა, და-ა-წერა, ჩა-ა-კვდა და მისთ.. ზმნისწინის შეცვლით ზედაობის გაგება იკარგება და გვრჩება უბრალო რელაცია ირიბთან: მი-ა-წვა, შე-ა-კვდა, მი-ა-წერა და მისთ.

ამიტომ სიტუაციაზე ლაპარაკი მხოლოდ იქ შეიძლება, სადაც განსხვავება ფორმებს შორის ირიბთან მიმართების მიხედვით არის დამყარებული: ჩა-კვდა და ჩა-ა-კვდა, და-წერა და და-ა-წერა და მისთ.

442. სიტუაციის ადგილი წარმოქმნის კატეგორიებს შორის. მითითებული სიტუაციის ფორმა, საზედაო, წარმოქმნის კატეგორიებს შორის ყველაზე უფრო ახლოს ქცევასთან დგას, რადგანაც მასაც მარტო I და II სერიის მწკრივები აქვს გარჩეული, III-ისა კი — არა. ამას გარდა, ეს კატეგორია, ქცევის მსგავსად, არც სახელზმნებს მოეპოვებათ (მიმღეობასა და საწყისს), მაშინ როდესაც სხვა წარმოქმნის კატეგორიები (გეზი, ორიენტაცია, ასპექტი, გვარი, კონტაქტი) სახელზმნებშიც არის გატარებული.

საზედაოს ფორმა მოკლებულია ქცევის გაგებას, რადგანაც საპირისპირო ფორმები არ მოეპოვება. ამ მხრივ ის დიდად განსხვავდება შუალობითი კონტაქტისაგან, რომელსაც, როგორც ვიცით, ქცევის ფორმებიც აქვს. მაგრამ საყურადღებოა, რომ რამდენიმე ზმნა საზედაოს ფორმით სუფიქსითაც განსხვავდება ძირეულისაგან: კერ-ავ-ს — ა-კერ-ებ-ს, ჰედ-ს (ან ჰედ-ავ-ს) — ა-ჰედ-

ებ-ს, ფარ-**ავ**-ს — ა-ფარ-**ებ**-ს, წებ-**ავ**-ს — აწებ-**ებ**-ს, ხეთქ-ს — ახეთქ-**ებ**-ს და მისთ.. აღნიშნულ ზმნებს ქცევის გაგება აქვთ I სერიაში (ა-კერებს — **ი**-კერებს — **უ**-კერებს), მაგრამ II სერიაში, თემის ნიშნის ჩამოცილების გამო, ეს გაგება დაეკარგებათ, რადგანაც მარტო ანიანი ფორმა შეჰრჩებათ ძირეულისაგან განსხვავებული. მაგალითი:

		საარ.	სათავ.	სასხვ.
I სერია (აწმყო)	კ ე რ ვ ა	კერ-ავს	**ი**-კერ-ავ-ს	**უ**-კერ-ავ-ს
	კ ე რ ე ბ ა	ა-კერ-ებს	**ი**-კერ-ებ-ს	**უ**-კერ-ებ-ს
		საარ.	სათავ.	სასხვ.
II სერია (წყვეტილი)	კ ე რ ვ ა	კერა	**ი**-კერა	**უ**-კერა
	კ ე რ ე ბ ა	ა-კერა	[ი-კერა]	[**უ**-კერა]

ამგვარად, II სერიაში სათავისო და სასხვისო ფორმები წარმოქმნილი ფორმისა დაემთხვა ძირეულისას. განსხვავება დაჰრჩა მარტო საარვისო ფორმას, მაგრამ მან, საპირისპირო ფორმათა უქონლობის გამო, ქცევის გაგება დაკარგა.

აქ, მაშასადამე, ქცევის თვალსაზრისით, იგივე მდგომარეობა შეიქნა, როგორც „აჭმევს“ და „ასმევს“ ზმნებში, რომელთაც სალიტ ენაში და კილოთა უმეტესობაში თემის ნიშანი დაკარგეს II სერიის ფორმებში, ამით ძირეულ „ჭამა“ ზმნას გაუთანაბრდნენ და ქცევის გაგება დაკარგეს: **ა**-ჭმევს — **უ**-ჭმევს, მაგრამ **ა**-ჭამა-ს აღარ აქვს ადგილი, რადგანაც, „უ-ჭამა“ ძირეული ზმნის საარვისოა: ჭამა — **ი**-ჭამა — **უ**-ჭამა. ქცევის გაგება ამ ზმნას შენახული აქვს მთის კილოებში, სადაც კონტაქტის ნიშანი მოიპოვება **ი(ვ)**-ის სახით: **ა**-ჭმ-**ი(ვ)**-ა — **უ**-ჭმ-**ი(ვ)**-ა:

კას ყმას ა ჭ მ ი ე, დედაო, დილა ადრიან სადილი («ხალხ პ.», № 283).

მ ი ჭ მ ი ე თ ღალმისტიურსა ფავის საჭმელი პურიო (იქვე, № 458)

ზმნის კატეგორიათათვის ზოგადად

443. საფუძველი ერთი სიტყვის სხვადასხვა კატეგორიის ფორმად გაგებისა. ზმნის კატეგორიების მიმოხილვის დასრულების შემდეგ საჭიროა შევჩერდეთ იმაზე, თუ რა არის იმის საფუძველი, რომ ერთმა და იმავე ბგერათა კომპლექსმა, რომელსაც ქართულში ჩვეულებრივის აზრიანი სიტყვის სახე აქვს, შეიძლება ერთსა და იმავე დროს რამდენიმე გაგება მოგვცეს, ანუ, — რაც იგივეა, — ერთმა და იმავე ზმნამ ერთისა და იმავე ბგერითი შედგენილობით რამდენიმე გრამატიკული შინაარსი დაიტიოს? რა არის იმის საფუძველი, რომ რომელიმე ფორმა, ვთქვათ, „დავწერე“, ერთსა და იმავე დროს რამდენიმე კატეგორიის გვიჩვენებს როგორც უღლებისას, ისე წარმოქმნისას? — საფუძველი ის გახლავს, რომ ამ ფორმის გვერდით ენაში არსებობს რიგი იმავე ზმნის ფუძისაგან ნაწარმოები ფორმებისა, რომელთაც ეს ერთი „დავწერე“ სხვადასხვანაირად შეეზომება და დაუპირისპირდება. შედეგი ის არის, რომ ერთთან დაპირისპირებისას ერთ ნიშანს ვიღებთ, მეორესთან დაპირისპირებისას — მეორეს, მესამესთან — მესამეს და ასე ბოლომდის. ეს ნიშნები კატეგორიებია, რომლებიც გარკვეულ ცნებებს შეიცავენ. მაშასადამე, მორფოლოგიური თვალსაზრისით

ერთი და იმავე ბგერითი შედგენილობის სიტყვა სხვადასხვა დაპირისპირებათა ნიადაგზე სხვადასხვა ფუნქციის მატარებლად წარმოგვიდგება. დაპირისპირებისას აუცილებელია, რომ საოპოზიციო ცალი (ან ცალები) განსხვავებული იყოს როგორც გარეგნული სახით, ბგერობლივ, ისე გრამატიკული შინაარსითაც, ე. ი. როგორც ფორმით, ისე ფუნქციით. აღნიშნულ „დავწერე“ ზმნაში უ ღ ლ ე ბ ი ს კატეგორიათაგან წარმოდგენილია· პირი (თანაც სუბიექტური და ობიექტური), რიცხვი, დრო, კილო, გზისობა, აქტი, თანამდევრობა, მწკრივი; წ ა რ მ ო ქ მ ნ ი ს კატეგორიათაგან: ასპექტი, გვარი, ქცევა, კონტაქტი, სიტუაცია (აკლია გეზი და ორიენტაცია). განვიხილოთ თვითეული მათგანი ცალ-ცალკე.

უღლების კატეგორიები

1. **პირი.** პირის მიხედვით „დავწერე“ ზმნა პირველიც არის და მესამეც. პირველი ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი ა, მესამე — ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი. რომ 1-ლი პირი ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი ა, ამას აჩენს შემდეგი საპირისპირო ფორმები: დავწერე — დასწერე — დაწერა; რომ მე-3 პირი ობიექტურია, ამას აჩენს შემდეგი დაპირისპირება: დავწერე (მე იგი) — დაგწერე (მე შ ე ნ).

მე-3 ობიექტური პირი, რომელიც „დავწერე“-შია წარმოდგენილი, არის პირდაპირი, რადგანაც მოიპოვება საოპოზიციო ფორმა „დავაწერე“, სადაც „დავწერე“-ს გაგება მთლიანად არის შესული, მაგრამ დამატებულია მეორე ობიექტის გაგება. ეს დაპირისპირება უფრო ნათელი იქნება, თუ ფორმას 1-ლ ობ. პირში გადმოვიყვანთ: დამწერა — დამაწერა. „დამწერა“ — მე ვარ დაწერილი, „დამაწერა“ — ჩემზეა სხვა დაწერილი.

მაშასადამე, პირის კატეგორია ქართულში მეტად რთული კატეგორიაა. ნიუანსებს რომ თავი დავანებოთ, რომლებზედაც ზემოთ იყო საუბარი (§ 433), ერთი მხრით გვაქვს გაგება პირის რ ო მ ლ ო ბ ი ს ა, რაც გულისხმობს სამ ქვეკატეგორიას: 1-ლ პირს, მე-2-სა და მე-3-ს. მეორე მხრით გვაქვს გაგება ვ ი თ ა რ ე ბ ი ს ა ანუ რ ო გ ო რ ო ბ ი ს ა, რაც ორ ქვე-კატეგორიას გულისხმობს· ს უ ბ ი ე ქ ტ ი ს ა ს და ო ბ ი ე ქ ტ ი ს ა ს. ობიექტური პირი თავის მხრით ორად დაიშლება კიდევ: გვაქვს პირდაპირ-ობიექტური პირი და ირიბ-ობიექტური პირი. გრაფიკულად ეს შემდეგნაირად შეგვიძლია გავითვალისწინოთ:

რ ო მ ე ლ ი პ ი რ ი: პირველი, მეორე, მესამე.

რ ო გ ო რ ი პ ი რ ი { სუბიექტური
ობიექტური { პირდაპირი
ირიბი

ინდოევროპულ ენებში, სემიტურებში და თურქულებში პირი მხოლოდ რომლობის გაგებას იძლევა, როგორობისას კი — არა. ქართულში რომლობას ერთვის როგორობის გაგებაც. ამ მხრივ ქართულსა და მის მოძმე ენებს — ჭანზურ-მეგრულსა (კოლხურს) და სვანურს — მხარს უჭერს რიგი სხვა ენებისა, მაგ., აფხაზურ-ჩერქეზული და ბასკური.

2. **რიცხვი.** რიცხვი შეიძლება ჰქონდეს პირს როგორც სუბიექტურს, ისე ობიექტურს. „დავწერე“ ფორმა სუბიექტური პირისათვის მხოლობითია, რადგანაც მოიპოვება საპირისპირო „დავწერეთ“, რომელიც მრავლობითად გვესმის; ობიექტური პირისათვის ამჟამად „დავწერე“ ურიცხოა, მაგრამ ძველ ქარ-

თულში რიცხვიანი იყო: დავწერე — დავწერენ („დავწერე" მხოლობითად შიდიოდა, „დავწერენ" კი — მრავლობითად). სხვა მაგალითი: დამწერა — დაგვწერა. პირველი ფორმა („დამწერა") ობიექტური პირისთვის მხოლობითია, მეორე კი („დაგვწერა") იმავე ობიექტური პირისთვის — მრავლობითი.

3. **დრო.** დროის მიხედვით „დავწერე" წარსულია, რადგანაც მას პირისპირ უდგას „დავწერ", რომელსაც მომავლის გაგება აქვს.

4. **კილო.** კილოს მიხედვით „დავწერე" თხრობითია, რადგანაც მოიპოვება საპირისპირო „დამეწეროს", რომელიც კავშირებითია, სხვა მაგალითი: „დავწერთ" თხრობითია, რადგანაც მოიპოვება საპირისპირო „დავწეროთ"; რომელიც ბრძანებითია (ზოგ შემთხვევაში კავშირებითიც).

5. **გზისობა.** ამ კატეგორიის თვალსაზრისით „დავწერე" ერთგზისია, რადგანაც მას უპირისპირდება „დავწერი" (ზოგ კილოში „დავწერიდი", „დავწეროდი") ან „დავწერდი", რომლებიც მრავალგზისობის გაგებას გვაძლევენ. ეს კატეგორია დღეს სუსტად არის ქართულში გამოხატული.

6. **აქტი.** აქტის მიხედვით „დავწერე" ნახულია, ვინაიდან მას უნახავი აქტის ფორმა უდგას პირისპირ: „დამიწერია".

7. **თანამდევრობა.** ამ კატეგორიის მიხედვით „დავწერე" შემდგომია, რადგანაც მას უწინარესი უპირისპირდება: „დამეწერა". დაპირისპირება უფრო ნათელია ორი სხვადასხვა ზმნის მაგალითზე: „წერილი დ ა ვ წ ე რ ე ქაღალდზე, რომელიც ერთ ამხანაგს გუშინ ჩემთვის გ ა მ ო ე გ ზ ა ვ ნ ა". უწინარესია ქაღალდის გ ა მ ო გ ზ ა ვ ნ ა, შემდგომია წერილის დ ა წ ე რ ა.

8. **მწკრივი.** მწკრივის მიხედვით „დავწერე" წყვეტილია, რადგანაც მას სხვა მწკრივები უპირისპირდება: „დავწერო" (II კავშ.), „დავწერ" (მყოფ.), „დამიწერია" (I თურმ.) და სხვები.

წარმოქმნის კატეგორიები

1. **გეზი.** „დავწერე" უგეზოა, რადგანაც საპირისპირო ფორმა აკლია. ასეთი იქნებოდა „ვწერე", მაგრამ ის, „დავწერე"-სთან შედარებით, ფუნქციონალურ განსხვავებას მიმართულების თვალსაზრისით ვერ გვიჩვენებს. მაგრამ, თუ ავიღებთ სხვა ფორმას, მაგ., „ჩავწერე"-ს, მას გეზი ექნება, რადგანაც უპირისპირდება იგივე „ვწერე", რომელიც მიუმართავი ფორმაა, „ჩავწერე" კი ერთ-ერთი სახეა მიმართული გეზისა.

2. **ორიენტაცია.** არც ორიენტაცია აქვს „დავწერე"-ს, რადგანაც აკლია საპირისპირო ფორმა, მოახლოება-დაშორების თვალსაზრისით განსხვავებული.

3. **ასპექტი.** ასპექტის მიხედვით „დავწერე" სრულია, ვინაიდან მას უპირისპირდება უსრული „ვწერე", ზოგ შემთხვევაში აგრეთვე „ვწერდი".

4. **გვარი.** გვარის მიხედვით „დავწერე" მოქმედებითია, რადგანაც მოიპოვება საპირისპირო „დაიწერა", რომელიც ვნებითია.

5. **ქცევა.** ქცევის მიხედვით „დავწერე" საარვისოა, რადგანაც მას პირისპირ სათავისო და სასხვისო ქცევის ფორმები უდგას: „დავიწერე" (სათავ.), „დავუწერე" (სასხვ.).

6. **კონტაქტი.** ამ კატეგორიის მიხედვით „დავწერე" უშუალოა, რადგანაც მოიპოვება შუალობითის ფორმა „დავაწერინე".

7. **სიტუაცია.** სიტუაციის მიხედვით „დავწერე“ მიუთითებელი ფორმაა, რომელსაც მითითებული „დავაწერე“ უდგას პირისპირ (საზედაო).

როგორც ვხედავთ, ფორმების დაპირისპირება ერთი ნიშნის მიხედვით ხდება, დანარჩენი ნიშნები კი ყველა საერთოა. როცა, ვთქვათ, პირზე გვაქვს საუბარი და გვინდა დავრწმუნდეთ, რომ 1-ლი პირი სუბიექტურია და არა ობიექტური, მესამე კი, პირუკუ, ობიექტური და არა სუბიექტური, არ შევეხებით არც ერთ სხვა ნიშანს (რიცხვს, დროს, კილოს და სხვ.), არამედ მხოლოდ 1-ლსა და მე-3-ს შევცვლით პირის ინდექსების მიხედვით და მივიღებთ ასეთ დაპირისპირებას: დავწერე — დამწერა. როცა გვსურს იმის გამორკვევა, თუ რომელია სუბიექტური პირი, ყველა სხვა ნიშანს ხელ-უხლებლად დავტოვებთ და პირისპირ ისეთ ფორმებს შევჰყრით, სადაც განსხვავება მარტო სუბ. პირების მიხედვით იქნება; მივიღებთ ასეთ დაპირისპირებას: დავწერე — დასწერე — დაწერა. ობიექტური პირისთვისაც ასეთივე პირობის დაცვით შემდეგ დაპირისპირებას ვნახავთ: დავწერე — დაგწერე. რიცხვის გამორკვევის დროს საპირისპირო ფორმებში პირიც იგივე რჩება, დროც, კილოც და სხვა კატეგორიები (უღლებისა თუ წარმოქმნისა), გვექნება ამგვარი შეყრა პირისპირ: ვაკეთებ — ვაკეთებთ. ქცევის გამორკვევის დროს მარტო კუთვნილება-დანიშნულებას ვაქცევთ ყურადღებას, სხვა ნიშნები კი ყველა უცვლელია; გვაქვს ასეთი საოპოზიციო წყალები: დავწერე — დავიწერე — დავუწერე. ასეთივე მეთოდით ვარკვევთ სხვა კატეგორიებსაც. ერთი სიტყვით, ეს nაირ-ნაირი დაპირისპირებაა, რომ ნაირნაირ მორფოლოგიურ ნიშანს გვაძლევს ერთისა და იმავე ბგერითი შედგენილობის სიტყვაში (ამ შემთხვევაში „დავწერე“ ზმნაში). სადაც დაპირისპირების საშუალება არ არის, იქ არც არის მორფოლოგიური ნიშანი. დაპირისპირება, მაშასადამე, სულ ცოტა, ორ სხვადასხვა ფორმას გულისხმობს, ურთიერთ შორის განსხვავებულს ბგერათა შედგენილობითაც და გრამატიკული მნიშვნელობითაც. განვმარტოთ მაგალითზე:

„დავწერე“ ფორმას რომ არ უპირისპირდებოდეს „დავწერეთ“, მაშინ ვერას ვიტყოდით სუბ. პირის რიცხვის შესახებ, ვინაიდან სხვა ნიშნების მიხედვით ისინი ერთნია. აკი ვერას ვამბობთ იმავე ფორმის ობიექტური პირის რიცხვის შესახებ, ვინაიდან დღეს „დავწერე“-ს ამ მხრივ აღარაფერი უპირისპირდება: „ლექსი“ იქნება პირდ. ობიექტად, „ლექსები“, თუ „ლექსნი“, მაინც „დავწერე“ ითქმის.

„დავწერე“ ფორმის პირისპირ რომ არ გვქონდეს „დამიწერია“ ან „დამეწერა“, არ გვექნებოდა აქტის კატეგორია, რომელიც, სხვათა შორის, კარგად გამოხატულია თურქულ ენებშიც (შდრ. ანატოლიურ-თურქ. ჲაზდჷმ — ჲაზმჷშჷმ).

რომ გვქონდეს მარტოოდენ „დავწერე“ და მის გვერდით არ მოგვეპოვებოდეს „დავიწერე“ ან „დავუწერე“, მაშინ არ გვექნებოდა ქცევის გაგება; სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩვენი „დავწერე“ ისევე უქცეო იქნებოდა, როგორც ლათ. scripsi, არაბ. ქ ა თ ა ბ თ უ ან თურქ. ჲ ა ზ დ ჷ მ.

რომ, ვთქვათ, იმავე „დავწერე“-ს პირისპირ არ ედგეს „დავაწერინე“, მაშინ ქართულში არ იქნებოდა კონტაქტის კატეგორია; მაგრამ ერთ მათგანს უშუალოდ შესრულებული მოქმედების გაგება ახლავს, მეორეს კი — სხვისი

შუალობით შესრულებული მოქმედებისა, ამიტომ ორივე კონტაქტიანია, ისე როგორც მათი ანატოლიურ-თურქული შესატყვისები: ჲაზდჳმ — ჲაზდჳრდჳმ.

ეგევე ითქმის სხვა მორფოლოგიურ კატეგორიებზედაც ქართულში თუ სხვა ენებში. საზოგადოდ, საკითხი იმის შესახებ, თუ რა ქმნის გრამატიკულ ფორმას და რატომ განეკუთვნება ერთი და იგივე სიტყვა სხვადასხვა კატეგორიას, შეიძლება მარტივად წარმოვიდგინოთ ნათესაური კავშირის ანალოგიით. კარგად ვიცით, რომ ერთი და იგივე პირი ერთთან მიმართებით შეიძლება იყოს მამა, მეორესთან პაპა, მესამესთან შვილი, მეოთხესთან ძმა, მეხუთესთან მაზლი, მეექვსესთან სიმამრი, მეშვიდესთან მამამთილი და სხვა; მაგალითად. ვახტანგ VI ვახტანგ V-ისთვის იყო შვილიშვილი (ძის ძე), არჩილ მეფისა და გიორგი XI-ისთვის ძმისწული, ლევანისა და თუთასთვის შვილი (ძე), იესესთვის ძმა, რუსუდანისთვის ქმარი, ჩერქეზთ ბატონისთვის სიძე, ბაქარისა და ვახუშტისთვის მამა, ალექსანდრესთვის პაპა. მსგავსად ამისა, ერთისა და იმავე ფუძის სიტყვასნაირ-ნაირი მიმართება აქვს იმავე ფუძის სხვადასხვა სიტყვასთან.

უღლებისაა კატეგორია, თუ ის საჭიროა ერთის ან რამდენიმე მწკრივის საწარმოებლად; წარმოქმნისაა კატეგორია, თუ ის ახალ ზმნას ქმნის და მწკრივის ფორმებს იმეორებს. მწკრივების გამეორება ხდება არა ყველა ქვე-კატეგორიაში, არამედ იმაში (ან იმათში), რომელიც (ან რომლებიც) წარმოქმნილად ითვლება: გეზში მიმართული, ორიენტაციაში მაახლოებელი, ასპექტში სრული, გვარში ვნებითი (უფრო ზედმიწევნილობით: პრეფიქსიანი ვნებითი), ქცევაში სათავისო და სასხვისო, კონტაქტში შუალობითი, სიტუაციაში მითითებული (საზედაო).

ასპექტი რამდენადმე დღესაც უღლების კატეგორიაა, რადგანაც ზმნათა დიდ უმეტესობაში განსხვავება აწმყოს წრის მწკრივებსა და მყოფადის წრის მწკრივებს შორის ამ კატეგორიის მიხედვით ხდება.

ზოგ შემთხვევაში ჭირს იმისი გადაწყვეტა, თუ რომელია ძირეული და რომელი წარმოქმნილი: გვარში საშუალი და მოქმედებითი, მოქმედებითი და სუფიქსიანი ვნებითი, მოქმედებითი და უნიშნო ვნებითი, სტატუსში დინამიკური და სტატიკური ფორმები, მაგრამ რადგანაც აღნიშნულ კატეგორიებს ერთი მხრით მნიშვნელობა აქვთ არა რომელიმე მწკრივის ან მწკრივთა ერთი ჯგუფის წარმოებისათვის, არამედ მთელი უღლებისათვის, მეორე მხრით კი ისინი ქართული ენის სისტემაში საპირისპირო ურთიერთობას ქმნიან გარკვეული ნიშნის მიხედვით ფუნქციონალურად, ამიტომ მათი განხილვა უფრო ბუნებრივია წარმოქმნის კატეგორიებში.

444. კატეგორია ნამდვილი და მოჩვენებითი. წინა პარაგრაფში მოყვანილ მოსაზრებათაგან გამომდინარეობს დებულება იმის შესახებ, რომ რომელიმე გრამატიკული კატეგორია შეიძლება იყოს ნამდვილიცა და მოჩვენებითიც. ნამდვილია კატეგორია, როცა რომელსამე სიტყვის ფორმას სათანადო ფუნქციაც ახლავს სხვა ფორმათა დაპირისპირების ნიადაგზე, და მოჩვენებითია კატეგორია, როცა სიტყვის ფორმა რაიმე გარეგნული ნიშნის მიხედვით, წარმოების ძალით, შეიძლება განეკუთვნოს ამა თუ იმ კატეგორიას, მაგრამ საპირისპირო ფორმათა უქონლობის გამო სათანადო ფუნქციას მოკლებულია. მაგალითად, უ-წერს ნამდვილად არის სასხვისო ქცევა, მაგრამ არის თუ არა

ა-უ-წერია და უ-ყვარს სასხვისო ქცევის ფორმები? რამდენადაც ამ ზმნათა არ არის ფუძისეული ხმოვანი, ცხადია, ის მაწარმოებელი აფიქსია, მაგრამ აქვს უ არა ქცევის ფუნქციის მინიჭების ძალა ამ აფიქსს? — არა, არა აქვს, რადანაც საოპოზიციო ცალები, სხვა აფიქსით ნაწარმოები და კუთვნილების მიდვით განსხვავებული, აღნიშნულ ზმნებს არ მოეპოვებათ (§§ 412, 414). ამიომ ცხადია, რომ უ-ყვარს და და-უ-წერია მოჩვენებითი სასხვისოა, ე. ი. არ-ნამვილი, უფუნქციო, ფორმალური.

რაც ქცევის კატეგორიის შესახებ ითქვა, მსგავსი რამ შეიძლება ითქვას ავა კატეგორიების შესახებაც ზმნებში თუ სახელებში, უკანასკნელებში რიხვისა და ბრუნვის კატეგორიათა მიხედვით.

ერთი სიტყვით, მოჩვენებითი კატეგორია, ნამდვილის გვერდით, ფართოდ ავრცელებული მოვლენაა საზოგადოდ ენებში და კერძოდ ქართულში. თვითელ მათგანზე შეჩერება შორს წაგვიყვანდა. მოვჭრათ მოკლედ: ნამდვილ კაეგორიას გრამატიკული შინაარსი ახლავს, ფუნქციად წოდებული, მოჩვენეითი კი დაცლილია ამ შინაარსისაგან.

III. უ ღ ლ ე ბ ა

ზ ო გ ა დ ი

445. მყარი ნაწილი ზმნისა. ამა თუ იმ ზმნის ყოველგვარი ფორმა რომ ვაწარმოოთ (პირიანი თუ უპირო), საჭიროა ვიცოდეთ მყარი ნაწილი ზმნისა, ანუ უცვალებელი ნაწილი, რომელსაც ერთვის ცვალებადი ნაწილები.

ურთიერთობა უცვალებელსა და ცვალებად ნაწილებს შორის ყოველთვის ერთი და იგივე არ არის: ერთი და იგივე ნაკვეთი ზმნისა შეიძლება უცვალებელ ნაწილად იქნეს მიჩნეული ფორმათა ერთი ან რამდენიმე ჯგუფისთვის, ხოლო ცვალებადად წარმოგვიდგეს სხვებისთვის. მაგალითად რომ ავიღოთ **ვაქებდე** ფორმა და ანალიზი ვუყოთ მას, ვნახავთ, რომ აქ უცვალებელი იქნება **აქებდე** ფორმათა ამ ჯგუფისთვის: ვ-**აქებდე**, **აქებდე**, **აქებდე**-ს, ვ-**აქებდე**-თ, **აქებდე**-თ, **აქებდე**-ნ. მაგრამ მოყვანილ ჯგუფს შეიძლება დავუპირისპიროთ მეორე ჯგუფი, რომლის მიხედვით უკანასკნელი **ე** ცვალებად ნაწილში მოექცევა და უცვალებლად მარტო **აქებდ** დაგვრჩება: ვ-**აქებდ**-ი, **აქებდ**-ი, **აქებდ**-ა, ვ-**აქებდ**-ით, **აქებდ**-ით, **აქებდ**-ნენ.

ამგვარად მიღებული **აქებდ** კიდევ შეგვიძლია შევკვეცოთ პირველი ბგერის ჩამოცლით და მივიღოთ **ქებდ** ფორმათა ამ ჯგუფების დაპირისპირებით: ვი-**ქებდ**-ე. ვუ-**ქებდ**-ე (ან: ვი-**ქებდ**-ი, ვუ-**ქებდ**-ი).

ეს **ქებდ** კიდევ შეიძლება დავშალოთ იმგვარად, რომ **დ** ცვალებად ნაწილში მოჰყვეს და უცვალებლად მარტო **ქებ** დაგვრჩეს: ვა-**ქებ**, ა-**ქებ**, ა-**ქებ**-ს, ვა-**ქებ**-თ, ა-**ქებ**-თ, ა-**ქებ**-ენ (ან: ვი-**ქებ**, ი-**ქებ**, ი-**ქებ**-ს და შემდგომი; ან კიდევ: ვუ-**ქებ**, უ-**ქებ**, უ-**ქებ**-ს და შემდგომი).

არც ეს **ქებ** არის განუკვეთელი: მასაც შეგვიძლია ჩამოვაშოროთ **ებ** და დაგვრჩება მარტო **ქ**: ვა-**ქ**-ე, ვა-**ქ**-ო, მი-**ქ**-ია, მე-**ქ**-ო.

მაშასადამე, რომ ვამბობთ „უცვალებელი ნაწილი“ და „ცვალებადი ნაწილიო“, ეს შედარებითი ცნებები ყოფილა: რაც ფორმათა ერთი ჯგუფისთვის არის უცვალებელი, ფორმათა მეორე ჯგუფისთვის ის შეიძლება აღარ იყოს უცვალებელი. **ვაქებდე** ზმნის მაგალითზე ვნახეთ, რომ მყარ ანუ უცვალებელ ნაწილად ერთ შემთხვევაში შეიძლება **აქებდე** გავიგოთ, მეორეში — **აქებდ**, მესამეში — **ქებდ**, მეოთხეში — **ქებ**, მეხუთეში — **ქ**.

რომ გავერკვეთ პირიანი ზმნის უცვალებლისა და ცვალებადი ნაწილების საკითხში, საჭიროა ვიცოდეთ: **ფუძე, თემა, სავრცობი** და მწკრივთა წარმოების საშუალებანი, კერძოდ **მწკრივის ნიშანი.**

ფუძე

446. ფუძის რაობა. ფუძე ჰქვია იმ ნაწილს ზმნისას, რომელსაც უკავშირდება ზმნის ლექსიკური მნიშვნელობა. ეს ნაწილი მყარია, მოიპოვება ამა თუ იმ ზმნის ყოველგვარ პირიანსა თუ უპირო ფორმაში და წარმოდგენილია ერთი, ორი ან მეტი ბგერით. მაგალითები:

ე რ თ-ბ გ ე რ ი ა ნ ი ფუძეებია: **ქ**, **ლ**, **გ**, **ბ**, რომელთაგანაც ნაწარმოებია შესაბამისად ზმნები: ქება, ლება, გება, ბმა (ვა-**ქ**-ებ, ვა-**ლ**-ებ, ვა-**გ**-ებ, ვა-**ბ**-ამ).

ო რ-ბ გ ე რ ი ა ნ ი ფუძეებია: **წყ**, **ცხ**, **სვ**, **შვ**, რომელთაგანაც ნაწარმოებია შესაბამისად: ვი-**წყ**-ებ; ვა-**ცხ**-ებ, ვ-**სვ**-ამ, ვუ-**შვ**-ებ.

ს ა მ-ბ გ ე რ ი ა ნ ი ფუძეებია: **წერ**, **ხედ**, **ხურ**, **თეს**, რომელთაგანაც ნაწარმოებია შესაბამისად: ვ-**წერ**, ვ-**ხედ**-ავ, ვ-**ხურ**-ავ, ვ-**თეს**-ავ.

ო თ ხ ი ბგერისგანაა შემდგარი შემდეგი ფუძეები: **ვიწყ**, **ყვარ**, რომელთაგანაც ნაწარმოებია ზმნები: ვი-**ვიწყ**-ებ, მი-**ყვარ**-ს.

447. ფუძე და ძირი. მრავალ შემთხვევაში ზმნის ფ უ ძ ე იგივეა, რაც ძ ი რ ი. საზოგადოდ ერთ-თანხმოვნიანი ფუძეები ამავე დროს ძირებია; ეგევე ითქმის უმეტესად ორ-თანხმოვნიანი ფუძეების შესახებაც. მაგ., **ბ**, რომლისაგანაც ნაწარმოებია **ბ**-მა (ვა-**ბ**-ამ, დავა-**ბ**-ი, დავა-**ბ**-ა) ფუძეც არის ზმნისა და ძირიც; აგრეთვე **წყ**, რომლისაგან ნაწარმოებია ვი-**წყ**-ებ, და-ი-**წყ**-ო, ფუძეც არის და ძირიც. ეხლა თუ ავიღებთ „ვათბობ“ ზმნას, ვნახავთ, რომ მისი ფუძეა **თბ** (ვა-**თბ**-ე, ვ-**თბ**-ები, გა-მ-**თბ**-არ-ი და სხვ.), მაგრამ ეს **თბ** ისტორიულად მიღებულია **ტეფ**-ისაგან (ძვ. ქ. გან-ვ-**ტეფ**=გავთბი), ასე რომ სიტყვის ძირია **ტეფ**, ხოლო თანამედროვე ქართულის ფორმა „ვათბობ“ ფუძედ **თბ**-ს გვიჩვენებს.

448. ფუძის შეკუმშვა და შეკვეცა. შეიძლება ფუძიდან ამოღებულ იქნეს ხმოვანი და ფუძე შეიკუმშოს. ამისი მაგალითებია: **ღვარ**, **კარ**, **ჰერ**, რომელთაგანაც გვაქვს ფორმები: ვ-**ღვარ**-ე და ვ-**ღვრ**-ი, ვ-**კარ**-ი და ვ-**კრ**-ავ, ვ-**ჰერ**-ი და ვ-**ჰრ**-ი.

შეიძლება აგრეთვე ფუძისეული ვ (რომელიც ძველად უმარცვლო **უ** იყო) შეიკვეცოს ან ამოღებულ იქნეს მომდევნო **ო**-ს გავლენით: გამო-**ცხვ**-ა, მაგრამ გამოვა-**ცხ**-ობ (*გამოვა-**ცხვ**-ობ), ვ-**თქვ**-ი, **თქვ**-ა, მაგრამ **თქ**-მული, სა-**თქ**-მ-ელი. ამ მაგალითებში ვინს უშუალოდ მოსდევს **ო** ან **მ**, მაგრამ შეიძლება ფუძისეულ ვინს ონისაგან თანხმოვანი ყოფდეს: **შვრ**-ება, მაგრამ: **შრ**-ომა; ტყავი ს-**ძვრ**-ება, მაგრამ: ტყავს ა-**ძრ**-ობს და მისთ. (§ 28).

თემა

449. თემის რაობა და სახეები. თემა ჰქვია ზმნის ბაზისს, რომელზედაც დაყრდნობილია პირველი სერიის მწკრივთა ფორმები ან მეორე სერიისა, ე. ი. რომელიც მოეპოვება I ან II სერიის მწკრივთა ყველა ფორმას. თემა — ეს არის ჩონჩხი, რომელზედაც ასხმულია ზმნის ფორმები ერთ-ერთ სერიაში: პირველში ან მეორეში.

მორფოლოგიური თვალსაზრისით, რომელსაც აგრეთვე მხარს უჭერს სინტაქსური თავისებურებანი გარდამავალი ზმნებისა, ყველა მწკრივის ფორმები იყოფა სამ ჯგუფად, რომელთაც სერიებს ვეძახით (§ 271). ზმნას პირ-

ველისა და მეორე სერიის მწკრივებში საზოგადოდ სხვადასხვა თემა აქვს; რაც შეეხება მესამე სერიას, აქ ზმნას განსაკუთრებული თემა არ გააჩნია და ჩვეულებრივ ან პირველი სერიის თემას იყენებს (უფრო ხშირად), ან მეორისას (უფრო იშვიათად), ან კიდევ სულ სხვა პრინციპის მიხედვით აგებს თავის ფორმებს, ვიდრე პირველისა და მეორე სერიის მწკრივებში. ამიტომ თემათა მიმოხილვისას მხედველობაში გვაქვს პირველი ორი სერიის ფორმები.

შენიშვნა. ქართული ზმნის ორ-თემიანობას პირველად ყურადღება კ. დოდაშვილმა მიაქცია („საგრამმატიკო ესკიზი": «ივერია», 1887, № 214).

შედგენილობის მიხედვით თემა შეიძლება იყოს მარტივი, რთული და გავრცობილი.

მარტივი თემა აქვს II სერიის ფორმებს, რთული კი — I-ისას. რთული თემა კეთდება მარტივისაგან თემის ნიშნის დართვით. ამას გარდა, I სერიის ორ მწკრივს აწმყოს წრეში და ორსაც მყოფადისაში თემა გავრცობილი აქვს **დ** ან **ოდ**-ის დართვით, რომელთაც სავრცობს ვეძახით (§§ 465, 473).

თემა მოქმედებითი გვარის ზმნებში

450. ერთ-თემიანები და ორ-თემიანები. მოქმედებითი გვარის ზმნები უშუალო კონტაქტისა თემათა მიხედვით ორ ჯგუფად იყოფა: ერთი მხრით გვაქვს ერთ-თემიანი ზმნები, მეორე მხრით კი — ორ-თემიანები.

ერთ-თემიანია ზმნა, რომელსაც პირველისა და მეორე სერიის ფორმები ერთსა და იმავე ბაზისზე აქვს დაყრდნობილი.

ორ-თემიანია ზმნა, რომელსაც პირველსა და მეორე სერიაში განსხვავებული თემები მოეპოვება.

თუ რამდენ-თემიანია ზმნა, ამას არკვევს დაპირისპირება ერთი მხრით აწმყოს ან მყოფადის ფორმისა II სერიის რომელიმე მწკრივის (მაგ., წყვეტილის) ფორმასთან რომელსამე სუბ. პირში, ვთქვათ პირველში; მაგალითები:

I სერია	II სერია	
აწმყო	**წყვეტ.**	**II კავშირ.**
ვ-წერ	**ვ-წერ-ე**	**ვ-წერ-ო**
ვ-ჭამ	**ვ-ჭამ-ე**	**ვ-ჭამ-ო**
ვ-გრეხ	**ვ-გრიხ-ე**	**ვ-გრიხ-ო**
ვ-თლ-ი	**ვ-თალ-ე**	**ვ-თალ-ო**
ვ-ხატ-ავ	**ვ-ხატ-ე**	**ვ-ხატ-ო**
ვ-ხვ-ამ	**ვ-ხვ-ი**	**ვ-ხვ-ა**
ვ-ბრძან-ებ	**ვ-ბრძან-ე**	**ვ-ბრძან-ო**
ვა-პ-ობ	**ვა-პ-ე**	**ვა-პ-ო**

მოყვანილ რვა მაგალითთაგან პირველი ორი ზმნა ერთ-თემიანია (მათი თემებია **წერ** და **ჭამ** ორსავე სერიაში), დანარჩენები კი ყველა ორ-თემიანია, რადგანაც მათ სხვადასხვა თემა აქვთ I-სა და II სერიაში: ერთ მათგანს სხვადასხვა თემა ხმოვნის შენაცვლებით აქვს ნაწარმოები (**გრეხ—გრიხ**), სხვებს კი მარტივ თემაზე დართული აქვთ სხვადასხვა მაწარმოებლები — თემის ნიშნები;

ი (თალ — თლ-ი), ავ (ხატ — ხატ-ავ), ამ (სვ — სვ-ამ), ებ (ბრძან — ბრძან-ებ) და **ობ (პ—პ-ობ).**

451. ერთ-თემიანი ზმნები. მცირეა რიცხვი ისეთი ზმნებისა, რომელთაც ერთი და იგივე თემა აქვთ მწკრივთა ორსავე სერიაში. ასეთებია, მაგალითად, **წერ, ჭამ, ტეხ, რეცხ.** მართლაც, თუ ამ ფუძეთაგან აწმყოს ვაწარმოებთ და პირისპირ წყვეტილს დავუყენებთ, გვექნება: ვ-**წერ**—ვ-**წერ**-ე, ვ-**ჭამ**—ვ-**ჭამ**-ე, ვ-**ტეხ**—ვ-**ტეხ**-ე, ვ-**რეცხ**—ვ-**რეცხ**-ე, ხოლო, თუ მეორე კავშირებითს მივუყენებთ გვერდით, ამას მივიღებთ: ვ-**წერ**—ვ-**წერ**-ო, ვ-**ჭამ**—ვ-**ჭამ**-ო, ვ-**ტეხ**—ვ-**ტეხ**-ო, ვ-**რეცხ**—ვ-**რეცხ**-ო. აქედან ცხადია, რომ ამ ზმნებს პირველ სერიაშიც იგივე თემა აქვთ, რაც მეორეში.

სია ერთ-თემიანი ზმნებისა. გვხვდება უმთავრესად შემდეგი ერთ-თემიანი ზმნები:

ვჰ-ბან (ვი-ბან)
ვ-ბერტყ
ვ-თელ („ღრუბელს ფეხითა სთელენ“, ყაზ. 82, 32)
ვ-თეს
ვ-თიბ
ვს-თხოვ
ვ-კეც
ვ-კვეთ
ვ-კვეც
ვ-კვეხ, ვი-კვეხ („ნუ მოჰკვეხ მშვილდოსნობასა“, «ვეფხ.», „ნუ იკვეხ“, ჭავ., 383,40; „ჯარის მოთავე კი ჰკვეხდა“, ყაზ., 98, 39)
ვ-ლეს
ვ-ლეწ
ვი-მღერ, დავჰ-მღერ („[ფანდურს] დაჰმღერდა“, ყაზ., 195, 10)
ვ-ნაყ
ვ-პენტ
ვ-რაცხ („თავიანთ მოვალეობადა რაცხდნენ“, ყაზ., 356, 8)
ვ-რეკ
ვ-რეცხ („სარეცხსა ჰრეცხდა“, ჭავ.. 307, 36)
მოვი-ტან
ვ-ტეხ
ვჰ-ფხან
ვ-ქექ
ვ-ქსოვ
ვ-ღებ
ვ-ღობ
მოვი-ყვან
ვ-ჩეჩ
ვ-ჩეხ
ვ-ძახ
ვ-ძოვ
ვ-წერ
ვს-წოვ („ამ ზაფხულს მოსწოვენ“, ყაზ., 231, 23)
ვ-ჭამ
ვ-ჭედ
ვ-ხეთქ
ვ-ხეხ
ვ-ხვეტ
ვი-ხვეჭ
ვ-ხეჩ (=ვ-ქეჩ, ე. ი. ვაპობ)
ვი-ხმარ (=ვიჭმარ)
ვ-ხოც (=ვჭოც; „შენის ქალისთვის კაცებს ხომ არ შევახოც“, ყაზ., 144, 12; „ძაღლებივით ჩავხოცთ“, 374, 16).

ჩამოთვლილ ზმნების უმეტესობას დაერთო **ავ** და ისინი ორ-თემიანებში გადავიდნენ: ვთიბავ, ვთესავ, ვჩეჩავ, ვხოცავ და სხვ. (§ 464).

ი დაერთო ამათ: ვმღერი, ვიკვეხი; „ვიქმ“ ფორმის პარალელურად არსებობს „ვქმნი“ (მნიშვნელობის დიფერენციაციით).

ერთ-თემიანობა შეჰრჩა რამდენიმე მათგანს: ვჰბან, ვტეხ, ვწერ, ვჭამ, ვიხმარ, მოვიტან, მოვიყვან, მოვჰფხან და ყველა ოვიანს: ვსთხოვ, ვქსოვ, ვძოვ, ვწოვ. რომლებშიც ოვ წარმოშობით სუფიქსია (ვ-ქს-ოვ).

452. ხმოვან-მონაცვლე ზმნები. ერთ ჯგუფს ზმნებისას, რომელთაც მწკრივთა ორსავე სერიაში მარტივი თემები მოეპოვებათ, განსხვავება ამ თემებს შორის შინაგანი ხმოვნის შენაცვლებაზე აქვს დამყარებული. ეს შენაცვლება (ალტერნაცია) ყოველთვის ერთი ტიპისაა: პირველ სერიაში **ე**, მეორეში **ი(ე—ი)**; მაგალითად, ვ-**გრეხ** და ვ-**გრიხ**-ე (ან ვ-**გრიხ**-ო), ვ-**წყვეტ** და ვ-**წყვიტ**-ე (ან ვ-**წყვიტ**-ო), ვ-**გლეჯ** და ვ-**გლიჯ**-ე (ან ვ-**გლიჯ**-ო) და მისთ.

ხმოვან-მონაცვლე ზმნათა სია

ხმოვან-მონაცვლეთა ჯგუფს განეკუთვნება შემდეგი ზმნები (სია სრული არ არის. მოგვყავს უფრო ხშირად ხმარებული ზმნები):

ბზეკ-ა (გაბზიკა, კუდა-ბზიკა)
ბნედ-ა (დაბნიდა)
ბრექ-ა
ბრეშ-ა
ბღენძ-ა
ბღვერ-ა (უბღვერს, შეჰბღვირა, დაუბღვირა)
ბღნეჯ-ა („პირსა ბღნეჯით“, «ვეფხ.», 950; „პირი დაებღნიჯა“, იქვე, 868)
გლეს-ა
გლეჯ-ა
გმერ-ა (უგმირა)
გრეხ-ა
დრეკ-ა
დღვებ-ა
დღლეზ-ა
ზელ-ა
ზნექ-ა
თვლემ-ა
თქვეფ-ა
კვნეტ-ა
კმენდ-ა, გა-კმენდ-ა (ხმისა)
კრებ-ა
კრეფ-ა
კრეჭ-ა (თავისა, ცხვრისა)
კრეჭ-ა (კბილებისა)
კრეხ-ა, კრეხვა: „ეკკლესიის კრეხვა“ (კათალიკოსთა სამართალი. 1, ს. კაკაბაძის გამოცემა, 1913); „ეკლესია მღვდელმან ვინმე განჰკრიხა“ (ტიმოთეს «მოხილვა», 121, 2—3); მიმღეობაა მკრეხელი.
ლეკ-ა (დალეკა, წალეკა). ამ ზმნამ ხმოვანი შეიძლება შეიცვალოს (წალიკა), შეიძლება არა („წარღვნა მაინც მოსულიყო, რომ სულ წაველეკეთ“, ყაზ., 260, 25—26). ითქმის აგრეთვე ლექ-ა, აქედან: ნალექი.
მზერ-ა
მრეზ-ა („ავიმრიზე“, ჭავ., 433, 3)
მხელ-ა, გა-მხელ-ა
ყლეტ-ა
ყლენთ-ა
ყლემ-ა (გურ.=სრესა რბილად)
სვრემ-ა („ჩაუსვრიმა გეჯაში სხვადასხვა უწმინდურება“, ყაზ., 22, 1)
სრეს-ა
სხეპ-ა („მხარ-იღლივ გადასხიპა“, ყაზ., 192, 14)
სხლეტ-ა
ტვლეპ-ა
ტკეც-ა (=ცემა; ტკიცეს=ჰკვეს. სცემეს)
ტკვერ-ა
ტლეკ-ა
ტყეპ-ა

ტყლეშ-ა („ხელში მოვიგდე მაყარი, ერთს დავტყლიშე წითელ-წვე-რას“, ვაჟა)
ფლეთ-ა, ფლერთ-ა
ფხეკ-ა
ფშეკ-ა (ხარმა კუდი გააფშიკა; ფე-ხები გაფშიკა=მოკვდა).
ფშვნეტ-ა
ფხლეწ-ა, ფხრეწ-ა („გაუფხრიწა ახა-ლოხი“, ყაზ., 252, 32), „გინდა გა-ხიე, გინდა გაფხრიწე“, ჭავ., «ოთარ. ქვრ.»).
ქლეშ-ა („წისქვილის ქვებია, რომ ერთმანერთს ეფშვნიტ-ექლიშებიან“, ვაჟა, V, 109, 20)
ქრეჯ-ა (ხევს.=მიბაძვა ხმაში, მოქმე-დებაში)
ღვრემ-ა (დაიღვრიმა, დაღვრემილი)
ღლეტ-ა
ღმეჭ-ა, ღმეჭ-ა („დაეღმიჭათ იმისი პირისახე“, ყაზ. 195, 14).
ღრეც-ა
ღრეჯ-ა (დაღრეჯ-ა=მოწყენა; მოღ-რეჯ-ა=მოგრეხა. მობრუნება, მაგ., თავისა).
ყვლეფ-ა
შვერ-ა
შვლეპ-ა („ვიშვლიპე ქუდი“, ჭავ. 278,18; „ქუდ-მოშვლეპილმა“, ჭავ. 277, 25)
შვლეჭ-ა („იშვლიჭა ხმალი“)
შრეტ-ა („ან იმ ცრემლის ტბას ვინ დაშრეტს“, ვაჟა I, 149)
ჩვრეტ-ა
ჩქეფ-ა, ჩქვეფ-ა („ერთმა კაცმა გა-მოჩქვიფა არაგვი“, ყაზ. 79, 38)
ჩხვლეტ-ა
ჩხრეკ-ა
ცვეთ-ა
ცრეც-ა („გაცრეცილი სახე“, ყაზ. 169, 16)
ცქერ-ა
ცქვეტ-ა
წმენდ-ა, წმედ-ა
წნეხ-ა („არა დაწნიხონ ღვნოდ საწნეხელთა შინა“, ესაია 16, 10)
წყვედ-ა, წყვეტ-ა („ხელებს აწყვეტ-და აქეთ-იქით“, ყაზ. 162, 26=აწ-ყვეტებდა)
წყმედ-ა, წყმენდ-ა
ჭერ-ა (და-ჭერ-ა)
ჭვრეთ-ა (ხევს.=ჩვრეტა)
ჭვრეტ-ა
ჭრეხ-ა (=შლა); გაჭრიხა ქელე-ბი (მოხ.) — ხელები გაშალა ცეკვის დროს (ო. ქაჯაიას ცნობით)
ჭყერპ-ა (გაიჭყირპა=წყლით გაიბე-რა)
ჭყეტ-ა („დაჭყეტილი თვალები“, ყაზ. 293, 16; მზემ გამოიჭყიტა)
ჭყლეტ-ა
ხელ-ა (თვალისა: ახელს, გაახილა)
ხვრეპ-ა (გურიაში იგივეა, რაც ხვრე-ტა წვენისა)
ხვრეტ-ა (წვენისა)
ხლეჩ-ა (=ქლეჩა)
ხრეკ-ა („გახრეკილი დაჰრჩები“, ყაზ. 132, 21).
ხრენჯ-ა („მხეცური და მოხრენჯილი სახე ჰქონდა“)
ხრეშ-ა, გა-ხრეშ-ა (=ფხეკა, ხეხა მო ხეურად: „ქობი გახრიშე“)
ხვრეტ-ა (=ჭურეტ-ა) და სხვა.

მოყვანილ ზმნათაგან უნდა გამოიყოს ზოგიერთი **ეტ**-იანი ფორმა, რადგანაც ამ ზმნებში ეს **ეტ** მაწარმოებელი ჩანს, როგორც ეს პირველად ნ. მარმა აღნიშნა, მაგრამ მოვლენას სათანადო ადგილი ვერ მიუჩინა გრამატიკაში (ამნაირი ფორმები მან მეხუთე ნავყად ანუ порода-დ მიიჩნია: Грам. древнелитер груз. яз., 140).

ეტ რომ მაწარმოებელი ელემენტია, ეს ნათლად ჩანს ზოგიერთ ზმნაში,

რადგანაც მათ პირისპირ მოიპოვება სხვა ფორმები, რომლებიც ახლოს დგანან მათთან მნიშვნელობით, მაგრამ **ეტ** სუფიქსი არ გააჩნიათ. ასეთებია:

შრ-ეტ-ს და ა-შრ-ობ-ს. „შრეტა" ძველად ქრობას აღნიშნავდა („პატრუკი მბდჳნვარჱ არა დაშრიტოს", მათ. 12, 20; „სადა-იგი ცეცხლი არა დაშრტების", მარკ. 9,48; „სანთელნი ჩუენნი დაშრტებიან", მათ. 25,8; „ცეცხლსა მას დაუშრეტელსა" და მისთ.), მაგრამ იგი შრობის მნიშვნელობითაც იხმარება („ან იმ ცრემლის ტბას ვინ დაშრეტს"? ვაჟა, I, 149).

ფშვნ-**ეტ**-ს და ფშვნ-**ი**-ს („გაფშვნიტა თამბაქო", ყაზ. 172, 28; შეიძლება ითქვას: „გაფშვნა თამბაქო").

უ-ჭვრ-**ეტ**-ს და ჭვირ-ს („ჭვირს მარგალიტის ტყუბები". «ვეფხ.»).

ქვრ-**ეტ**-ს და ქვრ-ელ-ი (სვან. ქურუ).

ნათლად არა ჩანს, რომ **ეტ** სხვა ზმნებშიც მაწარმოებელი იყოს. (ქლეტა, სხლეტა, ღლეტა, წრეტა, ჩხვლეტა, ჩვრეტა, ცქვეტა, ჰყეტა, ჰყლეტა, თუმცა ზოგიერთ მათგანს იმავე ნ. მარმა საპირისპირო ფორმებიც უჩვენა: წრ-ეტ-ა და წურ-ა; სხლ-ეტ-ა და სხლ-ვა (გასხლვა, ტოტების გაცლა); კვნ-ეტ-ა და კბენ-ა (მისი აზრით: კვნეტა—კბნ-ეტა).

ზოგიერთ ხმოვან-მონაცვლე ზმნას **ავ** დაერთო მეორე სერიის თემაზე და მივიღეთ პარალელური ფორმები:

ვგლეს და ვგლისავ
ვგმერ და ვგმირავ („განგმირულნი" ყაზ., 170, 15)
ვგრეხ და ვგრიხავ
ვკრეჭ და ვკრიჭავ
ვქლეტ და ვქლიტავ
ვღლეტ და ვღლიტავ
ვღლენთ და ვღლინთავ
ვსრეს და ვსრისავ
ვფშეკ და ვფშიკავ
ვყვლეფ და ვყვლიფავ
ვჩხვლეტ და ვჩხვლიტავ
ვჩხრეკ და ვჩხრიკავ
ვცვეთ და ვცვითავ
ვწმენდ და ვწმინდავ
ვჰყლეტ და ვჰყლიტავ
ვხვრეტ და ვხვრიტავ და მისთ. (შდრ. § 464).

ხმოვან-მონაცვლეთა ჯგუფს განეკუთვნება აგრეთვე **ენ** და **ევ**-სუფიქსიანი ზმნები (§§ 453, 461). ამათგან **ევ** კიდევ წარმოადგენს რამდენადმე თემის ნიშანს, **ენ** კი მთლიანად ფუძეშია გადარიცხული, ოღონდ ეკედლება ხმოვან-მონაცვლე ზმნების ჯგუფს.

453. ენ-სუფიქსიანი ზმნები. ხმოვან-მონაცვლე ზმნების ჯგუფს განეკუთვნება **ენ**-სუფიქსიანი ზმნებიც, როგორიცაა:

ბწკენ-ა, პწკენ-ა (ჰპწკენს, უპწკინა)
ბჯენ-ა (აბჯენს, აბჯინა)
დგენ-ა (ადგენს, დაადგინა)
დენ-ა (ადენს, ადინა)
ვლენა (ავლენს, ავლინა)
თმენ-ა (ითმენს, ითმინა)
კბენ-ა, უ-კბინ-ა
კვდენ-ა (ძვ. ქართ. კუდენა, მოაკუდინა)
ლხენ-ა (მოილხენს, მოილხინა)
რ: *გან-რ-ენ-ა: განარენს — განარინა (ძვ. ქართულში ჩვეულებრივ „ვანარინებს" იყო და არა „განარენს")
რბენ-ა (ირბენს, ირბინა)

რქენ-ა (ურქენს, ურქინა)
რჩენ-ა (არჩენს, არჩინა)
რცხვენ-ა (შეარცხვენს, შეარცხვინა)
სმენ-ა (ისმენს, ისმინა)
სტვენ-ა, შტვენ-ა
ტკენ-ა (ატკენს, ატკინა)
ტყვრენ-ა (გამოატყვრენს, გამოატყვრინა)
ფენ-ა (ჰფენს, მიჰფინა)
ფრენ-ა (იფრენს, იფრინა)
ქშენ-ა (ამოიქშინა)
ღრენ-ა (უღრენს, უღრინა)
შენ-ა (უშენს, დაუშინა)
ჩენ-ა (აჩენს, გააჩინა)
ცდენ-ა (აცდენს, გააცდინა)
ძენ-ა (იძენს, შეიძინა)
ძვრენ-ა (გააძვრენს, გააძვრინა)
წვდენ-ა (მიაწვდენს, მიაწვდინა)
წვენ-ა (აწვენს, აწვინა)
წყენ-ა (აწყენს, აწყინა)
ხდენ-ა (წაახდენს, წაახდინა) და სხვ.

ეს **ენ** სუფიქსი გარდაუვალი ზმნისაგან გარდამავალს აწარმოებს: **დ**-ის — **ა-დ-ენ**-ს, **წევ**-ს — ა-**წვ-ენ**-ს, **ვალ**-ს — ა-**ვლ-ენ**-ს, **ძ**-ეს: შე-ს-**ძ-ენ**-ს, **რბ**-ის ***ა-რბ-ენ**-ს, **დგ**-ას: ა-**დგ-ენ**-ს, **ჩ**-ა[ნ]-**ს**: ა-**ჩ-ენ**-ს, შე-**ცდ**-ება (ძველად: შეს-ცთ-ების): შე-ა-**ცდ-ენ**-ს, **კვდ**-ება — *ა-**კვდ-ენ**-ს (ძვ. ქართ. მოაკუდინებს), **ძვრ**-ება: ა-**ძვრ-ენ**-ს, ს-**წვდ**-ება — ა-**წვდ-ენ**-ს, **ხდ**-ება (წახდება), ა-**ხდ-ენ**-ს და მისთ.. სხვათა შორის, „თმობა“ „ვეფხის ტყაოსანში“ მოთმენას ნიშნავს: „სრულად გავჰყრივარ თმობასა“ (1087) = სრულიად დამკარგვია მოთმინება; აქედან: ვი-**თმ-ენ**.

ამას გარდა, იგივე **ენ** მაწარმოებლად გამოჩნდება ზოგი სახელისაგან გაკეთებულ ზმნებში: **რქ**-ა: **რქ-ენ**-ა; **ბიჯ**-ი: **ბჯ**-ენ-ა; **პწკ**-ალი (**ბწკ**-ალი): **პწკ-ენ**-ა (**ბწკ-ენ**-ა); **კბ**-ილ-ი: **კბ-ენ**-ა; **სტვ**-ირ-ი: **სტვ-ენ**-ა და სხვ.. ცხადია აგრეთვე, რომ **ტკ-ენ**-ა ეტიმოლოგიურ კავშირშია **ტკ**-ივ-ილ'თან.

საეჭოა, რომ ამგვარადვე დაიშალოს ყველა **ენ**-სუფიქსიანი ზმნები (მათ შორის: ფენა, შენა და სხვ.).

454. თემის ნიშანი ი. თემის ნიშნად **ი** მოუდის პირველად ზმნებსაც და ნაწარმოებთაც, უმთავრესად კი — პირველადებს.

ი სუფიქსის დართვა ზოგ ზმნაში იწვევს ხმოვნის ამოღებას ფუძიდან. შეიძლება ამოღებულ იქნეს ხმოვანი **ა** ან **ე**.

ამოღებულია **ა**:

ვუ-ბრი (ვუბრი — გავუბარე). „ჩემი ასე ცუდად წახდენა იმაში გამებაროს“ (ჰავ., 324, 2—3): „ბარი ბარში“ (ჰავ., 253, 1). ამისი ფუძე გვაქვს „თანა-**ბარ**-ში“
ვ-გვი (დავგვი, დავგავე)
ვჰ-გვრი (მივჰგვრი — მივჰგვარე)
ვ-გლი, თავს ვუ-გლი (დავგალე, გავგალე, თავი მივუგალე). „გულის გამგლელს მახლობელს“ (ყაზ. 168, 33)
ვ-ზრდი (ვზარდე)
ვ-თვლი (ვთვალე)
ვ-თლი (ვთალე)
ვ-თრი („თივათ ვთრი ოროლობითა. «ხევს. პოეზ.», № 512), ვთარე.
ვ-თხვრი (თხვრის — გათხვარა)
ვ-თხრი (ვთხარე)
ვ-სვრი (ვსვარე)
ვ-სჯი — ვსაჯე (დავსაჯე). ვრჯი — *გავსაჯე (შერეული ფორმა: გავსარჯე), რა გრჯის?
ვ-ღვრი (ვღვარე)

ვ-ღლი (ვღალე)
ვ-ყრი (ვყარე)
ვ-შლი (ვშალე)
ვს-ჩრი (პირში ბურთს სჩრის), ვიჩრი. „ის-ღა აკლიათ, აღლი ამოიჩარონ იღლიაში“ (ქავ., 352, 16)
ვი-ცდი (ვიცადე)
ვ-ცდი (გამოვცდი, გამოვცადე)
ვ-ცვლი (ვცვალე, გა-, შე-, გამო-,)
ვ-ცლი (დავცალე, გავცალე; ხელიდან გამოაცალა); ვ-აცლი, ვიცლი, დავაცალე, მოვიცალე
ვ-წვრთი (ვწვრთნი, ვწვართე)
ვი-წვდი (ვიწვადე ხმალი), ხელს ვუწვდი, ხელი გავუწვადე→გავუწოდე)
ვი-ხდი (=ვიქდი, ვიხადე)
ვა-ხლი (=ვაქლი, ვახალე)
ვ-ხრი (ვხარე)
ვ-ჯრი (მივჯრი, მივჯარე, კარი მივჯარე=კარი დავხურე)

ამოღებულია **ე**:

ვ-ბდღვნი (ვ-პტყვნ-ი), (და-ვ-ბდღვენ)
ვ-ამყნი (ვა-მყენ)
ვ-რყვნი (გა-ვ-რყვენ)
ვ-სკვნი (გა-ვ-სკვენ)
ვ-ფხვრი (ამო-ვ-ფხვერ)
ვ-ფშვნი (გა-ვ-ფშვენ)
ვ-ქმნი (შე-ვ-ქმენ)
ვ-ღრღნი (და-ვ-ღრღენ)
ვუ-ძღვნი (ვუძღვენ)
ვ-ცრი (გა-ვცრი — გავცერ; საცერი)
ვ-ჰრი (ვჰრი — ვჰერ; ნაჰერი)
ვ-ხრწნი
ვ-ხსნი (ვ-ქსნი: ვხსენ, გავხსენ)

ერთ რიგს ზმნებისას თემის ნიშნის წინ ინფიქსი **ნ** აქვს: ამათი **ფუძის ხმოვა**ნი მკვიდრია. ასეთებია:

ვ-ბეკნი (=ვტკეპნი გურ.)
ვ-ბურძგნი
ვ-ბღაჯნი
ვ-გზავნი
ვ-ვარცხნი
ვ-თოხნი
ვ-თხუპნი
ვ-კორტნი
ვ-კოცნი
ვ-ლოღნი
ვ-ლოშნი
ვი-პოვნი (ვიპოვნე; იხმარება უ**ნ**არო ფორმებიც: ვიპოვი, ვიპოვე; ძველად იგი **ე**ბიანებს განეკუთვნებოდა: ვჰპოვებ)
ვ-ტკეპნი
ვ-ტყორცნი
ვ-ქე[ნ]ჯნი
ვი-შოვნი (იხმარება უ**ნ**აროდაც: „კიდევ ვიშოვით“, ყაზ., 37, 23), მაგრამ: იშოვნა (ყაზ. 129, 31)
ვ-ჩიჩქნი
ვ-ცოხნი
ვ-ძებნი („სამსა ძებნე წელიწადსა იგი შენი საძებარი“, «ვეფხ.», 132)
ვ-წიწკნი
ვ-წუწნი
ვ-ჭმუხვნი
ვ-ჯიჯგნი
ვს-ჯობნი და სხვ.

* * *

ინიან ზმნებს ეკუთვნის აგრეთვე: ვ-ყიდ-ი და ვ-მკი.

455. თემის ნიშანი ავ. ავიან ზმნათა ჯგუფი საკმაოდ დიდია. აქ გვაქვს პირველადი ზმნები, რომელთა ფუძე თავიდანვე ზმნა იყო (ყოველ შემთხვევაში,

ამჟამად არ ჩანს, რომ ისინი სახელთაგან იყვნენ ნაწარმოები); ასეთებია, მაგალითად:

ვჰ-ბაძავ
ვ-ბერავ
ვ-ბერტყავ
ვ-ბოჭავ (ავბოჭავ, შევბოჭავ)
გვალავ-ს
ვ-დაგავ
ვ-ზიდავ
ვ-ზოგავ
ვ-ზღავ
ვ-თრგუნავ
ვ-თუთქავ
ვ-თხზავ
ვ-კარგავ
ვ-კაწრავ
ვჰ-კითხავ
ვ-კიცხავ
ვ-კლავ
ვ-კრავ
ვ-კრძალავ (ავკრძალავ)
ვ-კუმავ
ვ-კუმშავ
ვ-კუნჭავ
ვ-კუწავ
ვ-ლანძღავ
ვ-ლახავ (ვ-ლაჯავ)
ვ-ლოკავ
ვ-ლოცავ
ვ-მალავ
ვ-მარხავ
ვ-მოსავ
ვ-ნაბავ
ვ-ნახავ
ვჰ-პარავ
ვ-პარსავ
ვ-პრანჭავ
ვ-რგავ
ვ-რეხვავ
ვუ-რთავ (დავურთავ, დავურთე)
ვი-რთავ (შევირთავ, შევირთე)
ვა-რთავ (←ვასთავ; ვ-სთავ, ვ-სტავ).
ვ-რისხავ
ვ-როშავ
ვ-რწყავ
ვ-სთავ ნ. ვა-რთავ
ვ-ტანჯავ
ვ-ტუქსავ
ვ-ფანტავ
ვ-ფლანგავ
ვ-ფლავ, და-, ჩა-
ვ-ფქვავ
ვი-ფხატავ (ქუდს)
ვ-ქელავ
ვ-ღუპავ
ვ-ყლაპავ
ვ-ყნოსავ
ვ-ჩაგრავ
ვ-ჩეჩქვავ
ვ-ჩქმალავ
ვ-ძარცვავ
ვ-ძრავ
ვ-ძრახავ
ვ-წვავ
ვ-წირავ, გა-, შე-
ვ-წნავ
ვ-წურავ
ვ-ჭიმავ
ვ-ხარშავ
ვ-ხედავ
ვი-ხილავ
ვ-ხრავ
ვ-ხუთავ
ვ-ხურავ
ვ-ხუჭავ
ვ-ხნავ (=ვ-ჯნავ)
ვ-ხშავ (=ვ-ჯშავ)

ავიან ზმნათაგან რამდენიმეს ფუძე შეკუმშული აქვს I სერიაში; ესენია:

ვ-თხზავ — შევ-თხაზ (ძვ. ქ.)
ვ-კლავ — მოვ-კალ
ვ-კრავ — შევ-კარ
ვ-სრავ (ძვ. ქ.) — მოვ-სარ
ვ-ფლავ — დავჰ-ფალ
ვი-ც(ვ)-ავ — დავი-ცევ
ვ-ძრ-ავ — შევ-ძარ
ვ-წნავ — დავ-წან
ვ-ხნავ — დავ-ხან
ვ-ხრავ — დავ-ხარ
ვ-ხშავ (ვკშავ — დავ-კაშ)

შეკუმშვისას აქ ყველგან ა არის ამოღებული, გარდა ვი-**ცავ** ზმნისა, რომელშიც ამოღებულია **ე**. ეს „ვი-ცავ“ წარმომდგარია „ვი-ცვ-ავ“ ფორმისაგან, როგორც ამჟღავნებს წყვეტილის ფორმა (დავიცევ) და ვნ. მიმღეობისა ძველ ქართულში (და-ცვ-ული, შე-ცვ-ული).

საკმაოდ მოიპოვება ზმნები, რომლებიც ნაწარმოებია სახელთა ფუძეებისაგან; ასეთებია, მაგალითად:

ბარ-ი — ვ-ბარავ
ბეჭედ-ი — ვ-ბეჭდავ
დაღ-ი — ვ-დაღავ
ზაფრა — ვ-ზაფრავ
ზვერ-ი—ვ-ზვერავ („ზვერი“ ძველად ბაჯს ნიშნავდა)
ზოგ-ი (ძველად ნახევარს ნიშნავდა) —ვ-ზოგავ, დავ-ზოგავ
ზომ-ი — ვ-ზომავ
ზღუდე — ვ-ზღუდავ
კალა — ვ-კალავ
კეტ-ი—ვ-კეტავ (კეტს ვადებ კარზე, ურდულს ვუყრი)
კვალ-ი — ვ-კვალავ
კვანძ-ი — ვ-კვანძავ
კლიტე — ვ-კლიტავ (კლიტეს ვადებ)
ლურსმანი — ვ-ლურსმავ (დალურსმული, ყაზბ., 227, 4) [§ 137]
მურ-ი — ვ-მურავ
ნათელ-ი — ვ-ნათლავ
ნიკელ-ი — ვ-ნიკლავ
ნომერ-ი — ვ-ნომრავ
სანთელ-ი — ვ-სანთლავ
სახე — ვ-სახავ (გამო-, და-)
სერ-ი — ვ-სერავ
სეტყვა — ვ-სეტყვავ
სიცხე — ვ-სიცხავ
სუნ-ი — ვ-სუნავ
სუსხ-ი — ვ-სუსხავ
ტუს-ი — ვ-ტუსავ
ფარცხ-ი — ვ-ფარცხავ
ფერ-ი — ვ-ფერავ
ფილტრ-ი — ვ-ფილტრავ
ფიც-ი — ვ-ფიცავ
ფურცელ-ი — ვ-ფურცლავ
ქარგა — ვ-ქარგავ
ღობე — ვ-ღობავ
შხამ-ი — ვ-შხამავ
ჩარხ-ი — ვ-ჩარხავ
ცელ-ი — ვ-ცელავ
ცოცხ-ი — ვ-ცოცხავ
წამალ-ი — ვ-წამლავ
წიხლ-ი — ვ-წიხლავ
ჭირხლ-ი — ჭირხლავ-ს („ყინვას გაეჭირხლა ხეები“, ყაზბ., 105, 15)
ხაზ-ი — ვ-ხაზავ
ხარჯ-ი — ვ-ხარჯავ
ხატ-ი (სახე) — ვ-ხატავ
ხერხ-ი — ვ-ხერხავ
ხლართ-ი — ვ-ხლართავ
ჯოხ-ი — ვ-ჯოხავ, გა-, მი- („იმას კი ერთი ლაზათიანად მივჯოხავდი“ ჭავ., 417, 14)

456. თემის ნიშანი ამ. ჯგუფი ზმნებისა, რომელთაც თემის ნიშნად **ამ** მოუდის, მეტად მცირე-რიცხოვანია. სულ მოიპოვება 15-ოდე ზმნა; ეს ზმნებია:

ვა-ბამ (შე-, გა-, გადა- და სხვ.)
ვ-დგამ (და-, შე-, ჩა- და სხვ.)
*ვ-თქვამ (წარმოვ-თქვამ, აღვუ-თქვამ, სულს მოვი-თქვამ)
ვ-ნთქამ (=ვყლაპავ, ვძირავ წყალში). ჩანთქი! (=ჩაყლაპე). ზოგი მწერალი ამ ზმნას **ავ**-ით ხმარობს: ვ-ნთქავ.
*ვა-რთვამ. ამ ზმნას ჩვეულებრივ **ევ** აქვს დართული: მივართმევ, წავართმევ (ნაცვლად ასეთი ფორმებისა: მივართვმევ,-წავართვმევ. ძველად აქ **ვ**-ს ადგილას უმარცვლო **უ** იყო: მივართუამ). II სერიის ფორმებში დაიკარგება როგორც **ევ**, ისე **ამ**: მივა-რთვ-ი, წავა-რთვ-ი, მივა-რთვ-ა, წავა-რთვ-ა.
ვა-რთხამ (ვართხი): ძველად ფუძე ხმოვანს გვიჩვენებდა: „განირათხ ჴელი შენი“ (=გაშალე შენი ხელი)
ვა-რტყამ, ვი-რტყამ
რქმა (←რქუმა, რქვმა). ჩვეულებრივ გავრცობილია **ევ**-ით: რქმევ-ა, ვარქმევ. II სერიაში ჩამოშორდება ორივე სუფიქსი: დავა-რქვ-ი, დავა-რქვ-ა
ვა-რწყამ, და-([მახეს] დავაგებ)
ვ-სვამ (წყალს, ღვინოს)
ვ-სვამ (დავსვი)
ვუ-სვამ (ხელს, წამალს)
ვა-სხამ; ვ-სხამ (დავსხი)
ქვამ: აღვი-ქვამ
ვი-ცვამ

ამათ ემატება ორი ზმნა ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებათა შესრულების აღსანიშნავად სახმარი.

ძველად იყო კიდევ ორი ზმნა: *ხუ-ამ და *ჴუ-ამ: ხუამ. ამ ფუძის ზმნას პირდ. ობიექტი მრ. რიცხვში მოუდიოდა (მხოლ. რიცხვში მას **ღება** ენაცვლებოდა): მოიხუამს წიგნთა — მოიხუნა წიგნნი (მოიტანს წერილებს—მოიტანა წერილები), აღაღო პირი — აღახუნა ბაგენი, წარუღო ქალაქი — (წაართვა ქალაქი) — წარუხუნა ქალაქნი და მისთ..

ჴუამ. იხმარებოდა **გან** და **გამო** ზმნისწინით: განაჴუამს,—განაჴუნა, გამოაჴუამს, — გამოაჴუნა. ნიშნავდა წაღებას, გატანას, მოპარვას (**изять, лишать**).

457. თემის ნიშანი ემ. ეს ნიშანი აქვს ერთად-ერთ ფუძეს, რომელიც სხვადასხვა ზმნისწინით იხმარება: მი-ცემ-ა (მი-ვს-ც-ემ—მი-ვ-ე-ც, მი-ს-ც-ემ-ს—მი-ს-ც-ა), გა-ცემ-ა, და-ცემ-ა და სხვ.. ცალკე „ცემა“ დღეს მხოლოდ (და)რტყმას აღნიშნავს და ამ მნიშვნელობით ზმნა უკვე ერთ-თემიანია, რადგანაც **ემ** მეორე სერიაშიც გადაჰყვება: ვს-ცემ — ვს-ცემ-ე (ძველად ამ მნიშვნელობითაც ეს ზმნა ორ-თემიანი იყო: ვსცემ — ვეც, სცემს — სცა). [§ 475].

458. თემის ნიშანი ებ. ზმნები, რომელთაც თემის ნიშნად **ებ** სუფიქსი აქვთ, მეტად მრავალ-რიცხოვანია. შეიძლება ითქვას, რომ ეს ჯგუფი ყველაზე მეტია რაოდენობით. უმეტესობა ასეთი ზმნებისა სახელთა და ზმნათა ფუძეებისაგან არის ნაწარმოები, მაგრამ საკმაოდ მოიპოვება პირველადი ზმნებიც.

1. **პირველადი ზმნები.** პირველად ზმნათაგან, რომელთაც თემის ნიშნად **ებ** აქვთ, შეიძლება დავასახელოთ შემდეგი:

ვ-ბადებ	ვა-სუქებ
ვა-ბარებ	ვს-ტაცებ
ვ-ბრძანებ	ვუ-ტევებ (მოვუტევებ მწყერს მიმინოს)
ვა-გდებ	ვ-ტოვებ
ვა-გებ (ვაგებ სახლს, ავაგე სახლი)	ვა-ქებ
ვა-გებ (ვაგებ ფულს, წავაგე ფული)	ვა-ქეზებ
ვა-გებებ	ვა-ღებ
ვი-გერებ	ვი-ღებ
ვა-გზებ, ვაგზნებ	ვა-ღონებ
ვ-დებ [*ვ-დ(ვ)-ებ]	ვა-ყუდებ
ვა-ვიწყებ, ვი-ვიწყებ	ვა-ყუჩებ
ვა-ვლებ, წა-, და-, შე- (ხელს)	ვა-შენებ
ვა-ვნებ	ვა-შუპებ
ვა-ვსებ	ვა-ჩალებ
ვა-თენებ	ვა-ჩერებ
ვი-კარებ	ვა-ჩვენებ
ვჰ-კიდებ	ვა-ცილებ
ვა-კლებ	ვა-ცხებ
ვა-ლაგებ	ვა-ძევებ
ვა-ნათებ	ვა-ძლებ
ვა-ნძებ	ვა-წებ (კალამს მელანში, ლუკმას წვენში)
ვა-ნთებ	ვი-წყებ
ვა-ოსებ	ვა-ხებ (ვა-ხლებ)
ვჰ-რგებ	ვა-ხუნებ
ვა-რიგებ, ვუ-	ვა-ხურებ (ვა-ჭურებ) და სხვ.
ვა-რიგებ (ჭკუას ვასწავლი)	
ვა-სვენებ	
ვა-სი(ვ)ებ	

აქ ჩამოთვლილი ზმნები საბოლოო ანალიზით ყველა ვერ იქნება პირველადი; მაგალითად, ერთი წარმოშობის სიტყვები, მაგ., თ-ევ-ა (ღამის თევა), მ-თ-ი-ებ-ი (ვარსკვლავია თენების ხანს) და თენ-ება პირვანდელ ფუძედ თ-ს გამოჰყოფენ, რომელიც შემონახულია ვნებითი გვარის ძველ წარმოებაში: გან-თე-ნ-ა (=გათენდა). ამ ვნებითის **თ-ენ** ფუძისაგან ხელახლად ნაწარმოებია მოქმედებითი, რომელსაც შემდეგ თავისი ვნებითი გაუჩნდა: ვათენებ — თენდება. „კრება" და „კრეფა" ერთია წარმოშობით, მაგრამ დაცილებულია ერთმანეთს მნიშვნელობით.

ამჟამად ვაძევებ ითქმის; აქედან: გავაძევე, გააძევეს. მაშასადამე, ფუძედ გამოიყოფა **ძევ.** მაგრამ ძველად გან-ძ-ებ-ა ითქმოდა, საიდანაც ნაწარმოები იყო: განვა-ძ-ე, განვა-ძ-ო, განა-ძ-ეს და სხვ. მაშასადამე, ძველად მარტივი თემა (ფუძე) **ძ** იყო, რთული კი — **ძებ** (განვა-ძებ).

„ნათება“ და „ნთება“ სხვადასხვა ზმნაა, ნაწარმოები ერთისა და იმავე ძირისაგან. „ნათ“ ფუძეს უთუოდ უკავშირდება „ნათელი“ (რომელიც ძველად სინათლეს ნიშნავდა), მაგრამ იმისი თქმა ძნელია, თუ რომელი რომლისაგან მომდინარეობს: სახელი ზმნისაგან, თუ ზმნა სახელისაგან.

რთული წარმოშობის „სუნთქვა“ ამიანებს ეკუთვნოდა ძველად (სულთ-თქუმა, სულთ-ითქუამს, სულთ-ითქუნა = ამოიოხრა), მაგრამ ახალ ქართულში ის გამარტივდა და ავიანებში გადავიდა, მნიშვნელობაც იცვალა: ვსუნთქავ, ვისუნთქავ.

2. **სახელთა ფუძეებისაგან ნაწარმოები ებიანი ზმნები.** დიდი უმეტესობა **ებიანი ზმნებისა** სახელთა ფუძეებისაგან არის ნაწარმოები: დავასახელოთ **ზოგიერთი:**

ა) **არსებითთაგან:**

ბრალ-ი — ვაბრალებ
გროვა — ვაგროვებ
გუბე — ვაგუბებ
თავ-ი — ვათავებ
კვეს-ი — ვაკვესებ
მგზავრ-ი — ვამგზავრებ
მიზან-ი — ვუმიზნებ
მწკრივ-ი — ვამწკრივებ
მხეც-ი — ვამხეცებ
ნიავ-ი — ვანიავებ
ობ-ი — ვაობებ
ობოლ-ი — ვაობლებ
ოხერ-ი — ვაოხრებ
რიდ-ი — ვარიდებ
სალამ-ი — ვესალმები, გამო-
სამართალ-ი — ვასამართლებ
სახელ-ი — ვასახელებ
სახლ-ი — ვასახლებ
ტყავ-ი — ვატყავებ
უღელ-ი — ვაუღლებ, შე-
ფას-ი — ვაფასებ
ფურთხ-ი — ვაფურთხებ
ძალ-ი — ვაძალებ
ძაღლ-ი — ვაძაღლებ (ჩააძაღლა, ჩაძაღლდა)
წეს-ი — ვაწესებ
ჭირ-ი — ვაჭირებ
ჯავრ-ი — ვაჯავრებ
ჯანყ-ი — ვაჯანყებ
ჯგუფ-ი — ვაჯგუფებ და სხვ.

ბ) **ზედსართავთაგან:**

ბედნიერ-ი — ვაბედნიერებ
დიდ-ი — ვადიდებ
დუნე — ვადუნებ
დღეგრძელ-ი — ვადღეგრძელებ
ზვიად-ი — ვაზვიადებ
თავისუფალ-ი — ვათავისუფლებ
თანახმა — ვათანხმებ
ლაღ-ი — ვალაღებ
მაგარ-ი — ვამაგრებ
მაღალ-ი — ვამაღლებ
მდაბალ-ი — ვამდაბლებ
მდიდარ-ი — ვამდიდრებ
მოკლე — ვამოკლებ
მტკიცე — ვამტკიცებ
მცირე — ვამცირებ
სველ-ი — ვასველებ
სრულ-ი — ვასრულებ
სუსტ-ი — ვასუსტებ
ფრთხილ-ი — ვაფრთხილებ
ფუჭ-ი — ვაფუჭებ
ფხიზელ-ი — ვაფხიზლებ
ყრუ — ვაყრუებ
შავ-ი — ვაშავებ
შტერ-ი — ვაშტერებ
წითელ-ი — ვაწითლებ
და სხვ.

გ) **რიცხვით სახელთა და ნაცვალსახელთაგან:**

რიგი ებიანი გარდამავალი ზმნებისა რიცხვით სახელთა და ნაცვალსახელთა ფუძეებისაგან არის ნაწარმოები:

ერთ-ი — ვაერთებ	ჩემ-ი — ვიჩემებ
ორ-ი — ვაორებ	თვის-ი — ვითვისებ
სამ-ი — ვასამებ	სხვა — ვასხვავებ
ოთხ-ი — ვაოთხებ	ვითარი — ვავითარებ და მისთ.

3. ზმნათა ფუძეებისაგან ნაწარმოები ებიანი ზმნები. პირველადი ზმნების ფუძეებისაგან ხელმეორედ ნაწარმოებ ზმნათა რიცხვი მრავალია. მაგალ., გვაქვს ძირი **ნ**, რომლისგან ნაწარმოებია: მი-**ნ**-ებ-ს, მ-**ნ**-ებ-ავ-ს; აქედან გვაქვს ნებ-ა, საიდანაც ხელმეორედ ნაწარმოებია ვა-ნებ-ებ (ნებით ვუთმობ). **წევ**-ს ზმნისაგან გვაქვს ვა-წვ-ენ, ამისაგან კი — ვაწვენინებ. მაშასადამე, აქ გვაქვს შემთხვევა ხელმეორედ წარმოებისა.

ზმნის ფუძეთაგან ნაწარმოებ ახალ ზმნებში გამოიყოფა შემდეგი ჯგუფები:

ა) მოიპოვება რიგი მოქმ. ზმნებისა რომელთაც პირისპირ საშუალი გვარის უთემისნიშნო ზმნები უდგას:

დუმ-ს — ვადუმებ	ს-ძაგ-ს — ვაძაგებ
დუღ-ს — ვადუღებ	მო-ს-წონ-ს — ვაწონებ
კვირს, უ-კვირს — ვაკვირებ, ვაკვირვებ	წუხ-ს — ვაწუხებ
უ-ყვარ-ს — ვაყვარებ	ხურ-ს (ქურს) — ვახურებ (ვაქურებ)

ბ) საშუალ ზმნებს **ი** აქვს, მოქმედებითებს — **ებ**:

ტირ-ი-ს (ძვ. ქ. ტირ-ს) — ვატირებ	ღვივ-ი-ს — ვაღვივებ
ტყუ-ი-ს — ვატყუებ	ღუ-ი-ს — ვაღუებ
ყვავ-ი-ს — ვაყვავებ	ი-ცინ-ი-ს — ვაცინებ და მისთ.
ყვირ-ი-ს — ვაყვირებ	

გ) საშუალ ზმნებს მოეპოვებათ **ავ** სუფიქსი, მოქმედებითებს — **ებ**:

ბრუნავ-ს — ვაბრუნებ	პ-ღვიძავ-ს — ვაღვიძებ
გორავ-ს — ვაგორებ (ძველად: ვაგორვებ)	შფოთავ-ს — ვაშფოთებ
ტოკავ-ს — ვატოკებ	ცეკვავ-ს — ვაცეკვებ
ღელავ-ს — ვაღელვებ	ცოცავ-ს — ვაცოცებ
	ს-ძინავ-ს — ვაძინებ და მისთ.

დ) საშუალ ზმნებს მოეპოვებათ **ებ** სუფიქსი, მოქმედებითებსაც — **ებ**:

ბრიალებ-ს — ვაბრიალებ
კანკალებ-ს — ვაკანკალებ
კრიალებ-ს — ვაკრიალებ
სრიალებ-ს — ვასრიალებ
ტრიალებ-ს — ვატრიალებ
ჩაკჩაკებ-ს — ვაჩაკჩაკებ
ცახცახებ-ს — ვაცახცახებ
ჭიკჭიკებ-ს — ვაჭიკჭიკებ და მისთ..

ე) რიგი **ებ**-იანი ზმნებისა **ილ**-ისა და **ოლა**-ზე გათავებულ საწყისთაგან არის ნაწარმოები:

ი-ბრძვის — ბრძოლა — ვაბრძოლებ
ბღავის—ბღავილ-ი — ვაბღავლებ
თრთის — თრთოლა — ვათრთოლებ
კივის — კივილ-ი — ვაკივლებ (ნაცვლად ამისა: ვა-კივილ-ებ)
ე-ლ-ის — ე-ლ-ოდ-ა—*ლ-ოდ-ილ-ი, დისიმილაციით: ლოდინ-ი— ვალოდინებ
ყარს — ყროლა — ვაყროლებ
ყივის — ყივილ-ი — ვაყივლებ
ჩხავის — ჩხავილ-ი — ვაჩხავლებ
და მისთ.

ვ) მოიპოვება ერთისა და იმავე ფუძისაგან **ორგვარად ნაწარმოები მოქმ. გვარის ზმნები, განსხვავებული ერთმანეთისაგან როგორც თემის ნიშნით, ისე მნიშვნელობით**: ფუძე ზოგ შემთხვევაში **სახელისაგან მომდინარეობს. მაგალითები**:

ვ-კერ-ავ — ვა-კერ-ებ
(შდრ. § 442).
ვ-ფარ-ავ — ვა-ფარ-ებ
ფერ-ი, ვ-ფერ-ავ — ვა-ფერ-ებ (=ვამსგავსებ)
ფიც-ი, ვ-ფიც-ავ — ვა-ფიც-ებ
ვ-ყლაპ-ავ — ვა-ყლაპ-ებ (შეაყლაპა)
შხამ-ი, ვ-შხამ-ავ — ვა-შხამ-ებ (ჩააშხამა)
ცეცხლ-ი, ვ-ცეცხლ-ავ — ვა-ცეცხლ-ებ (**ჩ ა ც ე ც ხ ლ ა — ცეცხლად შეჭამა, ცეცხლად შეირგო, ჩ ა ა ც ე ც ხ ლ ა — ცეცხლად შეაჭამა**)
ვ-წურ-ავ — ვა-წურ-ებ („ძმარს მაწურებს თვალში", ჭავ., 277, 15)
ვ-ხედ-ავ — ვა-ხედ-ებ (მივახედებ, ჩავახედებ) და მისთ..

459. თემის ნიშანი ობ. თემის ნიშანი **ობ** მოუდის როგორც პირველადს ზმნებს, ისე სახელთა ფუძეებისაგან ნაწარმოებთაც.

პ ი რ ვ ე ლ ა დ ზ მ ნ ა თ ა გ ა ნ შეიძლება დავასახელოთ:

ვ-გმობ
ვ-გრძნობ
ვ-თმობ
ვა-თრობ
თხრობ: მოგვი-თხრობ-ს
ვა-ლპობ
ვა-ლტობ (ძვ. ქართ.=ვასველებ)
ვა-ლხობ
ვა-მკობ
ვა-მხობ
ვა-ნდობ

ვა-პობ
ვი-პყრობ
ვა-ჟღნობ
ვა-რთობ (თავს ვი-რთობ)
ვა-რჩობ (ძვ. ქ. ვა-შთობ)
ვა-რჭობ
ვა-სობ
ვ-სპობ
ვა-ტყობ
ვა-ღრობ (=ვაჭკნობ)
ვი-ღრძობ
ვა-ყრღნობ
ვ-შობ
ვა-შრობ
ვ-ცნობ, ვი-ცნობ
ვა-ცხობ
ვა-ცხრობ
ვა-ძრობ
ვა-წრთობ
ვა-წყობ
ვა-ჭდობ (ხელები გადააჭდო)
ვა-ჭკნობ და მისთ.

სახელთა ფუძეებისაგან ნაწარმოებ მოქმ. გვარის **ობ**-იან ზმნათაგან შეიძლება შემდეგი დავასახელოთ:

ამბავ-ი — ვ-ამბობ, ამბობ-ს, მბობა
ბრმა — ვა-ბრმობ (**ებ**იანი წარმოება უფრო იხმარება: ვა-ბრმავ-**ებ**)
ბჭე (=მოსამართლე) — ვ-ბჭობ („კაცი ბჭობდა")
გრძ-ელ-ი — განვა-გრძობ
ვრც-ელ-ი — ვა-ვრცობ

თბ-ილ-ი — ვა-თბობ
ლბილი — ვალბობ (მნიშვნელობის შეცვლით)
მხარ-ი (მკარ-ი) — ვი-მხრობ (ვი-მკრობ)
ტკბ-ილ-ი — ვა-ტკბობ
ფრთხ-ილ-ი — ვა-ფრთხობ
ქარ-ი — ვა-ქრობ
ხმა (ჴმა) — ვი-ხმობ, მოვი-ხმე
ხმ-ელ-ი (ჴმ-ელ-ი) — ვა-ხმობ (ვა-ჴმობ)

ზმნის ფუძისაგანაა ნაწარმოები დნობა:
დ-ის — ვადენ, ვა-დნ-ობ.

ობ სუფიქსის დართვას ფონეტიკური ცვლილება შეაქვს ზმნის ფუძეში:

ა) შეიძლება შეიკუმშოს ზმნის ფუძე (მარტივი თემა):

ვ-**შევ** — ვ-შ(**ვ**)-ობ; მივა-**ყრდენ** — მივა-**ყრდნ**-ობ; მივი-**მხარ** — მივი-**მხრ**-ობ; შევი-**პყარ** — შევი-**პყრ**-ობ და მისთ.

ბ) ფუძისეული **ვ**, რომელიც თავიდანვე **ვ** იყო, ან იყო უმარცვლო **უ** (რომელიც დღევანდელ ქართულში **ვ**ინით არის გადმოცემული), იკარგება **ობ**-ის წინ, მაგრამ აღდგება ისეთ ფორმებში, სადაც მის გამოთქმას ხელს არ უშლის მომდევნო თემის ნიშანი **ობ** ან მწკრივის ნიშანი **ო**. ამას მოქმ. გვარის ფორმებშიც აქვს ადგილი (სახელდობრ წყვეტილის პირველსა და მეორე სუბ. პირში) და ვნებითშიც, უკანასკნელში უფრო ხშირად:

ვა-თრობ, თრობა, მაგრამ: დავათვრე, ვთვრები, დავთვერ (დავითვერ), მთვრა-ლი (ძვ. ქ. მთრვალ-ი). ამ ფორმებში **ვ** მიღებულია **ავ**-ისაგან: ძვ. ქ.

მ-თრ-ავ-ს = მთვრალი ვარ; **მეთრო** = მთვრალი ვიყავ. ასე რომ აქ **ვ** წარმოშობით ფუძისეული არ არის (შდრ. სვან. გთრე „სვამს“).

ვა-ლხობ (*ვალხვობ), ლხობა, გავალხვე. ლხვება. გალხვა.

ვა-მხობ (*ვამქუებ), დავამხვე.

ვა-რჩობ, დავარჩვე, დაირჩვა, დამრჩვალი („ვარჩობ“ ისტორიულად მიღებულია ასეთი ფორმისაგან: „ვაშთობ“, ეს კი — ამისაგან: ვაშდობ, ვაშუდობ).

ვა-რჭობ, დავარჭვე, არჭვია (ისტორიულად მიღებულია ასეთი ფორმისაგან: ვა-სჭვობ, ვა-[მ]სჭუობ. აქედან იყო „სა-მსჭუ-ალი“, რაც ლურსმანს ნიშნავდა, § 137).

ვა-სობ (*ვასვობ,) დავასვე, ასვია.

ვა-ტყობ (*ვატყვობ), შევატყვე, ატყვია.

ვა-ძრობ (*ვაძვრობ, გავაძვერ (ან: გავაძვრე), გააძრო (*გააძვრო), „გავიძერ ხანჯალი“ (ჭავ., 312, 38) [მოსალოდნელი იყო „გავიძვერ“]; ლობეში გაძვრა, ტყავი გასძვრა, სული ამოსძვრა.

ვა-ცხობ (*ვაცხვობ), გამოვაცხვე, გამოცხვა, გამომცხვარი.

ვა-წყობ (*ვაწყვობ), დავაწყვე, აწყვია.

ამბავი — ვამბობ (*ვამბვობ), მბობა (§ 137).

460. თემის ნიშანი ოფ. ეს ნიშანი ერთად-ერთ ფუძეს აქვს, რომელიც სხვადასხვა ზმნისწინის დართვით რამდენსამე ნაწარმოებ ზმნას გვაძლევს:

ყ-ოფ-ა, გა-ყოფ-ა, შე-ყოფ-ა, გადა-ყოფ-ა, ხელის მი-ყოფ-ა და სხვა. ფუძე (**ყავ**) აწმყოში შეკუმშულია და **ო**ნის წინ მოხვედრილი **ვ** იკარგება. იგი აღდგება წყვეტილის 1-ლისა და მე-2 პირის ფორმაში: ვ-ყავ(ი), ჰყავ(ი), ყო; გავყავ(ი), გაჰ-ყავ(ი), გა-ყო; ხელი შევყავ(ი), ხელი შეჰყავ(ი), ხელი შე-ყო. მაშასადამე, „ვ-ყოფ“ (გავყოფ, შევყოფ და სხვ.) მიღებულია „ვ-ყვ-ოფ“ ფორმისაგან.

461. ევიანი ზმნები. ზმნები, რომელთაც ბოლოში **ევ** აქვთ, განეკუთვნებიან ხმოვან-მონაცვლეთა ჯგუფს (§ 452). ეს **ევ** ზოგ შემთხვევაში შეიძლება ფუძისეულიც იყოს, მაგრამ უმეტესად სუფიქსს წარმოადგენს. ფუძისეული იქნება **ევ**, თუ სუფიქსისეული, ულლების თვალსაზრისით ამას მნიშვნელობა არა აქვს, — ყველა ერთნაირად იულლვის. ამიტომ მათ ერთად განვიხილავთ.

ევ-იან ზმნათა თავისებურება ის არის, რომ ეს **ევ** მეორე სერიაში **ივ**-ად იქცევა (თანახმად ხმოვანთა მონაცვლეობის წესისა), მაგრამ ამასთანავე ერთად მისი თანხმოვანი იკარგება და რჩება მარტო ხმოვანი **ი**: წავა-**ქც-ევ** — წავა-**ქც-ი(ვ)**-ე, წავა-**ქც-ი(ვ)**-ო; ვა-**კმ-ევ**, ვა-**კმ-ი(ვ)**-ე, ვა-**კმ-ი(ვ)**-ო და მისთ.

მიზეზი ამ **ვ**ინის დაკარგვისა ის არის, რომ II სერიის ერთ მწკრივში (სახელდობრ მეორე კავშირებითში) ამ ზმნებს თემის ნიშნად **ო** აქვთ, რომლის წინ **ვ**, რა თქმა უნდა, ვერ გამოითქმის: წავაქცი(ვ)ო, წააქცი(ვ)-ო, წააქცი(ვ)ოს, წავაქცი(ვ)ოთ, წააქცი(ვ)ოთ, წააქცი(ვ)ონ. შემდეგ **ვ**ინის დაკარგვა განზოგადებულა და II სერიის ყველა მწკრივზე გავრცელებულა. მიუხედავად ამისა, არა იშვიათია, რომ აღმოსავლური კილოებიდან გამოსული მწერალი **ვ**-ს ხმარობდეს წყვეტილსა და ბრძანებითში. მაგალითები ი. ჭავჭავაძიდან: მოერივა (285, 35), გადმოიქნივა (348, 27), ამოერჩივა (362, 34),

გამოიწივო (365, 2) [უკანასკნელ მაგალითში **ვ ო**-ს წინაც კი არის შენახული!]. მაგალითები ყაზბეგიდან: წამოიწივა (125, 33; 172, 21), მიაღწივა (141, 37), ხელი ჩაიქნივა (142, 2), შეამჩნივა (172, 18), ამოერჩივა (174, 30), ამოექცივა (301, 41). მსგავსი მაგალითები სხვა მწერლებსაც მოეპოვებათ, მაგალ.: „მშვილდს მომიწივა მუხთალმა“ (გურამიშვ. 136, 17).

სია ევიანი ზმნებისა. გვხვდება უმეტესად შემდეგი **ევ**-იანი ზმნები:

ბნევ-ა (აბნევს, აბნია)

დევ-ნ-ა (ვს-დევ, ვსდიე)

თევ-ა (ვათევ ღამეს, ვათიე ღამე)

თნევ-ა („არ გათნევთ, იცის მეფობა“, «ვეფხ.», 39)

თრევ-ა (ვათრევ, ვათრიე)

თქმევა

თხევა, და-, გადა-

კვლევ-ა (ვიკვლევ, ვიკვლიე)

კმევა (ვაკმევ, ვაკმიე; ძვ. ქ. ვაკუმევ)

ლევ-ა, და-; შე-ლევა (ვერ შეველევი=ვერ გავიმეტებ).

მთხვევ-ა, შე-, და-

მსხვრევ-ა

მტვრევ-ა

მღვრევ-ა

მშევ-ა (ვამშევ, დავამშიე)

მჩნევ-ა, მცნევ-ა („ვერ ამცნევდა ამ სიცივეს“, ყაზ., 228, 14; „სალდათებს ჯერ არ შეემჩნივათ ის“, იქვე, 378, 1; „ზედაც ემცნევა ჩემს სტომაქსა“, ჭავ., 344, 20; „არ შეიმცნივა“, ჭავ., 360, 3). ამჟამად ეს ზმნა უფრო ჩინით იხმარება: ამჩნევს.

მცვრევ-ა

ნთქმევ-ა

ნთხევ-ა (ანთხევს, დაანთხია)

ნძრევ-ა

ნჯღრევ-ა, ნჟღრევ-ა („დანჟღრეულმა ზარმა“, ჭავ., 244,25)

რბევ-ა (არბევს, დაარბია)

რევ-ა(1) მო-რევა, ა-რევა, შე-რევა, გა-რევა და სხვ.

რევ-ა(2) იხმარება უფრო ვნებითში: მოვერევი.

რკვევ-ა (არკვევს, არკვია)

რღვევ-ა

რყევ-ა

რჩევ-ა

რწევ-ა

რწყევ-ა (არწყევს, წაარწყია). აქედან: რწყევინება („დედის ხსენს ვარწყევინებ პირიდგან“, (ყაზ., 299, 21).

რხევ-ა

სრევ-ა (ისრევს, ისრია. შემონახულია მთაში, § 366). ჩვეულებრივ „სროლა“ იხმარება: ისვრის, ისროლა).

ტევ-ა

ტნევ-ა (იტნევს, ჩაიტნია)
ფევ-ა (აფევს=პირს უცობს ჭურჭელს, მაგალითად, ბოთლს; პირ-საფევი=პირსაცობი, пробка; დაუფივე=პირი დაუცავ. იხმარება მთაში)
ფრქვევ-ა
ქნევ-ა
ქმნევ-ა, ქნევ-ა (აქმნევს, აქნევს=აკეთებინებს; „გაქნევ კარგთა სიმშაგეთა", «ვეფხ.»).
ქცევ-ა
ღ-წევ-ა, მი-ღ-წევ-ა (§ 37, 2). (მიაღწია, ყაზბ., 101, 29; მიაღწიეს, იქვე, 102, 21).
ჩვევ-ა (აჩვევს)
ჩნევ-ა (აჩნევს, დააჩნია)
ჩნევ-ა (იჩნევს, მიიჩნია)
ძევ-ა
ძლევ-ა (1) სძლევს, სძლია („ძილმა წასძლია", ყაზ., 100, 5).
ძლევა (2) აძლევს, აძლია, შეაძლია
წევ-ა (1) აწევა, გაწევა, მიწევა, დაწევა. „ისეთ დღეს დააწევს, რომ".
წევ-ა (2) შეაწევს, შეაწია; ვნებითად: შეეწევა, შეეწია.
წვევ-ა იწვევს, მოიწვია
წყევ-ა (წყევს, დაწყია=წყევლის, დაწყევლა): „მშობიარე დედაკაცები გოდებით წარმოსთქვამდნენ იმათ წ ყ ე ვ ა ს, ვინც ისინი მიიყვანა ამ დღემდის და წ ყ ე ვ ლ ა ს თ ა ნ ერთად ჰლევდნენ სულს", ყაზ., 188, 36—38. ასეთი ფორმა უფრო შემონახულია მთაში: „ვ წ ყ ე ვ თავის გაჩენის დღესა" (ვაჟა, I, 302, 14), „დაგწყიოს წმინდა გიორგიმ"! ჩვეულებრივ „წყევლა" იხმარება ი-ნით: ვწყევლ-ი „დასწყია თავისა დაბადება" («ვისრამ.»).
ჭდევ-ა (ჭდეების გაკეთება). „თავის ჯოხზედ დააჭდია" (ყაზ., 368, 39).
ხევ-ა
ხვევ-ა
ხწევ-ა (გახწევა, დახწევა, ძვ. ქ. გახრწევა, დახრწევა). „ძლივს მოასწრო ცოცხალი თავის გახწევა", ყაზბ. 41, 17. (§ 37, 2).

ევ რომ ფუძისეული იყოს, ასეთი ზმნები ცოტაა. სავარაუდოდ შეიძლება ესენი დავასახელოთ:

დევ-ნ-ა (ვ-ს-დევ — ვ-ს-დიე)
ლევ-ა (და-ვ-ლევ — და-ვ-ლიე),
რევ-ა (ავ-რევ — ავ-რიე), მო-
ტევ-ა (ვ-ტევ — და-ვ-ტიე; ვუ-ტევ—შევუ-ტიე)
ძევ-ა (ვი-ძევ — ვი-ძიე)
წყევ-ა (ვ-წყევ — დავ-წყიე)

ევიან ზმნათა უმეტესობა ნაწარმოებია სახელთა ან ზმნათა ფუძეებისაგან.

1. სახელთა ფუძეებისაგან ნაწარმოებია შემდეგი ზმნები:

კუალ-ი — (ვიკულევ→) ვიკვლევ
კუამლ-ი — (ვაკუმევ→) ვაკმევ
ცუარი, მცუარი („მცვრიანი მწვადი") — ამცვრევს

წყუდ-იად-ი — ვა-(მ)წყუდ-ევ (ე. ი. პირვანდელი მნიშვნელობის თანახმად: ბნელ ადგილში ვაგდებ)
ჰდე — ვა-ჰდევ
თხ-ელ-ი, სი-თხ-ე — ვა(ნ)-თხევ
ძალ-ი — ვს-ძლევ და სხვ.

2. ზმნათა ფუძეებისაგან ნაწარმოებია:
რბ-ის — ა-რბ-ევ-ს
ჩან-ს — ა-ჩნ-ევ-ს
ვალ-ს — ა-ვლ-ევ-ს(=არონინებს; გაავლევს=გაატარებს).

„თარ“ ფუძისაგან გვაქვს გარდაუვალი „მოსთრავს“ (§ 369), გარდამავალი კი ამავე ფუძისაგან ინითაც გვაქვს ნაწარმოები და **ევ**-ითაც: ვ-თრ-ი (ვთრიდი, ვთრიდე), გავთრი, გავთარე, გათარა (ს ა თ ა რ ი — გრძელი ჯოხი, რომლითაც თივას „თრიან“ ანუ ათრევენ მთებიდან ძირს) და ვა-თრ-ევ.

„ქან“ ფუძისაგან გვაქვს გარდაუვალი „ქანაობს“ და გარდამავალი: „ვაქან-ებ“ და „ვა-ქნ-ევ“, რომლებიც განსხვავებულია ლექსიკური შინაარსით.

„ძარ“ ფუძისაგან გვაქვს ერთი მხრით ვ-ძრ-ავ, შევ-ძარ-(ი) და მეორე მხრით ვა(ნ)-ძრ-ევ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. „ნელრევა“ და „ნჯღრევა“ კოლხურად შეფერილი ვარიანტებია „ნ-ძრევა“ ზმნისა, სადაც **ნ** განვითარებულია ძ-ს წინ და პირვანდელ ფუძეს არ ეკუთვნის.

3. იგივე **ევ** სუფიქსი მაწარმოებელია შუალობითი კონტაქტისა (§ 423), მაგ., ვ-თქვამ ზმნისაგან (წარმოვთქვამ, აღვუთქვამ) ნაწარმოებია ვათქმევ თქმევა (←ვათქუმევ, თქუმევა): „აღმოსავალით აღპყრობად სცნა ჴელნი მისნი და ა თ ქ უ მ ი ა“ («ცხორ. ნინოჲსი», X ს.-ის ხელნაწ.).

მსგავსი მაგალითებია: ნთქმ-ევ-ა, სმ-ევ-ა, რთმ-ევ-ა, რქმ-ევ-ა, ცმ-ევ-ა. ეს ხუთი ზმნა თავისებურებას იჩენს იმ მხრივ, რომ **ევ** სუფიქსს მოიკვეცენ II სერიის ფორმებში, მაგრამ ამასთანავე მოიკვეცენ მის წინ მდგომ **ამ** თემის ნიშნის ნაშთსაც. ოთხი მათგანის **ვ** უმარცვლო უნისაგან არის მიღებული:

ვ-ნთქ-ამ — ვა-ნთქ-მ-ევ — ვა-ნთქ-ი („მან ხუთი წურბელა მოასხმევინა და ჩაანთქა“, სულხ. ორბ., «სიბრძნე-სიცრ.», «პირ-დაქცეულის მკურნალი»).
ვ-სვ-ამ — ვა-ს-მ-ევ (←ვა-სვ-მ-ევ) — ვა-სვ-ი.
*ვა-რთვ-ამ — ვა-რთ-მ-ევ (←ვა-რთვ-მ-ევ) — მივა-რთვ-ი, წავა-რთვ-ი.
ჰ-რქვ-იან — *ვა-რქვ-ამ — ვა-რქ(ვ)-მ-ევ — (და)ვა-რქვ-ი
ა-ცვ-ია — *ვა-ცვ-ამ→ვა-ც(ვ)-მ-ევ — ჩავა-ცვ-ი.

აგეთივე მაგალითია ვ-ჭამ — ვა-ჭმ-ევ — ვა-ჭამ-ე, იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ აქ **ამ** ფუძისეულია.

ექვსივე ზმნა, რომელთაც **ევ** ჩამოსცილდებათ II სერიის მწკრივებში, თემის ნიშნიანი ზმნების რიგებში დგანან, რადგანაც აქ **ევ** ისეთივე თემის ნიშანია, როგორც **ავ, ამ, ობ, ებ,** რომლებიც მარტო I სერიის ფორმათა კუთვნილებაა. მაგრამ ეს ეხება სალიტერატურო ქართულს და კილოთა უმეტესობას. ზოგიერთ კილოში კი (მაგ., ფშაურში, ხევსურულში) მოსალოდნელი **ი(ვ)** სუფიქსი შენახულია ორ ზმნაში: სმევა-სა და ჭმევა-ში (§ 442): მასმია,

მაჭმია. ასეთი ფორმა შეიძლება ბარშიც გავიგონოთ: „დანათესი ყვავებს შემიჭმია“-ო, თქვა ერთმა რუისელმა კაცმა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. უსუფიქსო წარმოება II სერიის ფორმებისა „სმევა“ (სუმევა) და „ჭმევა“ ზმნათაგან ძველადგანვე მოდის: „აწ სადაცა ჰპოვნე ქუეყანასა შენსა ვნებანი იგი ქართლისანი, — მაცთურნი კერპნი, — ცეცხლითა დაწუენ და ნაცარი მათი შე[illegible]უ მათ, ვინ ეგლოვდის“ («ცხორ. ნინოჲსი», 805); „მიწაჲ აღიღე ადგილისა მისგან და შ ე ა ჭ ა მ ე კაცთა მაგათ და ესუას შვილი“, ([illegible]ე, 757).

462. თემა შუალობით-კონტაქტიან ზმნებში. შუალობით-კონტაქტიანი ზმნები ფორმათა წარმოების მიხედვით ორ-თემიანებს განეკუთვნება. მათი თემის ნიშანია ყოველთვის **ებ**, რომელიც მარტივს დაერთვის. ოღონდ მარტივი თემა შუალობით-კონტაქტიანი ზმნებისა თავისთავად რთულია სათანადო უშუალო კონტაქტის ფორმებთან დაპირისპირებით. ეს დაპირისპირება აშკარავებს, რომ შუალობითი კონტაქტის ფორმათა მაწარმოებელია **ინ** ან **ევინ. ვ-ტეხ:** ვა-**ტეხ-ინ**-ებ ვ-**თლ**-ი: ვა-**თლ-ევინ-**ებ. ამ მაწარმოებელთაგან მეორე ორმაგია: **ევ-ინ;** მისი პირველი ნაწილი **(ევ)** თავისთავადაც მაწარმოებელია შუალობითი კონტაქტის ფორმებისა, მაგრამ იგი, როგორც აღნიშნულია, არ აღმოჩნდა საკმარისი შუალობითი კონტაქტის ფორმათა საწარმოებლად და **ინ** დაერთო (§ 423).

ინ იქნება შუალობითი კონტაქტის მაწარმოებელი, თუ **ევინ**, სულ ერთია, ფორმათა აგებულების თვალსაზრისით, ისიც და ესეც მარტივი თემის განუყოფელი ნაწილია: **წერინ** და **თლევინ** მარტივი თემებია II სერიის ფორმათათვის, I სერიაში მათ **ებ** დაერთვის კიდევ: ვა-**წერინ**-ე — ვა-**წერინ-ებ,** ვა-**თლევინ**-ე — ვა-**თლევინ-ებ** (§ 423, 4).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ზოგიერთ კილოში (მაგ., გურულში) **ინებ**-ის ნაცვლად **იებ** იხმარება: ვაწერიებ, ვათლევიებ, ვახატვიებ და მისთ.. ეს **იებ** წარმომდგარია **ი(ვ)-ებ**-ისაგან

463. შუალობითი კონტაქტისა და უშუალო კონტაქტის თემათა ურთიერთობა. შუალობითი კონტაქტის მაწარმოებლები **ინ** და **ევინ** დაერთვის უშუალო კონტაქტის ზმნათა I სერიის თემას, რომელიც საწყისშია წარმოდგენილი. საწყისის **ა** ამ ფორმანტთა დართვისას შეიკვეცება. საარვისო ქცევაში ეს ზმნები ფუძის წინ კიდევ **ა**-ს მიიღებენ. ეს მაწარმოებლები ასე ინაწილებენ უშუალო-კონტაქტიან ზმნებს:

1. მარტივი **ინ** მოუდის ყველა Iჯგუფის ზმნებს, გარდა ამიანებისა, სახელდობრ:

ა) ერთ-თემიანებს: ვ-**წერ, წერ**-ა, ვა-**წერ-ინ**-ებ.

ბ) ხმოვან-მონაცვლეებს: ვ-**გრეხ, გრეხ**-ა, ვა-**გრეხ-ინ**-ებ.

გ) ინიანებს, რომელთაც ფუძეში ხმოვანი აქვთ I სერიის ფორმებში: ვ-**თოხნ**-ი, **თოხნ**-ა, ვა-**თოხნ-ინ**-ებ; ვა-**სწავლ**-ი, **სწავლ-ებ**-ა, ვა-**სწავლებ-ინ**-ებ; ვი-**სვრ**-ი, **სროლ**-ა, ვა-**სროლ-ინ**-ებ („კუდით ქვას ვასროლინებ“).

დ) **ავიანებს**, რომელთაც ფუძე არ ეკუმშებათ საწყისში: ვ-**მალავ, მალვ**-ა, ვა-**მალვ-ინ**-ებ; ვ-**ბერავ, ბერვ**-ა, ვა-**ბერვ-ინ**-ებ და მისთ.

ე) **ევ**იანებს: ვა-**ქცევ**, **ქცევ-ა**, ვა-**ქცევ-ინ**-ებ; დავ-**ლევ**, და-**ლევ**-ა, დავა-**ლევ-ინ**-ებ და მისთ.

ვ) **ემ**იანებს: მივს-**ცემ**, მი-**ცემ**-ა, მივა-**ცემ-ინ**-ებ.

ზ) **ებ**იანებს: ვა-**შენებ**, **შენებ**-ა, ვა-**შენებ-ინ**-ებ; ვა-**კერებ**, **კერებ**-ა, ვა-**კერებ-ინ**-ებ და მისთ.

ღ) **ობ**იანებს: ვა-**მკობ**, **მკობ**-ა, ვა-**მკობ-ინ**-ებ, ვა-**ცხობ**, **ცხობ**-ა, ვა-**ცხობ-ინ**-ებ და მისთ.

თ) **ოფ**-იანებს: გავ-**ყოფ**, გა-**ყოფ**-ა, გავა-**ყოფ-ინ**-ებ.

2. **ევინ** მოუდის ზოგიერთ ინიან და ავიანს და ყველა ამიანს; სახელდობრ:

ა) **ინ**იანთაგან იმათ, რომელთაც I სერიაში და, მაშასადამე, საწყისშიც ფუძე ეკუმშებათ: (გა)ვ-**შალ**-ე, ვ-**შლ**-ი, **შლ**-ა, ვა-**შლ-ევ-ინ**-ებ; (გა)ვ-**ჭერ**, ვ-**ჭრ**-ი, **ჭრ**-ა, ვა-**ჭრ-ევ-ინ**-ებ; ვ-**თხარ**-ე, ვ-**თხრ**-ი, **თხრ**-ა, ვა-**თხრ-ევ-ინ**-ებ და მისთ.

ბ) **ავ**იანთაგანაც იმათ, რომელთაც I სერიაში და, მაშასადამე, საწყისშიც ფუძე ეკუმშებათ: (და)-ვ-**კალ**, ვ-**კლავ** (*კლვ-ა→)**კვლ**-ა (**ვ**ინის გადასმით), ვა- **კვლ-ევ-ინ**-ებ; (და)ვ-**ხან**, ვ-**ხნავ**, (*ხნვ-ა→) **ხვნ**-ა, ვა-**ხვნ-ევ-ინ**-ებ და მისთ.

გ) **ამ**-იან ზმნებს თემის ნიშნის ხმოვანი, შეკუმშვის გამო, ეკარგებათ: ვა-**ბამ**, **ბმ**-ა, ვა-**ბმ-ევინ**-ებ; ვა-**სხამ**, **სხმ**-ა, ვა-**სხმ-ევინ**-ებ და მისთ.

464. მერყეობა თემის ნიშანთა ხმარების დროს. თემის ნიშანი საზოგადოდ მკვიდრია: ამა თუ იმ ზმნას ფუძეზე (მარტივ თემაზე) დაერთვის ესა თუ ის თემის ნიშანი: ზოგს **ი**, ზოგს **ავ**, ზოგს **ებ** და სხვ.. მაგრამ ზოგჯერ არის ხოლმე მერყეობა მათ ხმარებაში. ეს მერყეობა უმთავრესად ცოცხალი კილოების გავლენით არის გამოწვეული.

რამდენსამე ზმნაში **ებ**-ის ნაცვლად **ობ**-ს ხმარობენ; ამიტომ გვაქვს პარალელური ფორმები:

ვაპირებ და ვაპირობ: რას აპირობ (ყაზ., 40, 13), აპირობთ (ყაზ., 96, 5); უპირობს (ყაზ., 19, 1), უპირობდა (ყაზ., 23, 10).

ვასწრებ და ვასწრობ.

ვაძლებ და ვაძლობ: ის „ჩვენ დამშეულ კუჭს ვერ გაგვიძლობს“ (ჭავ. 274, 29).

ვაწებ და ვაწობ.

ვიწყებ და ვიწყობ. სალიტერატურო ენაში საზოგადოდ გარჩეულია და-წყება და და-წყობა. ვიწყებ საქმეს, სახლის შენებას და სხვ., ვაწყობ კი შეშას, ქვებს, ფიცრებს და სხვ.. მაგრამ ზოგჯერ წყების ნაცვლად წყობას ამბობენ: სახლის შენებას ვიწყობ.

„მყენ“ ფუძისაგან „ვამყნი“ ითქმის (აქედან: ნამყენი), მაგრამ გვხვდება აგრეთვე **ობ**იანი ფორმები: ვამყნობ, ვაზის მყნობა, ნამყნობი (ყაზ., 148, 7).

ერთ-თემიან ზმნათა უმეტესობას (§ 451) დაერთო **ავ** და ისინი ორ-თემიანებში გადაირიცხნენ: ვბერტყავ, ვთელავ, ვკაცავ, ვკვეცავ, ვლესავ („გლესავ და გლესავ, ნამგალო“, ხალხ.), ვლეწავ, ვნაყავ, ვპენტავ, ვრეკავ, ვრეცხავ, ვქექავ, ვლებავ, ვლობავ, ვჩეხავ, ვძრახავ, ვხეთქავ, ვხეხავ, ვხვეტავ და სხვ.

ხმოვან-მონაცლე ზმნათაგან რამდენიმემ დაირთო თემის ნიშანი **ავ** II სერიის თემაზე, **ინ**იანზე, იშვიათად კი I სერიისაზე, **ენ**იანზე. ამის გამო მივი-

ღეთ პარალელური ფორმები (§ 452). ავიანი **ფორმები** უმეტესად **ინით** გვხვდება: ვგრიხავ, ვჟლიტავ, ვფშიკავ, ვჩხრიკავ, ვცვითავ **და** სხვ.. ამ შემთხვევაში გარჩევას თემებს შორის მარტო თემის ნიშანი ქმნის, მაშინ როდესაც თუ ეს **ავ ენიან** თემაზეა დართული, ხმოვან-მონაცვლეობა ძალაში რჩება. შდრ. ვ-**კრეჭ**-ავ — ვ-**კრიჭ**-ე და ვ-**კრიჭ**-ავ — ვ-**კრიჭ**-ე.

ძველად, XI ს.-ში, გვქონდა ზმნა „დამჭირვა", რომელსაც შემდეგ **მ** ჩამოშორდა: „დაჭირვა" („ვერ დაიმჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი", «ვეფხ.»). ზმნა **ავიანი** იყო, მაგრამ იგი **ხმოვან-მონაცვლეებში** გადავიდა, თუმცა საბოლოოდ არა: გვხვდება როგორც დავიჭირავ, ისე დავიჭერ.

ს ა ვ რ ც ო ბ ი

465. თემის გავრცობის არე მოქმედებითი გვარის ზმნებში. I სერიის ორი მწკრივის ფორმათათვის გავრცობა უნდა იმ თემას, რომელიც აწმყომყოფადში იხმარება. იქნება ეს თემა მარტივი თუ რთული, სულ ერთია, ორთავ უნდა დაემატოს **დ**, რომელსაც ს ა ვ რ ც ო ბ ი ჰქვია. გავრცობილი თემისაგან ნაწარმოები მწკრივებია უწყვეტელი და I კავშირებითი. მაგალითები:

ა) მარტივი თემები **წერ** და **ტეხ** (ერთ-თემიან ზმნათგან), ან **გრეხ** და **ხევ** (ორ-თემიანთაგან) გავრცობილი სახით იქნება **წერ-დ, ტეხ-დ, გრეხ-დ, ხევ-დ.** აქედან გვაქვს ერთი მხრით ვ-**წერდ**-ი, ს-**წერდ**-ი, **წერდ**-ა და შემდგომი; მეორე მხრით: ვ-**წერდ**-ე, ს-**წერდ**-ე, **წერდ**-ეს და შემდგომი. ასეა სხვა ზმნებიც: ვ-**ტეხდ**-ი, **ვტეხდ**-ე; ვ-**გრეხდ**-ი, ვ-**გრეხდ**-ე; ვ-**ხევდ**-ი, ვ-**ხევდ**-ე და მისთ.

ბ) რთული თემების გავრცობის მაგალითებია:

ი-დ: ვ-**შლიდ**-ი, ვ-**შლიდ**-ე; ვ-**თლიდ**-ი, ვ-**თლიდ**-ე და მისთ.

ავ-დ: ვ-**ხატავდ**-ი, ვ-**ხატავდ**-ე; ვ-**მალავდ**-ი, ვ-**მალავდ**-ე და მისთ.

ევ-დ: ვა-**ჭმევდ**-ი, ვა-**ჭმევდ**-ე და მისთ.

ამ-დ: ვა-**ბამდ**-ი, ვა-**ბამდ**-ე და მისთ.

ემ-დ: მივს-**ცემდ**-ი, მივს-**ცემდ**-ე.

ებ-დ: ვა-**ქებდ**-ი, ვა-**ქებდ**-ე; ვი-**წყებდ**-ი, ვი-**წყებდ**-ე და მისთ.

ოფ-დ: გავ-**ყოფდ**-ი, გავ-**ყოფდ**-ე.

ობ-დ: ვა-**თბობდ**-ი, ვა-**თბობდ**-ე; ვა-**დნობდ**-ი, ვა-**დნობდ**-ე და მისთ.

თემა ვნებითი გვარის ზმნებში

466. ზოგადი. დინამიკური ვნებითის ზმნები ყველა ორ-თემიანია, მაგრამ ვნებითს არ გააჩნია საკუთარი თემის ნიშანი, ე. ი. ისეთი, რომ მოქმედებითში არ იხმარებოდეს. **საზოგადო** წესის თანახმად, თუ **ზმნას** მოქმედებითში თემის ნიშანი აქვს, ეს ნიშანი უნდა გადაჰყვეს **მას** ვნებითშიც, და თუ არა **აქვს,** I სერიაში უნდა დაერთოს **ებ.** ეს საზოგადო წესი რამდენადმე შეზღუდულია: სრულიად არ გადაჰყვება **ი,** ხოლო ზოგჯერ — **ავ** და **ობ.** ერთ-თემიანი ზმნები და ორ-თემიანთაგან ხმოვან-მონაცვლეები I სერიაში ვნებითში მიიღებენ **ებ-ს,** რომელიც ყველაზე უფრო გავრცელებული ნიშანია რთული თემის საწარმოებლად ვნებითში. მისი ხმარების არე ახალ ქართულში გაფართოვდა და ამჟამად იქაც იხმარება, სადაც ძველად არ იყო.

თემები ვნებითი გვარის ზმნებში იმის მიხედვით უნდა მიმოვიხილოთ, თუ როგორია ვნებითი: პრეფიქსიანი, სუფიქსიანი, თუ უნიშნო.

467. თემა პრეფიქსიან ვნებითში. პრეფიქსიანი ვნებითის მარტივი თემა იგივეა, რაც სათანადო ზმნის მოქმედებითისა. რთულიც საზოგადოდ იგივეა, რაც მოქმედებითისა, ოღონდ ვნებითში ზმნას აწმყო-მყოფადში ერთვის მწკრივის ნიშანი **ი**, ხოლო სავრცობიან მწკრივებში — **ოდ**. ამათი გავლენით თემის ნიშნები **ავ** და **ამ** ხმოვნებს დაკარგვენ და დარჩება მარტო თანხმოვნები **ვ** და **მ**.

1. **ერთ-თემიანი ზმნები.** ერთ-თემიანი მოქმ. გვარის ზმნები ვნებითში **ებ**-ს დაირთავენ: მოქმ. ვ-წერ — ვ-წერ-ე, ვნებ. ვ-ი-წერ-ებ-ი — ვ-ი-წერ-ე და მისთ.

2. **ხმოვან-მონაცვლე ზმნები.** ხმოვან-მონაცვლე ზმნები ვნებითის წარმოებისას ორ ჯგუფად იყოფა: უმეტესობა ვნებითს პრეფიქსით აწარმოებს (ვგრეხ — იგრიხება, ვზელ — იზილება, ვკრეჭ — იკრიჭება და მისთ.), უმცირესობა კი ხმოვანს კარგავს და უნიშნოთა ჯგუფს ეკედლება (ვსხლეტ — სხლტება და მისთ.). ამათგან ამჟამად პირველი ჯგუფი გვაქვს მხედველობაში.

ამ ჯგუფის ზმნათა ვნებითში მარტივი თემა იგივეა, რაც მოქმედებითში, რთული კი **ებ**-ს მიიღებს, მაგრამ არა I სერიის თემაზე (**ე**ნიანზე), არამედ მეორისაზე (**ი**ნიანზე); მაგალითები:

მოქმედებითი		ვნებითი	
ვ-**გრეხ**,	ვ-**გრიხ**-ე	ვ-ი-**გრიხ-ებ**-ი,	და-ვ-ი-**გრიხ**-ე
ვ-**ზელ**,	ვ-**ზილ**-ე	ი-**ზილ-ებ**-ა,	და-ი-**ზილ**-ა და მისთ.

3. **ინიანი ზმნები.** ინიანი ზმნები ვნებითში კარგავენ ინს, სამაგიეროდ იძენენ **ებ**-ს. რადგანაც თემის ნიშანი **ებ** ხმოვნით იწყება, ამიტომ ფუძეები, რომლებიც მოქმედებითში I სერიის ფორმებში იკუმშება, აქაც შეიკუმშება; მაგალითები:

მოქმედებითი		ვნებითი	
ვ-**შლ-ი**,	ვ-**შალ**-ე	ვ-ი-**შლ-ებ**-ი,	(გა)-ვ-ი-**შალ**-ე
წელში მო-ვ-**ხრ-ი**,	წელში მო-ვ-**ხარ**-ე	წელში ვ-ი-**ხრ-ებ-ი**,	**წელში** მო-ვ-ი-**ხარ**-ე
ვ-**თოხნ**-ი,	ვ-**თოხნ**-ე	ი-**თოხნ**-ებ-ა,	(გა)-ი-**თოხნ**-ა („გაითოხნა სიმინდები", რ. ერისთ.).

4. **ავიანი ზმნები.** ავიან ზმნებს ძველად თემის ნიშნად ვნებითში იგივე **ავ** ჰქონდა, რაც მოქმედებითში, ოღონდ, რადგანაც შემდეგ ხმოვანი მოსდევდა (აწმყოში მწკრივის ნიშანი **ი**, სავრცობიან მწკრივებში **ოდ**), ამიტომ **ავ**-ის ხმოვანი ამოიღებოდა და მარტო **ვ** რჩებოდა. ამას გარდა, თუ ფუძე კუმშვადი იყო, იგი აქაც შეიკუმშებოდა; მაგალითები:

მოქმედებითი		ვნებითი	
და-ვ-**ხატ-ავ**,	და-ვ-**ხატ**-ე	და-ვ-ი-**ხატ-ვ**-ი,	და-ვ-ი-**ხატ**-ე
და-ვ-**მარხ-ავ**,	და-ვ-**მარხ**-ე	და-ვ-ი-**მარხ-ვ**-ი,	და-ვ-ი-**მარხ**-ე
და-ვ-**მალ-ავ**,	და-ვ-**მალ**-ე	და-ვ-ი-**მალ-ვ**-ი,	და-ვ-ი-**მალ**-ე

(„ანუ მომკლავს, ანუ მოვკლავ, დ ა ი მ ა ლ ვ ი ს მეტის-მეტად" «ვეფხ.», 216).

ამჟამად ასეთი წარმოება მხოლოდ ნაშთის სახითაა მოღწეული:
ი-წვ-ის (←იწვვის ←იწუვის), მ-ე-წვ-ის; ი-ძვრ-ის (←ი-ძრ-ვ-ის), ე-რთ-ვ-ის და სხვ.. საერთოდ კი დღევანდელ ქართულში **მარტო ავ** საკმარისი არ არის, ზედ უნდა დაერთოს კიდევ **ებ**. ამ დართვის გამო **წინამავალ ავ** სუფიქსს **ხმოვანი** დაეკარგება და მარტოოდენ **ვ** დარჩება. ეს **ვ** შეიძლება შენახულ იქნეს (ზოგჯერ გადასმული სახით), როგორც ამ მაგალითებში:

მოქმედებითი		ვნებითი	
და-**ხნ-ავ**-ს,	და-**ხნ**-ა	და-ი-**ხვნ-ებ**-ა	(*და-ი-**ხნ-ვ-ებ**-ა), და-ი-**ხნ**-ა
და-**კლ-ავ**-ს,	და-**კლ**-ა	და-ი-**კვლ-ებ**-ა	(*და-ი-**კლ-ვ-ებ**-ა) და-ი-**კლ**-ა

მაგრამ შეიძლება, რომ **ავ** სუფიქსი სულ იქნეს მოკვეცილი და **ებ** პირდაპირ დაერთოს ფუძეს; მაგალითად:

მოქმედებითი		ვნებითი	
და-ვ-**მალ-ავ**,	და-ვ-**მალ**-ე	და-ვ-ი-**მალ-ებ**-ი,	და-ვ-ი-**მალ**-ე
და-ვ-**ხატ-ავ**,	და-ვ-**ხატ**-ე	და-ვ-ი-**ხატ-ებ**-ი,	და-ვ-ი-**ხატ**-ე

და მისთ.

5. **ამიანი ზმნები.** ამიან ზმნებში ძველ წარმოებას ამჟღავნებს ი-**თქვ-ა** — ი-**თქ-მ**-ის (←ი-**თქუ-მ**-ის) და რამდენადმე აგრეთვე და-ე-**სხ**-ა — და-ე-**სხ-მ**-ის. ჩვეულებრივ კი **ამ** სუფიქსს კიდევ **ებ** დაერთვის:

მოქმედებითი		ვნებითი
ვ-**სვ-ამ**,	ვ-**სვ**-ი	ი-**ს-მ-ებ**-ა (←ი-**სუ-მებ**-ა), ი-**სვა**
ვ-**დგ-ამ**,	და-ვ-**დგ**-ი	და-ი-**დგ-მ-ებ**-ა, და-ი-**დგ**-ა და მისთ.

როგორც ვხედავთ, პირველ თემის ნიშანში ხმოვანი ამოღებულია მომდევნო **ებ**-ის დართვის გამო (**ამ→მ**).

6. **ემიანი ზმნები.** თემათა თვალსაზრისით **ემ**იან ზმნებს ერთნაირი წარმოება აქვს ორისავე გვარის ფორმათა ორსავე სერიაში: მაგ., მტერს გულში ხანჯალი დ ა ვ ე ც(ი) — ცხენიდან გადმოვვარდი და ქვას დ ა ვ ე ც(ი); მტერს გულში ხანჯალს დავს-**ცემ**; ცხენიდან რომ გადმოვვარდე, ქვას დავე-**ცემ**-ი.

მოქმედებითში **ე** მარტო წყვეტილის 1-ლსა და მე-2 სუბ. პირში არის (დავეცი, დაეცი, დავეცით, დაეცით) სხვაგან კი — არა: დასცა, დასცეს; დავსცე, დავსცემ და სხვ., ხოლო ვნებითში **ე** ყველგან გაჰყვება: დავეცი, დაეცა, დავეცე, დავეცემი.

7. **ებიანი ზმნები.** **ებ**იან ზმნებს თემის ნიშანი **ებ** მოქმედებითიდან ვნებითშიც გადაჰყვებათ:

მოქმედებითი		ვნებითი	
ა-ვა-**ვს-ებ**,	ა-ვა-**ვს**-ე	ა-ვი-**ვს-ებ**-ი,	ა-ვი-**ვს**-ე
მი-ვა-**კარ-ებ**,	მი-ვა-**კარ**-ე	მი-ვე-**კარ-ებ**-ი,	მივე-**კარ**-ე და მისთ..

8. **ობიანი ზმნები. ობ**იან ზმნებსაც, **ებ**იანი ზმნების მსგავსად, თემის ნიშანი მოქმედებითიდან ვნებითშიც გადაჰყვებათ, — დამატება არაფრისა უნდა; მაგალითები:

მოქმედებითი		ვნებითი	
მო-ვ-**სპ-ობ**,	მო-ვ-**სპ**-ე	მო-ვ-ი-**სპ-ობ**-ი,	მო-ვ-ი-**სპ**-ე
ვ-ა-**ნდ-ობ**,	ვ-ა-**ნდ**-ე	ვ-ე-**ნდ-ობ**-ი,	ვ-ე-**ნდ**-ე და მისთ.

9. **ევიანი ზმნები. ევ**იან ზმნებს მოქმედებითიდან ვნებითში გადაჰყვებათ **ევ** და ზედ არაფერი დაერთვის, გარდა მწკრივის ნიშნისა (აწმყო-მყოფადში) ან სავრცობისა. რადგანაც სავრცობად ვნებითში ყოველთვის **ოდ** არის, ამიტომ მის წინ მდგომი **ვ** დაიკარგება; მაგალითები:

მოქმედებითი		ვნებითი	
ა-ვ-**რევ**,	ა-ვ-**რი(ვ)**-ე	ა-ვ-ი-**რევ**-ი,	ა-ვ-ი-**რი(ვ)**-ე
მი-ვ-ა-**ჩვევ**,	მი-ვ-ა-**ჩვი(ვ)**-ე	მი-ვ-ე-**ჩვევ**-ი,	მი-ვ-ე-**ჩვი(ვ)**-ე და მისთ.

სავრცობიანი მწკრივების ფორმები, თქმულის თანახმად, იქნება: ავირეოდი (←ავირე[ვ]ოდი), ავირეოდე (←ავირე[ვ]ოდე); მივეჩვეოდი, მივეჩვეოდე.

ევიან ზმნათა უმეტესობა უფრო მოქმედებითის ფორმით იხმარება, სათანადო ვნებითი ბევრს უკეთდება, თუმცა მოიპოვება ისეთიც, რომელიც დღეს მხოლოდ ვნებითის ფორმით იხმარება: მოვერევი, მოვერიე. ძველად კი ამის საპირისპიროდ მოქმედებითი გვარის ფორმებიც იხმარებოდა:

„ვეცადო რას ნუთუ ღმერთმან *მომარიოს* ჩემსა მტერსა" («ვეფხ.» 1191).

ევ რომ თემის ნიშანია, ეს აშკარად ვნებითი გვარის ზმნებში ჩანს; მართლაც, დაპირისპირება ამ ფორმებისა: წავი-**ქც-ევ**-ი — წავი-**ქეც**, დაი-**რღვ-ევ**-ა — დაი-**რღვ**-ა და მისთ. ცხად-ყოფს, რომ **ევ** თემის ნიშანია, ხოლო მოქმედებითში მსგავსი მოვლენა ამჟამად აღარ არის; ძველად კი იყო, თუმცა იშვიათად: ა-**კურთხ-ევ**-ს — ა-**კურთხ**-ა.

468. თემა სუფიქსიან ვნებითში. იმ ზმნებს, რომელთაც ვნებითი **დო**ნით აქვთ ნაწარმოები, რთული თემის მაწარმოებლად **ებ** აქვთ; მაგალითები:

მოქმედებითი		ვნებითი	
გა-ვ-ა-**კეთ-ებ**,	გა-ვ-ა-**კეთ**-ე	გა-ვ-**კეთ-დ-ებ**-ი,	გა-ვ-**კეთ-დ**-ი
გა-ვ-ა-შავ-ებ,	გა-ვ-ა-**შავ**-ე	გა-ვ-**შავ-დ-ებ**-ი,	გა-ვ-**შავ-დ-ი და მისთ.**

როგორც ვხედავთ, თემის ნიშანი **ებ** მოქმედებითშიც არის და ვნებითშიც, მაგრამ ვნებითში ეს **ებ** ვნებითი გვარის ნიშნით (**დო**ნით) არის ფუძესთან დაკავშირებული.

მარტივი თემა ზმნათა ამ ჯგუფისა ვნებითში თავისთავად რთულია მოქმედებითის მარტივ თემასთან დაპირისპირებით. მაგ., **კეთ** მარტივი თემაა მოქმედებითისათვის, ის ფუძეა ზმნისა (ვა-**კეთ**-ე, ვა-**კეთ**-ო), მაგრამ ვნებითისათვის

მარტივი თემა იქნება **კეთდ**, რომელიც ნაწარმოებია მოქმედებითის მარტივი თემისაგან (ფუძისაგან) **დონის** დართვით: **კეთდ**.

ეს **დ** ისტორიულად **ნ**-არისაგან არის წარმოშობილი (შე-წუხ-**ნ**-ა→შე-წუხ-**დ**-ა) და მას არავითარი კავშირი არა აქვს იმ **დ**-ონთან, რომელიც უწყვეტელსა და I კავშირებითში უჩნდება ზმნას და რომელსაც სავრცობი ჰქვია (ვა-კეთებ-**დ**-ი, ვაკეთებ-**დ**-ე).

469. თემა უნიშნო ვნებითში. რამდენიმე ზმნას ხმოვან-მონაცვლეთაგან და რამდენიმეს **ობ**იანთაგან ვნებითის საწარმოებლად არ მოეპოვება რაიმე გარკვეული ნიშანი, რომ იგი პირველისა და მეორე სერიის ფორმებში გასდევდეს (§ 358). მიუხედავად ამისა, ვნებითის ფორმები ყველგან გარჩეულია მოქმედებითის სათანადო მწკრივისა და პირის ფორმათაგან; კერძოდ I სერიაში მათ განასხვავებს, სხვათა შორის, თემის ნიშანი **ებ**, რომელიც მხოლოდ ვნებით გვარს ახასიათებს და რომლის გამოც ხმოვან-მონაცვლე ზმნებს ფუძე ეკუმშება; მაგალითად:

მოქმედებითი	ვნებითი
ვ-**ხსლეტ**, (და)-ვ-**ხსლიტ**-ე	ვ-**ხსლტ-ებ**-ი, (და)-ვ-**ხსლტ**-ი
ვ-ა-**თბ-ობ**, ვ-ა-**თბ**-ე	ვ-**თბ-ებ**-ი, (გა)-ვ-**თბ**-ი და მისთ.

470. თემა სტატიკურ ვნებითში. რადგანაც სტატიკურ ვნებითს II სერიის ფორმები ისე აქვს ნაწარმოები, როგორც სათანადო დინამიკური ვნებითის რელატიურ ფორმებს (ე. ი. **ე**ნით), ამიტომ სტატიკური ზმნის მარტივი თემა იგივეა, რაც დინამიკური ვნებითისა. ეს კი უდრის ზმნის ფუძეს, რომელიც მოქმედ. გვარის ზმნათათვისაც მარტივი თემაა:

მოქმედებითი	ვნებითი დინამიკ.	ვნებითი სტატიკ.
მი-ვ-ა-**კარ**	მი-ვ-ე-**კარ**	ვ-ე-**კარ**
და-ვჰ-**კიდ**-ე	დავ-ე-**კიდ**-ე	ვ-ე-**კიდ**-ე და მისთ.

რაც შეეხება I სერიას, აქ სტატიკურ ზმნებს (**ავ**იანებს გარდა) მარტივ თემაზე ერთოდა **იე**: ვე-**გონ**-ე — ვჰ-**გონ-იე** (ჰგონიე, ჰგონიეს, ვჰგონიეთ, ჰგონიეთ, ჰგონიან), ე-**მოხ**-ა — ჰ-**მოხ-იე**-ს, ე-**წერ**-ა — ს-**წერ-იე**-ს და მისთ. ამ **იე**-საგან ახალ ქართულში **ი** დაგვრჩა და დაერთო მეშველი ზმნა: ვჰ-**გონი**-ვარ, ჰ-**გონი**-ხარ, ჰ-**გონი**-ა; ვუ-**წერი**-ვარ, **უწერი**-ხარ, **უწერი**-ა და მისთ.

ავ-იან ზმნებს კი **იე**-ს ნაცვლად იგივე **ავ** ჰქონდა: ა-**კრ-ავ**-ს — ე-**კრ**-ა; ჰ-**ხურ-ავ**-ს — ე-**ხურ**-ა და სხვ.. ასეთი წარმოება ან დარჩა (ჰხურ-ავ-ს—ეხ-ურ-ა,) ან მიეკედლა **ი**ნიან წარმოებას: ახურია, აკრია და მისთ.

ხმოვან-მონაცვლე ფუძეთაგან ნაწარმოები სტატიკური ზმნები ინარჩუნებენ ხმოვანთა შენაცვლებას: უ-**ჭყეტი**-ა — ე-**ჭყიტ**ა, უ-**ფენი**-ა — ე-**ფინ**-ა, უ-**ჭერი**-ა — ე-**ჭირ**-ა (პარალელურად „უჭირავს“ იხმარება).

ევ-იან ზმნებშიც რჩება ხმოვანთა შენაცვლება: უ-**რევი**-ა — ე-**რი(ვ)**-ა, ა-**ხვევი**-ა — ე-**ხვი(ვ)**-ა და მისთ.

თუ ფუძე იკუმშება დინამიკურ ვნებითში, იგი შეიკუმშება სტატიკურშიც: ჰ-**ყრი**-ა — ე-**ყარ**-ა, უ-**შლი**-ა — ე-**შალ**-ა.

თემა საშუალი გვარის ზმნებში

471. ზოგადი. თემის საკითხი სხვანაირად დგას საშუალი ზმნებისთვის, ვიდრე მოქმედებითისა და ვნებითისთვის, იმიტომ რომ საშუალ ზმნებს მეორე სერიის ფორმები საკუთრივ არ მოეპოვებათ, გარდა ორიოდე გამონაკლისისა, როგორიცაა: წევ-ს — (ი)წვ-ა, დგ-ა-ს — (ი)-დგ-ა, ზი-ს — (ი)-ჯდა (ფუძის შენაცვლებით), სხედ-ს — (ი)ისხდ-ა, ძევ-ს — (ი)დვ-ა (ესეც ფუძის შენაცვლებით). ამიტომ არც არაფერი გვეთქმის არსებითად თემის ვითარების შესახებ, რადგანაც სერიების დაპირისპირების საშუალება არა გვაქვს. მაგრამ არის ერთი გარემოება: საშუალ ზმნათაგან ბევრს მოეპოვება ბოლოში ელემენტები, რომელთაც მოქმედებითისა და ვნებითი გვარის ზმნებში თემის ნიშნებად ვცნობთ. ამიტომ აქ ფუძე გამოიყოფა ბოლოში დართული ელემენტებისაგან, რომლებიც აუცილებელია I სერიის ფორმათა წარმოებისთვის. ამ გაგებით ეს ელემენტებიც თემის ნიშნებია.

472. ჯგუფები. საშუალ ზმნათა უმეტესობას თემის ნიშნები აქვს; ეს ნიშნებია: **ი, ავ, ებ, ობ, ან.** ამას გარდა, მოიპოვება ზმნები, რომელთაც არავითარი ნიშანი არა აქვს.

1. **უთემისნიშნო საშუალი ზმნები.** უთემისნიშნო საშუალ ზმნებს სუბ. ნიშანი მე-3 პირისა უშუალოდ ერთვის ფუძეზე;ასეთი ზმნებია:

დუმ-ს
დუღ-ს
კვირ-ს, უ-კვირ-ს
მწიფ-ს
ჰ-სურ-ს
სხედ-ს
ტირ-ს (ძვ. ქ.)
ღირ-ს
ყარ-ს
ძე-ს (ძვ. ქ.; ახ. ქართულში ვინია განვითარებული „წევს“ ზმნის ანალოგიით: ძე-ვ-ს. ფშაურში სუბ. ნიშანი ჩამოცლილი აქვს: ძე, რელატიურად: ს-ძე, უ-ძე, ა-ძე)
ს-ძაგ-ს
ს-ძულ-ს
ს-ცალ-ს (ძვ. ქ. =სცალია)
ს-წად-ს (სწად-ი-ს)
წით-ს (ძვ. ქ.)
მო-ს-წონ-ს
ს-ჰირ-ს, უ-ჰირ-ს და სხვ.

2. **თემის ნიშანი ი.** საშუალ ზმნათაგან ბევრს მოეპოვება აწმყოში **ი** (ვ-კივ-**ი**, ვ-კვნეს-**ი**, ვ-ტირ-**ი**, ვ-ყვირ-**ი** და სხვ.), მაგრამ ეს **ი** მწკრივის ნიშანია და არა თემისა. თემის ნიშანი სხვა მწკრივებშიც უნდა გადაჰყვეს. ასეთი კი არის დ-**ი**-ს (მი-დის, შე-დის, გა-დის და სხვ.), რადგანაც სავრცობიან მწკრივებში **ი** შენახულია: **დი**-ოდა, **დი**-ოდეს. „დი-ს“ ზმნის მსგავსად იულებოდა ძველ ქართულში „რბი-ს“, „რომელიც უწყვეტელში „რბი-ოდა“ ფორმას იძლეოდა, მაგრამ ამჟამად „რბოდა“ იხმარება.

3. **თემის ნიშანი ავ** ბევრ საშუალ ზმნას აქვს; დავასახელოთ ზოგიერთი:

ახლ-ავ-ს	ფრინ-ავ-ს (ფრენ-ს)
ბობღ-ავ-ს	ფშვინ-ავ-ს
ბოლ-ავ-ს	ქშინ-ავ-ს (ქშენ-ს)
ბჟუტ-ავ-ს	ღონ-ავ-ს (ერწოში, ე. ი. ღონდება)
ბრუნ-ავ-ს	ღოღ-ავ-ს
ბრწყინ-ავ-ს	ღრინ-ავ-ს (ღრენ-ს)
ბრჭყვინ-ავ-ს	შფოთ-ავ-ს
გმინ-ავ-ს	ცეკვ-ავ-ს
გორ-ავ-ს	ცმუკ-ავ-ს
გრგვინ-ავ-ს	ცოც-ავ-ს
დრტვინ-ავ-ს	ცურ-ავ-ს
ელ-ავ-ს	ჭმუნ-ავ-ს
ზრუნ-ავ-ს	ხოხ-ავ-ს
ოხრ-ავ-ს	* * *
ყონ-ავ-ს	ჭ-ნებ-ავ-ს
ტოკ-ავ-ს	ჭ-ღვიძ-ავ-ს
ფეთქ-ავ-ს (ფეთქ-ს)	ს-ძინ-ავ-ს
ფოფხ-ავ-ს	

4. **თემის ნიშანი ებ** ხშირად გვხვდება საშუალ ზმნაში. ბევრი მათგანის ფუძე გაორკეცებულია.

ა-ა		
	ჩაკჩაკ-ებ-ს	ჭიჭყინ-ებ-ს
	ცახცახ-ებ-ს	ჭიხვინ-ებ-ს
	ძაგძაგ-ებ-ს	ჭრიჭინ-ებ-ს
ბაბან-ებ-ს	ჭახჭახ-ებ-ს	ხვიხვინ-ებ-ს
ბარბაც-ებ-ს	ხარხარ-ებ-ს	ხითხით-ებ-ს
ზანზარ-ებ-ს		ხიხინ-ებ-ს
კაკან-ებ-ს	**ი-ი**	ჯიყჯიყ-ებ-ს
კაშკაშ-ებ-ს		
ლაგლაგ-ებ-ს	ბიბინ-ებ-ს	**უ-უ**
ლახლახ-ებ-ს	გიზგიზ-ებ-ს	
რაკრაკ-ებ-ს	კისკის-ებ-ს	
რახრახ-ებ-ს	სისინ-ებ-ს	ბუბუნ-ებ-ს
ტანტალ-ებ-ს	ტიტინ-ებ-ს	ბუზღუნ-ებ-ს
ფანცქალ-ებ-ს	ღიღინ-ებ-ს	გრუხუნ-ებ-ს
ფართხალ-ებ-ს	ყიყინ-ებ-ს	გუგუნ-ებ-ს
ქათქათ-ებ-ს	შიშინ-ებ-ს	ლუღლუღ-ებ-ს
ქაქან-ებ-ს	ჩიფჩიფ-ებ-ს	ფუსფუს-ებ-ს
ღაღან-ებ-ს	ძიგძიგ-ებ-ს	ჩურჩულ-ებ-ს
	ჭიკჭიკ-ებ-ს	ჭუკჭუკ-ებ-ს

იალ	სრიალ-ებ-ს	ჩხრიალ-ებ-ს
ბრიალ-ებ-ს	ტრიალ-ებ-ს	წკრიალ-ებ-ს
თქრიალ-ებ-ს	ფრიალ-ებ-ს	წრიალ-ებ-ს
კრიალ-ებ-ს	ღრიალ-ებ-ს	ჭრიალ-ებ-ს
ჟრიალ-ებ-ს	შრიალ-ებ-ს	ხრიალ-ებ-ს

5. **თემის ნიშანი ობ. ობ** ნიშნიანი საშუალი ზმნები უმთავრესად ნასახელარია. ისეთი ზმნა, როგორიცაა „კელობს“ (=კოჭლობს), **გამონაკლისია** („წამდაუწუმ კელობდნენ, აიტაცებდნენ ფეხს“, ყაზ., 187,7). **ჩამოვთვალოთ** ზოგიერთი მათგანი:

ამაყ-ობ-ს	კოჭა-ობ-ს	სულელ-ობ-ს
ამპარტავნ-ობ-ს	კოჭლ-ობ-ს	ქეიფ-ობ-ს
ანჩხლ-ობ-ს	ჰ-მადლ-ობ-ს	ჰ-ღალატ-ობ-ს
არსებ-ობ-ს	მათხოვრ-ობ-ს	**შარ-ობ-ს, ჰ-**
არშიყ-ობ-ს	მაჭანკლ-ობ-ს	შრომ-ობ-ს
ბაას-ობ-ს	მგზავრ-ობ-ს	ჩქარ-ობ-ს
ბუდ-ობ-ს	მდგომარე-ობ-ს	ცელქ-ობ-ს
ბურთა-ობ-ს	ჰ-მეგობრ-ობ-ს	ციგა-ობ-ს
გორა-ობ-ს	მეფ-ობ-ს	ცოცხლ-ობ-ს
გუნდა-ობ-ს	მოგზაურ-ობ-ს	ცხარ-ობ-ს
დარაჯ-ობ-ს, ს-	ჰ-მოყვრ-ობ-ს	ცხოვრ-ობ-ს
ეშმაკ-ობ-ს	ჰ-მფარველ-ობ-ს	ჭირვეულ-ობ-ს
ეჭ(ვ)-ობ-ს	ნებივრ-ობ-ს	ჭორა-ობ-ს
ვაჭრ-ობ-ს	ომ-ობ-ს	ხარ-ობ-ს
ვახშმ-ობ-ს	ოხუნჯ-ობ-ს	ხმაურ-ობ-ს
ზოზინ-ობ-ს	ჰ-პატრონ-ობ-ს	ხუმრ-ობ-ს
თევზა-ობ-ს	პოეტ-ობ-ს	**და მისთ.**

6. **თემის ნიშანი ან.** თემის ნიშანი **ან** ნაშთის სახით არის შემონახული რამდენიმე ზმნაში (§§ 219, 559). ეს ზმნებია: ჰ-ყავ-ს, ა-ქვ-ს (←ჰაქუს), ჩ-ან-ს, ჰ-გავ-ს. ამათ **ან** სუფიქსი გამოაჩნდებათ სავრცობიან მწკრივებში: ჰ-ყვ-ან-და, ჰ-ყვ-ან-დეს; ჰ-ა-ქუ-ნ-და (*ჰაქუანდა), ჰ-ა-ქუნ-დეს (*ჰაქუანდეს) და ჰ-გვ-ან-და, ჰ-გვ-ან-დეს. ამათგან ჰაქუნდა და ჰაქუნდეს ძველი ქართულის ფორმებია, რომელთაგანაც **უა** ჯგუფის **ო**-დ შერწყმის გამო მივიღეთ: ჰ-ქონ-და (*ჰ-ქუ-ან-და), ჰ-ქონ-დეს (ჰ-ქუ-ან-დეს). („ჰ-ყვ-ან-და“-სა და „ჰგვან-და“-ში შერწყმა არ ხდებოდა, რადგანაც აქ **ვა** ჯგუფი იყო და არა **უა**). ამას გარდა, იგივე **ან** ჩანს აწმყოს მე-3 სუბ. პირის მრ. რიცხვში: ჰ-ყვ-**ან**-ან, (*ჰ-ქუ-**ან**-ან—) ჰ-ქონ-ან, ჰ-გვ-**ან**-ან. „ჰქონან“ ძველი ქართულის კუთვნილებაა, „ჰყვანან“ და „ჰგვანან“ ეხლაც გვხვდება, თუმცა იშვიათად.

აღნიშნულ ფორმათაგან საყოველთაო ხმარებაში დარჩა „ჰქონდა“, „ჰქონდეს“, სხვა ფორმების ნაცვლად კი უმეტესად ანალოგიურად ნაწარმოებმა ფორმებმა გაიკაფა გზა: ჰ-ყავ-და, ჰ-გავ-და.

მსგავსი ფორმები აქვს კიდევ ორ ზმნას, მაგრამ მხოლოდ აწმყოს მე-3 პირში: დგ-**ან**-ან, წვ-**ან**-ან. მხოლობითის ფორმა პირველი მათგანისა (დგა-ს) მიღებული ჩანს *დგ-**ან**-ს ფორმისაგან, ხოლო „წვ-**ან**-ან“ ანალოგიურად განვითარებული უნდა იყოს.

ან სუფიქსი გადაყოლილია ორი მათგანის ფუძეთაგან ნაწარმოებ გარდამავალ ზმნებში: წავი-ყვ-**ან**-ე, და-ვ-ა-გვ-**ან**-ე.

ს ა ვ რ ც ო ბ ი

473. თემის გავრცობა ვნებითსა და საშუალ ზმნებში. გავრცობილი თემა ვნებითი გვარის ზმნისა ყოველთვის **ოდ**-ით არის ნაწარმოები: ვი-**ქებ**-ი — ვი-**ქებ-ოდ**-ი; ვ-**შავდ-ებ**-ი—ვ-**შავდებ-ოდ**-ი; ვ-**თბებ**-ი—ვ-**თბებ-ოდ**-ი და მისთ.

ამავე სავრცობს გვიჩვენებს საშუალი ზმნები, რომელთაც აწმყოში მწკრივის ნიშნად **ი** აქვთ; ეს **ი** შეიკვეცება **ოდ**-ის წინ და, თუ მის წინ ამ შემთხვევაში **ვ** აღმოჩნდება, ისიც დაიკარგება:

ხტ-ი-ს — **ხტ-ოდ**-ა, ჰ-**შვენ**-ი-ს, ჰ-**შვენ-ოდ**-ა, მაგრამ: **უ-ძღვ**-ის — **უ-ძღ-ოდ**-ა, **ყვავ**-ი-ს — **ყვა-ოდ**-ა.

> შ ე ნ ი შ ვ ნ ა: გამონაკლისის სახით ეგევე **ოდ** აქვს რამდენიმე გარდამავალ ზმნას, რომელთაც გაფორმების თვალსაზრისით ვნებითისებრი ნიშნები აქვს აწმყოში (ან მყოფადში): ისვრ-ი-ს—ისვრ-**ოდ**-ა, იტყვ-ი-ს—იტყ-**ოდ**-ა (§ 366). მათვე ეკედლება იცის — იცოდა.

ზმნები **დ**-ი-ს და **რბ**-ი-ს ძველად **ოდ**-ის წინ ინახავდნენ **ინს: დი-ოდ**-ა, **რბი-ოდ**-ა, მაგრამ ამჟამად **ინი** მარტო პირველშია საყოველთაოდ შენახული, („ცრემლი სდიოდა“, „შინ მიდიოდა“, მეორემ კი კაი ხანია დაკარგა იგი. უკვე «ვეფხის ტყაოსანში» გვხვდება: „დედოფალი გამორბოდა“ (355), მაგრამ აქა-იქ კილოებში შენახულია: მირბიოდა (გამიგონია თიანეთში).

დანარჩენ საშუალ ზმნებს სავრცობად ყველას მოუდის **დ: გორ-ავ-დ**-ა, **ზანზარ-ებ-დ**-ა, **ფრიალ-ებ-დ**-ა, **ცელქ-ობ-დ**-ა და მისთ.

> შ ე ნ ი შ ვ ნ ა. სავრცობი **ოდ** წარმომდგარია **ოლდ**-ისაგან, როგორც **იდ ილდ**-ისგან ზოგიერთი **ილ**-ზე გათავებული სახელის ვითარებით ბრუნვაში: სიკუდ-**ილ-დ**←სიკუდიდ, ყივ**ილდ**→ყივ**იდ** და მისთ.. ეს **ოლდ** კი ასე დაიშლება: **ოლ-დ**, სადაც სავრცობი მარტო **დ** არის, **ოლ** კი ძველისძველი სავრცობია ვნებითისა, რომელსაც ანალოგიურად მოქმედ. **ზმნებიდან** გადასული **დ** დაჰრთვია შემდეგ (მდრ. სვანური ოლ: ხვიდგარი „ვკვდები“, ხვიდგაროლ „ვკვდებოდი“; ძველისძველი ქართულით: ვკუდებ-ოლ-ე : აქედან შემდეგ : *ვ-კუდებ-ოლ-დ-ე → ვკუდებოდე → (=„ვკვდებოდი“).

დამატებითი ცნობები თემის შესახებ

474. თემა ნასახელარ ზმნებში. რა ურთიერთობაა ნასახელარი ზმნის ფუძესა და სათანადო სახელის ფუძეს შორის? — ირკვევა, რომ სახელის ფუძე და მისგან ნაწარმოები ზმნის ფუძე ზოგჯერ ერთი და იგივეა, ზოგჯერ კი —

განსხვავებული: ერთი და იგივეა, როცა სახელს ფუძე თანხმოვნით უთავდებ
და არ ეკუმშება, სხვა შემთხვევებში კი განსხვავებულია.

1. რა თემის ნიშანიც უნდა ჰქონდეს ნასახელარ ზმნას **(ავ, ებ, ობ)**, მისი
ფუძე იგივე იქნება, რაც ფუძე სათანადო სახელისა, თუ ეს ფუძე თანხმოვანზე
თავდება და არ იკუმშება.

თუ ზმნას მოქმედებითიდან ვნებითში გადავიყვანთ, ვნებითის ნიშნები
ფუძეს წინ დაერთვის **(ი, ე)**, ან ბოლოში **(დ)**. მაგალითი: **სახლ**-ისაგან გვაქვს
ნაწარმოები ზმნები: ვა-**სახლ**-ებ, დავა-**სახლ**-ე, დავა-**სახლ**-ო; ვ-**სახლ**-დ-ებ-ი
და-ვ-**სახლ**-დ-ი; ვ-**სახლ**-ობ, ვ-ე-**სახლ**-ე. მაშასადამე, ზმნის ფუძე იგივეა, რაც
სახელისა. სხვა მაგალითები: **ნერგ**-ისგან გვაქვს: ვ-**ნერგ**-ავ, დავ-**ნერგ**-ე, და-ი-
ნერგ-ა და სხვ., **ხერხ**-ისაგან : ვ-**ხერხ**-ავ, გა-ვ-**ხერხ**-ე, ი-**ხერხ**-ებ-ა და სხვ.

ამ ტიპის ზმნათაგან შეიძლება დავასახელოთ: ვ-ბარ-ავ, ვ-ბედ-ავ, ვ-კუპ-
რ-ავ, ვ-მურ-ავ, ვ-ნამ-ავ, ვ-ფიც-ავ, ვ-ქლიბ-ავ, ვ-ქუსლ-ავ (მო—, გა—)
ვ-შხამ-ავ, ვ-ცელ-ავ, ჰირხლ-ავ-ს, ვ-ხაზ-ავ, ვ-ხატ-ავ და სხვ.; ვა-თავ-ებ, ვა-
მწკრივ-ებ, ვა-მხეც-ებ, ვა-ნიავ-ებ, ვა-ტყავ-ებ, ვა-წეს-ებ, ვა-ჯგუფ-ებ და მისთ.
ვა-დიდ-ებ, ვა-შავ-ებ, ვა-ცივ-ებ, ვა-ცხელ-ებ და მისთ.

2. როცა ბოლო-თანხმოვნიანი ფუძე იკუმშება ბრუნების ან წარმოქმნის
დროს (ფუძის ხმოვნის ამოღების გამო), ზმნისთვის გამოყენებულია შეკუმ-
შული სახე ფუძისა. მაგალითი: **მართალ**-ი, **მართლ**-ისა, ამათგან ზმნამ მხო-
ლოდ **მართლ** იცის: გა-ვ-ა-**მართლ**-ე, გა-ვ-ა-**მართლ**-ო, გა-ვ-ა-**მართლ**-ებ
გა-ვ-**მართლ**-დი, გა-ვ-**მართლ**-დ-ები და მისთ.; **წითელ**-ი, **წითლ**-ისა, — ამათ-
გან ზმნისთვის მხოლოდ **წითლ** არის გამოყენებული: ვ-ა-**წითლ**-ებ, გა-ვ-ა-
წითლ-ე, გა-ვ-ა-**წითლ**-ო, ვ-**წითლ**-დ-ები, გავ-**წითლ**-დ-ი და სხვ.; **ნიკელ**-ი —
ნიკლ-ისა: ვ-**ნიკლ**-ავ, მო-ვ-**ნიკლ**-ე და სხვ., **ვახშამ**-ი, **ვახშმ**-ისა: ვ-**ვახშმ**-ობ
ვ-ი-**ვახშმ**-ე და მისთ.

ამავე ტიპისაა **ილ**-იან საწყისთაგან ნაწარმოები ზმნები: ჩივილ-ი —
ვა-ჩივლ-ებ (←*ვაჩივილ-ებ); კივილ-ი—ვა-კივლ-ებ (←*ვაკივილებ); ჩხავილ-ი—
ვა-ჩხავლ-ებ (*←ვაჩხავილებ) და მისთ.

სახელის ფუძე ზმნაში იმიტომ იკუმშება, რომ მას აქ სულ ხმოვნები
მოსდევს **(ა, ე, ო)** : გავა-მართლ-**ებ**, გავა-მართლ-**ე**, გაა-მართლ-**ა**, გავამართლ-**ო**
და მისთ.. ერთად-ერთი გამონაკლისია **დ**-ონით ნაწარმოები ვნებითი, სადაც სა-
ხელის ფუძეს უშუალოდ თანხმოვანი მოსდევს (ვ-**მართლ-დ**-ები, და არა ვ-**მარ-
თალ-დ**-ები), მაგრამ ეს იმით აიხსნება, რომ ვნებითის ფორმანტი ძველად **ედ (ენ**
უნდა ყოფილიყო, ე. ი. ხმოვნით დაწყებული აფიქსი, რომელიც ფუძის შეკუმშ-
ვას იწვევდა. მაშასადამე, შეკუმშვა ისტორიულად შემუშავდა და დღევანდლამ-
დე დარჩა.

ფუძე რომ შეკუმშული ჰქონდეს, ასეთ ზმნათაგან შეიძლება დავასახელოთ
ვ-ბეჭდ-ავ, ვ-ნომრ-ავ, ვ-სანთლ-ავ, ვ-ფურცლ-ავ, ვ-წამლ-ავ. ვუ-მიზნ-ებ
ვა-ნაცვლ-ებ, ვა-ობლ-ებ, ვა-სამართლ-ებ, ვა-უღლ-ებ; ვა-თავისუფლ-ებ, ვა-
მაგრ-ებ, ვა-მაღლ-ებ, ვა-დაბლ-ებ, ვა-ფხიზლ-ებ, ვა-ყვითლ-ებ და მისთ.
ვ-ამპარტავნ-ობ, ვ-დურგლ-ობ, ვ-ვაჭრ-ობ, ვ-ვახშმ-ობ, ოხრ-ობ-ს და მისთ.

3. ხმოვანზე ფუძე-დაბოლოებულ სახელთაგან ზმნათა წარმოება ორგვა-
რია: შეიძლება, რომ ბოლოკიდური ხმოვანი შეიკვეცოს და შეიძლება სახელის
ფუძე შენახულ იქნეს მთლიანად.

ა) თუ ფუძის ბოლოკიდური ხმოვანი შეიკვეცა, მაშინ სახელი თანხმოვნით დაბოლოვებულთა ჯგუფს მიეკედლება; მაგალითები: **მიწა** — ვა-**მიწ'**-ებ, დავა-**მიწ'**-ე, დავა-**მიწ'**-ო, და-**მიწ'**-დ-ა; **ლამე** : ვა-**ლამ'**-ებ, დავა-**ლამ'**-ე, დავა-**ლამ'**-ო, და-**ლამ'**-დ-ა და მისთ.

შეკვეცა მარტო ანიან და, განსაკუთრებით, **ენიან** ფუძეებს ეხება; ონიანთაგან გამონაკლისს **ლვინო** შეადგენს, რომელსაც ბოლო ხმოვანი ეკვეცება: **ვა-ლვინ-ებ**.

ანიანი ფუძეების შეკვეცის მაგალითებია:

ბრმა : ვა-ბრმ-ობ (ითქმის აგრეთვე ვა-ბრმა-ვ-ებ).

დედა : ვა-დედ-ებ, დედ-დ-ება, შე-დედ-დ-ა (რძე).

მონა : ვი-მონ-ებ, დავი-მონ-ე (ითქმის აგრეთვე ვი-მონა-ვ-ებ, დავი-მონა-ვ-ე).

კალა : ვ-კალ-ავ, მოვ-კალ-ე, მოი-კალ-ა.

ზაფრა : ვ-ზაფრ-ავ, მო-ვზაფრ-ე, მო-ი-ზაფრ-ა.

ქარგა : ვ-ქარგ-ავ, მოვ-ქარგ-ე, მო-ქარგ-ა.

შეშა : ვა-შეშ-ებ, გავა-შეშ-ო, გა-შეშ-დ-ა.

ხმა : ვი-ხმ-ობ, ვი-ხმ-ე.

თანახმა : ვა-თან(ა)ხმ-ებ, შევ-თან(ა)ხმ-დ-ით.

დავა : ვ-და(ვ)-ობ, ვი-დავ-ებ, ი-დავ-ა.

ხუმარა : ვ-ხუმრ-ობ, ვი-ხუმრ-ებ (იკარგება ორივე ა).

თითქო ასეთივე არ უნდა იყოს ვ-მათხოვრობ; ვამბობთ, თითქოო, რადგანაც ძნელია იმისი თქმა, **მათხოვარ**-ისაგან არის ის ნაწარმოები, თუ **მათხოვარა**-საგან. მე უფრო პირველი მგონია.

ამავე ტიპისაა საწყისთაგან ნაწარმოები **ზმნები**:

სწავლა : ვა-სწავლ-ი, ვა-სწავლ-ე, ვ-სწავლ-ობ.

ბრძოლა : ვა-ბრძოლ-ებ, ვი-ბრძოლ-ე.

ქროლა : ვა-ქროლ-ებ, ვა-ქროლ-ე და მისთ.

ელვა : ა-ელვ-ებს, ი-ელვ-ა.

ღელვა : ა-ღელვ-ებ-ს, ა-ღელვ-და და მისთ.

ენიანი ფუძეების შეკვეცის მაგალითებია:

ბუდე : ვა-ბუდ-ებ, დავა-ბუდ-ო; ბუდ-ობს.

გუბე : ვა-გუბ-ებ, და-გუბ-ა, დავა-გუბ-ო, და-გუბ-დ-ა.

დუნე : მოა-დუნ-ა, მო-დუნ-დ-ა.

ზლუდე : ვ-ზლუდ-ავ, შევ-ზლუდ-ო.

მეორე : ვი-მეორ-ებ, გაი-მეორ-ა, გა-მეორ-დ-ა.

მოკლე : ვა-მოკლ-ებ, დაა-მოკლ-ა, და-მოკლ-დ-ა.

მტკიცე : დაა-მტკიც-ა, და-მტკიც-და.

მცირე : დაა-მცირ-ა, და-მცირ-დ-ა.

მწარე : გაა-მწარ-ა, გა-მწარ-დ-ა.

მწიფე : დაა-მწიფ-ა, და-მწიფ-დ-ა.

სახე : ვ-სახავ, დავ-სახ-ო, დამე-სახ-ა.

ცხარე : გაა-ცხარ-ა, გა-ცხარ-დ-ა.

გამონაკლისია ფუძე, რომლისაგანაც ნასახელარი ზმნა იქნება: ვა-ფუძნ-ებ.

ბ) თუ სახელის ფუძე, ხმოვანზე გათავებული, არ იკვეცება ზმნაში, იგი გაივრცობა ვინით, რომელიც დაიკარგება როგორც ო-ნის წინ, ისე **ო**-ნის შემდეგ, განსაკუთრებით კი **უ**-ნის შემდეგ, თუ ამ **ვ**-ს ხმოვანი მოსდევს; მაგალითები:

ა : სუფთა. ამისაგან ზმნა იქნება: ვა-**სუფთა-ვ**-ებ, გავა-**სუფთა-ვ**-ე, გავა-**სუფთა-(ვ)**-ო, გა-**სუფთა-ვ**-და.

მსგავსადვე იწარმოება ზმნები შემდეგ სახელთაგან:

აშკარა : ვა-აშკარა-ვ-ებ, გამო-აშკარა-ვ-და.

ბინა : ვა-ბინა-ვ-ებ, და-ბინა-ვ-და.

ბრმა : ვა-ბრმა-ვ-ებ, და-ბრმა-ვ-და.

გუნდა : ვა-გუნდა-ვ-ებ, მო-გუნდა-ვ-და, ვ-გუნდა-(ვ)-ობ.

კოჭა : ვ-კოჭა-(ვ)-ობ, ვი-კოჭა-ვ-ებ.

კოხტა : ვა-კოხტა-ვ-ებ, გა-კოხტა-ვ-და, ვ-კოხტა-(ვ)-ობ.

მუშა : ვა-მუშა-ვ-ებ, ა-მუშა-ვ-და, ვ-მუშა-(ვ)-ობ.

პატარა : ვა-პატარა-ვ-ებ, და-პატარა-ვ-და.

სხვა : ვა-სხვა-ვ-ებ, გან-სხვა-ვ-დება.

ფხა : ვა-ფხა-ვ-ებ, გა-ფხა-ვ-და.

ქვა : ვა-ქვა-ვ-ებ, გა-ქვა-ვ-და.

ციგა : ვ-ციგა-ობ, ვი-ციგა-ვ-ებ და მისთ.

ანზე გათავებული **ობ**იანი საშუალი ზმნების ანალოგიით (ვგუნდაობ, ვკოჭაობ, ვკოხტაობ, ვმუშაობ, ვციგაობ) გაკეთებულია ზმნები: ვჭორაობ, ვცურაობ, ვთევზაობ, სადაც **ვ** აღდგება სათანადო ფონეტიკურ პირობებში: ვი-თევზავ-ებ და მისთ.

ე : მხნე. ამისაგან ზმნა იქნება: ვა-**მხნე-ვ**-ებ, გავა-**მხნე-ვ**-ე, გავა-**მხნე-(ვ)-ო**, გა-**მხნე-ვ**-დე-ბა, გა-**მხნე-ვ**-დ-ა და სხვ.

მსგავსადვე იწარმოება ზმნები შემდეგ ერთ-მარცვლიან სახელთაგან:

ბზე : ვა-ბზე-ვ-ებ, გა-ბზე-ვ-და.

კე (ცალ-კე) : ვაცალ-კე-ვ-ებ, გა-ცალკე-ვ-დნენ.

კლდე (სალი კლდე): ვა-სალკლდე-ვ-ებ, გასალკლდე-ვ-და.

მზე : ვა-მზე-ვ-ებ, გა-მზე-ვ-და.

ტყე : ვა-ტყე-ვ-ებ, გა-ტყე-ვ-და.

ტყვე : ვა-ტყვე-ვ-ებ, და-ვა-ტყვე-(ვ)-ო.

ხე : ვა-ხე-ვ-ებ, გა-ხე-ვ-და.

ო: ონიან ფუძეებსაც ვინით უნდა გავრცობა; მაგალითი: **ბოლო:** ვა-**ბოლო**-ვ-ებ, დაა-**ბოლო-ვ**-ა, და-**ბოლო-ვ**-დ-ა; **ჭილდო:** ვა-**ჭილდო-ვ**-ებ, დაა-**ჭილდო-ვ**-ა, და-**ჭილდო-ვ**-დ-ა და მისთ.

მსგავს წარმოებას გვიჩვენებენ:

ახლო : ვა-ახლო-ვ-ებ, ახლო-ვ-დება.

ვიწრო : ვა-ვიწრო-ვ-ებ, და-ვიწრო-ვ-და.

კალო : ვა-კალო-ვ-ებ.

მარტო : ვა-მარტო-ვ-ებ, გან-მარტო-ვ-დ-ა.

ფართო : ვა-ფართო-ვ-ებ, გა-ფართო-ვ-და.

ნოტიო-საგან გვაქვს: ა-**ნოტივ**-ებს, **ნოტივ**-დება („დანოტივებულიყო", ყაზ., 172, 29; „დანოტივებული", იქვე, 294, 21). ნარედუქციალი **ო** ვინად იქცა და ორ მოსალოდნელ ვინთაგან ერთი დაიკარგა.

უ: **უ**-ზე დაბოლოვებული ფუძეები ცოტაა. **ბრუ** და **ყრუ** ასეთ ფორმებს გვაძლევს: ვა-**ბრუ-(ვ)**-ებ, ვა-**ყრუ-(ვ)**-ებ, გავა-**ბრუ-(ვ)**-ე, დავა-**ყრუ-(ვ)**-ე, გა-**ბრუ-ვ**-და, და-**ყრუ-ვ**-და.

ამგვარად, თუ ხმოვანი არ იკვეცება, მას **ვ**-ინი ერთვის, რომელიც ყოველგვარ ფორმაში იგულისხმება. ეს **ვ** ზმნისათვის ფუძის (მარტივი თემის) განუყოფელი ნაწილია; მაგალითად, **ვა-ქავ-ებ**-ში **ვ** ისეთივე ნაწილია ფუძისა, როგორც ვა-**თავ**-ებ ან ვა-**ტყავ**-ებ ზმნებში, ხოლო **ქვა**-ს, როგორც სახელს, არა აქვს **ვინი**, **თავ**-სა და **ტყავ**-ში კი ვინი ფუძისეულია.

თუ სახელს ფუძე ვინზე უთავდება (შეიძლება ეს **ვ** უმარცვლო **უ**ნისაგან მოდიოდეს), იგი **ონ**ის წინ იკარგება ნასახელარ ზმნებში, მაგრამ სხვა ფორმებში აღდგება:

თავი : **თა**(ვ)-ობს, მაგრამ: ი-თავ-ებს, ი-თავ-ა.

მკითხავ-ი : მკითხა(ვ)-ობ-ს, ი-მკითხავებს.

ეჭვ-ი (ძვ. ქ. იჭუ-ი) : ვ-ეჭ(ვ)-ობ, ვი-ეჭვ-ებ.

ბრიყვ-ი (ბრიყუ-ი) : მი-ბრიყვ-ებს, მაგრამ მ-ბრიყ-ობს („დახე, როგორ გვბრიყობს"! ჭავ., 437, 30).

475. თემის ნიშანთა გადარიცხვა ფუძეში. ორ ზმნაში მოხდა თემის ნიშანთა შეზრდა ზმნის ფუძესთან, რის გამოც ისინი მეორე სერიის ფორმებშიც იჩენენ თავს; ასეთი ზმნებია: „ცემა" („დარტყმის" მნიშვნელობით) და „შობა".

„ცემა" ზმნა ძველად უზმნისწინოდ ორი მნიშვნელობით იხმარებოდა: ერთი ნიშნავდა მიცემას („იაკობ სცა ესავს პური" = იაკობმა მისცა ესავს პური), მეორე — დაკვრას, დარტყმას („სცა კლდესა კუერთხი" = დაჰკრა კლდეს ჯოხი). დღევანდელ ქართულში ეს ზმნა უზმნისწინოდ მარტო დაკვრას, დარტყმას აღნიშნავს და ამ შემთხვევაში **ემ** შეზრდილია ფუძესთან: ვს-**ცემ** — ვს-**ცემ**-ე. ამგვარად, ეს ზმნა ერთ-თემიანებში იქნა გადარიცხული.

„შობა" ზმნის თემის ნიშანი კაი ხანია უკვე შეზრდილია ფუძესთან, რადგანაც ეს **ობ** II სერიის თემაშიც გადაჰყვება: ვშობე, ჰშობე, შობა:

„მე ხუთისა წლისა ვიყავ, დ-ორსულდა დედოფალი.
ესე რა თქვა, ყმამან სულთქვნა, ცრემლით ბრძანა: შ ო ბ ა ქალი",
(«ვეფხ.», 322).

ამიტომ მას **ავ** გაუჩნდა კიდევ, რომელიც ხალხურ მეტყველებაში **ამ**-ად არის გადაკეთებული:

— ერთი ვაჟიშვილი შობე, დავითის გამოჯავრებით მაინცა შობე!
— ვშობამ, შენ ნუ მოუკვდები ჩემს თავს, ვშობამ.
— ოღონდ შენ შვილი შობე!... ახ ნეტავი კი მართლა ჰშობო და!
(ჭავ., «კაცია-ადამ.», 385).

„ვშობამ", წარმომდგარია „ვშობავ" ფორმისაგან.

„ჯობნა“-ში **ობ** დღეს აღარ გამოიყოფა მაწარმოებლად: ს-ჯობ-ს, ვ-ს-ჯობ-ნ-ი, ვა-ჯობ-ე და სხვ., მაგრამ წარმოშობით ეს **ობ** თემის ნიშანია ს-**ჯ(ვ)**-ობ-ს (←*ს-ჯუ-ობ-ს). ძველი ფუძე **ჯუ** იგივეა, რაც მარ-**ჯუ**-ენა-ში.

476. ნაყოფიერი და უნაყოფო თემის ნიშნები. თემის ნიშანი ნაყოფიერია (პროდუქციას იძლევა), თუ მას შეუძლია ახალ-ახალი ფუძეებისაგან აწარმოოს ზმნები და უნაყოფოა (უპროდუქციოა), თუ მას აღარ შესწევს საამისო ძალა. იმ თემის ნიშანთაგან, რომლებიც განხილულია ზემოთ, სიცოცხლის უნარი მხოლოდ სამს შესწევს; ესენია: **ავ, ებ, ობ.** ახლად შემოსული სახელებისაგან ან ახლად შექმნილთაგან მხოლოდ მათ შეუძლიათ ზმნების წარმოება: ფილტრ-ი — ვ-ფილტრ-ავ, ნიკელ-ი — ვ-ნიკლ-ავ; შოფერ-ი — ვა-შოფრ-ე-ბ, ვ-შოფრ-ობ, კომუნისტ-ი — ვა-კომუნისტებ, ვ-კომუნისტ-ობ და მისთ.. ყველა დანარჩენი თემის ნიშანი **(ი, ევ, ამ, ემ, ოფ)** უნაყოფოა, რადგანაც არც ერთ მათგანს არ შეუძლია აწარმოოს ახალი ზმნა. იგივე ითქმის ხმოვან-მონაცვლეობის შესახებაც და აგრეთვე ერთ-თემიან ზმნათა წარმოებაზედაც, — ყველა ესენი ძველი დროიდან ნაანდერძევი ქონებაა, რომელსაც შეიძლება დააკლდეს, მაგრამ აღარ მოემატება რა.

477. მკვდარი თემის ნიშნები. თემის ნიშანი მკვდარია, თუ ენაში აღარ მოიპოვება საპირისპირო ფორმები, რომელთა საშუალებითაც ოდესღაც ყოფილი თემის ნიშანი ეხლაც შეიძლება ასეთად იქნეს აღქმული. მაგალითად, ძველ ქართულში „მაღალ“ და „პერ“ სიტყვათაგან გვქონდა ნასახელარი ზმნები „მაღლოვ-ინ“ (ი. ბოლნელის ქადაგებაში) და „პეროვოდა“ (მარკ. 9, 20), რომელთა ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ აქ გვაქვს თემის ნიშანი **ოვ:** მაღლ-**ოვ**-ინ, პერ-**ო(ვ)**-ოდა. მაგრამ ამჟამად **ოვ** აღარ არის თემის ნიშანი, მიუხედავად იმისა, რომ გვაქვს **ოვ**-ზე გათავებული ზმნები: ვქს-ოვ, ვსთხ-ოვ, ვწ-ოვ, ვძ-ოვ. თუ ამათგან ავიღებთ პირველს, ვნახავთ, რომ ის შეგვიძლია ასე დავშალოთ: ვ-ქს-ოვ. მართალია, დღეს **ოვ** ფუძის ნაწილია (ვ-ქსოვ-ე, ვ-ქსოვ), მაგრამ **ქს** უამ-**ოვ**-ოდაც გვხვდება: სა-გუს-ალი→სა-გსუალი→საქსუალი→საქსული. ძირია, მაშასადამე **გუს**, რომელსაც შეესატყვისება სვანური ა-**ჯშ**-ე („ქსოვს“). მაგრამ ეს, როგორც ვ. თოფურიამაც აღნიშნა, ქართ. ენის ისტორიის უძველეს ხანას განეკუთვნება, თანამედროვე ქართულში კი **ოვ** მკვდარი სუფიქსია.

გვაქვს ზმნები: **მწიფ**-ს, ვა-**მწიფ**-ებ, და-**მწიფ**-და. ეს ზმნები ნასახელარია, ნაწარმოებია **მწიფე** სიტყვისაგან. ეს **მწიფე** თვითონ ასე დაიშლება: მ-წიფ-ე, სადაც **მ——ე** მიმღეობის მაწარმოებელი ელემენტებია. დარჩენილი **წიფ** კიდევ ასე იშლება: **წ-იფ,** სადაც **წ** ძირია, **იფ** კი **ივ**-ის ვარიანტია: წ-ევ — წ-ივ, (წ-ეფ—) წ-იფ. მი-ე-**წ-ევ**-ა, მი-ე-**წ-ი(ვ)**-ა — მიე-**წ-იფ**-ა (შდრ. სვან. ან-ჰ-ე მთაღწია, მგ-ჰ-ი, „მოწეული“, „მწიფე“).

ვ-სი და **ფ**-ს მონაცვლეობა გვაქვს კიდევ ს-**წ-ავ**-ლასა და და-**წ-აფ**-ებაში: შდრ. მო-ს-**წავ**-ლე და მო-**წაფ**-ე. აქაც წ-ავ და წ-აფ-ში ერთურთის მონაცვლე ძველისძველი თემის ნიშნებია.

მწკრივთა წარმოება

478. მწკრივის ნიშანი. მწკრივის ნიშანი წარმოადგენს ხმოვანს (**ა, ე, ი, ო**), რომელიც ბოლოში დაერთვის ზმნის თემას (მარტივს, რთულს, თუ გავრცობილს), რომ აწარმოოს ესა თუ ის მწკრივი. თუ მწკრივის ნიშანი მოიპოვება ზმნაში, მას, ამ ნიშანს, უკანასკნელი ადგილი უჭირავს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კიდევ პირის ან რიცხვის ნიშანია (პირის ნიშანთაგან ბოლოში მხოლოდ მესამე სუბიექტურისა შეიძლება იყოს).

მწკრივთა წარმოება (კერძოდ მწკრივის ნიშნები) გვართა და სერიათა მიხედვით უნდა მიმოვიხილოთ.

მწკრივის ნიშნად არ გვხვდება ხმოვანი **უ**. რაც შეეხება **ი**-ნს, იგი ზოგ შემთხვევაში განვითარებულია თანხმოვნებით გათავებულ ფორმებში (მაგ., შევაბ-**ი**, მივეც-**ი**, დავკალ-**ი**), მაგრამ ძველად ისიც ასრულებდა მწკრივის ნიშნის როლს, სახელდობრ II ხოლმეობითსა და **ოდ**-სავრცობიან ზმნათა I კავშირებითში; მაგალითად, ვიტყოდ-ი, რაც იმ დროინდელი გაგებით ამას ნიშნავდა: **буду говорить** (მაშინდელი „ვიტყოდე" კი ასე გადაითარგმნება: **я говорил**).

> შ ე ნ ი შ ვ ნ ა. მწკრივთა მიმოხილვისას საუბარი მოგვიხდება, როგორც აღნიშნულია (§ 241), მესამე სუბ. პირის ნიშნების შესახებაც, რადგანაც ამ პირის ნიშანი სხვადასხვა მწკრივში სხვადასხვაა როგორც მხ. რიცხვში, ისე მრავლობითში.

მოქმედებითი გვარი

I სერიის მწკრივები

479. ზოგადი. პირველ სერიაში ორი წრის მწკრივები შემოდის, მაგრამ ფორმათა წარმოების თვალსაზრისით არსებითად ერთი რომელიმე წრის მწკრივებია საკმარისი (მაგ., აწმყოს წრისა), რადგანაც ორ წრედ გაყოფა ერთი სერიისა ახალი სისტემის ასპექტის შექმნასთან დაკავშირებით მოხდა (§ 336) და განაყოფ მწკრივებს ერთნაირი ნიშნები აქვთ.

480. აწმყო (და **მყოფადი**). **აწმყოს** არავითარი ნიშანი არა აქვს. ამიტომ I სერიის თემას პირდაპირ დაერთვის პირისა, რიცხვისა და ქცევის ნიშნები, მიუხედავად იმისა, არის ზმნა ერთ-თემიანი, თუ ორ-თემიანი, და, თუ ორთემიანია, ხმოვან-მონაცვლეა, თუ თემის ნიშნიანი. თუ ზმნას ქცევის ნიშანიც აქვს და საწინაო პირის ნიშანიც, ჯერ პირის ნიშანი იქნება, შემდეგ ქცევისა.

აწმყოში მე-3 სუბ. პირის ნიშანია: მხოლობითში **ს** და მრავლობითში **ენ**, გარდა **ინიანი ზმნებისა**, სადაც **ენ**-ის ნაცვლად **ან** არის.

ავიან და **ამიან** ზმნებში შეიძლება თემის ნიშნის ხმოვანი (**ა**) ამოღებულ იქნეს **ენ**-ის დართვის გამო აწმყო-მყოფადის მე-3 სუბ. პირის მრ. რიცხვში; მაგალითები:

(ე—ე). წერ: ვ-წერ, ს-წერ, წერ-ს; ვ-წერ-თ, ს-წერ-თ, წერ-ენ.

(ე/ი). გრეხ / გრიხ : ვ-გრეხ, ჰ-გრეხ, გრეხ-ს, ვ-გრეხ-თ, ჰ-გრეხ-თ, გრეხ-ენ.

ი. (თალ-ი→) თლი : ვ-თლი, ს-თლი, თლი-ს; ვ-თლი-თ, ს-თლი-თ, თლი-ან.

ავ. ხატ-ავ : ვ-ხატავ, ჰ-ხატავ, ხატავ-ს; ვ-ხატავ-თ, ჰ-ხატავ-თ, ხატავ-ენ (ან : ხატვენ).

ამ. ბ-ამ : ვ-ა-ბამ, ა-ბამ, ა-ბამ-ს; ვ-ა-ბამ-თ, ა-ბამ-თ, ა-ბამ-ენ (ან: აბმენ).

ებ. შენ-ებ : ვ-ა-შენებ, ა-შენებ, ა-შენებ-ს და შემდგომი.

ობ. თბ-ობ : ვ-ა-თბობ, ა-თბობ, ა-თბობ-ს და შემდგომი.

ოფ. ყ-ოფ : ვ-ყოფ, ჰ-ყოფ, ყოფ-ს და შემდგომი.

ევ. ქც-ევ : ვ-ა-ქცევ, ა-ქცევ, ა-ქცევ-ს და შემდგომი.

მოყვანილი მაგალითები ყველა აწმყოსია.

მყოფადი, რომელიც ძველი აწმყოს ორად დაშლის ნიადაგზეა წარმოშობილი, იმგვარადვეა ნაწარმოები, როგორც აწმყო, ოღონდ საჭიროა რომელიმე ზმნისწინი დაერთოს: და-ვწერ, ჩა-ვწერ, გადა-ვწერ და მისთ.. სხვა მაგალითები: და-ვ-გრეხ, გა-ვ-თლი, და-ვ-ხატავ, და-ვ-ა-ბამ, ა-ვ-ა-შენებ, შე-ვ-ა-თბობ, გა-ვ-ყოფ, და-ვ-ა-ქცევ და მისთ.

მოყვანილ მაგალითებში ქცევა საარვისო იყო. იგივე იქნება სხვა რომელიმე ქცევით, სათავისოთი თუ სასხვისოთი: ვ-ი-წერ, ვ-ი-გრეხ, ვ-ი-ხატავ და მისთ.; ვ-უ-წერ, ვ-უ-გრეხ, ვ-უ-ხატავ და მისთ.

481. უწყვეტელი (და **I ხოლმეობითი**). უწყვეტელს თავდაპირველად მწკრივის ნიშანი არ ჰქონდა და სავრცობის დართვით უკვე მწკრივის ჩონჩხი იყო მზად: ვ-წერ-დ, ს-წერ-დ, წერ-დ-ა; ვ-ა-ქებ-დ, ა-ქებ-დ, ა-ქებ-დ-ა და მისთ., მაგრამ მრ. რიცხვის პირველსა და მეორე პირში რიცხვის ნიშნის დართვის გამო ისეთი თანხმოვნები იყრიდა თავს **(დთ),** რომ მათი ერთად გამოთქმა შეუძლებელი იყო: *ვ-წერდთ, *სწერდთ; *ვაქებდთ, *აქებდთ და მისთ.. ამიტომ გამოთქმის გასაადვილებლად აუცილებელი გახდა, მათ შორის ჩასმულიყო თანხმოვანთ გასაყარი—ხმოვანი **ი:** ვწერდ**ი**თ, სწერდ**ი**თ; ვაქებდ**ი**თ აქებდ**ი**თ და მისთ.. ეს **ი** შემდეგ მრავლობითიდან მხოლობითშიც გადმოვიდა და, ამგვარად, მწკრივის ნიშანი გახდა, მაგრამ მისი ხმარება, ზემორე თქმულის გამო, პირველი და მეორე სუბ. პირით განისაზღვრა.

მესამე სუბ. პირს ძველად უწყვეტელში მხოლობითში **ა** ჰქონდა, მრავლობითში — **ეს** : წერდ**ა**, წერდ-**ეს;** აქებდ-**ა,** აქებდ-**ეს.** ახალ ქართულში მხოლობითის ნიშანი უცვლელი დარჩა, მრავლობითისა კი იცვალა; **ეს** დაბოლოების ადგილი **ენ**-მა დაიჭირა. განვითარების ამ საფეხურზე ფშაური და დასავლური კილოები შეჩერდა (წერდენ, აქებდენ), ქართლ-კახურმა კი **ნ** დაურთო წინ **(ნ-ენ)** და იგი სალიტერატურო ენის კუთვნილებად იქცა: წერდ-**ნ-ენ,** აქებდ-**ნ-ენ. ნ-ენ** დაბოლოება უწყვეტელში წყვეტილის **დ**ონიანი ზმნების გავლენით გაჩნდა. ეს **დ** იქ ვნებითის ნიშანია ან ფუძის კუთვნილება, მაგრამ იქაც და აქაც ზმნა გარდაუვალი უნდა იყოს: დაყრუვდ-**ნ-ენ,** გაშავდ-**ნ-ენ,** მოვიდ-**ნ-ენ.** უწყვეტელში კი ეს დაბოლოება განზოგადდა და გარდამავალ ზმნებშიც **იჩინა თავი.**

ამგვარად, მწკრივის ნიშნად პირველსა და მეორე პირში **ი** მივიღეთ, ხოლო მესამე პირის დაბოლოებად მრავლობითში — **ნენ:** ვგრეხდი, ვათბობდი და სხვ. (§ 506).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. თვით წყვეტილში **ნენ** დაბოლოება პრეფიქსიანი ვნებითის II კავშირებითიდან გადმოვიდა: რაჲთა იყვ-**ნენ,** რაჲთა დაიწერ-**ნენ,** რაჲთა დაიმალ-**ნენ** და მისთ. (§ 506).

უღლების მაგალითი:

მხ.	1.პ	ვწერდი	ვგრეხდი
	2.პ	სწერდი	ჰგრეხდი
	3.პ	წერდა	გრეხდა
მრ.	1.პ	ვწერდით	ვგრეხდით
	2.პ	სწერდით	ჰგრეხდით
	3.პ	წერდნენ	გრეხდნენ

ავიან და **ამიან** ზმნებში ძველად ა-ს **ე** ცვლიდა პირველსა და მეორე სუბ. პირში, მესამეში კი **დ**-ს წინ **ი** ჩნდებოდა, რომელიც წინამავალ ხმოვანს ამოიღებდა. ახალმა ქართულმა **ავ** და **ამ** სუფიქსთა ხმარება განაზოგადა, აწმყოდან უწყვეტელშიც გადაიტანა და საყოველთაოდ გაატარა; მაგალითი:

		ძვ. ქართ.	ახ. ქართ.
მხ.	1.პ	ვმალევდი	ვმალავდი
	2.პ	ჰმალევდი	ჰმალავდი
	3.პ	მალვიდა	მალავდა
მრ.	1.პ	ვმალევდით	ვმალავდით
	2.პ	ჰმალევდით	ჰმალავდით
	3.პ	მალვიდეს	მალავდნენ

მხ.	1.პ	ვაბემდი	ვაბამდი
	2.პ	აბემდი	აბამდი
	3.პ	აბმიდა	აბამდა
მრ.	1.პ	ვაბემდით	ვაბამდით
	2.პ	აბემდით	აბამდით
	3.პ	აბმიდეს	აბამდნენ

მოყვანილი ფორმები უწყვეტლისაა. იგივე იქნება I **ხოლმეობითშიც,** რომელიც უწყვეტლისაგან არის გამოყოფილი, ოღონდ საჭიროა რომელიმე ზმნისწინის დართვა: დავწერდი, დავგრეხდი, გავთლიდი, დავმალავდი, დავაბამდი, ავაშენებდი, შევათბობდი, გავყოფდი და მისთ.

482. აწმყოს კავშირებითი (და **მყოფადის კავშირებითი**). მწკრივის ნიშანია **ე,** რომელიც უშუალოდ მოსდევს სავრცობს.

მესამე სუბიექტური პირის ნიშანია: მხოლობითში **ს,** მრავლობითში — **ნენ.**

ამის გამო უწყვეტლისა და აწმყოს კავშირებითის ფორმები ერთმანეთს ემთხვევა (§ 506).

ავიან და **ამიან** ზმნებში **ავ** და **ამ** მკვიდრია ყველგან: ვმალ**ავ**დე, ვაბ**ამ**დე (ნაცვლად ძველი ფორმისა: ვმალ**ვი**დე, ვაბ**მი**დე და შემდგომი).

მაგალითი:

1.პ ვწერდე	ვგრეხდე	ვმალავდე	ვაბამდე
2.პ სწერდე	ჰგრეხდე	ჰმალავდე	აბამდე
3.პ წერდეს	გრეხდეს	მალავდეს	აბამდეს
1.პ ვწერდეთ	ვგრეხდეთ	ვმალავდეთ	ვაბამდეთ
2.პ სწერდეთ	ჰგრეხდეთ	ჰმალავდეთ	აბამდეთ
3.პ წერდნენ	გრეხდნენ	მალავდნენ	აბამდნენ

ძველად, ასპექტის გამოხატვის სისტემის შეცვლამდე, I სერიაში ერთი კავშირებითი იყო — I კავშირებითი, რომლისაგან შემდეგ ორი მწკრივი წარმოიშვა: აწმყოს კავშირებითი და მყოფადის კავშირებითი. ამათგან ჩვენ ზემოთ აწმყოს კავშირებითი განვიხილეთ. რაც შეხება **მყოფადის კავშირებითს,** მას ისეთივე ფორმათა წარმოება ახასიათებს, როგორიც აწმყოსას, ოღონდ საჭიროა მაპერფექტივებელი ზმნისწინის დართვა: დავწერდე, დავგრეხდე, დავთვლიდე, დავმალავდე, დავაბამდე და სხვ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. ზემოთ ჩვენ განვიხილეთ I სერიის ორივე წრის წარმოება. მაგრამ არის ზმნები, რომლებიც ერთ-ერთ წრეში იხმარება. მაგ., „ვნახავ" და „მივსცემ" სრული ასპექტის ზმნებია და მარტო მყოფადის წრეში იხმარება. „მივსცემ" ზმნას აწმყოს წრეში „ვაძლევ" ენაცვლება, რომელიც უსრული ასპექტის ზმნაა და მყოფადის წრის მწკრივებს მაშინ გაიკეთებს, თუ სხვა მნიშვნელობით ვიხმართ: ვაძლევ — შევაძლევ. მაშასადამე, „ვაძლევ" პოლისემიური ზმნაა: ა) ვაძლევ — მივსცემ; ბ) ვაძლევ — შევაძლევ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. ძველად I სერიის მწკრივებში შედიოდა I ბრძანებითიც, რომელსაც მეორისა და მესამე პირის ფორმები ჰქონდა. მაგრამ ეს მწკრივი ახალ ქართულში გადავარდა. ისეთი ფორმები კი, როგორიცაა „ბრძანდებოდე" და „ჩამოირბენდე", დღევანდელი უღლების სისტემის თანახმად, ორივე კავშირებითისაა. კავშირებითმა შეცვალა საკუთარი ბრძანებითის ფორმები მესამე პირშიც: ბრძანდებოდეს! გქონდეს! გიხაროდეს! გიყვარდეს!

II სერიის მწკრივები

483. წყვეტილი. ამ მწკრივს ნიშანი არა აქვს, ან, თუ აქვს, ეს ნიშანია **ე**. უნიშნო წყვეტილი გარკვეული ჯგუფის ზმნებს ახასიათებს (მეტად მცირერიცხოვანს), დიდ უმეტესობას კი მწკრივის ნიშნად **ე** მოუდის.

როგორც ვიცით (§ 480), აწმყოს არა აქვს ნიშანი საზოგადოდ მოქმ. გვარის ზმნებში, წყვეტილს კი ნიშანი არა აქვს გარკვეულ ზმნებში, რომლებიც უხსოვარი დროიდან აქვს ენას შემონახული. თუ ამ ზმნებს ფუძე I სერიაში

შეკუმშული ჰქონდა, აქ იგი გაეშლება. ეს გაშლილი ფუძე პირველსა და მეორე პირში დაჩნდება, მესამეში კი — არა, რადგანაც პირის ნიშანთა დართვის გამო ისევ შეეკუმშება. ამ ჯგუფის ზმნათათვის დამახასიათებელია ნართაული **ი**, რომელიც თანხმოვანთ გასაყარად არის გაჩენილი მრავლობითში და იქიდან მხოლობითშია გადმოსული. ეს **ი** დღეს მხოლობითისათვის აუცილებელია უმარცვლო ფუძეებში, სხვებში კი აუცილებელი არაა, თუმცა კი მისი დართვა ჩვეულებრივია. თუ ამ ნართაულ **ი**ნს მწკრივის ნიშნად ჩავთვლით (ისიც, რა თქმა უნდა, პირობით), შეგვიძლია ვთქვათ, რომ წყვეტილის ნიშანია **ი** ან **ე**.

1. **მწკრივის ნიშანი ი.** ზმნები, რომლებიც წყვეტილში მწკრივის ნიშნად ნართაულ **ი**ნს მიიღებენ, შემდეგია:

ა) **ამიანთაგან** ყველა გამოუკლებლივ:

დავაბამ, დავაბი   შევსვამ, შევსვი
დავდგამ, დავდგი   ჩავიცვამ, ჩავიცვი და მისთ.

„რთხმა“-სა და „რტყმა“-ს ძველად ფუძის ხმოვნები აღუდგებოდა: **„გან-ვირათხ ჴელი“** (=გავშალე ჩემი ხელი, გავმართე ხელი), **„შევირატყ სარტყელი“**, მაგრამ ამჟამად ფუძის გაშლა აღარ ხერხდება: გავართხი, შევირტყი. რაც შეეხება „რწყმა“-ს, მასაც ალბათ აღუდგებოდა ხმოვანი **ე** (რეწყ), როგორც ეს ჩანს იმავე ფუძის სახელისაგან: ი-რეჭ=ი ან: ი-რე[ნ]ჭკ-ა. ეს სახელი კოლხურ ელფერს ატარებს თანხმოვნებში; ი რ ე ჭ ი, ი რ ე ნ ჭ კ ა — ჩიტის მახე.

ბ) **ამიან** ზმნათა თვისებას იზიარებს ზმნები ორი **ავიანი** ფუძისა: ვწვავ — ვწვი, ვფქვავ — ვფქვი და ერთი **ებ**-იანისა: ვუშვებ — ვუშვი.

გ) ათიოდე **ავ** თემის ნიშნიან ზმნას ფუძე გაეშლება და გამოაჩნდება ხმოვანი **ა**:

ვთხზავ — შევთხაზ (ძვ. ქ.)	ვფლავ — დავფალ
ვქშავ — დავქაშ (ძვ. ქ.)	ვძრავ — შევძარ
ვკლავ — დავკალ	ვწნავ — დავწან
ვკრავ — შევკარ	ვხნავ — დავხან (ვჴნავ — დავჴან)
ვსრავ — მოვსარ (ძვ. ქ.)	ვხრავ — დავხარ

ამავე ჯგუფს უერთდებიან:

ებ : ვასწრებ — დავასწარ, მო-, მი-
ობ : ვიპყრობ — დავიპყარ, შე-
ვიცნობ — ვიცან, გა-
ოფ : გავყოფ (გავყ[ვ]ოფ) — გავყავ

დ) რამდენიმე ცალკე მდგომ ფუძეთა ზმნებს აღუდგება ფუძეში **ე**; ესენია:

ავ : ვიცავ (*ვიცვავ) — და-ვიცევ	**ებ** : ვძლებ — შე-ვძელ, გა-ვძელ
ებ : ვდებ (*ვდვებ) — და-ვდევ	„ ვახლებ — ვახელ
„ ვაკლებ — ვაკელ (და-ვაკელ)	**ობ** : ვშობ (*ვშვობ) — ვშევ (ძვ. ქ.)

ე) **ინიანი** და **ობიანი** ზმნების შეკუმშულ ფუძეთაგან აქ შემოდის ისეთები, რომლებიც **ე** ხმოვანს აღიდგენენ. ამ ზმნებს ფუძის ბოლოკიდურად აქვთ **ნ** ან **რ**:

ნ : ვამყნი — ვამყენ	ვღრღნი — დავღრღენ
ვრყვნი — გავრყვენ	ვუძღვნი — ვუძღვენ
ვსკვნი — გავსკვენ	ვხსნი — გავხსენ
ვფშვნი — გავფშვენ	ვგრძნობ — ვიგრძენ
ვქმნი — ვქ[მ]ენ, შე-	ვაყრდნობ — მივაყრდენ
რ : ვ-ფხვრი — ამოვფხვერ	ვჭრი — გავჭერ
ვ-ცრი — გავცერ	

გ, დ, ე მუხლებში მოყვანილ ზმნებს არსად არ უზის ნართაული **ი**, მაგრამ ის შეიძლება დაერთოს, შეიძლება არა:

დავკალ და დავკალი	გავხსენ და გავხსენი
შევკარ „ შევკარი	დავჭერ „ დავჭერი („აჰა ხანჯალი, ფეხებზედაც დაიჭერ თოკები", ყაზ., 264, 12).
დავხან „ დავხანი	
დავდევ „ დავდევი	
	ვუძღვენ და ვუძღვენი და მისთ.

ეს ნართაული **ი** დღეს აუცილებელია მრავლობითში: დავკალით, შევკარით, ვუძღვენით და მისთ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ამ **ი**ნს იმიტომ დაერქვა „ნართაული", რომ იგი ძველ ქართულში საზოგადოდ არ იყო. აი ორიოდე მაგალითი: დ ა ვ დ ე ვ დღე თევდორობისაჲ ღაპად" (ატენის სიონის წარწერა); „ვინ დ ა ს დ ე ვ საფლავსა, ნიკოდემოს"? (ძვ. სას. პოეზია, სჲბ); „მოვედ და დ ა ს დ ე ვ ჴელი შენი მას ზედა" (მათ. 9, 18); „ესე კარი შ ე ხ უ ა ბ თ" (=ეს კარი შევაბით, ბოლნისის V ს.-ის წარწერაში); „ვ ყ ა ვ ესე" (დაბ. 20, 5); „რომელ ვ ყ ა ვ შენ თანა, ყ ა ვ ჩემ თანა" (დაბ. 21, 23); „ესრე ყ ა ვ თ" (დაბ. 42, 18); „მ ო ჰ კ ა ლ სიკუდილი" (ძვ. სას. პოეზ., ტთ.): „მ ო კ ა ლ თ იგი" (გამ. 21, 14); „დ ა კ ა ლ თ საკლველები" (დაბ. 43, 16); „ვ ქ მ ე ნ მას შინა საქმჱ" («ცხორ. ნინოჲსი», 801); „შენ შ ე ჰ ქ მ ე ნ თაბორი და ერმონი" (იერუს. განჩინება, 50); „ვსუ" (დაბ. 24, 46); „რაჲთამცა არა შ ე ვ ს უ იგი" (მათ. 26, 42); „არა ჯერ-არს, ვითარმცა ვჭამეთ და ვ ს უ თ (კოლაელთა წამება); „სუ და აქლემთაცა შენთა ასუ" (დაბ. 24, 14); „ს უ თ ამისგანი ყოველთა" (მათ. 26, 27); „ვითარცა წინაჲსწარ ვ თ ქ უ" (თუალთაჲ 18,23); „ვთქუთ" (დაბ. 26, 28); „რაჲსათვს ს თ ქ უ, ვითარმედ დაჲ შენი არს"? (დაბ. 12, 19); „ვიდოდეთ, ვითარცა-ეგე ს თ ქ უ თ" (გამ. 12, 32); „თქუ ვითარმედ დაჲ მისი ვარ" (დაბ. 12, 13), „ესრე თ ქ უ თ" (მათ. 28, 13).

აღნიშნულ ფუძეთა ზმნებს („ყოფა“-ს გარდა) მესამე სუბ. პირის ნიშნად მხოლობითში აქვთ ა, მრავლობითში — ეს. უღლების ნიმუშები:

მხ.	1.3	დავაბი	დავკალ(ი)	გავცერ(ი)
	2.3	დააბი	დაჰკალ(ი)	გასცერ(ი)
	3.3	დააბა	დაკლა	გაცრა
მრ.	1.3	დავაბით	დავკალით	გავცერით
	2.3	დააბით	დაჰკალით	გასცერით
	3.3	დააბეს	დაკლეს	გაცრეს

არსებითად ამავე ჯგუფს ეკუთვნის „ცემა“ ზმნა სხვადასხვა ზმნისწინით: მიცემა, გაცემა, გამოცემა და სხვ., რადგანაც ისიც მიიღებს ნართაულ ინს, მაგრამ მისი უღლება მეტად თავისებურია:

	მხოლ.	მრავლ.
1.3.3	მივეც(ი)	მივეცით
2.3.3	მიეც(ი)	მიეცით
3.3.3	მისცა	მისცეს

თუ „ცემა“ ზმნას უზმნისწინოდ ვიხმართ და სათავისო ქცევით, ემ ძველებურადვე თემის ნიშანი იქნება და II სერიაში არ გადაჰყვება (§ 475). საყურადღებო ის არის, რომ ამ შემთხვევაში ე პირველსა და მეორე პირში შეჰრჩება: თავში ქვა ვიეც, თავში ქვა იეც, თავში ქვა იცა. რადგანაც ქცევის ნიშანი წინ დაუდგა ე-ს, შეიძლება კითხვა დავსვათ: ეს ე მაწარმოებელია, თუ ფუძის კუთვნილება? თუ ფუძისეულია, მაშინ უნდა ვიგულისხმოთ, რომ მის წინ დაკარგულია რაღაც თანხმოვანი.

2. მწკრივის ნიშანი ე. დიდი უმეტესობა მოქმ. გვარის ზმნებისა წყვეტილის ნიშნად ე-ს გვიჩვენებს, რომელიც მხოლოდ პირველსა და მეორე სუბ. პირში ჩანს, მესამეში კი პირის ნიშნები უშუალოდ ერთვის ფუძეს.

აქ შემოდის:

ა) ერთ-თემიანი ზმნები ყველა: ვწერ — ვწერ**ე**, ვტეხ — ვტეხ**ე** და სხვები;

ბ) ხმოვან-მონაცვლეები ყველა (მათ შორის **ე**ვიანებიც): ვგრეხ — ვგრიხ**ე**, ვჟლეტ — ვჟლიტე, დავლევ — დავლიე და სხვები;

გ) ინიანთაგან ყველა, გარდა ზემოთ (ამავე პარაგრაფის 1, **ე** მუხლში) ჩამოთვლილებისა: ვთლი — ვთალ**ე**, ვთოხნი — ვთოხნ**ე** და მისთ.;

დ) ავიანთაგან ყველა, გარდა ზემოთ (1, **ბ** და **გ** მუხლებში) ჩამოთვლილებისა: ვხატავ — დავხატ**ე**, ვმართავ — გავმართ**ე** და მისთ.;

ე) **ებ**იანთაგან თითქმის ყველა, რამდენიმეს გამოკლებით (ვდებ, ვასწრებ, ვაკლებ, ვახლებ, ვუშვებ: 1, **ბ**, **გ**, **დ**): ვაკეთებ—ვაკეთ**ე**, ვაშენებ — ვაშენ**ე** და მისთ.. ამათვე განეკუთვნება, რა თქმა უნდა, ყველა შუალობითი კონტაქტის ზმნა: ვაკეთებინებ — ვაკეთებინ**ე** და მისთ.

ვ) **ობ**იანი ზმნები ყველა, ორიოდეს გარდა (ვგრძნობ, ვცნობ): ვათბობ — **ვათბე**, ვახმობ — ვახმ**ე** და მისთ. („ვშობ“ დღევანდელი ქართულის კუთვნილება აღარ არის: § 475).

რაც შეეხება მესამე პირის სუბ. ნიშანს, აქაც საზოგადოდ იგივე ნიშნებია, რაც პირველი ჯგუფის ზმნებში, ე. ი. მხოლობითში **ა** და მრავლობითში **ეს.** მაგრამ არის ერთი წყება ზმნებისა, რომელთაც მხოლობითში ა-ს ნაცვლად **ო** მოუდის. ამ ზმნების ფუძე უმეტესად უმარცვლოა და შედგება ერთი, ორი ან სამი თანხმოვნისაგან. ორ-თანხმოვნიანებში მეორე, ხოლო სამ-თანხმოვნიანებში მესამე შეიძლება იყოს უმარცვლო უნისაგან მიღებული **ვ**; ასეთებია:

ა) **ავიანთაგან:**

ზლ-ვ-ა : ვზლე, ჰზლე, ზლო.
რგ-ვ-ა : (და)ვრგე; (და)ჰრგე, (და)რგო.
რთ-ვ-ა (სთ-ვ-ა, სტ-ვ-ა) : (და)ვართე, (და)ართე, (და)ართო.
რწყ-ვ-ა : (მო)ვრწყე, (მო)ჰრწყე, (მო)რწყო.

ამ ზმნებს პარალელურად **ანიანი** ფორმაც აქვთ: დარგა, დაართა, მორწყა.

ბ) **ებიანთაგან:**

გ-ებ-ა : ვაგე, აგე, აგო (ა-, და- და სხვ.).
ლ-ებ-ა (გა-, შე-) : ვალე, ალე, ალო.
„ (ა-, წა-) : ვილე, ილე, ილო.
ქ-ებ-ა : ვაქე, აქე, აქო.
წ-ებ-ა : ვაწე, აწე, აწო.
გდ-ებ-ა : ვაგდე, აგდე, აგდო.
გზ-ებ-ა : ვაგზე, აგზე, აგზო.
ვლ-ებ-ა : (ხელი და)ვავლე, ავლე, ავლო.
ვნ-ებ-ა : ვავნე, ავნე, ავნო.
ვს-ებ-ა : ვავსე, ავსე, ავსო.
ნთ-ებ-ა : ვანთე, ანთე, ანთო.
რგ-ებ-ა : ვარგე, არგე, არგო.
ცხ-ებ-ა : ვაცხე, აცხე, აცხო.
ძლ-ებ-ა : ვაძლე, აძლე, აძლო.
წყ-ებ-ა : ვიწყე, იწყე, იწყო.

გ) **ობიანი** ზმნები თითქმის ყველა:

თბ-ობ-ა : ვათბე, ათბე, ათბო.
მკ-ობა : ვამკვე, ამკვე, ამკო
ს-ობ-ა (*სვ-ობ-ა) : ვასვე, ასვე, ასო (*ასვო)
ცხ-ობ-ა (*ცხვ-ობ-ა) : ვაცხვე, აცხვე, აცხო (*აცხვო) და მისთ.

ობიან კუმშვად ფუძესთან „თხრობა"-ს შეჰრჩა მესამე სუბ. პირის ნიშანი **ა** (ვუთხარ, უთხარ, უთხრა), სხვებს კი **ო**-დ გადაუკეთდა:

ძვ. ქართ.	ახ. ქართ.
აგრძნა	იგრძნო
დაიპყრა, შეიცნა	დაიპყრო, შეიცნო

„სწრება“ ზმნას მე-3 პირში წესით ა უნდა (დაასწრა, მოასწრა), მაგრამ უფრო ო იხმარება: დაასწრო, მოასწრო.

უღლების ნიმუშები:

მხ.	1.3	ვწერე	ვგრიხე	ვაქე
	2.3	სწერე	ჰგრიხე	აქე
	3.3.	წერა	გრიხა	აქო
მრ.	1.3	ვწერეთ	ვგრიხეთ	ვაქეთ
	2.3	სწერეთ	ჰგრიხეთ	აქეთ
	3.3	წერეს	გრიხეს	აქეს

მეორე სერიის ფორმებში საზოგადოდ, და კერძოდ წყვეტილში, ძველად გარჩევა იყო იმის მიხედვით, პირდ. ობიექტი ზმნასთან მხ. რიცხვში იდგა, თუ მრავლობითში. ამის მიხედვით თვითეულ სუბიექტურ პირს თვითეულ (მასთან შესაძლებელ) პირდაპირ-ობიექტურთან ორ-ორი ფორმა ჰქონდა:

		პირდ. ობ. მხ-შია		პირდ. ობ. მრ.-შია
მხ. 1	ცრემლი	მოვიწურე	ცრემლ-**ნ**-ი	მოვიწურ-**ენ**
2	„	მოიწურე	„	მოიწურ-**ენ**
3	„	მოიწურა	„	მოიწურ-**ნ**-ა
მრ. 1	„	მოვიწურეთ	„	მოვიწურ-**ენ**-ით
2	„	მოიწურეთ	„	მოიწურ-**ენ**-ით
3	„	მოიწურეს	„	მოიწურ-**ნ**-ეს

ასეთი გარჩევა ზმნის ფორმებისა პირდ. ობიექტის რიცხვის მიხედვით დღევანდელ სალიტერატურო ქართულში აღარ არის. იგი ნაშთის სახით შემონახულია მთის კილოებში (§ 226).

484. II ბრძანებითი. მწკრივი განკუთვნილია ბრძანებითი კილოს გამოსახატავად და, როგორც ასეთს, მას შეიძლება მეორე და მესამე სუბ. პირის ფორმები ჰქონდეს ორსავე რიცხვში და პირველისა მრავლობითში (პირველი პირისა მხ. რიცხვში შეუძლებელია საზოგადოდ). ამ მწკრივს ძველად მხოლოდ ორი პირის ფორმები ჰქონდა: მეორისა და მესამისა (იყავ! იყვენით! იყავნ! იყვნედ!). რაც შეეხება პირველ პირს მრ. რიცხვში, აქ მწკრივს ფორმა აკლდა, მაგრამ ენა ამ ნაკლის დასაფარავად II კავშირებითის სათანადო ფორმას იყენებდა (ვიყვნეთ!).

ამჟამად ეს მწკრივი მკაფიოდ მხოლოდ კილოებშია შემონახული (უმთავრესად მთაში) და ისიც მხოლოდ მეორე პირისათვის. მესამე პირის ფორმები საზოგადოდ დაიკარგა. II ბრძანებითის მწკრივი წარმოების თვალსაზრისით ისეთივეა, როგორც წყვეტილი; ფორმობლივი განსხვავება მისგან ამჟამად მხოლოდ თანხმოვნით დაწყებულ ფუძეებში ხერხდება (§ 252): მეორე სუბ. პირს წყვეტილში ნიშანი უნდა, ბრძანებითში — არა. ესეც იმ შემთხვევაში,

თუ ზმნა ერთ-პირიანია ან ორ-პირიანი, მაგრამ გარდამავალი, თანაც პირდ.-ობიექტური პირი მესამეა. ნიმუში:

		წყვეტილი		ბრძანებითი	
მხ.	1.3	დავკალ(ი)	დავწერე	—	—
	2.3	დაჰკალ(ი)	დასწერე	დაკალ(ი)	დაწერე
	3.3	დაკლა	დაწერა	—	—
მრ.	1.3	დავკალით	დავწერეთ	—	—
	2.3	დაჰკალით	დასწერეთ	დაკალით	დაწერეთ
	3.3	დაკლეს	დაწერეს	—	—

ფორმობლივი განსხვავება წყვეტილსა და ბრძანებითს შორის დაიკარგება, ა) თუ ზმნა ორ-პირიანია და პირდ.-ობიექტური პირი პირველი, მაგ.:

	წყვეტილი		ბრძანებითი	
1.1	—		—	—
2.1	დამკალ(ი)	დამწერე	დამკალ(ი)	დამწერე
3.1	დამკლა	დამწერა	—	—

ბ) იგივეა მაშინაც, თუ ზმნა სამ-პირიანია და პირდ.-ობიექტური პირი რომელიც უნდა იყოს, თუნდაც მესამე, რადგანაც აქ ორგანვე ფორმაში მესამე პირის ობიექტური ნიშანი იქნება; ნიმუში:

		წყვეტილი		ბრძანებითი	
მხ.	1.3.3	ვჰკითხე	მივსწერე	—	—
	2.3.3	ჰკითხე	მისწერე	ჰკითხე	მისწერე
	3.3.3	ჰკითხა	მისწერა	—	—
მრ.	1.3.3	ვჰკითხეთ	მივსწერეთ	—	—
	2.3.3	ჰკითხეთ	მისწერეთ	ჰკითხეთ	მისწერეთ
	3.3.3	ჰკითხეს	მისწერეს	—	—

თავისთავად ცხადია, რომ, თუ ზმნას ქცევის ნიშანი აქვს (ა, ი, უ), წყვეტილში მეორე სუბ. პირის ნიშანი დაიკარგება მის წინ და ფორმა ბრძანებითისას დაემთხვევა; მაგ., და-ა-გე და გა-ი-გე შეიძლება წყვეტილის ფორმაც იყოს და ბრძანებითისაც. მხოლოდ წინადადება და მიმყოლი გარემოება (საუბარში ტონიც) გვაძლევს საშუალებას, გამოვარკვიოთ, თუ რასთან გვაქვს საქმე: თუ დრო წარსულია და კილო თხრობითი, მწკრივი წყვეტილი ყოფილა: „როდის დ ა ა გ ე ლოგინი"? „შენც ხომ გ ა ი გ ე ეს ამბავი"? ხოლო თუ დრო მომავალია, კილო ბრძანებითი იქნება და მწკრივიც — ბრძანებითი: „ბარემ ეხლავე დ ა ა გ ე ლოგინი!" „გ ა ი გ ე, ადამიანო, რასაც გეუბნები"!

წართქმით ბრძანებითს, როგორც კილოს, თავისი მწკრივი ამჟამად თუ მოეპოვება, მხოლოდ მეორე პირისთვის, დანარჩენ პირთათვის ის II კავშირებითისაგან სესხულობს ფორმებს (§§ 251, 253), როგორც ეს მწკრივის ნიშნების შედარებითაც მტკიცდება:

ბრძანებითი კილო

მხ.	1.3	—	—	1.3.3	—
	2.3	**დაწერე**	**დაკალ(ი)**	2.3.3	**მიეც(ი)**
	3.3	დაწეროს	დაკლას	3.3.3	მისცეს
მრ.	1.3	დავწეროთ	დავკლათ	1.3.3	მივსცეთ
	2.3	**დაწერეთ**	**დაკალით**	2.3.3	**მიეცით**
	3.3	დაწერონ	დაკლან	3.3.3	მისცენ

მოყვანილი ფორმები ყველა ბრძანებითი კილოს მნიშვნელობითაა აღებული, მაგრამ ფორმათა შედარება ამჟღავნებს, რომ II პირის ფორმები სულ სხვანაირადაა ნაწარმოები, ვიდრე მესამისა და პირველისა. ეს იმიტომ, რომ აქ გაერთიანებულია სხვადასხვა მწკრივის ფორმები: II ბრძანებითისა და II კავშირებითისა.

მაშასადამე, „ბრძანებითი“ როგორც მწკრივის ცნება ერთია, და როგორც კილოსი — სხვა. ბრძანებითი მწკრივის ფორმა ბრძანებითი კილოს ფორმაც არის იმავე დროს, მაგრამ ბრძანებითი კილოს ფორმა ყოველთვის არ უდრის ბრძანებითი მწკრივის ფორმას.

485. II ხოლმეობითი. მწკრივის ნიშანია **ი**, რომელიც ყველა კუმშვად ფუძეს კუმშავს, გარდა იმ ინიანი ზმნებისა, რომელთაც ფუძე აწმყოში აქვთ შეკუმშული და წყვეტილში გაეშლებათ (ე. ი. ვ-თლ-ი — ვ-თალ-ე ტიპისა). საზოგადოდ, თუ ზმნას ფუძე ეკუმშება წყვეტილის მესამე პირში, ეკუმშება აქაც; და თუ არ ეკუმშება, არც აქ შეეკუმშება. უღლების ნიმუშები·

მხ.	1.3	ვწერი	ვგრიხი	ვაქი	ვყვი	ვთალი
	2.3	სწერი	ჰგრიხი	აქი	ჰყვი	სთალი
	3.3	წერის	გრიხის	აქის	ყვის	თალის
მრ.	1.3	ვწერით	ვგრიხით	ვაქით	ვყვით	ვთალით
	2.3	სწერით	ჰგრიხით	აქით	ჰყვით	სთალით
	3.3	წერიან	გრიხიან	აქიან	ყვიან	თალიან

486. II კავშირებითი. ამ მწკრივის წარმოებას მჭიდრო კავშირი აქვს წყვეტილის წარმოებასთან. ის ზმნები, რომელთაც ნიშანი არა აქვთ წყვეტილში, ან თუ აქვთ, ნართაული **ი**, აქ ნიშნად მიიღებენ **ა**-ს (**ოფიანებს** გარდა), ყველა დანარჩენები კი (**ემიანებს** გარდა) მიიღებენ **ო**-ს, მათ შორის **ოფიანებიც**.

მესამე სუბ. პირის ნიშანია მხოლობითში **ს**, მრავლობითში **ნ** (შეკვეცილი **ენ**). უღლების ნიმუში:

მხ.	1.3	დავკლა	დავაბა	1.3.3	ვუძღვნა
	2.3	დაჰკლა	დააბა	2.3.3	უძღვნა
	3.3	დაკლას	დააბას	3.3.3	უძღვნას
მრ.	1.3	დავკლათ	დავაბათ	1.3.3	ვუძღვნათ
	2.3	დაჰკლათ	დააბათ	2.3.3	უძღვნათ
	3.3	დაკლან	დააბან	3.3.3	უძღვნან

მხ.	1.3 დავწერო	გავალო	გავათბო
	2.3 დასწერო	გალო	გაათბო
	3.3 დაწეროს	გაალოს	გაათბოს
მრ.	1.3 დავწეროთ	გავალოთ	გავათბოთ
	2.3 დასწეროთ	გაალოთ	გაათბოთ
	3.3 დაწერონ	გაალონ	გაათბონ

ერთად-ერთი მოქმ. გვარის ზმნა, რომელსაც II კავშირებითი **ე**ნით აქვს ნაწარმოები, არის ცემა (მი-, გა-, და- და სხვ.): მივსც**ე**, მისც**ე**, მისც**ე**ს.

III სერიის მწკრივები

487. ზოგადი. მოქმედებითი გვარის ზმნებს III სერიის ფორმებში ინვერსია ახასიათებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ობიექტურ-ნიშნიანი ფორმები სათანადო პირს სუბიექტად აჩენენ, სუბიექტურ-ნიშნიანები კი — სათანადო პირს ობიექტად წარმოგვიდგენენ (§§ 238—241).

მიუხედავად ამ საერთო მოვლენისა, მწკრივებს შორის განსხვავებაა:

ა) I თურმეობითს ერთნაირად აქვს ნაწარმოები ფორმები, II თურმეობითსა და III კავშირებითს კი — სხვანაირად.

ბ) I თურმეობითს მეშველი ზმნა უნდა 1-ლ და მე-2 პირში, ორ დანარჩენ მწკრივს კი — არა. მაგრამ ეს განსხვავება ახალი ქართულის კუთვნილებაა, ძველმა ქართულმა ის არ იცოდა.

გ) ერთი მწკრივის ფორმები ამ სერიისა — I თურმეობითისა — წარმოების თვალსაზრისით ს ა ს ხ ვ ი ს ო ქ ც ე ვ ა ს წარმოადგენს: და-მ-**ი**-წერია, და-**გ**-**ი**-წერია, და-**უ**-წერია. მიუხედავად ამისა, ფორმა დაცლილია ქცევის შინაარსისაგან საპირისპირო ფორმათა უქონლობის გამო (§ 403).

დ) ზმნის ფორმებს მოქმედებითი გვარის მნიშვნელობა აქვთ, რადგანაც მოიპოვება სათანადო კონვერსიული ფორმები პასივის გაგებით: ავუშენებივარ — აშენებულვარ, აუშენებიხარ — აშენებულხარ, აუშენებია — აშენებულა და მისთ.; მიუხედავად ამისა, მოქმ. გვარის ფორმათა წარმოებაც პასიურობას ამჟღავნებს: I თურმეობითის ფორმა წარმოების თვალსაზრისით უდრის სტატიკური ვნებითის აწმყოსას სასხვისო ქცევით, II თურმეობითისა — იმავე სტატიკური ვნებითის წყვეტილისას, ხოლო III კავშირებითისა — II კავშირებითისას, როგორც ამას შესადარებელი ტაბულა ცხადყოფს:

სტატიკური ვნებითი (მიწერია = დაწერილია ჩემსაში)		**მოქმედებითი** (მიწერია = თურმე ვწერე; დამიწერია = თურმე დავწერე)		
ცვალება ობიექტ. პირების მიხედვით		ცვალება სუბიექტური პირების მიხედვით		
აწმყო		**I თურმეობითი**		
			უსრული	სრული
მხ.	3.1 მიწერია	მხ.	1.3 მიწერია	და-მიწერია
	3.2 გიწერია		2.3 გიწერია	და-გიწერია
	3.3 უწერია		3.3 უწერია	და-უწერია
მრ.	3.1 გვიწერია	მრ.	1.3 გვიწერია	და-გვიწერია
	3.2 გიწერიათ		2.3 გიწერიათ	და-გიწერიათ
	3.3 უწერიათ		3.3 უწერია(თ)	და-უწერია(თ)

სტატიკური ვნებითი		მოქმედებითი		
წყვეტილი		II თურმეობითი		
			უსრული	სრული
მხ.	3.1 მეწერა	მხ.	1.3 მეწერა	და-მეწერა
	3.2 გეწერა		2.3 გეწერა	და-გეწერა
	3.3 ეწერა		3.3 ეწერა	და-ეწერა
მრ.	3.1 გვეწერა	მრ.	1.3 გვეწერა	და-გვეწერა
	3.2 გეწერათ		2.3 გეწერათ	და-გეწერათ
	3.3 ეწერათ		3.3 ეწერა(თ)	და-ეწერა(თ)
II კავშ.		III კავშირებითი		
მხ.	3.1 მეწეროს	მხ.	1.3 მეწეროს	და-მეწეროს
	3.2 გეწეროს		2.3 გეწეროს	და-გეწეროს
	3.3 ეწეროს		3.3 ეწეროს	და-ეწეროს
მრ.	3.1 გვეწეროს	მრ.	1.3 გვეწეროს	და-გვეწეროს
	3.2 გეწეროს		2.3 გეწეროს	და-გეწეროს
	3.3 ეწეროს		3.3 ეწეროს	და-ეწეროს

როგორც შედარებიდან ჩანს, მოქმედებითის ფორმები III სერიაში მთლიანად ემთხვევა სტატიკური ვნებითის ფორმებს. ეს იმას ნიშნავს, რომ წარმოშობით ისინი ერთნია. ოღონდ განსხვავება მათ შორის ის არის, რომ

ა) სტატიკური ვნებითის ფორმები შეიძლება გარკვეულ ფუძეთა მქონე ზმნებისაგან ვაწარმოოთ (§ 388), მოქმედებითის ფორმები III სერიისათვის კი ყოველგვარი ზმნისაგან შეიძლება ვაწარმოოთ, გარდა სათავისო- და სასხვისო-ქცევიანი ზმნებისა (§ 403).

ბ) სტატიკურ ფორმებში ობიექტურ-ნიშნიანი ფორმა ობიექტურ პირს აღნიშნავს, მოქმედებითისაში კი — სუბიექტურს (ფორმა ინვერსიულია და იმიტომ).

გ) სტატიკურ ზმნას ზმნისწინი არა აქვს, ამას კი შეიძლება ჰქონდეს, შეიძლება არა; თუ აქვს, ასპექტი სრულია, თუ არა, ასპექტი უსრულია.

488. I. თურმეობითი. მწკრივი ნაწარმოებია სტატიკური ვნებითის სასხვისო ქცევის ფორმით, მაგრამ ქცევის გაგება არა აქვს. იგი ეყრდნობა პირველი სერიის თემას, ან მეორისას. თუ ზმნა ამიანია ან ავიანი, თემის ნიშანი ჩვეულებრივ შენახულია ამა თუ იმ სახით, სხვა ტიპის ზმნებში კი ერთ-ერთ თემას (I სერიისას ან II-ისას) ერთვის სუფიქსი **ი** (ა-მი-შენებ-**ი**-ა; წა-მი-გ-**ი**-ა).

ეს **ი** სუფიქსი ნაშთია ძველი **ეე**-სი. მას მესამე პირის სუბ. პირის ნიშნები მოსდევდა: მხოლობითში **ს**, მრავლობითში **ან**, ან არადა რიცხვის ნიშანი **თ**; **ან** კვეცავდა **ე**-ს და რჩებოდა **ი**:

	(იგი)	(იგინი)	(თქუენ)
მხ.	1.3 დამიწერ-**იე**-ს	დამიწერ-**ი**-ან	1.2 დამიწერ-**იე**-თ
			(ჩუენ)
	2.3 დაგიწერ-**იე**-ს	დაგიწერ-**ი**-ან	2.1 დაგიწერ-**იე**-თ
	3.3 დაუწერ-**იე**-ს	დაუწერ-**ი**-ან	

ახალ ქართულში დაიკარგა რიცხობრივი გარჩევა და **იეს** და **იან**-ის ნაცვლად **ია** მივიღეთ: დამიწერ-**ია** (იგი, იგინი), სადაც ა შეიძლება „არს" ზმნის შეკვეცილ ფორმადაც იქნეს გაგებული, რადგანაც სხვა პირის ფორმებს მეშველი ზმნა გაუჩნდა: დავუწერი-**ვარ**, დაუწერი-**ხარ**, დაუწერი-ა (§ 390).

1. **პირველი სერიის თემას** იყენებენ:

ა) **ავ**იანი და **ამ**იანი ზმნები. ამ შემთხვევაში თემის ნიშანი (**ავ, ამ**) შეიძლება შენახულ იქნეს ძველებურად (მინახ-**ავ**-ს, დამიბ-**ამ**-ს), ოღონდ პირველსა და მეორე ობიექტურ პირში (წარმოშობით სუბიექტურში) უნდა დაერთოს მეშველი ზმნა (ვარ, ხარ, ვართ, ხართ), რაც ძველი ქართულისთვის უცნობი იყო.

		ძველი ქართ.	ახალი ქართ.	ახალი ქართ.
ობ. მხ.	3.1	(ჰ)უნახავ (*ჰვუნახავ)	ვუნახავ(ვ)არ	დავუბამვარ
	3.2	(ჰ)უნახავ	უნახავხარ	დაუბამხარ
	3.3	(ჰ)უნახავს	უნახავს	დაუბამს
ობ. მრ.	3.1	(ჰ)უნახავთ (*ჰვუნახავთ)	ვუნახავ(ვ)ართ	დაუბამვართ
	3.2	(ჰ)უნახავთ	უნახავხართ	დაუბამხართ
	3.3	(ჰ)უნახვან	უნახავს	დაუბამს

ავ და **ამ** მკვიდრია, როცა ობიექტად მესამე პირია, მაგრამ სხვა ობიექტურ პირებში სხვა ზმნების ანალოგიით აქაც ხდება **ი** სუფიქსზე გადასვლა: ვუნახივარ, უნახიხარ; დავუბივარ, დაუბია. შეიძლება შეგვხვდეს ნარევი ფორმაც — ვუნახვივარ: „რატომ ადრევ არ მინახვიხარ?" (ჭავ., 270, 25); „მას აქეთ აღარ მინახვიხართ" (ჭავ., 364, 37).

ანალოგიური წარმოება შეიძლება უფრო შორსაც წავიდეს და **ი**ნმა სულ შეცვალოს **ავ** და **ამ**: არ მინახ**ია**, არ გამილახ**ია**, არ დამიბ**ია**, **არ** მითქვ**ია** და მისთ.. „შენთვის დამილოცნია"! (ჭავ., 312, 9) [მოსალოდნელი იყო: „შენთვის დ ა მ ი ლ ო ც ა ვ ს"; შდრ. „მ ო მ ი ლ ო ც ა ვ ს შვილის ბედნიერება"! ჭავ., 375, 1].

ბ) **ხმოვან-მონაცვლე** ზმნები, რაც იქედან ჩანს, რომ I თურმეობითის ფორმები ფუძეში **ე**-ს გვიჩვენებენ და არა **ი**-ს: დამიგრეხია, დამიწვენია, გამიფენია, დამილევია, წამიქცევია და მისთ.

გ) **ი**-ნიანი ზმნები, რომელთაც თემის ნიშანი (**ი**) ეკვეცებათ მომდევნო **ი(ე)**-ს გავლენით: გამითლია (←*გამითლიიეს), გამიშლია და მისთ.

როგორც ვიცით, **ი**ნიან ზმნათაგან ზოგიერთს ფუძე ეკუმშება აწმყოში, წყვეტილში კი — არა (ვთლი, სთლი, თლის, მაგრამ: ვთალე, სთალე, თალა). ეს გვაფიქრებინებს, რომ **ი(ე)** სუფიქსი **ი**ნიან ზმნებს I სერიის თემაზე აქვთ დართული და არა მეორისაზე.

დ) **ებ**იან ზმნათა დიდი უმეტესობა, მათ შორის ყველა ნასახელარი და შუალობითი კონტაქტისანი: ვასახლებ — დამისახლებია, ვაბერებ — დამიბერებია, ვამტკიცებ — დამიმტკიცებია, ვაშავებ — დამიშავებია, ვაკერებ — დამიკერებია, ვაკვლევინებ — დამიკვლევინებია და მისთ.

2. **მეორე სერიის თემას იყენებენ:**

ა) **ებ**-იან ზმნათა უმცირესობა, — პირველადი ზმნები, რომელთაც უმარცვლო ფუძეები აქვთ (§ 483, 2, ბ): ვაქებ — მიქია, ვაღებ — გამიღია, ვაგდებ — დამიგდია, ვიწყებ — დამიწყია და მისთ.

ბ) **ემ**-იანი ზმნები: მივსცემ — მიმიცია, გამოვსცემ — გამომიცია და სხვ.

გ) **ოფ**იანი ზმნები: გავყოფ — გამიყვია, თითს ჩავყოფ — თითი ჩამიყვია და მისთ.

დ) **ობ**იანი ზმნები: ვათბობ — გამითბია, ვაწყობ — დამიწყვია, ვაცხობ — გამომიცხვია და მისთ.

საზოგადოდ, II სერიის თემას იყენებენ ისეთი ზმნები, რომელთაც წყვეტილის მესამე სუბ. პირში **ო** აქვთ, და **ც** ფუძის ზმნისწინ-დართული ზმნები.

ი(ე) სუფიქსს დაირთავენ აგრეთვე ერთ-თემიანი ზმნები: დამიწერია, გამიტეხია და მისთ., მაგრამ აქ აღარ დაისმის საკითხი იმის შესახებ, თუ რომელ თემას ერთვის **ი(ე)**.

ის გარემოება, რომ **იე** სუფიქსი მეორე სერიის ფუძესაც იყენებს, საეჭოდ ხდის იმ მოსაზრებას, თითქო I თურმეობითის საწარმოებლად საწყისი იყოს გამოსავალი, როგორც ამას ზოგიერთი ზმნა გვაფიქრებინებს: ვისვრი — სროლა — მისროლია („მისროლია ისარი“, რ. ერისთ.). [ითქმის აგრეთვე: მისვრია], ვასწავლი — სწავლება (=ძვ. ქ. სწავება) — მისწავლებია (ძვ. ქ. მისწავებიეს).

პირი		ობიექტური 1 (მე)	2 (შენ)	3 (იგი)	1 (ჩვენ)	2 (თქვენ)	3 (იგინი)	სუბ. პირის რიცხვი
სუბიექტური	1 (მე)		მიქიხარ	მიქია		მიქიხართ	*მიქია	მხოლობითი
	2 (შენ)	გიქივარ		გიქია	გიქივართ		*გიქია	
	3 (მას)	ვუქივარ	უქიხარ	უქია	ვუქივართ	უქიხართ	*უქია	
	1 (ჩვენ)		გვიქიხარ	გვიქია		გვიქიხართ	*გვიქია	მრავლობითი
	2 (თქვენ)	*გიქივარ		გიქიათ	გიქივართ		*გიქიათ	
	3 (მათ)	*ვუქივარ	*უქიხარ	უქიათ	ვუქივართ	უქიხართ	*უქიათ	
ობ. პირის რიცხვი		მხოლობითი			მრავლობითი			

ორ-პირიანი გარდამავალი ზმნა I თურმეობითში

მეშველ-ზმნიანი ფორმების მაგალითები: „ეგრე გ ა ვ უ ჩ ე ნ ი ვ ა რ ღმერთს“ (ვაჟ., 311, 4); „არაფერს დავუძლევივარ“ (ვაჟ., 387, 5); „შენ შენს ბედისწერას ა უ ტ ა ნ ი ხ ა რ“ (ვაჟ., 312, 23); „ხელში მჭერიხართ, მ ი თ ა მ ა- შ ე ბ ი ხ ა რ თ“ (ვაჟ., 363, 11—12).

489. II თურმეობითი. მწკრივი ნაწარმოებია როგორც სტატიკური ვნებითის წყვეტილი, ე. ი. ენით. ფორმა მთლიანად ემთხვევა დინამიკური ვნებითის ორ-პირიანი ზმნის წყვეტილს, ენით ნაწარმოებს, და იზიარებს ყველა მის თავისებურებას, სხვათა შორის, **ნ**არიანი ფორმების ხმარებას მრავლობითში, ოღონდ ინვერსიულად: თუ იქ **ნ** სუბიექტურ პირებშია, აქ იგი ობიექტურებში იქნება.

როგორიც უნდა ჰქონდეს ზმნას I-სა და II სერიაში დინამიკური ვნებითი, — პრეფიქსით (**ი**ნ-**ე**ნით), სუფიქსით (**დ**ონით), თუ უნიშნოდ, — სულ ერთია, II თურმეობითი მოქმ. გვარის ზმნას ყოველთვის ერთი მოდელით ექნება ნაწარმოები.

ფუძე და მწკრივის ნიშანი აქ იგივეა, რაც სტატიკური ვნებითისა წყვეტილში; ეს კი უდრის იმავე ფუძის პრეფიქსიან დინამიკურს, ხოლო პრეფიქსიანი ვნებითის ფორმათა წარმოება სავსებით ემთხვევა სათანადო ზმნის მოქმედებითისას. ამიტომ ზმნის ფუძე და მწკრივის ნიშანი მოქმ. გვარის ზმნისა II თურმეობითში იგივეა, რაც იმავე ზმნისა წყვეტილში, ოღონდ ინვერსიულად: რომელიმე სუბიექტური პირის წარმოება წყვეტილში უდრის იმავე პირის ობიექტურისას II თურმეობითში. მაგ., თუ მო-ვ-**კალ(ი)** 1-ლი სუბ. პირია წყვეტილში, მო-ვ-ე-**კალ(ი)** [ან მო-გ-ე-**კალ(ი)**] 1-ლი ობ. პირი იქნება II თურმეობითში, და თუ მო-**კლა** მე-3 სუბ. პირია წყვეტილში, აქ მო-ე-**კლა** (მომეკლა, მოგეკლა, მოეკლა, მოგვეკლა) მე-3 ობიექტური იქნება: „რომ მე მ ო ვ ე კ ა ლ და ან მე მ ო მ ე კ ლ ა" (ქავ., 322, 21).

ამიტომ, თუ წყვეტილის წარმოება ვიცით, ვიცით საზოგადოდ II თურმეობითის წარმოებაც, მხოლობითში მაინც, რადგანაც მრავლობითში ზოგიერთ თავისებურებას აქვს ადგილი:

ა) ჯერ ერთი: რიცხობრივი გარჩევა მე-3 პირის მრ. რიცხვში აღარ ხერხდება, რადგანაც ინვერსიის წყალობით სუბიექტური პირი ობიექტურად იქცა; მე-3 პირი პირდ. ობიექტისა კი ახალ ქართულში რიცხვს აღარ არჩევს საზოგადოდ.

ბ) მერმე: სუბიექტისთვის (წარმოშობით ირიბი ობიექტისთვის) ძველად არ ჰქონდა მნიშვნელობა, თუ რა რიცხვში იყო მე-2 და მე-3 პირის ფორმა; ამიტომ ჩვეულებრივი იყო ასეთი ფრაზა:

„მოჴვევს ძეთა ჩახრუხასძეთა ე ქ ო თამარი, მეფე წყლიანი". „ექო" და არა „ექოთ", როგორც ეხლა ვამბობთ, რადგანაც ახალ ქართულში „ექო" სუბ. პირისთვის მხოლობითია და არა საზიარო, ხოლო „ექოთ" იმავე სუბ. პირისთვის მრავლობითია: ექო — ექოთ. მსგავსივე დაპირისპირებაა დღეს რიცხვის მიხედვით მე-2 პირში: გ-ექო (შენ) — გ-ექო-თ (თქვენ). პირველ პირში კი რიცხობრივი გარჩევა სხვადასხვა პრეფიქსის ხმარებაზეა დამყარებული: **მ**-ექო **გვ**-ექო (§ 203).

გ) ეხლა კიდევ: ძველად მნიშვნელოვანი იყო, თუ რა რიცხვში იდგა პირდ. ობიექტი (გაფორმებით სუბიექტი), ამიტომ ზმნის მრავლობითში ჩვეულებრივი იყო **ნ**არიანი ფორმები (ფორმა ხომ ვნებითია წარმოშობით როგორც პირველად ჰ. შუხარდტმა აღნიშნა). ახალმა ქართულმა ასეთ რიცხობრივ გარჩევაზე აიღო ხელი და მრავლობითის ფორმები პირდაპირი

ობიექტისა მხოლობითისაგან აწარმოვა უშუალოდ სხვა ზმნათა ფორმაცვალების მიხედვით. მიუხედავად ამისა, ძველებური (ნარიანი) ფორმები შეიძლება ეხლაც შეგვხვდეს 1-ლ და მე-2 პირში. მაგალითი:

		ძვ. ქართ.	ახ. ქართ.	
ობ. მხ.	3.1	დავეკალ	დავეკალ(ი)	(=თურმე დამკლა)
	3.2	დაეკალ	დაეკალ(ი)	
	3.3	დაეკლა	დაეკლა	
ობ. მრ.	3.1	დავეკლენით	დავეკალით	დავეკლენით
	3.2	დაეკლენით	დაეკალით	დაეკლენით
	3.3	დაეკლნეს	დაეკლა(თ)	
ობ. მხ.	3.1	შთავეწერე	ჩავეწერე	(=თურმე ჩამწერა)
	3.2	შთაეწერე	ჩაეწერე	
	3.3	შთაეწერა	ჩაეწერა	
ობ. მრ.	3.1	შთავეწერენით	ჩავეწერეთ	ჩავეწერენით
	3.2	შთაეწერენით	ჩაეწერეთ	ჩაეწერენით
	3.3	შთაეწერნეს	ჩაეწერა(თ)	

პირი		ობიექტური 1 (მე)	ობიექტური 2 (შენ)	ობიექტური 3 (იგი)	ობიექტური 1 (ჩვენ)	ობიექტური 2 (თქვენ)	ობიექტური 3 (იგინი)	სუბ. პირის რიცხვი
სუბიექტური	1 (მე)		მექე	მექო		მექეთ (მექენით)	*მექო	მხოლობითი
სუბიექტური	2 (შენ)	გექე		გექო	გექეთ (გექენით)		*გექო	მხოლობითი
სუბიექტური	3 (მას)	ვექე	ექე	ექო	ვექეთ (ვექენით)	ექეთ (ექენით)	*ექო	მხოლობითი
სუბიექტური	1 (ჩვენ)		გვექე	გვექო		გვექეთ (გვექენით)	*გვექო	მრავლობითი
სუბიექტური	2 (თქვენ)	გექეთ		გექოთ	გექეთ (გექენით)		*გექოთ	მრავლობითი
სუბიექტური	3 (მათ)	*ვექე	*ექე	ექოთ	ვექეთ (ვექენით)	ექეთ (ექენით)	*ექო	მრავლობითი
ობ. პირის რიცხვი		მხოლობითი			მრავლობითი			

ორ-პირიანი, გარდამავალი ზმნა II თურმეობითში

490. III კავშირებითი. წარმოების თვალსაზრისით III კავშირებითი სრულ დაკავშირებულია II კავშირებითთან. როგორც II თურმეობითი წყვე-

ტილთან. რადგანაც II თურმეობითის წარმოება ვრცლად არის მოთხრობილი, ამიტომ აქ მოკლედ მოვჭრით.

თემა და მწკრივის ნიშანი III კავშირებითში იგივეა, რაც II კავშირებითში, ოღონდ სუბიექტ-ობიექტური პირების შექცევით. კერძოდ მწკრივის ნიშანია **ა** ან **ო** (გამონაკლისია „ც-ემა“ ფუძის ზმნები: მიცემა, გაცემა და სხვ., რომელთაც **ე** მოუდის). უღლების ნიმუში:

მხ.	1.3	დამეკლას	დამეწეროს	მიმეცეს
	2.3	დაგეკლას	დაგეწეროს	მიგეცეს
	3.3	დაეკლას	დაეწეროს	მიეცეს
მრ.	1.3	დაგვეკლას	დაგვეწეროს	მიგვეცეს
	2.3	დაგეკლას(თ)	დაგეწეროს(თ)	მიგეცეს(თ)
	3.3	დაეკლას(თ)	დაეწეროს(თ)	მიეცეს(თ)

მრ. რიცხვის მეორე და მესამე პირში შესაძლებელია **თ**-ს წინ **ს** დაიკარგოს და მივიღოთ ფორმები: დაგეკლათ, დაეკლათ; დაგეწეროთ, დაეწეროთ; მიგეცეთ, მიეცეთ.

ობიექტური პირების მრავლ. რიცხვში არქაული (**ნარიანი**) ფორმები შეიძლება აქაც შეგვხვდეს (მწკრივის ნიშანი ამ შემთხვევაში იცვლება და **ა**ნისა და **ო**ნის ნაცვლად **ე** ჩნდება: დავეწერნეთ, დაეწერნეთ, დაეწერნენ), მაგრამ ჩვეულებრივ ფორმები გამარტივებულია და მხოლობითის ფუძე მრავლობითშიც არის გადატანილი:

	მხოლ.	მრავლ.
3.1	დავეწერო	დავეწეროთ
3.2	დაეწერო	დაეწეროთ
3.3	დაეწეროს	დაეწეროს(თ)

491. მოკლე და გრძელი ფორმები ორ მწკრივში. **ე**ბიანი ზმნების უმეტესობას ორი მწკრივის ფორმები III სერიიდან — II თურმეობითისა და III კავშირებითისა — ორგვარად აქვს ნაწარმოები: მაგ., „გაკეთება“ და „დამუშავება“ აქ უნდა გვაძლევდნენ და გვაძლევენ კიდეც ასეთ ფორმებს:

(1) გამეკეთა — გამეკეთოს; დამეშავა — დამეშა(ვ)ოს. მაგრამ მათ ნაცვლად უფრო მეტად ასეთები გვხვდება:

(2) გამეკეთებინა — გამეკეთებინოს; დამეშავებინა — დამეშავებინოს.

მეორე ფორმა მეტია პირველზე **ებინ**-ით:

გამეკეთ**(ებინ)**ა, დამეშავ**(ებინ)**ა

დავარქვათ პირველი ტიპის ფორმებს („გამეკეთა — გამეკეთოს“ ტიპისას) მოკლე და მეორისას („გამეკეთებინა — გამეკეთებინოს“ ტიპისას) — გრძელი.

გარეგნულად ისე ჩანს, თითქო გრძელი ფორმა შუალობითი კონტაქტის ფორმააო, მაგრამ შუალობითი კონტაქტის ზმნებს კიდევ სხვა **ებინ** ემატება: გამეკეთ-**ებინ-ებინ-ა** — გამეკეთ-**ებინ-ებინ-ო**ს. ასე რომ ნამდვილად აქ რაღაც სხვა ვითარებაა.

გრძელი ფორმების წარმოშობის საფუძველი ეს არის: **ე**ბიან ზმნათა I თურმეობითის ფუძე განზოგადდა (იგულისხმება ის **ე**ბიანები, რომელთაც თემის

ნიშანი შენახული აქვთ I თურმეობითში) და ორ სხვა მწკრივშიც იქნა გადატანილი:

გამიკეთებია — გამეკეთებია — გამეკეთებიოს,
დამიშავებია — დამეშავებია — დამეშავებიოს და მისთ.

ამგვარი ფორმები ბევრ კილოშია დაცული, მაგრამ ზოგმა კილომ და მათი გავლენით სალიტერატურო ენამ **ნ** ჩაურთო კიდევ და ამგვარად მივიღეთ **ებინ**დართული („გრძელი“) ფორმები.

გრძელ ფორმებს იკეთებენ:

ა) უმეტესად ნასახელარი ზმნები, რომელთაც ვნებითი დონით აქვთ ნაწარმოები: დავაბერებ — დამებერებინა და მისთ.
ბ) ზმნათა ფუძეებისაგან ნაწარმოები ზმნები „ვაკერებ“ ტიპისა (ვკერავ — მეკერა, მაგრამ: ვაკერებ — მეკერებინა); ასეთი ზმნებია: ვაფარებ, ვაჭედებ, ვახედებ და სხვ. (§§ 442; 458, 3).
გ) შუალობითი კონტაქტის ზმნები: გამოვაცხობინებ — გამომეცხობინებინა და მისთ.

მოკლე ფორმების ხმარება ახასიათებს აღმოსავლურ კილოებს და იქედან გამოსული მწერლების ენას. აი რამდენიმე მაგალითი: „იმის ქალის გული *დაესაკუთრა* ქართველს, რომელსაც ნება-უნებლივ უნდა დაეშორებინა მშობლისთვის“ (ყაზ., «ელისო»); „ჩემს სახლს წინ სტუმარს არ გაუვლია, რომ არ *მომეპატიჟა*, საკლავი არ დამეკლა“ (იქვე); „რაც გზაზედ ხვდებოდა, უნდოდა *დაემორჩილა*, დაეპყრო“ («მამის მკვლ.»); „იაგოს ამჟამად სრულებით დაჰკარგოდა ეს ჩვეულებრივი მოლოდინი და გული ძგერისაგან ვეღარ *შეებორკილა*“ (იქვე); „არც ერთმა ჩერქეზმა ეს ენა რიგიანად არ იცოდა და, რაც იცოდნენ, ისიც მღელვარებას *გადაევიწყა*“ (იქვე, 375, 18); „იმის გამოსალმებას არა მცირედ *აეღელვა* და გული მოელბო“ (ყაზ., 178, 27); „თუ *დამეშაოს* მე რამე“ (ვაჟა, I, 301, 4). [შდრ.: „შენთვის რომ *დაეშავებინა* რამე, როგორც მეზობელი ვეცდებოდი მომერიგებინე“, ყაზ., 282, 23]; „გაეტიალა მგლის ჯოგსა“ (იქვე, 260, 21); „არც მისთვის თავშესაფარი, რომ *მოეტყუა* თვალია“ (იქვე, 264, 30).

„შევაფარებ“ ზმნა ასეთ ფორმებს გვაძლევს: თავს შევაფარებ, თავი შევაფარე, თავი შემიფარებია, თავი *შემეფარებინა*, თავი შემეფარებინოს. მაგრამ გვხვდება აგრეთვე მოკლე ფორმაც: „მრავალ საეჭვო სულიერებს შეეძლოთ შიშიანობის დროს იქ თავი შეეფარათ“ (ჭავ., 336, 2). „ბრძანება“ ზმნისაგან დღეს II თურმეობითი ჩვეულებრივ „ებრძანებინა“ არის, მაგრამ «ვეფხის ტყაოსანში» იკითხება (335):

„გაყვანად ხასნი მოვიდეს, მითხრეს მეფისა მცნებული;
ებძანა: შვილო ტარიელ, ნუ ხარ შავითა ღებული“

მოკლე ფორმების ხმარება შუალობითი კონტაქტის მქონე ზმნებისთვისაც შეგვიძლია დავიმოწმოთ ლიტერატურიდან:

შევატყობინებ — შემეტყობინა. „გარდასწყვიტა, რომ მთავრობისთვის *შეეტყობინა* აბრაგების ძაუგში ყოფნა“ (ყაზ., 378, 26); „ელოდდა მხოლოდ მახიას კაცს, რომელსაც დრო და ადგილი უნდა *შეეტყობინა*“ (ყაზ., 239).

ვაგრძნობინებ — მეგრძნობინა: „რომელთანაც ბედი თითქოს იმისთვის

აახლოვებდა იმას, რათა მემრე მომეტებულად ე გ რ ძ ნ ო ბ ი ნ ა დაშორების ძალა“ (ყაზ., 325, 27).

მოვახრევინებ — მომეხრევინა: „მშობლის უბედურებას დაემონებინა, თავი მ ო ე ხ რ ე ვ ი ნ ა ყმაწვილურის გატაცებისათვის“ (ყაზ., 178, 35).

492. ცდა განსხვავების დადგენისა. მოქმ. გვარის ზმნათა II თურმეობითის ფორმები ფორმობლივ პრეფიქსიანი ვნებითის ორპირიან ზმნათა წყვეტილს დაემთხვა; მაგ., „დაემალა“ პოლისემიური ფორმაა: ერთ შემთხვევაში ის ამას ნიშნავს: თურმე დამალა (დედას ბავშვი ლოგინში დ ა ე მ ა ლ ა=დედამ ბავშვი თ უ რ მ ე ლოგინში დ ა მ ა ლ ა), მეორე შემთხვევაში კი — ამას: დაიმალა, სხვამ არ დაინახოს (ბავშვი დედას ლოგინში დაემალა=ბავშვი ლოგინში დაიმალა, რომ დედას არ დაენახა). სხვა მაგალითი (ამოღებულია თ. ჟორდანიას გრამატიკიდან): „პატარძალს სუფრა გ ა ე შ ა ლ ა“ ამას უდრის: ა) პატარძალმა თურმე სუფრა გაშალა; ბ) პატარძლისთვის სუფრა იქნა გაშლილი; პატარძალს სუფრა გაუშალეს.

სხვა მაგალითი: „იაგო თორღას წამოეკიდა“. ფრაზიდან აშკარად არ ჩანს, თუ ვინ არის მოქმედი, იაგო თუ თორღა, მაშასადამე, არ ვიცით, რომელი მწკრივისაა ფორმა, წყვეტილისა, თუ II თურმეობითისა. თუ მოქმედად იაგოს ვიგულისხმებთ, გვარი ვნებითი იქნება და მწკრივი — წყვეტილი; ხოლო, თუ მოქმედად თორღას ვიგულისხმებთ, მაშინ გვარი მოქმედებითი იქნება და მწკრივი — II თურმეობითი (ინვერსიული ფორმაა=თურმე იაგო თორღამ წამოიკიდა). «მამის მკვლელში» ვკითხულობთ: „ისინი მივიდნენ იმ ადგილას და ჩქარა იპოვნეს გულ-შემოყრილი იაგო, რომელიც თორღას წამოეკიდა, და გასწიეს ჩქარის სიარულით თავის გზაზე“ (ყაზ., 267, 30—32). თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ თორღა მისულთა რიცხვშია („ისინი მივიდნენ“), მაშინ გამოდის, რომ გულ-შემოყრილი იაგო წამოჰკიდებია თორღას, მაშასადამე ფორმა ვნებითია და არა მოქმედებითი (როგორც წინათ მეგონა იაგოს გულშემოყრილობის გამო: ქართ. გრამ. I. მორფოლ., 1930, 159).

აი ასეთმა ორ-აზროვნობამ გამოიწვია საჭიროება, გარჩეულიყო ორი სხვადასხვა მწკრივისა და სხვადასხვა გვარის ფორმები. ენამ ამ შემთხვევაში სადიფერენციაციო საშუალებად **ნ** ინფიქსი გამოიყენა და მოქმედებითი გვარის ფორმებში გაატარა, თუმცა კი არა სისტემებრ და არა ყველა ტიპის ზმნაში.

მაგალითები ლიტერატურიდან: „ვერ გ ა ე ბ ე დ ნ ა“; „რომ ამ მოსულ კაცებს ხელი მ ო ე კ ი დ ნ ა თ ამ ქალისთვის“ (ყაზ., 147, 37); „თითქოს უნდოდა იმის გულიდგან ა მ ო ე კ ი თ ხ ნ ა ყოველი იმის სულის მოძრაობა“ (ყაზ., 172, 27); „გარდასწყვიტეს, რომ დ ა ე ც ა დ ნ ა თ იმისთვის და ჩამოსვლისთანავე მ ო ე ლ ა პ ა რ ა კ ნ ა თ იმასთან“ (ყაზ., 349,2—3); „გუგუა იქამდის გ ა ე ტ ა ც ნ ა ციკოსთან შეერთების სურვილს...“ (ყაზ., 127, 14); „შემთხვევით შეეძლოთ თავისი თავისთვის დ ე ე ძ ა ხ ნ ა თ სახელმწიფო თავისუფალი გლეხები“ (ყაზ., 210, 39); „იმან გარდასწყვიტა, რომ გ ა დ ა ე ხ ა დ ნ ა შიოლასათვის ამგვარი სიჯიუტე“ (ყაზ., 283, 3); „ვისაც გინდა შ ე ე ხ ე დ ნ ა ამ ქალისთვის, მაშინვე იტყოდა“ (ყაზ., 293, 15); „ან დ ა ე ჭ ი რ ნ ა და ან დ ა ე ხ ო ც ნ ა“ (ყაზ., 378, 26); „ერთხელ დილით დათიკოს დ ა ვ ე ძ ა ხ ნ ე“

(ქავ., 310, 37); „მკითხავს ვერ იშოვნიდნენ, რომ ეკითხნათ“ (ქავ., 343, 25).

შეიძლება შეგვხვდეს ერთსა და იმავე წინადადებაში ზმნები ზოგი **ნ**არით, ზოგი უ**ნ**აროდ: „რამდენიც უნდა ეთხოვათ, შენ არ უნდა გეპასუხნა“ (ყაზ., 132, 8); „მედუქნე ხომ არა ვარ, რომ მომეხარშა, კერძებად დამეწილადა და ისე გამეყიდნა“ (ყაზ., 230, 33); „იმ მოხევეებისაგან, რომელთაც დაეკარგათ უწინდელი სვინდისი და პატიოსნება, გარყვნილიყვნენ ახალი წყობილობისაგან და დაევიწყნათ ხალხთან ის დამოკიდებულება“ (ყაზ., 215, 27—28).

493. ჩართული ნარის ხმარების არის გაფართოება. ჩართული **ნ** პირველად II თურმეობითში უნდა გაჩენილიყო, მაგრამ შემდეგ იგი I თურმეობითშიც გადასულა. „გაყიდვა“ ზმნისგან I თურმეობითის ფორმაა „გამიყიდია“, მაგრამ გვხვდება **ნ**არ-ჩართული ფორმაც: „შინიდგან არა მიმაქვს რა, არა გამიყიდნია და არც შემიჭამია რა; ჩემი სარჩო-საბადებელი თქვენთვის დამილოცია“ (ყაზ., 196, 6—7). აქ საყურადღებოა, რომ **ნ** მარტო ერთ ზმნას აქვს, ორი დანარჩენი კი უ**ნ**არო ფორმებს გვაძლევს (შემიჭამია, დამილოცია). უკანასკნელი ზმნა ჩვეულებრივია **ნ**არითაც („დამილოცნია“, თუმცა წესით „დამილოცავს“ არის მოსალოდნელი). სხვა მაგალითები: „ვერ გაუბედნია“ (ყაზ., 133, 29); „თუ ველარ გაგიბედნია“ (178, 29), „სულისთვის ხორცი გაუწირნია“ (ჭავ., «განდეგ.»).

თურმეობითებში **ნ**არის ხმარებისთვის ხელი უნდა შეეწყო იმ **ი**ნიან ზმნებს, რომელთაც **ნ**არი აწმყოშიც აქვს: ვთოხნი, ვტკეპნი, ვკორტნი, ვკოცნი და სხვ., რადგანაც ამათ თურმეობითებში **ნ** აუცილებლად გადაჰყვებათ: გაუთოხნია, გაეთოხნა. ამ თვალსაზრისით ამავე ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს „პოვნა“ ზმნაც: უპოვნია, ეპოვნა.

ვნებითი გვარი

Ⴀ. დინამიკური ვნებითი

494. ზოგადი. დინამიკური ვნებითის ფორმათა წარმოების შესახებ წინასწარ უნდა აღვნიშნოთ შემდეგი:

1. სავრცობად დინამიკური ვნებითის ზმნებს მოუდის **ოდ**. **ოდ**-სავრცობიანი ზმნები საზოგადოდ (და კერძოდ ვნებითი გვარისა) ძველ ქართულში სამ მწკრივს სხვაგვარად აწარმოებდა, ვიდრე **დ**-სავრცობიანები და, მათ შორის, მოქმ. გვარის ზმნები; სახელდობრ: **ოდ**-იანებს მწკრივის ნიშნად უწყვეტელსა და I ბრძანებითში **ე** ჰქონდა (ვიქებოდ-**ე**; იქებოდ-**ე**!), I კავშირებითში კი — **ი** (ვიქებოდ-**ი**). I ბრძანებითი ახალ ქართულში აღარ არის, I კავშირებითი კი ორად გაიყო (აწმყოს კავშირებითად და მყოფადის კავშირებითად (§§ 336, 479, 482. 495), რომელთაც ერთნაირი წარმოება აქვთ. ის თავისებურება კი, რომელიც ვნებითი გვარის ზმნას ახასიათებდა სავრცობიან მწკრივებში, კაი ხა**ნ**ია მოიშალა და ამ მხრივ ვნებითი გვარის ზმნა სავსებით გაუთანაბრდა მოქმედებითისას (გათანაბრების პროცესი უკვე XII საუკუნეში ჩანს დამთავრებული). ამიტომ მწკრივის ნიშნები ვნებითი გვარის ზმნას იგივე აქვს, ერთი მხრით,

უწყვეტელსა და მისგან გამოყოფილს I ხოლმეობითში, ხოლო, მეორე მხრით, ორსავე კავშირებითში (აწმყოს კავშ.-სა და მყოფადისაში), რაც მოქმედებითისას იმავე მწკრივებში.

სამაგიეროდ ვნებითი გვარის ზმნამ ერთი თავისებურება განივითარა, რომელიც ძველად უცნობი იყო: აწმყოსა და მყოფადის მწკრივში **ის** დაბოლოება (რომელიც ერთად ორ ნიშანს შეიცავს.— მწკრივისას და მესამე სუბ. პირისას: **ი-ს**) ა-დ გადაიკეთა ზოგიერთი გამონაკლისის გარდა:

ძვ. ქართული	ახ. ქართული
იტანჯებ-ი-ს	იტანჯებ-**ა**
დაირღუევ-**ი-ს**	დაირღვევ-**ა**
მიეცემ-**ი-ს**	მიეცემ-**ა**
გაიყოფ-**ი-ს**	გაიყოფ-**ა**
განტყდებ-**ი-ს**	გატყდებ-**ა** და მისთ.

2. ყველა ტიპის ვნებითი (პრეფიქსიანი, სუფიქსიანი, უნიშნო) ერთნაირად აწარმოებს მწკრივის ფორმებს I-სა და III სერიაში. რაც შეეხება II სერიის მწკრივებს, აქ პრეფიქსიანი ვნებითი ერთ ვითარებას გვიჩვენებს, სუფიქსიანი და უნიშნო — სხვას.

3. თუ III სერიაში მოქმ. გვარის სამ-პირიანი ზმნაცა და ორ-პირიანიც ერთნაირად იკეთებენ ფორმებს (სამ-პირიანი ზმნა ამ სერიაში ერთ პირს კარგავს და ორ-პირიანს უთანაბრდება), ვნებითში ერთ-პირიან ზმნას თავისი წარმოება აქვს და ორ-პირიანს — თავისი; მაგალითი:

I სერია	II სერია	III სერია	
გაიზრდება	გაიზარდა	**გაზრდილა**	(1-პირ.)
გაეზრდება	გაეზარდა	**გაჰზრდია**	(2-პირ.)
დაბერდება	დაბერდა	**დაბერებულა**	(1-პირ.)
დაუბერდება	დაუბერდა	**დაჰბერებია**	(2-პირ.)

თქმულის მიხედვით ცხადია, რომ I სერიაში ყველა ტიპის ვნებითი ერთად უნდა განვიხილოთ, II სერიაში ცალკე უნდა ვიმსჯელოთ პრეფიქსიანი ვნებითისა და ცალკე — დანარჩენების შესახებ; III სერიაში კი ყურადღება უნდა მიექცეს არა ტიპებს, არამედ პირთა რაოდენობას და ცალკ-ცალკე განვიხილოთ ერთ-პირიანები და ორ-პირიანები.

ამას გარდა, შეიძლება ზედმეტი არ იყოს მოვიგონოთ, რომ არის რიგი ზმნებისა, რომელთაც ფორმა ვნებითისა აქვთ, მაგრამ სათანადო მოქმედებითი აკლიათ (§ 378); ასეთებია, მაგ.: ვკვდები, ვვარდები, ვწყრები, ვჯდები, ვსხდებით, ვერევი და სხვ.

I სერიის მწკრივები

495. აწმყო და მყოფადი. მწკრივი, რომელსაც დინამიკური ვნებითი განსხვავებულად აწარმოებს მოქმედებითისაგან, ეს არის აწმყო და, შესაფერისად, მყოფადი, რომლებიც წარმოების თვალსაზრისით ერთნია, რადგანაც ისინი ძველი აწმყოს ორად დაშლის შედეგად არის მიღებული.

მწკრივის ნიშანია (აწმყოსიც, მყოფადისაც) **ი**, რომელიც ერთვის უმეტესად ვნებითის თემის ნიშანს **ებ-ს**. ეს **ი** და მასთან ერთად მესამე სუბ. პირის ნიშანი **ს (ი-ს)** ახალ ქართულში **ა**-მ შეცვალა (§ 494). ამიტომ მწკრივის ნიშანი ყველა ფორმაში მოიპოვება, გარდა მესამე სუბ. პირის მხ. რიცხვისა. რაკი მწკრივის ნიშანია **ი**, მესამე პირის ნიშანი მრ. რიცხვში **ან** იქნება საერთო წესის თანახმად.

უღლების ნიმუში:

მხ.	1	ვიმალები	ვბერდები	ვთბები
	2	იმალები	ჰბერდები	სთბები
	3	იმალება	ბერდება	თბება
მრ.	1	ვიმალებით	ვბერდებით	ვთბებით
	2	იმალებით	ჰბერდებით	სთბებით
	3	იმალებიან	ბერდებიან	თბებიან

მოყვანილი ფორმები ერთ-პირიანია. ორპირიანად რომ გადავაკეთოთ, ცვლილება ზმნას თავში მოუვა, მწკრივის წარმოება კი უცვლელი დარჩება: ვემალები, ვუბერდები, ვუთბები.

მწკრივის ნიშანი **ი** მე-3 პირში თითო-ოროლა ზმნაშია შემონახული, სახელდობრ ისეთებში, რომლებიც **ებ**-ს არ დაირთავენ: იწვის („თუ პილპილი არ გიჭამია, პირი რად გეწვისო", ანდ.), ისმის, ითქმის, ერთვის, იძვრის (←*იძრვის), ერწყმის, მიილტვის (←*მიივლტის), ელის, გულს მერჩის და მისთ.. მაგრამ შეიძლება მათ (ყველას თუ არა, ზოგს მაინც) დაერთოს **ებ** და მაშინ მწკრივის ნიშანი მესამე სუბ. პირში დაიკარგება საერთო წესის თანახმად: იწვება, წარმოითქმება, ერწყმება. სრული ასპექტის საწარმოებლად უფრო **ები**ანი ფორმებია ხმარებული: დაიწვება, შეირწყმება, დაიძვრება და მისთ. „ისმის" უასპექტოა და მყოფადის წრის ფორმებს ვერ აწარმოებს: „ისმის" და „გაისმის" ორივე აწმყოა.

496. სავრცობიანი მწკრივები. სავრცობიანი მწკრივები, — თუ თვით სავრცობის სახეს არ მივაქცევთ ყურადღებას, — ვნებითს ახალ ქართულში იმგვარადვე აქვს ნაწარმოები, როგორც მოქმედებითს; მაგალითი:

უწყვ.	ვიმალებოდი	ვბერდებოდი	ვთბებოდი
I ხოლმ.	დავიმალებოდი	დავბერდებოდი	გავთბებოდი
აწმყ. კავშ.	ვიმალებოდე	ვბერდებოდე	ვთბებოდე
მყოფ. კავშ.	დავიმალებოდე	დავბერდებოდე	გავთბებოდე

ერთი ფონეტიკური მოვლენა უნდა აღინიშნოს მაინც: ევიან ზმნებს **ვ** ეკარგებათ ამ მწკრივებში მომდევნო **ო**ნის გამო:

უწყვ.	ვილე(ვ)ოდი	**აწმყ. კავშ.**	ვილე(ვ)ოდე
I ხოლმ.	დავილე(ვ)ოდი	**მყოფ. კავშ.**	დავილე(ვ)ოდე

II სერიის მწკრივები

პრეფიქსიანი ვნებითი

497. ზოგადი. როგორც ვიცით, ვნებითი კონვერსიული სახეა მოქმედებითისა და აქტივის სამ-პირიანი ფორმა პასივში ორ-პირიანი ხდება, ხოლო აქტივის ორ-პირიანი პასივში ერთ-პირიანია. ისიც ვიცით, რომ ძველად II სერიის მწკრივებში საზოგადოდ მოქმედ. გვარის ზმნას ორ-ორი ფორმა ჰქონდა თვითეულ სუბ. პირში, რაც პირდ.-ობიექტური პირის რიცხვის გამოხატვასთან იყო დაკავშირებული: თუ პირდ. ობიექტი **ნარიან** მრავლობითში იდგა, ზმნაში სათანადო პირი **(ე)ნ** ინფიქსს გვიჩვენებდა (§ 483, ბოლო). პირდ.-ობიექტური მოქმედებითისა ვნებითში სუბიექტური ხდება და ფორმებსაც ამის კვალობაზე იკეთებდა: პირდ.-ობიექტურ პირს მხ. რიცხვისას აქტივში ინფიქსი არა ჰქონდა, არა ჰქონდა იგი არც სუბიექტურს პასივში; სამაგიეროდ პირდ.-ობიექტურ პირს მრ. რიცხვისას აქტივში ინფიქსი ჰქონდა და ეს ინფიქსი მეორდებოდა პასივშიც (§ 418), რადგანაც პასივი მრავლობითში ფუძედ აქტივის ინფიქსიან ფორმას იყენებდა; მაგალითი:

მოქმედებითი (ცვალება პირდ.-ობ. პირების მიხედვით)			**ვნებითი** (ცვალება სუბ. პირების მიხედვით)		
პ. ობ. მხ.	3.3.1	წარმკიდეს ძმასა	სუბ. მხ.	1.3	წარვეკიდე ძმასა
	3.3.2	წარგკიდეს „		2.3	წარეკიდე „
	3.3.3	წარჰკიდეს „		3.3	წარეკიდა „
პ. ობ. მრ.	3.3.1	წარმკიდ**ნ**ეს „ (წარგუკიდ**ნ**ეს „	სუბ. მრ.	1.3	წარვეკიდ**ენ**ით „
	3.3.2	წარგკიდ**ნ**ეს „		2.3	წარეკიდ**ენ**ით „
	3.3.3	წარჰკიდ**ნ**ეს „		2.3	წარეკიდ**ნ**ეს „

მოქმედებითში სუბიექტურ პირად მოყვანილ მაგალითში მესამე მრავლობითისა ავიღეთ. იგივე ვითარება იქნებოდა, რომ აგვეღო მესამე მხოლობითისა ან მეორე, და იმ რიცხვში, რომელიც გნებავთ: წარმკიდა — წარმკიდ**ნ**ა; წარგკიდა — წარგკიდ**ნ**ა, წარჰკიდა — წარჰკიდ**ნ**ა; წარმკიდე — წარმკიდ**ენ**, წარმკიდეთ — წარმკიდ**ენ**ით. არსებითად იმავე სურათს მივიღებდით, რომ პირდ.-ობიექტურ პირად მეორე ყოფილიყო ან მესამე. ერთი სიტყვით, როგორი კომბინაციაც უნდა იყოს სუბიექტურისა და პირდაპირ-ობიექტური პირებისა, ინფიქსიანი ფორმა მხოლოდ მაშინ იქნება, როცა პირდ.-ობიექტური პირი მრავლობითი რიცხვისა არის. ამის შესაბამისად ვნებითში ინფიქსიანი ვნებითის ფორმა მხოლოდ სუბ. პირის მრავლობითში იჩენს თავს.

მაგალითი წყვეტილის ფორმებით იყო ნაჩვენები და სამ-პირიან ზმნაზე. იგივე ვითარება ექნება ამავე ზმნას (და მასთან ერთად ყველა სამ-პირიანს) II სერიის სხვა მწკრივებშიც.

საქმის ვითარება არც მაშინ შეიცვლება, თუ სამ-პირიანის ნაცვლად ავიღებთ ორ-პირიან მოქმედებითს, რომელიც ვნებითად მოქცევისას ერთპირიანი გახდება.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. თქმული ეხება მხოლოდ პრეფიქსიან ვნებითს. რაც შეეხება სუფიქსიანსა და უნიშნოს, მათ წარმოებას არა აქვს პირდაპირი

კავშირი მოქმედებითთან და ინფიქსის ხმარებას მრავლობითში არ იმეორებენ.

ახალმა ქართულმა, — თუ ანგარიშს არ გავუწევთ მთის კილოებს და ვაჟა-ფშაველას პოემებისა და ლექსების ენას, — ინფიქსიან ფორმებზე ხელი აიღო მოქმედებითში (§ 483, ბოლო), მაგრამ ვნებითში ინფიქსიანი წარმოება ეხლაც ძალაშია აღმოსავლურ კილოებსა და სალიტერატურო ქართულში. მართალია, ეს ძალა ძალზე შესუსტებულია და უინფიქსო წარმოება თანდათან უფრო მეტ გასაქანს პოულობს, მაგრამ ინფიქსიანსაც რამდენადმე თავისი ადგილი დღესაც შერჩენილი აქვს.

უთემისნიშნო ზმნებს წყვეტილის 1-ლსა და მე-2 პირში (შესაბამისად აგრეთვე ბრძანებითის მე-2 პირშიც), ინფიქსად მოუდიოდა **ენ**, რომლის ხმოვანი სხვა ფორმებში ყველგან იკარგებოდა მომდევნო ხმოვნის გავლენით; მაგალითად: ვიყვ-**ენ**-ით, იყვ-**ენ**-ით, მაგრამ: იყვ-**ნ**-ეს; ვიყვ-**ნ**-ეთ, იყვ-**ნ**-ენ; გავეკრ-**ენ**-ით, გაეკრ-**ენ**-ით, მაგრამ: გაეკრ-**ნ**-ეს, გავეკრ-**ნ**-ეთ, გაეკრ-**ნ**-ენ და მისთ.

რაც შეეხება მწკრივთა წარმოების საკითხს, უნდა ვთქვათ, რომ პრეფიქსიანი ვნებითი გვარის **ზმნა** იმეორებს სათანადო მოქმ. გვარის ზმნის ფორმას ამა თუ იმ მწკრივში, ოღონდ სუბიექტურ-ობიექტური პირების შექცევით: რომელიმე სუბიექტური პირის ფორმა ვნებითი ზმნისა ისეა გაკეთებული, როგორც იგივე პირი საპირისპირო მოქმედებითისა; მაგრამ ეს მხოლობითში. რაც შეეხება მრავლობითს, აქ ინფიქსის ხმარების გამო რამდენადმე განსხვავებაა. განსხვავებას ქმნის აგრეთვე თვით სუბ. ნიშანი მე-3 პირისა მრ. რიცხვში.

მაგალითი:

	მოქმედებითი			ვნებითი	
	წყვეტილი	II კავშ.		წყვეტილი	II კავშ.
მხ.	1.3.3 გავაკ**არ**(ი)	გავაკ**რა**	1.3	გავე**კარ**(ი)	**გავეკრა**
	2.3.3 გააკარ(ი)	გააკრა	2.3	გაეკარ(ი)	გაეკრა
	3.3.3 **გააკრა**	გააკრას	3.3	გაეკრა	გაეკრას
მრ.	1.3.3 გავაკარით	გავაკრათ	1.3	გავეკარით	გავეკრათ
	2.3.3 გააკარით	გააკრათ	2.3	გაეკარით	გაეკრათ
	3.3.3 გააკრეს	გააკრან	3.3	გაეკრნენ	გაეკრნენ

498. წყვეტილი. გარდა იმისა, რომ ახალ ქართულში დაიწყო ვნებითის ინფიქსიანი ფორმების რღვევა მრავლობითში და ამის პარალელურად მხოლობითის ფუძე გადატანილ იქნა მრავლობითში, ახალმა ქართულმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა წინ: წყვეტილის მრავლ. რიცხვის ნიშანი მესამე სუბ. პირში **(ეს)** ვნებითი გვარის ზმნებს შეუცვალა **ენ** ნიშნით და მივიღეთ **ნ-ეს**-ის ნაცვლად **ნ-ენ;** მაგ., დაიმალ**ნეს**→დაიმალ**ნენ,** წარიკიდ**ნეს**→წაიკიდ**ნენ** და

მისთ.. ამის გამო წყვეტილის ფორმა მესამე სუბ. პირისა მრავლ რიცხვში II კავშირებითისას დაემსგავსა (§ 506).

უღლების მაგალითები:

მხ.	1.3 გავეკარ(ი)	წავეკიდე
	2.3 გაეკარ(ი)	წაეკიდე
	3.3 გაეკრა	წაეკიდა
მრ.	1.3. გავეკრენით, გავეკარით	წავეკიდენით, წავეკიდეთ
	2.3 გაეკრენით, გაეკარით	წაეკიდენით, წაეკიდეთ
	3.3 გაეკრნენ	წაეკიდნენ
მხ.	1 დავიმალე	1.3 დავემალე
	2 დაიმალე	2.3 დაემალე
	3 დაიმალა	3.3 დაემალა
მრ.	1 დავიმალენით, დავიმალეთ	1.3 დავემალენით, დავემალეთ
	2 დაიმალენით, დაიმალეთ	2.3 დაემალენით, დაემალეთ
	3 დაიმალნენ	3.3 დაემალნენ

უინფიქსო წარმოება, როგორც უფრო მარტივი და ადვილი, თანდათან მაგრად იკიდებს ფეხს სალიტერატურო ენაში, მაგრამ ეს კია, რომ მესამე პირში ინფიქსიანი ფორმა მაინც მკვიდრია, ოღონდ იგი განმარტოებით რჩება, რადგანაც სხვა პირებში უფრო მეტად ანალოგიური წარმოებაა გატარებული.

499. II ბრძანებითი. ამ მწკრივის წარმოება სავსებით ანალოგიურია წყვეტილისა:

მხოლობითი	მრავლობითი
2.3 გაეკარ(ი)	2.3 გაეკრენით, გაეკარით
" წაეკიდე	" წაეკიდენით, წაეკიდეთ
2 დაიმალე	2 დაიმალენით, დაიმალეთ
———	2.1 დამემალენით, დამემალეთ

500. II ხოლმეობითი. თავისებურება არაფერია აღსანიშნავი. უღლების მაგალითები:

მხ.	1 დავიმალი	1.3 გავეკრი
	2 დაიმალი	2.3 გაეკრი
	3 დაიმალის	3.3 გაეკრის
მრ.	1 დავიმალნით, დავიმალით	1.3 გავეკრნით, გავეკრით
	2 დაიმალნით, დაიმალით	2.3 გაეკრნით, გაეკრით
	3 დაიმალნიან	3.3 გაეკრნიან

501. II კავშირებითი. ნ ინფიქსის ხმარება მრავლობითში ერთ ცვლილებას იწვევს, რომელიც ახასიათებდა ძველ ქართულს და ახასიათებს ახალ ქარ-

თულსაც, რამდენადაც ძველი წარმოება დღესაც ხმარებაშია: როგორიც უნდა იყოს მწკრივის ნიშანი მხოლობითში (**ა**, თუ **ო**), სულ ერთია, მრავლობითში, **ნ** ინფიქსის ხმარების შემთხვევაში, ეს ნიშანი **ე**-დ შეიცვლება; მაგალითები:

მხ.	1.პ გავეკრა	წავეკიდო
	2.პ გაეკრა	წაეკიდო
	3.პ გაეკრას	წაეკიდოს
მრ.	1.პ გავეკრნეთ, გავეკრათ	წავეკიდნეთ, წავეკიდოთ
	2.პ გაეკრნეთ, გაეკრათ	წაეკიდნეთ, წაეკიდოთ
	3.პ გაეკრნენ	წაეკიდნენ

თქმულის თანახმად, „ვესწრები“ ზმნა (დავესწარ, შევესწარ) ამ მწკრივში **ა**-ს მოგვცემს მხოლობითში: შევესწრა („ნეტაი კი იმ ბედნიერ დღეს შევესწრა“, ჭავ., 368, 30), მრავლობითში კი ეს **ა** იმ შემთხვევაში დარჩება (ისიც 1-ლსა და მე-2 პირში), თუ წარმოება ახალია (შევესწრათ, შეესწრათ), მაგრამ ძველი წარმოების თანახმად **ე**-დ გადაკეთდება:

შევესწრნეთ, შეესწრნეთ, შეესწრნენ.

ევიან ზმნებს აღუდგებათ დაკარგული **ვ** ინფიქსიან მრავლობითში; მაგალითი:

	მხოლ.	მრავლ.
1.პ	დავეწიო	დავეწივნეთ
2.პ	დაეწიო	დაეწივნეთ
3.პ	დაეწიოს	დაეწივნენ

ერთად-ერთი ფუძე, რომლისაგან ნაწარმოები ზმნა ამ მწკრივში მხოლობითშიც **ე**-ს მიიღებს ნიშნად, არის **ც**, რომელიც **და** ზმნისწინით შემდეგ ფორმებს გვაძლევს (ზმნას ერთი პირის გაგებაც აქვს, მაგრამ ფორმას ორ-პირიანისას ინარჩუნებს):

	მხოლ.		მრავლობითი
1.პ	დავეცე	1.პ	დავეცნეთ დავეცეთ
2.პ	დაეცე	2.პ	დაეცნეთ დაეცეთ
3.პ	დაეცეს	3პ.	დაეცნენ

„ქმნა“ ზმნა ძველად II კავშირებითის ფორმებს აქტიურად (იმის გამო, რომ მესამე თანხმოვანი **ნ** იყო) **ე**ნით აწარმოებდა მხოლობითშიც: ვქმნ-**ე**, ჰქმნ-**ე**, ქმნ-**ე**-ს და შემდგომი („რომელი საქმე ვქმნე“, მარკ. 10, 17; „ვქმნეთ აქა სამ ტალავარ“, მათ. 17,4). ახალმა ქართულმა **ე**ნის ნაცვლად **ა** გაატარა მოქმედებითში („რ ა ქ ნ ა ს კარგმა მონარდემა, დროზე შაში თუ არ მოვა“, ანდ.), მაგრამ ვნებითში ისევ ძველი წარმოება დარჩა: ვიქნე, იქნე, იქნეს და შემდგომი (**მ**ანის ამოღებით), თუმცა არის მიდრეკილება, რომ ვნებითიც მოქმედებითს გაჰყვეს საერთო წესის თანახმად: ვიქნა, იქნა, იქნას.

„ვიქნე“ ზმნის ფორმათა გავლენა „ვიყო“ ზმნას გადაედო მხ. რიცხვის ფორმებში ზოგ აღმოს. კილოში: ვიყვე, იყვე, იყვეს (ნაცვლად ამისა: ვიყო,

იყო, იყოს), მაგრამ სალიტერატურო ენა ამას გაურბის. ამ ზმნის მრავლობითის 1-ლსა და მე-2 პირში ორივე წარმოება ხმარებაში, ძველიც და ახალიც:

	მხოლ.	მრავლობითი	
1	ვიყო	ვიყვნეთ	ვიყოთ
2	იყო	იყვნეთ	იყოთ
3	იყოს	იყვნენ	

ორიოდე მაგალითი ინფიქსიანი ფორმების ხმარებისა ლიტერატურიდან: „დავკოცნეთ ერთმანეთი და გავიყარენით (ჭავ., 296, 5); „იმისი სიყვარული ჩემს გულს იმორჩილებდა იმ დრომდინ, მანამ მე და ის ერთს გზაზედ ერთმანეთს არ გადავეხარიხენით“ (იქვე, 297, 22); „რაისთვი უნდა შევეხოცნეთ ერთურთს?“ (ყაზ., 144, 39); „და ახლა გინდათ ჩვენ კი შეველივნეთ“? (ყაზ., 257,9); „აგერ იმ კლდეს ამოვეფარნეთ“ (იქვე 265, 5); „ვიყვნეთ თუ არა“? (ყაზ., 348, 19); „მეც მიგემებავ იგი რძე, რითაც თქვენ დაიზარდენით: თქვენავე გარგებსთ, დობილნო, თუ უხვად დაიხარჯენით“ (ვაჟა, «ბახტრ.»): „აიყარენით, აიყარენით, თორემ სულ ერთიანად ამოგმუსრავთ“ (ლომ., «ალი»); „გადავსახლდით, მაგრამ ახალ და ახალ უბედურებათ მაინც კიდევ ვერ დავემალენით“ (იქვე).

სუფიქსიანი და უნიშნო ვნებითი

502. წყვეტილი. მწკრივის ნიშნად ორივე ტიპის ზმნას **ი** აქვს ახალ ქართულში. ეს **ი**, თუ ისტორიულად განვიხილავთ მას, არსებითად ნართაული ხმოვანია, მაგრამ ის მკვიდრად შესულია ზმნის სისტემაში და მწკრივის ნიშნად არის ქცეული, თუმცა მხოლოდ 1-ლსა და მე-2 პირში.

მესამე სუბ. პირის ნიშანია მხოლობითში **ა**, მრავლობითში— **ნენ,** რომელმაც შეცვალა ძველი **ეს** (§ 506). მაგალითი:

მხ. 1	დავბერდი	გავთბი
2	დაჰბერდი	გასთბი
3	დაბერდა	გათბა
მრ. 1	დავბერდით	გავთბით
2	დაჰბერდით	გასთბით
3	დაბერდნენ	გათბნენ

503. II ბრძანებითი. წარმოება წყვეტილისებრია:

	მხოლ.	მრავლ.
2.	დაბერდი	დაბერდით
„	გათბი	გათბით

504. II ხოლმეობითი. მწკრივის ნიშანი **ი** არის (როგორც მოქმ. გვარის ზმნებში). თუ წყვეტილის **ი** ნართაულია და, მაშასადამე, მეორეული წარმოშობისა, სამაგიეროდ II ხოლმეობითის **ი** მწკრივის ნიშანია ძველთაგანვე. უღლების მაგალითი:

მხ.	1. დავბერდი	გავთბი
	2 დაჰბერდი	გასთბი
	3 დაბერდის	გათბის
მრ.	1 დავბერდით	გავთბით
	2 დაჰბერდით	გასთბით
	3 დაბერდიან	გათბიან

თუ შევადარებთ ამ მწკრივის ფორმებს წყვეტილისას, ადვილად დავრწმუნდებით, რომ განსხვავება მხოლოდ მესამე პირშია, პირველსა და მეორე პირში კი იმის ფორმები ამისას ემთხვევა სავსებით.

ეს დამთხვევა ორი მწკრივის ფორმებისა (აგრეთვე დამთხვევა მოქმედებითში უმარცვლო-ფუძიან ზმნებში) მიზეზი უნდა გამხდარიყო იმისა, რომ მთის კილოებმა განსხვავებული ფორმები შეიმუშავეს II ხოლმეობითის პირველსა და მეორე სუბ. პირში **ოდ** მარცვლით (ფშაურმა) ან **იდ**-ით (ხევსურულმა, თუშურმა) და ასეთი ფორმები საყოველთაოდ გაატარეს; მაგალითი:

		ფშაური	ხევს., თუშ.
მხ.	1.3	გავლეწ**ოდი**	გავლეწ**იდი**
	2.3	გაჲლეწ**ოდი**	გალლეწ**იდი**
	3.3	გალეწის	გალეწის
მრ.	1.3	გავლეწ**ოდით**	გავლეწ**იდ**ით
	2.3	გაჲლეწოდით	გალლეწ**იდ**ით
	3.3	გალეწიან	გალეწიან

აქ მოქმედებითის ფორმებია ნაჩვენები, მაგრამ იგივე მოვლენაა ვნებითშიც.

505. მეორე კავშირებითი. მწკრივის ნიშანია **ე**; მაგალითი:

მხ.	1. დავბერდე	გავთბე
	2 დაჰბერდე	გასთბე
	3 დაბერდეს	გათბეს
მრ.	1 დავბერდეთ	გავთბეთ
	2 დაჰბერდეთ	გასთბეთ
	3 დაბერდნენ	გათბნენ

506. ნენ დაბოლოების ისტორიისათვის. **ნენ** დაბოლოება ასე დაიშლება: **ნ-ენ**, რომელთაგანაც **ენ** პირის ნიშანია მრ. რიცხვისა. ეს ის **ენ** არის, რო-

მელიც აწმყოშიც გვხვდება (წერ-**ენ**, აქებ-**ენ** და სხვ.). რაც შეეხება **ნ**-ს, იგი მოქმ. გვარის ზმნაში პირდაპირი ობიექტის მაჩვენებელი იყო II სერიის მწკრივებში, რომელთაგანაც აქ ორს მოვიყვანთ:

წყვეტილი

		ობიექტი მხ.-ში		ობიექტი მრ.-ში	
მხ.	3.1	დამწერა	დამწერეს	დამწერ-**ნ**-ა	დამწერ-**ნ**-ეს
	3.2	დაგწერა	დაგწერეს	დაგწერ-**ნ**-ა	დაგწერ-**ნ**-ეს
	3.3	დაწერა	დაწერეს	დაწერ-**ნ**-ა	დაწერ-**ნ**-ეს

II კავშირებითი

		ობიექტი მხ.-ში		ობიექტი მრ.-ში	
მრ.	3.1	დამწეროს	დამწერონ	დამწერ-**ნ**-ეს	დამწერ-**ნ-ენ**
	3.2	დაგწეროს	დაგწერონ	დაგწერ-**ნ**-ეს	დაგწერ-**ნ-ენ**
	3.3	დაწეროს	დაწერონ	დაწერ-**ნ**-ეს	დაწერ-**ნ-ენ**

ამგვარად, მოქმ. გვარის ზმნებში **ნ-ენ** დაბოლოება მხოლოდ II კავშირებითში იყო შესაძლებელი და ისიც მაშინ, თუ პირდ.-ობიექტური პირი (პირველიც, მეორეც, მესამეც) მრავლობითში იგულისხმებოდა.

მსგავსი დაბოლოება (**ნ-ენ**) მხოლოდ პრეფიქსიანი ვნებითის იმავე მწკრივში იყო შესაძლებელი, მაგრამ მესამე სუბ. პირის მრ. რიცხვში:

წყვეტილი

	მხ. რ.	მრ. რ.
1	დავიმალე	დავიმალ-**ენ**-ით
2	დაიმალე	დაიმალ-**ენ**-ით
3	დაიმალა	დაიმალ-**ნ**-ეს

II კავშირებითი

1	დავიმალო	დავიმალ-**ნ**-ეთ
2	დაიმალო	დაიმალ-**ნ**-ეთ
3	დაიმალოს	დაიმალ-**ნ-ენ**

მეშველი ზმნა „იყო“ ვნებითია თავისი ფორმით. ამიტომ **ნ-ენ** დაბოლოება შეიძლებოდა კიდევ ერთ-პირიანი ვნებითის III კავშირებითში:

დაწერილ იყოს (იგი), დაწერილ იყვ-**ნ-ენ** (იგინი)

აღნიშნული **ნენ**-იანი ფორმების გავლენით ეს დაბოლოება გავრცელდა სხვა მწკრივებსა და სხვა ტიპის ზმნებში:

ა) სუფიქსიანისა და უნიშნო ვნებითის II კავშირებითში: რომ ისინი დაბერდნენ, გათბნენ.

ბ) ყოველგვარი ვნებითის წყვეტილში: დაიტანჯნენ, დაბერდნენ, გათბნენ.

გ) „ვიდა“ ზმნის წყვეტილსა და II კავშირებითში: მოვიდნენ, წავიდნენ და სხვ.

დ) ყოველგვარი ზმნის სავრცობიან მწკრივებში: წერდნენ, იტანჯებოდნენ, თბებოდნენ და მისთ.

ნენ დაბოლოების აგრე გავრცელებამ მოშალა განსხვავება მე-3 პირის

მრ. რიცხვის ფორმებში ერთი მხრით უწყვეტელსა და აწმყოს კავშირებითს შორის (resp. I ხოლმეობითსა და მყოფადის კავშირებითს შორის) ყოველგვარ ზმნაში და მეორე მხრით წყვეტილსა და II კავშირებითს შორის ვნებითი გვარის ზმნებსა და „ვიდა“-ში (აქ განსხვავება დარჩა მოქმედ. გვარის ზმნებში და მედიოაქტივებში).

ნენ დაბოლოების გავრცელების დეტალები (ქრონოლოგიური საკითხები და სხვ.) გამოსარკვევია.

III სერიის მწკრივები

ერთ-პირიანი ზმნები

507. ძველად და ეხლა. ერთ-პირიან ვნებით ზმნებს III სერიის საწარმოებლად წარსულ-დროიანი ვნებითი გვარის მიმღეობა აქვთ გამოყენებული. მიმღეობის ფორმას ერთვის მეშველი ზმნა: **ვარ** (I თურმეობითში), **ვიყავ** (II თურმეობითში) და **ვიყო** (III კავშირებითში).

ძველად მიმღეობის ფორმა წრფელობითი ბრუნვით იყო ყოველთვის წარმოდგენილი, იუღლებოდა მეშველი ზმნა, რომლის ფორმა არკვევდა, თუ რა მწკრივი იყო. მაგალითი: დავიმალები, დავიმალე; ამისი მიმღეობა წარსული დროისა ეს არის: დამალულ-ი, რომლის საშუალებით ნაწარმოები იყო სამივე მწკრივი.

		I თურმ.		II თურმ.		III კავშირ.	
მხ.	1	დამალულ	ვარ	დამალულ	ვიყავ	დამალულ	ვიყო
	2	„	ხარ	„	იყავ	„	იყო
	3	„	არს	„	იყო	„	იყოს
მრ.	1	„	ვართ	„	ვიყვენით	„	ვიყვნეთ
	2	„	ხართ	„	იყვენით	„	იყვნეთ
	3	„	არიან	„	იყვნეს	„	იყვნენ

ახალმა ქართულმა ძველი უღლების სქემაში რამდენიმე ცვლილება შეიტანა:

ა) მეშველ „არს“ ზმნას ჩამოაკვეცა თანხმოვნები და მივიღეთ **ა**, რომელიც თავ ზმნას შეუერთდა: დამალულ**ა**.

ბ) „არიან“ ფორმა შეამოკლა და **ან** მივიღეთ, რომელიც აგრეთვე თავ ზმნას შეუერთდა: დამალულ**ან**. ამგვარად, მესამე პირის ორსავე რიცხვში ორი სიტყვა გაერთიანდა და ერთი მივიღეთ: დამალულ არს→დამალულა; დამალულ არიან—დამალულან.

გ) ორი სიტყვის გაერთიანებას მე-3 პირში დანარჩენ პირთა ფორმების გაერთიანება მოჰყვა, რამაც გამოიწვია საწინაო პირის ნიშნების გადმოტანა თავ ზმნაში: დავმალულვარ, დაჰმალულხარ; დავმალულვიყავ, დაჰმალულიყავ; დავმალულვიყო, დაჰმალულიყო და მისთ.

იგივე ამბავი მოხდა მრავლობითშიც: დავმალულვიყვენით, დავმალულვიყვნეთ და მისთ.

დ) შემდეგი საფეხური იყო ვ პრეფიქსის ჩამოშორება მეშველი ზმნის II თურმეობითსა და III კავშირებითის პირველი პირის ფორმებში: დავმალულიყავ, დავმალულიყო და მისთ.

ე) ეს დაბოლოება „იყვნეს" ზმნისა ენ-ად გადააკეთა და ამის გამო II თურმეობითის ფორმა მრ. რიცხვის მესამე პირში III კავშირებითისას დაემთხვა იმავე პირსა და რიცხვში (§ 506).

ვ) მეშველი „ვიყავ" და „ვიყო" ზმნის მრ. რიცხვში, ინფიქსიანი ფორმების საერთო რღვევის პროცესში, ანალოგიურმა წარმოებამ იჩინა თავი: მრ. რ.-ის ფორმების საწარმოებლად გამოყენებულ იქნა მხოლობითის ფორმები, რომელთაც მრ. რ.-ის ნიშანი დაერთო: ვიყავ(ი) — ვიყავით, იყავ(ი) — იყავით; ვიყო — ვიყოთ, იყო — იყოთ.

მესამე პირის ფორმას სალიტ. ქართულში მეტი სიმკვიდრე აღმოაჩნდა და მან შეძლო ნარიანი ფორმა ორსავე მწკრივში შეენახა. ასეთ ცვლილებათა შედეგად მივიღეთ შემდეგი სახის უღლება:

		I თურმ.	II თურმ.	III კავშ.
მხ	1	დავმალულვარ	დავმალულიყავ	დავმალულიყო
	2	დამმალულხარ	დამმალულიყავ	დამმალულიყო
	3	დამალულა	დამალულიყო	დამალულიყოს
მრ.	1	დავმალულვართ	დავმალულიყვენით (დავმალულიყავით)	დავმალულიყვნეთ (დავმალულიყოთ)
	2	დამმალულხართ	დამმალულიყვენით (დამმალულიყავით)	დამმალულიყვნეთ (დამმალულიყოთ)
	3	დამალულან	დამალულიყვნენ	დამალულიყვნენ

მოყვანილ მაგალითს მიმღეობა ულ-ით აქვს ნაწარმოები. იგივე ვითარება იქნება სხვა ტიპის მიმღეობის შემთხვევაში: დაგრეხ-ილ-ა, და-მ-დნ-არ-ა, გა-მ-ქრ-ალ-ა და მისთ.

ამგვარად, ვნებითი გვარის ერთ-პირიანი ზმნა, მოქმედებითი გვარის ზმნისაგან განსხვავებით, III სერიის მწკრივებს ერთნაირად იკეთებდა და იკეთებს ეხლაც, ოღონდ ძველად უღლება მთლიანად აღწერილობითი იყო (საუღლებელი ზმნის მიმღეობას მეშველი ზმნა ერთოდა), ეხლა კი ნარევია: არც მთლიანად აღწერილობითია (რადგანაც პირის ნიშანი საუღლებელ ზმნებშიც გადმოდის) და არც მარტივი (რადგანაც მეშველი ზმნის დაუხმარებლად ფორმათა წარმოება შეუძლებელია, პირველსა და მეორე პირში მაინც).

პირის ნიშნის წინ წამოწევისათვის ხელი უნდა შეეწყო ორ-პირიანი ზმნების უღლებას იმავე სერიის მწკრივებში.

ორ-პირიანი ზმნები

508. თემა. ორ-პირიან ზმნათა ფორმები ეყრდნობა საწყისს, ოღონდ მას ერთვის I თურმეობითში მწკრივის ნიშანი ი (მიღებული იე-საგან), ორ დანარჩენ მწკრივში კი — სავრცობი ოდ და თავ-თავისი მწკრივის ნიშანი. ი(ე) და ოდ-ის დართვა იწვევს ინის მოკვეცას ინიან ზმნებში, ხოლო ავ და ამიან ზმნებში — ხმოვნის ამოღებას თემის ნიშნიდან. ამასთანავე ერთად, თუ მარტივი თე-

მა (ფუძე ზმნისა) იკუმშება, იგი შეკუმშული იქნება როგორც **ინიან** ზმნებში, ისე **ავ** და **ამიანებში**.

რადგანაც იგივე თემა საწყისსაც აქვს გამოყენებული, რომლის ბოლოკიდური **ა** ისეთსავე ფონეტიკურ მოვლენას იწვევს, როგორსაც **ი(ე)** და **ოდ**, ამიტომ თემის მოსანახად ჩვეულებრივ საწყისს მივმართავთ ხოლმე: ჩამოვაცლით მას **ა**-ს და, რაც დაგვრჩება, ის იქნება თემა, რომელზედაც დაყრდნობილია ვნებითი გვარის ორ-პირიან ზმნათა III სერიის მწკრივთა ფორმების წარმოება; მაგალითები:

და-**წერ**-ა: დამეწერება, დამეწერა, და-მ-**წერ**-ია, და-მ-**წერ**-**ოდ**-ა.
და-**გრეხ**-ა: დაგეგრიხება, დაგეგრიხა, და-გ-**გრეხ**-ია, და-გ-**გრეხ**-**ოდ**-ა.
და-**კვრ**-ა (←*და-**კრვ**-ა): დაეკვრება, დაეკრა, და-ჰ-**კვრ**-ია, და-ჰ-**კვრ**-**ოდ**-ა.
შე-**ბმ**-ა: შეებმება, შეება, შე-ჰ-**ბმ**-ია, შე-ჰ-**ბმ**-ოდ-ა.
გა-**კეთებ**-ა: გამიკეთდება, გამიკეთდა, გა-მ-**კეთებ**-ია, **გა-მ-კეთებ-ოდ-ა**.
გა-**თბობ**-ა: გაგვითბება, გაგვითბა, გა-გვ-**თბობ**-ია, გა-გვ-**თბობ**-**ოდ**-ა
და მისთ.

საწყისი მოქმედ. გვარის ზმნის პირველი სერიის თემაზეა დაყრდნობილი და არსებითად მოქმედებითი გვარის კუთვნილებაა, მაგრამ, ვნებითი გვარის ზმნას, — გამონაკლისებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, — თავისი **საწყისი** არა აქვს და მოქმედებითისას სარგებლობს. ამ თვალსაზრისით საწყისი საზოგადოდ საზიაროა ორივე გვარისა.

მაგრამ არის ზმნები, რომლებიც მხოლოდ ვნებითში იხმარება და მათი საწყისი მათივე საკუთრებაა; ასეთებია, მაგ., „მორევა", „გაწყრომა", „დადგომა" და სხვ.. ასეთი ზმნებისაგან III სერიის ფორმები ჩვეულებრივი წესით იწარმოება:

მო-**რევ**-ა: მოერევა, მოერია, მო-ჰ-**რევ**-ია, მო-ჰ-**რე(ვ)ოდ**-ა.
გა-**წყრომ**-ა: გაუწყრება, გაუწყრა, გა-ს-**წყრომ**-ია, გა-ს-**წყრომ**-ოდა.
და-**დგომ**-ა: დაგიდგება, დაგიდგა, და-გ-**დგომ**-ია, და-გ-**დგომ**-ოდა.
*მო-**კვდომ**-ა: მომიკვდება, მომიკვდა, მო-მ-**კვდომ**-ია, მო-მ-**კვდომ**-ოდა და მისთ.

ამას გარდა, არის რამდენიმე ზმნა, რომელთაც თავ-თავისი საწყისი აქვთ მოქმედებითსა და ვნებითში. ასეთებია:

გატეხა და გატყდომა, დაწვენა და დაწოლა, წა-ყვან-ა და წა-ყ(ვ)-ოლ-ა, გამო-ტყვრენ-ა და გამო-ტყვრომ-ა და სხვ.. ასეთი ზმნების III სერიის ფორმები ვნებითი გვარისა ეყრდნობა იმავე ბაზისს, რასაც მათი საწყისი.

წა-**ყ-ოლ**-ა: წაჰყვება, წაჰყვა, წაჰ-**ყოლ**-ია.
გამო-**ტყვრ-ომ**-ა: გამოუტყვრება, გამოუტყვრა, გამო-ს-**ტყვრომ**-ია.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ცოცხალ ენაში ანალოგიურ წარმოებას დიდი გასაქანი აქვს (§ 36). ამიტომ გასაკვირველი არ იქნება, რომ ამ მოვლენამ აქაც იჩინოს თავი. „მივეჭრები" ზმნის საწყისია „მიჭრა", რომლისაგანაც ასეა წესივრად ნაწარმოები ფორმები: მი-**ჭრ**-ა: მიეჭრება, მიეჭრა, მი-ს-**ჭრ**-ია; მაგრამ გვხვდება აგრეთვე „მისჭრომია" („გენაცვალე, ქალო, — იძახოდა ერთი, — მაგ საწყალ არაშენდაანთ ალი ახლა სახლში მ ი ს ჭ რ ო მ ი ა თ, ბანიდან ერთი ვეებერთელა ქვა ჩაუხლია და დაუძახია", ლომ., «ალი»).

509. I თურმეობითი. ამ მწკრივის ნიშანი ძველად იყო **იე**, რომელიც წარმოშობით იგივეა, რაც სტატიკური ზმნის **იე** (ვჰგონ-**იე**, ვჰგ-**იე**) და აგრეთვე მოქმ. გვარის ზმნათა **იე** I თურმეობითში (დამიწერ-**იე**-ს, § 485). უღლება მარტივი იყო: საჭირო იყო მხოლოდ პირისა და რიცხვის ნიშანთა დართვა; მაგალითი:

	მხოლობითი	მრავლობითი
1.3	დავჰგრეხიე	დავჰგრეხიეთ
2.3	დაჰგრეხიე	დაჰგრეხიეთ
3.3	დაჰგრეხიეს	დაჰგრეხიან

ამ ფორმებს ახალმა ქართულმა ჩამოჰკვეცა **ე, ეთ** პირველსა და მეორე პირში, სამაგიეროდ დაურთო მეშველი ზმნა (**ვარ, ვართ; ხარ, ხართ**), რამაც ხელი შეუწყო, რომ **ეს** და **ან** დაბოლოება მესამე პირში ა-დ გადაკეთებულიყო. ამის გამო მრავლობითის ფორმა მხოლობითისას დაემსგავსა: დაჰგრეხია (იგი, იგინი). სამაგიეროდ, თუ ძველად ირიბი ობიექტი შეიძლებოდა რიცხობრივად გარჩეული ყოფილიყო მხოლოდ I პირში, ახალი ქართული შეეცადა, გარჩევა მეორესა და მესამე პირშიც გაეტარებინა **თ**-ს დართვის საშუალებით: დაგგრეხია (შენ), — დაგგრეხიათ (თქვენ); დაჰგრეხია (მას) — დაჰგრეხიათ (მათ).

ყველა ამის შედეგად მივიღეთ ხუთი სახის უღლება:

სუბ. მხ.	1.3	მოვჰსწრებივარ	ობ. მხ.	3.1	მომსწრებია
	2.3	მოჰსწრებიხარ		3.2	მოგსწრებია
	3.3	მოჰსწრებია		3.3	მოჰსწრებია
სუბ. მრ.	1.3	მოვჰსწრებივართ	ობ. მრ.	3.1	მოგვსწრებია
	2.3	მოჰსწრებიხართ		3.2	მოგსწრებიათ
	3.3	მოჰსწრებია(ნ)		3.3	მოჰსწრებიათ

„ვეფხისტყაოსნის“ ამ ტაეპში:

დამშლიან ჩემნი კავშირნი, *შევჰრთვივარ* სულთა სირასა“ (884)

პირველი ზმნა ძველი ნორმის თანახმად არის ნახმარი: *დამშლიან*—დაშლილი მქონებია (ახლით იქნებოდა: „დამშლია“), მეორე — ახლით (ძველით იქნებოდა: *შევჰრთვიე*).

აღნიშნულის გამო ცხადია, რომ პასივის ფორმათა წარმოება I თურმეობითში ემთხვევა აქტივის ფორმათა წარმოებას ამავე მწკრივში, ოღონდ პასივში წყობა პირდაპირია, აქტივში — შებრუნებული (ინვერსიული); მაგალითი:

პასივი			აქტივი		
სუბ. მხ.	1.3	დავჰგრეხივარ	ობ. მხ.	3.1	დავუგრეხივარ
	2.3	დაჰგრეხიხარ		3.2	დაუგრეხიხარ
	3.3	დაჰგრეხია		3.3	დაუგრეხია
სუბ. მრ.	1.3	დავჰგრეხივართ	ობ. მრ.	3.1	დავუგრეხივართ
	2.3	დაჰგრეხიხართ		3.2	დაუგრეხიხართ
	3.3	დაჰგრეხია(ნ)		3.3	დაუგრეხიათ

ასეთივე დამთხვევაა სხვა ზმნებშიც: წაუქცევია — წაჰქცევია, გაუკეთებია — გაჰკეთებია, გაუცლია — გასცლია და მისთ.

როდესაც ვამბობთ „ემთხვევაო“, ვგულისხმობთ მწკრივის წარმოებას, ზმნის ფორმათა დაბოლოებას, თორემ პასივის ფორმა სხვანაირად იწყება, ვიდრე აქტივისა.

ფორმათა დამთხვევა, მწკრივის წარმოების თვალსაზრისით, ზმნათა უმეტესობას ახასიათებს. დამთხვევა არ მოხდება:

ა) თუ აქტივის ინვერსიულ ფორმებს II სერიის თემა აქვთ გამოყენებული, მაგალითად: ლოგინი დაუგია — ლოგინი დაჰგებია, გვერდი გაუთბია — გვერდი გასთბობია და მისთ.;

ბ) თუ **ავ** და **ამ**იანი ზმნები ნორმალურად აწარმოებენ ფორმებს: დაუმალავს — დაჰმალვია; შეუბამს — შეჰბმია და მისთ.

510. II თურმეობითი და III კავშირებითი. ამ მწკრივების ფორმათა წარმოება სავსებით ისეთივეა, როგორც ვნებითი გვარის ზმნისა უწყვეტელსა და I კავშირებითში: ზმნები მიიღებენ **ოდ** სავრცობს და მწკრივის ნიშნად **ი**-ნსა და **ე**-ნს შესაბამისად:

		II თურმ.	**III კავშირ.**
მხ.	1.3	მოვჰსწრებოდი	მოვჰსწრებოდე
	2.3	მოჰსწრებოდი	მოჰსწრებოდე
	3.3	მოჰსწრებოდა	მოჰსწრებოდეს
მრ.	1.3	მოვჰსწრებოდით	მოვჰსწრებოდეთ
	2.3	მოჰსწრებოდით	მოჰსწრებოდეთ
	3.3	მოჰსწრებოდნენ	მოჰსწრებოდნენ

მაგალითი: „რაც სულხან მდივნის ყმას ჩვენის მოხელეებისაგან სურსათი შ ე ს წ ე რ ე ბ ო დ ე ს, სულ სულხან მდივნის და მანუჩარ მდივნისათვის გვიბოძებია (ერეკლე მეფის ბრძანება 1790 წ. არზაზე).

ევიანი ზმნები ამ მწკრივებში **ოდ** სავრცობის წინ კარგავენ **ვ**-ს: გაჰქცევია, მაგრამ გაჰქცეოდა, გაჰქცეოდეს.

511. პარალელური ფორმები II თურმეობითსა და III კავშირებითში. ორ-პირიან ვნებით ზმნებს, ერთ-პირიან ვნებითთა მსგავსად, ერთნაირი საწარმოო სქემით ჰქონდათ აგებული III სერიის ფორმები, თუმცა თვით სქემები განსხვავებული იყო: ერთ-პირიანებს მეშველი ზმნა ჰქონდათ სამსავე მწკრივში, ორ-პირიანებს — არც ერთში. ახალმა ქართულმა ამათაც მეშველი ზმნა ჯერ I თურმეობითში გაუჩინა და მერმე იგი საყოველთაო მოვლენად აქცია. განვითარების ამ ეტაპზე შეჩერდა დასავლური კილოები და ძირითადი ნაკადი სალიტერატურო ენაში. აღმოსავლურ კილოებსა და რამდენამე სალიტ. ენაშიც მეშველი ზმნის ხმარება იქნა შემოღებული II თურმეობითსა და III

კავშირებითში, მაგრამ ამ შემთხვევაში აღნიშნულ მწკრივთა საწარმოებლად გამოსავალ ფორმად I თურმეობითის ფორმები იქნა მიჩნეული და **ოდ** სავრცობი აღარ დარჩა საჭირო; მაგალითი:

		II თურმეობითი		III კავშირებითი	
		(ძირითადი)	(პარალელური)	(ძირითადი)	(პარალელური)
მხ.	1.3	გავჰყოლოდი	გავჰყოლიყავ	გავჰყოლოდე	გავჰყოლიყო
	2.3	გაჰყოლოდი	გაჰყოლიყავ	გაჰყოლოდე	გაჰყოლიყო
	3.3	გაჰყოლოდა	გაჰყოლიყო	გაჰყოლოდეს	გაჰყოლიყოს
მრ.	1.3	გავჰყოლოდით	გავჰყოლიყვენით	გავჰყოლოდეთ	გავჰყოლიყვნეთ
	2.3	გაჰყოლოდით	გაჰყოლიყვენით	გაჰყოლოდეთ	გაჰყოლიყვნეთ
	3.3	გაჰყოლოდნენ	გაჰყოლიყვნენ	გაჰყოლოდნენ	გაჰყოლიყვნენ

აი მაგალითი, სადაც ძირითადი ფორმაცაა ნახმარი და პარალელურიც: „იმას გ ა ს წ ყ ვ ე ტ ი ყ ო საკინძი, გული გ ა დ ა ჰ ლ ე ღ ო დ ა და აშკარად გ ა მ ო ს ჩ ე ნ ო დ ა ვაჟკაცს ძარღვიანი მკერდი“ (ყაზ., 228).

პარალელურ ფორმებს კიდევ თავისი პარალელური აქვთ მრ. რიცხვის პირველსა და მეორე პირში: გავჰყოლიყავით, გაჰყოლიყავით; გავჰყოლიყოთ, გაჰყოლიყოთ.

ამგვარად, ენის განვითარების პროცესში ერთ-პირიანი ზმნის უღლება ორ-პირიანისას დაუახლოვდა პირის ნიშნის თავ ზმნაში გადმოტანის გამო; სამაგიეროდ მეშველი ზმნა ორ-პირიანებსაც გაუჩნდა ყველა მწკრივში, რაც ერთ-პირიანთა უღლების გავლენას უნდა მიეწეროს. მიუხედავად ამისა, მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ორ-პირიან ზმნებში სალიტერატურო ენისთვის უდაო უპირატესობა **ოდ**იან ფორმებს აქვს, რომლებიც ისტორიულად უფრო ძველიცაა.

დინამიკური ვნებითის ზოგიერთ ფორმათა გენეზისისათვის

(ექსკურსი)

512. სუფიქსიანი ვნებითის ფორმათა ისტორიიდან. სუფიქსიანი ვნებითის მაწარმოებელი ძველად იყო **ენ**, რომელიც მთლიანად წყვეტილის 1-ლსა და მე-2 პირში გამოჩნდებოდა (შესაბამისად ბრძანებითშიც), სხვაგან კი ხმოვანს კარგავდა მომდევნო სუფიქსის გავლენით; ეს სუფიქსი ხმოვანი იყო, ან ხმოვნით დაწყებული ბგერათა ჯგუფი:

ა — პირის ნიშანი (მე-3 სუბ. მხ. რიცხვისა);
ეს — პირის ნიშანი (მე-3 სუბ. მრ. რიცხვისა);
ე — მწკრივის ნიშანი II კავშირებითში;
ი — მწკრივის ნიშანი II ხოლმეობითში;
ებ — თემის ნიშანი I სერიის მწკრივთა ფორმებში.

მაგალითი: **წუხ** ფუძისაგან ნაწარმოები იყო „შევწუხენ“ (=შევწუხდი) რომელიც ასე იუღლებოდა:

წყვეტილი

	მხოლობ.	მრავლობ.
1	შევწუხ-**ენ**	შევწუხ-**ენ**-ით
2	შესწუხ-**ენ**	შესწუხ-**ენ**-ით
3	შეწუხ-**ნ**-ა	შეწუხ-**ნ**-ეს

ენ ფორმანტის სრული სახე გამოჩნდებოდა კიდევ II ბრძანებითში, რომელსაც წყვეტილისებრი წარმოება აქვს (შეწუხ-**ენ**); სხვა მწკრივებში კი ხმოვანი ამოღებული იყო და რჩებოდა მარტო **ნ**:

II კავშირ.: შევწუხნე, შესწუხნე, შეწუხნეს და შემდგომი.

II ხოლმ.: შევწუხნი, შესწუხნი, შეწუხნის და შემდგომი.

აწმყო: შევწუხნები, შესწუხნები, შეწუხნების და შემდგომი.

ერთი სიტყვით, **ენ** იშვიათად ჩანდა ფორმებში, მას უმეტესად ხმოვანი ეკარგებოდა და **ნ** რჩებოდა, რომელიც ყოველთვის სიტყვის შიგნით იყო მოქცეული, ინფიქსი იყო.

აღნიშნულმა ინფიქსმა დისიმილაციის წესით ნარნარა **ნ რ ლ** ბგერებთან **დ** მოგვცა: განმართლ-**ნ**-ა→განმართლ-**დ**-ა, განმდიდრ-**ნ**-ა→განმდიდრ-**დ**-ა და მისთ.. შემდეგ ეს **დ** განზოგადდა და სულ გამოდევნა **ნ**: შეწუხ-**ნ**-ა→შეწუხ-**დ**-ა, დაგლახაკ-**ნ**-ა,→დაგლახაკ-**დ**-ა, გან-ლაღ-**ნ**-ა→გალაღ-**დ**-ა.

ამასთანავე ერთად **დ**ონიანმა ფორმამ გაწყვიტა კავშირი ძველ წარმოებასთან წყვეტილში, სადაც 1-ლსა და მე-2 პირში ხმოვანი გამოჩნდებოდა, და ახალზე გადავიდა, **ი** მიიღო ბოლოს: შევწუხ**დი**, განვმართლ**დი**, განვმდიდრ**დი**.

ამგვარად, სუფიქსიან ვნებითს დღეს მარტო თანხმოვანი აქვს ნიშნად (**დ**), მის წინ მდგარი ხმოვანი კი კაი ხანია დაკარგულია.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. როგორც ვიცით (§ 418), **ენ** ინფიქსი პრეფიქსიან ვნებითშიც გვხვდება, მაგრამ მარტოოდენ მრავლობითში, და ისიც გარკვეულ მწკრივებში. სუფიქსიან ვნებითში კი **ენ** ვნებითობის ნიშანია საზოგადოდ და იგი ყოველგვარ ფორმაში იგულისხმება, ხოლო პრეფიქსიან ვნებითში გვარის ნიშანი **ი** არის, ან **ე**. შესადარებლად მივმართოთ ორ ზმნას წყვეტილში:

		I	II	
მხ.	1	დავიმალე	შევწუხ-**ენ**	(შევწუხ-**დ**-ი)
	2	დაიმალე	შესწუხ-**ენ**	(შესწუხ-**დ**-ი)
	3	დაიმალა	შეწუხ-**ნ**-ა	(შეწუხ-**დ**-ა)
მრ.	1	დავიმალ-**ენ**-ით	შევწუხ-**ენ**-ით	(შევწუხ-**დ**-ით)
	2	დაიმალ-**ენ**-ით	შესწუხ-**ენ**-ით	(შესწუხ-**დ**-ით)
	3	დაიმალ-**ნ**-ეს	შეწუხ-**ნ**-ეს	(შეწუხ-**დ**-ნენ)

როგორც ვხედავთ, **ენ** აქაც გვხვდება და იქაც მრავლობითში, მაგრამ მათი გენეზისი და ფუნქცია სხვადასხვაა.

513. უნიშნო ვნებითის ფორმათა ისტორიიდან. ვნებითი გვარის უნიშნო ჯგუფის ზმნებს ძველად ფუძეში **ე** ჰქონდათ, რომელიც წყვეტილსა და II ბრძანებითში გამოჩნდებოდა. ეს ფუძისეული **ე** დღეს თითო-ოროლა ზმნაშია შემონახული (მოგვყავს ბრძანებითის ფორმით):

და-**დეგ** (→დადექ)	გაჰ-**ყევ**
და-**წევ** (→დაწექ)	გაუ-**წყერ**
და-**ჯედ** (→დაჯექ)	გა-**ძელ** (→გაძეხ)
და-**სხედ**-ით	გაუ-**ძლევ**
გა-**ძვერ**	ჩამო-**ხე** (←ჩამო-**ჴედ**)
გამო-**ტყვერ**	

შენიშვნა. „ჩამოხე“ მიღებულია „ჩამოქედ“ ფორმისგან; „ჩამოხტომა“ კი სხვა ზმნაა, თუმცა, როგორც ჩანს, ეხლა მათ ერთმანეთს უკავშირებენ: „ჩამოხე ცხენიდამ“! — შევჰყივლე სომეხს. იმას ხუმრობა ეგონა. — ვა, რა შენი ყურ-მოჭრილი ყმა ვარ, რომ ჩამოვხტე! — ჩამოხე-მეთქი, თორემ მტვერსავით გაგანიავებ!... რომ ნახა, რომ აღარა ვხუმრობ, იკადრა ცხენიდამ ჩამოხტომა“ (ჭავ., «გლახის ნაამბ.») „ხტომა“ „ხლდომ“-ისგან მოდის, „ქდომა“ კი „სვლას“ ნიშნავს (მიქდომა, წარქდომა, შთაქდომა და სხვ.). ასე რომ „ჩამოხე“ (←ჩამოქედ) ამას ნიშნავს: ჩამოდი (და არა ამას: ჩამოხტი)

ძველად მსგავსი ზმნები გაცილებით მეტი იყო. აღნიშნულთ გარდა, **ე** მოიპოვებოდა შემდეგ ზმნათა ფუძეებში:

მო-**დერკ** (მოიხარე, მოიდრიკე)
შე-**კერბ**-ით (შეიკრიბენით)
განვ-**კერთ** (შევკრთი; გამოვერკვიე ძილისგან)
გან-**ტეფ** (გათბი)
გან-**ჴემ** (გახმი)
და-ს-**ცხერ**
შევს-**ცეთ** (შევცდი, გზა ამერია)
მო-**კუედ** (მოკვდი)
დავ-**შუერ** (დავიღალე; ვინაჲ მოჰშუერ — საიდან მოჰბრძანდი?)
და სხვ.

„ტფობა“ ზმნა, მაგ., ასე იუღლებოდა:

		I სერია		II სერია
		აწმყო	**წყვეტილი**	**II კავშირებითი**
მხ.	1	გან-ვ-**ტფებ**-ი	გან-ვ-**ტეფ**	გან-ვ-**ტფ-ე**
	2	ს-**ტფებ**-ი	ს-**ტეფ**	ს-**ტფ**-ე
	3	**ტფებ**-ის	**ტფ**-ა	**ტფ**-ეს
მრ.	1	ვ-**ტფებ**-ით	ვ-**ტეფ**-თ	ვ-**ტფ**-ეთ
	2	ს-**ტფებ**-ით	ს-**ტეფ**-თ	ს-**ტფ**-ეთ
	3	**ტფებ**-იან	**ტფ**-ეს	**ტფ**-ენ

მაშასადამე, ფუძე შეკუმშულიც იყო და შეუკუმშავიც. დღეს კი იგი შეკუმშულია ყველგან: გავ-**თბ**-ი, გა-ს-**თბ**-ი, გა-**თბ**-ა და შემდგომი.

„ტეფ“ ორ-თანხმოვნიანი ფუძეა და, მიუხედავად იმისა, რომ ახლებურად გაიკეთა 1-ლი და მე-2 პირის ფორმები წყვეტილში, ტიპი არ შეუცვლია, მაშინ როდესაც სამ- და ოთხ-თანხმოვნიანი ზმნების უმრავლესობა ხმოვან-მონაცვლეთაგან პრეფიქსიანი ვნებითის ჯგუფში გადავიდა (§ 368); აი ზოგიერთი მაგალითი დამატებით:

დავ-**ბნედ**, დავ-**ბნიდ**-ე, ვნ. და-**ბნდ**-ა („დაბნდა და სულთქვნა მწარენი“, «ვეფხ.» 345); ამჟამად „იბნიდება“ ითქმის; „ბნდება“ უფრო იშვიათია.

გავ-**ხლეჩ**, გავ-**ხლიჩ**-ე. ვნებითის ფორმები სალიტ. ენაში პრეფიქსით არის ნაწარმოები: გაიხლიჩა, გაიხლიჩება. ძველებური წარმოება კილოებშია შემონახული (მაგ., გურულში: „ხომ არ გავხჩები შვაზე“?): გავხჩები=გავხლჩები. „ხმა ჩამიხჩა“ (=ჩამიხლჩა).

გავ-**წყვეტ**, გავ-**წყვიტ**-ე (**ტ** მიღებულია **დ**-საგან: გავწყუ**ედ**, გავწყუ**იდე**).

ვნებ. გა-**წყდ**-ა (აქ **დ** შენახულ იქნა **დ**ონიანი ვნებითის გავლენით, მაგრამ მოსალოდნელი **ვ** არ არის: *გაწყუდა→*გაწყვდა).

გავ-**ცვეთ**, გავ-**ცვით**-ე. ვნებ. გა-ცვდ-ა (თანი **დ**ონად იქცა **დ**ონიანი ვნებითის გავლენით). დღეს პრეფიქსიანი ფორმებიც იხმარება: იცვითება, გაიცვითა.

მაგრამ იქაც, სადაც ზმნას ძველებური ვითარება აქვს შემონახული (ტიპის შეუცვლელად), წყვეტილის 1-ლსა და მე-2 პირში იგი მაინც ინის უღლებაზეა გადასული: დავსხლტი, დავბნდი, წავწყ[მ]დი („წაწყმდეს ეს ადრე და მალე წასაწყმენდი" ჭავ., 319,17), გავწყდით და მისთ.

514. ევიან ზმნათა ვნებითი გვარის ფორმათა ისტორიიდან. ზოგიერთი **ევ**იანი ზმნის ვნებითი გვარის ფორმათა წარმოება რამდენადმე განსხვავებულია სხვა **ევ**იან ზმნათა ვნებითის ფორმათა წარმოებისაგან (და საზოგადოდ პრეფიქსიანი ვნებითის ფორმათა წარმოებისაგან).

ზმნათა უმეტესობას, როგორც წესი, **ევ** II სერიაშიც გადაჰყვება ხმოვნის შეცვლით; მაგალითად:

	მოქმედებითი	ვნებითი
დავ-**ლევ**:	დავ-**ლი(ვ)**-ე, დაჰ-**ლი(ვ)**-ე, და-**ლი(ვ)**-ა	დავი-**ლი(ვ)**-ე დაი-**ლი(ვ)**-ე დაი-**ლი(ვ)**-ა
გადავა-**ხვევ**:	გადავა-**ხვი(ვ)**-ე, გადაა-**ხვი(ვ)**-ე, გადაა-**ხვი(ვ)**-ა	გადავე-**ხვი(ვ)**-ე, გადაე-**ხვი(ვ)**-ე, გადაე-**ხვი(ვ)**-ა და მისთ.

მაგრამ ზოგიერთ ზმნას, რომელთა ფუძე ორისა ან მეტი თანხმოვნისაგან შედგება (უმარცვლო **უ**-საგან მიღებულ ვინს არ ვთვლით), წყვეტილსა და II ბრძანებითში 1-ლსა და მე-2 სუბ. პირში შემონახული აქვს ძველისძველი წარმოება ფუძისეული **ე** ხმოვნის გამოჩენით:

1 წავი-**ქეც**	დავი-**ბენ**	ავე-**თერ**	გავი(ნ)-**ძერ**
2 წაი-**ქეც**	დაი-**ბენ**	აე-**თერ**	გაი(ნ)-**ძერ**
3 წაი-**ქც**-ა	დაი-**ბნ**-ა	აე-**თრ**-ა	გაი(ნ)-**ძრა**

მოყვანილ ფორმათაგან ყველა საყოველთაოდ იხმარება, გარდა „ავეთერ"-ისა, რომელიც მთაშია შემონახული; ვაჟას «ეთერიანში» გკითხულობთ:

ეთერი მქვიან... რად გინდა ჩემი სახელი წყეული,
რაც კი რამ სახელებია, ყველაში გამორჩეული?
ხომ იცი, რაა „წაეთერ", ხომა გაქვს გამორკვეული?
მაშ მე ვინ მეტყვის: „აბრძანდი"? — მეტყვიან: „ა ე თ ე რ ი ა",
ათასფრად, ათას კილოზე: „ა ე თ ე რ-წ ა ე თ ე რ ი ა".

ამათ ნაცვლად ბარის კილოებსა და სალიტერატურო ენაში უმეტესად „ავეთრიე", „აეთრიე", „აეთრია" იხმარება: „საიდან რა მოეთრია"? „გაეთრიე კარში"! და მისთ.

თუ მესამე პირში ხმოვანი არ ჩანს ეს იმიტომ, რომ იგი პირის ნიშნის დართვის გამოა ამოღებული, ისე როგორც II კავშირებითისა და I სერიის მწკრივებში, მაგ., აწმყოში: გავი-**ქც**-ე, გავი-**ქც**-ევი და სხვ.

მსგავსი ფორმა-ცვალება აქვს „მტვრევა“-სა და „მსხვრევა“-ს: დავი-**მტვერ**(ი), დავი-**მსხვერ**(ი), მაგრამ არ ითქმის „შევირეყ“, არამედ „შევირყიე“ („კინაღამ ჭკუისაგან შევირყიე“), თუმცა მე-3 პირის ფორმა პირდაპირ დაირთავს პირის ნიშანს, **ი(ვ)**-ის გარეშე: შეი-**რყ**-ა. ასევე უშუალოდ მიიღებენ **ა**-ს აგრეთვე შემდეგი ზმნები: გამოი-**რკვ**-ა, დაი-**რღვ**-ა, შეი-**რხ**-ა (რომელიც ფონეტიკური ვარიანტია „შეირყა“-სი, ეხლა უკვე მნიშვნელობითაც დაშორებული მისგან). სადაც „გამოირკვა“ და „გამოერკვა“ ითქმის („ძილისაგან გამოერკვა“), იქ „გამოვერეკვ“ და „გამოერეკვ“ უნდა იყოს, მაგრამ ასეთი არ გვხვდება, ისე როგორც არც „დაირეღვ“. რაც შეეხება „გაი-**ხ**-ა“ ფორმას, იგი ანალოგიურად უნდა იყოს ნაწარმოები „გაიხია“-ს ნაცვლად, ისე, როგორც „გაიხე“ — გაიხიო“-ს ნაცვლად („შუაზედაც რომ გაიხე, მაინც არ დაგანებებ“) და „დაემთხვა“ „დაემთხვია“-ს ნაცვლად (შდრ. „ხელზე ემთხვია“).

ამასთანავე არ შეიძლება არ მოვიგონოთ, რომ „მესმა“ ზმნას, რომელიც პრეფიქსიანი ვნებითია (მ-**ე**-სმა, გ-**ე**-სმა, **ე**-სმ-ა), ძველად **ე** ხმოვანი გამოაჩნდებოდა მე-3 პირის ბრძანებითში: შეგე-**სემ**-ინ („რომელსა დღესა გხადოდი, მსწრაფლ შ ე გ ე ს ე მ ი ნ ჩემი“, ფს. 101, 2).

ყველაფერი ეს იმაზე მიგვითითებს, რომ ფუძისეული **ე** ვნებითის შინაგანი ნიშანია არა მარტო მესამე ჯგუფის ზმნათათვის (ე. წ. უნიშნო ვნებითის ზმნათათვის), არამედ ზოგ პრეფიქსიანთათვის **ევ**იანთაგან. ამიტომ ბუნებრივად იბადება კითხვა: ხომ არ არის პრეფიქსი **ი** და **ე** „დავიქეც“ ტიპის ზმნებში ანალოგიურად განვითარებული, როგორც **ი**-დგა (**ე**-დგა), **ი**-ჯდა (**ე**-ჯდა) და **ი**-წვა (**ე**-წვა) ზმნებში?

ყოველ შემთხვევაში ცხადია, რომ „წავიქეც“ და „ავეთერ“ და მისთ. მოქმედებითის ფორმებს კი არ ეყრდნობა, არამედ თავისი, დამოუკიდებელი წარმოება აქვს.

515. შინაგანი ფლექსია. ვნებითი გვარის ზმნების ფორმათა წარმოების ფაქტიური ვითარების გაცნობის შემდეგ მართებულია დაისვას საკითხი იმის შესახებ, თუ რა ურთიერთობაშია უნიშნო ვნებითის ფორმათა წარმოება სათანადო მოქმედებითი გვარის ფორმათა წარმოებასთან. მართლაც, თუ შინაგანი **ე** (გან-**ტე**ფ, გან-**ჭე**მ. მო-**დე**რკ, შე-**კე**რბ-ით და მისთ.) საზოგადოდ პასიობის ნიშანია, რაღაა აქტიობის ნიშანი ამავე ზმნებში? ხმოვან-მონაცვლე ზმნებში ეს მოვლენა ნათლად ჩანს II სერიის მწკრივებისათვის: პასივის **ე**-ს **ი** უპირისპირდება აქტივში: მო-დ**ე**რკ — მო-დრ**ი**კ-ე, შე-კ**ე**რბ-ით — შეკრიბ-ეთ. მართალია, ხმოვნების განაწილება თანხმოვნებთან ერთნაირი არაა (ვნებითს პირველ თანხმოვანთან აქვს ხმოვანი, მოქმედებითს — მეორესთან: **დე**რკ — **დრი**კ), მაგრამ მაინც ნათელია, რომ **ე** ვნებითისაა, **ი** — მოქმედებითისა.

სხვა ვითარებაა I სერიაში, სადაც **ე** მოქმედებითშიც არის (ვ-დრეკ, ვ-კრ**ე**ბ) და თანაც იმავე თანხმოვანთან, ვნებითში კი ხმოვანი ჩავარდნილია, მაგრამ რა ხმოვანი? — ალბათ იგივე **ე**: *მოვ-**დე**რკები, *შევ-**კე**რბებით. თუ ვარაუდი სწორია, I სერიაში განსხვავება აქტივსა და პასივს შორის ალბათ სხვა დამატებით ნიშნებსაც ემყარებოდა, როგორიცაა, ვთქვათ, აწმყოს მწკრივის ნიშანი ვნებითში, სხვადასხვა სავრცობი (**დ** და **ოდ**) უწყვეტელსა და I კავშირებითში და სხვ.

ხმოვანთა შენაცვლებაზე დაფუძნებული წარმოება აქტივ-პასივისა კარგად ცნობილია სვანურში, სადაც წყვეტილში გარკვეული ტიპის ზმნებს **ი** აქვთ აქტივში, **ა** კი — პასივში; ეს არის ზმნები ა ნ ჴ ი დ — ა ნ ჴ ა დ ტიპისა: ა ნ ჴ ი დ — „მოიტანა“, ანჴად — „მოვიდა“. აქ შორს წაგვიყვანდა ამგვარი ზმნების უღლების დეტალებზე შეჩერება სვანურში, ვიტყვით მხოლოდ, რომ I სერიაში უკვე **ე** არის ვნებითში: ჴედნი (←ჴედ-ენ-ი) „მოდის“.

მსგავსი მოვლენა გვაქვს ძვ. ქართულში **ჴად — ჴედ** ფუძის ზმნებში, სადაც **ა** მიუთითებს მოქმედებით გვარზე, **ე** კი — ვნებითზე.

მოქმედ.	ვნებითი
1.3 შევ-**ჴადე** (შევიყვანე)	1 შევ-**ჴედ** (=შევედი)
2.3 შეჰ-**ჴად**-ე	2 შეჰ-**ჴედ**
3.3 შე-**ჴად**-ა	3 შე-**ჴდ**-ა

თანამედროვე ქართულში ასეთი მოვლენა რამდენადმე შე-**ძარ** და შე-ი(ნ)**ძერ** ზმნებშია შემონახული და ფშაურ გა-**თარ**-ე — გა-ე-**თერ**-ში. ვამბობ: „რამდენადმე“-მეთქი, რადგანაც შე-ი-(ნ)-**ძერ**-სა და გა-ე-**თერ**-ში ვნებითის ნიშნებია კიდევ წინ (**ი** და **ე**) (ვ-თრი — ვთარე; ს ა თ ა რ ი — გრძელი ლატანი, რომელსაც თივას გაუგდებენ ქვეშ და ჩამოათრევენ მთიდან დაბლა).

იმ ქართულში, რომელსაც წერილობითი ძეგლებით ვიცნობთ V საუკუნიდან, შინაგანი ხმოვნით წარმოება ვნებითისა არსებითად მოშლილია, მაგრამ უფრო ადრე იგი მეტად უნდა ყოფილიყო გავრცელებული, როგორც ეს დღესაც არის სვანურში „მაგარი უღლების“ ზმნებში (გერმ. გრამატიკული ტერმინი რომ ვიხმაროთ), ტიხე — ატიხ ტიპისაში (ტ ი ხ ე — აბრუნებს; ა ტ ი ხ — დააბრუნა; ტ ე ხ ნ ი ბრუნდება, ა ტ ა ხ დაბრუნდა).

Ч. სტატიკური ვნებითი

516. სტატიკური ზმნების ფორმათა წარმოებისათვის საზოგადოდ. სტატიკური ზმნები მწკრივ-ნაკლი ზმნებია. I სერიის მწკრივებიდან მათ საკუთრივ მოეპოვებათ მხოლოდ აწმყო, ხოლო უწყვეტელი და აწმყოს კავშირებითი აკლიათ საზოგადოდ. აკლიათ აგრეთვე მყოფადის წრის მწკრივები, მაგრამ მათ სესხების გზით ივსებენ.

ფორმა ყველა სტატიკურს რელატიური აქვს I-სა და II სერიაში, თუმცა ზოგიერთ მათგანს ორ-პირიანობის გაგება დაკარგული აქვს. მაგალითად, „სწერია“ ფორმით ორ-პირიანია, მაგრამ შინაარსი ერთი პირისა აქვს, ასეთია აგრეთვე აგდია, ჰყრია და სხვ.. ქცევისა და სიტუაციის გაგება სტატიკურ ზმნას შეიძლება მხოლოდ I სერიაში ჰქონდეს (სწერია — უწერია; სწერია — აწერია), სხვაგან კი — არა.

ერთ-პირიანია გაგებით ზმნა, თუ ორ-პირიანი, ამას II სერიის მწკრივთათვის მნიშვნელობა არა აქვს, — აქ ყველა ერთნაირ ფორმებს გვაძლევს, თუმცა ერთსა და იმავე ფორმას ერთ შემთხვევაში შეიძლება ერთი პირის გაგება ჰქონდეს, სხვა შემთხვევაში კი — ორი პირისა. იგივე ვითარებაა მყოფადის წრის მწკრივებში, სადაც ფორმები ნასესხებია. ფორმობლივი განსხვავება ერთ-პირიანებსა და ორ-პირიანებს შორის მხოლოდ III სერიის მწკრივებში

გამოჩნდება. ეგ არის მხოლოდ, რომ ამ სერიის მწკრივებს ზოგი სტატიკური ზმნა ვერ აწარმოებს (§ 524).

ქართ. ენის განვითარების პროცესში ზოგი საშუალი ზმნა სტატიკურთა დაბოლოებაზე გადავიდა (§ 392).

ძველად სტატიკურ ზმნებს აწმყოში მეშველი ზმნა არ ჰქონდათ, ამჟამად კი მეშველი აუცილებელია.

ორი ირიბი პირის შესახებ სტატიკურ ზმნაში ნ. § 411.

I სერიის მწკრივები

517. აწმყო. სტატიკურ ზმნათა აწმყოს ფორმების წარმოება ორგვარია: ა) ზმნათა დიდი უმეტესობა ფუძეზე დაირთავს **ი(ე)** სუფიქსს, რომელიც სტატიკურ ზმნათა აწმყოს ნიშანია. ეს სუფიქსი კუმშავს ფუძეს, თუ იგი საზოგადოდ იკუმშება: **ხატ-ი(ე), წერ-ი(ე)**, მაგრამ: **შლი(ე). იე** ძველი ქართულის კუთვნილება იყო. ძველ ქართულში დაიწყო და საშუალ ქართულში დამთავრდა **ე**-ს ჩამოკვეცა და მეშველი ზმნის დართვა პირველსა და მეორე სუბ. პირში, რაც ადრე უცნობი იყო. ამას გარდა, მესამე პირის ფორმები ადრე განსხვავებული იყო პირის ნიშანთა მიხედვით (სწერ-იე-**ს**, სწერ-ი-**ან**), ახალ ქართულში კი განსხვავება დაიკარგა, რადგანაც ორივე დაბოლოებამ (**-იეს** და **იან**-მა) **ია** მოგვცა: სწერი-**ია** (იგი, იგინი) [შდრ. § 505].

ბ) რამდენიმე ზმნას ფუძეზე ერთვის თემის ნიშანი **ავ**, რომელიც აგრეთვე კუმშავს ფუძეს, თუ იგი კუმშვადია: **ჰ-ხურ**-ავ-ს, მაგრამ: ა-**კრ**-ავ-ს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. მოსალოდნელი იყო რომ, **ავიანთა** მსგავსად, **ამიანი** ზმნების სტატიკური ფორმები აწმყოში შეინახავდა **ამ** სუფიქსს (*ა-ბ-ამ-ს, და-ა-რტყ-ამ-ს), მაგრამ ამათაც **ია** დაბოლოება აქვთ ა**ბია**, **არტ**ყია, ა**ხია**, ა**ცვია**, ისე როგორც ზოგ **ავიანსაც**: ჰმარხია, ჰმოსია, ჰხატია („აბია“ და „უბია“-ს ნაცვლად ძველად „ა-ბ-ს“ და „უ-ბ-ს“ იხმარებოდა: „უკუეთუ ბოროტსა იქმოდე, გეშინოდენ, რამეთუ არა ცუდად ჭრმალ ა ბ ს“, ჰრომ. 13,4; „და ამათ ძირი არა უ ბ ნ“, ლუკ. 8.13); უღლების ნიმუში:

მხ.	1(3) ვსწერივარ	1.3 ვაკრავ(ვ)არ
	2(3) სწერიხარ	2.3 აკრავხარ
	3(3) სწერია	3.3 აკრავს
მრ.	1(3) ვსწერივართ	1.3 ვაკრავ(ვ)ართ
	2(3) სწერიხართ	2.3 აკრავხართ
	3(3) სწერია (სწერიან)	3.3 აკრავს (აკრვან)

ანალოგიურად გაკეთებულია: ვაკრივარ, აკრიხარ, აკრია და შემდგომი.

518. მყოფადის წრის მწკრივები. მყოფადის წრის მწკრივთა ფორმები სტატიკურ ზმნას სათანადო დინამიკური ზმნისაგან აქვს ნასესხები, მაგრამ ისე, რომ დინამიკურის აწმყო სტატიკურისთვის მყოფადია და, ამის შესაბამისად, იმისი უწყვეტელი — ამისი I ხოლმეობითი, ხოლო იმისი აწმყოს კავშირებითი — ამისი მყოფადის კავშირებითი.

აბსოლუტურია (ერთ-პირიანია) გაგებით ამჟამად სტატიკური ფორმა

თუ რელატიური (ორ-პირიანი), ამას მყოფადის წრის მწკრივთა საწარმოებლად მნიშვნელობა არა აქვს, — აქ ყველა ფორმა ე-თია ნაწარმოები, თუმცა ზმნას გაგება შეიძლება ერთი პირისაც ჰქონდეს.

შედარების მიზნით სტატიკური ფორმების გვერდით დინამიკურიც მოვიყვანოთ, რომ ნათელი იყოს, თუ რა ხასიათისაა ფორმათა დამთხვევა (შდრ. § 536).

	დინამიკა	სტატიკა	
	აწმყო	აწმყო	მყოფადი
მხ.	1.3 ვეწერები	1(3) ვსწერივარ[1]	1(3) ვეწერები
	2.3 ეწერები	2(3) სწერიხარ	2(3) ეწერები
	3.3 ეწერება	3(3) სწერია	3(3) ეწერება
მრ.	1.3 ვეწერებით	1(3) ვსწერივართ	1(3) ვეწერებით
	2.3 ეწერებით	2(3) სწერიხართ	2(3) ეწერებით
	3.3 ეწერებიან	3(3) სწერია(ნ)	3(3) ეწერებიან

მაგალითი: ვინცა **სწერიან** და ჩაიწერებიან — სულსა ყოველთა ქრისტიანეთა მართლმადიდებელთა და რომელნიცა ამას მატიანეს **სწერიან** და **ეწერებიან** და რომელნიცა არა სწერიან, შეუნდვნეს ღმერთმან (სინას მთის მატიანე ა. ცაგ., Каталог рукописей Син. мон. № 64).

უწყვეტელი

(აკლია)

აწმყოს კავშ.

(აკლია)

	უწყვეტელი		I ხოლმეობ.
მხ.	1.3 ვეწერებოდი	მხ.	1(3) ვეწერებოდი
	2.3 ეწერებოდი		2(3) ეწერებოდი
	3.3 ეწერებოდა		3(3) ეწერებოდა
მრ.	1.3 ვეწერებოდით	მრ.	1(3) ვეწერებოდით
	2.3 ეწერებოდით		2(3) ეწერებოდით
	3.3 ეწერებოდნენ		3(3) ეწერებოდნენ
	აწმყოს კავშ.		მყოფ. კავშ.
მხ.	1.3 ვეწერებოდე	მხ.	1(3) ვეწერებოდე
	2.3 ეწერებოდე		2(3) ეწერებოდე
	3.3 ეწერებოდეს		3(3) ეწერებოდეს
მრ.	1.3 ვეწერებოდეთ	მრ.	1(3) ვეწერებოდეთ
	2.3. ეწერებოდეთ		2(3) ეწერებოდეთ
	3.3 ეწერებოდნენ		3(3) ეწერებოდნენ

[1] „ვსწერივარ" ზმნა აწმყოში ფორმით ორ-პირიანია, შინაარსით — ერთ-პირიანი; მყოფადის წრესა და II სერიის ფორმებში — ფორმით ორ-პირიანი, შინაარსით კი — ერთპირიანიცა და ორ-პირიანიც. ამიტომ ობ. პირის აღმნიშვნელი ციფრი (მარჯვენა მხარეს) ფრჩხილებშია ჩასმული.

მსგავსად ამისა, „ვაკრავვარ“ ზმნა მყოფადის წრის მწკრივებში ასეთ ფორმებს მოგვცემს:

მყოფადი	I ხოლმ.	მყოფ. კავშ.
1.3 ვეკვრები (*ვეკრვები)	ვეკვრებოდი	ვეკვრებოდე
2.3 ეკვრები	ეკვრებოდი	ეკვრებოდე
3.3 ეკვრება	ეკვრებოდა	ეკვრებოდეს
და შემდგომი	და შემდგომი	და შემდგომი

II სერიის მწკრივები

519. საერთო შენიშვნები. სტატიკური ვნებითის ფორმათა წარმოება II სერიის მწკრივებში მთლიანად ემთხვევა სათანადო დინამიკური ზმნის ფორმათა წარმოებას იმავე მწკრივებში. თვით დინამიკური ვნებითის ფორმათა წარმოება კი იმეორებს სათანადო ზმნის მოქმედებითის წარმოებას. ამიტომ

ა) მწკრივის ნიშნებია: წყვეტილში **ე** ან ნართაული **ი**: ვეწერ-**ე**, ვეგდ**ე**, ვეკარ(**ი**), ვები, II კავშირებითში — **ო** ან **ა** (ვეწერო, ვეკრა, ვება);

ბ) ხმოვან-მონაცვლე ზმნათა ფუძეებში, დინამიკურის მსგავსად, II სერიის ფორმებში **ი** არის: ვეჭირე, ვერი(ვ)ე, ვერჩი(ვ)ე, ვეფინე.

გ) თუ ფუძე შეკუმშულია აწმყოში, იგი გაიშლება წყვეტილში. ამათგან ინიანებისა გაიშლება ყველა პირში: ვე-**ყარ**-ენით, ე-**ყარ**-ენით, ე-**ყარ**-ნენ, დანარჩენებისა — 1-ლსა და მე-2-ში: ვე-**კარ**, ე-**კარ** (მესამეში ისევ შეიკუმშება: ე-**კრ**-ა).

დ) მესამე პირის ნიშანი მხ. რიცხვში უმეტესად **ა** არის (ეშალა, ერტყა, ერია), მაგრამ გვხვდება **ო**-ც: ენთო, ეცხო, ეწყო, როგორც ეს სათანადო დინამიკურშია (დაინთო, წაეცხო, დაიწყო=დაწყობილ იქნა). ბოძი ასვია — ბოძი ესვა, მალამო უსვია — მალამო ესვა (=წასობილი ჰქონდა).

ე) სუბ. პირის მრ. რიცხვის ფორმებში **ენ/ნ** ინფიქსი აუცილებელი იყო ძველად და რამდენადმე ეხლაც იხმარება: კედელს ვეკარ, მაგრამ: კედელს ვეკრენით; მიწაზე ფქვილი ეყარა, მაგრამ: მიწაზე ვეყარენით და მისთ.. უკანასკნელ ხანებში უმეტესად გამარტივებული ფორმები იხმარება: ვეკარით, ვეყარეთ.

520. უღლების ნიმუშები.

წყვეტილი

მხ.	1(3) ვეწერე	1.3 ვეკარ
	2(3) ეწერე	2.3 ეკარ
	3(3) ეწერა	3.3 ეკრა
მრ.	1(3) ვეწერენით, ვეწერეთ	1.3 ვეკრენით, ვეკარით
	2(3) ეწერენით, ეწერეთ	2.3 ეკრენით, ეკარით
	3(3) ეწერნენ	3.3 ეკრნენ

II კავშირებითი

მხ.	1(3) ვეწერო	1.3. ვეკრა
	2(3) ეწერო	2.3 ეკრა
	3(3) ეწეროს	3.3 ეკრას
მრ.	1(3) ვეწერნეთ, ვეწეროთ	1.3 ვეკრნეთ, ვეკრათ
	2(3) ეწერნეთ, ეწეროთ	2.3 ეკრნეთ, ეკრათ
	3(3) ეწერნენ	3.3 ეკრნენ

III სერიის მწკრივები

521. დამთხვევა დინამიკურთან. სტატიკური ზმნების III სერიის მწკრივთა ფორმები თითქმის სავსებით ემთხვევა სათანადო ფუძის დინამიკური ვნებითის ფორმებს იმავე მწკრივებში; დამთხვევა ხდება როგორც ერთ-პირიან ფორმებში, ისე ორ-პირიანებში.

ის განსხვავება, რომელიც სტატიკურ ფორმებს მოეპოვებათ აწმყოში ქცევისა და სიტუაციის თვალსაზრისით (სწერია — უწერია; სწერია — აწერია), III სერიაში დაიკარგება, სამაგიეროდ აქ გარჩეულია ერთ-პირიანი და ორ-პირიანი ფორმები, როგორც ამას შემდეგი მაგალითები გვიჩვენებს:

I სერია		II სერია	III სერია	
აწმყო		წყვეტილი	I თურმეობ.	
1-პირ.	2-პირ.		1-პირ.	2-პირ.
აბია	უბია	ება	ბმულა	ჰბმია
აგია	უგია	ეგო	გებულა	ჰგებია
აგდია	უგდია	ეგდო	გდებულა	ჰგდებია
———	აცვია	ეცვა	———	სცმია
———	აკრავს	ეკრა	———	ჰკვრია
———	ჰგონია	ეგონა	———	ჰგონებია
				და მისთ.

გვაქვს სტატიკური ფორმები „ნთება“ ზმნისა: „ანთია“ (1-პირიანი) და „უნთია“ (2-პირიანი). თქმულის თანახმად, ფორმობლივი განსხვავება მათ შორის დაიკარგება როგორც II სერიაში (ენთო, ენთოს), ისე მყოფადის წრეში, სადაც ფორმები ნასესხებია: ენთება, ენთებოდა, ენთებოდეს; სამაგიეროდ განსხვავება ისევ გაჩნდება III სერიაში: ნთებულა (1-პირ.), ჰნთებია (2-პირ.):

„ბოლივით ალმა წავიდნენ [წეროები],
თითქო ძირს ცეცხლი გვნთებია“ (ვაჟა, I, 172).

ზემოთ შევნიშნეთ, რომ დამთხვევა დინამიკურ ფორმებთან თითქმის სრულიაო, იმიტომ რომ ერთგვარი შეზღუდვაა საჭირო, ვინაიდან ერთ-პირიანი ფორმები „სწერია“ და „სთესია“ [წარმოშობით ორ-პირიანები] ამას გვაძლევს შესაბამისად: „წერებულა“ და „თესებულა“, ხოლო ორ-პირიანი „უთესია“ და „უწერია“ — ამაებს: „სწერებია“ და „სთესებია“; სათანადო დინამიკურისაგან კი გვაქვს: (და)წერილა, (და)თესილა და (და)სწერია, (და)სთესია.

522. უღლების ნიმუშები. I თურმეობითში უღლება მეშველი ზმნის საშუალებით ხდება როგორც ერთ-პირიანებში, ისე ორ-პირიანებში; მაგალითი:

I თურმეობითი

	(1-პირიანი)	(2-პირიანი)	
მხ.	1 ვწერებულვარ	1.3 ვსწერებივარ	ვჰგონებივარ
	2 სწერებულხარ	2.3 სწერებიხარ	ჰგონებიხარ
	3 წერებულა	3.3 სწერებია	ჰგონებია
მრ.	1 ვწერებულვართ	1.3 ვსწერებივართ	ვჰგონებივართ
	2 სწერებულხართ	2.3 სწერებიხართ	ვჰგონებიხართ
	3 წერებულა(ნ)	3.3 სწერებია(ნ)	ჰგონებია(ნ)

რაც ითქვა დინამიკურ ზმნებზე მეშველ-ზმნიანი ფორმების გამო (§ 509), იგი ამ შემთხვევებზედაც ვრცელდება.

523. II თურმეობითი და III კავშირებითი. ერთ-პირიან ზმნებს მეშველი ზმნა უნდა, ორ- პირიანები კი **ოდ** სავრცობს მიიღებენ და მარტივ უღლებას შეინარჩუნებენ, რომელიც მათ ძველად I თურმეობითშიც ჰქონდათ. მაგრამ შეიძლება, დინამიკურთა მსგავსად, ამათაც გაუჩნდეს პარალელურად მეშველ-ზმნიანი ფორმები.

II თურმეობითი

	(1-პირიანი)	(2-პირიანი)	
მხ.	1 ვწერებულიყავ	1.3 ვსწერებოდი	ვჰგონებოდი
	2 სწერებულიყავ	2.3 სწერებოდი	ჰგონებოდი
	3 წერებულიყო	3.3 სწერებოდა	ჰგონებოდა
მრ.	1 ვწერებულიყვენით (ვწერებულიყავით)	1.3 ვსწერებოდით	ვჰგონებოდით
	2 სწერებულიყვენით (სწერებულიყავით)	2.3 სწერებოდით	ჰგონებოდით
	3 წერებულიყვნენ	3.3 სწერებოდნენ	ჰგონებოდნენ

III კავშირებითი

	(1-პირიანი)	(2-პირიანი)	
მხ.	1 ვწერებულიყო	1.3 ვსწერებოდე	ვჰგონებოდე
	2 სწერებულიყო	2.3 სწერებოდე	ჰგონებოდე
	3 წერებულიყოს	3.3 სწერებოდეს	ჰგონებოდეს
მრ.	1 ვწერებულიყვნეთ (ვწერებულიყოთ)	1.3 ვსწერებოდეთ	ვჰგონებოდეთ
	2 სწერებულიყვნეთ (სწერებულიყოთ)	2.3 სწერებოდეთ	ჰგონებოდეთ
	3 წერებულიყვნენ	3.3 სწერებოდნენ	ჰგონებოდნენ

პარალელური ფორმები მეშველი ზმნით:

	II თურმეობითი		III კავშირებითი	
	(ძირით.)	(პარალ.)	(ძირით.)	(პარალ.)
მხ. 1.3	ვჰგონებოდი	ვჰგონებიყავ	ვჰგონებოდე	ვჰგონებიყო
2.3	ჰგონებოდი	ჰგონებიყავ	ჰგონებოდე	ჰგონებიყო
3.3	ჰგონებოდა	ჰგონებიყო	ჰგონებოდეს	ჰგონებიყოს
მრ. 1.3	ვჰგონებოდით	ვჰგონებიყვენით	ვჰგონებოდეთ	ვჰგონებიყვენეთ
2.3	ჰგონებოდით	ჰგონებიყვენით	ჰგონებოდეთ	ჰგონებიყვენეთ
3.3	ჰგონებოდნენ	ჰგონებიყვნენ	ჰგონებოდნენ	ჰგონებიყვნენ

პარალელურ ფორმებს კიდევ თავისი პარალელური აქვს მრ. რიცხვის 1-ლსა და მე-2 პირში: ვჰგონებიყავით, ჰგონებიყავით; ვჰგონებიყოთ, ჰგონებიყოთ.

524. კლება. დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ სტატიკურ ზმნებს ყველას როდი უხერხდება III სერიის მწკრივთა ფორმები. ბევრ ზმნას ეს ფორმები აკლია. ამიტომ აქ ჩამოვთვლით იმ ზმნებს, რომელთაც ეს ფორმები ასე თუ ისე მოეპოვებათ (388 პარაგრაფში მოყვანილი რიგის მიხედვით):

1. ა-ბია: ბმულა, ჰბმია
2. ა-ბადია: ბადებულა, ჰბადებია
3. ა-ბარია: ჰბარებია
6. ჰ-ბურავს: ჰბურებია
8. უ-ბჯენია: ჰბჯინებია
9. ა-გია, უ-გია: გებულა, ჰგებია
11. ა-გდია, უ-გდია: გდებულა, ჰგდებია
13. ჰ-გონია: ჰგონებია
15. ა-ვლია: ჰვლებია
16. ს-თესია: თეს(ებ)ულა, სთესებია
18. უ-კავია: ჰკავებია
20. ა-კერია: ჰკერებია
22. ჰ-კიდია, უ-კიდია: კიდებულა, ჰკიდებია
24. ა-კოსია: ჰკოსებია
25. ა-კრავს: ჰკვრია
31. ა-ნთია: ნთებულა, ჰნთებია
33. უ-პყრია: ჰპყრობია
35. უ-რევია: რეულა, ჰრევია.
37. ა-რტყია: ჰრტყმია
38. ჰ-[რ]ქვია: ჰრქმევია
41. ა-რჩვია: რჩობილა, ჰრჩობია
43. ა-სვია: სობილა, ჰსობია
44. უ-სვია: ჰსმია
45. ა-სვენია, უ-სვენია: სვენებულა, ჰსვენებია
47. ა-სხია: სხმულა, ჰსხმია
48. სტანია: სტანებია
49. ს-ტევია: ტეულა
52. ს-ტოლია: სტოლებია
54. ა-ფარია: ჰფარებია
59. ჰ-ღვრია: ღვრილა
60. ჰ-ყრია: ყრილა (ორ-პირიანი ფორმა დაემთხვეოდა აწმყოს ერთ-პირიანს. არ იხმარება).
62. უ-ყენია: ჰყენებია
63. ჰ-ყუდია: ყუდებულა, ჰყუდებია
70. ა-ჩნია: სჩნევია
72. ა-ცვია: სცმია (სცმევია)
73. ა-ცხია: სცხებია
74. ს-წერია: წერებულა, სწერებია
75. ა-წყვია: წყობილა, სწყობია
76. უ-ჭირავს (უ-ჭერია): სჭერია (ემთხვევა აწმყოს წარმოებას, მაგრამ სხვაგან არა: სჭეროდა, სჭეროდეს)
78. ა-ხატია, უ-ხატია: ხატულა, ჰხატებია
79. უ-ხელია: ჰხილებია
80. უ-ხვევია, ა — : ჰხვევია, ჰხვეოდა, ჰხვეოდეს
83. ჰ-ხურავს: ჰხურებია (მაშ კაცი არა ვყოფილვარ და ქუდი არა მხურებია)

საშუალი გვარი

525. წინასწარი. როგორც აღნიშნულია, საშუალი გვარის ზმნები მწკრივთა ფორმების წარმოების თვალსაზრისით ორ ჯგუფად იყოფა: ერთი მიჰყვება მოქმედებითი გვარის ზმნებს, მეორე კი — ვნებითი გვარისას. პირველი ჯგუფის ზმნები მედიოაქტივის სახელით არის ცნობილი, მეორისა — მედიოპასივის სახელით (§§ 370—373).

საშუალი გვარის ზმნებს (მედიოაქტივებსა და მედიოპასივთა უმეტესობას) საკუთრივ აწმყოს წრის მწკრივთა ფორმები მოეპოვება, დანარჩენი ფორმები კი სესხების გზით აქვს შევსებული.

C. მედიოაქტივი ზმნები

526. ერთ-პირიანი ზმნები. ფაქტობრივი ვითარება. რომ ნათელი იყოს, თუ როგორია მედიოაქტივი ზმნის მწკრივთა წარმოება სხვადასხვა სერიის მიხედვით (I სერიაში წრეების მიხედვითაც), მივმართოთ მაგალითს: „დუღს“ ზმნა ერთ-პირიანია და გარდაუვალი. მას I სერიაში ასეთი ფორმები მოეპოვება:

აწმყოს წრე		მყოფადის წრე	
აწმყო	დუღ-ს	**მყოფადი**	ი-დუღ-ებ-ს
უწყვეტელი	დუღ-**დ**-ა	**I ხოლმ.**	ი-დუღ-ებ-**დ**-ა
აწმყ. კავშ.	დუღ-**დ**-ეს	**მყოფ. კავშ.**	ი-დუღ-ებ-**დ**-ეს

მეორე რიგის ფორმები (მყოფადის წრისა) წარმოების თვალსაზრისით ორი რამით არის განსხვავებული აწმყოს წრის სათანადო ფორმებისაგან, როგორც ამას მათი შედარება დაგვანახვებს:

ა) პირველი რიგის ფორმებში ფუძეს წინ არაფერი უძღვის (დუღს, დუღდა, დუღდეს), მეორისაში ფუძეს მიუძღვის **ი** (ი-დუღებს, ი-დუღებდა, ი-დუღებდეს);

ბ) პირველი რიგის ფორმებს თემის ნიშანი არა აქვს (დუღ-ს), მეორისას კი თემის ნიშანი მოეპოვება (იდუღ-**ებ**-ს).

„დუღს“ ზმნის ნაცვლად რომ სხვა ზმნა ავიღოთ, მაგ., „ტირის“, ვნახავთ, რომ აქ სხვა განსხვავებაც იჩენს თავს, სახელდობრ: პირველი რიგის ფორმებს სავრცობად **ოდ** ექნება, მეორისას — **დ**:

აწმყოს წრე		მყოფადის წრე	
აწმყო	ტირ-ი-ს	**მყოფადი**	ი-ტირ-**ებ**-ს
უწყვეტელი	ტირ-**ოდ**-ა	**I ხოლმ.**	ი-ტირ-**ებ**-**დ**-ა
აწმყ. კავშირ.	ტირ-**ოდ**-ეს	**მყოფ.** კავშ.	ი-ტირ-**ებ**-**დ**-ეს

ამას გარდა, „ტირის“ ზმნას აწმყოში მწკრივის ნიშანი აქვს (ტირ-**ი**-ს; ძველად ტირ-ს ითქმოდა), რომელიც მყოფადში არ გადაჰყვება.

რომ ავიღოთ კიდევ სხვა ზმნები, ვნახავთ, რომ მყოფადის ფორმები მათაც სხვაგვარად ექნებათ ნაწარმოები:

აწმყო	**მყოფადი**
კივ-**ი**-ს	**ი**-კივ-**ლ**-**ებ**-ს
ჩქარ-**ობ**-ს	**ი**-ჩქარ-**ებ**-ს
გორ-**ავ**-ს	**ი**-გორ-**ებ**-ს

მაშასადამე, მედიოაქტივი ზმნები მყოფადის წრის ფორმებს სხვაგვარად იკეთებენ, ვიდრე აწმყოს წრისას. განსხვავება ზოგ ზმნაში ორი სახისაა, **ზოგში** — სამისა; მაგრამ არის რიგი ზმნებისა, რომელთაც მყოფადის წრის ფორმები მარტო **ი** პრეფიქსით ექნებათ განსხვავებული აწმყოს წრის ფორმებისაგან; ეს არის ერთპირიანი **ებ**იანი ზმნები: ჭიკჭიკ-**ებ**-ს, ხითხით-**ებ**-ს, ტრიალ-**ებ**-ს, ჭიხვინ-**ებ**-ს, ღუღუნ-**ებ**-ს და მისთ., რომელთაც მყოფადში **ი** დაერთვის წინ: ჭიკჭიკ-ებ-ს — **ი**-ჭიკჭიკ-ებ-ს, ტრიალ-ებ-ს — **ი**-ტრიალ-ებ-ს, ღუღუნ-ებ-ს— **ი**-ღუღუნ-ებ-ს და მისთ.

ამას გარდა, შეიძლება, რომ პრეფიქსი **ი** აწმყოშიც იყოს: **ი**-ცინის, **ი**-მღერის (უფრო „მღერის" იხმარება), **ი**-ხარის („ბარად რომ ვიყო ლაღადა, სული მთისკენვე ი ხ ა რ ი ს", რ. ერისთ.; უფრო „ხარობს" ითქმის). ამათი ფორმები კი მყოფადში (და აგრეთვე სხვა მისი წრის მწკრივებში) მარტო თემის ნიშნით ექნება განსხვავებული: ი-ცინ-**ებ**-ს, ი-მღერ-**ებ**-ს, ი-ხარ-**ებ**-ს.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ მოყვანილი წყვილ-წყვილი ზმნები (დუღს— იდუღებს, ტირის—იტირებს, კივის—იკივლებს, ჩქარობს—იჩქარებს, გორავს— იგორებს, ჭიკჭიკებს — იჭიკჭიკებს, იცინის — იცინებს და სხვ.) ფორმის მხრით განსხვავებული ზმნებია, შინაარსით ისინი ყველაფრად ერთნია, გარდა დროისა, რომელიც პირველ ცალებში ეხლანდელია (დუღს, ტირის, კივის, ჩქარობს, იცინის და სხვ.), მეორე ცალებში კი მომავალია (იდუღებს, იტირებს, იკივლებს, იჩქარებს, იცინებს და სხვ.). ამის მიხედვით პირველი ცალები აწმყოს ფორმებია (დუღს, ტირის და სხვ.), მეორენი კი — მყოფადისა (იდუღებს, იტირებს და სხვ.).

შესაფერისად განსხვავებულია სხვა მწკრივთა ფორმებიც (უწყვეტლისა და I ხოლმეობითისა, აწმყოს კავშირებითისა და მყოფადის კავშირებითისა).

საკითხავია: რატომ არის ასეთი ძირითადი განსხვავება აწმყო-მყოფადის ფორმებს შორის, რომლის მსგავსი არაფერი იცის არც მოქმედებითისა და არც დინამიკური ვნებითი გვარის ზმნებმა? ამ კითხვას რომ სწორი პასუხი გავსცეთ, საჭიროა, გამოვარკვიოთ შემდეგი დეტალები:

ა) რა არის ის **ი**, რომელიც თავში უჩნდება ზმნას (**ი**-დუღებს, **ი**-ტირებს, **ი**-კივლებს)?

ბ) რატომ ხდება თემის ნიშნის შეცვლა (დუღ-ს — იდუღ-**ებ**-ს; ჩქარ-**ობ**-ს— იჩქარ-**ებ**-ს, გორ-**ავ**-ს — იგორ-**ებ**-ს)?

გ) საიდან მოდის **ლ, ოლ, ენ, უნ**, რომლებიც ზოგიერთ ზმნას უჩნდება (ი-კივ-**ლ**-ებს, ი-ქრ-**ოლ**-ებს, ი-დ-**ენ**-ს, ი-ხტ-**უნ**-ებს)?

ირკვევა, რომ ეს მოვლენები, რომლებსაც კითხვები ეხება, ყველა ერთმანეთთანაა მჭიდროდ დაკავშირებული, როგორც ამას შემდგომი დაგვანახვებს.

527. სესხების ხასიათი და საფუძველი ერთ-პირიანთათვის. ზემორე მოყვანილ კითხვებს ნათელი მოეფინება, თუ გავიხსენებთ, რომ მოიპოვება დასახელებულ საშუალი გვარის ზმნათა ფუძეებისაგან ნაწარმოები მოქმედებითი გვარის ზმნები, რომელთაც ყველა ჩამოთვლილი ნიშნები მოეპოვებათ. მაგალითისათვის ავიღოთ იგივე „დუღს“ ზმნა და მისი ცალი აქტივში: „ადუღებს“. „ადუღებს“ ფორმის გვერდით არსებობს აგრეთვე „იდუღებს“ და „უდუღებს“, რომლებიც სათავისო და სასხვისო ქცევის ფორმებია:

საარვისო	სათავისო	სასხვისო
ა-დუღებს	ი-დუღებს	უ-დუღებს

ეს ფორმები უსრული სახის ფორმებია და შეუძლიათ ამა თუ იმ ვითარებაში ეხლანდელი დროის გაგებაც მოგვცენ და მომავლისაც. ამათგან „ადუღებს“ და „იდუღებს“ ორ-პირიანი ფორმებია, „უდუღებს“ კი — სამიანი. „დუღს“ გარდაუვალია, „ადუღებს“, „იდუღებს“ და „უდუღებს“ კი — გარდამავალი. ავიღოთ ამათგან „იდუღებს“ და დავუყენოთ პირისპირ „დუღს“ ზმნას. პირველი სერიის ორისავე მწკრივის ფორმებში; გვექნება:

აწმყოს წრის ფორმები

აწმყო	დუღს წყალი	იდუღებს წყალს
უწყვ.	დუღდა "	იდუღებდა "
აწმყ. კავშ.	დუღდეს "	იდუღებდეს "

მყოფადის წრის ფორმები

მყოფ.	იდუღებს წყალი	აიდუღებს წყალს
I ხოლმ.	იდუღებდა "	აიდუღებდა "
მყოფ. კავშ.	იდუღებდეს "	აიდუღებდეს "

თუ შევადარებთ გარდაუვალი „დუღს“ ზმნისა და გარდამავალი „იდუღებს“ ზმნის ფორმებს, ადვილად შევნიშნავთ, რომ ბგერობლივ სრული დამთხვევაა იმის მყოფადის წრის ფორმებისა ამის აწმყოს წრის ფორმებთან, მაგრამ მათ შორის განსხვავებაა რამდენიმე გრამატიკული ნიშნის მიხედვით. სამი მსგავსი ფორმიდან, რომლებიც აქ დაყოფითაა დაბეჭდილი, ავიღოთ ერთი, — „იდუღებს“, — რომელსაც სახელობითშიც ეწყობა სახელი (**იდუღებს** წყალი“) და მიცემითშიც (**იდუღებს** წყალს“), და პარალელურად ჩამოვწეროთ, თუ რა განსხვავებაა მათ შორის; გვექნება:

იდუღებს წყალი

ა) ზმნა ერთ-პირიანია, რადგანაც მხოლოდ ერთი პირის წარმოდგენას გვაძლევს — მარტო სუბიექტისას. ამის მიხედვით სახელიც ერთი ეწყობა: **იდუღებს** წყალი.

იდუღებს წყალს

ა) ზმნა ორ-პირიანია, რადგანაც ორი პირის გაგებას გვაძლევს, სუბიექტისა და ობიექტისას. ამის მიხედვით სახელიც ორი ეწყობა: ქეთო წყალს იდუღებს.

ბ) ზმნა *უქცეოა*, რადგანაც აკლია ქცევის კატეგორიის გამოსახატავად საჭირო საპირისპირო ფორმები.

გ) ზმნა *უასპექტოა*, რადგანაც სათანადო საპირისპირო ფორმა არ მოეპოვება.

დ) დრო *მომავალია*. აწმყოს მნიშვნელობით მას გვერდით „დუღს“ უდგას.

ბ) ზმნა ქცევიანია, სათავისო, რადგანაც პირისპირ საარვისოსი და სასხვისოს ფორმები უდგას (ა-დუღებს, უ-დუღებს).

გ) ზმნა *ასპექტიანია*, უსრული ასპექტისა, რადგანაც გვერდით სრულ-ასპექტიანი „აიდუღებს“ უდგას.

დ) დრო *ეხლანდელია*, თუმცა კი გარკვეულ შემთხვევებში მომავლის გაგებაც აქვს.

უეჭველია, ორივე რიგის „იდუღებს“ ერთია წარმოშობით, მაგრამ, როგორც შედარებიდან ჩანს, ფუნქციონალური განსხვავება მათ შორის ისე დიდია, რომ ყოვლად შეუძლებელია მათი მიჩნევა ერთი ზმნის ფორმად. პირიქით, ერთ-პირიანი „იდუღებს“ არა ორ-პირიან „იდუღებს“-თან არის, არამედ ერთ-პირიან „დუღს“-თან, რომელსაც ის დანაკლის ფორმებს უვსებს.

თქმულის მიხედვით „იდუღებს“ (ამ ფრაზიდან: „იდუღებს წყალი“) ისეთივე გარდაუვალია, როგორც „დუღს“, რადგანაც ისინი გაერთიანებულნი არიან ერთ-პირიანობით და აქედან წარმომდგარი უნარით, შეიწყონ მხოლოდ ერთი სახელი. ქართულად სწორად მოლაპარაკე ადამიანისთვის გარდაუვალი ფორმები „დუღს“ — „იდუღებს“ ისეთსავე მიმართებაშია ერთმანეთთან, როგორც გარდამავალი „იდუღებს“ — „აიდუღებს“, რადგანაც იქაც და აქაც განსხვავება დროის მიხედვით არის (უკანასკნელში აგრეთვე ასპექტის მიხედვითაც, მაგრამ ამას ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს).

მაშასადამე, „იდუღებს“ პოლისემიური ფორმაა: ერთ შემთხვევაში იგი ერთ-პირიანია, სხვა შემთხვევაში — ორ-პირიანი; ერთ შემთხვევაში უქცეოა, სხვა შემთხვევაში — ქცევიანი და სხვ.

თქმულის გათვალისწინებით ადვილია პასუხი გავსცეთ ზემოთ (§ 526-ში) დასმულ სამ კითხვას:

ა) რა არის ის **ი**, რომელიც თავში უჩნდება ზმნებს: **ი**-დუღებს, **ი**-ტირებს, **ი**-კივლებს და მისთ.? — პასუხი: ეს არის სათავისო ქცევის ნიშანი იმავე ფუძის მოქმედებითი გვარის ზმნისა.

ბ) რატომ ხდება თემის ნიშნების შეცვლა? — პასუხი: იმიტომ, რომ სათანადო მოქმედებითში სწორედ **ებ** არის, თუმცა შეიძლება **ი**-ც იყოს: ვსწავლ-**ობ** — ვ-ი-სწავლ-**ი**, რადგანაც სათანადო მოქმედებითია ვ-ასწავლ-**ი** (*ვ-ი-სწავლ-ი, *ვ-უ-სწავლ-ი).

გ) საიდან მოდის **ლ, ოლ, ენ, უნ,** რომლებიც ზოგიერთ ზმნას უჩნდება (იკივ-**ლ**-ებს, იქრ-**ოლ**-ებს, იდ-**ენ**-ს, იხტ-**უნ**-ებს)? — პასუხი: იმავე მოქმედებითიდან: ა-კივ-**ლ**-ებს, აქრ-**ოლ**-ებს, ად-**ენ**-ს, ახტ-**უნ**-ებს. ამ ფორმების სავარაუდებელი სათავისო იქნება: *იკივლებს, *იქროლებს, *იდენს, *იხტუნებს.

რომ ნასესხები ფორმები მოქმედებითი გვარის ზმნისაგანაა აღებული, ამას უფრო ნათლად შემდეგიდან დავინახავთ.

თუ გადავიყვანთ „დულს" — „იდუღებს" ზმნას II და III სერიის მწკრივებში და შევუწყობთ სახელს, გვექნება: **იდულა** წ ყ ა ლ მ ა, **უდუღნია** წ ყ ა ლ ს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ზმნას შერჩენილი აქვს გარდამავალი ზმნის თვისება, ქვემდებარე შეიწყოს:

ა) მოთხრობითში, როცა ის II სერიის ფორმაა (**იდულა** წ ყ ა ლ მ ა, **იდულოს** წ ყ ა ლ მ ა) და

ბ) მიცემითში, თუ ის III სერიისაა (**უდუღნია** წ ყ ა ლ ს, **ედუღნა** წ ყ ა ლ ს). აღნიშნულ სინტაქსურ ნიშნებს გარდა, ზმნას შერჩენილი აქვს ორი მორფოლოგიური ნიშანი გარდამავალი ზმნისა:

ა) ზმნა გარდაუვალია, მაგრამ წყვეტილის ფორმას III პირის მრ. რიცხვში **ეს** დაბოლოება აქვს: იდულ-**ეს** (ამ შემთხვევაში უფრო კარგი მაგალითები იქნება: იტირ-**ეს**, იცელქ-**ეს**, იცეკვ-**ეს**, იცხოვრ-**ეს**, იჩქარ-**ეს** და მისთ).

ბ) III სერიის ფორმები ინვერსიულად არის ნაწარმოები: უდუღნია, ედუღნა, ედუღნოს და მისთ.

მსგავსსავე სურათს მოგვცემს სხვა ზმნებიც იმავე სერიებში გადაყვანისას:

ი ტ ი რ ა ბავშვმა, უ ტ ი რ ნ ი ა ბავშვს.
ი კ ი ვ ლ ა ქალმა, უ კ ი ვ ლ ი ა ქალს.
ი ქ რ ო ლ ა ქარმა, უ ქ რ ო ლ ნ ი ა ქარს.
ი დ ი ნ ა სისხლმა, უ დ ე ნ ი ა სისხლს.
ი ხ ტ უ ნ ა კვიცმა, უ ხ ტ უ ნ ი ა კვიცს და მისთ.

მაშასადამე, ყველგან მოქმ. გვარისებრი ვითარება ჩანს, თუმცა არა ყველაფრად იმნაირი, როგორც მოქმედებითში: მოქმედებითი გვარის ზმნა სათავისო ქცევით ორ-პირიანია და კარგად ეწყობა მას პირდ. ობიექტი (იდუღებს წ ყ ა ლ ს, ცხვირიდან იდენს ს ი ს ხ ლ ს; იდულა წ ყ ა ლ ი, ცხვირიდან იდინა ს ი ს ხ ლ ი და მისთ.), მაგრამ ეს ფორმები გამოყენებულია დანაკლის ფორმათა შევსებისათვის გარდაუვალად, პირდ. ობიექტის ჩამოშორებით და, სათანადოდ, პირდ.-ობიექტური პირების მოშლით. ზმნას ჰრჩება მარტო სუბიექტური პირები. რაკი ნასესხებ ფორმას აღარ ეწყობა პირდ. ობიექტი, რანაირადღა შეიძლება შეჰრჩეს მას სათავისო ქცევის გაგება? აკი არცა აქვს. მაშასადამე, პირდაპირი ობიექტის გამორიცხვას და ქცევის გაგების დაკარგვას შედეგად მოჰყვა ზმნის ერთ-პირიანობამდე ჩამოსვლა და „დულს" ფორმასთან გატოლება.

ეხლა, მაშასადამე, ყველაფრად ცხადია, რომ ერთ-პირიანი მედიოაქტივი ზმნები დანაკლის მწკრივებს ივსებენ სათანადო მოქმედებითი გვარის სათავისო ქცევის ფორმებით ამასთან დაკავშირებული ცვლილებებით (როგორიცაა პირდ.-ობიექტური პირის დაკლება და ერთ-პირიანად გახდომა და სხვ.). ნასესხებ ფორმებს შერჩენილი აქვთ ზოგი თვისება გარდამავალი ზმნისა. მიუხედავად ამისა, გარდამავლობის საკითხი გამორიცხულია, რადგანაც აღნიშნული ზმნები ერთ-პირიანი ფორმებია და მხოლოდ ერთი სახელი შეეწყობა: იდუღებს წყალი, იდულა წყალმა, უდუღნია წყალს. აი ეს ერთ-პირიანობა და გარდაუვალობაა, რომელთა გამო ამ ფორმებს შეუძლიათ ნაკლი შეუვსონ

გარდაუვალ ერთ-პირიან ზმნებს, რომელთაც საკუთრივ მარტო აწმყოს წრის მწკრივები მოეპოვებათ.

528. ორ-პირიანი ზმნები. ერთ-პირიანი მედიოაქტივის ზმნის ფუძისაგან მრავალ შემთხვევაში ორ-პირიანი ფორმებიც გვაქვს: **დუღს — უდუღს,** დის—სდის — უდის, ყარს — უყარს, ხტის — უხტის, წუხს — უწუხს, ბუდობს — უბუდობს, გორავს — უგორავს, ფრინავს — უფრინავს, ტირის — უტირის, იცინის — უცინის და მისთ.. ასეთ ზმნათაგან საზოგადოდ მხოლოდ ერთ-პირიანებს შეუძლიათ აწარმოონ სესხების გზით ყველა მწკრივის ფორმები, ორ-პირიანი ფორმების ხმარება კი ჩვეულებრივ აწმყოს წრის მწკრივებით არის შემოფარგლული. მართლაც, „დუღს" ზმნას აქვს არა მარტო ეს ფორმები: დუღს, დუღდა, დუღდეს, არამედ ესენიც: იდუღებს, იდუღა, უდუღნია, „უდუღს" — ამას კი მარტო აწმყოს წრის მწკრივები აქვს: უდუღს, უდუღდა, უდუღდეს.

მაგრამ ამასთანავე არის ერთი წყება ორ-პირიანი ნასახელარი ზმნებისა, რომელთაც შეუძლიათ დანაკლისი ფორმები სესხების გზით შეივსონ. ასეთებია: სდარაჯობს, ჰმეგობრობს, ჰმოყვრობს, ჰმტერობს, ჰპატრონობს, ჰყარაულობს, ჰხელმძღვანელობს და მისთ.. ავიღოთ ამათგან მაგალითისათვის „ჰხელმძღვანელობს". ეს ზმნა ორ-პირიანია. მას გვერდით ერთ-პირიანი „ხელმძღვანელობს" უდგას. ამათ მყოფადი სხვადასხვანაირად აქვთ ნაწარმოები:

> ხელმძღვანელობს — **ი**-ხელმძღვანელებს, **ი**-ხელმძღვანელა.
> ჰხელმძღვანელობს — **უ**-ხელმძღვანელებს, **უ**-ხელმძღვანელა.

აქედან ჩანს, რომ ერთ-პირიანი ზმნა დანაკლის ფორმათა შესავსებად სარგებლობს თავისი ფუძისავე ზმნის სათავისო ქცევის ფორმით, ორ-პირიანი კი — სასხვისოს ფორმით. ეს კია ოღონდ, რომ განსხვავება ერთ-პირიანსა და ორ-პირიანს შორის დაიკარგება III სერიის ფორმებში, სადაც ორ-პირიან ზმნას თავისი ფორმა არა აქვს და ერთ-პირიანის უღლებაზე გადადის:

> იხელმძღვანელა — უხელმძღვანელნია
> უხელმძღვანელა — "

მსგავსად ამისა, „სანდრო დარაჯობს" (ე. ი. სანდრო დარაჯია) და „სანდრო საწყობს სდარაჯობს" (ე. ი. სანდრო საწყობის დარაჯია) ასეთ ფორმებს მოგვცემს მყოფადში შესაბამისად:

> სანდრო **ი**-დარაჯებს (ზმნა ერთ-პირიანია)
> სანდრო საწყობს **უ**-დარაჯებს (ზმნა ორ-პირიანია)

ასევეა სხვა ორ-პირიანებშიც: **უ**-მეგობრებს, **უ**-მტერებს, **უ**-პატრონებს და მისთ.

„ნასესხები" ფორმები მედიოაქტივ ზმნებს სათავისო და სასხვისო ქცევის კვალობაზე აქვთ გაკეთებული (**ი**-ხელმძღვანელებს, **უ**-ხელმძღვანელებს), მაგრამ ზედმეტი არ იქნება გავიმეოროთ, რომ ქცევის გაგება მათ არ მოეპოვებათ: როგორც არ არის გარჩევა ქცევის მიხედვით ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ო ბ ს და ჰ ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ო ბ ს შორის, ისე არ არის ქცევებში გარჩევა „იხელმძღვანელებს" და „უხელმძღვანელებს" ფორმებს შორისაც.

529. ცდა განსხვავების დამყარებისა III სერიის ფორმებში. მედიოაქტივის ფორმათა შემავსებელი ზმნები თითქმის ყველა **ებ**იანია. ნასესხები ფორმები III სერიაში ინვერსიულადაა ნაწარმოები. **ებ**იან მოქმედებით ზმნებს თემის ნიშანი III სერიის ფორმებში ჩვეულებრივ ენახება. იგი უნდა შეენახოს მედიოაქტივის მიერ ნასესხებ ფორმებსაც. მაგრამ ნასესხები ფორმები სათავისო ან სასხვისო ქცევის მიხედვით არის ნაწარმოები. ამ ქცევის მქონე ზმნებს კი თავისი ფორმები III სერიაში არა აქვთ და საარვისოს ფორმებზე გადადიან. ამიტომ მედიოაქტივის ფორმები უნდა დაემთხვეს და ემთხვევა კიდეც მოქმედებითი გვარის საარვისო ქცევის ფორმებს; მაგალითი:

I სერია		II სერია	III სერია
აწმყო	**მყოფადი**	**წყვეტ.**	**I თურმ.**
აწვალებს	————	აწვალა	**უწვალებია**
წვალობს	იწვალებს	იწვალა	***უწვალებია**
აცხოვრებს	————	აცხოვრა	**უცხოვრებია**
ცხოვრობს	იცხოვრებს	იცხოვრა	***უცხოვრებია**
ატრიალებს	————	ატრიალა	**უტრიალებია**
ტრიალებს	იტრიალებს	იტრიალა	***უტრიალებია**

და მისთ.

მაშასადამე, III სერიაში აღარ ჩანს, ერთ-პირიანი ზმნისაა ფორმა, თუ ორ-პირიანისა, ე. ი. საშუალისაა თუ მოქმედებითისა, რადგანაც ორსავე შემთხვევაში ერთი და იგივე ფორმა მივიღეთ. ამიტომ ენა შეეცადა, განსხვავება დაემყარებინა და ამას მიაღწია კიდეც რამდენადმე: **ებ** სუფიქსი საშუალს (ერთ-პირიანს) ჩამოაშორა (თუმცა ყოველთვის ვერა) და მარტო მოქმედებითს (ორ-პირიანს) დაუტოვა და ამით განსხვავება დაამყარა მათ შორის:

აქტივი	**მედიოაქტივი**
აცხოვრებს, უცხოვრებია	ცხოვრობს, უცხოვრია
აკვნესებს, უკვნესებია	კვნესის, უკვნესია
აკივლებს, უკივლებია	კივის, უკივლია
აყივლებს, უყივლებია	ყივის, უყივლია
აცოცხლებს, უცოცხლებია	ცოცხლობს, უცოცხლია

და მისთ.

აქტივისა და მედიოაქტივის ფორმათა სადიფერენციაციოდ გამოყენებულ იქნა აგრეთვე **ნ** ინფიქსი, რომელმაც მედიოაქტივში **ებ**-ის ადგილი დაიჭირა; მაგალითები:

აქტივი		მედიოაქტივი	
აწმყო	**I თურმ.**	**აწმყო**	**I თურმ.**
აწვალ-**ებ**-ს	უწვალ-**ებ**-ია	წვალ-**ობ**-ს	უწვალ-**ნ**-ია
ათამაშ-**ებ**-ს	უთამაშ-**ებ**-ია	თამაშ-**ობ**-ს	უთამაშ-**ნ**-ია
ადუღ-**ებ**-ს	უდუღ-**ებ**-ია	დუღ-ს	უდუღ-**ნ**-ია
ატრიალ-**ებ**-ს	უტრიალ-**ებ**-ია	ტრიალ-**ებ**-ს	უტრიალ-**ნ**-ია
აწუხ-**ებ**-ს	უწუხ-**ებ**-ია	წუხ-ს	უწუხ-**ნ**-ია

აყეფ-**ებ**-ს	უყეფ-**ებ**-ია	ყეფ-ს	უყეფ-**ნ**-ია
ამუშავ-**ებ**-ს	უმუშავ-**ებ**-ია	მუშა-**ობ**-ს	უმუშავ-**ნ**-ია
აბანავ-**ებ**-ს	უბანავ-**ებ**-ია	ბანა-**ობ**-ს	უბანავ-**ნ**-ია
ატირ-**ებ**-ს	უტირ-**ებ**-ია	ტირ-**ი**-ს	უტირ-**ნ**-ია
			და მისთ.

ეს **ნ** ისეთივე წარმოშობისაა, როგორისაც ზოგიერთი ზმნის მოქმედებით-ში (გაუტეხ-**ნ**-ია, დაუძახ-**ნ**-ია, უცემ-**ნ**-ია), იშვიათად ვნებითშიც (დაჰვიწყ-**ნ**-ია, დასცვივ-**ნ**-ია, მოჰშივ-**ნ**-ია) [§§ 492, 493].

ზოგიერთი მედიოაქტივი ზმნის II თურმეობითის ფორმას ეს **ნ** განასხვავებს იმავე ფუძის ვნებითი გვარის ფორმისაგან წყვეტილში:

ვნებითი		საშუალი	
აწმყო	**წყვეტ.**	**აწმყო**	**II თურმ.**
ეთამაშება	ეთამაშა	თამაშობს	ეთამაშ-**ნ**-ა
ელაპარაკება	ელაპარაკა	ლაპარაკობს	ელაპარაკ-**ნ**-ა
ელაქუცება	ელაქუცა	ლაქუცობს	ელაქუც-**ნ**-ა
			და მისთ.

რაც შეეხება ამ წყვილს: უსწავლებია — უსწავლია, აქ ასეთი ვითარება გვაქვს: დღეს, მართალია, „სწავლება“ ზმნის მოქმედებითი ინიანია (ვას-წავლ-**ი**), მაგრამ ძველად ის **ებ**-იანი იყო: ვასწავ-**ებ**, ვასწავ-**ე**, მ ი ს წ ა ვ-**ე ბ**-ი ე ს. ამისაგან ნაწარმოები იყო ფორმები სათავისო ქცევით: ვისწავებ, ვისწავე, მ ი ს წ ა ვ ი ე ს („ვითარ-მე წიგნი იცის ამან, რამეთუ უ ს წ ა ვ ი ე ს მებრ არა“? იო. 7,15 C). ახალ ქართულში თემის ნიშანიც შეიცვალა და **ლ**-ც ჩაერთო: ვასწავ-**ებ** — ვასწავ-**ლ**-ი. **ლ**ასმა ყველგან გაიკაფა **გზა**, თანაც I თურმეობითში ძველი წარმოების **ებ** შენახულ იქნა: მისწავლ-**ებ**-ია.

ამ ზმნის **ლ** საშუალი ზმნის ფორმებშიც დამკვიდრდა: ვსწავლობ, ვის-წავლე, მისწავლია (ზმნა ზოგ შემთხვევაში შეიძლება გარდამავალიც იყოს).

530. ზმნისწინიანი მედიოაქტივის ფორმათა შესახებისათვის. რო-გორც აღნიშნულია (§ 382), საშუალი ზმნა, კერძოდ მედიოაქტივი, ზმნის-წინს საზოგადოდ არ მიიღებს, და თუ მიიღო, ზმნისწინი მას ასპექტს ვერ შეუქმნის და აწმყოდან მყოფადში ვერ გადაიყვანს (§ 332). მაგალითად, „ტირის“ ზმნის გვერდით მოიპოვება: მი-ტირის (=ტირილით მიდის), შე-ს-ტირის, თავს და-ს-ტირის, მი-ს-ტირის (=ტირილით მიჰყვება). ესენი ყველა აწმყოს ფორმებია. ასეთი ზმნების ხმარება უმეტესად აწმყოს წრის მწკრი-ვებითაა შემოფარგლული: მი-სტირის, მი-სტიროდა, მი-სტიროდეს. მსგავსად ამისა, გვაქვს ფორმები: და-გოგავს, და-გოგავდა, და-გოგავდეს; მი-ყაყანებს, მი-ყაყანებდა, მი-ყაყანებდეს; მო-გორავს, მო-გორავდა, მო-გორავდეს და მისთ.

იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ზოგი ასეთი ზმნა სხვა მწკრივებშიც; მაგალითად, „შესტირის“, რომელიც მყოფადში თემის ნიშნად **ებ**-ს დაირ-თავს: შესტირებს. აქედან შემდეგ დანარჩენი მწკრივები ჩვეულებრივი წესით იქნება ნაწარმოები: შესტირა, შეუტირნია. მაშასადამე, აქ აღარ ხდება სა-

სხვისო ქცევაზე გადასვლა, როგორც ეს უზმნისწინო ორ-პირიან ზმნებშია.

მსგავსი ფორმათა წარმოება აქვს შემდეგ ზმნებს: და-ს-ცინის (დასცინებს, დასცინა, დაუცინია), შე-ჰ-ღმუის (შეჰღმუვლებს, შეჰღმუვლა, შეუღმუვლია), და-ჰ-კივის (დაჰკივლებს, დაჰკივლა, დაუკივლია; უკანასკნელი ფორმა დაემთხვა „დაიკივლებს" ზმნისას) და მისთ.

531. ულლების ნიმუშები. მედიოაქტივი ზმნების უღლება რამდენადმე განსხვავებულია I სერიის აწმყოს წრის მწკრივებში იმის მიხედვით, თუ რა მოუდის მათ თემის ნიშნად: **ავ, ებ** და **ობ**იანებს და უნიშნოთა ერთ ჯგუფს (დუღ-ს, წუხ-ს, ქუხ-ს, წვიმ-ს, თოვ-ს, ხურ-ს, ყარ-ს და მისთ.) სავრცობად **დ** აქვს: გორ-ავ-დ-ა, ქვითინ-ებ-დ-ა, ცელქ-ობ-დ-ა, წვიმ-დ-ა, უნიშნოთა მეორე ჯგუფს კი — **ოდ**: ტირ-ოდ-ა, კი(ვ)-ოდ-ა, მი-რბ-ოდ-ა. უკანასკნელი ჯგუფის ზმნებს, ამას გარდა, აწმყოში **ი** აქვს: ვტირ-**ი**, ვკივ-**ი**, მივრბი-ვარ. ეს **ი** მწკრივის ნიშანია როგორც ვნებითი გვარის ზმნებში (ვიწვ-**ი**, მესმ-**ი**-ს, ვიმალებ-**ი**, ვბერდებ-**ი**, ვ-თბებ-**ი**) (და არა თემისა). თემის ნიშანი რომ ყოფილიყო, იგი სხვა მწკრივებშიც გადაჰყვებოდა.

ამას გარდა, ის ზმნები, რომელთაც ფუძის ბოლოს **ვ** აქვთ, ეს **ვ** დაეკარგებათ **ოდ** სავრცობის წინ: კი(ვ)-ოდა, ჩხა(ვ)-ოდა, ჰყი(ვ)-ოდა და მისთ.

მედიოაქტივს მეშველი ზმნა საზოგადოდ არ მოუდის, მაგრამ გამონაკლისის სახით მოიპოვება ზმნები, რომელთაც აწმყოს 1-ლსა და მე-2 პირში მეშველი ზმნა დაერთვის; ასეთებია: წუხს, დუღს, დის, ხტის, რბის, ყარს. ეს დართვა საშუალ ქართულში დაიწყო და ახალ ქართულში დამთავრდა. ძველმა ქართულმა იგი არ იცოდა.

ილ-სუფიქსიან ზმნებს, რომელთაც ფუძის ბოლოკიდურად მოუდის **უ** (ბზუ-ის — ბზუ-ილ-ი, ქშუის — ქშუილი, ღმუის — ღმუილი, ყმუის — ყმუილი, შხუის — შხუილი, ხუის — ხუილი) ნასესხებ ფორმებში **უ**-ს შემდეგ განუვითარდებათ **ვ**: ბზუის, ბზუოდა, ბზუოდეს, მაგრამ: იბზუვლებს; ღმუის — იღმუვლებს, ყმუის — იყმუვლებს, შხუის — იშხუვლებს, ხუის (მოხუის, ჩახუის) — იხუვლებს და მისთ. ეს იმიტომ, რომ სათანადო მოქმედებითია: აბზუვლებს, აღმუვლებს და მისთ. გამონაკლისია ტყუის, რომლის მყოფადია იტყუებს (მოიტყუებს), რადგანაც სათანადო მოქმედებითია ატყუებს.

ერთ-პირიანი ზმნები

საკუთარი ფორმები

I სერია

ა) აწმყოს წრე

აწმყო

მხ.	1	ვტირი	ვყივი	ვრბივარ	ვსადილობ
	2	სტირი	ჰყივი	ჰრბიხარ	ჰსადილობ
	3	ტირის	ყივის	რბის	სადილობს
მრ.	1	ვტირით	ვყივით	ვრბივართ	ვსადილობთ
	2	სტირით	ჰყივით	ჰრბიხართ	ჰსადილობთ
	3	ტირიან	ყივიან	რბიან	სადილობენ

უწყვეტელი

მხ.	1	ვტიროდი	ვყიოდი	ვრბოდი	ვსადილობდი
	2	სტიროდი	ჰყიოდი	ჰრბოდი	ჰსადილობდი
	3	ტიროდა	ყიოდა	რბოდა	სადილობდა
მრ.	1	ვტიროდით	ვყიოდით	ვრბოდით	ვსადილობდით
	2	სტიროდით	ჰყიოდით	ჰრბოდით	ჰსადილობდით
	3	ტიროდნენ	ყიოდნენ	რბოდნენ	სადილობდნენ

აწმყოს კავშირებითი

მხ.	1	ვტიროდე	ვყიოდე	ვრბოდე	ვსადილობდე
	2	სტიროდე	ჰყიოდე	ჰრბოდე	ჰსადილობდე
	3	ტიროდეს	ყიოდეს	რბოდეს	სადილობდეს
მრ.	1	ვტიროდეთ	ვყიოდეთ	ვრბოდეთ	ვსადილობდეთ
	2	სტიროდეთ	ჰყიოდეთ	ჰრბოდეთ	ჰსადილობდეთ
	3	ტიროდნენ	ყიოდნენ	რბოდნენ	სადილობდნენ

ნასესხები ფორმები

ნიმუშებად მოყვანილი გარდაუვალი ზმნების ფუძეთაგან ნაწარმოები გარდამავალი ფორმები ასეთია: ვატირებ, ვაყივლებ, ვარბენ[1], ვასადილებ, ამათი სათავისო ქცევის ფორმებია: *ვიტირებ, *ვიყივლებ, *ვირბენ, *ვისადილებ, რომლებიც დანაკლის ფორმებს უვსებენ საშუალს.

ბ) მყოფადის წრე

მყოფადი

მხ.	1	ვიტირებ	ვიყივლებ	ვირბენ	ვისადილებ
	2	იტირებ	იყივლებ	ირბენ	ისადილებ
	3	იტირებს	იყივლებს	ირბენს	ისადილებს
მრ.	1	ვიტირებთ	ვიყივლებთ	ვირბენთ	ვისადილებთ
	2	იტირებთ	იყივლებთ	ირბენთ	ისადილებთ
	3	იტირებენ	იყივლებენ	ირბენენ	ისადილებენ

I ხოლმეობითი

მხ.	1	ვიტირებდი	ვიყივლებდი	ვირბენდი	ვისადილებდი
	2	იტირებდი	იყივლებდი	ირბენდი	ისადილებდი
	3	იტირებდა	იყივლებდა	ირბენდა	ისადილებდა
მრ.	1	ვიტირებდით	ვიყივლებდით	ვირბენდით	ვისადილებდით
	2	იტირებდით	იყივლებდით	ირბენდით	ისადილებდით
	3	იტირებდნენ	იყივლებდნენ	ირბენდნენ	ისადილებდნენ

---

[1] **ევ** სუფიქსით ამ ზმნას სხვა ლექსიკური მნიშვნელობა აქვს: ვარბევ, დავარბიე, ძველად შეიძლებოდა იმავე მნიშვნელობის შენახვაც: „რა გაემართის, არ იცის, მას თუ ა რ ბ ე ვ დ ი ს ცხენი სად“ (ვეფხ.).

მყოფადის კავშირებითი

მხ.	1	ვიტირებდე	ვიყივლებდე	ვირბენდე	ვისადილებდე
	2	იტირებდე	იყივლებდე	ირბენდე	ისადილებდე
	3	იტირებდეს	იყივლებდეს	ირბენდეს	ისადილებდეს
მრ.	1	ვიტირებდეთ	ვიყივლებდეთ	ვირბენდეთ	ვისადილებდეთ
	2	იტირებდეთ	იყივლებდეთ	ირბენდეთ	ისადილებდეთ
	3	იტირებდნენ	იყივლებდნენ	ირბენდნენ	ისადილებდნენ

II სერია

წყვეტილი

მხ.	1	ვიტირე	ვიყივლე	ვირბინე	ვისადილე
	2	იტირე	იყივლე	ირბინე	ისადილე
	3	იტირა	იყივლა	ირბინა	ისადილა

და შემდგომი

II კავშირებითი

მხ.	1	ვიტირო	ვიყივლო	ვირბინო	ვისადილო

და შემდგომი

III სერია

I თურმეობითი

მხ.	1	მიტირ[ნ]ია	მიყივლია	მირბენია	მისადილ[ნ]ია (მისადილებია)

და შემდგომი

II თურმეობითი

მხ.	1	მეტირ[ნ]ა	მეყივლა	მერბინა	მესადილ[ნ]ა (მესადილებინა)

და შემდგომი

III კავშირებითი

მხ.	1	მეტირ[ნ]ოს	მეყივლოს	მერბინოს	მესადილ[ნ]ოს (მესადილებინოს)

და შემდგომი

ორ-პირიანი ზმნები

ორ-პირიანი ზმნები III სერიაში ობიექტურ პირს კარგავენ და ერთ-პირიანი ხდებიან.

საკუთარი ფორმები

I სერია

ა) აწმყოს წრე

აწმყო

მხ.	1.3	ვჰპატრონობ	ვსდარაჯობ	ვჰშველი
	2.3	ჰპატრონობ	სდარაჯობ	ჰშველი
	3.3	ჰპატრონობს	სდარაჯობს	ჰშველის
მრ.	1.3	ვჰპატრონობთ	ვსდარაჯობთ	ვჰშველით
	2.3	ჰპატრონობთ	სდარაჯობთ	ჰშველით
	3.3	ჰპატრონობენ	სდარაჯობენ	ჰშველიან

უწყვეტელი

მხ	1.3	ვჰპატრონობდი	ვსდარაჯობდი	ვჰშველოდი
	2.3	ჰპატრონობდი	სდარაჯობდი	ჰშველოდი
	3.3	ჰპატრონობდა	სდარაჯობდა	ჰშველოდა
მრ.	1.3	ვჰპატრონობდით	ვსდარაჯობდით	ვჰშველოდით
	2.3	ჰპატრონობდით	სდარაჯობდით	ჰშველოდით
	3.3	ჰპატრონობდნენ	სდარაჯობდნენ	ჰშველოდნენ

აწმყოს კავშირებითი

მხ.	1.3	ვჰპატრონობდე	ვსდარაჯობდე	ვჰშველოდე
	2.3	ჰპატრონობდე	სდარაჯობდე	ჰშველოდე
	3.3	ჰპატრონობდეს	სდარაჯობდეს	ჰშველოდეს
მრ.	1.3	ვჰპატრონობდეთ	ვსდარაჯობდეთ	ვჰშველოდეთ
	2.3	ჰპატრონობდეთ	სდარაჯობდეთ	ჰშველოდეთ
	3.3	ჰპატრონობდნენ	სდარაჯობდნენ	ჰშველოდნენ

ბ) მყოფადის წრე

მყოფადი

მხ.	1.3	ვუპატრონებ	ვუდარაჯებ	ვუშველი
	2.3	უპატრონებ	უდარაჯებ	უშველი
	3.3	უპატრონებს	უდარაჯებს	უშველის

და შემდგომი

I ხოლმეობითი

მხ.	1.3	ვუპატრონებდი	ვუდარაჯებდი	ვუშველიდი
	2.3	უპატრონებდი	უდარაჯებდი	უშველიდი
	3.3	უპატრონებდა	უდარაჯებდა	უშველიდა

და შემდგომი

მყოფადის კავშირებითი

მხ.	1.3	ვუპატრონებდე	ვუდარაჯებდე	ვუშველიდე
	2.3	უპატრონებდე	უდარაჯებდე	უშველიდე
	3.3	უპატრონებდეს	უდარაჯებდეს	უშველიდეს

და შემდგომი

ნასესხები ფორმები

ნიმუშებად მოყვანილი ორი ზმნის ფუძისაგან მოქმედებითი გვარის ფორმებია: ვაპატრონებ, ვადარაჯებ. ამათი სასხვისო ქცევის ფორმებია: *ვუპატრონებ, *ვუდარაჯებ, რომლებიც გამოყენებულია საშუალი ზმნის დანაკლისი ფორმების შესავსებად.

საშუალი „ვჰშველი" ზმნის გვერდით არსებობს მოქმ. „ვაშველებ", რომლის სასხვისო ქცევა იქნება *ვუშველებ, მაგრამ მის ნაცვლად „ვუშველის"-ს გვაძლევს, ე. ი. თემის ნიშანს იცვლის. არსებითად ი მწკრივის ნიშანია, აწმყოდან მყოფადში გადასული, მაგრამ იქ თემის ნიშნის ძალა აქვს მოპოვებულს სხვა მწკრივებშიც გადაჰყვება.

II სერია

წყვეტილი

მხ.	1.3	ვუპატრონე	ვუდარაჯე	ვუშველე
	2.3	უპატრონე	უდარაჯე	უშველე
	3.3	უპატრონა	უდარაჯა	უშველა

და შემდგომი

II კავშირებითი

მხ.	1.3	ვუპატრონო	ვუდარაჯო	ვუშველო
	2.3	უპატრონო	უდარაჯო	უშველო
	3.3	უპატრონოს	უდარაჯოს	უშველოს

და შემდგომი

III სერია

I თურმეობითი

მხ. 1 მიპატრონ[ებ]ია მიდარაჯ[ნ]ია მიშველ[ნ]ია

და შემდგომი

II თურმეობითი

მხ. 1 მეპატრონა მედარაჯ[ნ]ა მეშველ[ნ]ა

და შემდგომი

III კავშირებითი

მხ. 1 მეპატრონოს მედარაჯ[ნ]ოს მეშველ[ნ]ოს

და შემდგომი

532. მედიოაქტივისებრი ფორმათა წარმოება გარდამავალ ზმნებში. დანაკლის მწკრივთა ფორმების შევსების საკითხში მედიოაქტივის ფორმათა წარმოებას იზიარებს რამდენიმე გარდამავალი ზმნა, როგორიცაა: ანგარიშობს („ზედ წაადგა, შეექცევის, დროთა, დღეთა ანგარიშობს“, «ვეფხ.», 185), თაობს (←*თავ-ობს, მყოფ. ითავებს), თაკილობს, ქირაობს, ხმარობს (მყოფ. იხმარს), ჩივის (მყოფ. იჩივლებს) და სხვ.. შიგ ურევია სამ-პირიანი ზმნებიც: ს-თავაზობს (მყოფ. უ-თავაზებს), უ-ჩივის (მყოფ. უ-ჩივლებს) და სხვ.. ზოგი ზმნა გარდაუვალადაც იხმარება და გარდამავალადაც; ასეთებია: გალობს, გლოვობს, თამაშობს, ლაპარაკობს, ნანობს, ოცნებობს, ფიქრობს და სხვ.. ეს ზმნები საკუთრივ მარტო I სერიის აწმყოს წრის ფორმებს აწარმოებენ, დანარჩენებს კი ივსებენ ნასესხები ფორმებით. სესხებისას ისინი იმავე წესს ადგანან, რასაც გარდაუვალი მედიოაქტივი ზმნები; მაგ., ვთაობ, ვითავებ, ვითავე, მითავებია; ვუჩივი, ვუჩივლებ, ვუჩივლე, მიჩივლია და მისთ.

533. მედიოაქტივის ნასესხებ ფორმათა ისტორიისათვის. ძველ ქართულში ზოგიერთი ზმნა მარტო I სერიაში იხმარებოდა (მაშინ I სერია ჯერ კიდევ არ იყო წრეებად დაშლილი). ასეთი ზმნები იყო, მაგ.: ტირს, ივლტის, რბის, მეფობს. რაკი მათ II სერიის ფორმები არა ჰქონდათ, უწყვეტელს არა უპირისპირდებოდა რა და ამიტომ უწყვეტლის ფორმა ასეთი ზმნებისა უასპექტო იყო და საჭიროების მიხედვით უსრულ-ასპექტიანი ზმნების რიგშიც შეიძლებოდა ჩამდგარიყო და სრულ-ასპექტიანებისაშიც; მაგალითად, „ტიროდა“ ფორმას შეეძლო გამოეხატა როგორც დღევანდელი „ტიროდა“-ს შინაარსი (он плакал), ისე დღევანდელი „იტირა“-სი (он заплакал).

ტიროდა: „და განვიდა გარეთ და ტიროდა მწარედ“ (მათ. 26, 75). აქ „ტიროდა“ გადმოგვცემს ბერძნული აორისტის ფორმას: **καὶ ἐξελθὼν ἔξω ἔκλαυσε πικρῶς**; ტიროდა მას ზედა =**ἔκλαυσεν ἐπ' αὐτῷ** (დაბ. 45, 14). ასეთივეა აგრეთვე: და „ტიროდა ეზეკია ტირილითა დიდითა“ (IV მეფ. 20, 3).

მირბიოდა: „ხოლო პეტრე აღდგა და მირბიოდა საფლავად“ (ლუკ. 24, 12=პეტრე ადგა და გაიქცა საფლავზე, **Ὁ δὲ Πέτρος ἀναστὰς ἔδραμεν** ἐπὶ **τὸ μνεμεῖον**).

ივლტოდა: „და მან დაუტევა არდაგი იგი და ივლტოდა შიშუელი მათგან“ (მარკ. 14, 52).

მეფობდა: ჩვეულებრივია ძველი აღთქმის წიგნებში „მეფობდა“ ფორმის ხმარება იმავე მნიშვნელობით, როგორც ჩვენ დღეს „იმეფა“-ს ვხმარობთ. მეფობდა =იმეფა, გამეფდა, **ἐβασίλευσεν**, ***թագաւորեաց*** (დაბ. 26. 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39). ვიდრე „იმეფა“ ფორმა გაჩნდებოდა, იხმარებოდა „მეფა“, რომლის მერმინდელ ანარეკლს გვიანდელ ნაწერებშიც ვხვდებით: „მეფე დავით VIII, 19 წელი ჰმეფა“ («ქართლ. ცხ.» II, 16,); „მეფე ბაგრატ VI, 3 წელი ჰმეფა“ (იქვე, 39); „მეფე ვახტანგ V, გინა შაჰნავაზ I, 18 წელი მეფა“ (იქვე, 50) და მისთ.

დღეს ვამბობთ: „ქადაგობს — იქადაგა“, „წინასწარმეტყველობს — იწინასწარმეტყველა“, ძველად კი ჩვეულებრივი იყო უინო ფორმები: „ქადაგა“ („ქადაგეთ ერდოსა ზედა“, მათ. 10, 27), წინაწარმეტყუელა („კეთილად წი-

ნაწარმეტყუელა თქუენთვს ესაია", მათ, 15,7 = **καλῶς προεφήτευσε περὶ ὑμῶν Ἡσαΐας**). საინტერესოა, რომ ეგევე აზრი ადიშურ ტექსტში უწყვეტლით არის გადმოცემული: „კეთილად წინაჲსწარმეტყუელებდა თქუენთვს ესაია."

ნასესხები ფორმების ხმარება უკვე X საუკუნის ძეგლებშია დადასტურებული:

ყვრის — იყვრნა: (ლომმან ნადირი) „შეიპყრის და იყვრნის მას ზედა" (ესაია 31, 4).

ყივის — ყივა — იყივლა. „ყივის" ზმნისგან წყვეტილის ფორმა „ყივა" იყო. ზმნა გარდაუვალი იყო და ქვემდებარეს სახელობითში იწყობდა: „და მეყსეულად, ვიდრე იტყოდა-ღა იგი ამას, ქათამი ყივა" (ლუკ. 22, 60), რაც ამას ნიშნავს: და მაშინვე, სანამ იგი ამას ამბობდა, მამალმა იყივლა. ერთხელ რომ გვხვდებოდეს ეს ფორმა, ვიტყოდით, შემთხვევითიაო, მაგრამ იგი სხვაგანაც მეორდება: მათ. 26,74; იოვ. 18, 27 და თანაც მრავალ ხელნაწერში. ამიტომ შემთხვევითობაზე საუბარი არ შეიძლება.

გრამატიკული ფორმის მნიშვნელობის დავიწყების ნიადაგზე სრულიად ბუნებრივია, რომ შემდეგში „ქათამმან იყივლა" გაჩენილიყო, რომელიც უკვე გიორგი მთაწმიდლისეულ რედაქციაში გვხვდება (შევამოწმე რუისისა და ვანის ხელნაწერების მიხედვით) და აქედან ნაბეჭდ გამოცემებში (მაგ., ახალი აღთქმა, გამოც. 1818 წ., 1912 წ.). **იყივლა** საკმაოდ ძველი ფორმაა: იგი უკვე 978 წ. გადაწერილ ხელნაწერში გვხვდება: „და იყივლეს და აღიზახეს ერმან მან ისრაელისმან" (I მეფ., 17, 20).

კრჩხიალებს — იკრჩხიალა (იკრჩხიალნა): „ხოლო დედასა მისსა ვითარცა ესმა ჴმაჲ, ოდეს პასანიკმან ჯუარსა ზედა სამშჭუალსა დასცა კუერი მჭედლისაჲ იერუსალემს, აქა ესმა ჴმაჲ და იკრჩხიალნა მწარედ დედაკაცმან მან და თქუა" («ცხორ. ნინოჲსი», 765). გიორგი მთაწმიდლის ცხოვრებაში იკითხება: „ამას ყრმასა სლვასა მას შინა აღეცუა ეკალი ფერჴსა, რამეთუ უჭამური იყო. და ვითარცა ქუე დადრკა, რაჲთამცა გამოიღო იგი, მეყსეულად გარდავლო ურემმან მან ზედა ზურგსა ჩჩჳლისა მის ყრმისასა. ხოლო ჩუენ, ვხილეთ რაჲ ესე, ვიკრჩხიალეთ ჴმითა სიმწარისაჲთა გოდებით და აღუტევეთ ტირილი" (ათონის კრებული, 1901, გვ. 345).

ასეთივე მაგალითია: **იზრიალებს — იზრიალნა:** „რა ქაოზ ქოსის-ძემან ესე თქუა, იზრიალნა ერთობით მან ქარავანმან" («ამირანდარ.»).

ნადირობს — ინადირობნ. არის შემთხვევა, რომ ინიანი ფორმა I სერიაშიც გვხვდებოდეს. ზარზმელის «ცხორებაში» ვკითხულობთ: „ხოლო უმრავლესთა ჟამთა ინადირობნ იგი ადგილთა მათ ცხროჭა წოდებულთა" (154, 14).

ფილოსოფოსობს — იფილოსოფნა. გიორგი მონაზვნის «ხრონოღრაფის» ქართული თარგმანის ერთ ადგილას იკითხება: „წიგნებისა წმიდათაჲსა გულსმოდგინებით მკითხველნი ფილოსოფოსობენ მამულსა სიბრძნის-მოყუარებასა" (170,2), ხოლო მეორე ადგილას იოსიპოს ბრძენის შესახებ ნათქვამია, რომ მას ესმა ამბავი ვინმე განმარტოებით მცხოვრებ მეუდაბნოის შესახებ და „მივიდა მისა და სამნი რაჲ წელიწადნი იფილოსოფოსნა მის თანა, ქალაქადვე კუალად იქცა" (169, 5) [ძეგლი ნათარგმნია XI—XII ს.-ში].

Կ. მედიოპასივი ზმნები

534. ზოგადი. მედიოპასივი ანუ საშუალ-ვნებითი ზმნები დანაკლის ფორმებს ივსებენ თავისივე ფუძისაგან ნაწარმოები ვნებითი გვარის ფორმებით (§ 373). ასეთი ზმნებია:

ა) მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ი ს ა: დგას, ზის, სხედს, წევს, ძევს. ამათგან „ზის" და „ძევს" ზმნები ისეთია, რომ მათ ფუძეთაგან ვნებითი არ იწარმოება და შენაცვლების წესით სხვა ფუძეებია გამოყენებული (ვნებითის ფორმით). ამათვე უნდა მივათვალოთ აგრეთვე „არის" ზმნა, რომელსაც საკუთრივ მარტო ერთი მწკრივის ფორმები აქვს — აწმყოსი, სხვები კი ორი სხვადასხვა ფუძის ზმნათა ვნებითით არის შენაცვლებული (იქნება, იყო).

ბ) გ რ ძ ნ ო ბ ი ს ა: უყვარს, სძულს, სძაგს, ჰშურს, სწადს, ჰნებავს, უნდა, ჰსურს, ჰშია, სწყურია.

გ) ყ ო ლ ა-ქ ო ნ ე ბ ი ს ა: ჰყავს, აქვს.

დ) ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა: ღირს, სძინავს, ჰღვიძავს, სწამს, სჯერა, აზლავს, ახსოვს, ჰგავს, ბნელა, ცივა, ცხელა, გრილა და სხვ.

ამ ზმნათა შესახებ უნდა შევნიშნოთ შემდეგი:

ა) მწკრივთა ქონების თვალსაზრისით ეს ზმნები ორ ჯგუფად იყოფა:

ე რ თ ს, სტატიკურთა მსგავსად, აკლია უწყვეტელი და აწმყოს კავშირებითი, სამაგიეროდ მოეპოვება II სერიის ფორმები; ეს არის ფიზიკური მდგომარეობის გამომხატველი ზმნები: დგას, ზის, სხედს, წევს, ძევს. მათ რიგებშია აგრეთვე „არის".

მ ე ო რ ე ს აკლია II სერიის მწკრივები, სამაგიეროდ მოეპოვება უწყვეტელი და აწმყოს კავშირებითი. ამ ჯგუფში შემოდის დანარჩენი ზმნები, მათ შორის „ჰშია"-ც, რომლისაგან უწყვეტელი იქნება: ჰშიოდა (ჰ-მშიოდა-საგან). ასეთი ფორმა ძველადაც გვხვდება („მშიოდა და არა მეცით მე ჭამადი", მათ. 25, 42).

აღნიშნული კლება ორგანულია, ძველადგან თან-დაყოლილი, ფორმათა შევსება ამ მწკრივებში არ ხდება; შევსება ხდება ახლად შემუშავებულ მწკრივებში, მყოფადის წრისაში, რომლებიც წარმოიშვა I სერიის წრეებად დაშლის ნიადაგზე ასპექტის გამოხატვის სისტემის შეცვლის გამო (§ 336).

ბ) მედიოპასივ ზმნებს ძველად მარტივი უღლება ჰქონდათ აწმყოში: ვდგა, სდგა, დგას, ვდგათ, სდგათ, დგანან; ვსძულ, სძულ, სძულს, ვსძულთ, სძულთ, სძულან. ახალ ქართულში კი მეშველი ზმნა დაერთო 1-ლსა და მე-2 პირში (ვდგა-ვარ, სდგა-ხარ; ვსძულ-ვართ, სძულ-ხართ), მე-3 პირის ფორმები ძველებურად მარტივი დარჩა. „არის" ზმნა თვითონ მეშველია (ვარ, ხარ) და მას არაფერი უნდა.

მეშველ ზმნას ვერ მიიღებს, ცხადია, ისეთი ზმნა, რომელსაც სუბიექტურ პირებში მიმოქცევა არა აქვს: მაქვს, მძინავს, მცივა და მისთ.

გ) მდგომარეობის გამომხატველ ზმნათაგან ძველად მხოლოდ „ძევს" იყო მედიოპასივი, ისიც შენაცვლების წესით (ძევს — იდვა); მასთანვე იყო აგრეთვე (ესეც შენაცვლების წესით) „არის" („იყო"); სხვა მდგომარეობის ზმნებს კი

საკუთარი წარმოება ჰქონდათ II სერიაში: დგას — დგა, ზის — ჯდა (ფუძის შენაცვლებით), სხედს — სხდა, წევს — წვა. ახალ ქართულში ამათ ვნებითის **ი** და **ე** გაუჩნდათ თავში (ერთ-პირიანებს **ი**, ორ-პირიანებს **ე**): იდგა — ედგა, იჯდა — ეჯდა, ისხდა — ესხდა, იწვა — ეწვა.

დ) ნასახელარი ზმნები: ბნელა, ცივა, გრილა, ცხელა მარტო I სერიაში იხმარება. მათი მედიოპასიობა ახლად წარმოქმნილ მწკრივებში გამოჩნდება, მაგ., მყოფადში: ებნელება, ეცივება, ეგრილება, ეცხელება. მიუხედავად იმისა, რომ ეს ფორმები წარმოების თვალსაზრისით ორ-პირიანებია, შინაარსი მათ ერთი პირისა აქვთ. ასეთივეა აგრეთვე ეღირება (§ 384).

ე) მედიოპასივი ზმნები (ნასახელართ გარდა) ძველისძველი ზმნებია. მათ საზოგადოდ ბევრი თავისებურება ახლავს, რის გამოც მათზე კიდევ გვექნება საუბარი ქვემოთ.

535. უღლების ნიმუშები:

		აწმყო	მყოფ.	წყვეტ.	I თურმ.
მხ.	1	ვწევ(ვ)არ	ვიწვები	ვიწევ(ი)	ვწოლილვარ
	2	სწევხარ	იწვები	იწევ(ი)	სწოლილხარ
	3	წევს	იწვება	იწვა	წოლილა
მრ.	1	ვწევ(ვ)ართ	ვიწვებით	ვიწევით	ვწოლილვართ
	2	სწევხართ	იწვებით	იწევით	სწოლილხართ
	3	წვანან	იწვებიან	იწვნენ	წოლილან

„ვწევართ" მიღებულია ასეთი ფორმისაგან: „ვწევ-ვართ". მყოფადში გვხვდება სხვანაირი ფორმაც: ვიწოლები, რომელსაც ფუძედ საწყისი აქვს.

სხვა მწკრივები ჩვეულებრივი წესით არის ნაწარმოები: ვიწვებოდი, ვიწვებოდე (ან: ვიწოლებოდი, ვიწოლებოდე), ვიწვე, ვწოლილიყავ, ვწოლილიყო.

ამავე ზმნის ფუძისაგან ნაწარმოები ორ-პირიანი ფორმები აწმყოში გარჩეული იქნება ერთმანეთისაგან (ვუწევარ, ვაწევარ), II სერიაში კი—იმ შემთხვევაში, თუ ძველი წარმოებაა შემორჩენილი (ვუწევ, ვაწევ), თუ არა და სასხვისო ქცევის ფორმის ნაცვლად აქ „ვეწევ" იქნება (ვიწევ — ვეწევ), საზედაო კი შეირჩენს თავის ფორმას: ვაწევ, აწევ, აწვა. III სერიაში ორ-პირიანი ფორმები გაერთიანდება: ვსწოლივარ, სწოლიხარ, სწოლია.

		აწმყო	უწყვეტ.	მყოფ.	I თურმ.
მხ.	1.3	ვუყვარვარ	ვუყვარდი	ვეყვარები	ვჰყვარებივარ
	2.3	უყვარხარ	უყვარდი	ეყვარები	ჰყვარებიხარ
	3.3	უყვარს	უყვარდა	ეყვარება	ჰყვარებია
მრ.	1.3	ვუყვარვართ	ვუყვარდით	ვეყვარებით	ვჰყვარებივართ
	2.3	უყვარხართ	უყვარდით	ეყვარებით	ჰყვარებიხართ
	3.3	უყვარს (უყვარან)	უყვარდნენ	ეყვარება (ეყვარებიან)	ჰყვარებია(ნ)

სხვა მწკრივები: ვუყვარდე; ვეყვარებოდი, ვეყვარებოდე; ვჰყვარებოდი, ვჰყვარებოდე (ვჰყვარებიყავ, ვჰყვარებიყო).

	აწმყო	**მყოფ.**	**წყვეტ.**	**I თურმ.**
(3) 1	მძინავს	მეძინება	მეძინა	მძინებია
(3)	ცივა	ეცი[ვ]ება	———	———

536. ფორმათა დამთხვევა. ნელად შემუშავებული მწკრივების წარმოება მედიოპასივ ზმნათა უმეტესობაში ე-თი ხდება: მძინავს — მეძინება, მშია — მეშიება, მიყვარს — მეყვარება და მისთ.. ორიოდე ასეთი ზმნის ფუძისაგან შეიძლება ვაწარმოოთ ვნებითის ფორმები აწმყოს გაგებითაც: მეძინება (ძილის გუნებაზე ვარ), მეღვიძება. ასეთ ზმნებში დამთხვევა ხდება ფორმებისა: რაც უზმნისწინო ვნებითისთვისაა აწმყო, ის საშუალ-ვნებითისათვის მყოფადია. ასევეა შესაბამისად სხვა მწკრივებშიც; მაგალითი:

	საშუალი	ვნებ.
აწმყო	მძინავს	მეძინება
უწყვ.	———	მეძინებოდა
აწმყ. კავშ.	———	მეძინებოდეს
მყოფ.	მეძინება	დამეძინება (ჩა-, წა-, მი-)
ხოლმ.	მეძინებოდა	დამეძინებოდა
მყ. კავშ.	მეძინებოდეს	დამეძინებოდეს

როგორც ვხედავთ, აქ ისეთივე ვითარება გვაქვს, როგორიც სტატიკურ ზმნებში (§ 518).

537. სამ-მწკრივიანი ზმნები. მოიპოვება საშუალი ზმნები, რომელთაც მარტო აწმყოს წრის მწკრივები მოეპოვებათ, სხვები კი აკლიათ და ვერც ივსებენ დანაკლისს. ასეთი ზმნებია: ჩანს, ჭირს (უ-), მწიფს, ყვავის, ხურს, უშავს, უმძიმს, უკვირს, ჰშვენის (შე-), შე-სტრფის, შე-ჰხარის, შე-სწევს (ასეთი გამოთქმიდან: „ძალა შესწევს“), მო-სდგამს („გვარად მოსდგამს“) და სხვ.

ამათგან ზოგი ერთგვარ მაგივრობას უწევს თავისივე ფუძის ვნებითს აწმყოს წრის მწკრივებში, რომლებიც ვნებითს არსებითად აკლია; მაგალითად:

I. ა) უ ჭ ი რ ს, უ ჭ ი რ დ ა, უ ჭ ი რ დ ე ს; ბ) გაუჭირდება, გაუჭირდებოდა, გაუჭირდებოდეს; II. გაუჭირდა, გაუჭირდეს; III. გასჭირებია, გასჭირებოდა, გასჭირებოდეს.

I. ა) უ შ ა ვ ს, უ შ ა ვ დ ა, უ შ ა ვ დ ე ს; ბ) დაუშავდება, დაუშავდებოდა, დაუშავდებოდეს. II. დაუშავდა, დაუშავდეს; III. დაჰშავებია, დაჰშავებოდა, დაჰშავებოდეს.

ასეთ შემთხვევებში დამთხვევას აქვს ადგილი საშუალი ზმნის სავრცობიანი მწკრივების ფორმებსა და ვნებითი გვარის II სერიის ფორმებს შორის და შეიძლება ვისმე ეგონოს, რომ განსხვავებას საშუალსა და ვნებითს შორის ზმნისწინი ქმნიდეს: უჭირდა — გაუჭირდა, უჭირდეს — გაუჭირდეს, მაგრამ არა: **დ** საშუალი გვარის ზმნაში თემის სავრცობია (უჭირ-დ-ა), ვნებითი გვარისაში კი ვნებითის ნიშანი, რომელიც ყველა მწკრივში მოიპოვება. როგორც I სერიაში, ისე II-ში: გაუჭირ-**დ**-ება, გაუჭირ-**დ**-ებოდა, გაუჭირ-**დ**-ებ-ოდეს; გაუჭირ-**დ**-ა,

გაუჭირ-**დ**-ეს. ამას გარდა, განსხვავებაა მწკრივებში: საშუალში ფორმა უწყვეტლისაა ან აწმყოს კავშირებითისა, ვნებითში კი — წყვეტილისა ან II კავშირებითისა (შესაბამისად).

მსგავსსავე მოვლენას აქვს ადგილი ისეთ ზმნებშიც, რომელთაც, თუმცა სამზე მეტი მწკრივი მოეპოვებათ, მაგრამ II სერიის მწკრივები აკლიათ; მაგალითად: უყვარდა — შეუყვარდა, გძულდა — შეგძულდა, მაკლდა — დამაკლდა და მისთ.

დამთხვევას მაშინ აქვს ადგილი, როცა საშუალ ზმნას სავრცობად **დ** აქვს (და არა **ოდ**), ვნებითი კი **დ**-ონით არის ნაწარმოები (შდრ. ერთი მხრით ჰშვენ-**ოდ**-ა და და-ჰ-შვენ-**დ**-ა, მეორე მხრით კი — ახლ-**დ**-ა და **ე**-ახლა).

აღნიშნულ ჯგუფს უნდა მივათვალოთ აგრეთვე „სწყინს“ და „მოსწონს“ ზმნებიც, რომელთაც არსებითად მარტო აწმყოს წრის მწკრივები მოეპოვებათ, სხვა მწკრივები კი ყველა აკლიათ, მაგრამ დანაკლისს რამდენადმე იმით ივსებენ, რომ თავ-თავისი ფუძის ვნებითზე გადადიან: ეწყინება, ეწყინა, სწყენია, მოეწონება, მოეწონა, მოსწონებია. მართლაც, ის განსხვავება, რომელიც არის ამ ზმნათა აწმყო-მყოფადის ფორმებს შორის, დროს გარდა, ასპექტური ბუნებისაა: სწყინს (უსრ) — ეწყინება (სრ.); მოსწონს (უსრ.) — მოეწონება (სრ.), ხოლო განსხვავება ამ ზმნებში: უყვარს — ეყვარება, სძულს — ეძულება მარტო დროს მიხედვითაა. მაშასადამე, სწყინს — ეწყინება და მოსწონს — მოეწონება ისეთს ურთიერთობაშია ერთმანეთთან, როგორც უყვარს — შეუყვარდება.

უღლების ტიპები

538. **ტერმინისათვის.** „უღლება“, როგორც გრამატიკული ტერმინი, სხვადასხვა მნიშვნელობის მქონეა:

ა) პირველ ყოვლისა იგი აღნიშნავს პირიან ზმნათა ფლექსიას და ამ მხრით იგი უპირისპირდება უპირო ზმნათა და საკუთრივ სახელთა ფლექსიას. თუ სახელთა ფლექსია ანუ მიმოხრა ნიშნავს სიტყვის ცვალებას ბრუნვათა მიხედვით ერთ-ერთ რიცხვში (ვთქვათ, მხოლობითში. მაგალითად, ბარ-**ი**, ბარ-**მა**, ბარ-**სა**, ბარ-**ისა**, ბარ-**ითა**, ბარ-**ად**, ბარ-**ო**; ან მრავლობითში: ბარებ-**ი**, ბარებ-**მა**, ბარებ-**სა**, ბარებ-**ისა**, ბარებ-**ითა**, ბარებ-**ად**, ბარებ-**ო**), სამაგიეროდ პირიან ზმნათა მიმოხრა ნიშნავს სიტყვის ცვალებას პ ი რ თ ა მიხედვით ერთ-ერთ მწკრივში და ერთ-ერთ რიცხვში (მხოლობითში ან მრავლობითში) ან ორივე რიცხვში (უმეტესად). თუ ზმნა ერთ-პირიანია, უღლება ორივე რიცხვის მიხედვით მწკრივში 6 ფორმას გვიჩვენებს, და თუ ორ-პირიანია ან სამიანი, ფორმათა რიცხვი ორივე რიცხვში 18 იქნება ან ცოტა მეტი (§§ 291, 293). ყველა მათი გარკვეული რიგით ჩამოთვლა უღლება იქნება, მაგალითად, ვბარავ, ჰბარავ, ბარავს; ვბარავთ, ჰბარავთ, ბარვენ; მბარავს, გბარავს და სხვ. (ყველა სუბ. და ობ. პირში მიმოქცევით). შეიძლება ზმნას მარტო ობიექტურ პირებში ჰქონდეს მიმოქცევა: მძინავს, გძინავს, სძინავს, გვძინავს და სხვ.

მაშასადამე, ბრუნება და უღლება სხვადასხვა საშუალება ყოფილა სიტყვათა მიმოხრისათვის.

ბ) მეორე გაგებით „უღლება“ აღნიშნავს პირიანი ზმნის ფორმა-ცვალე-

ბას ყველა მწკრივში, რომლებიც კი მოეპოვება აღებულ ზმნას. ამასთანავე ერთად თვითეულ მწკრივში უნდა ჩამოთვლილ იქნეს ყველა არსებული ფორმა.

ორ-პირიან და სამ-პირიან ზმნათა უღლებისას ჩვეულებრივ იძლევიან არა ყველა ფორმას, არამედ სუბიექტური პირების მესამე ობიექტურთან შეხვედრის ფორმებს.

გ) მესამე გაგებით „უღლება" გულისხმობს ტიპს, რომელსაც მისდევს ესა თუ ის ზმნა სამივე სერიის ფორმათა წარმოების დროს.

ზმნათა დაყოფა და მათი ამა თუ იმ ტიპისათვის მიკუთვნება გულისხმობს ზმნათა კლასიფიკაციას.

539. ზმნათა კლასიფიკაცია. ქართულ ზმნათა დაჯგუფებას უღლების თვალსაზრისით გარკვეული საკლასიფიკაციო ნიშანი უნდა დაედოს საფუძვლად. კაცმა რომ თქვას, დაჯგუფება ხდება არა ერთის, არამედ რამდენიმეს მიხედვით, რომელთაგანაც მთავარი ეს არის: როგორია ურთიერთობა სამივე სერიის ფორმებს შორის წარმოების თვალსაზრისით? ამ ნიშნის მიხედვით მოქმედებითი გვარის ზმნათა უღლებას უპირისპირდება დინამიკური ვნებითის ზმნათა უღლება, ხოლო ამათ ორივეს — საშუალისა და სტატიკური ზმნების უღლება. ამ უკანასკნელთა უღლებაც არ არის ერთგვარი: აქ ცალკე დგას მედიოაქტივი ზმნები და ცალკე — მედიოპასივი. ამას გარდა, მედიოპასივ ზმნებთან ერთად არის სტატიკური ზმნები.

ამგვარად, მიღებულია ოთხი ტიპი უღლებისა:

I ტიპი. უღლება მოქმ. გვარის ზმნებისა. ამათი მთავარი თავისებურება ის არის, რომ ისინი III სერიის ფორმებს ინვერსიულად აწარმოებენ. ამას გარდა, პირდაპირი მიმართების ფორმები მხოლოდ აქ არის შესაძლებელი.

II ტიპი. უღლება დინამიკური ვნებითი გვარის ზმნებისა. ძირითადი განსხვავება პირველი ტიპის ზმნათა უღლებისაგან III სერიაში იჩენს თავს. თანაც აქ ზმნები განიყოფება იმის მიხედვით, ერთ-პირიანია ფორმა თუ ორპირიანი: ამას თავისი წარმოება აქვს და იმას — თავისი. ამას გარდა, ამ ტიპის ზმნებს პირველი ტიპის ზმნათაგან განასხვავებს სავრცობი (**ოდ**).

III ტიპი. უღლება საშუალ-მოქმედებითი (მედიოაქტივი) ზმნებისა. ამ ზმნებს შენაცვლების წესით აქვთ ნაწარმოები II და III სერიის ფორმები, აგრეთვე I სერიის მყოფადის წრისა. შენაცვლებისას გამოყენებულია იმავე ფუძის მოქმედებითის სათავისოს ან სასხვისოს ფორმები.

IV ტიპი. უღლება საშუალ-ვნებითი (მედიოპასივი) ზმნებისა და სტატიკური ვნებითი გვარის ზმნებისა. ამათ ყველას აერთიანებს მწკრივების კლება (ან II სერიისა მთლიანად ან უწყვეტლისა და აწმყოს კავშირებითისა I სერიიდან). ამას გარდა, აწმყოში ესენი მეშველ ზმნას დაირთავენ პირველსა და მეორე პირში.

თვითეული ტიპის შიგნით კიდევ არის თავ-თავისი დაყოფილება.

I ტიპის უღლებაში ზმნები განსხვავდება იმის მიხედვით, თუ, ჯერ ერთი, როგორ არის ნაწარმოები აწმყო (სრული ასპექტის შემთხვევაში: მყოფადი), ე. ი. რა თემის ნიშანი აქვს ზმნას და, ამასთან ერთად, იკუმშება ფუძე, თუ არა. მერმე, როგორ არის ნაწარმოები წყვეტილი; და, უკანასკნელ, რა თემას იყენებს III სერიაში.

II ტიპის უღლება, უღლება ვნებითი გვარის ზმნისა, უფრო გარჩეული იყო I ტიპის უღლებისაგან ძველად, ვიდრე დღეს, რადგანაც მას I სერიის სავრცობიან მწკრივებში თავისი წარმოება ჰქონდა, სრულიად განსხვავებული მოქმ. გვარის ზმნათა უღლებისაგან. შემდეგ იგი აღნიშნულ მწკრივებში თანდათან გაუთანაბრდა მოქმ. გვარის ზმნებს. II სერიაში პრეფიქსიან (**ი**ნ-**ე**ნიან) ვნებითს თავისი წარმოება არა აქვს და სავსებით მისდევს სათანადო ზმნის მოქმედებითს. ამ მხრივ ეს ზმნები ძირითადად განსხვავდება სუფიქსიან (**დ**ონიან) და უნიშნო ვნებითის უღლებისგან. III სერიაში კი განსხვავება სხვადასხვა ტიპის ვნებითებს შორის დაიკარგება, მაგრამ თავს იჩენს განსხვავება ერთ-პირიანებსა და ორ-პირიანებს შორის.

III ტიპის უღლების ზმნებს შორის მთავარი განსხვავება მყოფადის წარმოებაა, რაც დამოკიდებულია სათანადო ფუძის მოქმ. გვარის ფორმაზე.

IV ტიპის უღლების ზმნებს შორის მთავარი განმასხვავებელი ნიშანია, თუ რა მწკრივები აკლია მათ: I სერიისა, თუ II სერიისა, ან, რაც იგივეა, უწყვეტელი აქვს, თუ წყვეტილი, I კავშირებითი თუ II კავშირებითი. ამ მხრივ სტატიკურებთან ერთად არის მდგომარეობის გამომხატველი ზმნები.

აქ შეიძლებოდა შემაჯამლებელი ცხრილები მოგვეყვანა ოთხივე ტიპის ზმნათა მწკრივისათვის, მაგრამ ეს შორს წაგვიყვანდა.

540. მთავარი ფორმები. მთავარი ჰქვია ფორმებს, რომელთა დასახელება საკმარისია იმისთვის, რომ ადვილად წარმოებულ იქნეს ყველა დანარჩენი. მთავარი ფორმების დასახელების დროს სუბიექტურ პირთაგან შეიძლება ერთ-ერთი, მაგრამ სჯობს პირველი.

რიცხვი, რა თქმა უნდა, მხოლობითი იქნება, როგორც უფრო მარტივი.

თუ ფორმა ორ-პირიანია, ობიექტური პირი მესამე სჯობს; თუ ფორმა სამ-პირიანია, ორივე ობიექტური პირი მესამე იქნება.

> შ ე ნ ი შ ვ ნ ა: მესამე სუბ. პირის აღებაც არ არის ცუდი, რადგანაც მას პირის ნიშანი ბოლოს მოუდის, მაგრამ მაშინ წყვეტილში მაინც დამატებით პირველი ან მეორე პირის ფორმა უნდა იყოს მოცემული. თუ მეორე პირს ავიღებდით, შეიძლებოდა წართქმით-უარყოფითი ბრძანებითი ფორმებისთვის მიგვემართნა: გააკეთე, ნუ გააკეთებ.

მთავარი ფორმები ქართულში ოთხია: ა წ მ ყ ო (ა ნ მ ყ ო ფ ა დ ი), წ ყ ვ ე ტ ი ლ ი, I თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი და ს ა წ ყ ი ს ი.

განვიხილოთ თვითეული მათგანი ცალკ-ცალკე.

ა) **აწმყო** ან **მყოფადი.** თუ ზმნას უსრული ასპექტი აქვს, აწმყო უნდა იყოს დასახელებული, და თუ სრული — მყოფადი.

ამ მწკრივთა ფორმის დასახელებით უკვე გამორკვეულია მათი მიმყოლი მწკრივების წარმოების საკითხი.

აწმყოს (ან მყოფადის) ფორმის დასახელება ჰყოფნის ზმნათა აბსოლუტურ უმრავლესობას (I და II უღლების ტიპისას). III უღლების ტიპის ზმნებს, მართალია, მყოფადის წრის ფორმები განსხვავებულად აქვთ ნაწარმოები, მაგრამ მათი წარმოება წყვეტილიდანაც ჩანს; მაგ., ვიჩივლე — ვიჩივლებ. რაც შეეხება IV უღლების ტიპის ზმნებს, აქ საჭიროა აწმყოსთან ერთად მყოფა-

დის დასახელებაც, რადგანაც აწმყოს ფორმიდან არ ჩანს, თუ რანაირად იქნება ნაწარმოები მყოფადი; მაგალითად, ვუყვარვარ — ვეყვარები და სხვ.

ბ) **წყვეტილი.** პირველი სუბიექტური პირის ფორმის მიხედვით ადვილია ყველა დანარჩენის წარმოება. მართალია, მესამე პირში ზოგ მოქმ. გვარის ზმნას (და მათ პრეფიქსიან ვნებითს) **ო** აქვს, მაგრამ ამათი რიცხვი ცოტაა და, ამას გარდა, თვით ფუძის შედგენილობა (მარცვლიანია თუ არა) არკვევს, რა ნიშანი უნდა იყოს მე-3 პირში: **ა** თუ **ო**.

წყვეტილის მიხედვით მარტივად წყდება ბრძანებითის მწკრივისა და II ხოლმეობითის წარმოება. რაც შეეხება II კავშირებითს, სუფიქსიან და უნიშნო ვნებითებს ყველას **ე** აქვს, მოქმედებითი ზმნების უმეტესობას (და მათთან ერთად პრეფიქსიანი ვნებითისას) — **ო** ან **ა**. უკანასკნელი (**ა**) მოუდის შედარებით მცირეოდენ ზმნებს, რომელთაც ნართაული **ი** აქვთ (ან შეუძლიათ მიიღონ) წყვეტილში. ამიტომ, თუმცა II კავშირებითის ფორმის დასახელება არ იქნებოდა ურიგო, მაგრამ აუცილებელი არ არის.

გ) **I თურმეობითი.** ამ მწკრივის დასახელებით მთლიანად გადაჭრილია III სერიის ყველა ფორმის წარმოების საკითხი ვნებითისა და საშუალ-ვნებითის (II და IV ტიპის) ერთ-პირიანი ზმნებისთვის. რადგანაც ეს ფორმები ვნებითის მიმღეობისაგან კეთდება, ამიტომ შეიძლება თვით მიმღეობის დასახელებაც (სახელობითის ფორმით. თავისთავად იგულისხმება, რომ სახელობითის **ი** ჩამოკვეცილ იქნება პირიან ფორმათა წარმოებისას). რაიცა შეეხება ამავე ზმნების ორ-პირიან ფორმებს, მათი წარმოების საკითხი უკვე საწყისის დასახელებით არის გადაწყვეტილი, ხოლო მოქმედებითსა და საშუალ-მოქმედებით ზმნებს (I და III ტიპისას) თითქმის ჰყოფნის I თურმეობითის დასახელება, ვინაიდან სხვა ინვერსიული ფორმების წარმოება, ასე თუ ისე, გარკვეულ წესს მისდევს და კიდევ II თურმეობითის მოყვანით საქმის გართულება საზოგადოდ არ ღირს.

დ) **საწყისი.** იგი მიგვითითებს იმაზე, თუ როგორ იწყება ზმნის ფუძე. ზმნისწინის ჩამოშორების შემდგომ (თუ ასეთი მოიპოვება) **საწყისში პირველად** ზმნის ფუძე არის და, მაშასადამე, პირის ნიშნები (ობიექტურისა ყველა, სუბიექტურისა პირველი და მეორე მხოლოდ) ამის წინ უნდა დაისვას, ხოლო ქცევისა და ვნებითის საწინაო ნიშნები — აღნიშნული პირის ნიშნების შემდეგ და ფუძის წინ. ამას გარდა, *მოქმედებითი გვარის* ზმნათათვის საწყისით ჩვეულებრივ უკვე მოცემულია I სერიის თემა: საკმარისია ჩამოვაცალოთ მას ბოლოკიდური **ა** და (თუ რომ შეკუმშვა არ იყო გამოწვეული), უკვე მზად იქნება აწმყოს საწარმოებელი ჩონჩხი. *ვნებითი გვარის* ზმნათათვის კი საწყისი მაჩვენებელია, თუ როგორ უნდა იქნეს ნაწარმოები ორ-პირიანი ფორმები III სერიის მწკრივებში.

საწყისის მოყვანით საზოგადოდ გადაწყვეტილია, თუ როგორ უნდა იყოს ნაწარმოები მიმღეობა (მოქმედებითი და ვნებითი).

საწყისის დასახელება თავშიც შეიძლება.

მოვიყვანოთ ნიმუშად ვაჟა-ფშაველას «ბახტრიონის» დასაწყისი და გავარჩიოთ მისი ზმნები:

დღემ დაიხურა პირბადე, მთებმა დახუჭეს თვალები,
აღარ შფოთობენ საფლავში გმირთ ოფლის მღვრელი ძვალები.
ქარი ქვითინებს... ღრუბელთა ზარი თქვეს შესაზარები,
გული ვერ მოუფხანიათ, ცრემლი სდისთ ალაზნიანი,
ჩარეცხეს, ჩაალამაზეს მთების გულ-მკერდი კლდიანი.
გაცოცხლდა, ცას ემუქრება ღრმა ღელე წყარო-ფშიანი.
გადაიკრიფნენ ღრუბელნი, ქუჩი გაწირეს ცვრიანი.
გაივსო რძითა მთათ ძუძუ, დაუშრომელად რძიანი.
მოგესალმებით, ქედებო, მომაქვს სალამი გვიანი.
ჩემსამც სამარეს ამკობენ თქვენი დეკა და ღვიანი!
თქვენგანა გულობს ეს გული, შიგ გრძნობა უდუღს ღვთიანი.
თქვენი მიწოვავ მეც ძუძუ, ლალიან-ბარაქიანი.
ნუმც გაჯავრდება პირიმზე, ნუმც დამწყევლიან იანი,
რომ იმათ დედის ძუძუთა ვსუქდები ცოდვილიანი!
მეც მიგემებავ იგი რძე, რითაც თქვენ დაიზარდენით;
თქვენავე გარგებსთ, დობილნო, თუ უხვად დაიხარჯუნით.

დაიხურა: დავიხურავ, დავიხურე, დამიხურავს, დახურვა.
დახუჭეს: დავხუჭავ, დავხუჭე, დამიხუჭავს, დახუჭვა.
შფოთობენ: ვშფოთობ, ვიშფოთე, მიშფოთნია, შფოთობა (სალიტერატურო ენაში ჩვეულებრივ ითქმის: ვშფოთა**ვ** და არა ვშფოთ**ობ**, რომელიც ფშაურია).
ქვითინებს: ვქვითინებ, ვიქვითინე, მიქვითინ(ნ)ია. აკლია საწყისი, მის მაგივრობას ეწევა: ქვითინი.
თქვეს: (ვიტყვი), ვთქვი, მითქვამს, თქმა.
მოუფხანიათ: მოვიფხან, მოვიფხანე, მომიფხანია, მოფხანა.
სდისთ: სდის — ედინება, სდენია, დენა (პირველი სუბ. პირის ფორმები არ იხმარება).
ჩარეცხეს: ჩავრეცხ, ჩავრეცხე, ჩამირეცხია, ჩარეცხა.
ჩაალამაზეს: ჩავალამაზებ, ჩავალამაზე, ჩამილამაზებია, ჩალამაზება.
გაცოცხლდა: გავცოცხლდები, გავცოცხლდი, გავცოცხლებულვარ (ან: გაცოცხლებულ-ი), გაცოცხლება.
ემუქრება: ვემუქრები, ვემუქრე, ვჰმუქრებივარ, მუქრება.
გადაიკრიფნენ: გადავიკრიფებით, გადავიკრიფენით, გადავკრეფილვართ, გადაკრეფა (მხ. რიცხვში არ იხმარება).
გაწირეს: გავწირავ, გავწირე, გამიწირავს, გაწირვა.
გაივსო: გავივსები, გავივსე, გავსებულვარ, გავსება.
მოგესალმებით: მოგესალმები, მოგესალმე, მოგსალმებივარ, მოსალმება.
მომაქვს: მომქონებია (ამ ზმნას აკლია ფორმები. იხმარება აწმყოს წრეში და III სერიაში).

ა მ კ ო ბ ე ნ: ვამკობ, ვამკვე, მიმკვია, მკობა.

გ უ ლ ო ბ ს: იხმარება აწმყოს წრეში. მყოფადში მოსალოდნელია: იგულებს და ამისგან შემდეგ სხვა ფორმები საერთო წესით.

უ დ უ ღ ს: ეს ზმნა მარტო აწმყოს წრეში იხმარება (თუ ერთ-პირიანად გადავაკეთებთ, გვექნება: დუღს — იდუღებს, იდუღა, უდუღნია, დუღილი).

მ ი წ ო ვ ა ვ: ვწოვ, ვწოვე, მიწოვია („მიწოვავ" ფშაურია), წოვ[ნ]ა.

გ ა ჯ ა ვ რ დ ე ბ ა: გავჯავრდები, გავჯავრდი, გავჯავრებულვარ, გაჯავრება.

დ ა მ წ ყ ე ვ ლ ი ა ნ: დავწყევლი, დავწყევლე, დამიწყევლია, დაწყევლა.

ვ ს უ ქ დ ე ბ ი: ვსუქდები, *ვსუქდი, *ვსუქებულვარ, სუქება („ვსუქდი" და „ვსუქებულვარ" ფაქტიურად არ იხმარება).

მ ი გ ე მ ე ბ ა ვ: ვიგემებ, ვიგემე, მიგემნია (ან: მიგემებია; „მიგემებავ" ფშაურია), გემება.

დ ა ი ზ ა რ დ ე ნ ი თ: დავიზრდებით, დავიზარდენით, დავზრდილვართ, დაზრდა (მხოლობითში არ იხმარება).

გ ა რ გ ე ბ ს თ: ვარგებ, ვარგე, მირგია, რგება.

დ ა ი ხ ა რ ჯ ე ნ ი თ: დავიხარჯები, დავიხარჯე, დავხარჯულვარ, დახარჯვა.

ზმნის ფორმის ანალიზი

541. ზმნის შემადგენელი ნაწილები. პირიანი ზმნა რომ შემადგენელ ნაწილებად დავშალოთ, შიგ შეიძლება აღმოჩნდეს რამდენიმე ამათგანი:

ა) **ზმნისწინი.** იგი შეიძლება იყოს იქეთა მიმართულებისა ან აქეთა მიმართულებისა.

ბ) **პირის ნიშანი:** ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი პირველი პირისა ან მეორე პირისა (NB. მესამე პირს ნიშანი ბოლოში აქვს, ნახე № ი გ).

ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი: 1-ლი პირისა, მე-2 პირისა ან მე-3 პირისა.

გ) **ქცევის ნიშანი:** საარვისოსი, სათავისოსი, სასხვისოსი.

დ) **სიტუაციის ნიშანი** (საზედაოსი).

ე) **ვნებითი გვარის ნიშანი: ი** (ერთ-პირიანი ზმნისა) ან **ე** (ორ-პირიანი ზმნისა).

ვ) **ფუძე,** რომელიც ამავე დროს შეიძლება იყოს **ძირი** ან **მარტივი თემა,** ან ორივე ერთად. იგი ზოგჯერ შეკუმშული სახით არის წარმოდგენილი. შეკუმშვისას ავიან ზმნებში ხანდახან უცხო ელემენტია (**ვ**) შიგ გადასული (ნახე № თ).

ზ) **ვნებითი გვარის ნიშანი (დ).** იგი უსწრებს თემის ნიშანს, თუ ასეთი მოიპოვება ფორმაში, რასაც I სერიაში აქვს ადგილი.

ჱ) **შუალობითი კონტაქტის მაწარმოებელი (ინ** ან რთული **ევინ).**

თ) **თემის ნიშანი (ი, ავ, ამ, ევ, ემ, ობ, ოფ),** რომელთაგანაც ორს (**ავ**-სა და **ამ**-ს) ხმოვანი შეიძლება დაკარგული ჰქონდეს. ხმოვნის დაკარგვის შემთხვევაში **ა ვ**-ის **ვ** შეიძლება წინ გადაისვას და ზმნის ფუძეში გადავიდეს.

თემის ნიშნადვე უნდა ვიცნათ **ია** (ან **ი**). რომელმაც შეცვალა ძველი **იე** სტატიკური ზმნების აწმყოში და მოქმ. და დინამიკური ვნებითის ზმნების I თურმეობითში (უკანასკნელებში მხოლოდ მაშინ, თუ ზმნა ორ-პირიანია).

ი) **სავრცობი (დ ან ოდ).** სავრცობადვე შეგვიძლია მივიჩნიოთ **ენ** (ან **ნ)** ინფიქსი პრეფიქსიანი ვნებითის II სერიის ფორმებში (გავიზარდ-**ენ**-ით), რომელიც წარმოშობით რიცხვის ნიშანია პირდაპირ ობიექტური პირისა (§ 418).

ია) **მწკრივის ნიშანი.**

იბ) **რიცხვის ნიშანი.**

იგ) **პირის ნიშანი** (მარტოოდენ სუბიექტური, მესამე პირისა მხოლობით ან მრავლობით რიცხვში). იგი დღევანდელ ქართულში რიცხვის ნიშნის წინაც შეიძლება იყოს.

იდ) **ნართაული ი.**

იე) **მეშველი ზმნა.**

ივ) აღნიშნულთ გარდა, III სერიის ფორმებში შეიძლება კიდევ შეგვხვდეს **ვნებითი გვარის მიმღეობის მაწარმოებელი (ილ, ულ** ან **მ — არ).**

ანალიზი რომ ვუყოთ იმავე პოემის ნაწყვეტში ნახმარ ზმნებს (ნახე წინა §-ში), შემდეგს ვნახავთ:

დ ა ი ხ უ რ ა: **და** — ზმნისწინი; **ი** — სათავისო ქცევის ნიშანი; **ხურ** — ფუძე (ამავე დროს ძირიც, მარტივი თემაც); **ა** — მე-3 სუბ. პირის ნიშანი მხ. რიცხვისა.

დ ა ხ უ ჰ ე ს: **და** — ზმნისწინი; **ხუჰ** — ფუძე (ამავე დროს მარტივი თემაც); **ეს** — მე-3 სუბ. პირის ნიშანი მრ. რიცხვისა.

შ ფ ო თ ო ბ ე ნ: **შფოთ** — ფუძე; **ობ** — თემის ნიშანი; **ენ** — მე-3 სუბ. პირის ნიშანი მრ. რიცხვისა.

ქ ვ ი თ ი ნ ე ბ ს: **ქვითინ** — ფუძე; **ებ** — თემის ნიშანი; **ს** — მე-3 სუბ. პირის ნიშანი მხ. რ (თვით **ინ** სუფიქსია წარმოშობით).

თ ქ ვ ე ს: **თქვ** — ფუძე (და ამავე დროს მარტივი თემა. რთული თემა მისგან **ამ**-ით კეთდება, მაგრამ იგი I სერიის ფორმებში მარტოოდენ ზმნისწინის დართვის დროს იხმარება, — მაგალითად ამო-ვ-თქვ-**ამ**; I თურმეობითში კი — უზმნისწინოდაც: მი-თქვ-**ამ**-ს) **ეს** — მე-3 სუბ. პირის ნიშანი მრ. რიცხვისა.

მ ო უ ფ ხ ა ნ ი ა თ: **მო** — ზმნისწინი: **უ** — სასხვისო ქცევის ნიშანი, მაგრამ ფორმას ქცევის გაგება არა აქვს, რადგანაც III სერიის ფორმა და საპირისპირო ფორმები აკლია; **ფხან** — ფუძე, **ია** თემის ნიშან I თურმეობითში (ნახე № თ); **თ** — მრ. რიცხვის ნიშანი.

ს დ ი ს თ: **ს** (პირველი) — მე-3 ობ. პირის ნიშანი, **დი** — ფუძე, **ს** (მეორე)— მე-3 სუბ. პირის ნიშანი; **თ** — მრ. რიცხვის ნიშანი (იგი მოსდევს პირის ნიშანს).

ჩ ა რ ე ც ხ ე ს: **ჩა** — ზმნისწინი; **რეცხ** — ფუძე (ამავე დროს მარტივი თემა), **ეს** — მე-3 სუბ. პირის ნიშანი მრ. რიცხვისა.

ჩაალამაზეს: **ჩა** — ზმნისწინი; **ა** — საარვისო ქცევის ნიშანი; **ლამაზ** — ფუძე (ამავე დროს მარტივი თემა); **ეს** — მე-3 სუბ. პირის ნიშანი.

გაცოცხლდა: **გა** — ზმნისწინი; **ცოცხლ** — ფუძე, **დ** — ვნებითის ნიშანი (**ცოცხლდ** — მარტივი თემა), **ა** — სუბ. ნიშანი მე-3 პირისა.

ემუქრება: **ე** — ვნებითის ნიშანი, რომელიც ორ-პირიანობას გვიჩვენებს; **მუქრ** — ფუძე (წარმომდგარია **მუქარა** სიტყვისაგან); **ებ** თემის ნიშანი; **ა** — პირის ნიშანი (რომელმაც შეცვალა **ი-ს:** ემუქრებ-ის).

გადაიკრიფნენ: **გადა** — რთული ზმნისწინი საიქეთო მიმართულებისა: **ი** — ვნებითის ნიშანი; **კრიფ** ფუძე (ხმოვან-მონაცვლე ფუძე: კრეფ — კრიფ); **ნ** — ვნებითის ფუძის სავრცობი, რომელიც მრ. რიცხვში ჩნდება; **ენ** — მე-3 სუბ. პირის ნიშანი მრ. რიცხვში.

გაწირეს: **გა** — ზმნისწინი; **წირ** — ფუძე; **ეს** — მე-3 სუბ. პირის ნიშანი მრ. რიცხვისა.

გაივსო: **გა** — ზმნისწინი; **ი** — ვნებითის ნიშანი; **ვს** — ფუძე; **ო** — პირის ნიშანი (მე-3 სუბ. პირისა მხ. რიცხვში).

მოგესალმებით: **მო** — ზმნისწინი; **გ** — მე-2 ობ. პირის ნიშანი; **ე** — ვნებითის ნიშანი; **სალმ** — ფუძე (მიღებულია შეკუმშვის გზით **სალამ** სიტყვისაგან); **ებ** — თემის ნიშანი; **ი** — მწკრივის (აწმყო-მყოფადის) ნიშანი ვნ. გვარის ზმნებში; **თ** — მრ. რიცხვის ნიშანი.

მომაქვს: **მო** — ზმნისწინი; **მ** — ობ. ნიშანი პირველი პირისა; **ა** — საარვისო ქცევის ნიშანი (თუმცა ზმნას ქცევის გაგება არა აქვს); **ქვ** — ფუძე; **ს** — სუბ. ნიშანი მე-3 პირისა მხ. რიცხვში.

ამკობენ: **ა** — საარვისო ქცევის ნიშანი; **მკ** — ფუძე, მარტივი თემა; **ობ** — თემის ნიშანი (**მკობ** — რთული თემა); **ენ** — მე-3 სუბ. პირის ნიშანი მრ. რიცხვში.

გულობს: **გულ** — ფუძე; **ობ** — თემის ნიშანი; **ს** — სუბ. ნიშანი მე-3 პირისა მხ. რიცხვში.

უდუღს: **უ** — სასხვისო ქცევის ნიშანი: **დუღ** — ფუძე; **ს** — სუბ. ნიშანი მე-3 პირისა მხ. რ.-ში.

მიწოვავ: **მ** — პირვ. პირის ობ. ნიშანი; **ი** — სასხვისო ქცევის ნიშანი (ქცევის გაგება ზმნას არა აქვს, ფორმა ინვერსიულია, I თურმეობითისა); **წოვ** — ფუძე, **ავ** — თემის ნიშანი (ანალოგიურად ნაწარმოები I თურმეობითში **ია**-ს ნაცვლად: მიწოვია; მიწოვავ დიალექტური ფორმაა, ფშაური).

გაჯავრდება: **გა** — ზმნისწინი; **ჯავრ** — ფუძე; **დ** — ვნებითის ნიშანი; **ებ** — თემის ნიშანი (**ჯავრდ** მარტივი ფუძე ვნებითისათვის; **ჯავრდებ** კი — რთული); **ა** — მე-3 სუბ. პირის ნიშანი მხ. რ.-ში.

დამწყევლიან: **და** — ზმნისწინი; **მ** — ობ. ნიშანი პირვ. პირისა; **წყევლ** — ფუძე; **ი** — თემის ნიშანი; **ან** — მე-3 სუბ. პირის ნიშანი მრ. რ.-ში (ფუძე **წყევლ** თავის მხრივ ასე დაიშლება: **წყ** — ფუძე; **ევ** — ძველი თემის ნიშანი (რომელიც ხმოვანს იცვლის II სერიაში: ვწყევ — ვწყიე); **ლ** — საწყისის ფუძის სავრცობი.

ვ ს უ ქ დ ე ბ ი: **ვ** — პირვ. სუბ. პირის ნიშანი; **სუქ** — ფუძე; **დ** — ვნებითის ნიშანი; **ებ** — თემის ნიშანი; **ი** — მწკრივის ნიშანი (აწმყოსი).

მ ი გ ე მ ე ბ ა ვ: **მ** — პირვ. პირის ობ. ნიშანი; **ი** — სასხვისო ქცევის ნიშანი (ფორმას ქცევის გაგება არა აქვს: იგი ინვერსიულია, I თურმეობითისა); **გემ** — ფუძე (და მარტივი თემა); **ებ** — თემის ნიშანი; **ავ** — თემის ნიშანი, ანალოგიურად ნაწარმოები **ია**-ს ნაცვლად: მოგემებია (ფორმა დიალექტურია, ფშაური).

დ ა ი ზ ა რ დ ე ნ ი თ: **და** — ზმნისწინი; **ი** — ვნებითის ნიშანი; **ზარდ** — ფუძე; **ენ** — ფუძის სავრცობი მრავლობითში პრეფიქსიან ვნებითში (გადმოსულია მოქმ. გვარის ზმნიდან, § 418); **ი** — ნართაული ხმოვანი; **თ** — მრავლობითის ნიშანი.

გ ა რ გ ე ბ ს თ: **გ** — ობ. ნიშანი მეორე პირისა; **რგ** — ფუძე, მარტივი თემა; **ებ** — თემის ნიშანი (**რგებ** — რთული თემა); **ს** — სუბ. ნიშანი მე-3 პირისა; **თ** — მრავლობითის ნიშანი (იგი მოსდევს პირის ნიშანს).

დ ა ი ხ ა რ ჯ ე ნ ი თ: **ხარჯ** — ფუძე (დანარჩენი სულ ისე, როგორც „დაიზარდენით“ ფორმაში).

თავისებურებანი

542. თავისებურებათა მიზეზები. ქართული ენის დღევანდელ მორფოლოგიურ სტრუქტურაში ბევრი რამ არის ისეთი, რაც ისტორიული პერსპექტივის გარეშე აუხსნელი და გაუგებარი დარჩება. ასეთია, მაგალითად, საკითხი თავისებურ ზმნათა ფორმების შესახებ.

აქამომდე ჩვეულებრივ ისეთ ზმნებთან გვქონდა საქმე, რომლებიც გარკვეულ წესს მისდევენ, ანუ საერთო ნორმებს იცავენ და სისტემებრი ფორმაცვალება აქვთ. მაგრამ ამათ გარდა მოიპოვება რიგი ზმნებისა, რომლებიც არ ემორჩილებიან საზოგადოდ შემუშავებულ ნორმას და თავისებურებას იჩენენ რაიმე მხრით. თავისებურება შედარებითია: ზოგისა ძალიან სცილდება საყოველთაო წესებს, ზოგისა კი — ნაკლებად. მათ ხშირად უწესურ ზმნებს ეძახიან, მაგრამ არა იმიტომ, თითქო მათ წესი არ ჰქონდეთ, არამედ იმიტომ, რომ მათი წესი (უღლებისა თუ წარმოების მხრივ) სხვა ზმნათა წესებს არ ეთანხმება. ამისი მიზეზი სხვადასხვაა: არქაული ფორმა ზოგჯერ ეხლაც ძალაშია, სხვადასხვა დიალექტურმა ფორმამ შეიძლება ერთმანეთის გვერდით ლიტერატურაშიც იჩინოს თავი; ამას გარდა, ფართოდ აქვს გახსნილი გზა ანალოგიურ წარმოებას, რომლის წყალობით დიდი ცვლილებანი ხდება ხოლმე ენაში.

საზოგადოდ ძველი ენის ნაშთები და ახალი წარმოების ფორმები ხშირად ერთმანეთშია გარეული და ძალიან საინტერესო სურათს იძლევა.

ძველის ნაშთია, სხვათა შორის, რთული ზმნები, ახალ-განვითარებულია მიმღეობითი ზმნები.

ძველის ნაშთი და ახალი წარმოება

548. რთული ზმნები. ძველ ქართულში ფართოდ იყო გავრცელებული ხმარება რთული ზმნებისა, რომლებიც ნაწარმოები იყო სახელისა და მეშველი ზმნის საშუალებით; მეშვლად სხვადასხვა ზმნა იყო: ცემა, ყოფა, დება, ღება და სხვ.: ამათგან უფრო გავრცელებული იყო „ყოფა“. მაგალითები: ძალ-მიც („შემიძლია“, ძალ-მედვა — „შემეძლო“), ჴელ-მეწიფების („შემიძლია“, „უფლება მაქვს“), ნუგეშინის-სცა, („ანუგეშა“), ამბორს-უყო („აკოცა“), ღა-ღად-ყო („წამოიძახა“) და სხვ.

ამნაირი წარმოებიდან ახალ ქართულში მხოლოდ რამდენიმე ზმნა შემოგვრჩა: ცხად-ყოფა, შეურაცხ-ყოფა, უზრუნველ-ყოფა, უგულებელ-ყოფა, უკვდავ-ყოფა, რამდენადმე აგრეთვე ყურად-ღება და სრულ-ყოფა.

რთულ ზმნაში ფორმა-ცვალება მეშველ ზმნას მოუდის, სახელი უცვალებელია.

რაკი ფორმები ძველი ქართულიდანაა შემორჩენილი, ამიტომ მათ I სერიაში მარტო სამი მწკრივის ფორმები აქვთ, — მყოფადის წრის მწკრივები არ განუვითარდათ; ნიმუში:

		აწმყო	წყვეტილი
მხ.	1.3	უზრუნველ-ვყოფ	უზრუნველ-ვყავ(ი)
	2.3	„ ჰყოფ	„ ჰყავ(ი)
	3.3	„ ყოფს	„ ყო
მრ.	1.3	„ ვყოფთ	„ ვყავით
	2.3	„ ჰყოფთ	„ ჰყავით
	3.3	„ ყოფენ	„ ყვეს

სხვა მწკრივთა ფორმები: უზრუნველ-ვყოფდი, უზრუნველ-ვყოფდე; უზრუნველ-ვყო; უზრუნველ-მიყვია, უზრუნველ-მეყო, უზრუნველ-მეყოს.

მიმღეობა: უზრუნველ-მყოფელი (მოქმ.), უზრუნველ-ყოფილი (ვნ.).

რთული ზმნების ნაწილები ჩვეულებრივ ერთად არის, მაგრამ გვხვდება გათიშვის შემთხვევებიც: „ავტორებს თითქოს ყ უ რ ა დ უნდა ე ღ ო თ ეს სამართლიანი კრიტიკა“ («კომუნ.» 16 სექტ. 1952 წ.).

„პატივის ცემა“ დღეს უფრო ორი სიტყვაა, ვიდრე ერთი (რთული ზმნა), რადგანაც სახელი ბრუნვებს იცვლის და თანაც შეუძლია მსაზღვრელი მიიღოს: დიდ პატივს ვსცემ, მისი საკადრისი პატივი ვერ ვეცი, ბევრი პატივი მიცია და მისთ.

ძველად გვქონდა რთული ზმნა „თანა-შეწევნა“: „ვინაჲთგან ბერძენთა ესევითარი ჟამი პოვეს, ჴელ-ყვეს ყოვლითა ღონისძიებითა რაჲთამცა ქართველნი ამის მონასტრისაგან აღმოჰფხურნეს, და ამის პირისათჳს მთაჲ ყოველი თ ა ნ ა-შ ე-ი წ ი ე ს“ (გ. მთაწმ., «ცხორ. იოვ. და ეფთ.», 117). პირიანი ფორმები ამ რთული ზმნისა არ შემოინახა, მაგრამ გვაქვს მიმღეობა „თანა-შემწე“ (რომელიც ამჟამად ერთად იწერება).

ძველად გვქონდა: „თანა-მაც“ (←თანა-მაძს = „მმართებს“), „თანა-მედვა“ („მემართა“). აქედან ნაწარმოები იყო მიმღეობა: „თანა-მდები“ (ვისაც ჰმართებს, ე. ი. მოვალე). დღეს აღარც პირიანი ფორმები იხმარება და აღარც უპირო, მაგრამ გვაქვს მიმღეობისაგან ნაწარმოები „თანამდებობა“.

544. მიმღეობითი ზმნები. ასპექტის გამოხატვის ახალ სისტემაზე გადასვლის მიუხედავად, ზოგ უზმნისწინო ზმნას II სერიაში შემოჰრჩა ძველი ვითარება, ე. ი. სრული ასპექტი. ამასთან დაკავშირებით მათი შესაფერისი ფორმები ან მონაცვლე ზმნები I სერიიდან სრულ-ასპექტიანი გახდნენ და აწმყოს წრიდან მყოფადისაში გადავიდნენ: ვნახე — ვნახავ, ვიყიდე — ვიყიდი, ვჰკითხე — ვჰკითხავ, ვთქვი — ვიტყვი და სხვ. (§339). ამიტომ საჭირო გახდა დაცარიელებული ადგილის ამოვსება ახლად შექმნილი ფორმებით. ამისთვის ენამ ფუძედ გამოიყენა ვნებითის მიმღეობა (**ულ**-ზე და **ილ**-ზე გათავებული) და იქედან გააკეთა ახალი ზმნები: ვყიდულობ, ვნახულობ, ვსესხულობ და სხვ. ესენი აწმყოს წრეში იხმარება, მყოფადისაში კი ძველი ფორმებია ხმარებული:

აწმყოს წრე		მყოფადის წრე	
აწმყო	ვყიდულობ	**მყოფ.**	ვიყიდი
უწყვ.	ვყიდულობდი	**I ხოლმ.**	ვიყიდდი
აწმყ. კავშ.	ვყიდულობდე	**მყოფ. კავშ.**	ვიყიდდე

მსგავსი ზმნებია: ვპოულობ — ვიპოვი, ვნახულობ — ვნახავ; ვცდილობ — ვეცდები, ვლოცულობ — ვილოცავ, ვკითხულობ — ვიკითხავ, ვხლილობ — ვიხლი („თავში ქვას ვხლილობთ“-ო, გამიგონია კახეთში). არის ზმნები, რომელთაც კავშირი არ გაუწყვეტიათ აწმყოსთან და მის მიმყოლ მწკრივებთან, მაგრამ პარალელურად მიმღეობითი ზმნებიც იხმარება: ვიღებ — ვღებულობ, ვიგებ — ვგებულობ, ვიტყობ — ვტყობილობ, ვფიცავ — ვფიცულობ, ვიხდი — ვხდილობ, ვიხმობ — ვხმობილობ, ვცნობ — ვცნობილობ, მატულობს, კლებულობს და სხვ.

ეს ზმნები, როგორც ვთქვით, ჩვეულებრივ იხმარება აწმყოს წრეში, მაგრამ „ვნახულობ“ ზმნას დამოუკიდებელი მნიშვნელობაც აქვს მოპოვებული და სხვა მწკრივებსაც იკეთებს: ვინახულებ, ვინახულე.

545. შერწყმული ზმნები. რთული ზმნებისაგან უნდა გარჩეულ იქნეს შერწყმული ზმნები, რომლებიც ერთად იხმარება, მაგრამ პირველი ბოლოშეკვეცილია, მეორე კი სრული ფორმითაა წარმოდგენილი. შეირწყმება ხოლმე სინონიმური ან კონტრასტული შინაარსის მქონე ზმნები ან კიდევ (და ეს უფრო ხშირად ხდება) ერთი და იმავე ფუძისაგან სხვადასხვა ზმნისწინით ნაწარმოები ზმნები; მაგალითები:

ა) „რომ თავის დალონებითა აცრემლ-ატიროს ხალხია“ (ვაჟა, I, 288, 12); „ვისაც რამდენი ეწადოს, ილაყბ-იუბნოს იმდენა“ (I, 289,36); „დაწყნარდ-დადუმდა მდინარეც“ (I, 218, 24); „გასუქ-გალაღეთ ლეშითა“ («გველის-მჭამელი»); [წისქვილის ქვები] „ერთმანერთს რომ ეფშვნიტ-ექლიშებიან“ (V, 109, 20); ვასუსუვ-ვანუგეშებდი (ვაჟა); „კაცო.

ძალიან შაშინდი, გამაცივ-გამაცხელაო“ (თ. რაზ. ფშაური ლექსები, № 178, 20); „მოიპოვება ერთი დიდი ქვა, რაზედაც იქაური მცხოვრებნი სანთლებს ანთებენ და ლოცულობენ, როდესაც მათ აცივ-აცხელებსთ“ (მ. თამარაშვილი, «ისტრ. კათოლიკობისა საქართველოში», გვ. 70).

ბ) „მიდ-მოდის სისხლის ღვარები“ (I, 245, 3) [ითქმის აგრეთვე მიდი-მოდის: „მამალი მედიდურად მიდი-მოდიოდა“, V, 151, 19), გარბი-გამორბიან, მიჰმალ-მოჰმალვენ (V, 444, 15) და მისთ.

მსგავსი გამოთქმებია: გაიზმორ-გამოიზმორა, გადაწყ-გადმოწყო, მილაგ-მოლაგდნენ, მიყრილ-მოყრილან და მისთ.

შერწყმა ძალიან გავრცელებულია უპირო ზმნებშიც: მიკითხ-მოკითხვა, თავის გადაქნევ-გადმოქნევა, მიფანტულ-მოფანტული და სხვ.. „არც ისე ბრიყვი გახლავთ სოფელი, რომ დ ა წ უ ნ-მ ო წ ო ნ ე ბ ი ს ადლით ახლა მედუქნეებიცა ზომოს“ (ვაჟა).

546. ფუძე-გაფართოებული ზმნები. რამდენიმე ზმნას ფუძე **ივ** ელემენტით აქვს გაფართოებული. ეს **ივ** ხმოვან-შეცვლილი **ევ** არის, რომელიც გარდაუვალი ზმნისაგან გარდამავალს აწარმოებს (რბის — არბევს), გარდამავლისაგან კი — შუალობითი კონტაქტის ფორმას (§ 423).

ეს **ივ** ერთვის სათავისო ქცევის ფორმებს რამდენიმე ზმნისას. დართვისას თანხმოვანი ჩვეულებრივ იკარგება და რჩება მარტო ხმოვანი **ი**: იხვეწ-ივ-ებს→იხვეწიებს. ასეთი ზმნებია: ვიქონიებ („იქონიეთ მოთმინება!“), ვიშველიებ, ვიყოლიებ („თავს ვიყოლიებ“), ვიშორიებ, ვიჯერიებ, ვიგერიებ (მაგრამ შდრ.: „შვიდ დღეს ვ ი გ ე რ ე თ თოფებით“, ვაჟა, I, 221), ვიხვეწიებ და სხვა; მაგალითები: „— ქალოო, სამი პური გვასესხეთო, დედაჩემმა გამომგზავნა, ნათლია გოგია მოგვივიდა, — ე ხ ვ ე წ ე ბ ა დედაკაცი მღვდლის სახლობას. — რაღას ი ხ ვ ე წ ი ე ბ თ, აიღეთ, მიეცით! გაისმის ხმა მათე მღვდლისა“ (ვაჟა, V, 200); „ამდენი შ ე მ ი ხ ვ ე წ ი ე თ“ («სიბრძნე-სიცრ.», «მწევარნი და მელა»): „ცხენი თან შ ე მ ო ი ყ ო ლ ი ვ ე ს“ («ამირან-დარეჯანიანი», 19), „ვიყიდე და მით გული შ ე ვ ი ჯ ე რ ი ე“ (1751 წლის ნასყიდობის წიგნი: «საქ. სიძველენი», II, № 502).

თითქო ასეთივე წარმოებისა უნდა იყოს დ ა ხ ვ ა ლ ი ე ბ ა ხვალისთვის გადადების მნიშვნელობით: (მშიერი მგლები) „ვირს რას დაიხვალიებდენ“ (ვაჟა, V, 259).

547. შემოკლებული ზმნები. სასაუბრო ენაში ხშირია ზმნების შემოკლება ბოლო მარცვლის ან ასოს (ასოების) მოკვეცით. არის გარკვეული ზმნები, რომელთაც ბოლოები ეკვეცებათ. ასეთი ზმნებია:

მო (მოდი), აქ **მო** (აქ მოდი), **ჩამო** (ჩამოდი), **წამო** (წამოდი), **გამო** (გამოდი) და სხვ.

ადე (ადეგ, ადექი).

დაჯე (დაჯედი, დაჯექი), **იჯე** (იჯედი, იჯექი).

დადე (დადევი), **ჩადე** (ჩადევი).

მომე (მომეცი), **მიე** (მიეცი).

მოიტა (მოიტანე. მნიშვნელობით ამას უდრის: „მომეცი, მომაწოდე“).

შეხე (შეხედე), **დახე** (დახედე).

დაიცა (დაიცადე), **მოიცა** (მოიცადე).

მაცა (მაცალე), **დამაცა** (დამაცალე), **დააცა** (დააცალე), **დაგვაცა** (დაგვაცალე), **გამეცა** (გამეცალე).

გაიქე (გაიქეცი); ვერ **მოიქე** კარგად (ვერ მოიქეცი კარგად).

დაიჭი (დაიჭირე [ხელში], ხელი მოჰკიდე).

გასწი (გასწიე).

ასეთივე წარმოშობისაა **დაე** (დაეხსენ), აქედან (ასიმილაციით) **დ ე ე**, **დ ე**, რომელიც ნაწილაკად არის ქცეული, აგრეთვე **გეთაყვა**(ნე), რომელიც საალერსო სიტყვად არის გამხდარი, და **გენაცვა**(ლე).

ზმნათა შემოკლება უმთავრესად ბრძანებითის ფორმებში ხდება.

ზოგჯერ ასეთი შემოკლებული ფორმები სალიტერატურო ენაშიც გვხვდება:

„მო, დავსხდეთ. ტარიელისთვის ცრემლი გვდის შეუშრობილი“ («ვეფხ.», 7):

„გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს საზღვარი“ (ბარათ.).

გარკვეულ შემთხვევაში ზმნისწინმა შეიძლება მთელი ზმნის ფორმის მაგივრობა გასწიოს: „მიბრძანა: მოგეწონაო? — მოვახსენე: **მო**-მეოქი“ («ამირანდარ.», 265).

შ ე ნ ა ც ვ ლ ე ბ ა

548. შენაცვლება და მისი საფუძველი. მოიპოვება ერთი წყება ზმნებისა, რომელთაც აკლია ესა თუ ის ფორმა ან რიგი ფორმებისა და ამ ნაკლს სხვა ფუძის ზმნებით ივსებენ. ამ მხრივ ეს ზმნები ძირითადად განსხვავდება საშუალ-მოქმედებით (ანუ მედიოაქტივ) ზმნათაგან, რომელთაც შენაცვლება ერთისა და იმავე ფუძის ფორმათა ფარგლებში აქვთ.

„აკლია ესა თუ ის ფორმაო“, ვთქვით, მაგრამ კლება ნაირ-ნაირია: ზოგს აკლია რომელიმე რიცხვი, ზოგს — მწკრივები, ზოგს — ერთ-ერთი ასპექტი ან გვარი, ზოგი ზმნა ერთ-პირიანია და ორ-პირიანად არ გადაკეთდება, თუ არ მივმართეთ სხვა ფუძეს. ამას გარდა, ზრდილობიან საუბარში პირველ პირში ერთი ზმნა იხმარება, მეორეში — სხვა. ამის მიხედვით შენაცვლება ხდება: რიცხვში, მწკრივებში, ასპექტში, გვარში, აგებულებაში, პირში.

ზმნები, რომლებიც ერთმანეთს ენაცვლება, ერთიმეორის მიმართ მ ო ნ ა ც ვ ლ ე ე ბ ი ა. მონაცვლე ზმნები — ეს არის წყვილ-წყვილი ზმნები, ან სამ-სამი (შეიძლება მეტიც), რომლებიც ერთნია მნიშვნელობით, მაგრამ განსხვავდებიან გამოყენების თვალსაზრისით: ერთს ერთი სფერო აქვს მიჩენილი, მეორეს — მეორე, მესამეს — კიდევ სხვა. ერთიმეორის სფეროში ისინი ჩვეულებრივ არ იჭრებიან.

ორი ფუძე მაშინაა საჭირო, თუ კატეგორიას ორი ქვე-კატეგორია აქვს (მაგალითად, რიცხვი: მხოლობითი და მრავლობითი), მეტი ფუძე მაშინაა შესაძლებელი, როცა კატეგორია რამდენიმე ქვე-კატეგორიას შეიცავს. შეიძლება, რომ ერთი და იგივე ფუძე ორი ან სამი სხვადასხვა კატეგორიის მიხედვით იყოს მონაცვლე (მაგალითად, რიცხვისა და მწკრივისა; ან რიცხვისა, მწკრივისა და გვარისა და სხვ.).

შენაცვლება ხდება არა მარტო პირიან ფორმებში, არამედ უპიროებშიც, მთელ ზმნის სისტემაში საზოგადოდ.

549. შენაცვლება რიცხვში. რიცხვი ზმნაში პირს მოეპოვება: სუბიექტურს, ობიექტურს. ამიტომ, როცა რიცხვში შენაცვლებაზეა საუბარი, ცხადია, იგი ეხება ან სუბიექტურ პირს, ან ობიექტურს; ოღონდ ობიექტურ პირთაგან შენაცვლება მხოლოდ პირდაპირმა იცის, ირიბი კი ყოველთვის ამ მოვლენის გარეშეა. ამას გარდა, რადგანაც რიცხვი ორია, ამიტომ ფუძეები, რომელთა ფორმები ენაცვლება ერთმანეთს, ორია: ერთი იხმარება მხოლობითში, მეორე — მრავლობითში. ამასთანავე, მრავლობითის ფუძე შეიძლება მხოლობითშიც ვიხმაროთ, მაგრამ მე-3 პირში და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სუბიექტური პირის ფორმა ან პირდაპირ-ობიექტურისა კრებითი (კოლექტიური) საგნის მიმართ არის ნახმარი.

I. შენაცვლება სუბიექტური პირების რიცხვში. შენაცვლება სუბ. პირების რიცხვში მაშინ ხდება, თუ ზმნა გარდაუვალია (საშუალი, ვნებითი). აქ საშუალ ზმნებს შევეხებით, ან ისეთ ვნებითს, რომელიც უცალოა (ე. ი. რომლის ფუძისაგან მოქმ. გვარის ფორმები არ იხმარება), სხვა ვნებითი გვარის ფორმებს კი მოქმედებითთან ერთად განვიხილავთ.

ა) **ჯდომა — სხდომა. ჯდ (ჯედ)** მხოლობითის ფუძეა, ამასთანავე ერთად იგი მწკრივშიც მონაცვლეა: აწმყოში მას **ზი** ენაცვლება. უღლების მაგალითები:

	აწმყო	წყვეტილი	I თურმ.
მხ. 1	ვზივარ	ვიჯედი (ვიჯექი)	ვმჯდარვარ
2	ჰზიხარ	იჯედი (იჯექი)	მჯდარხარ
3	ზის ‖ სხედს	იჯდა ‖ ისხდა	მჯდარა ‖ მსხდარა
მრ. 1	ვსხედვართ	ვისხედით	ვმსხდარვართ
3	ჰსხედხართ	ისხედით	მსხდარხართ
3	სხედან	ისხდნენ	მსხდარან

აგრეთვე სხვა მწკრივებშიც (ვიჯდე ‖ ვისხდეთ და სხვ.), სახელზმნებშიც ჯდომა (ერთისა) ‖ სხდომა (მრავლისა), მჯდომარე ‖ მსხდომარე. ს ხ დ ო მ ა ზ ე თავ(ს)-მ ჯ დ ო მ ა რ ე ს ირჩევენ.

მონაცვლეობაა, რა თქმა უნდა, ზმნისწინიან ფორმებშიც: დაჯდა — დასხდნენ, შეჯდა — შესხდნენ, გადავჯედი — გადავსხედით და მისთ.. „ბრძანა: მინდორს შ ე ვ ჯ დ ე ბ ი ო“ («ვეფხ.», 170), „შ ე ს ხ დ ე ს მეფე და ავთანდილ მის ყმისა მასაწვეველად“ (იქვე, 96).

ბ) **ვარდნა — ცვივნა.** „ვარდ“ ფუძე მხოლობითის ფორმებს აწარმოებს, „ცვივ“ კი — მრავლობითისას, სულ ერთია, ზმნისწინი აქვს, თუ არა; და თუ აქვს, ისიც სულ ერთია, რომელიც უნდა იყოს.

	მყოფადი	წყვეტილი
მხ. 1	გადავვარდები	გადავვარდი
2	გადაჰვარდები	გადაჰვარდი
3	გადავარდება ‖ გადაცვივდება (გადაცვივა)	გადავარდა ‖ გადაცვივდა
მრ. 1	გადავცვივდებით (გადავცვივათ)	გადავცვივდით
2	გადასცვივდებით (გადასცვივით)	გადასცვივდით
3	გადაცვივდებიან (გადაცვივიან)	გადაცვივდნენ

ვარდება, ცვივდება (ცვივა). ზამთრის პირას ხეს ფოთოლი ს ც ვ ი ვ ა („ფოთოლი“ აქ კრებითი სახელია); ხარს ბალანი გ ა ს ც ვ ი ვ დ ა („ბალანიც“ კრებითი სახელია); კაკო ყაჩაღად გ ა ვ ა რ დ ა ტყეში; კაკო და ზაქრო ყაჩაღად გ ა ც ვ ი ვ დ ნ ე ნ ტყეში; „ჩემს ტოლ ბიჭს არც მე დ ა ვ უ ვ ა რ დ ე ბ ი“ (ვაჟ.); ჩვენს ტოლს ბიჭებს არც ჩვენ დ ა ვ უ ც ვ ი ვ ი თ; „ჩვენც იმას ჩ ა ვ უ ც ვ ი ვ დ ი თ ხელში“ (ვაჟა); „როდესაც ნახირი მოვიდა, მ ი უ ც ვ ი ვ დ ნ ე ნ გიგოს დანიავებულ სახლობას“ (ლომ.).

II. შენაცვლება ობიექტური პირების რიცხვში. ზემოთ აღინიშნა, რომ, როცა შენაცვლებაა რიცხვში, ობიექტურ პირთაგან ყოველთვის პირდაპირია და არასოდეს ირიბი. ზმნა გარდამავალია, მოქმედებითი გვარისა, ვნებითად გადაკეთებისას პირდაპირ-ობიექტური პირი სუბიექტურად იქცევა და, რაკი ამასთანავე ზმნა გარდაუვალიც გახდება, შენაცვლება უკვე სუბიექტურ პირთა რიცხვში მოხდება. ის კი სულ ერთია, დინამიკურია ვნებითის ფორმა, თუ სტატიკური. ასეთი ზმნებია:

ა) **გდება — ყრა.** ამ წყვილის ერთი ცალი მხოლობითში იხმარება, მეორე — მრავლობითში:

	ქვას	ქვებს	ქვა	ქვები
მხ. 1.3	ჩავაგდებ	ჩავყრი	გადავაგდე	გადავყარე
2.3	ჩააგდებ	ჩაჰყრი	გადააგდე	გადაჰყარე
3.3	ჩააგდებს	ჩაყრის	გადააგდო	გადაყარა
მრ. 1.3	ჩავაგდებთ	ჩავყრით	გადავაგდეთ	გადავყარეთ
2.3	ჩააგდებთ	ჩაჰყრით	გადააგდეთ	გადაჰყარეთ
3.3	ჩააგდებენ	ჩაყრიან	გადააგდეს	გადაყარეს

ასევეა სხვა ფორმები, გინდა არ ჰქონდეს ზმნისწინი, გინდა სხვა ზმნისწინი დაირთოს: ვაგდებ — ვყრი, შევაგდებ — შევყრი, გავაგდებ — გავყრი და მისთ. „უკუეთუ მათ გ ა ნ ჰ ყ რ ი, ესეცა გ ა ნ ა გ დ ე მათ თანა“ («ხრონოლ.». 29, 2 ქვ.).

„ყრა“ ითქმის არა მარტო მრავალ საგანზე, არამედ ერთზედაც, მაგრამ ისეთზე, რომელიც მთლიანი არ არის და ნაწილებად იშლება: ფქვილი, ხორბალი, ფეტვი, მიწა, ნაცარი, ნაგავი და სხვ.

„ორმოში ფეტვი ჩ ა ვ ყ ა რ ე შესანახადაო.
ორმოში წყალი ჩასულა დასალპობადაო.
ორმოდანა ა მ ო ვ ყ ა რ ე გასაშრობადაო“ (ხალხური).
„თვალთაგან ვითა მარგალიტი ცრემლი ცხელი გ ა რ დ მ ო ყ ა რ ა“
(«ვეფხ.», 160)

მოყვანილ ნაწყვეტებში „ფეტვი“ და „ცრემლი“ კრებითი სახელებია. სამაგიეროდ ამ წინადადებაში: „რამდენი მეგობრები და ნათესავები დამხოცია, მაგრამ ერთი ცრემლი არ ჩ ა მ ო მ ი გ დ ი ა მათზედ“ (ლომ.) ერთ „ცრემლზეა“ საუბარი, იგი მხოლობითია.

არ შეიძლება ითქვას: „მე გადამყარა“, „შენ გადაგყარა“, არამედ: „მე გადამაგდო“, „შენ გადაგაგდო“; სამაგიეროდ: „ჩვენ გადაგვყარა“, „თქვენ გადაგყარა“.

ზოგ შემთხვევაში ამ ფუძის ზმნას მოაკლდა ძალა, პირდ. ობიექტი მრ. რიცხვში შეიწყოს: თუ სულხან ორბელიანისთვის ჩვეულებრივი იყო გამონათქვამი: „ექვსი ზარბაზანი გ ა ყ ა რ ე ს", ან „შვიდი ზარბაზანი გ ა ყ ა რ ე ს" («მოგზ. ევროპაში», 1940, გვ. 4), ეხლა ამგვარი გამონათქვამი უკვე მოძველებულად ეჩვენება კაცს; მის მაგივრად ამბობენ: „შვიდი ზარბაზანი გ ა ა გ დ ე ს"; „დღეს სახალხო არმიის საზენიტო არტილერიამ და თვითმფრინავთა გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩ ა მ ო ა გ დ ე ს ექვსი თვითმფრინავი" «კორეის ამბები», «კომუნ.», 24.3. 1953).

თუ აღნიშნული ფუძის ზმნებს ვნებითად მოვაქცევთ, შენაცვლებას სუბ. პირების მიხედვით ექნება ადგილი:

დ ი ნ ა მ ი კ უ რ ი ფ ო რ მ ე ბ ი

		მყოფადი	წყვეტილი
მხ.	1(3)	დავეგდები	დავეგდე
	2(3)	დაეგდები	დაეგდე
	3(3)	დაეგდება, დაეყრება	დაეგდო, დაეყარა
მრ.	1(3)	დავეყრებით	დავეყარენით (დავეყარეთ)
	2(3)	დაეყრებით	დაეყარენით (დაეყარეთ)
	3(3)	დაეყრებიან	დაეყარნენ

ს ტ ა ტ ი კ უ რ ი ფ ო რ მ ე ბ ი

	აწმყო	წყვეტილი
1(3)	ვაგდივარ	ვეგდე
2(3)	აგდიხარ	ეგდე
3(3)	აგდია, ჰყრია	ეგდო, ეყარა
1(3)	ვჰყრივართ	ვეყარენით (ვეყარეთ)
2(3)	ჰყრიხართ	ეყარენით (ეყარეთ)
3(3)	ჰყრიან	ეყარნენ

„გდება" სხვა წყვილშიც შედის მონაცვლედ (ნახე № ვ).

ბ) **სმა — სხმა.** ამ ფუძეთა ზმნები იხმარება უზმნისწინოდაც და ზმნისწინებითაც: დასმა—დასხმა („**დასხმა** არს მრავალი კაცი რა დააჯდუნოს", ს. ორბ.), **ჩასმა** — ჩასხმა, გადასმა — გადასხმა და მისთ.. პირიანი ფორმები ყველა ქცევის ფორმით იხმარება; მაგ.: ბავშვს დ ა ვ ს ვ ა მ, ბავშვებს დ ა ვ ს ხ ა მ; ბავშვი დ ა ვ ს ვ ი, ბავშვები დ ა ვ ს ხ ი; „კრუხი ჩ ა ვ ს ვ ი, კრუხები ჩ ა ვ ს ხ ი" (დედა-ენა, II, 1944, 102); „ავარდა გიგო ურემზედ და გადმოიტაცა ვანო ძირსა. შემდეგ აქეთ და იქით მ ო უ ს ხ ა ორი გლეხ-კაცი და გამოისტუმრა ურემი წინა" (ლომ.).

„სხმა" სხვა წყვილებშიც შედის მონაცვლედ (ნახე ამავე პარაგრაფში №№ გ, დ, ზ, ჱ).

გ) **ბმა — სხმა.** ერთზე „მობმა" ითქმის, ბევრზე — „მოსხმა". პირიანი ფორმები სათავისო ქცევით უნდა: „ტყემ მ ო ი ს ხ ა ფოთოლი" (ი. ჭავ.), — აქ „ფოთოლი" კრებითი სახელია; ჩვენმა პ ა ტ ა რ ა ვაშლის ხემ წელს ერთი ვაშლი მ ო ი ბ ა; ფრთები შ ე ი ს ხ ა.

სტატიკური ვნებითი: **აბია — ასხია.** „ამ ვაზს შარშან ერთი მტევანი ე ბ ა. წელს კი ბევრი ა ს ხ ი ა.

დ) დაცემა — დასხმა. ეს ზმნები ჩვეულებრივ ვნებითში ენაცვლებიან ერთმანეთს: თავს დაეცა (ერთი), თავს დაესხნენ (მრავალნი). ხორცს მატლი დაჰსხვოდა („მატლი“ ამ შემთხვევაში კრებითი სახელია).

ე) კვლა — ხოცა. „კვლა“ ზმნას „და“ ზმნისწინით ერთი მნიშვნელობა აქვს („ქათამი დავკალი“, „გოჭი დავკალი“), „**მო**“-თი — ოდნავ სხვა („კაცი მოვკალი“, „შაშვი მოვკალი“, „კურდღელი მოვკალი“ და მისთ.), მაგრამ ორსავე შემთხვევაში „**ხოცა**“ ზმნა ენაცვლება. ეს შენაცვლება არ არის გატარებული სისტემებრ, მაგრამ მას საკმაო სიმკვიდრე აქვს, განსაკუთრებით აღმოსავლურ კილოებში და იქედან გამოსული მწერლების ენაში.

მოკვლა — დახოცა. მწყერი მოვკალი — მწყრები დავხოცე, მგელი მოვკალი — მგლები დავხოცე (**მო**-ს ნაცვლად რომ მონაცვლე ზმნაში **და** არის, ეს ალბათ იმით აიხსნება, რომ აქ თითოობის „და“ უნდა გვქონდეს. § 321).

დაკვლა — დახოცა: ქათამი დავკალი, ქათმები დავხოცე; ცხვარი დავკალი, ცხვრები დავხოცე და მისთ.. „დ ა ვ კ ა ლ ი ერთი მსუქანი კერატი. დ ა ვ კ ა ლ ი ორი ინდაური, დ ა ვ კ ა ლ ი ერთი ცხვარი, დ ა ვ ხ ო ც ე ოთხი-ხუთი ქათამი“ (ვაჟა, V, 252); „შენმა შვილმა რომ ძროხები დ ა გ ვ ი ხ ო ც ა და მეც კინაღამ მ ო მ კ ლ ა“ (ლომ.).

„კვლა“ ზმნისაგან ვნებითი აღარ იწარმოება, თუ მას **მო** ზმნისწინი ახლავს, და ამ შემთხვევაში „კვდომა“ ენაცვლება (§ 552). ამიტომ „დახოცა“ ზმნის ვნებითს მხოლობითში მონაცვლედ „მოკვდომა“ აქვს: ძმა მომიკვდა — ძმები დამეხოცა; „დამეხოცა დედ-მამა“ (ვაჟა, V, 242, 16); „ხარი მოკვდა, ხარები დაიხოცა“ («დედა-ენა», I**V**, 1944, 102); „ისე დაბერდნენ და დაიხოცნენ, რომ“ (ვაჟა, V, 272, 35); სოფო ეუბნება თავის საქმროს ბერუას: „ისე როგორ უნდა დავიხოცნეთ, რომ შენ ჩემი არ გერქვას და მე — შენი“ (ვაჟა, V, 249).

ვ) გდება — რეკა. ხბო საძოვარზე გავაგდე. ხბო[რ]ები საძოვარზე გავრეკე; იგივე ვითარებაა მოყვანილი ზმნების სხვა ზმნისწინებით ხმარებისასაც: შევაგდე — შევრეკე; ჩავაგდე — ჩავრეკე და სხვ., „მაშ ხარი დაუკლათ, ხარი! დაიყვირეს აქეთ-იქიდამ. საჩქაროზედ ორი ბიჭი გაგზავნეს მინდორში ხარის მ ო ს ა გ დ ე ბ ა დ“ (ლომ.); „მინდვრებიდან მ ო გ დ ე ბ უ ლ ი შვიდ-რვა თუმნიანი ხარი დასცეს ძირს და გამოსჭრეს ყელი“ (ლომ.); „სოსიკა, ი რა კაი მოზვრები მ ო გ ი რ ე კ ი ა, ბიჭო“! (მგალ., 379). დასავლურ კილოებში (მაგ., გურულში) ამ შემთხვევაში „[გა]დენა“ („[გან]დევნა“) იხმარება ორსავე რიცხვში: ხარი გავდენე, ხარები გავდენე.

„გდება“ სხვა წყვილშიაც შედის მონაცვლედ (ნახე № ა).

ზ) ყვანა — სხმა. იშვიათად გვხვდება ამ ფუძეების შენაცვლებაც პირდ.-ობიექტური პირების რიცხვის მიხედვით: შვილი ქალაქს წ ა ი ყ ვ ა ნ ა, ცოლშვილი ქალაქს წ ა ა ს ხ ა; „გ ა მ ო ა ს ხ ა ერი იგი“ (მათ. 9, 25); „ეგრე უთხრა: ძმანო ჩემნო, აქ მომიცადეთო. მე წავალო და ამ აქლემებს წ ა ვ ა ს ხ ა მ ო. თუ მშვიდობით გავიარო, კიდევ გამოვივლიო და თქვენც წ ა გ ა ს ხ ა მ ო“ («რუსუდ.», 51, 24—25); „ჩვენები მტერმა წ ა ა ს ხ ა სამხრეთით სომხეთში... [ცოტნე დადიანს] უთხრეს მთავრების დატყვევება და მათი წ ა ს ხ მ ა ანისის ქალაქში“ (გოგებ.). ასეთი შენაცვლება თითქმის გადავარდა ხმარებიდან. წას-

ხმა ეხლა შეიძლება მხოლოდ საქონელზე ითქვას: ხარი მინდორში წაიყვანა, ხარები მინდორში წაასხა; „ამილახორო, მოასხი რემა, ჯოგი და ცხენია“ («ვეფხ.», 54; აქ მოასხი=მორეკე).

ზ) **დება — სხმა.** ძვ. ქართულში ჩვეულებრივი იყო ამ ზმნათა ფუძეების მონაცვლეობა პირდ.-ობ. პირთა რიცხვის მიხედვით (ჴელი დასდვა, ჴელნი დაასხნა), მაგრამ ახალ ქართულში ასეთი შენაცვლება აღარ არის. გადმონაშთის სახით კი შეიძლება მთის კილოებში შეგვხვდეს: გაგვიდვა რკინის ხიდი, გაგ/ვისხა რკინის ხიდები (დ. გოგოჭურის კრიტიკული წერილი «ლიტ. და ხელოვნებაში», 11.7.1952).

თ) **ღება — ხუმა.** ეს ზმნები ძველად ენაცვლებოდნენ ერთმანეთს მოქმ. გვარის ფორმებში ობიექტურ პირთა რიცხვის მიხედვით, ვნებ. გვარისაში კი — სუბიექტურ პირთა რიცხვის მიხედვით; მაგალითად: „არ აგვიხვნა, არცა დაგვსხნა“ («ვეფხ.», 207); „მეფემან ახმა დურაჯთა მითხრა მიტანად ქალისა; კამოვუხვენ და წავედით“ (იქვე, 342); განეხუნეს კარნი (=გაიღო კარები) და მისთ., მაგრამ ახალ ქართულში შენაცვლება არ ხდება, მხოლობითის ფუძის ზმნა მრავლობითშიც გადავიდა: აიღო წიგნები (უფრო ზედმიწევნით რომ ვთქვათ, შემდეგი მოხდა: ძველად შენაცვლება ხდებოდა, როცა სახელი **ნ**არიან მრავლობითში იდგა, ხოლო როცა **ებ**იანში, მაშინ არა. ახალ ქართულში **ებ**იანი მრავლობითი გაბატონდა და მისი სინტაქსური წყობაც დარჩა).

ი) დამატებით უნდა აღვნიშნოთ შემდეგი. არის ასეთი ცნობაც: „კოკა გატყდა, კოკები დაიმტვრა“; „ქვა ავიღე, ქვები ავკრიფე“ («დედა ენა», II, შედგენილი ი. გოგებაშვილის «დედა ენის» მიხედვით, 1944, 97), მაგრამ საცილობელია, რომ „აკრეფას“ ძველი „ახმა“ („ახვმა“) შეეცვალოს. „აკრეფა“ საზოგადოდ ერთ საგანზე არ ითქმის, ისე როგორც ზოგიერთი სხვა ზმნაც: „გადაკრეფა“ (იმავე ფუძისა, რაც „აკრეფა“), შეკრება, შექუჩება, შეყრა („შერმადინ ერთგან შეყარნა ხასნი და დიდებულები“, «ვეფხ.», 175), შეჯგუფება, ამოწყვეტა, გაჟლეტა. თუ ამ ზმნებს ვნებითში გადავიყვანთ, მათ, საერთო წესის მიხედვით, მრ. რიცხვის ფორმები ექნებათ, მხოლობითში კი მარტო მე-3 პირისა: გადავიკრიფენით („გადაიკრიფნენ ღრუბელნი“, «ბახტრ.»), შევქუჩდით, შევჯგუფდით, ამოვწყდით, გაიჟლიტა და მისთ.. რაც შეეხება ასეთ შენაცვლებას: „კოკა გატყდა, კოკები დაიმტვრა“, იგი მოქმედებითშიც არის შესაძლებელი: კოკა გავტეხე, კოკები დავამტვრიე; კაკალი გავტეხე, კაკლები დავამტვრიე.

პირდ. ობიექტის მრ. რიცხვში გადაყვანისას რომ ზოგჯერ ზმნისწინი იცვლება, ამაზე უკვე გვქონდა საუბარი (ნახე § 321).

550. შენაცვლება მწკრივებში. მწკრივებში შენაცვლება უფრო ფართო ხასიათისაა, ვიდრე რიცხვში შენაცვლება. აქ ერთმანეთს ენაცვლება ზოგჯერ სამ-სამი ფუძე. ამას გარდა, ერთსა და იმავე მწკრივში შეიძლება, ორი ან მეტი ფუძე იყოს შემუშავებული ისტორიულად.

ა) **ყოფნა: ვარ — ვიქნები — ვიყავ.** I სერიაში ორი ფუძეა გამოყენებული: **არ** და **ქ[მ]ნ**-ა. პირველი მარტო აწმყოს მწკრივს აწარმოებს (ვ-არ, ხ-არ, არ-ის), უწყვეტელი და აწმყოს კავშირებითი აკლია. ნელად წარმოქმნილი

მწკრივები „ქმნა“ ზმნის ვნებითი გვარის ერთ-პირიან ფორმებს იყენებს (ვიქნები, ვიქნებოდი, ვიქნებოდე); II და III სერიის მწკრივები კი „ყოფა“ ზმნის ვნებითისგანვეა გაკეთებული: ვიყავ, ვიყო, ვყოფილვარ. ამავე ფუძისაა სახელზმნებიც: ყოფ-ნ-ა, ყოფ-ილ-ი.

ბ) **ქონება: მაქვს — მექნება.** აწმყოს წრეში **ქვ-ან (ქუ-ან—ქონ)** ფუძის ფორმები იხმარება (მაქვს, მქონდა, მქონდეს), მყოფადისაში კი — ეს ფორმები: მექნება, მექნებოდა, მექნებოდეს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. საფიქრებელია, ხომ არა გვაქვს აქ „მექონება“-ს შეკუმშული სახეო (მექონება→მექვნება→მექნება). ეს „მექონება“ ვნებითია „მაქონებს“ ზმნისა („სულთა მოგცემ გულისათვის, ამის მეტი რამც გაქონე“, «ვეფხ.», 249). მაშასადამე, ამ შემთხვევაში „მაქვს“ — „მექნება“ (←მექვნება←მექონება?) იმგვარადვე უნდა იყოს ნაწარმოები, როგორც „მყავს“ — „მეყოლება“, „უფრორე წყნარად გიამბობ, თუ ჟამი ჩვენ **გვექონების**“ (ვეფხ. 610).

გ) **ჯდომა: ვზივარ — ვიჯედი.** როგორც ზემოთ ვნახეთ (§ 549, I ა), **ზი** ფუძე მონაცვლეა რიცხვში, მაგრამ იგი მონაცვლეა მწკრივშიც: იხმარება მარტო აწმყოში (ვზივარ, ჰზიხარ, ზის); სავრცობიანი მწკრივები აკლია. II და III სერიაში **ჯედ (ჯდ)** ფუძე იხმარებოდა ძველად და ეხლაც იხმარება: ვიჯედ, იჯდა; ვიჯდე, იჯდეს (ძველად: ვჯედ, სჯედ, ჯდა; ვჯდე, სჯდე, ჯდეს), ვმჯდარვარ, ბავშვი მუხლებზე სჯდომია. ამავე ფუძისაგანაა ნაწარმოები საწყისი (ჯდომა) და მიმღეობა (მჯდომარე, საჯდომი) და აგრეთვე ახალი მწკრივები (მყოფადის წრისა): ვიჯდები (ვიჯდომები), ვიჯდებოდი, ვიჯდებოდე.

დ) **სვლა: ვალ — ვედ (ვიდ) — დი.** **ვალ** ფუძე ძველად უზმნისწინოდაც იხმარებოდა („ვიდრე ხ უ ა ლ, უფალო“=სად მიდიხარ, ბატონო?), მაგრამ ახალ ქართულში მას მხოლოდ ზმნისწინიანი ფორმები აქვს: მოვალ, მივალ, შევალ, წავალ, გადავალ და სხვ.. იგი ძველად უსრული ასპექტის ზმნა იყო, მაგრამ შემდეგ სრულისა გახდა და მომავალი დროის გაგება შეიძინა: ამით მან კავშირი გაწყვიტა აწმყოსთან და მყოფადში გადავიდა. დაცარიელებული ადგილი **დი** ფუძემ დაიკავა: მოვდივარ, მოსდიხარ, მოდის და შემდგომი (ან მივდივარ და სხვ.). სავრცობიან მწკრივებშიც ეს **დი** ფუძე იხმარება, რადგანაც ამ მწკრივების ძველი ფორმებიც მყოფადისავე წრეში გადავიდა (ძველად, XI საუკუნემდე: უ წ ყ ვ. მივიდოდე, I კ ა ვ შ. მივიდოდი; შემდეგ, XI საუკუნიდან: უ წ ყ ვ. მივიდოდი, I კ ა ვ შ. მივიდოდე). ამგვარად, I სერიაში მივიღეთ ასეთი სურათი:

		აწმყო	უწყვეტ.	აწმყოს კავშ.
მხ.	1	მოვდივარ	მოვდიოდი	მოვდიოდე
	2	მოსდიხარ	მოსდიოდი	მოსდიოდე
	3	მოდის	მოდიოდა	მოდიოდეს
მრ.	1	მოვდივართ	მოვდიოდით	მოვდიოდეთ
	2	მოსდიხართ	მოსდიოდით	მოსდიოდეთ
	3	მოდიან	მოდიოდნენ	მოდიოდნენ

	მყოფადი	I ხოლმ.	მყოფ. კავშ.
მხ.	1 მოვალ	მოვიდოდი	მოვიდოდე
	2 მოხვალ	მოხვიდოდი	მოხვიდოდე
	3 მოვა (←მოვალს)	მოვიდოდა	მოვიდოდეს
მრ.	1 მოვალთ	მოვიდოდით	მოვიდოდეთ
	2 მოხვალთ	მოხვიდოდით	მოხვიდოდეთ
	3 მოვლენ	მოვიდოდნენ	მოვიდოდნენ

რადგანაც **ვალ** და **ვიდ** ფუძეები **ვ**ინით იწყება, ამიტომ პირვ. პირის ფორმაში ორი **ვ**ინია მოსალოდნელი, მაგრამ ერთი მათგანი იკარგება: მოვალ, მოვედი, მოვიდე, მოვიდოდი, მოვიდოდე (ამათ ნაცვლად შესაბამისად: *მოვვალ, *მოვვედი, *მოვვიდე, *მოვვიდოდი, *მოვვიდოდე). **ვ**ინის დაკარგვა ამ ფორმებში ძველი ამბავია.

II სერიის ფორმები **ვედ** — **ვიდ** ფუძეზეა დაყრდნობილი. ამათგან **ვედ** წყვეტილის 1-ლისა და მე-2 პირის ფორმებს აწარმოებს [და ბრძანებითისასაც, მაგრამ უკანასკნელი ფორმა ამჟამად ძალიან დაშორებულია პირვანდელს: მოვედ→მოედ(ი)→მოდი], მე-3 პირის ფორმა და ორი სხვა მწკრივისა კი **ვიდ** ფუძეს იყენებს (რომელიც ვარიანტია **ვედ**-ისა): მოვიდე, მოვიდი:

	წყვეტ.	ბრძან.	II ხოლმ.	II კავშ.
მხ.	1 მოვედ(ი)	———	მოვიდი	მოვიდე
	2 მოხვედ(ი)	მოდი	მოხვიდი	მოხვიდე
	3 მოვიდა	———	მოვიდის	მოვიდეს
მრ.	1 მოვედით	———	მოვიდით	მოვიდეთ
	2 მოხვედით	მოდით	მოხვიდით	მოხვიდეთ
	3 მოვიდნენ	———	მოვიდიან	მოვიდნენ

სახელზმნებში (და აქედან III სერიის ფორმებში) **ვალ** ფუძეა გამოყენებული: მ ი მ ღ ე ო ბ ა: მო-მა-ვალ-ი (ეხლანდელი დროისა), მო-სა-ვალ-ი (მომავალი დროისა), მო-სულ-ი (←*მო-სლ[ვ]ულ-ი, დისიმილაციით: მო-სრულ-ი) [წარსული დროისა]. აქედან ერთ-პირიანი ფორმები III სერიისა: მოვსულვარ, მოვსულიყავ, მოვსულიყო.

არის პარალელური ფორმებიც ეხლანდელისა და მომავლის დროის მიმღეობისათვის: მომსვლელი (ეხლ.), მოსასვლელი (მყოფ.). ს ა ხ ე ლ ზ მ ნ ა: მოსვლა. აქედან ორ-პირიანი ფორმები III სერიისა: მომსვლია, მომსვლოდა, მომსვლოდეს.

ფუძეები **ვალ** და **ვედ** (**ვიდ**) ყოველგვარი ზმნისწინის დართვით ენაცვლება ერთმანეთს: გავალ — გავედი, შევალ — შევედი, მივალ — მივედი, მოვალ — მოვედი, წამოვალ — წამოვედი და სხვ.. რაც შეეხება **დი** ფუძეს, ისიც ყოველთვის ენაცვლება **ვალ** და **ვედ** (**ვიდ**) ფუძეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა **დი**-ს ერთვის ზმნისწინი **და**, ნაწილობრივ აგრეთვე **მი** და **მო**:

და-ვდივარ. ამ ზმნას მონაცვლედ სხვა ფუძის ზმნები აქვს (ვივლი, ვიარე; ნახე ქვემოთ № ი). მართალია, ხალხურ ლექსში გვხვდება: „სახნისმა თქვა:

ქვესკნელს დ ა ვ ა ლ, ვერვინ მნახავს მზეზედაო", მაგრამ ეს ძველის გად-მონაშთია.

მი-ვდივარ. ამ ზმნას ორი მონაცვლე აქვს (მნიშვნელობის განსხვავებით): **მივალ** და **წავალ. მი**-ს ბოლო პუნქტი აქვს მხედველობაში და **წა**-ს - დასაწყი-სი: ქუთაისიდან წ ა ვ ა ლ და სვანეთში მ ი ვ ა ლ წ ა ვ ა ლ — წ ა ვ ე დ ი, მაგრამ „წავდივარ" არ ითქმის.

მო-ვდივარ. ამ ზმნასაც ორი მონაცვლე აქვს (აგრეთვე სხვადასხვა მნიშვნე-ლობით): **მოვალ** და **წამოვალ. მო** ბოლო პუნქტს გულისხმობს, **წამო** — დასაწ-ყისს: სვანეთიდან წ ა მ ო ვ ა ლ და ქუთაისში მ ო ვ ა ლ (ასე ვამბობთ, როცა ქუთაისში ვართ).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ასეთსავე მოვლენას ვნახავთ **და, მი** და **მო** ზმნისწინიან ზმნათა მონაცვლეობაში **ქვ** ფუძესთანაც (დამაქვს, მიმაქვს, მომაქვს: № ია).

„ვალ — ვედ" ფუძეებს სხვა თავისებურებანიც ახლავს, რომლებზედაც ქვე-მოთ გვექნება საუბარი.

ე) **შრომა, ქ[მ]ნა — ზმ[ნ]ა.** აწმყოს წრეში უფრო იხმარება „შრომა" (←შვრომა←შურომა):

მხ. 1	ვშვრები	ვშვრებოდი	ვშვრებოდე
2	ჰშვრები	ჰშვრებოდი	ჰშვრებოდე
3	შვრება	შვრებოდა	შვრებოდეს და შ ე მ დ გ ო მ ი.

ზმნა ფორმით ვნებითია, მაგრამ გარდამავლობის ნიშანი აქვს: რ ა ს ჰშვრე-ბი, მ ა გ ი ს თ ა ნ ე ბ ს ნუ შვრება და მისთ.

„ქ[მ]ნა'-ც იხმარება აწმყოს წრეში, მაგრამ სათავისო ქცევის ფორმით და გარკვეულ შემთხვევებში, მაგალითად: რასა იქ? (=როგორ ხარ, როგორ სცხოვრობ?), რასა იქთ? ესენი აწმყოს ფორმებია, მაგრამ გაგება ეხლან-დელი დროისაც აქვთ და მომავლისაც (§ 246). აქედან შემდეგ სხვა მწკრივები: ვიქდი, ვიქდე.

თუ ზმნა სრული ასპექტით არის ნახმარი (რაც ხშირი მოვლენაა), იგი უკვე მყოფადის მწკრივშია გადასული: „მერმე ბრძანა: ვ ი ქ მ საქმესა მამისაგან სწავლებულსა" («ვეფხ.», 53).

სრული ასპექტის მნიშვნელობით მყოფადის წრეში ჩვეულებრივ „ზმა" იხმარება (ესეც სათავისო ქცევის ფორმით): ვიზამ, ვიზამდი, ვიზამდე. სხვა მწკრივები ამ ფუძეს არ გააჩნია. საწყისის ფორმა „ზმ[ნ]ა" გრამატიკულ ტერ-მინად არის გამოყენებული (§ 199, 2 შნშ.). ვიქამ, იქამ და შემდგომი მყო-ფადის მნიშვნელობითვე იხმარება, მაგრამ დიალექტური ფორმებია.

II და III სერიის ფორმები **ქ[მ]ნა** ზმნისგანაა (II სერიაში საარვისოს ფორმით): ვქენ(ი), ქნა: ქენ(ი); მიქნია, მექნა, მექნას. სახელზმნებიც ამავე ფუძეს ეყრდნობა: მქნელი, უქნელი, საქნელი, ნაქნარი, *ქნილი (ეს უკანასკნე-ლი III სერიის ფორმებშია გამოყენებული: არ ქნილა).

ზოგ შემთხვევაში „შრომა" ზმნის ნაცვლად „ჩადენა" იხმარება: ვჩადი, სჩადი, ჩადის. რას სჩადი? (=რას ჰშვრები?) და მისთ.

ვ) **მბობა — თქმა: ვამბობ — ვიტყვი — ვთქვი.** აწმყოს წრეში „ვამბობ" იხმარება (ვამბობ, ვამბობდი, ვამბობდე), მყოფადის წრეში — „ვიტყვი" (ვი-

ტყვი, ვიტყოდი, ვიტყოდე, § 339), II და III სერიაში „თქმა“ მიდის: ვთქვი, ვთქვა, თქვი; მითქვამს, მეთქვა, მეთქვას. სახელზმნებიც ამავე ფუძეს ეყრდნობა: თქმა, მთქმელი, სათქმელი, უთქმელი, თქმული, ნათქვამი.

I სერიის მწკრივებში ასპექტის განსხვავება სხვადასხვა ფუძის გამოყენებით ხერხდება (ვამბობ — ვიტყვი, ვამბობდი — ვიტყოდი, ვამბობდე — ვიტყოდე). უწყვეტლისა და აწმყოს კავშირებითის ფორმები ასპექტის თვალსაზრისით წყვეტილსა და II კავშირებითსაც უპირისპირდება (ვამბობდი — ვთქვი ვამბობდე — ვთქვა). III სერიის ფორმები სრული ასპექტისაა (მითქვამს), უსრული ასპექტისთვის მათ არაფერი აქვთ საპირისპირო.

„ვამბობ“ სალიტერატურო ენის ფორმაა. ზოგ კილოში მის ნაცვლად სხვა ზმნა იხმარება: ვჩივი (გურ.), ვიძახი (ქართლ.), (ვ)უ[ბ]ნობ (იმერ.).

აღნიშნულ ზმნათაგან „ვიტყვი“ მომდევნო სამეულშიც შედის, სადაც იგი დამატებით ირიბ-ობიექტური პირის გაგებასაც იძლევა.

ზ) უბნობა, თხრობა: ვეუბნები — ვეტყვი — ვუთხარ. ამ სამეულის ზმნები ყველა სამ-პირიანია, „ვეუბნები“-ც კი (ამ ჩემს ძმას კაი სიტყვას ვეუბნები; ამ ჩემს ძმას კაი სიტყვას ვეტყვი; ამ ჩემს ძმას კაი სიტყვა ვუთხარ). როცა ირიბ-ობიექტური პირის ჩართვა გვინდა ფორმაში, ისინი ზემოთ მოყვანილი სამეულის ზმნებს ენაცვლებიან შესაბამისად, მაგრამ, რადგანაც სამ-პირიანობა III სერიაში შეუძლებელია, ამიტომ ამათი ხმარება I და II სერიით არის შემოფარგლული, III სერიაში კი იძულებული ვართ „თქმას“ დავუბრუნდეთ, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი: ძმას ვეტყვი, ძმას ვუთხარ, ძმისთვის მითქვამს.

ამათ არც სახელზმნის ფორმები აქვთ და ისევ „თქმაზე“ გადადიან.

„ვეუბნები“ იმავე ფუძისაა, რასაც „ვუბნობ“, რომელიც დიალექტურ ფორმადაა ქცეული.

თ) ხედვა — ნახვა, დანახვა: ვხედავ — ვნახავ, დავინახავ. „ვხედავ“ აწმყოს წრეში იხმარება (ვხედავ, ვხედავდი, ვხედავდე), სხვაგან მას ყველგან „ნახვა“ ან „დანახვა“ ენაცვლება (უკანასკნელი სათავისო ქცევით I და II სერიის მწკრივებში): ვნახავ, ვნახავდი, ვნახავდე; ვნახე, ვნახო, მინახავს, მენახე, მენახოს; დავინახავ, დავინახავდი, დავინახავდე; დავინახე, დავინახო; დამინახავს, დამენახა, დამენახოს.

თუ „ვხედავ“ ზმნა საგნის ფიზიკურად აღქმის მნიშვნელობით არის ნახმარი (ბრმა ხარ? ვერ ჰხედავ?), მაშინ მონაცვლედ „დანახვა“ უნდა („კომკავშირელთა ხეივნიდან თითქმის მთელ თბილისს დ ა ი ნ ა ხ ა ვ“; ამ შემთხვევაში მის მნიშვნელობას გარდაუვალი „ჩანს“ გადმოგვცემს: „კომკავშირელთა ხეივნიდან თითქმის მთელი თბილისი ჩ ა ნ ს“), სხვა შემთხვევებში კი „ნახვა“ უნდა: ვხედავ, რასაც მიშვრები; ვნახავ, რასაც მიზამ! რაც გინახავს, ვეღარ ჰნახავ.

ი) დება: ძე[ვს] — იდვა. ამ წყვილის პირველი ცალი მარტო აწმყოს აწარმოებს, ისიც ჩვეულებრივ მე-3 პირში, რადგანაც უსულო საგნებზე ითქმის. მაგრამ შემხვედრია მე-2 პირის ფორმაც:

> გუდამაყრელო მკვეხარო, მსუქანსა სჭამ და მჭლე ხარო.
> თუ კაცი წამოგექცია, სუ მუდამ ძირსა ძ ე ხ ა რ ო.
>
> (ხევსურული).

უწყვეტელი და აწმყოს კავშირებითი აკლია, სხვა მწკრივებს „დება“ ზმნის ვნებითის ფორმებით ივსებს: იდება, იდვა, დებულა.

ორ-პირიან ფორმებს (უძევს, აძევს) ორ-პირიანივე ფორმები ენაცვლება იმავე „დება“ ზმნის ვნებითისა: ედება, ედვა, სდებია.

„ძევს“ ფორმის მაგივრად ზოგი შეცდომით „დევს“ ფორმას ხმარობს.

ი) **ვლა: დავდივარ, ვიარები — ვივლი.** აწმყოს წრის მწკრივებში თანაბრად იხმარება „დავდივარ“ და „ვიარები“ (ან „დავიარები“): დავდივარ, დავდიოდი, დავდიოდე; (და)ვიარები, (და)ვიარებოდი, (და)ვიარებოდე. „ვიარები“ ვნებითია ფორმით, მაგრამ მისი ფუძისაგან ნაწარმოები II სერიის ფორმების სინტაქსური კავშირი ისეთია, რომ თითქო სათავისო ქცევის ფორმებია წარმოშობითო: ვიარე, იარე, კ ა ც მ ა იარა. ზმნა გარდაუვალია, პირდაპირი ობიექტი არ ეწყობა. არ ეწყობა პირდაპირი ობიექტი არც III სერიის ფორმებს, სადაც **ვლ** ფუძეა გამოყენებული (უთუოდ **ვალ** ფუძის შეკუმშული სახე), რომელიც აგრეთვე მყოფადის წრის მწკრივებს აწარმოებს: ვივლი, ვივლიდი, ვივლიდე; მივლია, მევლო, მევლოს.

„ვიარები“-ს შეიძლება მარტო „და“ ზმნისწინი დაერთოს აწმყოში (დაკიარები), II სერიაში — სხვებიც: დავიარე, მოვიარე, შევიარე, გავიარე, გადავიარე და სხვ.. ეს უკანასკნელები ყველა გარდამავალი ზმნებია, ისე როგორც მათი მონაცვლეები: დავივლი, მოვივლი, შევივლი, გავივლი, გადავივლი და სხვ.

„ვივლი“-ს პარალელურად გვხვდება აგრეთკე „ვიარ“.

ია) **მიმაქვს — წავიღებ, მივიტან.** „მიმაქვს“ აწმყოს წრეში იხმარება (მიმაქვს, მიმქონდა, მიმქონდეს) და რამდენადმე აგრეთვე III სერიის მწკრივებშიც (მიმქონებია, მიმქონებოდა, მიმქონებოდეს). „წავიღებ“ და „მივიტან“ სრულ-ასპექტიანი ფორმებია და ყველა სერიაში იხმარება: წავიღებ, მივიტან; წავიღე, მივიტანე; წამიღია, მიმიტანია. ლექსიკური განსხვავება „წაღება“ და „მიტანა“ ზმნებს შორის ის არის, რომ პირველს გამოსავალი პუნქტი აქვს მხედველობაში და მეორეს — მისაღწევი: მარილს ქუთაისიდან წ ა ვ ი ღ ე ბ და სვანეთში მ ი ვ ი ტ ა ნ.

რაც „მიმაქვს“ და მის მონაცვლეებზე ითქვა, იგივე ითქმის „მომაქვს“ და მის მონაცვლეებზე. მონაცვლეებად აქ „წამოვიღებ“ და „მოვიტან“ იხმარება.

რაც შეეხება „მაქვს“ ზმნის ხმარებას სხვა ზმნისწინებით (შემაქვს, შემომაქვს; გამაქვს, გამომაქვს; გადამაქვს, გადმომაქვს და სხვ., გარდა **და**-სი), აქ მონაცვლედ მარტო **ტან** ფუძე გამოდის: შემაქვს — შევიტან, გადმომაქვს — გადმოვიტან და მისთ.

„დამაქვს“ მარტო აწმყოს წრეში იხმარება (დამაქვს, დამქონდა, დამქონდეს) და სხვაგან არაფერი ენაცვლება.

და, მი და **მო** ზმნისწინიან ფორმათა ხმარებას „მაქვს“ ფუძის ზმნებში თავ-თავისი პარალელები მოეპოვება **ვალ** — **ვედ** — **დი** ფუძეთაგან ნაწარმოებ ზმნებში (ნახე № ღ).

იბ) **რბი: მივრბივარ, მოვრბივარ.** იხმარება აწმყოს წრეში. მყოფადის წრესა და სხვაგან ენაცვლება გავიქცევი, გამოვიქცევი

551. შენაცვლება ასპექტში. ასპექტში მონაცვლე ზმნებს I სერიის ფორმები განაწილებული აქვს: უსრულ-ასპექტიანებს აწმყოს წრის მწკრივები მოეპოვება, სრულ-ასპექტიანებს კი — მყოფადისა. II და III სერიის მწკრივთა ფორმები ამათაც აქვთ და იმათაც.

ა) **ძლევა — მიცემა.** ამ წყვილის პირველი ცალი უსრული ასპექტის ფორმებს აწარმოებს, მეორე კი — სრულისას:

უ ს რ უ ლ ი: ვაძლევ, ვაძლევდი, ვაძლევდე; ვაძლიე, ვაძლიო, აძლიე; მიძლევია, მეძლია, მეძლიოს.

ს რ უ ლ ი: მივსცემ, მივსცემდი, მივსცემდე; მივეც(ი), მივსცე, მიეც(ი); მიმიცია, მიმეცა, მიმეცეს.

„ძლევა“ ზმნას სხვა მნიშვნელობაც აქვს (=რუს. предлагать). ამ შემთხვევაში მას იმავე ფუძისაგან **შე** ზმნისწინით-ნაწარმოები ზმნა უდგას პირისპირ: ვაძლევ — შევაძლევ, ვაძლიე — შევაძლიე და სხვ.

ბ) **სმა (შესმა) — დალევა.** უზმნისწინო ფორმები უსრული სახისაა (ვსვამ, ვსვი, მისვამს); სრული სახით ჩვეულებრივ „დალევა“ იხმარება (დავლევ, დავლიე, დამილევია), თუმც კი „შესმაც“ არ არის მთლად გადავარდნილი. „შევსვამ“ ოდნავ სხვა ნუანსის მქონეა (ისე როგორც „მოვსვამ“). ხევსურულში „დალევა“-ს სხვა მნიშვნელობა აქვს („გაფუჭებას“ ნიშნავს) და იქ სრულ სახეს „შესმა“ აწარმოებს („შასვი, მინდიავ, — ეტყვიან, — კაი ლუდია სვიანი“, «გველის-მჭამელი»; ჩვენ კი ვიტყოდით: დალიე, მინდია!).

გ) **მზერა, ცქერა, ყურება — შეხედვა.** მოყვანილი ზმნები ყველა ერთი მნიშვნელობისაა, მაგრამ სამი მათგანი (მზერა, ცქერა, ყურება) უსრული ასპექტისაა, მეოთხე (შეხედვა). — სრულისა. „მზერა“ და „ცქერა“ ხმოვან-მონაცვლე ზმნებია (§ 452).

	უ ს რ უ ლ ი			ს რ უ ლ ი
	I სერია			
აწმყო	ვუმზერ	ვუცქერ	ვუყურებ	———
უწყვ.	ვუმზერდი	ვუცქერდი	ვუყურებდი	———
აწმყ. კავშ.	ვუმზერდე	ვუცქერდე	ვუყურებდე	———
მყოფ.	———	———	———	შევხედავ
I ხოლმ.	———	———	———	შევხედავდი
მყ. კავშ.	———	———	———	შევხედავდე
	II სერია			
წყვეტ.	ვუმზირე	ვუცქირე	ვუყურე	შევხედე
II კავშ.	ვუმზირო	ვუცქირო	ვუყურო	შევხედო

	უ ს რ უ ლ ი			ს რ უ ლ ი
	III სერია			
I თურმ.	მიმზერია	მიცქერია	მიყურებია	შემიხედავს
II თურმ.	მემზირა	მეცქირა	მეყურებინა	შემეხედ[ნ]ა
III კავშ.	მემზიროს	მეცქიროს	მეყურებინოს	შემეხედ[ნ]ოს

552. შენაცვლება გვარში. შენაცვლება ხდება მოქმ. გვარის ზმნებსა და დინამიკური ვნებითი გვარის ზმნებს შორის. საზოგადო წესის თანახმად, სამ-პირიან მოქმედებითს ორ-პირიანი ვნებითი შეესატყვისება და ორ-პირიან მოქმედებითს — ერთ-პირიანი ვნებითი. ეს წესი აქაც ურყევია. გვარში შენაცვლების საკითხის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი (§ 380). ამიტომ აქ უბრალოდ ჩამოვთვლით მაგალითებს:

ა) **ყენება — დგომა.** შავი დღე დააყენა (მოქმ., 3-პირ.) — შავი დღე დაადგა (ვნ., 2-პირ.); ურემი დააყენა (მოქმ., 2-პირ.) — ურემი დადგა (ვნ., 1-პირ.); კედელს მიაყენა — კედელს მიადგა; გზაში შეაყენა — გზაში შედგა და მისთ.

ბ) **გდება — ვარდნა.** თოფი გააგდო — თოფი გავარდა; ხულაში შეაგდო — ხულაში შევარდა; თხრილში ჩააგდო — თხრილში ჩავარდა და მისთ.. „საცა სკოლაში მისცეს, ყველგნით ან თვითონ გამოვარდა, ან გამოაგდეს" (ვაჟა, V, 205).

მაგალითები ძველი ქართულიდან: ოთხთავის ერთი რედაქციის ტექსტში იკითხება: „გარდაიგდე თავი შენი ამიერ ქუეყანად" (მათ. 4, 6 DE), სხვა რედაქციისაში კი: გარდავარდი შენ ამიერ დაქუე" (C).

გ) **კვლა — კვდომა.** დააკლავს — დააკვდება; შეაკლავს — შეაკვდება; მოკლავს — მოკვდება.

დ) **სმა — ჯდომა.** მოქმედებითში „სმა" (←*სვმა) იხმარება, ვნებითში კი — „ჯდომა": დამსვა — დავჯედი; დავსვი — დაჯდა და მისთ.

შენიშვნა. იმერულ კილოში ხმარებული „დააჯენს", „დააჯინა" სალიტერატურო ენის კუთვნილება არ არის.

ე) **ყრა — ცვივნა.** ფოთლებს ჩამოყრის — ფოთლები ჩამოცვივა.

553. შენაცვლება აგებულების მიხედვით.

ა) მეშველი ზმნა „ვარ" აბსოლუტური აგებულებისაა, რელატიური ფორმები არ გააჩნია, ე. ი. ერთ-პირიანია და ორ-პირიანად ვერ გადააკეთებ (როგორც, მაგ., ამას სვანურში აქვს ადგილი: არი, ხორი: არი — არის, ხორი — აქვს, ჰყავს).

ამ ნაკლს ის ორი ზმნის ფორმებით ივსებს; ესენია: *„ვაქვ(ვ)არ" და „ვჰყავ(ვ)არ", რომელთაგანაც პირველი იხმარება, როცა ქონებად უსულო საგანია დასახელებული, ან საგნობრივი წარმოდგენა (ტანისამოსი, ნივთი, საქმე, სახლი და სხვ.), მეორე კი — მაშინ, როცა იმავე ვითარებაში სულიერი საგანია (მამა, ძმა, ძაღლი, ცხენი, კამეჩი და სხვ.). რადგანაც საუბარი შეუძლია მარტოოდენ ადამიანს, ამიტომ პირველი სუბ. პირის ფორმა (ფორმა მოუბრისა) ქვ ფუძისაგან არ იხმარება[1]; არ იხმარება მისგან არც მეორე სუბ. პირის ფორმა, რადგანაც მეორე პირადაც ჩვეულებრივ მეტყველი ადამიანი გვეგულება.

---

[1] თუმცა ძველ ქართულში გვხვდება „ვაქუ" ფორმა („და მე სასიტყუელად ვაქუ", იობ. 30, 9=*Καὶ ἐμὲ θρύλλημα ἔχουσιν*), მაგრამ ის ხელოვნური ჩანს.

რჩება მესამე სუბ. პირი, რომელსაც მიმართება ყველა ობიექტურთან აქვს: მაქვს, გაქვს, აქვს და შემდგომი.

მიუმართავი ფორმები	მიმართებითი ფორმები
ჩ ე მ ი სადილი დამზადებული-ა.	სადილი დამზადებული **მაქვს.**
შ ე ნ ი საქმე გუშინ **იყო** გათავებული.	შენ საქმე გუშინ **გქონდა** გათავებული.
მისი სახლი შარშანვე **იყო** აშენებული.	მას სახლი შარშანვე **ჰქონდა** აშენებული.
დავითის მამა ავადმყოფი-ა.	დავითს მამა ავადმყოფი **ჰყავს.**
მაშინ დარისპანის მამა გარდაცვლილი **იყო.**	მაშინ დარისპანს მამა გარდაცვლილი **ჰყავდა.**

მოყვანილი მაგალითებიდან ცხადია, რომ ქართული ფრაზა: „სახლი აშენებული მაქვს“ სულ სხვა კონსტრუქციისაა, ვიდრე გერმ. ich habe ein Haus gebaut, ან ფრანგ. j'ai bâti une maison.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ძველ ქართულში ქონების აღსანიშნავად (ე. ი. იმ ცნებისა, რომელიც ამ ზმნებით აღინიშნება: **иметь, ἔχειν, habere**) რამდენიმ ზმნა ენაცვლებოდა ერთი-მეორეს: მივის (მრ. მისხენან; მესუა, მრ. მესხნეს), მიდგს (მადგს), მიბს, მაქუს, მყავს. მაგალითები: მამაჲ მივის, შვილნი მისხენან, ძე მესუა (=ძე მყავდა; „სხვა ძე არ ე ს ვ ა მეფესა“, ძველი ორთოგრაფიით: „სხუა ძე არ ესუა მეფესა“, «ვეფხ.»); ცხოვარი მიდგს (=ცხვარი მყავს), ხესა ძირი უბს (=ხეს ძირი აქვს); თუალ მასხენ (თვალები მაქვს), ყურ გასხენ (ან: ყურ გადგან =ყურები გაქვს) და სხვ.. ახალ ქართულში „მაქვს“ და „მყავს“ ზმნებმა თანდათან გაიფართოვეს მოქმედების ასპარეზი და სხვები გადავარდა.

ბ) **თქმა — თხრობა.** „თქმა“ ზმნის ორ-პირიანი ფორმა სამიანად ვერ გადაკეთდება, თუ არ შეიცვალა ფუძე. მონაცვლე ფუძეა **თხარ** (თხრობა): ვთქვი (2-პირ.), ვუთხარ (3-პირ.), გითხარ (3-პირ.), მითხარ (3-პირ.) და სხვ.

ძველად იმავე მიზნით იხმარებოდა: მრქუა, გრქუა, ჰრქუა და შემდგ.; ვარქუ, არქუ, ჰრქუა და შემდგ.

554. შენაცვლება პირში.

ძველად, ფეოდალური წყობილების დროს, შემუშავებული იყო გარკვეული „ზნეობანი“ ანუ საყოფაქცეო წესები, ეთიკეტი, რომლის სისწორით დაცვა სავალდებულო იყო. თუ როგორი იყო „საქართველოს ზნეობანი“, ანუ ზრდილობის წესები, ეს გალექსილი აქვს არჩილს (თხზულებათა სრული კრებული, I, 1936, გვ. 3—16). ამ თხზულებიდან ჩანს, რომ არსებობდა არა მარტო „სამხედრო ზნეობა“, ე. ი. ლაშქრობის წესები, წესები ბურთობისა და მოისრობისა, პურის ჭამისა და წვეულებისა, გლოვისა და სხვა, და სხვა, არა-

მედ კარგი სიტყვა-პასუხისაც, ანუ კაი ქართულისაც. არჩილს საგანგებოდ აქვს აღნიშნული, რომ

ბატონ-ყმური ლაპარაკი სხვა არის და სხვისა — სხვაო:
ჩამორთმა და მოხსენება, ზოგჯერ სიტყვის შენახვაო,
ს წ ო რ-უ ფ რ ო ს უ ლ-უ მ ც რ ო ს უ ლ ს ა ქართულსაც აქვს დასახვაო",

ე. ი. თუ როგორი უნდა იყოს საუბარი (ანუ სიტყვა-პასუხი) სწორებს შორის ან უფროსსა და უმცროსს შორის, ეს ქართულშიც[1] არის ასახულიო. უფროს-უმცროსობა დაწესებული იყო სოციალური მდგომარეობის მიხედვით და, თუ მოუბარნი სწორები იყვნენ ამ მხრივ, მაშინ ხნოვანობის მიხედვით. თუ როგორი სიტყვიერი მასალა იყო საჭირო უფროს-უმცროსობის ან სწორობის გამოსახატავად, ეს მშვენივრად ჩანს «ვეფხის ტყაოსნის» ლექსიკის ანალიზზე: აქ უფროსი უმცროსს „უბრძანებს", უმცროსი უფროსს „მოახსენებს"[2] ან „ჰკადრებს", ხოლო სწორი სწორს „ეტყვის"; ორიოდე მაგალითი:

მეფემან იხმნა ვაზირნი, თვით ზის ლაღი და წყნარია,
გვერდსა დაისხნა, დაუწყო მათ ამო საუბნარია.
უ ბ რ ძ ა ნ ა: გკითხავ საქმესა, ერთგან სასაუბნაროსა.
ვაზირთა ჰ კ ა დ რ ე ს: მეფეო, რად ჰ ბ რ ძ ა ნ ე თ თქვენი ბერობა?
მაგას ნუ ჰ ბ რ ძ ა ნ ე ბ თ, მეფეო, ჯერთ ვარდი არ დაგჭნობია.

როცა თინათინმა გაიგო მამის დაღრეჯილობა, აღარ შევიდა მასთან და გაბრუნდა. გავიდა ცოტა ხანი. მეფემ იკითხა თავისი ქალი. ამაზე

მოლარე ჰ კ ა დ რ ე ბ ს: მოვიდა აწეღა ფერ-ნამკრთალიო,
დაღრეჯით გცნა და გაბრუნდა წინაშე მომავალიო.
უ ბ რ ძ ა ნ ა, თუ: წ ა დ ი, უხმე, უმისობა ვით გავძლეო?
მ ო ა ხ ს ე ნ ე: რად დაჰბრუნდი, შე მამისა სიცოცხლეო?

თინათინი რომ მობრუნდა (ის ამ დროს უკვე გვირგვინოსანი იყო, მეფე),

მამამან გვერდსა დაისვა, აკოცა ნება-ნებასა.
უ ბ რ ძ ა ნ ა: მახლავ რად არა? რად მელი მოყვანებასა?
ქალმან ჰ კ ა დ რ ა: ხელმწიფეო. დაღრეჯილსა ვინცა გცნობდეს და სხვ.

---

[1] „ქართული" აქ ისეთივე მნიშვნელობითაა ნახმარი, როგორც «ვეფხის ტყაოსანში»:
რა ველარ მიჰხვდეს ქ ა რ თ უ ლ ს ა, დაუწყოს ლექსმან ძვირობა,
არ შეამოკლოს ქ ა რ თ უ ლ ი, არა ქმნას სიტყვა-ძვირობა", (14)
ე. ი. ნიშნავს სიტყვას, საუბარს, სიტყვა-პასუხს. «რუსუდანიანში» ვკითხულობთ: „მტრის პირით არ უნდა შეგებეზღებინეო, თვარამ მე ჩემი შვილი აქ მირჩევნიაო, ნახო, იმანთ ქვეყანა როგორ გაგიმაგრდებაო. მაგრამ ის ახლა ჩემის ქ ა რ თ უ ლ ი თ აქ არ მოვაო. თქვენ უბოძეთ კაციო, დაიბარეთო" («რუსუდ.», 1957, 14).

[2] **თქმა** ითქმის, სწორს კაცს ეტყოდეს, **მოჴსენება** უაღრესისადმი და **ბრძანება** უმცროესისათვს ითქმის (ს. ორბ. ქართ. ლექსიკონი, თ ქ მ ა ს თ ა ნ); სამ-სახე არიან მზრახველობანი ქმოანთა სიტყვათანი: **ზეშთა** — სიტყუა უაღრესთათვს, და **სწორი** — მოყუასთათვს და **დმხე** — ქვეშევრდომთათვს (იქვე, სიტყუასთან).

მაშასადამე, მამაც თავის ქალს უ ბ რ ძ ა ნ ე ბ ს, ქალი კი მამას ჰ კ ა დ- რ ე ბ ს.

სამაგიეროდ, როცა ავთანდილმა დაბნედილი ტარიელი იპოვა, კი არ „უბრძანა“ მას, რადგანაც ისინი სწორები იყვნენ სოციალურად, არამედ

უ თ ხ რ ა: ძმაო, არ გიტყუვე, გიყავ, რაცა შემოგფიცე. (873)
კ ვ ლ ა ე უ ბ ნ ე ბ ი ს ავთანდილ სიტყვითა მრავალ-ფერითა,
ე ტ ყ ვ ი ს, თუ: მოჰკვდე, რას არგებ ქცევითა მაგ ოხერითა? (887)
ეხვეწებოდა: შ ე ჯ ე ო, აჯას ხვეწნითა არვებდა. (891)

ბოლოს, როგორც იქნა, ავთანდილმა დაითანხმა და ტარიელმა

ცხადად უ თ ხ რ ა: შევჯდებიო, მომიყვანე ცხენი წინა. (892)

უმცროსი უფროსს მ ი ა რ თ მ ე ვ ს, უფროსი უმცროსს უ ბ ო ძ ე ბ ს:

დღე მოვიდა ნავროზობა, დედოფალსა ძღვენი ვსძღვენით,
ჩვენ მ ი ვ ა რ თ ვ ი თ, მათ გ ვ ი ბ ო ძ ე ს, ავავსენით, ავივსენით. (1124)

აშოტ კურაპალატი ეკითხება ფებრონიას: „უწყი-მეა, დედაო, რაჲსათჳს მ ო ვ ე დ აწ?“ ფებრონია უპასუხებს: „უფალმან იცის, რაჲსათჳს ჰ ბ რ ძ ა ნ ე აქა“ (ხანძთ., 55, 65—66). აქ ორი სხვადასხვა ზმნაა ნახმარი ერთი და იმავე მნიშვნელობით, მაგრამ სხვადასხვა პირის ფორმით: მ ო ვ ე დ (=მოვედი, 1-ლი პირის ფორმა) და ჰ ბ რ ძ ა ნ ე (=მოჰბრძანდი, მე-2 პირის ფორმა). რატომ არა მ ო ხ უ ე დ (ე. ი. მოხვედი), არამედ ჰ ბ რ ძ ა ნ ე (ე. ი. მოჰბრძანდი)? — იმიტომ რომ მიმართვაა უფროსისადმი და მორიდებით არის ნათქვამი.

«რუსუდანიანში» ვკითხულობთ: „თეთრმან (გველმან) უთხრა შავსა: თქვენ უფროსი ხართ და უმრავლესი გინახავთ. თქვენ ბ რ ძ ა ნ ე ო და, თუ რამ ვიცი, მეც მ ო გ ა ხ ს ე ნ ე ბ ო“ («რუსუდანიანი», 1957, 31).

ზრდილობიანი საუბარი ეხლაც საკმაოდ გავრცელებულია: მას ვხვდებით საჯარო გამოსვლებსა და კერძო საუბარში, მისალმებ-გამოსალმების დროს, შინ თუ გარეთ, ლიტერატურასა თუ ხალხში; როგორც მასობრივი მოვლენა, ის უფრო დასავლურ კილოებს ახასიათებს: ცნობილია, მაგ., გოჩას ნათქვამი ლექსი, სადაც იკითხება: „არიან ზრდილნი იმერნი, მტერთა მიმცემნი რისხვისა“. იგივე აზრი გატარებულია გრიგოლ ორბელიანის «სადღეგრძელოში».

არაიშვიათია დღესაც შემთხვევა, რომ პირველ პირში (ე. ი. თავის თავზე) ერთ ზმნას ვხმარობდეთ და მეორეში — სხვას (ზოგჯერ მესამეშიც); ასეთებია:

ა) **არის — გახლავს; ხარ — ჰბძანდები.** ამ ზმნებზე უკვე გვქონდა საუბარი პირთა რაოდენობის საკითხთან დაკავშირებით (§ 234). ისინი გარკვეულ შემთხვევებში ენაცვლებიან ერთი-მეორეს.

რადგანაც „არის“ ზმნას სავრცობიანი მწკრივები აკლია I სერიიდან და მოეპოვება II სერიის მწკრივები (შენაცვლების წესით), ხოლო „ბრძანებას“ (ვნებითის ფორმით) და „ხლებას“, პირუკუ, მოეპოვება სავრცობიანი მწკრივები და აკლია II სერიისა (უზმნისწინო „ბრძანება“ დონიანი ვნებითის ფორმით უსრული ასპექტისაა), ამიტომ აქ ფორმები თუმცა სხვადასხვა მწკრივისაა, მაგრამ ისინი მნიშვნელობით ერთნია შესაბამისად: „არის“ ზმნის წყვეტილის ფორ-

მა უდრის ამათ უწყვეტლისას და იმისი II კავშირებითისა — ამათ I კავშირებითისას (აწმყოს კავშირებითისას). აწმყო ყველას მოეპოვება. „ბრძანება“ ზმნა უმეტესად ფონეტიკურად გამარტივებულია რაეს ამოღებით: ბძანება.

		აწმყო	აწმყო	
მხ.	1	ვარ	1(2) გახლავ(ვ)არ	1 ———
	2	ხარ	———	2 ჰბძანდები
	3	არის	3(2) გახლავს	3 ბძანდება
ᲛᲠ.	1	ვართ	1(2) გახლავ(ვ)ართ	1 ———
	2	ხართ	———	2 ჰბძანდებით
	3	არიან	3(2) გახლავან	3 ბძანდებიან

		წყვეტილი	უწყვეტელი	
მხ.	1	ვიყავ(ი)	1(2) გახლდი(თ)	1 ———
	2	იყავ(ი)	———	2 ჰბძანდებოდი
	3	იყო	3(2) გახლდა(თ)	3 ბძანდებოდა
მრ.	1	ვიყვენით (ვიყავით)	1(2) გახლდით	1 ———
	2	იყვენით (იყავით)	———	2 ჰბძანდებოდით
	3	იყვნენ	3(2) გახლდნენ	3 ბძანდებოდნენ

		II კავშირ.	I კავშირებითი	
მხ.	1	ვიყო	1(2) გახლდე(თ)	1 ———
	2	იყო	———	2 ჰბძანდებოდე
	3	იყოს	3(2) გახლდეს	3 ბძანდებოდეს
მრ.	1	ვიყვნეთ (ვიყოთ)	1(2) გახლდეთ	1 ———
	2	იყვნეთ (იყოთ)	———	2 ჰბძანდებოდეთ
	3	იყვნენ	3(2) გახლდნენ	3 ბძანდებოდნენ

„გახლდით“ ფორმაში თ ძავალდებულოა, თუ სუბიექტი მრავლობითშია გახლდით (ჩვენ), და შესაძლებელია, თუ სუბიექტი მხოლობითშია: გახლდი(თ) (მე, თქვენ). უკანასკნელ შემთხვევაში თ ობიექტის მრ. რიცხვის მაჩვენებელი იქნება, და არა სუბიექტისა, როგორც პირველ შემთხვევაში: ფორმა ორპირიანია წარმოშობით და იმის გამო, თორემ გაგება ერთი პირისა აქვს მაინც.

მყოფადის ფორმებია: გახლდება (მხ.), გახლდებიან (მრ.): „დიაღ კარგი გახლდებათ“ (ჭავ., 406, 27=იქნება); „უეჭველად კარგები გახლდებიან“ (ყაზ. 233=იქნებიან).

„გახლავს“ ზმნის ფუძისგან ნაწარმოები ვნებითის ფორმათა შესახებ ნახეთ ქვემოთ (აქვე, № ე).

როგორც ცხრილიდან ჩანს, აქ შენაცვლებაა არა მარტო ზმნებისა ერთმანეთს შორის, არამედ ზმნებისა პირთა მიხედვითაც: 1. ვარ (გახლავარ) 2. ჰ ბ რ ძ ა ნ დ ე ბ ი, 3. არის (გახლავს, ბ რ ძ ა ნ დ ე ბ ა); მაგალითები:

კითხვა-პასუხი:

— ვინ ჰბრძანდები?
— ვერ მცნობ? შენი მეზობელი ვარ (შენი მეზობელი გახლავარ).
— სად ჰბრძანდებოდი აქამდის?
— სოფელში ვიყავ (ან გახლდი) დედის ავადმყოფობის გამო.

*
* *

— დავით, აკი მზეთუნახავიაო? — ხალხს სიცილი წასკდა. საწყალი პატარძალი სირცხვილით აინთო და ტირილი დაიწყო. დავითი წინ წადგა; რომ დაინახა ერთი უმსგავსო პატარძალი, მღვდელს მიუბრუნდა:

— მამაო! ჯერ სხვა იწერს ჯვარს, თუ რა ამბავია?

— კნიაზი ლუარსაბ თათქარიძე და დარეჯან მოსე გძელაძის ასული იწერს ჯვარს. — მიუგო მღვდელმა.

— პატარძალი სად არის?

— აი ეს ბრძანდება.

— ლუარსაბ! — დაუძახა ძმას დავითმა, — მოგვატყუეს. ეგ ის არ არის, ჯვარი არ დაიწერო (ჭავ.).

შენიშვნა. 1. ბევრ ენას (მაგ., რუსულს) არა აქვს „გახლავს“ ზმნის სრული შესატყვისი, ამიტომ „არის“ და „გახლავს“ ერთნაირად ითარგმნება. ამის გამო ის ოდნავი აზრობლივი განსხვავება, რომელიც მათ შორის მოიპოვება ქართულში, თარგმანში იკარგება; მაგალითი:

ქართული	რუსული თარგმანი
— მეზვრემ მწვანილი მოიტანა? — ჰკითხავდა კიდევ ბატონი.	Огородник принес зелень? — продолжал барин.
— მოიტანა.	— Принес.
— ტარხუნა ხომ არის?	— Эстрагон есть?
— გახლავს.	— Есть.
— კიტრი?	— Огурцы?
— კიტრიც გახლავს.	— И огурцы[1].

შენიშვნა 2. წინათ მიწერ-მოწერის დროს ზოგჯერ მიღებულ იყო ხმარება „თქვენი მონისა“ „მე“-ს ნაცვლად. ამიტომ 1-ლი პირის ფორმა (სუბიექტური, თუ ობიექტური) მესამით შეიცვლებოდა; მაგ., „სხვაფრივ მშვიდობით ბრძანდებოდეთ და შენდობით იხსენიებდეთ მონასა თქვენსა“ (ასე თავდება ავტორის მიმართვა მკითხველისადმი «კაციაადამიანის» ბოლოს). იხსენიებდეთ მონასა თქვენსა=მიხსენიებდეთ.

ბ) თქმა — ბ[რ]ძანება. „ბ[რ]ძანება“ ზმნის ფორმები მოქმ. გვარისა (საარვისო და სასხვისო ქცევით) ეხლაც ხშირად იხმარება „თქმის“ ნაცვლად მე-2 პირში, იშვიათად მე-3-შიც: ბრძანეთ! (=თქვით!); უბრძანეთ! (=უთხარით!);

---

[1] **Илья Чавчавадзе. Избранное. Изд. „Заря Востока“. Тбилиси, 1952. стр. 269.**

რასა ჰბრძანებთ? (=რას ამბობთ?); რას მიბრძანებთ? (=რას მეტყვით?) და მისთ. „მაშ, როცა მ ი ბ რ ძ ა ნ ე ბ თ, მაშინ იყოს ქორწილი“, — სთხოვა (დავითს) მოსემა“ (ჭავ.). ბ რ ძ ა ნ ე ბ ა — თქმა უაღრესისა მიერი (ს. ორბ.); თ ქ მ ა — სწორისა მიმართ, მ ო ჴ ს ე ნ ე ბ ა — უაღრესისადმი და ბ რ ძ ა ნ ე ბ ა — უმცროსისათვის ითქმის, რამეთუ სამ-სახე არიან თქმანი“ (ს. ორბ.)

„ბრძანება“ (საარვისო ქცევით) არსებითად უცალო მოქმედებითია („იბრძანა“ არ იხმარება; უფრო აღწერილობით: ბრძანებულ იქნა); სასხვისო ქცევის ფორმა კი შეიძლება ვნებითად მოიქცეს: მიბრძანა — მებრძანა.

გ) **მო-სვლა — მო-ბრძანება, წა-სვლა — წა-ბრძანება.** „ბრძანება“ ზმნას, აღნიშნულს გარდა, სხვა მნიშვნელობაც აქვს, როცა პირიან ფორმებს საარვისო ქცევით ა ნიშანი აქვს: წააბრძანებს, მოაბრძანებს და მისთ.. „ვირის აბანოში წ ა ა ბ ძ ა ნ ე ს“-ო, ამბობდნენ ძველად სატუსაღოში ჩასმულ ქურდზე.

ამ ზმნას ვნებითი **დ**ონით უკეთდება: წაბრძან-**დ**-ა, მობრძან-**დ**-ა, შებრძან-**დ**-ა და სხვა. ზმნისწინიანი ფორმები ყველა სრულ-ასპექტიანია, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა დართული აქვს **მი** და **მო** (რამდენადმე აგრეთვე **და**-ც) და აწმყოს წრეშია ნახმარი. ზმნას „სიარულის“ მნიშვნელობა აქვს მორიდებულ საუბარში: სად მიჰბძანდები? (=სად მიდიხარ?); შარშან კი მოჰბძანდებოდი ხოლმე (=მოდიოდი ხოლმე) და წელს რად დაგვივიწყე? სად დაჰბძანდები, სად? (=სად დადიხარ, სად? ეტყვიან გაჯავრებით ან ირონიით). მყოფადის წრის მწკრივებსა და II და III სერიაში ყველგან ზმნისწინით იხმარება (გარდა **და**-სი, რომელიც მნიშვნელობას უცვლის. ნახე ქვემოთ, **დ** მუხლი).

მორიდებულ საუბარში ეს ზმნები ენაცვლებიან **ვალ — ვედ (ვიდ) — დი** ფუძეთაგან ნაწარმოებ და სათანადო ზმნისწინ-დართულ ფორმებს: მი[ს]დიხარ — მიჰბ[რ]ძანდები, წახვალ — წაჰბ[რ]ძანდები, შეხვალ — შეჰბ[რ]ძანდები, წახვედი — წაჰბ[რ]ძანდი, გადახვედი — გადაჰბ[რ]ძანდი და მისთ.. პირველი პირის ფორმა არ იხმარება; რომ ვინმეს წამოსცდეს: „მე წავბძანდიო“, იტყვიან: არა სცოდნია ქართულიო.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. დღევანდელ ქართულში აქა-იქ შემორჩენილია მორიდებული საუბარი მნათობთა შესახებ, რადგანაც ისინი ჩვენს ძველებს ღმერთებად მიაჩნდათ და თაყვანსა სცემდნენ:

ცაზე იარე, მთვარეო, მზეო, ა ბ ძ ა ნ დ ი — დ ა ბ ძ ა ნ დ ი!
(ვაჟა, I, 178)
მრავალან ჩ ა ბ ძ ა ნ ე ბ უ ლ ა ნ, მთანი ივარცხნენ თავებსა
(ვაჟა, III, 34, 8)
გზა-კვალი არ ამერევა, ყოველ მხრივ ვიცი სავალი,
დღესავ მოვგივათ მინდია, მანამ დ ა ბ ძ ა ნ დ ე ს მრავალი
(ვაჟა, IV, 76, 24)

მოყვანილ მაგალითებში „მზეო, აბძანდი — დაბძანდი“ ამას ნიშნავს: მზეო, ამოდი ხოლმე და ჩადი; „მრავალან ჩაბძანებულან“ — კი ამას: ხომლი ჩასულა; ხოლო „მანამ დაბძანდეს მრავალი“ — ამას: ვიდრე ჩავიდოდეს ხომლი.

დ) **და-ჯდომა — და-ბ[რ]ძანება.** **„დაბ[რ]ძანებახ“** ვნებითის ფორმით სხვა მნიშვნელობაც აქვს: მორიდებულ ლაპარაკში იგი ნიშნავს დაჯდომას. ზმნისწინით იგი სრულ-ასპექტიანია და „ჯდომა-სხდომას“ ენაცვლება მე-2 და მე-3 პირში: დაბძანდი (=დაჯედი!), დაბძანდით (=დასხედით! შეიძლება იგი ერთი პირის მიმართაც ითქვას, მაშინ როდესაც „დასხედით“ მრავალს შეეხება). არ ვიტყვით „დავბძანდით“, რადგანაც 1-ლი პირის ფორმით არ იხმარება.

ეს ზმნა ამავე მნიშვნელობით უზმნისწინოდაც იხმარება: თუ შევედით ვინმესთან და ის ფეხზე წამოდგა, ვეტყვით ბძანდებოდე, ბძანდებოდე (ე. ი. იჯე, იჯე-ო), ხოლო, თუ ერთზე მეტია, მაშინ მივმართავთ: ბძანდებოდეთ, ბძანდებოდეთ!

როგორც ზემოთ ვნახეთ, „ბძანდებოდე“ ყოფნასაც ნიშნავს: მანდ ბძანდებოდე! (=მანდ იყავ!).

ე) **მოსვლა — ხლება.** მოიპოვება „ხლება“ ზმნისაგან ნაწარმოები ვნ. გვარის ფორმები, რომელთა ხმარება ზრდილობიან ლაპარაკს ახასიათებს. ფორმა წარმოშობით ორ-პირიანია, ხოლო პატივისცემის საგანი მეორე პირია, რომელიც ირიბ ობიექტადაა მოცემული 1-ლ და მე-3 სუბ. პირთან; ამიტომ ზმნას მე-2 სუბ. პირის ფორმები აკლია. ამ მხრივ ამ ზმნის უღლება ანალოგიურია იმავე ფუძისაგან ნაწარმოების საშუალი „გახლავს“ ზმნისა. მეორე ობიექტური პირის გაგება აქაც მილეულია: გეახლები=*მოგივალ→მოვალ; გეახელ=*მოგივედ, *მოვედ შენთან→მოვედი, აქა ვარ.

		მყოფადი	წყვეტილი	II კავშ.
მხ.	1(2)	გეახლები	გეახელ	გეახლო
	2(2)	———	———	———
	3(2)	გეახლება(თ)	გეახლა(თ)	გეახლოს
მრ.	1(2)	გეახლებით	გეახლენით (გეახელით)	გეახლნეთ (გეახლოთ)
	2(2)	———	———	———
	3(2)	გეახლებიან	გეახლნენ	გეახლნენ (გეახლონ)

ზმნა ერთ-პირიანადაა ქცეული, ამიტომ მხოლოდ სუბიექტურ პირებში აქვს მიმოქცევა. თუ მას ორ-პირიანობა შერჩენილი აქვს, მაშინ სხვა მნიშვნელობით იქნება ნახმარი:

„ერთი კაცი შემაქცევრად შენად ვითა დაგელია?
გ ე ა ხ ლ ო ს და არ გაჰშმაგდე, თუცა ჭირი არ გაქლია“
(«ვეფხ.», 273)

„გეახლები“-ს პირველი მნიშვნელობაა „მოვალ“, მაგრამ შეიძლება მან აღნიშნოს აგრეთვე „წავალ“: „თუ გნებავსთ, მიბრძანეთ, მე მარტო გ ი ა ხ ლ ე ბ ი თ ჩეჩნებზედ“ (ყაზბ., 359, 32); „ბოლოს დათიკო გაუსწორდა გიტოს, შედგა და ჰკითხა: პეპიას სახლი იცი? — თუ მიბრძანებ, გ ი ა ხ ლ ე ბ ი“ (ჭავ., 302). აქ ორსავ შემთხვევაში ეა ჯგუფის ნაცვლად ია არის ფორმაში: გიახლებით, გიახლები (მოსალოდნელი იყო: გეახლებით, გეახლები, § 35), მნიშვნელო-

ბა კი ორივესი ერთი და იგივეა („წავალ“), მიუხედავად იმისა, რომ პირველ მათგანს თ აქვს ბოლოში.

ვ) **ჭამა — მირთმევა.** „ჭამა“ ზმნას „მირთმევა“ ენაცვლება სათავისო ქცევის ფორმით: 1. ვჭამე, 2. მიირთვი, 3. ჭამა (მიირთვა). მიირთვი! პირველი პირის ფორმა („მივირთვი“) რომ ვინმეს წამოსცდეს, ღიმილს გამოიწვევს მსმენელში.

ზ) **ჭამა**, 0—2 — **ხლება, ი/უ** — 3. „ვჭამე“-ს მნიშვნელობით მორიდებულ ლაპარაკში აგრეთვე „გიახელ(ი)“ იხმარება. მას მარტო პირველი სუბ. პირის ფორმა აქვს (შეიძლება მრავლობითშიც: გიახელით), სხვა პირის ფორმები არ იხმარება. ეს ფორმა სამ-პირიანია წარმოშობით, მაგრამ მეორე პირის გაგება მილეულია და ორ-პირიანად არის ქცეული: „უკვე გიახელი სადილი“. „გიახელი(თ)“ ამას ნიშნავს: ვახლე მე (პირი) შენსას ან თქვენსას (ე. ი. შენს საჭმელს ან თქვენს საჭმელს), შემდეგ საზოგადოდ საჭმელს (ეს იმ ფორმათაგანია, რომლებიც 402 პარაგრაფშია განხილული).

რადგანაც ეა ჯგუფი ქართულში ია-დ იქცევა (§ 35), ამიტომ ერთმანეთში ირევა სხვადასხვა ფორმა: „გეახელ“ (=მოვედი) ვნებითია, „გიახელ“ (=ვჭამე) მოქმედებითია სასხვისო ქცევის ფორმით. ვნებითს 1-ლი და მე-3 პირის ფორმები აქვს, მოქმედებითს—მარტო 1-ლისა (უმეტესად მარტო წყვეტილში). მყოფადში მოსალოდნელი იქნებოდა: „გიახლებ“ (და არა „გიახლები“), II კავშირებითში — „გიახლო“. პირდ. ობიექტი ჩავარდნილა და მისი ადგილი ირიბს დაუჭერია. მოსალოდნელი იყო: გიახელი ს ა დ ი ლ ს (და არა: ს ა დ ი ლ ი).

თ) **წაღება, მიტანა — მირთმევა.** „წაღება“-სა და „მიტანა“-ს, სასხვისო ქცევით (წაუღე, მიუტანე) „მირთმევა“ ენაცვლება საარვისოთი. ზმნის ფორმა იქაც და აქაც სამ-პირიანია: წაუღე (მიუტანე) — მიართვი; წამოუღე, მოუტანე, — მოართვი. „ეს ტყუილი კნეინა წააბძანე ხულაში, ხალიჩაც მ ი ა რ თ ვ ი, მუთაქაც, ქვეშსაგებიც. პური და ღვინო არ მოაკლოთ. ეს კი უნდა ჰქნა, რომ გარედამ კლიტით უნდა გადაკეტო და გასაღები აქ მ ო მ ა რ თ ო“ (ჭავ.).

როგორც მოყვანილი ზმნების ფორმათა მიმოხილვიდან ჩანს, გარკვეულ შემთხვევებში ჩვენ ვერიდებით, პირველი პირის ფორმით ვიხმაროთ ისეთი ზმნა, რომელიც უპირატესად მეორისთვისაა მიღებული, და, პირუკუ, მეორე პირში ვიხმაროთ ზმნა, რომელსაც არა აქვს მორიდებისა და პატივისცემის ელფერი. ამ თვალსაზრისით ეს ზმნები პირში მონაცვლე ზმნებია, თუმცა მათ („გახლავს“ ზმნის გარდა) საზოგადოდ ყველა პირის ფორმები მოეპოვებათ. „გახლავს“ კი, როცა ის ერთ-პირიანია, მეორე პირის ფორმას ვერ აწარმოებს და აუცილებლად შენაცვლება უნდა.

სხვა სახის თავისებურებანი

555. მწკრივ-გამოცვლილი ზმნები. მოიპოვება რამდენიმე ზმნა, რომელთა ფორმები ძველად ერთი მწკრივის ფორმებად იყო გაგებული და დღეს სხვა მწკრივის ფორმებად მიგვაჩნია; ასეთი ზმნებია: **მინდა, ვიცი, ვუწყი.**

ა) **მინდა.** ამ ზმნის გადასვლა ერთი მწკრივიდან მეორეში კარგად დადასტურებული ფაქტია წერილობითი ძეგლებით. ძველად, V—X საუკუნეებში

„მინდა“ უწყვეტლის ფორმა იყო და ამას ნიშნავდა: „მსურდა“. მაშასადამე, იგი ასე დაიშლებოდა: **მ-ი-ნ-დ-ა**, სადაც ფუძე (ამავე დროს ძირიც) **ნ** იყო, სხვები კი — ფორმანტები: **მ** — 1-ლი ობ. პირის ნიშანი, **ი** — სასხვისო ქცევის ნიშანი (ქცევის გაგება არა ჰქონდა და არც ეხლა აქვს), **დ** — სავრცობი, **ა** — მე-3 სუბ. პირის ნიშანი. მსგავსი წარმოება ჰქონდა ამ ზმნას I კავშირებითშიც: მ ი ნ დ ე ს. აწმყოში მოსალოდნელი იყო: მინა, გინა, უნა (რომელთაგანაც „გინა“ კავშირად ქცეულა: „ერთი გ ი ნ ა ორი“ = ერთი ან ორი), მაგრამ მათ ნაცვლად იხმარებოდა **ებ-ავ** და **ებ**იანი ფორმები (პირველი საარვისო ქცევის ფორმით, მეორე — სასხვისოთი): „მნებავს“ ან „მინებს“; მაგალითები: „და აჰა ესერა კეთროვანი ვინმე მოუჴდა, თაყუანის-სცემდა მას და ეტყოდა: უფალო, უკუეთუ გ ი ნ დ ე ს, ძალ-გიც განწმედად ჩემი. და მიყო ჴელი მისი იესუ, შეახო და ჰრქუა: მ ნ ე ბ ა ვ ს, განწმიდნი“ (მათ. 8, 2—3); „მაშინ ჰრქუა ვინმე მას: აჰა დედაჲ შენი და ძმანი შენნი დგანან გარე და უ ნ ე ბ ს რაჲმე სიტყუად შენდა“ (მათ. 12, 47); „ხოლო იესუ მოუწოდა მოწაფეთა თჳსთა და ჰრქუა: მეწყალის მე ერი ესე, რამეთუ ესერა აწ სამი დღჱ არს, და მელიან მე, და არარაჲ აქუს, რაჲმცა ჭამეს; და განტევებაჲ მათი უზმათაჲ არა მ ნ ე ბ ა ვ ს (არა მ ი ნ ე ბ ს C), ნუუკუე დაცჳვენ გზასა ზედა“ (მათ. 15, 32). XI საუკუნეში „მინდა“ ფორმას ჯერ კიდევ უწყვეტლის გაგებით ხმარობდნენ (მაგ., გ. მთაწმიდელი), მაგრამ შემდეგ თანდათანობით მან მნიშვნელობა იცვალა, წარსული დროის გაგება დაკარგა და ეხლანდელისა შეიძინა (მინდა = მსურს). ამით ის უწყვეტლიდან აწმყოში გადმოვიდა და იქ დაცარიელებული იდგილი ახლად ნაწარმოებმა ფორმამ დაიჭირა: მინდ-ოდ-ა. ახალი წარმოების ფორმა I კავშირებითშიც შეიჭრა და ძველი გადავარდა. ამგვარად, მივიღეთ ასეთი სურათი:

	ძ ვ ე ლ ი	ა ხ ა ლ ი
აწმყო	მინებს, მნებავს	მ ი ნ დ ა
უწყვ.	მ ი ნ დ ა	მინდოდა
I კავშ.	მინდეს	მინდოდეს

რომ „მინდა“ უწყვეტლის ფორმაა წარმოშობით, ეს დღესაც ატყვია მას 1-ლსა და მე-2 სუბ. პირში. მართლაც, ფორმები: ვუნ**დი**(ვარ), **უნდი**(**ხარ**), უნ**და** ისეა ნაწარმოები, როგორც ვჰსურ**დი**, ჰსურ**დი**, ჰსურ**და**; განსხვავება ის არის, რომ „ვჰსურდი“ უწყვეტლის ფორმაა და მეშველი ზმნა არ უნდა, „ვუნდი“ კი აწმყოდ იქცა და მეშველი ზმნა დაერთო.

შემდეგ საფეხურზე „მინდა“ ზმნას ახლად წარმოქმნილი მწკრივების ფორმებიც გაუჩნდა (მყოფადის წრისა): მენდომება, მენდომებოდა, მენდომებოდეს.

III სერიის მწკრივები საწყისის ფორმაზე აქვს დაყრდნობილი გარდაუვალ ზმნათა საერთო წესის თანახმად: ნდომ-ა — მნდომია (გნდომია, ჰნდომია), მნდომოდა, მნდომოდეს. ეს არის ოღონდ, რომ თანხმოვანთა თავმოყრის გამო ძირეული **ნ** ჩვეულებრივ იკარგება გამოთქმაში: მდომია, გდომია; აქედან უკვე მე-3 ობ. პირის ფორმა: სდომია (სდომნია). მაშასადამე, სიტყვაში აღარ დარჩა პირვანდელი ფუძე (ძირი) და ლექსიკური მნიშვნელობის დაცვა

ფუძესთან შეზრდილსა და შემდეგ მარტოდ დარჩენილ ბგერას (დ-ს) დაეკისრა: მი-**ნდ**-ა, მი-**ნდ**-ოდა, მ-**დ**-ომ-ია (§ 285).

ბ-გ) **ვიცი, ვუწყი.** აწმყოდვეა გაგებული ეს ორი ზმნაც (რომელთაგანაც მეორე იშვიათადღა იხმარება), მაგრამ წარმოშობით ორივე II ხოლმეობითია, რაც იმით მტკიცდება, რომ ამათ მესამე სუბ. პირის ფორმას სახელი ქვემდებარედ მოთხრობითში შეეწყობა: ამხანაგ-**მა** იცის, ქვეყანა-**მ** უწყის. საზოგადოდ ქვემდებარე მოთხრობით ბრუნვაში მაშინ შეიძლება, თუ მასთან შეწყობილი ზმნა გარდამავალია (ან შეიძლება გარდაუვალიც იყოს, მაგრამ წარმოშობით გარდამავალი) და თანაც II სერიის ერთ-ერთი მწკრივის ფორმაა. აი ეს სინტაქსური თვისება შეჰრჩათ ამ ზმნებს, მიუხედავად იმისა, რომ აწმყოს ფორმად იქცნენ და შემდეგ აქედან გაიკეთეს სავრცობიანი მწკრივები: ვიცოდი, ვიცოდე; ვუწყოდი, ვუწყოდე. ძველი სინტაქსური ძალა ამ მწკრივებშიც გადაჰყვა მათ: ამხანაგ**მა** იცოდა, ამხანაგ**მა** იცოდეს; ქვეყანა-**მ** უწყოდა, ქვეყანა-**მ** უწყოდეს. „უწყოდა" ზმნის განვითარება შეწყდა, იგი სამი მწკრივის მეტს ვერ აწარმოებს და არსებითად მისი ხმარება გადავარდნილია, მაგრამ „ვიცი" დღესაც ცოცხალი ზმნაა. მას II სერიის ფორმები აკლია (რაკი იქიდანაა გადმოსული), მაგრამ მოეპოვება III სერიისა, რომლებიც გარდაუვალი ზმნის მსგავსად აქვს ნაწარმოები: მცოდნია, მცოდნოდა, მცოდნოდეს. გარდაუვალი ზმნის მსგავსადვე აქვს გაკეთებული ახლად წარმოშობილი მწკრივების ფორმებიც: მეცოდინება, მეცოდინებოდა, მეცოდინებოდეს. ამგვარად, მიღებულია ნარევი წარმოება: აწმყოს წრეში ფორმები გარდამავალი ზმნისაა: **ვ**-იცი, **ვ**-იცოდი, **ვ**-იცოდე, მყოფადის წრესა და III სერიაში — გარდაუვალისა: მეცოდინება, მცოდნია.

„ვიცი" ზმნაში **ი** სათავისო ქცევის ნიშანია (თუმცა კი ზმნას ქცევის გაგება არა აქვს, § 412), „ვუწყი"-ში **უ** ფუძისეულია (აქედან: ვაუწყებ, უწყება).

როგორც ზემოთ ვნახეთ, „მინდა" ზმნამ რომ მწკრივი იცვალა, ეს შედარებით ახალი ამბავია, ხოლო „ვუწყი" ზმნას კი მწკრივი ძალიან ადრე უცვლია, ყოველ შემთხვევაში V საუკუნეზე ადრე. ერთად-ერთი საბუთი, რომელიც ამტკიცებს, რომ მათ მწკრივი უცვლიათ, ეს არის მათი სინტაქსური კავშირი სახელებთან. (§ 285).

დ) **ჰქვია** (ნ. § 392).

> შ ე ნ ი შ ვ ნ ა. რომ ერთი მწკრივის ფორმას სხვა მწკრივის მნიშვნელობა მიეღოს (ე. ი. რომ ფუნქცია ფორმას დაშორებოდეს), ამის მაგალითებს სხვა ენებიც გვაწვდის: ბერძნ. *οἶδα* «პერფექტია» თავისი ფორმით, მაგრამ ეხლანდელი დროა მნიშვნელობით („ვიცი"-ს ნიშნავს); ასეთივეა აგრეთვე ლათ. novi („ვიცი"), memini „მახსოვს" და სხვა.

556. ხანმეტობის ნაშთი. ჩვენამდი მოღწეული ქართ. წერილობითი ძეგლების უძველესი პერიოდის ენას (V—VII სს.) ხანმეტობა ახასიათებდა, ე. ი. **ხ**ანის პრეფიქსად ხმარება გარკვეულ ფორმებში. **ხ**ანს სხვადასხვა ფუნქცია ჰქონდა, რომელთაგანაც ჩვენთვის ამჟამად ერთია საყურადღებო: მე-2 სუბ. პირის აღნიშვნა. მე-2 სუბ. პირის ფორმა აღნიშნულ ეპოქაში **ხ**ანით (იშვიათად **ჰ**აეთიც) იყო გამოხატული საყოველთაოდ, იქნებოდა ზმნა დაწყებული ხმოვნით თუ თანხმოვნით: „რაჲსა ხტირ", იო. 20,13 (=რატომ სტირი?); „გან-

ყიდე“ (უხანოდ) ბრძანებითის ფორმა იყო, მაგრამ „გან-ხ-ყიდე“ — თხრობითი კილოს ფორმა იყო (მწკრივი — წყვეტილი).

ხანმეტობის დროიდან დღემდე შემონახულია ორი ზმნა, რომელთაც მე-2 სუბ. პირში **ხ** აქვთ: **ხ**-არ და **ხ**-ვალ (ძველად: ხუალ): მო-**ხ**-ვალ, წა-**ხ**-ვალ, შე-**ხ**-ვალ და სხვა. **ვალ** ფუძეს, როგორც ვიცით (§ 550, დ), **ვედ** — **ვიდ** ენაცვლება და **ხ** მეორე პირის ნიშნად იქაც გვაქვს: მო-**ხ**-ვედი (ძველად მოხუედ), მო-**ხ**-ვიდი, მო-**ხ**-ვიდე. სამაგიეროდ წართქმით ბრძანებითში **ხ** არ არის საჭირო; ვამბობთ: „ნუ მო-ხ-ვალ“, მაგრამ ამასთანავე: „მოდი“ (მოვედ[ი]→მოედ[ი]→მოდი). (ნახე კიდევ §§ 216, 217).

557. **ფონეტიკური ანალოგიით გამოწვეული მორფოლოგიური ცვლილებანი.** გვაქვს შემთხვევები, რომ ერთი ზმნის ფონეტიკურ სახეს მეორისაზე მოეხდინოს გავლენა:

ა) **დგომა, ჯდომა, წოლა.** „დგომა“ ზმნას წყვეტილში ასეთი ფორმები ჰქონდა ძველად: ვდეგ, სდეგ, დგა და შემდგომი (ზმნისწინებით: დავდეგ, შევდეგ, განვდეგ, წარვდეგ და სხვა). უზმნისწინო ფორმებს **ი** გაუჩნდა წინ (ნახე ქვემოთ ბ მუხლი) და მივიღეთ: ვ-ი-დეგ, **ი**-დეგ, **ი**-დგა და შემდგომი. ფუძისეული **გ** აღნიშნულ ფორმებს მხოლოდ წყვეტილის 1-ლსა და მე-2 პირში ჰქონდა ბოლოკიდურად, სხვაგან კი ყველგან შიგნით იყო მოქცეული. ბოლოს მოხვედრილი **გ** დაყრუვდა და **ქ**-დ იქცა, მაგრამ იგი ყველგან შენახულ იქნა, სადაც შიგნით იყო; ამიტომ მივიღეთ ასეთი ფორმები: ვიდექ, იდექ, მაგრამ: იდ**გ**ა, ვიდ**გ**ე, დ**გ**ომა, დამდ**გ**არი. მხოლობითში მიღებული ცვლილება მრავლობითზედაც იქნა გავრცელებული: ვიდე**ქ**ით, იდე**ქ**ით. დავადე**ქ**ით და სხვ., და, რაც უფრო საყურადღებოა, მაშინაც დარჩა, როცა ნართაული **ი** გაჩნდა მხოლობითში: ვიდე**ქ**ი, იდე**ქ**ი.

ჯდომა და **წოლა** ზმნებს სულ სხვა თანხმოვანი ჰქონდათ და აქვთ ფუძის ბოლოს: პირველს **დ** (ჯდ-ომა), მეორეს — **ვ**: *წვ-ოლა. მაგრამ „დგომა“ ზმნის გავლენით მათი ფუძისეული ბგერა **ქ**-დ გადაკეთდა წყვეტილის იმავე პირებში და მივიღეთ ასეთი უღლება:

		დგომა		**ჯდომა**		**წოლა**	
		ძველი	ახალი	ძველი	ახალი	ძველი	ახალი
მხ.	1	ვდეგ	ვიდექ(ი)	ვჯედ	ვიჯექ(ი)	ვწევ	ვიწექ(ი)
	2	სდეგ	იდექ(ი)	სჯედ	იჯექ(ი)	სწევ	იწექ(ი)
	3	დგა	იდგა	ჯდა	იჯდა	წვა	იწვა
მრ.	1	ვდეგით	ვიდექით	———	———	ვწევთ	ვიწექით
	2	სდეგით	იდექით	———	———	სწევთ	იწექით
	3	დგეს	იდგნენ	———	———	წვეს	იწვნენ

სხვა მწკრივის ფორმებში ანალოგიურ წარმოებას, რა თქმა უნდა, ადგილი არა აქვს: ვიჯდე, ვიწვე და სხვ.

ბ) **დება, დგომა, ჯდომა (სხდომა), წოლა.** „ძე[ვ]ს“ ზმნას II სერიის ფორმებში „დება“ ზმნის ვნებითი ენაცვლებოდა: **ძე[ვ]ს — იდვა.** „იდვა“ ფორმის გავლენით ვნებითის **ი** გაუჩნდა დგომა-ჯდომა-წოლასაც II სერიის ფორ-

მებში, ჯერ ალბათ მესამე პირში და შემდეგ ყველაში: ვ-ი-დექი, ი-დექი, ი-დგა, ვ-ი-დექით, ი-დექით, ი-დგნენ; ვ-ი-დგე და შემდგომი; ვ-ი-ჯექი, ი-ჯექი, ი-ჯდა; ვ-ი-ჯდე და შემდგომი; ი-სხდა და შემდგომი; ვ-ი-წექი, ი-წექი, ი-წვა და შემდგომი.

ანალოგიური წარმოება მხოლოდ უზმნისწინო ფორმებზე გავრცელდა, ზმნისწინიანებმა ყველგან ძველი ფორმები შეინახა: დავდექი, დავჯექი, დავწექი, დავსხედით და მისთ.; შევდექი, შევჯექი, წავწექი, შევსხედით და მისთ.

გ) **წოლა, დგომა, ყოლა, გვანა.** „წოლა“ ზმნას აწმყოს ფორმებში **ე** აქვს: ვწევ(ვ)არ, სწევხარ, წევს. ამ ზმნის პირველი და მეორე პირის ფორმათა გავლენით ზოგჯერ „ვდგევარ“ და „[ს]დგეხარ“ იხმარება (მაგრამ: დგას): აგრეთვე: ვჰყევარ, ჰყევხარ (მაგრამ ჰყავს); ვჰგევარ, ჰგევხარ (მაგრამ: ჰგავს). აღნიშნული ფორმები დიალექტურია, სალიტერატუროდ ისინი ვერ გამოდგებიან.

558. ბოლო-ჩამოკვეცილი ფორმები. რამდენსამე ზმნას ბოლოკიდური ბგერები აქვს ჩამოკვეცილი მე-3 სუბ. პირის ფორმაში:

ა) **ვალს→ვა.** დღეს ჩვეულებრივია ფორმები: მოვა, წავა, გავა, გადმოვა და სხვა. მოსალოდნელია (და ძველად კიდევაც იყო): მოვალს, წავალს და მისთ.. მაშასადამე, ჩამოკვეცილია არა მარტო პირის ნიშანი **ს**, არამედ ფუძისეული **ლ**-ც, მაგრამ ეს არ გვიშლის ხელს, რომ ფორმა მესამე პირისად გვესმოდეს, რადგანაც ის მთლიანად გამორჩეულია სხვა პირთა ფორმებისაგან (მოვალ, მოხვალ, მოვა; მოვალთ, მოხვალთ, მოვლენ) [§ 213].

ბ) **არს→ა.** „ვარ“ ზმნის მესამე პირის ფორმა „არის“ ხშირად შეკვეცილია: **არი.** უფრო ხშირია, რომ დასაწყისი ა იყოს შენახული, რასაც ჩვეულებრივ შედგენილ შემასმენელში ვჰხვდებით: ნახშირი შავია, შაქარი ტკბილია, კამეჩი ცხოველია და მისთ.. ეს **ა** ძველი სალიტერატურო ენის **არს** ფორმის შეკვეცილ სახეს წარმოადგენს.

გ) მთის კილოებში (კერძოდ ფშაურში, აქედან ზოგჯერ ვაჟას პოემებსა და ლექსებში) ჩვეულებრივია **ს** ნიშნის მოკვეცა „აქვს“, „ჰყავს“, „ძევს“ და „ჰგავს“ ზმნებში: აქვ, ჰყავ, ჰგავ, ძე (ძველი ქართ. ძეს). ჩვეულებრივია აგრეთვე **ს**ანის მოკვეცა მოქმ. გვარის ზმნათა I თურმეობითსა და სტატიკურ ზმნათა აწმყოს ფორმებში: წაუღავ (=წაუღია), ჰბავ (=აბია), ჰყუდავ (=ჰყუდია) და მისთ.. ეს ფორმები დიალექტურია და სალიტერატურო ენას არ ეკუთვნის, ისე როგორც ქართლური ფორმა „დგა“=დგას („კოკაში წყალი დგა“, „წყალი არ გვიდგა“).

559. ან-სუფიქსიანი ზმნები. რამდენიმე საშუალ ზმნას შემონახული აქვს თემის ნიშანი **ან** [§ 472, 6], რომელიც ზოგ ფორმაში დაკარგულია, მაგრამ გამოჩნდება აწმყოს მე-3 პირის მრავლობითში და სავრცობიან მწკრივებში ყველგან: ჰ-ყავ-ს — ჰ-ყვ-ან-ან, ჰ-ყვ-ან-და, ჰ-ყვ-ან-დეს; ჰ-გავ-ს — ჰ-გვ-ან-ან („რას მაქნევდით, რა გინდოდა, ერთმანერთსა რითა ვ ჰ გ ვ ა ნ დ ი თ“? «ვეფხ.», 293); დგ-ა-ს (←*დგ-ან-ს), დგ-ან-ან (სავრცობიანი მწკრივები აკლია). „დგანან“ ფორმის ანალოგიით: წევს — წვ-ან-ან.

ქვ ფუძე ძველად **ქუ** იყო, **ან** სუფიქსის დართვით მიღებული იყო **ქუან**, რამაც **უა** ჯგუფის ო-დ შერწყმის გამო **ქონ** მოგვცა. ეს **ქონ** ეხლა საყოველ-

თაოდ შემონახულია სავრცობიან მწკრივებში (მქონდა, მქონდეს), ძველად კი აწმყოშიც იხმარებოდა: მქონან.

სხვა ზმნების სავრცობიან მწკრივებში **ან** სუფიქსი შეიძლება ეხლაც შეგვხვდეს, მაგრამ უმეტესად უსუფიქსო ფორმებია გაბატონებული.

560. ერთი წარმოებიდან მეორეზე გადასვლა. რამდენიმე ზმნა იცვლის წარმოების ტიპს. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს არა საშუალ-მოქმედებითი ზმნები („ვცელქობ“ — „ვიცელქებ“ ტიპისა), არამედ სხვები.

ა) **ქ[მ]ნა.** ეს ზმნა II სერიაში საარვისო ქცევით მიდის, I-ში კი — სათავისოთი: ვქენი, ჰქენი, ქნა; ვიქ, იქ, იქს.

ბ) **ვნება, რგება, წყენა, ჯობნა, კოცნა.** ამ ზმნებს აწმყოს წრის მწკრივებში წინ არავითარი ხმოვანი არ უნდა, მყოფადის წრისა და II სერიისაში კი **ა** უნდა; ამას გარდა, **„ჯობნა“** და **„კოცნა“** თემის ნიშანსაც იცვლიან:

ვჰ-ვნებ, ჰ-ვნებ, ჰ-ვნებს და შემდგომი; ვ-ა-ვნებ, ვ-ა-ვნე, ვ-ა-ვნო. ვჰ-რგებ, ჰ-რგებ, ჰ-რგებს და შემდგომი; ვჰ-რგებდი, ვჰ-რგებდე; ვ-ა-რგებ, ვ-ა-რგებდი, ვ-ა-რგებდე; ვ-ა-რგე, ვ-ა-რგო.

მ-წყენს, მ-წყენდა, მ-წყენდეს; მ-ა-წყენს, მ-ა-წყენდა. მ-ა-წყენდეს; მ-ა-წყინა, მ-ა-წყინოს.

ვს-ჯობნი, ვს-ჯობნიდი, ვს-ჯობნიდე (ძველი ფორმებია, მაგრამ ეხლაც ხმარებაშია: ვს-ჯობ, ვს-ჯობდი, ვს-ჯობდე); ვ-ა-ჯობებ, ვ-ა-ჯობებდი, ვ-ა-ჯობებდე; ვ-ა-ჯობე, ვ-ა-ჯობო.

ვჰ-კ-ოცნი — ვ-ა-კოცებ, ვ-ა-კოცე.

გ) **გრძნობა, ცნობა.** ეს ზმნები აწმყოს წრეში საარვისო ქცევის ფორმით იხმარება, მყოფადის წრესა და II სერიაში კი — სათავისოთი:

ვგრძნობ — ვიგრძნობ, ვიგრძენ(ი).
ვცნობ — ვიცნობ, ვიცან(ი).

„თვალთ დამაკლდა, ვეღარავის ვცნობ“: „ჩაჴედი ჩემს სოფელში და ვეღარავინ ვიცანი“.

I თურმეობითში შეიძლება **ვ** ჩაერთოს უკანასკნელი თანხმოვნის წინ ერთსაც და მეორესაც: „სიცივე ჯერ არ მიგრძვნია“, „მოყვარე ველარ გიცვნია“ (ყაზ., 255, 10).

დ) **კბენა, ბწკენა** (პწკენა), **რქენა, ჩქმეტა.** ამ ზმნებს აწმყოს წრეში საარვისო ქცევის ფორმები აქვთ, მყოფ. წრესა და II სერიაში — სასხვისოსი:

ვ-ჰ-კბენ — ვ-უ-კბენ, ვ-უ-კბინე.
ვ-ჰ-ბწკენ — ვ-უ-ბწკენ, ვ-უ-ბწკინე.
ვ-ჰ-რქენ — ვ-უ-რქენ, ვ-უ-რქინე.
ვ-ს-ჩქმეტ — ვ-უ-ჩქმეტ, ვ-უ-ჩქმიტე, (§ 415)

561. ფუძისეული თანხმოვნის დაკარგვა. დაკარგვა შეიძლება გამოწვეული იყოს ფონეტიკური ვითარებით — თანხმოვნების თავმოყრის გამო, და შეიძლება მორფოლოგიური ანალოგიის ბრალიც იყოს. შეიძლება დაიკარგოს პირველი თანხმოვანი, შუა თანხმოვანი. ბოლო თანხმოვანი.

ა) **ლ** ბგერით დაწყებული სამი ზმნა ვნებითის მიმღეობას **მ—არ** ფორმანტებით აწარმოებს; ესენია: **ლბობა, ლპობა, ლხობა (*ლხვ-ობა, გა-ლხვ-ა), მანის**

წინ დართვის გამო თავს იყრის თანხმოვნები: **მლბ, მლპ, მლხვ** და ფუძისეული **ლ** იკარგება: *და-მლბ-არი→და-მბალ-ი, *და-მლპ-არ-ი→და-მპ-ალ-ი, გა-მლხვ-არი→გა-მხვ-ალი. აქედან III სერიის ფორმები ერთ-პირიანი ვნებითისა: დამბალა, დამპალა, გამხვალა და სხვ.

ბ) **ნდომა.** „მინდა“ ზმნის პირვანდელი ფუძეა **ნ**; შემდეგ ფუძეში გადაირიცხა **დ** (**ნ-დ**-ომ-ა, § 555, ა). III სერიის ფორმებია: მნდომია, -ოდა, -ოდეს, მაგრამ ჩვეულებრივ **ნ** იკარგება: მდომია, -ოდა, -ოდეს. ამიტომ მესამე ობ. პირში **დ**-ონის წინ **ჰ**-აეს ნაცვლად **ს** ჩნდება: მ-დომია, გ-დომია, ს-დომია.

გ) **მშია.** როგორც ამტკიცებს ფორმები: მშ-იერი, სი-მშ-ილი, ვა-მშ-ევ, და-ი-მშ-ა, ფუძეა **მშ.** 1-ლი ობ. პირის ფორმაში მოსალოდნელი იყო ორი **მ**: მ-მშია (როგორც მ-მართებს), მაგრამ ორი **მ**ანიდან ერთი დაიკარგა. დარჩენილი ერთი **მ**-ც პირველი პირის ნიშნად იქნა გაგებული და სხვა პირებში ჩამოცლილი: მ-შია, გ-შია, ჰ-შია. ამისთვის ხელი უნდა შეეწყო იმ გარემოებასაც, რომ „გმშია“ და „ჰმშია“ ფორმები ძნელი გამოსათქმელია.

დ) ეკარგება **რ** „რქმევა“, „რცხვენა“ და „რწმენა“ ზმნებს აწმყოს წრის გარდაუვალ ფორმებში:

მქვია, გქვია, ჰქვია (აქედან: რას მიქვია[ნ]), მაგრამ: მე-რქვა, გე-რქვა და შემდგომი.

მ-ცხვენია, გ-ცხვენია, ს-ცხვენია (თუ **რ** შენახულია, მაშინ: ჰ-რცხვენია). შდრ. შე-ჰრცხვა (→შე-რცხვა), შემ-რცხვა, სი-რცხვილი, მო-რცხვი, უ-რცხვი.

მწამს, გწამს, სწამს (=მრწამს, გრწამს, ჰრწამს). „ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებსო“ (ანდ.), აგრეთვე: მწამდა, მწამდეს და სხვა პირის ფორმებშიც. შდრ. ვ-ა-რწმ-უნ-ებ, გ-ა-რწმ-უნ-ებ და მისთ.

ე) ჩვეულებრივია **რ** ბგერის დაკარგვა **ზარდ** ფუძის შეკუმშულ ფორმებში (ვზდი, იზდება, ახალგაზდა) და „ბრძანება“-ში (ბძანებს, მობძანდა, დაბძანდი და სხვ.), ხოლო **მ**ანისა „ქმნა“-ში (ვქენი, რა ვქნა? ვინ ქნა ეს? და მისთ.). აწმყო-მყოფადში **ნ**-ც დაკარგულია: ვიქ, იქ, იქს და მისთ.

ვ) იკარგება **ლ გლეჯა, ჰყლეტა, ღლეტა** და **ხლეჩა** ზმნების ვნებითში, თუ იგი ხმოვნის ამოღებით არის ნაწარმოები:

გლჯება→გჯება.

ჰყლტება→ჰყდება (**ტ**არის **დ**ონად ქცევა **დ**ონიანი ვნებითის გავლენით მოხდა), დაჰყდა (§ 368, შნშ).

ღლტება, ღტება, ყტება. „წუღა დამიყტა“ (გურიაში ამბობენ).

ხლჩება, ხჩება, ჩამიხჩა (§ 513). მსგავსი მოვლენაა აქაც:

ხლდომა→ხლტომა→ხტომა, ხტის. აქ **ლ** ადრე დაიკარგა. დღევანდელ ქართულში მისი კვალი აღარსად ჩანს.

ზ) **ამბავ** სიტყვისაგან ნაწარმოებია, „ვამბობ“, „ვიამბე“ და სხვ., სადაც **ვ** ბგერა დაკარგულია თანხმოვანთა თავმოყრის გამო (აქ იგივე ფონეტიკური მოვლენაა, რაც „ამბავ“ სიტყვის ნათ. ბრუნვის ფორმასა და მრავლობითში: ამბის, ამბები, § 137).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ჩვეულებრივია აგრეთვე **ვ** ბგერის დაკარგვა (წარმოშობით უმარცვლო **უ**-სი) ბაგისმიერი ბგერების გავლენით **ამ**იან და **ობ**იან ზმნებში და სხვაგანაც: ვ-სვ-ამ, ვ-სვ-ი, ნა-სვ-ამ-ი, მაგრამ: ს-მ-ა, სა-ს-მელი; ვ-თქვ-ი, ვ-თქვ-ა, ნა-თქვ-ამი, მაგრამ: თქ-მ-ა, თქ-მ-ული; გამო-

ცხვ-ა, გამო-მ-ცხვ-არ-ი, მაგრამ: ვა-ცხ-ობ; ვ-შვრ-ები; ვ-ძვრ-ები, მაგრამ: შრ-ომა, ძრ-ომა; ჩა-ვ-ყავ, მაგრამ: ჩა-ყ-ოფა, ვათრობ — ვთვრები და მისთ.. ამნაირი მოვლენები ფართოდაა გავრცელებული და თავ-თავის ალაგას ნაჩვენები (შდრ. § 459, ბ).

562. ორი თემის ნიშნის მოკვეცა. ხუთი ევ-სუფიქსიანი ფუძე II სერიის მწკრივებში მოიკვეცს ამ სუფიქსსაც და მის წინ მდგომ **(ა)მ**-საც, რომელიც აგრეთვე თემის ნიშანია წარმოშობით (§ 460, 3). ამასთანავე ოთხ მათგანს აღუდგება ფუძისეული **ვ** (წარმოშობით უმარცვლო **უ**), რომელიც მომდევნო **მ**ანის გამოა დაკარგული:

ვ-სვ-ამ: ვა-ს-მ-ევ — ვა-სვ-ი, ვა-სვ-ა.

*ვა-რთვ-ამ: ვა-რთ-მ-ევ — მივა-რთვ-ი, მივა-რთვ-ა.

*ვი-რქვ-ამ: ვი-რქ-მ-ევ — დავი-რქვ-ი, დავი-რქვ-ა.

ვი-ცვ-ამ: ვა-ც-მ-ევ — ჩავა-ცვ-ი, ჩავა-ცვ-ა.

ვ-ნთქ-ამ: ვა-ნთქ-მ-ევ — ჩავა-ნთქ-ი, ჩავა-ნთქ-ა.

ევ ჩამოეკვეცება II სერიის ფორმებში „ჭმ-ევ-ა“ ზმნას: ვა-ჭმ-ევ — ვა-ჭამ-ე, ვა-ჭამ-ო (მთის კილოებში: ვაჭმიე, აჭმიე, აჭმია). III სერიის ფორმებში ისევ აღუდგება **ევ**: უსმევია, უჭმევია; ესმია (←ესმივა), **ეჭმია** (←ეჭმივა) და სხვ.

563. მოქმედებითისა და ვნებითის ფუძეები დაჭშორდნენ ერთმანეთს ბგეროვლივ. უთემისნიშნო ზმნათაგან **ტეხა** და **ხეთქა**, გამონაკლისის სახით, ვნებითს **დ**ონით აწარმოებენ. ამასთანავე ერთად ფუძე ეკუმშებათ ვნებითში და ამას ფონეტიკური ცვლილებანი მოსდევს, განსაკუთრებით დიდი „ხეთქა“-ში:

ა) **ტეხ-ა**: ვ-**ტეხ** — ვ-**ტყ-დ**-ები (ნაწილობრივი ასიმილაცია, § 26). აქედან შემდეგ სახელზმნები და III სერიის ფორმები: გამტყდარი, გამტყდარა; გატყდომა, გასტყდომია.

ბ) **ხეთქ-ა**. ამ ზმნის ვნებითი უძველეს ქართ. სალიტერატურო ენაში, **ხ**ანმეტობის დროს (V—VII სს.-ში), **ხთქ-დ-**ების, **ხთქ-დ-ა** იყო: „გამოვიდა სიმონ-პეტრე და გამოხითრევდა ბადესა მას ქუეყანად სავსესა დიდ-დიდითა თევზითა, რომელ ხიყო ას ერგასის და სამ. და ესოდენ ხიყო, და რა გ ა ნ ხ თ ქ დ ა ბადჱ იგი“ (იო. 21, 11). **ხ** აქ ძირეული ბგერაა. მაგრამ, რადგანაც თავში იყო, მან **ხ** პრეფიქსის ბედი გაიზიარა. ჰაემეტი ძეგლების ენაში მის ნაცვლად **ჰ** არის მოსალოდნელი: გან-ჰთქდ-ებ-ის, გან-ჰთქდ-ა. შემდეგ უკვე ჩვეულებრივი წესით წარმართულა **ჰ**აეს **ს**ანად ქცევა: „კლდენი . გან-სთქდეს“ (მათ. 27,51); „რაჲთა არა განსთქდენ თხიერნი იგი“ (მათ. 9, 17 E); „უკუეთუ არა, განსთქდიან თხიერნი იგი“ (მათ. 9, 17 C); „შეაყენეს თევზისა სიმრავლე დიდი, და განსთქდებოდეს ბადენი მათნი“ (ლუკ. 5, 6).

შემდგომი საფეხური ვნებითი ფორმების განვითარების გზაზე **თ** ბგერის ამოვარდნა იყო თანხმოვანთა თავმოყრის გამო: **სთქდ→სქდ** (ამოვარდნა სწორედ იმ ბგერისა, რომელიც მიზეზი გახდა **ჰ**აეს **ს**ანად ქცევისა: **ჰთ→სთ)**; შედეგად მიღებულ იქნა **სქდ**, სადაც **ს** ძირეული **ხ**ანის სახე-ცვლილი ვარიანტია, ხოლო **დ** — ვნებითის ფორმანტი: **სქ** შემდეგ უმეტესად **სკ-დ** იცვალა და მივიღეთ: ვ-**სკდ**-ები, გა-**სკდ**-ა და სხვ., სადაც უკვე აღარც ერთი **ძირეული**

ბგერა არ არის შენახული პირვანდელი სახით. აქედან შემდეგ სახელზმნები და III სერიის ფორმები: გა-მ-**სქდ**-არ-ი (ან: გა-მ-**სკდ**-არ-ი), გამსქდარა (გამსკდარა); **სქდ**-ომა (**სკდ**-ომა), გა-ჰ-**სქდ**-ომია (გა-ჰ-**სკდ**-ომია) და სხვ.

მაშასადამე, ვნებითის ფორმათა განვითარება ასეთია: *ხეთქ-ედ-ების→ ხთქდების || ჰთქდების→ჰსთქდების (გარდამავალი საფეხური) → სთქდების→ სქდების — სკდების→სქდება || სკდება.

გ) **წყვეტა, წყდომა.** ძველად **დ** იყო არა მარტო ვნებითში, არამედ მოქმედებითშიც: **წყუედა, (წყუდომა→) წყდომა.** ვწყუედ, სწყუედ, წყუედს და მისთ.. მოქმედებითში **დ** დაყრუვდა (წყუეტა, წყვეტა), ვნებითში კი დარჩა, რასაც უთუოდ **დ**ონიანმა ვნებითმა შეუწყო ხელი. ვნებითის ფორმებში მოსალოდნელი იყო ვ (უმარცვლო **უ**-ს ჩამომავალი): ვწყუედ→*ვწყუდები→*ვწყვდები, მაგრამ იგი არსად გვხვდება. *წყუდომა-ში მისი დაკარგვა მომდევნო **ო**-ს ბრალიც იქნებოდა, მაგრამ სხვაგანაც თუ დაიკარგა, ალბათ თანხმოვანთა თავმოყრის გამო. იგი დაკარგულია უძველეს ძეგლებშიც („მოწყდეს უშვილონი", ლუკ. 20, 31).

დ) **ცვეთა, ცვდომა.** თუ ვნებითი ძველებურადაა ნაწარმოები, **თ**-ს ნაცვლად **დ** ჩნდება **დ**ონიანი ვნებითის ფორმებზე მიყრდნობით: გაცვითა — გაცვ**და**; მაგრამ ამჟამად უფრო პრეფიქსიანი წარმოებაა მიღებული: იცვითება, გაიცვითა.

564. აწმყოში ახალი წარმოების ფორმა განვითარდა, უწყვეტელსა და I კავშირებითში ძველი დარჩა. როგორც აღნიშნულია (§ 392), რიგი საშუალი ზმნებისა აწმყოში სტატიკურ ზმნათა დაბოლოებაზე გადავიდა, მაგრამ უწყვეტელში (და მისებრ სავრცობით ნაწარმოებ I კავშირებითში, ამჟამად აწმყოს კავშირებითში) ძველი წარმოება შემოჰრჩათ; ასეთებია:

კლ (ცლ): აკლია [აკლს], აკლდა, აკლდეს.
რცხვ: ჰრცხვენია [ჰრცხვენის], ჰრცხვენოდა, -ოდეს.
მშ: მშია [*მმშიის, *მშიის], მშიოდა, -ოდეს.
წყურ. მწყურია [მწყურის], მწყუროდა, -ოდეს.
ხარ: მიხარია[ნ] [მიხარის], მიხაროდა, -ოდეს.
ჯობ: სჯობია [სჯობს], სჯობდა, -დეს.
ჩნ: აჩნია [*აჩნს: „მელთა ჭურელი უჩნს", ლუკ. 9, 58C]. აჩნდა, აჩნდეს. ზმნისწინით: გააჩნია, გააჩნდა, გააჩნდეს; მიაჩნია, მიაჩნდა, მიაჩნდეს.

ამათ უნდა დაემატოს ვნებითის ფორმიანი ზმნა:

შინ: მეშინია [მეშინის], მეშინოდა, -ოდეს და საშუალი

ახლ-ავ-ს, რომელიც **ავ** სუფიქსს ჩამოიკვეცს სავრცობიან მწკრივებში:

ახლ-და, ახლ-დეს (ძველად **ახს** — ახლოს არის მასთან. მისგან უწყვეტლის ფორმა იქნებოდა: ახდა. აი ეს ფორმაა შემონახული **ახლდა**-ში. ამავე ჯგუფში შემოდიოდა მ ც ა ლ ს — მ ც ა ლ დ ა, რომლის მაგალითები საკმაოდ მოიპოვება ვეფხის ტყაოსანში (მაგ., აზრად არად აღარა მცალს 126; არა მცალდა სევდისაგან თავის კრძალვით 369), მაგრამ ამჟამად იგი მთლად სტატიკურშია გადასული: მცალია — მეცალა.

565. შედგენილი შემასმენელი მარტივი ზმნა გახდა. მოიპოვება რამდენიმე ზმნა, რომლებიც წარმოშობით შედგენილი შემასმენლებია, ე. ი. ერთად შერწყმული სახელი და კოპულა. ეს ზმნებია: **ცივა, თბილა, ცხელა, გრილა, სნე-**

ლა, კმარა, ვარგა. ამ ზმნებში შემავალი სახელები, უკანასკნელის გარდა, ზედსართავებია: ცივ-ი, თბილ-ი, ცხელ-ი, გრილ-ი, ბნელ-ი, კმა; „ვარგა“-ს საფუძვლად უძევს „ვარგ-ი“, რომელიც არსებითი სახელია, მაგრამ ზედსართაულად არის გამოყენებული. რაც შეეხება კოპულას, იგი მეშველი ზმნის მესამე პირის ფორმაა შეკვეცილი სახით და მხოლოდ აწმყოში ჩანს: ა(რს) [გარდა „კმარა“-ში, სადაც ცოტა სხვა ვითარებაა]: ცივ არს→ცივა; ტფილ არს→ტფილა→თბილა; ცხელ არს→ცხელა; გრილ არს→გრილა; ბნელ არს→ბნელა; კმა არის→კმარის→კმარა; ვარგ არს— ვარგა.

ყველა მათ ის ახასიათებს, რომ კოპულა ზმნას შეერწყა აწმყოში და ორივემ მარტივი ზმნა მოგვცა.

შედგენილმა შემასმენელმა მარტივი ზმნის სახე პირველად აწმყოში მიიღო და სხვა მწკრივის ფორმები შემდეგ ანალოგიურად იქნა გაკეთებული; მაგალითი: ძველად ითქმოდა: „ცხელ არს“, „ცხელ იყო“ (§ 233, შნშ.), ამჟამად გვაქვს: ცხელა, ცხელოდა, ცხელოდეს.

ჩამოთვლილ ზმნათა უღლებას ბევრი აქვს საერთო, სხვათა შორის ისიც, რომ მარტო პირიანი ფორმები აქვთ და უპირო (სახელზმნები) — არა. მაგრამ „კმარა“ და „ვარგა“ ზოგ სხვა თავისებურებასაც იჩენენ.

ხუთი მათგანი იმპერსონალურად იხმარება, მე-3 პირის ფორმით: ცივა, ცხელა, თბილა, გრილა, ბნელა.

ზოგი მათგანი აბსოლუტური ფორმით იხმარება (თბილა, გრილა, ბნელა, კმარა), ზოგს რელატიური ფორმებიც აქვს: ცივა — მცივა, ცხელა — მცხელა, ვარგა — მივარგა. იმპერსონალური ზმნები მედიოპასივი ზმნებია და მყოფადის წრის მწკრივთა ფორმებს ეთი იკეთებენ მაშინაც კი, როცა გაგება ერთი პირისა აქვთ: ეცივება, ეცხელება, ეთბილება, ეგრილება, ებნელება.

გავარჩიოთ თვითეული მათგანი ცალკ-ცალკე.

ცივა. იმპერსონალური ზმნაა. აქვს მიმართებითი ფორმაც: ცივა — მცივა. იხმარება მარტო I სერიაში (ცივა, ციოდა, ციოდეს; ეცივება, ეცივებოდა, ეცივებოდეს) და გაგება უსრული ასპექტისა აქვს. სრული ასპექტის მნიშვნელობით იმავე ფუძისაგან ნაწარმოები **დონიანი** ვნებითის ფორმა იხმარება: მიუმართავი ფორმის საპირისპიროდ **ა** ზმნისწინით, მიმართებითის საპირისპიროდ — **შე**-თი: ციოდა — აცივდა, მციოდა — შემცივდა.

ცხელა. ეს ზმნა ყველაფრად მიჰყვება „ცივა“-ს: ცხელა, ცხელოდა, ცხელოდეს; ეცხელება, -ოდა, -ოდეს. ესეც უსრული ასპექტისაა. სრული ასპექტისათვის კი გამოყენებულია უნიშნო ვნებითი **და** ზმნისწინით: დაცხება, დაცხა. მე-3 სერიის ფორმა მიუმართავად არ გამიგონია, მიმართებითად კი შესაძლებელია: დამცხომია. მყოფადისა და მისი მიმყოლი მწკრივების ფორმები **ე**თია ნაწარმოები: „გუშინ და დღეს ცხელოდა, ხვალაც ეცხელება“, — აქ ფორმა მიუმართავია; „გუშინ არა მცხელოდა შენთვის და, უნდა გამოგიტყდე, რომ არც ხვალ მეცხელება“, — აქ კი ფორმა მიმართებითია.

თბილა, გრილა, ბნელა. ეს ზმნებიც ყველაფრად „ცივა“ ზმნის უღლებას მიჰყვება. ყველა იმპერსონალურია და მიუმართავი. მიმართებითი ფორმა

არც ერთს არ უხერხდება. სრული ასპექტის მნიშვნელობით მათ სათანადო ფუძის ვნებითის ფორმები უპირისპირდება: „თბილა“-სა და „ბნელა“-ს და ზმნისწინით (დათბება, დათბა; დაბნელდება, დაბნელდა), „გრილა“-ს ა-თი (აგრილდება, აგრილდა).

სრულ-ასპექტიან ზმნებს III სერიის ფორმებიც აქვთ: დამთბარა, აგრილებულა, დაბნელებულა.

კმარა. ეს ზმნა წარმომდგარი უნდა იყოს არა „კმა არს“ ფორმისგან, არამედ ამისგან: **კმა არის.** ორი ანის ერთად მოხვედრის გამო გრძელი **ა** უნდა მიგვეღო, მაგრამ იგი დამოკლებულა: კმაარის→კმარის („მიაჯეთ ვინ, კორცთა დაწვა კ მ ა რ ი ს, მისცეს სულსა ლხენა“, «ვეფხ.»; ასე იკითხება ვახტანგისა და ბევრ სხვა გამოცემაში, 1937 წლის საიუბილეო გამოცემაში კი და მის ჩამომავლებში „კმა არს“ იკითხება). შემდეგ ვნებითი გვარის ზმნათა **ის** დაბოლოების მსგავსად ამისი **ის** აგრეთვე ა-დ ქცეულა: იტანჯების→იტანჯება; კმარის→კმარა.

ძველად „კმა“ ქართ. ენის ძირითადი ფონდის სიტყვა იყო („კმა არს მოწფისა მის, უკუეთუ იყოს ვითარცა მოძღუარი თჳსი“, მათ. 10,25), მაგრამ ამჟამად მის ნაცვლად „საკმაო“ იხმარება. „კმა“ დაგვრჩა „კმა-ყოფილ“-ში და „კმაობს — იკმავებს“ ფორმებში, რომელთა პარალელურად აგრეთვე „კმარა — იკმარებს“ იხმარება. მაშასადამე, „კმარა“ სხვაგვარად ივსებს დანაკლის ფორმებს, ვიდრე „ცივა“ და მისთანანი. მას II და III სერიის ფორმებიც აქვს შევსებული: იკმარებს — იკმარა, უკმარნია.

მიმართებითი ფორმები, რამდენადაც ვიცი, არ უკეთდება.

ვარგა. „ვარგ“-ი აღნიშნავდა მაღალი სოციალური ფენის კაცს (თავადს, აზნაურს) და ეხლაც აღნიშნავს სვანურში. მას, როგორც „გვარიან“-ს, „კარგის“ მნიშვნელობა მიუღია ქართულში.

თუმცა ძველად ნათელი იყო, რომ „ვარგ-ი“ სახელია („რაცა თქუენთვის არ ვ ა რ გ იყოს საჭურჭლესა დასადებად“, «ვეფხ.», 804), მაგრამ ამჟამად იგი ზმნის ფუძეა და აწმყოს წრის ფორმები „ცივა“-სებრ აქვს ნაწარმოები (ვარგა, ვარგოდა, ვარგოდეს), სხვაგან კი დაშორდება მას და „კმარა“-სთან მოვა: ივარგებს, ივარგა, უვარგნია. მაშასადამე, ისიც მედიოაქტივთა რიგებში დგას „კმარა“-სავით, თუმცა III სერიაში პასიური წარმოების ფორმებიც აქვს: ვარგებულა, -ულიყო, -ულიყოს.

მოეპოვება ყველა პირის ფორმა: (ვ)ვარგვარ, ვარგხარ, ვარგა. აქვს მიმართებითი ფორმებიც: მივარგა. აწმყოში ამბობენ აგრეთვე: ვარგივარ, ვარგიხარ, ვარგია, მაგრამ ასეთი ფორმები სალიტერატუროდ არ გამოდგება.

თავისებური ზმნები ანბანის რიგზე

567. ანბანის რიგზე გაყოფის საჭიროება. აქამომდე ზმნათა თავისებურებათ ვიხილავდით გარკვეულ ნიშანთა მიხედვით, რის გამოც ერიგვარ მოვლენათა მქონე ზმნები ერთად იყრიდა თავს და ზმნების განხილვა ხდებოდა ჯგუფ-ჯგუფად. მაგრამ ზმნას შეიძლება რამდენიმე თავისებურება ჰქონდეს და ერთი რომელიმე თავისებური ნიშნის გამო ერთ ჯგუფში შედიოდეს, მეორის

მიხედვით — სხვა ჯგუფში, მესამის მიხედვით — კიდევ სხვაში. ამიტომ აუცილებელია, თავისებური ზმნები ანბანის რიგზე გავაწყოთ, მით უმეტეს, რომ ზემორე თქმულით არ ამოიწურება ქართულ ზმნათა თავისებურებანი: არის სხვა რიგის თავისებურებანიც, რომელთაც შევეხებით ამა თუ იმ ზმნის განხილვასთან ერთად.

თავისებურ ზმნათა სია

ვ-ამბობ. ზმნას ორი მნიშვნელობა აქვს: ა) ამბავს ვჰყვები; ბ) ვლაპარაკობ, ვუბნობ.

პირველ შემთხვევაში ის მესამე ტიპის უღლებას განეკუთვნება (ვამბობ — ვიამბობ — ვიამბე — მიამბნია). საწყისია „მბობა". მოსალოდნელი იყო „ამბობა", რადგანაც ნაწარმოებია „ამბავ" სიტყვისაგან (რომლის უკანასკნელი თანხმოვანი დაკარგულია ბაგისმიერი თანხმოვნების მეზობლობაში: *ვამბვ-ობ, შდრ. § 137, 3; 459, 3), მაგრამ **ა** ქცევის ნიშნად იქნა გაგებული და საწყისში ჩამოჰშორდა.

მეორე შემთხვევაში იგი მონაცვლეა: ვამბობ—ვიტყვი—ვთქვი (§ 550, ვ). თავისი საწყისი არა აქვს.

არ[1]: ვ-**არ**. ამ ზმნას მარტო აწმყოს მწკრივის ფორმები აქვს. ფუძედ **არ** უნდა მივიჩნიოთ, თუმცა მისი ხმოვანი **ა** წარმოშობით ისეთივე მაწარმოებელი უნდა იყოს, როგორც სათანადო ზმნის **ა** სვანურში: **ა**-რ-ი („არის"), ხო-რ-ი („ჰყავს"). ძველი ქართულის „გან-**რ**-ომა" (გადარჩენა) „გან-ე-**რ**-ა" (გადარჩა), „განა-**რ**-ინა" (გადაარჩინა) და „განსა-**რ**-ომელი" (სარჩო) იმავე ძირისა ჩანს, მაგრამ მეტად დაშორებულია ლექსიკური შინაარსით.

არ ფუძეს ეყრდნობა 1-ლი და მე-2 პირის ფორმები (ვ-არ, ხ-არ; ვ-არ-თ, ხ-არ-თ), მე-3 პირში კი მწკრივის ნიშანიც მოიპოვება. არ-**ი**-ს, არ-**ი**-ან. ძველ სალიტერატურო ქართულში ეს **ი** ზოგჯერ 1-ლი და მე-2 პირის ფორმებშიც იხმარებოდა (ვარი, მათ. 27, 43; ხარი, მათ. 14, 33; „შემწე და მჴსნელი ჩემი ხარი შენ", ფს. 39, 22), მაგრამ მე-3 პირის ფორმა ყოველთვის უინო იყო: არ-ს. ამ „არს" ფორმისაგან მოდის შემოკლებული **ა**: დიდი-**ა** (←დიდი არს), კაცი-**ა**, ტკბილი-**ა** და მისთ. (§ 558).

მეორე პირის ფორმებში შემონახულია **ხ**, რომელიც ხანმეტობის დროიდან მოდის: **ხ**-არ, **ხ**-ართ (§ 556).

„ვარ" ზმნას აკლია საზოგადოდ მწკრივები: უწყვეტელი და კავშირებითი (თუმცა იმავე ძირის ზმნებს კოლხურსა და სვანურში მოეპოვებათ: მეგრ. ორდუ, ორდას, სვან. არდა, არდეს — „იყო", „იყოს" შესაბამისად), სხვები კი შენაცვლების გზით აქვს შევსებული. მწკრივში მონაცვლეებია: „ქმნა" ზმნის ერთ-პირიანი ვნებითის ფორმები (მყოფადის წრეში: ვიქნები, § 550, ა) და „ყოფა" ზმნის ვნებითისავე ერთპირიანი ფორმები (მეორე სერიაში: ვიყავ, ვიყო).

სახელზმნებიც „ყოფა“ ზმნის ფუძისაგანაა ნაწარმოები: ყოფილი (რომელიც იყო: წარსულის მიმღეობა), მყოფი (რომელიც არის; ეხლანდელი დროის მიმღეობა), წარსული დროის მეორე მიმღეობად მოსალოდნელი იყო „ნაყოფი“, მაგრამ იგი არსებით სახელად იქცა („მცენარის ნაყოფი“) და ამან გამოიწვია განსხვავების საჭიროება, რასაც მანის ჩართვამ უშველა: ნამყოფი („რუსთავში ნამყოფი“). ნ. კიდევ ყოფა.

ზმნა ერთ-პირიანია, ორ-პირიანად ვერ გადააქცევ და ამ შემთხვევაში მას (ჩვეულებრივ მესამე პირის „არის“ ფორმას) „მაქვს“ ან „მყავს“ ენაცვლება (§ 553, ა).

ზმნას ყველა პირის ფორმა მოეპოვება, მაგრამ მორიდებულ საუბარში ორი სხვა ზმნა ენაცვლება: 1-ლ პირში „გახლავარ“, „გახლავართ“, მე-2-ში „ჰბ[რ]ძანდები“, „ჰბ[რ]ძანდებით“, მე-3-ში „გახლავს“, „გახლავან“ ან „ბ[რ]ძანდება“, „ბ[რ]ძანდებიან“ (§ 554, ა).

არ²: ვი-**არ**-ები. იხმარება ერთ-პირიანი ვნებითის ფორმით აწმყოს წრეში (ვოარები, -ოდი, -ოდე) და II სერიაში: ვიარე, ვიარო. აწმყოში ვნებითია, II სერიაში — საშუალ-მოქმედებითი.

აწმყოს წრეში მის პარალელურად „დავდივარ“ იხმარება, რომელსაც მყოფადისაში ჩვეულებრივ „ვივლი“ ენაცვლება (§ 550, ი).

სახელზმნათაგან აქვს: მო-არ-ული (მიმღ., „მოარული სენი“) და სი-არ-ული (ძველი საწყისი).

„ვიარები“-ს მნიშვნელობა თავდაპირველად უნდა ყოფილიყო ვიტანჯები: „ვ ი ა რ ე ბ ი ალსა მას შინა“, ლუკ. 16, 24 C (=„ვ ი ტ ა ნ ჯ ე ბ ი მე ალითა ამით ცეცხლისაჲთა“, იქვე DE); „ესე აქა ნუგეშინის-ცემულ არს და შენ მანდა ი ა რ ე ბ ი“, ლუკ. 16,25 C (=ესე აქა ნუგეშინის-ცემულ არს, ხოლო შენ ი ტ ა ნ ჯ ე ბ ი“, იქვე DE).

არ³: ალიარება. ფუძეა **არ** (ძველი **ჰარ**), რომლისგან პირიანი ზმნა იხმარებოდა სათავისო და სასხვისო ქცევის ფორმით (მაგრამ ორივე ფორმა ქცევის შინაარსისგან დაცლილი იყო): „ყოველმან რომელმან ა ღ მ ი ა რ ო ს (ამიაროს C) მე წინაშე კაცთა, ა ღ ვ ი ა რ ო იგი მეცა წინაშე მამისა ჩემისა“, მათ. 10, 32 ხანმ.); „და მრავალნი მორწმუნენი მოვიდოდეს და ა ღ უ ა რ ე ბ დ ე ს საქმეთა მათთა“ (საქმე, 19, 18). საწყისი იყო (აღ-სა-[ჰ]არება→) აღსაარება→აღსარება, მოქმ. გვარის მიმღეობა: აღმსაარებელი→აღმსარებელი („მაქსიმე აღმსარებელი“).

როგორც აღნიშნულია (§ 316), **ლ** ფუძეში იქნა გადარიცხული და გაჩნდა ფორმები: ვალიარებ, ელიარებინათ და მისთ.. ძველმა საწყისმა საეკლესიო პრაქტიკაში სპეციფიკური მნიშვნელობა მიიღო, და საჭირო გახდა ახალი საწყისის შემუშავება: ალიარება. აქედან: მალიარებელი, ალიარებული. როგორც ვხედავთ, ფუძეს მიეკუთვნა არა მარტო ზმნისწინის **ლ**, არამედ ქცევის ნიშანიც (**ი**).

ალიარება ნ. არ³.

ახლ (ახელ). ამ ფუძისგან ნაწარმოებია სამი სხვადასხვა ზმნა, სამივე მორიდებულ საუბარში სახმარებელი:

ა) **გახლავს.** იხმარება როგორც ერთ-პირიანი ზმნა (თუმცაღა ორ-პირიანია წარმოშობით, § 234) და ენაცვლება „არის“ ზმნას 1-ლსა და მე-3 სუბ. პირში (§ 554, ა). მეორე სუბ. პირის ფორმა არა აქვს და აქ მას „ჰბ[რ]ძანდები“ ენაცვლება (§§ 234, 554, ა).

თუმცა „გახლავარ“ და „გახლავს“ 1-ლი და მე-3 სუბ. პირის ფორმებია, მაგრამ რიდი აქ მეორე პირის მიმართ არის გამოხატული.

ბ) **გეახლები (გეახელ[ი], გხლებივარ). გეახლები** ნიშნავს: მოვალ (შენთან, თქვენთან), **გეახელ** — მოვედი შენთან, თქვენთან, აქა ვარ; **გეახლა(თ)** მოვიდა (შენთან, თქვენთან).

თუ ზმნა ვნებითია (§ 554, ე) და ორ-პირიანი, მიმოქცევა ყველა სუბიექტურსა და ყველა ობიექტურ პირში აქვს.

გ) ***გიახლებ.** ზმნა მოქმედებითია, ნიშნავს: [პირს] ვახლებ შენსას, ე. ი. ვჭამ შენს მოწოდებულს, შენს მორთმეულს. წინა ზმნის ფორმა ენით უნდა იყოს, ამისი — **ი**ნით, მაგრამ, რადგანაც **ეა** ჯგუფი **ია**-ს გვაძლევს ქართულში (§ 35), ამიტომ გეახლები→გიახლები, ე. ი. ვნებითის ფორმა რამდენადმე ემთხვევა მოქმედებითისას. ამის გამო აღრევა მოხდა მათ შორის და ეხლა მოქმედებითსაც **ი** ერთვის ბოლოში: გიახლები (=ვჭამ). ფორმა მოქმედებითია, აწმყოს მწკრივისა, დროის გაგება კი — ეხლანდელისაც და მომავლისაც (როგორც მის მონაცვლე „ვჭამ“ ზმნას აქვს): „ჯერ სადილს გიახლები და შემდეგ ბაღში ჩავალ“.

ამ ზმნას აქვს მარტო I და II სერიის ფორმები. I სერიაში წრეების მიხედვით დაყოფა არ არის, ამ მხრივ ძველი ვითარებაა შემორჩენილი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ფონეტიკურ ფაქტორს ხელი უნდა შეეწყო, რომ „გიახლებ“ და „გეახლები“ არეულიყო ერთმანეთში, მაგრამ მათი აღრევა შეიძლება ისედაც მომხდარიყო, რადგანაც **ე**ნიანი ვნებითის ფორმის ხმარება სასხვისო ქცევის ნაცვლად სხვაგანაც გვხვდება:

ა) ეჯდა, ედგა, ეწვა (ამათ ნაცვლად შესაბამისად: უჯდა, უდგა, უწვა, — რადგანაც აწმყოს ფორმებია: უზის, უდგას, უწევს).

ბ) **ქადება** ზმნა „დაპირების“ მნიშვნელობით სასხვისო ქცევის ფორმებს გვაძლევს:

„ასმათ ლხინსა მ ი ქ ა დ ე ბ დ ა“ («ვეფხ.», 397).
„მათ ბოზ-კუროთა ასეთი რა მისცეს, რა უ ქ ა დ ე ს ა“? (იქვე, 574).

იგივე ზმნა „დამუქრების“ მნიშვნელობით **ე**ნიან ვნებითში იხმარება: „აწ უწინა ესე გითხრა, რას მ ე ქ ა დ დ ა ისი კაცი“ (იქვე, 120).

მაგრამ აი რა იკითხება ყაზბეგის «ხევისბერ გოჩაში»: „ცხოვრება მას სიამოვნების ნექტარს ე ქ ა დ ი ს“. აქ, რა თქმა უნდა, მოსალოდნელი იყო „უქადის“.

ბამ. ნ. ბმა.

ბმა. საარვისო ქცევის ფორმით ეს ზმნა აღნიშნავს ნაყოფის გამოღებას მცენარის მიერ. ამ შემთხვევაში ის მონაცვლეა, — ენაცვლება **სხ-მ-ა** იმავე სათავისო ქცევით: იბამს — ისხამს, მოიბა — მოისხა, მოუბამს — მოუ-

სხამს, მობმული — მოსხმული და სხვ.. ხშირად იხმარება სტატიკური ფორმით: აბია — ასხია,ება — ესხა და მისთ. (§ 549,II, გ).

ბნელა. ნ. § 565.

ბრძანება, ბძანება. ზრდილობიან საუბარში ეს ზმნა (მოქმედებითი გვარის ფორმით) ენაცვლება „თქმა"-სა და მის მონაცვლეებს (ვამბობ, ვიტყვი, ვთქვი; ვეუბნები, ვეტყვი, ვუთხარი), მაგრამ არა ყველგან, არამედ მეორესა და მესამე პირში (§ 554, ბ): ვთქვი, ჰბრძანე, თქვა (ან: ბრძანა). ზმნისწინი არა აქვს, მაგრამ სრული ასპექტი ძველადგანვე აქვს შემორჩენილი (§ 337).

თუ ქცევის ნიშნად **ა** აქვს, წაყვანას გულისხმობს: წააბრძანეს (=წაიყვანეს).

დონიანი ვნებითის ფორმები გამოყენებულია „სვლა" ზმნისა და ჯდომის" მნიშვნელობით ზრდილობიან საუბარში (ნ. § 554 ბ, გ).

ბწკენა. ნ. § 560, დ.

გავ: ჰ-გავ-ს, გვ-ან-ა. აწმყოს პირველ სუბ. პირში ორი ვინისაგან ერთი იკარგება: *ვჰგავვარ→ვჰგავარ. იგივე მოვლენაა მრავლობითშიც: ვჰგავართ. სხვა პირთა ფორმებია: ჰგავ-ხარ, ჰგავ-ს, ჰგავხართ, ჰგვანან.

„წოლა" ზმნის აწმყოს ფორმების გავლენით შეიძლება **ა** ე-დ შეიცვალოს 1-ლსა და მე-2 სუბ. პირში (§ 557, გ): ვჰგევარ, ჰგევხარ, მაგრამ: ჰ-გავ-ს. ასეთ შეცვლას სალიტერატურო ენა გაურბის. ზმნა **ან** სუფიქსს გვიჩვენებს აწმყოს მრ. რ.-ის მე-3 სუბიექტურ პირში და სავრცობიანი მწკრივების ყველა პირში: ჰ-გვ-**ან**-ან, ვჰ-გვ-**ან**-დი და შემდგომი (§ 559).

მყოფადის წრის ფორმებია: ვეგვანები, -ოდი, -ოდე; II სერიისა: ვეგვანე, ვეგვანო; III-ისა: ვჰგვანებივარ, -ბოდი, -ოდე.

მიმღეობა: მ-გვან-ი, *მა-გვან-ი→მაგვარი (რა-გვარი, ამ-გვარი, მაგ-გვარი, იმ-გვარი ფორმების გავლენით); ასეთივეა აგრეთვე: მინაგვარი (*მინაგვანი).

ამავე ფუძისაა „მს-გავ-ს"-ი, რომლისაგან ნაწარმოებია ფორმები: ემსგავსება, დაემსგავსა, დაჰმსგავსებია (მოქმედებითად: ვამსგავსებ, დავამსგავსე და სხვ.).

გალობა. ზმნა გარდაუვალია, ერთ-პირიანი, მაგრამ იხმარება გარდამავლადაც, ორი პირის გაგებით: ვგალობ. საერთო წესის თანახმად, მყოფადში მოსალოდნელი იყო „ვიგალებ" (შდრ. ვხუმრობ — ვიხუმრებ, ვცელქობ — ვიცელქებ და სხვ.), მაგრამ თემის ნიშანი **ობ** შენახულია იმავე ფუძისგან ნაწარმოებ ზმნაში: „ვაგალობებ" და აქედან „ვგალობ" ზმნის შესავსებელ ფორმებში: ვგალობ — ვიგალობებ, ვიგალობე, მიგალობნია.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: წარმოების მხრით მსგავსი ვითარებაა აქაც: „ვსწყალობ" — „ვუწყალობებ", მაგრამ მათ შორის რამდენადმე განსხვავებაა ლექსიკური შინაარსის მხრით: „ვსწყალობ" ამას ნიშნავს: წყალობის თვალით ვუყურებ, ვეხმარები, კარგად ვეპყრობი, „ვუწყალობებ" კი — ამას: წყალობას ვუზამ, ვუბოძებ, დავასაჩუქრებ.

ფშაურ-ხევსურული „ვამწყალობნებ" „მწყალობელ" სიტყვისგანაა ნა-

წარმოები, რომელიც დალოცვის ფორმულიდანაა ამოღებული: „მ წ ყ ა-ლ ო ბ ე ლ ი მ ც ხარ მავანისა"! ან: „მწყალობელიმც არის ლაშარის ჯვარი"! (ან სხვა რომელიმე „ხატი").

გარჯა. ნ. რჯა.

გახლავს. ნ. ახლ.

გდება. მონაცვლე ზმნაა რიცხვსა და გვარში.

რ ი ც ხ ვ შ ი შ ე ნ ა ც ვ ლ ე ბ ა აქვს „ყრა"-სთან (§ 549. II, ა) და „რეკა"-სთან (§ 549, II, ვ).

გ ვ ა რ შ ი შ ე ნ ა ც ვ ლ ე ბ ა აქვს „ვარდნა"-სთან (§ 552).

გვან(ებ)ა. ნ. ჰ-გავ-ს.

გრილა. პირ-ნაკლი ზმნაა. ნ. § 565.

გრძნობა. ნ. § 560, გ.

დააქვს. ნ. § 550, ია.

დაკვლა. ნ. კვლა.

დალევა. მონაცვლეა ასპექტში, § 552, ბ.

დამტვრევა. მონაცვლეა პირდ.-ობ. რიცხვის მიხედვით. § 549. II. ი.

დანახვა. მონაცვლე ზმნაა. ენაცვლება „ხედვა"-ს. § 550, ც.

დასხმა: „დასხმა" (ე) მონაცვლეა რიცხვში „დაცემა" ზმნისა (ე): თავს დაეცა— თავს დაესხნენ (§ 549, II დ).

და-ჰ-ქონ-და. ნ. § 550, ია.

დაცემა. „თავს დაცემა" (ე) ენაცვლება რიცხვში „თავს დასხმა"-ს (§ 549, II, დ).

დახოც[ვ]ა. ნ. ხოც[ვ]ა.

დგომა. ბევრი თავისებურება ახლავს:

ა) აწმყოს მრ. რიცხვის მესამე პირში **ან** სუფიქსი **იჩენს თავს: დგ-ან-ან** (§ 559).

ბ) წყვეტილის პირველსა და მეორე პირში ბოლოკიდური **გ** ყრუვდება: ვიდეგ→ვიდექ (§ 557, ა).

გ) „იდგა" ზმნის გავლენით ვნებითის **ი** ჩნდება უზმნისწინო ფორმაში: იდგა (მაგრამ: და-დგა, შე-დგა და სხვა). რაკი „იდგა" მივიღეთ, აქედან მარტივად „ე-დგა" გაკეთდა (მაგრამ: და-უდგა, შე-უდგა და სხვ. (§ 557, ბ).

დ) „ვწევარ" ზმნის გავლენით შეიძლება „ვდგევარ" შეგვხვდეს (§ 557, გ).

ე) მონაცვლეა გვარში: წისქვილი დავაყენე — წისქვილი დადგა (§ 552, ა).

ვ) უზმნისწინოდ ხმარებისას მიმღეობის ფორმაა მ-დგომ-არე, მაგრამ სათანადო ვნებითის ზმნისწინიან ფორმებში — მ-დგარ-ი (ა-მდგარი, და-მდგარ-ი, შე-მდგარ-ი და სხვ.). III სერიის ფორმები უზმნისწინოსაც ამ „მდგარ"-ზე აქვს დაყრდნობილი: მდგარა, მდგარიყო, მდგარიყოს, ამდგარა (ძველად: აღ-დგომილ არს), ამდგარიყო, ამდგარიყოს და მისთ.

დგ, დექ. ნ. დგომა.

დება (*დვ-ება). აწმყოს ფორმებია: ვდებ, სდებ, დებს და შემდგომი. წყვეტილში აღდგება ძირეული **ვ**: და-ვ-დევ(ი), და-ს-დევ(ი), და-დვ-ა. ამისი ვნებითია: იდება, იდვა. ვნებითის ფორმები ენაცვლება „ძევს" ზმნას, მაგრამ ისე, რომ იმისი აწმყო ამისთვის მყოფადი იქნება (განსხვავება იქნება სათანადოდ I სერიის სხვა მწკრივებშიც): ძევს — იდება — იდვა— დებულა (§ 550, თ).

მოქმედებითის ფორმები ძველად რიცხვში მონაცვლე იყო პირდა-პირ-ობიექტური პირისთვის (ვნებითში სუბიექტურისთვის), რომლის ნაშთი შეიძლება სადმე კილოებში ეხლაც შევხვდეთ (§ 549, II, თ).

დი. უზმნისწინოდ ჩვეულებრივ წყალზე ან სხვა სითხეზე ითქმის. ამ შემთხვევაში ის საშუალ-მოქმედებითია და მე-3 პირის ფორმით იხმარება: წყალი დის, წყალი იდენს, წყალმა იდინა.

სხვა ზმნისწინებით ხმარებისას იგი სიარულს აღნიშნავს და ადამიანსა და ცხოველებზედაც ითქმის და ყველა პირის ფორმა აქვს: მიდის, შედის, გადის, დადის და მისთ.. ამ შემთხვევაში ის მონაცვლეა, ოღონდ **და** ზმნისწინიანს **ვლ** და **არ** ფუძეები ენაცვლება, ორივე უზმნისწინოდ: დადის — ივლის — იარა (§ 550, ი).

სხვა ზმნისწინებით ხმარებისას კი მას **ვალ, ვედ (ვიდ)** ფუძეები ენაცვლება სათანადო ზმნისწინებით: მოდის, მოვა, მოვიდა, მოვიდეს და მისთ. (§ 550, დ). ესენი სრულ-ასპექტიანი ზმნებია. დიალექტებში შესაძლებელია **მო** და **მი** ზმნისწინიანი ფორმები: მომდინარა, მომდინარიყო, მომდინარიყოს (ან:მოდენილა, -ილიყო, -ილიყოს).

დნობა. წყვეტილსა და I თურმეობითში შეიძლება **ვ** ჩაერთოს ფუძეს: დავადვენე (მაგრამ: დაადნო, დავადნო, ო-ს გამო); დამიდვენია. სალიტ. ენისთვის ჩაურთველობა სჯობს.

ვალ. ამ ფუძის ზმნებს ბევრი თავისებურება ახლავს:

ა) უზმნისწინოდ აღარ იხმარება.

ბ) შემონახული აქვთ ხანმეტობის ნაშთი: **ხ**-ვალ (§ 555).

გ) მესამე პირში ეკარგებათ უკანასკნელი თანხმოვანი პირის ნიშნით ურთ: მოვა(ლს) (§ 558).

დ) როცა ზმნას **მო** ზმნისწინი აქვს (ზოგჯერ აგრეთვე **წა**-ც), მას ზრდილობიან ლაპარაკში 1-ლი პირის ფორმაში „გეახლები" ენაცვლება (§ 554, ე).

ე) საერთოდ კი **ვალ** ფუძის მონაცვლე ფუძეებია **დი** და **ვიდ** (უკანასკნელი წყვეტილის 1-ლსა და მე-2 პირში **ვედ**-ის სახითაა წარმოდგენილი) (§ 550, დ). სახელზმნები **ვალ** ფუძეზეა დაყრდნობილი: ს-**ვლ**-ა, მა-**ვალ**-ი; სა-**ვალ**-ი, *(მო)-ს-ლვ-ულ-ი→(მ-ო)-ს-რულ-ი→(მო)-სულ-ი. აქედან: *სულ: მო-სულა, წა-სულა, შე-სულა და სხვ.

მავალ-სავალის პარალელურად გვხვდება საწყისისაგან ახლად ნაწარმოები ფორმები: (მო)მსვლელი, (მო)სასვლელი; წამსვლელი, წასასვლელი და მისთ.. „ვალ“ ფუძე გამოყენებულია მარტო მყოფადში და III სერიის მწკრივებში (სადაც ერთ-პირიან ფორმებს ფონეტიკური ცვლილება ახლავს): მოსულა (←*მოსლვულა), მოჰსვლია.

ვარგა. ნ. § 565.

ვარდ-ნ-ა. მონაცვლე ფუძეა რიცხვსა და გვარში. იხმარება მხოლობითში, მრავლობითში „ცვივ-ნ-ა“ ენაცვლება (§ 549, I, ბ). იხმარება ვნებითად, მოქმედებითში „გდება“ ენაცვლება (§ 552, ბ).

ვედ, ვიდ. ერთად-ერთი ფუძეა, რომელიც განსხვავებულია პირთა მიხედვით წყვეტილში: 1-ლსა და მე-2 პირში **ვედ** იხმარება, მე-3-ში — **ვიდ:** მოვედი, მოხვედი, მოვედით, მოხვედით; მოვიდა, მოვიდნენ. სამაგიეროდ სხვაგან ყველა პირში **ი** არის: მოვიდე, მოხვიდე და შემდგომი. ბრძანებითის ფორმა, რა თქმა უნდა, ენიანისაგან არის მიღებული: მოვედ→ →მოედ→მოდი.

ქართლში **ვედ**-ის ნაცვლად **ველ** იხმარება: მო-ველ(ი), მო-ხველ(ი):

„სვეტი-ცხოველო, ცხოველო,
შენ სალოცავად მ ო ვ ე ლ ო“ (ხალხური)

(ა. ხახანაშვილი, ქართულის სიტყვიერების ისტორია უძველესი დროიდგან მე-XVIII საუკ. გასულამდე. 1913, 68).

ასეთი ფორმები გვხვდება უფრო ადრეც, მაგ. «რუსუდანიანში»: წამოხველ, წარხველ (1957 წ. გამოც., გვ. 22).

მონაცვლე ფუძეა. იხმარება მარტო II სერიის მწკრივებში, სხვაგან **დი** და **ვალ** ენაცვლება (§ 550, დ).

ვალ-სავით **ვედ—ვიდ**-საც **ხ**ანი აქვს შემორჩენილი მე-2 პირის ნიშნად ხანმეტობის დროიდან (მო-**ხ**-ვედ).

ზრდილობიან ლაპარაკში „მოსვლა“ ზმნის პირველი პირის ფორმის ნაცვლად „ხლება“ ზმნა იხმარება მე-2 პირის მიმართებით, მაგრამ ერთი პირის გაგებით: გეახელ(ი), გეახლო (§ 554, ე).

ვნება. აწმყოს წრეში ზმნას ფუძის წინ ხმოვანი არა აქვს, მყოფადის წრესა და II სერიაში კი **ა**-ს მიიღებს: ჰ-ვნებს — **ა**-ვნებს, **ა**-ვნო (§ 560, ბ).

ზამ. ნ. **ზმა.**

ზი. მონაცვლე ფუძეა რიცხვსა და მწკრივში: ვზივარ — ვსხედვართ; ვზივარ — ვიჯედ(ი). (§ 549, I, ა; 550, გ); ძვირად მიზის — ძვირად (და)მიჯდა.

ზმა. იხმარება მარტო მყოფადის წრეში სათავისო და სასხვისო ქცევის ფორმით (ვიზამ, ვუზამ), სხვაგან მას ენაცვლება „შრომა“ და „ქმნა“ (§ 550).

თბილა. იხმარება მხოლოდ I სერიის მწკრივებში. ერთ-პირიანია, მაგრამ მყოფადის წრის მწკრივები ენით აქვს ნაწარმოები: **ე**-თბილება (§ 565).

თრობა. ამ ზმნაში ონის გავლენით თემის ნიშნისეული **ვ** იკარგება გარკვეულ ფორმებში: ვათრობ, დაათრო, დავათრო, თრობა, მაგრამ იგი სხვაგან

ყველგან ჩანს: ვთვრები, დავთვერ(ი), დათვრა, მთვრალი (§ 459, 3). ძველად მ თ რ ვ ა ლ ი ითქმოდა.

ვნებითი ინითაც აქვს ნაწარმოები: ითვრება, დაითვრა.

თქმა. ფუძისეული **ვ**, რომელიც პირიან ფორმებში ჩანს (ვთქვი, ვთქვა, მითქვამს და სხვ.), იკარგება სახელზმნებში, რადგანაც თემის ნიშნიდან ამოღებულია ხმოვანი **ა** და სუფიქსისეული **მ** უშუალოდ მოსდევს ფუძისეულ **ვ**-ს: თქმა, თქმული, სათქმელი (მაგრამ: ნა-თქვ-ამ-ი).

უზმნისწინოდ I სერიაში არ იხმარება, მაგრამ ზმნისწინის დართვით — კი: დავთქვამ, აღუთქვამ, გადავთქვამ, წარმოვთქვამ. **შე**-თი ძველად იხმარებოდა ვნებითის ფორმით („შეითქუნეს"), აქედან: „შეთქმული" და „შეთქმულება".

უზმნისწინო „თქმა"-მ სრული ასპექტი შემოირჩინა ძველადგან (§ 337). იგი მონაცვლე ზმნაა მწკრივებში: აწმყოს წრეში „ვამბობ" ენაცვლება, მყოფადისაში — „ვიტყვი": ვამბობ — ვიტყვი — ვთქვი (§ 550, ვ).

ორ-პირიანია, ირიბ-ობიექტური პირიც რომ იქნეს ფორმაში, სხვა ფუძეს უნდა მივმართოთ: ვთქვი — ვუთხარ (§ 553, ბ).

„მითქვიდი"-ს შესახებ ნ. § 402. გ.

თხრობა. ამის ფუძისაგან სასხვისო ქცევით ნაწარმოებმა ფორმებმა II სერიის მწკრივებში შეცვალა ძველი „ვარქუ", „ვჰრქუა" და სხვა სამ-პირიანი ფორმები. ამიტომ თუ ძველად აგებულების თვალსაზრისით ერთმანეთს ენაცვლებოდნენ 2-პირიანი „ვთქუ" და 3-პირიანი „ვარქუ", ამჟამად ენაცვლებიან: „ვთქვი" და „გითხარი", „ვუთხარ(ი)", „ვთქვა" და „გითხრა"; „ვუთხრა" და მისთ. (§ 553, ბ).

ასპექტი სრული აქვს, მიუხედავად იმისა, რომ უზმნისწინოა (§ 337).

ვ-იცი. ნ. ცოდნა.

კალ. ნ. კვლა.

კბენა. ნ. § 560, დ.

კვდომა. მონაცვლე ზმნაა რიცხვსა და გვარში:

ვ-კვდები — ვიხოცებით, მოვკვდი — დავიხოცენით (§ 549, ე).

ვკვდები — ვკლავ (§ 552, გ).

კვლა (←**კლვა**). მონაცვლე ზმნაა რიცხვსა და გვარში. რიცხვში „ხოცა"-ს ენაცვლება პირდ.-ობიექტური პირების მიხედვით: ვკლავ — ვხოც(ავ), მოვკალი, დავკალი — დავხოცე (§ 549, II, გ).

ვნებითი გვარის ფორმები **მო** ზმნისწინით არ იხმარება და ამ შემთხვევაში „კვდომა" ენაცვლება: მოკლა — მოკვდა (§ 552, გ).

კლება. ამ ფუძის საშუალი ზმნა აწმყოში სტატიკურთა დაბოლოებაზეა გადასული, უწყვეტელსა და აწმყოს კავშირებითში ძველი წარმოება აქვს: აკლია — აკლდა, აკლდეს (§ 564).

კმარა. წარმომდგარია „კმა არის"-აგან. აქვს ზოგიერთი თავისებურება (§ 565).

კოცნა. აწმყოს წრეში წინ ხმოვანი არ უნდა, მყოფადის წრესა და II სერიაში მიიღებს **ა**-ს: ვჰ-კოცნი, ვ-ა-კოცებ, ვ-ა-კოცე. ამას გარდა, თემის ნიშანიც სხვადასხვა აქვს აწმყოსა და მყოფადში: ვჰკოც-ნ-**ი**, ვაკოც-**ებ** (§ 560).

ლაღობა: ეს ზმნა „გალობის" მსგავსად თემის ნიშანს ინარჩუნებს II სერიის

ფორმებში: ილაღობეს, ველაღობე, ველაღობნეთ (ვეფხ.).

ლბობა. ნ. § 561, ა.

ლოდინი (ლოდნა). იხმარება მარტო აწმყოს წრეში ვნებითად: ვე-ლ-ი, ვე-**ლოდ**-ი, ვე-ლოდ-ე. ფუძეა (და ამავე დროს ძირიც) **ლ, ოდ** კი სავრცობია. სახელზმნა ამ გაფართოებული (**ოდ**-დართული) ფუძისაგან არის ნაწარმოები: ლოდინი, ლოდნა. [შდრ. ამ მხრივ ცოდნა]. ლოდინი←*ლოდ-ილ-ი (§ 458, ე).

ზოგიერთი მწერალი (მაგ., ა. ყაზბეგი) სავრცობიან მწკრივებში ორ **დონს ხმარობს** (ველოდდი, ელოდდი, ელოდდა; ველოდდე და შემდგომი), მაგრამ ასეთი ფორმა სალიტერატურო ენაში ვერ გამოდგება.

მიიღებს ზმნისწინსაც (მოველი, მოველოდი, მოველოდე), მაგრამ ზმნა მაინც აწმყოს წრეში დარჩება, მყოფადისაში არ გადავა. ამისი საწყისია „მოლოდინი", რომელიც „ლოდინისაგან" დიდად არ განსხვავდება მნიშვნელობით: „მოლოდინი არ გაუმართლდა"; „ელოდნენ, ელიან და კვლავ ექნებათ მოლოდინი" (ვაჟა).

სულ სხვაა „ველოდები": საერთო წესის თანახმად, ზმნისწინის დართვა მას მყოფადის წრეში გადაიყვანს: მოველოდები, დაველოდები. მეორე მათგანს II სერიის ფორმებიც აქვს: დაველოდე, დაველოდო. III სერიის ფორმათა წარმოება კი იმისგანაც ჭირს და ამისგანაც.

ლპობა. ეკარგება დასაწყისი თანხმოვანი ვნებითის მიმღეობაში და აქედან ვნებითის III სერიის ერთ-პირიან ფორმებში: დამპალ-ი (←*დამლპარი), დამპალა, დამპალიყო (§ 561, ა).

ლხობა ონის მეზობლობაში, საერთო წესის თანახმად, ეკარგება ფუძისეული ვ (წარმოშობით უმარცვლო **უ**), რომელიც **ხ**ანს მოსდევს: ვალხობ, მაგრამ ლხვება; გაალხო, გაალხოს, მაგრამ: გალხვა, გალხვეს და მისთ. (§ 459,3).

ეკარგება პირველი თანხმოვანი ვნებითის მიმღეობაში და აქედან ვნებითის III სერიის ერთ-პირიან ფორმებში: გამხვალ-ი (←*გამლხვარ-ი); ყინული გამხვალა, გამხვალიყო (§ 561, ა).

მოიპოვება დიალექტური ვარიანტი ლღობა (*ლღვობა).

მაქვს. ნ. ქონა.

მბობა. ნაწარმოებია „ამბავ" სიტყვისაგან. მისი საწყისი „ამბობა" უნდა იყოს, და არა „მბობა". ნ. ვ-ამბობ.

მზერა. ერთი სამ ზმნათაგანია (მზერა, ცქერა, ყურება), რომლებიც ასპექტში ენაცვლებიან „შეხედვა"-ს (§ 551, გ).

მიაქვ. ნ. ტანა, ღება.

მირთმევა, ი. მორიდებულ ლაპარაკში ენაცვლება „ჭამა" ზმნას მეორე სუბ. პირში: მიირთვი (=ჭამე) (§ 554, ვ).

ა. ნ. რთმევა.

მიტანა, ი, ი/უ. ნ. ტანა.

მიცემა. ენაცვლება ასპექტში „ძლევას" (§ 551, ა): „მიცემა" **სრული** ასპექტისაა, „ძლევა" — უსრულისა.

მოკვდომა. ნ. კვდომა.

მორთმევა, ა. ნ. რთმევა.

მოტანა, ი, ი/უ. ნ. ტანა.

მოყვანა, ი, ი/უ. ნ. ყვანა.

მტვრევა. ნ. § 555.

მშია. ფუძეა **მშ** (ვა-**მშ**-ევ, და-ი-**მშ**-ა, *სი-**მშ**-ილი→შიმშილი). ამიტომ პირველ ობ. პირში მოსალოდნელია *მმშია (როგორც „მმართებს“), მაგრამ ორი **მ**ანისგან ერთი იკარგება. ერთი დარჩენილიც პირვ. პირის ნიშნად იქნა გაგებული და სხვა პირებში ჩამოშორდა: მ-შია, გ-შია, ჰ-შია, გვ-შია (§ 561, გ). უკვე ეფრემ მცირის ნაწერში ვკითხულობთ: „შიმშილ ღმრთისა არს ცხორებაჲ კაცთა ნათესავისაჲ, რომლისათჳს მარადის შ ი-ი ს და არა ოდეს განძღების“.

აწმყოს ფორმაში ძველად **ის** დაბოლოება იყო, იგი **ა**-დ გადაკეთდა და ზმნა სტატიკურებს დაემსგავსა: მშიის→მშია. ძველი წარმოება სავრცობიან მწკრივებში დარჩა: მშიოდა, მშიოდეს (§ 564).

მყოფადის წრის ფორმებია: მეშიება, -ოდა, -ოდეს. II სერიის ფორმები აკლია. III სერიის ფორმებია: მშიებია, -ოდა, -ოდეს.

აღნიშნული ფორმები უსრული ასპექტის გაგებას გვაძლევს. სრულისას იმავე თავკიდურ-ჩამოცლილი ფუძის ზმნა ასრულებს **მო** ზმნისწინით და ვნებითის გვარით: მომაში[ვ]ებს — მომშივდება, მომშივდა, მომშივნია.

მხობა (მხვობა, ვა-მხობ, § 459). მიღებულია „მჭუება“-საგან. ფუძისეული **ვ**· (უმარცვლო **უ**-საგან მიღებული) აღდგება, თუ მას არ მოსდევს **ო**: დავამხვე, დაუმხვია.

ნახვა. ზმნისწინი არა აქვს, მაგრამ სრული ასპექტისაა (§ 337). მონაცვლეა. აწმყოს წრეში მას „ვხედავ“ ენაცვლება (§ 550, ც).

ნდომა. ძველი ფუძე იყო **ნ**, მაშინ **დ** სავრცობი იყო, მაგრამ შემდეგ ფუძეს შეუერთდა და ახალი ფუძე მოგვცა: **ნდ**. იულლვის სახვისო ქცევით: მინდა, გინდა, უნდა და სხვ. „მინდა“ წარმოშობით უწყვეტელია, რომლის წარმოება პირველ და მეორე სუბ. პირებშია შემონახული: ვუნდი-ვარ, უნდი-ხარ (§ 555). მეშველი ზმნა მე-3 პირში საზოგადოდ არ იხმარება, მაგრამ ფშაურში ამ ზმნასაც აქვს: „უნდარის“ („ხან სმა უნდარის ღვინისა, ხანდახან შამღერნებაო“, თ. რაზ., ფშ. გვ. 125).

რაკი უწყვეტლის ფორმა აწმყოსად იქცა (§§ 285, 555, ა), უწყვეტელი ხელ-ახლა იქნა ნაწარმოები: მინდოდა. ამით გადაწყდა აწმყოს კავშირებითის ბედიც ახალი წარმოების სასარგებლოდ: მინდოდეს (ძველად იყო: მინდა, მინდეს).

მყოფადის წრის ფორმები **ე**ნით არის ნაწარმოები საწყისისაგან: მენდომება, -ოდა, -ოდეს. II სერიის ფორმები აკლია. III -ისაა: მნდომია, მნდომოდა, მნდომოდეს. აქ თანხმოვანთა თავმოყრის გამო ჩვეულებრივ იკარგება ფუძისეული **ნ** და ზმნის დასაწყისად **დ** რჩება. ამის გამო მის წინ მე-3 ობ. პირის ნიშნად **ს** ჩნდება: მ-დომია, გ-დომია, ს-დომია (მდომნია, გდომნია, სდომნია) (§ 561, ბ).

ნთქმევა. II სერიის ფორმებში იკვეცს ორსავე თემის ნიშანს: ჩავანთქი, ჩა-

ანთქი, ჩაანთქა (§§ 461, 562).

პწკენა. ნ. § 560, დ.

რბი: მი-ვრბივარ, მო-. ესენი აწმყოს წრეში იხმარება (მივრბოდი, -ოდე), სხვაგან მათ „გავიქცევი“ და „გამოვიქცევი“ ენაცვლება.

რგება. აწმყოს წრეში წინ ხმოვანი არა აქვს, მყოფადის წრესა და II სერიაში მიიღებს ა-ს: ვ-ჰ-რგებ, ვ-ა-რგებ, ვ-ა-რგე (§ 560).

რეკა (გა-, შე-, მო- და სხვა). ენაცვლება „გდებას“ პირდაპირი ობიექტის რიცხვის მიხედვით: ცხენი გ ა ა გ დ ო ბალახზე, ცხენები გ ა რ ე კ ა ბალახზე (§ 549, II, ვ.).

რთმევა. ფორმათა წარმოების თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ II სერიის ფორმებში მოიკვეცს ორსავე თემის ნიშანს: მივართვი, მიართვი, მიართვა; წავართვი და სხვ.

მნიშვნელობის თვალსაზრისით კი შემდეგი უნდა ითქვას:

მირთმევა, ი. სათავისო ქცევის ფორმით ეს ზმნა ენაცვლება „ჭამას“ ზრდილობიან საუბარში: ვჭამ, მიირთმევ, ჭამს (ან მიირთმევს); ვჭამე, მიირთვი, ჭამა (ან მიირთვა) და სხვ. (§ 554, ვ).

მირთმევა, მორთმევა, ა. ზრდილობიან ლაპარაკში ენაცვლება „წაღებას“, „მიტანას“, „მიცემას“: მიართვი (=წაუღე, მიუტანე, მიეცი). უფროსი უმცროს მიმართავდა ძველად: მომართვი. მოსე გძელაძე ეუბნება ბიჭს: (ხულა) „გარედამ კლიტით უნდა გადაკეტო და გასაღები აქ მ ო მ ა რ თ ო“ (ჭავ.).

რქენა. ნ. § 560, დ.

რქმევა. II სერიის ფორმებში მოიკვეცს ორსავე თემის ნიშანს. ამას გარდა, აღუდგება **მ**-ანის წინ დაკარგული **ვ**: ვარქმევ — დავარქვი (§ 562).

ამავე ფუძის სტატიკური ფორმის აწმყოში (რომელიც ხოლმეობითია წარმოშობით: § 392), იკარგება **რ**: მ-ქვია, გ-ქვია, ჰ-ქვია, მაგრამ: მე-რქვა, გე-რქვა, ე-რქვა (§ 561, დ).

რჩობა. მიღებულია შ თ ო ბ ა (შ უ დ ო ბ ა) ფორმისაგან (§ 452, ბ). მომდევნო ო-ს გავლენით დაკარგულია **ვ**, მიღებული უმარცვლო **უ**-საგან, რომელიც ძველად ფუძეში იყო (**შუდ**) და შემდეგ ბოლოსკენ გადავიდა (შდუ>შთუ> >რჩვ). იგი აღდგება, თუ არ მოსდევს **ო**: დავარჩვე, არ დამირჩვია, მაგრამ: სა-რჩ-ობელა.

რცხვენა. გვაქვს: სი-რცხვ-ილი, უ-რცხვ-ი, მო-რცხვ-ი. ამის მიხედვით უნდა გვქონდეს და გვაქვს კიდეც: მ-რცხვენია (ძვ. ქ. მ-რცხუენის), გ-რცხვენია და შემდგომი (§§ 35 ა, 459,ბ). მაგრამ უფრო ხშირად **რ** იკარგება, რის გამო მესამე ობ. პირში **ჰ**-ის ნაცვლად **ს** ჩნდება: მ-ცხვენია, გ-ცხვენია, ს-ცხვენია (თუ **რ** შენახულია, მაშინ ობ. ნიშანი იქნება **ჰ**, რომელიც გამოთქმაში შეიძლება დაიკარგოს: ჰრცხვენია, რცხვენია (§ 561).

რწამ (რწმენა). ზოგჯერ ეკარგება **რ**: მრწამს, გრწამს, ჰრწამს, ან: მწამს, გწამს, სწამს („ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებსო“, ანდ.) (§561, დ). აქვს მარტო აწმყოს წრის მწკრივის ფორმები (მრწამდა, მრწამდეს).

რჭობა (*რჭვობა). დაკარგული ფუძისეული ვ გამოჩნდება, თუ არ მოსდევს **ო**: დავარჭვე, დამირჭვია (§§ 35ა, 459, ბ).

რჯა. ვამბობთ: ვი-რჯები, ი-რჯები („რატომ ირჯები"?), ი-რჯება და შემდგომი, მაგრამ ამასთანავე: გა-ვი-სარჯე, გა-ი-სარჯე, გა-ი-სარჯა და შემდგომი, ე. ი. ისე გამოდის, თითქო II სერიის ფორმებს თავში ემატებოდეს **სა:** გავი-**სა**-რჯ-ე. არა, არაფერი არ ემატება. საქმის ვითარება ასეთია: „რჯა" წარმომდგარია „სჯა"-საგან: უსჯები→ვირჯები და სხვა (§ 35, ა). ფუძეა **საჯ,** რომელიც აღდგება II სერიის მწკრივებში: ***გა-ვი-საჯ-ე.** მაგრამ რაკი შეკუმშულ ფორმებში **ჯ**-ს წინ **ს** მოექცა და **რ**-დ იქცა, ეს **რ** II სერიის მწკრივებშიც გადაჰყვა და მივიღეთ შერეული ფორმა: გავი-**სარჯ**-ე, სადაც **რ** ფუძისეული **ს**ანის მონაცვლეა, შეკუმშული ფორმებიდან შეუკუმშავში გადაყოლილი.

სვლა. საწყისია **ვალ** ფუძისა, რომელიც მარტო მყოფადის მწკრივშია გამოყენებული (მო-ხ-ვალ) და სახელ-ზმნებში (აქედან III სერიის მწკრივებში, იქნება ზმნა ერთ-პირიანი, თუ ორ-პირიანი: მოსულა, მოჰსვლია). სხვა მწკრივების ფორმები **დი** და **ვედ/ვიდ** ფუძეთა ფორმებით აქვს შენაცვლებული (§ 550, დ) (ნახე კიდევ ამ სიაში **ვალ**).

უზმნისწინოდ ამჟამად მარტო სახელზმნებში იხმარება: სვლა, მავალი, სავალი.

წარსულ-დროიანი მიმღეობა ვნებითი გვარის ზმნებისებრ აქვს ნაწარმოები: *მო-სლვ-ულ-ი→მო-სლ-ულ-ი→მო-სრ-ულ-ი (დისიმილაციით)→მოსული.

სიარული. ნ. არ².

სკდომა, სქდომა. ნ. ხეთქა.

სლვა. ნ. სვლა.

სმა¹, საწყისსა და მიმღეობებში **ვ** დაკარგულია **მ**ანის წინ: სმა, სმული, მსმელი, სასმელი, უსმელი (ამ ფორმების ნაცვლად შესაბამისად: სვმა, სვმული, მსვმელი, სასვმელი, უსვმელი. ეს **ვ** უმარცვლო **უ**ნისაგან არის მიღებული: სუმა, მსუმელი და სხვ.). თუმცა სრული ასპექტით „შესმა"-ც იხმარება, მაგრამ ჩვეულებრივ „დალევა" ენაცვლება: ვსვამ — დავლევ, ვსვი — დავლიე, მისვამს — დამილევია და მისთ. (§ 551).

იხმარება საზოგადოდ უზმნისწინოდ. შეიძლება დაერთოს **მო** ან **შე:** ამათი დართვით ზმნას ლექსიკური მნიშვნელობა ეცვლება: **მოვსვამ**— ოდნავ დავლევ, ცოტას დავლევ; **შევსვამ** — სულ დავლევ, გამოვცლი.

სმა² (და-, ჩა-, გადა- და სხვ.). მონაცვლე ზმნაა რიცხვსა და გვარში.

ა) რ ი ც ხ ვ შ ი მ ო ნ ა ც ვ ლ ე ო ბ ა პირდაპირი ობიექტის მიხედვით ხდება (თუ ვნებითად მოვაქცევთ, მაშინ სუბიექტისა). იხმარება სხვადასხვა ზმნისწინით: ბავშვი დ ა ვ ს ვ ი — ბავშვები დ ა ვ ს ხ ი; მტრედი ხეზე შ ე ვ ს ვ ი — მტრედები ხეზე შ ე ვ ს ხ ი; წიწილა ბუდეში ჩ ა ვ ს ვ ი — წიწილები ბუდეში ჩ ა ვ ს ხ ი და მისთ.

ბ) გ ვ ა რ შ ი ენაცვლება „ჯდომას": სკამზე დ ა ვ ჯ ე დ ი — სკამზე დ ა მ ს ვ ა, ცხენზე შ ე ვ ჯ ე ბ ი — ცხენზე შ ე მ ს ვ ა მ ს; ძვირად დ ა მ ი ჯ დ ა — ძვირად დ ა მ ი ს ვ ა. „ამბობენ (ოთარაანთ ქვრივმა) გუბერნატორამდე თავის ფეხით იარაო და ერთი ქათამი შვიდეულად დ ა უ ს ვ ა მოურიდებელს გზირსაო" (ჭავჭ.).

სმევა. შუალობითი კონტაქტის ფორმაა „სმა“ ზმნისა, რომელიც რაიმე სითხის დალევას გულისხმობს (ღვინისას, წყლისას და სხვ.), მაგრამ სათანადო მნიშვნელობა ყოველთვის არ ახლავს: „სვა“ და „ვასვი“, („ვირმა წყალი ს ვ ა“, „ვირს წყალი ვ ა ს ვ ი“) არ არის ისეთ ურთიერთობაში ერთმანეთთან, როგორც, ვთქვათ, „მოიტანა“ და „მოვატანინე“ („ვირმა წყალი მ ო ი ტ ა ნ ა“, „ვირს წყალი მ ო ვ ა ტ ა ნ ი ნ ე“). ვ ა ს ვ ი — მივეცი დასალევად.

სალიტერატურო ენაში **ევ** სუფიქსი არ გადაჰყვება II სერიის ფორმებში, მაგრამ მასთან ერთად მოეკვეცება მის წინ მდგომი მეორე სუფიქსიც **(ა)მ**: ვასმევ— ვასვი. **ევიან** ზმნათა უღლების საზოგადო წესს ეს ზმნა (და აგრეთვე „ჰმევა“) მთის კილოებში მისდევს: ვასმიე, ვაჰმიე.

სმენა. გარდაუვალად ვნებითის ფორმა აქვს და მარტო ობიექტური წყობით იხმარება, ისიც უფრო აწმყოს წრესა და III სერიაში: მესმის, მესმოდა, მესმოდეს; მსმენია, მსმენოდა, მსმენოდეს; II სერიაშიც იხმარებოდა წინათ („ხმა მ ე ს მ ა ძილსა შინაო“, გურამ.).

სობა. მიღებულია „სვ-ობა“-საგან. ო-ს წინ დაკარგული **ვ** (უმარცვლო უნისაგან მიღებული) აღდგება: ასვია, დავასვე (§ 459, ბ).

სწავლა. ნ. სწავლება.

სწავლება. რაკი საწყისი **ება**ნია, აწმყოს ფორმა უნდა იყოს „ვასწავლებ“, მაგრამ ამის ნაცვლად გვაქვს „ვასწავლი“ (ამიტომაა, რომ „ვასწავლობ“ ზმნა მყოფადში „ვისწავლი“-ს გვაძლევს). **ებ** აღდგება III სერიაში: მისწავლებია, მესწავლებინა, მესწავლებინოს. ასეთი შეუსაბამობა იმით აიხსნება, რომ ძველად აწმყოს ფორმა იყო „ვასწავებ“, რომლის თემის ნიშანი III სერიაშია შემორჩენილი.

სწავლა კი ასეთ ფორმებს გვაძლევდა: ვისწავებ, ვისწავე, მისწავიეს. ამათგან აწმყოს ფორმა შეიცვალა, მის გამოსავლად საწყისი იქნა აღებული: სწავლა — ვსწავლობ. აქედან **ლ** ყველა ფორმაში იქნა გატარებული: ვისწავლე, მისწავლია (§ 529).

ძირია **წ, ავ** კი თემის ნიშანი ჩანს წარმოშობით, რომელსაც ენაცვლება **აფ** („მო-წ-აფ-ე“-ში). თავში **ს** არის განვითარებული „სწრაფ“-ის მსგავსად (ი-წრაფ-ა, მაგრამ: ს-წრაფ-ი): ს-წ-ავ-ლ-ა (§ 477).

სხდომა. მონაცვლე ზმნაა, პირიანი ფორმები იხმარება მრავლობით რიცხვში (ან კრებით სახელთან მე-3 პირის მხოლობითში), უპირო კი შეეხება მრავალს (ან კრებითს). მხოლობითში ენაცვლება **ზი** და **ჯდ (ჯედ)** ფუძეთა ზმნები: ვზივარ — ვსხედვართ; ვჯდები — ვსხდებით; ვიჯედ(ი) — ვისხედით და მისთ. (§ 549, I, ა).

ამ ზმნის **სხ** კავშირშია მომდევნო ზმნის ფუძესთან.

სხმა. მონაცვლე ზმნაა, იხმარება მრავლობითში; მხოლობითში, ლექსიკური მნიშვნელობის მიხედვით, სხვადასხვა ფუძის ზმნა ენაცვლება:

ა) **სმა — სხმა:** დავსვამ — დავსხამ; ჩავსვი — ჩავსხი და მისთ. (§ 549, II, ბ).

ბ) **ბმა — სხმა:** მოიბა — მოისხა, დაისხა; **სიხარულისაგან ფრთები**

შეესხა (აქ ზმნა ვნებითია და შენაცვლება სუბ. პირის მიხედვით არის).

გ) **ყვანა — სხმა.** ითქმის ადამიანთა ძალით წაყვან-წამოყვანაზე საქონელივით: ტყვე წაიყვანა — ტყვეები წაასხა; შაჰ-აბასმა დიდძალი ქართველობა წაასხა სპარსეთში (§ 549, II, ზ).

დ) **თავს დაცემა — თავს დასხმა** (§ 549, II, დ).

ე) **დადება — დასხმა:** ქელი დადვა — ქელნი დაასხნა (ძვ. ქართ.).

ტანა. უზმნისწინოდ იშვიათად იხმარება („ვერ ვიტან სიცივეს“), უმეტესად ზმნისწინი ერთვის (მი-, მო-, შე-, ა- და სხვა) და სრულ-ასპექტიანი ხდება. მონაცვლეა:

ა) მიმაქვს — მივიტან; შემაქვს — შევიტან; გამომაქვს — გამოვიტან და სხვა, მაგრამ „დამაქვს“, — ამას არ ენაცვლება არც ეს ზმნა და არც სხვა რომელიმე (§ 550, ია).

ბ) სამ-პირიან „მიტან-მოტანას“ ზრდილობიან საუბარში სამ-პირიანივე „მირთმევ-მორთმევა“ ენაცვლება (§ 554, ც).

ტეხა. ვნებითის ფუძე ჰშორდება მოქმედებითისას ფონეტიკურად (§ 563, ა).

პირველადი ზმნაა, მაგრამ ვნებითს **დ**ონით აწარმოებს: ვ-ტეხ — *ვ-ტხ-**დ**-ები→ვ-ტყ-**დ**-ები (§ 357).

გარკვეულ შემთხვევაში თითქო შეიძლება შეენაცვლოს მრ. რიცხვში „მტვრევა“ (* 549, II, ი).

ტყდომა. ვნებითის ფორმები დაშორებულია ფონეტიკურად მოქმედებითის ფორმებისაგან (* 563).

ტყობა (*ტყვობა). **ო**-ს წინ დაკარგული **ვ** აღდგება: შევატყვე, ატყვია (§ 459, ბ).

ტყვ. ახლავს რამდენიმე თავისებურება:

ა) მესამე თანხმოვანი ამ ფუძისა (**ვ**, წარმოშობით უმარცვლო **უ**) მაშინ ჩანს, თუ არ მოსდევს **ო**: ვი-ტყვ-ი, მაგრამ: ვი-ტყ-ოდი, ვი-ტყ-ოდე.

ბ) ზმნისწინს არ მიიღებს, მაგრამ სრულ-ასპექტიანია (§ 337).

გ) დეპონენსია: ფორმა ვნებითისა აქვს და მნიშვნელობა — მოქმედებითისა (§ 366).

დ) მონაცვლეა: იხმარება მარტო მყოფადის წრეში, სხვაგან კი ენაცვლება: თუ ზმნა ორ-პირიანია, — „მბობა“ (აწმყოს წრეში) და „თქმა“ (II და III სერიაში); და თუ სამ-პირიანია, — „უბნობა“ („ვეუბნები“, აწმყოს წრეში) და „თხრობა“ („ვუთხარ“, II სერიაში) (§ 550, ვ, ზ).

ამავე ფუძის ძველი წარმოებიდან შემორჩენილია: „სიტყვა“ და „მეტყველი“ (აქედან: „მეტყველება“).

უწყ: „უწყის“. იხმარება მხოლოდ აწმყოს წრეში. აწმყოს ფორმა წარმომობით II ხოლმეობითია, როგორც ამას სინტაქსური კავშირი აჩენს: „ალჰმა უწყის“. სხვა მწკრივები: უწყოდა, უწყოდეს (§ 555).

ფქვა. ავიანი ზმნაა და მესამე თანხმოვნად უბრჯგუსგან მიღებული **ვ** აქვს. ვ-ფქვ-ავ, და-ვ-ფქვ-ი, სა-ფქვ-ავ-ი (ითქმის აგრეთვე: ვფქავ, საფქავი) და სხვ.. ვნებითი გვარის მიმღეობაში ეკარგება არა მარტო თემის ნიშნის **ვ**, არამედ ფუძისეულიც: და-ფქ-ულ-ი; ნა-ფქვ-ი, მაგრამ: უნაფქო.

ქეც. ნ. ქცევა.

ქვ: ჰქვია ნ. **რქვ** (რქმევა-სთან).

ქვ, ქონ (←ქუან). პირვანდელი ფუძე **(ქუ→) ქვ** ამჟამად იხმარება მარტო აწმყოში, სხვაგან კი ყველგან გაფართოებულია **ან** სუფიქსით (§ 559). ითქმის უსულო საგნების მიმართ; სულიერზე თუ საუბარი, მაშინ „მყავს“ უნდა.

ფორმათა წარმოება: მოეპოვება აწმყოს წრისა და III სერიის მწკრივები: მაქვს, მქონდა, მქონდეს; მქონია, მქონოდა, მქონოდეს (არის პარალელური ფორმაც: მქონებია, მქონებოდა, მქონებოდეს. ზმნისწინიან ფორმებში მხოლოდ **ებიანი** გვხვდება: მიჰქონებია).

უზმნისწინოდ ხმარებისას ერთი მნიშვნელობა აქვს, ზმნისწინით — სხვა (არსებითად, მეორე მნიშვნელობაც პირველიდან გამომდინარეობს).

ა) უზმნისწინო „მაქვს“ მწკრივებში მონაცვლე ზმნაა: მყოფადის წრეში ენაცვლება „ქმნა“ ზმნის ორ-პირიანი ვნებითის ფორმები: მექნება (§ 550, ა). II სერიის ფორმები აკლია და არც შენაცვლება ხდება. ამას გარდა, გარკვეულ შემთხვევაში ის ენაცვლება „არის“ ზმნას (§ 553, ბ).

ბ) ზმნისწინით ხმარებისას მონაცვლე ხდება მწკრივებში **ღება** და **ტანა** ზმნებისა: მიმაქვს — წავიღებ, მივიტან; მომაქვს — წამოვიღებ, მოვიტან; გამაქვს — გავიტან და სხვ. (§ 550, ია).

ქმნა, ქნა. თანხმოვანთა თავმოყრის გამო ჩვეულებრივია **მ**ანის დაკარგვა (ვქენი, უქნია). იკარგება უკანასკნელი თანხმოვანიც აწმყოში (ვიქ) და მისგან ნაწარმოებ მწკრივებში (ვიქდი, ვიქდე) (§ 561, ე).

ფორმები სხვადასხვაგვარად აქვს ნაწარმოები I-სა და II სერიაში: ვ-ი-ქ(მ), მაგრამ ვ-ქენ(ი) (§ 560, ა).

აწმყოს ფორმას მყოფადის გაგებაც აქვს (§ 246). ამ აწმყო-მყოფადში მე-3 პირის ფორმა მრ. რიცხვში თავისებურია: ვიქ, იქ, იქს, ვიქთ, იქთ, **იქმენ** და **იქმონენ.** უკანასკნელი ფორმა ჩვეულებრივია ამჟამად ქართლში და ძველადაც გვხვდება (მაგ., «რუსუდანიან»-ში: „უცოდნელობით ი ქ მ ო ნ ე ნ ო“, 32, 21); მიმოსნი „თავთა თხემთა ზედა გრდემლთა დაიდებენ და ზედან მჭედელნი ჭურჭელთა ი ქ მ ო ნ ე ნ“ (ს. ორბ. ლექსიკონი, **მიმოს**-თან).

მონაცვლეა მოქმედებითშიც და ვნებითშიც: მოქმედებითის ფორმა იხმარება II სერიაში (ვქენი, ვქნა) და III-ში (მიქნია, მექნა, მექნას). I სერიაში ენაცვლება „ვშვრები“ (აწმყოს წრეში) და „ვიზამ“ (მყოფადისაში) (§ 550, ე). ვნებითის ფორმით ენაცვლება მყოფადის წრეში „ვარ“ და „მაქვს“ ზმნებს: პირველს ერთ-პირიანი ფორმით (ვარ — ვიქნები), მეორეს — ორ-პირიანით (მაქვს — მექნება) (§ 550, ა, ბ).

ქონ. ნ. ქვ.

ქცევა. ამ ზმნის ძირითადი ლექსიკური მნიშვნელობა **გა** და **გამო** ზმნისწინით ხმარებისას სულ სხვაა, ვიდრე სხვა ზმნისწინებით ხმარებისას. შდრ. ერთი მხრით: დაიქცა, წაიქცა, ჩაიქცა, ჩამოიქცა და მეორე მხრით:

გაიქცა, გამოიქცა. **გაქცევა**-სა და **გამოქცევა**-ს **მირბის და მორბის** ენაცვლება (შესაბამისად), რომლებიც მარტო აწმყოს წრეში იხმარება:

მირბის — გაიქცევა, გაიქცა, გაქცეულა.
მორბის — გამოიქცევა, გამოიქცა. გამოქცეულა.

ღება. „წაღება" და „წამოღება" მონაცვლეებია მწკრივებში „მიმაქვს" და „მომაქვს" ზმნისა: მიმაქვს — წავიღებ, მომაქვს — წამოვიღებ (§ 550, იაა).

„ღება" (აღ-ღება, გან-ღება და სხვა) მონაცვლე იყო ძველად რიცხვში პირდაპირი ობიექტის მიხედვით: „ღება" იხმარებოდა მხოლობითში, მრავლობითში მას ენაცვლებოდა „ხუმა" (აღ-ხუმა, გან-ხუმა და სხვ.) (§ 5550, II, ტ). ამჟამად ასეთი შენაცვლება აღარ გვაქვს, მაგრამ ითქმისო: ქვა *ავიღე*, ქვები *ავკრიფე* (§ 549, II, ი).

ღიარ. ნ. არ^{3}.

ყავ^{1}. ნ. ყოფა.

ყავ^{2}, ყოლა (←ყვ-ოლა). „ყავ" ფუძის ხმარება გარდაუვალ ზმნებში სრულ ანალოგიას წარმოადგენს **ქვ/ქონ** ფუძის ხმარებისას (ოღონდ **ქვ/ქონ** უსულო საგნებზე ითქმის, „ყავ" კი — სულიერებზე): პირვანდელი ფუძე (ყავ) ამასაც გაფართოებული აქვს **ან** სუფიქსით (§ 559), მაგრამ მისი ხმარება უკვე შეზღუდულია: შეიძლება ითქვას როგორც „მყვანდა" და „მყვანდეს", ისე „მყავდა" და „მყავდეს". უკანასკნელი უფრო გავრცელებულიცაა. სამაგიეროდ, თუ **ქვ** ფუძის გაფართოებული სახე აწმყოში („მქონან") ამჟამად აღარ იხმარება. გაფართოებული „ყვ-ან" შეიძლება დღესაც შეგვხვდეს: „მყვანან" (ძმა მყავს, ძმები მყვანან).

უზმნისწინოდ ხმარებისას ერთი მნიშვნელობა აქვს, ზმნისწინით — სხვა (თუმცა კი ეს მეორე მნიშვნელობა პირველისგანაა განვითარებული).

ა) უზმნისწინო „მყავს" იხმარება მარტოოდენ აწმყოს წრის მწკრივებში: მყავს, მყავდა (მყვანდა), მყავდეს (მყვანდეს). მყოფადის წრესა და III სერიაში ფორმებს იკეთებს მედიოპასივ ზმნათა კვალობაზე: მეყოლება, -ოდა, -ოდეს; მყოლია, მყოლოდა, მყოლოდეს.

II სერიის ფორმები აკლია (ძველად კი ჰქონდა: მყვა („შავი ცხენი სადავითა ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა". ვეფხ.), ხოლო „მეყოლა", „მეყოლოს" თუმცა ამ ზმნის ფორმაა, მაგრამ სხვა მნიშვნელობა მიიღო: „ვაჟი ეყოლა" (= ვაჟი გაუჩნდა).

მონაცვლეა აგებულების მიხედვით: „ავადმყოფი ნახული-ა [ა = არის] ჩემგან" ამის ნაცვლად უფრო ეს ითქმის: „ავადმყოფი ნახული მყავს" (§ 553, ა).

„ვწევარ" ზმნის გავლენით პირველსა და მეორე სუბ. პირში შეიძლება **ე** მივიღოთ ა-ს მაგივრად: ვჰყევარ, ჰყევხარ, მაგრამ: ჰყავს (§ 557, გ).

ბ) ზმნისწინიანი „მყავს" (მიმყავს, გამყავს, ჩამყავს და სხვ.) მონაცვლეა მწკრივებში. ამ შემთხვევაში მას ენაცვლება ამავე ფუძის გაფართოებული სახისაგან ნაწარმოები **ყვანა, რომელიც** გარდამავალია: ცხენი მიმყავს — ცხენს წავიყვან ან მივიყვან; ცხენი ჩამყავს — ცხენს ჩავიყვან და მისთ.

ყენება, ა — 2. გარდამავალია, მაგრამ ვნებითი არა აქვს. მის ნაცვლად **დგომა** იხმარება. ურემი დააყენა — ურემი დადგა (§ 552, ა).

ყვანა, ი. უზმნისწინოდ ნაკლებად იხმარება („მაგრე ნუ იყვან ბავშვს ხელში"), ჩვეულებრივ ზმნისწინი ახლავს (წა-, მო-, გა-, შე-, ჩა- და სხვ.). ითქმის ცოცხალ არსებაზე; თუ უსულო საგანზეა საუბარი, მაშინ **ტანა** ენაცვლება (მო-, გა-, შე-, ჩა-, და სხვ.); მოვიყვანე — მოვიტანე.

მონაცვლეა მწკრივებში „მყავს" ზმნისა სათანადო ზმნისწინით (გამყავს — გავიყვან), ოღონდ გამორიცხულია **და** ზმნისწინიანი ფორმები: „და-მყავს" და „და-ვიყვან" სულ სხვადასხვა გაგებას გვაძლევენ: „ბავშვი სკოლაში დ ა მ ყ ა ვ ს"; „საწუნელ პროდუქციას ერთ პროცენტამდე დ ა ვ ი ყ ვ ა ნ").

ამას გარდა, შეიძლება მას შეენაცვლოს **ხხმა**: წაიყვანა — წაასხა (§ 548, II, ზ).

ყიდვა. საარვისო ქცევის ფორმით ერთი მნიშვნელობა აქვს (ვ-ყიდი — გა-ვ-ყიდე), სათავისოთი — სხვა (ვ-ი-ყიდი — ვ-ი-ყიდე; შევიყიდი, გამოვიყიდი).

განსხვავება მათ შორის სხვაც არის: საარვისო ქცევის ფორმა აწმყოა („ვ-ყიდი"), სათავისოსი კი მყოფადშია გადასული („ვ-ი-ყიდი"). სათანადო განსხვავებაა სავრცობიან მწკრივებშიც:

აწმყოს წრე		მყოფადის წრე	
აწმყო	ვყიდი	**მყოფ.**	ვიყიდი
უწყვ.	ვყიდდი	**I ხოლმ.**	ვიყიდდი
აწმყ. კავშ.	ვყიდდე	**მყ. კავშ.**	ვიყიდდე

რაკი „ვიყიდი" მყოფადის წრეში გადავიდა, აწმყოს წრეში ცარიელი ადგილი მიმღეობის საშუალებით შექმნილმა ფორმამ დაიჭირა: ვყიდულობ, ვყიდულობდი, ვყიდულობდე (§ 544).

არის სხვა თავისებურებაც: ზმნას თემის ნიშნად **ი** აქვს: ვყიდ**ი**. ეს **ი** ყველგან უნდა გაჰყოლოდა (ვყიდიდი, ვყიდიდე), მაგრამ სავრცობიან მწკრივებში თემის ნიშანი არ გვხვდება, უთუოდ იგი დაიკარგა ორ **დ**-ნს შორის:

რაკი თემის ნიშანი **ი** არის, საწყისში მოსალოდნელი იყო: „ყიდა" (ძველად აგრეც იყო: ს-ყიდა, — „წარვიდეს იგინი ს ყ ი დ ა დ", მათ. 25, 10) და არა „ყიდვა" (ან პირუკუ: თუ საწყისის ფორმაა „ყიდვა", აწმყო-მყოფადში უნდა გვქონდეს: „ვყიდავ" და „ვიყიდავ").

უკანასკნელ, ერთი თავისებურება კიდევ: სახელზმნებში ზოგჯერ გვხვდება თავში **ს**: სყიდვა, **ნა**-სყიდი („ნასყიდობის წიგნი", კაცის სახელი „ნასყიდა" და სხვ.). ეს **ს** შეიძლება პირიან ფორმებშიც შეგვხვდეს: შეისყიდა, გამოისყიდა და მისთ., რაც უფრო ძველი მწერლობის ენას ახასიათებს: „ესე ჯუარი ქრისტესი მე, კოსტანტი, ძემან სტეფანესმან და გუდასმან, აღჰმართე... ნ ა ს ყ ი დ ე ვ ს ა ქუეყანასა ზედა": წყისის წარწერა მე-7 საუკუნისა), სასყიდელი, მსყიდელი. „მოსყიდული" ეხლაც ცოცხალი სიტყვაა (§ 576).

ყოფა. ფუძეა **ყავ**. იგი ერთად-ერთია, რომელიც თემის ნიშნად **ოფ**-ს მიიღებს გარდამავლად ხმარებისას. პირვანდელი მნიშვნელობით ეს ზმნა გვხვდება

II სერიის ფორმებში სასხვისო ქცევით („რა უნდა უყო“ = რა უნდა უქნა) და ამ შემთხვევაში სრულ-ასპექტიანია, მიუხედავად იმისა, რომ ზმნისწინი არა აქვს (§ 337).

ეს ზმნა სასხვისო ქცევით ზოგჯერ ორ-პირიანი ხდება: ირიბ-ობიექტური პირი იკარგება, რჩება პირდაპირ-ობიექტური: დაჭერილები რა უყავით? (ყაზბ. «ელგუჯა». თ. XX), ეს ნიშნავს: დაჭერილები სად წაიყვანეთ, სად გყავთ? სამ-პირიანობის შემთხვევაში სახელი მიცემითში დადგება: დაჭერილებს რა უყავით? ეს კი ამას ნიშნავს: დაჭერილებს რა უქენით, რა შეამთხვიეთ?

ზმნისწინის მიღებისას მნიშვნელობას იცვლის: გაყოფა, ჩაყოფა, შეყოფა და სხვ.. ეს ზმნები ყველა სრულ-ასპექტიანია, უსრული ასპექტი კი ზმნისწინის ჩამოშორებით მიიღება: ვყოფ—გავყოფ, იყოფა — გაიყოფა, ვყოფ — ჩავყოფ, ვყოფ — შევყოფ და სხვ.. ვნებითი გვარის ფორმებს II სერიაში პირვანდელი მნიშვნელობა დაკარგული აქვს (§ 384) და „ვარ“ ზმნის მონაცვლეობას ეწევა: ვარ — ვიყავ (§ 550); ასეთსავე ვითარებას გვიჩვენებს მიმღეობაც, რომელსაც III სერიის ფორმათა წარმოება ეყრდნობა: ყოფილ-ი — ვყოფილვარ, ყოფილხარ, ყოფილა და შემდგომი.

როგორი ურთიერთობაცაა „ვარ“ და „მყავს“ ზმნებს შორის (§ 553, ა), ისეთივე ურთიერთობაა «ვყოფილვარ“ და „მყოლია“-ს შორისაც.

არც არავის ყმა ვ ყ ო ფ ი ლ ვ ა რ, არც არავინ ყმად მ ყ ო ლ ი ა;
ძველი პური, ძველი ღვინო წლიდან წლამდის გამყოლია.
(ხალხური)

საწყისის ძველი ფორმა ვნებითისათვის „ყოფა“ არის მოსალოდნელი (როგორც მოქმ. გვარში), მაგრამ ის აღარ იხმარება (ნაშთის სახით შემონახულია „ყ ო ფ ა-ცხოვრება“-სა და „ყ ო ფ ა-ქცევა“-ში), მის ნაცვლად ნ-ჩართული ფორმა იხმარება: ყოფ-ნ-ა („სოფელში ვ ი ყ ა ვ. იქ დიდხანს ყ ო ფ ნ ა მომეწყინა“).

ნ. კიდევ. არ¹-თან.

ყრა. ფუძეა **ყარ.** მონაცვლეა ობიექტ. პირის რიცხვის მიხედვით **გდება** ზმნასთან: გავაგდებ — გავყრი, გავაგდე — გავყარე და სხვ.. თუ ფორმა ვნებითია, შენაცვლება რიცხვში სუბ. პირების მიხედვით ხდება (§ 549, II, ა).

ზმნას სხვა მნიშვნელობაც აქვს სასხვისო ქცევით და მაშინ ობიექტი შეიძლება მხოლობითშიც იდგეს: ნემსში ძ ა ფ ი გაუყარა.

ყურება. ერთი იმ სამ ზმნათაგანია (მზერა, ცქერა, ყურება), რომლებიც ასპექტში ენაცვლებიან „შეხედვას“: ვუყურებ — შევხედავ (§ 551, გ).

ინიანი ვნებითი აქტიური გაგებით იხმარება: „სად იყურები“ ამას ნიშნავს: „სად იცქირები“ (§ 366). ზმნას საზოგადოდ ცქერის მნიშვნელობა აქვს. ეს მნიშვნელობა მერმინდელია, პირვანდელი მნიშვნელობა კი ენიან ვნებითშია დაცული: არ გეყურება? (= არ გესმის?).

შეხედვა. სრულ-ასპექტიანი ზმნაა, რომელსაც უსრული ასპექტით ენაცვლებიან: მზერა, ცქერა, ყურება (§ 551, გ)

შვრება. ნ. შრომა.

შობა. ფუძეა **შევ** (შობა←შვ-ობა, § 459, ა), რომელიც აღდგება წყვეტილში: ვ-შევ, ჰ-შევ, შვ-ა. აღნიშნული ფორმები ძველია. ამჟამად „ვშობე" ითქმის, რაც თემის ნიშნის ფუძეზე შეზრდას მოასწავებს (§ 475). სახელზმნები: მშობელი, შობილი, საშობი (ს ა შ ო ბ ე ლ ი — შობის გამო, ე. ი. ბავშვის დაბადების გამო გამართული წვეულება: „ს ა შ ო ბ ე ლ ი გაიყარა, ზრდა დაგვიწყეს მე და ქალსა", «ვეფხ.», 325).

ძველისძველი მიმღეობა ვნ. გვარისა „შვილი" არსებით სახელადაა ქცეული.

შრომა. მიღებულია **შვრომა**-საგან (ფუძისეული **ვ**, წარმოშობით უმარცვლო **უ**, იკარგება **ო**-ნის გავლენით). ენაცვლება „ქ[მ]ნა"-სა და „ზმ[ნ]ას" აწმყოს წრის მწკრივებში: ვშვრები — ვიზამ — ვქენ(ი) (§ 550, ე).

ჩადენა. „დენა" ზმნა საშუალ-მოქმედებითია: დის — იდენს. როგორც ზემოთ არის აღნიშნული (ნახე **დი**), იგი უზმნისწინოდ ჩვეულებრივ მარტო მესამე პირში იხმარება (დის, სდის), მაგრამ ზმნისწინის დართვით პირველსა და მეორეშიც (მივდივარ, შევდივარ და სხვ.). ეს ზმნები უკვე საშუალ-ვნებითებში დგანან მეშველი ზმნის გამო.

ჩა ზმნისწინის დართვით **დი** ფუძის ზმნა ჩვეულებრივი მნიშვნელობითაც იხმარება: ჩავდივარ (ზემოდან ქვემოთ: „კოჯრიდან თბილისში დღე-გამოშვებით ჩავდივარ"), იგი ამ შემთხვევაში ენაცვლება **ვალ** და **ვედ/ვიდ** ფუძეთა ზმნებს იმავე ზმნისწინით: ჩავდივარ — ჩავალ, ჩავედი, ჩავიდე. თავისი საწყისი არა აქვს და მის მაგივრობას რამდენადმე „ჩასვლა" უწევს.

„ჩადის" ფორმას სხვა მნიშვნელობაც აქვს: **ჩადის** — შვრება, აკეთებს. ამ შემთხვევაში ზმნა საშუალ-მოქმედებითია: ჩადის — ჩაიდენს, ჩაიდინა, ჩაუდენია. მეტიც შეიძლება ითქვას: ზმნა გარდამავალია: დანაშაულს ჩადის, ცუდ საქმეს ჩადის და სხვა. ამ მნიშვნელობით ზმნა პირველსა და მეორე პირშიც იხმარება (ჩავდივარ, ჩასდიხარ), მაგრამ ზოგჯერ ზმნისწინის ფუძეში გადარიცხვით: ვჩადი, სჩადი, ჩადის, ვჩადით, სჩადით, ჩადიან. აქედან შემდეგ სავრცობიანი მწკრივების ფორმები: ვჩადიოდი, ვჩადიოდე და სხვა.

ზმნისწინის ფუძესთან შეზრდა უფრო ნათლად ჩანს სასხვისო ქცევის ფორმაში· (ვ)უჩადი, უჩადი, უჩადის, რაც ამას ნიშნავს: ვუშვრები, უშვრები, უშვრება (შესაბამისად). რაკი „ვჩადი" მნიშვნელობით იგივეა, რაც „ვშვრები", ამიტომ უკანასკნელის მაგივრობასაც სწევს და „ქმნა" ზმნას ენაცვლება აწმყოს წრის მწკრივებში, ვჩადი — ვიზამ, ვქენ(ი).

ფუძესთან შეზრდას მარტო აწმყოს წრის მწკრივებში აქვს ადგილი. მყოფადსა და სხვა მწკრივებში ზმნისწინი ისევ ზმნისწინია: ვჩადი — ჩა-ვიდენ, ჩა-ვიდინე. ზმნისწინი შეიძლება აწმყოს წრეშიც არ იყოს შეზრდილი ფუძესთან. მაგრამ მაშინ მეშველი ზმნაა საჭირო: ჩავდივარ, ჩასდიხარ, ჩადის და შემდგომი, ჩავდიოდი, ჩასდიოდი, ჩადიოდა; ჩავდიოდე და შემდგომი. ამ შემთხვევაში გარდამავალი ზმნის ფორმები გარდაუვალისას ემთხვევა.

ჩქმეტა. ნ. § 560, ღ.

ცავ. ნ. ცვა.

ცან. ნ. ცნობა.

ცევ. ნ. ცვა.

ცემა[1] (მი-ცემა, გა-ცემა, და-ცემა, გადა-ცემა და სხვა). ფუძეა ც, მომდევნო **ემ** კი თემის ნიშანია. ახლავს რამდენიმე თავისებურება:

ა) ერთად-ერთი ფუძეა, რომელიც თემის ნიშნად **ემ**-ს მიიღებს.

ბ) მოქმედებითის ფორმები უზმნისწინოდ ამჟამად, თუ გამონაკლისს არ მივიღებთ მხედველობაში, აღარ იხმარება, თუმცა ძველად ჩვეულებრივი იყო: „იაკობ ს ც ა ესავს პური და მგბარი ოსპნისაჲ" (დაბ. 25, 34); „გ უ ე ც ჩუენ წყალი, რაჲთა ვსუათ" (გამოსლვ. 17, 2); ვნებითის ფორმები უზმნისწინოდ ეხლაც იხმარება: ვეცი.

გ) ერთად-ერთი ფუძეა, რომლისაგანაც ნაწარმოებ მოქმ. გვარის ზმნებს II კავშირებითში მწკრივის ნიშნად **ე** აქვთ: მივსცე (§ 484).

დ) წყვეტილის პირველსა და მეორე პირში ზმნას წინ **ე** უჩნდება: მი-ვ-**ე**-ც, მი-**ე**-ც, მაგრამ: მი-ს-ც-ა (V საუკუნის სალიტერატურო ენით: მი-ხ-უ-ეც, მი-ხ-ეც, მი-ხ-ცა). თუ სახელზმნათა ფორმებს მივაქცევთ ყურადღებას, ეს **ე** მაწარმოებელია: მი-ცემა, მი-მ-ცემი, მი-სა-ცემი და სხვ.. მაგრამ, თუ მხედველობაში ვიქონიებთ იმ გარემოებას, რომ წყვეტილის 1-ლსა და მე-2 პირში ფუძე აღდგება (მო-ვ-**კალ**, შე-ვ-**კარ**, და-ვ-პ-**ფალ**, ვი-**ცან**, ვ-**შევ**: გა-ვ-**ძერ** და სხვ.), მაშინ უნდა ვთქვათ, რომ **ე** ფუძისეული ხმოვანია. თუ ეგრეა, მაშინ იგი მე-3 პირის ფორმაშიც იგულისხმება. მეტიც შეიძლება ითქვას: იგი იგულისხმება ყველგან, ყველა ფორმაში, მაგრამ, თუ არსად არა ჩანს წყვეტილის გარდა (ისიც პირველისა და მეორე პირის ფორმებში მხოლოდ), ეს იმიტომ, რომ დაკარგულია მომდევნო ხმოვნის გამო, რომელიც ან პირის ნიშანია (მი-ს-ც-ა), ან მწკრივისა (მი-ს-ც-ი-ს, მი-ს-ც-ე-ს), ან თემის ნიშნის დასაწყისია (მი-ს-ც-ემ-ს) (ნახე ანალოგიური ვითარება სხვა ზმნებთან, § 513).

რომ ვარაუდი სწორი უნდა იყოს, ეს იქიდანაც ჩანს, რომ სათავისო ქცევის ნიშანი ამ **ე**-ს წინ დაისმის: „რაც გინდა ისა ქენი, თუ გინდ ქვა ი ე ც[1] თავში"; სხვა მაგალითი:

> პატარა გოგო ვიყიდე, ორი შაური მივეცი,
> დავჭექ და მერე ვიტირე, თავში მუშტები ვ ი ე ც ი[2].
>
> (ხალხური)

„ვიეცი" სათავისო ფორმაა („უცალო მოქმედებითია"), მაგრამ ზმნისწინი არა აქვს. ამ ფორმების მიხედვით ფუძეა **ეც**. მაგრამ ესეც არ უნდა იყოს პირვანდელი: წინ ალბათ რაღაც თანხმოვანი იყო კიდევ (**ჰ** ან **ვ**?), რომელიც უკვე V საუკუნემდე დაკარგულა.

---

[1] „იეც" აქ ბრძანებითია, მაგრამ წარმოება ბრძანებითის მწკრივისა ისეთივეა, როგორაც წყვეტილისა.

[2] თედო რაზიკაშვილის ქართლში შეკრებილი ლექსები («ძველი საქ.», III), № 397.

ამჟამად მოქმედ. გვარისა და ვნ. გვარის ფორმები წყვეტილში ემთხვევა ერთმანეთს პირველსა და მეორე პირში:

მ ო ქ მ ე დ.	ვ ნ ე ბ.
„მანამ სხვა იარაღს მოიხმარებ-და, შიგ მარცხენა ძუძუში დამ-ბაჩა დ ა ვ ე ც ი“ (ი. ჭავჭ.).	ლეღვზე ვიყავი, ტოტი მომი-ტყდა, ჩამოვვარდი და მიწაზე დ ა-ვ ე ც ი.

თავდაპირველად დამთხვევას არ უნდა ჰქონოდა ადგილი. თუ ზემორე მოყვანილი მოსაზრება სწორია, ვნებითში ორი ე უნდა გვქონდეს: ერთი გვარის ნიშანი, მეორე ფუძისეული, მოქმედებითში კი მარტო ერთი, ფუძისეული, რომელიც მესამე პირში იკარგება ფუძის შეკუმშვის გამო: და-ს-ცა (←და-ჰ-ც-ა←და-ჰ-ჰცა←და-ჰ-ჰეც-ა) [აქ მოცემული ფორმათა განვითარების სქემა, რა თქმა უნდა, დაახლოებითია და იმ ვარაუდით, რომ დაკარგული თანხმოვანია ჰ].

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ამით შეიძლება გავათაოთ და აღვნიშნოთ, რომ ეს არის პასუხი იმ კითხვისა, რომელიც ზემოთ დაისვა (§ 483).

„მიცემა“ სამ-პირიან ფორმებს გვაძლევს (მისცა: მან მას იგი), „გაცემა“ და „გამოცემა“ კი — ორ-პირიანებს („გასცა დიდი თანხა“, „ვეფხის ტყაოსანი გამოსცა“, მაგრამ ამათაც მოქმედებითში ფორმა სამ-პირიანისა აქვთ შენახული), იმისი ვნებითი იქნება მი-ე-ცა, ამათი კი ამჟამად: გა-ი-ცა და გამო-ი-ცა.

„და-ცემა“ ზმნას ვნებითის ფორმით ორი თავისებურება აქვს:

ა) ფორმა ეთია ნაწარმოები, მაგრამ გაგება შეიძლება ერთი პირისაც ჰქონდეს (§ 384).

ბ) „თავს დაცემა“ მონაცვლეა რიცხვში: იხმარება მხოლობითში, მრავლობითში მას „თავს დასხმა“ ენაცვლება (549, II, დ).

ცემა [2] (=რტყმა, დარტყმა). ფუძე იგივეა წარმოშობით რაც წინა (ცემა [1]) ზმნისა. ძველად ზმნა: ვეც, ეც, სცა ნიშნავდა არა მარტო ამას (შესაბამისად): მივეც, მიეც, მისცა, არამედ ამასაც: დავარტყი, დაარტყი, დაარტყა. მაგალითი: „და კუერთხი ეგე, რთმლითა ეც მდინარესა, მიიღე ჴელსა შენსა და წარვედ. ხოლო მე ვდგე მუნ ვიდრე მოსლვად შენდამდე კლდესა მას ზედა ქორებს და ს ც ე კლდესა მას და გამოადინო წყალი მისგან და სუას ერმან ჩემმან“ (გამოსლვ. 17, 5 — 6).

შემდეგში თემა შეეზარდა ფუძეს და II სერიაშიც გადაჰყვა: ვსცემე, სცემე, სცემა და შემდგომი (§ 475): „მივარდა გიორგი, ამოიღო ქვეშ და იმდენი ს ც ე მ ა, რომ მოჯამაგირემ ხვეწნა დაუწყო“ (ჭავ.). „მართლა ს ც ე მ ე? — ჰკითხეს, — მართლა ვ ს ც ე მ ე“ (ჭავ.). გადმოვთარგმნოთ დღევანდელ ქართულზე ერთი წინადადება, რომელიც 978 წელს გადაწერილი ხელნაწერიდანაა ამოღებული:

ძველი ქართული	ახალი ქართული
უკუეთუ ვინმე ს ც ე ს მონასა თჳსსა გინა მჴევალსა თჳსსა კუერთხითა, და მოკუდეს... (გამოსლვ. 21, 20).	თუ ვინმემ ს ც ე მ ო ს თავის მონას ან თავის მხევალს ჯოხით, და მოკვდეს...

თემის ნიშნის შეზრდა საარვისო ქცევის ფორმებში მოხდა, სათავისოში ძველი ვითარებაა შემორჩენილი: თავში ქვა ი ე ც (ნ. ზემოთ. § 483).

სასხვისო ქცევით იშვიათად იხმარება: გული „უ ც ე მ ს" (უპირდაპირ-ობიექტოდ); „ძალიან კარგი იქნება! — დედამ დ ა უ ც ა დასტური" (ვაჟა, I, 105, 15).

ცვა. ფუძეა **ცევ**, რომელიც აღდგებოდა წყვეტილსა და ბრძანებითში: დავი-**ცევ**, დაი-ცევ. აწმყოში უნდა გვქონდეს *„ვიცევავ", მაგრამ გამარტივების გზით „ვიცავ" მივიღეთ. ფუძისეული **ე** წყვეტილში **ა**-დ გადაკეთდა ახალ ქართულში და მისი ფორმა 1-ლსა და მე-2 პირში (თუ ნართაული **ი** არ ახლავს) აწმყო-მყოფადისას დაემსგავსა. მხოლოდ სინტაქსური კავშირი არკვევს, თუ რომელი მწკრივის ფორმასთან გვაქვს საქმე: სამშობლოს დ ა ვ ი ც ა ვ (მყოფ.), სამშობლო დ ა ვ ი ც ა ვ (წყვეტ.). ნართაული **ი** მხოლოდ წყვეტილსა და ბრძანებითშია და, თუ იგი ახლავს, მაშინ განსხვავება ფორმობლივაც გამოჩნდება: დავიცავ (მყოფ.), დავიცავი (წყვეტ.). მრავლობითის ფორმები გარჩეულია, რადგანაც ნართაული **ი** იქ აუცილებელია: წესიერებას დავიცავთ, წესიერება დავიცავით.

რაკი ფუძისეული **ვ** დაკარგულია აწმყოში, იგი დაიკარგება I თურმეობითშიც (და-უ-ც-ავ-ს), მაგრამ აღდგება II თურმეობითსა და III კავშირებითში: და-ე-ცვ-ა, და-ე-ცვ-ა-ს. [შდრ. გა-უ-ლახ-ავ-ს, მაგრამ: გა-ე-ლახ-ა, გა-ე-ლახ-ოს; და-უ-მალ-ავ-ს, მაგრამ: და-ე-მალ-ა, და-ე-მალ-ოს]. მიმღეობათა ფორმებია: მ-ცვ-ელი, და-ც-ულ-ი (←და-ცვ-ულ-ი), და-ცავ-ი (წიგნთ-საცავ-ი) ან და-ცვ-ელ-ი, დაუ-ცვ-ელ-ი.

ცვდომა. ნ. ცვეთა.

ცვეთა. ამ ზმნის ფუძე ხმოვან-მონაცვლეა: ვცვეთ — ვცვითე. ვნებითი ორგვარად აქვს ნაწარმოები:

ა) ფუძისეული ხმოვნის ამოღებით (ამ შემთხვევაში დონიანი ვნებითის გავლენით ფუძისეული **თ** დონად გადაკეთდება): ცვდება — გა-ცვდა, გა-უ-ცვდა.

ბ) პრეფიქსით (ინ-ენის საშუალებით): **ი**-ცვითება, **ე**-ცვითება; გა-**ი**-ცვითა, გა-**ე**-ცვითა.

ცვივნა. მონაცვლეა რიცხვსა და გვარში:

ა) იხმარება მრავლობითში, მხოლობითში „ვარდნა" ენაცვლება (§ 549, I, ბ).

ბ) იხმარება ვნებითში, მოქმედებითში „ყრა" ენაცვლება: ცრემლები ჩამოყარა, ცრემლები ჩამოსცვივდა (§ 552).

ცივა. ნ. § 565.

ცმევა. ამ ზმნას ორივე თემის ნიშანი ჩამოსცილდება II სერიის მწკრივებში. ამასთანავე აღდგება მანის წინ დაკარგული **ვ**: ჩავა-ც-მ-ევ — ჩავა-ცვ-ი (§ 562).

ცნობა. სხვადასხვა წარმოება აქვს აწმყოს წრეში, ერთი მხრით, და მყოფა-

დის წრესა და II სერიის მწკრივებში, მეორე მხრით: ვ-ცნობ — ვ-ი-ცნობ, ვ-ი-ცან(ი) (§ 560, გ).

სათავისო ქცევის ფორმით ზმნას სხვა მნიშვნელობა აქვს (პეტრეს ვიცნობ=პეტრე ჩემი ნაცნობია). მას კი მარტო აწმყოს წრის მწკრივთა ფორმები აქვს: ვიცნობ, ვიცნობდი, ვიცნობდე.

ცოდნა. პირიან ფორმებს შემდეგი თავისებურება ახლავს (§§ 285, 555, ბ):

ა) ზმნას მწკრივი აქვს გამოცვლილი: II ხოლმეობითის ფორმა აწმყოსად არის ქცეული.

ბ) II სერიის ფორმები აკლია.

გ) აწმყოს წრის ფორმები გარდამავალი ზმნების ფორმათა მიხედვით აქვს ნაწარმოები (ვიცი, ვიცოდი, ვიცოდე), III-ისა და მყოფადის წრისა კი — გარდაუვალი ზმნების გვარად (მცოდნია, -ოდა, -ოდეს; მეცოდინება, -ოდა, -ოდეს).

დ) **ოდ** სავრცობია (ვი-ც-**ოდ**-ი, ვი-ც-**ოდ**-ე), მაგრამ იგი **სახელზმნებშიც** არის გამოყენებული: ცოდნა, მცოდნე, უცოდნელი, საცოდნელი (ასეთივე ვითარებაა „ლოდინ“-შიც).

„უვიცი“ მიღებულია „უიც“-ისაგან, რომელსაც «ვეფხის ტყაოსანში» ვხვდებით:

„ხამს გასრულება მოყვრისა სიყვარულისა მტკიცისა,
ძებნა წამლისა მისისა, ცოდნა ხამს მართ უ ი ც ი ს ა“ (706)

უიცი=რაც არ იცის კაცმა, უცოდნელი რამ; სხვა ადგილი:

„ვჰკადრე: რა გკადრო პასუხი მის ჩემგან მე უ ი ც ი ს ა“ (523)

ე. ი. ვჰკადრე: მე რა პასუხი გკადრო იმის შესახებ, რაც ჩემგან უიცია, ე. ი. უცოდნელია, რაც მე არ ვიცი.

ამჟამად „უვიცი“ არაფრის მცოდნეს ნიშნავს.

ცქერა. ერთი იმ სამ ზმნათაგანია, რომლებიც „შეხედვას“ ენაცვლებიან ასპექტში (§ 551, გ).

ცხელა. შედგენილი შემასმენლისაგან წარმომდგარი ზმნაა. სახელზმნის ფორმები არა აქვს (§ 565).

ცხობა (*ცხვობა). **ო**-ს წინ დაკარგული ფუძისეული **ვ** (უმარცვლო **უ**-სგან წარმომდგარი) აღდგება, თუ მას ფორმაში **ო** არ მოსდევს: გამოვაცხვე, გამომიცხვია, გამოცხვა, გამოცხვეს.

ძეს, ძევს. მოეპოვება მარტო აწმყოს მწკრივი. უწყვეტელი და I კავშირებითი აკლია. მყოფადის წრისა და II და III სერიის მწკრივები „დება“ ზმნის ვნებითით აქვს შენაცვლებული (§ 550, თ). სახელზმნებიც „დება“ ზმნისგანაა: დება („დება რა სავარგულია“? «ვეფხ.», 50=რომ იდვას, რა სავარგულია?), მდებარე.

მიმართებითი ფორმებია: სძევს, უძევს, აძევს (§ 440).

ძლევა, ა — 3. მონაცვლეა ასპექტში: უსრული ასპექტით „ძლევა“ იხმარება, სრულით — „მიცემა“: ვაძლევ — მივსცემ, ვაძლიე — მივეც, მიძლევია — მიმიცია (§ 551, ა).

ვაძლევ — შევაძლევ. ასეთი შეპირისპირებით ზმნა არ არის მონაცვლე (იქვე).

ძრობა. ნ. § 459, ბ.

წაღება, წამოღება, ი. მონაცვლეა მწკრივებში: აწმყოს წრეში იხმარება „მიმაქვს“ და „მომაქვს“, მყოფადის წრესა და II სერიაში — წავიღებ და წამოვიღებ (შესაბამისად). III სერიაში ისიც იხმარება და ესეც, მაგრამ ასპექტური განსხვავებით: მიმქონებია (უსრ.) — წამიღია (სრული), მომქონებია (უსრ.) — წამომიღია (სრული) (§ 550, ია).

ალნიშნულ ზმნებს სასხვისო ფორმებიც აქვთ (წავუღებ, წამოვუღებ), მაგრამ მათ არაფერი არ ენაცვლებათ.

წაყვანა, წამოყვანა, ი. მონაცვლეა მწკრივებში: აწმყოს წრეში იხმარება „მიმყავს“ და „მომყავს“, სხვაგან კი — „წავიყვან“ და „წამოვიყვან“ (შესაბამისად): მიმყავს — წავიყვან, მომყავს — წამოვიყვან.

სასხვისო ქცევის ფორმაში გადაყვანით (წავუყვან, წამოვუყვან) მონაცვლეობა დაიკარგება.

წევს. ნ. წოლა.

წვა. ავიანი ზმნაა (ვ-წვ-ავ) და საწყისად უნდა ჰქონდეს *წვვა (ძვ. წუვა), მაგრამ ორი ვინისაგან ერთი დაიკარგა, ფორმა გამარტივდა და „წვა“ მივიღეთ (აქედან I თურმეობითის ფორმები ორ-პირიანი ვნებითისა: და-ს-წვ-ია. III სერიის სავრცობიან მწკრივებში ეს ერთი ვინიც იკარგება: და-ს-წ-ოდ-ა, და-ს-წ-ოდ-ეს). ამას გარდა, თუმცა ვნებითის ფორმები პრეფიქსით აქვს ნაწარმოები (ი-წვის, ე-წვის), მაგრამ ვნებითის წარსულ-დროიანი მიმღეობა არა **ულ** სუფიქსით აქვს ნაწარმოები (როგორც სხვა იმავე ტიპის ზმნებს), არამედ **მ — არ** პრეფიქს-სუფიქსით: და-**მ**-წვ-**არ**-ი. აქედან III სერიის ფორმები ერთ-პირიანი ვნებითისა: დამწვარ-ა, -იყო, -იყოს.

წოლა (*წვ-ოლა). რამდენიმე თავისებურება ახლავს:

ა) აწმყოში ორი რამ იქცევს ყურადღებას: 1-ლი პირის ფორმაში ორი ვინისაგან ერთი იკარგება: *ვწევ-ვარ→ვწევარ; მე-3 პირის მრავლობითში **ან** ჩნდება; წვ-ან-ან (§ 559).

ბ) უწყვეტელი და აწმყოს კავშირებითი აკლია.

გ) II სერიის ფორმებში, „იდვა“ ზმნის ანალოგიით, **ი** უჩნდება თავში: ვ-ი-წევ(ი), ი-წევ(ი), ი-წვა, მიმართებითად: **ე**-წვა (შდრ. § 392).

დ) ფუძისეული **ვ** ქანად არის ქცეული „ვიდექ“ ზმნის მიმსგავსებით: ვიწექ(ი), იწექ(ი), მაგრამ: იწვა (§ 557, ა). მიმართებითი ფორმებია: უწევს, აწევს. ამათგან „აწევს“ ზმნას შემოჰრჩა ძველი წარმოება II სერიის ფორმებში (აწევს — აწვა, აწვეს), „უწევს“ ზმნამ კი ძველი „უ-წვა“ ვნებითის გვარად გადაიქცეთა: **ე**-წვა (**ი**-წვა — **ე**-წვა) (§§ 391, 557, ა, ბ).

წყალობა. ნახე შენიშვნა გალობასთან.

წყდომა. ნ. წყვეტა.

წყენა. წარმოებას იცვლის: მ-წყენს — მ-ა-წყენს, მ-ა-წყინა (§ 560).

წყვეტა. ძველად იყო „წყუედა“ და მისი **დ** დღესაც შენახულია ვნებითში, სამაგიეროდ დაკარგულია **ვ** (წარმოშობით უმარცვლო **უ**): ვწყდებით, გავწყდით, წყდომა, გამწყდარი (§ 563).

წყობა. ნ. §§ 459, ბ, 464.

ჭამა. ზრდილობიან ლაპარაკში მას ენაცვლება „მირთმევა“ (ი) მე-2 პირში, ზოგჯერ მე-3-შიც (§ 554, ვ).

ჭმევა, ა — 3. სალიტ. ქართულში ევ არ გადაჰყვება II სერიის ფორმებში: ვაჭმევ — ვაჭამე (§ 562).

ჭყლეტა. თუ ზმნას ვნებითი ფუძისეული ხმოვნის ამოღებით აქვს ნაწარმოები ძველებურად, შეიძლება ლ დაიკარგოს და ტ დონად იქცეს დონიანი ვნებითის გავლენით (§§ 368, შნშ., 561, ვ).

ხება. ნ. ხლება.

ხედვა. იხმარება მარტო აწმყოს წრის მწკრივებში, სხვაგან „ნახვა" და „დანახვა" (ი) ენაცვლება: ვხედავ — ვნახავ, ვნახე, მინახავს; ვხედავ — დავინახავ, დავინახე, დამინახავს (§ 550, ზ).

ხეთქა. ვნებითის ფორმები მეტად დაშორებულია მოქმედებითის ფორმებისაგან ბგერობლივ: ხეთქა — სქდომა, სკდომა; ვხეთქ — ვსკდები და სხვ. (§ 563). პირველადი ზმნაა, ვნებითს კი დონით აწარმოებს, რაც იშვიათია (§ 357).

ხელ. ნ. ხლება.

ხვდომა. **ხვდ** ფუძის ზმნებს საწყისი **ომ**იანი აქვთ: შემხვდა — შეხვდომა, დამხვდა — დახვდომა, მომხვდა — მოხვდომა. მაგრამ ამათ გვერდით ხვედრა-ც იხმარება (და ეს ამჟამად უფრო გავრცელებულიც არის): შეხვედრა, დახვედრა, მოხვედრა. ამიტომ III სერიის ფორმები ორგვარია: შემხვდომია და შემხვედრია, დამხვდომია და დამხვედრია, მომხვდომია და მომხვედრია.

მიმღეობაა: ხვდომილი (წილად მხვდა: წილ-ხვდომილი), მაგრამ აგრეთვე ხვედრილი-ც ითქმის: შეხვედრილი, მოხვედრილი, დახვედრილი („ჩხუბში მოხვედრილა").

გარდამავალი ზმნა ამჟამად რაე-ნარევი ფორმისგანაა ნაწარმოები: შევახვედრებ, დავახვედრებ, მოვახვედრებ (**მი** ზმნისწინი თუ აქვს, შეიძლება **ენ** სუფიქსითაც: მივახვდენ = მივახვედრებ).

ხლება. ფუძეა **ხლ (ხელ)**, მაგრამ სახელზმნებში ა დაკარგულია: ხლებ (აქედან: გხლებია), მხლებელი (შდრ. „ამბავ" სიტყვისაგან ნაწარმოები ვ-ამბობ, მაგრამ: მბობა). ნ. კიდევ სიაში ახლ.

თითქო ეს ზმნა ალრეულია „ხ-ება" ზმნასთან, რომელიც ძველად მოქმედებითშიც იხმარებოდა (შეახო მას ჴელი თჳსი, მათ. 8, 15), ამჟამად კი თითქმის მარტო ვნებითში იხმარება: ეხება, შეეხება, შეეხო, არ შეჰხებია და სხვ.

„ხლება" უზმნისწინოდ იხმარება: ხელს ვახლებ, ხელი ვახელ, ხელი არ მიხლია, ხელი არ ახლო.

ჩვეულებრივ იხმარება საარვისო ქცევის ფორმით, რომელიც სამპირიანია (ვახელ: მე მას იგი, პურს ხელი), მაგრამ გვხვდება სასხვისო ქცევის ფორმითაც ერთ სპეციფიკურ გამოთქმაში: **გიახელ**, რომელიც ზრდილობიან საუბარს ახასიათებს და ამას ნიშნავს: „ვჭამე" (ნახე ზემოთ: ახლ).

ხლეჩა. შეიძლება დაიკარგოს ლ ვნებითში, თუ იგი ფუძისეული ხმოვნის ამოღებით არის ნაწარმოები: ხმა ჩამიხჩა (§§ 513, 561, ვ).

ხუმა (აღ-, გან-). მონაცვლე იყო ძველად პირდ. ობიექტის რიცხვში (§ 549, II, ჱ).

ხოცა (კოცა). მონაცვლე ფუძეა ობიექტური პირის რიცხვის მიხედვით (ვნებითში სუბ. პირის რიცხვისა). იხმარება მრავლობითში, მხოლობითში **კვლა** ენაცვლება (თუ ვნებითია, მაშინ **კვდომა**): ცხვარი დავკალი — ცხვრები დავხოცე; ძმა მომიკვდა — ძმები დამეხოცა (§ 549, II, ე).

ხრჩობა. ნ. რჩობა.

ჯდომა. ახლავს რამდენიმე თავისებურება:

ა) მხოლობ. რიცხვის ზმნაა, მრავლობითში **სხდომა** ენაცვლება (სულ ერთია, ვნებითია ზმნა, თუ საშუალი): (ვიჯედ→) ვიჯექ(ი) — ვისხედით; ვჯდები — ვსხდებით; ხალხი სხედს — ბიჭები სხედან (§ 549, I, ა).

ბ) თუ საშუალი ზმნაა, მონაცვლეა მწკრივის მიხედვითაც: აწმყოს მწკრივი აკლია და აქ **ვზი**(ვარ) ენაცვლება: ვზივარ (ვიჯედ→) — ვიჯექ(ი) (§ 550, გ).

გ) საშუალ ფორმებს II სერიის მწკრივებში ვნებითის **ი** განუვითარდა წინ: **ი**-ჯდა, რამაც გამოიწვია **უ**-ჯდა ფორმის შეცვლა: **ე**-ჯდა (§ 557, ბ).

დ) „დგომა“ ზმნის ფუძის მეორე თანხმოვნის დაყრუებული სახის გავლენით (**გ→ქ**) ამისი **დ**-ც **ქ**-დ იქცა წყვეტილის 1-ლსა და მე-2 პირში: ვიჯედ→ვიჯექ(ი) (§ 557, ა, ბ).

ე) მონაცვლეა გვარში: იხმარება ვნებითად, მოქმედებითში კი **სმა** ენაცვლება: დასვა — დაჯდა (§ 552, დ).

ვ) მორიდებულ საუბარში მეორე პირის მიმართ არ ითქმის, ენაცვლება „დაბძანება“: დაბძანდი (= დაჯექი), ხშირად მესამეშიც: დაბძანდეს (§ 554, დ).

ჯობნა. წარმოებას იცვლის: ს-ჯობნის — ა-ჯობებს (ან: ს-ჯობს — ა-ჯობებს) (§ 560, ბ). **ობ** წარმოშობით თემის ნიშანია, ძირია **ჯუ**, რომელიც გვაქვს მარ-**ჯუ**-ენ-ა-ში (§ 475).

IV. სახელზმნები

ზოგადი

568. ტერმინთათვის. სახელზმნა ანტონი I-ის შემოღებული ტერმინია. მან ეს სახელი იმ ფორმას დაარქვა, რომელსაც ჩვენ ამჟამად „საწყისს" ვეძახით. თავისი შედგენილობით სიტყვა „სახელზმნა" ისეთია, რომ იმ ფორმას, რომელიც ამ ტერმინით აღინიშნება, უნდა მოეპოვებოდეს ნიშნები როგორც სახელისა, ისე ზმნისა. ასეთია, რა თქმა უნდა, საწყისიც, მაგრამ ასეთივეა აგრეთვე მიმღეობაც.

მეორე მხრით აუცილებელია, გვქონდეს ტერმინი, რომელიც საწყისთან ერთად მოიცავდეს მიმღეობასაც. ამიტომ მნიშვნელობა სახელზმნისა, როგორც გრამატიკული ტერმინისა, გაფართოვდა და მიმღეობაზედაც იქნა გავრცელებული.

სახელზმნის მნიშვნელობის გაფართოებამ თავის მხრით გამოიწვია საკუთარი სახელის გამონახვა იმ ფორმისათვის, რომელსაც წინათ ეს ტერმინი („სახელზმნა") ეწოდებოდა. საამისოდ გამოყენებულ იქნა ქართული სიტყვა **საწყისი,** რომელიც დაახლოებით გადმოგვცემს არაბული „მასდარ" სიტყვის მნიშვნელობას (მ ა ს დ ა რ — გამოსავალი, საიდანაც გამოდიან) და გრამატიკაში იმასვე აღნიშნავს, რასაც „მასდარი" (ქართ. გრამატიკა, I. მორფოლოგია. 1930, §§ 172, 173).

მიმღეობა, როგორც ტერმინი, ვერ არის შესაფერისი, მძიმეა, აჯობებდა უფრო კარგი გამონახულიყო. ვთქვათ, „მონაწილე". ან „მოზიარე".

569. მიმართება ზმნასთან და სახელთან. ზმნა შეიძლება იყოს პირიანი და უპირო, ანუ ულლებადი და უულლებელი (§ 199). სახელზმნა განეკუთვნება უპირო ზმნებს ანუ უულლებელს. უპირო ფორმები ზმნისა ქართულში ყველა ბრუნვიანია და წინადადებაში მათ ისეთივე ფუნქცია აქვთ, როგორც სახელებს. ამის გამო ისინი სახელებია. მაგრამ მათ ზმნური ნიშნებიც მოეპოვებათ, რომლებზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

მიუხედავად იმისა, რომ სახელზმნა სახელის ნიშნებსაც ატარებს და ზმნისასაც, მისი ადგილი მაინც უფრო ზმნათა სისტემაშია, ვიდრე სახელისაში, იმიტომ რომ ზმნასთან მას აერთიანებს ლექსიკური შინაარსი, წარმოება და გამოყენება III სერიის ფორმათათვის; მართლაც,

ა) თუ ვიცით, რას ნიშნავს რომელიმე ზმნა პირიანი ფორმით, გვეცოდინება უპირო ფორმათა მნიშვნელობაც: მაგ., თუ ვიცით, რას ნიშნავს „დავამხობ", ისიც ვიცით, რას ნიშნავს ეს ფორმები: დამხობა, დამამხობელი, დასამხობელი, დაუმხობელი, დამხობილი.

ბ) სახელზმნა ზმნისაგან არის ნაწარმოები, და არა სახელისაგან. როცა

სახელისაგან ზმნას ვაწარმოებთ, მას სახელისა არა შეჰრჩება რა, მაგრამ ზმნისაგან სახელს ვერ ვაწარმოებთ ისე, რომ მას რაიმე ზმნური ნიშანი არ გაჰყვეს. მართალია, ზმნისაგან ნაწარმოებმა სახელმა შეიძლება შემდეგ დაკარგოს ზმნური ნიშნები და ჩვეულებრივი სახელების რიგებში გადავიდეს („თხრილი“, „კრებული“), მაგრამ ეს ხდება სიტყვის მნიშვნელობის განვითარების შემდგომ საფეხურზე.

გ) ერთ-პირიანი ვნებითის ფორმებს III სერიაში ვერ ვაწარმოებთ ისე, რომ არ გამოვიყენოთ სახელზმნის ერთ-ერთი სახე — წარსულ-დროიანი ვნებითი გვარის მიმღეობა; მაგ., **დამხობილ-ი**: დამხობილა, დამხობილიყო, დამხობილიყოს; ხოლო ორ-პირიანი ვნებითის ფორმათა წარმოებას იმავე სერიაში უახლოესი კავშირი აქვს საწყისთან: და-**მხობ-ა** — და-გ-მხობ-ია.

სახელზმნას ზმნისა შეიძლება მხოლოდ წარმოქმნის კატეგორიები ჰქონდეს (გარდა ქცევისა და სიტუაციისა): გეზი, ორიენტაცია, ასპექტი, გვარი, კონტაქტი. რაც შეეხება უღლების კატეგორიებს, მას მარტო თანამდევრობა მოეპოვება.

ფლექსიის, ანუ მიმოხრის თვალსაზრისით სახელზმნა ბრუნვიანი სიტყვაა და იგი ამის გამო წინადადებაში ისეა გამოყენებული, როგორც სახელი (შეიძლება იყოს სუბიექტი, ობიექტი, განსაზღვრება და სხვ.), მაგრამ ამასთანავე ერთად სახელზმნა გარკვეულ შემთხვევებში ინარჩუნებს უნარს ზმნური შეწყობისას სახელთან გარკვეულ ბრუნვაში, ვთქვათ, მოქმედებითში; მაგალითად, პირიან ფორმებს ავიღებთ თუ უპიროს **დაჭრა** ზმნისას, სულ ერთია, ყველა თანაბრად შეიწყობს მოქმედებითი ბრუნვის ფორმას და ყველა ერთსა და იმავე გაგებას მოგვცემს: *ხანჯლით* დავჭერი, *ხანჯლით* დაუჭრია, *ხანჯლით* დაჭრილმა, *ხანჯლით* დასაჭრელი, *ხანჯლით* დაჭრამ და მისთ.

ძველ ქართულში კიდევ მეტი ზმნური ძალა ჰქონდა სახელზმნას: ვითარებით ბრუნვაში დაყენებულ საწყისს (ზოგჯერ მოქმ. გვარის მიმღეობასაც რომელიმე ბრუნვის ფორმით) შეეძლო პირდაპირი დამატება ჰქონოდა, მსგავსად ევროპულ ენათა ინფინიტივისა: „მოსე ბრძანა *წიგნი* განტევებისაჲ **მიცემად**“ (მარკ. 10, 4); „აწ ბრძანე **დაკრძალვად** *საფლავი იგი*“ (მათ. 27, 64) და მისთ.; ან კიდევ: „იყვნეს *ხანსა* არ-**დამზმელნი**“ («ვეფხ.», 550).

ყველა ეს იმის მაჩვენებელია, რომ სახელზმნა უფრო ზმნაა, ვიდრე სახელი. ამიტომ უპირო ზმნები (verba infinita) ზმნათა სისტემაშია განსახილველი.

სახელზმნა ორგვარია: საწყისი და მიმღეობა.

საწყისი

570. საწყისის რაობა. საწყისი ჰქვია ზმნის უუღლებელ ფორმას, რომელიც ზმნის ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელია უღლების კატეგორიათაგან განყენებულად (პირისა, დროისა, კილოსი და სხვათა).

საწყისი ბრუნვიანი სიტყვაა, მაგრამ მრავლობითის ფორმებს ვერ აწარმოებს; ამიტომ იმისი თქმაც არ იქნება მართებული, თითქო მას მხოლობითი გააჩნდეს, ანუ, საზოგადოდ, რიცხვი ჰქონდეს. საწყისის მხოლობითი მოხვედრებითია (§ 444).

რაკი საწყისი ბრუნვიანია, მას შეუძლია იყოს წინადადების წევრი: სუბიექტი, ობიექტი (პირდაპირი, ირიბი), დამატება, გარემოება. საერთოდ ის ამ მხრივ სხვა სახელებთან ერთად დგას; მაგალითები: ხვალ თესვას ვიწყებთ; თესვამ ძალიან გამიტაცა; ჯერ ვერ მოვიცალე თესვისთვის და მისთ.

571. საწყისის ზმნური ნიშნები. საწყისს მოეპოვება წარმოქმნის კატეგორიები: გეზი, ორიენტაცია, ასპექტი, კონტაქტი, იშვიათად აგრეთვე გვარიც; აკლია: ქცევა და სიტუაცია, უმეტესად აგრეთვე გვარიც. მაგალითები „გზავნა“-ზე:

გეზი:	გზავნა — ჩაგზავნა (მიუმართ.) (მიმართ.)
ორიენტაცია:	გაგზავნა — გამოგზავნა (მაშორებ.) (მაახლოებ.)
ასპექტი:	გზავნა — გაგზავნა (შეგზავნა, მიგზავნა, გადაგზავნა) (უსრ.) (სრ.)
კონტაქტი:	გზავნა — გზავნინება (უშუალო) (შუალობითი)

განსხვავება მოქმედებითსა და ვნებითს შორის თითო-ოროლა ზმნის საწყისში გამოჩნდება გამონაკლისის სახით; ასეთებია, მაგალითად:

მოქმედ.	**ვნებ.**
ტეხა	ტყდომა
წყვეტა	წყდომა
ხეთქა	სკდომა
	და სხვა.

საწყისი საზოგადოდ ზიარი კატეგორიაა მოქმედებითისა და ვნებითისათვის, იგი ერთია ორივე გვარისათვის, ე. ი. იგი თანაბრად განეკუთვნება ორივე გვარის პირიან ფორმებს; მაგალითად, „სახლის შენება“ ნიშნავს როგორც იმას, რომ სახლს აშენებენ, ისე იმასაც, რომ სახლი შენდება; „გრეხა“ საწყისია როგორც „ვგრეხ“, ისე „ვიგრიხები“-სთვის: ვთქვათ, ვინმე ძაფს გრეხს (მოქმ.); შეგვიძლია ვთქვათ, რომ მისი გრეხა არ მომწონსო; ეხლა ვთქვათ, რომ ვინმე იგრიხება (ე. ი. იმანჭება; ფორმა ვნებითია); აქაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ მისი გრეხა არ მომწონსო. მაშასადამე, საწყისი ერთი ყოფილა იმ ზმნებისათვის, რომელთაც პირიან ფორმებში გარჩეული აქვთ გვარის ფორმები მოქმედებითისა და ვნებითისა. საწყისის ფორმა თანაბრად მიემართება ორივეს. «ვეფხის ტყაოსანში» ვკითხულობთ:

შწადდა, მაგრა ვერ შევჰმართე შემოჭდომა, შემოხვევა (546)

პირიან ფორმებში რომ გადავიყვანოთ აქ ნახმარი საწყისები (შემოჭდომა, შემოხვევა), ორივე ვნებით მოგვცემს: მწადდა შემოვსჭდომოდი, შემოვჰხვეოდი, მაგრამ ვნებითის ფორმა მარტო ერთს აქვს („შემოჭდომა“) და ისიც შეგვიძლია საერთო გავხადოთ: შემოჭდობა[1]. „გაცინება“ სა

[1] ვახტანგისეულ გამოცემაში „შემოჭდომის“ ნაცვლად „შეჭიდება“ იკითხება (ფლთ).

წყისია არა მარტო „გააცინა“ ზმნისა, არამედ „გაიცინა“-სიც (რომელიც გარ-დაუვალია):

თავ-მოდრეკით გაიღიმნა, გ ა ც ი ნ ე ბ ა დაუშვენდა («ვეფხ.», 64).

თავისი საწყისი არა აქვს არც სტატიკურ ვნებითს. რომ ავიღოთ რომელიმე სტატიკური ფორმა, ვთქვათ, „აბია“ — „ება“, მისი საწყისი იგივე „ბმა“ იქნება, რომელიც საერთოა მოქმედებითისა და დინამიკური ვნებითისათვის. ეგ „ბმა“ გამოყენებულია III სერიის ფორმებში: აბია — ება — ჰ ბ მ ი ა, ჰ ბ მ ო დ ა, ჰ ბ მ ო დ ე ს.

უფრო მეტადაა განსხვავებული საწყისის ფორმები მოქმედებითსა და საშუალში, როგორც ეს მაგალითები გვიჩვენებს: ბრუნება — ბრუნვა, გორება — გორვა, ცურება — ცურვა, ფეთქება — ფეთქ[ვ]ა, ცოცება — ცოცვა, ბოლება — ბოლვა, დუღება — დუღილი, წუხება — წუხილი და სხვ.

საწყისს არ მოეპოვება ქცევის ფორმები; მაგ., ვ-ა-კეთებ, ვ-ი-კეთებ და ვ-უ-კეთებ — საწყისად ყველა თანაბრად გვაძლევს **კეთება** ფორმას.

საწყისი ვერ იძლევა სიტუაციის გაგებასაც: ვ-წერ და ვ-ა-წერ, ვ-ტეხ და ვ-ა-ტეხ, ვ-წევარ და ვ-ა-წევარ — ყველა თანაბრად გვაძლევს **წერა, ტეხა** და **წოლა** ფორმებს (შესაბამისად).

572. საწყისის წარმოება. საწყისის ნიშანია **ა**, რომელიც დაერთვის I სერიის თემას, გაუვრცობელს, ე. ი. იმ თემას, რომელიც აწმყოს (ან მყოფადის) ფორმებში ჩანს. აწმყოს (ან მყოფადის) ფორმას უნდა ჩამოვაშოროთ პირისა და რიცხვის ნიშანი, აგრეთვე ქცევისა, გვარისა და სიტუაციისა და დავურთოთ ბოლოში **ა**. ამ **ა**-ს დართვის გამო **ი**ნიან ზმნებში იკვეცება თემის ნიშანი **ი**, ხოლო **ავ** და **ამ**იანებში იკარგება თემის ნიშნის ხმოვანი **ა** და რჩება **ვ** და **მ**. ამასთანავე თუ **ავ**იან ზმნებში ფუძე თავდება ნარნარა (**ნ რ ლ**) ბგერებით **ვ** გადაინაცვლებს და ფუძის შიგნით ამოჰყოფს თავს. სხვა თემის ნიშნებთან ცვლილება არ ხდება. თუ ზმნას ზმნისწინი აქვს, იგი თავის ადგილას დარჩება; მაგალითები:

ვ-წერ (ვ-ი-წერ ვ-უ-წერ ვ-ა-წერ)—**წერ-ა**; ჩა-ვ-წერ—**ჩა-წერ-ა**, გადა-ვ-წერ — **გადა-წერ-ა**, მი-ვ-ს-წერ — **მი-წერ**-ა და მისთ.
ვ-გრეხ (ვ-ი-გრეხ, ვ-უ-გრეხ) — **გრეხ-ა**; ვულეტ — **ულეტ-ა**.
ვ-ღვრი — **ღვრ-ა**; ვ-თლი — **თლ-ა**.
ვ-მალავ — **მალვ-ა**, ვ-ხატავ — **ხატვ-ა**, ვ-მარხავ — **მარხვ-ა**, მაგრამ: ვ-ხნავ — (ხნვ-ა→) **ხვნ-ა**, ვ-კრავ (კრვ-ა→) **კვრ-ა**, ვ-კლავ (კლვა→) **კვლ-ა**.
ვ-ა-ბამ — **ბმ-ა** (და-ვ-ა-ბამ — **და-ბმ-ა**), ვ-ი-ცვამ — **ცმ-ა**; ვ-ა-რტყამ — **რტყმ-ა**.
მი-ვ-ს-ცემ — **მი-ცემ-ა**; გა-ვ-ს-ცემ — **გა-ცემ-ა**.
და-ვ-ა-მხობ — **და-მხობ-ა**; გა-ვ-აშრობ — **გა-შრობ-ა**.
გა-ვ-ყოფ — **გა-ყოფ-ა**; ჩა-ვ-ყოფ — **ჩა-ყოფ-ა**.
წა-ვ-ა-ხდენ — **წა-ხდენ-ა**; და-ვ-ა-დგენ — **და-დგენა**.
წა-ვ-ა-ქცევ — **წა-ქცევ-ა**; და-ვ-ანგრევ — **და-ნგრევ-ა** და მისთ.

ამგვარი წარმოება საწყისისა ნორმაა ქართულში. იგი ახასიათებს ზმნების დიდისაგან დიდ უმრავლესობას. მაგრამ ამასთანავე ერთად არის სხვადასხვა სახის გადახვევა: **ნ**არიანი საწყისი, **ომ**იანი, **ოლ**იანი, **ს**ნიანი. ამას გარდა, ქარ-

თულში დღევანდლამდე შემორჩენილია ძველისძველი წარმოების საწყისები, რომლებიც უკვე არსებით სახელად ქცეულან.

578. ნარიანი საწყისი. ფუძესა და საწყისის ა-ს შორის მოიპოვება ინფიქსი **ნ**, რომელიც განსაკუთრებით ვინით დაბოლოვებულ (ოვ, ევ) ფუძეებს ახასიათებს:

ვს-თხოვ — თხოვ-**ნ**-ა; მა-ხსოვ-ს — ხსოვ-**ნ**-ა; ვ-ძოვ — ძოვ-**ნ**-ა; ვ-წოვ—წოვ-**ნ**-ა; თოვს — თოვ-**ნ**-ა („მათ ორთავე აშვენებდა — ფიფქსა თოვნა, ვარდსა ნამა“ «ვეფხ.», 686); ვ-ი-შოვ-ი — შოვ-**ნ**-ა; ვ-ი-პოვ-ი — პოვ-**ნ**-ა და მისთ.

ზოგ მათგანს პარალელურად უნარო ფორმებიც აქვთ: თხოვა, ძოვა, წოვა, თოვა.

„პოვნა“ და „შოვნა“ **ნ**არს პირიან ფორმებშიც გვიჩვენებს: ვიპოვნი. ვიპოვნე. ვიშოვნი — ვიშოვნე.

„პოვნა“-ში **ნ** ძველადაც გვქონდა: „პ ო ვ ნ ა ჲ პატიოსნისა ჯუარისაჲ (X საუკუნის ხელნაწერებში). ასევე გვქონდა **ნ** „წევნა“-ში (მოიწია — „მოწევნა“; შეეწია — „შეწევნა“ („ძალი მომეც და შ ე წ ე ვ ნ ა შენგნით მაქვს“, «ვეფხ.», 6); ასეთივე იყო: დევ-ნ-ა, მორევ-ნ-ა („ავად შევნოდა მ ო რ ე ვ ნ ა და ჩემი დათამამება“, «ვეფხ.», 295), დატევნა (დაიტია — დატევნა), ხვევ-ნ-ა („მძულს უგულოდ სიყვარული, ხ ვ ე ვ ნ ა, კოცნა, მტლაშა-მტლუში“, «ვეფხ.». 25). მაგრამ: შემთხვევა (იქვე, 546). ამჟამად უფრო უნარო ფორმები იხმარება: მოწევა, მორევა, შეწევა, დატევა.

რა თქმა უნდა, ისეთ საწყისებში, როგორიცაა: თოხნა, კორტნა, ცოხნა, კოცნა, ვარცხნა, ჩიჩქნა, ჩხირკნა, ტკეპნა და მისთ., **ნ** პირიან ფორმებშიც გვაქვს (ვთოხნი, ვკორტნი, ვიცოხნი, ვჰკოცნი და სხვ.), მაგრამ შეიძლება კითხვა დავსვათ: პირიანი ფორმებიდან მოდის **ნ** საწყისში, თუ საწყისიდან პირიანებში? ამ კითხვის დასმა მართებულია, თუ გავიხსენებთ, რომ „თოხნა“ წარმომდგარია „თოხ“-ისაგან (მოსალოდნელი იყო ვ-**თოხ**-ავ, ისე როგორც ვ-ბარ-ავ, ვ-ფარცხ-ავ, ვ-ცელ-ავ, ვ-ხერხ-ავ და მისთ.). და, ამას გარდა, გვაქვს ს-ჯობ-ს და ს-ჯობ-ნ-ი-ს, ჯობ-ნ-ა.

ყოფ-**ნ**-ა—ში **ნ** უეჭველად შემდეგაა განვითარებული, რადგანაც, ჯერ ერთი, **ნ** არა გვაქვს ზმნისწინიან ფორმებში: გაყოფა, შეყოფა, ჩაყოფა და, მერმე, უნარო ფორმაც გვაქვს შემონახული „ყოფა-ქცევაში“. ამჟამად „ყოფნა“ „ვარ — ვიყავ“ ზმნის საწყისია. საწყისიდან იგი პირიან ფორმებშია გადასული: ჰ-ყოფ-**ნ**-ის. „ძებნა“-შიც („წარმოსრულხარ ჩემად ძ ე ბ ნ ა დ“, «ვეფხ.», 300) **ნ** საწყისიდან პირიან ფორმებშია გადასული: ვძებნი — ვძებნე („მოგნახეს, გ ძ ე ბ ნ ე ს ყოველგან“, «ვეფხ.», 289), ძველად იყო „ვეძიებ“ და „ძიება“. საზოგადოდ **ნ**არიანი საწყისი უმეტესად გარდაუვალ ზმნათაგან არის ნაწარმოები: ვარდ-**ნ**-ა, ცვივ-**ნ**-ა და სხვ.

ნარის ვარიანტი ჩანს **ლ** „სწავ-ლ-ა“-ში (←სწავ-ნ-ა). ძველად პირიანი ფორმა იყო „ვასწავებ“, ამისი საწყისი უნდა ყოფილიყო „სწავება“ (ახ. ქართ. „სწავლება“), მაგრამ ჩვეულებრივ „სწავლა“ იხმარებოდა („და იყო შაბათი და იწყო შესაკრებელსა მათსა ს წ ა ვ ლ ა დ მათა“, მარკ. 6, 2). ამჟამად ორი

განსხვავებული საწყისი გვაქვს იმის მიხედვით, არის პირიან ფორმაში ირიბ-ობიექტური პირი, თუ არა: ვასწავლი — **სწავლება**; ვსწავლობ — **სწავლა** („ჭამაში მამაცი, ს წ ა ვ ლ ა შ ი ზარმაცი“) (§ 529).

ნარსავე გვიჩვენებს ცოდ-**ნ**-ა და ლოდ-**ნ**-ა. უკანასკნელის ნაცვლად უმეტესად „ლოდინ-ი“ იხმარება, სადაც **ინ** მიღებული უნდა იყოს **ილ**-ისაგან (*ლოდ-ილ-ი→ლოდ-ინ-ი). ამ ზმნებში **ოდ** სავრცობი ელემენტია.

574. ომიანი საწყისი. რამდენიმე ზმნა საწყისის ფორმაში ფუძესა და ა-ს შუა **ომ** ინფიქსს გვიჩვენებს. ეს ზმნები ყველა გარდაუვალია. საშუალი ან ვნებითი; ასეთებია:

დგომა (ვდგავარ; ავდგები — ადგომა, დავდგები — დადგომა. შევდგები — შედგომა და მისთ.).
კვდომა (მოვკვდები, მოგიკვდა, მო-გ-კვდომ-ია).
კრთომა (ვკრთები, შევკრთი: ძველად განვკრთ).
ნდომა (მინდა, მინდოდა).
რჩომა (დავრჩები, დარჩა; დარჩომა, რა დაგრჩომია?).
სქდომა (ან სკდომა; გასკდა, გასკდომა).
სხდომა (ვსხდებით, დავსხედით).
სხლტომა (ვსხლტები, დავსხლტი).
ტყვრომა (გამოტყვრება, გამოტყვრა).
ტყდომა (გატყდება, გატყდა).
შრომა (ვშვრები: ძვ. ქართ. მოვშუერ, დავშუერ).
ცდომა (ვცდები, შევცდი) [მიღებულია „ცთომ“-ისაგან დონიანი ვნებითის გავლენით].
ძლომა (ვძღები, გავძეხ) [ფუძე მგონია **ძეხ**: ღანი **ხ**ანისგანაა მიღებული ძილის მეზობლობაში].
ძ[ვ]რომა (ვძვრები, გავძვერ).
წვდომა (გავსწვდები, გავსწვდი).
წყრომა (ვწყრები, გავწყერ).
ჭდომა (შემოჭდომა, «ვეფხ.», 546).
ხვდომა (შეხვდომა, გახვდომა).
ხტომა (ხ[ლ]ტომა, შეხ[ლ]ტომა, გახ[ლ]ტომა).
ჯდომა (დაჯდომა, შეჯდომა) და სხვ.

დ წარმოშობით სავრცობია „ნდომა“-ში (§ 555), ხოლო „ტყდომა“-სა და „სკდომა“-ში — ვნებითის ნიშანი. ვნებითისავე ნიშანი უნდა იყოს წარმოშობით „სხდომის“ **დ** (და-გვ-სხ-ა — და-ვ-სხ-**ედ**-ით), და, შეიძლება, ზოგი სხვისაც, როგორც ამას არკვევდა ვ. თოფურია.

„მისჭრომია“ ფორმა („გენაცვალე, ქალო — იძახოდა ერთი, — მაგ საწყალ არაშენდაანთ ალი ახლა სახლში მისჭრომიათ“, ლომ., «ალი») გვაფიქრებინებს, რომ „მივეჭრები“ ზმნის საწყისია „მიჭრომა“. მაგრამ ეს დიალექტური ფორმა ჩანს (ქართლური).

ვნებითის **დ** დიალექტურად შემონახულია სხვა ზმნათა საწყისებშიც: „აძრახდომა“ (ფშაურად „დალაპარაკება“, „ხმის გაცემა“), „გაფრინდომა“

(«ხალხ. პოეზია», I, № 184 გ, გვ. 448. „**გარისხდომა:** „გაგრისხდომია დავლათი ლაღის ლაშარის ჯერისაო" (თ. რაზ. ფშ. 16, № 28).

დღეს აღარ იხმარება „დადგრომა" და „დავრდომა". მაგრამ ლიტერატურული ტრადიციით შემონახულია „დაუდგრომელი" და „დავრდომილი", რომლებიც **ომ** ინფიქსს გვიჩვენებენ.

575. ოლიანი საწყისი. ზოგიერთ ზმნას ფუძესა და საწყისის ა-ს შორის აქვს **ოლ**. ესენი ჩვეულებრივ გარდაუვალი ზმნებია:
ბრძოლა (ვიბრძვი, ვიბრძოდი).
თრთოლა (ვთრთი, ვთრთოდი).
ქროლა (ქრის, ქროდა).
ყოლა (მყავს, მყავდა ან მყავნდა); ჩავჰყვები, ჩაჰყვა, ჩაყოლა („ჩათრევას ჩაყოლა სჯობიანო", ანდ.).
ყროლა (ყარს, ყარდა; ძველად: ყროდა).
ძლოლა (უძლვის, უძლოდა; გაძლოლა, გაუძლვება).
ძრწოლა (ვძრწი, ვძრწოდი).
წოლა (ვწევარ, ვიწევი).

ამ ჯგუფს მიეკედლა გარდამავალი „ვისვრი" ზმნის საწყისი: „სროლა" (ძველად „სრევა": § 366).

ეს **ოლ** წარმოშობით იგივე უნდა იყოს, რაც სვანურის **ოლ**, რომელიც ვნებითი გვარის ზმნათა სავრცობია: ტეხნი („ბრუნდება"), **ტეხნოლ** („ბრუნდებოდა") და მისთ. (§ 473).

576. სანიანი საწყისი. ვალ ფუძის ზმნათა საწყისია ს-ვლ-ა (ძველად: ს-ლვ-ა): შე-სვლა, გა-სვლა, წა-სვლა, მო-სვლა, მი-სვლა და სხვ., სადაც თავკიდური **ს** ფუძის კუთვნილება არ არის, ისე როგორც ს-რბა-სა და ს-ყიდა-ში, რომლებიც ძველად იხმარებოდა: „და ვითარცა არარაჲ აქუნდა მას, რაჲმცა მისცა, უბრძანა უფალმან მისმან განსყიდაჲ ცოლისაჲ და შვილთა მისთაჲ და ყოველი, რაჲცა აქუნდა მას, და გარდაჴდად იგი" (მათ. 18, 25); უკანასკნელი ზმნის **ს** პირიან ფორმებშიც ჩნდებოდა: „ანუ არა ორი სირი ერთის დანგის განისყიდების?" (მათ. 10, 29).

გამოითქვა მოსაზრება, რომ ეს **ს** არის ნივთის კატეგორიის ნიშანი, უძველესი დროიდან შემორჩენილიო (ა. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, 1942, § 96), მაგრამ ეს არ დამტკიცდა.

577. ძველი ფორმები საწყისისა. ქართულში დღევანდლამდე შემონახულია ერთი წყება ზმნებისა, რომელთაც საწყისის მაწარმოებლად **ილ** სუფიქსი აქვთ. ეს არის უმეტესად გარდაუვალი ზმნების საწყისები, როგორიცაა:
ტირ-ილ-ი (ვ-ტირი, ძვ. ქ. ვ-ტირ).
დუღ-ილ-ი (დუღ-ს).
წუხ-ილ-ი (წუხ-ს).
ქუხ-ილ-ი (ქუხ-ს).
დუმ-ილ-ი (დუმ-ს).
ტყუ-ილ-ი (ტყუ-ის).

ტკივ-ილ-ი (მ-ტკივ-ა, ძველად: მტკივის: „ჩვენ უფრო გვტკივის იგი, ვინ და-
გვაკლდა სწორად თავისა", «ვეფხ.», 336).
წყურ-ილ-ი, წყურ-ვ-ილ-ი (მწყურია, ძვ. ქ. მწყურის).
ღვიძ-ილ-ი (მ-ღვიძ-ავს).
*ძინ-ილ-ი→ძილ-ი (მ-ძინ-ავს) [შდრ. ქვემოთ *სიცინილი].
კივ-ილ-ი (ვ-კივ-ი).
ყვირ-ილ-ი (ვ-ყვირ-ი) და სხვ.

აქ შემოდის რიგი სიტყვებისა, ცხოველთა და ფრინველთა „ხმიანობის" გამომხატველი (ს. ორბელიანის სიტყვებით რომ ვთქვათ):
ჩხავ-ილ-ი (ჩხავის).
კნავ-ილ-ი (კნავის).
ბღავ-ილ-ი (ბღავის).
ღმუ-ილ-ი (ღმუის).
ყმუ-ილ-ი (ყმუის) და მისთ.
ასეთივეა აგრეთვე შხუ-ილ-ი, ქშუ-ილ-ი და ხუ-ილ-ი.

გარდამავალ ზმნათაგან ამავე ჯგუფს განეკუთვნება: ვ-ჩივ-ი, რომლის საწყისია „ჩივ-ილ-ი".

აქვე უნდა შემოვიტანოთ „ბაზ-ილ-ი", ანუ „ბაძ-ილ-ი", რომელიც „ბაძვის" პარალელურად იხმარება. ზმნა გარდაუვალია (პირდ. ობიექტი არ ეწყობა, მაგრამ გარდამავლობის ერთი ნიშანი შემოჰრჩენია: მიჰბაძა მან. ანდაზაა: „შურმა შეჭამა სოფელი, ბაზილმა (ბაძილმა) ააშენაო"[1].

ზოგ შემთხვევაში ილ სუფიქსიან საწყისს წინიდან სი აქვს დართული:
სი-რბ-ილ-ი (რბის)
სი-კვდ-ილ-ი (კვდება)
*სი-ცინ-ილ-ი→სიცილი (ვი-ცინ-ი) (შდრ. ზემოთ *ძინილი).
სი-ძულ-ილ-ი (სი-ძულ-ვ-ილ-ი: მ-ძულ-ს).
სი-ცბ-ილ-ი (ძველად ნიშნავდა უაზრო ლაპარაკს: „ეშმაკეულ არს და ცბის", იო. 10, 20; „ჰბორგი, პავლე, რამეთუ მრავალნი წიგნნი შენნი სიცბილად მიგაქცევენ", საქმე 26, 24).
სი-მძიმ-ილ-ი (მიმძიმს: „ეგე არ მიმძიმს, ვაზირო, ეგეა, რომე მწყენია", «ვეფხ.», 62; „ჩემი ასრე რად შესცვალე სიხარული სიმძიმილად"? იქვე, 561).
სი-მშ-ილ-ი (ჰშია, ძვ. ქ. ჰ-მშის).

ზოგ შემთხვევაში ილ სუფიქსის ნაცვლად ულ გვაქვს:
სი-ხარ-ულ-ი (მიხარის, მიხარია[ნ]).
სი-ყვარ-ულ-ი (მიყვარს).
სი-ბრალ-ულ-ი (მებრალის, მებრალება).
სი-არ-ულ-ი (ვიარები) და სხვ.

უკანასკნელად მოყვანილი ზმნები ყველა გარდაუვალია. მათ ემატება

---

[1] ვაჟა-ფშაველას ასეთი ვარიანტი მოჰყავს: „შურმა დაღუპა ქვეყანა, ბაზილმა ააშენაო" («ძველი საქართველო», II, განყოფ. მეოთხე, გვ. 336, სადაც, „ბაზილის" ან „ბაძილის" ნაცვლად „ძახილი"-ა დაბეჭდილი: „ძახილმა ააშენაო" (უთუოდ ბეჭდვის შეცდომაა; ალბათ სტამბაში ვერ გაიგეს „ბაზილი" და «გააზრიანეს»).

გარდამავალი „ვინანი“ („რაცა ვთქვი, მასცა ვინანი“, «ვეფხ.», 817), რომლისაგან საწყისად გვაქვს როგორც ძველი „სი-ნან-ულ-ი“, ისე ახალი „ნანა“ („მე გამაპარეთ, გამიშვით, თვარა დაიწყებთ ნ ა ნ ა ს ა“, «ვეფხ.», 1194).

სი პრეფიქსი აქვს დართული სიტყვას, რომელიც ისედაც საწყისია თავისი ფორმით: სი-ვლტ-ოლ-ა, რომელიც ძველად იხმარებოდა (ნიშნავს გაქცევას თავის დახწევის, თავის გადარჩენის მიზნით: „ილოცევდით, რაჲთა არა იყოს სივლტოლაჲ თქუენი ზამთარსა შინა გინა დღესა შაბათსა“, მათ. 24, 20).

578. უსაწყისო ზმნები. მოიპოვება რიგი ნასახელარი ზმნებისა, რომელთაც არა აქვთ საწყისი. საჭიროების შემთხვევაში საწყისის მაგივრობას მათ თვით ის სახელი უწევს, რომლისაგანაც ნაწარმოებია ეს ზმნები. ასეთი ზმნებია: ვლაპარაკობ (ლაპარაკ-ი), ვბაასობ (ბაას-ი), ვსაუბრობ (საუბარ-ი), ვმუსაიფობ (მუსაიფ-ი), ვჩხუბობ (ჩხუბ-ი) და მისთ.. აღნიშნული ზმნების საწყისი **ობა**-ზე დაბოლოებული უნდა იყოს (*ლაპარაკ-ობ-ა, *ჩხუბ-ობ-ა და მისთ.); მაგრამ ასეთი არ გვხვდება.

მსგავსივე ვითარება აქვს იმ საშუალ ზმნებსაც, რომლებიც **ებით** არის ნაწარმოები გაორკეცებული ფუძეებისაგან ან **იალ**-ზე გათავებული სახელებისაგან (§ 470, 4): ზანზარებ-ს (ზანზარ-ი), კაშკაშებ-ს (კაშკაშ-ი), კაკანებ-ს (კაკან-ი), ვ-ცახცახებ (ცახცახ-ი), ვ-კისკისებ (კისკის-ი), ვ-ღიღინებ (ღიღინ-ი), ვ-ბუზღუნებ (ბუზღუნ-ი), ვ-სრიალებ (სრიალ-ი), ვ-ღრიალებ (ღრიალ-ი), ვ-ტრიალებ (ტრიალ-ი), ფრიალებ-ს (ფრიალ-ი) და მისთ.. ითქმის: „მერცხალი ჭიკჭიკებს“, „ცხენი ჭიხვინებს“, „ქათამი კაკანებს“, მაგრამ არ ითქმის: „მერცხლის ჭიკჭიკება“. „ცხენის ჭიხვინება“, „ქათმის კაკანება“, არამედ: „მერცხლის ჭიკჭიკი“, „ცხენის ჭიხვინი“, „ქათმის კაკანი“ და მისთ. სამაგიეროდ, თუ ამავე ფუძეთაგან მოქმ. და ვნებ. გვარის ფორმებს ვაწარმოებთ, მათ ექნებათ თავისი საწყისი: ავაჭიკჭიკებ, აჭიკჭიკდება — აჭიკჭიკება; ავაკაკანებ, აკაკანდება — აკაკანება; ავაჭიხვინებ, აჭიხვინდება—აჭიხვინება და მისთ.

საწყისი არა აქვს ზოგ პირველად ზმნას, როგორიცაა: ღირს, უშავს და სხვ.

579. სახელად ქცეული საწყისები. როგორც აღვნიშნეთ (§ 570), საწყისს რიცხვი არა აქვს, რადგანაც მრ. რიცხვის წარმოება არ შეუძლია; მაგრამ პოეზიაში შეიძლება ასეთიც შეგვხვდეს: „ვთქვნი **საწუთროსა** გ მ ო ბ ა ნ ი“ («ვეფხ.», 390) და მისთ.

საწყისმა შეიძლება დაკარგოს ზმნური ნიშნები და სახელებში გადაირიცხოს. ასეთ სახელებს მრავლობითიც აქვთ (§ 107).

შეიძლება ითქვას, რომ **ილ** სუფიქსით ნაწარმოები ძველი საწყისები, აგრეთვე **სი — ილ** და **სი — ულ** აფიქსებით ნაწარმოები (§ 578) დღეს უკვე არსებით სახელთა რიგებში დგანან, მიუხედავად იმისა, რომ მათგან მრავლ. რიცხვი არ იწარმოება.

580. ნაზმნარი სახელები. ნაზმნარია ყოველი სახელი, რომელმაც ზმნის ფუნქციები დაკარგა, ვთქვათ, ადამიანის სახელები ფშავში: „გამიხარდი“, „მეწყინა“, „მახარე“ და სხვა (§§ 80, 101). ნაზმნარია აგრეთვე სახელზმნა (საწყისი თუ მიმღეობა), რომელმაც დაკარგა ზმნის კატეგორიები (კრება, კრებული,

თხრილი, მარხვა და სხვ.). მაგრამ, ამათ გარდა, მოიპოვება რიგი სახელებისა, რომლებიც ნაწარმოებია ზმნათა ფუძეებისაგან **უნ** და **ან** სუფიქსის საშუალებით. ეს ზმნათა ფუძეები უმეტესად ხმოვან-მონაცვლეებია: ზმნის ფუძის **ე** სახელში ა-დ გადაკეთდება. მნიშვნელობა ასეთი სახელებისა უახლოვდება სათანადო ზმნის საწყისისას: ყლარ-უნ-ი=ყლერის ხმა; რაკ-უნ-ი=რეკის ხმა, რახ-უნ-ი (*რახვ-უნი)=რეხვების ხმა და მისთ.. საზოგადოდ ასეთი სახელები აღნიშნავენ ხმას, რომელიც სდევს ფუძით აღნიშნულ მოქმედებას: „ამ ტრიალში და ვაივაგლახში რომ არის, ერთი იხტუნა, მითამ საფლავიდამ ამოხტომა უნდა და ტახტიდამ ძირს აგურებზედ კი ბრაგვანი მოიღო“ (ყაზ.). ბრაგვანი მოიღო (ან: ბრაგვანი მოადინა) ნიშნავს: [დაეცა და დაცემისაგან] ბრეგვის ხმა მოიღო (ან: მოისმა; „მოიღო“ გარდამავალია, „მოისმა“=გარდაუვალი; მოიღო=მოიტანა); არაგვმა „მილეწ-მოლეწა კლდეები, მტკვარს გაადინა ჯახანი“ (ვაჟა, I, 41), ე. ი. არაგვი მტკვარს დაეჯახა და მოისმა ჯახების ხმა.

მსგავსი სახელებია: ბაგუნი, ბაკუნი, ბრაგუნი (=ბრაგვანი), ბრაცუნი, ბრახუნი, გლაჯუნი, დგაფუნი, ზაპუნი, კაპუნი, კნატუნი (←კვნატუნი) და მისთ.. ადვილი მისახვედრია, რომ ზოგი აქ ჩამოთვლილი სახელი ზმნის ფუძისაგანაა ნაწარმოები ხმოვნის შენაცვლებით: კბილების კრეჭა — კბილების კრაჭუნი ბეგვა — ბაგუნი, ბრეგ[ვ]ა — ბრაგუნი, ტყეპა—ტყაპუნი, ჩქეფა—ჩქაფუნი, ხეხა — ხახუნი, ხეთქა — ხათქუნი, ხვრემა — ხ[ვ]რამუნი. ზოგი ასეთი სახელისათვის ზმნის ფუძის მონახვა აღარ ხერხდება, — ალბათ ზმნა ხმარებიდან გადავარდა.

ამ სახელებისაგან ადვილად კეთდება ახალი ზმნები: ფეხებს აბაკუნებს, ზურგში უბრაგუნებს (უბაგუნებს), ფეხები დაუბრაცუნა, კარს აბრახუნებენ, ხელს უცაცუნებს, თავში უტყაპუნებს, ბოძს ეხახუნება და მისთ.. საყურადღებოა, რომ ასეთ ზმნებს საწყისი არა აქვთ (განსაკუთრებით, თუ ზმნა გარდაუვალია) და საწყისის მაგივრობას ზემოთ მოყვანილი ფორმები ეწევა: უყვარს თავში ტყაპუნი, არ მოიშალა ფეხების ბრაცუნი და მისთ.. რამდენიმე მაგალითი: „მესმოდეს დაულეველი ზვირთების ჩქეფა, ზრიალი, გასწვრივ-გასწვრივი შხაპუნი, პირ-ქაფიახი ტრიალი“ (ვაჟა, I, 37); „ისმის საზარო ხმა რამე, ჩანჩხზე ჩქაფუნი მდინარის“ (იქვე, 43, 22); „კლდისა მოისმა ქვითინი, მედგრად გაისმა ჯახანი, წყალმა მეორე მხარესა კლდისას გაიღო ჩქაფანი“ (236, 20—23); „კურდღელიც შემოსჩვევია, რომ აცმაცუნოს პირია (62, 5 ქვ.): „დაჩხაკუნებს ხმალსაო“, (116, 20); „ატყაპუნებენ ყურებსა“ (139, 20); ჩანგურო, „ამოყლარუნდი ხმა-ტკბილად“ (170, 9); „შავაყლარუნებ ფანდურსა“ (220, 9); „საბრალო გოგიას ქვრივი აფხაკუნებდა თაროსა“ (199, 15); „კლდეზე ტალღები ტყლაშუნობს“ (285, 35).

ზოგი ფუძე გაორკეცებითაც იხმარება, მაგრამ უსუფიქსოდ, თანაც პირველ ნაწილს **ა** ერთვის ბოლოში, ხოლო მეორეს ფუძისეული **ა** შეეცვლება უ-დ: ბაგა-ბუგ-ი, ბრახა-ბრუხ-ი, ლაწა-ლუწ-ი, რახა-რუხ-ი, ტყაპა-ტყუპ-ი, *ლაპა-ლუპ-ი („ცრემლები ლაპა-ლუპით ჩამოსდიოდა“), ხათქა-ხუთქ-ი, ხრამა-ხრუმ-ი და მისთ.

შენიშვნა. თუ პანტა-პუნტი „პენტა“-სთანაა დაკავშირებული, მაშინ არ არის შემოსატანი, და, თუ „პანტისაგან“ არის წარმომდგარი („ჩა-

მოდის პანტა-პუნტითა ყავარი“ = პანტასავით ჩამოდის?), მაშინ მისი ადგილი სახელებშია (§ 183).

581. ფუძის ხმოვანთა მონაცვლეობის საკითხისათვის ქართულში. წინა პარაგრაფში განხილული მასალის გამო საკითხი ისმის ხმოვანთა წესიერი მონაცვლეობის შესახებ ფუძეში: „კბილებს ვ-**კრეჭ**“, „კბილები და-ვ-**კრიჭ**-ე“ და „კბილების **კრაჭ**-უნ-ი“ გვაძლევს ე—ი—ა ხმოვანთა შენაცვლების ნიმუშს ფუძეში. ასეთივეა აგრეთვე: ვ-**ტყეპ**—ვ-**ტყიპ**-ე—**ტყაპ**-უნი; ვ-**კვნეტ**—ვ-**კვნიტ**-ე, **კნატ**-უნ-ი (←კვნატ-უნ-ი) [აქედან ს ა კ ნ ა ტ უ რ ი ძვალი: „გიყვარს საწიწკნი ჩიჩია, საკნატურები ძვალები“,' ვაჟა I, 145, 26]; ვ-**ფხეკ**, ვ-**ფხიკ**-ე, **ფხაკ**-უნ-ი და სხვ.

თუ ამათ დაემატება გაორკეცებული ფუძეები, მაშინ გვექნება ასეთი შენაცვლება: **ე—ა—უ**: ვლეწ — ლაწა-ლუწი, ვ-ბრეგ (ვბრიგე) — ბრაგა-ბრუგი, ვხეთქებ — ხათქა-ხუთქი და მისთ.

მოყვანილი მაგალითების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართულში გვაქვს ფუძის ხმოვანთა მონაცვლეობა (აბლაუტი), მაგრამ იგი სუსტად არის გამოხატული. ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია **ე** და **ი** ხმოვანთა მონაცვლეობა სერიების მიხედვით ზმნებში (ვ-**გრეხ** — ვ-**გრიხ**-ე), რასაც გარკვეული გრამატიკული მნიშვნელობა აქვს მოპოვებული (თემათა გარჩევა ხმოვნის მონაცვლეობაზეა დამყარებული).

მიმღეობა

582. მიმღეობის რაობა და ზმნური ნიშნები. მიმღეობა ჰქვია ზმნის უუღლებელ ფორმას, რომელიც იბრუნვის და წინადადებაში უმეტესად ისეა გამოყენებული, როგორც ზედსართავი: დამწერი, დასაწერი, დაწერილი, დაუწერელი.

მიმღეობას მოეპოვება ყველა ის წარმოქმნის კატეგორია, რომლებიც საწყისს აქვს: გეზი, ორიენტაცია, ასპექტი, კონტაქტი და გვარი (რომელიც საწყისს იშვიათად აქვს). საწყისსავით მიმღეობასაც აკლია ქცევა და სიტუაცია. მაგრამ, საწყისისაგან განსხვავებით, მიმღეობის ზოგიერთ ფორმას მოეპოვება მიმართებითი დრო, რომელიც თანამდევრობის სახელით არის ცნობილი, მაგალითი „გზავნაზე“.

გეზი:	გზავნილი — ჩაგზავნილი	
	(მიუმართ.)	(მიმართ.)
ორიენტაცია:	გაგზავნილი — გამოგზავნილი	
	(მაშორებ.)	(მაახლოებ.)
ასპექტი:	*გზავნილი — გაგზავნილი	
	(უსრ.)	(სრ.)
გვარი:	გამგზავნელი — გაგზავნილი	
	(მოქმ.)	(ვნებ.)
კონტაქტი:	გაგზავნილი — გაგზავნინებული	
	(უშუალო)	(შუალობითი)

588. დროისა და თანამდევრობის კატეგორია მიმღეობაში. დავიწყოთ ჩვეულებრივი შაბლონით, რომ მიმღეობას მოეპოვება დროის კატეგორია. ეს კატეგორია ქართულში რამდენსამე თავისებურებას გვიჩვენებს:

ა) ჯერ ერთი, დროულ გაგებას გვაძლევს არა სამივე გვარის ზმნები, არამედ ვნებითი გვარისა და საშუალთაგან მხოლოდ **ვალ** ფუძისანი.

ბ) შემდეგ, სამივე დროის გაგებას მარტო **ვალ** ფუძის ზმნები იძლევა (§ 601).

გ) ვნებითი გვარის ზმნა არჩევს უკუთქმით (უარყოფით) მიმღეობას, რომელსაც, საპირისპირო ფორმის უქონლობის გამო, დროული გაგება არა აქვს: დაუკვლელი, გაუტეხელი, დაუნგრეველი; სამაგიეროდ

დ) წართქმით (დადებით) მიმღეობას ვნებითი გვარისას ორი დრო აქვს: წარსული და მომავალი; მაგალითები:

წარსული: დაკლული, გატეხილი, დანგრეული.
მომავალი: დასაკლავი, გასატეხი, დასანგრევი.

როგორც ქვემოთ ვნახავთ, მიმღეობის დრო მიმართებითია.

ე) დროული გაგება, რომელსაც ვნებითი გვარის წართქმითი სახის მიმღეობა გვიჩვენებს, სხვა პრინციპზეა დაფუძნებული, ვიდრე დროული გაგება პირიან ფორმებში.

როგორც აღნიშნულია (§ 242), პირიან ფორმათა დროის გაგება ემყარება იმას, თუ როგორია ურთიერთობა ზმნით აღნიშნული მოქმედების დროსა და საუბრის მომენტს შორის იმ თვალსაზრისით, უსწრებს ერთი რომელიმე მათგანი მეორეს, თუ ემთხვევა ერთი მეორეს; მიმღეობის დროის გაგება კი ემყარება იმას, თუ რა ურთიერთობაა მიმღეობით აღნიშნულ დროსა და წინადადებაში ნახმარი ზმნის დროს შორის იმ მხრივ, თუ რომელი რომელს უსწრებს. მაგალითი: „ვიყიდე საახალწლოდ დასაკლავი ინდაური“, — ეს ნიშნავს: ნაყიდი ინდაური ყიდვის დროს ცოცხალი იყო; დაკვლა კი ყიდვის შემდეგ უნდა მომხდარიყო. ამიტომ დრო მომდევნოა. იგივე ვითარება გვექნება, თუ ვიტყვი: „ვყიდულობ დასაკლავ ინდაურს“, ან კიდევ: „ხვალ ვიყიდი საახალწლოდ დასაკლავ ინდაურს“. რომელი დროული ფორმითაც უნდა ავიღოთ „ყიდვა“ ზმნა, „დასაკლავ“ სიტყვის ფორმა მასთან შედარებით მომდევნო დროის გაგებას მოგვცემს.

ეხლა ეს მაგალითი ვნახოთ: „საახალწლოდ ვიყიდე დაკლული ინდაური“ და შევადაროთ მას ორი სხვა წინადადება: „ვყიდულობ დაკლულ ინდაურს“ და „საახალწლოდ ვიყიდი დაკლულ ინდაურს“. აქ იგივე ფორმებია, რაც ზემოთ ვნახეთ, მაგრამ მიმღეობის ფორმა („დაკლული“) აღნიშნავს დროს, რომელიც ყველა მოყვანილი ზმნის დროს უსწრებს და ამის გამო უწინარესია.

მაშასადამე, მიმღეობის დრო არა დამოუკიდებელი დროა, როგორც პირიან ფორმებში საზოგადოდ [1], არამედ მიმართებითი: იგი მიემართება იმ დროს, რომელიც წინადადებაში ნახმარ პირიან ზმნას აქვს. არსებითად ეს არის

[1] პირიან ფორმებში თანამდევრობა მარტო II თურმეობითშია გამოხატული.

არა დროის კატეგორია, არამედ თანამდევრობისა (§§ 262—264), ამიტომ არა წარსული და მომავალი, არამედ უწინარესი და შემდგომი.

რომ ნათქვამი ნათელი იყოს, მოვიყვანოთ კიდევ რამდენიმე მაგალითი: მ ო ვ ი დ ა დასაკლავი ინდაური, მ ო დ ი ს დ ა ს ა კ ლ ა ვ ი ინდაური, მ ო ვ ა დ ა ს ა კ ლ ა ვ ი ინდაური; დამესიზმრა, თითქო დ ა კ ლ უ ლ ი ინდაური გ ა ც ო ც ხ ლ დ ა; ტურამ დ ა კ ლ უ ლ ი ინდაური წ ა ი ღ ო; ამაღამ ტურა დ ა კ ლ უ ლ ინდაურსაც წ ა ი ღ ე ბ ს და დ ა ს ა კ ლ ა ვ ს ა ც. უკანასკნელ წინადადებაში პირიანი ფორმა ზმნისა („წაიღებს“) მომავალი დროის გაგებას გვაძლევს. ამ დროსთან შედარებით, რომელიც კონკრეტულ ვადაშია წარმოდგენილი („ამაღამ“), ერთი მიმღეობის ფორმა („დაკლული“) გვაძლევს წარმოდგენას წინამავალი დროის შესახებ (ე. ი. უწინარესისას), მეორე კი („დასაკლავი“)— მომდევნო დროის შესახებ (ე. ი. შემდგომისას).

დასკვნა: უფრო მართებული იქნება, ვთქვათ, რომ ვნებითი გვარის მიმღეობას ქართულში აქვს არა დრო, არამედ თანამდევრობაო (§§ 262—265). ეს ერთად-ერთი უღლების კატეგორიაა, რომელიც უუღლებელ ფორმასაც მოეპოვება.

მიუხედავად ამისა, არის ერთი გარემოება, რომელიც ნებას გვაძლევს, ვილაპარაკოთ დროის კატეგორიის შესახებაც. როდესაც ვნებითი გვარის მიმღეობის ფორმა ისეთ წინადადებაშია ნახმარი, რომელსაც შემასმენლად ეხლანდელ-დროიანი ზმნა აქვს, მაშინ თანამდევრობის კატეგორია ემთხვევა დროისას; იგივე მაგალითი:

ა) ვ ყ ი დ უ ლ ო ბ დ ა ს ა კ ლ ა ვ ინდაურს. — ინდაური უნდა დაკლან ყიდვის შემდეგ, ყიდვა კი უბნობის მომენტში ხდება; ცხადია, აქ მომდევნო დრო მომავალს უდრის. მაშასადამე, „დასაკლავი“ აქ მომავალ-დროიანი მიმღეობაა.

ბ) ვ ყ ი დ უ ლ ო ბ დ ა კ ლ უ ლ ინდაურს. — ინდაური ყიდვამდე დაუკლავთ, ყიდვა კი უბნობის მომენტში ხდება; ცხადია, აქ უწინარესი დრო წარსულს უდრის. მაშასადამე, „დაკლული“ აქ წარსულ-დროიანი მიმღეობაა.

584. მიმღეობის ფორმათა მრავალფეროვნობა და წარმოების საშუალებანი. არსად არ არის არეული ერთმანეთში სხვადასხვა ეპოქისა და სხვადასხვა კილოს ქონება, როგორც მიმღეობის ფორმებში. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი:

ა) ვინც უძღვის, ის არის: „მოძღვარი“-ც, „მძღვარი“-ცა და „მძღოლი“-ც. „მოძღვარი“ (ძველი ორთოგრაფიით „მოძღუარი“) მასწავლებელს აღნიშნავდა, მაგრამ მისი პირვანდელი მნიშვნელობა იყო გზის მაჩვენებელი, როგორც კარგად დადასტურებულია ბ. ზარზმელის «ცხორებაში» („მაშინ ჭაბუკი იგი მ ო ძ ღ უ ა რ ი ჩუენი, გუეტყოდა“). „მძღვარი“ და „მძღოლი“ გვაქვს „წინამძღვარ“-სა და „წინა-მძღოლ“-ში.

ბ) «ვეფხის ტყაოსანში» გვაქვს როგორც „მაქებელი“ (1048), ისე „მქებარი“ (774) და „მქებარე“ (530). უკანასკნელი უთუოდ პოეტური ლიცენციაა, მაგრამ სამაგიეროდ მესამე ვარიანტად „მქებელი“ გვაქვს.

გ) სხვადასხვანაირად ნაწარმოებია და მნიშვნელობითაც განსხვავებულია: „მეძიებელი“, „მეძებარი“, და „მძებნელი“ („ისწავლე, სწავლის მძებნელო“, გურამ.), მაგრამ ფორმით ყველა მიმღეობაა.

დ) უხსოვარი დროიდანაა მოღწეული მიმღეობის ფორმა „შვილი", რომლის გვერდით „შობილიც" იხმარება და „ნაშობიც".

ე) „მოწეული" და „მოწიფული" განსხვავებულია ერთმანეთისაგან როგორც ფორმით, ისე მნიშვნელობით („მოწეული ხილი", „მოწიფული ვაჟკაცი").. მაგრამ ამათ გვერდით არსებობს აგრეთვე „მწიფე", რომელიც აგრეთვე მიმღეობის ფორმაა (§ 477).

მიმღეობის ფორმათა საწარმოებლად მოგვეპოვება სუფიქსი (და-წერ-**ილ**-ი, და-მალ-**ულ**-ი), პრეფიქსი (და-**მ**-წერ-ი, მო-**მ**-ტან-ი, და-**სა**-წერ-ი, მო-**მა**-ვალ-ი, **ნა**-ხნავ-ი), პრეფიქს-სუფიქსი **მ**-თლ-**ელ**-ი, **მ**-კვდ-**არ**-ი, და-**უ**-წერ-**ელ**-ი).

მიმღეობის ფორმები სჯობს განვიხილოთ გვართა მიხედვით.

მოქმედებითი გვარის მიმღეობა

585. მოქმედებითი გვარის ზმნის მიმღეობის რაობა. მოქმედებითი გვარის მიმღეობა არის ფორმა, რომელიც მოქმ. გვარის ზმნის სუბიექტური პირის მოქმედებას წარმოგვიდგენს განყენებულად უღლების კატეგორიებისაგან; მაგალითები:

გამტეხი არის, ვინც გატეხა (და არა, რაც გატეხეს, ან ვისაც გაუტეხეს).

ამშენებელი არის, ვინც ააშენა (და არა, რაც ააშენეს, ან ვისაც აუშენეს).

გამყიდველი არის, ვინც გაყიდა (და არა, რაც გაყიდა, ან ვისიც გაყიდა) და მისთ.

მოქმედებითი გვარის მიმღეობას, ვნებითი გვარის მიმღეობისაგან განსხვავებით, დროს გაგება არა აქვს, რადგანაც საპირისპირო ფორმები აკლია:

გამტეხი-ა არა მარტო ის, ვინც გატეხა, არამედ ისიც, ვინც გატეხს.

გამყიდველი-ა არა მარტო ის, ვინც გაყიდა, არამედ ისიც, ვინც ყიდის ან გაყიდის, ხოლო

მყიდველი-ა ისიც, ვინც ყიდულობს და ისიც, ვინც იყიდა ან იყიდის.

586. მოქმედებითი გვარის მიმღეობათა წარმოება. მოქმ. გვარის მიმღეობა ემყარება I სერიის თემას, ამიტომ თემის ნიშანი ყველგან ჩანს, გარდა **ინიანი ზმნების** მიმღეობისა (აქ **ი** იკვეცება **ელ** სუფიქსის დართვის გამო). ეს კია, რომ **ავ** და **ამიან ზმნათა** მიმღეობაში ეს თემის ნიშნები უცვლელად მხოლოდ მაშინ არის წარმოდგენილი, თუ ბოლოში არ ერთვის **ელ** სუფიქსი, ხოლო, თუ ერთვის, მაშინ მათი ხმოვანი **ა** ამოიღება და დარჩება მარტო თანხმოვანი (**ვ** და **მ**).

რადგანაც მიმღეობის საწარმოებლად I სერიის თემაა საჭირო, ამიტომ ხმოვან-მონაცვლე ზმნათა მიმღეობაში **ე** გვაქვს და არა **ი**.

მიმღეობის ძირითადი მაწარმოებელია პრეფიქსი **მ**, ხოლო დამატებით შეიძლება იყოს კიდევ სუფიქსი **ელ**, რომელიც აუცილებელია **ინიან ზმნათა** მიმღეობაში (სადაც **ი** თემის ნიშანი იკარგება სწორედ ამ **ელ**-ის დართვის გამო); სხვაგან კი სუფიქსი შეიძლება დაერთოს, შეიძლება არა.

რადგანაც I სერიის თემა საწყისშიც არის წარმოდგენილი, ამიტომ სიმარტივისათვის ამ ფორმის აღებაც შეიძლება (ოღონდ უნდა გვახსოვდეს, რომ **საწყისის ა** კუმშავს **ავ** და **ამიან** ზმნათა თემის ნიშანს და კვეცს თემის ნიშანს **ინიან ზმნებში**).

მაგალითები:

და-წერა: და-მ-წერ-ი; გა-ტეხ-ა: გა-მ-ტეხ-ი, გა-მ-ტეხ-ელ-ი.

ე⁰ ი: და-გრეხ-ა: და-მ-გრეხ-ი, და-მ-გრეხ-ელ-ი; და-დგენ-ა: და-მ-დგენ-ი. და-მ-დგენ-ელ-ი; გა-ქლეტ-ა: გა-მ-ქლეტ-ი, გა-მ-ქლეტ-ელ-ი; ა-რევ-ა: ა-მ-რევ-ი, ა-მ-რევ-ელ-ი.

ი: თლ-ა (ვ-თლ-ი): მ-თლ-ელ-ი: და-შლ-ა (და-ვ-შლ-ი): და-მ-შლ-ელ-ი.

ავ: და-ხატვ-ა: და-მ-ხატავ-ი, და-მ-ხატვ-ელ-ი; და-კარგვ-ა: და-მ-კარგავ-ი, და-მ-კარგვ-ელ-ი; შე-კვრ-ა: შე-მ-კერავ-ი; შე-მ-კვრ-ელ-ი.

ამ: შე-ბმ-ა (შე-ვა-ბამ): შე-მ-ბმ-ელ-ი: მო-რტყმ-ა (მო-ვა-რტყამ): მო-მ-რტყმ-ელ-ი.

ებ: გა-კეთებ-ა: გა-მ-კეთებ-ი, გა-მ-კეთებ-ელ-ი; და-გებ-ა: და-მ-გებ-ი, და-მ-გებ-ელ-ი.

ობ: და-პყრობ-ა: და-მ-პყრობ-ი, და-მ-პყრობ-ელ-ი; და-დნობ-ა: და-მ-დნობ-ი, და-მ-დნობ-ელ-ი.

ოფ: გა-ყ-ოფ-ა: გა-მ-ყოფ-ი, გა-მ-ყოფ-ელ-ი.

აღნიშნული წესი საყოველთაოა, მაგრამ მას მაინც რამდენადმე შეზღუდვა სჭირდება:

ა) თუ ფუძე ხმოვნით იწყება, მ პრეფიქსის ნაცვლად მა არის: მა-ამებელი, და-მა-არსებელი, მა-აქტივებელი, შე-მა-ერთებელი, გა-მა-ორკეცებელი, ა-მა-ოხრებელი, მა-ომებელი, მა-უწყებელი, მა-უთოებელი, გა-მა-უქმებელი და მისთ.

ბ) თუ ფუძე მანით იწყება, მა უნდა, იმიტომ რომ მარტო მ პრეფიქსის დართვისას ორი მ მოიყრიდა თავს და ძნელი გამოსათქმელი იქნებოდა: და-მა-მშვიდებელი, და-მა-მტკიცებელი; და-მა-მცირებელი და მისთ.. გამონაკლისია: მ-მართველი.

გ) მა გვხვდება „მა-სწავლებელ“-ში და „მა-ტარებელ“-ში, აგრეთვე ზოგ სხვა მიმღეობის ფორმაში: გა-მა-ყრუებელ-ი, გა-მა-ნადგურებელი, და-მა-ბრკოლებელი, აღ-მა-სრულებელი, წა-მა-ხალისებელი, მა-სახელებელი, მა-ჩვენებელი, აღ-მა-შენებელი („დავით აღმაშენებელი“), და-მა-ქცეველი, გა-მა-ცოცხლებელი, შე-მა-წუხებელი, მო-მა-კვდინებელი, მა-ხარებელი და სხვა. ზოგ მათგანს პარალელური ფორმებიც აქვთ, უანო: ა-მ-სრულებელი, ა-მ-შენებელი, გა-მ-ცოცხლებელი, შე-მ-წუხებელი და სხვ.

587. თავისებურებანი. ზოგიერთი მიმღეობის წარმოება თავისებურებას გვიჩვენებს:

ა) საჯ ფუძისაგან (ვ-სჯ-ი, ვ-საჯ-ე) გვაქვს „მსაჯული“, რომელსაც მაწარმოებლად პრეფიქს-სუფიქსი აქვს (მ-საჯ-ულ-ი). წარმოება ძველია, მაგრამ სიტყვა დღევანდლამდეა შემორჩენილი და არსებით სახელადაა ქცეული. მსგავსსავე წარმოებას გვიჩვენებდა მ-ზარდ-ულ-ი („ჰრქუა ასულმა ფარაოჲსსა დამან მის ყრმისამან: „გნებავს, თუ მოგიხადოთ დედაკაცსა მ ზ ა რ დ უ ლ ს ა ებრაელთაგანსა და გიწოვებდეს ყრმასა მაგას“? გამოსლ. 2, 7).

ბ) გვაქვს მიმღეობურ ფორმათა რიგი, ნაწარმოები მ—არ პრეფიქს-სუფიქსით; ასეთი ფორმებია: მ-ხატვ-არ-ი, მ-ღებ-არ-ი, მ-თესვ-არ-ი („გამოვიდა მ თ ე ს ვ ა რ ი თესვად“, მათ. 13, 3). თუ ფუძეში რ არის, მაშინ დისიმილა-

ციით **მ—ალ** გვექნება: მ-წერ-ალ-ი, მ-კერვ-ალ-ი, მ-კურნ-ალ-ი. ეს **სიტყვები** ამა თუ იმ ხელობის კაცს აღნიშნავენ.

გ) **მე—ელ**'ით ნაწარმოები მიმღეობაა: მე-ტყვ-ელ-ი (**წინასწარ-მეტყველი,** პირ-მეტყველი).

დ) **მო—ედ**'ს გვიჩვენებს მო-ქმ-ედ-ი (აქედან ხელმეორედ ნაწარმოები **ზმნა:** იქმედებს, მოქმედება). ფუძეა **ქმ**[ნ]-ა.

ე) „მომკალ"-ი დღევანდელ საწარმოებელ საშუალებათა მიხედვით ასე დაიშლება: **მო-მკ-ალ-ი.**

ვ) „მასწავლებელ"-ი მიღებულია ძველი „ვასწავებ" ფორმისა და ახალი „ვასწავლი" ფორმის კონტამინაციის შედეგად.

ვნებითი გვარის მიმღეობა

588. ვნებითი გვარის ზმნის მიმღეობის რაობა. ვნებითი გვარის მიმღეობა არის ფორმა, რომელიც მოქმ. გვარის პირდაპირ-ობიექტურ პირზე დამართულ მოქმედებას წარმოგვიდგენს უღლების კატეგორიებისაგან განყენებულად; მაგალითები:

გატეხილია, რაც გატეხეს; **გასატეხია,** რასაც გატეხენ.

აშენებულია, რაც ააშენეს: **ასაშენებელია,** რასაც ააშენებენ.

გაყიდულია, რაც გაყიდეს; **გასაყიდია,** რასაც გაყიდიან.

როგორც ვიცით, პირდაპირ-ობიექტური პირი მოქმ. გვარის ზმნისა ვნებითში გადაყვანისას სუბიექტური ხდება (§ 348). ამიტომ ვნებითი გვარის მიმღეობა შეგვიძლია შემდეგნაირადაც განვსაზღვროთ: იგია ფორმა, რომელიც ვნებითი გვარის ზმნის სუბიექტური პირის მოქმედებას წარმოგვიდგენს უღლების კატეგორიებისაგან განყენებულად. აღნიშნულის მიხედვით იგივე მაგალითები ასე წარმოგვიდგება:

აშენებულია, რაც აშენდა (და არა, ვისაც აუშენდა); ხოლო **ასაშენებელია,** რაც აშენდება.

გაყიდულია, რაც გაიყიდა (და არა, ვისიც გაიყიდა) და **გასაყიდია,** რაც გაიყიდება.

ოღონდ ერთია: არის ზოგ-ზოგი ფუძე, რომლებიც ორ-ორ მიმღეობას გვიჩვენებს ვნებითი გვარისას, ოდნავ განსხვავებულს მნიშვნელობით. ასეთია, მაგალითად:

გატეხილი და გამტყდარი,
გათბობილი და გამთბარი,
დადნობილი და დამდნარი და მისთ.

რა განსხვავებაა მოყვანილ წყვილის ცალებს შორის? — ის, რომ **გატეხილია,** რაც გატეხეს და **გამტყდარია,** რაც გატყდა. ასეთივე განსხვავებაა სხვა წყვილის ცალებს შორისაც: გათბობილი — გამთბარი, დადნობილი — დამდნარი.

აღნიშნულის საფუძველზე უნდა ვთქვათ: ზემოთ რომ მოვიყვანეთ ორი განსაზღვრება ვნებითი გვარის მიმღეობისა, ორივე თანაბრად გამოსადეგია, თუ ზმნას ვნებითი მიმღეობა ერთი აქვს და არა ორი; მაგრამ, თუ მიმღეობა ორი აქვს,

მაშინ ერთისთვის ერთი განსაზღვრებაა გამოსადეგი, მეორისთვის — მეორე („გატეხილ“-ისთვის პირველი, „გამტყდარ“-ისთვის მეორე).

არის კიდევ ერთი გარემოება, რასაც ყურადღება უნდა მიექცეს. **დონიან** ვნებითს, კაცმა რომ თქვას, არა აქვს თავისი მიმღეობა (თუ „ტყდომა“-სა და „სკდომა“-ს არ მივიღებთ მხედველობაში). მან ვერ განივითარა ვნებითი და სარგებლობს იმ ფორმას, რომელიც პირდაპირ-ობიექტურ პირს ეხება; მაგ., წარმოშობის თვალსაზრისით **გაკეთებულია**, რაც გააკეთეს (და არა, რაც გაკეთდა): **აშენებულია**, რაც ააშენეს (და არა, რაც აშენდა) და მისთ.. **დონიან** ვნებითს რომ თავისი მიმღეობა ჰქონდეს, აუცილებლად უნდა იყოს ფორმაში **დ** (ან მისი წინამორბედი **ნ**), როგორც ეს არის გამტყ-**დ**-არ'სა და გამსკ-**დ**-არ''ში.

მეორე მხრით, უნიშნო ვნებითის მიმღეობას თითქმის მთლად განუდევნია **სა**თანადო მოქმედ. გვარის ფუძისაგან პირდაპირ-ობიექტური პირისთვის ნაწარმოები მიმღეობა. ვინაიდან „გათბობილი“, „დადნობილი“ და მისთ. შესაძლებელი ფორმებია, მაგრამ ნაკლებად ხმარებული.

ვნებითი გვარის მიმღეობა შეიძლება იყოს წართქმითი (გატეხილი, აშენებული, დაწერილი) და უკუთქმითი (გაუტეხელი, აუშენებელი, დაუწერელი). დროის გაგებას მხოლოდ წართქმითი სახის მიმღეობა გვაძლევს.

მიმღეობის ფორმები მარტო დინამიკურ ვნებითს აქვს. სტატიკურს კი — არა.

589. მომავალ-დროიანი მიმღეობა. მომავალი დროის შემცველი მიმღეობა იმგვარადვეა ნაწარმოები, როგორც მოქმედებითი გვარისა (რომელსაც დროული გაგება არა აქვს), ოღონდ **მ** ან **მა** პრეფიქსის ნაცვლად ვნებით მიმღეობაში ყველგან **სა** იქნება; მაგალითები: გა-**სა**-ტეხ-ი, და-**სა**-წერ-ი, **სა**-თლ-**ელ**-ი, და-**სა**-შლ-**ელ**-ი, და-**სა**-ხატავ-**ი** (და-**სა**-ხატვ-**ელ**-ი), და-**სა**-კარგავ-**ი** (და-**სა**-კარგვ-**ელ**-ი), და-**სა**-გრეხ-ი, გა-**სა**-კეთებ-ი (-ელ-ი), და-**სა**-გებ-ი, და-**სა**-პობ-ი, გა-**სა**-ყოფ-ი (-ელ-ი) და მისთ.. რაკი მოქმედებითში „**მო**-მკალი“ ითქმის, ვნებითში იქნება: **სა**-მკალ-ი.

პირდაპირი ობიექტისადმი (ან ვნ. გვარის ზმნის სუბიექტისადმი) მიმართება მომავალ-დროიანი მიმღეობისა პირველადი მნიშვნელობისაა, მაგრამ ამასთანავე ერთად იგი აღნიშნავს იარაღს, რითაც მოქმედება ხდება; მაგალითი: დ ა ს ა კ ლ ა ვ ი ა

ა) რაც უნდა დაკლან, რაც უნდა დაიკლას („დ ა ს ა კ ლ ა ვ ი გოჭი ვიყიდე“).

ბ) რითაც უნდა დაკლან, რითაც უნდა დაიკლას („ქათამმა ჩხრიკა, ჩხრიკა და თავის დ ა ს ა კ ლ ა ვ ი დანა გამოჩხრიკაო“, ანდ.).

აქ უფრო შეიძლება **ელ** სუფიქსის არ-ხმარება, ვიდრე მოქმედ. გვარის მიმღეობაში: არ ითქმის „(მო)-მ-კლ-ავ-ი“ (უნდა: [მო]მ-კვლ-ელ-ი); ითქმის მხოლოდ „მ-თლ-ელ-ი“, მაგრამ ამასთანავე ერთად „სა-თლ-ელ-ი“-ც და „სა-თალ-ი“-ც („სათალი ატამი“); ითქმის „დამკვრელი“ (და არა „დამკრავი“), მაგრამ ჩვეულებრივია როგორც „დასაკრავი“, ისე „დასაკვრელი“ და მისთ.

590. წარსულ-დროიანი მიმღეობის ფორმები. ვნებითი გვარის წარსულ-დროიანი მიმღეობა წარმოების თვალსაზრისით სამნაირია: სუფიქსიანი (**ნახ-ულ-ი**, და-წერ-**ილ**-ი), პრეფიქსიანი (**ნა-ნახ-ი, და-ნა-წერ-ი**) და პრეფიქსსუფიქსიანი (**და-მ-დნ-არ-ი**).

განვიხილოთ თვითეული მათგანი ცალ-ცალკე.

591. სუფიქსიანი მიმღეობა ვნებითი გვარისა. სუფიქსად გამოყენებულია **ილ** ან **ულ**, რომლებიც ასე ინაწილებენ ზმნებს:

1. **ილ** მოუდის:

ა) ერთ-თემიან ზმნებს: და-წერ-ა — და-წერ-ილ-ი, გა-ტეხ-ა — გა-ტეხ-ილ-ი, და-ბან-ა, და-ბან-ილ-ი. მო-ტან-ა — მო-ტან-ილ-ი და მისთ.:

ბ) ხმოვან-მონაცვლე ზმნებს (ევ-ანების გარდა): და-გრეხ-ა — და-გრეხ-ილ-ი, და-ფლეთ-ა — და-ფლეჯ-ილ-ი, და-დგენ-ა — და-დგენ-ილ-ი და მისთ.:

გ) **ინიან ზმნებს**: [გა-ვ-თლ-**ი**] გა-თლ-ა — გა-თლ-ილ-ი. [და-ვ-ღვრ-**ი**] და-ღვრ-ა — და-ღვრ-ილ-ი და მისთ.;

დ) **ოფიან ზმნებს**: გა-ყოფ-ა — გა-ყოფ-ილ-ი;

ე) **ობიან ზმნათაგან** მხოლოდ იმათ, რომელთაც ვნებითი გვარის პირიანი ფორმები პრეფიქსით (**ი**ნით ან **ე**ნით) ეწარმოებათ: ვპოვ, **ი**-პოვა — გა-პოვ-ილ-ი, დავამხობ, და-**ე**-მხობა — და-მხობ-ილ-ი და მისთ.: და, უკანასკნელ, ზოგიერთ **ავიანს** (ნახე ქვემოთ 3. დ).

2. **ულ** მოუდის იმ ზმნებს, რომელთა თემის ნიშანს ბაგისმიერი ბგერა ახლავს (გარდა **ობ**-ისა): **ავ, ამ, ევ, ებ, ემ.** როგორც სხვა მსგავს ფონეტიკურ ვითარებაში, ისე აქაც **ავ** და **ამ** თემის ნიშნის ხმოვანი ამოღებულია ხოლმე იმის გამო, რომ მომდევნო სუფიქსი (**ულ**) ხმოვნით იწყება (§ 30). ამას გარდა, **ავ** თემის ნიშნისაგან დარჩენილი თანხმოვანი **ვ** მომდევნო **უ**ნის წინ იკარგება სრულიად და ისეთი ვითარება გვაქვს, რომ ერთი შეხედვით კაცს ეგონება, თითქო **ულ** სუფიქსი რთულ თემას კი არ ერთოდეს, არამედ მარტივსო. სამაგიეროდ **ევ**იან ზმნებში ამ შემთხვევაში მარტოოდენ **ვ** არის დაკარგული; მაგალითები:

ა) **ავ:** და-მალვ-ა — *და-მალვ-ულ-ი→და-მალ-ულ-ი; მო-ხატვ-ა — მო-ხატ-ულ-ი, მო-პარვ-ა — მო-პარ-ულ-ი, და-კარგვ-ა — და-კარგ-ულ-ი და მისთ.;

ბ) **ამ:** და-რტყმ-ა — და-რტყმ-ულ-ი, და-დგმ-ა — და-დგმ-ულ-ი, ჩა-ცმ-ა — ჩა-ცმ-ულ-ი და მისთ.;

გ) **ევ:** წა-ქცევ-ა — წა-ქცე(ვ)-ულ-ი, და-რბევ-ა—და-რბე-ულ-ი, და-ხევ-ა—და-ხე-ული, და-ბნევ-ა — და-ბნე-ულ-ი, და-რღვევ-ა — და-რღვე-ულ-ი და მისთ.:

დ) **ებ:** ა-გებ-ა — ა-გებ-ულ-ი, გა-შავებ-ა — გა-შავებ-ულ-ი, ა-შენებ-ა — ა-შენებ-ულ-ი და მისთ.;

ე) **ემ:** მი-ცემ-ა — მი-ცემ-ულ-ი, და-ცემ-ა — და-ცემ-ულ-ი და მისთ.

3) აღნიშნული წესები საზოგადოა ვნებითის მიმღეობის წარმოებისათვის სუფიქსის საშუალებით. მაგრამ გვხვდება მცირეოდენი გადახვევა საზოგადო ნორმიდან:

ა) ერთ-თემიან ზმნებს (§ 451) მიმღეობა ძველებურად **ილ**-ით ექნებათ ნაწარმოები, თუნდაც მათ აწმყოში **ავ** (§ 463) დაირთონ: და-თეს-ილ-ი, მო-თელ-ილ-ი, გა-კვეთ-ილ-ი, გა-ლეწ-ილ-ი, გა-რეკ-ილ-ი, გა-რეცხ-ილ-ი, და-ჩეჩ-ილ-ი, გა-ჭედ-ილ-ი და მისთ.. გამონაკლისია: გა-თიბ-ულ-ი, შე-ჭმ-ულ-ი (უთუოდ ბაგისმიერი ბოლოკიდურის გამო).

„მო-ვ-ი-ხმარ“ ზმნას მიმღეობა არა აქვს და სარგებლობს **ებ**-დართული ზმნისაგან: (მო)ვიხმარებ — (მო)ხმარებულ-ი.

ბ) ხმოვან-მონაცვლე ზმნათაგან „კრება“ ძველად ვნებითის მიმღეობას

ულ-ით აწარმოებდა: შე-კრებ-ულ-ი. ასეთი წარმოების ნაშთი დღეს „კრებულ“-ში გვაქვს, მაგრამ იგი არსებით სახელადაა ქცეული (§ 602).

გ) ინიან ზმნათაგან „გა-ვყიდი“-სა და „ვიყიდი“-ს საწყისი ისე აქვთ ნაწარმოები, თითქო **ავ**იანი იყვნენ: გა-ყიდ-ვ-ა, ყიდ-ვ-ა. მიმღეობაც ამის კვალობაზე აქვთ: გა-ყიდ-**ულ**-ი, შე-(ს)-ყიდ-**ულ**-ი.

დ) რამდენიმე **ავ**იანი ზმნა **ილ**იან მიმღეობას გვაძლევს; ეს ის ზმნებია, რომელთაც ფუძეში ე აქვთ ან ო: გა-ბერ-ილ-ი, გა-ბერტყ-ილ-ი, და-კეტ-ილ-ი, და-სერ-ილ-ი, შე-ფერ-ილ-ი, გა-ქელ-ილ-ი, შე-ღებ-ილ-ი, და-ჩეჩქვ-ილ-ი, გა-ცეხვ-ილ-ი, გა-ხერხ-ილ-ი: შე-ბოჭ-ილ-ი, და-ზოგ[ვ]-ილ-ი, გა-ზომ-ილ-ი, და-კოდ-ილ-ი, გა-ლოკ-ილ-ი, და-ნომრ-ილ-ი, შე-ღობ-ილ-ი და სხვ.

ე) სამაგიეროდ „ვ-წვ-ავ“ ზმნა სულ სხვა ვითარებას გვიჩვენებს: მიმღეობის წარმოების საკითხში იგი მესამე ტიპის ვნებითი გვარის ზმნებს ექედლება: და-მ-წვ-**არ**-ი (§ 544).

592. პრეფიქსიანი მიმღეობა ვნებითი გვარისა. მაწარმოებელია **ნა**, რომელიც, თუ ზმნა ორ-თემიანია, I სერიის თემას ერთვის: **ნა**-წერ-ი, მო-**ნა**-ტან-ი, და-**ნა**-გრეხ-ი, შე-**ნა**-ძენ-ი, **ნა**-ხნ-ავ-ი, **ნა**-კრ-ავ-ი, **ნა**-ბამ-ი, მო-**ნა**-რტყამ-ი, შე-**ნა**-ხვევ-ი, გა-**ნა**-კეთებ-ი, და-**ნა**-პობ-ი, მი-**ნა**-ცემ-ი, გა-**ნა**-ყოფ-ი და მისთ.

ზოგ შემთხვევაში **ავ** სუფიქსი ჩამოშორებულია და **ნა** მარტო ფუძეზეა დართული: **ნა**-ხატ-ი, **ნა**-ნახ-ი („შალვას ნანახი ხატი“, ვაჟა).

ავ სუფიქსი ძველად **ნა**-დართულ მიმღეობაში **ევ**-ად გადაკეთდებოდა, ნა-მალ-**ევ**-ი, ნა-პარ-**ევ**-ი და მისთ.. ასეთი წარმოების სიტყვა იშვიათად არის შემორჩენილი: ნა-თვალ-**ევ**-ი („ნათვალევის ლოცვა“).

ნა პრეფიქსი ზოგჯერ არ არის საკმარისი მიმღეობის საწარმოებლად და ფორმას ბოლოში **არ** სუფიქსი ერთვის პირდაპირ ფუძეზე (თემის ნიშნის გარეშე): ნა-ჩუქ-არ-ი (ვაჩუქებ), ნა-უბ-არ-ი (ვუბნობ; მოსალოდნელი იყო: ნა-უბნ-არ-ი, ისე როგორც სა-უბნ-არ-ი, რომლის ნაცვლად ამჟამად სა-უბ-არ-ი ითქმის).

593. ურთიერთობა სუფიქსიან მიმღეობასა და პრეფიქსიანს შორის. განსხვავება, რომელიც შეიძლება ოდესმე არსებულიყო **ილ ულ** სუფიქსით ნაწარმოებსა და **ნა** პრეფიქსით ნაწარმოებ ვნებითი გვარის მიმღეობითს ფორმებს შორის გრამატიკული შინაარსის თვალსაზრისით, ამჟამად არ არსებობს. მაგალითად, „მო-გებ-**ულ**-ი“ და „მო-**ნა**-გებ-ი“ დღეს ერთი და იგივეა მნიშვნელობით: წინადადება „გუშინ მოგებული ფული დღეს წავაგე“ იგივეა, რაც „გუშინ მონაგები ფული დღეს წავაგე“; ერთი და იგივეა აგრეთვე „ნახ-**ულ**-ი“ და „**ნა**-ნახ-ი“, ამიტომ ვაჟა-ფშაველას ერთი მოთხრობის სათაურში შეიძლება მიმღეობის ფორმა შეიცვალოს და მნიშვნელობა მაინც იგივე დარჩეს: „შალვას ნანახი ხატი“ = „შალვას ნახული ხატი“. მსგავსად ამისა. ანდაზა: „ქარის მოტანილს ისევ ქარი წაიღებსო“ შეგვიძლია ასეთი ფორმითაც ვთქვათ: „ქარის მონატანს ისევ ქარი წაიღებსო“, ან კიდევ, ანდაზა: „მგელი დანარჩენს ჩიოდა, პატრონი — წანაღებსაო“ ასეც შეიძლება ითქვას: „მგელი დარჩენილს (ან: დარჩომილს) ჩიოდა, პატრონი წაღებულსაო“.

ერთი კია: ზმნისწინიან მიმღეობაში ორივე სახის წარმოება გვხვდება:

ა-შენებ-**ულ**-ი, ა-**ნა**-შენებ-ი; და-წერ-**ილ**-ი, და-**ნა**-წერ-ი; და-ბეჭდ-**ილ**-ი, და-**ნა**-ბეჭდ-ი; და-მზადებ-**ულ**-ი, და-**ნა**-მზადებ-ი; გა-კეთებ-**ულ**-ი, გა-**ნა**-კეთებ-ი და მისთ.; უზმნისწინო ფორმები კი უმეტესად პრეფიქსითაა ნაწარმოები: **ნა**-შენებ-ი, **ნა**-წერ-ი, **ნა**-ბეჭდ-ი, **ნა**-კეთებ-ი და მისთ.. **ილ/ულ**იანი მიმღეობა უზმნისწინოდ იშვიათად გვხვდება („და გზა უვალი, შენგან თ ე ლ ი ლ ი“, ბარათ.). ითქმის გა-ფიც-ულ-ი, შე-ფიც-ულ-ი, მაგრამ: ნა-ფიც-ი და მისთ. ამასთანაა დაკავშირებული, რომ ის ზმნები, რომლებიც საზოგადოდ უზმნისწინოდ იხმარება, ვნებითი გვარის მიმღეობას უმეტესად **ნა**-თი აწარმოებენ: თქვა — ნათქვამი, იყიდა — ნაყიდი, ნახა — ნანახი, იპოვნა — ნაპოვნი, იკისრა ვალდებულება — ნაკისრი ვალდებულება, იხმარა — ნახმარი, ითხოვა — ნათხოვი და მისთ.

ნა-თი ნაწარმოებმა ფორმებმა იმატა ისტორიულად: ძველად იყო „თქმული“, ეხლა კი უფრო „ნათქვამი“-ა, ძველად იტყოდნენ: „სწავლული კაცია“-ო, ეხლა კი ვამბობთ: „ნასწავლი კაცია“-ო.

594. პრეფიქს-სუფიქსიანი მიმღეობა ვნებითი გვარისა. ვნებითი გვარის ზმნათა მიმღეობა, რომელსაც პრეფიქსიც უნდა და სუფიქსიც, ასე იწარმოება: თავში დაერთვის **მ**, ბოლოში — **არ** (თუ ფუძეში **რ** ურევია, დისიმილაცია მოხდება და **არ** გადაკეთდება **ალ**-ად). ამ ტიპის მიმღეობა, სხვა მიმღეობის ფორმათაგან განსხვავებით, მარტივი ფუძისაგანაა ნაწარმოები; მაგალითები:

მ—არ: და-ღნ-ებ-ა, და-ღნ-ა — და-მ-ღნ-არ-ი; გა-თბ-ებ-ა, გა-თბ-ა — გა-მ-თბ-არ-ი; შე-დგ-ებ-ა, შე-დგ-ა — შე-მ-დგ-არ-ი; და-ჯდ-ე-ბა, და-ჯდ-ა, და-მ-ჯდ-არ-ი და მისთ.

მ—ალ: გა-შრ-ებ-ა, გა-შრ-ა — გა-მ-შრ-ალ-ი; და-თვრ-ებ-ა, და-თვრ-ა, და-მ-თვრ-ალ-ი; გა-წყრ-ებ-ა, გა-წყრ-ა — გა-მ-წყრ-ალ-ი და მისთ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. მარტივი თემისაგანაა ნაწარმოები აგრეთვე „შვ-ილ-ი“ (რომელიც არსებით სახელადაა ქცეული): ვ-შობ, ვ-შევ, შვ-ა, შვ-ილ-ი.

აღნიშნული წარმოება არ არის ნაყოფიერი (პროდუქციული). იგი უხსოვარი დროიდან არის გადმოცემული. მას მისდევს ძირითადად **ობ**იანი ზმნები, როგორიცაა:

ბრმ-ობ-ა (ვა-ბრმ-ობ), ბრმ-ებ-ა, და-მ-ბრმ-ალ-ი (იშვიათი ფორმაა; ჩვეულებრივ: დაბრმობილი ან დაბრმავებული).
გბ-ობ-ა, გბ-ებ-ის — მგბ-არი (ძვ. ქართ. = მოხარშული).
თბ-ობ-ა, თბ-ებ-ა — (გა)მთბარი.
თრ-ობ-ა (თვრ-ობ-ა), თვრ-ებ-ა — (და)მთვრალი.
კრთ-ობ-ა, კრთ-ებ-ა — (შე)მკრთალი (ამას თავისი საწყისიც აქვს ვნებითში: კრთომა).
ლბ-ობ-ა, ლბ-ებ-ა — (და)მბალი (←და-მლბ-არ-ი, § 561).
ლპ-ობ-ა, ლპ-ებ-ა — (და)მპალი (←*და-მლპ-არ-ი, § 561).
ლხ-ობ-ა (*ლხვ-ობ-ა), ლხვ-ებ-ა — (გა)მხვალი (←*გა-მ-ლხვ-არ-ი, § 561).
ჟღნ-ობ-ა, ჟღნ-ებ-ა — (და)მჟღნარი.
ტკბ-ობ-ა, ტკბ-ებ-ა — (და)მტკბარი.
ფრთხ-ობ-ა, ფრთხ-ებ-ა — (და)მფრთხალი.
ქრ-ობ-ა, ქრ-ებ-ა — (გა)მქრალი.

ღრ-ობ-ა, ღრ-ებ-ა — (და)მღრალი.
ყმ-ობ-ა (=დამშევა) — (მო)მყმარი (ძვ. ქართ.=დამშეული: ს ი ყ მ ი ლ ი — შიმშილი, შიმშილობა).
შრ-ობ-ა, შრ-ებ-ა — (გა)მშრალი.
ცხ-ობ-ა (*ცხვობა), ცხვ-ებ-ა — (გამო)მცხვარი.
ცხრ-ობ-ა, ცხრ-ებ-ა — (და)მცხრალი.
ძრ-ობ-ა (*ძვრ-ობ-ა), ძვრ-ებ-ა — (გა)მძვრალი.
ჭკნ-ობ-ა, ჭკნ-ებ-ა — (და)მჭკნარი (ჭნ-ობ-ა, ჭნ-ებ-ა — დამჭნარი).
ხმ-ობ-ა (ჴმობა), ხმ-ებ-ა — (გა)მხმარი და მისთ.

ობიან ზმნათაგან „რჩობა" („ხრჩობა") ვნებითის პირიან ფორმებს პრეფიქსით იკეთებს: (ი-რჩობა), მაგრამ მიმღეობა **მ—არ**'ით აქვს ნაწარმოები: და-მ-რჩვ-ალ-ი (**ლ** დისიმილაციის გზით არის მიღებული).

ითქმის აგრეთვე „მო-მ-სპ-არ-ი" (ვ-სპ-ობ, ი-სპ-ობ-ა), მაგრამ უფრო ჩვეულებრივია „მოსპობილი".

ასეთსავე ვითარებას გვიჩვენებს **ავიან** ზმნათაგან „წვა" და „სრვა" (ძვ. ქ.): ი-წვ-ის (ი-წვ-ებ-ა) — და-მწვარი, შე-მწვარი (ძველად **ულიანი** ფორმაც იყო: შე-წვ-**ულ**-ი); მო-ი-სრა — მო-**მ**-სრ-**ალ**-ი (ლუკ. 4, 18).

ამავე წარმოებას გვიჩვენებს რამდენიმე ხმოვან-მონაცვლე ზმნა:
დრეკ-ა: დრკება, შე-დრკა — შე-მდრკ-ალ-ი („რა უარეა მამაცსა, ომშიგან პირის მხმეჭელსა, შ ე მ დ რ კ ა ლ ს ა, შეშინებულსა და სიკვდილისა მეჭველსა". ასე იკითხება «ვეფხის ტყაოსნის» ვახტანგისეულ გამოცემაში, ლპთ, 1957 წლის გამოცემაში „შ ე დ რ ე კ ი ლ-შეშინებულსა" არის).
ცვეთა: ცვდება, გაცვდა — (გა)მ-ცვდ-არ-ი (უფრო გავრცელებულია: გაცვეთილი).
წყვეტა: წყდება, გა-წყდა — გა-მ-წყდ-არ-ი (გაწყვეტილიც იხმარება).

ვნებითი მიმღეობის წარმოების ამავე ტიპს განეკუთვნება ორი ერთ-თემიანი ზმნა:
სქდ-ომ-ა: (სკდ-ომ-ა): ვხეთქ, სქდება (სკდება), — გა-მსქდარი (გა-მსკდარი).
ტყდ-ომ-ა: ვტეხ, ტყდება, გა-ტყდა — გა-მტყდარი.

ამას გარდა, არის რიგი უცალო ვნებითი ზმნებისა, რომელთაც საპირისპირო მოქმედებითი არა აქვთ, ან კიდევ მოიპოვება ისეთებიც, რომელთაც საპირისპირო მოქმედებითი **ენ** სუფიქსით აქვთ ნაწარმოები:
კვდომა: *ვა-კვდ-ენ (ვაკვდინებ), კვდება, მოკვდა — (მო)-მკვდარი.
ცდ-ენ-ა: ვაცდენ, ცდება, გაცდა — გა-მცდარი.
დგ-ომ-ა: ა-დგება, ა-დგა — ა-მდგარი (ჩა-დგება — ჩა-მდგარი, და-დგება — და-მდგარი).
რჩ-ომ-ა: დავარჩენ, და-რჩება, და-რჩა — და-მრჩალი.
წყრ-ომ-ა: წყრება, გა-წყრა — გა-მწყრალი.
ხდ-ენ-ა: წა-ვახდენ: წა-ხდება, წა-ხდა — წა-მხდარი (მო-ვახდენ, მო-ხდა — მო-მხდარი).
ჯდ-ომ-ა — და-ჯდება, და-ჯდა — და-მჯდარი.
სხდ-ომ-ა — და-სხდება, და-სხდა — და-მსხდარი.

ზოგ მიმღეობას პარალელები მოეპოვება მოქმედ. გვარის ფუძისაგან: გა-ცდენილ-ი — გა-მ-ცდ-არ-ი: და-დგენ-ილ-ი—და-მ-დგ-არ-ი; და-რჩენ-ილ-ი—და-მ-რჩ-ალ-ი (ან და-რჩომ-ილ-ი); წა-ხდენ-ილი — წა-მხდარ-ი (მო-ხდენ-ილ-ი—მო-მ-ხდარ-ი) და სხვა.

595. მეტეხი და მისთანანი. ნაშთის სახით მოღწეულია ვნებითი გვარის მიმღეობა რამდენიმე ზმნისაგან. მაწარმოებელია პრეფიქსი **მე** ან **მო.**

მე-რწევ-ი — რაც ირწევა.

მე-რყევ-ი — რაც ირყევა, ვინც ირყევა (აქედან: მერყეობა; უარყოფითი: ურყევი).

მე-რხევ-ი — რაც ირხევა.

მე-ხხლეტ-ი — რაც სხლტება.

მე-მსხვრევ-ი — რაც იმსხვრევა.

მე-ტეხ-ი — რაც ადვილად ტყდება (უარყოფითი: უ-ტეხ-ი).

მე-თრევ-ი — რაც დაეთრევა. „არა თუ ქუეყანიერთა და ქუემეთრევთაგან მდიდროოდა, არამედ“... («ცხორ. სერაპიონ. ზარზმ.»).

მო-ზარდ-ი — რაც იზრდება.

მო-ძრავ-ი — რაც იძვრის (უარყოფითი: უ-ძრ-ავ-ი); „მოძრავის“ ფორმა გასაგებია, რადგანაც ზმნა **ავ**-იანია (ვ-ძრ-**ავ**), მაგრამ ამნაირადვეა გაფორმებული აგრეთვე

მო-კვდავ-ი (საპირისპიროა: უკვდავი, ძველი ორთოგრაფიით: მოკუდავი, **უკუდავი:** „არამედ შენ, უ კ უ დ ა ვ ო, რაჲამს იხილე გემოჲ სიკუდილისაჲ, უ კ უ დ ა ვ ჰყავ მ ო კ უ დ ა ვ ი, მჴსნელო“ (ი. მტბევრის საგალობელში: ძვ. ქართ. სას. პოეზია, გვ. 144). ეს „მოკვდავი“ „მაკვდავ“-ად იქცა ზმნისწინის დართვისას: **მო-მა**-კვდავ-ი“ (შეიძლება ეს „მომავალ“ სიტყვის გავლენით მოხდა).

596. უკუთქმითი ფორმები. უკუთქმითი (უარყოფითი) ფორმები მარტო ვნებითი გვარის ზმნებს აქვს და საშუალთაგან **ვალ** ფუძისას. აქ განვიხილავთ ვნებითი გვარისას.

უკუთქმითი ფორმები ვნებითი გვარისა ნაწარმოებია **უ** პრეფიქსითა და **ელ** სუფიქსით. **ელ** სუფიქსი აუცილებელია ინიან ზმნათა მიმღეობაში, სხვაგან შეიძლება მარტო **უ** პრეფიქსი იყოს. საერთოდ კი უფრო მიღებულია ელ-ის დართვაც. მაგალითები: და-**უ**-წერ-**ელ**-ი, და-**უ**-გრეხ-**ელ**-ი, გა-**უ**-თლ-**ელ**-ი, და-**უ**-ხატვ-**ელ**-ი, შე-**უ**-ბმ-**ელ**-ი, გამო-**უ**-ლევ-**ელ**-ი, ა-**უ**-შენებ-**ელ**-ი, და-**უ**-დნობ-**ელ**-ი, მი-უ-ცემ-**ელ**-ი, გა-**უ**-ყოფ-**ელ**-ი. მაგალითები უსუფიქსოდ: და-**უ**-წერ-ი, და-**უ**-გრეხ-ი, და-**უ**-ხატავ-ი, შე-**უ**-ბამ-ი, გამო-**უ**-ლევ-ი („მოართვეს. გასცა უზომო, უანგარიშო, უ ლ ე ვ ი“, «ვეფხ.», 53), მი-**უ**-ცემ-ი, გა-**უ**-ყოფ-ი,

ავიან ზმნათა შეკუმშულ ფუძეებში **ელ**-ის დართვისას თემის ნიშნის თანხმოვანი ფუძეშია გადასული: და-უ-ხვნ-ელ-ი (მაგრამ: და-უ-ხნ-**ავ**-ი), შე-უ-კვრ-ელ-ი (მაგრამ. შე-უ-კრ-**ავ**-ი) და მისთ..

მ—არ აფიქსებით ნაწარმოებ მიმღეობას უკუთქმითი ფორმა **უ**-ს დართვით უკეთდება: და-მდნარ-ი — და-**უ**-მდნარ-ი, და-მშრალ-ი — და-**უ**-მშრალი, გამთბარ-ი — გა-**უ**-მთბარ-ი და მისთ. („კოკობი და დაუფრჭვნელი ვარდი

დაგხვდე დ ა უ მ ჭ ნ ა რ ი“, «ვეფხ.», 132), მაგრამ უფრო გავრცელებულია **უ—ელ**'-ით წარმოება: და-უ-შრობ-**ელ**-ი, და-**უ**-დნობ-**ელ**-ი და მისთ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. უკუთქმითი მიმღეობის **ელ** სუფიქსი ზოგ შემთხვევაში შეიძლება **ილ**-ისგან მოდიოდეს, როგორც ამაზე ხანმეტი ლექციონარის „წინა-დაუცუეთილებაჲ“ მიუთითებს (გალატ. 6, 15) და «ვეფხის ტყაოსნის» „შეუშრობილი“ (თუ იგი ლიცენცია არაა): „მო დავსხდეთ, ტარიელისთვის ცრემლი გვდის შ ე უ შ რ ო ბ ი ლ ი“ (7).

საშუალი გვარის მიმღეობა

597. ზოგადი. საშუალი გვარის ზმნათა მიმღეობის ფორმები ქართულში ნაკლებ შემუშავებულია, ვიდრე მოქმედებითისა და, განსაკუთრებით, ვნებითი გვარისა.

1) ზოგ ზმნას სრულიად არ უკეთდება მიმღეობა; ასეთებია, მაგ., მიკვირს, მწყინს, მიჭირს, მმართებს, მნებავს, მყავს და სხვ.. ასეთია აგრეთვე ბევრი **ობ**იანი ნასახელარი ზმნა: ვანჩხლობ, ვკოჭლობ, ვმათხოვრობ, ვმაჭანკლობ, ვმეფობ, ვჰმეგობრობ, ვოხუნჯობ, ვპოეტობ, ვსულელობ, ვცოცხლობ, ვხუმრობ და სხვ.

2) სხვადასხვა ტიპის ზმნებს ერთნაირი მიმღეობა მოუდის, ან არა და ერთნაირ ზმნებს სხვადასხვანაირად ნაწარმოები მიმღეობა აქვთ.

3) ერთისა და იმავე ფუძისაგან გვაქვს ორგვარად ნაწარმოები ფორმები (სხვადასხვა ეპოქისა ან სხვადასხვა დიალექტური წრიდან შემოსული ლიტერატურაში), ზოგჯერ განსხვავებული მნიშვნელობით: მოახლე და მხლებელი, (მ)ფრინველი და მფრინავი, მოყვარე (კაცთმოყვარე, ცნობის მოყვარე) და მოყვარული და მისთ.

4) გარდაუვალი ზმნის მიმღეობა სუბიექტური პირის მიმართი ფორმაა. საშუალი ზმნა გარდაუვალია და დასახელებული საზოგადო წესი აქაც ძალაშია. მაგრამ არის შემთხვევები, როცა მიმღეობა მიემართება ირიბ-ობიექტურ პირს.

598. მედიოაქტივ ზმნათა მიმღეობა. მედიოაქტივ ზმნათა მიმღეობა სხვადასხვანაირად არის ნაწარმოები: **მ, მო—ე, მ—არე, მ—არ-ი.**

ავიან ზმნათა მიმღეობის მაწარმოებელი აფიქსებია: **მ** ან **მ — არ** (დისიმილაციით: **მ—ალ**): ვ-ცურავ — **მ**-ცურავ-ი, ვ-გმინავ — **მ**-გმინავ-ი, ვ-ხოხავ — **მ**-ხოხავ-ი და მისთ.

ვ-ბრწყინავ — **(მ)**-ბრწყინვ-**ალე**

ვ-ჰმუნავ — **მ**-ჰმუნვ-**არე**

ღელავ-ს — **მ**-ღელვ-**არე**

„ჭიკჭიკებს“ ტიპის გაორკეცებული ფუძეებისაგან მიმღეობა ჩვეულებრივ **მო—ე** აფიქსებით არის გაფორმებული: **მო**-რაკრაკ-**ე**, **მო**-ხითხით-**ე**, **მო**-ჭიკჭიკ-**ე**, **მო**-კაკან-**ე**, **მო**-ტანტალ-**ე**, **მო**-ბიბინ-**ე** და მისთ.

თითო-ოროლა **ობ**იან ზმნასაც მიმღეობა **მო—ე**'თი აქვს ნაწარმოები: არშიყობ-ს — **მო**-არშიყ-**ე**, ვ-ჩქარობ — **მო**-ჩქარ-**ე** („მოჩქარეს დაუგვიანდაო“, ანდ.), ვ-ქეიფობ — **მო**-ქეიფ-**ე** და მისთ.

ა(ვ)ობიანი ზმნებიც **მო — ე** აფიქსებს იყენებენ: ვ-ცურაობ—**მო**-ცურავ-**ე**, ვ-ციგაობ — **მო**-ციგავ-**ე**, ვ-ჭიდაობ — **მო**-ჭიდავ-**ე** („კამეჩის მოჭიდავე ხარს რქები არ შეჰრჩებაო“, ანდ.) და მისთ.. არ ითქმის „ვცეკვა(ვ)ობ“, მაგრამ მიმღეობაა: მო-ცეკვავ-ე (და არა: მ-ცეკვავ-ი).

მ—არე ან **მ—არ** (დისიმილაციით **მ—ალ**) აქვს უთემისნიშნო ზმნებს და ორიოდე სხვას:

ქუხ-ს — მ-ქუხ-არე
წუხ-ს — მ-წუხ-არე
დუღ-ს — მ-დუღ-არე
დუმ-ს — მ-დუმ-არე
დი-ს (ი-დენ-ს, ი-დინ-ა) — მ-დინ-არე (რომელიც დღეს უკვე არსებითია), ან მ-დინ-არ-ი.
ტირ-ი-ს — მ-ტირ-ალ-ი.
ყვირ-ი-ს — მ-ყვირ-ალ-ი.

599. მედიოპასივ ზმნათა მიმღეობა. მედიოპასივ ზმნათა ერთი წყების მიმღეობათა მაწარმოებელია **მ—არე**; ეს არის მდებარეობის გამომხატველი ზმნები. მიმღეობის გამოსავალი ფორმაა საწყისი:

დგას, იდგა, **დგომ**-ა — მ-დგომ-არე.
ზის, იჯდა, **ჯდომ**-ა — მ-ჯდომ-არე.
სხედს, ისხდა, **სხდომ**-ა — მ-სხდომ-არე.
წევს, იწვა, **წოლ**-ა — მ-წოლ-არე.
ძევს, იდვა, **დებ**-ა—მ-დებ-არე („მუსაფი გაშლით მდებარე", «ვეფხ.», 530).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სუფიქსები **არე** (მწუხარე, მჯდომარე, და მისთ. ფორმებში) და **არ** (და-მდნ-არ, გა-მთბ-არ და მისთ. ფორმებში) ერთია წარმოშობით, პირვანდელია **არე**, მერმინდელია **არ**: **ე** სახელობითის ნიშანთან (ი-სთან) იქნა გაიგივებული და ჩამოსცილდა.

600. ვალ ფუძის ზმნათა მიმღეობანი. ვალ ფუძე ერთად-ერთია, რომლისაგან ნაწარმოებ ზმნებს ნორმალურად სამივე დროის მიმღეობა აქვთ ქართულში: **მა**-ვალ-ი, **სა**-ვალ-ი, *ს-ლ(ვ)-ულ-ი (დისიმილაციით: *სრულ-ი, რაეს ამოღებით: *ს-ულ-ი); მაგალითები: მო-**მა**-ვალ-ი (რაც მოდის), მო-**სა**-ვალ-ი (რაც უნდა მოვიდეს), მო-ს-**ულ**-ი (რაც მოვიდა). ამათგან ეხლანდელისა და მომავლის მიმღეობა წმინდა ფუძეს ეყრდნობა, წარსულისა კი — საწყისს: **სლვ**-ა (ძვ. ქ.), **სვლ**-ა (ახ. ქართ.). საწყისისავე ფორმას იყენებს პარალელურად შემუშავებული ფორმები მიმღეობისა: მო-**მ**-სლვ-ელ-ი, მო-**სა**-სვლელ-ი, მო-**უ**-სვლ-ელ-ი („რა მკვდარი და რა შინ მოუსვლელიო", ანდ.; შეიძლება ასეც ითქვას: ...და რა შინ მოუვალიო).

სხვა ზმნისწინით: შემავალი (შემსვლელი), შესავალი (შესასვლელი), შესული, შეუვალი (შეუსვლელი); ჩამავალი (ჩამსვლელი), ჩასავალი (ჩასასვლელი), ჩასული, ჩაუვალი (ჩაუსვლელი) და სხვ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. „მომავალი" ეხლანდელი დროის მიმღეობაა, მაგრამ აღნიშნავს დროს, რომელიც ამიერიდან იქნება: „ვნახოთ, რა იქნება მომავალში". გრამატიკული ტერმინიც ამ გაგებას ემყარება.

601. თავისებურებანი. საშუალ ზმნათა მიმღეობის ფორმებს ზოგი თავისებურება ახლავს. ერთი ასეთია მიმართება ირიბთან.

1. **მიმართება ირიბთან.** ზოგი მედიოპასივი ზმნის მიმღეობა მიემართება არა სუბიექტურ პირს, არამედ ირიბ-ობიექტურს; მაგალითი: ძველად გვქონდა

ზმნა „თანა-მაც“ (←*თანა-მაძს), რომელიც ნიშნავდა: „მმართებს“. წყვეტილის ფორმა იყო „თანა-მედვა“ (=„მემართა“). ზმნა ორ-პირიანი იყო და ორივე პირს თავისი მიმღეობა ჰქონდა:

თ ა ნ ა-მ დ ე ბ ი — ვისაც ჰმართებს, ვისაც ემართა.

თ ა ნ ა-ნ ა დ ე ბ ი — რაც ჰმართებს, რაც ემართება (ე. ი. ვალი).

მსგავსი წარმოება დღესაც გვაქვს ირიბ-ობიექტური პირისთვის. მაწარმოებლები: **მო—ე, მ—ე, მო—ულ, მ—არე;** მაგალითები:

მო-ყვარ-ე. მოყვარეა ის, ვისაც უყვარს (კაცთ-მოყვარე, ცნობის მოყვარე), **სა-ყვარ-ელ-**ია, ვინც ან რაც უყვართ. რადგანაც „მოყვარე“ არსებით სახელად იქცა, მიმღეობის მნიშვნელობის შესანარჩუნებლად **ულ** დაერთო: მო-ყვარ-ულ-ი.

მო-ხარ-ულ-ი. ვისაც უხარია (ვისაც უხარის), ის არის მოხარული, ხოლო რაც უხარის — **სა-ხარ-ულ-**ი („ვითამც რამე სახარული საქმე მითხარ ვითა ადრად“, «ვეფხ.», 757).

„სახარული“ გადავარდა და მისი ადგილი „სიხარულ“-ისაგან ნაწარმოებმა ზედსართავმა დაიჭირა („სასიხარულო“).

მო-ძულ-ე. მოძულეა, ვისაც სძულს; **სა-ძულ-ელ-**ია, რაც სძულთ.

მო-**მ-წონ-ე.** თავ-მომწონეა, ვისაც თავი მოსწონს; მო-**სა-**წონ-ია, რაც მოსწონთ (მაგრამ: ვინც მოიწონებს, ის არის მ ო მ წ ო ნ ე ბ ე ლ ი).

აღნიშნული სახის წარმოება ჩვეულებრივია იმ ზმნათაგან, რომელთაც მარტო ობიექტურ პირებში აქვთ მიმოქცევა:

მ-ძინ-არე. მძინარეა, ვისაც სძინავს.

მ-ღვიძ-არე. მღვიძარეა, ვისაც ჰღვიძავს.

მ-ქონ-ე ან **მ-ქონებ-ელ-ია,** ვისაც აქვს (*ჰ-ა-ქუან-ს); **სა-**ქონ-ელ-ია, რაც აქვთ.

ზოგ ზმნას მარტო სუბ. პირის მიმღეობა აქვს:

სა-ძაგ-ელ-ი — რაც სძაგთ („მო-ძაგე“ არ ითქმის. „მა-ძაგებ-ელ-ი“ გაკეთებულია აქტიური ზმნისაგან: ვინც აძაგებს, ის არის მაძაგებელი).

სა-წყენ-ი — რაც სწყინს კაცს (ობიექტურ პირს მიმღეობა არა აქვს).

2. სხვა სახის თავისებურებანი. როგორც ვნახეთ, **მ — არე** აფიქსებით სულ სხვადასხვა ტიპის ზმნათა მიმღეობაა გაფორმებული: ერთი მხრით, ვინც წუხს (მწუხარე), ან რაც დუღს (მდუღარე), მეორე მხრით, ვისაც სძინავს (მძინარე), ან ვისაც ჰღვიძავს (მღვიძარე). ამას გარდა, თავისებურებას იჩენს ზოგი სხვა ზმნაც.

მ-ა-ხსოვს ზმნისაგან ობიექტური პირის მიმღეობაა „მა-ხსოვ-არ-ი“, მაგრამ იგი ამჟამად არ იხმარება და „მახსოვრობა“-შია შემონახული; სამაგიეროდ ჩვეულებრივია სუბ. პირის მიმღეობა: სა-ხსოვ-არ-ი და უ-ხსოვ-არ-ი.

მ-სურს ზმნის მიმღეობაა „მოსურნე“; რაც შეეხება ამ ფორმებს: მსურ-ვ-ელ-ი და სა-სურ-ვ-ელ-ი, ისინი „ვისურვებ“ ზმნისაა.

მ-ე-სმის ზმნას აკლია მიმღეობა; „მ-სმენ-ელ-ი“ „ვისმენ“ ზმნისაა.

რბი-ს. ამისი მიმღეობა გარდამავალი ზმნის ფუძისაგანაა ნაწარმოები: **მო-**რბენ-**ალ-**ი (ან: **მო-**რბინ-**ალ-**ი: „დედის წინ მ ო რ ბ ი ნ ა ლ ს კვიცს მგელი შეჭამსო“, ანდ., ვაჟა «ფშაველი და მისი წუთისოფელი»: «ძვ. საქართველო», II განყ. მე-4, გვ. 346). [ძველად იყო აგრეთვე **მო—ედ-**ით

ნაწარმოები: **მო-რბ-ედ-ი** (დადასტურებული „წინა-მორბედ“-ში), რაც ბერძნ. **πρόδρομος** სიტყვის თარგმანია. მსგავსი წარმოებისაა: მო-ქმ-ედ-ი)].

ყარს. ამ ზმნის მიმღეობა (მ-ყრ-ალ-ი) ზედსართავთა რიგებში დგას ამჟამად.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. არ იქნებოდა ზედმეტი, რომ მიმღეობანი დაგვეჯგუფებინა წარმოების საშუალებათა მიხედვითაც, მაგრამ ეს შორს წაგვიყვანდა.

602. სახელად ქცეული მიმღეობა. ზოგი სიტყვა, ფორმით მიმღეობა, სახელადაა ქცეული; ასეთებია: მცველი, მასწავლებელი, მშობელი, მოსწავლე, მოახლე, ყვერული, კრებული, თხრილი, შვილი, ნაჭერი, ნატეხი და სხვ.. განსაკუთრებით აღსანიშნავია „მთოვარე“, რომელიც ძველად მთვარის ეპითეტი იყო და შემდეგ მთლად განდევნა ამ ციური სხეულის ნამდვილი სახელი: *თუთე→*თთუე→თუე→თვე, რომელიც ამჟამად მარტო დროის ერთეულს აღნიშნავს (წელიწადის მე-12-ედ ნაწილს). „მთოვარე“-მ შემდგომი ფონეტიკური ცვლილებით „მთვარე“ მოგვცა.

დამატებითი ცნობები მიმღეობის შესახებ

603. მესამე პირის ფორმა მიმღეობის ბადლად. ორიოდე შემთხვევაში შემონახულია უხსოვარი დროიდან მე-3 პირის ფორმა მიმღეობის ბადლად: ასეთია: ღირს-ი, არს-ი, იქცევის-ი, იძრვის-ი, ხერთვის-ი, ხამსი (ჴამსი). განვიხილოთ თვითეული მათგანი ცალკ-ცალკე.

ღირს-ი. ეს სიტყვა ამჟამად ზედსართავია, მაგრამ წარმოშობით ზმნაა, უთუოდ მე-3 პირის ფორმა: ღირ-ს, როგორც ერთ-ერთ ადრინდელ ნაშრომში ვწერდი („ნაშთები მესამე ობ. პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნების წინ ქართულ ზმნებში“: ტ. უ. მ. II, 1922—23, გვ. 274).

არს-ი. ამისი ფორმაც ნათელია: იგია მე-3 პირის ფორმა „ვარ“ ზმნისა (ვ-არ, ხ-არ, არ-ს). ამის შესახებაც იმავე წერილში ვწერდი.

ვარგის-ი — რაც ვარგა, რაც გამოსადეგია. უ ვ ა რ გ ი ს-ი — რაც არ ვარგა. ამან შეცვალა ძველი ჴამს-ი, რომელიც წარმოშობით მე-3 პირის ფორმაა, საკარაუდებელია, რომ „ვარგ არს“ ფორმის გვერდით (§ 565) იყო აგრეთვე „ვარგის“, რომელმაც მიმღეობის მნიშვნელობა მიიღო, დღევანდლამდე დარჩა ცოცხალ კილოებში და იქედან ამოტივტივდა ლიტერატურაში.

იქცევის-ი. ს. ორბელიანს ეს სიტყვა ასე აქვს ახსნილი: „ი ქ ც ე ვ ი ს ი — მბრუნავი“. ი ქ ც ე ვ ი ს ი ა, რაც იქცევის, ე. ი. რაც მობრუნდება, რაც ბრუნავს. სიტყვა გვხვდება მახვილის ეპითეტად: „განჴადა ადამ და დაამკჳდრა იგი წინაშე სამოთხისასა და დაადგინა ქერობინი მოტყინარე და მ ა ხ ჳ ლ ი ი ქ ც ე ვ ი ს ი დაცვად გზასა ხისა ცხოვრებისასა“ (დაბ. 3, 24).

იძრვის-ი. იმავე ს. ორბელიანის განმარტების თანახმად, „ი ძ რ ვ ი ს ი — რაც მოძრავია“.

ხერთვის-ი. ეს სიტყვა აღნიშნავს ადგილს, სადაც ერთი მდინარე მეორეს ერთვის (ან ზღვას ერთვის), შემდეგ ორ წყალს შუა მდებარე ადგილს, ე. ი. ნახევარ-კუნძულს, და, უკანასკნელ, კუნძულს. რომ ეს სიტყვა მესამე სუბ. პირის ფორმაა. ამაზე იმავე წერილში ვწერდი (გვ. 275).

ჭამს-ი. „ჭამ-ს“ ზმნა ძველად უმეტესად მე-3 სუბ. პირის ფორმით იხმარებოდა: ჭამს („საჭიროა“; „ჯეროვანია“); ჭმანან, ჭმდა, მიჭმს და სხვა. აქედან გაკეთდა ჭამსი („ჯეროვანი“, „საჭირო“): „მამასახლისი წარაგებდეს შემოსავალსა საჭმრად ეკლესიისა და მონასტრისა, და დანაშთომსა, რომელი არა წარგებულ იყოს სარგებელად და ჭამსად მონასტრისა, მისცემდეს მეჭურჭლესა“ (პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონი 26,3). ამისგან მიღებულია უარყოფითი **უჭამსი** („უვარგისი“): „თუ უჭამსი იყოს“ (ბექას სამართალი, 52).

მესამე პირის ფორმის გამოყენება მიმღეობის ნაცვლად ეხლაც ცოცხალია ჭანურში: ჭ ა რ უ მ ს — 1. წერს. 2. მწერალი. ხ ა შ კ ა მ ს — 1. თხრის. 2. მთხრელი. (ნ. მ ა რ ი, Грамм. чанского языка, § 104).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ამგვარივე წარმოებისა ჩანს აგრეთვე „მსგავს“-ი, მაგრამ ნათელი არაა თავში დართული ორი თანხმოვნის დანიშნულება (**მს-სი**).

604. ჭამია და მისთანანი. მიმღეობის ფორმა არ არის, მაგრამ შინაარსით მოქმ. გვარის მიმღეობისას უახლოვდება რამდენიმე ფუძისაგან **ია**-თი ნაწარმოები ფორმები: *ჭამია, *ყლაპია, *ქექია, *რეკია და სხვა. ეს ფორმები ჩვეულებრივ გვხვდება ნათესაობითში დაყენებულ სახელთან (ნათესაობითის **ბრუნვის ფორმა**, მხოლობითისა თუ მრავლობითისა, შეკვეცილია **ხოლმე**):
-ჭამია: ბაყაყიჭამია, ყველიჭამია და მისთ.
-ულაპია: დოყლაპია, ბელტიყლაპია (ზღაპრებში) და მისთ.
-პარია: ხარიპარია და სხვ.
-ხარშია: ქვახარშია (ძუნწის ეპითეტია იმერეთში).
-რეკია: ჩიტირეკია (ქარაფშუტა, უქნარა).
-სროლია: ქვასროლია.
-ტანია: ენატანია.
-ქექია: ნაცარქექია (ზღაპრებში) (=ნაცართქექია).
-ჭერია: „ჩრდილოეთ ამერიკის აღმოსავლეთ ნაწილში, ტორფიანი ჭაობების ნაპირებზე იზრდება ბ უ ზ ი ჭ ე რ ი ა, რომელსაც ნიჟარის კიდეების ფორმის ფოთლები აქვს“ (გაზეთიდან). ასეთივეა აგრეთვე „ტვლეპიასვლეპია“ (დათვის ეპითეტი: ვაჟა) და თითქოს „ნათლია“-ც, რომელსაც სახელი არ ახლავს აგრეთვე.

605. ფორმისა და ფუნქციის ურთიერთობისათვის მიმღეობათა ფორმებში. მიმღეობის ფუნქცია (შინაარსი) ზოგჯერ არ ეფარდება მის ფორმას: შეიძლება მიმღეობა ფორმით მოქმედებითი იყოს და ფუნქციით — ვნებითი, ან პირუკუ: ფორმით — ვნებითი, ფუნქციით — მოქმედებითი.

1. **ფორმით მოქმედებითი, ფუნქციით ვნებითი.** არის რამდენიმე მიმღეობა, რომლებიც ისეა გაფორმებული, როგორც მოქმედებითი გვარის ზმნისა, მაგრამ სათანადო პირიანი ფორმები ვნებითია; ასეთია:
მწე, შემწე. მ წ ე ან შ ე მ წ ე ა, ვინც ეწევა, ვინც დახმარებას უწევს („შ ე მ წ ე და მჴსნელი ჩემი ხარი შენ“, ფს. 39, 18). აქედან განყენებული სახელი: „შემწეობა“. „შეეწიე“, „შეეწიე“ ფორმით ვნებითია და ასეთი ზმნის მიმღეობა „შეწეული“ უნდა იყოს და იყო კიდეც: „არა თუმცა უფალი

შეწეულ იყო ჩუენდა..., დღეს არცამცა ერთი ქართველი არა იპოვების ესევითარსა ამას ვრცელსა და დიდებულსა ლავრასა შინა“ (გ. მთაწმ., «ცხორ. იოვ. და ეფთ.», 117). მაგრამ მის ნაცვლად ჩვეულებრივ „მწე“ და „შემწე“ იხმარება (ფორმა შემოკლებულია; სრულად იქნებოდა: „შემწევი“).

დამსწრე, მომსწრე. დამსწრე ჰქვია, ვინც დაესწრო ან ვინც ესწრება, ხოლო მომსწრე — ვინც მოესწრო (ვინც მოსწრებია) ან ვინც მოესწრება.

მომრევი. მომრევი ჰქვია არა მარტო იმას, ვინც მოურევს, არამედ იმასაც, ვინც მოერევა, ვინც მოერია (ჩხუბში, ომში, ჭიდაობაში) (**მრე:** ნუსადა თქუას მტერმან ჩემმან: მრე ვეყავ მას (ფს. 12,5);

შემბმელ-ი. შემბმელია, პირველ ყოვლისა, ვინც შეაბამს, და მერმე — ვინც შეებმება (ჭიდაობაში, კამათში, ომში).

თავს დამსხმელი. გაზეთებში წამიკითხავს: „თავს დამსხმელები მიიმალნენო“. ვინ არიან თავს დამსხმელები? — ვინც თავს დაესხმის.

გამქცევი. დღევანდელ ქართულში ჩვეულებრივია ასეთი გამოთქმა: „გამქცევი ხომ არა ვართო“, ე. ი. ხომ არ გავიქცევით? ანდაზაა: „გამქცევი და წამქცევი — ორივ ღმერთს ეხვეწებოდენ“ («ქართ. ანდაზები», 1926). გამქცევია, ვინც გაიქცევა, წამქცევია, ვინც წააქცევს. მაშასადამე, „გამქცევი“ ვნებითი გვარის მიმღეობაა, „წამქცევი“ კი — მოქმედებითისა, მაგრამ ორივე ერთნაირადაა გაფორმებული.

მიმწევი. ზემორე დამოწმებული ანდაზა ვაჟა-ფშაველას ასეთი სახით მოჰყავს (და ეს უფრო სწორი ვარიანტი ჩანს): „გამქცევი და მიმწევი — ორივ ღმერთს ეხვეწებოდაო“ («ძველი საქართველო». II, განყ. მეოთხე, 346). ამ შემთხვევაში მიმწევია ის, ვინც მიეწევა, ვინც ცდილობს, რომ მიეწიოს: მაშასადამე, პირიანი ზმნა ვნებითია.

მიმპარავი. მპარავია, ვინც იპარავს, ე. ი. ქურდი, რაც კარგად ცნობილია ოთხთავის ენიდან (მათ. 24, 43; ლუკ. 12, 29, იო 10, 1 და სხვაგან). მაგრამ ანდაზაა: „მიმპარავი ძაღლი მყეფარზედ უარესიაო“ («ქართ. ანდაზები», 1926). მიმპარავია, ვინც ან რაც მიეპარება.

მომხმარე, დამხმარე. მომხმარეა, ვინც მოეხმარება; დამხმარეა, ვინც დაეხმარება. (სამაგიეროდ მომხმარებელია, ვინც მოიხმარს).

გამრჯელი. გამრჯელია, ვინც ირჯება: „გამრჯელ ხარს ალო არ დააკლდებაო“ («ქართ. ანდაზები». 1926): „მისი ქმარი დიდი გამრჯელი... განთქმული მონადირეც ყოფილა“ (ი. ჭავჭ.).

ამყოლი, ჩამყოლი. ანდაზაა: „ამყოლს აჰყევი და ჩამყოლს ჩაჰყევიო“. „აჰყევი“ და „ჩაჰყევი“ ვნებითის ფორმებია: აჰყვება იგი მას, ჩაჰყვება იგი მას; აჰყოლია იგი მას, ჩაჰყოლია იგი მას. მათი მიმღეობა უნდა ყოფილიყო: „აყოლილი“, „ჩაყოლილი“: აქ კი გვაქვს: „ამყოლი“, „ჩამყოლი“.

ხელ-მწიფე. მიმღეობის ფორმაა „ხელ-მწიფე“ (ძვ. ქართულით ჴელ-მწიფე), მაგრამ მოქმედებითისაა თუ ვნებითისა? ე. ი. ჴელ-ეწიფა თუ ჴელ-იწიფასი? სხვანაირად რომ ვთქვათ, ვინ არის ჴელ-მწიფე? ვისაც ჴელ-ეწიფების, თუ ვინც ჴელ-იწიფა. — ალბათ, ვისაც ჴელ-ეწიფების, რადგანაც სწორედ

ეს ფორმაა ჩვეულებრივი და გავრცელებული და არა მოქმედებითი. რომ აგრეა, ამას ისიც ამტკიცებს, რომ ცალკე აღებული მ წ ი ფ ე ისაა, რაც მოიწიფა, რაც მოწეულია, ისე როგორც მისი სვანური შესატყვისი მგჰი.

გულ-შემატკივარი. ვინ არის გულ-შემატკივარი? — ის, ვისაც გული შესტკივა.
მოყვანილ მაგალითებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ასეთ მიმღეობათა წარმოებისას გამოსავალია არა პასიური ფორმა პირიანი ზმნისა, არამედ მისი სუბ. პირის აქტიობა რეალურად: შ ე ე წ ი ა — შემწეობა აღმოუჩინა; მ ო ე-რ ი ა — აჯობა, წააქცია, გალახა და მისთ.

ამას გარდა, აღსანიშნავია, რომ ასეთი ტიპის მიმღეობასთან დაკავშირებულია სხვა დროული მნიშვნელობა, ვიდრე ჩვეულებრივად ნაწარმოებში: გ ა მ ქ ც ე ვ ი ა ვინც მირბის (ეხლანდ. დრო), გ ა ქ ც ე უ ლ ი ა ვინც გაიქცა (წარსული დრო), გ ა ს ა ქ ც ე ვ ი ა ვინც გაიქცევა (მომ. დრო).

მღე. ხევსურულში „მღე“ ნიშნავს გაღებულს. სიკვდილი ამბობს: „ბევრისა კარი დავჯარე (ე. ი. დავხურე), ბევრისა ისივ მ ღ ე არი“ (ქ. ხალხური პოეზია, I, № 523). ამ სიტყვამ შემდგომი ცვლილების შედეგად „ღია“ მოგვცა: მღეა→მღია→ღია (ა აქ კნინობითის მაწარმოებელი უნდა იყოს). ეს სიტყვა მთლად მოქმ. გვარის მიმღეობისებრ არ არის ნაწარმოები, მაგრამ არც ვნებითისებრია; უფრო მაინც მოქმედებითისას უახლოვდება.

სულთა მდგმელი. ვეფხის ტყაოსანში ეს კონსტრუქცია აქტივის გაგებითაც არის ნახმარი და პასივისაც: ს უ ლ თ ა მ დ გ მ ე ლ ი 1) ვინც სულს ჩაუდგამს („მოახლეთა სალხინოო, სიცოცხლეო, სულთა მდგმელო“, 1007), 2) ვისაც სული უდგას („იტყვის, ჩემო, ვით ვეგები მე უშენოდ სულთა მდგმელი“, 920).

2. **ფორმით ვნებითი, ფუნქციით მოქმედებითი.** არის შემთხვევები, როცა მიმღეობა ფორმით ვნებითია, მაგრამ ფუნქცია მოქმედებითისა აქვს. პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ მოიპოვება რიგი ზმნებისა, რომელთაც ფორმა სათავისო ქცევისა აქვთ, მაგრამ პირდაპირი დამატება არ ეწყობათ. ამ ზმნებს ახასიათებს ქვემდებარის შეწყობა მოთხრობითში II სერიის ფორმებთან და მიცემითში III სერიის ფორმებთან, რომლებიც ინვერსიულად აქვთ ნაწარმოები. ასეთი ზმნების პირიანი ფორმები ვნებითი არაა, მაგრამ მიმღეობა ვნებითის ფორმით აქვთ ნაწარმოები:

გამარჯვებული. გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ უ ლ ი ა, ვინც გაიმარჯვა („ერეკლე მეფემ გაიმარჯვა“). სულ სხვა ვითარებას გვიჩვენებს მსგავსადვე ნაწარმოები „დამარცხებული“: დ ა მ ა რ ც ხ ე ბ უ ლ ი ა, ვინც დაამარცხეს, ან ვინც დამარცხდა. როგორც ვხედავთ, „დამარცხებული“ ფორმითაც ვნებითია და ფუნქციითაც, რადგანაც იგი მიემართება მოქმ. გვარის ზმნის პირდაპირ-ობიექტურ პირს, ან ვნებითი გვარის სუბიექტურს. მაგრამ ამასვე ვერ ვიტყვით „გამარჯვებულის“ შესახებ, რომლის შესაბამის პირიან ფორმებს პირდაპირ-ობიექტური პირი არა აქვთ და არც სათანადო ვნებითი მოეპოვებათ.

დასვენებული. დ ა ს ვ ე ნ ე ბ უ ლ ი ა, ვინც დაისვენა; მ ო ს ვ ე ნ ე ბ უ ლ ი ა, ვინც მოისვენა; შ ე ს ვ ე ნ ე ბ უ ლ ი ა, ვინც შეისვენა (ე. ი. გარდაიცვალა).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. დ ა მ ს ვ ე ნ ე ბ ე ლ ი ა, რომელმაც დაასვენა, მაგრამ ამ ფორმით გადმოიღეს **ОТДЫХАЮЩИЙ**, რაც შეცდომაა. აჯობებდა მ ო ს ვ ე ნ ე.

გაცინებული. გაცინებულია არა მარტო ის, ვინც გააცინეს, არამე
ისიც, ვინც გაიცინა.

გაბედული. გაბედული იგივეა, რაც გამბედავი; ისინი ერთნაირა
ითარგმნება რუსულ ენაზე (მაგ., ქ. დათიკაშვილის ლექსიკონში, 1
1943, იკითხება: **გაბედული** смелый, отважный, решительный; **გამბე
დავი** 1. отважный, решительный, смелый; 2. смельчак).

მოცლილი. მოცლილია, ვინც მოიცალა, ვისაც სცალია. ძველად იხმარე
ბოდა მოცალე, რომელიც ნიშნავდა ცალიერს ანუ ცარიელს და მოც
ლილსაც: „პოვის იგი (სახლი) მოცალე (ცალიერი C) და განშუენებულ
და შემკული“ (მათ. 12,44); „გცალს და მოცალე ხართ“ (გამოსლვ
5, 17).

მონდომებული. „მონდომებულია“ არა მარტო ის, რაც მოანდომეს („ამ საქ
მის გაკეთებაზე მონდომებული დრო 25 დღე მაინც იქნება“), ის
ის, ვინც მოინდომა: „მონდომებული კაცია“.

შოებული

მინდორს წავალ, ვიმეკობრებ, ალაფითა ავივსები,
შინა მოვალ შოებული, ადრე ზედა მოვესწრები
(«ვეფხ.», 1223).

აქ შოებული მოქმ. გვარის მნიშვნელობითაა ნახმარი: მშოვნელი, რო
მელიც იშოვნის.

შეუბრალებელი. შეუბრალებელია არა მარტო ის, ვინც არ შეიბრალეს, არამე
ისიც, ვინც არ იბრალებს: „ახლა მინდა შებრალება, ჩემო შეუბრა
ლებელო შვილო“ (ასე დაიტირა მოხუცმა დედამ თავისი 44 წლის ვაჟი)

უშობელი. მიმღეობაა ვნებ. გვარისა, უარყოფითი: „ადრე სცნობ, არის იგი ყმ
შობილი, თუ უშობელი“ («ვეფხ.», 114). გურიაში „უშობელი“ ნიშნავს
დეკეულს (რომელსაც არ მოუგია ხბო). ოღონდ საკითხავია: ხომ არ არის
„უშობელი“ (გურულთა გაგებით) გადაკეთებული ფორმა უზობელ-ისა
ანუ უზვებელ-ისა, ე. ი. იმისა, რომელსაც ჯერ არ უზვია? (იზვა —
ხბო მოიგო).

დაუჯერებელი. 1) ვინც არ იჯერებს (დაუჯერებელი კაცია); 2) რაც არ არის და
საჯერებელი (დაუჯერებელი ამბავია).

უ დ ე ტ რ ე ბ ი

ზ ო გ ა დ ი

606. ტერმინისათვის. „უდეტერი“ ბერძნული სიტყვაა (οὐδέτερος) და აღნიშნავს არც ერთს (ორისაგან). როგორც გრამატიკული ტერმინი, იგი პირველად ნახმარია 1943 წელს გამოსულ წიგნში (ა. შ ა ნ ი ძ ე. ქართ. გრამატიკის საფუძვლები. ნაკვეთი II, 1943, შესწორება-დამატებათა სია, წიგნის ბოლოს) და მოწოდებულია, აღნიშნოს ყველაფერი, რაც არ არის არც სახელი და არც ზმნა.

607. უდეტერთა მოცულობა. სახელები და ზმნები, რომლებიც უკვე განხილული გვაქვს, კარგად გამოყოფილი ჯგუფებია ენის სისტემაში, რომელთაც თავ-თავისი, ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული გრამატიკული ნიშნები მოეპოვებათ. მაგრამ ყოველ ენაში, კერძოდ ქართულში, ბლომად მოიპოვება სიტყვები, რომლებიც არც სახელებია და არც ზმნები. ეს მესამე ჯგუფი სიტყვებისა, პირველი ორი ჯგუფისაგან განსხვავებით, არ წარმოადგენს ერთგვარ მასალას, ისეთს, რომ ყველას ერთგვარი გრამატიკული ნიშნები ახასიათებდეს. პირიქით, ამ ჯგუფში შემავალი სიტყვები დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან როგორც მორფოლოგიურად, ისე სინტაქსური თვისებებით. ძნელია იმისი თქმაც, რომ მათ ყველას რაიმე საერთო ჰქონდეს; ის ნიშანიც კი, რომლითაც მათ ვაერთიანებთ, უარყოფითია: უდეტერია ყოველგვარი სიტყვა, რომელიც არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს არც სახელად და არც ზმნად.

თვით უდეტრებში გამოიყოფა ჯგუფები, რომლებიც ერთგვარ ნიშანს ატარებენ; ესენია: ზმნიზედა, შემდეგ მხლებელი და, უკანასკნელ, შორისდებული.

ზ მ ნ ი ზ ე დ ა

608. ზმნიზედის რაობა. ზმნიზედა ჰქვია დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე ფორმა-უცვალებელ სიტყვას, რომელიც ზმნით აღნიშნულ მოქმედებას განსაზღვრავს დროსა ან სივრცეში, ან გვიჩვენებს, თუ რა ვითარებაში ხდება მოქმედება, ან რამდენჯერ და რა ზომით ხდება იგი, ან კიდევ რა არის მოქმედების მიზეზი თუ მიზანი.

როდესაც ვამბობთ, ზმნიზედა ზმნის ამხსნელი სიტყვააო, ვგულისხმობთ ზმნას ფართო მნიშვნელობით, ე. ი. ზმნას პირიანსაც და უპიროსაც.

რაც ზედსართავია არსებითი სახელისათვის, იგივეა ზმნიზედა ზმნისათვის: იგი ზმნასთან სახმარებელი სიტყვაა და აქედან წარმოდგა მისი სახელი (adverbium, „ზმნის თანა“).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ქართულში ტერმინი სლაურ-რუსულიდან მოდის (наречие) და ამიტომაა „ზმნის ზედა“ და არა „ზმნის თანა“ (adverbium).

არის ცალკეული შემთხვევები, როცა ზმნიზედა ზედსართავსაც განსაზღვრავს და ზოგჯერ თვით ზმნიზედასაც; ასეთია, მაგ., ზმნიზედები: ფრიად, მეტად, სულ, სრულიად, ძალიან, მთლად: ფრიად მნიშვნელოვანი, მეტად საპასუხისმგებლო, სულ სასიხარულო, სრულიად უდანაშაულო, ძალიან ძვირი, მთლად გაწუწული და მისთ.; მეტად ადრე, ძალიან გვიან, სრულიად შემთხვევით, სულ მაღლა და მისთ.

ზმნიზედა ფორმა-უცვალებელი სიტყვაა, ვთქვით ზემოთ, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი ზმნიზედა სახელად არის გამოყენებული და რამდენადმე იბრუნვის (§ 102).

ზმნიზედები შეგვიძლია დავაჯგუფოთ ფორმისა და ფუნქციის მიხედვით.

609. ზმნიზედები ფორმის მიხედვით. ძალიან ცოტაა ისეთი ზმნიზედა, რომ პირველადი იყოს, დიდი უმეტესობა სახელებისაგან არის ნაწარმოები, რამდენადმე აგრეთვე სხვა მეტყველების ნაწილებისაგან.

პირველად ზმნიზედათაგან სავარაუდოდ შეიძლება ესენი დავასახელოთ: აქ(ა), იქ(ა), სად(ა), წინ(ა), გარე, შინ(ა), აწ (ძვ. ქ. =ეხლა), ხვალ(ე). ფრჩხილებში ჩასმული ბოლო ხმოვნები აღდგება ც ნაწილაკის დართვისას: აქა-ც, სადა-ც და სხვ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. „იქა“-ში ა „აქა“-ს ანალოგიით არის გაჩენილი: ძველი ფორმა იყო „იქი“: „მიიხილა აქა და იქი და არავინ იხილა“ (გამოსლვ. 2, 12); „მიდით და ა ქ ა მომგვარეთ, ვინ არის ი ქ ი მჯდომარე“ («ვეფხ.», 91). ეხლაც ითქმის როგორც აქა-იქ, ისე იქი-აქ. აქედან: გ ა ქ ი ა ქ ე ბ ა (*გაიქი-აქ-ება) — მიმოფანტვა.

ბევრი ზმნიზედა გაქვავებული ფორმაა სახელისა. ეს ნიშნავს: ზმნიზედად ქცეულ სახელს დაკარგული აქვს ბრუნვის ფუნქცია, რაც აუცილებელია სახელისთვის; მაგალითები: ძირს, დღეს, თავში, ცერად.

ძირს. შეიძლება სახელიც იყოს და ზმნიზედაც:

ა) სახელია, როცა ვამბობთ: „ზოგიერთი ხე ღრმად იდგამს ძ ი რ ს მიწაში“. აქ „ძირს“ მიცემითი ბრუნვის ფორმაა და, როგორც წინადადების წევრი, პირდ. ობიექტია. ეს „ძირს“ შედის ბრუნვის ფორმათა რიგში: ძირი, ძირმა, ძირს და სხვა: „ამ ხემ ძ ი რ ი ღრმად გაიდგა მიწაში“ (კითხვა: რა?); „ამ ხის ძ ი რ მ ა წყალსადენის მილი დააზიანა“ (კითხვა: რამ?); „ბოსტანა ანუ მახრა ძალიან უფუჭებს ბოსტნეულობას ძ ი რ ს“ (კითხვა: რას?);

ბ) ზმნიზედაა, როცა ვამბობთ: „ის ვაშლები ავკრიფე, რომლებიც ძ ი რ ს ეყარა“. აქ „ძირს“ ფორმა-უცვალებელი სიტყვაა, რომელსაც სხვა მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ზემოთ მოყვანილს; მას დაკარგული აქვს კავშირი სახელთან და წინადადებაში ადგილის გარემოებაა (კითხვაა: სად?).

„აბა შეხედეთ ქვეყანას: ძ ი რ ს ვაკე. მაღლა მთებია;
ზოგან ხევები, ზოგან ტყე, კლდედ მიუვალი გზებია“ (ვაჟა, I, 46).

დღეს. „დღეს“ უეჭველად მიცემითის ფორმაა, მაგრამ მიცემითის ფორმაა მანამ, სანამ იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც სხვა ბრუნვებში: დღე, დღემ,

დღეს, დღის, დღით, დღედ, დღეო. ხოლო, როცა ვამბობთ: „გ უ შ ი ნ ციოდა, დ ღ ე ს კი თბილა", აქ სულ სხვა მნიშვნელობის სიტყვა გვაქვს: იგი ზმნიზედაა და არა სახელი.

ცერად. ერთ თითთაგანს „ცერი" ჰქვია; იგი სახელია და მისი ვითარებითია „ცერად" (მაგ., ასეთ წინადადებაში: „ნეკი ც ე რ ა დ არ გადაიქცევა"). მაგრამ თითი სრულებით არ გვაქვს მხედველობაში, როცა ვამბობთ: „გზა ც ე რ ა დ მიდიოდა" (ე. ი. ირიბად, ისე, როგორი მიმართულებაც ცერს აქვს სხვა ხელის თითებთან შედარებით). ეგევე „ცერად" მოიპოვება რთულ ზმნიზედაში („ალმაცერად"), რომლის პირველი ნაწილი მიღებულია „ელამ" სიტყვისაგან: ელმად-ცერად (ხმოვანთა ასიმილაციით: ალმა[დ]-ცერად).

ბრუნვის ფორმათაგან შეიძლება ზმნიზედად იქცეს: მიცემითის, ნათესაობითის, მოქმედებითისა და ვითარებითის ფორმები, თვითეული მათგანი სუფთად ან თანდებულის დართვით. სრულიად გამორიცხულია სახელობითისა, მოთხრობითისა და წოდებითის ფორმები.

ზოგ შემთხვევაში ბრუნვის ფორმა შეკვეცილია.

ბრუნვის ფორმით გვხვდება როგორც სახელი, ისე მეორეული ზმნიზედაც: მუნ — მუნით.

საკმაოდ გვხვდება ზმნიზედა სახელის ფუძის სახითაც. ზოგჯერ ფუძე გაორკეცებულია.

ფუძესვე მივიღებთ, თუ ბრუნვის ნიშანი სავსებით ჩამოსცილდა სიტყვას.

უკანასკნელ, უნდა აღვნიშნოთ, რომ მოიპოვება ზმნიზედები, რომელთაც საკუთარი მაწარმოებლებიც აქვთ.

610. ზმნიზედა მიცემითის ფორმით. მიცემითის ფორმით წარმოდგენილია შემდეგი ზმნიზედები:

ძირს, ახლოს, შორს (შორიახლოს,) საღამოს, დილას („დილასა ადრე მოვიდა იგი ნაზარდი სოსანი", «ვეფხ.», 72), დღეს, წელს (წლეულს, ხანის დაკლებით: წლეულ), დიდხანს (=დიდ ხანს), (*რასჟამს→) რაჟამს (ძვ. ქართ.= როდის), ოდეს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: „ოდეს" რთული სიტყვაა წარმოშობით და ასე დაიშლება: ო-დეს, სადაც პირველ ნაწილში გვაქვს „რა" სიტყვის ბადალი სიტყვის ნაშთი (უა? სვან. მა „რა", მეგრ. მუ „რა"), მეორე ნაწილში კი უეჭველად „დღეს" არის: ო-დ[ღ]ეს.

„ოდეს" ფორმას შემდეგ რაე დაერთო თავში და მივიღეთ რ'-ოდეს, რომელიც შემონახულია მიმართებით ფორმაში („როდესაც"); კითხვითში ხმოვანი იცვალა: როდის.

მიცემითის ფორმა ჩანს აგრეთვე ***შარ-ს**, ასიმილაციით **„შარ-შ"**, როგორც ეს იხმარება ხევსურულში, **ან** ფორმანტის დართვით: შარშ-ან (**ან** დაერთო სხვა ზმნიზედების ანალოგიით: უკან, წეღან, ძოღან და მისთ.). ძველად იყო აგრეთვე **შრ-ან** და აქედან: **შრანდითგან** (II კორ. 9, 2).

ში და **ზე** დართული ფორმები არსებითად სადაობითია და არა მიცემითი, რადგანაც ბრუნვის ნიშანი დაკარგულია: თავში, შუაში, ბოლოში, კარში (=გარეთ); შუაზე, განზე, გვერდზე.

ნათესაობით-მიცემითის ფორმას გვიჩვენებს ადგილისა და დროის გამომხატველი სიტყვები (დროის გამომხატველები საწყისებია): მეზობლისას, ბიძისას, ჭავჭავაძისას, გაკვეთილის დაწყებისას, სხდომის გათავებისას და მისთ. (§ 133).

611. ზმნიზედა ნათესაობითის ფორმით. ნათესაობითის ფორმით წარმოდგენილია შემდეგი ზმნიზედები: -გზის (ერთგზის, სამგზის და სხვ., იხმარებოდა ძველად: „ქათმისა ჴმობადმდე სამ გზის უვარ-მყო მე", მარკ. 14,72); *დ[ღ]ის: მარადის (←მარადღის), შემოკლებით: მარად; ზამთრისს (მთის კილოებში: თუშურში, მოხეურში, ფშაურში), სამხრის („მწუხრ, დილეულ და სამხრის": «ისტორიანი და აზმანი», 480), წუხელის (შეკვეცით: წუხელ)). მერმის [„მერმის" ნათ. ბრუნვის ფორმაა, მაგრამ მას ხშირად მიცემითის ს ერთვის: მერმისს].

იგივე ნათესაობითი გვაქვს ზმნისწინთაგან ნაწარმოებ ფორმებში: შეის, გაის („შეის ხასობს, გაის ქუშობს, ენა ასრე მოაყივნებს", «ვეფხ.», 761)). *ქმელეთი* — ქვეყანა ზღვის *გარდაის* (ს. ორბ.).

შეიძლება ზმნიზედა სახელის ფუნქციით ვიხმაროთ, დაისვას ნათესაობითში და დაერთოს თანდებული (ან სხვა ზმნიზედა თანდებულის როლში) და მივიღოთ ახალი ზმნიზედა: გუშინისწინ (შემოკლებით: გუშისწინ), დღეის სწორს (*დღესის სწორს), დღეის თხუთმეტს, ხვალის სწორს, (*ხვალის ზევით→) ხვალზევით (=ზეგ):

„დღეს წითელი პარასკევი, ხვალ შაბათი შავდებაო,
ხვალზევით რომ კვირა მოვა, ყელი ჩაიპოხებაო"

(ხალხური, ვაჟა V, 82),

შინისაკენ და მისთ.

ნათ. ბრუნვის ფორმა შედის ადგილისა და დროის გამომხატველ ზმნიზედებში: ბიძისას, მისვლისას (§§ 133, 610).

„დღისით" და „ნეფსით" ფორმათა შესახებ ნ. § 612.

შენიშვნა 1. „ყოველთვის" (დიალექტურად: ყოველთვის-ინ) თითქო ნათესაობითის ფორმააო, მაგრამ მის მეორე ნაწილს არც თვესთან აქვს კავშირი და არც ნათ. ბრუნვის ფორმასთან: იგი გადაკეთებულია „ყოვლადვე" სიტყვისაგან, რომელიც ძველადაც იმასვე ნიშნავდა: „ყოვლადვე, აწ და მარადის" =ყოველთვის, ეხლა და მუდამ. ყოვლადვე→ყოვლათვე→ყოველთვე→ყოველთვის.

შენიშვნა 2. ნათ. ბრუნვის ნიშნადაა გაგებული უფროობითი ხარისხის ფორმის უკანასკნელი აფიქსი **ჲს (←ის)**: ხ-უ-ფრო-ჲს-ი (←ხუფროის-ი), ხ-უ-მჯობ-ე-ჲს-ი (=ხუმჯობჱსი) [§ 172, გვ. 145]. ივარაუდება, რომ ზედსართავისაგან ზმნიზედა იქნა ნაწარმოები **„გზის"** და „მყის" ფორმათა მსგავსად: ხ-უ-ფრ-ო-ჲ **больший (чем тот)**, ხ-უ-მჯობ-ე-ჲ **лучший (чем тот)**. აქედან: ხუფრო-ჲს **больше**, ხ-უ-მჯობ-ე-ჲს **лучше**; აქედან კი ისევ ზედსართავი: ხუფრო-ჲს-ი **больший**, ხ-უ-მჯო-ბე-ჲს-ი **лучший** (ძველი ორთოგრაფიით: ხუმჯობჱსი).

612. ზმნიზედა მოქმედებითის ფორმით. ზმნიზედა მოქმ. ბრუნვის ფორმით გვხვდება როგორც სახელთაგან, ისე თვით ზმნიზედათაგან და თანდებულთაგანაც კი.

ს ა ხ ე ლ თ ა გ ა ნ: თავით (=თავთან), გვერდით, ღამით, შორით; ზ მ ნ ი ზ ე დ ა თ ა გ ა ნ: წინათ (←წინაჲთ), გარეთ (←გარეჲთ), შიგნით, ზემოთ (→ზემოჲთ), ქვევით (ქვე-ვ-ით) ან ქვემოთ (ქვემოჲთ). თ ა ნ დ ე ბ უ ლ ი ს გ ა ნ: ზე(ვ)-ით (§ 33).

„უნებლიეთ" (←უნებლიაჲთ, ძვ. ქართ.) აგრეთვე მოქმედ. ბრუნვის ფორმაა.

კენ-ის დართვით: საით-კენ (←სადით-კენ). (გვხვდება ასეთი ფორმაც: საისკენ).

გან-დართული მოქმ. ბრუნვის ფორმა **ით-გან**'-ის ნაცვლად **იდან'ს** გვაძლევს (თუ სიტყვა ხმოვან-უკვეცელია — დან-ს, § 93): გარიდან, შიგნიდან, წინიდან, უკანიდან, ქვევიდან (ქვემოდან), ზევიდან (ზემოდან), გვერდიდან, მაღლიდან, დაბლიდან, თავიდან, ბოლოდან, საიდან.

ფერხთით (=ფეხებთან) ასე დაიშლება: ფერხთ-ით სადაც „ფერხთ" თანიანი მრავლობითის ფორმაა [მსგავსივე წარმოებაა «ვეფხის ტყაოსნის» „თვალთათ" (=თვალებიდან), მაგრამ უკანასკნელი სახელია და არა ზმნიზედა].

„დღისით" გულისხმობს ნათესაობ. ბრუნვის ფორმას (დღის), მოქმედებითის ნიშნით გავრცობილს: დღ-ის-ით (შემოკლებით: დღისი).

ასეთივე ნათესაობით-მოქმედებითია ძვ. ქართულის „ნეფსით" („ნეფსით და უნებლიეთ"): *ნების-ით, ხმოვნის ამოღებით და ასიმილაციით: ნებს-ით→ნეფსით.

„ძლით" (ძვ. ქართ.=ძლივს) აგრეთვე მოქმ. ბრუნვის ფორმაა („ძლით დაარწმუნეს" — ძლივს დაარწმუნეს).

„აწი", რომელიც დიალექტურია (იხმარება დასავლურ კილოებში) და რომლის შემოტანას სალიტერატურო ენაში ს. ხუნდაძე ცდილობდა, მოქმედებითია, ოღონდ უკანასკნელი თანხმოვანი ჩამოსცლია: აწით→აწი (ე. ი. აწ-ითგან, ამას იქით). მთლიანად ჩამოკვეცილია დაბოლოება: ერთობ (←ერთობით).

613. ზმნიზედა ვითარებითის ფორმით. ვითარებითი ბრუნვის ფორმით (ზოგჯერ ბრუნვის ნიშნის ნაწილობრივი შეკვეცით ან თანდებულის დართვით) წარმოდგენილია შემდეგი ზმნიზედები:

ა) ს რ უ ლ ი ფ ო რ მ ი თ: ცერად, ალმაცერად (სადაც კომპოზიტის პირველ ნაწილში შემავალი „ელამი" შეკუმშულია, წინა ხმოვანი მიმსგავსებულია, ხოლო ბრუნვის ნიშანი დ შეკვეცილია: ელმად-ცერად←ალმა(დ)ცერად, ძველად, შორად, უცბად (=უცებად), ანზდად («ვეფხ.»), უეცრად, უზმად (=უჭმელად, უნაყროდ), უბრად (←უუბრად), უმძრახად, ყოვლად, ყოვლადვე (ძვ. ქ. =ყოველთვის), კუალად (ძვ. ქ. =ისევ), ამჟამად (ამ ჟამად), სრულიად, სრულად („რომე ს რ უ ლ ა დ ამოაგებს მცირესა და დიდებულსა", «ვეფხ.», 53), ხელად, გაისად (=მომავალ წელს) და სხვ.

ბ) ნ ა წ ი ლ ო ბ რ ი ვ ი შ ე კ ვ ე ც ი თ: ჩქარა (←ჩქარად), ნელა (←ნელად), მაღლა (←მაღლად; ხმა-მაღლა); დაბლა (←მდაბლად; ხმა-დაბლა), კარგა („კარგა მოზრდილი"), მართლა, ყოლა („თავი ყოლა ნუ ჰგონია მელექსეთა

კარგთა სწორი", «ვეფხ.», 15; ვ დაიკარგა ონის შემდეგ: ყოვლა[დ]→ყოლა).

გ) თანდებულის დართვით: მანამდე (←მუნადმდე), სანამდე (←სადამდე), აქამდე, აქამომდე (ან: აქამდის, აქამომდის).

ვითარებით ბრუნვაში დაყენებული ზედსართავი (ან მიმღეობა), როგორც ამას ძველი გრამატიკოსებიც აღნიშნავდნენ (მაგ., დ. ჩუბინაშვილი), ზმნიზედის ფუნქციითაა აღჭურვილი, რადგანაც ამ შემთხვევაში ზედსართავი ((ან მიმღეობა) ზმნას განსაზღვრავს და არა სახელს, როგორც სხვა შემთხვევებში: წითლად, შავად, მძიმედ, გრილად, აშკარად, დინჯად, ძვირად, ვაჟკაცურად, კოხტად, მრისხანედ, გაბედულად და მისთ.

ზმნიზედას უახლოვდება ასეთი ფორმები: სოფლად, ქალაქად, მინდვრად, ველად, როცა ესენი ადგილის გარემოებას აღნიშნავენ.

614. ზმნიზედა სახელის ფუძის სახით. ხშირად ზმნიზედად სახელის ფუძეა გამოყენებული.

ასეთია, მაგ., დღე („ყოველ დღე ქეიფობდა"), ღამე (=ღამით; „ავადმყოფს ღამე სრულებით არ ეძინა"), ღამე ყოველ (ძვ. ქართ.=მთელ ღამეს), ძალიან, ძლიერ, ზამთარ-ზაფხულ (ე. ი. მთელი წლის განმავლობაში, რადგანაც საქართველოში არსებითად ორი სეზონია), იდუმალ („იდუმალ ცოლსა ეუბნა", «ვეფხ.», 475).

განსაკუთრებით ხშირია სახელის ფუძის ზმნიზედად გამოყენება გაორკეცებით: წყალ-წყალ, ხევ-ხევ, გორ-გორ, მთა-მთა, სოფელ-სოფელ, მინდორ-მინდორ, ტყე-ტყე, ქუჩა-ქუჩა, ნაკუწ-ნაკუწ, ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ლუკმა-ლუკმა და მისთ.. ზოგჯერ ზმნიზედაც არის გაორკეცებული: წინ-წინ, უკან-უკან, ნელ-ნელა (ე. ი. ნელა-ნელა).

გაორკეცებული ფუძეები (ზოგჯერ გარკვეული ბრუნვის ფორმები) „და" კავშირით არის შეერთებული: კვალ-და-კვალ, ფეხ-და-ფეხ, ცხენ-და-ცხენ, თან-და-თან, შიგა-და-შიგ, წინ-და-წინ, ხან-და-ხან, თვე-და-თვე და სხვ.

არ არის გამორიცხული, რომ ზოგ შემთხვევაში ფუძე ბრუნვის ფორმის შეკვეცითაც იყოს მიღებული, როგორც, მაგ., აქ: ნება-ნება (←ნება[ს]-ნებასა: „მამამან გვერდსა დაისვა, აკოცა ნება-ნებასა"; «ვეფხ.», 106).

615. ზმნიზედა საკუთარი წარმოებისა. მოიპოვება ზმნიზედები, რომელთაც საკუთარი მაწარმოებლები აქვთ; ეს მაწარმოებლებია: გან, ივ, რე, გზის, ჯერ, და, მო, შე, ღამ,ხან მა(რთ).

გან. ერთვის ფუძეს: სხვაგან, ერთგან, ყველგან (←ყოველგან), შინაგან ან შიგან („კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოსდინდების", «ვეფხ.», 1094), გარეგან, ზოგან (←ზოგგან).

ივ. ამ მაწარმოებლის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი (§ 97). იგია გადავარდნილი ბრუნვის ნაშთი: მარჯვნივ, მარცხნივ, ყოველწლივ, მხარ-იღლივ, ოთხ-კუთხივ, ცხადივ, ძლივ (ხანის დართვით: ძლივ-ს), დაუყოვნებლივ, უკლებლივ, განუწყვეტლივ, მხრივ (ერთი მხრივ=ერთი მხრით) და მისთ.. იმავე სუფიქსითა და **ი** პრეფიქსით ძველად ნაწარმოები იყო: ი-გურდ-ივ («გუერდ" სიტყვისაგან: „კარი კიდობნისაჲ ქმენ იგურდივ", დაბ. 6, 16) და ი-მგურგლ-ივ, რომელიც დღესაც იხმარება გამარტივებულად: ირგვლივ, იბედივ (=ბედზე), იბრტყივ (→სიბრტყივ: — „რაში

მოჰხვედრიყო ტყვია (მგელს)? — იღლიაში შჭირდა, ს ი პ ტ ყ ი ვ იდგა“, ვაჟა, V 397). ეგევე **ივ** არის შემონახული ს ა ი ჯ ნ ი ო-ში (*სა-ი-ჯნ-ივ-ო), რომელიც ფშაურად ნიშნავს ხვნაში დახმარებისთვის გადახდილ სამაგიეროს [ფუძეა **ჯან** (ჯნვა)], აგრეთვე ***ი-ქრ-ივ-ის-ში**, რომლისაგან შემდეგ ი ქ ვ რ ი ვ ი ს ი წარმოდგა, რაც, ს. ორბელიანის მიხედვით, „შიკრიკს“ ნიშნავს (ფუძეა **ქარ-ი**).

ივ სუფიქსის ხმარება რამდენადმე გაფართოვდა:

არაბულიდან ნასესხებ „მუდამ“ ფორმისაგან „მუდმივ“ გაკეთდა; ცნობილია აგრეთვე კილოებში (მაგ., ფშაურში) აზერბაიჯნულიდან ნასესხები „დოსტოღრივ“ („და ჩვენც დოსტოღრივ მივედით თოფ-იარაღის ჟღერითა“, ვაჟა, III, 10, 3). (აზერბ. დოს-დოღრუ „პირდაპირ“).

რე. ეს ფორმანტი ორგვარი მნიშვნელობისაა:

ა) აღნიშნავს სახეს, ნაირობას, გვარობას: აგ-რე (=ამნაირად), ეგ-რე, მაგ-რე, მეტად-რე, ისე (←ის-რე), ასე (←ას-რე).

ბ) აღნიშნავს: მცირედ, ოდნავ. წინათ ზმნასთანაც იხმარებოდა: „იგი წვიმა და-რე-ნელდა“, «ვეფხ.», 536; „მო-რე-ვჯობ-დი“, იქვე, 354 (=ცოტა მოვჯობინდი). ამჟამად თითო-ოროლა ზმნიზედაში არის: ქვემო-რე (ცოტა ქვემოთ), ზემო-რე (ცოტა ზემოთ). იგივე **რე** გაორკეცებისას დისიმილაციის ძალით **რე-ლე-დ** იქცევა: ქვე-რე-ლე („ჩეიწიე ქვერელე“, გურიაში=ჩაიწიე ცოტა ქვემოთ); ასევე ნაწარმოებია ზე-რე-ლე-ც, მაგრამ სალიტერატურო ენაში იგი ზედსართავადაა გამოყენებული („ზერელე კაცია“).

გზის და **ჯერ** რიცხვით სახელთაგან აწარმოებენ ზმნიზედას; რიცხვითი სახელი ფუძის სახითაა წარმოდგენილი: სამ-გზის, ხუთ-გზის (გურიაში ეხლაც სამი გზობა, ხუთი გზობა), ცხრა-ჯერ, ათ-ჯერ, ას-ჯერ და მისთ.

და. იგი შედის სა-და'-ში, რომელიც დღეს ჩვეულებრივ „სად“ არის (მაგრამ **ა** აღდგება **ც** ნაწილაკის წინ: სადა-ც), იგივე მაწარმოებელი გვაქვს აქაც: ში-და, გარ-და, ქვე-და, ზე-და. ამათგან „გარდა“ დღეს თანდებულია და ზმნისწინიც, „ქვედა“ და „ზედა“ უფრო ზედსართავებად არის გამოყენებული („ზედა“ თანდებულადაც იხმარებოდა; აქედან შემდეგ ზედ, ზე).

და-ს ფონეტიკური ვარიანტია **ნა**, რომელიც „ქვე-ნა“-სა და „ზენა“-ში გვაქვს, აგრეთვე „შინა“-ში, რომელმაც თითქმის განდევნა „შიდა“. „გარდა“-ს ვარიანტი „გარნა“ კავშირად იყო გამოყენებული ძველ ქართულში. ეს **ნა** შედის დიალექტურ „აქა-ნა“-ში (იხმარება იმერულში, გურულში).

მო. ეს მაწარმოებელი (წარმოშობით იგივე, რაც ზმნისწინი **მო**) „ქვემო“-სა და „ზემო“-ში გვაქვს, მაგრამ ესენი უფრო ზედსართავებად არის გამოყენებული („ქვემო იმერეთი“, „ზემო სვანეთი“). ზმნიზედა მოქმედ. ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი: ზემოთ (←ზემო-ჲთ), ქვემოთ (←ქვემო-ჲთ). სამაგიეროდ გვაქვს „გარეშემო“ და „ზეგარდმო“.

შე: წინა-შე („ერთიღა ახლავს ავთანდილ, წინაშე უზის სკამითა“, «ვეფხ.»,

103), „გარეშე“ უკვე უფრო თანდებულია და ზედსართავი. ეს **შე**-ც იგივეა წარმოშობით, რაც ზმნისწინი **შე** (შე-ვიდა, შე-აღო და მისთ.).

ხელ: ერთ-ხელ; ითქმის (თუმცა იშვიათად): ორ-ხელ, სამ-ხელ, მაგრამ მეტი კი არა; შემდეგ „ჯერ“ მიდის: ოთხჯერ, ხუთჯერ და შემდგომი. ორ-ხელ'-ისა და სამ-ხელ'ის ნაცვლადაც ჩვეულებრივია ორჯერ (დისიმილაციით: ორჯელ) და სამჯერ. „ერთხელ“ დროს აღნიშნავს, მაგრამ მის მეორე ნაწილში „ჯელ“-ი უნდა გვქონდეს (თანის შემდეგ ხელ'ად ქცეული), და არა „ხან“-ი (თუმცა კილოებში გვხვდება „ერთხალ“, „ერთხანის“).

ღამ: ამაღამ (=ამას ღამეს), გუშხამ (←გუშ[ინის] ღამ: იხმარება გურიაში; ნიშნავს: გუშინის წინ (გუშინ, გუშხამ).

ხან: ერთხან(ს), დიდხან(ს).

(მართ→) მა: გვაქვს შემდეგ ზმნიზედებში: აღმა, დაღმა, წაღმა, უკუღმა, გაღმა, გამოღმა, შეღმა. აქ **ღ** ისტორიულად მხოლოდ პირველშია მოსალოდნელი (აღ-მართ), სხვებში ანალოგიურადაა განვითარებული (§ 36).

616. ზმნიზედა შინაარსის მიხედვით. ჯგუფები. შინაარსის მიხედვით ზმნიზედები განიყოფება რამდენიმე ჯგუფად: ეს ჯგუფებია: ადგილისა, დროისა, ვითარებისა, ზომა-ოდენობისა, მიზეზისა და მიზნისა. თვითეულ ჯგუფს თავისი კითხვა აქვს ისევ ზმნიზედის სახით (რომელიც წარმოშობით ნაცვალსახელია). კითხვის გამომხატველი ზმნიზედა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მიმართებითადაც — დამოკიდებული წინადადების დასაკავშირებლად მთავართან. ამიტომ აღნიშნულ ჯგუფებს ემატება კითხვითი და მიმართებითი.

617. ადგილის ზმნიზედა. ადგილის ზმნიზედა აღნიშნავს ადგილ-მდებარეობას, სადაც მოქმედება ხდება, ან გვიჩვენებს მიმართულებას, რომელიც აღებული აქვს მოქმედების სუბიექტს ან პირდ. ობიექტს.

ა) ადგილ-მდებარეობის აღმნიშვნელი ზმნიზედების კითხვაა: **სად?** — წინ, უკან; თავში, შუაში, ბოლოში; ზევით (ზემოთ), ქვევით (ქვემოთ); ზემორე, ქვემორე; ზერე, ქვერე; მაღლა, დაბლა; ძირს; გარეშემო (გარშემო), ირგვლივ; გვერდით, თავით, ფერხთით; აგერ, ეგერ, აგერ-ეგერ და სხვ.; აქ, იქ, აქა-იქ (იქი-აქ); აღმა, დაღმა, გაღმა (გაღმით), გამოღმა (გამოღმით), გადაღმა, გადმოღმა; ახლოს, შორს, შორიახლოს; ახლო-მახლო[ს]; პირისპირ; სხვაგან, ერთგან, ზოგან, ბევრგან; სადმე, არსად და სხვ.

ბ) მიმართულება ორგვარია იმის მიხედვით, თუ საიდან მოდის მოქმედების სუბიექტი ან პირდ. ობიექტი და საითკენ მიიმართება იგი.

მიმართულება **საიდან:** თავიდან, ბოლოდან; წინიდან, უკნიდან („მწიხლავს წინიდანაო, მკამპავს უკნიდანაო“, ანდ.), ზევიდან (ზემოდან), ქვევიდან (ქვემოდან); მაღლიდან, დაბლიდან, ძირიდან, აქედან (←აქაჲთგან), იქედან (იქაჲთგან), შიგნიდან, გარედან, შინიდან, გაღმიდან, შორიდან და სხვ.

მიმართულება **საითკენ.** ქართულში არ არის გარჩეული ერთ ადგილას მყოფობისა და სხვა პუნქტისაკენ მიმართული მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნიზედები, როგორც ეს არის ზოგიერთ ენაში (ვთქვათ, რუსულში); მაგ., ქართული **სად** შეესატყვისება რუს. где-საც და куда-საც: ს ა დ ცხოვრობს შენი ძმა? Где живет твой брат? ს ა დ გაემგზავრა შენი ძმა? Куда отпра-

вился твой брат? ქართ. **შინ** ხან ითარგმნება: дома (ბავშვი შ ი ნ არის, Ребенок дома), ხანაც: домой (ბავშვი შ ი ნ წავიდა, Ребенок пошел домой).

აუცილებლობის შემთხვევაში კენ-დართული ფორმა იხმარება: აქეთკენ, იქეთკენ, შინისკენ.

618. დროის ზმნიზედა. დროის გამომხატველი **ზმნიზედა** გვიჩვენებს დროის გარკვეულ ერთეულს ან დროის გარკვეულ მონაკვეთს კონკრეტულად. მისი კითხვაა: **როდის?** ეხლა (ახლა), ამჟამად, **წელან** (წარმოშობით: აწელა, რომელსაც წინ **ა** ჩამოეკვეცა და ბოლოს **ნ** დაერთო:←[ა]წე-ლა-ნ: „მოლარე ჰკადრებს: მოვიდა ა წ ე ლ ა ფერ-ნამკრთალიო“, «ვეფხ.», 104); დღეს, **წუხელ** (წუხელის), გუშინ, გუშინისწინ (გუშინწინ, გუშისწინ), ძოლან (ე. ი. ამასწინათ, რამდენიმე დღის წინათ), ხვალ, ზეგ, მაზეგ; **წელს** (წლეულს, წლეულ), **შარშან, შარშანისწინ**; გაისად, მერმის (მერმისს); **ჯერ, ჯერ კიდევ, ჯერ-ჯერობით**; შემდეგ (შემდგომ), მერმე, მასუკან (მას უკან); **მაშინ**, (←მას ჟამსა შინა), მაშინღა; ერთხელ, ოდესმე, ოდესღაც; **არაოდეს** (არასოდეს); ადრე, ნელად (ე. ი. დიდი ხანი არაა, რაც..., недавно), გვიან; მალე, მარად (ძველად: მარადის), მუდამ (მუდმივ); დღისით, ღამით (ღამე), პირველად (თავდაპირველად); ხანდახან, ზოგჯერ; აქამომდე, მანამდე, განთიადისას, მისვლისას, შეის, გაის და სხვ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: როგორც ვიცით, დროს ზმნაც გამოხატავს, მაგრამ ზმნის დრო სხვაა და ზმნიზედისა — სხვა: ზმნაში წარმოდგენილია გრამატიკული დრო, ზმნიზედაში კი — ლექსიკური.

619. ვითარების ზმნიზედა. ვითარების ზმნიზედა გამოხატავს, თუ რა ვითარებაში ხდება მოქმედება. მისი კითხვაა: **როგორ?** — პირველ ყოვლისა აქ შემოდის ვითარებით ბრუნვაში დასმული ზედსართავები და მიმღეობანი: კარგად, მშვიდად, ცხადად, უეჭველად, უმეტესად, შეუწყვეტლად და მისთ. (§ 614).

ვითარების ზმნიზედად იქცა სიტყვები, რომლებიც ვითარებითის ფორმისგანაა წარმოშობილი, მაგრამ შეკვეცილია, ან სიტყვას სხვა ბრუნვის ფორმები აკლია და მისი ვითარებითის ფორმა ბრუნვათა რიგიდანაა ამოვარდნილი; მაგ., ფრიად, ერთბაშად, უცბად, ბლომად, მაგრა, ჩქარა, ჩქარ-ჩქარა, ნელა, ნელ-ნელა, მართლა, უკეთ (შემოკლებულია: უკეთესად), ცერად, ალმაცერად, ლუკმა-ლუკმა(დ), ნაკუწ-ნაკუწ(ად) და სხვ.

შემდეგ კიდევ სხვაგვარად გაფორმებული სიტყვები: ნება-ნება (←ნებას-ნებასა), ასე (←ასრე), ესე (დიალექტურად=ესრე), ეგრე, მაგრე, ძალზე, ძლივ (ძლივ-ს), ცალმხრივ, ერთხმივ, მხარ-იღლივ, თანდათან, გულაღმა, თავდაყირა, თავდაღმა, თავქვე, პირქვე, ყირაზე, გარდი-გარდმო და სხვ.

620. ზომა-წონისა და ოდენობის ზმნიზედა. ზომა-წონისა და ოდენობის ზმნიზედა მოგვიგებს კითხვებზე: **რა ზომით? რა ოდენობით? რამდენად? რამდენჯერ?** — ამდენად, მაგდენად, იმდენად, ეგზომ, მეტად, ნაკლებ, ერთხელ (როდესაც ის ამას ნიშნავს: ერთგზის, ერთჯერ), ორჯერ, სამჯერ, შვიდჯერ, ასჯერ, ათასჯერ და მისთ.; ერთიორად, ერთისამად, ერთიათად, ცოტად, ცოტ-ცოტად, სულ. სრულიად, სავსებით, ყოვლად, მთლად, მთლიანად და სხვ.

621. მიზეზის ზმნიზედა. მიზეზის ზმნიზედა აღნიშნავს მიზეზს, რომლითაც გამოწვეულია მოქმედება. იგი მოგვიგებს კითხვაზე: **რატომ?** — ამიტომ, მაგიტომ, იმიტომ.

622. მიზნის ზმნიზედა. მიზნის ზმნიზედა აღნიშნავს მიზანს, რომელსაც ემსახურება მოქმედება. მისი კითხვებია: **რად? რისთვის?** — ამისთვის, მაგისთვის, იმისთვის, ამად. მიზეზისა და მიზნის ზმნიზედები ნაცვალსახელებია წარმოშობით.

623. კითხვითი ზმნიზედა. კითხვის გამომხატველი ზმნიზედებია: **სად? როდის? საიდან? საითკენ? რატომ? რად? რისთვის?** ზოგი კითხვითი ზმნიზედა წარმოშობით ნაცვალსახელია.

624. მიმართებითი ზმნიზედა. კითხვითი ზმნიზედა **ც** ნაწილაკის დართვით კითხვის ტონს კარგავს და მიმართებითად იქცევა. მიმართებითი ზმნიზედა დამოკიდებულ წინადადებას მთავართან აერთებს და კავშირის ფუნქციას იძენს: სადაც, როდესაც (როცა—როსცა), საიდანაც, საითკენაც, რადაც, რისთვისაც.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. **ც** ნაწილაკი სხვა ზმნიზედებთანაც იხმარება. მისი დართვა იწვევს დაკარგული ხმოვნის აღდგენას (თუ ასეთი იყო) ან **ა**-ს გაჩენას ანალოგიურად. დავარქვათ ასეთ **ა**-ს „მაერთებელი“.

ა) აღდგება **ა**: შინა-ც, წინა-ც, უკანა-ც, სადა-ც.

ბ) მაერთებელი **ა** საჭირო შეიქნა მას შემდეგ, რაც **ცა** ნაწილაკს თვით ჩამოექცეცა ხმოვანი **ა** (ცა→ც) და უმარცვლო გახდა: დღეს-ა-ც სხვაგან-ა-ც, მარჯვნივ-ა-ც, მარცხნივ-ა-ც, საითკენ-ა-ც, ხვალ-ა-ც (ხვალ'ის ძველი ფორმა იყო ხვალე. თუ ძველი ფორმა აღდგა, გვექნება: ხვალე-ც), სამჯერ-ა-ც, რისთვის-ა-ც და მისთ.

ეს შენიშვნა ეხება **ც** ნაწილაკის დართვას სახელებზედაც და სხვა მეტყველების ნაწილებზედაც.

625. ზმნიზედის ბრუნება. ხშირია, რომ ზოგიერთი ზმნიზედა სახლის ფუნქციით იყოს ხმარებული და თანდებული დაერთოს, რაც იწვევს ნაზმნიზედარი სახელის დასმას ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში. თანდებულიანი მოქმედებითი და ვითარებითი იქცევიან გამოსვლითად და მიწევნითად (შესაბამისად): შინის-კენ, შინიდან, შინამდე; შარშანის წინ, გუშინის წინ (გუშის წინ).

საით-კენ. საიდან (←სადითგან).

ძოღანითგან („უსენ მითხრა: არ მინახავს ძოღანითგან მეფე ჩვენი“, «ვეფხ.», 1163), ხვალიდან, ზეგიდან, ხვალამდე, გაისამდე. აქედან, მანდედან. და სხვ. (ნახე კიდევ § 102).

626. ზმნიზედა ზედსართავის ფუნქციით. ჩვეულებრივია ზმნიზედის გამოყენება ზედსართავის ფუნქციით. თუ ზმნიზედას ხმოვანი აქვს ჩამოკვეცილი, იგი აღდგება; მაგალითი: **წინ** და **უკან** ზმნიზედებია, მათი ძველი ფორმებია **წინა** და **უკანა** (ძველი ორთოგრაფიით: უკუანა), რომლებიც ზედსართაულადაც იხმარება:

„ორნი კაცნი მოდიოდეს სადაურნი სადმე გზასა.
უ კ ა ნ ა მ ა ნ წ ი ნ ა ნახა ჩავარდნილი შიგან ჭასა“ («ვეფხ.», 255).

აქ „უკანა“ და „წინა“ ზედსართავის ფუნქციითაა ნახმარი, პირველი მოთხრობითშია, მეორე — სახელობითში. ასეთივეა: „წ ი ნ ა კაცი უ კ ა ნ ა კაცის ხიდიაო“ (ანდ.); მსგავსივეა: ქვემო ქართლი, ზემო სვანეთი, ქვენა ქარი, ზენა ქარი, გაღმა მხარი, შინა მრეწველობა, შინაგანი სნეულებანი, გარეგანი ფრინველი („მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო ვით ფრინველმა გარეგანმა“, ჭავჭ.), ზედა სართული, ქვედა საცვალი, ხანგრძლივი ავადმყოფობა და მისთ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. საქართველოს რელიეფის გამო სულ სხვადასხვანაირად ესმისთ „ზენა ქარი“ და „ქვენა ქარი“: აღმოსავლეთ საქართველოში ზენა ქარი ის ქარია, რომელიც დასავლეთიდან ქრის, დასავლეთ საქართველოში კი — რომელიც აღმოსავლეთიდან ქრის. ქვენა ქარს, პირუკუ, აღმოსავლეთში იმას ეძახიან, რომელიც კასპიის ზღვის მხრიდან მოქრის, დასავლეთში კი — რომელიც შავი ზღვის მხრიდან ქრის.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. ზმნიზედა შეიძლება თანდებულადაც იქნეს გამოყენებული (§ 638).

627. ზმნიზედის მნიშვნელობის განვითარების ისტორიიდან. ზოგიერთი ზმნიზედა თავდაპირველად ადგილს აღნიშნავდა, შემდეგ კი დროის აღსანიშნავად იქნა გამოყენებული; მაგალითები:

მანამდე (ან: **მანამდის**). **მუნ** იმასვე ნიშნავდა ძველად, რასაც დღევანდელი **იქ**. ვითარებით ბრუნვაში დასმით და **მდე (მდის)** თანდებულის დართვით მიღებული იყო ფორმა **მუნა[დ]მდე** (ან: **მუნა[დ]მდის**), რაც ამას აღნიშნავდა: იმ დრომდის, მაგ.,

„მე ვირე ამა წიგნისა პასუხი მომივიდოდეს,...
მ უ ნ ა მ დ ი ს გავძლო სულთა დგმა, გული რაზომცა მტკიოდეს“.
(«ვეფხ.», 1088).

„სადამდე“-ს გავლენით „მუნამდე“-ს პირველი ხმოვანი ა-დ იცვალა და მივიღეთ **მანამდე** (ან: **მანამდის**), რომელსაც მხოლოდ დროული გაგება აქვს (მუნადმდე→მანამდე→მანამ) [არის პარალელური ფორმაც: **მინამ**].

სანამდე (ან: **სანამდის**). **მანამდე**-ს გავლენით **სადამდე**-მ თანხმოვანი გადაიკეთა და აგრეთვე დროული გაგება შეიძინა (სადამდე →სანამდე→სანამ) [არის პარალელური ფორმაც: **სინამ**].

არსად დღეს ადგილის ზმნიზედაა, დროული გაგება არა აქვს. მაგრამ იგი მიღებულია **არა სადა**’-საგან, რომლის მნიშვნელობა ძველ ქართულში იყო „არაოდეს“ („ღმერთი ა რ ა ს ა დ ა ვინ იხილა“, იო. 1,18 = ღმერთი არაოდეს უნახავს ვისმე; „აჰა ესერა ესოდენნი წელნი გმონენ შენ და ა რ ა ს ა დ ა მცნებასა შენსა გარდავჰჴედ, და მე ა რ ა ს ა დ ა მომეც თიკანი ერთი“, ლუკ. 15,29 = აი ამდენი წელი გემსახურე შენ და ა რ ა ო დ ე ს შენს ბრძანებას არ გარდავსულვარ, და [შენ კი] ა რ ა ო დ ე ს ერთი თიკანიც არ მოგიცია ჩემთვის). თვით დღევანდელი **არასოდეს** მიღებული ჩანს „არასადა“ და „არაოდეს“ ფორმათა კონტამინაციით.

იქით ადგილის ზმნიზედაა, მაგრამ **ამას იქით** — ადგილისაცა და დროისაც.

ამიერ ადგილის ზმნიზედაა (ძველად ნიშნავდა: აქედან; **მაგიერ** — მანდედან;

იმიერ — იქედან). იმისგან ნაწარმოები **ამიერიდან** (ამიერითგან) დროს აღნიშნავს.

წინ (**წინა**) ადგილის ზმნიზედაა, მაგრამ გაორკეცებული **წინწინ** ან **წინდაწინ** დროს აღნიშნავს. დროსავე აღნიშნავს **წინათ**, რომელიც მიღებულია „წინაძთ" ფორმისაგან. დროული გაგება აქვს აგრეთვე **უწინარეს**-საც (შემოკლებით: **უწინ**), რომელშიც **წინა** შედის (*უ-წინა-რე-ეს-ი). დროული გამოყენება აქვს მას აგრეთვე ასეთ სიტყვებში: გუშინისწინ, შარშანისწინ.

მ ხ ლ ე ბ ე ლ ი

628. მხლებლის რაობა. „მხლებლის" სახელით აღინიშნება სიტყვები, ბგერა თუ ბგერათა კომპლექსები, რომელთაც დამოუკიდებელი მნიშვნელობა არა აქვთ, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი სამსახური აწევთ ენაში: ისინი ემსახურებიან სხვა სიტყვებს ან მთელ წინადადებას.

რაკი მხლებელს დამოუკიდებელი მნიშვნელობა აკლია, ის არც შეიძლება იყოს წინადადების წევრი. წინადადების სინტაქსური ანალიზის დროს ის იმ სიტყვასთან ერთად (ან იმ წინადადებასთან ერთად) განიხილება, რომელსაც (ან რომელთაც) ახლავს.

მხლებელი სამგვარია: თანდებული, კავშირი და ნაწილაკი. ძველ ქართულში მათ ემატება კიდევ ნაწევარი.

თ ა ნ დ ე ბ უ ლ ი

629. თანდებულის რაობა. თანდებული ჰქვია დამოუკიდებელი მნიშვნელობის უქონელ სიტყვას ან ბგერათა კომპლექსს, რომელიც დაერთვის სახელის ამა თუ იმ ბრუნვის ფორმას, რომ აღნიშნოს მდებარეობა, მიმართულება, დანიშნულება ან სხვა რაიმე დამოკიდებულება დასახელებულ საგანთან. თანდებული სახელის მხლებელია, იგი სახელს ახლავს მხოლოდ.

შედგენილობის მიხედვით თანდებული შეიძლება იყოს მარტივი და რთული. მარტივია: გან, თვის და სხვ.; რთულია: გამო (←გან-მო), მი-მართ, მ-დე (მ-დის) და სხვ.

630. თანდებულის ადგილი. თანდებული შეიძლება წინაც ერთოდეს სახელს და შემდგომაც. წინ დართულს **წინდებული** ჰქვია, შემდგომ დართულს— **უკუდებული; თანდებული** საერთო სახელია იმისაც და ამისაც.

თანდებული რომ წინ ერთოდეს სახელს (წინდებული იყოს), ამის მაგალითს მრავალი ენა გვაძლევს (რუსული, გერმანული, ფრანგული, ინგლისური, ლათინური, ბერძნული, არაბული და სხვ.) და იშვიათი გამონაკლისის სახით ძველი ქართულიც.

ქართულში საზოგადოდ — ძველშიც, ახალშიც — უკუდებულები იხმარება, ისე როგორც ბევრ სხვა ენაშიც: კავკასიურებში (მაგ., ქისტურში), აზერბაიჯანულში და სხვ.

631. წინდებული ქართულში. წინდებულების ხმარება ძველ ქართულში გვხვდება, მაგრამ იქაც მეტად შეზღუდული სახით. ასეთია წინდებულები: **მი, მო, ზედა, შუა.** ორიოდე მაგალითი: „იყოს მაშინ ჭირი დიდი, რომელ არა

ყოფილ არს დასაბამითგან სოფლისაჲთ მოაქამდე, არცაღა იყოს“ (მათ. 24, 21C), „მამაჲ ჩემი მოაქამდე (მოაქაჲამადმდე C) იქმს, და მეცა ვიქმ“ (იო. 5, 17); „აცადეთ თანად აღორძინებად მიმკამდის“ (მათ. 13, 30C= „აცადეთ იგი ერთად აღორძინებად ურთიერთას ვიდრე ჟამადმდე მკისა“ DE; საუბარია ერთად ამოცენებულ პურსა და ღვარძლზე); „ვითარცა იყვნეს დღეთა მათ რღუნის წინათა: ჭამდეს და სუმიდეს, იქორწინებოდეს და განჰქორწინებდეს მიმუნ დღემდე, რომელსა შევიდა ნოვე კიდობნად“ (მათ. 24, 38); „დაარღვეთ, დაარღჳეთ მისაფუძვლადმდე მისა“ (ფს. 136, 7); „ბნელი იყო ზედა უფსკრულთა“ (დაბ. 1, 2); „ზედა წიგნსა საფიცარსა შევჰფიცე და შემომფიცა“ («ვეფხ.», 417). ასეთია აგრეთვე „შუა“ ამ წინადადებაში: „შუა ძოწსა და აყიყსა სჭვირს მარგალიტი ტყუბები“ («ვეფხ.», 1146).

თანდებულის ფუნქციით შეიძლება სახელიც იყოს აღჭურვილი; ასეთია, მაგ., „პირველ-ი“, რომელიც ზოგჯერ ზმნიზედა იყო („პირველ, ყმა ვარ, წასვლა მინდა პატრონისა სამსახურად“, «ვეფხ.», 154) და ზოგჯერ — თანდებული: „ყოველნი, რომელნი პირველ ჩემსა („ჩემსა წინა“ C) მოვიდეს, მპარავნი იყვნეს და ავაზაკნი“ (იო. 10, 8).

ანტონი I-მა სცადა თანდებულის ადგილის შეცვლა: უკუდებულის გადმოტანა წინ და წინდებულად ქცევა, რასაც ის სისტემებრ ატარებდა „თვის“ თანდებულის მიმართ გარკვეულ შემთხვევებში, უმთავრესად სათაურებში. აი რამდენიმე მაგალითი მისი «ქართული ღრამმატიკიდან» (გამოც. 1885 წ.): თჳს თანდებულთა (გვ. 96), თჳს ზმნის ზედათა (გვ. 99), თჳს კავშირთა (გვ. 108), თჳს შორის დებულთა (გვ. 114), თჳს ღრამმატიკაჲსა და უმთავრესთა ნაწილთა მისთა (გვ. 115), თჳს წიგნისა (გვ. 116), თჳს მარცულისა (გვ. 118), თჳს ლექსისა (გვ. 120), თჳს სიტყჳსა (გვ. 121), თჳს სახელისა (გვ. 124) და მისთ.. მაგრამ შეადარეთ: „ვინაჲთგან ვჰსთქუჱნით ეგოდენ, რაოდენიცა შესაბამ ვჰგონეთ ოთხთათჳს უმთავრესთა ნაწილთა ღრამმატიკისათა“... (გვ. 124, § 169). ანტონი I წინ სვამს „მებრ“-ს, რომელსაც ის დღევანდელი „მიხედვით“ სიტყვის მნიშვნელობით ხმარობს: „ყოველი სახელი მებრ ნაკუჱთისა ანუ მარტივი არს, მაგალითებრ **მართალი,** ანუ ჰრთული, მაგალითებრ, **მართლ-მადიდებელი**“ (§ 180, გვ. 127); „ყოველი სახელი მებრ რიცხვისა ანუ მხოლოობითი არს, მაგალითებრ **მოძღუარი,** ანუ მრავლობითი, მაგალითებრ **მოძღუარნი**“ (§ 182, გვ. 127).

ასეთი ცდა ამაო იყო, რადგანაც იგი ქართ. ენის ბუნების წინააღმდეგ იყო მიმართული და გასაკვირველი არაა, რომ ქართული სალიტერატურო ენის განვითარება ამ გზას არ გაჰყვა.

დღევანდელ ქართულში არის თითო-ოროლა შემთხვევა წინდებულის ხმარებისა; ასეთია „გარდა“ ასეთ გამოთქმაში: „გარდა ამისა“ („გარდა საამებელი სიტყვებისა, საწყენიც ბევრი უთხრა“ და მისთ.), მაგრამ: ამას გარდა, მტრის გარდა, მოყვანილი ცნობების გარდა და სხვ.

„უპირველეს ყოვლისა მოკითხვას მოგახსენებო“, ასე იცოდნენ წინათ წერილის დაწყება. აქ „უპირველეს“ წინდებულის ფუნქციით არის ნახმარი.

ასეთივეა აგრეთვე გამონათქმები: ნაცვლად ამისა, მიუხედავად იმისა.

682. თანდებულთა სიმცირე ქართულში. მათი ბრუნვები. თანდებულები ქართულში შედარებით ცოტაა, რადგანაც ზმნის მიმართებითი ფორმები საზოგადოდ და კერძოდ ქცევის ფორმები, აგრეთვე ბრუნვის ფორმათაა სიმრავლე საშუალებას გვაძლევს აზრი ზუსტად გამოვხატოთ უთანდებულოდაც. ავიღოთ, მაგ., მიც. ბრუნვის ფუნქციები ზოგიერთ ზმნასთან და შედარების მიზნით რუსულად ვთარგმნოთ ორიოდე ნიმუში «ვეფხის ტყაოსნიდან»[1]:

ჯდა მტირალი წყლისა პ ი რ ს ა (84) — он плакал, сидя на б е р е г у реки.

ც ხ ე ნ ს ა შეჯდა (93) — он сел на к о н я.

ზოგჯერ კ ო შ კ ს ჯდის, ზოგჯერ ბ ა ღ ჩ ა ს ჩამოვიდის (330) — иногда она сидела в з а м к е, а иногда спускалась в с а д и к.

წიგნი წიგნსა ეწეოდა (323) — письмо следовало за п и с ь м о м.

ნ ა ვ ს ა ჩავჯე, ზ ღ ვ ა ს ა შევე (587) — я сел в л о д к у, въехал в м о р е.

მოყვანილ მაგალითებში ქართულში არსად თანდებული არაა ნახმარი, რუსულში კი ნახმარია на (ორჯერ), в (ოთხჯერ) და за (ერთჯერ).

ზოგი თანდებული ბრუნვის ფორმას შეერწყა და ახალი ბრუნვები წარმოშვა (§§ 91—96).

თანდებული იხმარება ყველა ბრუნვის ფორმასთან, გარდა მოთხრობითისა და წოდებითისა.

ერთ-მარცვლიანი თანდებული დღეს სახელთან ერთად იწერება, ორ-მარცვლიანი — ცალკე. ძველად ასეთი გარჩევა არ იყო.

683. თანდებული სახელობითთან. სახელობითი ბრუნვის ფორმასთან მარტო **ვით** თანდებული იხმარება, ისიც თანხმოვნიან ფუძეებთან; აღნიშნავს მსგავსებას: ბავშვივით, მხეცივით (§ 85).

უფრო ადრე ცალკეც იწერებოდა და სიტყვის წინაც გვხვდებოდა: „ვითა გავაზი გაფრინდა“ («ვეფხ.». 214). „ვითა“ (=როგორც) კავშირადაც იყო გამოყენებული:

„ვ ი თ ა ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა,...
მართ აგრევე მელექსესა — ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა“.
(«ვეფხ.», 13).

ისტორია: ვითარ→ვითა→ვით.

684. თანდებული მიცემითთან. მიცემითი ბრუნვის ფორმასთან იხმარება თანდებულები: ვით, თან, ზე, ში, შორის, შუა.

ვით იგივეა, რაც სახელ. ფორმასთან ხმარებული. ფუნქცია აქაც იგივე აქვს, რაც სახელობითთან; ოღონდ, თუ სახელობითში თანხმოვანზე გათავებული ფუძის სახელებს ერთვის, მიცემითში — ყოველგვარ სახელს, ხმოვანფუძიანებსაც და თანხმოვან-ფუძიანებსაც: ქალსავით, კატასავით, მებაღესავით, უენოსავით, ყრუსავით (§§ 85—86).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. იშვიათად გვხვდება „ვით“ აგრეთვე ნათესაობითის ფორმასთანაც: სისხლისავით, ხავერდისავით, ვაშლისავით, ცხენისავით და

[1] შესადარებლად კარგია რუსული ენა, რადგანაც ბრუნვათა სისტემა მასაც საკმაოდ განვითარებული აქვს (ექვსი ბრუნვა მოეპოვება).

სხვ. (§ 86 შნშ), მაგრამ ასეთი ფორმები ამჟამად უკვე გადავარდნილია.

ან. ძველი ფორმა იყო **თანა,** რომელიც აღდგება **ვე** და **ც** ნაწილაკების დართვისას (თანავე, თანაც). ძველ ქართულში ნათ. ბრუნვასაც მოითხოვდა [„მამისა თანა": ა. კეკელიძე, წინაშე, თანა და ზედა თანდებულთა სინტაქსური ფუნქციისათვის ძველ ქართულში: საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, III (1942), №№ 2 და 3], ახალში კი — მხოლოდ მიცემითს: მამას-თან. «ვეფხის ტყაოსანში» გვხვდება მხოლოდ მიცემითთან: ხმასა თანა (966), ფრიდონს თანა (1014), მასვე თანა (669, 1199) (§ 86).

თანხმოვანზე გათავებულ ფუძეებთან თანამედროვე ქართულში იკარგება ბრუნვის ნიშანი: ცხენთან, სახლთან და მისთ.

თან'-ს გასაძლიერებლად **ერთად** ერთვის: ამასთან ერთად (ამასთანავე ერთად): „წიგნთან ერთად რვეულიც გამომიგზავნე" და მისთ.

ში და **ზე** თანდებულებმა ახალი ბრუნვა წარმოშვეს (სადაობითი, § 95). მიც. ბრუნვის ფორმა მათთან მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა ორ სახელს განეკუთვნებიან: **მთასა** და ბარ-ში, **ქალაქსა** და სოფელში და მისთ.; **ცხრასა** და ათზე, **თეთრსა** და შავზე და მისთ. (§ 87).

ში შინაგან სივრცეს გულისხმობს (სიღრმეს ან შემოზღუდულ რასმე), **ზე** კი — ზედაპირს.

ისტორია: შინა→ში; ზედა→ზედ→ზე. „ზედ" და „ზედა" ეხლაც გვხვდება: წყალზედ, წყალზედაც და მისთ.

შია შეეძლო მოეცა როგორც **შინა**-ს, ისე **შიგან'**-ს: კოკას(ა)-ში[ნ]ა (ცა)→კოკა[ს]შია(ცა)→კოკაშია(-ც). ან: კოკასა შიგან(ცა)→კოკას(ა) ში[გ]ან(-ცა)→კოკა[ს]შია(-ც)→კოკაშია(-ც).

შორის. ამ თანდებულის ხმარებისათვის აუცილებელია, რომ ორი სახელი იყოს **და** კავშირით შეერთებული, ან სახელი მრავლ. რიცხვში იდგეს: ძმებს შორის, მეზობლებს შორის, მცხეთასა და გორს შორის **და** მისთ.

შუა-ც ისეთივეა, როგორც „შორის", ოღონდ „შუა" უფრო მეტად გეოგრაფიული მდებარეობის წარმოდგენას გვაძლევს: „შირაქი მდებარეობს ალაზანსა და იორს შ უ ა". მაგრამ შდრ.: „ალაზანსა და იორს შ ო რ ი ს ის განსხვავებაა, რომ"...

635. თანდებული ნათესაობითთან. ნათეს. ბრუნვის ფორმასთან შემდეგი თანდებულები გვხვდება: თვის, გან, მიერ, გამო, კენ, მიმართ, მომართ, შესახებ, გარდა, ებრ. ამათგან ერთ-მარცვლიანები (თვის, გან, კენ, ებრ) ერთვიან როგორც გავრცობილს, ისე გაუვრცობელ ფორმას: **ძმისთვის — ძმისათვის,** ძმისგან — ძმისაგან, ძმისკენ — ძმისაკენ, **ძმისებრ — ძმისაებრ. ც ნაწილაკის** დართვისას თანხმოვანზე გათავებულ თანდებულებს უვითარდებათ მაერთებელი **ა:** ძმისთვის-ა-ც, ძმისგან-ა-ც, ძმის მიერ-ა-ც, ძმისკენ-ა-ც, ძმის მიმართ-ა-ც, ძმის შესახებ-ა-ც (§ 624).

თვის. აღნიშნავს დანიშნულებას: ამხანაგისთვის, მეზობლისთვის. მოიპოვება დიალექტური ფორმა, რომელიც აქა-იქ ძველი თაობის ნაწერებში გვხვდება: თვინ („კაცისთვინ", ყაზბ., 303, 16).

და. თანდებული **და** ძალიან გავრცელებული იყო ძველად და იმასვე აღნიშნავდა, რასაც „თვის"; ერთოდა ნათესაობითის ფორმას: „მხატვრისადა

მიეცა" (გ. მთაწმიდელი, «ცხორ. იოვანესი და ეფთჳმესი», 112=მხატვრისთვის მიეცა). ეს ფორმა სალიტ. ქართულიდან გადავარდა, მაგრამ დარჩა კილოებში (მაგ., გურულში, ფშაურში). გურულში **ის-და** კომპლექსმა (ბრუნვა გაუვრცობელია) **იზა** მოგვცა (შენი გულის-და→შენი გულიზა), ფშაურში კი ბოლო ხმოვანი ჩამოეკვეცა და მივიღეთ **ისა-დ** (ბრუნვა გავრცობილია; ლექსში შეიძლება ჩამოკვეცილი ა აღდგეს)), რაც კარგად ცნობილია ვაჟა-ფშაველას ნაწერებიდან: დედისად (დედისთვის), მტრისად (მტრისთვის): „მენანვის, ცრემლი ამდენი დავღვარო რად და რ ი ს ა დ ა" (II, 340, 1 ქვ.) და სხვ.. ეს **და** სალიტ. ქართულში შემოგვრჩა ისეთ გამოთქმაში, როგორიცაა: ამისდა მიხედვით, იმისდა მიუხედავად, სხვისდა უკითხავად და მისთ. (§ 87 შნშ).

გან. სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს:

ა) აღნიშნავს მოქმედ პირს სახელზმნასთან: „პოვნა ავთანდილისაგან დაბნედილის ტარიელისა", „მისვლა ავთანდილისაგან ფრიდონისასა", „ცნობა როსტევან მეფისაგან ავთანდილის გაპარვისა", „შვილისაგან დაუტირებელი" (ქავჭ.) და მისთ.

ბ) აღნიშნავს მასალას, რომლისგანაც რაიმე მზადდება: „ერთი ხისაგან ბარიც გამოვა და ნიჩაბიცო" (ანდ.).

გ) აღნიშნავს დაშორებას, დაცილებას, თავის დახწევას: თანამდებობისაგან გაათავისუფლეს, ხისაგან ჩამოხსნეს და მისთ.

დ) აღნიშნავს: გარდაუვალ ზმნასთან და სახელზმნასთან მიზეზს: შიშისაგან ცახცახი მოუვიდა, გვალვისაგან ყანები სულ გადახმა, ყინვისაგან თითებში წამიდგა და მისთ. (§ 87).

გამო. აღნიშნავს მიზეზს: ავადმყოფობის გამო, სიკვდილის გამო და სხვ.; ზოგჯერ უდრის „შესახებ"-ს: ამ საქმის გამო, მოლაპარაკების გამო და მისთ.

მომართ, მიმართ. მნიშვნელობით ორივე ერთია, მაგრამ „მომართ" 1-ლი პირისთვისაა განკუთვნილი, „მიმართ" კი — მეორისა და მესამისათვის: ჩემ მომართ, ჩვენ მომართ; შენ მიმართ, იმის მიმართ, მეზობლის მიმართ.

გარდა. იხმარება გამოსარიცხავად: ქვის გარდა, ვერცხლის გარდა და მისთ. საშუალ ქართულში გვხვდებოდა **გან**-დართულ ნათ. ბრუნვის ფორმასთან **კიდე**, რომელიც იმასვე ნიშნავდა, რასაც დღევანდელი „გარდა": „მისგან კიდე არვინ შეჰყვა" («ვეფხ.», 101), „შენგან კიდე" (იქვე, 133, 275).

კენ. ძველად ითქმოდა „კერძო", რომელიც მოითხოვდა მოქმედებითს (კითხვაზე: ს ა ი დ ა ნ?), ან ვითარებითს (კითხვაზე ს ა ი თ კ ე ნ?): მარჯუენით კერძო, მთად კერძო. ბოლო მარცვლის დაკარგვის შემდეგ დარჩენილი **კერ** იცვალა **კენ**'-ად და ნათესაობითს დაუკავშირდა: მარჯვენისკენ, მთისკენ და მეორე მხრივ **კერ**'-მა **კე** მოგვცა, რაც «ვეფხის ტყაოსანშიც» არის დადასტურებული („ზღვათაკე სარკმლით გატყორცა", 1116) და დღეს ჩვეულებრივია ვაჟას ნაწერებში, სადაც ზოგჯერ მარტო **კ** გვრჩება: ხალხისკე III, 81, 30; ჩვენკე 106, 13; ცეცხლისკე, 268, 12; მტრისაკე, 189, 36; იქისკე I, 30, 31; ცისაკ I, 19, 26. (§ 87).

ებრ. აღნიშნავს მსგავსებას, მნიშვნელობით უდრის „ვით"-ს: მგლისებრ, თხისებრ, ავთანდილისებრ და მისთ.. ზოგჯერ ნათესაობითი ბრუნვის

ნიშანი ჩამოკვეცილია და „ებრ“ პირდაპირ ფუძეზეა დართული: მარგალიტისებრ და მარგალიტებრ, ლომისებრ და ლომებრ. „სხვა“ სიტყვა მასთან იკვეცს ხმოვანს: სხვებრ (§ 87).

დამი. ნ. § 87.

მიერ. აღნიშნავს მოქმედს: კურდღლის მიერ, მჭედლის მიერ.

შესახებ. აღნიშნავს, რომ მოქმედება ეხება საგანს, რომლის სახელსაც იგი ერთვის: წიგნის შესახებ. წარმოშობით არის მიმღეობა („შესახები“).

636. თანდებული მოქმედებითთან. მოქმედებითის ფორმასთან ამჟამად მხოლოდ **ურთ** თანდებული გვხვდება (რომელიც მიღებულია **ერთ**-ისაგან ხმოვნის შეცვლით), რაც ერთადობას აღნიშნავს: დედითურთ. წინათ მისი ხმარება მეტად იყო გავრცელებული, დღეს კი მის მაგივრობას **იან** სუფიქსით ნაწარმოები ფორმა სწევს ვითარებითის ფორმით: დედითურთ=დედიანად; ძირითურთ=ძირიანად (ძირიან-ფესვიანად) (§ 88).

წინათ მოქმედებითის ფორმას მოითხოვდა აგრეთვე **გან**, რომელიც აძლიერებდა მოქმედებითის ფორმის გამოსვლითის ფუნქციით: კახეთით‖კახეთითგან→კახეთიდგან→კახეთიდან. ბრუნვის ნიშნისა და თანდებულის ნიშნის შერწყმის ნიადაგზე წარმოიშვა ახალი ბრუნვა — გამოსვლითი (§ 93). თანხმოვანზე გათავებული ფუძეების შემდეგ **იდან** გვხვდება, ხმოვანზე გათავებულების შემდეგ კი — **დან**.

აღმოსავლურ კილოებში (კახურში, ნაწილობრივ ქართლურში, ფშაურში) **იდან**-ის (და **დან**'-ის) ნაცვლად გვხვდება **იდამ (დამ)**, რომელიც წარმოიშვა **დაღმე**-ს დართვით მოქმედებითის ბრუნვის ნიშანზე (ა. ჩიქობავა, ერთი უცნობი თანდებული ქართულში: ენის, ისტორიისა და მატ. კულტურის ინსტიტუტის მოამბე, I).

იდამ (დამ) ზოგჯერ ლიტერატურაშიც გვხვდება: „ყოველი შენობა ძ ი რ ი დ ა მ ამაღლებულა, მ ა ღ ლ ი დ ა მ კი შენობა არსად არ დაწყებულა“ (ჭავჭ., 253, 9—10).

637. თანდებული ვითარებითთან. ვითარებითის ფორმასთან მხოლოდ ერთი თანდებული იხმარება, რომელიც ორი ვარიანტით იყო ცნობილი: **მდე, მდის**: ქალაქამდე, ქალაქამდის. ამათ ემატება: **მდინ, მდისი** და **მდისინ** ფორმები, რომლებიც დიალექტურია, მაგრამ ხანდახან სალიტერატურო ძეგლშიც გვხვდება: ცამდინ (ყაზბ., 329, 7), ნახევრამდინ (243, 26), გათენებამდინ (218, 10), აქამდისინ (ყაზბ., 191, 39), იქამდისინ (222, 12: 226, 33).

არსებითად **მდე (მდის)** აღარაა თანდებული, რადგანაც იგი უკვე შეერწყა ბრუნვის ფორმას და ახალი ბრუნვა წარმოშვა — მიწევნითი (§ 94).

638. ზმნიზედა თანდებულის ფუნქციით. როგორც ვიცით, ზმნიზედა ზმნის წყვილის ცალია, მასთან სახმარებელი და მისი მსაზღვრელი დროსა თუ სივრცეში, მიზეზისა თუ მიზნის მხრით და სხვა. მაგრამ ამასთანავე ჩვეულებრივია ზოგი ზმნიზედის გამოყენება თანდებულის ფუნქციით; მაგალითად: „წინ“ ზმნიზედაა („წინ წყალი, უკან მეწყერი!“ ასეთი წყევლა იცოდნენ რაჭაში), მაგრამ იგი თანდებულადაც იხმარება. ამ შემთხვევაში იგი ძველად მიც. ბრუნვის ფორმას მოითხოვდა: კარსა წინა («ვეფხ.», 1114), ბალსა წინა (იქვე,

1130), უსენს წინა (1166), მაგრამ ახალ ქართულში იგი ნათეს. ბრუნვის ფორმასა მოითხოვს: სადილის წინ, სახლის წინ და მისთ.. „ქვეშ" ზმნიზედაა („ქვეშ იყო მარანი წალმით დახურული", ი. ჭავჭ.), მაგრამ იგივე „ქვეშ" თანდებულის ფუნქციითაც არის აღჭურვილი: იატაკს ქვეშ (ან: იატაკის ქვეშ), მიწის ქვეშ და მისთ. აგრეა სხვა ზმნიზედებიც: შემდეგ, უკან, შიგნით, გარეშემო და სხვ.

საზოგადოდ თანდებულის ფუნქციას იძენენ ადგილისა და დროის ზმნიზედები.

639. თანდებულის წარმოშობის წყაროები. ზოგ თანდებულს უახლოესი კავშირი აქვს ზმნისწინთან, — წარმოშობით იგივეა, რაც ზმნისწინი, როგორც ეს უკვე აღნიშნულია (§ 324).

თანდებულად შეიძლება იქცეს სახელი, ზმნა, ზმნიზედა.

თვის. ეს სიტყვა ძველი ორთოგრაფიით ასე იწერება: **თჳს**, რაც ასე დაიშლება: **თუ-ის** (ასეც წერდნენ XI—XV საუკუნეებში მხედრულად, მაგრამ უფრო ადრე, V—X სს.-ებში, უმეტესად **თჳს** იწერებოდა, უფრო სწორად: ႧႢႱ. ეს „თჳს" გამოსულია „თვის" ფორმისგან, ეს კი **თავ** სიტყვის ნათ. ბრუნვის ფორმაა შეკუმშული სახით.

ამ ფორმას ბოლოში **ა** არ ჰქონია, მაგრამ მაერთებელი **ა** გაუჩნდა **ც** ნაწილაკის წინ: ჩემ-თვის-ა-ც (§ 89).

„თვის" აღნიშნავს დანიშნულებას: ჩემთვის, მეზობლისთვის, ამხანაგისთვის: „ერთობა ჩ ვ ე ნ თ ვ ი ს ტახტია, მ ტ რ ე ბ ი ს თ ვ ი ს — სახრჩობელაო" (ა. წერ.).

გულისთვის. ზოგ შემთხვევაში „თვის" თანდებულის ნაცვლად „გულისთვის" იხმარება: დედისთვის = დედის გულისთვის; მეზობლისთვის = მეზობლის გულისთვის: „შვილმა რომ დ ე დ ი ს გ უ ლ ი ს თ ვ ი ს ერბო-კვერცხი მოიწვას ხელის გულზე, იმის ამაგს მაინც ვერ გადაიხდისო", «ქართ. ანდ», 1926. რადგანაც ამ რთული თანდებულის პირველი ნაწილი სახელია, კუთვნილებით ნაცვალსახელებს ისე იწყობს, როგორც ჩვეულებრივი სახელი; შდრ.: ჩემ-თვის, შენ-თვის, ჩვენ-თვის, თქვენ-თვის, მათ-თვის. ვის-თვის, მაგრამ: ჩემი გულისთვის, შენი გულის-თვის, ჩვენი გ., თქვენი გ., მათი გ., ვისი გ.

მდე თანდებულის ვარიანტია **მდის.** როგორც ერთი, ისე მეორე წარმოადგენს „დღე" სიტყვის სხვადასხვა ფორმას, **მი** წინდებულის დართვით:

მდე = მ[ი]-დ[ღ]ე[დ] (ვითარ. ბრ.),
მდის = მ[ი]-დ[ღ]ის (ნათ. ბრ.).

(ა. შ ა ნ ი ძ ე, **მდე** თანდებულის გენეზისისათვის: საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, III, № 4).

შესახებ. უკანასკნელი ასორმოცდაათი წლის მანძილზე ძალიან გავრცელდა ამ სიტყვის გამოყენება თანდებულად: ამ საქმის შესახებ, თქვენ შესახებ, მაგ ამბების შესახებ და სხვ.. იგი წარმოადგენს მომავალ-დროიანი მიმღეობის ფორმას „შეხება" ზმნისას (შესახებ-ი).

მიხედვით. ითქმის: ამისდა მიხედვით, იმისდა მიხედვით (ან: ამის მიხედვით, იმის მიხედვით) და მისთ. „მიხედვით" საწყისის ფორმაა მოქმედებით

ბრუნვაში.

მიუხედავად. ითქმის: მიუხედავად ამისა, მიუხედავად არაერთხელი გაფრთხილებისა და მისთ.. „მიუხედავად“ ვითარებ. ბრუნვის ფორმაა უკუთქმითი მიმღეობისა.

ნაცვლად. ითქმის: ამის ნაცვლად, ნაცვლად ამისა („პასუხის ნაცვლად მან ტირილი მორთო“). ორსავე შემთხვევაში „ნაცვლად“ თანდებულია. ძველად ამ სიტყვის ფორმა იყო „ნაცვალად“, რომელსაც სახელის გაგება ჰქონდა, მაგ., ასეთ წინადადებაში: „და რაჲ მისცეს კაცმან ნ ა ც ვ ა ლ ა დ სულისა თჳსისა“? (მარკ. 8,37; ნაცვალად=საზღაურად, სამაგიეროდ). წარმოშობით „ნაცვალიც“ ზმნაა (წარსულ-დროიანი მიმღეობა).

კ ა ვ შ ი რ ი

640. კავშირის რაობა და ჯგუფები. კავშირი არის დამოუკიდებელი მნიშვნელობის უქონელი სიტყვა, რომელიც მნიშვნელობას სხვა სიტყვებთან ხმარებით იძენს: ის აკავშირებს წინადადების ორ წევრს ან ორ წინადადებას.

შედგენილობით კავშირი შეიძლება იყოს მარტივი და რთული.

მ ა რ ტ ი ვ ი ა: და, თუ, ხოლო, ან და სხვ.

რ თ უ ლ ი ა: ვიდრე (ვიდ-რე), თუნდაც (თუ უნდა-ც), თორემ (თუ არე-მ← თუ არა-მ) და სხვ.

კავშირის ფუნქციების განხილვის ადგილი სინტაქსშია, მაგრამ ზოგადად შეიძლება მორფოლოგიაშიც ითქვას ორიოდე სიტყვა.

ერთი და იგივე კავშირი ზოგჯერ სხვადასხვა ფუნქციის მქონეა.

ფუნქციის მიხედვით კავშირები იყოფა ორ დიდ ჯგუფად: პირველში შედის მაერთებელი კავშირები, მეორეში — მაქვემდებარებლები.

641. მაერთებელი კავშირები. მაერთებელ კავშირებში გამოიყოფა შემდეგი ქვე-ჯგუფები: მაჯგუფებელი, მაცალკევებელი, მაპირისპირებელი და მაიგივებელი.

ა) მ ა ჯ გ უ ფ ე ბ ე ლ ი კ ა ვ შ ი რ ე ბ ი ა: **და, თუ.**

და. მაერთებელ კავშირთაგან ყველაზე გავრცელებულია **და**, რომელიც აერთებს წინადადების ორ წევრს ან ორ წინადადებას. ორი სიტყვის შეერთების მაგალითებია: მზე და მთვარე, ქართველი და სომეხი, ქვა და მიწა, მივიდა და უთხრა, ჰკითხა და გამობრუნდა, დილას და საღამოს, გუშინ და დღეს და მისთ.. თუ ერთნაირი წევრი რამდენიმეა, **და** კავშირი უკანასკნელის წინ დაისმის: ხარი, ფური, ცხენი და ჯორი.

ორი წინადადების შეერთების მაგალითებია: „გათენება მოახლოებული იყო და ქათმების ყივილი ისმოდა“; „კურდღელი გარბოდა და მწევარი მისდევდა“.

და კავშირს შეიძლება შეეკვეცოს ხმოვანი და დამრჩალი **დ** შეუერთდეს წინამავალ სიტყვას, რაც უფრო ფშაურ კილოს ახასიათებს და ფშავიდან გამოსულ მწერლებს: „მე-დ' ყილჩაღ შევიყარენით“ (ხალხ. ლექსიდან): „გული-დ' გონება“ (ვაჟა, ალუდა ქეთ.); „შავნი ბუჰყანი-დ' ჭიანი (ვაჟა, კოპალა); „არა-დ' ვიქნიოთ ხმალია“ (გოგოთ. და აფშ.).

თუ. ამ სიტყვას ხშირად **და**-ს მნიშვნელობა აქვს, მაგალითად: „ყველა იქ

მიაწყდა: კაცი თუ ქალი, დიდი თუ პატარა, ქართველი თუ რუსი“ და მისთ.. „ნაცვალი თუ იასაული ქვრივის ეზოში ვერ გაიწაწანებდნენ“ (ჭავჭ.); „ჩალხისაც ჩხუბის დროს ბევრი ჰხვდებოდა მუშტი, ჯოხი თუ საცერული“ (ვაჟა, «უძმოს ძმა»).

ბ) მ ა ც ა ლ კ ე ვ ე ბ ე ლ ი კ ა ვ შ ი რ ე ბ ი ა: **თუ, ან** (ვარიანტებითურთ: ან — ან, ან — ან არადა, ან — ანდა), **ხან — ხან** (ვარიანტები: ხან — ხან კი, ხან— ხანაც), **გინდ — გინდ** (გინდ — გინდაც), **თუნდ — თუნდ** (თუნდა — თუნდაც).. როგორც ვხედავთ, მაცალკევებელი კავშირები უმეტესად მეორდება. ამას გარდა, უკანასკნელს შეიძლება ახლდეს კავშირი **და** ან ნაწილაკი ც.

თუ. იხმარება კითხვის დროს: „ღვინო მოგართვა, თუ წყალი“?

ან. იგი არჩევას გულისხმობს (რამდენიმესაგან ერთისას). მიღებულია **ანუ**-საგან, რომელიც დღესაც იხმარება, მაგრამ მაიგივებლად. მე-19 საუკუნის მწერლების ნაწერებში (იშვიათად ამ საუკუნის მწერლებისაშიც) **ან**-ის გვერდით ზოგჯერ **ანუ**-ც გვხვდება: „არ გაგონდება არც მამა, დედა, ა ნ ძმა, ა ნ უ და, ა ნ სახლი, კარი?“ (ჭავჭ.); „ბრძოლა ხალხისთვის, ბრძოლა მტარვალთან, ა ნ უ სიკვდილი, ა ნ გამარჯვება“ (ევდ.). ამჟამად ა ნ უ ასეთი მნიშვნელობით აღარ იხმარება.

გინდ, თუნდ. „გინდ“ მიღებულია გინდა-საგან, რომელიც ზოგჯერ ეხლაც იხმარება. წარმოშობით, მაშასადამე, მეორე პირის ფორმაა (ისე როგორც ძველი „გინა“, § 555). „თუნდ“ კი „თუ უნდა“-საგან არის მიღებული, მაშასადამე, ამაშიც პირიანი ფორმა ურევია, მესამე პირისა („უნდა“).

გ) მ ა პ ი რ ი ს პ ი რ ე ბ ე ლ ი კ ა ვ შ ი რ ე ბ ი ა: **მაგრამ, ხოლო, კი, თორემ, არამედ.**

მაგრამ. მიღებულია „მაგრა“-საგან **მ**-ანის დართვით („მაგრა“ ჩვეულებრივია «ამირანდარეჯანიანში», «ვისრამიანში», «ვეფხის ტყაოსანში», მაგ., „მაგრა იტყვის: ჩემი სჯობსო, უცილობლობს ვითა ჯორი“, «ვეფხ.», 15).

ხოლო. ძველისძველი კავშირია.

კი. ეს კავშირი საპირისპირო სიტყვათაგან მეორეს ახლავს, მაგრამ ყოველთვის შემდეგ: მე წყალი გთხოვე, შენ კი ღვინო მოგაქვს“. მიღებულია **კიდევ**-ისაგან, რომელიც ზოგჯერ ეხლაც იხმარება: „მე ვანოს ვუთხარი, ვანომ **კი** — ქეთოს, ქეთომ **კიდევ** — კატოს“. თვით კიდევ←კიდე-ვე (კიდე=გარდა, ძვ. ქართ. გარნა=მაგრამ).

თორემ. მიღებულია თუ არა-საგან: **უა** ჯგუფისაგან შერწყმის გზით **ო** მივიღეთ და ბოლოს დაერთო **მ** (როგორც „მაგრამ“-ში): თუარა-მ→თორა-მ→თორემ. არ ჩანს ანის ე-დ ქცევის საფუძველი („თურე“-ს გავლენაა ვითომ?) [კილოებში არის პარალელური ფორმაც: თორო].

არამედ. რთული კავშირია (არა-მედ; მეორე ნაწილი მოიპოვება ვითარ-**მედ**-შიც, რომელიც ძველი ქართულის კუთვნილებაა). „არამედ“ მაშინ იხმარება, თუ საპირისპირო სიტყვას ახლავს უკუთქმითი ნაწილაკი (**არ, ნუ**), რომელიც ხშირად გაძლიერებულია **კი**-ს დართვით: **კი არ, კი ნუ**; ამგვარად, მიღებულია საპირისპირო ცალები: არა — არამედ, კი არ — არამედ, კი ნუ — არამედ: „კინოში კ ი ა რ მივდივარ, ა რ ა მ ე დ თეატრში“; „არა ქუთაისში სწავლობს, არამედ თბილისში“ და მისთ.

დ) *მაიგივებელი კავშირებია*: **ანუ, ესე-იგი** (შემოკლებულად: ე. ი. ამათგან „ესე-იგი“-ს ძველი ფორმა იყო: „ესე იგი არს“.

642. მაქვემდებარებელი კავშირები. მაქვემდებარებელი კავშირი აკავშირებს ორ წინადადებას, რომელთაგანაც ერთია მთავარი, მეორე კი — დამოკიდებული. კავშირი აუცილებელია დამოკიდებულ წინადადებაში, მთავარში კი იგი შეიძლება არ იყოს.

მაქვემდებარებელ კავშირებად ხშირად გამოყენებულია მიმართებითი ზმნიზედები.

შინაარსის მიხედვით მაქვემდებარებელი კავშირი შეიძლება იყოს: *ადგილისა* (სადაც, საითაც და სხვ.), *დროისა* (როდესაც, ვიდრე, სანამ[დის], მანამ[დის] და სხვ.), *მიზეზისა* (რადგანაც, იმიტომ რომ და სხვ.), *მიზნისა* (რათა და სხვ.), *დათმობისა* (თუმცა და სხვ.).

643. ზოგი კავშირის ისტორიისათვის.

სანამ. სადამდის→სანამდის→სანამდი→სანამ [ან: სადამდე→სანამდე→სანამ]. არის ასეთი ვარიანტიც: სინამ (მინამ'-ის ანალოგიით).

მანამ (მინამ). მუნამდის→მანამდის→მანამდი→მანამ; ან: მუნამდის→მინამდი→→მინამ; „*მინამ* ერთი ორიოდ გროში მქონდა და ვხარჯავდი, *მინამ* მინახა“ (ჭავ., 325, 4—5).

ვიდრე (ვი-დ-რე, **რე**-დართული ვითარებითია). იგი საშუალ ქართულში ვირე'-დ იცვალა („მე *ვირე* ამა წიგნისა პასუხი მომივიდოდეს“, «ვეფხ.», 1088), მაგრამ ახალ ქართულში ტრადიციით ძველმა ფორმამ გაიკაფა გზა.

ვინაიდან. ამჟამად მიზეზის კავშირია, მაგრამ წარმოშობით იგი ადგილის ზმნიზედაა: ვინა-ჲ(თ) ძვ. ქართულში ნიშნავდა: „საიდან“ („ვინაჲ ხარ და ვიდრე ხუალ“ =საიდან ხარ და სად მიხვალ?), **გან**-თანდებულის დართვით მივიღეთ ვინაჲთგან→ვინაიდგან→ვინაიდან (N. Marr et M. Brière, La langue géorgienne, 1931, p. 631. შემდეგ საკითხს სპეციალურად ა. ჩიქობავა ეხებოდა).

რათა. ძველ ქართულში იგი „რაჲთა“ ფორმით იხმარებოდა. წარმოადგენს მოქმ. ბრუნვის ფორმას **რა** სიტყვისას (რაჲთა: „უკუეთუ მარილი იგი წბილ იყოს, *რაჲთა* დაიმარილოს“? მარკ. 9,50=მარილი რომ არვარგოდეს, *რით* უნდა დამარილებულ იქნეს?). იგი მიზნის კავშირად იქცა.

რადგან. რაჲთ-გან→რათგან→რადგან (ც-ს დართვით: რადგანაც). მაშასადამე, მიზეზის კავშირი წარმომდგარია **რა** ნაცვალსახელის **გან**-დართული მოქმედებითის ფორმისაგან.

ნაწილაკი

644. ნაწილაკის რაობა. ნაწილაკი ჰქვია დამოუკიდებელი მნიშვნელობის უქონელ ბგერას, ბგერათა კომპლექსს თუ სიტყვას, რომელიც ერთვის წინადადების წევრს ან მთელ წინადადებას და მნიშვნელობას უცვლის მას რაიმე მხრით.

სახელთან ხმარებული ნაწილაკი არ მოითხოვს რომელიმე ბრუნვის ფორმას, — იგი ყველა ბრუნვის ფორმასთანაა შესაძლებელი, გარდა წოდებითისა (§ 89). ამით ის განსხვავდება თანდებულისაგან. სიტყვა-სიტყვითი ნაწილაკი ყოველგვარ ფორმას დაერთვის, წოდებითისასაც კი.

ნაწილაკი არ აერთებს წინადადების ორ წევრს ან ორ წინადადებას. ამით ის განსხვავდება კავშირისაგან.

ზოგი ნაწილაკი წინ უძღვის სიტყვას, რომელსაც ახლავს, ზოგი კი მოსდევს მას.

წ ი ნ უ ძ ღ ვ ი ს: არ, ვერ, ნუ და სხვ.

მ ო ს დ ე ვ ს: მე, ვე, ღა, ცა, ოდე და სხვ.

ზოგი ნაწილაკი მარტო ზმნასთან იხმარება (არ, ვერ, ნუ), ზოგი სახელთან (ოდე), ზოგი ყოველგვარ სიტყვასთან (ო).

ზოგი ნაწილაკი ცალკე იწერება (მაგ., **ხოლმე, თურმე, ნუ, არ, ვერ** და სხვ.), ზოგი დეფისით (მოვალ-**მეთქი**), ზოგიც სიტყვასთან ერთად, რომელსაც ერთვის (**ოდე, ღა, ც(ა), ო** და სხვ.: ხუთიოდე, სადღა, წიგნიც, მოიტანაო და მისთ.).

645. ნაწილაკთა ფუნქციები. ფუნქციის მიხედვით ნაწილაკები მეტად მრავალ-ფეროვანია. ერთსა და იმავე ნაწილაკს სხვადასხვა ვითარებაში ზოგჯერ სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს ამასთანავე რამდენიმე ნაწილაკი ფუნქციით უახლოვდება ერთმანეთს და გარკვეულ ჯგუფს ქმნიან. შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ფუნქციები: კითხვითი, მიმართებითი, განუსაზღვრელობითი, უკუთქმითი, სიტყვა-სიტყვითი, მიგებითი. არის ნაწილაკები, რომლებიც გამოხატავენ ნატვრას, გამხნევებას და სხვა.

646. კითხვითი ნაწილაკები. კითხვითი ნაწილაკებია: **ა, მე, განა, ნუთუ, ხომ.**

ა. ეს ნაწილაკი ძველ ქართულში იხმარებოდა, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წინადადებაში არ იყო კითხვის გამომხატველი სიტყვა (**ვინ, რაჲ, რომელი, სადა, ოდეს** და სხვ.). იგი ერთოდა ყოველგვარ სიტყვას (სახელს, ზმნას, უდეტერს), უმეტესად მაინც ზმნას; მაგ., „არა ესე არსა“? (=ეს არ არის?).

თუ ქართ. სალიტერატურო ენის დღევანდელ ვითარებას მივაქცევთ ყურადღებას და ვივარაუდებთ, რომ კითხვით **ა**-ნაწილაკიანი სიტყვის მახვილი იქვე ზის, სადაც ძველად უნდა ყოფილიყო, უნდა ვთქვათ, რომ მახვილი **ა** ნაწილაკს არ უნდა ჰქონოდა (როგორც არა აქვს მის შესატყვის **ო** ნაწილაკს მეგრულში), მახვილი უნდა ჰქონოდა იმის წინას: შენ ხა́რ-**ა**? (=მეგრ. სი რე́ქ-**ო**?) [ა. ჩიქობავას დაკვირვება]. უმახვილო **ა** დასუსტებულა და შემდეგ სულ გადავარდა. შედეგად მივიღეთ იმის წინ მდგომი მახვილიანი მარცვლის გაგრძელება: „შენ ხა́რ“?

კითხვითი **ა** დღესაც მოქმედი ნაწილაკია მთის კილოებში (და აქედან ვაჟას ნაწერებში). მას არც ამ კილოებში ახლავს მახვილი, ოღონდ მახვილი ჰოუდის არა მის წინა ხმოვანს, არამედ გადმოწეულია სულ წინ: „არა გჭირსა-ა, რჯულ-ძაღლო“? («ალუდა ქეთ.»); გა́გონილა-ა, — იძახდა, — ასრე აგდება რჯულისა“? (იქვე); „ხელში დამრჩა-ა ნადირი, თუ ტყვიით არი ავადა“? («ჰონადირე»).

ჰთას მარახული მოჰკიდა. მწყემსო, აჰყარე ცხვარია,!
არ მოგწყინდა-ა მთას ყოფნა, ჰარ მოგინდა-ა ბარია?
(ხალხური)

მე. კითხვითი **მე**-ც ძველ ქართულში იხმარებოდა, ზოგჯერ მარტო, ზოგჯერ

კითხვით ა-სთან ერთად. ამას გარდა, კითხვით ა-საგან განსხვავებით. ის შეიძლებოდა ეხმარათ ისეთ წინადადებაში, სადაც კითხვითი „ვინ“ და „რა“ იყო: „არა-მე თქუენ უფროჲს უმჯობჱს ხართ-ა მფრინველთა“? (მათ. 6, 26); „ჰრქუას-მე მას“? (ლუკ. 17,7 C); „ვინ-მე უფროჲს იყოს სასუფეველსა ცათასა“? (მათ. 18, 1); „რაჲ-მე ვყო“? (ლუკ. 12, 17).

ეს ნაწილაკი ადრე გადავარდა, მისი კვალი ახალ ქართულში არსად ჩანს.

განა. საკითხავ სიტყვას წინ დაერთვის: „განა პატარა ვარ“? „განა ხუთშაბათს მოვიდა“?

ნუთუ. შეიცავს განცვიფრებას: „ნუთუ სმასა და ჭამაზე ჰკიდია მხოლოდ ქვეყანა“?! (ვაჟა).

ხომ (←ჰო=მ), **ხო** (←ჰო). გამოხატავს კითხვას, რომელზედაც დადასტურებით პასუხს მოელიან: „ხომ წავიდა“? ან აღნიშნავს დადასტურებას იმისას, რაც წინდაწინ ითქვა: „ხომ გეუბნებოდი, ნუ წახვალ-მეთქი“?

647. მიმართებითი ნაწილაკები. მიმართებითი ნაწილაკები ძველად იყო: **ესე, ეგე, იგი** და **ცა.**

ესე, ეგე და **იგი** ჩვენებითი ნაცვალსახელებია წარმოშობით, მაგრამ ნაწილაკად ხმარების შემთხვევაში მათ არც ბრუნვა ჰქონდათ და არც რიცხვი, — სრულიად არ იცვლებოდნენ. თვითეული მათგანის მნიშვნელობა იგივე იყო, რაც **ცა-სი,** მაგრამ **ცა-**საგან იმით განსხვავდებოდნენ, რომ სათანადო პირის მიმართებას აღნიშნავდნენ:

ა) რომელი-ესე, რომელმან-ესე, რომელსა-ესე, რომელნი-ესე, რომელთა-ესე.

ბ) რომელი-ეგე, რომელმან-ეგე, რომელსა-ეგე, რომელნი-ეგე, რომელთა-ეგე.

გ) რომელი-იგი, რომელმან-იგი, რომელსა-იგი, რომლისა თანა-იგი, რომელნი-იგი, რომელთა-იგი.

ეს ნაწილაკები ერთოდა ყოველგვარ სრული მნიშვნელობის მქონე კითხვით სიტყვას (ნაცვალსახელს, ზმნიზედას) და მიმართებითად აქცევდა მათ; მაგალითი: „არა აღმოგიკითხავსა, რ ა ჲ-ი გ ი ყო დავით, ო დ ე ს-ი გ ი შეემშია მას და მისთანათა მათ? ვ ი თ ა რ-ი გ ი შევიდა სახლსა ღმრთისასა და პურნი იგი შესაწირავისანი შეჭამნა“? (მათ. 12, 3—4). ეს ნაწილაკები ახალმა ქართულმა არ იცის.

ცა. ეს ნაწილაკი ძველ ქართულშივე იხმარებოდა და ერთი მისი ფუნქცია კითხვითი სიტყვის მიმართებითად ქცევა იყო: ვინცა, რაჲცა, რომელიცა, სადაცა და სხვ.. ეს ფუნქცია ამ ნაწილაკს დღევანდლამდე შეჰრჩა. ოღონდ **ცა-ს** ნაცვლად ჩვეულებრივ **ც** არის და ამის გამო მას წინ ხმოვანი უნდა უძღოდეს. თუ სიტყვას ძველად ჰქონდა ხმოვანი, იგი აღდგება, თუ არა, ა განუვითარდება:

ა) აღდგენილია ხმოვანი: რომელმა-ც, რომელსა-ც, რომლითა-ც, სადა-ც, რომელთანა-ც და სხვ.

ბ) განვითარებულია ხმოვანი: როდეს-ა-ც, ვისგან-ა-ც და სხვ. (§ 89).

648. განუსაზღვრელობითი ნაწილაკი. კითხვითი სიტყვა (ნაცვალსახელი, ზმნიზედა) განუსაზღვრელად იქცევა, თუ მას დაერთო მე ნაწილაკი:

კითხვითი: ვინ? რა? რომელი? რამდენი? როგორ? სად? საიდან? და სხვ.

განუსაზღვრელობითი: ვინმე, რამე (რაიმე), რომელიმე, რამდენიმე, როგორმე, სადმე, საიდანმე და სხვ.

649. უკუთქმითი ნაწილაკები. უკუთქმითი ნაწილაკებია: **არ, ვერ, ნუ.**

მათ შორის ის განსხვავებაა, რომ „არ“ მარტივად უარყოფს („არ ჭამს“), „ვერ“ მოქმედების შეძლებას უარყოფს („ვერ ჭამს“), „ნუ“ კი (II კავშირებითთან აგრეთვე „არ“) კრძალავს მოქმედებას („ნუ ჭამს“, „არ ჭამოს“).

აღნიშნული ნაწილაკები ცალკეც იხმარება და სხვა ნაწილაკების დართვითაც; ერთვის: **ღა, ც(ა).**

ღა ნაწილაკის დართვისას აღნიშნული ნაწილაკები ასეთ სახეს იღებენ: აღარ, ვეღარ, ნუღარ (უფრო სწორად რომ ვთქვათ, ესენი ასეთი ფორმებისაგან მოდიან: არღარა. ვერღარა, ნუღარა).

ც(ა) ნაწილაკის დართვით გვაქვს: არც(ა), ვერც(ა), ნურც(ა) [მოსალოდნელი იყო „ნუც(ა)“, მაგრამ „არც“ და „ვერც“ ნაწილაკების ანალოგიით **რ** ჩაერთო]. ნ. კიდევ § 652.

650. სიტყვა-სიტყვითი ნაწილაკები. სიტყვა-სიტყვითი ნაწილაკებია: **მეთქი, თქვა, თქო, ო.** ესენი გამოხატავენ თავისი ან სხვისი ნათქვამის გამეორებას უცვლელად.

მეთქი. წარმომდგარია ორი სიტყვის შეერთებისაგან: „მე ვთქვი“. ამიტომაა, რომ იგი მოუბარი პირის ნათქვამის გამეორებას ან განზრახი სიტყვების თქმას აღნიშნავს: „ვუთხარი: გაგიკეთებ-მეთქი“.

თქვა, თქო. მესამე პირის ფორმაა წყვეტილისა [**ო** მიღებულია **უა** ჯგუფის შერწყმით]. აღნიშნავს მოუბარი პირის დანაბარევ სიტყვას, რომელიც მეორე პირმა მესამეს უნდა გადასცეს: „ასე მოახსენე: მე თვითონ ჟავსცემ მაგას პასუხს-თქვა“ („პასუხს-თქო“).

ო. გადმოგვცემს მესამე პირის ნათქვამს. იგი სხვათა სიტყვის სახელითაა ცნობილი. „დედამ შემოგითვალა: ცოტა ფქვილი გვასესხეო“.

სხვათა სიტყვის **ო** ხშირად ახლავს ანდაზებს, რადგანაც იგულისხმება: „ამბობენ“, „უთქვამთ“, „ნათქვამია“: „თავ-დახრილიო — კუდგახრილიო“; „ძალა აღმართს ხნავსო“: „კაი მთქმელს გამგონეც კაი უნდაო“ და მისთ.

651. მიგებითი ნაწილაკები. მიგებითი ნაწილაკები ორგვარია: დადასტურებითი და უკუთქმითი (უარყოფითი).

დადასტურებითია: **ჰო, კი, დიაღ (დიახ).**

უკუთქმითია: **არა, ვერა.**

ეს ნაწილაკები იხმარება კითხვის პასუხად და მთელი წინადადების მაგივრობას ეწევიან.

დიაღ წარმომდგარი ჩანს „დია ღმერთო“-საგან. წინათ იხმარებოდა ზმნიზედად და ამას ნიშნავდა: მეტად: „დიაღ დიდი კუნძული იყო“ (ს. ორბ.

«მოგზაურობა ევროპაში», 15); „დიალ მრავალი ჯარი მოსულიყო“ (იქვე, 31); „დიალ ჩქარა“ (იქვე, 45); „ჩემი პირდაპირ მორევნა დიალ ადვილია“ (ჴავ., 304, 5). **დიალ**-ში ბოლოკიდური **ლ** დაყრუვდა და მივიღეთ **დიახ**.

652. გაძლიერებითი ნაწილაკები. გაძლიერებითი ნაწილაკებია **ცა** და **კიდეც**.

ცა ნაწილაკის ერთ-ერთი ფუნქციაა, ყურადღება გაამახვილოს იმ სიტყვაზე, რომელსაც ახლავს: „ინდაურიც ვიყიდე“. ეს ნიშნავს, რომ რაღაც სხვა არის კიდევ ნაყიდი. წინადადება: „გუშინაც წვიმდა“ გულისხმობს, რომ წვიმა სხვა დროსაც იყო (მაგ., გუშინწინ), ან არის (მაგ., დღეს).

ეს **ცა** მნიშვნელობით უახლოვდება „აგრეთვე“-ს; წინადადება: „ინდაურიც ვიყიდე“ სხვანაირად ასეც შეგვიძლია ვთქვათ: „აგრეთვე ინდაური ვიყიდე“.

თუ წინადადებაში რამდენიმე ერთნაირი წევრია (გარდა შემასმენლისა), თვითეულ მათგანს გაძლიერების მიზნით შეიძლება **ც** დაერთოს: „დღეს ზოოპარკში პირველად ვნახე: მგელი, დათვი და ირემი“; იგივე წინადადება გაძლიერებულად: „დღეს ზოოპარკში პირველად ვნახე: მგელიც, დათვიც და ირემიც“; „ორშაბათს და სამშაბათს წვიმდა“; გაძლიერებით: „ორშაბათსაც წვიმდა და სამშაბათსაც“.

თუ ერთნაირ წევრებად შემასმენლებია, გამეორებული **ც**-ს ნაცვლად გამეორებულივე **კიდეც (კიდევაც)** უნდა: „კომბაინი მკის და ლეწავს“; იგივე წინადადება გაძლიერებულად: „კომბაინი კიდეც მკის და კიდეც ლეწავს“.

ც ნაწილაკის გამეორებულად ხმარება აუცილებელია, თუ მსჯელობა უკუთქმითია. ამ შემთხვევაში **ც** ემატება არა წინადადების წევრს, არამედ უკუთქმით ნაწილაკს, რის გამოც მიღებულია: **არც — არც, აღარც — აღარც, ვერც — ვერც, ნურც — ნურც**; მაგალითები:

წართქმით: „მოვკალი ირემი და კურდღელი“; იგივე წინადადება უკუთქმით: „ვერც ირემი მოვკალი და ვერც კურდღელი“ (ან: „არც ირემი მოვკალი და არც კურდღელი“); აკრძალვით: „ნურც ირემს მოჰკლავ და ნურც კურდღელს“ (ან: „არც ირემი მოჰკლა და არც კურდღელი“).

წართქმით წინადადებაში ერთნაირი წევრები შეიძლება მოსდევდეს შემასმენელს ან უსწრებდეს მას, უკუთქმითში კი პირველი ჩვეულებრივ უსწრებს. წინადადება „მოკლა ჯიხვი, არჩვი და ირემი“ უკუთქმითად ასე გადაკეთდება: „ვერც ჯიხვი მოკლა, ვერც არჩვი და ვერც ირემი“.

თუ საჭიროა, რომ უკუთქმით წინადადებაში შემასმენელი წინ იყოს წამოწეული, მაშინ მას მაინც უნდა ახლდეს უკუთქმითი ნაწილაკი უცაოდ: „ვერ მოკლა ვერც ჯიხვი, ვერც არჩვი და ვერც ირემი“ (ან: ნუ მოჰკლავ ნურც ჯიხვს, ნურც არჩვს და ნურც ირემს“); „აღარ ისმოდა იქიდან შემოდგომით გულის მანათობელი ხარ-ირმის ყვირილი, აღარც შვლის ხავილი, აღარც ტურის ჩხავილი და აღარც ყმუილი მშიერის მგლებისა“ (ვაჟა).

რთულ თანწყობილ წინადადებაში **ც**-დართული უკუთქმითი ნაწილაკი წინ უძღვის თვითეულ წინადადებას: წართქმითად: „სიო ქროდა და ჰერ-

მის ახლად გაფოთლილი ტოტები საამურად ირხეოდა“, უკუთქმითად: „არც სიო ქროდა და არც ჰერმის ახლად გაფოთლილი ტოტები ირხეოდა საამურად“.

653. პროსოდიული ხმოვნები ქართულში. ნაწილაკებსვე უნდა მივათვალოთ ე. წ. პროსოდიული ხმოვნები.

ქართულში გვხვდება ხმოვნები ა და ო, რომლებიც არც ფუძეს ეკუთვნიან და არც რაიმე გრამატიკულ ფუნქციას ასრულებენ. ეს ხმოვნები გვხვდება მხოლოდ ლექსში, სიტყვების ბოლოს, უფრო კი ცეზურის შემდეგ და ტაეპის დაბოლოებისას— მარცვალთა რაოდენობის შესავსებად. რადგანაც ეს ხმოვნები მარტოოდენ პოეზიაში იხმარება და მეტრიკის მიზნებისათვის, უფლება გვაქვს, მათ პროსოდიული ხმოვნები ვუწოდოთ.

პროსოდიული ხმოვნები გვხვდება «ვეფხის ტყაოსანში» და თითქმის ყველა მომდევნო ხანის ლექსებსა და პოემებში. ისინი განსაკუთრებით ხშირია ხალხური პოეზიის ზოგიერთი სახის ნიმუშებში.

პროსოდიული ხმოვნების წარმოშობის მიზეზი უნდა ვეძიოთ სარწმუნოებრივისა და სხვა სახის გალობა-სიმღერათა სიტყვების განგრძობილად წარმოთქმის ჩვეულებაში, როგორც ამაზე მიგვითითებს გადმონაშთის სახით დღემდე შემონახული გაგრძელება სიტყვებისა ქართულსა და სვანურ ხალხურ სიმღერებში (აგრეთვე ძველ ქართულ საეკლესიო საგალობლებში) მარცვლების ჩართვითა და დართვით (მაგ., „გუშინ შვიდნი გურჯანელნი, გუშინ შვიდნი გუ-ი-ურჯანელნი სანადიროდ წასულიყვნენ, ჰო“ [1]). პროსოდიული ხმოვნების დაცვისა და გავრცელებისათვის ხელი უნდა შეეწყო ნართაულ ხმოვანთა ბედს სახელთა ბრუნების სისტემაში და სხვათა სიტყვის ო-ს ხმარებას (ამის შესახებ ნახეთ ჩემი „პროსოდიული ხმოვნები ქართულში“: საქ. სსრ მეცნ. აკადემიის საზოგად. მეცნ. განყოფ. სესია 1941 წ. 11—13 ივნისს. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. გვ. 14).

მაგალითები «ვეფხისტყაოსნიდან»:

ნაძლევი დავდვათ, მოვასხნეთ მოწმად თქვენნივე ყმანი-ა (67)
თქვა: ჩემებრი ამირბარი, ნაძლევი ვარ, ვისმცა ჰყავს-ა:
მას არა ვჰგავ არე, ვითა მე სხვა კაცი არა მგავს-ა (317)
კიოდეს და მოდიოდეს, იზახდეს და ბუკსა ჰკრეს-ა (1038)
მოვახსენო, რაცა მეცნას, მეტი საქმე არა მიც-ო (664)
შორს მოვუარეთ, მივედით, შემოვადეგით გარე-ო (1226)

654. ნაწილაკები ანბანის რიგზე. ზემორე თქმულით არ ამოიწურება საკითხი ნაწილაკების შესახებ. აქ ჩამოვთვლით უმთავრეს ნაწილაკებს.

ა. კითხვითი ნაწილაკი იყო ძველ ქართულში და ეხლაც არის მთის კილოებში (§ 646). პროსოდიული ხმოვანია (§ 653)

აბა. აძლიერებს ბრძანებას: „აბა ყური დაუგდე“! შეიძლება გამოყენებულ იქნეს შორისდებულადაც.

აი. მისათითებელი ნაწილაკია: „აი ეს კაცია, რომ გეუბნებოდი“; „აი შენი წიგ-

---

[1] ქართ. ხალხური სიმღერები, ჩაწერილი ია კარგარეთლის მიერ. თბილისი, 1909, № 7 (ამ მაგალითზე მიმითითა პროფ. გრ. ჩხიკვაძემ).

ნი". შეიძლება შეუერთდეს „იქ" და „იმ" სიტყვებს და მივიღოთ **„აიქ"**, „აიმ": „აიქ ხიდი არის" (ყაზბ., 339, 33); „აიმ ფიცარზედ რამდენი ბუზი ზის"? (ჭავჭ., 338, 30).

აკი. გამოხატავს გაკვირვებას მოულოდნელი ამბის გამო: **„აკი გითხარი!"** მიღებულია „არ-კი"-საგან; უკუთქმითი „არ" შეიძლება გამეორდეს. ნახე ქვემოთ **არ.**

არ, არა. ა) უკუთქმითი ნაწილაკია: „არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი" (ანდ.). ზოგიერთ ერთ-მარცვლიან ზმნასთან სტილისტიკური მიზნით „არა" იხმარება: არა აქვს, არა ჰყავს, არა მგავს და სხვ.. გაძლიერებული ფორმებია: არც, არც კი: „არც კი შემომხედა" (§§ 649, 652).

ბ) განცვიფრების ნაწილაკია: **„მეც არ გამიკვირდა"!** (ყაზბ., 219, 36); „საშინელ დროებას არ შევესწარით, თქვენი ჭირიმეთ"! (ჭავჭ., 353, 28); „ტყის პირიდან გამოვარდა ახალგაზრდა ყმაწვილი და გადაჩეხილ ირემთან მირბენის თანავე სიხარულით წამოიძახა: შიგ გულში არ მოხვედრია"! (არაგვ.).

შეიძლება მას უძღოდეს კიდევ „აკი", რომელშიც ისედაც შედის „არ" (არ-კი): „აკი არ მომატყუეს ეს დროული კაცი"!... „აკი იმ ძუძუმწოვრებმა არ გამქურდეს ეს დროული კაცი"! (ჭავჭ., 424).

ბარე, ბარემ (**მ** „მცა" ნაწილაკის ნაშთი უნდა იყოს: ბარე-მცა→ბარემ: „ახლოსმცა ვნახეთ ბარე-ო"! «ვეფხ.», 1226). ხშირად იხმარება ბრძანებით კილოსთან: „ბარემ ერთბაშად დაგვხოცონ ყველანი და მოგვასვენონ" (ყაზბ., 257, 38).

განა. გამოხატავს კითხვას (§ 646).

და. კავშირია წარმოშობით, მაგრამ ნაწილაკადაა ქცეული; ხშირად იხმარება კითხვის გამეორების შემდეგ პასუხის წინ:

—თუ დედამიწაში არ ჩაძვრა, სად დაგვემალების? მალე დავიჭერთ, შენი ჭირიმე.

— აბა როგორ?

— როგორ და: გზები შევუკრათ (ყაზბ., 258, 17—20).

„ქურდს რა უნდა და: ღამე ბნელიო" (ანდ.); „კატის მანძილი და: ბანიო" (ანდ.).,

დაე. მიღებულია „დაეხსენ" („დაეჴსენ") ზმნისაგან; ასიმილაციით **დეე**-ს გვაძლევს; ზოგჯერ **დე**-მდი არის შემოკლებული; იხმარება მე-3 პირის ბრძანებითი კილოს გასაძლიერებლად:

მეგობრებო, წინ, წინ გასწით! ნუ შედრკება თქვენი გული!

დე მკერდს სისხლის დაღი აჩნდეს და შუბლს—ოფლის ნაკადული! (ვაჟ.)

ეს **დე** ქართულიდან სომხურში გადავიდა და ზოგ შემთხვევაში **ა** დაერთო (**դե, դէ**); იქაც ბრძანებითი კილოს გასაძლიერებლადაა გამოყენებული: **դէ գնանք** („წავიდეთ!"), **դէ մի հեծնենք** („ცხენებს მოვასხდეთ"!) და მისთ.

დიაღ, დიახ. მიგებითი ნაწილაკია. **ხ ღ**-საგან არის მიღებული: **ღ** დაყრუვდა ბოლოს მოხვედრის გამო (§ 650).

ეგებ, ეგების. პირიანი ფორმაა, ნაწილაკად ქცეული. აღნიშნავს შესაძლებლობას: „ეგებ აჯობოს, რომ ამაღამ აქ დაჩრჩე"?

ერთი. რიცხვითი სახელია; ზოგჯერ ნაწილაკად იხმარება: „ერთი ეს მითხარი".

ვაითუ. რთული ნაწილაკია (ვაი, თუ). გამოხატავს შიშის გრძნობას: „ვაითუ

დაავიწყდა"! „ვაითუ ამდენ ჯაფას ვერ გაუძლოს"! ცალკე „ვაი" შორისდებულია.

ვუ. აღნიშნავს თვით იმავეს: „მან წაახდინა საქმე და მანვე პასუხი აგოს" (§§ 143, 144).

ვითომ, ვითომც. კავშირია წარმოშობით. კავშირის ძალა, ასე თუ ისე, ეხლაც აქვს („ამტკიცებს, ვითომც მას არ ჩაედინოს"). უმეტესად ნაწილაკია; გვიჩვენებს, რომ მოუბარს ეეჭვება ნათქვამის სინამდვილე: კითხვა: — „ეხლა როგორ არის ავადმყოფი"? — პასუხი: „ვითომც დამშვიდდა"; „მესიზმრა: ვითომც მტკვარში ვბანაობდი და წყალმა წამიღო".

წარმომდგარია „ვითარმცა"-საგან: ვითარმცა→ვითამცა→ვითომც→→ვითომ (**ო** მიღებულია **ა**-საგან მომდევნო **მ**ანის გავლენით): „და იყო შემდგომად ორისა წლისა მათ დღეთაჲსა ფარაო იხილა ჩუენებაჲ: ეგონა, ვითარმედ დგა იგი მდინარესა ზედა და აჰა ესერა ვ ი თ ა რ მ ც ა მდინარისაგან გამოვიდოდეს შვდნი ზროხანი" (დაბ. 41, 1—2); „ვ ი თ ა მ ც რამე სახარული საქმე მითხარ ვითა ადრად!" («ვეფხ.». 757).

ა ხმოვანი შენახულია დიალექტურ „მითამ" ფორმაში: „აი მ ი თ ა მ რვა თვეც არის, რაც დარეჯანი ორსულია" (ჭავ., 387. 9).

ვინძლო. აღნიშნავს გამხნევებას, წახალისებას, წაქეზებას; მოითხოვს კავშირებითის მწკრივის ფორმას: „ვინძლო ცოცხლები დაიჭირო" (ყაზბ., 301, 27). თითქო მიღებულია „ვინძი რო"-საგან (შდრ.: „რათგან დამთმე, მეცა დაგთმობ, ვ ი ნ ძ ი უფრო დაზიანდეს". «ვეფხ.». 526).

თითქმის. მიღებულია აქედან: თუ ითქმის.

თითქოს, თითქო. მიღებულია აქედან (შესაბამისად): თუ ითქვას, თუ ითქვა, **უა** ჯგუფმა **ო** მოგვცა.

თუ. კავშირია, მაგრამ ზოგჯერ ნაწილაკის მნიშვნელობით იხმარება; აღნიშნავს კითხვას: „არ ეტყობა თუ"? (ჭავჭ., 396. 12). აქვს სხვა ნუანსებიც: „ბოდიში ძნელად თუ მოარჩენს მოგრეხილს კისერსა" (ჭავჭ., 333. 4); „შენ თუ არ გეშინიან ქისტებისა"? (ყაზბ., 214, 34. აქ „თუ" = ალბათ).

თურმე. ძველად იხმარებოდა „თური" („შენ თური სპასალარი ხარო". «ამირანდარეჯ.»), შემდეგ **მ** ჩაერთო („მერმე" და „როგორმე"-ს ანალოგიით?): „ცალს თურმე ცალმა უნდა უცალოს" (ჭავჭ., 268,5). აღნიშნავს უნახველობას (§ 281).

თქვა, თქო. იხმარება სიტყვის დაბარების დროს: „შენ უთხარი, რომ ბატონმა თავის პირით მიბრძანა-თქო" (ჭავჭ., 357, 24) (§ 650).

იგი. კითხვით სიტყვას მიმართებითად აქცევდა ძველად (§ 647).

იქნებ, იქნება. ზმნური წარმოშობისაა; მნიშვნელობით იგივეა, რაც „ეგებ" (ნ.).

კი. მიგებითი ნაწილაკია, დადასტურებითი (§ 651). ამას გარდა, **კი** და **ც კი** გაძლიერებითი ნაწილაკებია: „მეხი კი დაგეცა" (ჭავჭ., 349, 33); „რაი ვიცი აბა, არსად მივბრუნებულვართ კია და" (ყაზბ. 337, 28); „ამასაც კი სდომებია იუპკა" (ჭავჭ., 349, 33). ნ. აკი.

კინაღამ. „კინაღამ წყალში გადავარდა". ძველი ფორმა იყო: კნინღა, კნინღა და... (ე. ი. ცოტა კიდევ, ცოტა კიდევ და...). „არ" ნაწილაკის დართვა მის შემდეგ რუსულის გავლენით აიხსნება: „ისე ავად გახდა, რომ კინაღამ თან არ გადაიტანა" (ჭავჭ., 290, 8).

ლამის. ზმნაა წარმოშობით: ვლამი, ჰლამი, **ლამის.** სანამ პირის გაგება ჰქონდა, ამას ნიშნავდა: აპირებს, ცდილობს. მაგრამ პირის გაგება დაკარგა და მნიშვნელობით „თითქმის“ სიტყვას დაუახლოვდა: მოითხოვს I. კავშირებითს: „შაკიკი გახლავთ. ლამის თავი გაუხეთქოს“ (ქავჭ., 347, 29); „ჩქარა მითხარ, თორემ შიშისაგან ლამის მე ჩემი დამემართოს“ (ქავჭ., 389, 16). რაკი ზმნაა წარმოშობით, მას შეიძლება „რომ“ მოსდევდეს: „ლაძის, რომ არ შაეწიოს“ (ვაჟა).

მაინც. წარმომდგარია „მაშინც“ ფორმისაგან: „მაინც თავისას არ იშლის“. გამოყენებულია კავშირადაც, იხმარება მთავარ წინადადებაში და უპირისპირდება დამოკიდებულის „თუმცა“-ს და მის ბადალს: „რაც უნდ ღამე იყოს ბნელი, მაინც ველით განთიადსა“ (ი. ევდ.).

მე. კითხვითი ნაწილაკი იყო (§ 646); განუსაზღვრელობითი ნაწილაკია (§§ 143, 145, 647).

მერე. მიღებულია „მერმე“-საგან. გარკვეულ შემთხვევებში ნაწილაკია: „მერე რა გიშლის ხელს?“

მითამ. ნ. ვითომ.

მო, მოდი. ზმნის ფორმაა, მაგრამ ნაწილაკად არის ქცეული; იხმარება როცა ბრძანებითი კილოა და იგი ეხება 1-ლ პირს მრ. რიცხვში: „მო დავსხდეთ, ტარიელისთვის ცრემლი გვდის შეუშრობილი («ვეფხ.», 7); „მოდი გავთოხნოთ სიმინდი“ და მისთ.

მცა, მც. ნატვრითი ნაწილაკია. წინათ მხოლოდ თხრობით-კილოიანი მწკრივის ფორმას იგუებდა და რამდენადმე ეხლაც ასეა მთის კილოებში: „აგრემც დამირჩებით“! (ყაზბ., 208, 8); „ჯანიმც გაგვარდნიათ“! (ყაზბ., 222, 8); „აგრემც შემეწევა პირიმზე“! (ყაზბ., 271, 32); „გამარჯვებითამც გივლია“! (ყაზბ., 352,2); „უი, უწინამც დღე გაუქრება“! (ქავჭ., 346, 28); „ჩემსამც სამარეს ამკობენ თქვენი დეკა და ღვიანი“! (ვაჟა, «ბახტრ.») და სხვა.

„მცა“ ნაწილაკის სინტაქსური ძალა ასალ სალიტერატურო ქართულში არსებითად მოშლილია: იგი შეიძლება კავშირებითის ფორმასთანაც იყოს: „მტერზედ მოქნეული ხმალი ტარშიაც გ ა უ ტ ყ დ ე ს შენს მოღალატეს“! (ყაზბ., 278, 1; თუ აქ კორექტ. შეცდომა არ არის; მოსალოდნელი იყო: გაუტყდების); „აგრემც არა ე მ ვ ე ლ ო ს რ ა შესს მტერს“! (ქავ., 347,24).

ამ ნაწილაკმა ხმოვნის შეკვეცის შემდეგ ზოგ შემთხვევაში დაკარგა მანიც და დამრჩალი **ც** აირია **ც** ნაწილაკთან; ამ გამოთქმაში: „წყალსაც წაუღიხარ“ (ქავჭ., 312, 25), ან ამაში: „თქვენც არ მამიკვდეთ“! (ქავჭ., 348, 39), ან კიდევ ამაში: „თავშიაც ქვა უხლია“! (ქავჭ., 353, 27) **ც** უთუოდ „**მცა**“ ნაწილაკის ნაშთია, და არა ცა-სი.

მცა და ცა ნაწილაკების არევა დადასტურებულია „თუმცა“ კავშირში, სადაც მანი უადგილოა ისტორიული თვალსაზრისით: წინათ იყო „თუცა“ (თუ-ცა): „აქანამდის ნაუბარსა თ უ ც ა ვერას ვერ გეტყვია“ («ვეფხ.», 129).

ნეტავი, ნეტა. ნატვრითი ნაწილაკია: „ნეტავი ეხლა ჩემი თამრო დამანახვა!“ (ქავჭ., 319, 17). წარმომდგარია ამისაგან: ნეტარ ვინ. ამიტომაა, რომ მას-

თან მე-3 სუბ. პირის ფორმა იხმარება.

ნუ, ნურც. ნ. §§ 648, 651.

ო. სხვათა სიტყვის ნაწილაკია (§ 650); პროსოდიული ხმოვანია ლექსებში (§ 653).

ოდე. დაერთვის რაოდენობით რიცხვით სახელს, აღნიშნავს მიახლოებას დასახელებულ რიცხვთან: ხუთიოდე, ათიოდე და მისთ.. ძველად **ნ** ჰქონდა ბოლოში და ცალკე იხმარებოდა: „ავთანდილ ჯდა მარტო საწოლს, ეცვა ო დ ე ნ მარტ პერანგი" («ვეფხ.», 120); „ვნახე, ორნივე ერთგან სხდეს. ხასხთა ო დ ე ნ სამითა" (იქვე, 507) [აქ ოდენ=მხოლოდ].

რა. გარკვეულ შემთხვევებში ნაწილაკია, გამოხატავს სიხარულს, გაკვირვებას: „თუ მომცა, ხომ **რა** კარგი, თუ არა და"... (ჭავჭ., 369, 24); „ეს რა ჩიტი მოფრენილა"? „დავუშტვენ რა, ბულბული ხომ არა ვარ?" (ჭავჭ., 308, 24).

როდი. წარმოშობით კითხვითი სიტყვაა („როდის?"), მაგრამ მოპოვებული აქვს უარყოფითი ნაწილაკის მნიშვნელობა. გადაჰკრავს გაკვირვების იერი: „დიაღ, შენი ჭირიმე, სულ ტყუილია. მე ბევრისათვის მითქომს, რომ ტყუილია და როდი მიჯერებენ" (ჭავჭ., 357, 23).

უკვე. მიუთითებს შესრულებულს, იხმარება უფრო წარსულ- და ეხლანდელ-დროიან ფორმებთან: „უკვე ცხრა წლისაა"; „მთები უკვე დათოვა".

უნდა. პირიანი ფორმაა წარმოშობით (მინდა, გინდა, **უნდა**), მაგრამ ნაწილაკად არის ქცეული: არ იცვლება პირებთან: მე უნდა, შენ უნდა, ის უნდა; მოითხოვს კავშირებითს (I-ს, II-ეს; III-ის ნაცვლად ჩვეულებრივ II თურმეობითი იხმარება): „მე ეხლა უკვე უნდა მივდიოდე", „შენ ამაღამ გორს უნდა წახვიდე", „ის გუშინვე უნდა წასულიყო" (ამის ნაცვლად: „ის გუშინვე უნდა წასულიყოს").

ღა. მნიშვნელობით უახლოვდება „მხოლოდ"-. „გუშინღა მოვიდა", „სამიღა დარჩა". კითხვით სიტყვებთან „აბა"-ს მნიშვნელობა აქვს: სადღა? როდისღა?, როგორღა? და მისთ.. „ვისღა შევსჩივლო"? (=აბა ვის შევსჩივლო?) (§§ 143, 146).

ყე. ნაწილაკია (§ 291, შნშ.), რომელსაც ჯერ ჰ. შუხარტი ეხებოდა და შემდეგ—ა. ჩიქობავა («წელიწდეული», I—II, 1924).

ცა, ც, ც—ც, ც კი. მიმართებითი ნაწილაკია (§§ 43, 89); გამაძლიერებელი ნაწილაკია (§§ 143, 147, 652).

ხოლმე. აღნიშნავს განმეორებულ მოქმედებას. მიღებულია „ხუალმე"-საგან („პირველ ხვალმე": «ვეფხ.», 127, 739) (§ 259).

ხომ. კითხვითი ნაწილაკია (§ 646).

ჰო. მიგებითი ნაწილაკია (§ 651).

ნაწევარი

655. ნაწევრის რაობა. ნაწევარი ანუ ართრონი (*ἄρθρον*, **article**) ჰქვია დამოუკიდებელი მნიშვნელობის უქონელ ბგერას ან ბგერათა კომპლექსს, რომელიც საზოგადო სახელს ახლავს და გვიჩვენებს, რომ საგანი, რომელსაც ეს სახელი აღნიშნავს, ცნობილია, თუ უცნობი, ე. ი. გარკვეულია, თუ არ არის გარკვეული; უფრო ზედმიწევნილობით რომ ვთქვათ, თუ გარკვეულია, რომელი

ერთია დასახელებული იმ მრავალ ერთნაირ საგანთაგან, რომელთაც ეს საზოგადო სახელი აერთიანებს.

ცნობილის ანუ გარკვეული საგნის სახელს გრამატიკაში განსაზღვრულს უწოდებენ, უცნობისას ანუ გაურკვევლისას — განუსაზღვრელს. ამიტომ ნაწევრის რაობა ასეც შეგვიძლია გამოვთქვათ: ნაწევარია სახელის მხლებელი, რომელიც ამ სახელს წარმოგვიდგენს განსაზღვრულად ან განუსაზღვრელად.

სახელის განსაზღვრულ-განუსაზღვრელობა აჩენს კატეგორიას, რომელსაც ზოგადი სახელი არა აქვს გრამატიკაში, მიუხედავად იმისა, რომ ამ კატეგორიის ქვე-სახეები — განსაზღვრული და განუსაზღვრელი სახე სახელისა — კარგად ცნობილია ინდოევროპულსა და სემიტურ ენებში.

თუ სახელი გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ი ა, იგი გვიჩვენებს, რომ ამ სახელით აღნიშნული საგანი ცნობილია, გარკვეულია (მაგალითი ძველი ქართულიდან: **სახლი იგი**).

თუ სახელი გ ა ნ უ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ ი ა, იგი გვიჩვენებს, რომ ამ სახელით აღნიშნული საგანი არ არის ცნობილი, გაურკვეველია (მაგალითი ძველი ქართულიდანვე: **სახლი**).

შეიძლება, რომ სახელს ორივე ქვეკატეგორიისთვის თავ-თავისი ნაწევარი ჰქონდეს; ასეთი ვითარებაა, მაგ., ფრანგულში, გერმანულში, ინგლისურში:

la maison—une maison, das Haus—ein Haus, the house—a house.

მაგრამ შეიძლება, რომ სახელს განსაზღვრულობისათვის მოეპოვებოდეს ნაწევარი, განუსაზღვრელობა კი ნაწევრის უქონლობით აღინიშნებოდეს; ასეთი ვითარებაა, მაგ., ძველ ქართულში, ბერძნულში, არაბულში: **სახლი იგი — სახლი, ἡ οἰκία — οἰκία, البيت — بيت** (ალ-ბაჲთუ — ბაჲთუ-ნ); მაგრამ ისიც შეიძლება, რომ ენას სრულებით არ მოეპოვებოდეს ეს კატეგორია. ასეთია, მაგ., ახალი ქართული, აზერბაიჯნული, სპარსული, რუსული, ლათინური: **სახლი, эв** (ევ), **خانه** (ხანა), **дом, domus.**

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სახელის განსაზღვრა შეიძლება სხვა საშუალებითაც: ზედსართავით (წითელი ხიდი), ნაცვალსახელით (ჩვენი ხიდი), მიმღეობით (ჩატეხილი ხიდი), ნათესაობით ბრუნვაში დასმული არსებითი სახელით (რკინის ხიდი), მთელი წინადადებით (ხიდი, რომელიც ადიდებულმა მტკვარმა წაიღო, სწრაფად აღადგინეს), მაგრამ ნაწევრით განსაზღვრას თავისი სპეციფიკა აქვს გრამატიკაში. ამაზე საგანგებოდ ძველი ქართული ენის გრამატიკაში უნდა იყოს საუბარი, მაგრამ ორიოდე სიტყვა შეიძლება აქაც ითქვას.

656. ნაწევრის ადგილი და ორთოგრაფია. ნაწევარი შეიძლება სახელს თავშიც ერთოდეს და ბოლოშიც. თავში ერთვის: ბერძნულში, არაბულში, ფრანგულში, გერმანულში და სხვ.; ბოლოში ერთვის: ძველ ქართულში, სომხურში, ბულგარულში, რუმინულში, ბასკურში და სხვ.

ბოლოს დართული ნაწევარი ჩვეულებრივ ერწყმის სახელს (მაგ., ბულგარულში, დანიურში, სომხურში და სხვ.), მაგრამ ძველ ქართულში იგი ცალკე იხმარება. თავში ხმარებული ნაწევარიც შეიძლება ერწყმოდეს სახელს (როგორც, მაგ., არაბულში), მაგრამ უმეტესად ცალკე იწერება (მაგ., ბერძნულში, გერმანულში და სხვაგან).

657. განსაზღვრული ნაწევრის ხმარების არე. განსაზღვრა შეიძლება სახელისა, მაგრამ არა ყოველგვარი სახელისა, არამედ საზოგადოსი. საკუთარი სახელი (პირისა, უმეტესად გეოგრაფიულიც) თავისთავად განსაზღვრულად ითვლება. ამიტომ მასთან ნაწევარი ჩვეულებრივ არ იხმარება.

ზედსართავ სახელს, რიცხვით სახელსა და ნაცვალსახელთა უმეტესობას თვით ევალებათ არსებითი სახელის განსაზღვრა, ამიტომ მათ არ მოუდის ნაწევარი, გარდა იშვიათი გამონაკლისებისა („ერთი იგი“ ძველად მეორეს აღნიშნავდა, ან სხვას, უფრო სწორად იმას, რასაც der andere, l' autre: „კუალად მოეგო ჴელი იგი, ვითარცა ერთი იგი“, მარკ. 3, 5).

658. ნაწევარი ძველ ქართულში. განსაზღვრულ ნაწევრად ძველ ქართულში იხმარებოდა სამი სიტყვა, წარმოშობით სამივე ჩვენებითი ნაცვალსახელი: ესე, ეგე, იგი, რომელთა დანიშნულება იყო, განესაზღვრათ სახელი ორი მხრით: ა) გაურკვეველი გაერკვიათ და ბ) აღენიშნათ მისი მიმართება რომელიმე პირისადმი: პირველისადმი (**ესე**), მეორისა (**ეგე**) თუ მესამისადმი (**იგი**); მაგ., **სახლი ესე, სახლი ეგე, სახლი იგი.** პირისადმი მიმართება, — ეს დამახასიათებელია ქართული ნაწევრისათვის, ხოლო ბერძნული, გერმანული და ფრანგული ენის ნაწევარი მოკლებულია პირის მიმართებას, სამაგიეროდ ისინი მიუთითებენ „სქესს“: მამრს, მდედრს თუ საშუალს (ფრანგული მარტო მამრსა და მდედრს): **ὁ πατήρ**, der Vater, le père („მამაჲ იგი“), **ἡ μήτηρ**, die Mutter, la mère („დედაჲ იგი“), **τὸ παιδίον**, das Kind („ყრმაჲ იგი“). ქართული ნაწევარი იმასაც აღნიშნავს, თუ რომელ პირთან მიმართებით არის სახელი ნახმარი, სამაგიეროდ არ აღნიშნავს „სქესს“. ამიტომ განსხვავება ქართულ ნაწევარსა და აღნიშნული ენების ნაწევრებს შორის საკმაოდ დიდია.

სახელი განუსაზღვრელია, თუ იგი პირველადაა ნახსენები საუბარში, მაგრამ შემდეგ იგი უკვე განსაზღვრულია იმავე საუბარში. განუსაზღვრელობის შემთხვევაში ზოგჯერ გამოყენებულია „ვინმე“ (ადამიანს თუ ეხება საუბარი), ან „ერთი“ (ითქმის ადამიანზედაც და არა-ადამიანზედაც); ნიმუში «ბალავარიანიდან» [1].

„მსგავს არს **საწუთროჲ ესე** კაცსა, რომელსა სდევდა პილოჲ ამრიზებული. და მიაწყუდია იგი ჯურღმულსა საშინელსა. და იხილნა ხენი, რომელსა ზედა აღჴდა. და იხილნა კუალად **ორნი** თაგუნი, ერთი შავი და ერთი თეთრი, რომელნი სჭრიდეს ძირთა **მათ ხეთა**-სა, რომელთა ზედა აღსრულ იყო **კაცი (იგი).** და შთახედნა **ჯურღმულსა (მას)** და იხილა ვეშაპი, რომელსა აღეშჳმო პირი და ეგულებოდა შთანთქმაჲ მისი.

და აღიხილნა ზე და იხილა თაფლი მცირჱ, რომელი ჩამოსდიოდა **ხეთა მათ** და იწყო ლოკაჲ მისი. და კუალად არღარა მოიჴსენა განსაცდელი, რომელსა შთავრდომილ იყო. ხოლო **თაგუთა მათ ხენი იგი** წარსჭრნეს და **კაცი იგი** დაეცა და **პილომან (მან)** აღიტაცა და მიუგდო **ვეშაპსა (მას).**

აწ, ძეო მეფისაო, **პილოჲ იგი** სახე არს სიკუდილისა, რომელი სდევს ძეთა კაცისათა, და **ხენი იგი** საწუთრო არს, და **თაგუნი იგი** — დღენი და ღამენი, და **თაფლი იგი საწუთროჲსა ამის** სიტკბოება არს“[2].

[1] ნაწევრით განსაზღვრული სახელი შავადაა დაბეჭდილი, განუსაზღვრელი (ან სხვაგვარად განსაზღვრული) სახელი — დაყოფით. ამას გარდა, ოდნავ შესწორებულია ტექსტი: ფრჩხილებში ჩამატებულია დაკლებული ნაწევარი.

[2] ბალავარიანის ძველი რედაქციები. გამოსცა ი. აბულაძემ (ა. შანიძის რედაქციით): [ძველი ქართული ენის ძეგლები, 10], 1957, **თხრობაჲ გ**, გვ. 36.

659. ნაწევრიანი სახელის ბრუნება. ნაწევრის ხმარება გამორიცხულია წრფელობითსა და წოდებითში. ნაწევრიანი ვითარებითი არ მახსოვს, რომ შემხვედროდეს, თუმცა კი ნაწევრის ხმარება ამ ბრუნვაში თეორიულად შესაძლებელია.

აქ ვერ გამოვეკიდებით ზოგიერთ დეტალს ნაწევრის ხმარებისას ძველ ქართულში, — ეს ძველი ქართ. ენის გრამატიკის საქმეა. მოვიყვანთ მხოლოდ მაგალითს ნაწევრიანი სახელის ბრუნებისას მესამე პირის მიმართებით; მაგალითი:

	მხოლ. რ.	მრავლ. რ.
სახ.	სახლი იგი	სახლნი იგი
მოთხრ.	სახლმან მან	სახლთა მათ
მიც.	სახლსა მას	„ „
ნათ.	სახლისა მის	„ „
მოქმ.	სახლითა მით	„ „

660. ნაწევრის შერწყმა სახელთან ძველის-ძველად და მისი შედეგები. სახელობითი ბრუნვა ძველის-ძველად (ყოველ შემთხვევაში IV საუკუნემდე) საზოგადოდ ისევე უნიშნო უნდა ყოფილიყო, როგორც უნიშნოა ის საკუთარ სახელთათვის ძველ ქართულში (V—X საუკუნის ძეგლებში). ვუწოდოთ ასეთ უნიშნო სახელობითს „ნომინატივი“ (მაგ., **კაც**). როგორც ვიცით (§ 657), საკუთარ სახელს არ უნდა განსაზღვრა, — იგი განსაზღვრულადაა მიჩნეული ისედაც და მან ძველის-ძველი ვითარება მე-10 საუკუნემდისაც კი მოიტანა. საზოგადო სახელს კი, თუ იგი განსაზღვრული იქნებოდა, უნდა დაჰრთოდა ნაწევარი, რომლის ერთ-ერთი სახე (და, შეიძლება ითქვას, ყველაზე გავრცელებული) „იგი“ იყო. აღნიშნული ბრუნვა, ნომინატივი, განსაზღვრის შემთხვევაში ნაწევარს მიიღებდა, განუსაზღვრელობის შემთხვევაში კი — არა; მაგალითად:

განუსაზღვრელი ნომინატივი	კაც	ein Mensch
განსაზღვრული „	კაც იგი	der Mensch

განვითარების შემდგომ საფეხურზე ნაწევარი შეკვეცილა, დაუკარგავს დამოუკიდებლობა და შეჰრწყმია სახელს: **კაც იგი→კაც იი→კაცი.** ამ სახით წარმომდგარი ფორმა ჯერ კიდევ განსაზღვრული ნომინატივი იყო, მაგრამ იგი თანდათანობით განუსაზღვრელად ქცეულა და საჭირო გამხდარა, ხელახლად დაჰრთოდა ნაწევარი: **კაცი იგი.** ამგვარად, მივიღეთ ახალი დაპირისპირება:

განუსაზღვრელი ნომინატივი	**კაც**	ein Mensch
განსაზღვრული „	**კაცი იგი**	der Mensch

რადგანაც ორივე ნომინატივის ფორმა დაშორდა ერთმანეთს არა მარტო აღნიშნული კატეგორიის თვალსაზრისით, არამედ სხვა ფუნქციითაც, მივიღეთ ორი ბრუნვა, ერთმანეთისაგან მკაფიოდ განსხვავებული ფორმით და ფუნქციით: წრფელობითი (ეს არის განუსაზღვრელი ნომინატივი) და სახელობითი (ეს არის განსაზღვრული ნომინატივი).

ამგვარად, ნაწევრის შეზრდას შედეგად მოჰყვა ერთი ბრუნვისაგან მეორის გამოყოფა (ანუ ერთი ბრუნვის ორად დაშლა), რაც უკვე დასრულებული ფაქტია V საუკუნის წერილობით ძეგლებში.

ამის შესახებ მე ჯერ კიდევ 1925 წელს დაბეჭდილ გამოკვლევაში ვწერდი: „რა თქმა უნდა, აბსოლუტურად ეხლაც იმ აზრისა ვარ, რომ უძველეს დროს ორი ბრუნვის ნაცვლად ერთი (წრფელობითი ანუ განუსაზღვრელი ნომინატივი) უნდა ყოფილიყო, მეორე კი (სახელობითი ე. ი. განსაზღვრული ნომინატივი) შემდეგ უნდა განვითარებულიყო. ჩემთვის უეჭველია, რომ ერთი ბრუნვა (წრფელობითი) ადრინდელი მოვლენაა, ორი კი (წრფელობითი და სახელობითი) ნელადი, მაგრამ ეს „ნელადი" შეიძლება კარგა ხნის ამბავიც იყოს, სახელდობრ იმ დროისა, როცა ქართულ-მეგრულ-სვანური ჯერ კიდევ არ იყო ერთი მეორისაგან ენობრივად დაშორებული [1].

თუ ეს ასეა, რა იყო სახელობითის ნიშანი სვანურში ძველად? ქართულში სახელობითის ნიშნად **ი** გვაქვს, რომელიც „იგი" ართრონის ნაშთი უნდა იყოს [2]. სვანურად „იგი" არის **ეჯი** ანუ **ეჯა** და ამიტომ სვანურშიც სახელობითის ნიშნად ამ **ეჯი**-ს ანუ **ეჯა**-ს შემოკლებაა მოსალოდნელი, თითქო **ე**" („უმლაუტი სვანურში": «არილი», პროფ. ი. ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი კრებული, 1925, გვ. 218—219). როგორც ვიცით, სახელობითის **ი** ვერ კუმშავს სახელს (**სოფლ**-ისა, **სოფლ**-ითა, მაგრამ: **სოფელ**-ი. ეს იმით აიხსნება, რომ **ი** არ არის ორგანული ნაწილი ფორმისა, იგი სხვა სიტყვის ნაშთია წარმოშობით (§§ 30, 140, შნშ.).

უფრო მარტივია მოთხრობითი ბრუნვის ნიშნის წარმოშობის საკითხი.

მოთხრობითის ნიშანი თავდაპირველად ქართულში უნდა ყოფილიყო **ნ**, რომელიც აქამომდე შემონახული გვაქვს „მა-**ნ**"-ში (იგი, მა-**ნ**, მა-ს, მა-თ, § 140). განსაზღვრულ მოთხრობითს ნაწევარი „მან" უნდა ჰხლებოდა, მაგ., კაც-**ნ მან**. ეს **მან** შემდეგ შეჰრწყმია სახელს, რის გამოც პირვანდელი ბრუნვის ნიშანი დაკარგულა **მა**ნის წინ: *კაცნმან→კაცმან (შდრ. გან-ვიდა, მაგრამ: გა[ნ]-მოვიდა→გამოვიდა).

პირვანდელი დაპირისპირება განსაზღვრულისა და განუსაზღვრელი სახელისა მოთხრობითში ასეთი უნდა ყოფილიყო:

განუსაზღვრელი მოთხრობითი		კაცნ
განსაზღვრული	„	კაცნ მან

ნაწევრის შერწყმისა და პირვანდელი ბრუნვის ნიშნის დაკარგვის შემდგომ აქაც შექნილა საჭიროება ნაწევრის ხელახლა დართვისა და მივიღეთ ახალი დაპირისპირება:

განუსაზღვრელი მოთხრობითი		კაცმან
განსაზღვრული	„	კაცმან მან

საკუთარ სახელებს მარტო ერთი ფორმა უნდა ჰქონოდათ, განუსაზღვრელი: *დავით-ნ, *ლუკა-ნ, *პეტრე-ნ და მისთ., მაგრამ დაბოლოება გადავარდ-

---

[1] **მოსდევს შენიშვნა:** „სახელობითიცა და წრფელობითიც ორივ ნომინატივია, მაგრამ ერთი (სახელობითი) განსაზღვრული, ხოლო მეორე (წრფელობითი) განუსაზღვრელი".

[2] **მოსდევს მეორე შენიშვნა:** „ამიტომ „იგი" სახელთნაცვლის არტიკლად ანუ ნაწევრად ხმარება [იგულისხმება: სახელობითის ფორმასთან] პლეონასტურ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ კლასიკურ ქართულში".

ნილა და დამრჩალა ფუძე: დავით, ლუკა, პეტრე და მისთ.. ამით მოთხრობითი ვასთანაბრებაა ნომინატივს (ამ შემთხვევაში წრფელობით).

ახალ ქართულში ნაწევარი არსებითად აღარ იხმარება. გამოსარკვევია მისი დასუსტებისა და თანდათან გადავარდნის თარიღები.

შორისდებული

661. შორისდებულის რაობა. შორისდებული ჰქვია ბგერას, ბგერათა კომპლექსს ან სიტყვას, რომელიც ადამიანს აღმოჰხდება პირიდან ბუნების ამა თუ იმ მოვლენის თუ საზოგადოებრივ ურთიერთობათა რომელიმე კონკრეტული ვითარების განცდის გამო, როგორც მოკლე, სწრაფი და უშუალო გამოძახილი ამ განცდისა.

ერთი და იგივე მოვლენა შეიძლება სხვადასხვაგვარად შეფასდეს იმის მიხედვით, თუ რა გუნებაზეა კაცი ან რა თვალსაზრისით უცქერის მოვლენას. ამიტომ გრძნობათა გამომხატველ შორისდებულებში სუბიექტური შეფასებაა ყოველთვის მოცემული.

როგორც მრავალ-ფეროვანია ბუნების მოვლენები და საზოგადოებრივი ურთიერთობის გამოვლენის სახეები, ისე მრავალ-ფეროვანია და ჭრელი შორისდებულებიც, რომლებიც წარმოადგენენ გულიდან ამონახეთქს ამ მოვლენათა განცდის გამო. ისინი განსხვავდებიან არა მარტო კუთხეთა მიხედვით, არამედ სხვადასხვა დროის მიხედვითაც ერთისა და იმავე ადამიანის მეტყველებაში.

662. შორისდებულთა დაწერის საშუალებანი. ზოგი შორისდებული შეიცავს ისეთ ბგერას, რომელიც სალიტერატურო ენაში ხმარებული ასოებით ვერ გადმოიცემა. საჭიროების შემთხვევაში ასეთ ბგერებს ან მიახლოებით გადმოსცემენ ან სულ აღუნიშვნელად დატოვებენ ხოლმე; ასეთია, მაგ., შორისდებული **ა**, რომელიც აკრძალვას გულისხმობს: „ა, ხელი არ ახლო“! ამ ხმოვანს ჩვეულებრივ მიუძღვის ბგერა, რომელიც დაახლოებით იგივეა, რაც დასუსტებული **ყ** მეგრულ „ყოროფა“-ში (ყოროფა — „სიყვარული“). იგივე ბგერა მოისმის იმერულ გაკვირვების შორისდებულში, რომელსაც სამი ნიშნით გადმოსცემენ ხოლმე: იმე! = ყიმე!); მაგალითი:

ა დ ვ ო კ ა ტ ი — შენ ვიღა ხარ?

ი მ ე რ ე ლ ი — მე, შენი ჭირიმე, იმერელი გახლავარ, ივანიკა ხვლიკიაშვილი, ქვემოური ყაძახი.

ა დ ვ ო კ ა ტ ი — კაცი მოჰკალი შენცა?

ი მ ე რ ე ლ ი — იმე! რას მიბრძანებთ, ღმერთი გადღეგრძელებს, ბატონო, კაცს ქე რავა მოვკლავდი, შე დალოცვილო, ქათამი ხომ არ იყო?!

(ა. წერ., «სცენა საპატიმროში»).

სხვა მაგალითი (საუბრობენ კირილე და პლატონი):

კ ი რ ი ლ ე — შე კაცო, შენთან რომ მოვიდე, უცხო კაცი მომყვეს, ჩემი კეთილი, საწყენად დაგირჩება?.. ა, მითხარი თუ ძმა ხარ? კარში გამაგდებ? ა?

პ ლ ა ტ ო ნ — იმე!

კ ი რ ი ლ ე — ჰოდა ეგ არის!

(დ. კლდ., «სამანიშვილის დედინაცვალი»).

ცნობილია აგრეთვე შორისდებული, რომელიც მნიშვნელობით „არა“-ს უდრის და რომლის გამოსათქმელად საჭიროა, რომ წინა ენა სასას მიედოს, შემდეგ მოსხლტეს და თანაც ჰაერი, რომელიც პირის ღრუში მოიპოვება, შიგნით იქნეს შეწოვილი (გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1949, 26). ამ ბგერას დაახლოებით ნწ ნიშნებით გადმოსცემენ, მაგრამ ნამდვილად არც ნ არის და არც წ [1]:

— როდის იყო, ნათლი, ეგ ამბავი? — ჩაეკითხნენ მეზობლები.

— დიდხორველობის დროს თუ იქნებოდა.

— ნწ, არა! ჯერ სად იყო დიდხორველობა! — სთქვა ნინიკამ. — დიდხორველობას ცოლშვილიანი კაცი ვიყავ (ს. მგალ., «წარსულიდან»).

კიდევ უფრო ძნელია, სისწორით გადმოიცეს ჩვენი ასოებით ზოგიერთი შორისდებული, რომლებიც ცხოველთა შესაძახებლად ან დასაძახებლად იხმარება, მაგ., ცხვრების გარეკის დროს სათქმელი „ბრიე“ („შოლტების ტყლაშატყლუში «ბრიე-ქსსიეს» ძახილში ისე ექსოვებოდა, როგორც ჰექა-ქუხილში ელვის ტკრციალი“: ვაჟა, V. 233. 5), ან კამეჩების შესაძახებელი „ოტფრუ“ („ოტფრუ, კამეჩო ლვინაო, გასწი ყველაზე წინაო“! ხალხური: ვაჟა, V. 218); და „ჰოტუ“: „ჰოტუ, კამეჩო რქიანო“ (თ. რაზ.. ფშ., გვ. 85).

ერთნაირად დაწერილ შორისდებულებს ზოგჯერ სხვადასხვა მნიშვნელობა აქვთ და გამოთქმაც სხვადასხვანაირი, მაგრამ წერაში ყოველთვის არ აისახება განსხვავება; მაგ., ოჰ შორისდებულით ხან სიხარულისა და სიამოვნების გრძნობა გადმოიცემა ხოლმე, ხანაც მწუხარებისა, უკმაყოფილებისა; მართლაც, შევადაროთ ეს წინადადება: „ოჰ მართლაც, რა კარგად, რა თბილად ვარ, ბიძიავ“! (ვაჟა, V, 264) ამას: „ოჰ, რა ცუდი სიზმარი ვნახე“! (ვაჟა. VI, 15) და დავრწმუნდებით, რომ „ოჰ“-ით სხვადასხვა გრძნობაა გამოხატული. უთუოდ არც მათი გამოთქმაა ერთნაირი. მაგრამ წერით ეს განსხვავება ვერ გადმოიცემა.

663. შორისდებულთა ჯგუფები შინაარსის მიხედვით. შინაარსის მიხედვით შორისდებულებში გამოიყოფა შემდეგი ჯგუფები:

ა) შორისდებულები, რომლებიც ამა თუ იმ გრძნობის გამოძახილს წარმოადგენენ;

ბ) შორისდებულები, რომლებიც მოუბრის ნება-სურვილის ამსახველებია და, უკანასკნელ,

გ) შორისდებულები, რომლებიც გამოხატავენ ფიცილს, ალერსს და სხვ.

664. გრძნობათა გამომხატველი შორისდებულები. გრძნობათა გამომხატველი შორისდებულები ყველაზე მრავალ-რიცხოვანი და ყველაზე მრავალ-ფეროვანია: სიხარული, აღტაცება, მწუხარება, დაღონება, გაკვირვება, განცვიფრება, ზიზღი, შებრალება, დანანება, წყენა, გაჯავრება, გარისხება, შიში, მოწონება, დაწუნება, ტკივილი და სხვ. — ყველა ეს პოვებს თავის გამოხატუ-

---

[1] 1934 წელს წყალტუბოში ერთმა ჩემი ნაცნობის ბავშვმა (ასე 11—12 წლისამ) მკითხა: შეგიძლია, დასწერო, რაც უნდა სიტყვა გითხრაო? — რატომ არა-მეთქი? — ვუპასუხე მე.

— აბა დაწერეო, მითხრა და წარმოთქვა ეს უკუთქმითი შორისდებული. მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რომ ვერ დავწერე და «მაჯობა».

ლებას ადამიანის მეტყველებაში პირველ ყოვლისა შორისდებულთა სახით. ყველა მათგანის ჩამოთვლა შეუძლებელია და არც საჭიროა.

აქ წარმოვადგენთ რამდენიმეს, უფრო ხშირად ხმარებულს და უფრო დამახასიათებელს.

სიხარული: „ოჰ, წამოიძახა გახარებულმა მელიამ“ (ვაჟა, VI, 207); „ოი, შენ კი გენაცვალე, ჩემო მერანო“! (ვაჟა, V, 271).

მწუხარება, დარდი: „ავაჰმე [1] (=ავაჲმე), ჩვენო სახ-კარო“! (ვაჟა, III, 31, 18); „ვაჰ [1], მკვდარო ვაჟკაცობაო, ცოცხლად დამარხვავ თავისა“! (ვაჟა, III, 55, 12); „ოჰ, რა ძნელია ობლობა, და უძნელესი — გერობა“! (ა. წერ.):— „სოლომანი შინ არ ბრძანდება. — ვუთხარი მე. — მართლა? ოჰ, დიდათ ვწუხვარ! — მიპასუხა მან“ (ლომ., «დეიდა სიდონია»).

მოწონება: „უჰ, მოწონების ნიშნად წამოიძახა იმან. — ბალახს რაიღა კითხვა უნდა: ცხორი კიტრსავით დაურგვალებია“! (ყაზბ., 731, 2); „ყოჩაღ, საზანდარო, ყოჩაღ!“ (ვაჟა, V 418); „ოჰ, რა ბიჭი ხარ, რა ბიჭი“! (ვაჟა, VI, 211); „ოჰ, რა კარგები იყვნენ“! (იქვე, VI, 214); „იჰ, იჰ, რა ბიჭი ვარ, ძალიან მოხდენილი ვარ“ (ვაჟა, VI, 248).

„ჰეეე, რა სეირია და“! (ვაჟა, V, 297); „ოი, ოი, დაილოცე, ხუტკურის წვენო“! (ვაჟა, VI, 67). ასეთივეა აგრეთვე: ბარაქალა! ვაშა!

მოწონებას აღნიშნავს ხევსურული „აბეჩავ“: „აბეჩავ, არხოტელებო, ომ' იცით შესაზარია“! (ხალხ.).

წყენა, ნაღველი: „ვაჰმე [1], ცხენს ფეხი მამიტყდა“! (ვაჟა, III, 13); „ოჰ, რამდენი გამოცდილება მაკლია მე საცოდავსა“! (ვაჟა, «შვლის ნუკრის ნაამბობი»).

გაკვირვება, გაოცება: „აბა-ბა-ბა-ბა-ბაა! რამოდენა ხალხი წავიდა, მართლა! (ვაჟა, V, 143); „ბიჭოს! გოგრას, ჩემს გოგრას ნადირი არ მოუკლავს“! (ვაჟა, V, 219); „ბიჭოს, ბიჭოს! აბა ნახეთ, თუ ღალოლამ არ გვასახელოს და რქა-ბუდიანი ირემი არ ჩამოგვიგოროს ხვალა!“ (ვაჟა, VI, 66); „ბიჭოს! ბიჭოს! რა ამბავი ყოფილა და ჩვენ არაფერი, არ ვიცით“! (ვაჟა, VI, 480)“; „ერიჰაა! ახლა საკალოეთ გამისტუმრე“?! ლომ., «ყოველის მხრიდან»); „ერიჰაა! შენ რომ ქვეყანას აპარვინო ცხენები, ეგ ხელს არ მოგვცემს“ (ვაჟა, VI, 294).

ნატვრა: „ოჰ, თუ კი ჩემს შვილს ვნახავდი თვალით, თუნდ მაშინვე მოვმკვდარიყავ“! (ვაჟა, VI, 290); „ახ! ნეტავ სადმე შემყარა“! (ვაჟა, II, 183, 15); „თქვენი ჯავრი, — ჰოი და-და-და-და-და, — როდის უნდა ამოვიყარო, როდის“? (ვაჟა, V, 204); „ახ, ნეტა ერთი ღურბელნატორი მოიყვანა, ენახა თვალით თქვენი სეირი“! (ვაჟა, V, 299); „უჰ, რა დროებას გავატარებდი! ოჰ, როგორ ვიქეიფებდი“! (ვაჟა, VI, 94).

დანანება: „მან გლახ, იგინი დახადნა მტერთაცა საწყალობელად“ («ვეფხ.», 94); „მაშ ველარ გავიგონებთ წისქვილის ხრიალ-გრიალსა? აფსუს! აფსუს, წისქვილო, აფსუს თედეს ამაგო“! იძახდა მეოთხე“ (ვაჟა, V, 115) (აფსუს— სპ. افسوس); „ააახ, ცოდვა კია, ბიძავ, შენ ეხლა ჩვენს ხვთიშობელში არა

[1] ვაჟა-ფშაველას ნაწერებში „ავაჰმე“, „ვაჰმე“ და „ვაჰ“ ისე უნდა იქნეს წაკითხული, როგორც „ავაჲმე“, „ვაჲმე“ და „ვაჲ“.

ჰხევისბრობდე"! (ვაჟა, VI, 67). „ეჰ, მორჩა თათრების საქმე, მდინარე წყალმა დალია" (ვაჟა, III, 25); „ეჰ, შე დალოცვილო, სადღაა სოფელი"? (ლომ., «დეიდა სიდონია»).

გაჯავრება: „ოჰ, ოჰ, ჩამწარდა წუთისოფელი, სიცოცხლე შხამი გახდა შენს ხელში, დედაკაცო"! (ვაჟა, VI, 240).

გაბრაზება: „ჰოი, თქვენი ქრიჰტე, ჰოი თქვენი გამჩენი! — ამბობს ამ დროს ბრაზ-მორეული სოფელი" (ვაჟა, V, 299); „ჰოი, შენი სარჯულავი კი დაიქცა"! (ვაჟა, V, 305, 4).

შეცოდება, შებრალება: „ააახ, რა საცოდავი რამა ხარ"! (ვაჟა, V, 450); „უი, შე საწყალო„! (ლომ., «დეიდა სიდონია»).

ზიზღი: ფუ! ფუჰ! — „იფ, იფ! დამიხედეთ მთის მებატონის შვილს!" (ყაზბ., 731, 11).

ნიშნის მოგება: „დაგასწარი თუ არა?! ჰი! (ჭავჭ., 410, 17); „ჰი, ვენაცვალე ღმერთსა"! (ჭავჭ., 380, 27); „ჰი! (ქოქოლას აყრის), მეხი კი დავაყარე თქვენ ტილიან თავებს"! (ჭავ., 407, 2—3); ოლოლო!

665. მოუბრის ნება-სურვილის გამოსახატავი შორისდებულები. მოუბარი ადამიანი თავის ნება-სურვილს ხშირად შორისდებულით გამოხატავს. ეს ნება-სურვილი გულისხმობს მოწოდებას, დაძახებას (ზოგჯერ დახმარების მიზნით), გაწყრომას, რომ ვინმე ან რამე მოვიდეს ან წავიდეს, მოშორდეს იქაურობას, გაჩუმდეს და სხვ.

აღნიშნული ხასიათისაა, მაგ., შორისდებული „წა" «ვეფხის ტყაოსნის» ამ ადგილას: „წა, შეები ხატაელთა" (379) და აქაც: „წა, მომცთარხარ მოსაცეთსა" (527). იგი ზმნაა წარმოშობით (წარვედ→წარედ→წაედ→წა!). არსებითად მას შერჩენილი აქვს ბრძანებითი კილოს მნიშვნელობა.

ჩვეულებრივია, რომ საშველად „არიქა" ან „არიქათ" დაიძახონ (თანი მაშინ დაერთვის, თუ ერთზე მეტს ეძახიან (§ 223): „არიქათ, ბიჭებო, გოგოებო, მოდით ჩქარა"! (ლომ., «დეიდა სიდონია»).

განსაკუთრებით ხშირია მიმართვა ადამიანისადმი გასაჩუმებლად, რაც სხვადასხვაგვარად გაისმის და ნაირნაირადაც აღინიშნება წერაში; ყველაზე გავრცელებულია **სუ,** რომელიც შედის «ვეფხის ტყაოსნის» „სულეთ"-ში:

„დაადგეს მღერა მუტრიბთა, «სულეთო!» თავი ხარიან" (485).

ეს „სულეთ" ასე დაიშლება: სუ-ლე-თ, სადაც **თ** აღნიშნავს, რომ მრავალს მიმართავენ; **ლე** ნაწილაკია, რომელიც ამჟამად ხევსურულ **აბა-ლე და აჰა-ლე**'-ში გვაქვს, რჩება **სუ,** რომელიც სხვადასხვა ვარიანტს იძლევა: სუ, სსუუ, სუუთ, სსსუუუ, სსსუთ და სხვ.: „სუ! ჩუმად-მეთქი"! (ვაჟა V, 309); „სსუუ! მოვისმინოთ, ყური დავუგდოთ, გავიგონოთ"! (VI, 138); „ვუი, ვუი, სსსუუუ! ეგ აღარა სთქვა" (VI, 209) „სსსუთ, გაჩუმდით" (VI, 304); „სუ, გაკმიდე ხმა"! (მგალ., 139); „სსსუუუ! — დააფარა პირზე ხელი ქიშმიშას" (იქვე, 171) და სხვ.. ხშირია აგრეთვე „ჩუ" (შემოკლებული „ჩუმად"): „ჩუ-თქვა, ჩუ, შე უბედურო"! (დ. კლდ., «მსხვერპლი»).

ზოგი შორისდებული მიუთითებს, უჩვენებს: ასეთებია: **ჰა, აჰა, აბა, აგე (აგრე);** აჰა და აბა-ს ვარიანტებია: აჰათ, აბათ (თანის დართვის შესახებ ნ. § 223,); მაგალითები: „ჰა, ვაჟო, დაიჭი! (აწვდის ყანწს)" (ვაჟა, V, 406);„ აჰა,

წაიხვენ აბჯარნი“! (ვაჟა, III, 54, 1); „აბათ, აჰათ, ბალღებო! — თან გადმოგვყვიროდა პაპაჩემი მრისხანედ. ყველას გვერგო თავის წილი კვერი“ (ვაჟა, V, 184): „აგე, სად ყოფილა“! „აგე, მადლობის სათქმელი სად არის“! „აგრე, ჩემი ცხვარიც“ (ყაზბ., 376, 3—4). „აგე“ და „აგრე“ მიღებული ჩანს „აჰა ეგერა“-საგან.

ზოგი შორისდებული აძლიერებს მიმართვის ფორმას; ასეთებია: ჰა, ჰაი, ჰეი (უჰაეო ვარიანტები: ა, აი, ეი); მაგალითები: „მგელავ, ჰა მგელავ“! (ვაჟა, V, 4 ქვ.): „გიორგა, ჰა გიორგა! ეუბნებოდა თევდორა ერთს ახალგაზრდა ბიჭს“ (იქვე, 131): „ბეკო, ჰა ბეკო“! (VI. 366): „ჰა პეტრევ! —არიგებდა პეტრე თავის თავს. — არ გაბრიყვდე, ეშმაკმა არ გაცდინოს, მართალი არ გეგონოს“! (ჭავჭ., «სარჩობ.»): „ჰაი თქვე ლაჩრებო, თქვენა“! (ვაჟა, VI, 168); „ჰაი შე საოხრევ, შენა“! (ვაჟა V, 126); „ჰაი რევოლვერო, მიშველე! ჰაი ხანჯალო, გასჭერი! ჰაი ხმალო, გაპრიალდი მტრის თავზე“! (ვაჟა, V, 205); „ჰაი შე კუდიანო“! (ვაჟა, V, 396); „ჰაი ჩონთავ, ჩონთავ“! (ვაჟა V 406 00); „ჰაი შე გველო, მართლა და გველო“! (ვაჟა VI, 240); „თომავ, ჰაი შე ქვრივების მტერო“! (ვაჟა V, 208); „ჰეი ტკბილო ხმებო, დებო და ძმებო, მომაპყართ სმენა“! (ვაჟა, II, 116) და მისთ. ასეთივეა აგრეთვე „აქ მო, შენ ეი“! (ვაჟა V, 380); „შენ ეი, კერპო, ჩააგე ხმალი“! (ვაჟა V, 410).

აღნიშნული ხასიათის შორისდებულთა რიცხვში შედის ცხოველთა და ფრინველთა დასაძახებელი, შესაძლებელი თუ გასაწყრომი ბგერათ კომპლექსები, როგორიცაა:

აჩუ! — უჯავრდებიან ცხენს, რომ დაიძრას, წავიდეს, გაიჩქაროს: „აჩუ, აჩუ, ცხენო, შე მგლის შესაჭმელო!“

ხი, მო! — ან: მაამო! ან კიდევ: ოჰოო! — უძახიან ხარებს, რომ შეჩერდნენ: „ოჰოო, ე, ოჰოო, დადეგით! — ეუბნებოდა ნინიკა ხარებს“ (ვაჟა, VI, 217).

დიიდე! დიიდო! — მიმართავენ ფურს გასაჩერებლად, მოსაყვანად.

ჰაცე! (ან აცე) — უჯავრდებიან ვირს.: „რამდენი კეტი მოჰხვედრია საბრალოს ზედ დაკიჟინებით: აცე, შე მუდრეგო, გადადგი ეგ ოხერი ფეხებიო“ (ვაჟა, «უძლური ვირი»).

აქშა! ქშა! (ზოგან: აქში, ქში!) — უჯავრდებიან ფრინველს (ქათამს, ჩიტს და სხვ.): „აქშა, აქშა, ჰივჰავებო, ქორიმც ჩაგინადირებსა“! (ვაჟა, «ჩიტთა ფაფობა», II, 251).

აცხა! — შეუტევენ კატას (ზოგან ითქმის ცაცხა! აქედან ზმნა „დაცაცხანება“). კატას ზოგან ციცას ეძახიან აქედან: ციც! (როცა უჯავრდებიან).

ჰაჲ, ჰაჲ, ჰაჲ! ან: ჰაჲ, ჰაჲ, ჰაჲ! — შეუკივლებენ ქორს, ძერას, რომ წიწილები არ წაიღოს.

ჩჲვ. შორისდებული ფიცილისა და სხვა. შორისდებულთა რიგებში დგას დღეს ზოგიერთი სიტყვა, რომლებიც ითქმის საფიცრად, მისალმების დროს, საალერსოდ და სხვა შემთხვევებში; ასეთია:

ფიცილის ფორმულები: ღმერთმანი, დედა-შვილობამ, მამა-შვილობამ, ძმობამ, და-ძმობამ, ჩემმა მზემ (ან: შენმა მზემ), „ლაშარის ჯვრის მადლმა“

(ვაჟა, V, 47, 13), „ლაშარის ჯვრის გამარჯვებამ“ (იქვე, 376), ზენაარმან ღმრთიისამან“ («ამირანდარეჯ.», ზენაარ=სპ. زينهار) და სხვ.

მოკითხვა-გამოთხოვების სიტყვები: გამარჯობა (გამარჯობათ, § 223), გაგიმარჯოს, ხელი მოგიმართოს, გადღეგრძელოს, მშვიდობით, ნახვამდის, დილა ნეებისა და სხვ.

საალერსო და სამადლობელი სიტყვები: გენაცვალე (გენაცვა), გეთაყვანნე (გეთაყვა), შენი ჭირიმე, შენი კვნესამე, გმადლობთ და სხვ.: „წისქვილი დაიგვიდგა, გენაცვალე, წისქვილი“! (ვაჟა, V. 115).

667. შორისდებული როგორც წინადადების წევრი. შორისდებული წინადადების გარეშე მდგომი სიტყვა ან ბგერათა ჯგუფია, მაგრამ შეიძლებბა, რომ იგი გაგებულ იქნეს როგორც არსებითი სახელი, ბრუნვის ნიშნები მიიღოს და წინადადებაში ჩადგეს ამა თუ იმ წევრის ფუნქციით (§ 102, შნშ.); მაგალითები:

„ვაგლახ“ შორისდებულია, შემდგარი ორი ნაწილისაგან, რომლებიც ცალ-ცალკე შორისდებულებია (ვა! გლახ! შეიძლება კიდევ „მე“ დაერთოს: ვაგლახ მე!). ეს რთული შორისდებული ჩვეულებრივია საშუალი ქართულის ძეგლებში: «ამირან-დარეჯანიანში», «ვეფხის ტყაოსანში» და სხვ., მაგ.: „ფიცხლადვე აიყვანა ამირან (დიდო კაცი) და ნებსა ზედა დაისუა და უბრძანა: ვაგლახ, რა ცოტა ხარო! განა ვინ ხარო“? («ამირანდარეჯ.»); „უბრძანა: ჩემო, ვაგლახ მე, შენცა აგავსე ჭირითა“! («ვეფხ.», 1452). მაგრამ იგივე „ვაგლახ“ ბრუნვიან სიტყვათა რიგშია ჩაყენებული; მაგალითები «ვეფხის ტყაოსნიდან»:

სახ. „ვითა სიცილი ტირილსა, ვ ა გ ლ ა ხ ი მიჯობს მღერასა“ (2:35)

მიც. „ათასჯერ იტყვის ვ ა გ ლ ა ხ ს ა, არ სულთქმა
უერთხელდების“ (15:74)

მოქმ. „ვ ა გ ლ ა ხ ი თ ა მეწივენით, გეტყვი ყოვლსა ჩემსა
მჭვრეტსა“ (11:06)

პირველ მაგალითში „ვაგლახი“ ქვემდებარეა („ვ ა გ ლ ა ხ ი მიჯობს მღერასა“), მეორეში — პირდაპირი ობიექტი („ათასჯერ იტყვის ვ ა გ ლ ა ხ ს ა“), მესამეში — საჭურვლის დამატება („ვ ა გ ლ ა ხ ი თ ა მეწივენით“).

ეგევე „ვაგლახი“ შეიძლება ხელმეორედ შეეთხზას „ვა“-ს („ტირს, იძახის ვ ა გ ლ ა ხ-ვ ა ს ა“ («ვეფხ.», 255), ან ძირეულად გამოჩნდეს წარმოქმნილის მიმართ („გკითხოს მის ყმისა ამბავი, რა გმართებს ვ ა გ ლ ა ხ ი ა ნ ს ა“? «ვეფხ.», 191), ან კიდევ ზმნად გაკეთდეს („მიტირე და მ ი ვ ა გ ლ ა ხ ე“, «ვეფხ.», 157) და მისგან მიმღეობა იწარმოოს („ვ ა გ ლ ა ხ ე ბ უ ლ ნ ი“ «ვეფხ.» 1314).

სხვა მაგალითი: „ვაშა“ შორისდებულია („ვ ა შ ა! იძახდა ალფრთოვანებული ხალხი“), მაგრამ იგი სახელია, წინადადების წევრია (პირდ. დამატებაა) აქ: „ბუნებაც ვ ა შ ა ს უძახის“ (ვაჟა, «გველის მჭამელი»). „ვაი“ და „ვუი“ — ორივე შორისდებულია, მაგრამ ორივე მიც. ბრუნვაში დგას და ირიბი დამატებაა ამ ანდაზაში: „ვ ა ი ს გავეყარე და ვ უ ი ს შევეყარეო“.

„ბარაქალა“ (بارک الله) მოწონების შორისდებულია, მაგრამ იგი მიცემითში დაყენებული პირდაპირი ობიექტია აქ: „მე რამდენჯელღა გირჩიეთ: ვინც ბარაქალას გეუბნება, იმათ კი ნუ უმასპინძლდები“ (ვაჟა, V, 340).

ჩვეულებრივია შემასმენლის გამოტოვება ძახილის წინადადებაში, რომელშიც შორისდებული ქვემდებარედ შედის: „ფუ მაგა მამაცობასა“! («ვეფხ.», 910); „ფუჰ შენს თავსა და ტანსა“! (ვაჟა, VI, 480); „ვაშა მათ მოღვაწეობას. ვაშა მათ ამაყს დროშასა“! (ვაჟა, II, 32, 7—8); „ოლოლო შენ“! (ჭავჭ., 338, 29); „უი ჩემ დანელებასა“! (ლომ., «ბედი უბედურთა»); „ვაი შენს ლუარსაბსა“! („ჭავჭ.. 354, 20); „ვაი ჩვენს თავსა“! („ვაჟა, II, 158, 28); „ბარაქალა შენს ვაჟკაცობას“! (ვაჟა, «ტრედები»).

პირველი პირის ნაცვალსახელი მე წინადადების წევრია წარმოშობით, მაგრამ იგი უკვე შორისდებულის ნაწილია შემდეგ გამოთქმებში: ვაიმე, (ვ)უიმე, ავაიმე, აბაიმე, შენი ჭირიმე, შენი კვნესამე, ვაგლახ მე.

შორისდებული წინადადების ბადალია. იგი ზოგჯერ წარმოდგენილია მთავარ წინადადებად, რომელსაც დამოკიდებული მოსდევს „რომ“-ით ან „თუ“-თი დაკავშირებული: „ყოჩაღ, რომ შებრალება გამოგიჩენიათ ამ საცოდავისთვისო“! (ვაჟა, V, 263); „აფსუს, რომ ვაჟკაცი არა ხარ, ჩემო დედა! (ლომ., «ბედი უბედურთა»); «ვაჰ, თუ რძალ არ გამომადგეს, — ქურდიც იყოს, კახპაიცა“! (ხალხური: ვაჟა, VI, 420).

„ვაი თუ“ შეიძლება შეერთდეს და ნაწილაკის მნიშვნელობა მიიღოს. (ნ. § 654).

668. ზოგიერთი შორისდებულის წარმოშობის საკითხისათვის. შორისდებულად შეიძლება იქცეს სახელი, ზმნა. სახელის შორისდებულად ქცევის მაგალითებია:

გლახ. მისი ისტორია ასეთია: გლახაკი→გლახა→გლახ. როგორც ზემოთ ვთქვით, ეს „გლახ“ შედის რთულ „ვაგლახ“-სა და „ვაგლახ მე“-ში.

ბიჭო! ბიჭოს!—ითქმის როგორც **ბიჭო,** ისე **ბიჭოს; უსანო** ფორმა: „ბიჭო, ბიჭო, შეხედეთ, რა ამბავი აქვთ! — დაიძახა ერთმა“ (ლომ., «ქაჯანა»). **ს**ანის ნაცვლად შეიძლება **თ** დაერთოს: „ეე, ბიჭოთ[1], ეუბნება პაპა შვილებს: გზაში რო კაცი შეგეყაროსთ, ეცადენით, «გამარჯობა» თქვენ დაასწროთ“ (ვაჟა, VI, 73).

ქა. შემოკლებაა „ქალო“-სი. „ქა, ქა, ქა! რამდენად გაუჭრია ხელი იმ სულელსა! ამბობდა გოგრას დედა“ (ვაჟა, V, 217); „ქა, ქა, რა კარგი მოთხარ!“ (მგალ., «წარსულიდან»); „ქაა! არ იცი განა“? (ლომ., «დეიდა სიდონია»).

ვა. ზოგ შემთხვევაში (როცა გაკვირვებაა გამოხატული) ეს შორისდებული „ვაჟო“-ს შემოკლება უნდა იყოს (როგორც „ქა“ — „ქალო“-სი): „ვაა, შე კაი კაცო, ერთ აბაზს როგორ დაგიჭერ“? (ლომ., «წუთისოფელი»). აქა-იქ „ვაჟო“-ს ნაცვლად „ვეჟო“-ს ამბობენ: „ხუთმეტი უნდა ყოფილიყო, ვეჟო“! (ჭავჭ., 341).

ბეჩა. გავრცელებული შორისდებულია, უმეტესად შებრალებას გამოხატავს, ზოგჯერ — გაკვირვებასაც. მიღებულია „ბედ-შა[ვ]ო“-საგან (დშ→ჩ): ბედშაო→ბეჩაო, ბეჩავ, ბეჩა. იგი აქა-იქ „ეჩა“-დ გადაკეთებულა: „ეჩა

---

[1] „ბიჭოთ“ შორისდებულია და არა წოდებითის ფორმა (წოდებითის ფორმა იქნება: ბიჭებო).

და, რაღა მაგის ვენახის გვერდზე დავდივართ“! (მგალ., «წარსულიდან»);
„ეჩა, რა უქნია და“! (იქვე).

ზმნის ფორმათაგან გამოსული შორისდებულებია: წა, დახე („დახე. დახე“!) და სხვა, აგრეთვე ზოგი ფიცილისა და მისალმების ფორმულა, მათ შორის „ღმერთმანი“, რომელშიც სახელიც შედის და ზმნაც: **ღმერთმან ი(ცის).**

შორისდებულად შეიძლება იქცეს აგრეთვე ნაწილაკიც: მაგ., „აბა“ ნაწილაკია, მაგრამ იგი შორისდებულია აქ: „აბა! მაგისთანა მისანია წიგნი!“ (ვაჟ.).

საძიებელი

საძიებელი შედგენილია საზოგადოდ პ ა რ ა გ რ ა ფ ე ბ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ[1].
სარჩევი, რომელიც წინ უძღვის წიგნს, საშუალებას აძლევს მკითხველს, ადვილად მონახოს საჭირო ადგილი.

1. პ ი რ ე ბ ი

(გ ვ ა რ ე ბ ი, ს ა ხ ე ლ ე ბ ი)

აბაშელი ა. 316, 337
აბულაძე ილია 172, 296ა, 658
ალექსანდრე (ვახტანგ VI-ის შვილიშვილი) 443
ალექსიშვილი ეფრემ 342
ანტონი I 18, 242, 430, 432, 568, 631
არაგვისპირელი შ. 230
არსენი (კათ.) 351
არჩილ (მეფე) 393, 443, 554
აშოტ კურაპალატი 554
აჭარიანი ჰ. 159
ახვლედიანი გ. 27ა, 662

ბაგრატ (ბატონიშვილი) 429
ბარათაშვილი ნ. 230
ბარამიძე ა. 296ა
ბაქარ 443
ბაჩანა 156
ბესიკი 107 ნ. კიდევ ბ. გაბაშვილი 101
ბლეიკი (Blake) 216
ბრიერი 643
ბროსე 90

გაიოზ 430, 432
გვარამაძე ა. 356
გიორგი XI 429, 443
გიორგი მთაწმიდელი 216, 336
გოგებაშვილი ი. 103
გოგოჭური 549
გორდლევსკი 261
გოჩა 554

დავით (ბატონიშვილი) 429
დავით რექტორი 18
დათიკაშვილი ქ. 605
დეეტერსი (Deeters G) 419
დვალი 168
დოდაშვილი კ. 344, 419, 449
დოდაშვილი სოლ. 429

ევდოშვილი ი. 259
ეპიფანე (ეტიფანე) კათ. 25
ერეკლე II 18
ერისთავი რ. 184, 241, 259
ეფრემ მცირე 567

ვანდრიესი (Vendryès) 265
ვაჟა-ფშაველა 22, 35, 87, 100, 119, 131, 154, 156, 171, 203, 228, 257ა, 259, 369, 376, 380, 390, 391, 412, 440, 497, 540, 577, 635, 664
ვახტანგ VI 18, 402, 428, 443
ვახუშტი 171, 443

თოფურია ვ. 90, 137, 477, 574
თუთა (ვახტანგ VI-ის დედა) 443
თურქისტანიშვილი ი. 342

იესე (ვახტანგ VI-ის ძმა) 443
იესპერსენი (Jespersen) 265
ილია 119 ნ. ჭავჭავაძე ილია
იმნაიშვილი ი. 584
იოანე ბოლნელი 477
იოსელიანი პ. 342

[1] საძიებელი შეადგინეს ძველი ქართული ენის კაბინეტის ლაბორანტებმა.

კარიჭაშვილი დ. 316
კეკელიძე კ. 163, 634
კილენჯერიძე მ. 285
კეცხოველი ნ. 368
კვიცარიძე პ. 419
კიკნაძე ლ. 219

ლევან (ვახტანგ VI-ის მამა) 443
ლეონიძე გ. 165
ლომოური ნ. 165

მარი ნ. 82, 154, 172, 184, 243, 278, 296 ა, 418, 419, 452, 603, 642
მელქისედეკ (კათ.) 165
მოდებაძე კ. 368
მოლოდინაშვილი ზ. 342
მუსხელიშვილი ლ. 137

ნიკოლაი ა. 342

ორბელიანი სულხან-საბა 18, 101, 184, 191, 321, 322, 429, 549, 603
ორბელიანი გრ. 554

პატარიძე რ. 165

ჟორდანია თ. 177, 419, 492

რაზიკაშვილი თ. 156, 294, 376, 411
რუდენკო ბ. 419, 430, 432
რუსუდან (ვახტანგ VI-ის მეუღლე) 443

ფებრონია 554
ფოგტი ჰ. (Vogt H.) 388, 419

ქაჯაია ო. 452
ქუთათელაძე ა. 276, 419

ყაზბეგი ა. 162, 183, 264, 321, 567
ყვარყვარე (ათაბაგი) 344
ყიფიანი დ. 90, 342
ყიფშიძე ი. 325
ყორღანაშვილი ზ. 342

შუხარდი ჰ. (Schuchardt H.) 141, 419, 489, 654

ჩიქობავა ა. 90, 243, 296 ა, 360, 576, 636, 643
ჩუბინაშვილი დ. 90, 342, 419, 613
ჩხიკვაძე გ. 653

ცაგარელი ა. 90, 342

ძავჭავაძე ი. 68, 98, 230
ჭონქაძე 184

ხახანაშვილი 567
ხუნდაძე ს. 243, 419, 612

ჯავახიშვილი ი. 37, 177, 216, 429, 660
ჯანაშვილი მ. 430
ჯანაშია ს. 18

2. ენები

აზერბაიჯნული 615, 630, 655
არაბული 54, 80, 163, 165, 169, 172, 175, 199, 286, 318, 338, 353, 419, 430, 432, 568, 615, 630, 655, 656, 657

ბასკური 656
ბერძნული 19, 37, 53, 54, 80, 163, 172, 174, 181, 182, 187, 199, 237, 334, 366, 375, 417, 533, 555, 630, 655, 656, 658
ბულგარული 54, 656

გერმანული 243, 630, 655, 656, 658

დანიური 656

ევროპული ენები 116

თურქული 80, 159, 165, 184ა, 243, 261, 430, 432, 443 (ანატ.-თურქ.)

ინგლისური 243, 268, 272, 344, 630, 655
ინდოევროპული ენები 366, 417, 443, 655

კავკასიური ენები 199, 243, 261, 630; აფხაზური 346, ქისტური 630, წოვა-თუშური 170, 317, 331, 416, 418, ხუნძური 199, 243

ლათინური 53, 170, 172, 182, 199, 237, 243, 344, 353, 366, 443, 630, 655

რუმინული 656
რუსული 18, 27, 51, 53, 116, 172, 180, 19მ, 199, 237, 243, 245, 259, 272, 317, 334, 338, 341, 342, 344, 353, 366, 367, 420, 617, 630, 654, 655

სემიტური ენები 419, 443, 655
სლაური 334, 342

სომხური 18, 37, 159, 164, 170, 182, 243, 654, 656
სპარსული 27ა, 37, 80, 141, 159, 163, 165, 167, 169, 171, 174, 184ა, 655

ფრანგული 51, 243, 265, 344, 419, 630, 655, 656, 658

ქართული: ძველი ქართული[1] 18, 36, 41, 50, 56, 65, 74, 77, 87, 93, 94, 97, 102, 116, 127—130, 134, 137, 140, 143—145, 154—156, 158, 159, 163, 165, 172, 175, 183, 187, 203, 206, 213, 214, 216, 217, 219, 221, 223, 224, 226, 227, 229, 243, 252, 253, 271, 278ა, 291, 311, 312; 314, 316, 323, 325, 333, 335—337, 341, 343, 357, 358, 366, 367, 384, 390, 392, 396, 397, 414, 416, 418, 423, 440, 443, 452, 459, 461, 468, 470, 473, 477, 481—484, 487—489, 494, 497, 501, 507, 512, 513, 517, 533, 569, 631, 656—658; საშუალი ქართული 23, 79, 335, 336ა, 336, 402, 423, 531, 635, 643; ქართული კილოები: აღმოსავლური 68, 134, 163, 321, 368, 402, 425, 427, 461, 491, 497ა, 626, 636; დასავლური 34, 68, 162, 242, 481, 554, 612, 626, მთისა 18, 68, 93, 100, 100ა, 162, 217, 228, 252, 254, 259, 391, 442, 483, 484, 497, 504, 558, 567, 610, 646, 654. აჭარული 171, 247; გუდამაყრული 18; გურული 23, 35, 124, 147, 462, 513, 615, 635; ერწო-თიანეთის მხრისა 18, 68; ჩაღმა-თუშური 18, 171, 252, 504, 611; იმერული 163, 552, 614; 615, 662; იმერხეული 171, 184ა; ინგილოური 18; კახური 18, 34, 68, 163, 165, 216, 217, 252, 278ა, 636; ლეჩხუმური 163; მთიულური 18, 34, 135, 162, 186; მოხეური 18, 34, 77, 162, 191, 252, 611; რაჭული 37, 152, 162, 372; ფშაური 18, 34, 35, 71, 93, 100, 131, 134, 136, 162. 165, 171, 191, 216, 217, 252, 259, 278ა, 390, 402, 461, 611, 614, 635, 637; ქართლური 18, 558, 567, 574; ქიზიყური 18, 163, 217, 252; ხევსურული 18, 35, 54, 100, 134, 216, 247, 252, 278ა, 390, 414, -423, 461, 504, 610, 664—665; სვანური 27ა, 159 (—შა̈ლ: ფექშა̈ლ), 162 (კნინ. **ილ, ილდ**), 163 (**იან** დაბოლ. გვარებში), 165 (მჷ-:მჷლა̈შხ, მურ̈ჳს), 172 (მა-: მალატ, მაყალ; **ხოშა**), 183, 206 (ინკლ.-ექსკლ.), 224, 261, 325 (დაბ, გიმ), 412, 414, 417, 439, 443, 452, 459, 473, 477 (აჯშე; ანჰე; მჷჰი), 515 (შინაგანი ფლექსია: ანჭიდ, ანჭად), 575, 605, 610, 660 (სახელობ. ნიშანი).

კოლხური (ჭანურ-მეგრული): 159, (ნეერი, ნერი; -ცალი: ჩქიმი-ცალი, ზესქვი-ცალო), 163 (ქჩე, ჩე), 172 (მა:მაშხვა; უჩაში), 325 (გიმე, გიმა), 412, 414, 417, 443, 461, 483, (ირეჰი, ირენჭკა), 662, მეგრული 27ა, 159, 163, 172—261, 412, 414, 417, 443, 610, 662; ჭანური 417, 443, 603

8. ახსნილი სიტყვები და ფორმები

აბაზი 80 შნშ., 165
აბალე 665
აბდა-უბდა 183
აბეჩავ 664
აგურხანა 174
ადგილას 162
აერი, აეროპლანი 37
ავადმყოფი 189
ავეჯი 111
აიმ, აიქ 654
აირი 37
აკი 654
ალალი 28
ალმაცერად 609, 613
ამბავი 137
ამბობს (ეუბნება) 337
ამიერიდან 627
ამყოლი 605
ანბანი 6
არ 567
არ: ვიარები 567
არ: აღიარება 567
არა (=არრა, არარა) 50
არავინ 141
არამედ 641
არამი 28
არარა 142
არაფერი 27

---

[1] „ძველად“ უმეტესად ძველ ქართულს გულისხმობს, მაგრამ ზოგჯერ აგრეთვე საშუალსაც.

არემარე 184
არის (=გახლავს) 234
არიქა, არიქათ 665
არსად 627
არსი 603
არშიყ: ეარშიყება, უარშიყდება 368
არჩევანი 107
ასფურცელა (=წიგნარა) 187
აფსუს 664
აქანა 613
აღდგომა 107
აღიარება, აღსარება 316
აღმასკომი 198
აღორძინება 316
აღსარება ნ. აღიარება
აღშენება: აღეშენა, აღშენდა 367, 384
აყალ-მაყალი 184
აწი 612
ახალ-უხალი 183
ახაშენი (სოფ.) 187
ახლ (ახელ) 567
ახლო-მახლო 184
აჰა-თ 223, აჰალე 665

ბაბო, ბაბუა 180
ბაზაზი 169
ბაზილი 577
ბაირაღდარი 169, 174
ბალახ-ბულახი 183
ბამ 567
ბანოვანი 111, 163
ბარაქალა 667
ბარემ 654
ბასილი 80
ბატონი 27ა
ბაქი-ბუქი 183
ბაყალი 169
ბებერი 182
ბებია 180
ბედაური 130, 165
ბედი 192
ბედნიერი 163
ბერ-ბური 183
ბეჩა 668
ბილეთ-მილეთი 184
ბინდ-ბუნდი 183
ბიჭი, ბიჭა, ბიჭია 162, ბიჭ-ბუჭები 183
ბიჭო, ბიჭოს, ბიჭოთ 668
ბმა 567
ბნელა 233, 566, 567
ბოლოშავი 197
ბორბალი 183
ბუტვა 392
ბრძანა (ბრძანებს) 337; ბრძანდები 2344, ბრძანდებოდე 482
ბულბული 180
ბღვერა: იბღვირება (დეპონ.) 366
ბწკენა, პწკენა 453, 567
ბჭობა 459
ბჯენა 453

გაბედული 605
გაბმა: გაება, გაბმულა 384
გადამყიდველი 317, გადატვირთული 317
გადაღლილი 317, გადახარჯვა 317
გადმოდინება: გადმოედინა, გადმოსდინდა 368
გათრევა: გაეთრა, გათრეულა 384
გაის (ზმნიზედა) 611
გაისად 613
გაიძვერა 162
გალახვა 321
გალობა 567
გამართვა: გაემართა, გამართულა 384
გამარჯვებული 605
გამარჯობათ 666
გამბედავი 605
გამგზავრება: გაემგზავრა, გამგზავრე? 384
გამიხარდი (კაცის სახ.) 85
გამრჯელი 605
გამქცევი 605
გამწარება: გამწარდება, გაიმწარება 368
განახლება 314
განიარაღება 317, განკულაკება 317, განტვირთვა 317
განრთხმა (განირათხ) 483
განძება, გაძევება 458
გარდატენი (სოფ.) 324
გარნა 615
გარჯა 567
გასავალი 318
გაქანება: გაექანა, გაქანებულა 384; გაქანდა 368
გაქიაქება 609
გაყინვა: გაეყინა, გაუყინდა 368
გაშველება: გაჰშველდა 368
გაცამტვერება 323
გაცინებული 605
გაძევება, განძება 458
გახარება: გაეხარა, გაეხარდა, გაუხარდა 368
გახლავს 234, 387, 567
გდება 567
გეახლები 567
გელაქნური 165
გემი 80

გვანება 567
გველეშაპი 191, გველთევზა 191
გიახლებ 567
გივი 65
გინდ 641
გინება: იგინება (დეპონ.) 366
გიჟია 162
გიჟმაჟი 184
გლახ 668
გოგია-მოგია 184
გოგო 180, გოგონა 162
გოგორა 182
გოდერძ 65
გორგალი 183
გორ-გური 183
გოწხირ 27ა
გრიგოლ 27, გრიგოლი 80
გრილა 566, 567
გრძელი პატიოსანი 171
გრძნობა 567
გუგული 182
გუთნეული 165
გულიზა (გურ.) 635, გულისთვის 537
გულითადი 175
გულ(ს) ხელ-დაკრეფილი 196
გურიელი, გურული 165
გუშხამ 165

-და (თანდ.) 635
დააქვს, დაჰქონდა 567
დაბადება: დაჰბადა, დაებადა, დაიბადა 384
დაბალი 169, დაბა(ლ)ხანა 174
დაგლეჯა: დაიგლიჯა, დაგ[ლ]ჯა 368
დადება-დასხმა 567
დაე, დე 654
დავითნი 109
დაზარება: დაეზარა, დაჰზარდა 368
დაკვლა 567
დალალი 169
დალაქი 169
დალევა 567
დამორჩილება: დაემორჩილა, დაჰმორჩილდა 368
დამსწრე 605
დამსხმელი (თავს დ.) 605
დამტკიცება: დაემტკიცოს, დამტკიცნეს 368
დამტვრევა 567
დამხმარე 605
დამხობა: დაემხო, დამხობილა 384
დანახვა 567
დასახლება: დაესახლა, დასახლდა 368
დასვენებული 605
დასხმა 567
დატრიალება: თავს დასტრიალებს 441
დაფნარი (სოფ.) 173
დაღმართი 36
დაშვება: დაეშვა, დაშვებულა 384
დაცემა: დაეცა, დასცემია, დაცემულა 384, 567
დაძახება 402
დაჭირვა 464
დაჭყლეტა: დაიჭყლიტა, დაჭყლდა 368
დახლი 318
დახლიდარი 169, 174
დახოცვა 567
დაჴსნა: დაჰჴსნა, დაჰჴსნდა 357
დაჯერება: დაეჯერება, დასჯერდება 368
დაჰქონდა. ნ. დააქვს
დგომა: დგას, იდგა, ედგა 392, 567
დე. ნ. დაე
დება: უდვია 392, 567
დეგ, დექ 567
დედა 180, დედი 162
დედანი 110
დედოფალი 34, 187; დედოფალა 162
დეიდა 159
დეპო 51
დი (დის) 567
დიადი 175
დიასახლისი 188
დიალ 651
დიაცი 189
დიდი: იდიდება, დიდდება 368
დიდედა 187
დილომი (=დილუამი) 67, 68
დნობა 567
დომხალი 191
დოსტოლრივ 615
დოპირე(ნ)→დუიპრე(ნ) 170
დოპ-ქოტ 170
დრეკა 594
დუშეთი (დუქეთი) 171

ებისკოპოსი (←ეპისკოპოსი) 27ა
ეგებ, ეგების 654
ეგრისწყალი 171
ეთერ 65
ელფერი 191
ელჩი 80
ერგასისი 155, 187
ერთაწმინდა 171
ერთი 50 (განუსაზღვრ. ნაცვალსახ.), 658 (განუსაზღვრ. ნაწევარი)
ერთიმეორე 138, ერთიერთმანეთი 138, ერთმანეთი 138, ერთმანერთი 189, ერთურთი 138, 183

ერთობ 612
ერთშაბათი 187
ერთხელ 615
ერი (=იერი) 191
ერისაგანი 158
ესე (=ესრე) 619
ეტიფანე (=ეპიფანე) 25
ექიმი 28
ეჩა 668
ეჯი, ეჯა (სვ.) 660

ვა 668
ვაგლახ 667
ვალ 567
ვამბობ 567
ვარ 567
ვარგა 233; ვარგისი 603
ვარჩობ 459
ვეეო 668
ვარჰობ 459
ვაჯობე. ნ. ჯობნა
ვერა (ვერრა) 50
ვიდრე 643
ვითარმედ 641
ვითომც, ვითამ, მითამ 654
ვინაიდან 643
ვინძლო 654
ვირთაგვა, ვირთხა 191
ვსცემ 475
ვწევართ 535

ზამ. ნ. ზმა
ზამთარ-ზაფხულ 614
ზანგი 80
ზაჰესი 118
ზედაქვე 186
ზემორე, ზერე, ზერელე 615
ზენაარ 666
ზენა ქარი 626
ზვერი: ვზვერავ 455
ზიდვა: მიეზიდება (დეპონ.) 366
ზმა (ვ-ზამ) 567
ზოგი: ვზოგავ 455

თავი (უკუქც. ნაცვალსახ.) 50, 289, 418
თავ(ს) ქუდ-მოგლეჯილი 196
თავად 50
თავისი (მნიშვნელობა კილოებში) 156; თავ-თავისი, თავ-თავიანთი 135
თავზარი 189, თავმდები 189, თავმჯდომარე 189
თავნი 110
თავს დაცემა — თავს დასხმა 567
თავსლაფი 189
თალიკო 162
თანა 634
თანამდები, თანანადები, თანამდებობა 543, 601
თანაშემწე 543
თანახმა: ეთანხმება, სთანხმდება 368
თბილა 233, 566, 567
თენება 458
თერთმეტი 189
თვალიერება; ათვალიერებს 163
თვალჭრელიძე 194
თვე 602
თვით, თვითონ, თვითან 50, 138
თვრამეტი 24
თითა (ყურძნ. ჯიში) 163
თითქოს, თითქო 654; თითქმის 654
თორმეტი 189
თრობა 567
თუთხმეტი. ნ. თხუთმეტი
თუმცა 654
თუნდ 641
თურმე 281, 654
თქვა, თქო (ნაწ.) 650
თქვენობით მიმართვა 50
თქმა 567
თხიერი 163
თხოვნა: სთხოვა 337
თხრობა: უთხრა 337, 483
თხუთმეტი, თუთხმეტი 24, 36

იაია 180
იბედივ 615
იბრტყივ, სიბრტყივ, სიპტყივ 615
იგურდივ 615
-იდ— -ილდ 473
იმე 662
ინდაური 165
ინჩი-ბინჩი 184
ირგვლივ 615
ირენჭკა, ირეჭი 483
ისხარი 191
იქა, იქი 609
იქნებ, იქნება 654
იქრივისი, იქვრივისი 615
იქცევისი 603
ილბალი 191
იყო (ყო, იყო) 384
იძრვისი 603
იჯარადარი 169, 174

კადნიერი 163
კალ 567
კალოთანა (სოფ.) 171
კაპარჭი 27ა
კართანა 171
კარი: კარ-მიდამო, სახლ-კარი 191
კაცი, კაცა, კაცია 162
კაჭკაჭი 180
კბენა 253; იკბინება 366; ჰკბენს, უ- 415, 567
კეთილი 172
კერკეტი 181
კვდომა 567
კვირიაკე. კვირა, კვირე 187
კვლა 567
კვლევა, ვიკვლევ 461
კვნეტა 452
კვრევინება: ხელს იკვრევინება (დეპონ.) 366
კი 641
კიდე (...გან კიდე) 635
კიდევ 641
კიდეც 652
კითხვა: ჰკითხა 337, ეკითხება (დეპონ.) 366, 367
კინაღამ 654
კირკიტა 181
კლება 567
კმარა 566, 567
კმევა, ვაკმევ 461
კო 171. ნ. კიდევ კრკო
კოკორი 182
კომლი 34
კოლონა 162
კოცნა 567
კოწახური 27ა
კრებული 591
კრიალოსანი 163
კრკო, კურკო, რკო 171
კუთხედი, სამკუთხედი 163
კუკური 182
კუნკული 181
კურთხევანი 109
კუჭმაჭი 184

ლაგურკა 27ა
ლაკლაკი 180
ლამის 654
ლანძღვა: ილანძღება (დეპონ.) 366
ლაღობა 567
ლბობა 567, 594
ლეილა 163
ლელა 163
ლენცოფა 162
ლოდინი 458, 567
ლომკაცი 191
ლოღნა: ილოღნება (დეპონ.) 366
ლოცვა: ილოცავს 339, ილოცება (დეპონ.) 366
ლოცვანი 109
ლპობა 567, 594
ლუდხანა 174
ლურსმანი 137; ვლურსმავ 455
ლხობა 567

მაგიერ 627
მაგინძა (კითიში მაგინძა) 172
მაგრამ 641
მაინც 654
მამა 180
მამასახლისი 188
მამასისხლად 188
მამაცი 189
მამი 162
მანამ 643, მანამდე 611, 627, მანამდის 627
მანზილი, მანძილი 318
მარად 610
მარადელი (არადელი) 165
მარაო 111
მარგალიტი 27
მარგუელი 165
მართალი 631
მართლ-მადიდებელი 631
მარტოკა 162
მარცხენა 26ა
მარხვანი 109
მარჯუენა 475
მასდარი 568
მასწავლებელი 587
მაქვს 567
მაღალი 325
მაღრიბი 318
მაშინ 618
მაშრიკი, მაშრიყი 318
მაშხვა 172
მაჩაბელი 165
მაწყუერელი 165
მახარე (კაცის სახ.) 101
მბობა 567
მგელკაცი 191
მგოსანი 163
მდაბალი 325
მე 145
მეგრელი 165
მეთრევი 595
მეთქი 650
მელ-ი, მელ-ა, მელია 162
მემსხვრევი 595

მერე 654
მერყევი 595
მერწევი 595
მერცხალი 26ა
მესმა, შეგესმინ 514
მესხლეტი 595
მეტეხი 595
მეტრეველი 165
მეწყინა (ქალის სახ.) 101
მეჯვრისხევი 171
მზადება: ემზადება, მზადდება 368
მზარდული 587
მზერა 567
მთეული, მთიული 165, 207
მთვარე 602
მი(მეგობრისად-მი) 324
მიაქვ 567
მიდამო 186
მითამ 654
მილიონი 71
მიმპარავი 605
მიმწევი 605
მინამ 643
მირთმევა 567
მიტანა 567
მიღწევა 37
მიშველება: მიეშველა, გაჰშველდა 368
მიცემა 567
მიწიფება: მიეწიფა 477
მიჭრომა 508
მიხწევა 37
მო- მოდი 654
მოზარდი 595
მოთრევა: მოსთრავდა 369
მოკატუნება (თავისა) 162
მოკვდავი, მომაკვდავი 595
მოკვდომა 567
მომზადება: მოემზადა, მომზადებულა 384
მომქალი 587, 589
მომსწრე 605
მომხმარე 605
მონასტერი 80 შნშ.
მონდომებული 605
მორბენალი, მორბინალი 601
მორთმევა 567
მოტანა 567
მოყვანა 567
მოყვარე 137
მოყვითალო, მოწითალო 144, 171
მოცალე, მოცლილი 605
მოძრავი 595
მოძღუარი 631
მოწადება: მოეწადა, მოსწადდა 368
მოწამეთა 110
მოწაფე 477
მოწეული 584, მოწიფული 584
მოწმე 137
მოწყენა: მოეწყინება, მოსწყინდება 368
მოწყობა: მოეწყო, მოწყობილა 384
მოხმარა: მოვიხმარ 596, მოეხმარა, მოჰხმარ-და 368
მრე 605
მროველი 165
მსაჯული 587
მსხვილმანი 184
მსხლები (სოფ.) 110
მტვრევა 567
მუდამ, მუდმივ 615
მურუსიძე 165
მუქარა: იმუქრება (დეპონ.) 366
მუშტარი 80
მუხა 171
მუხრანი 173, მუხროვანი 173
მღე 605
მყოლი: ამყოლი, ჩამყოლი 605
მყრალი 601
მშვენიერი 163
მშვილდ-ისარანი (ხევს.) 317
მშია 567
მჩნევა, მცნევა 461
მცა, მც 654
მცვრევა 461
მწე, შემწე 605
მწვარი (და-, შე-) 591
მწიფე 477, 584
მწკრივი 175, 296
მწყერჩიტა 191
მწყვდევა (ვამწყვდევ) 461
მხეიძე, მხეციძე 159
მხობა 567

ნადვალევი 168
ნათლიდედ 162
-ნაირი (ამ-, იმ-) 159
ნანეიშვილისეული (სოფ.) 165
ნაუბარი 592
ნაქულბაქევი 168
ნაყარ-ნუყარი 183
ნაცვლად 639
ნაჭირმაგარი 168
ნახევარი 48
ნახვა: ვნახავ 482, ნახავს, ნახა 337, 567
ნახრავ-ნუხრავი 183
ნდ, მინდა 285; ნდომა 567
ნება-ნება 614
ნელად 618, ნელადი 175

ნესტორი 80
ნეტავი, ნეტა 654
ნთქმევა 567
ნეფსით 612
ნიად 175
ნოდარ 65
ნოტიო: ანოტივებს, ნოტივდება 474
ნუგეში 80
ნურა 142
ნურავინ 36, 141
ნუსხა 165, ნუსხური 165
ნძრევა (ვანძრევ) 461
ნწ 662
ნჯღრევა, ნჟღრევა 461

ობობა 180
ოდე 654
ოდეს 610
ოლარი 80
ორაგული 165
ოფოფი 182
ოხერი 67, ოხერ-მოხრები 184

პაატა (კაცის სახ.) 182
პალტო 51
პამიდორი 68
პაპა 185
პაპანაქება, პაპანება 188
პარასკევი 80
-პარია 604
პარპაში 27
პარტბილეთი 198
პასუხი: ეპასუხება (დეპონ.) 366
პატარძალი 187, პატარძეული 165
პატრონი 27ა
პაწაწა, პაწაწინა 182
პეპელა 182
პილპილი 182
პირას 162
პირველი 170, პირველადი 170, 175
პირსაფევი 461
პირუტყვი 3
პირჯვარი 189
პყრობა, შეიპყრო 483
პწკენა, ბწკენა 453, 567

ჟამნი 109
ჟინვალი 171

რა 141, (არა რა, ნურა) 142
რადგან 643
რათა 643
რაიკომი 198
რამდენი 189
რამე (რაიმე) 145
რამე-რუმე 183
რაყრაყი: ირაყრაყა 183
რბი 567
რგება 567
რეთი (გურ.) 189
რეკა 567
-რეკია 604
რთმევა (წა-, მი-, მო-) 567
რთხმა 483
რიკრიკები 180
რიმნისთაველი 68
რიყურაყი 183
რკო 171, რკონი (სოფ.) 110, 171
როგორი 27, 34
როდესაც 610
როდი 654
როცა 624
რტყმა 483
რუისი (სოფ.) 165
რქენა 415, 453, 567
რქმევა 567
რქუ: ჰრქუა 337
რჩობა 567, ხრჩობა 594, ვარჩობ 459
რცხვენა 567
რწამ 567
რწმუნება: ირწმუნება 366
რწყმა (რეწყ) 483
რჭობა 567
რჯა 567

საბალნარო 173
საბედა 162
საბძელი 25
საგარეჯო 171
საგუსალი 477
სათარი 461, 515
საიჭნიო 615
საკნატური 581
სალამი 338
სამთავენი 144
სამკალი 589
სამსჭუალი 137, 459
სამფეხა 163
სამცხე 171
სანამ, სანამდე, სანამდის 627, 643
სასახლე 167
საუბარი 592
საქმე 260
საქსუალი, საქსული 477
საყდრიონი 135
საწყაო 114

სახბანკი 198
სახელგამი 198
სახლობს 392
სვე 169
სვე-ბედი 192
სვლა 567
სიარული 567
სიბრტყივ. ნ. იბრტყივ
სივლტოლა 577
სივრცე 608
სინამ 627
სიპტყივ. ნ. იბრტყივ
სირი 171; სირაქლემა 191
სიცბილი 577
სკდომა, სქდომა 567
სმა 567
სმენა 567, შეგესმინ 514
სობა 567
სომხითი 171
სოულობა 165
სპეტაკი 172
სრა-სახლი, სრა-სასახლე 167
სრევა, სრეული, ისვრის 366, 461
სულადი 175
სულეთი 665
სუნთქვა 458
სურა 80
სტვენა 453
სწავლა 477, სწავლება 529, ისწავლება 366, 567
სწრება (დაასწრა, დაასწრო) 483
სხდომა 567
სხმა 567
სხლეტა 452

ტაბახმელა 187
ტაგან-ი, ტაგან-ა, ტაგან-ია 162
ტან: იტანება 366
ტანა 567 (მო-, მი-)
ტბათანა 139, 171
ტერტერა 180
ტეხა: ტეხს, ტყდება 357, 567
ტიალი 70
ტკენა 453
ტყდომა 25, 567
ტყვ: იტყვის 337, 339, (დეპონ.), 366, 367
ტყლაპ-ტყლუპი 183
ტყობა 567
ტყობინ: იტყობინება (დეპონ.) 366

უარესი 172
უბნ.: ეუბნება 366
უბრად 613
უგნური 164
უდაბური 164
უებარი, უებრო 164
უვიცი 567
უზარმაზარი 184
უზმად 611
უთავბოლო 176
უკეთ 619, უკეთური 172
უკუ 311, უკუღებული 630
უკუღმართი 36

უმფროსი 36
უმცროსი 172
უნარი 28
უნდა (ნაწ.) 654
უქმური 164
ურბნისი 165
ურთიერთობა 183
უსურვაზი 187
უსწორ-მასწორი 184
უფლისციხე 171
უფსკრული 164
უშნო 164
უშობელი 605
უჩაში 172
უჩინმაჩინი 184
უწინ 627
უწყ 567
უხუცესი. ნ. ხუცესი
უჯრა 163
უჯრედი 163

ფანჯარა 137
ფარვანა 174
ფარფაში 27
„ფეხოსანი“ 163
ფირფიტა 181
ფიც.: იფიცება 366
ფრიად 36
ფუძე: ვაფუძნებ 474
ფქვა: ვფქვავ 483; ფქვილი (=წისქვილის-ქვა) 325, 567
ფშავი, ფშაველი, ფშავეთი 171
ფხოვი: შუაფხო 171

ქა 668
ქადება 567
ქალამანი 137
ქარ-ბუქი 191
ქარვასლა 80
ქართველი (ქართვლისა) 68
ქართული (=სიტყვა, საუბარი) 554
ქარიშხალი 191

ქარქაშოსანი 163
ქარხანა 137
ქვარნალა (ადგილის სახ.) 173
ქვენა ქარი 626
ქვერე, ქვერელე 615
ქვეყანა 137
ქვითკირი 189
ქვრივი 175
ქინძმანძუკა 162
ქოლვა: იქოლება 366
ქონაქონა 180
ქოხმახი 184
ქსოვა 477
ქუთაისი (ქუთათისი) 155, 171; ქუთათელი, ქუთათური 165
ქუთუთო 182
ქულბაქი 168

ღა 146
ღავ-ღუვი 183
ღაჟ-ღაჟი 182
ღარიბი 172, 191
ღვთაება 166
ღვთისნიერი 163
ღვინია 163
ღვინო 137
ღირ: ღირს, ეღირება 384, ღირსი 603
ღირღიტა 181
ღმერთი 137, ღმერთმანი 189, 668
ღრენა: იღრინება 366

ყადი 80
ყავადანი 174, ყავახანა 174
ყაპყაპი 180
ყასაბი 169
ყაყაჩო 182
ყვანა, სხმა 567
ყვარელი 133
ყველა 138
ყლაპვა: იყლაპება 366, -ყლაპია 604
ყოველთვის 611
ყოლა (=ყოვლად) 613
ყუთი 80
ყურადღება 189
ყურება: იყურება 366
ყურემარე 184
ყურშა 197

შავთელი 177
შავთვალიშვილი 194
-შალ (სვან.) 159
შამდანი 174
შამი (=სანთელი) 174
შანდალი 174
შარავანდედი 163
შარშან 610
შაური 165
შდა, შთა, ჩა 310
შებრალება: შეებრალა, შეჰბრალდა 368
შეთვისება: შეეთვისა, შეუთვისდა 368
შეის (ზმნიზედა) 611
შეკრება: შეკრბა, შეიკრიბა 368
შემბმელი 605
შემოსავალი 318
შენანება: შეენანა, შეჰნანდა 368
შენება: აღეშენა, აღშენდა 368
შენეული 207
შერტყმა (შევირატყ) 483
შესახებ 635
შესვენებული 605
შესტრფის 441
შეუბრალებელი 605
შეუშრობილი 596
შეყურ: შეჰყურებს 441
შეშინება: შეეშინა, შეშინდა, შეეშინდა 368
შეხარბება: შეეხარბა, დაჰხარბდა 368
შვილი 584, 594
-შია 634
შიმშილი 25
შიში 25
შობა 475
შრან 610
შუაფხო 171

ჩა (შედა→შდა→შთა→ჩა) 310, 314
ჩადგმა: ჩასდგამს 379, 391, 392
ჩაიდანი 174
ჩალვადარი, ჩალანდარი (გურ.) 169
ჩამადანი 174
ჩამოსავალი 318
ჩამოხდომა, ჩამოხე, ჩამოხტომა 513
ჩარექი 170
ჩასაფრება: ჩაესაფრა, ჩასაფრდა 513
ჩაფარება: ჩაეფარები 384
ჩერჩეტი 181
ჩვენებური 158
ჩქმეტა (ს-ჩქმეტს, უ-) 415
ჩხეიძე, ჩხეტიძე, ჩხეტია 159
ჩხვლეტა (ს-ჩხვლეტს, უ-) 415
ჩხიკვთა 155

ც: ვიცი 279, 285
ც[←(მ)ც] 654
ც, ცა 89, 624, 647
ც... არ (სადაც არ უნდა...) 317
ცაბაურდა 155
ცალი 159

ცამეტი 28, 34
ცემა: სცა, სცემა 337, იცემება 366
ცერად 609
ცერცეტი 181
ცივა 233; მცივა 237
ცინ: იცინის, უცინის, ეცინის 366
ცოლ-შვილი 192
ცოტა-მატა 192
ცოხნა: იცოხნება 366
ცუდმადი 184
ცუნცულა 181
ცქერა: იცქირება 366
ცხელა 233; მცხელა 237
ცხინვალი 171, შენ. 2

ძალ: ეძალება, უძალდება 368
ძალუა 162
ძახილ-ძუხილი 183
ძელქვა 191
ძერძერუკი 162, 180
ძველმანი 184, ძველძ(ვ)ული 183
ძირას 162, ძირითადი 175, ძირს 609
ძლევა: იძლევა (დეპონ.) 366; ვაძლევ 482
ძლივ 97, ძლივს 615
ძნელ: ეძნელება, უძნელდება 368
ძონძმანძები 184
ძოღანითგან 625
ძრობა: ვაძრობ 459
ძუძუ 180

წავკისი 165
წამქცევი 605
წანწყარა 180
წარსული, წასული 314
წაფ: მოწაფე 477
წაღმართი 36
წევა: ეწევა (დეპონ.) 366
წერა: იწერება (დეპონ.) 366
წერწეტი 181
წელან 618
წვა: ვწვავ 483, 591
წვერა (თევზი) 163
წვრილმალი, წვრილმანი 184
წიაღ 309, 313, 325, წიაღობანი 325
წივწივა 180
წითელათანა 171
წინა-დაუცუეთილი 596
წინამორბედი 601
წიპწიპო 182
წისქვილი 189, 325
წოლა 535 (წევს, იწვა 391)
წრეტა 452
წყალ-წაღებული 196
წყალწყალა 180
წყევა, წყევლა, იწყევლება 366, 461
წყენა (ს-წყენს, ა-წყენს) 415
წყვეტა, წყდომა 513

ჭამია 604
ჭაპანწყვეტა 188
ჭაპუკი→ჭაბუკი 27ა
ჭვრეტა 452
ჭიაჭუა, ჭიაღუა 183
ჭივჭავი 183
ჭილობი 166
ჭირ: ეჭირვება, სჭირდება 368
ჭირნახული 178, 197
ჭიშკარი 25, 26, 137, 189
ჭკუა: ჭკვიის 137
ჭყეტა: იჭყიტება 366

ხაბაზი 169
ხავერდი 163
ხაზინადარი 169, 174
ხათრი-მათრი 184
ხალხი 139
ხარატი 169
ხარისწარალი 188
ხარლაღი 187
ხარშია 604
ხარჯი 318
ხაშხაში, ახაშხაშება 182
ხბო, ხბორი, ხბორები 137
ხედვა: იხედება (დეპონ.) 366
ხეთქა: ხეთქს, სკდება 357
ხელადა 162
ხელი (=კომპლექტი) 317
ხელ-მოკლე, ხელმოკლე 178
ხელმწიფე 194, 197, 605
ხელნაწერი 189
ხელოვანი 163, ხელოსანი 163
ხელქვეითი 189
ხელწერილი 189
ხერთვისი 603
ხეცია 159
ხვალზევით 611
ხვეწა: იხვეწება 366, იხვეწიებს 546
ხვრეტა 452
ხილვა: იხილა 337
ხილ-ხული 183
ხირ: ეხირება, უხირდება 368
ხირხალი, ჭირჭალი 182
ხმელი (=მტკნარი), ხმიადი 175
ხოლმე 654
ხომ, ხო 646

ხრამული 165
ხურდა-მურდა 184
ხუცესი 137, 172; უხუცესი 172
ხუხულა 182
ხცოვანი 163
ხწევა, გა- 461; თავის დახწევა 37

Ⴟაგ-ჯუგი 183
ჯალათი 169
ჯამა 174
ჯამაგირი 174
ჯეროვანი 163
ჯობნა (სჯობს) 415, 475
ჯოჯო 180
ჯოჯოხეთი 171

ჴამსი 603

Ⴠაერი 37
ჰავა 28
ჰარმონია 28
ჰეგემონია 28
ჰიდროსადგური 28
ჰიპოთეზა 28
ჰორიზონტი 28

4. ႲႤႰႫႨႬႭႪႭႢႨႠ

Ⴀბლაუტი 581
აბრუპტივი 16
აბსოლუტური 210, 234, 235, 360, 366, 372, 381, 407, 410, 553, 566; აბსოლუტური აგებულება 210, 233; აბსოლუტური აგებულების ზმნა 231, 232, 266, 366; აბსოლუტური ფორმა 356, 364, 365, 369, 518
აბსტრაქტული სახელები 44, 59, 73, 76, 77, 106, 166, 172; აბსტრაქტული ცნება 166
ადამიანთა სახელები 44, 61
ადგილის გარემოება 42, 384, 437, 609; ნ. კიდევ გარემოება
ადგილის ზმნიზედა 616, 617, 627, 643
ადრინდელი ფორმები 119
ავიანი ზმნები 480, 488, 508, 517; ნ. კიდევ. თემის ნიშნები
აზროვნება 3
ათმეტეული 186
ათობითი 47
აკრძალვითი 255
აკუზატივი 53, 285
ალერსობითი 162
ალვეოლარი 12
ამიანი ზმნები 480, 488, 508, 517; ნ. კიდევ თემის ნიშნები
ამჟამადი 242
ანალიზი 541
ანალოგია, ანალოგიური წარმოება 36, 120, 148, 159, 221, 390, 472, 488, 498, 507, 508, 514, 518, 609, 615, 643, 649; ანალოგიური წარმოება ბრუნვებში 120
ან (სუფიქსი) 472, 474, 580
ანბანი 4, 5, 191
ანომალია 59
ანტონიმი 164, 172, 191
აორისტი 243, 267, 278, 334, 375, 533
აპოკოპე 30
არა-ადამიანთა სახელები 42
ართრონი 57, 655
არითმეტიკული რიცხვი 55
არსებითი სახელები 41—45, 49, 80, 113, 146, 152, 153, 165—167, 458, 566, 608
არტოლად შერწყმული სახელები 189, 190
არქაული ფორმები 373, 490, 542
არწესებრივი ბრუნება 59, 72, 136
ასიმილაცია (სრული და ნაწილობრივი) 26, 27, 82, 310
ასინდეტური შეერთება 191
ასო 16; ხმარებიდან გადავარდნილი ასოები 18; ასოთა სახელები 7; ასოთა რიგი 19
ასონანსი 184
ასპექტი 40, 42, 199, 200, 300, 305, 325, 327, 328, 328ა, 341—343, 443, 530, 544, 548, 551, 567, 569, 571, 582; ასპექტის ახალი სისტემა 479, 482
ასპირატი 16
ატრიბუტული მსაზღვრელი 113, 123, 125, 132, 177, 187, 196
აფიქსი 38, 74, 93, 168, 169, 174, 323, 357
აქტი 199, 200, 260, 266, 268, 269, 296, 418, 443
აქტივი 344, 345, 346, 348, 349, 350, 353, 358, 363, 364, 366, 375, 376, 382, 384, 405, 527; აქტივი კონსტრუქცია 405, 407; აქტივ-მედიუმი 359, 369; აქტივ-პასივი 363, 369; აქტიობის ნიშანი 515. ნ. კიდევ მოქმედებითი გვარი
აქტიური (სამეტყველო ორგანო) 8, 10, 12
აქტიური (ბრუნვა) 53, 344, 357, 383, 384
აღმატებითი ხარისხი 172
აღწერილობითი ვნებითი 365; აღწერილობითი ულლება 507

აწმყო 199, 221, 242, 243, 284, 333, 340, 358, 374, 388, 390, 403, 473, 480, 505, 518, 519, 530, 540, 544, 550, 559, 555, 566, 567, 572, 591; აწმყოს კავშირებითი 284, 482, 518, 550, 567; აწმყო-მყოფადი 567; აწმყოს წარმოება დინამიკური ვნებითის მიერ 495. აწმყოს წრე 271, 284, 331, 332, 365, 366, 369, 383, 525, 531, 560, 567; აწმყოს ხოლმეობითი 343
ახალი ფორმები 119, ახალი გააზრება 315
ახალი შინაარსი 384
ახალი წარმოება 145, 501, 512
ახლად ჩამოქნილი მწკრივები 534

ბაგისმიერი ბგერები 12, 67, 137, 567, 591. მისი გავლენა ვ-ზე (უმარცვლო უ-ზე) 67, 69 (ნ. დაკარგვა ბგერისა)
ბგერა 2, 6, 25, 26; ბგერათა კლასიფიკაცია 8—17; ბ. გადასმა 23; ბ. დაკარგვა 28; ბ. შენაცვლება 25; ბგერათა კომპლექსი 628, 629, 644; ბგერითი მხარე 1; ბგერითი წარმოდგენა 6; ბგერინაცვალი 25; ბგერობლივი დამთხვევა 527
ბილაბიალი 12
ბოლოთანხმოვნიანები 81, 474
ბოლო-კვეცილი 75—78, ბოლო-უკვეცელი 79—83
ბოლოკიდური 79, 145, 146, 166, ბოლოკიდურ-ხმოვნიანები 60, 79, ბოლოკიდურ-თანხმოვნიანები 60
ბოლოსართი 38
ბრუნება 42, 51, 149, 154, 474, ხელმეორედ ბრუნება 99, ზმნის პირიანი ფორმის ბრუნება 101
ბრუნვა 40, 51, 79, 151, 153, 154, 200, 647. ბრუნვათა სახელები 52, 56, ბრუნვათა ნიშნები 51, 52, 56, 79, 81, 123, 147; ბრუნვის კატეგორია 91, ბრუნვათა რიგი 52, 53, ბრუნვის ნიშნის დაკარგვა 86, ბრუნვის მოშლა 91, ბრუნვის გაჩენა 96, ბრუნვის გავრცობა 52, ბრუნვის უქონლობა (უბრუნველობა) 59, ბრუნვის ფუნქცია 603, ბრუნვის წარმოების უნარი 154
ბრძანებითი კილო: წართქმითი ბრძანებითი 217, 229, 250, უკუთქმითი (უარყოფითი) ბრძ. 250, ბრძ. 1-ლი პირისა 251, მე-2 პირისა 252, მე-3 პირისა 253, I-ლი ბრძ. 482, 494, II ბრძ. 484, 499, 503, 512, 513; ბრძანებითი როგორც მწკრივი და როგორც კილო 206, 217 243, 250, 286, 484,
გაარმსგავსება, გადასხვაფერება 27
გადასმა ბგერისა 23, ვინის გადასმა ფუძეში 540, 596
გადასხვაფერება 27
გავრცობა: ბრუნვისა 52, მწკრივისა (ნ. სავრცობი), ვინით გავრცობა სახელის ფუძისა ვ ნასახელარ ზმნებში 474; გავრცობილი თემა 473, 478. ნ. კიდევ გაუვრცობელი
გათიშული მსაზღვრელი 132
გაკვეთა ნ. ტმესი
გამეორება: სახელისა (მრ. რიცხვის მაგივრად) 112ა, ზმნის ფორმისა 331, ფორმის გამეორება მწკრივში 291; გამეორება, როგორც საშუალება წარმოქმნის ფორმათა გასარჩევად უღლების ფორმათაგან 201, 297
გამოთხოვების სიტყვები 666
გამოსვლითი (ბრუნვა) 92, 93, 96, 324, 625, გამოსვლითის ფუნქცია 636
გამღერება 27ა, 93
განგრძობილობა (ინგლ. ენაში) 268
განმარტოებული მსაზღვრელი 133
განსაზღვრება 42, 130, 569
განსხვავება (დიფერენციაცია) მნიშვნელობისა 315. განსხვავების დადგენის ცდა 492, 529
განუსაზღვრელი ნომინატივი 660; განუსაზღვრელობის და 328; განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი („თავი“) 44, 50; განუს. ნაწილაკი 645, 648; განუს. ნაწევარი 657; განუს. რიცხვითი სახელი 71
განყენებული სახელი 44, 166, 605
გაორკეცება მსაზღვრელისა 135, გ. ფუძისა 179—184, 578, 580, 581, 598, 614
გარდამავლობა 210, 211, 241, 381; გარდამავალი ზმნა 211, 212, 219, 321, 350, 390, 394, 398, 402, 410, 413, 416, 417, 430, 434, 438, 473, 532, 533, 546, 549, 567
გარდაუვალი ზმნა 211, 212, 321, 332, 368, 371, 375, 378, 404, 410, 411, 413, 416, 417, 430, 434, 435, 437, 438, 473, 546, 549, 555, 567, 573
გარემოება 42, 570
გარეშე პირი (ირიბ.-ობ.) 344
გასაყარი: თანხმოვანთ გასაყარი 481
გაუვრცობელი 87, 572
გაუმეორებელი ფორმა მწკრივში 291
გაქვავებული ფორმა 609
გაშლა შეკუმშული ფუძისა 483, 485
გაძლიერებითი ნაწილაკი 652; გაძლიერებული უფროობითი 172
გეზი (მიმართული, მიუმართავი) 199, 200, 301, 302, 305, 318, 329, 337, 338, 443, 569, 571, 582

გენეზისი 512
გენეტივის ფორმა 154
გენეტიური სახელები 130, 136. 148, 153, 154, 155, 158, 180
გეოგრაფიული სახელები 64, 64ა, 68, 75, 76, 77, 80, 121, 155. 161, 165, 167, 168, 171, 188, 557
გვარი[1] (გვაროვნული სახელი) 66, 76, 154
გვარი[2] (=დიათესი) 40, 199, 200, 241, 300, 344, 384. 424. 443, 548, 567, 569, 572, 582
გვერდითი 12
გზა (=კონტაქტი) 432
გზისობა 199, 200, 258, 266, 268, 269, 296
გრამატიკა 1, 20, 44, 199; გრამატიკის ნაწილები 2; გრამატიკული 149, 152, 366, გრამატიკული დრო 242. 243, 244, 618; გრამატიკული კატეგორია 40, 363, 386; გრამატიკული კილო 243; გრამატიკული ნიშანი 43—45, 527, 607; გრამატიკული ობიექტი 361; გრამატიკული ოდენობა 200; გრამატიკული რიცხვი 54, 55, 64ა, 209; გრამატიკული სუბიექტი 359, 361; გრამატიკული ტერმინი 158, 600, 606; გრამატიკული შინაარსი 130, 384, 593; გრამატიკული ფუნქცია 653
გრძელი და მოკლე ფორმები 491
გრძნობის შორისდებული 663, 664
გუნების ვნებითი 362, 365

დაბალი ხმოვნები 11
დადასტურებითი ნაწილაკი 651
დადებითი ხარისხი 172
დაკარგვა ბგერისა 28; ვ იკარგება: ო-ს წინ 448, 461; ო-ს შემდეგ 137 (ხბოვრები), ოდ სავრცობის წინ ევ-იან ზმნებში 510; ინფიქსიან მრავლობითში 501
დამატება 570
დამთხვევა მოქმედებითისა სტატიკურთან 487, 521; დ. სტატიკურისა მოქმედებით-თან 487; დ. ფორმათა 536
დამოკიდებული წინადადება 257
დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვა 608; დამოუკიდებელი მნიშვნელობის უქონელი სიტყვები 42, 628, 629, 640, 644, 655
დამოუკიდებელი წარმოება 514
დამცირებითი სახელები 162
დანართი 65, 126, 127
დანიშნულების სახელები 161, 166, 167
დართვა 165
დაქვემდებარება 323
დაწყებითი ბრუნვა 93, 96
დახურული მარცვალი 21
დეეპრიჩასტიე 145, 199
დეკლინაცია 51
დენტალი 12, დენტილაბიალი 12, 18
დეპონენსი 366, 372
დერივაცია 39, 149, 153, 160, 177ა
დიათესი 344
დიაკრიტიკული ნიშანი 18
დიალექტური ფორმები 118, 542, 557, 558. 567, დ. წრე 597
დინამიკა 385, 388, 518; დინამიკური ვნებითი 383, 385, 392, 411, 466, 470, 489, 494, 525, 539, 571, დინამიკური ფორმა 385, 389, 518; დინამიკური ზმნა 388, 518
დირექცია ნ. მიმართულება
დისიმილაცია 27, 27ა, 165, 167, 181, 357, 512, 587, 594, 615
დიფერენციაცია 315. ნ. განსხვავება
დიფთონგი 18, 23, 74, 79
დ სავრცობი 494
დონიანი ვნებითი 494, 512, 513, 588
დრო 40, 42, 154, 199, 200, 243, 244, 245, 257, 268, 269, 272, 273, 275, 296, 443, 525, 530, 608, 618; გრამატიკული და ლექსიკური დრო 618; დროის გარემოება 42; დროის ზმნიზედა 616, 618; დროული გაგება 583; დროული მნიშვნელობა 605; დროთა რაოდენობის პრობლემა 243; უდროო ფორმები 245

ებიანი მრავლობითი 62; ებიანი ზმნები. ნ. თემის ნიშნები
ეგზეკუტორი 422, 424. 425, 427, 428, 429, 431
ევიანი ზმნები 461, 491, 510, 514. ნ. თემის ნიშნები
ევ სუფიქსი 461
ევ შუალობითი კონტაქტის მაწარმოებელი 462
ეკვატივი 172
ელატიური 172
ელემენტი (მწკრივისა) 268, 299, 546
ემიანი ზმნები 483, 486, 488, ნ. კიდევ თემის ნიშნები
ემფატიკური ა 57, 82
ენა; ენის სპეციფიკა 28
ენათმეცნიერების დარგები 1
ენისმიერი (წინა ე., უკანა ე.) 12
ერგატიული ბრუნვა 53
ერთდროულობა 262, 263
ერთგზისი 258, 278

ერთ-თემიანი ზმნები 450, 451, 464, 467, 475, 476, 480, 483, 488, 591
ერთ-პირიანი ზმნები 209, 234, 239, 286, 384, 411, 416, 507, 521, 526, 527, 531, 567, 569
ერთ-მარცვლიანი 81, 632
ერთ-ცნებიანი კომპოზიტი 176, 178—197
ექსკლუზია, ექსკლუზიური ფორმა, 50, 205, 251, 286. ნ. კიდევ ინკლუზიასთან
ეხლანდელი დრო 242, 243, 245, 246, 268, 527

ვარიანტი 154
ვე ნაწილაკიანი სახელი 144
ველარი 12
ვერსია 375, 393. ნ. ქცევა
ვიბრანტი 12
ვითარება პირისა 208, 443
ვითარებითი ბრუნვა 52, 609, 637; ვითარებითი ზედსართავი 46. ვითარების ზმნიზედა 616, 619
ვინის რიგი 239
ვინ ჯგუფის სახელები 44, 353—368
ვნებითი გვარი (პასივი) 45, 321, 344, 351, 354, 355, 411, 424, 494—515, 539, 540, 567; პრეფიქსიანი ვნებითი 356, სუფიქსიანი ვნებითი 357, უნიშნო ვნებითი 358, შესაძლებლობის ვნებითი 360. მიჩნევის ვნებითი 361, გუნების ვნებითი 362; ვნებითი გვარის მიმღეობა 42, 113, 116, 588, 589; ვნებითი გვარის მიმღეობის მაწარმოებელი 541; ვნებითი გვარის წარსულდროიანი მიმღეობა 590, 594; ვნებითის წარმოება შინაგანი ხმოვნით 515; ვნებითის ფორმანტი ედ 474; ვნებითის მარტივი თემა 468

ზედსართავი 41, 42, 45, 49, 70, 80, 113, 146, 152, 153, 154, 166, 172, 190, 194, 324, 458, 582, 608, 615, 619, 658; ზედსართაობა 166; ზედსართაული 167, 566
ზედშესრული 45
ზე-კატეგორია 432
ზმნა 41—43, 98, 101, 166, 199, 285, 322—368, 372, 374, 378, 379, 384—390, 543—551, 554, 566, 567, 618, 639; ზმნა ფართო მნიშვნელობით 303—305; ზმნა ვიწრო მნიშვნელობით 305; ზმნათა კლასიფიკაცია 538, 539; ზმნათა ფლექსია (მიმოხრა) 538; ზმნის ბრუნება 80; ზმნათა წარმოება 474; ზმნა-სახელი 130; ზმნის თემა 478; ზმნის კატეგორია 443, 580; ზმნის ლექსიკური მნიშვნელობა 567; ზმნის სასტემა 502; ზმნის ფუძე 43; ზმნის უცვლელი ფორმა 582; ზმნის ფუნქცია 580
ზმნიზედა 41, 42, 98, 102, 133, 165, 312, 324, 608—627; ზმნიზედური გამოთქმა 166, 168, 172; ზმნიზედა სახელის ფუნქციით 625
ზმნისწინი 36, 303—317, 322, 323, 324, 327, 329, 332, 368, 372, 382, 384, 388, 480, 482, 487, 530, 540, 541, 545, 547, 549, 550, 554, 564, 566, 567, 639; ზმნისწინიანი მიმღეობა 539
ზმნური ნიშნები საწყისისა 571, მიმღეობისა 582; ზმნური წარმოშობის ნაწილაკი 654
ზმულობა 199
ზომის აღმნიშვნელი სახელები 114; ზომა-ოდენობის ზმნიზედა 616, 620; ზომა-წონის ზმნიზედა 620

თავი ზმნა 221
თავისებურებანი: სახელთა ბრუნებისას 136—148, ზმნათა უღლილებისას 542—567, მიმღეობათა წარმოებისას 587, 601; თავისებური ზმნები ანბანის რიგზე 567
თავისთავადი სახელები 58, 59—83
თავსართი 38
თავკიდური 165, 576
თანაბრობითი ხარისხი 172
თანამდებობათა სახელები 114, 122
თანამდევრობა 262—269, 271, 441, 443, 583
თანდებული 28, 41, 42, 81, 98, 127, 158, 209, 324, 629—639; თანდებულიანი სახელობითი 85; თანდებულიანი მიცემითი 86; თანდებულიანი ნათესაობითი 87; თანდებულიანი მოქმედებით 88, 625; თანდებულიანი წარმოება 171; თანდებულები ქართულში 632
თანხმოვანი 12, 18, 20, 24, 93, 118, 156, 215, 567; თანხმოვნიანი ფუძეები 60, 61, 117, 123, 154, 633; თანხმოვანთა თავმოყრა 137; თანხმოვნიანთა ჯგუფი 12, 148, 474; თანხმოვანთ გასაყარი 481
თავსართი 38
თემა 445, 449—477; თემის ნიშნები 219, 450—477, 480, 485—488, 493, 508, 540, 586, 591, 592, 597; თემის გავრცობა 465; თემის ნიშნის გადარიცხვა ფუძეში 475; თემის ნიშნის შეზრდა 477, 567
თითოობის და 321
თურმეობითი, I თურმ. 281, 284, 390, 487, 488, 489, 508, 509, 511, 522, 523, 540, 560, 567; II თურმ. 243, 281, 489, 509, 511, 522, 523
თქვენეული 207

თხზვა 160, თხზული სახელები 160
თხოვნითი კილო 253, 402
თხრობითი კილო 206, 217, 242, 243, 248, 252, 268, 276, 280, 333, 340

ილ-ზე გათავებული სახელი 578
იე სუფიქსი 517
ი(ვ) სუფიქსი 461
ილ-ზე გათავებული საწყისი 458
ილ-იანი მიმღეობა 591, ილ-იანი საწყისი 474
ილ სუფიქსი 579
იმპერსონალური ხმარება 392, 566
იმპერფექტული სახე 326. ნ. უსრული ასპექტი; იმპერფექტი 267, 327
ინვერსია 238—241, 352, 373, 418, 487, 489; ინვერსიული რიგი (მსაზღვრელ-საზღვრულისა) 128, 154; ინვ. ფორმა 363, 509; ინვ. წარმოება 527, 529, 605
ინიანი ზმნები ნ. თემის ნიშანი
ინკლუზია და ექსკლუზია 206, 224, 251, 286
ინტენსიური (გაძლიერებული) უფროობითი ხარისხის ფორმა 172
ინფინიტივი 77, 199, 245, 569
ინფიქსი 38, 492, 512, 519, 529; ინფიქსიანი წარმოება 261, 497, 501; ინფიქსიანი ფორმების რღვევა 498
ირიბი მიმართება 212, 438; ირიბ-ობიექტური პირი 349, 350, 443; ორი ირიბი გარდამავალ ზმნაში 402, გარდაუვალში 411
ისტორიული შენაცვლება 25; ისტ. თვალსაზრისი 128; ისტ. პერსპექტივა 542
იძულებითი („გვარი“) 420

კავშირი 41, 42, 83, 628; კავშირი მარტივი 640; კავშირი რთული 640
კავშირებითი (მწკრივი) 249. I კავშ. 333, 374, 388, 482, 555, 567; II კავშ. 219, 280, 333, 486, 498, 501, 505, 514, 540, 564; III კავშ. 190, 283, 284, 487, 490, 509, 522; აწმყოს კავშ. 274; მყოფადის კავშ. 277; კავშირებითი კილო 206, 243, 249
კალკი 317
კატეგორია გრამატიკული 40, 386, 548; კ. ნამდვილი და მოჩვენებით 444
კაუზატივი 420, 432
კბილისმიერი 12, 227; კბილბაგისმიერი 12, 18
კვალიფიკაცია 154
კვეცა, შეკვეცა 30, 60, 7[illegible] 48, 474
კვეცილი 131, 154
კითხვითი ნაცვალსახელი [illegible] კ. ზმნიზედა 616, 623, 624; კ. ნაწილაკი 645, 646;
კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელი 50
კილო 40, 199, 200, 243, 247—257ა, 267, 268, 269, 272, 273, 275, 296, 443; კილო და მწკრივი 484
კილო² (=დიალექტი) 230, 244
კლასი ზმნაში 269, 286
კლასიფიკაცია 42, ზმნათა კ. 539
კნინობითი სახელები 162, 163, კ. მაწარმოებელი 605
კოლექტიური სახელები 166
კომბინაციები პირთა (მწკრივში) 287, 288
კომპარატივი 172
კომპოზიტი 31, 134, 160, 171, 177ა, 178, 179. 183, 185, 187, 188, 189, 193, 197; კომპოზიცია 177ა, 178
კონვერსია 346 — 352, 364, 372, 374, 375, 381, 384, 391, 425, 487, 497; კონვერსიული (ურთიერთობა, ფორმა) 364, 369, 372, 373, 374, 378, 379, 381, 384, 405, 487
კონკრეტული სახელი 44, 166; კონკრეტულობა 318; კონკრეტული მნიშვნელობა 166
კონსტრუქცია 384
კონტამინაცია 37, 366, 368, 587
კონტაქტი (უშუალო, შუალობითი) 199, 200, 241, 300, 420—424, 430, 443, 569, 571, 582
კოპულა 565, 566
კრებითი სახელი 44, 166
კუთვნილება 44, 166, 401, 413; კუთვნილებითი ნაცვალსახელი 50, 134, 139, 141, 148, 154, 413; კუთვნილებითი ობიექტი 401, 402
კუმშვა, შეკუმშვა ფუძისა 30, 31, 68, 73, 118, 448, 454, 455, 474, 483, 513, 660; შეკუმშული ფუძის გაშლა 485; კუმშვადი 129 ნ. ფუძე.

ლაბიალი 12; დენტილაბიალი 12
ლარინგალი 12
ლატერალი 12
ლექსი: მარცვალი ლექსში 22
ლექსიკა 1
ლექსიკოლოგია 1; ლექსიკონი 1, 18, 19
ლექსიკური განსხვავება 149; ლექსიკურად ერთნი 151, 153; ლექსიკური დრო 618; ლექსიკური მნიშვნელობა 1, 38, 58, 91, 234, 307, 531; ლექსიკური შინაარსი 44, 154, 168
ლიკვიდი 12
ლიცენცია. ნ. პოეტური ლიცენცია

ლოკალური ბრუნვები 90—96; ლოკალიზაცია 434

მაახლოებელი (ორიენტ.) 302, 309, 313
მაგარი უღლების ზმნა (სვან.) 515
მაერთებელი ხმოვანი 89, 624, 647; მაერთებელი კავშირი 640, 641
მათეული 207, 431
მაიგივებელი კავშირი 641
მაკნინებელი სუფიქსი 162
მამრი 658
მანის რიგი 239
მაპირისპირებელი კავშირი 630, 641
მართული მსაზღვრელი 116, 185; მართულ-შეთანხმებული მსაზღვრელი 130, 148, 154
მარტივი უღლება 534
მარცვალი 20—22, 162; მარცვალი ლექსში 22; მარცვლიანობის დაკარგვა 67; უმარცვლო უ 18, 20, 69, 456; მარცვლიანობა 79, 123
მასდარი 568
მაქვემდებარებელი კავშირი 640, 642
მაღალი ხმოვნები 11
მაშორებელი (ორიენტ.) 302, 313
მაცალკევებელი კავშირი 641
მაწარმოებელი 38, 93, 151, 154, 161, 162, 165, 166, 169, 170, 174, 319, 615
მახვილი 646
მაჯგუფებელი კავშირი 641
მდგომარეობა 385; მდგომარეობის გამომხატველი ზმნა 534; მდგომარეობის ვნებითი 392
მდებარეობა 599, 629. ნ. კიდევ სიტუაცია
მდედრი 658
მე ნაწილაკი 145
მედიალური 344, 372, 382, 383; ნ. კიდევ მედიუმი
მედიატორი 429
მედიოაქტივი 371, 373, 392, 418, 525, 526, 528, 531, 537, 539, 548, 571, 598
მედიოპასივი 370, 373, 391, 434, 525, 534—536
მედიუმი 344, 369, 375, 376, 382—384, 417; მედიუმი ბერძნულში 217, 218
მეოთხე ტიპის უღლება. ნ. უღლება
მეორე პირი 205, 397
მერყეობა თემის ნიშანთა ხმარებისას 464
მესამე პირი 205
მეტათესი 25
მეტყველება 3, 4; მეტყველების ნაწილები 41, 102, 152
მეშველი ზმნა 221, 330, 487, 507, 509, 511, 522, 534, 540, 555, 566
მეშველობითი 420
მეშუალე 429
მთავარი ფორმები 540
მთრთოლარე 12
მიგებითი ნაწილაკი 645, 651
მიზეზის ზმნიზედა 616, 621
მიზნის ზმნიზედა 622
მითითებითი ნაცვალსახ. 50, 140
მითითებითი (სიტუაცია, ე. ი. საზედაო) 434, 435
მიმართება: პირდაპირი, ირიბი 212; მ. ორმაგი, ცალმაგი 210
მიმართებითი დრო 582
მიმართებითი ზედსართავი 46, 172, მიმართებითიანი ნათესაობითი 154; მ. ნაცვალსახელი 50; მ. ზმნიზედა 624, 642; მიმართ. ნაწილაკები 645, 647
მიმართული გეზი, მიმართულება 301; მიმართულება მოქმედებისა 306—310, 629
მიმოხრა (ფლექსია) 39, 149, 538, 569, მ. სახელისა 51
მიმოსახრელი 285
მიმღეობა 42, 43, 45, 73; 83, 97, 113, 120, 154, 172, 190, 193, 199, 245, 321, 323, 374, 387, 507, 523, 540, 543, 544, 550, 567, 568, 582—605; მე-3 პირის ფორმა მიმღეობის ნაცვლად 603; მიმღეობიანი ქონებისა 196; მიმღეობითი ზმნები 542, 544
მისეული 207; მისეულ-ჩვენეული 231
მიუთითებელი სიტუაცია 434, 435
მიუმართავი გეზი 301, 566; მ. ფორმა 210
მიჩემებითი 419
მიჩნევის ვნებითი 356, 361
მიცემითი 9, 52, 56, 79, 86, 102, 139, 141, 285, 605, 609, 610, 634
მიწევნითი 92, 94, 96
მიჯნა ძველსა და ახალ ქართულს შორის 336
მკვდარი თემის ნიშნები 477
მკვეთრი 16, 17, 26ა
მნიშვნელობის განსხვავება (დიფერენციაცია) 164, 166, 315; მოდიფიკაცია 39, 201
მოზიარე 568
მოთხრობითი 39, 52, 53, 56, 74, 139, 141, 145, 366, 422, 605, 626, 632, 660
მოკითხვის სიტყვები 666
მოკლე და გრძელი ფორმები 491
მომავალი 242, 243, 245, 246, 265, 268, 339, 484, 527, 583, 600; მომავალ-დროიანი

მიმღეობა 589, 639; მომავალი წარსულში 265
მომდევნო (შემდგომი) 264; მომდევნო დროის გაგება 583
მონაცვლე ზმნები 548; მონაცვლეობა ფუძის ხმოვნებისა 452, 581; მონაცვლეობა აგებულების მიხედვით 567; მონაცვლეობა ასპექტში 567; მონაცვლეობა ვნებით გვარში 567; მონაცვლეობა მოქმედებით გვარში 567; მონაცვლეობა მწკრივებში 567; მონაცვლეობა რიცხვსა და გვარში 567; მონაცვლე ფუძე ობიექტური პირის რიცხვის მიხედვით 567
მონოპროსოპიული 209
მონაწილე 568
მორფემა 38, 323, 330, 333, 384
მორფოლოგია 2, 36, 38; მორფოლოგიური კატეგორია 40, 369; მორფოლოგიური საფუძველი კლასიფიკაციისა 42; მორფოლოგიური კატეგორია 40, 199, 200; მ. კლასიფიკაცია 42; მ. ნიშანი 527; მ. სტრუქტურა 542; მ. ფუნქცია 42
მოუბარი პირი 204—206; მოუბარი პირის თვალსაზრისი წინადადებაში 205
მოქმედება (ანუ ზმულობა) 199
მოქმედებითი 139, 140, 141, 153, 356, 363, 371, 391, 554, 567, 571, 625, 635, მოქმ. გვარის მიმღეობა 42, 43, 166, 539, 585, 604. ნ. კიდევ გვარი და თემა; მოქმედების დრო 583; ფორმით მოქმედებითი გვარის მიმღეობა, ფუნქციით კი ვნებითისა 605; მოქმედებითის წარმოება 519
მოქმედი (პირი) 208; რეალურად მოქმედი პირი 359
მოქცევა (კონვერსია) 346
მღერი 15, 17, 26, 26ა
მრავალგზისი, მრავალგზისობა 258, 331
მრავალპირიანობა 205, 239, 351, 375
მრავლობითი რიცხვი 54, 56, 82, 203, 390
მრავლობითის კატეგორია 40, 205, 214, 224, 231
მსაზღვრელი სახელი 58, 59, 113—135, 140, 163; მსაზღვრელი ნაცვალსახელთან 156
მფლობელი ობიექტი 401, 402, 416
მყარი ნაწილი ზმნისა 445
მყოფადი 242, 275, 284, 330, 480, 495, 540, 617; მყოფადის კავშირებითი 277, 284, 482, 494; მყოფადის წრის მწკრივები 271, 275—277, 518, 567
მცენარეთა კრებულის სახელები 173
მწკრივი 42, 199, 200, 266—296, 333, 390, 443; I სერიის მწკრივები 272—277; II სერიის მწკრივები 278—280; III სერიის მწკრივები 281—283; მწკრივის კატეგორია 201; მწკრივის ნიშნები 273, 449, 478, 481, 483—486, 494, 495, 501, 502, 505, 531, 540; მწკრივთა განმეორება, როგორც უღლებისა და წარმოქმნის ფორმათა გასარჩევი საშუალება 297; მწკრივის ელემენტები 268; მწკრივის წევრები 286; მწკრივთა სახელების დარქმევის პრინციპი 270; მწკრივთა წარმოება 478—536; მწკრივ-გამოცვლილი ზმნები 555; მწკრივ-ნაკლი ზმნა 516
მხედრული 18, 639
მხლებელი 42, 61, 84, 164, 607, 628
მხოლობითი რიცხვი 54, 140, 154, 202, 205, 214, 224, 291, 321

ნაგენიტივარი სახელები 155, 171, 172; ნ. ნაცვალსახელი 156
ნაზალი 13
ნაზალური გამოთქმა 170
ნაზმნარი სახელები 436, 580
ნაზმნიზედარი სახელი 625
ნათესაობითი (ბრ.) 53, 56, 57, 79, 81, 102, 139, 141, 145, 146, 148, 154, 163, 165, 171, 172, 609, 625, 635
ნათესაობით-სახელობითი 81, 130, 154
ნათესაობით-მოთხრობითი 130
ნათესაობით-მიცემითი 130
ნათესაობის აღმნიშვნელი სახელი 134
ნაკვთი 296ა
ნამყო 242, 243; ნამყო უსრული, ნამყო სრული 243, 341
ნაპრალოვანი 9, 12
ნარედუქციალი ო 474
ნარევი ფორმა 145, 488
ნარიანი საწყისი 573; ნარიანი მრავლ. ფორმა პირდ. ობიექტად 228
ნარ-თანიანი მრავლობითი 56, 483, 489, 497
ნართაული ა 57, 82, 95; ნართაული ი 483, 486, 504, 540; ნართაული ხმოვანი 82, 139, 653
ნარიანი საწყისი 573
ნარნარა 12, 24, 512
ნასახელარი ზმნები 166, 235, 356, 357, 361, 436, 455, 458, 459, 472, 474, 488, 491, 528, 534, 578
ნასესხები სიტყვა 174; ნ. ფორმები 521, 527, 531—533
ნატვრითი (კილო) 243
ნაყოფიერი თემის ნიშნები 476
ნაშთები ასპექტის ძველი სისტემისა 337; ნ. ძველი უღლებისა (რთულ ზმნებში) 543
ნაცვალსახელი 41, 42, 49, 50, 59, 72, 87, 113, 120, 140, 323, 458, 647, 657

ნაწარმოები სახელი 81, 158, 166, 167
ნაწევარი 41, 42, 54, 84, 140, 155—660; ნაწევრის შეზრდა სახელთან 660
ნაწილაკი 41, 42, 82, 89, 98, 142—147, 323, 628, 644—654
ნაწილობრივი ასიმილაცია 26
ნახევარ-ხმოვანი 18
ნახული აქტი 260
ნეიტრალური ვერსია. ნ. საარვისო ქცევა
ნელად შემუშავებული მწკრივი 536
ნივთიერებათა სახელები 44, 46, 59
ნივთის კატეგორიის ნიშანი 576
ნომინატივი (განსაზღვრული, განუსაზღვრელი) 285, 660
ნუანსები (ვნებითისა) 359; სუბიექტურ და ობიექტურ პირთა ნუანსები 433
ნუნისმიერი 12, 216, 227

ობიანი ზმნები. ნ. თემის ნიშნები
ობიექტი 40, 42, 130, 211, 285, 321, 366, 384, 527, 569, 570; ობიექტური (პირი) 202, 208, 212, 222, 229, 231, 239, 240, 369, 416, 422, 443, 487, 549; ობიექტურ პირთა ნუანსები 433; ობიექტური ნიშნები 1-ლი პირისა 224, მე-2 პირისა 225; მე-3 პირისა 228, 229; ობიექტის რიცხვი 226; ობიექტური წყობა 368, 374, 567
ოდ სავრცობი (წარმოშობისათვის) 473, 510—511, 573; ოდ-სავრცობიანი ზმნა 494
ოდენობის ზმნიზედა 620
ოდნაობითი 172
ოვ-იანი ზმნები 477
ოთხ-პირიანობის საკითხი 416, 431
ოკლუზივი 9
ოლ სავრცობი (ვნებითისა) 473, 575
ოლ-იანი საწყისი 458, 575
ომ-იანი საწყისი 574
ოპოზიციური ურთიერთობა 363
ორბაგისმიერი 12
ორგანიზატორი 422
ორგანოები (სამეტყველო) 8
ორ-თემიანი ზმნები 450, 451, 464, 467, 476, 480, 592
ორთოგრაფია (ქართული) 20
ორი ობიექტური პირი გარდაუვალ ზმნაში 416
ორიენტაცია 199, 200, 300, 302, 305, 309, 310—313, 318, 324, 327, 330, 333, 337, 338, 343, 569, 571, 582
ორმაგი ბრუნება 130, 154, 157; ორმაგი გამოხატვა სუბ. პირისა 221; ორმაგი მიმართება 210; ორმაგი სუფიქსი მრ.-ში 112; ორმაგი წარმოება 148, 462; ორმაგად გარდამავალი ზმნა 430
ორობითი რიცხვი 54
ორ-პირიანი ზმნა 209, 234, 286, 384, 411, 416, 494, 508, 521, 528, 531
ორ-ფუნქციიანი აფიქსი 154
ორ-ცნებიანი კომპოზიტი 178, 197
ოფიანი ზმნები. ნ. თემის ნიშნები
ოცობითი თვლა 47

პალატალი 18
პარადიგმა 82
პარალელური ფორმები სახელებში 141, 145, 162, 321; პ. ფ. ზმნებში 464, 511, 523
პასივი, პასიური 344—350, 353, 357—359, 363—367, 372, 376, 382, 384, 388, 405, 418, 425, 509, 515, 605. (ნ. კიდევ ვნებითი); პასიური კონსტრუქცია 367; პასიური სამეტყველო ორგანო 8, 10
პერიფრასტული ვნებითი 365
პერმანსივი 343
პერფექტი 267, 327
პერფექტული ასპექტი, გაპერფექტივება. ნ. სრული ასპექტი
პირდაპირი მიმართება 212, 369
პირდაპირი ობიექტი 103, 202, 212, 224, 225, 227, 240, 285, 321, 345—348, 350, 352, 359, 366, 371, 381, 395, 402—407, 416, 428, 430, 431, 437, 443, 554, 567, 605, 617; პირდაპირი ობიექტის აღნიშვნა II სერიის გარდამავალ ზმნასთან ძველად 483
პირდაპირი წყობა 490
პირვანდელი ბრუნვა 660; პ. ფორმა 166; პ. ფუძე 567
პირველადი ზედსართავი 46; პ. ზმნა 356, 362, 459, 488, 578; პ. ზმნიზედა 609
პირი 40, 42, 199, 200, 204—237, 269, 323, 570; 1-ლი პირი; მე-2 პირი, მე-3 პირი 205, 224, 226, 296, 323, 337, 397, 483, 570, 603; პირის ნიშანი (პირიელი ნიშანი) სუბიექტური 214—219; ობიექტური 224—228, 540, 541; პირის ნიშნის წინ გადმოწევა 507; პირის დაკარგვა 235; პირთა რაოდენობა 428; პირის ნიშანთა კვალიფიკაცია 240; იშვიათი შემთხვევა პირთა კომბინაციისა 294; პირთა კომბინაციების ცხრილები 292; სუბიექტ-ობიექტური პირების შექცევა 490
პირიანი ზმნა 303, 541, 569, 583; პირიანი სიტყვა 199; პირიანი ფორმა 543, 566, 567, 591
პირიანობა 172

პირ-ნაკლი ზმნა 233
პირის სახელები 44, 64, 65, 82, 105; პირის ნაცვალსახელი 42, 50, 139
პირობითი კილო 257
პლეონასტური მოვლენა 660, შნშ. 2.
პოეტური ლიცენცია 59, 83, 171, 584, 596
პოლიპროსოპია. ნ. მრავალ-პირიანობა
პოლისემია, პოლისემიური ფორმა 234—236, 246, 350, 351, 384, 482, 527
პოსესორი 401, პოსესიობა. ნ. კუთვნილება
პოსიბილიტიური ვნებითი 360
პოტენციალისი 360
პრევერბი 303, 441. ნ. ზმნისწინი
პრეპოზიცია 324
პრეფიქსაცია 355
პრეფიქსი 26, 38, 151, 166, 203, 213, 214, 229, 230, 234, 240, 507, 525, 567, 586, 595; პრეფიქსით ნაწარმოები სახელები 161; პრეფიქსიანი ვნებითი 356—358, 407, 467, 481. 497—510; პრეფიქს-სუფიქსი 151. 161. 166, 170; პრეფიქსული ნაწილი 303
პროსოდიული ხმოვნები 653
პროფესიის სახელები 114, 122, 127

რა ჯგუფის სახელები 44
რაოდენობა პირისა ერთ ფორმაში 209; რაოდენობითი სახელები 42, 48, 59, 170, 654
რეალურად მოქმედი პირი 359
რედუქცია 29, 30, 67, 439
რელატიური აგებულება 210, 231, 233—235, 356, 360, 364, 369, 372, 374, 407, 410, 413, 553, 566; რ. დეპონენსი 366; რ. ზმნა 212, 266, 518; რ. ფორმა 237, 364—366, 384, 516
რთული სახელები 160, 189; რ. სიტყვა 31; რ. მაწარმოებელი 162; რ. ფორმა 130, 154; რ. ზმნა 221, 543; რ. თემა 466, 478, 491; რ. თანწყობილი წინადადება 652
რიგი 154
რიგობითი სახელები 42, 48, 161, 170
რიცხვი გრამატიკული და არითმეტიკული 40, 54, 55, 269; რიცხვი სახელებში 54, 55, 647; რიცხვი ზმნაში 199, 200—202, 296; რიცხვის გარჩევის პრინციპი ზმნაში 203; რიცხვის კლება 59; რიცხობრივი გარჩევა 488, 489; მრავლ. რიცხვის ნიშანი სახელებში 56, ზმნებში 214, 223, 443, 540; ურიცხო სახელები 109
რიცხვით სახელი 41, 42, 47, 48, 49, 59, 71, 108, 113, 120, 146, 152, 166, 187, 458, 615, 657; რიცხვითიანი ქონებისა 195
როგორობა პირისა 204, 443
რომლობა პირისა 204, 205, 443

საარვისო ქცევა 377, 393, 394, 401, 402, 404, 405, 408, 409, 412, 413, 419, 427, 436, 440, 463, 480, 554, 560, 567
სააქეთო ორიენტაცია 302, 313
საგნობრიობა 43
სადაობითი 92, 95, 96, 139, 610; სადაობით-გამოსვლითი 92, 100; სადაობით-მიწევნითი 100ა
სადერივაციო აფიქსები 154
სადიფერენციაციო საშუალება 492
სავრცობი: I სერიის მწკრივებში 449, 465, 473, 494, 531, 541, 555, III სერიის მწკრივებში 508, 523, სავრცობიანი მწკრივები 467, 472, 496, 506, 559, 567; სავრცობი სახელებში (=ნართაული ა) 57
საზედაო 419, 434, 435, 440, 441
საზიარო ფორმა 356, 407
საზოგადო სახელები 44, 65, 68, 76, 80, 154, 162, 171, 655, 657
საზღვრული სახელები 58, 116, 121, 132, 154, 167, 323
სათავისო ქცევა 354, 365, 375, 377, 393, 395—399, 400—402, 404, 405, 412, 414, 419, 480, 527, 528, 546, 554, 555, 560, 567, 605
სათანაო 419, 438, 440, 441
საიქეთო (ორიენტ.) 302, 313
საკორელაციო ფორმები 384
საკუთარი სახელი 44, 59, 68, 76, 80, 82, 126, 154, 162, 171, 657; საკუთარი და ნასესხები ფორმები 581; ს. თემის ნიშანი 466; ს. მაწარმოებელი 615
სამეტყველო ორგანოები (აქტიური, პასიური, სარეზონანსო დანიშნულებისა) 8
სამეულები 17
სამიზნე პირი 421
სამოქმედო პირი (პირდ. ობ.) 344
სამ-მწკრივიანი ზმნები 537
სამ-პირიანი ზმნები 209, 231, 286, 295, 347, 384, 416, 567; სამ-პირიან ზმნათა წევრების რაოდენობა მწკრივში 286, 293
სანიანი საწყისი 576
საობიექტო. ნ. სასხვისო ქცევა
საპოზიციო ცალი 432
საპირისპირო ფორმა 64ა, 162, 172, 389, 477, 487, 527, 583
სარეზონანსო დანიშნულება 8, 12
სართი 38
სასისმიერი ბგერა 18

სასუბიექტო ვერსია. ნ. სათავისო ქცევა
სასუნთქი ორგანოები 8
სასხვისო ქცევა 393, 398—400, 402, 404, 405, 408—414, 419, 429, 480, 487, 527, 528, 554, 555, 567
საქმე. ნ. აქტი
საქცევი 393
საშუალი თანხმოვანი 12, ს. ხმოვანი 11, საშუალი გვარი 190, 344, 369, 372, 391, 409, 411, 473, 525—537, 539, 540, 548, 559, 567, 583; საშუალი გვარის ზმნათა მიმღეობა 597, 601; საშუალი სქესი 658
საწყაოს აღმნიშვნ. სახელები 114
საწყისი 42, 43, 73, 77, 83, 107, 113, 115, 125, 130, 153, 166, 199, 321, 423, 458, 463, 474, 488, 508, 529, 540, 555, 567—581, 639
საჭურვლობითი 53
სახე. ნ. ასპექტი
სახელები 41—148, 154, 166, 200, 324, 389, 474, 479—493, 495—508, 543, 639; სახელთა ბრუნების სიტემა 653; ს. მიმოხრა 51; სახელის მხლებელი 655; სახელისაგან ნაწარმოები ზმნა 459; სახელად ქცეული საწყისი 579; მიმღეობა 602; სახელისაგან ნაწარმოები ზმნიზედა 609
სახელი გვართან 126, სახელ-გვარული სინტაგმები 127
სახელზმნა 42, 43, 73, 83, 101, 199, 200, 300, 423, 424, 549, 550, 566—569, 580, 635
სახელთნაცვალი 49
სახელობითი 52, 422, 527, 599, 626, 660
სემანტიკური 1, 172
სემასიოლოგიური 1
სერიები 223, 241, 271, 328ა, 333, 363, 471, 479—493, 495—508, 514, 519, 520, 524, 527, 528, 531, 533, 540, 555, 567, 571, 605
სესხება 525, 527
სინკოპე 29ა, 30
სინონიმები 191, 199, 545
სინტაგმა 127, 154, 157, 321
სინტაქსი 2, 640, სინტაქსური კავშირი 42, 422; სინტაქსური კატეგორია 40; სინტაქსური კატეგორიის ფუნქცია 103; სინტაქსური კონსტრუქცია 279; სინტაქსური თვალსაზრისი სიტყვების კლასიფიკაციისას 42
სინტაქსური ფუნქცია 42
სისინა ბგერები 12, 26
სისტემა ასპექტის გამოხატვისა, მისი შეცვლა 385; შეცვლის შედეგები 336
სისტემა ზმნისა 548; სისტემა ულლებისა 199
სისტემა თვლისა ქართულში 47
სიტუაცია 434, 436, 443, 521, 541, 571, 572, 582
სიტყვა-სიტყვითი ნაწილაკები 645, 650
სპეციფიკა ენისა 2
სპირანტი 9, 12, 17, 216, 227, 228
სრული ასპექტი. ნ. ასპექტი
სტატუსი 385—392; სტატიკური ზმნები (სტატიკური ვნებითი) 221, 374, 383, 385, 387, 388, 389, 390—392, 407, 408, 411, 434, 470, 487, 489, 509, 516, 518, 519, 521, 524, 536, 538, 539, 558, 571
სტილისტიკა 1
სუბიექტური პირი 40, 42, 202, 208, 213—221, 229, 231, 232, 239, 240, 321, 345—348, 350, 352, 360, 369, 381, 384, 390, 391, 395, 404, 407, 422, 428, 431, 433, 435, 443, 519, 527, 549, 554, 569, 570, 585, 617; სუბ. პირთა ნუანსები 433, სუბ. პირთა ნიშნები: 1-ლი პირისა 21ა, მე-2 პირისა 216, მე-3 პირისა 218, 219; სუბ. და ობ. პირის ნიშანთა შეხვედრა 229; სუბიექტის სიმრავლე (გარდაუვალ ზნასთან) 321; სუბიექტური ულლება 286; სუბ. წყობა 232, 366
სუბსტიტუცია 25
სულიერთა სახელები 44, 365
სუპერლატივი 172
სუსტი ხმოვანი 74
სუფიქსი 38, 112, 151, 165, 166, 168, 171, 172—174, 203, 214, 240, 390; სუფიქსიანი ვნებითი 357, 404—407, 468, 497, 505, 512, 588; სუფიქსიანი მიმღეობა (ვნ. გვარისა) 591
სხვათა სიტყვის ო 89, 650

ტერმინის ხმარება 240
ტიპები ბრუნებისას 61—83, ტ. ულლებისას 538—540
ტმესი (გაკვეთა) 323
ტოლად შერწყმული სახელები 190, 191
ტომობრივი და ეთნიკური სახელები 171
ტონი, ტონიანი, უტონო 14

უარყოფითი ნაცვალსახელები 50, 142
უასპექტო ზმნები 332, 337, 527
უახლესი ფორმები 119
უბრალო დამატება 366, უბრალო ობიექტი 427
უბრუნველი სახელი 123
უბრჯგუ. ნ. უმარცვლო უ
უგვარო ზმნები 376
უდეტრები 41, 42, 606, 607

უდროო ფორმები 245
უზმნისწინო ზმნები 304, 536, 554, 567, 598
უთემისნიშნო ზმნები 472, 480, 563
უინფიქსო წარმოება (ვნებითი გვარის ზმნებში II სერიაში) 497, 501
უკავშირო შეერთება 191
უკანა ალვეოლარი, უ. ენისმიერი, უ. ნუნისმიერი, უ. სასისმიერი 12
უკვეცელი ხმოვანი 172
უკუდებული 630, 631
უკუთქმითი ბრძანებითი 217, 250, 255; უ. მიმღეობა 576, 583, 588; უ. წინადადება 652; უ. ნაწილაკი 449, 645, 649, 651, 654; უ. ფორმა 596
უკუმშველი ნ. ფუძე
უკუქცევითი ნაცვალსახელი 50, 280, 418
უმარცვლო უ 18, 20, 69, 456
უმეშვეო 420
უმოქმედო (პირი) 208
უნაყოფო თემის ნიშანი 476
უნახავი აქტი 260, 261
უნიშნო ვნებითი 297, 355, 358, 406, 407, 469, 506, 513, 514, 515, 588
უნიშნო წყვეტილი 483
უპირო ზმნები 42, 303, 321, 545, 566, 569
უპროდუქციო ვნებითი 358
ურთიერთობითი ნაცვალსახელი 50
ურიცხო სახელები 54, 109
უსაწყისო ზმნები 578
უსრული ასპექტი 326, 338, 383, 482, 527, 540, 551, 566, 567
უსულოთა სახელები 44, 365
უუღლებელი ზმნა 199, 569, 570, 583
უფროობითი ხარისხი 172, 603, 611
უქონლობის სახელები 161, 164
უქცეო ზმნები 412, 414, 527
უღლება 42, 297, 299, 341, 445—567; უღლების კატეგორია 199, 201, 202, 331, 333, 443; უღლების ტიპები 538, 539; უღლების ფორმა 296ა, 297, უღლებადი ფორმები 266, 569; უღლების სისტემა 199
უშუალო კონტაქტი 420, 422, 425, 426, 428, 430, 462, უშუალოდ მოქმედი პირი 422
უცალო მოქმედებითი 377; უ. ვნებითი 378, 494, 594; უ. საშუალი 379
უცვალებელი პირი 232, 237; უ. კატეგორია მწკრივში 268
უცხო აფიქსიანი სახელები 174
უწესური ზმნები 542
უწინარესობა 262, 264, 627
უწინარესი დრო 583
უწყვეტელი 219, 233, 273, 278, 279, 284, 333, 341, 374, 388, 481, 518, 550, 555, 567

ფარდი სახელები 421, 422; ეფარდება 429
ფართობის აღმნიშვნ. სახელები 114
ფარინგალი 12; ფარინგალური 18
ფაქტიტივი 420, 432
ფიზიკური ობიექტი 44; ფიზიკურ-გეოგრაფიული ობიექტი 171
ფიცილის ფორმულები 666
ფლექსია 23, 39, 149, 538, 569
ფლობილი სუბიექტი 416
ფონემა 6, 6ა
ფონეტიკა 1, 2; ფონეტიკური მოვლენები 23—37, 567; ფ. ფაქტორის გავლენა 60, 61, 74, 422; ფონეტიკური ვარიანტი 514; ფონეტიკური ვითარება 591
ფორმა (=დრო-კილო) 267
ფორმა გრამატიკული 1, 609; ფორმათა დამთხვევა 509, 518; ფორმათა შევსება (სესხების გზით) 527—530; ფორმათა მიხედვით დაჯგუფება 161; ფორმა და ფუნქცია 91, 154, 192, 234, 236, 285, 340, 366, 369, 374, 384, 389, 414, 422, 428, 429, 518, 526, 605; ფორმა და შინაარსი 154, 161; ფორმათა წარმოება 462, 515, 519, 567
ფორმალიზმი 234, 414
ფორმალური მრავლობითი 55 (ნ. კიდევ ფორმა და ფუნქცია)
ფორმანტი 38, 74
ფორმა-ცვალებადი 151, 152, 199, 489; ფორმა-უცვალებელი სიტყვები 37, 42, 608
ფორმობლივი ნიშნები წარმოქმნილ სახელებში 151
ფორმობლივი განსხვავება 521
ფრიკატივი 9
ფუნქციონალიზმი 378, 414; ფუნქციონალური განსხვავება 527
ფუძე სახელებში 30, 38, 79, 118, 140, 151, 165, 168, 171, 357; ფ. ზმნებში 167, 390, 446—448, 482, 485, 541, 544, 545, 548, 550, 555, 567; ფუძე-კუმშვადი სახელები 60 ,62, 67—69; ფუძე-უკუმშველი სახელები 62, 63, 66, 67, 137; ფუძის შეკვეცა (ნ. კვეცა); ფუძის გავრცობა 474; ფუძე-გაფართოებული ზმნები 546; ფუძისეული ხმოვანი 79; ფუძისეული ხმოვნის ამოღება 137; ფუძისეული ვ-ს დაკარგვა 448, 459; ფუძის ხმოვანთა მონაცვლეობა (აბლაუტი) 581; ფუძეში გადარიცხვა: სახელობითის ნიშნისა 65,

ზმნისწინის თანხმოვნისა 316, თემის ნიშნისა 475; ფუძეში გადასვლა ვინისა 540, 572, 596; ფუძესთან შეზრდა 567; ფუძის ბოლოკიდური 86; ფუძის გაორკეცება 135, 472; ფუძის გაშლა წყვეტილში 483; ფუძის შენაცვლება 471; ფშვინვიერი 16, 17, 26, 26ა

ქვე-კატეგორია 443, 548
ქვემდებარე 103, 238, 279, 347, 366, 555
ქვეწყობილი წინადადება 257ა
ქონების სახელები 161, 163, 197; ზედსართავიანი ქონებისა 194; რიცხვითიანი 195; მიმღეობიანი 196
ქცევა 40, 199, 200, 323, 375, 393—419, 424, 426, 443, 487, 521, 527, 541, 571, 582; საარვისო ქ. 393, 394; სათავისო ქ. 393, 395, 396, 397, 399; სასხვისო ქ. 393, 398, 399, 400

ღია მარცვალი 21

ყელ-ხშული 16
ყრუ (უტონო) 15, 17, 27ა; ყრუ მკვეთრი 26; ყრუ სპირანტი 26; ყრუ ფშვინვიერი 26

შედარებითი (ხარისხი) 172
შედგენილი შემასმენელი 365, 387, 558, 565, 566
შედეგობითი კილო 257ა, 282
შეთანხმებული მსაზღვრელი 128, 129 (ნ. მართულ-შეთანხმებული)
შეკვეცა. ნ. კვეცა
შეკუმშვა ნ. კუმშვა შეკუმშული ფუძის გაშლა 485
შემასმენელი 42, 238, 387, 652
შემასმენლობითი 285
შემდგომი (=მომდევნო) 262, 264
შემოკლებული გამოთქმები 198; შ. ზმნები 547
შემსრულებელი პირი 421, 422, 428; შ. ობიექტი 366
შენაცვლება 25, 548, 567; შ. რიცხვში 549, 567; შ. მწკრივებში 550; შ. ასპექტში 551, 567; შ. გვარში 380, 552; შ. აგებულების მიხედვით 553; შ .პირში 554
შენეული 207
შერწყმა 34, 190, 641, 650; შერწყმა (შეზრდა) ნაწევრისა სახელთან 660; შერწყმული სახელები 83, 173, 197, 545, 565; შ. ქონების სახელი 193, 196, 197; შ. ზმნები 545
შესაძლებელ კომბინაციათა რაოდენობა მწკრივში 290
შესაძლებლობის ვნებითი 360
შექცევა 238
შეხება. ნ. კონტაქტი
შეხვედრა სუბ.-ობ. პირის ნიშნებისა 228
შინაარსი 616, შინაარსი და ფორმა (ნ. ფორმა და ფუნქცია)
შინაგანი ფლექსია 515
შიშინა ბგერები 12, 26
შორისდებული 41, 42, 98, 102, 607. 654, 661—668
შუალობითი კონტაქტი 366, 414, 420. 422, 423, 426, 428, 429, 430, 439, 462, 488, 491, 540, 546, 567
შუალობითის ვნებითი 425

ჩართვა 33, ჩართული ნ 493
ჩასართი 38
ჩემეული 207
ჩემეულ-შენეული 207, 231
ჩვენებითი ნაცვალსახელი 50, 140, 647, 655
ჩვენეული 207, 431
ჩვეულებითი (მოქმედება) 259, 267, 279
ჩქამი 14, 15

ცალი. ნ. წყვილის ცალი
ცალეული 17
ცალმაგი მიმართება 154, 210; ცალმაგი ბრუნვა 157; ცალმაგად გარდამავალი 430
ცვალებადი პირი 287, ცვალებადი და უცვალებელი კატეგორიები მწკრივში 268, 286
ცხვირისმიერი 13

ძველი კონსტრუქციის ნაშთი 134; ძველის ნაშთი 543; ძველი ნორმა 509; ძველი საწყისი 73, 572, 579; ძველი სინტაქსური ძალა 555; ძველი სისტემა (ასპექტისა) 333—336; ძველი უღლება ერთპირიანი ვნებითი გვარის ზმნებისა 507; ძველებური ნარიანი ფორმა 489
ძირეული 150—152, 168, 172, 174, 297, 424, 430; ძირეული სახელი 162; ძირეული ფუძე 164, 166; ძირეული ფორმა 154
ძირი 38, 447, 541
ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი ძველსა და ახალ ქართულს შორის 336ა; ძირითადი მაწარმოებელი 586; ძირითადი ფორმა 511

წართქმითი ბრძანებითი 217, 229, 230, 250, 252, 253, 255, 256, 484, 556; წართქმითი ვნებითი გვარის მიმღეობა 588; წართქმი-

ხალხ ... წართქმითი სიტუაცია
პო ... ართქმით-უარყოფითი
ა.
ხანძ ... ბის საშუალებანი 165
რ
... ლები 161, 165, 601
... 149, 160, 297, 299, 336,
... წარმოქმნის ფორმა 297, 474, 56., 570; წარმოქმნის ურთიერთობა უღლებასთან 299; წარმოქმნის კატეგორიები ზმნაში 201, 443; წარმოქმნილი სახელები 150—152, 424, 430, 440
წარსული დრო 199, 242, 243, 245, 246, 265, 268, 276, 339, 583; წარსული მომავალში 265; წარსული დრო მიმღეობაში 365, 507, 5.., 590
წევრი (მწკრივისა) 286; წევრთა რაოდენობა სამპირიან ზმნაში 293
წერა და მეტყველება 4; წერა და გამოთქმა 6, 662
წესი, წესებრივი ბრუნება 59, 61, 72
წილ..ბითი 42, 48, 161, 170
წინა ენისმიერი, წ. ნუნისმიერი (წ. ალვეო..არი), წ. სასისმიერი 12
წინ.. ვითარების სახელები 161, 168
წინადადება 42, 98, 103, 126, 152, 646; წინადადების ეკვივალენტები 42; წინადადების წევრი 80; წინარე წარსული 243
წინ..ებული 630, 631
„წ...და“ ობიექტი 401, 416
წოდებათა სახელები 114
წოდებითი 52, 53, 56, 59, 82, 140, 141, 632, 659
წონის აღმნიშვნელი სახელები 114; წონა-ზომის ზმნიზედები 165
წრე: აწმყოს წრე 271—274; მყოფადის წრე 275—277, 482
...ელობითი 507, 659, 660
წყ..ტილი 219, 259, 264, 278, 284, 333, 341, 483, 485, 486, 489, 498, 502, 512, 519, 527, 529, 540, 567, 650
წყვეტილის ხოლმეობითი 343
წყვილი 79; წყვილის ცალები 79; წყვილეულები 17
წყობა სუბიექტური და ობიექტური 232

ჭურვილობითი 53 შნშ.

ხალხური ეტიმოლოგია 171
ხანმეტობა 216, 229, 252, 556, 567
ხარისხის სახელები 161, 171, 172
ხახისმიერი 12, 18
ხელმძღვანელი პირი 421
ხელობის სახელები 161, 169
ხმა (=გვარი) 344
ხმარებიდან გადავარდნილი ასოები 18
ხმოვნები 9—11, 18, 20, 154, 216, 229; ხმოვანთა ასიმილაცია 166, 609; ხმოვანი და თანხმოვანი 9; ხმოვანთა ჯგუფის ტენდენცია 35; ხმოვან-ფუძიანი სახელები 60, 61, 74, 82, 117, 123; ხმოვან-მონაცვლე ზმნები 337, 452, 464, 467, 476, 470, 480, 483, 488, 513, 515, 519, 567, 580, 586, 591; ხმოვან-მონაცვლე ზმნათა გადასვლა პრეფიქსიანი ვნებითის რიგებში 368, 513; ხმოვანთა მონაცვლეობა: აქტივ-პასივში 515, ფუძეში 581
ხმოვანთა შენაცვლება 470, 580; ხმოვანთა წესიერი მონაცვლეობა 581
ხმოვანთა სხვადასხვაობის მიზეზი 10; ხმოვნების განაწილება 515; ხმოვნით დაწყებული აფიქსი 474
ხოლმეობითი: I ხოლმ. 257, 276, 284, 474, 481, 518; II ხოლმ. 279, 284, 295, 321, 485, 499, 500, 504, 540, 555, 567
ხორხისმიერი 12
ხუცური 18
ხშული ბგერები 12; ხშული თანხმოვანი 9, 12; ხშული მკვეთრი 26

ჯერობა 258 შნშ.

ჰაემეტობა 216
ჰარმონიული ჯგუფები 26ა